


# EDGAR POE


## TALES

Translated into  
Georgian by Zaur Kiladze



Tbilisi „merani“ 1988

ედგურ



გოთხროგები

ინგლისურიდან თარგმნა

ზაურ კილაძემ

ედგარ პო „თითქმის ყოველთვის ყველაზე უფრო განსაკუთრებული სინამდვილეს გვიხატავს, თავის გმირს მოაქცევს ყველაზე უფრო განსაკუთრებულ გარემოებასა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში და განსაცვიფრებელი სიზუსტით წარმოგვიჩენს ამ გმირის სულის ამბავს“ (თ. დოსტოევსკი).

ამერიკელი მწერლის ქართულ ენაზე გამოცემული მოთხრობების ეს მეთრე კრებული შედარებით სრულია (პირველი — გამოაქვეყნა „საბჭოთა საქართველომ“ 1982 წელს) და მკითხველი გაეცნობა მხატვრული სიტყვის ამ დიდოსტატის მრავალ მოთხრობას და, ამასთან ერთად, მისი ბიოგრაფიის ნარკვევს.



## ედგარ პოს ცხოვრების ფუძეძეები

### 1

ამერიკელი ლიტერატურისმცოდნენი რ. უელეკი და ო. უორენი ერთ საყურადღებო ფაქტს გვამცნობენ ედგარ პოს ბიოგრაფიიდან: „როდესაც მისი „შემზარავი მოთხრობებისათვის“ არაორიგინალობა დაუწამებიათ, თავმოყვარეობაშელახულმა პომ განაცხადა, ეს „შემზარავი“ ამბები მის მოთხრობებში გერმანიიდან კი არ მოხვდა, არამედ ადამიანის სულიდანო...“<sup>1</sup>

ახლა, XX ს. მიწურულს სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება საკუთარ შემოქმედებაზე გამოთქმული ამ აზრის ჭეშმარიტება.

საუკუნენახევარია გასული მას შემდეგ.

ედგარ პოს მრავალი ნაწარმოები, ლექსი თუ მოთხრობა, „მარადიული თემის“ მადლსაა ნაზიარები. სწორედ ამიტომ არ ბერდება მისი შემოქმედება.

ყოველი ადამიანის ბიოგრაფია მისი სულის პრიზმაშია გარდატეხილი და ჩაწნული, ამიტომ მეტწილ ბიოგრაფიათა უმნიშვნელოვანესი ფაქტები სამუდამოდაა დაკარგული და გაცამტვერებული.

მაგრამ ამ „ყოველ ადამიანში“ ჩვენ შემოქმედ ხალხს არ ვგულისხმობთ, რადგან მათი ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი

<sup>1</sup> P. Уэллек и О. Уоррен. «Теория литературы», М., 1978, с. 103.

ფაქტები, ანუ „სულის მოძრაობანი“ (ილია) უშუალოდ მათ შემოქმედებაშია აღნუსხული, შემოქმედებაზე უკეთ რამ უნდა გვამცნოს შემოქმედის ბიოგრაფია! ლიტერატურათმცოდნეობისათვის უკვე კარგა ხანია ცნობილი ეს ფაქტი, მაგრამ ამჯერად ედგარ პოს ბიოგრაფიისათვის მსოლოდ მის შემოქმედებას ნუ მოვიშველიებთ.

\* \*

„მამის მხრიდან ჩემი ბაბუა იყო ბალტიმორელი გენერალი დევიდ პო, ირლანდიური წარმოშობისა გახლდათ. ვიცი, ძმები ჰყავდა, მგონი ორი. თუმცა ჩემი ცოდნა მსოლოდ ერთით შემოიფარგლება, ჯორჯ პოს ვგულისხმობ. ბაბუასემა ძალიან ადრე დაქორწინებულა ელისაბედ კერნსზე, ლანკასტერელ ქალზე. ბაბუას 5 ვაჟი ჰყოლია: ჯორჯი (ვინც ჩვილი გარდაცვლილა), ჯონი, უილიამი, დევიდი და სამუელი; ასევე — ორი ქალი, მარია და ელიზა. ვაჟებიდან დევიდის გარდა არავის უთხოვია ცოლი. დევიდი დაქორწინებულა ელისაბედ ჰოპკინსზე, ინგლისელ ქალზე, ეყოლა 3 შვილი — ჰენრი, მე და როზალი. ჰენრი დაახლოებით ოთხი წლის წინათ მოკვდა, დავრჩით როზალი და მე...“ — წერდა პოეტი თავის ნათესავს.

ედგარ პო დაიბადა ქ. ბოსტონში 1809 წლის 19 იანვარს. დედის — ელისაბედ არნოლდ ჰოპკინსი — მშობლები ლონდონის კოვენტგარდენის თეატრის მსახიობები ყოფილან. 1796 წელს იგი დედამისს ამერიკაში, ქ. ბოსტონში ჩამოუყვანია და ჯერ კიდევ ცხრა წლის ბავშვი ბოსტონის თეატრის სცენაზე გამოდის: დაბოლოს, სახელოვანი, ამერიკელი მაყურებლისათვის საყვარელი მსახიობი ხდება, ბევრს მოგზაურობს და ბევრ თეატრშიც თამაშობს. აი, ზოგი ის ქალაქი, სადაც ის ჩასულა — ნიუ-იორკი, ფილადელფია, ვაშინგტონი, ჩარლსტონი, ნორფოლკი, რიჩმონდი... რიჩმონდში ცოლად მიჰყვება დევიდ პოს, ვინც თავის მხრივაც სცენით ყოფილა გატაცებული და კიდევაც დაუმსახურებია თავისი ოჯახის წევრების გულისწყრომა. ის ცნობილი იყო როგორც კაცი „სულსწრაფი, ჩქარი, სმის მოყვარული“. ედგარის დედ-მამა ვერ შეგუებიან და დაცილებიან ერთმანეთს. შემდეგ ამ კაცის

ასავალ-დასავალი არავინ იცის, თუმცა თავად მწერალი იგონებს, მამამისი მაშინ მომკვდარა, როცა ის ორი წლისა ყოფილა, ხოლო მისი დაი სულ რამდენიმე თვის. მისი უფროსი ძმა უილიამ ჰენრი ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში ბაბუას (მამის მამას) დაუტოვებია ქ. ბალტიმორში; მსახიობების ოჯახს უჭირდა და ეს ამბავი უკვე, მეორე ვაჟიშვილის დაბადების ხანს კიდევ უფრო ცხადი გახდა.

მარტოხელა დედას შვილები დაჰყავდა ქალაქიდან ქალაქში, სადაც წარმოდგენები იდგმებოდა მისი მონაწილეობით. მართლაცდა, საშინელ დღეში ჩავარდნილა ეს ქალი, რომლის ჯანმრთელობა ისედაც შერყეული იყო — ფილტვების სისუსტე სჭირდა და კიდევაც დაავადებული იმხანად მოურჩენელი სენით, ჭლექით. ხოლო ამ დროს უხდებოდა ყოველდამე სცენაზე გამოსვლა, რათა თავისი ბაღლები ულუკმაპუროდ არ დაეგდო. დაბოლოს, იგი ისევ რიჩმონდს ჩასულა; ეს იყო 1811 წლის დეკემბერი. აქ მას ჭლექი გართულება, რასაც ფილტვების ანთებაც დამატებია და დაღუპულა კიდევაც.

დედის გარდაცვალების ორი კვირის შემდეგ, რიჩმონდის თეატრში, სადაც უკანასკნელად გამოდიოდა ეს ქალი, საშინელი ხანძარი გაჩენილა და ამ ამბავს დიდი მსხვერპლი მოჰყოლია — სწორედ აქ იმართებოდა საშობაო ზეიმები.

პატარა ედგარისათვის ხშირად აღუწერიათ ეს ხანძარი, დედის მოგონებასთან რომ იყო დაკავშირებული ყოველთვის.

\* \*

„ხოდა, ასე დავრჩით ობლები იმ ასაკში, როდესაც განსაკუთრებით აუცილებელია მშობლების ხელი“ — იგონებს ედგარ პო. ეს სიტყვები მოგვყავს მწერლის იმ წერილიდან, რომელიც 1835 წლის 20 აგვისტოთია დათარიღებული. მართალია ღვიძლი დედა აღარ ჰყავდა, მაგრამ განგებამ მოუვლინა ის ქალი, რომელმაც კარგი დედობა გაუწია; ეს იყო ფრენსის ალანი, ვისაც საკუთარი შვილი არ ჰყავდა, და მთელი თავისი დედობრივი სიყვარული პატარა ედგარს მიაგო. ფრენსისთან ოჯახში ცხოვრობდა მისი და — ანა ვალენტაინი, რომელიც ისეთივე კარგი დეიდა — „დეიდა ნენსი“ — გამოდგა ედგარისათვის, როგორც დედა იყო, 27 წლის მეუღლე ჯონ ალანისა.

კარგი დედობა გაუწიაო, რომ ვამბობთ, აქ ერთი ფრიად საგულისხმო გარემოება უნდა გავითვალისწინოთ, როგორი კაცი იყო მისი ქმარი და რამდენად შეძლო მის ხელში ამ ქალმა თავისი დედობრივი მოვალებების მოხდა, ხორცშესხმა ბავშვისადმი თავისი დიდი სიყვარულისა.

ედგარის მამობილი გახდა რიჩმონდელი კომერსანტი ჯონ ალანი. ამის შემდეგ ასე უნდა დაწერილიყო სრულად მწერლის სახელი და გვარი — ედგარ ალან პო, თუმცა თავად ასე ამჯობინებდა — ედგარ ა. პო და, როგორც დავინახავთ, ამ გარემოებას ჰქონდა თავისი მიზეზი, ერთობ საბედისწერო ამბების საფუძველი რომ გამოდგება ამ შემოქმედის ბიოგრაფიაში.

ედგარ პოს ბიოგრაფიის ავტორი ჰერვი ალენი წერს, რომ მამობილი იმთავითვე ჩასჩინებდა ბავშვს, ფრენსის ალანი შენი ნამდვილი დედა არ არისო; ეს ფაქტი „ზუსტად ცნობილიაო“, დასძენს იგი. მაგრამ იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ „გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ჯონ ალანს მოუღბა გული; გავიდა წლები და მას შეუყვარდა ბიჭი და ისე ამაცობდა იმით, როგორც საკუთარი ვაჟიშვილით“. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯონ ალანი არ დასთანხმებია თავის მეუღლეს და დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგაც ოფიციალურად არ უშვილებია ედგარი.

ცნობილია, რომ მამობილები და ზოგჯერ ღვიძლი მამებიც „სათანადო“ დაფასებას მითითხოვენ თავისი გერებისაგან თუ შვილებისაგან, და თუ ასე არ მოხდება, ვაი იმათ, მამობილის ან მამის სიყვარული შეიძლება სიძულვილადაც გარდაისახოს. მართლაც, ჯერ კიდევ თხუთმეტი წლისა იყო ედგარ პო, როცა მისი მამობილი უკვე ასეთი შეხედულებისა იყო მასზე — „ის მე არაფერს მიკეთებს და სულ მუდამ პირქუში, დაღვრემილი და გაბოროტებულია, ასეთი აზრისაა მთელი ოჯახი. რით დავიმსახურეთ ეს ყველაფერი, ვერ გამოგია — სწორედ ისევე, როგორც არ მესმის, რად ვეგუებოდი ასე დიდხანს მის ასეთ საქციელს. ბიჭს არა აქვს ჩვენგან რომელიმესადმი სიყვარულის ნატამალიც კი, არც მადლიერების გრძნობა ამ სიკეთისა და ზრუნვისათვის. მე კი იმას ისეთი განათლება მივალბინე, თავად მე რომ არა მაქვს“ — ასე წერს

ჯონ ალანი ედგარის უფროს ძმას უილიამ ჰენრი პოს.

თუკი ერთი ადამიანი მეორეს ასეთი თვალთ აღიქვამს, მაშინ თავის გულქვაობასა და მძულვარებას საკუთარ თავს როდი დააბრალებს, არაიედ იმ მეორეს, იმ სხვას, იმ სხვაში ეძებს თავისი გაუკუღმართებული გრძნობებისა და გონების საფუძველსა და მიზეზებს, და რასაც ეძებს, ყოველთვის პოულობს. იქნება მაშინ, 15 წლის ედგარის მარტობისადმი ლტოლვამ ასე წარმოუჩინა ჯონ ალანს მისი სახე — „პირქუში, დაღვრემილი და გაბოროტებული“. სინამდვილეში კი უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც ედგარი ოთახში იკეტებოდა და ლექსებს წერდა; ჯერ კიდევ ბავშვს შემოქმედების წყურვილი იმდენად მოსჭარბებოდა, რომ აღარაფერი ახსოვდა, არც თანატოლები და არც თამაში.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ედგარ პოს ზოგიერთი ბიოგრაფი „მამობილსაც“ აღარ ეძახის ჯონ ალანს და „მეურვედ“ ჰყავთ მონათლული. და საბოლოოდ, როგორც დავინახავთ, ედგარ პო იმთავითვე ცუდ მეურვესთან და კარგ დედასთან აღმოჩნდება დაკავშირებული. საბოლოოდ ისიც აღმოჩნდება, რომ ცუდმა მეურვემ „ბევრად აჯაბა“ კარგ დედას.

ედგარ პოს ცხოვრების ფურცლების გაცნობისას დავინახავთ, რომ მისი ურთიერთობა ჯონ ალანთან გარკვეულწილად საბედისწერო გამოდგება მისთვის.

\* \*

1815 წელს ალანების ოჯახი ინგლისში მიემგზავრება. ინგლისში ყოფნის ხანს ედგარ პოს სკოლაში მიაბარებენ. სწავლას იწყებს ლონდონის პანსიონებში, შემდეგ კი დიდ სკოლაში, სტოუკ ნიუინგტონს, ლონდონის მაშინდელ გარეუბანში.

1820 წელს ალანები ამერიკაში ბრუნდებიან და 2 აგვისტოს რიჩმონდს ჩადიან.

1821 წელს ედგარ პო სწავლას განაგრძობს ქ. რიჩმონდის ჯოზეფ კლარკის სკოლაში; 1823—1825 წწ. სწავლობს უილიამ ბერკის სკოლაში.

1826 წლის 14 თებერვალს ედგარ პო შედის ვირჯინიის უნივერსიტეტში (ქ. შარლოტსვილი)...



ადამიანის ცხოვრების პირველ ნახევარში (ზოგჯერ ასეც შეიძლება დავყოთ მისი ასაკობრივი ცვლა) დადგება გარკვეული დღეები, როდესაც რაღაც მნიშვნელოვანი შემთხვევა ანუ შემთხვევათა გორგალი უცებ დაუსვამს წერტილს მის ბავშვობას. სწორედ ასეც მოხდა მაშინ, როდესაც ედგარი ვირჯინიის უნივერსიტეტში სწავლობდა, სწორედ აქ დაასრულა მან თავისი ბავშვობა და აქ მოღებია ბოლო მის ბედნიერებასაც; ჩვენ ამ ცნებაში გარკვეულ შინაარსს — ყოველივე აუცილებლით, საკვებითა და ჩასაცემელ-დასახურავით უზრუნველყოფილი ბავშვის სულიერ სიმშვიდესა და ჰარმონიულ ყოფას ვგულისხმობთ. დიდვაჭრის ოჯახს, მზრუნველი დედობილის ხელში, არ გაუჭირდებოდა ერთი ბავშვის შენახვა. ბავშვობის დროინდელი ბედნიერი წუთების მოგონება ედგარ პოს მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, ვინ იცის, იქნებ, მისი „ყორანივით“ მოსძახოდა — „აღარასოდეს, აღარასოდეს!..“

ედგარ პო ჩავიდა ვირჯინიის უნივერსიტეტში ვითარცა მემკვიდრე უმდიდრესი ვაჭრისა. ასე ფიქრობდნენ აქ, სადაც, ძირითადად, უმდიდრესი პლანტატორის შვილები სწავლობდნენ. აი ისეთები, ედგარ პოს მოთხრობის „უილიამ უილსონის“ მთხრობელი-გმირი რომ იყო: „მშობლების უსაშველო პატივმოყვარეობისდა კვალად თავით ფეხამდე დიდებულად ვიყავი შემოსილი, წლიური სარჩოც იმდენი დამიწესეს, ჩიტის რძეც არ დამკლებოდა...“

ეს მოთხრობა გარკვეულწილად ავტობიოგრაფიულია, ოღონდ, მართალი თუ გნებავთ, ზემოთ მოყვანილი სიტყვები ასე უნდა გავიგოთ — მას (ედგარ პოს) არც ჰყავდა ასეთი მამა, ხოლო მეურვეს იგი თავით ფეხამდე დიდებულად არ შეუმოსავს, არც იმდენი სარჩო „დაუწესებია“, რომ ჩიტის რძეც არ დაკლებოდა... „არა, მგონია, ამ ბიჭიდან რამე გამოვიდეს“ — ასეთი წარწერა გაუკეთებია ჯონ ალანს იმ წერილზე, რომელიც ედგარმა გაუგზავნა მას; თუ რატომ ფიქრობდა მეურვე ასე, თავად ამ წერილში შეიძლება მოიძებნოს პასუხი — „კვლავაც მესმის თქვენგან... ჩემი სიყვარული არა გქონიათ“.

ამ ურთიერთობის შედეგი ასეთი იყო: „დიდად მიჭირს ახლა, გუშინ დილიდან ხემსი არ ჩამსვლია პირში, ამაღამ სად დავიძინებ არ ვიცი და ქუჩებში უნდა ვიხეტიאלო“ — წერდა მეურვეს იგი ერთ-ერთ წერილში, ოღონდ ეს ცნობა 1827 წლის 20 მარტითაა დათარიღებული, ესე იგი, მაშინ, როდესაც ედგარ პო უკვე 3-4 თვე იყო, რაც უნივერსიტეტში აღარ სწავლობდა.

სწორედ იმხანად ჯონ ალანს დიდი მემკვიდრეობა ხვდა წილად და თუ ეს გარემოება გვემახსოვრება, უნივერსიტეტში მყოფი ედგარის ხარჯები შეიძლება ზღვაში წვეთს შევუდაროთ. მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იყო ჯონ ალანისათვის, ხოლო ედგარ პო იძულებულია ისესხოს, ფულს კი ვინ დაუჭერს ასეთი „მდიდარი კაცის მემკვიდრეს“... ვალის გასასტუმრებელი თანხა არსად ჩანს, ედგარ პო კარტის თამაშს მიჰყოფს ხელს, რათა ერთი რომელიმე დიდი მოგებით „ფონს გავიდეს“, მაგრამ ამოდ, და სხვადასხვა ვალს ახლა „ღირსების ვალიც“, ანუ კარტში წაგებული ფულიც დაემატა. და როდესაც ჯონ ალანს შარლოტსვილიდან თამასუქები მიუვა გასანაღდებლად, თავქუდმოგლეჯილი გამოემგზავრება აქ, რათა ედგარს ჭკუა ასწავლოს, ანუ ვალი ვალად დაუტოვოს და უკვე საშობაო არდადეგების შემდეგ უნივერსიტეტში ფეხი აღარ დაადგმევინოს. ანდა როგორ შეეძლო ედგარ პოს იქ დაბრუნება, როდესაც სასამართლო აღმასრულებლებმა ავად დაადგეს თვალი — ეს კი ისეთი დრო იყო, როდესაც მევალე უთუოდ ციხეში უნდა მოხვედრილიყო.

ძე შეცთომილი სახლში ბრუნდება, იგი იტანჯება, მაგრამ მეურვის პატიებას ვერა და ვერ დაიმსახურებს.

უდავოდ სასარგებლო იყო ედგარ პოსთვის ის თვეები, უნივერსიტეტში რომ დაჰყო. მაშინ იქ ევროპის ცნობილი პროფესორები იყვნენ მოწვეულები და, ცხადია, დიდად ნაყოფიერი გამოდგა მათთან სწავლა... მაგრამ სწორედ იქ, სასოწარკვეთილებით მოცულმა ყმაწვილმა სმას მიჰყო ხელი, და შემდგომაც, სასოწარკვეთილების წუთები ალკოჰოლით უნდა ჩაეხშო, ეს მავნე ჩვევა საბედისწერო შეიქმნება ბოლოს. „მისი ნერვები იმდენად მგრძნობიარე იყო, რომ ერთი ყლუპიც კი... გასაოცარ ცვლილებას იწვევდა მის სა-

უბარსა და საქციელში. ერთი ჭიქაც ათრობდა, სოლო ორი და სამი სრულიად აკარგვინებდა ჭკუას. და თუ კიდევ გააგრძელებდა სმას, მაშინ სულ მალე თავისივე თავის ცოცხალ კარიკატურად, გენიოსის პაროდიად გარდაისახებოდა, ეს იყო სულიერი დეგრადაციის ავბედითი ნიშანი“ (ჰერკი ალენი).

\* \*

მისი შემდგომი ცხოვრების ქრონოლოგია ასეთია:

1827 წლის 24 მარტს ჯონ ალანთან წაკიდების შემდეგ ჩუმად მიდის რიჩმონდიდან, იძულებულია ყალბი სახელი დაირქვას — ჰენრი ლე რენე, რათა მევალებმა ციხეში არ ჩასვან და არც იცოდნენ მისი ასავალ-დასავალი. ჩადის ჯერ ნორფოლკში, მერე — ბოსტონში.

ამ ქალაქში ამავე წლის მაისში გამოდის მისი პირველი კრებული: „თემურლენგი და სხვა ლექსები“. გამოცემა ანონიმურია.

26 მაისს მოხალისედ შედის არმიიაში ედგარ ა. პერის სახელით.

1829 წლის თებერვალში კვდება ფრენსის ალანი, ედგარ პოს დედობილი...

\* \*

ედგარ პოს ბიოგრაფები წერენ, რომ მას უდიდესი სიყვარულით უყვარდა თავისი დედობილი, ულამაზესი ქალი. ედგარ პოს კი ყოველთვის თაყვანს სცემდა მშვენიერებას; განსაკუთრებით მაშინაა დიდებული ეს მშვენიერება, როდესაც დედობრივი ზრუნვით არის გამთბარი და სორცშესხმული.

ფრენსისს მთელი თავისი სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადაქცეოდა, რაკილა მას შემდეგ, რაც ედგარი ვირჯინიის უნივერსიტეტში წავიდა სასწავლებლად, დიდ განხეთქილებას ხედავდა მეუღლესა და თავის შვილობილს შორის. მთელი მისი ცდა როგორმე შეერიგებინა ქმარი და შვილობილი, ამათ გამოდგა. 1829 წლის დასაწყისში, უკანასკნელ დღეში

მყოფი ქალი კვლავ და კვლავ ცდილობს თავისი შვილობილის მდგომარეობის შემსუბუქებას, სასიკვდილო სარეცელზე გაკრული ჯონ ალანს პირობას ჩამოართმევს, რომ ის დაეხმარება და იზრუნებს მასზე. 29 თებერვალს, სიკვდილის ჟამს, უკანასკნელ სურვილს გამოთქვამს, მანამ არ დამკრძალონ, სანამ ედგარი არ ჩამოვა და არ დამემშვიდობებათ.

ფრენსის ალანს 2 მარტს დაკრძალავენ, ედგარ პო ვერ მიუსწრებს გასვენებას. მეორე დილას ჩამოსული სასაფლაოზე მიდის. ამბობენ, რომ ქალის სამარესთან მისული ფეხზე ველარ დგებოდა და იქვე ჩაიკეცაო.

\* \*

1830 წლის ივნისში ედგარ პო შედის აშშ-ის უესტ-პოინტის სამხედრო აკადემიაში. მას, როგორც ჩანს, ამით თავისი მეურვის გულის შოლბობა უნდოდა. თითქოს მაშინ, დედობილის გარდაცვალების იმ შავბნელ დღეებში რაღაც იმედის ნატამალი გაშოჩნდა. იქნებ, ამის შემდეგ მეურვეს მოწყალების თვალთ შეეხედა მისთვის.

1831 წლის 28 იანვარს ედგარ პოს სამხედრო სასამართლოს გადასცემენ ვითარცა გამოუსწორებელ უდისციპლინოს და აკადემიიდან დაითხოვენ.

ხსენებული „უდისციპლინობა“, რაღა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო, სხვანაირად სამხედრო აკადემიიდან თავს ვერ დაიხსნიდა.

\* \*

„უესტ-პოინტიდან გამოგზავნილ უკანასკნელ წერილში იგი ატყობინებს ჯონ ალანს, რომ მეტს აღარასოდეს შეაწუხებს და აღარ თხოვს დახმარებას. შიმშილით და ძძიმე ავადმყოფობით სასოწარკვეთილი იძულებულია კვლავ შესკას დამცირების ფიალა, სხვა გამოსავალი არა აქვს, ასე ჰგონია, რომ სიკვდილი მისი პატარა ოთახის ზღურბლზე დგას, და ევედრება ალანს, შიმშილით სიკვდილისაგან დამიხსენიო... პასუხს ამოდ ელოდა. სახლი მას აღარა ჰქონდა...“ (პერვი ალენი).

ედგარ პოს ზემოთ მოყვანილი წერილის ერთი ადგილი გავისსენოთ, ჩემს ბაბუას ორი ქალიც ჰყოლიათ, „მარია და ელიზა“. მარია კლემი, როგორც ვხედავთ, ედგარის მამიდა გახლავთ. სწორედ მამიდასთან იზრდებოდა და კვლავაც ცხოვრობდა მისი უფროსი ძმა უილიამ ჰენრი. ედგარი ამ ქალის ოჯახს შეეკედლება ქ. ბალტიმორში. დაქვრივებულ მარია კლემს ჰყავდა შვილები — ჰენრი და ვირჯინია, რომელიც ბოლოს მწერლის მეუღლე გახდება.

მარია კლემი, როგორც ამბობენ, იყო ოჯახის დედაც და მამაც და უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილ ამ ოჯახის წევრებს სწორედ მისი არაჩვეულებრივი სიმტკიცისა და ადამიანური თვისებების წყალობით ჰქონდათ თავშესაფარი და ლუკმაპური. უსახსროდ დარჩენილი, გატანჯული პოეტი სწორედ ამ ქალისას მიდის, სწორედ აქ ნახულობს იმას, რაც ყველაზე უფრო სჭირდებოდა ბავშვობიდანვე თავისი გამორჩეულობის შემგრძობელ და დედობილისა და „დეიდა ნენსის“ ყურადღებითა და ყოველდღიური ზრუნვით ასე თუ ისე განებივრებულ ყმაწვილკაცს.

მარია კლემს, თავად მრავალტანჯულ და გამოწრთობილ ქალს, გული ჩაწყვიტა ძმიშვილის ესოდენმა გასაჭირმა, ედგარ პოს ბიოგრაფების ცნობით, ამ ქალისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ მის ახლობელს დახმარება და თავშესაფარი სჭირდებოდა, რადგან ის იყო „ქალი მხნე, მკაცრი და ამავე დროს უსაზღვროდ ნაზი და გულისხმიერი“.

ედგარ პო პირველად მარია კლემისას 1829 წლის აგვისტოში მისულა, ის ჯერ კიდევ არ იყო ჩარიცხული უესტ-პოინტის სამხედრო აკადემიაში. 1831 წელს, როდესაც ის თავს დაადწევს მისთვის ესოდენ არასასურველ აკადემიას, ისევ ჩაკა მამიდასთან ქ. ბალტიმორში.

შიმშილობამ, სასოწარკვეთილებამ და გამომდინარე აქედან უდიდესმა სულიერმა გვემამ ედგარ პო რაღაც ზღვარამდე მიიყვანა; ეს იყო 1833 წელი, სწორედ ამ წლის 12 აპრილითაა დათარიღებული უკანასკნელი წერილი, რომელიც

მან ჯონ ალანს გაუგზავნა. „შემიწყალეთ და მიხსენით და-  
ლუპვისაგან“, შეჰლადადებს იგი მეურვეს. შეიძლება სწორედ  
იმ ხანებში ჯონ ალანი საკუთარი ხელით ანდერძს წერდა. მო-  
მავალი წლის მარტსა თუ აპრილში (ედგარ პო მეურვეს სიკვ-  
დილამდე კიდევ ერთხელ „მოინახულებს“, იქნებ, ცოტა მაინც  
ხელი მომიმართოსო სამარეში ცალფენჩადგმულმა კაცმა...),  
მისი გარდაცვალების შემდეგ უკვე ცნობილი გახდება ამ ან-  
დერძის შინაარსი. ჯონ ალანს ყველა შვილი, კანონიერი (მე-  
ორე ცოლისაგან) თუ უკანონო, აღუნიშნავს თავის ანდერ-  
ძში, მაგრამ შეიღობილისათვის არაფერი გამოუმეტებია იმ  
საჟისი 750 000 დოლარიდან, რაც იმხანად დიდ თანხას წარ-  
მოადგენდა.

\* \*

ედგარ პოს სიცოცხლეში მოხდა გარკვეული გარდატეხა,  
რომელმაც ზღვარი გაავლო მის წარსულსა და მომავალს  
შორის; წარსულთან დაკავშირებული ძაფები ერთბაშად შე-  
იშურა და ამის შემდეგ მასთან მიანლობა მხოლოდ მეხ-  
სიერების მეშვეობით შეიძლება. ხოლო გარკვეულმა მნიშ-  
ვნელოვანმა ფაქტებმა განაპირობა მისი მომავალი.

ედგარ პოს ბიოგრაფიაში ასეთი გარდატეხა თუ ზღვარი  
შეინიშნება 1833-1834 წლებში, რაც შეიძლება ორი გარე-  
მოებით აიხსნას: 1. გარდაიცვალა მისი მეურვე თუ მამობი-  
ლი ჯონ ალანი. ამის შემდეგ ედგარ პოს საკუთარი თავის  
იმედილა უნდა ჰქონოდა; 2. ქ. ბალტიმორის ყოველკვირეული  
კაზეთი „ბალტიმორ სეტერდეი ვიზიტერი“ აცხადებს კონ-  
კურსს საუკეთესო მოთხრობისათვის. ედგარ პო იმარჯვებს ამ  
კონკურსში, ჟიური პირველობას მიანიჭებს მის მოთხრობას  
„ბოთლში ნაპოვნი ხელნაწერი“.

ჯონ ალანის გარდაცვალების შემდეგ თითქოსდა ყო-  
ველგვარი კავშირი გაწყდა მშობლიურ ქალაქთან, რიჩმონ-  
დთან, სადაც ცხოვრების უბედნიერესი წუთები გაატარა და  
სადაც ცხოვრობდა მაკენზების ოჯახს შეკედლებული მისი  
დაი, როზალი (ანუ „როზე“, როგორც მოფერებით ეძახდნენ

მას, რომელსაც მისი ძმის ბიოგრაფების გადმოცემით, ფი-  
ზიკურ სიმწიფეს მიღწეულსაც თორმეტი წლის გოგონას ფიქ-  
რები და გრძნობები დარჩება სამუდამოდ).

\* \*

მაგრამ მას კიდევ მოუხდება რიჩმონდს ჩასვლა და ამ ამ-  
ბის წინაისტორია ასეთია — ბალტიმორის გაზეთის ზემოთ  
სსენებული კონკურსის ჟიურის წევრებს შორის იყო ჯონ პ.  
კენედი, იმხანად ცნობილი მწერალი და დიდებული სულის  
ადამიანი, რომელიც გულისხმიერად ეკიდება უნიჭიერესი  
ყმაწვილკაცის ბედ-იღბალს, სხვათა შორის, ერთხელ სტუმ-  
რადაც დაპატიჟებს. ეს იყო 1835 წლის მარტი და პასუსად  
ასეთ ბარათს ღებულობს ედგარ პოსაგან:

„პატივცემულო სერ!

თქვენმა გულითაღმა მიპატიჟებამ სადილზე სულიერი  
ტკივილი მაგრძნობინა. მე არ შემიძლია მოსვლა — მიზეზი  
ფრიად დამამცირებელი მაქვს, ჩემს გარეგნობას ვგულის-  
ხმობ. თქვენ შეიძლება მიხვდეთ, თუ რა სირცხვილს განვიც-  
დი, იძულებული რომ ვარ თქვენ წინაშე ვალიარო ეს ამბა-  
ვი, მაგრამ აუცილებელია. თუ თქვენ იმდენად ხართ ჩემი  
მეგობარი, რომ შეგიძლიათ მასესხოთ 20 დოლარი, მე ხვალ  
თქვენსას ვიქნები — თუ არა და ეს შეუძლებელი იქნება და  
რალა დამრჩენია, ბედს უნდა დავმორჩილდე.

გულწრფელად თქვენი ე. ა. პო

კვირა, 15 მარტი“.

მართალია, ჯონ კენედიმ იცოდა მწერლის გაჭირვების  
ამბავი, მაგრამ ასეთ უკიდურესობამდე თუ იყო მისული, რას  
წარმოიდგენდა. დახმარებასთან ერთად მან ის სითბო და გუ-  
ლისხმიერება გამოიჩინა, რაც ასე ესაჭიროებოდა მგრძნო-  
ბიარე, სიღარიბის მწარე მარწუხებში მომწყვდეულ ყმაწვილ-  
კაცს.

სხვათა შორის ჯონ კენედიმ ედგარ პოს გააცნო ახალ-

გაზრდა რედაქტორი რიჩმონდული ჟურნალისა „საზერნ ლიტერერი მესენჯერ“.

და აი 1835 წლის აგვისტოში ედგარ პო რიჩმონდში ჩადის, სადაც ის ნახულობს თავის ძველ მეგობრებს. მის წინაშე იღება იმ კარგი ოჯახების კარები — ბევრს როდი დაეჯერებინა ბრმად ჯონ ალანის მონათხრობი თავის შვილობილზე.

ედგარ პო ხდება რედაქტორი ამ ჟურნალისა, რომელსაც მისი ჩასვლისას სულ 700 ხელისმომწერი ჰყავდა და მალე მისი ტირაჟი დიდად მატულობს.

\* \*

იხევე მოვიშველით ქრონოლოგიური მონაცემები:

1837 წლის იანვარში ედგარ პო ტოვებს „მესენჯერს“ და რიჩმონდს და ნიუ-იორკში მიდის.

1838—1844 წწ. ცხოვრობს ფილადელფიაში. ჯერ რედაქტორობს ჟურნალ „ბერტონ ჯენტლმენ მეგეზინს“, შემდეგ კი „გრეჰემ მეგეზინს“.

1839 წელს გამოდის მისი ორტომეული „გროტესკები და არაბესკები“. ამ დროისათვის მას უკვე 25 მოთხრობა აქვს დაწერილი და კიდევაც შეაქვს ამ კრებულში.

1844 წლის აპრილში ოჯახით ნიუ-იორკში გადადის.

1845 წლის იანვარში „ივინგ მირორი“ ბეჭდავს მის „ჟორანს“; ამ ლექსს უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია ხალხზე და მაშინვე გადაუბეჭდავს მრავალ გამოცემას.

1845—1846 წწ. რედაქტორობს ჟურნალ „ბროდვეი ჯორნელს“.

1847 წლის 30 იანვარს კვდება მისი მეუღლე ვირჯინია პო....

2

„საწუთროს

ჭირის ფარდავით

დავსილი მქონდა სიხარულისა სანთელი,

ვიდრე ეულალო, შევება-სრული, მზის დარი ასული არ გახდა მეუღლე ჩემი.



ვიძრე ეულალია ელვარეთმიანი ნორჩი ასული არ გასდა მეუღლე ჩემი,

ჰე, ვარსკვლავოვანი ღამე  
თუ იყო სადმე —  
ვითარცა ეს გოგო სხივცისკროვანი  
მთვარის ნათელი  
რადაა ბნელი,  
ბუნდად სვეული?!

ეულალის თუნდაც სულ პატარა კულული ერთი მზე არის მთელი,  
ეულალის თვალების კდებმა საკვირველი სამოთხე არის მთელი.

სადაა სევდა,  
წავიდა სევდა  
რაკილა ერთია სულელები ჩვენი,  
ყოველდღე ცარგვალზე  
ბრწყინავს, ანათებს .  
შორეთის ასპიროზი.

მზერა მიუბყრია მისთვის ეულალის თვალმშვენიერს,  
ნორჩ ეულალის, დიდრონ-იისფერ თვალმშვენიერს“.

„ეულალია“ — ასეთია ამ ლექსის სათაური, ეს ერთი ლექსია იმ მრავალი სხვათაგან, მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს რომ მიუძღვნა ედგარ პომ.

ბევრ ბიოგრაფს უმტკრევია თავი, თუ ვინ იყვნენ ისინი: ანაბელ ლი, ლიგეა, ლინორა, ეულალია, ელენორა, მორელა; კიდევაც დაუდგენიათ, თუ ვის გულისხმობდა, კონკრეტულად ვინ იყო ამა თუ იმ ნაწარმოების გმირი, ანუ, რომლისადმი იყო მიძღვნილი... ერთი რამე კი უნდა იყოს ნათელი, სატრფიალო ამბავი ადამის ჟამიდანვე ადამიანთაგან თითო-ოროლას თუ არ გადასდენია თავს, მაგრამ მეტი წილი ამ სასიყვარულო ამბებისა მარადიული ბურუსითაა მოცული და ასეც იქნებოდა, დიდი პოეტები რომ არ ყოფილიყვნენ. ყოველი დიდი პოეტის სიდიადე სწორედ იმით გამოიხატა, რომ თითოეულმა თავისი განუმეორებელი კვალი დატოვა ამ თემის წარმოჩენაში. და მაშინაც კი, როდესაც დიდი პოეტი ვინმე კონკრეტულ ქალს გულისხმობს, მი-

სი გმირი უაღრესად განზოგადებული და მნიშვნელოვანი ხდება. ამიტომ, შეიძლება ედგარ პოს შემთხვევაშიც გალაკტიონის სიტყვები მოვიყვანოთ — „საერთოდ, სატრფიალო ლექსებში იდეალური ქალი მყავს ხოლმე წარმოდგენილი, ჩემთვის რეალური მერი არ არსებობდა..“ (გ. ჩიქობავას მიხედვით).

სწორედ იდეალური ქალის სახე არის დავანებული ედგარ პოს ლექსებსა თუ მოთხრობებში. მაგრამ, ცხადია, რომ შეუძლებელია იდეალი მთლად „იდეალური“ იყოს და ცხოვრებაში არ მოიპოვებოდეს მისი საფუძველი, ასე იყო ყოველთვის და ასე ყოფილა ედგარ პოს სიცოცხლეშიც. ოღონდ, თუკი მისი სატრფიალო ნაწარმოებები გამოირჩევა უზადო ფორმით, მუსიკალობით და მთხრობელის, მთქმელის, ანუ ავტორის ღრმად მგრძნობიარე სულის შარავანდედით არიან მოსილნი, რეალურ ცხოვრებაში ედგარ პოს ქალებთან ურთიერთობა მტანჯველი და ერთობ რთული ჩანს და კიდევაც უდარებენ ამ ამბავს „ლაბირინთს“.

\* \*

ჯერ კიდევ ბავშვი იყო ედგარ პო, როდესაც უნაზესი და, რაჟა თქმა უნდა, წმინდა დამოკიდებულება გაუმჟღავნებია კეტრინ პუატიოსადმი, ფრენსის ალანის ნათლულისადმი.

14 წლის ედგარმა 6 მილი გაცურა მდინარის აღმა. მას ნავით მიჰყვებოდა სკოლის დირექტორი უილიამ ბერკი, ხოლო ნაპირზე ხალხს მოეყარა თავი. იმათ შორის იყო მისი თანასკოლელი, უმცროსკლასელი რობერტ სტენარდი.

რობერტი გამარჯვებულსა და უკვე „სახელგანთქმულ“ მოცურავს თავისას მიიწვევს. სხვებთან ერთად აქ ედგარი დედამისს გაეცნობა — ჯეინ სტენარდს. მგრძნობიარე ბავშვს სამუდამოდ დაამახსოვრდება ამ მშვენიერი ქალის სახე; მოწიწება და აღტაცება, რასაც, თქმა არ უნდა, შეიძლება თავისებური სიყვარულიც დავარქვათ, იმდენად ამალღებული და წმინდაა, რომ მერეც, კარგა ხნის შემდგომ, ედგარი იძულებულია ეს თავისი მაშინდელი გრძნობა გაიხსენოს და სხვა, ასევე წმინდა გრძნობის დასამტკიცებლად მთიშველი-

ოს და ასე მისწეროს ქალბატონ მერი შიუს: „ჩემი პატივისცემა თქვენდამი მთელი ზარზებიით უნდა დავაყენო ჩემი სიყრმის მეგობრის გვერდით — ჩემი სკოლის ამხანაგის დედის გვერდით“.

1824 წელს ჯეინ სტენარდი („ელენი“), ჯერ კიდევ 31 წლის ქალი ავად ხდება და კიდევაც დაიღუპება. საშინლად უმოქმედია ედგარზე ამ ქალის ავადმყოფობას და გარდაცვალებას, და იმდენად ძლიერი ყოფილა ეს მისი განცდამწუხარება, რომ ბევრმა შეაძწნია: ხოლო პოეტის ლექსმა უკვდავებას აზიარა ამ ქალის სახე:

„ჰა, მოელვარე სარკმელთან მდგომი  
ვითარცა სვეტი ნათელი...“

\* \*

თუკი 14 წლის ბავშვის სიყვარული თავისი სკოლის ამხანაგის დედისადმი, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ თცნების ტკბილ და ზეციურ ბურუსში უნდა ყოფილიყო გახვეული, სავსებით მიწიერი ჩანს ედგარ პოს გრძნობა ელმირა როისტერისადმი.

და სწორედ ამ სიყვარულის გამო ქ. რიჩმონდში კლასიკური დრამის სურათები გათამაშდება — ედგარ პო შარლოტსვილს მიდის სასწავლებლად, ელმირას და მას ცოლქმრობის ფიცი აქვთ დადებული... არსებობს ფანქრით ნახატი მისი მშვენიერი პორტრეტი საქმროს ხელით შესრულებული.

მრავალი წერილი გამოუგზავნა ედგარ პომ ელმირას, მაგრამ არც ერთზე არ მიუღია პასუხი, მიზეზი ის იყო, რომ ქალის მამა მალავდა უნივერსიტეტიდან მოსულ წერილებს.

გაივლის სულ ცოტა ხანი და ელმირა ქალბატონი შელტონი გახდება.

ედგარ პოს ბიოგრაფები ვარაუდობენ და, რაღა თქმა უნდა, საფუძვლიანი უნდა იყოს ეს ვარაუდი — ელმირას მამამ იცოდა ჯონ ალანის დამოკიდებულება ედგარისადმი, რადგან ის და მწერლის მეურვე „საკმაოდ ახლო მეგობრები ყოფილან“ და ედგარი არცთუ ისე სასურველი სასიძო ჩანდა როისტერების ოჯახისათვის. ბიოგრაფების აზრით, ედ-

გარ პოს მეურვე უშუალოდ მონაწილეობდა ამ პატარა, მაგრამ მგრძნობიარე ყმაწვილკაცისადმი ერთობ ტრაგიკულ „შეთქმულებაში“.

\* \*

ცხადია, ხსენებული ტრაგიკულობა თავად ედგარ პოს პიროვნებაშია საძიებელი. მისი გული თანაღმობის გრძნობითაა მოცული დღენიადაგ, მისი მზერა ადამიანის ჭირ-ვირამს ძირისძირამდე სწვდება და ითვისებს, ამის დამადასტურებელია მისი ნაწარმოებები. მაგრამ ისიც რეალობა იყო, რომ ედგარ პოს არ შეეძლო ამ თანაღმობის ხორცშესხმა უკიდურესი ხელმოკლეობის გამო. არ შეეძლო ისე, როგორც მას უნდოდა, ოღონდ როგორც შეეძლო და რამდენადაც შეეძლო, კი აკეთებდა. მარია კლემის ოჯახი გავიხსენოთ, აქ მან თავშესაფარი ნახა, ნახა ის დედობრივი ზრუნვა და სიობო, რაც მას ესოდენ ესაჭიროებოდა დედობილის სიკვდილის შემდეგ.

მარია კლემის და მისი ქალ-ვაჟის, თავისი ძმის დუსჭირი ყოფა, რაღა თქმა უნდა, სულით ზორცამდე შესძრავდა პოეტს. თავად თავისი სილატაკის გამო უკვე უარყოფილი და გატანჯული, ცხადია, რაღაც მარტივი სიყვარულით ვერ შეიყვარებდა თავის მამიდაშვილ ვირგინიას, ეს უნდა ყოფილიყო ურთულესი გრძნობა, რაღაც ნაზავი თანაღმობისა და დიდი სიყვარულისა, რომლის სრულიად წარმოჩენა და ახსნა შეუძლებელი ჩანს.

1836 წელს მაისში ვირგინია კლემი ედგარ პოს მეუღლე ხდება.

\* \*

ეს მოხდა 1842 წლის იანვრის მიწურულს, საღამო ხანი იყო. ედგარ პო თავის პატარა ოჯახთან ერთად სტუმრებს ელოდება. მოვიდნენ. ჩვეულებისამებრ, ვირგინიამ სიმღერით უნდა გაართოს მოწვეულები; კიდევაც მოიმარჯვებს ქნარს, სიმღერას იწყებს და უცებ პირიდან სისხლი წასკდება...

ეს იყო იმ ავადმყოფობის საბედისწერო ნიშანი, ხუთი წლის შემდეგ, 1847 წლის 30 იანვარს კიდევაც რომ დაღუპავს ვირჯინიას.

რა ჯოჯოხეთური იქნებოდა ეს წლები ედგარ პოსტვის, ვისთვისაც უკიდურესად გამძაფრებული ტრაგიკულობის გრძნობა იმთავითვე მიემადლებინა განგებას; მიემადლებინაო რომ ვამბობთ, ამაში მისი ნაწარმოებების მკითხველის პოზიციას ვგულისხმობთ, რომელიც ამ გრძნობის მეშვეობით ეზიარა ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთ ქვაკუთხედს — ტრაგიზმს მისი ყოფიერებისას.

დიახ, ასეთია ედგარ პოს ნაწარმოების მკითხველის პოზიცია, მაგრამ თავად მისთვის ეს იყო მისი სულიერი და ფიზიკური გვემის ყოვლისმომხმელებელი წლები. აი ასე იგონებს პოეტი ამ პერიოდს თავის ერთ-ერთი მეგობრისადმი გაგზავნილ წერილში: „ექვსი წლის წინათ, ჩემს ცოლს, ვინც მე მიყვარდა ისე, როგორც მოკვდავთაგან არც არავის ჰყვარებია აქამდე, გაუწყდა შინაგანი სისხლის ძარღვი სიმღერის დროს. მის მდგომარეობას უიმედო შეარქვეს. სამუდამოდ დავემშვიდობე კიდევაც და განვიცადე ის ტანჯვა-ვაება, რასაც მაგრძნობინებდა მასი დაღუპვა. მაგრამ ცოტათი მომჯობინდა, და კვლავ მომეცა იმედი. ერთი წლის მერე კვლავ გაუწყდა სისხლის ძარღვი. ზუსტად ისეთივე სურათი წარმომიდგა... მერე ისევ — ისევ... და ყოველთვის, იმასთან სიკვდილის მოახლოების ხანს, იმავე სატანჯველით ვიტანჯებოდი. სნეულების ყოველ შემოტევაზე მე კიდევ უფრო ცხოვლად მიყვარდა იგი და უნუგეშო სიჯიუტით ვეპოტინებოდი მის სიცოცხლეს. მაგრამ ბუნებით მე მგრძნობიარე კაცი ვარ, არაჩვეულებრივად ნერვული. ზოგჯერ ხელი ვხდებოდი, ოღონდ დიდხნობით მიბრუნდებოდა შემზარავად საღი გონება. ხოდა, სრული უგონობის დროს მე ვსვამდი — მხოლოდ ღმერთმა უწყის თუ რა სისხირით და რა რაოდენობით. რაღა თქმა უნდა, ჩემი მტრები ღვინის ბორცითად სმას მიაწერდნენ სიგიჟეს და არა პირიქით. მართლაცდა, აღარც მქონდა გამოჯანსაღების იმედი, როდესაც ცოლის სიკვდილმა დამიბრუნა ჯანმრთელობა. ამ სიკვდილის გაძლება მე შემიძლია და გავუძლებ კიდევაც. როგორც ეს შე-

ეფერება მამაკაცს. რისი გაძლებაც მე არ შემეძლო, ისე, რომ სრულიად არ დამკარგოდა ჭკუა, ეს იყო საზარელი, მარად გაუთავებელი მერყეობა იმედსა და სასოწარკვეთილებას შორის, და იმის სიკვდილში, ვინც ჩემი სიცოცხლე იყო, მე მოვიპოვე — ჰოი, ღმერთო ჩემო — ასეთი გულისმომკვლელი არსებობა“.

\* \*

თუკი ედგარ პომ თავისი შემოქმედებით უკვდავყო ზოგიერთი ქალის სახელი და მოგვცა სახე იდეალური ქალისა (რას იზამ, კონკრეტულიდან ზოგადკაცობრიულობამდე ამაღლება და წარმოჩენა — ასეთია მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოების არსებობის კანონზომიერება), არც ქალები დარჩენილან მასთან ვალში. იმათ შორისაა ფრენსის ოსგუდი, იმხანად ცნობილი სანტიმენტალური ლექსების ავტორი. კერძოდ, ამ ქალმა, ვისთანაც ედგარ პოს ჰქონდა ახლომეგობრული ურთიერთობა, დაგვიტოვა მშვენიერი მოგონება მასზე: „პირველად ჩვენ შევხვდით ასტორ ჰაუზში. უილისმა გადმომცა... „ყორანის“ ერთი ეგზემპლარი, რომლის შესახებაც, მისი სიტყვით, ავტორს სურდა ჩემი აზრი მოესმინა, მისტიკურმა, არაჩვეულებრივმა მუსიკამ ამ პოემისამ ისე ძლიერ მომაჯადოვა, რომ, ჩემი გაცნობის მისი სურვილის გაგების ხანს უცნაური, რაღაც შემზარავის მსგავსი გრძნობა განვიცადე. იგი მოვიდა. მისი ლამაზი, ამაყი თავი, მუქი ფერის თვალები, გამორჩეულობის სინათლით, გრძნობისა და ფიქრის სინათლით გაბრწყინებული, მისი მანერები — ყველაფერი ეს იყო ნაზავი ენით უთქმელი დიდებულებისა და სინაზის. თავი დამიკრა მედიდურად, თითქმის გულცივად. მაგრამ ამ გულცივობაში ისე ცხადლივ გამოსჭვიოდა სიმპათია, რომ ჩემდა უნებურად ღრმა მღელვარებამ მომიცვა. ამ წუთიდან მის სიკვდილამდე ჩვენ მეგობრები ვიყავით, და მე ვიცი, რომ თავის უკანასკნელ სიტყვებში მეც მომიგონა; ვიდრე მისი მეფური გონების ტახტი არ შეიმუსრა, მან საუკეთესოდ დამიმტკიცა თავისი ერთგულება და მეგობრობა. განსაკუთრებით დიადი ჩანდა ედგარ პომ თავისი უბრალო-

ებითა და პოეტური სიღრმით. ის იყო მხიარული, გულითადი, მახვილგონიერი, ხან თავშეკავებული, ხან კი ახირებული ვითარცა განებივრებული ბავშვი. მაგრამ თუნდაც თავისი მძიმე ლიტერატურული შრომის დროსაც არ დაიშურებდა ტკბილ სიტყვას, კეთილ ღიმილს, იყო ყურადღებიანი და თავაზიანი როგორც საყვარელი მეუღლისადმი, ისე სტუმრებისადმიც...“

\* \*

კ. ბალმონტი, ცნობილი პოეტი და ედგარ პოს თხზულებების მთარგმნელი ასე ასათაურებს ამ მწერლის ბიოგრაფიული ნარკვევის უკანასკნელ ქვეთავს — „სიკვდილი სიყვარულისა, სიყვარულის სიყვარული, სიკვდილი“.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ედგარ პოს პიროვნება უკვე საკმაოდ იყო ცნობილი ამერიკაში. ცხადია, ბევრი მითქმა-მოთქმა ისმოდა მის პირად ცხოვრებაზე და ბევრი უსიამოვნება მიუყენებიათ მისთვის.

და ახლა, როდესაც უკვე ვიცით, მისი პირადი წერილები და, აგრეთვე, სხვათა პირადი წერილები, რომლებიც უშუალოდ მისთვის მიუწერიათ და მისი უახლოესი ადამიანების წერილებიც, რომლებიც მის გამო დაუწერიათ და ერთმანეთისათვის გაუგზავნიათ (განსაკუთრებით ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს მარია კლეშისა და ანი რიჩმონდის მიმოწერა); ახლა, უკვე დროის პრიზმაში დაწმენდილი, ბევრი რამ ნათლით შეიმოსა და ასე თუ ისე აიხსნა კიდევაც. მაგრამ მთავარი მაინც აქ, კვლავ უნდა გავიმეოროთ, მისი შემოქმედებაა, რობელიც გვაძცნობს მისეულ გაგებას სიყვარულისას. და ეს გაგება ცხადლივ პოულობს პარალელებს უკვე ჩვენი დროის მეცნიერულ თხზულებაში. (ასე, მაგალითად, ამ მხრივ საყურადღებოა ცნობილი საბჭოთა მეცნიერის ს. ლ. რუბინშტეინის შრომა „ზოგადი ფსიქოლოგიის პრობლემები“, მ., 1973, გვ. 373, რუსული გამოცემა.)

თუ დავუშვებთ ზემოთ ხსენებული პარალელის მართებულობას, მაშინ ასე თუ ისე ჩავხვდებით ედგარ პოს ნაწარმოებების სატრფიალო თემის მარადიულობის საფუძველს.

მაგრამ ედგარ პოს თანამედროვენი მეტწილად ვერა და ვერ უკავშირებდნენ ამ „ქარადიულობას“ პოეტის ცხოვრების ფურცლებს.

სარა ჰელენ უიტმენის (ქ. პროვიდენსში მცხოვრები ქვრივი პოეტი ქალი) ედგარ პოსადმი გაგზავნილი წერილიდან მოგვყავს ეს სიტყვები: „რა ხშირად გამიგონია, თქვენ შესახებ ასე ამბობენ: „დიდი გონების კაცია, მაგრამ არა აქვს პრინციპები და მორალური გრძნობა“.

ეს ის ქალი იყო, ვისაც პოეტი წერდა: „ჩემი უკანასკნელი იმედი ახლა თქვენა ხართ, ჰელენ. იქნებით თუ არა ჩემი ერთგული ან მიმატოვებთ, მე ვიცოცხლებ ან მოვკვდები...“

ცხადია, ს. ჰ. უიტმენს გაეგო ედგარ პოს „სატრფიალო“ ამბები და, რაღა თქმა უნდა, სრულად არ ეცოდინებოდა, თუ რა სულისა გახლდათ ის ადამიანი, რომელიც ედგარ პოს სახელით იყო ცნობილი. არც ის იცოდა, რომ მის სულში ყოველთვის იყო გამართული ჭიდილი იდეალურის გრძნობასა და ადამიანის მიწიერ სისუსტეთა, სხვადასხვა გარემოებათა გამო წარმოქმნილ გადაულახავ სირთულეთა შორის.

განა სწორედ ამას არ გვამცნობს მისი თხზულებების უმეტესობა!

ედგარ პოს პირად ცხოვრებაში ყოფიერების ტრაგიზმის განცდა ასეთ გრძნობად გარდაისახებოდა ხოლმე მნიშვნელოვანწილად: „მხოლოდ მართალი, ნაზი და წმინდა ქალის სიყვარული თუ მიხსნის, არადა ერთ წელსაც ვერ ვიცოცხლებ“ (ძერი შიუსადმი გაგზავნილი წერილიდან).

და თუკი ედგარ პო ასეთი თვალით შეხედავდა ქალს, ცხადია, თავის სიტყვასა და მოქმედებაში გულწრფელი იქნებოდა მანამ, სანამ ამ გრძნობის ტრანსფორმირება არ მოხდებოდა სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზთა გამო.

სწორედ ამ ხანებში ხდებოდა ედგარ პოს სულში გრძნობების გარკვეული გაორება და ტრანსფორმირება, მაგრამ ამ პროცესის ზუსტად ჩამოყალიბება და ახსნა, მით უმეტეს, მისი რაღაც ქვენა და უარყოფითი მოტივებით გაშუქება შეუძლებელი ადვილი კი იყოს, მაგრამ ედგარ პოს შემთხვევაში ღრმად მცდარი და მიუღებელია.

თუ რა იყო ეს გაორება და ტრანსფორმირება, ამაზე



ქვემოთ გვექნება საუბარი. ახლა კი უნდა მოვიყვანოთ პოეტის პასუხი ს. ჰ. უიტმენის მიერ ზემოთ მოხსენიებულ „ტორებზე“: „ცათა მეუფე ღვთის სახელით გეფიცებით, რომ ჩემი სული ვერ ეგუება უღირსს საქციელს — თუ გამოვრიცხავთ იმ შემთხვევით სიძლეგესა და ზედმეტობას, რაზედაც მწარედ ვნანობ და რობელშიაც გადამისროლა გაუსაძლისმა ურვამ... მე არ შემიძლია გავისწავლო ერთი შემთხვევაც კი ჩემს სიცოცხლეში, სიწითლეს რომ მომგვრიდა და თუკი საერთოდ ვცდებოდი ამ მხრივ, ეს ამბავი იმ მხარესაა საძიებელი, რისთვისაც ხალხს დონკიხოტობის რაინდული ღირსების გრძნობა შეურქმევია. ამ გრძნობის განცდა ჭეშმარიტ სიამოვნებას მანიჭებდა ცხოვრებაში“.

და იგი, რასაც ეძებდა, პოულობდა კიდევაც, ვაგლახ, გარკვეული დროით მაინც, აი ასეთ სიტყვებს ამოათქმევინებს ის „დონკიხოტური რაინდული ღირსების“ გრძნობა: „ჩემო ტკბილო, ტკბილო ჰელენ, თქვენ ასეთი კეთილი, ასეთი მართალი, ასეთი დიდბუნებოვანი ხართ — ასეთი აუღმვრეველი იმ ყველაფრით, რომელიც ააღელვებდა ყოველს, ვინც ისეთი ანგელოზი არ იქნებოდა, როგორც თქვენ, ჩემი გულის სიყვარულო, სიცოცხლე ჩემი სიცოცხლისა, სულს ჩემი სული-სა...“

საბედნიეროდ... თუ სამწუხაროდ (ვინ იცის, ამ სიტყვებიდან თუ რომლის მოყვანა სჯობდეს აქ) ბოლომდე ვერც დონ კიხოტი რჩება დონ კიხოტად; ცხადია, ვერც ედგარ პოიზამდა ამას, რადგან მისთვის დიდ მგრძნობიარობასთან ერთად დიდი გონებაც მიემადლებინა განგებას, სიტყვის დიდოსტატს უკვე ეჭვი ეპარება — შეძლებს თუ არა გამოთქვას ის, რასაც გრძნობს, ანუ გამოთქვას ისე, რომ გაუგონ: „ჩემი ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს ხანაში მე დავიჩოქებდი და ვედრებას დავიწყებდი სიტყვებზე, მხოლოდ სიტყვებზე, რომლებიც გამცნობდნენ თქვენ — რომლებიც მე მომანიჭებდნენ უნარს სრულიად გადამეშალა თქვენ წინაშე ჩემი გული... თქვენ რომ შესძლებდით ახლა ჩემი სულის სიღრმეში ჩახედვას თქვენი წმინდა სულიერი თვალებით, მაშინ თქვენ ვერ შესძლებდით უარის თქმას და მეტყოდით იმას, რაც, ვაგლახ! ჯერ კიდევ მტკიცედ არ გინდათ თქვათ —

თქვენ შემოყვარებით მე, თუნდაც მხოლოდ ამ ჩემი დიდებული სიყვარულის გამო“.

ედგარ პოს, როგორც თავად მოგვითხრობს ამ წერილში, ს. ჰ. უიტმენის ბარათი რომ მიუღია, ცრემლები წასკდა სიხარულისა თუ „ღვთაებრივი სასოწარკვეთილებისა“.

აქ ფრიად ნიშანდობლივი უნდა იყოს ედგარ პოსთვის, განსაკუთრებით მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, ის გრძნობა, რასაც მას, შეიძლება თავისდა უნებურად „ღვთაებრივი სასოწარკვეთილება“ დაურქმევია, ეს გრძნობა ნიშანდობლივი უნდა იყოს იმ ადამიანისათვის, ვინც ცდილობს „ეს ცივი და წყვდიადით მოცული სამყარო“ სიყვარულის მეოხებით გააჩირაღდნოს (ამავე წერილის მიხედვით მოგვყავს ეს სიტყვები).

ს. ჰ. უიტმენს ერთხელ ასე მოუწერია პოსთვის: „თუმცა ჩემი მოწიწება თქვენი გონებისადმი და ჩემი თავყვანისცემა თქვენი გენიის წინაშე მაიძულებს ბავშვად ვიგრძნო თავი თქვენთან ყოფნის ხანს, თქვენ, იქნებ, არც კი იცით, რომ მე რამდენიმე წლით თქვენზე უფროსი ვარ...“

ედგარ პო აღშფოთებულია, მისი გონება ეძებს ჭეშმარიტებას, თუ რა შეიძლება იმალებოდეს ამ სიტყვებში, ეძებს იმ სასოწარკვეთილების გრძნობით მოცული: „ვფიქრობ და ვკანკალებ, იმიტომ ხომ არ მწერთ ამას, რომ შენიღბოთ სხვა, უფრო მეტი სინამდვილე, რომლის თქმასაც მერყეობთ, იქნებ, სიბრალულის გამო...“

როგორც ქვემოთ დავინახავთ, პოეტისთვის არც აქ უღალატია გუმანს, ეს რაც მისსა და ქალბატონ უიტმენის დამოკიდებულებას შეეხება; ხოლო მაშინ მისი „ღვთაებრივი სასოწარკვეთილების“ მიზეზი ერთობ მოუსვლელთებელი და ძნელად მისაკვლევი ჩანდა, ცხადია, ქალბატონი უიტმენისათვისაც. ამასთან ერთად პოს ბიოგრაფების აზრით, მას უკვე ეჭვი ეპარებოდა, ვაითუ ვერ შეძლებდა იმას, რისი მოვალეც გახდებოდა ქორწინების მერე — ედგარ პოს, უკვე ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობა შერყეული ადამიანის გადარჩენას და მისთვის შვების მინიჭებას. მართლაც, ჰერვი ალენის მიხედვით, ეს ქალი მალე დარწმუნებულა, რომ პოს შველა მას არ შეეძლო და ყველაფრის მიუხედავად, ეს

იქნებოდა „სრულიად ამო შრომა. ვერც ამ კაცს და ვერც მას არაფერს მოუტანდა ეს კავშირი გარდა უბედურებისა“. შემდეგ ჰერვი ალენი დასძენს, იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მერე რაც მოხდა, მაშინ დავინახავთ, რომ ქალბატონ უიტმენის შიში სრულიად საფუძვლიანი იყო.

ამ შემთხვევაში ქალის სიყვარული „ბრმა“ არ გამოდგა, იქნებ, ეს არც იყო სიყვარული, უბრალო თაყვანისცემა გახლდათ სახელოვანი კაცისა და ამიტომ, იქნებ, „სიშორის სიასლოვე“ სჯობდეს, რაკილა შარავანდედი მხოლოდ შორიდანაა დიდებული სანახავი; და სწორედ „სიშორიდან“, პოეტის გარდაცვალების შემდეგ შეძლო ქალბატონმა უიტმენმა მისი დაცვა სინდისდაკარგული ვაი-ლიტერატორებისაგან თავისი წიგნით: „ედგარ პო და მისი კრიტიკოსები“.

ცნობილია, რომ ადამიანი ხშირად რაღაც არსებით გარემოებას ქვეშეცნეულად ითავისებს და ეს გარემოება მის სულშია დაგმანული და შეიძლება მერე, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ და გარკვეულ ვითარებაში ცხადლივ გამომზეურდეს და მისთვისაც გახდეს ნათელი და სხვისთვისაც. არადა, მანამ, სანამ ეს მოხდებოდეს, იგი ინერციით, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, იქცევა ისე, როგორც იმთავითვე განეწყო და თავადაც მტკიცედ სჯერა თავისი სიმართლე და თავის თავს ვერა და ვერ ჩათვლის „უღირს კაცად“. მაგრამ აი დადგება ჟამი და ის ძველი დამოკიდებულება, ის ძველი გრძნობები ტრანსფორმირებას იწყებს და ადამიანის სულის ქვეშეცნეული სიღრმიდან ამოზიდული ახალი გრძნობების ტყვე ხდება.

1848 წლის ივნისში ედგარ პო მასაჩუსეტსში მიემგზავრება და ქ. ლოუელში კითხულობს ლექციას „პოეტური პრინციპი“. აქ გაიცნობს გათხოვილ ქალს ნენსის, ქალბატონ რიჩმონდს, ანუ „ანის“. მაშინვე ტრაგიკული სამკუთხედი შეიქმნება — ქალბატონი უიტმენი (რომელიც როგორც ვიცით, უკვე ქვრივი იყო) — ედგარ პო — ანი, ქალბატონი რიჩმონდი.

მოხდება ისე, რომ გარკვეული სუბიექტური (და ობიექტურისაც, კ. ბალმონტის მიხედვით, „ედგარ პოსთვის — სიყ-

ვარული, მერყეობით თუ ყოვნდება, არ არის სიყვარული“) ქალბატონი უიტმენი ამ სამკუთხედში პირველობას კარგავს და გამომდინარე აქედან ედგარ პოს რომანული მოტივები ცვლილებას განიცდის და ამაში უკვე დიდ როლს თამაშობს ანი, დიდბუნებოვანი, მშვენიერი ქალი.

\* \*

ჰერვი ალენი ასე აგვიწერს ედგარ პოს ბიოგრაფიის გარკვეულ მონაკვეთს: „და უცებ სწორედ ეს ქალი გახდა მისთვის ამქვეყნად ყველაზე უფრო სასურველი არსება. იმ მომენტში სწორედ მისდამი განიცდიდა უღრმეს გრძნობას, როგორც კი შეეძლო მას და ქალბატონი რიჩმონდის ოჯახში, გატარებული საათები უნეტარესი სიაშოვნების მომგვრელი ხდება მისთვის“.

თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰერვი ალენი გარკვეულ წინააღმდეგობაში ვარდება, როდესაც წერს „იმ მომენტში“, რადგან, როგორც ჩანს, ედგარ პოს ეს გრძნობა სიკვდილამდე გაპყლია, თუმცა დიდი ხნის სიცოცხლე მას აღარც ჰქონდა დარჩენილი.

და აი ადამიანის ცხოვრებაში დადგება ტრაგიკული წუთები და ბევრი რამ, რაც ადრე თითქოს მთვლემარე მდგომარეობაში იშყოფებოდა, ნათელს მოიღებს — ამ მხრივ საყურადღებოა ქალბატონ რიჩმონდის წერილები მარია კლემისადმი ედგარ პოს სიკვდილის შემდეგ. მკითხველს ამ წერილების გაცნობისას შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს მისი დამწერი თ. დოსტოევსკის რომელიმე გმირი ქალი იყოს.

მარია კლემი უპირველეს ყოვლისა (რაღა თქმა უნდა, მას ჰქონდა კიდევაც ამისთვის საფუძველი) სწორედ ანის შეატყობინებს ედგარ პოს სიკვდილის ამბავს — „ანი, ჩემი ედი მკვდარია. ის ბალტიმორში მოკვდა გუშინ. ანი ილოცეთ ჩემთვის, თქვენი მიტოვებული მეგობრისათვის. გრძნობას ვკარგავ...“

ძნელია რამე კომენტარი გაუკეთო ანის პასუხს მარია კლემისადმი: „ო, ჩემო დედა, ჩემო საყვარელო, საყვარელო

დედა... ო, ნეტავ კი შემეძლოს თქვენი ნახვა. ჩამოდით, ჩემთან, გვედრებით, იჩქარეთ ანისთან, როგორც კი შეძლებთ — მოდიო, ჩემთან, ტკბილო დედა, მე თქვენი შვილი ვიქნები, — ო, ნეტავ კი შემეძლოს ჩემი სიცოცხლე მას ვანაცვალო, რათა მას თქვენთვის ეცოცხლა... ყველაფერი ის, რაც მას დაუწერია, ძვირფასია ჩემთვის და ჩემი ერთადერთი სიხარულია ამჟამად. ო, დედა, საყვარელო დედა, ნუთუ ის აღარასოდეს მომწერს...“

ეს წერილი მაშინვე მიუწერია ანის მარია კლემისათვის, გრძნობების სიცხოველე არც უნდა იყოს გასაკვირი ახლობელი ადამიანის დაკარგვის პირველ ხანებში. მაგრამ ანის არც მერე განელებია ხსენებული სიცხოველე: „წლები გადის და სხვებს რომ ვხედავ, რომლებსაც ხალხში ეძახიან დახვეწილებს და მოხდენილებს, მე უფრო სრულად ვხვდები მის გამორჩეულობას — ამოდ ვეძებ შუბლს, მისას რომ შეედრებოდეს, ამოდ ვეძებ იმის მიხრა-მოხრას, იმის ღირსებებთან შერთულ მოხდენილობას... და კვლავ და კვლავ ვპასუხობდი იმათ, ვინც მეკითხებოდა, ეს და ეს კაცი ხომ არისო „სრულიად ჯენტლმენი“, მე ვპასუხობდი იმათ, რომ აქამდე არავინ მინახავს გარდა ერთისა, ვისაც შეეძლო ღირსეულად ეტარებინა ეს ტიტული და, დედავ, მე ვიცო, ვერც ვერასდროს ვნახავ სხვას, რადგან არც არადღროს შეიძლება იყოს სხვა მისი მსგავსი... მე მაქვს უძვირფასესი საგანძური, მუდალიონი მისი თმის კულულით, სულ მუდამ ჩაკეტილი...“

ეს წერილი დაიწერა ედგარ პოს სიკვდილის შემდეგ, ხოლო მის სიცოცხლეში, ცხადია, პოეტს თავისი ღრმადმხედი გონებითა და გუმანით ასე თუ ისე გათავისებული ექნებოდა ამ ქალის დიდებული გული.

\* \*

ფ. ვან დორენ სტერნი ასეთ კომენტარს წაუშეშვარებს ედგარ პოს ფორდჰეიმიდან, 1848 წლის 16 ნოემბერს ანისადმი გაგზავნილ წერილს: „საქმე — თუ შეიძლება ამას ასე დავარქვათ — ქალბატონ უიტმენტან ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, როდესაც პომ მიწერა მგზნებარე წერილი გა-

თხოვილ ქალს, რომლის სიყვარულს ასევე მიეღებოდა. ის მოუთხოვს თავისი თვითმკვლელობის მცდელობის და ამის შემდეგ პროვიდენსში დაბრუნების ამბავს. „იმ ქალსო“ რომი ახსენებს, რაღა თქმა უნდა, ქალბატონ უიტმენს გულისხმობს. ამ წერილის ორიგინალი უცნობია. წინამდებარე ტექსტი მოყვანილია იმ ასლიდან (ახლა ეს ქალაქი ვიჯინიის უნივერსიტეტის საკუთრებაა), მრავალი წლის შემდეგ რომ გაუკეთებია ქალბატონ რიჩმონდს ჯ. ჰ. ინგრემის დასახმარებლად, ვინც იმხანად პოს ბიოგრაფიას წერდა, ინგრემს ასე წაუწერია ამ ქალაქზე: „ეს წერილი, როგორც ჩანს, დაუწვავთ“.

ხსენებული წერილი მრავალმხრივია საყურადღებო პოს ბიოგრაფიისთვის, ანუ მისი პიროვნების შესაცნობად, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ მასში ცხადლივ შეინიშნება ადამიანის ბუნების ფენომენი, რასაც შეიძლება სირთულე-მრავალმნიშვნელოვანება ვუწოდოთ; სხვანაირად რომ ვთქვათ, შეუძლებელია ადამიანი და, მით უმეტეს, ისეთი ადამიანი როგორც იყო ედგარ პო, ერთმნიშვნელოვნად ავსსნათ და მის საქციელს „ამორალობის“ იარლიყი მივაკრათ და ამით კიდევ უფრო მეტი ბურუსით შევმოსოთ მისი პიროვნება.

იქნებ, სწორედ ასეთი იარლიყის მიკერების საშიშროება იგრძნო კ. ბალმონტმა, როდესაც ზემოაღნიშნული წერილის თარგმნისას რამდენიმე ადგილი ამოიღო (ან, იქნებ, ეს თავად ჯ. ჰ. ინგრემს გაუკეთებია ამ წერილის გამოქვეყნებისას, არ ვიცი, რადგან ის გამოცემა, კ. ბალმონტს რომ ჰქონდა გამოყენებული, ჩვენ არ მოგვეპოვება, მაგრამ ჩვენთვის ახლა მთავარი უნდა იყოს იმ ფაქტის დაზუსტება, თუ რატომ მოხდა ასე).

აი იმ ამოღებული ადგილებიდან ერთ-ერთი (როგორც ვიცი ედგარ პო იმხანად პროვიდენსში ჩასულა და იქ უნახავს ქალბატონი უიტმენი): „იქ მე ვნახე ის ქალი, და ველაპარაკე, თქვენი გულისთვის გავაკეთე ეს და ვუთხარი ის სიტყვები, რომლის თქმასაც ასე მაიძულებდით... ოჰ, ანი, ჩემო ანი! ნუთუ ასეთი გულქვა ხართ?.. იმედი აღარ უნდა მქონდეს?.. სულ აღარავითარი?.. ვგრძნობ, თუკი ისევ მივე-

ძალები, უნდა მოგკვდე კიდევაც და თანაც ახლა ღირსება როგორ შევინარჩუნო?.. თქ, საყვარელო იფიქრე... იფიქრე ჩემზე და შენზე... თქვენ მე არ უნდა მიყვარდეთ ანი?.. თქვენ მე არ უნდა გიყვარდეთ? მორჩა და გათავდა ყველაფერი? ამ დიდებული აზრის შემდეგ სხვა რაღა შეგვიძლია ამ ბინდის-ნაირ საწყეთროში!

და ეს სიტყვები დაიწერა მაშინ, როდესაც, როგორც ვიცით, „საქმე... ქალბატონ უიტმენტან ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული“; და თუ რატომ არ იყო დასრულებული, საკმაოდ ნათლად გვამცნობს ზემოთ მოყვანილი სიტყვები ედგარ პოს წერილიდან, კ. ბალმონტს რომ გამოუტოვებია (!) კერძოდ, ამ მხრივ ნიშანდობლივია შემდეგი პასაჟი: „იქ შევნახე ის ქალი და ველაპარაკე, თქვენი გულისთვის გავაკეთე ეს და ვუთხარი ის სიტყვები, რომლის თქმასაც თქვენ მაიძულებდით...“

ცხადია, ანი, „ქმრიანი ქალი“ დასხლტომას ლამობდა ამ მოჯადოებული სამკუთხედიდან, რათა პოეტი შეუღლებოდა „ქვრივ ქალს“, ქალბატონ უიტმენტს, რომელიც, როგორც მან იცოდა, მისი სიყვარულის საგანი იყო და ამით ბედნიერი გაენადა საყვარელი ადამიანი და შეენარჩუნებინა ოჯახი და თავისი ქალური ღირსება.

ამ გარემობას ადასტურებს, როგორც დავინახავთ, ედგარ პოს სხვა წერილები ანისადმი, მაგრამ ახლა კი, 1848 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში, მისი სატანჯველი აპოგეას იყო მიტანებული — მისი „ღვთაებრივი სასოწარკვეთილება“, მისი ტრაგიზმი, ანუ ის რაინდული დონკიხოტური გრძნობა უკვე ერთმანეთშია გადანასკვული და ჩაჭედული, და მალე ფრიად საშიშ, ანუ მომაკვდინებელ გრძნობად გარდაისახება: „თქვენ ხედავდით, თქვენ გრძნობდით ჩემს მაშინდელ წვადაგვას დამშვიდობების ხანს — თქვენ გაგახსენდებათ ჩემი სევდა-ვაებით აღბეჭდილი სახე — საშინელ, საზარელ ბოროტებას რომ წინასწარმეტყველებდა — მართლაც, მართლაც მეგონა მე, რომ სიკვდილი მაშინაც მოახლოებულიყო და მე უკვე კიდევაც შემეხიჯებინა ჩემ წინ გართხმულ იმის ჩრდილში — და გულში რომ ჩაგიკარით, ასე გავიფიქრე — „მორჩა, ამის მერე ჩვენ მხოლოდ ზეცაში შევხვდებით ერთმანეთს“ — მერე ალა-

რაფერი მასსოვს მანამ; სანამ არ მივხვდი, რომ პროვიდენს-ში ვიყავი. ლოგინში ჩავწექი და მთელი ის გაუთავებელი ღამე სასოწარკვეთილი ვქვითინებდი. — გათენდა და მინდოდა დავმზიდებუდიყავი სიცივეში, იმ სუსხიან ამინდში სწრაფი სიარულით, მაგრამ ამაოდ დავშვრი, დემონმა აღარ დაასრულა ჩემი წვალება...”

ანის ედგარ პოსტვის პირობა ჰქონდა მიცემული, რომ უთუოდ ნახავდა სასიკვდილო სარეცელზე მყოფს, და ამიტომ, უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე მისული (იქნებ, უკვე არც შეიძლება ამას დონკისოტური გრძნობა დავარქვათ) თავის მოკვლას გადაწყვეტს, ოღონდ ისე, რომ ანიმ ცოცხალს ჩამოუსწროს, როდესაც მის უკანასკნელ წერილს მიიღებს და მასთან გამოეშურება, მაგრამ ეს „უკანასკნელი“ წერილი გაუგზავნელი დარჩება, რადგან „ლაუდანუმის“ (ოპიუმის ნაყენის) რაოდენობას ვერ გამოზომავს — „ნება მიბოძე აღარ გაიბზო ის საშინელება, რაც მერე მოხდა, ჩემო ძვირფასო ღაო, იქ იყო ერთი მეგობარი, რომელმაც მისხნა (თუკი შეიძლება ამას სხნა დავარქვათ) მისხნა-მეთქი, მაგრამ მხოლოდ უკანასკნელი სამი დღეა შევძელი გამეხსენებინა თუ რა გადამხდა თავს იმ შეუბნელ საათებში. როგორც ჩანს, ჩემმა სტომაქმა ვერ შეინარჩუნა „ლაუდანუმი“, ჰოდა, შვება ვიგრძენი...”

ამ უმძაფრესი გრძნობის ზეობა ამის შემდეგ ასე თუ ისე მცირდება და ედგარ პო ცდილობს აღასრულოს ანისადმი თავის მხრივ მიცემული პირობა. თუ რა იყო ეს პირობა, შეიძლება ვივარაუდოთ უკვე სხვა წერილიდან მოყვანილი ადგილის მიხედვით: „თქვენი წერილის სასტიკმა სიტყვებმა ჩემზე დიდად იმოქმედა... თუ ეს ისე უნდა გავიგო, რომ თქვენდამი მოცემულ სიტყვას გადავედი... ანი, მე არ გადავსულვარ ამ პირობას და ღვთის შეწევნით არც არასდროს გადავალ. ნეტავი კი იცოდეთ, რა ბედნიერი ვარ, ამ პირობას რომ ვასრულებ თქვენთვის... მე გიგზავნით ქალბატონ უიტმენისადმი გასაგზავნ წერილს, წაიკითხეთ და უჩვენეთ იმას, ვისიც თქვენ გჯერათ, მერე დაბეჭდეთ და ბოსტონიდან გააგზავნეთ. როდესაც იმ ქალის პასუხს მივიღებ, თქვენ გამოგიგზავნით; მაშინ დაიჯერებთ ჩემს სიმართლეს“.



1849 წლის 19 თებერვლის წერილში ედგარ პო უკვე სწებს, რომ ვეღარ ესტუმრება რიჩმონდების ოჯახს; და უფრო მეტიც, ვერც წერილებს გაუგზავნის ანის, რადგან „მე არ შემოძლია და არ მინდა ჩემს სინდისზე დარჩეს ის ამბავი, რომ მე ჩაკვერიე მთელ ქვეყანაზე იმ ერთადერთი არსების ოჯახურ ბედნიერებაში, ვინც მიყვარდა ერთსა და იმავე დროს მართალი გულით და წმინდად — მე არა მარტო მიყვარხართ თქვენ, ანი, მე თქვენით აღფრთოვანებული ვარ და კიდევ უფრო მეტ პატივს გცემთ“.

\* \*

„ღვთაებრივი სასოწარკვეთილების“ დღეებმა განვლო, რადგან ედგარ პო მარტო სასოწარკვეთილებით, თუნდაც „ღვთაებრივი“ სასოწარკვეთილებით ვერ იცხოვრებდა; „ღვთაებრივი“ მას სხვაგვარი უნარიც ჰქონდა, რომლის შედეგი იყო მისი შემოქმედება: „მთელ ჩემს სულიერ მღელვარებასა და ძნელბედობაში ჩემი სულის იდუმალ კუნჭულებში მე ვგრძნობ რაღაც „ღვთაებრივ“ სიხარულს — ენით უთქმელ ბედნიერებას, რომელიც ასე მგონია, არც არასდროს წარიხოცება“ — წერდა იგი ანის.

\* \*

1847 წლიდან ედგარ პოს გული უავადდება; დიდხანს ვერც უნდა ეცოცხლა, ასე ვარაუდობდნენ „ქალბატონი შიუ და ექიმი ფრენსისი“. მის აუხსნელ ურვა-კაემანსაც ამ დაავადებას მიაწერდნენ. სიცოცხლის უკანასკნელ წელიწადს სულიერი ჯანმრთელობა უკვე საკმაოდ ჰქონდა შერყეული, იმდენად, რომ ერთი ყლუბი ღვინო შეიძლება მომაკვდინებელი გამსდარიყო მისთვის.

სწორედ ამ უკანასკნელ, 1849 წელს ედგარ პო თავისი ოდინდელი ოცნების ხორცშესხმას ფიქრობს. უეცრად იგი ღებულობს წერილს ედვარდ პატერსონისაგან, ერთი-ერთი გაზეთის რედაქტორისა და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლისაგან, მას ფინანსურ დახმარებას ჰპირდებიან ჟურნალ

„სტალიუსის“ დასაარსებლად. მალე ნიუ-იორკიდან მიემგზავრება და ასე ემშვიდობება მარია კლემს: „ღმერთი იყოს შენი მფარველი, საყვარელო დედა. ნუ გეშინია, შენი ელი კარგად იქნება! აი ნახავ რა კარგად ვიქნები... მალე დავბრუნდები, რათა მიყვარდე და ისე ვიზრუნო შენზე, როგორც ადრე“.

მშობლიურ ქალაქში, რინმონდში იგი შეხვდება თავის ლინორას, ელმირა როისტერს, ამჟამად უკვე შელტონის ქვრივს. სიყმაწვილეში ერთმანეთისადმი მიცემულმა სიტყვამ შეიძლება ახლა შეისხას ხორცი...

1849 წლის აგვისტოს დღეები დადგა. ედგარ პოს ცხოვრებაში თითქოს ყველაფერი ერთად შეიკრა, შენივთდა; იგი ჩქარობს, რადგან მისთვის „ოცნებები და გამონავონი უფრო მეტი რეალობაა ვიდრე სინამდვილე... სხვა ყველაფერივით სიყვარული მისთვის სრულყოფილებას პოულობს მსოლოდ წარმოსახვაში“ (ჰერვი ალენი).

მთელი ცხოვრების მანძილზე გრძნობების უაღრესმა სიცხველემ თავისი საბედისწერო დაღი დაასვა და ახლა მას უკვე აღარ შეუძლია მოთოკვა მისი დამანგრეველი ძალისა — ელმირაზე დაწინდული ისევე ანიზე ოცნებობს: „ნულარაფერს მომწერ ანიზე — მხოლოდ ბ-ნ რ.ს (ანის მეუღლის) სიკვდილს თუ შემატყობინებ, მაშინ. საქორწინო ბეჭედი მაქვს, ფრაკის შოვნა მგონია არ გამიძნელდება“ — წერს იგი მარია კლემს.


\* \*

რინმონდიდან ბალტიმორში მიემგზავრება და აქ 29 სექტემბერს ჩამოვა. თუ რა გადახდება მას ბალტიმორში, ზუსტად არავინ იცის. ცნობილია, რომ თავისი მეგობრისას, ნეითან ბრუკსისას შეივლის, ამბობენ, ნასვამი იყო. ამის შემდეგ ხუთი დღე ისე გაივლის, ვერავინ გაიგებს მის ასავალ-დასავალს. 3 ოქტომბერს ბალტიმორული გაზეთის ასოთამწყობი, ვინმე ჯ. უ. უოკერი შეატყობინებს მის მეგობარს ჯეიმს სნოდგრასს — „...მე-4 ოლქში ვიღაც ჯენტლმენია, ედგარ ა. პო ვარო, იძახის და, როგორც ჩანს, ძლიერ შეჭირვებულია. ამბობს, რომ თქვენ გიცნობთ და მერწმუნეთ, საჩქაროდ დახმარება სჭირდება“.

ედგარ პოს ქ. ბალტიმორის „ვაშინგტონ ჰოსპიტელში“ (საავადმყოფოში) მიიყვანენ, ექიმ მორანისა და მისი მეუღლის, მერი მორანის მზრუნველობა ამაო იქნება.

აი ეს ადამიანები გახდებიან „მისი მპოვნელნი“ სიკვდილის ჟამს. ქალბატონმა კლემმა და ანიმ არაფერი იცოდნენ იმ დილას, როდესაც 7 ოქტომბერს, 5 საათზე ის ამოთქვამს თავის უკანასკნელ სიტყვებს — „God help my poor soul!“ („ღმერთო, იხსენი ჩემი საბრალო სული!“).

ზ. კილაძე



## I

### მალსტრემში დანთქმა

გზანი ღვთისა ბუნებასა და, ეგრეთცა, გან-  
გებულებაში არა არიან სვენი გზანი; ვერცა ვუ-  
რასდროს ვემსგავსებით მას, რამეთუ განუზო-  
მელი, დაუღიველი და მიუწვდომელი არიან  
საკმენი მიხნი, რომელთა: სიღრმე უფროსი  
უსაზმოა, ვინემ დემოკრიტეს ჭა.

ჯოზეფ გლენცილი

წარაფის უმაღლეს წვეროს მოვატანეთ. მოხუცი კაცი,  
როგორც ჩანს, ისე მოქანცულიყო, რომ ენა ველარ მოებრუ-  
ნებინა რამდენსამე წუთს.

— არც ისე დიდი ხანია გასული მას შემდეგ, — თქვა ბო-  
ლოს, — ჩემი ბიჭებიდან ყველაზე უმრწემესისამებრ ამ ბი-  
ლიკზე იოლად ამოვიძღვებოდით, მაგრამ, ასე, სამი წლის  
წინ ამბავი დამემართა, უბრალო მოკვდავს ვერ რომ არ გა-  
დახდომია, ან, უფრო სწორად, ამბის მთქმელი არავინ გა-  
დარჩენილა ცოცხალი. ექვსი საათი გასტანა ამ სასიკვდილო  
განსაცდელმა და სული და ხორცი შემირყია. ღრმად მოხუ-

ცებული გგონივართ ალბათ, მაგრამ არა — ერთი დღე არ დაღამებულყო და კუპრივით შავი თმა ვერცხლისფერი გამისდა, მომიუძღურდა მუხლი, ნერვები დამისუსტდა. უბრალო რამეზე ასლა კანკალი მომეკიდება ხოლმე, საკუთარი ჩრდილისაც კი მეშინია — აი, ამ შემადლებული ადგილიდან, რომ გადვისედავ თავბრუ მისვება იმწუთასვე.

მოსუცი შეუშფოთებლივ იწვა „შემადლებული ადგილის“ კიდესთან, სხეულის უმეტესი ნაწილით გადაკიდებულყო ამ ჩაქანებულ და მოლიპულ ალაგზე და თავს იდაყვიოდა იმაგრებდა. ეს „შემადლებული ადგილი“ იყო ასე, ას ორმოცდაათი თუ ას სამოცი ფუტი სიმაღლის შავად მბზინავი ქარაფი, კლდოვანი უფსკრულიდან ამოზიდულიყო ეს ქარაფი და ქვიყანა რომ დაქცეულიყო, სუთი, ექვსი იარდითაც ვერ მივუახლოვდებოდი მის ნაპირს. ჩემი თანამგზავრი ასეთ ყოფაში რომ დავინახე, გული გადამიქანდა, პირქვე დავემსე და ბუჩქებს ჩავეჭიდე. მალლა ცის შიხედვას ველარ ვბედავდი, ვაითუ ქარის კვეთებამ მთას საძირკველი შეურყიოს-მეთქი. კარგა ხანს გასტანა ასე, სანამ გონს მოვედი; ვაჟკაცობა მოვიკრიბე და წამოვჯექი, იქაურობას თვალი მოვაგლე.

— ეგ არაფერია, — დამამშვიდა მოსუცმა, — იმიტომაც ამოგიყვანეთ აქ, რომ ეს ხედი უკეთ დაინანოთ და თხრობისას თვალწინ გქონდეთ არემიდამო.

— ახლა კი, — განაგრძო თავისი გამორჩეული, უშფოთველი კილოთი, — ახლა კი ცოტათი ვართ დაცილებული ნორვეგიის სანაპიროს. ნორდლანდის ვრცელი მხარის იმ ადგილას, ლოფოდენი რომ ჰქვია, მის მკაცრ კუთხეში, სამოცდამერვე განედზე ვიმყოფებით. ქუში ჰელსეგენის სახელითაა ცნობილი ეს მთა. თუ თავბრუ გესხმით, ბალახს მოეჭიდეთ... ასე... ქვემოთ გაისედეოთ, ნისლის ზოლს იქით, ზღვისკენ.

თავგაბრუებული მივჩერებოდი თკეანის უკიდევანო სივრცეს, ისეთი მელნისფერი დაჰკრავდა წყალს, რომ მომაგონდა ნუბიელი გეოგრაფის სიტყვები *Mare Tenebrarum*-ის<sup>1</sup> გამო. ენა ვერ იტყვის, იმდენად სევდის აღმძვრელი და მივარდნილი გამოჩნდა სახედი. სანამდისაც წვდებოდა თვალი,

<sup>1</sup> ბნელთა მოცული ზღვა (ლათ).

მარჯვნივ და მარცხნივ, ქვეყნიერების მცველ ზღუდისამებრ გაწოლილიყო შემზარავად ჩაშაკებული ფრიალო წარადი, მისი პირაშკმულობა უფრორე მომატებულებიყო ტალღების ზაჟითა და ყმუილით; სწორედ პირდაპირ იმ კონცხისა, რომლის წვეროს მოვკცეოდით, ზღვაში, დაახლოებით ხუთი თუ ექვსი მილის მოშორებით თალხისფრად მოჩანდა პატარა კუნძული, ანუ, სწორად რომ ვთქვათ, ზვირთების მძვინვარებისდა კვალად მის მდებარეობასდა ხვდებოდა კაცი. ამ მიწიდან ორი მილის დაცილებით წამომარაულებიყო სხვა — შედარებით მომცრო, სულ კლდოვანი, მწირი და მრუმე კლდეებით შემოზღუდული მთა.

— აი, იმ შორეულ კუნძულს, — განაგრძო მოხუცმა, — ვურგს ეძახიან ნორვეგიელები. ჩვენგან უფრო ახლოს — მოსკეა. ამბაარენი ერთი მილით ჩრდილოეთითაა. იქით კი ისლესენი, ჰოთჰოლმი, კაიდჰელმი, სუარვენი და ბუქჰოლმი მდებარეობს. მოსკესა და ვურგს შუა, ზემოთ — ოტეჰოლმი, ფლიმენი, სანდფლესენი და სტოკჰოლმი. ესენი ამ ადგილების ნამდვილი სახელებია. მაგრამ ამათთვის სახელების შერქმევა ვის რად დასჭირდა, ეს მე არ ვიცი და ვერც თქვენ გაიგებთ ალბათ როდესმე. არაფერი გესმით, წყალს რა ემართება, თუ ხედავთ?

თითქმის ათი წუთი გავიდა, რაც ლოფოდენის შიდა მხრიო წამოსულებმა ჰელსეგენის წვეროს მოვალწიეთ, ასე რომ, სანამ აქედან ზღვა უცებ თვალწინ არ გადაგვეშალა, მისთვის აქ ამოსვლამდე ერთხელაც არ მოგვიკრავს თვალი. სიტყვა არ გაესრულებინა ჯერ კიდევ მოხუცს, ამერიკულ პრერიებში ბიზონის ჯოგის ღრიალის მაგვარი მაღალი, თანდათან მზარდი სმიანობა ამომესმა. იმ წუთას დავინახე, როგორც მეზღვაურები ეძახიან, ოკეანის „ჭრა“. წყლის ეს ნაწილი დინებად გადაიქცა და ჩემ წინ. თავბრუდამხვევი სინქარიით იძრა აღმოსავლეთისაკენ. ხუთიოდ წუთში მრისხანედ აბობოქრდა მთელი ზღვა ვურგამდე მოტანებული; მაგრამ მეტადრე მოსკესა და სანაპიროს შუა გაჰქონდა ზრიალი. ათას საწინააღმდეგო დინებად დაიხვია აქ მთელი ეს ნაწილი და ნაბრძოლი სივრცე წყლისა, მერე შლეგური კრუნჩხვებით უეცრად ჩაიხვია აუარება გიგანტურ ჭავლად და ასე მსწრაფლ

ძირისძირამდე მიიხვევ-მიიძირებოდა სტვენით, ზვირთცე-  
მითა და გურგურით; ასერიგად წყალი მხოლოდ ციცაბოდან  
მიგელავს რამე უფსკრულში.

ცოტა ხნის შემდეგ სრულიად შეიცვალა სურათი. მოს-  
წორდა მთელი ზედაპირი, ერთიმეორის მიყოლებით გაქრა  
ყველა მორევი და სადაც არ იყო ადრე, იქ გამოჩნდა მრავ-  
ლისმრავალი, მოგრძო-მოგრძო ქაფოვანი ზოლი, მერე ეს  
უთვალავი ხაზი კარგა შორს გაიჭრა, ერთსახად შენივთდა  
და სპირალისებურად ჩაიხვია ბევრი წაპირქვავებული ტალ-  
და, თითქოსდა ზღვას ახლა სხვა, უფრო ვრცელი ზვირთის  
ამოგორება დაუპირებიაო. უცებ — მთლად უცებ — ნათლად და  
საცხადოდ დავინახე ერთი მილის უმეტესი დიამეტრის ორმო,  
მოელვარე მხეფების ფართო წრე შემოვლებოდა ამ ღურღუ-  
მელის კიდეს, მაგრამ ერთი წვეთიც არ ხვდებოდა შემზა-  
რავ ხახაში, რომლის შიდა სივრცე იყო სადა, კუბრივით  
შავი, პრიალა კედელი. ორმოცდაათი გრადუსით დაქანებუ-  
ლიყო ეს კედელი ჰორიზონტთან მიმართებით და გულის-  
ამრევი სიჩქარით ბრუნავდა და ბრუნავდა. რყევითა და რწე-  
ვით უმატებდა შემაძრწუნებელ ხმას. ღრიალშერთულ ყმუ-  
ილს — მსგავსი ამისა ნიაგარის უდიდეს ჩანჩქერსაც არ აღუ-  
მადლებია ცად.

თხემით ძირამდე ზრიალი მოიღო მთამ, ირყეოდა ქარა-  
ფი. სახე ვერ მიმებრუნებინა და ზარდაცემული ჩავფრენოდი  
მწირ ჯოყარს.

— სწორედ ესაა. — ვუთხარი ბოლოს მოხუცს, — სხვა რა  
უნდა იყოს: მალსტრემის გიგანტური მორევი.

— ჰო, ასე ეძახიან ხანდახან, — მიპასუხა ამ კაცმა, —  
ჩვენ, ნორვეგიელებს, მისთვის მოსკე-სტრემი შეგვირქმევია,  
მოსკეს კუნძულის მიხედვით, აი იქ რომაა, შუაში.

მორევის შესახებ დაწერილსა და გაგონილს არ მოვემ-  
ზადებინე იმისთვის, რასაც ვხედავდი. იონას რამუსი შედა-  
რებით გამოწვლილვით კი მოგვითხრობს, მაგრამ ამ მონა-  
თხრობით სრულიად ვერ ვგებულობთ ამ სურათის მომა-  
ჯადობელობას თუ შემზარაობას, ანუ იმას, განუცდელი  
გრძნობა რომ მოიცავს ღურღუმელის ცქერით მთლად გა-  
ოგნებულ კაცს. საიდან, რა წერტილიდან გადახედა აქა-

ურობას სსენებულმა ავტორმა — არ ვიცი. არც ის ვიცი, თუ რა დროს გახლდათ აქ ამოსული. ყოველ შემთხვევაში, ჰელსეგენის წვეროზე არ იყო ნამყოფი ეს კაცი და არც ქარიშხალი უნდა ყოფილიყო იმ დღეს. დეტალებს რაკილა გვაძენობს, მისი მონათხრობიდან შეიძლება რამდენიმე წინადადების მოყვანა, თუმცა ამ სანახაობით აღძრული შთაბეჭდილების გადმოცემა ვერაა სრული.

„ლოფოდენსა და მოსკეს შუა, — მოგვიხსრობს იონას რამუსი, — წყლის სიღრმე ოცდათხუთმეტი-ორმოცი ფატიმია, მაგრამ მეორე მხარეს, ვერისკენ (კურგისკენ) წყალი იმდენად თხელდება, მთლად წყნარ ამინდშიც ვერცრა ხომალდი ვერ გადაურჩება აქაურ კლდეებს. მოქცევის ჟამს დინება ლოფოდენისა და მოსკეს შუა სანაპიროს გასაოცარი სიჩქარით მოაწყდება, მისი ზათქი ძლივსლა შეედრება შემოგარენის გამაყრუებელი, უსაზარლესი ჩანჩქერის გრიალს. ფართო და უძირთა ეს ღურღუმიელი თუ უფსკრულოვანი, დინებით მიტაცებული გემი უსათუოდ დაინთქმება, კლდოვან ფსკერზე დაიმსხვრევა ნაფოტებად. მისი ნამსხვრევებილა ამოტივტივდება წყლის შმაგობის მინელებისდა კვალად. მაგრამ წყნარ ამინდშიც საათის მეოთხედილა გრძელდება მოქცევისა და მიქცევის შუა ხანი, მერე ისევ გააფრთდება თანდათანობით ზღვა. ისედაც მალი დინება ქარბორბალას დროს უფრო მძვინვარებს და ნორვეგიული მილის სიახლოვეზე იქ მისვლა საშიშია. ღურღუმელში დაინთქმებიან გაუფრთხილებლობით აქ მოხვედრილი ნაგები თუ ხომალდები. ასევე ხშირად ემსხვერპლებიან მის მრისხანებას ვეშაპნი — ენა ვერ იტყვის, რა გამწარებულის ღმუილითა და ღრიალთ ამოდ იბრძვიან თავის გამოსახსნელად. ერთხელ, დათვი მიცურავდა ლოფოდენიდან მოსკეს მხარეს, დინებამ მიიტაცა და გადაამზღვრია, თვით სანაპიროზე მოისმოდა მისი შემზარავი ღრიალი. ნაძვისა და ფიჭვის ვეებერთელა ტოტებს რომ ჩაიხვევს დინება, მერე ამოისვრის სრულიად დაჩეჩქვილს, მთლად ბუძგებდაფარულს, ცხადია, ფსკერი აღესილი კლდოვანია, რასაც ზედ ელეწება ხის მორები. დინების მიზეზია ზღვის მოქცევა და მიქცევა, ასე რომ, აქ ყოველ ექვს საათში მატულობს და კლებულობს წყალი, 1645



წლის ყველიერის კვირადღით ტალდა წამოიმართა ისეთი ზათქითა და ფეთებით, რომ სანაპიროზე მიწას დაენარცხა ზოგიერთი დიდი ნაგებობა“.

სიღრმეს თუ იკითხავთ, ვერასგზით მივმხვდარვარ, თუ როგორ შეიძლებოდა მისი გაგება ღურღუმელის უშუალო სიახლოვეს. შესაძლოა, მართლაც „ორმოცი ფატომი“ იყო მოსკეს ან ლოფოდენის სანაპიროსთან სრუტის რამე ალაგი. ბევრად ღრმა უნდა იყოს მოსკე-სტრემის შუაგული; ჰელსეგენის უმაღლესი წვეროდან უფსკრულის წიაღისთვის ერთი თვალის მოვლება იქნება საკმარისი ამის გასაგებად. მაშინ იმ სიმაღლიდან მოღრიალე ფლეგეტონის მაცქერალს ღიმი მომგვარა პატივცემული იონას რამუსის გულუბრყვილო შეძრწუნებამ. მართლაცდა, რა გასაკვირი იყო ვეშაპებისა თუ დათვის ამბავი — ამ მომაკვდინებელი მიზიდულობის არეალში უდიდესი სახაზო გემიც რომ მოსვედრილიყო, ისევე გადარჩებოდა, როგორც მღილი გამძვინვარებულ ზღვაში.

ამ ფენომენის ასხნის ცდები, რამდენადაც მასსოვს, საკმაოდ დამაჯერებელი ჩანდა, ახლა კი პირიქით — მეტისმეტად სათუო და საეჭვო მეჩვენებოდა. ასე წერდნენ ამ ადგილის გამო — ღურღუმელი და კიდევ სამი მომცრო მორევი ფეროს კუნძულებს შორის „მსოლოდ მოქცევისა და მიქცევის კვალობაზე აღიძვრის. ტალღები რომ აზვირთდება და ჩაცხრება, მაშინ კლდეებსა და თავთხელზე წყალი მოიმატებს, ჩანჩქერის სახეს მიიღებს; ეს უდიდესი დინება რაც უფრო მაღლა აიჭრება, მერე მით უფრო დაბლა ჩაიქცევა. ამ მოვლენის ბუნებრივი შედეგია მორევი თუ ღურღუმელი, რომელსაც ძალუპს მძლავრად შეისრუტოს ყველაფერი“, — ბრიტანული ენციკლოპედიიდანაა ეს სიტყვები. კირჩერისა და სხვების მიხედვით, მალსტრემის უფსკრული დედამიწის მეორე ნახევარსფეროს ისეთ შორეულ მხარეს გამოდის, როგორიცაა, ვთქვათ, ბოტნის ყურე. ჰაიჰარად ამტკიცებენ ამას. ეს ამბავი რომ ვუხსენე, მეგზურმა ასე მიპასუხა — გამოცა კი მისმა სიტყვებმა — თითქმის საყოველთაო არისო ეს შეხედულება ნორვეგიელებში. თავად ყოველთვის სხვა-ნაირად ფიქრობდა. ამ მოსაზრების გაზარება, — ასე აღი-

არა, — არ შეეძლო; და მეც ვეთანხმები — ქალაქდზე დაწერილი ამბავი გვეჯერა, მაგრამ მთლად გაუგებარი, აბსურდულიც კია ამ მოღრიალე უფსკრულის წინარე მდგომი კაცისთვის.

— საკმაო დრო გქონდათ ღურღუმელის სამზერად, — მითხრა მოხუცმა, — ამ კლდეს შემთვუართ და თავი შევაფართო, მაშინ ზღვის ღრიალი ასერიგად აღარ ამოაღწევს და გაიშობთ ერთ ამბავს იმის დასტურად, რომ მეც ვიცო რაღაც მოსკე-სტრემზე.

მისი სურვილისამებრ დაკვეჭი და მან განაგრძო:

— ასე, სამოცდაათი ტონა წყალწყვის იალქნიან ხომალდს ვფლობდით ერთ დროს მე და ჩემი ორი ძმა. წყულებრივ, მოსკეს იქით, კუნძულებს შუა კათეკაობდით, ვურგის ახლოს: ტალღების მომძლავრებისას თევზი ბლომად იცის იქ და ხელსაყრელი წუთი უნდა შეარჩიოს კაცმა, თუკი ეყოფა ვაჟაკობა. ლოფოდენის სანაპიროს მცხოვრებთაგან ჩვენ სამნილა მივაშურებდით მუდამდღე ამ კუნძულებს. სხვანი კი ქვემოთ, სამხრეთით თევზაობდნენ ხოლმე. ხმელეთ-ხმელეთ თუ ივლით, იქით დიდი გზაა გასაკლელი, თევზი იქ ყოველთვისაა და რაკილა ხიფათი ნაკლებია, უფრო ეტანებიან იმ არემიდამოს. ამ კლდოვანში კი იშვიათი თევზია, დორანი ადგილებიცაა და სვავრიელადაც მოჰყვება ხოლმე ბადეს. და სხვანი, ნაკლებ მოხერხებულნი კვირას რომ მოუნდებოდნენ, იმდენს ერთ დღეში ვიჭერდით. მართლაცდა, თავზე ხელალებულთა იყო ეს საქმე, სასწორზე შევაგდებდით ხოლმე თავს, შრომის სანაცვლოდ კულოვნებით ვიხვეჭდით დოვლათს.

სანაპიროზე ერთი ყურე გვექონდა შერჩეული ხომალდის სადგომად — აქედან, დაახლოებით, ხუთი მილით იქნება ზემოთ, ასეთი იყო ჩვენი გზა: კარგ ამინდში, ზღვის თხუთამეტწუთიანი სიმშვიდის დროს ღურღუმელს შორიდან მოვუვლიდით და იქ გადაგვეთდით მოსკე-სტრემის მთავარ დინებას, სადაც მორევი ნაკლებად მიჰვინვარებს. ჩვეულებრივ იმ ადგილას დაველოდებოდით ბობოქრობის ჩათავებას და შინ გამოსაბრუნებლად ღუზას მერე ამოვიღებდით. საკმაო სიძლიერის ზურგქარი თუ არ ქროდა, გულის შეუჯურებლად

არასოდეს გავუდგებოდით გზას და მართლაც, მხოლოდ ზოგჯერ თუ მოგვატყუებდა გუმანი. ექვს წელიწადში სულ ორჯერ მოხდა, ნიავი რომ აღარ იძროდა, მთელი დღე მოგვისდა ღუზაზე დარჩენა. ამ ადგილებში კი უქარო ამინდი იშვიათად იცის, ერთხელ, მოვედით თუ არა, ქარიშხალი ამოვარდა, თითქმის მთელი კვირა ვეღარ დავბრუნდით და კინაღამ შიმშილმა გაგვათავა. ასეთი მძლავრი დინება, რომ გადაგვეჭრა, ამაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ისედაც ცოტა დააკლდა და ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად, ლამის შორს ზღვაში გაგვიტაცა ტალღებმა (წყალმა ისეთი გააფთრებით გვატრიალა და გვატრიალა, რომ ბოლოს ღუზა მოგვეშალა და ფსკერიო მიითრეოდა), მაგრამ ბოლოს იმ საპირისპირო დინებაში მოვხვდით, ხან ერთი მხრიდან რომ მოიჭრება და ხან მეორედან, და ერთი ლიეთი ქვემოთ, ფლიმენტან გამოვედით. იქ კი, ბედად, უკვე მოვახერხეთ, ღუზის გამაგრება.

დარშიც რა არ გადამხდენია ამ ადგილას, რომელი ერთი მოვეყე, მაგრამ დღემდე სულ ჩვენ ვჯობნიდით მოსკესტრემს. თუმცა ზოგჯერ კბილით მეჭირა სული ზღვის დაშოშმინების უწინ ან მერე მიტანებულს. ხან ქარი გვიღალატებდა და ცოტასღა გავივლიდით. დინებაც ხელს გვიშლიდა ხომალდის მართვაში, თვრამეტი წლის ბიჭი ჰყავდა უფროს ძმას, თავად მე — ორი ჩასკვნილი ვაჟკაცი. დიდად გვშველოდნენ ისინი ნიჩბის მოსმასა თუ თევზაობაში. ჩვენ კი ვივდებდით ხიფათში თავს, მაგრამ გული არ გვეუბნებოდა ჩვენი ბიჭების წყყანას ამ საშიშარ საქმეზე. მართლაც, საზარელი საფრთხე ელოდა იმას, ვინც ამ მხარეში გაბედავდა თევზაობას.

კიდევ ორიოდ დღეც და სრული სამი წელი იქნება გასული ამ ამბის მერე. ეს მოხდა 18... წლის ივლისის ათს. აქამომდე ასეთი შემზარავი ქარიშხალი ჯერ არ მოვლენილა ცით და აქაური ხალხი არასოდეს დაივიწყებს იმ დღეს; დიდიდან საღამომდე ქროდა სამხრეთ-დასავლეთის შეუცვლელი და საამური სიო, მზეს კაშკაში გაჰქონდა და მეზღვაურებში სულ უხუცესიც ვერ განსჭვრეტდა იმ ცოდვის ტრიალს.

სამნი, ჩემი ორი ძმა და მე, დაახლოებით: 2 საათზე კუნძულებთან გავჩერდით. პალე საუცხოო თევზით კარგად დავტვირთეთ ხომალდი და ყველამ შევნიშნეთ, ჯერ არასდროს გვითევზავიათ ასე ხვავრიელად. ზუსტად შეიღს უჩვენებდა ჩემი საათი, როცა ღუზა ამოვიღეთ და შინ გამოვეშურეთ, ასე რომ, ჩვეულებისამებრ, რვისთვის, სიწყნარის ჟამს უნდა გადაგვეჭრა მოსკე.

დავიძარით, ხომალდის მარჯვნიდან ქარმა დაუბერა, ცოტა ხანიც და სწრაფად გავცურეთ, არც კი მოგვლანდებია რამე საშიშროება, რაკილა იოტისოდენი საბაბიც არ გვექონდა ამისთვის. ანაზღად, მთლად მოულოდნელად ნიავი მოიჭრა ჰელსეგენის მხრიდან. ფრიად უჩვეულო, არნახელი ამბავი მოხდა. თავად არ ვიცი რად — უგუნებოდ შევიქენი. ქარის მიმართულებით წავიყვანეთ ხომალდი, მაგრამ შემხვედრი დინების გამოისობით ველარ წავიწიეთ და ის იყო, ვუთხარი ძმებს, მივბრუნდეთ-მეთქი ღუზის ჩასაგდებად, რომ უკან წამდაწამ მზარდი, ერთადერთი, ტყვიისფეროვანი ღრუბელით დაიფარა მთელი ჰორიზონტი.

წინიდან მომქროლავი ნიავი უცებ ჩადგა, სრულიად აღარ იძროდა ჰაერი. მხოლოდ ზღვა გვარყევდა ყოველი მხრიდან. დრო აღარ იყო ფიქრისა. ოციოდე წამიც და მოგვეახლა ქარბორბალა და ცაზე დაყრილმა ღრუბლებმა წყლის შხეფების კორიანტელთან ერთად ისე ჩამოაბნელა არემი-დამო, რომ ერთმანეთს ველარ ვხედავდით ხომალდზე მყოფნი.

მაშინდელი ქარიშხლის ამბავს ვერა ენა ვერ აღწერს, ნორვეგიის უხნეს მეზღვაურსაც არ ახსოვს მისი მსგავსი. სანამ ქარაშოტი ჩვენამდე მოაწევდა, იალქნები სულ ჩამოვხსენით, მაგრამ თითქოს წამის უმაღესად მოახერხესო, პირველივე კვეთებამ ორივე ანძა გადაგვიტეხა და გადაამსხვრია. უმცროსი ძმა ზღვაში გადაიყოლა მთავარმა ანძამ — თადარიგი დაეჭირა ვითომ და იმაზე მიება თავი.

ნაფოტივით დაცურავდა ჩვენი პატარა ხომალდი. ერთი სიბრტყისა ჰქონდა მთელი გემბანი. ჩვეულებრივ, სულ მიკრულ-მიხურული იყო წინა მხარეს დატანებული მცირე ლუკი. ბობოქარ სტრემს შეჭიდებული ხალხისთვის სიფრთხი-

ლეს თავი არ სტკიოდა. ღიად რომ დაგვრჩენოდა, ამ მცირე წინდაუსებაობის გაშთ იმ წუთას ჩავიძირებოდით; მართლაც, რამდენსამე წამს ხომალდი მთლად შეიმალა წყალში. ჩემი უფროსი ძმა მაშინ როგორ გადარჩა, ვერ გეტყვი, ვისღა უნდა ეთქვა ჩემთვის. თავად, ხელი გავუშვი თუ არა წინა აფრას, გეძბანზე გავიშხლართე, ჭვინტის გვერდს ფეხი მივაბჯინე და რაც ძალი და ღონე მქონდა, რგოლს ჩავეჭიდე მეწინავე ანძის გადანატეხის ახლოს. ჭკუამიუტანებლად ვავაკეთე ყველაფერი. ეჭვი არაა, ჩემ ადგილას მყოფი კაცი უკეთესს ვერ იქმოდა, რა ფიქრის თავი უნდა მქონოდა ასეთ ქარაშოტში.

თითქმის ორი წუთი სულ დავიძირეთ-მეთქი, ასე მეგონა, მთელი ეს ხანი დავყავი სუნთქვაშეკრულმა და რგოლს ჩაბლაუჭებულმა. ვეღარ გავძელი, რგოლსავე ხელჩაჭიდებული წამოვდექი და ამგვარად წყალს ზემოთ ამოვყავი თავი. უცებ გუბიდან გამოსული ძალღვივით შეიქნია ტანი ჩვენმა პატარა ხომალდმა და რამდენადმე დაუსხლტა ზღვის მრისხანებას. თავტანდაკარგული ვიყავი და თავის საშველად მინდოდა ვაჟაკობის მოკრება, რომ ვიგრძენი — ვიღაც მკლავზე მომეპოტინა. უფროსი ძმა იყო თურმე. გული გამეღო, აკი ეჭვი აღარ მეპარებოდა, ტალღამ გაიტაცა-მეთქი, მაგრამ შავად შემელება სიხარული, როგორც კი მომიახლოვდა და ერთი სიტყვა ჩამომძახა — „მოსკე-სტრემი!“.

ჩემს გულისხეთქვას ვინ გაიგებს, — ცნობიანივით კანკალმა ამიტანა თავით ფეხამდე. მივხვდი, თუ რა უნდოდა ეთქვა ამ ერთი სიტყვით, იმასაც მივხვდი — სურდა მეც მცოდნოდა ეს ამბავი. პირდაპირ სტრემის ხახაში მიგვათრევდა ახლა ქარაშოტი, კაცი არ იყო ჩვენი მშველელი!

თუნდაც სულ წყნარი ამინდისას კარგა ზემოდან შემოვუვლიდით ხოლმე სტრემის დინებას. ჯერ აქ შევჩერდებოდით და ზღვის ჩაწყნარების მოლოდინში ყურადღებით ვიყავით. მაგრამ ახლა, ასეთი ქარიშხლის დროს სწორედ ამ ღურღუმელში მივიმზღვრეოდით. „ნამდვილად, — ასე გავიფიქრე, — ზუსტად სიწყნარის ჟამს მივალწევთ, კია რაღაც იმედი“. იმწუთას შევუკურახე ფუჭად დამაიმედებელ თავს. ცხადზე ცხადი იყო, ისევე გადავრჩებოდით, როგორც ქორის კლანჭებში წიწილა.

ქარიშხლის პირველი შემოტევა შენელდა, ანუ, შესაძლევად, რაკილა ზურგქართ მივცურავდით, იმდენად ვეღარ ვგრძნობდით მის ძალას. მაგრამ რამდენიმე წამით ქარიშხალმა ჩაახშო ტალღები და ააქაფა ზღვა. ცოტა ხნის შემდეგ წამოიძარტნენ მთასავით ზვირთები, ცარგვალსაც ასევე გასაოცარი ცვლილება დასტყობოდა, მეღნისფრად შეოფერილიყო სულ ერთიანად, მაგრამ დაახლოებით ჩვენ ზემოთ უცებ მოიღო მრგვალი ნათელი ცისპირისა, ასეთ ნათელს — უძირთ გამჭვირვალ ლაჟვარდს — ცხოვრებაში არ შევსწრებივარ, ამ ღიობის წიაღ კი სავსე მთვარეს გადასდიოდა ჯერაც უნახავი ბრკიალი. დიდებული შარავანდი დაეფინა ირგვლივ ყველაფერს — და ჰოი, ღმერთო, რა სურათი გადამეშალა თვალწინ!

ერისეღ თუ ორჯერ ვცადე გამოვლაპარაკებოდი ძმას, მაგრამ როგორღა მთავასერხებდი, როცა სულ მატულობდა გრუხუნნი და თუმცა მთელი ხმით ჩავძახოდი, ერთი სიტყვაც ვერ გავაგონე. თავი გაიქნია ანაზღად, გადაფითრდა, ხელი გაიშვირა, თითქოს მეუბნებოდა, ყური უგდეთ!

პირველად ვერ მივხვდი, რა უნდოდა, მაგრამ მალე გამიელვა შემზარავმა ეჭვმა. პატარა ჯიბიდან ამოვიღე საათი. მთვარის შუქზე დავხედე და სიმწრის ცრემლმორეულმა შორს, წყალში მოვისროლე. საათი გაჩერებულიყო და შვიდს უჩვენებდა ისევ! სიწყნარის ჟამს გაევილო და ახლა ჩვეული ძალით მიპინვარებდა სტრემის მორევში!

ხომალდი თუ კარგადაა გამართული და კეთილნახელავია, გადაუტვირთავიცაა, ყოველთვის მიხლტის ხოლმე ქარბორბალათი წამოშლილი ზვირთების ზემოთ. ზღვის უნახავი კაცისთვის გასაოცარი ამბავია, — „მოაჯღაო“, იტყვიან მეზღვაურები. ასე რომ, კარგად ვუჩქლავდებოდით აბობოქრებულ სტიქიონს ჯერხნობით. მაგრამ უცებ გიგანტური ტალღა წამოგვადგა კიჩოს მხრიდან და მალლა-მალლა, თითქმის ცის პირამდი ჩვენც აგვიყოლია. თავისი აზვირთებისდა კვალად, საკუთარი თვალთ რომ არ მენახა, ვერ დავიჯერებდი ტალღის ასეთ აყალყებას. მერე კი დაბლა ჩამოგვაქანა სრიალით და დავყვინთეთ. სისუსტე და გულისრევა მომეძალა. თვალშეუდგამი მთის წვეროდან სიზმარეული ვარდნის

დროს შეიგრძნობს ამას კაცი. სომალდი რომ ტალღის ზემოთ იყო მოქცეული, სწრაფად მიმოვიხედე, საკმაო გამოდგა ერთი თვალის მოვლება. ჩვენ პირდაპირ, დაასლოებით, მეოთხედ მიღზე გამოჩნდა მოსკე-სტრემი — ყოველდღიური სასენდისაგან მთლად განსხვავებული სურათი. სწორედ ასე არ ჰგავს ახლა ეს მორევი საწისქვილე წყალს. რომ მცოდნოდა, სად ვიყავით და რა მოგველოდა, რაც უნდა ყოფილიყო, ვერ ვიცნობდი ამ ადგილს. შეძრწუნებულმა ჩემდა უჩებურად დავსუჭე თვალი. წებოიანივით გამიხდა ქუთუთოები.

ორი-სამი წუთი იქნებოდა გასული, ზვირთების ჩაცხრომა ვიგრძენი უეცრად და ქაფმა დაგვფარა. მკვეთრად მარცხნივ მიბრუნდა სომალდი და მერე უცებ გადაქანდა ახალი მიმართულებით. მაშინვე გულის გამგმირაკ ხმად გადაიქცა ზღვის ხაფი ღრიალი — სწორედ ამდაგვარ ხმაურს გამოსცემს მრავალი ათასი გემის ერთდროულად ამუშავებული საშინელი მილი. ღურღუმელის გარშემოწერილ ზოლში მოვქცეულაყავით ახლა. ასე გავიფიქრე, რალა თქმა უნდა, ცოტა კიდევ და ჩავიმსხვრევი-მეთქი ქვემოთ, უფსკრულში, მქრქალადღა რომ მოჩანდა — ისე საშინლად გვატრიალებდა მორევი. თითქოს სულაც არ დაძრულიყო სომალდი, და ვეებერთელა ზვირთის პირზე მიხლტოდა ჰაერის ბუბტივით. მარჯვენა მხრით მისდგომოდა ახლა უფსკრულს, ხოლო უკიდევანო ოკეანის ზედაპირი მბრუნავი კედელივით წამომართულიყო ჩვენსა და ჰორიზონტს შუა.

უცნაური კია, მაგრამ ამჟამად, მორევის ხახაში ჩავარდნილი, უფრო სრულ ჭკუაზე ვიყავი, ვიდრე მასთან მიახლოებისას. პირველად ასერიგად შეშობჭველმა შიშმა უკვე ამიშვა თავისი შემზარავი კლანჭები და ასე ვფიქრობდი, ეს შიში კი არა, სასოწარკვეთილი კაცის დაძაგრული ნერვები-მეთქი.

ღმერთმანი, არას ვიკვებნი, სრულ სიმართლეს გეუბნებით, ეს ამკვიატებოდა: მართალია, კი ვკვდები, მაგრამ ასეთი სიკვდილი ბრწყინვალე რამაა, საკუთარი სიცოცხლე როგორღა მადარდებს ამ ღვთაებრივი გამოვლინების მაცქერალ კაცს-მეთქი. ამ აზრმა რომ გამიელვა, მგონია, კიდევაც

წამოვინთე სირცხვილით. ცოტა ხნის შემდეგ ძალზე მო-  
მინდა ღურღუმელის მოკვლევა. მართლაც მსურდა შევწი-  
როდი უფსკრულის სიღრმის შეცნობას და უფრო იმაზე  
მწყდებოდა გული, ველარასოდეს მოვუთხრობ-მეთქი სი-  
ყრმის მეგობრებს ამ საოცრებას. რაღა თქმა უნდა, კია საკ-  
ვირველი, სასიკვდილოდ გადადებულ კაცს ასეთი უცნაური  
ფანტაზია რომ მოუვა თავში, მაგრამ მერე ხშირად მიფიქ-  
რია, ჭკუა დამაკარგვინა ხომალდის ბრუნვამ-მეთქი.

სხვათა შორის, კიდევ ერთმა გარეშობამ მომიყვანა  
გონს. ქარი შესუსტებულიყო, რაკიღა აქ ველარ მწყდებოდა.  
ხომ ნახეთ, ოკეანეს დონესთან შედარებით საკმაოდ დაბლაა  
ეს ქაღოფანი არშია, რომელიც მაშინ მთასავით მაღალ, შავ  
ზღუდედ წამოგვდგომოდა თავს. გააფთრებული ზღვის უნა-  
ხავ კაცს გაუძნელდება იმის წარმოდგენა, თუ რა თავზარ-  
დაძცემი, ხელფესუმებოჭველი და გონების დამსშველია  
ასეთი დამაბრმავებელი, მომაშთობელი, გამაყრუებელი,  
ერთდროული კვეთბა ქარაშოტისა და წყლის კორიანტე-  
ლის. ღურღუმელში მოქცეულებს მნიშვნელოვანწილად მოგ-  
ვშვებოდა ეს გასაჭირი. ყოველთვის რომ ეკრძალებათ გა-  
ნანენის გამოტანამდე, საპრობილეში ასეთ შეღავათს აძ-  
ლევენ სიკვდილმისჯილებს.

მორევის კიდეს რამდენი წრე დავარტყით, ვერ გეტყვით,  
ირგვლივ, ირგვლივ გვატრიალებდა წყალი, უფრო დაფე-  
რინავდით, ვიდრე დავცურავდით, თანდათანობით, მეტად  
და მეტად ვუახლოვდებოდით მორევის შუაგულს, უკვე  
მთლად ახლოს ვიყავით მის შემზარავ შიდა კიდესთან. მთე-  
ლი ეს ხანი რგოლისთვის ხელი არ გამიშვია. კისოზე მიყუ-  
ჟულიყო ჩემი ძმა, მაგრამ მიმაგრებულ წყლის პატარა კასრს  
ჩასჭიდებოდა. ყველაფერი რომ გადაცვივდა გრიგალის პირ-  
ველივე კვეთებისას, გემბანს შერჩენოდა ეს ერთი საგანი.  
ორმოს კიდეს რომ დავუახლოვდით, კასრს ხელი გაუშვა,  
მომვარდა და რგოლს ეცა შეძრწუნებული. რახან მომცრო  
იყო ეს რგოლი და ორი კაცი ხელს ვერ მოკიდებდა, მთელი  
ძალ-ღონით ლამობდა ჩემს მოცილებას. ასე არასდროს შევ-  
წუხებულვარ, თუმცა კი მივხვდი, გიჟი იყო ამწუთას, ხელ-  
ქმნილიყო შიშნაჭამი. ადგილს რა მნიშვნელობა ჰქონდა,



რგოლი ვერაფერს გვიშველიდა, ეს კარგად ვიცოდა. გავეცალე და კინოზე იმ კასრს მივუწოდდი. თუმცა მალიად დაბრუნავდა ხომალდი, მაგრამ მაინც შეენარჩუნებინა საკმაო მდგრადობა ჯერხანად. მხოლოდ აქეთ-იქით ირწეოდა მორევის ძალუმი ტრიალის გამოისობით, ასე რომ, მაინცდამაინც არ გამჭირვებია ამისი გაკეთება. დავმაგრდი თუ არა ამ ახალ ადგილას, ძალზე გადაქანდა ხომალდი მხარმარჯვნივ და ლაწალუსით, ცხვირით უფსკრულში გადაეშვა. მეყსეულად ლოცვა აღვუკვლინე ღმერთს, ყველაფერი გათავდა-მეთქი, ასე გავიფიქრე.

რეტი მომგვარა ასეთი სიჩქარით ვარდნამ, ჩემდა უნებურად ჩავეჭიდე კასრს და თვალი დავხუჭე. გახელას ვეღარ ვბედავდი რამდენსამე ხანს, ასე ველოდი, წამიც და ყველაფერი დაილეწება-მეთქი. მაგრამ წამი წამს მისდევდა. ცოცხალი ვიყავი, შენელდა დანთქმა, თავს შემოვუძახე და ისევ გავახილე თვალი. ხომალდის ისეთივე მოძრაობა შევიცანი, როგორიც მაშინ, ქაფოვან ზოლს რომ მოჰყვებოდა, თღონდ ამ განსხვავებით, ახლა უფრო დაბლა დაშვებულეყო.

მიმოვიხედე და იმ შიშის, საზარტობისა და აღფრტოვანების გრძნობას რა დამავიწყებს. ასე ჩანდა, თითქოს რაღაც ჯადოთი შუა გამოკიდებულიყო ხომალდი ამ ფართო, თვალუწვდომელი ორმოს პირზე. მისი მეტისმეტად პრიალა გვერდები შავი ხისა ეგონებოდა კაცს, მაგრამ განსაცვიფრებელი სიჩქარით რომ ბრუნავდა წყალი, ღრუბლის წრიულ დიობში გამოტანებულ სავსე მთვარის სსივებს მეღნისფერი კედლები შემზარავად გადაენაოებინა და მათი ოქროსფერი ნათება უფსკრულის უშორეს კუნჭულებსაც ჩასწვდენოდა.

პირველად, მეტად შეჩქვიფებულს, არ მქონდა ყველაფრის წვრილად მოკვლევის თავი. შესაზარელი სურათის დიდებული გაელვება — აი, რისი დანახვაც მოვასწარი. მაგრამ ცოტაოდნავ გონსმოსულმა ქვემოთ ჩავიხედე ჩემდა უნებურად. მთელი სახედი ნათლად გამოჩნდა, რაკილა მორევის დამრეც ზედაპირს დაკიდებოდა და თავკვე ჩაყირავებულიყო ხომალდი. ასე რომ, გემბანი პარალელურად მოსდიოდა წელსკან კედელს. კედლის დასრილობა კი ორმოცდასუთ

გრადუსს წააჭარბებდა და ამგვარად, ხომალდი თითქოს გვერდულად გაწოლილიყო. მაგრამ ეს კი შევნიშნე, ვითარცა სწორეზე ვყოფილიყავით, სხეულის შემავრება არც ახლა მიჭირდა და ეს გამოეწვია, როგორც ჩანს, ჩვენი ბრუნვის დიდ სინქარეს.

მთვარის სხივებს თითქმის ჩამოეტანებინა უფსკრულის ძირამდე; მაგრამ რაკილა აქ ყველაფერი განუქვრეტელ ნისლს შეებურა და ჯადოსნურ ცისარტყელას ციმციმი გაჰქონდა იმ ვიწრო, მოკონწიალე ხიდის მსგავსად, მუსულმანური მითოლოგიის მიხედვით ერთადერთი ხიდი რომაა დროსა და მარადიულობას შორის — ნათლად ველარაფერს ვარჩევდი. ეს ნისლოვანება, ანუ წყლის შხეფების კორიანტელი, ეჭვი არაა, ორმოს ფსკერზე გიგანტური ურთიერთშემსვედარი კედლების შეჯახებით იყო შექმნილი. ზეცას წვდებოდა ბურუსის წიაღით ამოღწეული ისეთი ღმუილი, რომ ენა ადვილად ვერ იტყვის.

ზემო ქაფოვანი ზოლი რომ მოვიტოვეთ, პირველადვე, საკმაოდ დიდი მანძილით ჩამოვქანდით, მაგრამ თანაბარ-ზომიერი არ იყო ეს დაშვება. ვტრიალებდით, სულ უთანაბროდ ვტრიალებდით და ეს თავბრუდამსვევი რწევა და ფეთება ზოგჯერ ასეული იარდის, ხანაც მორევის სრულ წრეზე გვიხდებოდა. თუმცა ყოველი მობრუნებისას ვარდნა არ იყო მალი, მაგრამ კარგა შესამჩნევად ვეშვებოდით.

მიმოვიხედე. ფართო, შავი ხის მინაგვარ პრიალა ზედაპირზე მივქროდით და ამასაც ვამჩნევდი, მარტოოდენ ჩვენი ხომალდი არ ჩავარდნილა მორევში. ორივე მხარეს, ზემოთაც და ქვემოთაც ჩანდა გემების ნამსსვრევები, სამშენებლო მორები, ტოტები, პატარ-პატარა საგნები, ისეთი, როგორიცაა ავეჯის, ყუთების, კასრების ნამუსრევი. თქვენ უკვე იცით, პირვანდელი შიშის ზარის სანაცვლოდ, ახლა მეტად ვიყავი გაცოცხლებული, მთელი გულისყურით ვაკვირდებოდი გარშემო მორიალე უამრავ საგანს. ალბათ ბოღვამ თუ მომიცვა, რაკილა სიამოვნებით ვფიქრობდი, რომელი უფრო მალე ჩამოეშვება-მეთქი იმ ქაფოვან ზოლს გადმოსსლექტილი. „ნაძვის ხეა, — წარმოვთქვი ერთხელ ნება-უნებლივ, —

ცხადია, სწორედ ეს იქნება, ახლა რომ დაყვინთავს შემზარავ უფსკრულში და გაქრება“. იმედი გამიცრუვდა, რადგან დავინახე, როგორ ამოტრიალდა ჰოლანდიური სავაჭრო ხომალდი, გამოუსწრო, ქვემოთ ჩამოქანდა, ცვადა ასე რამდენჯერმე და ჩემი წინასწარმეტყველება ერთხელაც არ ასრულდა, სულ მოკტყუვდი, დაბოლოს ამ ფაქტის — გამოთვლებში ხელმოცარულობის მიზეზის გამორკვევისას, სული ყელში მომებჯინა, გულმა დოლაბივით დამიწყო ბრუნვა.

შიშს არ მოვუცკვივარ ისევ, იმედის ჟრუანტელმა დამიარა — ერთწილ მესხიერება, ერთწილ ახლანდელი დაკვირვება იყო საფუძველი ამ იმედისა. ლოფოდენზე გამორიყული საგნები წამომამგონდა, მოსკე-სტრემით ჯერ შესრუტული და მერე ამოგდებული. მათი უმეტესობა მთლად დამსხვრეული, დაგლეჯილი და დაჩეჩქვილი იყო, ერთი სიტყვით, ნამსხვრევებად ქცეულიყვნენ. მაგრამ ნათლად ესეც გამახსენდა: ზოგიერთი სრულიად მთელი ამოეგდო წყალს. ამისდა კვალად კაცი იფიქრებდა, ის დაელეწინებოდა მორევს, რომელიც სრულიად შეიწოვებოდა; სხვა კი ღურღუმელში ან უფრო გვიან ვარდებოდა ან, შესაძლოა, კიდევ რაღაცის გამო შიგ ნელა ეშვებოდა, ასე რომ, ზოგჯერ ვერ ჩააღწევდა ფსკერს დინების თუ მოქცევის გამოისობით. მაშინვე აზრმა გამიელვა, ზემოთ ის დაულეწავი საგანი ამოტივტივდება ხოლმე, სხვაზე გაცილებით უფრო ადრე რომ დაინთქა, ანუ, უფრო მალე შეისრუტა წყალმა-მეთქი. სამი მნიშვნელოვანი გარემოება შევნიშნე აგრეთვე. ჯერ ერთი, საგანი რაც უფრო დიდი იყო, მით უფრო სწრაფად ჩაიკარგებოდა ღურღუმელში; კიდევ, ერთნაირი მოცულობის ორი სხეულიდან, სფერული მალე ჩაქანდებოდა; და მესამე, ერთნაირი ზომის ორი სხეულიდან ცილინდრული ფორმისა იძირებოდა უფრო ნელა. ხიფათს გადარჩენილს რამდენჯერ მისაუბრია ამ თემაზე ჩვენი ოლქის მხცოვან მასწავლებელთან და მაშინ გავიგე ეს სიტყვები — „ცილინდრი“ და „სფერო“. იმ კაცმა ამიხსნა, თუმცა ყველაფერი კარგად არ მახსოვს: ასეთი ყოფილა თურმე მცურავი საგნების თვისება. მიჩვენა კიდევ, თუ როგორაა, რომ ცილინდრი უფრო ძნელად დაინთქმება მორევში და იმავე მოცუ-

ლობის ყველა სხვაგვარი ანაგობის საგნისგან განსხვავებით, მისი ძირამდე დაშვება შედარებით საძნელა<sup>1</sup>.

კიდევ ერთი გარემოება შევნიშნე, რამაც დამარწმუნა, დაკვირვებებში არ შევმცდარვარ-მეთქი და გული მომიცა. აი რა: ყოველი მობრუნებისას ისეთ საგნებს ჩავუვლიდიო, როგორცაა კასრი ან ფიცარი, ან სომალდის ანძა. პირველად რომ გავასილე თვალი, უმეტესობა ჩვენი სომალდის დონეზე იყო, ახლა კი ამ საკვირველ მორევში ზემოთ მოქცეულიყვნენ და ცოტალა შეცვლილიყო მათი პირვანდელი მდებარეობა.

უკვე ვიცოდი, რაც უნდა გამეკეთებინა და აღარ ვმერყობდი; გადავწყვიტე, ხელი რომ მქონდა ჩაკიდებული, იმ კასრზე მაგრად მიმება თავი, გადამეჭრა თოკი, რომლითაც ეს კასრი იყო დამაგრებული და სომალდიდან გადავშვებულყავი. ხელით ვანიშნე ძმას, მომხედე-მეთქი, ვუთითებდი ახლოს მცურავ კასრებზე, ყველაფერი ვიღონე, რაც კი შემეძლო, რომ გაეგო, თუ რის გაკეთებას ვაპირებდი. დაბოლოს მეგონა, მიმიხვდა, რასაც ვანიშნებდი, მაგრამ არ ვიცი, ნამდვილად აზრზე მოვიდა თუ არა, თავი გააქნია. სასოწარკვეთილმა, იმ ადგილიდან ფესი აღარ მოიცვალა. დიდი სურვილის მიუხედავად, იმასთან ვერ მივიდოდი. ფრიად შეწუხებულმა ბედის ანაბარად დავაგდე, კასრს მივები იმავე ბაწრით, რომლითაც ის კინოზე იყო მიმაგრებული და აღარ დამიყოვნებია, წყალში გადავეშვი.

იმედი არ გამცრუებია. როგორც მოველოდი, სწორედ ისე მოხდა, რაკილა ამ ამბის მთხრობელი ცოცხალი ვარ, ცხადია, თავი დამიღწევია განსაცდელისთვის. თუ როგორ გადავრჩი, უკვე იცით. ცოტალა მაქვს სათქმელი. მალე გავასრულებ ამბავს. საათი იქნებოდა, შეიძლება ცოტა მეტი ან ნაკლები, რაც სომალდიდან ფესი ვიშვირე და გადავხტი. ამის შემდეგ ჩვენი ნავჭურჭელი კარგა ძალზე ჩაეშვა ქვემოთ, სამჯერ თუ ოთხჯერ ამოტრიალდა კიდევ, თან ჩაიტანა ჩემი საყვარელი ძმა და უცებ ცხვირით დაყვინთა ქა-

---

<sup>1</sup> იხ. არქიმედე, „De Incidentibus in Fluido“, lib. 2. ავტორის შენიშვნა.

ფოვან ქაოსში. იმ ადგილთან შედარებით, სადაც სობალდი-დან გადმოვხტი, მე და იმ კასრმა, რომელზეც მიბმული ვიყავი, უფსკრულის შუაწყალს ან შეიძლება ცოტა უფრო დაბლაც მივატანეთ. მორევმა აქ უცებ შეიცვალა სახე. სულ უფრო მეტად ამოიზიდა ლურღუმელის პიტალო, გვერდები, უფრო და უფრო მინელდა მორევის ტრიალი, მალე ვისარტყელაც გაქრა. ცა მოწმენდილიყო, ქარი აღარ ქროდა. დასავალი გადაენათებინა სავსე მთვარეს. თკეანის ზედაპირზე აღმოვჩნდი, თვალწინ გადამეშალა ლოფოდენის მთელი სანაპირო. ცოტა უფრო იქით დავინახე ის არემიდამო, სადაც უნდა ყოფილიყო მოსკე-სტრემი. სიწყნარის ჟამი დამდგარიყო, მაგრამ მაინც მთასავით აყალყებულყო ქარიშხალმთეული ზღვა. გააფთრებით წამილო სტრემის ღინებამ რამდენიმე წუთში გამიტანა მეთევზეთა სიახლოვეს. მთლად ქანცმიწყვეტილი ნაგზე ამიყვანეს და (თუმცა გადარჩენილი ვიყავი) ტან-იოგში დაშლილმა. ზმა ვეღარ ამოვიღე. ნაგზე ჩემი სიყრმის მეგობრები იყვნენ, მაგრამ შავეთში ნამგზავრი კაცივით ვეღარ მიცნეს. ერთი დღის წინ კუპრივით შავი თმა მქონდა და თურმე, ზოგორც ახლა ხედავ — ასე გავთეთრებულვარ. ისიც მითხრეს, მთლად შეგცვლიათ სახე. მოვყევი, რაც გადამხდა. არ დამიჯერეს, თქვენც ხომ გაიამბეთ ყოველივე. მაგრამ ვეჭვობ, გულმხიარული ლოფოდენელი მეზღვაურების დარად, ვერც თქვენ ირწმუნებთ ჩემს ამბავს.

### ტოთლში ნაკრვენი ხელნაწერი

Qui n'a plus qu'un moment à vivre  
N'a plus rien à dissimuler.  
Quinault. — Atys!

ჩემს სამშობლოსა და თჯახზე თრითღე სიტყვას ვიტყვი. პირველს გულაგდებით ვიხსენებდი, მეორეს კი კარგა ხანია დავცოლდი და ისიც უცხო გახდა ჭემთვის. დიდი ქონება

—<sup>1</sup> ვისაც ერთი წამის სიცოცხლე დარჩენია რაღა აქვს დასამალავი ქონო. „ატისი“ (ფრანგ.)

მერკო წილად და განათლებაც ისეთი მივიღე, ბევრს ვჯობ-  
დი, ისეთი ფიქრის უნარითაც ვიყავი დაჯილდოებული, რომ  
ადრეულ ხანაში გულმოდგინე შრომით შეძენილი ცოდნა  
მოვიწესებდი და გავითავისე — ყველაზე უფრო მეტად გერ-  
მანელი ფილოსოფოსების თხზულებათა კითხვა მიყვარდა,  
რითომ კი არა, რომ რაღაც ავადმყოფური აღფრთოვანებით  
მჯეროდა იმათი შლეგური მტკეპრმეტყველება, უფრო ეს  
უნდა ყოფილიყო, სადად მოაზროვნე კაცს სულ ადვილად  
შემეძლო მიმეკვლია იმათი შეცდომები. ხშირად მისაყვე-  
დურებდნენ, უსიცოცხლო არისო შენი გენიალობა, ფანტა-  
ზიის უქონლობასაც მიკიჟინებდნენ, ხოლო პირონიზმით\*  
გაჯერებულ\* ჩემს მსჯელობას ყოველთვის აუგად იხსენებ-  
დნენ. მართლაცდა, ვშიშობ, ვაითუ, ჩემს გონებაზეც მიმ-  
ძლავრებულა ესოდენ მომეტებული გატაცება ნატურფილო-  
სოფიით, რაც ჩვენს საუკუნეში კიდევაც შექმნილა ბევრი  
შეცდომის სათავე — მე იმისი თქმა მინდა, რომ ჩვეულება  
გამხდარა ამ მეცნიერების მოშველიება მაშინაც კი, როდე-  
საც არცა აქვთ ამისა საფუძველი. თუმცა კი არა მგონია მე  
ის კაცი ვიყო, ვისაც ცრურწმენათა ignes fatui<sup>1</sup> გადააბი-  
ჯებინებს ჭეშმარიტების მკვიდრ საზღვრებს. ამ გასაოცარი  
მოთხრობისათვის ასეთი შესავლის წამძღვარება კი იყო სა-  
ჭირო, რაკი ამას უფრო ვიღაც რეგვენის ნაბოღვარი შეიძ-  
ლება დაარქვან, ვიდრე გონების ქმედების შედეგად მოპო-  
ვებული ცდა, სრულიად რომ უარყოფს წარმოსახვის წილად-  
ლობილას, უსიცოცხლოსა და ჩალის ფასად ღირებულს.

მრავალი ხნის უცხოეთში მოგზაურობის შემდეგ, 18...  
წელს გავემგზავრე ნავსადგურ ბატავიიდან, რომელიც მდი-  
დარ და ხალხმრავალ კუნძულ იავაზე მდებარეობს, გზა გვე-  
ჭიროს ზონდის კუნძულების არქიპელაგისაკენ. ჩვეულებრივი  
მგზავრი ვიყავი, სამოგზაუროდ არც კი ვიყავი განწყობილი,  
მაგრამ ეშმაკეულივით რაღაც ნერვული შფოთიანობა დამ-  
ჩემებოდა და არ მასვენებდა.

<sup>1</sup> მოციმციმე ნათელი (ლათ.)

მშვენიერი, ოთხასტონიანი წყალწყვის ხომალდი გვექონდა. ბოძებიში აეგოთ ძალაბრის ტიკისაგან და სპილენძის სამსჭვალებით მოეჭვდათ. დაუშუშაკებელი ბამბითა და ზეთით დაეტვირთათ ლაკადივის კუნძულებზე. მოგვექონდა, აგრეთვე, ქოქოსის ბოჭკო, ლერწმის შაქარი, კამეჩის ერობო, ქოქოსის კაკლები და რამდენიმე კასრი თრიაქი. ყველაფერი ეს უწესრიგოდ დაეწყით და ამიტომაც ხომალდი საკმაოდ მიირყეოდა წყალში.

ჩვენ რომ გავემგზავრეთ, მსუბუქი ქარი ქროდა და მრავალი დღე იავის აღმოსავლეთის სანაპიროს მივყვებოდით. მთელი ეს ხანი თავი მოგვაბეზრა ერთფეროვანმა სვლამ. მხოლოდ ხანდახან თუ შეგვხვდებოდა იმ არქიპელაგიდან მომავალი სანაპირო ხაზის პატარა ხომალდები, სადაც ჩვენ მივეშურებოდით.

ერთ საღამოს, ოკაჩხეს მოაჯირს დაყრდნობილი, ჩრდილო-დასავლეთით ცაზე შეფენილ ეულსა და უცნაურ ღრუბელს გავყურებდი. უცნაურს-მეთქი, ვაპბობ მე და იმის ფერს ვგულისხმობ და იმასაც, რომ ბატავიიდან წამოსულები იმის მეტი არც გვინახია. თვალი არ მომიცილებია ამ ღრუბლისათვის, ვიდრე მზის ჩასვლის ხანს შეცრად და მთლიანად არ მოეფინა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეს, იქითური პორიზონტი ნისლის ვიწრო ზოლმა მოიცვა და თვალწევდენელ დაბალ ნაპირს დაემსგავსა. ცოტა ხანი გამოხდა და ახლა წითლად გავარვარებული მთვარის დისკო დავინახე, ზღვასაც რაღაც განსაკუთრებულმა ელფერმა გადაჰკრა. სწრაფად შეიცვალა წყალი და ჩვეულებრივზე უფრო გამჭვირვალე გახდა. თუმცა კი ფსკერი ცხადლივ ჩანდა, მაგრამ საძირავმა მანძილი ხომალდის ქვეშ თხუთმეტი ფატუმი გვიჩვენა. ენით უთქმელი სიმსურვალე მოიღო ჰაერმა და თითქოსდა გაფიცებული რკინიდანო, ოხშივარი სპირალისებურად მოიხვეოდა. დაღამდა და ნიავიც კი აღარ იძროდა, მცირეოდნავაც არ შერხეულიყო მოგრძო თმა, თითებში რომ მეკავა დაბლა ჩამოშვებული. მაგრამ კაპიტანმა თქვა, საშიში რა უნდა იყოსო, და რა გემი ნაპირისაკენ მიჰქონდა წყალს, ასე ბრძანა, იალქნები დაახვიეთ და ღუზა ჩააგდეთო. მეთვალყურედ არავინ და-

ჯტოვებიათ და ყველა მეზღვაური, ძირითადად მალაელები იყვნენ, იქვე, გემბანზე მოკალათდნენ. დაბლა ჩავედი, ცუდი წინათგრძნობა არა მქონდა-მეთქი, ამას ვერ ვიტყვი. მართლაც, ყველაფერი ეს სამუშის მოახლოებას გვაუწყებდა. კაპიტანს გავუზიარე ჩემი შიში, მაგრამ ეს ნათქვამი ვითომც არ გაუგონია, პასუხი არ მაღირსა, ისე მომცილდა. უშეფოთებული ვიყავი და რაღა დამაძინებდა; დაახლოებით შუალამე იქნებოდა, გემბანზე ამოვედი. დავადგი თუ არა ფეხი კიბის ზედა საფეხურს, წისქვილის ბორბლის მალი ხმიან-ბზრიალის დარი ხმაური გავიგონე და ჯერ კიდევ კარგად არ მქონდა აღქმული ეს ხმა, შევამსნიე, ზანზარი მოიღო გემმა. ერთი წამიც და ქაფოვანმა მორევეტრიალმა გვერდზე მიგვაგდო და გემბანიდან, თავიდან ბოლომდე ყოველივე გადალეკა, გადაამზღვრია.

მეტისმეტი მძვინვარება ამ მორევეტრიალისა მნიშვნელოვანწილად მხსნელი გამოდგა სომალდისათვის. თუშკაც კი მთლიანად დაფარა წყალმა და ყველა ანძა გადაიმტვრა და გადაცვივდა, წუთის შემდეგ მძიმედ ამოყვინთა ზღვიდან და მართალია კი ეხეთქებოდა აქეთ-იქით ქარიშხლის მძლავრი კვეთებისაგან, მაგრამ ბოლოს გასწორდა.

დაღუპვას რა სასწაულმა გადაიმარჩინა, ამას ვერა ესა ვერ იტყვის. ტალღამ ისე დამკრა, გრძნობა დამაკარგვია. გონს რომ მოვედი, ახტერშტევენს და საჭის შუა ვიყავი ჩაჭედილი. ძლივს წამოვდექი და გაოგნებულმა ირგვლივ მიმოვიხედე, ჯერ გავიფიქრე, ალბათ მორევეტრიალში მოუხვდით-მეთქი; უგრძნობიერესი კაცის გონებასაც გაუჭირდება ასე შემზარავად მბრუნავი წყლის წარმოდგენა, მთასავით თავს წამოგვდგომოდა ქაფმორეული ოკეანე. ცოტა ხნის მერე ერთი მოხუცი შვედის ხმა გავიგონე, სწორედ ნავსადგურიდან გამოსვლის ხანს აუყვანიათ ეს კაცი სომალდზე. მთელი ხმით გავძახე, კიჩოზე გამოდი-მეთქი. თურუნე ჩვენ ორნი გადავრჩენილვართ ცოცხალი. ვინც კი იყო გემბანზე, ჩვენ გარდა ყველანი ტალღამ გადაამზღვრია; ძილშივე დაიხრჩობოდნენ კაპიტანი და მისი თანაშემწე, რადგან იმათთან, კაიუტებში წყალი შეიჭრებოდა. ვინმეს დაუხმარებლად ჩვენ ხომალდს ვერ გადავარჩენდით, თანაც პირ-



ველად თავზარდაცემულნი ვიყავით, ასე გვეგონა, სადაცაა ჩაიძირებოდა სომალდი. ძაფივით გაწყვეტილიყო გრიგალის პირველსავე შემოტევაზე საღუზე ბაგირი, ასე რომ არ მომხდარიყო, იმწამსვე ჩავინთქმებოდით წყალში. საშინელი სიჩქარით მივქროდით ზღვაზე და ტალღები თავს გვევლებოდა. კარგა მაგრა მორყეულიყო ჩონჩხი გემისა, ასევე მაგრად დაზიანებულიყო მისი ყოველი ნაწილი; მაგრამ სინარულით აღარ ვიყავით, როცა ვნახეთ, მთელი იყო ტუმბოები და ბალასტიც მცირეოდენაჲ გადაადგილებულიყო. ქარიშხალი ისე აღარ მიპინვარებდა და აღარც ქარისა გვეშინოდა იმდენად, მაგრამ არც გრიგალის სრულ ჩაწყნარებას მოველოდით გულმშვიდად, დარწმუნებული ვიყავით, უთუოდ დავიღუპებოდით, რაკილა ასეთ დროს ვეებერთელა ტალღები იცის. მართლაც, სწორედ ასე იყო მოსალოდნელი, ოდონდ ასე არ მომხდარა. ამის შემდეგ ხუთი დღე-ღამე გავიდა — მთელი ეს ხანი მცირეოდენი ლერწმის შაქარი გვქონდა საზრდოდ, რის ვაივაგლახით რომ ამოვიტანეთ წინაერდოდან — ჩვენი აგრე შემუსრული ნავჭურჭელი წარმოუდგენელი სიჩქარით მიქროდა წინ გამძვინვარებული ქარისაგან დევნილი, თუმცა ახლა მისი ძალა ვერ შეედრებოდა სამუშის პირველ გააფთრებას, მაგრამ უფრო საზარელი ქარიშხალი მე ჯერ არ მინახავს, პირველი ოთხი დღე, ძირითადად, სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთით მივექანებოდით, როგორც ჩანს, ახალი ჰოლანდიის სანაპიროს გასწვრივ. მეხუთე დღეს ძლიერ აცივდა, თუმცა კი ქარმა ერთი რუმბითლა გადაგვახვევია ჩრდილოეთით. ჩვეულებრივი ბრწყინვალება დაშრეტოდა მზეს და სნეულისებრი სიყვითლე მოეღო, ჰორიზონტზეც რამდენიმე გრადუსით მოემადლებინა. მცირეოდენი ღრუბელიც არ მოჩანდა არსად, ქარი კი უფრო და უფრო ძლიერდებოდა და დროდადრო სოგვეახლებოდა ხოლმე გამძვინვარებული გრგვინვა-გრიალით. ჩვენი ვარაუდით დაახლოებით შუადღე უნდა ყოფილიყო, როდესაც კვლავ დავაკვირდით მზეს. მზე ანათებსო, ჩვეულებრივ ასე ამბობენ, მაგრამ ახლა ნათებას ვერ დაარქმევდით იმის მრუმე და სევდისმომგვრელ შუქს, რომელიც კი არ ირეკლებოდა, თითქოსდა შეკრულიყო მზის დისკო-

შივე. და მანამ, სანამ აბობოქრებულ ზღვაში ჩაეშვებოდა, მის შუაგულში სინათლე უეცრად ჩაიკვსო, მალიად გაილია, თითქოს რაღაც იდუმალ ძალას ემოქმედოს მასზე. მქრქალი, ვერცხლისფერა წრელა დარჩა და ისიც დაინთქა უძირო ოკეანეში.

მექქვსე დღის დადგომას ამაოდ მოველოდით, ჩემთვის ეს დღე არ დამდგარა, ხოლო იმ შეედისთვის არც დადგება არასოდეს. ბნელ-უკუნეთი გარსშემოგვხვეოდა და ვერც ვერაფერს ვხედავდით გემიდან ოც ნაბიჯზე. მარადიული ღამე გამეფებულიყო ირგვლივ, ზღვის ფოსფორისებურ ნათებასაც ვერსად გაეკაწრა ეს წარუვალი სიშავე, როგორც ეს, ჩვეულებრივ, ტროპიკებში იცის ხოლმე. ჩვენ ისიც შევნიშნეთ, რომ თუმცა მცირეთდნავაც არ შენელებულიყო ქარიშხლის მძვინვარება, ზღვის ზედაპირი ისეთი აღარიყო, ანუ, აქამდე ჩვენ გარშემო მოლივლივე ქაფოვანი ზოლები აღარსად ჩანდა. ესლა იყო ჩვენ ირგვლივ, შემზარავი უდაბნო, შავი ხის დარი, შავფერი, სულის შემსუთავი. ცრუმორწმუნეობრივი შიში დაეუფლა თანდათანობით მოხუცი შეედის გულს, ჩემი კი აღვსილიყო ჩუმი გაოცებით. ხომალდის დარდი აღარ გვქონდა, მაინც ველარაფერს ვუშველიდით, რაც შეიძლებოდა მაგრად მივებით უკანა ანძის ძირს და საწყალობლად გავცქეროდით უკიდევანო ოკეანეს. დროის გამოსათვლელად არაფერი გვქონდა, არც ადგილმდებარეობის გამოანგარიშება შეგვიქლო. იმას კი ვხვდებოდით, რომ სადღაც შორს, სამხრეთისაკენ უნდა ვყოფილიყავით გაჭრილი, მეზღვაურთაგან ჩვენამდე არც არავინ იქნებოდა მოხვედრილი ამ არემიდამოში, დიდად გაოცებული ვიყავით, რაკილა არსად გადავყრივართ ყინულს. ამავე დროს ყოველი წუთი დაღუპვას გვიქადდა, ჩვენს ჩანთქმას ესწრაფოდა თითქმის ცამდე აგრავნილი ტალღები. იმ ზვირთების სიდიდეს ვერა ენა ვერ იტყვის და სასწაული იყო, ამდენ ხანს რომ არ დავნთქმულვართ, ჩემი თანამგზავრი მეუბნებოდა, ტვირთი ბევრი არა გვაქვს და იმასაც მახსენებდა, საუკეთესო არისო ჩვენი ხომალდი; მაგრამ მე მთლად იმედდაკარგული ვიყავი და გულდათუთქული ვემზადებოდი სიკვდილისათვის, ასე ვფიქრობდი, კიდევ ერ-

თი საათი და ყველაფერი გათავდება-მეთქი. ყოველი საზღვაო კვანძის გავლისას სულ უფრო და უფრო მძვინვარებდა კუპრისფერი სტიქიონი. ზოგჯერ კი სუნთქვა გვეკროდა, ისეთ სიმაღლეზე აგვიტანდა ოკეანე, ალბატროსიც კი ვერ აფრინდებოდა უფრო მაღლა, მერე კი თავბრუდამხვევი სიჩქარით ძირს, წყლოვან ჯოჯოხეთში ჩამოვექანებოდით, სადაც სულის შემსუთავი ჰაერი იდგა და ჩქამიც კი არ არღვევდა მთვლემარე გველეშაპის მყუდროებას\*.

სწორედ ასეთ უფსკრულოვანში ვიყავით დანთქმულნი, როდესაც იმ ჩემი თანამგზავრის გულის წამლებმა ყვირილმა გააპო ღამე. „შესედე! შესედე! — ჩამკიოდა ყურში, — ღმერთო დიდებულო! შესედე! შესედე-მეთქი“. მომესმა თუ არა მისი ღრიალი, ბუნდად მოზიმიზიმე მეწამული ფერის ნათელი შევნიშნე გვერდებზე ამ უფსკრულოვანისა, სადაც ჩვენ ვიყავით დანთქმულნი, ჩვენს გემბანს ეფინებოდა ის პოციმციმე შუქი. მე ავაპყარი მზერა და იმან, რაც ვიხილე, შიშის ქარი ჩამიყენა მუხლებში. სწორედ ჩვენ ზემოთ, სამინელ სიმაღლეზე, სწორედ ამ უფსკრულოვანის კიდეზე ვეებერთელა ხომალდი დავინახე, ასე, დაასლოებით, ოთხი ათასი ტონა წყალწყვისა იქნებოდა; თუშცა ის ხომალდი დიდზე დიდი ტალღის წვეროზე იყო მოქცეული და ეს წყლოვანი მთა სიდიდით ასჯერ აღემატებოდა მას, და ნაინც, მისი ტოლი სახაზო გემი არსად მინახავს, არც ასტინდოეთის აღმით დაცურავდა ასეთი. შავ-ნაცრისფერი იყო მისი ვეება, მთლად უჩვეულოდ უჩუქურთმო ტანი. იმის მთელ სიგრძეზე, გასწვრივ, ღია სარქველებიდან ბრინჯაოს ზარბაზნის ლულები იმზირებოდნენ და ლაპლაპი გაჰქონდათ გემსართავებზე დაკიდებული აურაცხელი საბრძოლო ფარნის შუქზე. მაგრამ უფრო იმან გაგვაოცა და დაგვცა თავზარი, რომ გემი ყველა იალქანაღმართული მიდიოდა ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით ამ პირაშკმულ ზღვაზე, გააფთრებული გრიგალის შუაგულში. პირველად მხოლოდ იმ გემის ცხვირი დავინახეთ, ნელინელ რომ ამოიმართა მრუმე და ჯოჯოხეთური მორევეტრიალის წიაღიდან, ერთ შემზარავ წამს შეყოვნდა იმ თავბრუდამხვევ მწვერვალზე და მერე, თითქოსდა თავისი დიდებულებით მოჯადოებული, შეტორტმანდა და გადმოიიშლვრა, დაბლა წამოვიდა.

და სწორედ ამ წამს უეცრად სრულიად დაკვიპვიდლი, კი-  
ნოსკენ წავედი ფორთხვა-ფორთხვით და უპიპრად პოვე-  
ლოდი დაღუპვას, დაბოლოს ჩვენი ხომალდი დაპორჩისლდა  
ბედისწერას და ცხვირი ჩარგო ზღვის სიღრმეში, მერე კი  
ზვირთმა მის ჩანთქმულ ნაწილს დაჰკრა და რაც მე მაშინ  
მომივიდა, გარდუკალი იყო, გააფთრებულმა ძალამ იმ  
უცხო ხომალდის გემსართავეებზე მომისროლა.

მივეხეთქე თუ არა იმ თოკებს, ხომალდი შემოტრიალდა  
და გეზი იცვალა; ასეთ გაწამაწიაში რაღას შემაძჩნევენ-  
მეთქი, გავიფიქრე მე. მალე, არც გამჭირვებია, ჩუმად მოკ-  
ძებნე მთავარი ლუკი, რომელიც სანახევროდ ღია იყო და  
დრო ვიხელთე თუ არა, ტრიუმში ჩავიპალე. თუ რად  
ვქმენ ასე, ამის თქმა მიძნელდება. პირველად აქაური ზღვა-  
ოსნები რომ დავინახე, რაღაც გაურკვეველი შიში მომერია,  
იქნებ, სწორედ ეს იყო ჩემი დაბალვის მიზეზი. ნდობისა  
ვერ მოვეკიდე ამ სალსს, რომლებიც ერთი შეხედვითვე შე-  
უცხოვა და მრავალმხრივ უცხონი, საეჭვონი და შიშის მო-  
მგვრელნი ჩანდნენ ჩემთვის. ამიტომ გავიფიქრე, კარგი იქ-  
ნება თუ აქ, ტრიუმში რაღაც სამალავს მოვიწყობ-მეთქი.  
მცირეოდნავ გადავწიე ის ძელები, გემის გარე კედელს რომ  
ჰფარავდა და სულ ადვილად შემეძლო მოვყარებოდი იმ  
ვეებერთელა შპანპოუტს.

დავასრულე თუ არა ჩემი სამუშაო, ტრიუმში ფეხის  
ხმა მომესმა; მართლაც, ტყუილად არ გამიკეთებია ეს სამა-  
ლავი. ვიღაც კაცმა ჩაიარა უღონოდ და ფესარევით: თუშკა  
კი ვერ დავინახე მისი სახე, მაგრამ მივხვდი, ეს ტან-ფეხი  
ახალგაზრდა კაცისა არ უნდა ყოფილიყო, დროთაგან მოყ-  
რილი და დაჩაჩანაკებული ჩანდა. წლებს თავისი ექნა და  
მუხლებში ძალა წართმეოდა, მთელი სხეული მორღვეოდა  
სიბერისაგან. თავისთვის ბურტყუნებდა რაღაცას და მისი  
სიტყვები და ენა გაუგებარი იყო ჩემთვის; კუთხეში მიდგა  
და რაღაც საკვირველ ხელსაწყოებსა და შემპალ საზღვაო  
რუქებში დაიწყო ხელის ფათური. გასაოცარი მიხრა-მოხრა  
ჰქონდა ამ ბერიკაცს, ღვთაებრივი დიდებულება და მეორე  
ბავშვობა ამ კაცში ერთად შერწყმულა-მეთქი, ასე გავიფიქ-  
რე. დაბოლოს გემბანზე ავიდა და მეტი აღარც მინახავს.

\* \* \*

იმას სახელი არა აქვს, რასაც მე ვგრძნობ და რასაც სრულიად მოუცავს ჩემი სული — ანალიზს დაუმორჩილებელი რაღაც შეგრძნება, რომელიც უამთა სვლაში ვერ შეუსწავლიათ და ვერც მომავალში ვნახავთ იმ საიდუმლოს გასაღებს. ჩემი გონების კაცისთვის ეს აზრი დამღუპველია. არასდროს — მე ვიცი, არასდროს-მეთქი — დამაკმაყოფილებს ჩემეული ახსნა და მიკვლევა და რაღა გასათვარია ბუნდოვანება ამ ჩემი ახსნისა და მიკვლევისა, რომლის საფუძველი მეტისმეტი სიახლის ნიშნითაა ცხებული. რაღაც ახალი გრძნობაა — რაღაც ახალი არსით განიმსჭვალა ჩემი სული.

\* \* \*

კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველად დავადგი ფეხი ამ შემზარავ ხომალდზე და, მგონია, კი შეიკრა სხივები ჩემი ბედისწერისა. ამ ხალხისა არაფერი მესმის? ჩემთვის რაღაც მიუწვდომელი ფიქრით მოცულნი ჩამივლიან გვერდით და კი ვერ მხედავენ. მთლად სულელი უნდა ვიყო, რომ მე იმათ დავემალო, ვერც ვერასდროს მნახავენ. სწორედ ასლა ჩაუთარე თვალწინ პირველ თანაშემწეს; ამ ცოტა ხნის წინ კი გავბედე და თავად კაპიტნის ოთახში შევედი, საწერ-კალამი გამოვიტანე იქიდან, ჰოდა, ამით ვწერ და ადრეც ვწერდი. დროდადრო კიდევ განვაგრძობ ჩემს ჩანაწერებს. თუმცა, იქნებ, ვერც მივაწვდინო ეს ჩანაწერები სამყაროს, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეა. სულ ბოლო წამს ამ ხელნაწერს ბოთლში ჩავდე და ზღვას მივცემ.

\* \* \*

მოხდა რაღაც, რამაც კვლავ ამიშალა ფიქრები. ნუთუ გაუთავისებელი შემთხვევაა ამ მოვლენის თავიდათავი? გეპბანზე ამოსვლა გავბედე, თუცა არც არავის შევუმჩნევოვარ, ნავის ფსკერზე ჩავწექი ძველი იალქნებისა და გემსართავების გროვაში. ჩემს უცნაურ ბედზე ჩაფიქრებული, ფისის ფუნჯს ვუსვამდი ჩემდა უნებლიედ მაგრად დახვეულ

გვერდის იალქანს, რომელიც იქვე იდო კასრზე. ანდა ის იალქანი აღმართულია სადაც ჯერ არს და ეს ჩემი ჭკუა-მიუტანებელი მხატვრობა ამ სიტყვით გამომზეურდა — ა ლ მ ო ჩ მ ნ ა .

\* \* \*

გემის მოწყობილობას ვაკვირდები ამ ბოლო ხანს და ბევრი საგულისხმო რამ შევნიშნე. თუმცა კარგადაა შეიარაღებული, მე მგონია, ის მაინც არ უნდა იყოს სამხედრო ხომალდი. ისეა აგებული, გამართული და აღჭურვილი, რომ იმწუთას უარყოფ ამ აზრს. თუ რა არ არის ის, ამის მიკვლევა არ მიძნელდება, მაგრამ ვშიშობ, ვაითუ ვერა ვთქვა, რა უნდა იყოს ის. არ ვიცი რა ხდება, მაგრამ ამ გემის უცნაურ აგებულებას მის ნაწილებს, მის სიდიდეს, მის ვებერთელა საიალქნე ტილოს, ცხვირის მკაცრ უბრალოებასა და ძველებურ კიჩოს რომ ვაკვირდები, გონებაში რაღაც ნაცნობი სურათები გამიელვებს, აირ-დაირევა ერთმანეთში, ბუნდი მოგონებები წამოიშლებიან და დიდი ხნის წინანდელი უცხოური ძველთაძველი ქრონიკები მომაგონდება და გაქრება უმაღვე.

\* \* \*

გემის შპანჰოუტი მოვათვალიერე. ჩემთვის უცნობი მასალისგანაა გაკეთებული. რაღაც განსაკუთრებული ხე უხმარიათ, რაც ჩემი აზრით, სულაც არ უნდა ყოფილიყო გამოსადეგი იმისთვის, რისთვისაც გამოუყენებიათ. მე იმის ბუნებრივ ნასვრეტთანობას ვგულისხმობ, ეს ხე მაშინაც ისეთი იყო, როდესაც ტყეში მოჭრეს და გემის ასაგებად წამოიღეს, სიძველის ბრალი არ უნდა ყოფილიყო ეს, არც იმის, ჭიას რომ დაეჭამა სრულიად და სულ აქაურ ზღვებში რომ დაცურავდა. შეიძლება ეს ჩემი შენიშვნა არც კი დაიჯეროთ, მაგრამ ეს ხე ძალიან ჰგავდა ესპანურ მუხას, რომელიც როგორღაც უსაშველოდ გაედიდებიათ.

ამ უკანასკნელი წინადადების წაკითხვისას ერთი უცნაური აფორიზმი წამომავიწყდა, ნათქვამი ვიღაც ძველი,

ათას თოკში გამოიმკვრალი ჰოლანდიელი მეზღვაურისა. „ეს ისევე სწორია, — იტყოდა ხოლმე, როდესაც ვინმეს ეჭვი შეეპარებოდა მისი სიტყვების ჭეშმარიტებაში, — ეს ისევე სწორია-მეთქი, როგორც ის, რომ სადღაც არის ზღვა, სადღაც მეზღვაურის ცოცხალი სსეულის მსგავსად იზრდება გემი“.

\* \* \*

დაასლოებით ერთი საათის წინ გავბედე და აქაურ მეზღვაურებთან მივედი, ჩავდექი იმათ შორის. სულაც არ მოუქცევიათ ჩემთვის ყურადღება, თუმცა კი იმათ შუაგულში ვიდექი, თითქოსდა ვერც მიმსვდარიყვნენ ჩემს არსებობას იმ პირველის მსგავსადვე, იქ, მაშინ, ტრიუმში რომ ვნახე. სუყველანი მთლად დაჩაჩანაკებულნი ჩანდნენ. უღონობისაგან მუხლებაკანკალებულნი იდგნენ, წელში ორად მოხრილიყვნენ, იმათ გამომშრალ კანს შარიშური გაჰქონდა ქარზე; ხმა უწყდებოდათ, ზიფჩიფებდნენ, ძლივსდა ისმოდა მათი ნაუბარი; სიბერისაგან თვალები ეცრემლებოდათ, ქარიშხალს საშინლად აეფრიალებინა მათი ჭაღარა თმა. გემბანზე ირგვლივ ყველგან ეყარა რაღაც გასაოცარი ფორმის დაძველებული მათემატიკური ხელსაწყოები.

\* \* \*

ამ ორიოდე დღის წინ ვახსენე, გვერდითი იალქანი აღუმართავთ-მეთქი. სწორედ მას შემდეგ გემმა გეზი იცვალა და ახლა პირდაპირ ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით მიდიოდა, სამსრეთისაკენ განაგრძობდა თავის შემზარავ სვლას, დიდი და მცირე, ყველა იალქანი აესხათ ანძებზე და გრიალი გაჰქონდათ კიდევაც, ყოველ წამს გემის ბრამსელი და ქანდარა ინთქმებოდა უფსკრულოვანში წყლის სტიქიონისა, რომლის სიღრმეს ადამიანიშვილი თუ წარბოიდგენს მხოლოდ. სწორედ ახლახან წამოვედი გემბანიდან, სადღაც ფეხზე გაჩერება აღარ შემეძლო, თუმცა კი იმ მეზღვაურებს არა უჭირდათ რა. ჩემი აზრით, სასწაულთაგან სასწაული იყო, რომ ეს ჩვენი ვეებერთელა ხომალდი ზღვამ

არ ჩაყლაპა ერთხელ და სამუდამოდ. ჩვენი ბედისწერა უთუ-  
ოდ ეს უნდა იყოს, სასრულეუქსანელი ქროლვა მარადისობის  
ნაპირზე, და არც არასდროს ჩავესვენებით წყლისქვეშეთში.  
ცამდი აჭრილი ზვირთებიდან, ათასგზის რომ აჭარბებს აქა-  
მომდე ნანახს, წვრილნიკაართა თოლიასავით მსუბუქად მი-  
ვსსლტებით დაბლა; და ბუმბერაზი წყლოვანი მთები წა-  
მოგვდგომია თავს ვითარცა ზღვისქვეშეთის დემონები, ვი-  
თარცა დემონები-მეთქი, ვისთვისაც ჩვენი დაღუპვა აუკ-  
რძალავთ, მუქარის უფლებალა მიუნიჭებიან მათთვის. თუმ-  
ცა უფრო სწორი ისაა, რომ ჩვენს გადარჩენას რაღაც ბუ-  
ნებრივი მიზეზი უნდა ესაძირკვლებოდეს — ხომალდი მგო-  
ნი ძალუმ დინებაშია მოხვედრილი ან რომელიღაც წყლის-  
ქვეშა დინება მიათრევს.

\* \* \*

პირისპირ დავუდექი კაპიტანს, როდესაც მის კაიუტაში  
შევედი, მაგრამ, ასეც მოველოდი, იმას ჩემთვის სულაც არ  
მოუქცევია ყურადღება. თუმცა იმისი სახე, ერთი შეხედვით,  
ჩვეულებრივი მოკვდავისა იყო, მაგრამ ამ კაცის დანახვა  
ერთად მგვრიდა მოწიწებას, ძრწოლასა და გოცებას. დაახ-  
ლოებით ჩემი სიმაღლისა იყო, ხუთი ფუტისა და რვა დუ-  
იმის. ლაზათიანი და ძლიერი აგებულებისა გახლდათ, თუმ-  
ცა არც კუნთები ეტყობოდა და ვერც რამე განსაკუთრებულს  
შეამჩნევდით. მაგრამ გასაოცარი გამომეტყველება კი აღ-  
ბეჭდილიყო მის სახეზე — დაძაბულობის, იდუმალების, სუ-  
ლით ხორცამდე რომ გვამცნობდა მის დიდ ასაკს, იმდენად  
დიდს, რომ ეს გარემოება რაღაც გრძნობას, ენით უთქმელ  
განწყობილებას მგვრიდა, მცირეოდნავლა ჰქონდა დანაოჰყ-  
ბული შუბლი და მაინც მირიადი წელიწადი აღბეჭდილიყო  
მისზე. ჟამთა სვლას შერთოდა მისი ჭაღარა და მისი ჭკუა-  
გონება სიბილას თვალებით უჭვრეტდა მომავალს. მისი კა-  
იუტის იატაკი უცნაური, რკინით მოჭედილი ფოლიანტებით,  
ჟანგპოდებული საძეცნიერო ხელსაწყოებით, ძველთაძველი,  
ადამის ჟამინდელი რუკებით იყო სავსე. ხელებზე თავდაყ-  
რდნობილი იჯდა, აკლანთებული და აღელვებული ჩაპყუ-  
რებდა ქალაღღს, რაღაც ბრძანება უნდა ყოფილიყო, მგო-



ნია, ასე იყო თუ ისე, მეფის ხელმოწერაც კი ჰქონდა იმას; თავისთვის ჩურჩულებდა ის კაცი იმ მეზღვაურის დარად, პირველად რომ ვნახე ტრიუმში, რაღაცას წარმოთქვამდა ანჩხლი ხმით უცხო ენაზე და თუმცა შემეძლო ხელი მიმეწვიდინა იმისთვის, თითქოსდა ერთი მილის სიშორიდან მესმოდა მისი ხმა.

\* \* \*

მთელი ხომალდი და ყველაფერი, რაც კი აქ არის, მოუცავს სულს უხსოვარი დროისას. ვითარცა საუკუნეთა წიად დანთქმულნი აჩრდილები, წინ და უკან დასხლტიან მეზღვაურები, იმზირებიან შესფოთებული და დადარდიანებული თვალებით; და როდესაც საბრძოლო ფარნების ველურად აბრკიალებული შუქი ჩემს სავალზე დამხვდება, ვგრძნობ იმას, რაც არც არასდროს მიგრძენია, თუმცა კი მეტი რა გამიკეთებია, მთელი ჩემი ცხოვრება სიძველეებით ვვაჭრობდი და იმდენჯერ მქონია ხილვა ბაალბექის, თადმირისა და პერსეპოლისის გაცამტვერებული სვეტებისა, რომ თავად ჩემი სულიც შეიმუხრა საბოლოოდ.

\* \* \*

ვათვალისწინებ ირგვლივ ყველაფერს და მრცხვენია, პირველად როგორ შევშინდი-მეთქი. გრივალის მძვინვარება გვდევნიდა აქამდე და თუ იმის შიშით სული მეპარებოდა, ახლა ხომ უნდა თავზარი დამეცეს ქარისა და თკეანის ორთაბრძოლის მაცქერალ კაცს, ქარბორბალა და სამუშიაო, ვერ ვიტყვით ამ სურათის წინარე მდგომნი, რადგან შეუძლია კი ამ სიტყვებს გვამცნოს ჭეშმარიტი ძალა ამ სტიქიონისა? გემის სიახლოვეს მარადიული ღამის ბნელუკუნეთი, დუჟმორეული წყლის ქაოსი გამეფებულა, მაგრამ დაახლოებით ერთი ლიგის მანძილზე ვხედავთ, დროდადრო და ბუნდად, ყინულის ბუმბერაზ მთებს, უდაბური ცისკენ რომ აღმართულან ვითარცა სამყაროს კედლები.

\* \* \*

სწორედ ასეა, როგორც მე ვფიქრობდი, ხომალდი გა-  
უტაცებია დინებას, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ იმ ნაკადს,  
ჰოდა, ეს თეთრყინულოვანი წყლის ველი ზათქითა და ღრი-  
ალით სამხრეთისაკენ მიექანება. იმისი გურგური გააფთ-  
რებული ჩანჩქერის ვარდნას მომაგონებს.

\* \* \*

მგონია, მთლად შეუძლებელი უნდა იყოს ამ ჩემი შემ-  
ზარავი გრძნობების ჩახვედრა; მაგრამ ამ თავზარდამცემი  
მხარის შეცნობის სურვილი სძლეეს ჩემს სასოწარკვეთი-  
ლებას და აღარ ვწუხვარ, თუნდაც ტანჯვით ამომხდეს სუ-  
ლი. ჩვენ, როგორც ჩანს, რაღაც გულის წარმტაც ცოდნას,  
რაღაც ჯერხნობით დაგმანულ საიდუმლოს ვესწრაფით,  
რომლის მიკვლევა და დაღუპვა ერთი იქნება. შესაძლებე-  
ლია, დინებას სულაც სამხრეთ პოლუსის ჭიბისაკენ მივყა-  
ვართ. სწორედ ასე უნდა იყოს, თუმცა კი ძნელია უცებ ამ  
შლეგური აზრის გათავისება.

\* \* \*

შეშფოთებული დაბარბაცებენ მეზღვაურები გემბანზე,  
მაგრამ იმათ სახეებს უფრო იმედის ალი დასთამაშებს, ვიდ-  
რე შავი ალმური უსასობისა.

ქარი კი ისევ კიჩოდან მოგვედგომია, და რახან ჩვენ  
ზემოთ მთელი ჯგროთა იალქნებისა, გემი დროდადრო უსს-  
ლტება ზღვის სახას... ჰაი, შემზარაობა უშემზარავესი! გა-  
ნიხვნა უეცრად ყინული ხელმარჯვნივ და ხელმარცხნივ,  
გულისამრევად დატრიალდა ყველაფერი, კონცენტრირებულ  
წრეს ვურტყამთ, ვბრუნავთ და ვბრუნავთ გარშემო გიგან-  
ტური ამფითეატრისა, რომლის კიდეები ინთქმება სადღაც,  
ბნელით მოცულ შორეთში. მაგრამ დრო აღარ არის, ჩემს  
ბედზე ფიქრს ველარ მოვასწრებ — მსწრაფლ იზღუდება სიმ-  
რგვალე მორევტრიალისა, ღურღუმელის პირმა ყლაპი გვიყო,  
და ოკეანის ამ ყმუილში, ღმუილში, ვრუსუნსა და გრგვინ-  
ვა-გრიალში, ჰოი, ღმერთო! — დაბლა მივიმზღვრევით.

შენიშვნა. — „ბოთლში ნაპოვნი ხელნაწერი“ პირველად 1831 (1833) წელს გამოქვეყნდა. კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, როდესაც ხელთ ჩამივარდა მერკატორის რუკები; ამ რუკების მიხედვით, ოკეანის წყალი ოთხ ადგილას ეშვება. (ჩრდილოეთ) პოლუსის წიაღ და სადღაც იკარგება დედამიწის სიღრმეში. თავად პოლუსი ერთ შავ კლდედ არის გამოსახული, თითქმის ზეცის კარს მიბჯენილი [ე. ა. პ.]

## შენიშვნა კუნძულო

Nullus enim locus sine genio est.  
Servius<sup>1</sup>

„La musique, — წერს მარმონტელი იმ თავის „Contex Moraux“<sup>2</sup>, რომელიც ჩვენთან ყველას ასე უთარგმნია: „ზნეობრივი მოთბრობები“. ჰოდა თითქოსდა დასცინის კიდევაც იმის შინაარსს, — la musique est le seul des talents qui souissent de lui même; tous les autres veulent des temions<sup>3</sup>. აქ იგი ერთმანეთში ურევს ტკბილი ბგერებით მოგვრილ სიამოვნებას და მათი შემოქმედების უნარს. სხვა ნიჭის დარად მუსიკალურისასაც შეუძლია ჩვენი აღფრთოვანება მაშინაც კი, როცა მარტონი ვვარჯიშობთ და მსმენელი არა გვყავს. სწორედ ის გარემოება, რომ მას ძალუძს ეფექტური იყოს და დიდი სიხარული მოგვანიჭოს მარტოობის ჟამს, მსგავსაა ხდის სხვა ნიჭთან, ის იდეა, რომელიც მწერალმა სუსტად გამოხატა ან მსხვერპლად მიიტანა მახვილსიტყვაობის ეროვნული სიყვარულის საკურთხეველზე, თქმა არ უნდა, ცხადლივ გვამცნობს იმას, რომ უმაღლესი დონის მუსიკა სულით ხორცამდე მხოლოდ მარტოობის ჟამს შეგვ-

<sup>1</sup> ყველა ადგილს ჰყავს თავისი მფარველი ანგელოზი. — სერვიუსი (ლათ.)

<sup>2</sup> Moraux-ს ესაძიკვლება moeurs და ნიშნავს „მოდურს“ ღნუ, უკ-ტო სწორად, „მანერების შესახებ“.

<sup>3</sup> „მუსიკალურობა ერთადერთი ნიჭიერებაა, თავისი თავით რომ კმაყოფილდება; სხვა ყველას მეორე პირი სჭირდება“ (ფრანგ.).

ძრავს. ვისაც ჩანგი მისი გულასთვისდა უყვარს და სულიერი კმაყოფილებით უსმენს დაკვრას, იმ წუთსავე გაიზიარებს ასეგვარად გამოთქმულ ამ მოსაზრებას. მაგრამ ცოდვილ მოკვდავთათვის არის კიდევ ერთი სიამოვნება — შეიძლება ეს იყოს ერთადერთიც — მუსიკაზე უფრო რომ ზემოქმედებს ჩვენს გრძნობებზე მართოდ ყოფნის ჟამს. ბუნების წიაღში მოხვედრის ბედნიერებას ვგულისხმობ. მართლაცდა, თუ კაცს სურს ჩახვდეს ამ მიწაზე დიდებას ღვთისას, მართლდემყოფმა უნდა ეზიაროს ამ დიდებას. მე თუ მკითხავთ, რაც უნდა იყოს, ყოველის — არა მართო ადამიანიშვილის — არსებობა, გარდა ნიადაგში აღმოცენებული მწვანით შემოსილი ჩუმი მცენარეებისა, სვრის არემიდამოს სედს, ებრძვის ადგილის დედას. ჭეშმარიტად, სიყვარულით ვუმზერ ბნელით მოცულ ველებს, ჩანაცრისფერებულ კლდეებს, მოჩუხჩუხე წყაროებს, შფოთსავსე, კენესით მთვლემარე ტყეებს, მთებს, მედიდურად რომ ჩამოსცქერიან ბარს — მე მიყვარს ბუნების ეს საოცრება, ვეებერთელა ნაწილები სულისა და გულის მქონე მთელისა — მთელისა-მეთქი, რომლის ფორმა (სფეროსებური) უსრულქმნილესი და ყოვლისმომცველია; პლანეტათა დასში მიიხვევა მისი ბილიკები; მთვარეა მისი სათნო მსახური; მზე ღვთაებრივი მეუფე მისი; მარადიულობაა სიცოცხლე მისი; ფიქრები მისი რომელიდაც უფალს დასტრიალებს; შემეცნებაა სიამოვნება მისი; უსასრულობასთანაა წილნაყარი მისი ბედი; მისი ცოდნა ჩვენზე მსგავსია ჩვენი ცოდნისა animalculae-ს<sup>1</sup> შესახებ, რომლითაც სავსეა ჩვენი ტვინი — ამისდა კვალად ეს არსება წარმოგვიდგება ვითარცა წმინდა უსულო და მატერიალური, იქნებ, ამგვარად წარმოვუდგებით ჩვენც ამ animalculae-ს.

ჩვენი ტელესკოპები და მათემატიკური გამოკვლევანი ყოველთვის იმას გვამცნობდნენ — მიუხედავად მეტი წილი ბრიყვი მღვდელმსახურების გაბრტყელებული სიტყვებისა — რომ სივრცეს და მისგან გამომდინარე მოცულობას დიდი მნიშვნელობა აქვს ზესთა უმაღლესისათვის. ციკლობრივია ვარსკვლავთა მოძრაობა და ამიტომაც გამოირიცხულია უდი-

<sup>1</sup> მიკროსკოპული არსებანი (ლათ.).

დესი რაოდენობის ციური სხეულების შეჯახება. ზუსტად ისეთი ფორმისა არიან ეს სხეულები, რომ მოცემულ ზედაპირზე უნდა დაეტიოს რაც შეიძლება მეტი მატერია, ხოლო თავად ეს ზედაპირი ისეა მოწყობილი, რომ რაც შეიძლება მრავალმა არსებამ ნახოს თავშესაფარი; ამდენი ვერ მოთავსდებოდა ამავე ფართობის ზედაპირზე, სხვაგვარად რომ ყოფილიყო მოწყობილი იგი. სივრცის უსასრულობამ არ უნდა გვაფიქრებინოს, ის, რომ საზრუნავი არ არის მოცულობა, რადგან მის შესახებ შეიძლება არსებობდეს მატერიის უსასრულო რაოდენობა. და რაკილა ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ მატერიისათვის სიცოცხლისუნარიანობის მინიჭება რაღაც პრინციპია — მართლაცდა, რამდენადაც ჩვენ ამისი განცდა შეგვიძლია, ღვთაებრივი გამოვლინების ძირითადი პრინციპია — ნაკლებად ლოგიკური იქნება წარმოდგენა იმისა, რომ ეს პრინციპი შეიძლება მცირედით შემოიფარგლოს, სადაც ყოველდღიურად ვხედავთ ხსენებული გამოვლინების კვალს; სწორი იქნება თუ ვიტყვით, ვრცელზე ვრცელია მისი მეუფება. თუკი ჩვენ ვნახულობთ სასრულისუქონელ ციკლებში ციკლებს, როდესაც ყოველივე აქ ტრიალებს სადღაც შორეთში დანთქმული ღვთაებრივი ცენტრის გარშემო, ამ გარემოების ანალოგიურად სომ შეიძლება ვივარაუდოთ სიცოცხლის არსებობა სიცოცხლეში, მცირეთა ყოფნა უდიდესთა წილ და ყველა ამათ ერთად კი — ღვთაებრივ სულში? ერთი სიტყვით, შეშლილთა მსგავსად ვცდებით ესოდენი თავდაჯერებულობის გამო, როდესაც გვჯერა, კაცი თავისი აწმყო-მომავლით სამყაროსათვის უფრორე მნიშვნელოვანია, ვიდრე ის „ღვინჭანი ხევისანი“, რომელსაც ხნავს და თესავს და სძულს კიდევაც, უსულობას უკიჟინებს მას და ამის მიზეზად ის მოჰყავს, რომ არც არასდროს უნახავს მოქმედება მისი სულისა<sup>1</sup>.

მთაზე ან ტყეში, მდინარის ან ზღვის ნაპირზე ყოფნის ხანს ჩემს ამ და ამდაგვარ ფიქრებს დაჰკრავდა ისეთი ელფერი, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ფანტასტიკურს და-

<sup>1</sup> თავის ტრაქტატში — „De situ orbis“ მოქიევათა თაობაზე რომ საუბრობს, პომპონიუს მელა ასე გვამცნობს: „ქვეყანა ან დიდი ცხოველია, ან...“ და ა. შ.

არქმევენ სოლმე. ზეჯრს ესეტიალობდი ასეთ მიდამოებში ცნობისმოყვარეობით ძოცული, მარტოდმარტო ვიყავი ხშირად; ყურადღებით ვაკვირდებოდი ბუნებას, იმას, რასაც გადავაწყდებოდი, ბნელსა და უძირო ხევს, ტბის ნათელ ზედაპირზე არეკლილ ზეცას; ხსენებული ყურადღება მით უფრო მიცხოველდებოდა, როდესაც ვავიფიქრებდი, მარტოდ ვარ, ჩემ გარდა აქ არავინაა. ვილაც ფრანგს<sup>1</sup> ბრიყუულად მოუხსენებია ციმერმანის ერთი ცნობილი თხზულების შემდეგი პასაჟის გამო: „la solitude est une belle chose; mais il faut quelqu' un pour vous dire que la solitude est une belle chose“<sup>2</sup>. მართლაც ასეა, მაგრამ ეს ხომ თავისთავადაც ცხადია.

ერთხელ, მარტოდმარტო რომ ესეტიალობდი რომელიღაც შორეული მხარის მთიანეთში, მთვლემარე, მდუმარედ მოლივლივე, სევდის მომგვრელი მდინარეებისა და კაემნით მოცულ ტბათა სანაპიროებზე, სადღაც აქ წყარო და კუნძული დავინახე. უეცრად წავაწყდი ამ ადგილს, იენისის თვის ფოთოლთა შრიალი ისმოდა, ამ არემიდამოს საჭკრეტად ბუჩქნარის ქვემოთ, კორდზე წამოვწეკი, მისი უცხო სურნელება ტრიალებდა ირგვლივ. ვგრძნობდი, რომ მხოლოდ მე უნდა მემზირა ამ სურათისათვის, ზმანებისდარი რომ ჩანდა.

ყოველი მხრით — გარდა დასავლეთისა, სადაც მზე ვადახრილიყო — ზურმუხტისფრად იდგა ტყის ზღუდენი. პატარა მდინარე მოედინებოდა აქ და მკვეთრად უხვევდა, აღარსად ჩანდა, თითქოსდა აქვე, აღმოსავლეთით, მომწყვედულიყო და გასასვლელს ველარ პოულობდა ხეების მუქ-მწვანე ტევრში და საიდანლაც, საპირისპირო მხრიდან (მწოლარესა და ზევით მაკქერალს ასე მეჩვენებოდა) ჩანჩქერად მოიღვრებოდა უსასრულოდ და ჩუმად, შეფერილი სადამო ხანის ზეცაზე დამავალი მზის მეწამული და ოქროსფერი სხივებით.

დაახლოებით შუაგულში ამ მცირეოდენი სივრცისა, სადაც მიწვდომოდა ჩემი დაბინდული მზერა, მდინარის

<sup>1</sup> ბალზაკი; მიახლოებით გეუბნებით, ზუსტად არ მასსოვს.

<sup>2</sup> „მარტოობა მშვენიერია, მაგრამ ისიცაა აუცილებელი, რომ ვილაცამ გითხრათ, მარტოობა მშვენიერიაო“ (ფრანგ.)

მჩქროლავ მკერდზე პატარა მრგვალი კუნძული დავანებულყო.

და ნაპირი და ჩრდილი აქ ისე შერწყმულა,  
თითქოსდა ჰაერში ერთთავად შენივთებულა —

წყლის სარკისებურ ზედაპირს ისეთი ნათელი გადასდიოდა, რომ ძნელად თუ იტყოდით, სად, ფერდობის რომელ ადგილზე თავდებოდა ზურმუხტისფერი გორდი და იწყებოდა ბროლისებრი ტბის სამფლობელო.

აქედან, სადაც მე ვიმყოფებოდი, შემეძლო თვალის ერთი გადავლებით მეხილა კუნძულის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაპირნი, გასაოცარი განსხვავება შეინიშნებოდა იმათ შორის. ბაღნარის მშვენიერთა ჰარამხანა გამოჩნდა დასავლეთით. მზის აღმაცერ სხივებს ისე აელვარებინა და აელაპლაპებინა ქვემოთ ყველაფერი, რომ მთელი ეს არემიდამო იცინოდა ყვავილთა სიცილით, სწორი, მოკლე და სურნელოვანი ბალახები ასფოდელოებით გადაპენტილიყო. ხეები იდგნენ აქ მოქნილნი, მხიარულნი, ზეაღმართულნი — ნათლით მოსილნი, გრაციოზულნი, იმათი ამაგობა და ფოთლოვანი ტევრი რაღაც აღმოსავლურს მოგვაგონებდა, პრიალა, კრიალა და ჭრელი კანისანი. სიცოცხლის დიდებულებითა და სიხარულით გამსჭვალულიყო აქაურობა და თუმცა ზეცით მონაბერი ნიავიც კი არ იძროდა, ყოველივე აქ მაინც ფრთხილებდა, მი და მო დაფარფატებდა ურიცხვი პეპელა ვითარცა ფრთოსანი ტიტები<sup>1</sup>.

სხვა, ანუ აღმოსავლეთი ნაპირი კუნძულისა ბნელ-უკუნ ჩრდილში დანთქმულიყო, მკაცრი, თუმცა კი მშვენიერი და მშვიდი ბინდი მოფენოდა ყოველივეს. მუქფერისანი იყვნენ იქ ხეები, დაღვრებით მდგარნი, გულის მომკვლელი სევდით დახრილები და ზარზეიმურად დამწუხრებულები გვამცნობდნენ გლოვასა და უდროო სიკვდილს. შავფერი ბალანი გადაკვროდა იმ ადგილს კვიპაროსის ჩრდილივით, მრავალი უშნო გორაკი წარმოჩენილიყო იმათ შორის, დაბალნი, ვიწ-

<sup>1</sup> *Florem putares nare per liquidum aethere.* — P. Commire.  
(შენ ფიქრობ, რომ ყვავილი შედინი ეთერთაა ნაშობი. — მამა კომირე).

რონი და მოგობონი, საბჭულებო მსგავსნი, თუმცა სამაროვანი არ იყო ეს ადგილი, გადაბურული რუტითა და როზმარინისა. ხეთა ჩრდილები მძიმედ ჩაჭდოდნენ წყალს, თითქოსდა ჩაკარგულიყვნენ იმის სიღრმეში და გადმოსცემოდათ იქაური სიბნელე. ასე წარმოვიდგინე, თითქოსდა ამ ჩრდილთაგან ყოველი, მზის სულ დაბლა, დაბლა ჩაშვებისდა კვალად, ქუშად მოსცილებოდა მის დამბადებულ ხეთა ტანს და ჩახვეულიყო დინების წიად; და სხვა ჩრდილებიც სცილდებოდნენ წამის უმაღესად ხეებს და წარხოცილთა, დაკრძალულთა ადგილს იკავებდნენ.

ჩემს ფანტაზიაზე მიმძლავრებულმა ამ იდეამ დიდად იმოქმედა და ოცნებათა ბურუსში ვაძვსვია. „თუკი ოდესმე ყოფილა სადმე მოჯადოებული კუნძული, — ვთქვი მე ჩემთვის, — სწორედ ეს უნდა იყოს. ეს არემიდამო თავშესაფარია ორიოდე უნახესი ფერიის, დაღუპულ მოდგმის ნაშიერთა. იქნებ, იმათია ეს მწვანეში ჩაფლული საფლავეები? — ან იქნებ, ისინი ადამიანიშვილთა დარად ეყრებიან თავიანთ ტკბილ სიცოცხლეს? თუ მომაკვდავნი განილევნიან სევდით და ასე ნელინელ, ნელინელ მიაბარებენ სულს უფალს ვითარცა ხეები ერთიმეორის მიყოლებით იცილებენ ჩრდილებს და საბოლოოდ კარგავენ კიდევ თავის სუბსტანციას? წყალში ინთქმება ხის ჩრდილი და რომ ილევა თანდათანობით, სულ უფრო და უფრო შავდება, შეიძლება სწორედ ასეთია ფერიათა დამოკიდებულება ყოვლისმომცველი სიკვდილისადმი?

სანახევროდ დახუჭული თვალებით ასე რომ ვფიქრობდი, მზე სწრაფად წვებოდა მოსასვენებლად, მალიად, მალიად მიიხვეოდა მორევი კუნძულის გარშემო და მოჰქონდა, მოაქანებდა ვეებერთელა, თეთრზე თეთრ ჭადრის ქერქებს, ასეგვარად მბრუნავი წყლის ზედაპირზე მრავალნაირად აღიქმებოდა ხის ეს ნაჭრები და მკვირცხლ წარმოდგენას შეეძლო ნებისმიერის საგნის გამოსახულება მიენიჭებინა მათთვის — ასე ოცნებამორეულმა კაცმა იმ ფერიათაგან ერთ-ერთი დავლანდე, სწორედ იმაზე ვფიქრობდი ამ ცოტა ხნის წინ და ახლა კუნძულის დასავლეთით ჩამოფენილი ნათლიდან წყნარად მიელტვოდა სიბნელეს. ტანალვა ქალი



იდგა საოცრად პაწაწინა ნავში და ხელთ ეპყრა ზმანების — დარი უმსუბუქესი ხოფი. დაისის უკანასკნელი წუთების სინათლეზე მხიარულების არილი გადასდიოდა სახეზე, მაგრამ მალე კაემნით აღიბეჭდა ჩრდილთან შეერთების კვალობაზე. უჩუმრად მიცურავდა, დაბოლოს კუნძულს შემოუარა და ისევ მოატანა ნათელს. „ფერიას ჩუმი ტრიალი ამ კუნძულის გარშემო, — აღარ გამიწყვეტია ძაფი ფიქრისა, — სწორედ ეს არის მისი ხანმოკლე სიცოცხლე. მიდის ზამთარი და მიდის ზაფხული. სიკვდილის წელიწადს მოახლოებია იგი; რადგან სომ ვხედავ კარგად, როგორ შეუერთდა ჩრდილს და როგორ მოცილდნენ ჩრდილები მას და ჩაიხვია წყლის ბნელეთმა, და სულ უფრო უშავესი გახდა სიბნელე მისი.

და კვლავ გამოჩნდა ნავი იგი და მასზე ფერია; მაგრამ ახლა მას ეტყობოდა, რომ მოსჭარბებოდა საზრუნავ-საორკოფო და შემცირებოდა სიმხიარულე. კვლავ მოიქცა სინათლიდან სიშავეში (იმ წუთსავე რომ იმძლავრა) და კვლავ მოსწყდა ჩრდილი და ჩაინთქა შავი ხის ფერის წყალში, და ყლაპი უყო ბნელ-უკუნეთმა. და კვლავ და კვლავ გარშემო უვლიდა ფერია ამ კუნძულს (სანამ მზე ქვემორე ეშვებოდა დასაძინებლად), და ახლა, სინათლეში ყოველი მისი გამოჩენის ხანს სულ უფრო და უფრო სევდიანი, უღონო, ბუნდი და მიმქრალი ჩანდა; და ყოველი მისი წიაღსვლა სიშავეში, ყოველი მისგან მოსხლეტილი ჩრდილი წყვდიადის მეუფებას მოწმობდა უკვე. დაბოლოს, როდესაც სრულიად გაილია მზის შუქი, ფერია, აჩრდილმა იმისმა, რაც იყო, მკუვნვარედ გასწია ნავითურთ შავი ხის ფერის დარ ნაკადისაკენ — და თუ გამოვიდა იქიდან, ვერ გეტყვით, რადგან უკუნეთი ჩამოწვა ყველგან და აღარ მინახავს სახე მისი მომჯადოები.

ნიუ-იორკში ქალერის მიწინვარების ჯამს ერთმა ნათესავმა მიმიწვია ორიოდე კვირით ჰუძონის ნაპირას მდებარე cottage ornee<sup>1</sup>-ში. საზაფხულო გასართობი არაფერი გვაქვდა, ასე რომ ტყე-ტყე ხეტიალით, ხატვით თევზაობით, ბანაობით, მუსიკითა თუ წიგნებით დროს კარგადაც გავატარებდით, რომ ხალხმრავალი ქალაქიდან შემადრწუნებელი ცნობები არ მოგვსვლოდა ყოველ დილით. დღე ისე არ გავიდოდა, ვინმე ნაცნობის ავადმყოფობა არ გაგვეგო. რაკიდა ეს უბედურება აღარ თავდებოდა, შიშმა დაგვრია ხელი, ვაითუ, დღეს-ხვალ რომელიმე მეგობრის დაღუპვის ამბავი შეგვატყობინონო, ამ ყოფაში ჩვენი დაგვემართა და თავგზაბნეული ველოდით წერილის დამტარებლის მოსვლას. თითქოს სულთამხუთავის სუნთქვა მოჰქონდა სამხრეთულ ქარებსაც, დაბოლოს, მთლად მომიცვა ღონის წამრთმევმა ფიქრებმა და ასე გატანჯული ვალამებდი და ვათენებდი. მასპინძელი არ გახლდათ ჩემსავით მგრძნობიარე კაცი და თუმც თავადაც შეურევბული იყო, ჩემს გამხნეებას მაინც ცდილობდა. ფანტაზიები არასდროს ჩაითრევდა მის ძალუმ ფილოსოფიურ გონს. საზარელ სინამდვილეს დიხაც განიცდიდა, მაგრამ მის ჩრდილებს არ დაგიდევდათ.

შავი ფიქრებით დათრგუნვილ კაცს გუნება ვერ გამოიპიკეთა. ჩემი გულისმომწყველი განწყობილება კი გამოეწვია მის ბიბლიოთეკაში მიკვლეულ წიგნებს. სწორედ ამ წიგნებში ამონაკითხმა გამიღვივა მემკვიდრეობით გამოყოფილი ცრურწმენათა თესლი. ნათესავმა არ იცოდა, რას ვკითხულობდი. ასე რომ, ხშირად ვერც ხვდებოდა ჩემი შოკოთის მიზეზს.

ხალხში გავრცელებული იმ ავის მომასწავებელი ნიშნების ამბავმა გამიტაცა, წინათგრძნობას რომ უკავშირებენ. ამ ნიშნების არსებობას იმხანად თითქმის გაუთავებლად ვამტკიცებდი და ცხარედ ვეკამათებოდი ნათესავს ამ საგანზე. მას სრულიად უსაფუძვლოდ მიაჩნდა ასეთი შეხედულებანი. მე კი ვეუბნებოდი, ადამიანის უნებური რაიმე წინათ-

<sup>1</sup> ქალაქარე აგარაკი (ფრანგ.).

გრძნობა თავისთავად შეიცავს-მეთქი უცდომელი ჭეშმარი-  
ტების ყურადსაღებ კვალს.

საქმე ის იყო, რომ მთლად აუხსნელი რაღაც შემემთხვა  
ასალჩამოსულს, ფრიად ღირსშესანიშნავი ამბავი გადამხ-  
და, რომლის ავ ნიშნად მიჩნევა სწორედ რომ მეპატიება,  
თავზარი დამცა, რამდენიმე ხანს საგონებელში ჩამაგდო და  
გონება ამიმღვრია. მხოლოდ მრავალი დღის შემდეგ მოვი-  
კრიბე ძალა და ჩემს ნათესავს ვუამბე ეს შემთხვევა.

პაპანება დღე იღეოდა, წიგნით ხელში ვუჯექი ღია სარ-  
კმელს, საიდანაც მოჩანდა მდინარის სანაპიროს თვალუწვ-  
დომელი ხედი და შორეული სერი, რომლის უახლოესი კალ-  
ტა თითქმის მთლად მოტიტვლებულიყო, რამდენიმე ხელა  
შერჩენოდა ნამეწყრალ ალაგს. წანაკითხს ვერაფერს გხვდე-  
ბოდი, რაკილა ფიქრები მომძალებოდა მეზობლად მდებარე  
გაჩანაგებულ ქალაქზე. წიგნს თვალი რომ მოვაცილე, და-  
ვინახე მთის მოშიშვლებული ფერდობი და ზედ რაღაც...  
რაღაც შემზარავი ურჩხული, კორტოხიდან მალიად ჩამოვი-  
და და ცოტა ხნის შემდეგ უსიერ ტევრში მიიმალა. ჯერ გა-  
ვიფიქრე, ხომ არ შევქანდი ან თვალმა ხომ არ მომატყუა-  
მეთქი. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ დავრწმუნდი, თურმე  
არც შევშლილვარ და არც სიზმარში ცყოფილვარ. მაგრამ  
ვაითუ იმ ურჩხულის აღწერის მერე (რომელიც ნათლად  
ვიხილე და ვინემ მიიმალებოდა, თვალი არ მომიშორებია)  
მკითხველმაც არ დაიჯეროს ეს ამბავი.

ურჩხული მეწყერს გადარჩენილ იმ გოლიათ ხეებს და-  
ვატოლე თვალით, რომელთა ახლოსაც ჩამოიარა. მაშინვე  
გავიფიქრე, ეს საოცრება ყველანაირ სახაზო ხომალდზე  
დიდია-მეთქი. სახაზო ხომალდი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ  
მხოლოდ ჩვენმა სამოცდათოთხმეტზარბაზნიანმა გემმა შე-  
იძლება წარმოგვადგენინოს ურჩხულის ანაგობა. პირი ჰქონ-  
და სპილოს ტანის სისხო სამოცი თუ სამოცდაათი ფუტი  
სიგრძის ხორთუმის ბოლოს. ხორთუმის ძირში ისეთი ხში-  
რი ბანჯგვლები უჩანდა, ოცამდე ბიზონსაც ეყოფოდა. ამ  
ბანჯგვლებიდან ველური ტახის დარად ცერად ჩამოშვერო-  
და ზღაპრული სიდიდის ორი მოზიმზიმე ეშვი. ფერდებზე  
მოუჩანდა ოცდაათი თუ ორმოცი ფუტი სიგრძის რაღაც გა-

ძონაზარდები, წმინდა კრისტალებივით უზადო, ფორმით პრიზმისმაგვარი, თვალისმომკრელად რომ აელაპლაპებინა სამავალი მზის სხივებს. მასვილივით ბოლოსკენ წაწვრილებულ სხეულზე ერთიმეორის მიყოლებით ესხა ლითონის ქიცვოვანი, ასი იარდი ზომის ორი წყვილი ფრთა, ყოველი ქიცვი ათი თუ თორმეტი ფუტი დიამეტრისა იქნებოდა, ზედა და ქვედა ფრთები ერთმანეთზე მსხვილი ჯაჭვით იყო გადაბმული. ყველაზე მეტად მაინც თავის ქალას გამოსახულებამ შემზარა, მთელი მკერდის ჩაშავებულ ზედაპირზე თითქოს ვინმე მხატვარს საგულდაგულოდ რომ გამოეყვანა თოვლზე უთეთრესი ხაზებით. ვიდრე შეძრწუნებული და უბედურების მოლოდინით თავზარდაცემული ვუყურებდი ამ საზარელ ცხოველს და განსაკუთრებით მის მკერდს, ხორთუმის ბოლოში უცებ გაიღო ვეებერთელა ხახა და ჩამესმა ისეთი ძლიერი და სასოების წამრთმევი ხმა, რომ გულმა დოლაბივით დამიწყო ბრუნვა; მიეფარა თუ არა მთის ძირს ცხოველი, იმწუთას უგონოდ გავიშხლართე იატაკზე.

გონს მოსულმა, რაღა თქმა უნდა, პირველად ეს გავიფიქრე, ნანახსა და გაგონილს ჩემს მეგობარს ვუამბობ-მეთქი. მაგრამ რაღაც ენით უთქმელმა და გაურკვეველმა ზიზღის გრძნობამ გამაჩერა და არაფერი მითქვამს.

სამი თუ ოთხი დღე იქნებოდა გასული ამ შემთხვევის შემდეგ, როცა საღამო ხანს იმავე ოთახში ვიმყოფებოდი, საიდანაც ის ჩვენება ვიხილე და იმავე სარკმელთან ვიჯექი, მასპინძელი იქვე ტახტზე წამოწოლილიყო. ადგილისა და დროის ასოციაციით ჩაგონებულმა ვუამბე იმ საოცრებაზე. ბოლომდე მომისმინა, ჯერ გულიანად გაეცინა, მერე გაჩუმდა და მოიღუშა, თითქოს უკვე საბოლოოდ ირწმუნაო ჩემი სულიერი ავადობის ამბავი. უცებ ნათლად დავინახე ურჩხული და გულგახეთქილმა ჩემს მასპინძელს შევძახე, აბა შეხედე-მეთქი. გულისყურით გახედა და ასე მითხრა, ვერაფერს ვსედავო, თუმცა ზუსტად ვუჩვენებდი მოტიტვლებულ ფერდობზე ჩამომავალ ცხოველს.

უსაზღვრო შიშმა ამიტანა, რაკიღა ეს ზმანება ჩემი აღსასრულის ან კიდევ უარესი, მოახლოებული სიგიჟის მაცნედ ჩავთვალე. შეწუხებული გადავაწყდი სავარძელს და ს-

ხე ხელებში ჩავმალე. თვალი რომ გავახილე, ჩვენება გაქრალიყო.

ჩემს ნათესავს კი რამდენადმე გამოუკეთდა გუნება და წვრილად გამოძკითხა ფანტასტიკური ურჩხულის ანაგობა. ყველაფერი რომ მოვუყევი, შევებით ამოისუნთქა და, ჩემი აზრით, ფრიად შემადრწუნებელი თავდაოკებით მოჰყვა მსჯელობას ფილოსოფიის განყენებულ საკითხებზე. მახსოვს, განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნა, ყოველგვარი გამოკვლევის ცდომილებათა თავწყარო ის გარემოებაა, რომ ადამიანს არ შეუძლია სწორად შეაფასოს ან განსაზღვროს საგანი, რაკილა ზუსტად ვერ გამოითვლის ხოლმე მანძილს ამ საენამდე. „სრულიად რომ შეფასდეს, მაგალითად, — თქვა მან, — რა გავლენა ექნებოდა კაცობრიობაზე დემოკრატიის საყოველთაო გავრცელებას, უცილობლად უნდა განიჭვრიტოს ეპოქის სიშორე — ამ გავრცელების ხანა. დამისახელეთ თუნდაც ერთი ავტორი, რომელიც აგვიწერს მმართველობის ფორმებს და ეს საკითხი მნიშვნელოვნად მიუზნევია?“

შემდეგ წამით შეჩერდა, წიგნის კარადასთან მივიდა და „საბუნებისმეტყველო ისტორიის“ ცნობარი გადმოიღო. მერე მთხოვა, ადგილები გავცვალოთო, რაკილა აქ, სარკმელთან უკეთ შეძლებდა წვრილად ნაბეჭდის გარჩევას. წიგნი გადაშალა და წინანდელ კილოზე განაგრძო საუბარი.

— ის ურჩხული რომ აგრე წვრილად არ აგეწერა — მითხრა მან, — ვერც მივხვდებოდი და ვერც რასმე გეტყოდი. მაგრამ ჯერ აი, ამ სასკოლო ცნობარიდან ერთ ადგილს წაგიკითხავ Sphinx-ის სახეობაზე, Crepuscularia-ს გვარეულობას, Lepidoptera-ს ჯგუფს, Insecta-ს კლასს, რომ ეკუთვნიან, ანუ მწერები არიან, აბა, ყური მიგდე: ლითონივით მბზინავი პატარა, ფერადი ქაცვებით დაფარული ოთხი აპკოვანი ფრთა; ყბების გაგრძელებაზე ხორთუმივით დასკეული პირი, რომელსაც გვერდებზე აქვს ჩანასახობრივი საღეჭები და ფაფუკი საცეცები. ხეშეშა ბალნით შეერთებული ზედა და ქვედა ფრთები; მოგრძო, პრიზმისებური მსხვილობებიანი პრწყალეები. ეს მწერი, რომელსაც თავისქალიანი სფინქსი ეწოდება, ზოგჯერ თავზარსა სცემს საქმეში ჩაუხედავ ხალხს თავისი საწყალობელი ხმითა და მკერდზე სიკვდილის ემბლემის გამოსახულებით.

წივნი რომ დასურა, სავარძელი იმ ადგილისკენ მიაჩოჩა, საიდანაც თვალი მოვკარი „ურჩხულს“.

— თჳო, ის არის, ის! — წამოიძასა უცებ, — ფერდობზე მიძვრება, მართლაც უცნაური სანახავი კია, უნდა გამოვტყდე. მაგრამ არც ისე დიდა და არც ისე შორსაა, შენ რომ გეგონა. მართალი თუ გინდა, იგი მიჰყვება ამ სარკმლის კიდეებს შუა გაბმულ ობობას ქსელს, რომელიც ასე თექვსმეტი დუიმი<sup>1</sup> სიგრძისაა და ჩემს თვალს ასევე დაახლოებით თექვსმეტი დუიმიით არის დაცილებული.

### ქღვრიანი მთების აგება

1827 წლის შემოდგომით, ვირჯინიის შტატში, შარლოტ-სვილის ახლოს რომ დავსახლდი, შემთხვევით გავიცანი ბ-ნი ოგასტეს ბედლოუ. ყოველმხრივ ხაყურადლებო გახლდათ ეს ყმაწვილი ჯენტლმენი და მეც დიდი გულისყურითა და ცნობისმოყვარეობით მოვეკიდე ამ ნაცნობობას. თუ ვინ იყვნენ მისი სულიერი და ხორციელი ნათესაეები, ვერ დავადგინე. ვერც მისი ოჯახის შესახებ გავიგე ვერაფერი. ვერც ის მითხრეს, თუ საიდან იყო ჩამოსული. კი გეუბნებით, ყმაწვილი ჯენტლმენი-მეთქი, მაგრამ მისი ასაკი ძალიან საეჭვო შექმნილიყო ჩემთვის. თქმა არ უნდა, ყმაწვილი ჩანდა, თავადაც ამას იძახოდა, ყმაწვილი ვარო, მაგრამ ზოგჯერ იყო და ვიფიქრებდი ხოლმე, ასე წლისა უნდა იყოს-მეთქი. ყველაზე უფრო გასაოცარს ამ კაცის ანაგობას შეარქმევდით. უჩვეულოდ მაღალი და ვაშხდარი, წელშიაც მეტად მოხრილი იყო. მკლე და გრძელზე ვრძელი კიდურები ჰქონდა, შუბლი — მოგრძო და დაბალი, სახე — უსისხლო ზაფრანისფერი, პირი ვეება და მოძრავი, მთლად კბილებჩოღერა, ოღონდ საღი, აქამდე ამის მსგავსი ადამიანის პირში მე არ მინახავს. სასიამოვნო ღიმილი აცდლო, ამას

<sup>1</sup> დუიმი — 2,54 სმ.

ვერ იტყოდით, მაგრამ როგორღაც თქვენს გულს კი იგებდა ამით და, ამასთან ერთად, სულ ერთნაირად, სევდით მოცული ილიმებოდა დღენიადაგ წარუვალი ჩანდა მისი კაემანი. თვალები უჩვეულოდ დიდრონი ჰქონდა და კატისებრ მრგვალი, გუგები უპატარავდებოდა და უდიდდებოდა ხოლმე სინათლის დაკლება-მომატების კვალობაზე, ვითარცა ეს კატისებრთა ცხოველებს სჩვევიათ. თვალის თეთრონი საკვირვლად აუელვარდებოდა მღელვარების ხანს და თითქოსდა კი არ ირეკლებოდა, შიგნიდან გამოსცემდა სხივებს სანთლის ან მზის მსგავსად, ჩვეულებრივ კი ბუნდი და ლიბრგადაკრული მთლად აზრმოკლებული ჩანდა და ასე გაიფიქრებდით, დიდი ხნის დასამარებული გვამისააო.

თავადაც დიდად სწყინდა, როგორც ჩანს, თავისი ასეთი გარეგნობა და ხშირადაც ახსენებდა, თითქოსდა უნდოდა აეხსნა თუ გაემართლებინა, რამაც პირველად გული მომიკლა. მაგრამ სულ მალე შევეგუე ამას და აღარც მიმძიმდა იმასთან ყოფნა. თითქოსდა სურდა, უფრო გადაკვრით ეთქვა, ვიდრე პირდაპირ მოჰყოლოდა მტკიცებას, მართალია დღეს ასეთს მხედავთ, მაგრამ ერთ დროს რომ გენახეთ, ძალიანაც მოგეწონებოდითო, ნევრალგიის გაუთავებელმა შეტევებმა მიმიყვანაო ამ დღემდე. წლების მანძილზე ერთი ექიმი ნახულობდა, გვარად ტემპლტონი, მოხუცი ჯენტლმენი, ასე, სამოცდაათი წლისა უნდა ყოფილიყო, პირველად იმას სარატოგაში შეხვდა და იმ დღიდან მოყოლებული ამ კაცმა დიდად უშველა, ანუ ასე სჯეროდა მას. დაბოლოს ბედლოუმ, მდიდარი რომ გახლდათ, ხელშეკრულება დაუდო ექიმ ტემპლტონს. ამ ხელშეკრულების თანახმად ექიმს მიეცემოდა დიდი გასამრჯელო, რათა მას მთელი დრო და თავისი საექიმო გამოცდილება ამ ავადმყოფისთვის მოეხმარა.

თავის სიყმაწვილეში ექიმ ტემპლტონს ბევრი უმოგზაურია და პარიზში ყოფნის ხანს მესმერის ერთგული მიმდევარი გამხლარა. მაგნეტიკურ ხერხებს იშველიებდა ეს კაცი და თავის პაციენტს მწვავე ტკივილები შეუმცირა; ამ წარმატების შედეგად, რაღა თქმა უნდა, ავადმყოფი გარკვეულწილად გაიზიარებდა იმ მოძღვრებას, ამ ხერხებს რომ

ესაძირკვლებოდა. მაგრამ ამ ექიმმა, ყველა ენთუზიასტის დარად, სულაც მთისურვა მოწაფის გადმოყვანა თავის რწმენაზე და იმდენად იყოზადა, რომ ის წამებული კაცი მრავალგზის გასდა ცდისპირი. ბევრ ცდას ის შედეგი ჰქონდა, ჩვეულებრივი რომ იყო ამ უკანასკნელ ხანებში და დღეს უკვე ხანდახან თუ იპყრობს ყურადღებას ან სულაც ვეღარ ამხნევენ, მაგრამ იმხანად, აქ მოთქრობილი ამბავი რომ მოხდა, თითქმის არც იყო ცნობილი ამერიკაში. მე იმის თქმა მინდა, რომ ექიმ ტემპლტონსა და ბედლოუს შორის ნელინელ, ცხადლივ დამკვიდრდა rapport, ანუ მაგნეტიკური დამოკიდებულება. მაგრამ ზუსტად ვერ გეტყვი, ხსენებულია rapport ჩვეულებრივი ძილის საზღვრებს სცილდებოდა-მეთქი; ოღონდ უფრო სწორი იქნებოდა, თუ ამას ძილქუშის დაწოლას დავარქმევდით. პირველი ცდა მაგნეტიკური ძილის გამოწვევისა სრულიად გაუცუდდა მესმერისტს. მეხუთედ თუ მეექვსედ ნაწილობრივ მიაღწია მიზანს და ისიც დიდი ძილისხმევის შედეგად. მხოლოდ მეთორმეტეჯერ მოუპოვებია სრული წარმატება. შემდგომ ამისა პაციენტის ნება მალე ემორჩილებოდა მკურნალის განკარგულებას, და იმხანად, როდესაც პირველად გავიცანი ორივენი, სულ მცირეოდენი შეგონება სჭირდებოდა ექიმს და ძილი მაშინვე მოიცავდა ავადმყოფს, რომელსაც შეიძლება არც კი სცოდნოდა, თუ იყო ვინმე ამ დროს მასთან. ახლა კი 1845 წელს, მსგავს საოცრებას ყოველდღიურად ათასები ხედავენ და მე ვბედავ ეს თითქოსდა შეუძლებელი მოვლენა აღვწერო როგორც სრული რეალობა.

დიდი ტემპერამენტის მქონე გახლდათ ბედლოუ, მგრძობიარე, აგზნებული, აღტაცებული, ძალუმი და მრავალფეროვანი წარმოსახვა იცოდა, რაც, თქმა არ უნდა, კიდევ უფრო გაცხოველებოდა მორფს შეჩვეულ კაცს, ბევრსაც ყლაპავდა ამ ბაღლაძს, ურობლისოდაც ვეღარც წარმოედგინა არსებობა. ჩვეულებრივ დიდ დოზას დააყოლებდა სოლმე საუზმეს, უფრო სწორად, ერთ ფინჯან მაგარ ყავას და შუადღემდე აღარაფერს ჭამდა, მერე კი მარტოდმარტო ან ძაღლის თანსლებითლა დიდხანს დაესეტებოდა ველურ და სევდის მომგვრელ გორებში, შარლოტსვილის დასავლე-



თითა და სამხრეთით რომ არის და რომელსაც უწოდებენ კლდოვან მთებს.

ერთ მოქურუსებულ, თბილსა და ნისლიან-ბურუსიან დღეს, ნოემბრის მიწურულს, წლის იმ დროს, უცნაური interregnum<sup>1</sup> რომ არის და რასაც ამერიკაში ინდიელთა ზაფხულს ეძახიან, ბ-ნი ბედლოუ, ჩვეულებისამებრ, გორებში სახეტილოდ წავიდა. დღე გავიდა და ის ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო.

საღამოს რვა საათი იქნებოდა და კარგა მაგრადაც შევშინდით, რად დაავიანდაო და საძებნელადაც უნდა წავსულიყავით, რომ უცებ გამოჩნდა საღსალამათი, ოღონდ ჩვეულებრივზე უფრო აგზნებული კი გახლდათ. თავის მოგზაურობასა და დავვიანების მიზეზზე რომ გვიამბო, გაოცებული დავრჩით.

— თუ გახსოვთ, — გვითხრა მან, — დაახლოებით დილის ცხრა საათზე გავედი შარლოტსვილიდან. მაშინვე მთებს მივაშურე და ათისთვის ერთი, სრულიად უცნობი ჰევი ვნახე. დიდი ყურადღებით ვაკვირდებოდი იქაურობას იმ მიხვეულ-მოხვეულ ვიწროებში მიმავალი. დიდებული სანახავი იყო ის მთელი არემიდამო, ამას ვერ იტყოდით, ძაგრამ იმდენად გაუდაბურებული და მოწყენილი ჩანდა, რომ ალტაცებული დავრჩი. თითქოსდა სრულიად შეურყვნელი იყო ეს მივარდნილი ადგილი. ფიქრი ვერ მომეცილებინა, რომ იქ, სადაც მე მივიდიოდი, ამ მწვანე კორდიანსა და ნაცრისფერ ქვა-ლორღზე კაცს არ გაეჭაჭანებინოს. შესასვლელი ისე მოზღუდული იყო და მიუდგომელი, რომ იმ ლარტაფში მისასვლელად ერთი და ორი კი არა, რამდენიმე სხვადასხვა ადგილას შემთხვევით გავლა იყო საჭირო. ამისდა კვალად სულაც არ უნდა ყოფილიყო შეუძლებელი, რომ თავგადასავლების მძებნელთაგან მხოლოდ მე უნდა ვყოფილიყავი პირველი, ვინც ამ უდაბურ ადგილას ფეხი დაადგა.

სქელი და რაღაც უცნაური ნისლი თუ კვამლი, როგორც ეს ინდიელთა ზაფხულის დროს იცის, მძიმედ ჩამოშლილიყო, ყოველი საგანი მოეცვა ჩემ გარშემო და, რაღა თქმა

<sup>1</sup> უმეფობის ხანა (ლათ.).

უნდა, ეს ზაცნები ციებ-ცხელებიანი კაცის თვალით დანახულს დაძაგავსდით. ინდესად განუსჭვრეტელი იყო ეს სასიამოვნო ზურუნი, რომ თორმეტ იარღზე ჩემ წინ ვედარაფერს ვხედავდი: სავალი მეტად მიხვეულ-მოხვეულიყო, მზე არ ჩაბდა და მალე აღარ ვიცოდი, თუ საით მივდიოდი. თავის ჩვეულებრივი ეფექტისთვის მიუღწევია ამ დროს მორფს და მთელ ამ არემიდაძოს დიდი ყურადღებით ვაკვირდებოდი. ფოთლის თრთოლვა — ბალახის ფერი — ფუტკრის ზუზუნი — ნამის ელვარება — ნიავის ფშვინვა — ტყის სურნელება მთელი ამ სამყაროს ჩქამი იყო, სათავე მხიარული და ნაირფერი, უწესრიგოდ მოძალებული აფრთოვანეზულის ფიქრებისა.

რამდენიმე საათს მივდიოდი ასეთ ყოფაში, ნისლი სულ უირო დაბლა განრიხმულიყო და მთლად გარშემომსვეოდა, დაბოლოს ხელის ფათურითლა მივიკვლევდი გზას. და მაშინ ენით უთქმელმა შფოთიანობამ მომიცვა, როგორღაც ავნერვიულდი, ვჭოჭმანობდი, კანკალმა ამიტანა. ფეხის გადადგმისა მეშინოდა, ვაითუ სადმე უფსკრულში გადავიჩეხომეთქი. ისიც გამახსენდა, თუ რა უცნაური ამბები მოუყოლიათ ამ კლდოვანი მთების შესახებ, თითქოსდა ველური, სისხლისმსმელი ტომები ბინადრობდნენ ამ ტევრებსა და გამოქვაბულებში. ათასნაირი ბუნდი ზმანება დამეუფლა და თავგზა ამიბნია. ზმანება-მეთქი, რომელთა ბუნდოვანება კიდევ უფრო აძლიერებდა ჩემს სასოწარკვეთილებას. და უცებ ჩემი ყურადღება მიიპყრო ხმამაღალმა დოლისცემამ.

დიდად გამიკვირდა, რაღა თქმა უნდა, სად დოლისცემა და სად ეს გორები-მეთქი. მთავარანგელოზის საყვირის ხმაც კი არ გამოცემა ასე. მაგრამ შიშთანობისა და ცნობისმოყვარეობის ახალი და კიდევ უფრო გამოგნებელი წყარო დავინახე. თითქოსდა გასაღებების დიდი შეკვრა ყოფილიყო, რაღაც ჟღარუნი და ჩხერება მომესმა და იმავე წამს შავტუხა და ნახევრად შიშველმა კაცმა ჩამირბინა ყვირილყვირილით. ჩემთან ისე ახლოს გაირბინა, რომ იმისი სუნთქვა მომეახლა სახეზე. ცალ ხელში რაღაც, ფოლადის რგოლებით გაწყობილი იარაღი დაეკავებინა, მორბოდა და მაგ-

რად მოიქნევდა. მიიმალა თუ არა ნისლში, ფეხდაფეხ მიჰყვა ხვნეშა-ხვნეშით თვალეზბრიალებული ვეებერთელა ცხოველი. ნამდვილად არ შევმცდარვარ, ეს იყო აფთარი.

ამ ურჩხულის დანახვაზე ისე აღარ შევშინებულვარ, რადგან ახლა კი დავრწმუნდი, მომეჩვენა-მეთქი, და ყოველი ღონე ვისმარე, რათა გონს მოვსულიყავი. გაბედულად და ცოცხლად წინ წავედი. თვალეზს ვიფშენტიდი. გავყვიროდი. ხელები დავიჩქმიტე. წყარო დავინახე უცებ, დავიხარე, დავისველე კისერი, ხელ-პირი. ამან მიშველა, გონზე მივვიდი და მოვიცილე ის ჩემი შემაწუსარი გუნება-განწყობილება. წამოვდექი, ახლა კი სულ სხვა კაცი ვარ-მეთქი, ასე გავიფიქრე და, მტკიცედ და მშვიდად განვაგრძე ის ჩემი უცნობი სავალი.

დაბოლოს, დაძაბულობისაგან ქანცგაწყვეტილი, მძიმე ჰაერისაგან სულმეხუთული ერთი ხის ძირას ჩამოვჯექი. მზემ გამოიჭვირტინა უცებ და ფოთოლთა ტევრის ბუნდი, მაგრამ ცხადლივ გარშემოკრული ჩრდილი დაეფინა ბალახს. მრავალი წუთი გაოცებული დავცქეროდი ამ ჩრდილს. გავშეშდი კიდევაც გაკვირვებისაგან. მაღლა ავისხდე. ეს ხე პალმა იყო.

თავზარდაცემული წამოვიჭერი — მძინავს-მეთქი, ეს ფიქრი რაღას მიშველიდა. ვხედავდი და ვგრძნობდი, სრულ ჭკუაზე ვიყავი, ამ სრულ ჭკუაზე მყოფი აღვიქვამდი მთელ სამყაროს ახალ და ენით უთქმელ შეგრძნებებისას. იმ წუთასვე თაკარა სიცხე დადგა. საკვირველი სურნელება მოჰყვებოდა ნიავს. ჩქაფუნი ჩამესმა, თითქოსდა აქ სადღაც უნდა ყოფილიყო წყალუხვი, მდოვრე მდინარე, რომლის ხმასაც შერთოდა მრავალრიცხოვანი ბრბოს უცნაური ყაყანი.

ჩემს მაშინდელ ყოფას ზუსტად ვერ აგიწერთ; ვიდრე სულ გაოგნებული ყურს ვუგდებდი ამ ხმებს, თითქოსდა ჯადოქარმა ჯოხი აიქნიაო, ქარის უეცარმა და ძალუმმა კვეთებამ ამ არემიდამოს ნისლი შემოაცალა.

თურმე მაღალი მთის ძირას ვმდგარვარ და გავცქეროდი ვეებერთელა ველს, რომელზეც მიიკლაკნებოდა დიდებული მდინარე. იმის სანაპიროზე მოჩანდა აღმოსავლური ქალაქი, რომლის მსგავსი არაბულ ზღაპრებში შეგვსვედრია,

თუმცა ეს, ჩემ წინ მდებარე უფრო საკვირველი სანახავი იყო. იმ ადგილიდან, საიდანაც მე დავყურებდი, თითქოსდა რუქაზე დაუხაზავთო, ყოველი კუთხე და კუნჭული ჩანდა ამ ქალაქისა. აურაცხელი მაცხოვრებლებით მოფენილი ქუჩაბანდები ყოველმხრივ კვეთდნენ ერთმანეთს და უფრორე ხეივნებს მოგვაგონებდნენ, ვიდრე ქუჩებს, თვალისმოშვრელი ფერებით გამოირჩეოდა სახლები. სადაც არ მიდგებოდიო, ყველგან დაინახავდიო საკვირვლად მოხატულ-მოჩუქურთმებულ აივნებს, ვერანდებს, მინარეთებს, სამლოცველოებს. ბაზარი დულდა და გადმოდულდა, სულო და გულო, რა არ გამოეტანათ აქ — აბრეშუმები, მუსლინები, მოელვარე დაშნები, უძვირფასესი ქვები და სამკაულები. ყოველ მხარეს და ყოველ ნაბიჯზე დაინახავდიო ალმებსა და პალანკინებს, ტახტრევენებით დაჰყავდათ ბანოვანები, მძიმედ დააბიჯებდნენ ბრწყინვალედ მორთული სპილოები, ყველგან იდგა საოცრად გამოჭრილი კერპები; მოოქრულ-მოვერცხლილი იყო დოლები, დროშები, გონგები, კვერთხები. და ამ ბრბოში, ჯაჯღანსა და არეულ-დარეულობაში, ურიცხვ შავ და ყვითელ ტურბანებიან და ლაბადებიან, მოფრიალე წვერებიან ხალხში დაეხეტებოდა აუარება მორთულ-მოკაზმული წმინდა ხარი და, ამავე დროს, აქვე დაშლიგინობდა ჭყვივილ-წივილით ასევე მორთული მაიმუნების ჯარი, დაძვრებოდნენ მეჩეთების ლავგარდნებზე, მინაერთებსა და სამლოცველოებზე. ხალხით გაჭედილი ქუჩებიდან, სადაც არ გაიხედავდიო, ეშვებოდა კიბეები, რომელთა ბოლო საფეხურები საბანაო ადგილებს ებჯინებოდნენ, თავად მდინარე კი ამ დროს თითქოსდა ძლივსღა მიედინებოდა დამძიმებული უამრავი გადატვირთული გემით და აღარც კი ჩანდა მდინარის ზედაპირი. ქალაქის ირგვლივ წამოჭიმულიყო პალმებისა და ქოქოსების დიდებული კორომები რალაც სხვა ათასწლოვანი გიგანტური გასაოცარი სეებითურთ. აქაიქ მოჩანდა ბრინჯის მინდვრები, ჩალით დახურული ქოსმახები, წყალსატევი, მივარდნილი ტაძარი, ბოშათა ბანაკი, ტანწერწეტა ქალიშვილი, დოქით თავზე მარტიდმარტო ამ დიდებული მდინარის სანაპიროსკენ მიმავალი.

თქვენ, რასაკვირველია, შეგიძლიათ თქვათ, ზმანება

იყო ეს და მეტი არაფერი, მაგრამ ასე არ არის. რასაც მე ვხედავდი, რასაც მე ვფიქრობდი, რასაც მე ვგრძნობდი და რაც მე მესმოდა, არ ჰგავდა სიზმარს. ნამდვილად სრულ გონებაზე ვიყავი. პირველად კი შემეპარა ეჭვი, ფსიზელი თუ ვარ-მეთქი, მაგრამ რამდენიმე ცდის ჩატარების შემდეგ მალე დავრწმუნდი, ცხადლივ ვხედავდი ყველაფერს. მართლაც, ვინმეს რომ სძინავს და ძილში რაღაც ეჭვი გაუჩნდება, თუ მძინავსო, ამ ეჭვის დაზუსტებას ვერ ასერხებს და იმწუთასვე იღვიძებს. ასე, მაგალითად, ნოვალისი არ ცდება, როდესაც ამბობს: „თუ გვესიზმრება, გვძინავსო, მაშინ მალე გავიღვიძებთ კიდევაც“. ყველაფერი, რაც ვნახე სიზმარი უნდა ყოფილიყო უთუოდ, სიზმარი და მეტი არაფერი, მაგრამ რაკი ვეჭვობდი, ვყოყმანობდი და ცდებიც კი ჩავატარე, რაღაც სხვანაირ ფენომენს გადავყრივარ თურმე.

— ვერ დავიჩემებ, ცდებით-მეთქი, — შეაწყვეტინა ექიმმა ტემპლტონმა, — მაგრამ მერე რა მოხდა, მიამბეთ, თქვენ ადექით და იმ ქალაქში ჩადით...

— ჰო, მე ავდექი, — განაგრძო დიდად გაოცებულმა ბედლოუმ და თან ექიმს შესცქეროდა, — ავდექი-მეთქი, როგორც თქვენ ბრძანეთ, და ქალაქში ჩავედი. აუარება ხალხში გამოვიარე, ქუჩებში გამოსულიყვნენ და ერთი მიმართულებით მიდიოდნენ, ყოველ ნაბიჯზე ეტყობოდათ, რომ საშინლად განრისხებულიყვნენ. უცებ, რაღაც შეუცნობელი იმპულსის გამო დიდი გულისყურით დავიწყე იქაურობის თვალიერება. თითქოსდა, ვიცოდი, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ამბები უნდა გამამხდენოდა, თუმცა არ ვიცოდი, რა და როგორ. ვხედავდი იმ ბრბოს და ვგრძნობდი, ძალიან მტრულად ვიყავი განწყობილი იმათ მიმართ. დავუსხლტი იმათ და სწრაფად წამოვედი, ქალაქს შემოვუარე და სხვა გზით შემოვედი. ყველგან ღრიანცელი იდგა, ჯავრით ყაყანებდნენ. სანახევროდ ინდოელთა, სანახევროდ ევროპელთა მსგავსად მორთულების პატარა ჯგუფი დავინახე, მეთაურები ჰყავდა, ჯენტლმენები, რომელთაც ბრიტანული ფორმის მსგავსი ტანსაცმელი ეცვათ და ქუჩებიდან აურაცხელი ბრბოს გაყრა უნდოდათ. ბრძოლის ველზე დაცემულის იარაღი ავისხი და უმცირესობის მხარე დავიჭირე; არც კი ვი-

ცი, ვის შევები მალად გააფთრებული, წერკული სასოწარ-  
კვეთილებიან მოცულს, ბერნი იყვნენ და მალე გვაჯობეს,  
უკან დავიხიეთ და რომელიღაც შენობას შევაფარეთ თავი.  
ბარიკადები ავაგეთ და ახლა, რამდენიმე ხნით დაცული ვი-  
ყავით. შენობის სახურავთან ერთი დასაზვერი სარკმელი  
იყო და იქიდან დავინახე, აბოხოქრებულიყო ურიცხვი  
ბრბო, ერთ, მდინარეზე გადმოშვერილ დიდებულ სასახ-  
ლეს მიაწყდა და იერიშით შიგ შეჭრას ლამობდნენ. ანაზ-  
დად ზედ სასახლის ზედა ფანჯრიდან ვიღაც ჩამოუშვეს,  
დიაცური შესახედაობის კაცი, იმის თანმხლებთ თავიანთი  
ტურბანებისაგან თოკი შეეკრათ და იმით. ნავი დახვდა იქ-  
ვე და მდინარის მეორე მხარეს გადავიდა.

და ახლა ასე მოვისურვე. მოკლე, მაგრამ მგზნებარე  
სიტყვით მივმართე ჩემს ამხანაგებს და იმათაგან რამდე-  
ნიმე გვერდში ამომიდგა, შენობიდან გამოვცვივდით და  
შლეგური იერიში წამოვიწყეთ. ჩვენს გარემომცველსა  
ბრბოში შევიჭერით. პირველად შედრკნენ და უკუმიდგნენ.  
შემდეგ მხნეობა მოიკრიბეს, გააფთრებით შემოგვიტიეს  
და ისევ უკუმიდგნენ. ამ დროს კარგა მაგრად დავცილდით  
იმ შენობას და სადღაც, ვიწრო ქუჩებში მოვხვდით არეულ-  
დარეულები, თავგზააბნეულები, ზემოდან დაგვეყურებდა მა-  
ღალი სახლები, რომელთა ქვეშ არც არასდროს ჩამოუღწე-  
ვია მზის ნათელს. ქალაქის კაცნი ფიცხლად გვიტევდნენ,  
შუბებს გვიღერებდნენ, ისრის სეტყვა დაგვაყარეს. გასა-  
ოცარი ისრები ჰქონდათ, მალაურ დახვეულ კრისს მოგვა-  
გონებდნენ, მოსრიალე გველების მსგავსს, ამ შავ გრძელ-  
ტარიანი ისრებისათვის შხამიანი წვერო დაეტანებინათ.  
მარჯვენა საფეთქელში მომხვდა ერთი ისარი. ტორტმანიის  
წავიქეცი. იმავე წამს სულის ამომხდელმა უღონობამ მომი-  
ცვა. ერთი გავიბრძოლე... სუნთქვა შემეკრა... მოვკვდი.

— ახლა კი, — გავუღიმიე მე, — ველარ იტყვი, სიზმარი  
არ იყო ის თქვენი თავგადასავალი. როგორღა დაგვიმტკი-  
ნებთ, მკვდარი ვარო?

ეს სიტყვები რომ ვთქვი, რაღა თქმა უნდა, დიდ წინა-  
სამდევობას მოველოდი ბედლოუსაგან; მაგრამ რა გაოცე-  
ბული დავრჩი, როდესაც შევნიშნე, მერყეობდა, შეკრთა,

მოლად გაფითრდა და აღარაფერი მიპასუხა. ტემპლტონს შეეხედე. გაშეშებული და გაოგნებული იჯდა თავის სავარძელზე — კბილები უკანაწაწებდა და სადაცაა თვალები წამოუცვივდებოდა საბუდედან. განაგრძეთო! უთხრა მან ბოლოს ხრინწიანი ხმით ბედლოუს.

— კარგა ხანს, — თქვა მან, — ჩემი ერთადერთი გრძნობა თუ შეგრძნება არყოფნის წკვარამი იყო, აზრი სიკვდილისა. დაბოლოს, თითქოსდა სული ჩემი უეცრად და ძალუმად რაღაცამ გაანათა მსგავსად ელექტრობისა. სინათლე და მოქნილობა აღვიქვი ამასთან ერთად. სინათლე კი არ მიხილავს, შევიგრძენი. თითქოსდა იმავე წამს მიწიდან წამოვდექი, მაგრამ სხეულს, მხედველობის, სმენისა და შესების უნარს ვერ ვგრძნობდი. ბრბო აღარსად ჩანდა. ბუნტი ჩათავებულიყო. გარკვეულწილად დამშვიდებულიყო ქალაქი. ჩემ ქვემოთ გვამი ეგდო, საფეთქელში ისარი ჰქონდა გაყრილი, თავი მაგრად შეშუპებოდა და დამახინჯებოდა. მაგრამ ყოველივე ამას მე კი არ ვხედავდი, ვგრძნობდი. სრულიად აუმღვრეველი გახლდით. გვამსაც არ შეეკუფოთებივარ. რამე ნება-სურვილი არ მქონდა, მაგრამ რაღაცამ კი მაიძულა მოძრაობა, შევფრთხილდი, მსუბუქად გამოვეშურე ქალაქიდან, გარშემოვუარე მას და იმავე გზით გამოვედი, რითაც შევედი. სეობის იმ ადგილას რომ მივატანე, სადაც აფთარს გადავაწყდი, რაღაცამ დამკრა, თითქოსდა ბატარეის დენი ყოფილიყო; სხეულიც შევიგრძენი და ნება-სურვილიც ვამიჩნდა. ისევ გავხდი ის, რაც ვიყავი და სასწრაფოდ შინისაკენ გამოვწიე, მაგრამ იმას, რაც გადამხდენოდა, არ დაეკარგა რეალობის სიცხადე და ახლაც, ამ წუთშიაც კი ვერ გეტყვით, სიზმარი იყო-მეთქი.

— არც იყო, — ძალიან ჩაფიქრებული ჩანდა ტემპლტონი, — მაგრამ კი არის ძნელი რაღაც სხვა რამე დავარქვათ იმას. სავარაუდებელია, რომ თანამედროვე ადამიანის სული განსაცვიფრებელი ფსიქიკური აღმოჩენების კარიბჭესთან მისულა. მოდით და ახლა ამ აზრს დავჯერდეთ. დანარჩენი შეიძლება ასე აიხსნას. აბა, ერთი ეს ფერადი სურათი ნახეთ, კი მიჩნდოდა უფრო ადრე მეჩვენებინა, მაგრამ რაღაც გაურკვეველი შიშის გამო დღემდე ვერ შევძელი.

დავხედეთ იმ სურათს, ვერაფერი ისეთი მნიშვნელოვანი ვერ შევნიშნე, მაგრამ ბედლოუს კი თავზარი დასცა. შესედა თუ არა, კინალამ გრძნობა დაკარგა. პატარა პორტრეტი იყო და მეტი არაფერი, ზედმიწევნით ზუსტად, არა ვცდები, იჩეორებდა იმისი სახის ნაკვთებს. ყოველ შემოსხვევაში, ასე გავიფიქრე სურათის შეხედვისთანავე.

— აბა, დააკვირდით, — თქვა ტემპლტონმა, — ამ სურათის თარიღს, აი, აქ, ამ კუთხეში, ძლივსღა ჩანს — 1780. სწორედ ამ წელიწადს დაუხატიათ ეს პორტრეტი, ჩემი მკვდარი მეგობრის, ბ-ნ ოლდების სურათია, კალკუტაში გავიცანი ის კაცი, უორენ ჰასტინგსის მმართველობის ხანს, ოცი წლისა ვიყავი მაშინ. პირველად რომ სარატოგაში გნახეთ, ბ-ნო ბედლოუ, სწორედ გასაოცარი მსგავსება თქვენსა და ამ პორტრეტს შორის იყო მიზეზი, რომ გაგიცანით, დაგიმეგობრდით და ბოლოს ხელშეკრულებაც კი დავდეთ და მას მერე სულ თქვენი კომპანიონი ვარ. სწორედ ამას მიველტვოდნი ნაწილობრივ ან სულაც იმის გამო, რომ გული მიკვდებოდა იმ ჩემი დაღუპული ამხანაგის გახსენებაზე და, აგრეთვე, ჩვეულებრივი ცნობისმოყვარეობა დამეუფლა და ცოტათი შევშფოთდი კიდევაც თქვენთან შეხვედრის ხანს.

თქვენ რომ გამოწვლილვით აღწერეთ, თუ რა მოგეჩვენათ იმ მთებში, ცხადლივ მოგვაგონებს ინდოეთის ქალაქ ბენარესს წმინდა მდინარის სანაპიროზე. ის ბუნტი, ბრძოლები და სისხლისღვრა მართლაც მომხდარა შეიტ-სინგის აჯანყების დროს, 1780 წელს, მაშინ ჰასტინგსი ძლივს გადარჩენილა ცოცხალი. ტურბანეძისაგან გაკეთებულ თოქს რომ ჩამოჰყვა, თავად შეიტ-სინგი გახლდათ. შენობაში შეცვენილი ჯარისკაცები იყვნენ სიპაები და ბრიტანელი ოფიცრები, მათ ხელმძღვანელობდათ ჰასტინგსი. იმათ შორის მეც ვიყავი და ყოველი ღონე ვიხმარე, რათა წინ აღვდგომოდი იმ ოფიცრის მიერ ანაზღეულად და საბედისწეროდ წამოწყებულ იერიშს, იგი ქუჩებში შეება ბრბოს და ბენგალელის მოწამლულმა ისარმა გაათავა. ის ოფიცერი ჩემი უძვირფასესი მეგობარი იყო. გვარად ოლდები. ამ ხელნაწერში შეგიძლიათ ამოიკითხოთ (თქვა ეს და რვეული გამოგვიწოდა, სწორედ ახლახან დაეწერა რამდენიმე ფურ-



ცელი), რომ იმ დროს, როდესაც თქვენ მთებში ის ამასივი გადაგხდათ, მე აქ, სახლში გამოწვლილვით აღვწერდი იმ ამბავს ამ რვეულში.

დაახლოებით ერთი კვირა იყო გასული ამ საუბრის შედეგ, როცა შარლოტსვილის გასეთმა შექმდეგი ცნობა გამოაქვეყნა:

„ღრმა მწუხარებით ვიუწყებთ ბ-ნ ობასტის ბედლოს გარდაცვალებას, ამ ჯენტლმენის კეთილი გული და მრავალი ღირსება დიდხანს იყო შარლოტსვილის მოქალაქეთა თავყვანისცემის საგანი.

ბ-ნ ბ-ს უკვე რამდენიმე წელიწადი აწუხებდა ნევროლოგია, რომელმაც ბევრჯერ კინაღამ ბოლო მოუღო; მაგრამ ეს ავადმყოფობა არ ყოფილა მისი სიკვდილის უშუალო მიზეზი. იგი ერთი მეტად უჩვეულო შემთხვევის გამო გარდაიცვალა. რამდენიმე დღის წინ კლდოვან მთებში სეირნობის ხანს ოდნავ გაცივდა და ციებ-ცხელება შეეყარა, ამას დაერთო თავში მოჭარბებული სისხლის მოწოლა. შეება რომ მიენიჭებინა მისთვის, ექიმმა ტემპლტონმა სისხლის ადგილობრივ გამოშვებას მიმართა. წურბელები საფეთქლებზე დაასვეს. თავზარდამცემი იყო ავადმყოფის უცარი სიკვდილი და, როგორც აღმოჩნდა, წურბელებიან დოქში სრულიად შემთხვევით მოხვედრილიყო ჭიაყელას მსგავსი შხამიანი ტკიპა, რამელსაც ზოგჯერ მეზობლად მდებარე ტბორში პოულობენ. სწორედ იგი მიკვროდა მისი მარჯვენა საფეთქლის მცირე ძარღვს. სამედიცინო წურბელასთან მისი დიდი მსგავსების გამო შეცდომა მეტად გვიან შეუნიშნავთ.

N. B. შარლოტსვილის შხამიანი ტკიპა შეგიძლიათ გამოარჩიოთ წურბელისაგან სიშავით და, განსაკუთრებით, იმ ხვეული თუ ჭიაყელისებური მოძრაობით, გველმა რომ იცის“.

ხსენებული გაზეთის რედაქტორთან რომ ვსაუბრობდი ამ საგანსა და ამ საყურადღებო შემთხვევაზე, უცებ ვკითხე, როგორ მოხდა, რომ დაღუპულის გვარი ასე დაუწერიათ-მეთქი — ბედლო.

— მეონია, — ვუთხარი მე, — რაღაც იცით და იმიტომ,

მაგრამ მე სულ ასე ვფიქრობდი, რომ ეს გვარი უ-თი მთავ-  
რდებოდა.

— რაღაც იცითო? არა, — მიპასუხა მან, — ეს ბეჭდვის  
უბრალო შეცდომაა. ამ გვარს, ბედლოს, ყველგან და ყო-  
ველთვის ბოლოში უ დაერთვის და არც არასდროს გამიგო-  
ნია, რომ სხვაგვარად დაეწეროთ იგი.

— ჰოდა, — ჩავიბურტყუნე მე და მივტრიალდი, — სწორედ  
უთქვამთ, ყოველივე გამონაგონზე უცნაურიაო ჭეშმარიტება,  
რადგან თუ ბედლოს უ-ს გარეშე უკუღმა წავიკითხავთ, გვა-  
რი ოლდები იქნება. ეს კაცი კი მეუბნება, ბეჭდვის შეცდო-  
მააო“.

## წითელი სიკვდილის ნიღაბი

დიდხანს ბოგინობდა ქვეყნად „წითელი სიკვდილი“. აქა-  
მომდე არც ერთი ჟამიანობა არ ყოფილა ასეთი შემმუსრა-  
ვი, ასეთი შეშარავი. სისხლი იყო მისი ნიშანი, შესაზარე-  
ლი, სიწითლე სისხლისა. მწვავე ტკივილი, მეყსეული გაბ-  
რუება, სვავრიელი სისხლდენა ყოველი ფორით და აღსას-  
რული. მსხვერპლის სხეულსა და, განსაკუთრებით, სახეს  
მოადებული წითელი ლაქები იყო ჟამის სამხილი, აგრევე  
კარის დამხშველი მეგობრის თანალმობისა და შემწეობის-  
თვის. მხოლოდ ნახევარ საათს გასტანდა სალმობის დასაწ-  
ყისი, მძლავრობა და დასასრული.

მაგრამ მაინც შეუდრეკელი, სვებედნიერი და გონება-  
ნათელი იყო უფლისწული პროსპერო. ნახევრად რომ გა-  
ტიალდა მისი სამფლობელო, კარის მანდილოსანთა და რა-  
ინდთაგან ათასი ჯანღონით სავსე, გულმხიარული ამხანავი  
მიიხზო და გამოიკეტა ერთ შეუვალ მონასტერში. უფლის-  
წულის უცნაური და მეფური გემოვნებისამებრ აევოთ ეს  
შენობა. ვრცელი და საკვირველი სრასახლისთვის გარშე-  
მოეზღუდათ მაგარი და მაღალი გალავანი რკინის კარიბჭი-  
თურთ. შემოვიდნენ და თან შემოიტანეს ქურები და მიმიე

ურთები. ასე თქვეს: ყველგან დავახშოთ შემოსასვლელ-გასასვლელი, ანაზღეულად სიძლევე და სასოწარკვეთილება რომ არ შემოიჭრასო. კარებზევე დაადუღეს საკეტები. კარგადაც დაეჭირათ თადარიგი. ჟამიანობის შიში აღარ ექნებოდათ ასეთი წინდახედულობის შემდეგ. თავისთვის თავად ეზრუნა გარეკვეყნიერებას. სულ უაზრო იყო ამ დროს მწუსარება და ფიქრი. გასართობი არ შემოაკლდებოდათ უფლისწულის წყალობით — მუშაითები, მიმოსები, მოცეკვავეები, მუსიკოსები, ლამაზები, ღვინო, ყველაფერი ეს იყო აქ და საშიშროება, „წითელი სიკვდილი“ — გარეთ.

მონასტერში გამოკეტვის დღიდან ილუოდა მეხუთე თუ მეექვსე თვე, და როცა სულ უფრო მძვინვარებდა ჟამი ზღუდეთა მიღმა, უფლისწულმა პროსპერომ ათასი მეგობარი იწვია ბრწყინვალე სამასკარადო სერობაზე.

მართლაც დაუვიწყარი სანახაობა იყო ეს მეჯლისი. მაგრამ ჯერ სანადიმო პალატებზე გიამბობთ, თქვენი ნებართვით. კაცს თვალს მოჭრიდა შვიდი სამეფო დარბაზი. ბევრ სასახლეში ასეთი პალატები სწორი, წაგრძელებული წყობისაა და მთლიანად, თითქმის კედლის პირამდე რომ განიხვინება მათი ორფა კარი, სასახლის მთელი სივრცე გამოჩნდება სრულიად. მაგრამ აქ იყო სულ სხვაგვარად, რაკი *bizarre!* უყვარდა ჰერცოგს. პალატები ისე უსწოროდ იყო განლაგებული, რომ ცოტასღა დაინახავდა კაცი ერთი თვალის მოვლებით. ოცსა თუ ოცდაათ იარღზე მკვეთრად მოუსხვევდა სავალი და ყველა მოსახვევეი თავის მხრივ ახალ რასმე მოგვასილვინებდა. დახშულ დერეფანში, მარჯვნივ და მარცხნივ, კედლებს შუა მთელ სიმაღლეზე დაეტანებინათ ფერადშუბებიანი გოტიკური სარკმლები. მთელი მათი ფეროვნება იცვლებოდა შესაბამისად იმისა, თუ რომელი ფერი სჭარბობდა ამა თუ იმ დარბაზში. ასე, მაგალითად, აღმოსავლეთი მხარის ბოლო პალატი ცისფერად შეეღებათ და სარკმელს სულ ცისფერი გადასდიოდა. მეორე დარბაზი მეწამული იყო ფარდაგიან-ჩუქურთმიანად, მინებიც — მეწამული ფერის. მესამე ბალახისფერს დაემშვენებინა და ასეთივე

---

1 გასაოცარი (ფრანკ.).

ფერის ჰქონდა სარკმლები. განათებითაც და მოწყობილობითაც ნარინჯისფეროვანი — მეოთხე. მეხუთე — თეთრი, მეექვსე — იისფერი. მეშვიდე მოერთოთ ჭერიდან და კედლებიდან ჩამოშლილი შავი ხავერდის ფარდებით, რომლებიც კაც-კაცად, მძიმედ გართხმულიყვნენ ამავე ფერისა და მასალის ხალიჩაზე. მხოლოდ ამ პალატაში ვერ ნახავდით ფერებისა და მოწყობილობის შეთანასწორებას. სარკმლები მეწამული, ერთიანად სისხლისფერი შუშებით გაეწყობ. მთელი შენობის აუარება ოქროვარაყიან ავეჯსა და, ასევე ჭერიდან ჩამოშვებულ სამკაულებში არ ჩანდა, სანათი ან კანდელი. სხვანაირად ნათდებოდნენ ეს პალატები. გვერდით, დერეფანში, ყველა სარკმლის პირდაპირ დაედგათ სხვიმომფინარე ცეცხლოვანი მაყალი, რომლის ბრკიალა შუქს გადაენათებინა ოთახები. მრავლის უმრავლესი ხვაეროილფეროვანი და ფანტასმაგორიული სახება ასე წარმოიქმნებოდა. მაგრამ მრუმიფერებიან ფარდებზე სისხლისფერი მინებიდან მიფრქვეული კაშკაშა ნათელი შემზარავად წარმოაჩენდა დასავლეთის, ანუ შავ პალატს, სადაც შლეგისამებრ გამოჩნდებოდა ყოველი სახე და მოქეიფეთაგან მხოლოდ ორიოდეს თუ ეყოფოდა ვაჟკაცობა შემოსასვლელად.

ამ დარბაზში, დასავლეთის კედელთან, იდგა შავი ხის ვეება საათი. ჩაყრუებული, მძიმე-მძიმედ, მონოტონური ხმაურით დაქანაობდა იმისი ქანქარა; წუთის ისარი წრეს შემოივლიდა, საათი დაჰკრავდა და ბრინჯაოს ფილტვი ამოთქვამდა დროს ნათელი, მაღალი, უძირო, მეტად მუსიკალური და ისეთი საოცრად მეტყველი ბგერით, რომ იმავე წამს შეწყვეტდა დაკვრას და გაიტვრინებოდა მისი გამკონე ყველა მუსიკოსი, ვალსის ცეკვას თავს დაანებებდა და მცირე ხნით შეცბუნდებოდა ლხინ-მეჯლისზე მოსული ხალხი. საათი რომ რეკდა, მთლად დარდიმანდსაც მკვდრისფერი დაედებოდა, ხოლო უფრო მსცოვანი და გულდამჯდარი შუბლზე მიიდებდა ხელს — თითქოს რაღაც ოცნებასა და ფიქრში წასულაო. მაგრამ მინელდებოდა ექო საათისა და კისკინ-სიცილი ისევ გაისმოდა პალატებში, შეხედავდნენ და გაუღიმებდნენ ერთმანეთს თავისი შფოთიანობითა და უგუნურობით გაოცებული მუსიკოსები, ჩურჩულით ფიცავდნენ,

მერმე უფრო მაგრად დავსვდებითო რეკვის ხმას; და შემდგომ სამოცი წუთისა (მფრინავი დროის სამი ათას ექვსას წამს რომ იტევს) კიდევ დაჰკრავდა საათი და მაინც წელანდელისამებრ შეჩქიფებულებს ფიქრები აეშლებოდათ და მოეკიდებოდათ კანკალი.

მაგრამ მიუსედავად ამისა, შვება-ლხინს მისცემოდა ბრწყინვალე საზოგადოება. საკვირველი გემოვნების კაცი გახლდათ უფლისწული და მშვენივრად ერკვეოდა ფერებსა და ეფექტებში. კეთილზნეობა სადა მოდისა არაფრად ჩაედო. მგზნებარე და გაბედული იყო მისი გეგმა და ბარბაროსული ელვარება მოელო მის ჩანაფიქრს. გიჟიყო ეს კაცი, იფიქრებდა ზოგიერთი, მაგრამ იმის მეგობართაგან — არავინ. დაუახლოვდებოდით, ნახავდით, მოუსმენდით ამ ადამიანს და დარწმუნდებოდით ამ ეჭვის უსაფუძვლობაში.

დიდი fête-სთვის შვიდივე პალატი მნიშვნელოვანწილად მისი მითითებით გააწყვეს; მისი გემოვნებისამებრ შეარჩიეს ნიღბები. ასე რომ, უცილობელი იყო მათი გროტესკული ხასიათი. ბრწყინვალე, მრავალფეროვანი, პიკანტური, ილუზიური, და ბევრი იმდაგვარი რაღაც შექმნეს, შემდეგ „ერნანში“ რომ გვინახავს. ზოგს არაბესკებით მოქარგული სახელოებ და კალთებგრძელი ტანისამოსი ჩაეცვა. ზოგსაც თითქოს შეშლილის ბოდვა მოესმინოს და მისი მონათხრობით გაეკეთებინოს თავისი ნიღბის სახე. ბევრს წარმოესახა მშვენიერება, ბევრს — ბიწიერება, ბევრს — bizarre, ბევრს — შემზარაობა და მრავალ გულისამრევ საზიზღროებასაც დაინახავდით. ზღვა ნაირსახოვანი სიზმარეული ჩვენება მართლაც მიდი-მოდითა შვიდივე პალატში. ტრიალებდნენ აქეთ და იქით, სრასახლში დაყიალობდნენ და საღაც შევიდოდნენ, იმ პალატის ფერი და იერი დაჰკრავდათ ამ სიზმარეულ სახეებს. თითქოსდა მათ ნაბიჯებს ექოდ ესმიანებოდა ველური მუსიკა. და აი, შავი ხის საათი დაჰკრავდა ხავერდის კედლებიან პალატში, ყველა გაყურდებოდა წამით, ამ სიჩუმეში საათის ზარიდა გაისმოდა. ადგილზევე გახევდებოდა მრავალნაირი სიზმარეული სახე. მაგრამ მიინელდებოდა თუ არა წამიერი ექო რეკვისა, ისევ გაჩნდებოდა მხიარული, ოღონდ შეკავებული სიცილი. მთელი ძა-

ლით კვლავ დაუკრავდა მუსიკა, გახალისდებოდნენ ნიღოს-  
ნები, კიდევ უფრო მეტი ნეტარებით ცეკვავდნენ და თაბა-  
შობდნენ. გავარჯარებულიყო შეიდივე ხაყალი და მრავალ-  
ფეროვანი მინით გაწყობილი სარკმლების ნათება მოჰფე-  
ნოდა ყველას. მაგრამ შეიდათაგან ბოლო დარბაზში არავინ  
შესულიყო; ღამე ილეოდა; სისხლისფეროვან შუშებში  
ბრწყინავდა მეწამული ფერის შუქი; სიშავე მელნისფერი  
ფარდაგებისა უფრო ზარდამცემი გამხდარიყო; სევდა-კაემა-  
ნი უფრო იმას მოიცავდა, ვინც მელნისფერ ხალიჩაზე გა-  
ივლიდა, საათს ახლოს ჩაუვლიდა და გაიგონებდა მის ყრუ  
რეკვას, ვიდრე იმას, ვინც აქედან უშორეს პალატში მხიარუ-  
ლობდა და შორითლა მოესმოდა ეს ხმა.

სხვა პალატებში კი ტევა არ იყო, ფეთქავდა სიცოცხლის  
ცხოველი გული. უკვე ცასა წვდებოდა ლხინი, როცა შუალა-  
მემ მოატანა და საათმა დაჰკრა. ადრინდელივით ჩაჩუმდა  
მუსიკა; შეჩერდნენ მოცეკვავეები; შფოთსავსე მღუმარება  
გამეფდა ირგვლივ, საათს თორმეტჯერ უნდა ჩამოერეკა და  
ამჯერად, შესაძლოა ამიტომ, თანდათან აეშალა ფიქრები  
მოქეიფეთა შორის ყველაზე გამგებინებს. იქნებ ასე იმი-  
ტომ მოხდა, რომ დაინთქა თუ არა სიჩუმეში ზარის დარტ-  
ყმის უკანასკნელი ექო, ბევრმა მაშინდა დაინახა ერთი, ჯერ  
უნახავი ნიღბოსანი. ჩურჩულით უჩვენებდნენ ერთმანეთს  
ახალმოსულს, ხმაური ატყდა, ჯერ წყრომისა და გაოცების  
ჩოჩქოლი გაისმა, მერე — შიშის ზარის, შემზარათობისა და  
ზიზღის.

ამ ფანტასტიკური მორთულობის ხალხში, რაღა თქმა  
უნდა, ასეთ სენსაციას არ იქმოდა, ჩვეულებრივი სახე. მარ-  
თლაც, ზღვარუდებელი იყო ნაირფეროვნება იმდამინდელი  
სამასკარადო ჩაცმულობისა. მაგრამ უცნობი ისე მოკაზმუ-  
ლიყო, რომ ჰეროდსაც აჭარბებდა. მეფისწულს კი ჰქონდა  
მეტად თავისებური შეხედულება დეკორზე, მაგრამ ამგვარ  
სტუმრობას არავის მოუწონებდა. მთლად თავფქვილა კა-  
ცის გულშიცაა რაღაც სიმი, რომელსაც ვერ შეეხები გულ-  
დამშვიდებით. ვინც სიკვდილს პირში შესცინებს, იმას და  
სულ თავზეხელაღებულსაც აქვს ჩაწნული სულში რაღაც  
ისეთი, რასაც ვერ გაეხუმრები. დიახაც, მალე ყველამ გა-

იგო, უცხოს ტანისამოსსა და მიხრა-მოხრაში არ ჩანდა გონებაჩახვილობა, არცა ზრდილობა. მაღალი, გამხდარ-გამხდარი, ერთიანად სუდარაში გახვეულიყო, პირისახის სრულიად დამმაღავი ნიღაბი ისე ჰგავდა ნეშტის ხატებას, რომ თუგინდ სულ ახლოდან შეგეხედათ, მაინც ვერ მიხვდებოდით სიყალბეს. კაცი ყველაფერ ამას მოითმენდა და შეიძლება კიდევაც შეექოთ იგი გახელებულ მოქეიფებს, მაგრამ ძალზე გადაეჭარბებინა ამ მატრებაზს და წითელი სიკვდილი წარმოეჩინა. სისხლს მოერწყა მისი სამოსელი... მისი ფართო შუბლი, მთელი სახე დაელტო მეწამული ფერის შემზარავ შესეფებს.

მოჰკრა თვალი უფლისწულმა ამ მოჩვენებას (თითქოს როლის უკეთ საჩვენებლადო, მოცეკვავეებს უახლოვდებოდა დინჯი, საზეიმო ნაბიჯით და შიშის თუ ზიზღის კანკალმა მოიცვა ჯერ, მერე კი მთლად წამოანთო მრისხანება.

— ვის გაუბედავს? — შეეკითხა იქვე მდგომ კარისკაცებს ხრინწმორეული ხმით, — ვის გაუბედავს ასე უღმერთოდ ჩვენი აბუჩად აგდება? სტაცეთ ხელი და ნიღაბი მოაძრეთ — გვეცოდინება, თუ ვის გადავკიდებთ კისრით ქონგურებიდან ხვალ, დილაადრიანად!


ეს ამბავი მოხდა აღმოსავლეთის, ანუ ცისფერ პალატში. აქ წარმოთქვა ასეთი სიტყვები უფლისწულმა პროსაერომ. ზვიადი და ძალგულოვანი კაცი იყო მეფისწული, მკაფიოდ, ნათლად გაისმა მისი ხმა შვიდივე დარბაზში, მისი ხელის დაქნევისთანავე გაჩუმდა მუსიკა.

ეს ამბავი მოხდა ცისფერ პალატში, უფლისწულის გვერდით იდგა გადაფითრებულ წარჩინებულთა ჯგუფი, მისი ბრძანებისამებრ ხალხმა გაიწია მომხდურისკენ, რომელიც ამ წუთას აქვე იყო და ახლა მზვობარი, უძფოთველი ნაბიჯით უფრო მოახლოვებოდა მასპინძელს. მაგრამ მსახიობის გიჟურმა თავხედობამ რაღაც ენით უთქმელი შიშის ქარი ჩაუყენა ყველას მუხლებში და ვერავინ დააკარა ხელი, ასე რომ შეუფერხებლივ, სულ ახლოს ჩაუარა უფლისწულს, და თითქოს ერთი ფიქრითო, კაციან-ქალიანად, სუყველა პალატის შუაგულიდან კედლებს მიაწყდა, იმან კი განაგრძო თა-

ვისი გზა საზეიმო და მოზომილი ნაბიჯებით, სწორედ ამგვარად შეიწვია აქ; ცისფერიდან გავიდა მეწამულ პალატში, მეწამულიდან — ბალახისფერში, ბალახისფერიდან — იისფერში, აქედან — თეთრში, შემდეგ — შავფერისაში და ვერავინ გაბედა მისი შეჩერება. და მაშინდა გააშმაგა საკუთარმა წამიერმა უღონობამ უფლისწული პროსპერო. ძრისხანებამ და სირცხვილმა თვალი რომ დაუბნელა, ფიცხლავ გაირბინა ექვსივე პალატი, კაცი არავინ მიჰყვა, ყველას გული გადაქანებოდა შიშით. მალეა შემართა მახვილი მეფისწულმა, თავპირისმტვრევით წამოეწია მიშავალს და როცა მან ხავერდოვანი პალატის უშორეს კუთხეს მიატანა, უცებ მოუბრუნდა, წინ დაუდგა მღევარს. შესაზარელი ყვირილით შავფერ ხალიჩაზე დაუვარდა მოელვარე მახვილი და იქვე უსულოდ დაეცა უფლისწული პროსპერო. სასოწარკვეთილის ვაჟაკობით მოიკრიბა ღონე ბრბოშ, შეცვივდნენ შავ პალატში, ხელი სტაცეს მომხდურს, რომელიც უმოძროდ ტანასვეტილი იდგა შავი ხის საათის ჩრდილში; ენით აუწერელი თავზარი დაეცათ — შლეგისამებრ გააფთრებულებმა რომ მოგლიჯეს სუდარა და ნეშტისსახა ნიღაბი და ვერ ნახეს ვინმე ხორციელი.

მიხვდნენ, წითელი სიკვდილი ყოფილიყო თურმე. ბნელი ღამის ქურდივით შემოპარულიყო აქ. ერთიმეორის მიყვარებით ეცემოდნენ მოსეირენი, სისხლის ღვარი დადგა ს.მხიარულო პალატებში. და ყოველს იქ დაეღია სული, ს.დაც დაცემულიყო. უკანასკნელ მოქეიფესთან ერთად შავი ხის საათიც გაეყარა სიცოცხლეს. დაიშრიტა სინათლე. ყველგან გამეფდა სიბნელე, ხრწნილება და წითელი სიკვდილი.





## II

### ნაპარავი წერილი

*Nil sapientiae odiosius acumine nimio.*

Seneca<sup>1</sup>

ერთხელ პარიზს, 18... წლის შემოდგომის მრუმე, ქარბუქიანი მწუხრის ჟამს, ფიქრებში გართული ჩიბუხს ვეწეოდი ჩემს მეგობარ შ. ოგიუსტ დიუპენტან ერთად მის პატარა ბიბლიოთეკასა თუ, უფრო სწორად, წიგნსაცავში, au troisième No. 33 Rue Dunôt Faubourg St. Germain<sup>2</sup>. თითქმის ერთი საათი სრული სიჩუმე სუფევდა და ასე იფიქრებდა ვინმე შემთხვევით შემოსწრებული, მთელი გულისყური ამათ თამბაქოს კვამლას ბოლქვებისთვის მიუპყრიათო. პირადად მე საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი – მორგის ქუჩაზე მომხდარ ამბავსა და მარი როჟეს საიდუმლოებით მოცულ მკვლელობაზე ვსაუბრობდით იმ საღამოს.

<sup>1</sup> ტყუილ ბრძნობაზე საძულველი სიბრძნისთვის არაფერია. სენეკა (ლათ.).

<sup>2</sup> სენ-გერმანის გარეუბანი, დიუნოს ქუჩა, № 33, მესამე სართული (ფრანგ.).

ამიტომაც შევეკრთი, როცა კარი გაიღო და შემოვიდა ჩვენი ძველი ნაცნობი, პარიზის პოლიციის პრეფექტი მესიე გ.

მართალია, ხალხი ცუდად იხსენიებდა მას, მაგრამ სამაგიეროდ შესაქცევარი ხასიათის კაცი გახლდათ და თავს არ მოგაბეზრებდათ. ამასთან რამდენიმე წელი არ გვენახა და გულითადად შეეხვდით. ბინდი შემოდიოდა გარედან და დიუპენი ლამპის ასანთებად წამოიღვა, მაგრამ ისევ დაჯდა, რადგან სტუმარმა უთხრა, ერთი ფრიად უსიამოვნო ამბავი გადამხდა და იქნებ, მირჩიოთ, თქვენი აზრი მინდა გავიგო.

— თუ ამ საქმეს ფიქრი სჭირდება, — დიუპენმა ლამპა აღარ აანთო, — ფიქრი ბნელში სჯობს.

— უცნაური ლაპარაკი იცით, — თქვა პრეფექტმა.

ეს კაცი „უცნაურს“ ეძახდა ყოველივეს, რაზეც ჭკუა ვერ მიუწვდებოდა და ამიტომაც სულ მუდამ „უცნაურობებით“ იყო სავსე მისი ცხოვრება.

— მართალი ბრძანდებით, — მიუგო დიუპენმა, სტუმარს ჩიბუხი შესთავაზა და კეთილნახელავი სავარძელი მიუჩინა.

-- მაინც რა მოხდა, — შევეკითხე ამ კაცს, — ვინმე სომ არ მოუკლავთ?

— ო, არა, მაგდაგვარი არაფერი მომხდარა. ნამდვილად სულ უბრალო საქმეა და, რაღა თქმა უნდა, თავადაც კარგად მოვუვლით, მაგრამ დიუპენს მინდა ზოგი რამ მაინც ვკითხო, იქნებ დაინტერესდეს. მეტიანეტად უცნაური საქმე კია.

— უბრალო და უცნაური? — გაიმეორა დიუპენმა.

— დიახ... უფრო სწორად, არა. მართალი თუ გინდათ, ყველა ვაოგნებული ვართ, ასეთი მარტივი საქმეა და თავგზა კი აგვიბნია.

— იქნებ, სწორედ სიმარტივემ შეგაჭირვათ, — უთხრა ჩემმა მეგობარმა.

— აბა, რას ამბობთ! — გულიანად გაეცინა პრეფექტს.

— იქნებ, სულ ადვილი ამოსახსნელია ეს საიდუმლო, — აქვა დიუპენმა.

— ღმერთო ჩემო, რასა ბრძანებთ?

— იქნებ, მეტიხმეტად ადვილია-მეთქი.

— ხაი ხაი ხაი ხოი ხოი ხოი — ხარხარებდა ჩვენი ფრიად გამხიარულებული სტუმარი, — ჰოი, დიუპენ, ერთხელაც იქნება, სიცილით მოშკლავთ!

— მაინც რა მოხდა ასეთი? — ახლა მე შევეკითხე.

— კი, ბატონო, გვიამბობთ, — თქვა პრეფექტმა, კარგა ღრმა ნაფაზი დაარტყა და სავარძელში მოხერხებულად ჩაჯდა, — გვიამბობთ ორიოდე სიტყვით, მაგრამ იცოცხეთ, გაიგებს ვინმე თქვენ გარდა და უსათუოდ დამატოვებინებენ სამსახურს.

— განაგრძეთ, — ვუთხარი პრეფექტს.

— და თუ შეიძლება მოკლედ გვიამბეთ, — თქვა დიუპენმა.

— დიას, ფრიად მაღალი წრეებიდან მაცნობეს, რომ სამეფო პალატში დაიკარგა უდიდესი მნიშვნელობის საბუთი. ქურდი ცნობილია — ხელმწიფობის დროს დაუნახავთ, ისიცაა ცნობილი, საბუთი კვლავ მის ხელთაა.

— საიდან იცით? — ჰკითხა დიუპენმა.

— ეს საბუთი განსაკუთრებული შინაარსისაა, — მიუგო პრეფექტმა, — ქურდობას ჯერჯერობით ცუდი შედეგი არ მოჰყოლია და არც არაფერი იქნება მანამ, ვიდრე ქურდი ნაპარავისგან ხელს არ დაიცლის ან, უფრო სწორად, დასახული მიზნისთვის არ გამოიყენებს. საუბედუროდ, ამ შედეგს სულ მალე ვიხილავთ.

— ცოტა უფრო ნათლად გვიამბეთ, — ვთხოვე პრეფექტს.

— პირდაპირ გეტყვით: ეს საბუთი მის მფლობელს გარკვეულ ძალას ანიჭებს გარკვეულ საქმეში, სადაც ამ ძალის მნიშვნელობა დიდია, — დიპლომატიური გამოთქმები უყვარდა პრეფექტს.

— და მაინც არაფერი მესმის, — თქვა დიუპენმა.

— არა? ჰმ... თუ ამ საბუთს გადასცემენ მესამე პირს, ვისი სახელიც, გთხოვთ, არ მკითხოთ, მაშინ მეტად წარსინებული პიროვნების ღირსება შეილახება. საბუთი გარკვეულ ძალას ანიჭებს მის მფლობელს და მის ხელთაა ამ წარსინებული პიროვნების სიმშვიდე და პატიოსნება.

— მაგრამ ეს ძალა, — ჩავერიე საუბარში, — იმაზეა და-

მოკიდებული, იცის თუ არა დაზარალებულმა ქურდის ვინაობა. ვინ გაბედავს...

— ქურდი მინისტრი დ.-ა, — თქვა გ.-მ, — ეს კაცი კი რას არ გაბედავს და რას არ იკადრებს. მარჯვედ და აშკარად მოიპარა საბუთი. ეს საბუთი, უფრო სწორად, წერილი, მიიღო ქალმა, რომელიც ამ დროს მარტო გახლდათ სამეფო ბუდუარში. კითხვისას შემოუსწრო მეორე წარჩინებულმა პიროვნებამ, სწორედ იმან, ვისაც არ უნდა ენახა ნაწერი. ქალმა სცადა ბარათი უჯრაში ჩაეგდო, მაგრამ ვერ მოასწრო. წერილი მაგიდაზე დარჩა. რაკი მისამართი ზემოდან თვალსაჩინოდ ეწერა, თავად წერილისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ამ დროს შემოვიდა დ., რომლის მახვილმა თვალმა იმწუთასვე შეამჩნია წერილი, იცნო მისამართის დამწერის სელიც, არ გამოეპარა ქალის შეცბუნებაც და ყველაფერს მიხვდა. ხანმოკლე საქმიანი საუბრის მერე მინისტრმა აშოილო თითქმის ისეთივე წერილი, გაშალა ვითომც წასაკითხად და ცოტა ხნის შემდეგ იმ პირველს დაუდო გვერდით. თხუთმეტიოდე წუთი კვლავ ისაუბრეს სახელმწიფო საქმეებზე. მერე დ. წავიდა და თან წაიღო სხვისი წერილი, რომლის კანონიერმა მფლობელმა ქალმა ყველაფერი დაინახა, მაგრამ, რალა თქმა უნდა, იმ მესამე პირთან სიტყვაც ვერ დაძრა. მაგიდაზე კი დარჩა მინისტრის საკუთრება, უმნიშვნელო შინაარსის ბარათი.

— აი, ის პირობაც, რაც სრულ ძალაუფლებას ანიჭებს წერილის მფლობელს, როგორც თქვენა თქვით, — მითხრა დიუპენმა, — ქურდმა იცის, რომ დაზარალებულმაც იცის, ვინ არის ქურდი.

— დიას, დაეთანხმა პრეფექტი, — უკვე რამდენიმე თვეა ქურდი ბოროტად იყენებს ამ ძალაუფლებას ფრიად საშიში პოლიტიკური მიზნებისთვის. დაზარალებული ქალი დღითი დღე რწმუნდება, რომ წერილი აუცილებლად უნდა დაიბრუნოს, მაგრამ ამ ამბავს, ცხადია, სააშკარაოზე ვერ გამოიტანს. დაბოლოს სასოწარკვეთილმა მე მიმიხმო.

— მართლაც, — თქვა თამბაქოს ბოლში გახვეულმა დიუპენმა, — უფრო მარჯვესა და გონიერს ვერც ვერავის ნახავდა.

— ქათინაურს მეუბნებით, — მიუგო პრეფექტმა, — თუმიცა ზოგი კი მართლა გახლავთ მაგ აზრის.

— როგორც თქვენ ბრძანეთ, — ვუთხარი პრეფექტს, — წერილი, რა თქმა უნდა, ისევ მინისტრთანაა და ამაშია მისი ძალა. წერილის გამოყენების შემდეგ ეს ძალაც მოისპობა.

— მეც აგრე ვფიქრობ, — კვერი დამიკრა ვ.-მ, — იმთავითვე კარგად მოვწინასწარმინისტრის ბინა. ჩემი მთავარი საზრუნავი იყო, ჩხრეკის თაობაზე არაფერი გაეკო. სხვა რომ არა, გამაფრთხილეს კიდევ, ეჭვი რომ აიღოს, უარესი იქნებაო.

— მაგრამ თქვენ ხომ ამგვარ ძიებაში მეტად au fait<sup>1</sup> ბრძანდებით. პარიზის პოლიციას ჩხრეკის მეტი რა გაუკეთებია, — ვუთხარი მე.

— დიას, და სწორედ ამიტომ არ გამტენია გული. თავად მინისტრიც მშველოდა. ხშირად მთელი ღამეები შინ არაა. მსახურიც არა ჰყავს ბევრი. საძინებელი ოთახები მათთვის პატრონის დარბაზებისგან კარგა მოშორებით მიუჩენიათ. მოგეხსენებათ, ნეაპოლელები ღვინის მოყვარული ხალხია. თქვენ იცით, გასაღების მთელი დასტა მაქვს და პარიზში ყველა ოთახის თუ კარადის გაღება შემიძლია. სამი თვე თითქმის ყოველ ღამე ვჩხრეკდი დ.-ს სახლს. ჩემი ღირსება აქ სასწორზეა შეგდებული. სრულიად საიდუმლოდ უნდა გამცნოთ — გასამრჯელოც დიდია. ასე რომ, იქამდე არ შემიწყვეტია ძიება, სანამ იმედი არ გადამეწურა, ქერდმა ჩაჯობა-მეთქი. მისი სახლის კუთხე და კუნჭული არ დამიტოვებია მოუჩხრეკავი. ყველგან ვნახე, სადაც კი შეიძლებოდა წერილის დამალვა.

— იქნებ, წერილი სხვაგან შეინახა მინისტრმა? — შევეკითხე მე.

— არა მგონია, — ჩაილაპარაკა დიუპენმა, — სამეფო კარზე ასლა ისეთი მდგომარეობაა, თანაც დ., თქვენ იცით, ისეთ სრიკებშია ჩათრეული, რომ წერილი სადმე ახლოს უნდა

---

<sup>1</sup> გამოცდილი (ფრანგ.).

დაემალა, რათა ყოველ წუთს შეეძლოს მისი წარდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაფერს გახდება.

— როგორა თქვით, ყოველ წუთს შეეძლოს წარდგენა? — ჩავეკითხე დიუპენს.

— მოსპობათ, ასეც შეიძლება ითქვას, — მითხრა დიუპენმა.

— დიახ, — მივუგე, — მაშინ სწორედ შინა აქვს წერილი. ცხადია, მინისტრს თან არ დააქვს.

— ცამდე მართალი ბრძანდებით, — თქვა პრეფექტმა, — ვითომ გაძარცვის მიზნით ორჯერ ჩავუსაფრე ხალხი, თავით ფესამდე გაჩხრიკეს ჩემი მეთვალყურეობით.

— ტყუილად გარჯილხართ, — მოუჭრა დიუპენმა, — დ. არც ისეთი უჭკუოა და კარგადაც იცოდა, თავს დამესხმებიანო.

— არც ისეთი — უჭკუო, — გაიმეორა გ.-მ, — ის სომ პოეტია, უჭკუობამდე რალა აკლია.

დიუპენი ფიქრებს მიეცა, მერე ჩიბუხი მოქაჩა და ჩაილაპარაკა:

— მართალია, თუმცაღა, სულ ცოცხლო, ერთ დროს მეც ვწერდი ლექსებს.

— წვრილად გვიამბეთ, — ვთხოვე პრეფექტს, — თქვენი ჩსრეკის ამბავი.

— კაცმა რომ თქვას, არ ავჩქარებულვართ. მოვჩხრიკეთ ყველა კუნჭული. ამგვარ საქმეებში დიდად გამოცდილი ვარ. ერთი ოთახიც არ დაგვიტოვებია უნახავი; მთელი კვირა ღამღამობით ვეძებდით. ჯერ ავეჯი მოვჩხრიკეთ, მერე ყველა უჯრა. თქვენც იცით, გამოწვრთნილი პოლიციელისთვის საიდუმლო უჯრა არ არსებობს. ასეთი ძებნის დროს „საიდუმლო“ უჯრა ბოთეს თუ გამორჩება. ამას რა ლარი და ხაზი უნდა — ყოველ კარადას გარკვეული მოცულობა და ფართობი აქვს, ასე რომ, არაფერი დაგვრჩებოდა შეუმჩნეველი. კარადების მერე სავარძლებს ძივადექით, მოვრძობენ მისებრ დაგვჩხრიკით, როგორ ხდება ეს, თქვენც კარგად იცით. მაგიდებს ზედა ფიცარი მოვაცილეთ.

— ეგ რალა საჭირო იყო?!

— ხანდახან მაგიდის თუ სხვა ავეჯის ფიცარს ააცლიან. ან ფესს მოაძრობენ და შიგ ჩამალავენ რაიმეს, მერე კი

ისევ თავის ადგილას მთარგებენ. საწოლშიც შეიძლება ასევე დამალონ.

— განა მიკაკუნებით ვერ მიხვდებით, სად არის სიცარიელე? — შევეკითხე მე.

— ვერამც და ვერამც. საკმარისია ის ღრმული ბამბით გაჭედონ და ველარაფერს გახდებით. თანაც ყველაფერი უხმაუროდ უნდა გაგვეკეთებინა.

— მთელ ავეჯს ხომ ვერ დაშლიდით იმ სამალავის მოსაძებნად. ხომ შეიძლება საქსოვი ჩხირივით წვრილად დაესვიათ წერილი და ასე დაემაღათ, ვთქვათ, სავარძლის ფეხში. ყველა სავარძელი ხომ არ დაგიშლიათ?

— რა თქმა უნდა, არ დაგვიშლია, მაგრამ მთელი ავეჯი გამადიდებელი შუშით მოვჩხრიკეთ. სულ მცირეოდენ ნაკვალევსაც იმწუთას შევამჩნევდით — პატარა ნაკაწრიც კი მომსხო ჯოხის ოდენად გამოჩნდებოდა. ხელის თითების პატარა ანაბეჭდიც კი ვერსად შევნიშნეთ.

— სარკეებიც ხომ ნახეთ — ჩარჩოსა და მინის შუა კარგი სამალავი ალაგია; ქვეშაგებს, თეთრეულს, ნოსებსა და ფარდაგებს მოჩხრიკდით, არა?

— დიას, ყველაფერი მოვჩხრიკეთ. შემდეგ მთელი სახლის ფართობი კვადრატებად დავყავით და დავნომრეთ, ისე რომ აღარაფერი აგვერეოდა; მერე მივყევით და ყოველი დანაყოფი მოვათვალიერეთ. ასევე ორ მეზობელ სახლშიც კუნჭული არ დაგვიტოვებია, სულ ლუპით დავათვალიერეთ.

— კიდევ ორი სახლი? — შევძახე გ.-ს. — ათასად გაჭრილხართ და ეგაა!

— დიას, მაგრამ გასამრჯელოსაც ზღაპრულს გვპირდებიან.

— ეზოებში თუ დაძებნეთ?

— იქაურობა სულ აგურითაა მოკირწყლული და ასე აღარ გავრჯილვართ. აგურებს შორის ხვიფლი ხელუხლებელი იყო.

— რაღა თქმა უნდა, ქალღმერთიც მოიძიეთ, ბიბლიოთეკაშიც შეიხედავდით?..

— დიას, ყველა საქალაღე გავხსენით; წიგნები ზერელედ კი არა, ფურცელ-ფურცელ ვნახეთ. ასევე შევამოწმეთ

ყოველი წიგნის გარეკანის სისქე და მერე ლუპით გაგან-  
ჯეთ. საექვო რამეს უთუოდ შევამჩნევდით. საამკინსტოლს  
ახლანან მოტანილი ხუთი თუ ექვსი წიგნიც გრძელი ნემსე-  
ბით ასევე გულდაგულ მოვჩხრიკეთ.

— იატაკი თუ ნახეთ ნოსებქვეშ?

— რაღა თქმა უნდა, ნოსები ავიღეთ და ფიცრები ლუპით  
მოვათვალიერეთ.

— შპალერი?

— ისიც.

— სარდაფებში თუ ეძებთ?

— რა თქმა უნდა.

— ხოდა, — ვთქვი მე, — შემცდარხართ და ეგაა, მაშასა-  
დამე, ის წერილი შინ არ ჰქონია!

— მართალს უნდა ბრძანებდეთ, — თქვა გ-მ, — თქვენ  
რას მირჩევდით, დიუპენ?

— ხელახლა უნდა განხრიკოთ.

— რაღა აზრი აქვს, — უპასუხა გ.-მ, — ცხადზე ცხადია,  
წერილი შინ არ ჰქონია.

— აბა მეტს ვერაფერს გირჩევთ, — თქვა დიუპენმა, —  
ცხადია, წერილის ზუსტი აღწერილობა გექნებათ.

— დიახ, — პრეფექტმა უბის წიგნაკი ამოიღო და სი-  
მაღლა წაგვიკითხა იმ წერილის შინაარსი, მერმე გამოწვლი-  
ლვით აგვიწერა მისი გარეგნული სახე. დაბოლოს ისე დაღ-  
რეჯილი დაგვეშპვიდობა, როგორც არასოდეს გვენახა ეს  
ჩვენი კარგი ნაცნობი.

ერთი თვის მერე კვლავ გვეწვია. ძველებურად დავხვ-  
დით. მანაც აიღო ჩიბუხი, სავარძელში მოკალათდა და სა-  
უბარი გაგვიბა, ხან ცისა თქვა, ხან ბარისა. ველარ მოვო-  
მინე და ვკითხე:

— იმ დაკარგულ წერილზე ახალს რას იტყვით? იმეღა  
ხომ არ გადაგიწურავთ, მინისტრს ველარ ვაჯობებთო?

— ღმერთმა დასწყევლოს მაგისი თავი. მე მაინც დიუპენ-  
ის რჩევისამებრ კვლავ გავჩხრიკე სახლი: ამოდ დავშვიერ,  
თუმცა ვიცოდი, ასეც იქნებოდა.

— როგორა ბრძანეთ, გასამრჯელო რამდენიაო? — ჰკი-  
თხა დიუპენმა.



— ძალიან დიდი, მეტისმეტად დიდიც, ხოლო რამდენი ვერ გეტყვით. ვინც წერილს მაპოვნინებს, იმას, ჩემდათა ვად, ორმოცდაათ ათას ფრანკს მივცემ. საქმე ისაა, რომ ეს წერილი დღითი დღე მნიშვნელოვანი ხდება. ჯილდოც ამ ცოტა ხნის უკან გაორკეცდა. თუგინდ გაასამკეცონ, მე მეტი არ შემიძლია.

— ჩემი აზრით, — ჩაურთო დიუპენმა და ნაფაზი ნაფაზზე დაარტყა, — თქვენ ყველა ღონე არ გინმარიათ ამ საქმეში. ცოტა კიდევ შეიძლებოდა გარჯა, არა?

— კი მაგრამ როგორ? რალა უნდა მექნა?

— ასე... ჰუუ, ჰუუ... შეიძლებოდა... ჰუუ... ჰუუ... რჩევა გეკითხათ ვინმესთვის, არა?... ჰუუ... ჰუუ... აბერნეთის ამბავი თუ გახსოვთ?

— არა, ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია!

— კი, ბატონო, აგრე იყოს. ოღონდაც ერთმა ფულიანმა კრიჟანგმა ერთხელ გაიფიქრა, მოდი და რჩევას დავტყუებო აბერნეთის. სახელოვანი ექიმის სიტყვა რაც ღირს, კარგად მოგესხენებათ. ჰოდა, მეგობრული საუბრის დროს მოუყვა ვითომ ვიღაც შეჭირვებულის ამბავი, სინამდვილეში კი თავისი ავადობის სურათი აღუწერა. რას იტყოდით, ჰკითხა ქვაწვიამ, ექიმო, თქვენ რას ურჩევდითო ასეთ ავადმყოფს? რასა და ექიმს მიმართეთ-მეთქი, ამას ვურჩევდით, მიუგო აბერნეთიმ.

— კი მაგრამ, — ოღნავ შეცბა პრეფექტი, — მე ხომ უარზე არა ვარ, ჩემს მრჩეველსა და დამხმარეს მართლაც მივცემ ორმოცდაათ ათას ფრანკს!

— რახან ასეა, — თქვა დიუპენმა, უჯრა გამოაღო და თავისი ჩეკის წიგნაკი ამოიღო, — შეავსეთ მაგ თანხაზე ჩეკი, ხელი მოაწერეთ და თქვენი იყოს ის წერილი.

გავხევდი. მეხნაკრავივით იჯდა პრეფექტიც. გაქვავებულს სიტყვა ველარ ეთქვა, პირდაღებული უნდოდ შეჰყურებდა ჩემს მეგობარს. ცოტაც და თვალეები ბუდიდან წამოუცვივდება-მეთქი, ვიფიქრე. მერე გონს მოვიდა, კალამს ეცა, როგორც იყო ორმოცდაათ ათას ფრანკზე შეავსო ჩეკი და ხელიც მოაწერა, თუმცა რამდენიმეჯერ კი შეჩერდა გაშტერებული. დაბოლოს დიუპენს წიგნაკი გადააწოდა. ჩვენმა მასპინძელ-

მა გააღო *escritoire*<sup>1</sup>. წერილი ამოიღო და პრეფექტს უჩვენა. სისარულით აღფრთოვანებულმა გ.-მ გამოსტაცა კურსილი, ხელის კანკალით გახსნა, მალიად გადაათვალიერა, წამოიყუწა, კარისკენ გავარდა, იქ წამით შედგა, მაგრამ სიტყვა აღარ უთქვამს, ხმაგაუღებლივ გავიდა ოთახიდან.

პრეფექტის წასვლის შემდეგ ჩემმა მეგობარმა ყველაფერი ამიხსნა.

— პარიზის პოლიციას, — ასე თქვა, — თავის მხრივ ტოლი არა ჰყავს. მტკიცე, მარჯვე, მრავალნაცადი ხალხია, კარგადაც იციან თავიანთი ხელობა, სახლის გაჩხრეკის წესი წვრილად რომ მიაბნო გ.-მ, მივხვდი, წერილის მისაკვლევად ამ კაცს რაც შეეძლო ყველაფერი გაუკეთებია-მეთქი!

— რაც შეეძლო? — გამიკვირდა მისი ნათქვამი.

— დიას, — თქვა დიუპენმა, — ჩხრეკის საუკეთესო სერსი შეურჩევია და მშვენივრადაც გამოუყენებია. მაგრამ წერილი ხომ ისე არ იყო დამალული, როგორც ეგენი ეძებდნენ! გამეცინა, თუმცა დიუპენი, როგორც ჩანს, არ ხუმრობდა.

— მართალია, — განაგრძო მან, — თავისთავად ეს სერსი კარგი იყო და კარგადაც მომარჯვებული, მაგრამ ყოველთვის ხომ არ გაჭრის, ამ ჩვენს პრეფექტს პროკრუსტეს საწოლად გადაქცევია რამდენიმე მეტად ეშმაკური ხერხი და სწორედ ამ ხერხებით ცდილობს ფონს გასვლას, მაგრამ ის, ვინც საქმეს ხან ძნელად, ხანაც მარტივად უყურებს, წამდაუწუმ ცდება და სკოლის მოწაფე მეტ საზრიანობას გამოიჩენდა ნამდვილად. ერთ რვა წლის ბიჭს ვიცნობდი, „ლუწ-და-კენტის“ თამაშში ტოლი არ ჰყავდა. თამაში სულ უბრალოა, ერთი მუჭში დამალავს კენჭებს, მეორემ კი უნდა გამოიცნოს, ლუწია თუ კენტი მათი რიცხვი. თუ გამოიცნო — გამარჯვებულია. სკოლაში მთელი კენჭები ამ ბიჭს რჩებოდა, რაკილა ერთი გარკვეული წესი მოემარჯვებინა — დაკვირვებოდა და გამოეცნო, რამდენად მოსაზრებელი იყო მისი მეტოქე. მაგალითად, როცა კენჭების დამალავი ვინმე არიფი შეეკითხებოდა, ლუწია თუ კენტიო, ეს ბიჭი ეტყოდა, კენტიო და წააგებდა. მეორე ხელზე კი იგებდა ასეთი მსჯე-

<sup>1</sup> სამაგიდო საწერი მონყობილობის ყუთი (ფრანგ.).

ლობის შედეგად: „ამ ბრიყვს პირველად კენტი ვუთხარი, ლუწი კი ჰქონია, ახლა ეგ ერთ კენჭს ან მოიკლებს, ან დამატებს, ამიტომ ამჯერადაც ვეტიყვი, კენტია-მეთქი“. ჰოდა, ასე გაიმარჯვებდა კიდევ. ხოლო პირველზე ცოტა უფრო ჭკვიან არიფთან კი სულ სხვანაირად მსჯელობდა: „რაკილა ჯერ კენტი ვთქვი, მეორე ჯერზეც ეს ბიჭი უცებ იმ არიფით იფიქრებს, დავიმატებ ან დავიკლებო ერთ კენჭს, მაგრამ მერე გადაწყვეტს, ამის მიხვედრას რა უნდაო და ბოლოს ხელში კენჭების ისევ ლუწ რაოდენობას დაითვებს, ამიტომ ახლა ვეტიყვი, ლუწია-მეთქი“. ხშირადაც იგებდა ხოლმე ასეთი მსჯელობის შედეგად. მეგობრები ამ ბიჭს „იღბლიანს“ ეძახოდნენ, მაგრამ მისი ასეთი მსჯელობა, რას მოწმობს?

— იმას, რომ ამ ბიჭს სწორად შეეძლო თავისი მეტოქის უნარის შეფასება.

— დიას, — მითხრა დიუპენმა, — როცა იმ ბიჭს ვკითხე, შენი მეტოქის აზრის გამოცნობას და სულ მუდამ მოგებას როგორ ახერხებ-მეთქი, ბიჭმა მიპასუხა: „თუ მინდა გავიგო, რა ჭკუის პატრონია ან რამდენად კეთილია თუ ავი, ან ამწუთას რას ფიქრობს ჩემი მეტოქე, ვცდილობ მისეული გამომეტყველება მივიღო და მერე ვიცდი, აბა რას გავიფიქრებ და რა გუნებაზე დავდგები. ასე ვრჩები ყოველთვის მოგებულნი“. ამ ჩემი მოწაფის შესედულება ესაძირკვლება იმ ვითომ სიბრძნეს, რასაც მიაწერენ ლაროშფუკოს, ლაბრიუერს, მაკიაველსა და კამპანელას.

— ხოლო მეტოქის უნარის შეფასება, — ვთქვი მე, — თუკი სწორად მესმის, მისი ინტელექტის გამოცნობაზეა დამოკიდებული.

— დიას, მართალია, — მიპასუხა დიუპენმა, — პრეფექტი და მისი კოჰორტა ცდებიან ჯერ კიდევ ერთი იმიტომ, რომ არ ცდილობენ შეაფასონ მეტოქის უნარი და, მეორეც, მცდარად წარმოუდგენიათ ან, უფრო სწორად, სულაც არ იციან იმისი ინტელექტი. საკუთარი გამჭრიახობით დაიმედებულნი ეძებენ იმის მიხედვით, თუ როგორ გადამალავდნენ თავად. ხშირად გამართლებიათ, როცა მათი საზრიანობა ხალხის საზრიანობას დამთხვევია; მაგრამ თუ დამნაშავე

ჭკუით სჯობნის მათ, მაშინ, რაღა თქმა უნდა, დამარცხება არ ასცდებათ. სულ ასეა ხოლმე, როცა ბოროტმოქმედი პოლიციელზე უფრო ჭკვიანია ან უფრო სულელი. ეგენი თავიანთ ხერხს არასოდეს სცვლიან და ნიადაგ თავიანთ ერთფეროვან ძიებათა ხვანჯერში არიან გაბმულნი. თუ, ვთქვათ, დიდი გასამრჯელო მოვლით — თავისი სამოქმედო წესის ძირისძირის შეუცვლელად განავითარებენ ან უკიდურესობამდე მიიყვანენ ამ წესს. ასე მოუვიდა გ.-საც, რაკილა ისევ თავისი პირვანდელი წესის შესაბამისად მოქმედებდა. ეს ყველაფერი — ბურღვა, ხვრეტა, კაკუნის, ლუპით გასინჯვა, მთელი შენობის კვადრატებად დაყოფა და დანომვრა — ყველაფერი ეს უკიდურესობამდე დაყვანილი ერთი სამოქმედო წესია, რაც იმ შეხედულებაზეა დამყარებული, პრეფექტს რომ ჩამოუყალიბდა მრავალი წლის სამსახურის დროს. აქვენ დაინახეთ, ამ კაცს ეჭვი არ ეპარებოდა, ყველა ისე მოძებნის, როგორც მე ვეძებო — შეიძლება წერილი მაინც დამაინც სავარძლის ფეხში არ იყოს, მაგრამ უსათუოდ სადღაც გადაკარგულ კუთხესა თუ კუნჭულში იქნება ჩამალული. და მისი ეს აზრი ნაკარნახევია იმავე ფიქრით, რაც კაცს სავარძლის ფეხში დაამალვინებს საგანს. თქვენთვისაც ცხადია ახლა, რომ ამგვარი recherche<sup>1</sup> სამალავის არსებობა მხოლოდ ჩვეულებრივ შემთხვევაშია საგულვებელი — მხოლოდ მარტივი ინტელექტის კაცი მოიფიქრებს, ამგვარად გადამალოს რაიმე და მოძებნა თუ დასჭირდება, პირველ ყოვლისა, ეს recherche ხერხი მოაგონდება. ამ დროს საგნის პოვნა მძებნელის გამჭრიახობაზე კი არაა დამოკიდებული, უფრო მეტად მის მოთმინებას, გულისყურსა და სიმტკიცეს მოითხოვს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საქმე მნიშვნელოვანია და გასამრჯელოც დიდია, მაშინ ხსენებული თვისებების მქონე პიროვნებას არასოდეს მოეცარება ხელი. ახლა ხომ მიხვდით, რას ვგულისხმობდი წელან, როცა გითხარით, პრეფექტის ძიების წესისამებრ რომ დაემაღათ ნაპარავი წერილი, ანუ დამალვის ხერხი რომ თანხვდომოდა პრეფექტის მიერ მომარჯვებულ მისაკვლევ ხერხს, წერილს უსათუოდ იპოვიდნენ-მეთქი. მაგრამ<sup>1</sup> ბოლოს მოტყუებული დარჩა

<sup>1</sup> აქ: საგანგებო (ფრანგ.).

პრეფექტი და ამ დამარცხების თავი და თავი მიზეზი ის არ-  
ის, რომ მისი შეხედულებით მინისტრი ჭკუანაღრძობია, რა-  
კი ამ კაცს პოეტის სახელი აქვს მოხვეჭილი. ყველა ჭკუა-  
ნაღრძობი პოეტია — ასეთი ქვეშეცნული აზრის გახლდათ  
პრეფექტი და დასკვნაც ამდაგვარი გაეკეთებინა საბოლოოდ.  
ყველა პოეტი ჭკუანაღრძობიან, *non distributio medii*<sup>1</sup>  
იყო ამ კაცის დანაშაული.

— მაგრამ მინისტრი განა პოეტია, — ვუთხარი დიუპენს. —  
მე ვიცი, ორი ძმაა, ორივეს გამოუცია წიგნები. მინისტრმა,  
მგონი, დიფერენცირებულ გამოთვლებზე დაწერა შრომა. ასე  
რომ, ეს კაცი მათემატიკოსია და არა პოეტი.

— ცდებით. კარგად ვიცნობ — ერთიცაა და მეორეც.  
ერთნაირად უჭრის გონება, როგორც პოეტს და როგორც  
მათემატიკოსსაც; მხოლოდ მათემატიკოსი რომ ყოფილიყო,  
პრეფექტი იოლად მოუვლიდა ამ საქმეს.

— რაღაც საკვირველს ამბობთ, — ვთქვი მე, — მაგნიარი  
აზრით ხომ ეწინააღმდეგებით საყოველთაო შეხედულებას,  
არაფრად აგდებთ საუკუნეების მანძილზე შექმნილ აზრს,  
რომლის მიხედვით მათემატიკური გონი აღიარებულია რო-  
გორც გონი *pax excellence*.

— *Il y a á parier*, — შამფორის სიტყვებით მიპასუხა დიუ-  
პენმა, — *que toute idée publique, toute convention recue,  
est une sottise, car elle a convenu au plus grand nombre*<sup>2</sup>.  
მათემატიკოსებმა, მე გეთანხმებით, ქვეყანას მოსდეს ეს სა-  
ყოველთაო შეცდომა, მის გასავრცელებლად ღონე არ დაუ-  
შურებიათ. ასე, მაგალითად, სხვა შემთხვევაში რომ უფრო  
მოსაწონი იქნებოდა, ისეთი სიმარჯვით შეაპარეს ალგებ-  
რაში ტერმინი „ანალიზი“. ეს ყველაფერი კი ფრანგების  
ბრალია. თუკი აქვს ტერმინებს რაიმე მნიშვნელობა, თუკი  
მხოლოდ გამოყენებისდა კვალად შეფასდება სიტყვა, მაშინ  
„ანალიზი“ ისევე ნიშნავს „ალგებრას“, როგორც ლათინური

<sup>1</sup> საშუალის გაუთიშველობა (ლათ.).

<sup>2</sup> ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით (ფრანგ.).

<sup>3</sup> სანაძღეს ჩამოვალ, რომ ყოველი გავრცელებული იდეა, საყოველ-  
თაოდ მიზნული შეხედულება, რაკილა მისაწონი გამსდარა უმრავლესო-  
ბისთვის — სულელურია (ფრანგ.) ს. შამფორი.

„ambitus“<sup>1</sup> – ამბიციას, „religio“<sup>2</sup> – რელიგიას, homines honesti“<sup>3</sup> – ჰონორიან ხალხს.

– ჩსუბს ვერ გადაურჩებით, როგორც ვხედავ, ალგებრის თაყვანისმცემლებთან პარიზში, – ასე მივუგე, – მაგრამ, მგონი, სიტყვა შეგაწყვეტინეთ.

– ყოველგვარი გონის ღირსებაში ეჭვი მეპარება, სპეციფიკურ ფორმებად რომაა დანერგილი, გარდა აბსტრაქტულ-ლოგიკურისა. განსაკუთრებით მათემატიკის შესწავლით გაწვრთნილი გონი მეეჭვება. მათემატიკა ფორმისა და რაოდენობის მეცნიერებაა. მათემატიკური გონი ესაა ფორმასა და რაოდენობაზე დასაკვირვებლად გამოყენებული მარტივი ლოგიკა. უდიდესი შეცდომის შეპყველია ეს შეხედულება: წმინდა ალგებრად წოდებული მეცნიერების კანონები საყოველთაო აბსტრაქტული კანონებიაო. ეს შეცდომა ისე დიდია, რომ მიკვირს, როგორ ვერ ხედავენ ამას. მათემატიკური აქსიომები როდია საყოველთაო ჭეშმარიტების აქსიომები. ფორმისა და რაოდენობის მიხედვით რაიც ჭეშმარიტია, ის ხშირად იქნება მეტად მცდარი, მაგალითად, მორალთან დამოკიდებულებაში. მორალის შემთხვევაში შესაკრებთა ჯამი არ უდრის მთელს. ქიმიაშიც არ გამოდგება ეს აქსიომა. მოტივების განხილვის დროსაც უმართებულოა იგი, ვინაიდან ორ სხვადასხვა მოტივს თანხვდომისას სულაც არ ექნება ის ძალა, ცალ-ცალკე აღებულ ამ მოტივთა შეკრებით რომ მიიღება. მრავალ მათემატიკურ ჭეშმარიტებას ვხვდებით, ჭეშმარიტებანი რომაა მხოლოდ ამ მეცნიერების საზღვრებში. თავისი შეზღუდული მათემატიკური ჭეშმარიტების კვალობაზე მათემატიკოსი, როგორც წესი, ფიქრობს, თითქოს ეს იყოს საყოველთაო ხასიათის ჭეშმარიტება – თუმცა ხალხიც ხომ ასეთი შეხედულებისაა. მცდარობის ანალოგიურ თავწყაროს მოიხსენიებს ბრაიანტი თავის ფრიად მეცნიერულად დაწერილ „მითოლოგიაში“, „თუმცა“, ასე ამბობს, „არავის გვჯერა წარმართული მითებისა,

<sup>1</sup> ტრიალი (ლათ.).

<sup>2</sup> სინდისიერება (ლათ.).

<sup>3</sup> ღირსეული ხალხი (ლათ.).

მაინც ერთთავად გადაგვივარდება ხოლმე გულიდან ეს გარემოება, და ვითომც ნამდვილი ამბავი მოგვესმინოს, ისეთი დასკვნები გამოგვაქვს საბოლოოდ“. მაგრამ ალგებრისტები თავად არიან წარმართები, სჯერათ კიდევ „წარმართული მითებისა“ და შესაბამისი დასკვნები გამოაქვთ არა იმდენად გულმავიწყობის, რამდენადაც გონებრივი სიბეცის გამო. ერთი სიტყვით, ჯერ არ შემხვედრია მათემატიკოსი, ვისაც ფესვების ტოლობის გამოყვანის გარდა სხვა რამეში ენდობა კაცი, ანუ, ვისაც არ სჯერა, სრულიად და უსათუოდ  $x^2 + px$  ყოველთვის უდრისო  $q$ -ს, მოდით და სცადეთ, ერთ ამ ჯენტლმენტაგანს უთხარით, ხანდახან შეიძლება და  $x^2 + px$  მთლად არ უტოლდებოდეს  $q$ -ს, ეტყვიეთ ამას და სასწრაფოდ თავს უშველეთ, რადგან ეჭვი არაა, საცემრად გამოიწევს.

— მე იმისი თქმა მინდა, — განაგრძო დიუპენმა, როცა მის უკანასკნელ სიტყვებზე გულიანად გამეცინა, — მინისტრი რომ მათემატიკოსი ყოფილიყო, მაშინ პრეფექტს არ მოუწევდა ჩემთვის ფულის მოცემა. მაგრამ ეს კაცი მათემატიკოსიცაა და პოეტიც. პოდა, იმისი უნარისა და იმისი გარემო პირობების გათვალისწინებით ვიმოქმედე. ისიც ვიცოდი, სასახლის გაბედული *intrigant*<sup>1</sup>-ი გახლავთ, ასეთ კაცს კი პოლიციის ჩვეულებრივი ხერხები მშვენივრად ეცოდინებოდა. აკი კიდევაც გაუთვალისწინებია, რომ გზაზე დახვდებოდნენ. ვფიქრობ, იმასაც მიხვდა, რომ სახლს მალულად გაუჩხრეკდნენ. იმ ამბავმა, რომ მთელი ღამეები შინ არ იმყოფებოდა ეს კაცი, პრეფექტს წარმატების იმედი მისცა, მე კი დამეჭვა. მინისტრი უთუოდ ამას ვარაუდობდა, სუყველაფერის გაჩხრეკის შემდეგ გ. მალე დაარწმუნეს, წერილი სხვაგან შეუნახავთო. ბოლოს ხომ მართლაც ასე ჩათვალა გ.-მ. ცხადია, მეც ვიფიქრე, თუ პოლიცია გადამაღული საგნების ძიებისას თავის უცვლელ წესს მისდევს, რაზეც წელან დაწვრილებით გაიმბეთ, ეს მიკვლევის წესი შეიძლება ისევე მშვენივრად იცოდეს-მეთქი მინისტრმაც, როგორც მე. სწორედ ამიტომ უარყო მან ყველა ჩვეულებრივი

<sup>1</sup> ინტრიგანი (ფრანგ.).

სამალავი. აგრე ჭკუადანსმული როგორ უყავი ყოველთვის და ვერ მიმხვდარიყო, რომ სახლის სულ გადაკრძალულ ნიჭი-ჭულსაც ისევე მიწვდებოდნენ პრეფექტის სექსიჯი, სექსიჯი ბი, ლუპები, როგორც რომელიმე კარადს. მიწვდებოდა, მიწვდებოდა კვალად სიმარტივეში უნდა ეძია ხსნა. ხომ გულისთვის, გულისთვის ლად რომ გვეწვია პრეფექტი, რა გულიანად იცხა სექსი სიტყვებზე, იქნებ, სწორედ ამ საქმის მეტასმექტა სექსიჯი ვემ შეგაჭირვათ-მეთქი.

— დიას, — მივუგე ჩემს მასპინძელს, — მახსოვს, რატომ გამხიარულდა, ასე მეგონა, ცოტაც და სიცვლით გული წაუვა-მეთქი.

— მატერიალური სამყარო, — განაგრძო დიუპენმა, — არა მატერიალურს სრული ანალოგიებით უკავშირდება; ამიტომაცაა რაღაც სიმართლის შემცველი რიტორიკის ერთი დოგმათაგანი: მეტაფორასა და შედარებას შეუძლია არა მარტო აღწერის შემკობა, უტყუარობის მინიჭებაცო. მაგალითად, *vis inertiae*<sup>1</sup>-ს პრინციპი, როგორც ჩანს, ერთია ფიზიკურისა და მეტაფიზიკურისთვისაც. თუ პირველ შემთხვევაში სწორია, რომ დიდი სხეული მცირესთან შედარებით ძნელად ამოძრავდება და მისი ინერციის ძალა პირდაპირ პროპორციულია ამ სიძნელესა, ასევე სწორი იქნება ის, რომ დიდი უნარის ინტელექტი თუმც უფრო ძლიერი, უფრო შეუცვლელი, უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ დაბალი, მაგრამ ეს ძლიერი ინტელექტი გაცილებით მძიმედ ამოძრავდება და გაცილებით თავგზააბნეული, გაცილებით მერყევი ჩანს პირველი ნაბიჯებისას. კიდევ: ქუჩაში, დუქნის კარის თავზე, რომელ აბრებს უფრო მიუქცევიათ თქვენი ყურადღება?

ამაზე არასდროს მიფიქრია-მეთქი, ვუპასუხე დიუპენს.

— ერთი თამაში ვიცი, — თქვა დიუპენმა, — თამაშობენ რუკის საშუალებით. მოთამაშეთაგან ერთი ჩაითქვამს ფერებით აჭრელებულ რუკაზე ამა თუ იმ ქალაქს, მდინარეს, სახელმწიფოს თუ იმპერიას, მეორემ კი უნდა გამოიცნოს, რა ჩაითქვა მან. ხამი კაცი წვრილი ასობით დაწერილ სახელს ჩაითქვამს, გამოცდილი კი სხვანაირად მოიქცევა, მო-

<sup>1</sup> ინერციის ძალა (ლათ.).



წინააღმდეგის დასაბნევად დიდზე დიდ ასობიან წარწერას შეარჩევს, რუკის ერთი ბოლოდან მეორეში რომ გადაჭიმულა. ასეთი სასელები, როგორც ქუჩაში გამოკიდული ვეებერთელა აბრები, სწორედ თავისი სიდიდის გამო დარჩება კაცს შეუმჩნეველი. თვალის ფიზიკური თვისება აქ ზუსტად შეესაბამება გონებრივ სიბეცეს, რომლის მეოხებით ადამიანს თვალიდან გასორჩება ხოლმე ახლომდებარე და ძალზე საჩინო საგანი. მაგრამ ამ გარეშობას პრეფექტი, როგორც ჩანს, ვერ შეწვდენია გასაგებად. ეს კაცი რას იფიქრებდა, რომ ქვეყნის თვალწინ დადებდა მინისტრი წერილს იმ ვარაუდით, რომ არავინ ნახოსო.

ცხადია, რაც უფრო მეტს ვიფიქრებდი ამ ძლიერ, გაბედულ და ჭკვიან კაცზე, იმაზეც, რომ ქაღალდი სულ მუდამ ხელთ უნდა ჰქონოდა, რათა დროულად შესძლებოდა მისი გამოყენება, რაკილა ისიც ვიცოდი, გარკვეული წესითლა მიძებნიდა მას პრეფექტი, — ყოველივე ამან მიმახვედრა, მინისტრი სრულიად მარტივ გზას მიმართავს და წერილის დასამალავად თავს სულაც არ შეიწუხებს-მეთქი.

ამგვარად განწყობილმა ერთ მშვენიერ დილას მოვირგე მწვანე სათვალე და ვითომც ისე, შემთხვევით ვეწვიე მინისტრს. შინ დამხვდა, წარაძარა ამოქნარებდა, სრულიად უსაქმური კაცის სახე მიეღო და თითქოს შეწუხებულს ჩანდა — ამ enimui<sup>1</sup>-მ გამათავაო. ვინ იცის, იქნებ, სწორედ ამ დროს გახლდათ საქმიანი და შემართული, მაგრამ ამას ვერავინ შეამჩნევდა ვერასდროს.

მეც არ ჩამოვრჩი და თავადაც შევივლე, თვლები მტკივა და სათვალე დამჭირდა-მეთქი. თანაც სათვალისაგან ამა-სობაში ყურადღებითა და წვრილად მოვათვალე მთელი ოთახი, თუმცა კი ჩანდა, თითქოს ჩემს მასპინძელთან საუბრით ვიყავი გართული.

განსაკუთრებული გულისყურით შევათვალე დიდი საწერი მაგიდა, რომლის ახლოსაც თავად იჯდა. მაგიდაზე ეყარა აუარება წერილი და სხვა ქაღალდი, რამდენიმე მუსიკალური საკრავი და წიგნი. საეჭვო იქ ვერაფერი შევნიშნე.

<sup>1</sup> მოწყენა (ფრანგ.).

დაბოლოს, რამდენიმეჯერ თვალი რომ მოვაკლე ოთახს, დავინახე, ბუხრის თაროს ქვემოთ, პატარა ბრინჯაოს კოპზე ცისფერი, ჭუჭყიანი ზონრით ეკიდა მუყაოს ჩანთა-საქაღალდე. ამ ჩანთას ოთხი განყოფილება ჰქონდა და შიგ ხუთი-ექვსი სავიზიტო ბარათი და ერთი წერილი იდო, დასვრილ-დაჭმუჭნული და შუაში ორ ადგილას განახევი, თითქოსდა ამ გამოუსადეგატი წერილის ჯერ დახევა მოუნდომებიათ, მაგრამ მერე გადაუფიქრებიათო. წერილზე ჩანდა დიდი შავი ბეჭედი დ.-ს მონოგრამითურთ, მისამართი და ქალის ხელით მინაწერიც — მინისტრ დ.-ს ქალაღდი უდიერად და ასე განსაჯეთ, თითქოს ზიზღითაც ჩაეჩარათ ჩანთა-საქაღალდის ერთ-ერთ ზედა უბეში.

თვალი მოვკარი თუ არა ბარათს, მივხვდი, რასაც ვეძებ, ვიპოვე-მეთქი. რაღა თქმა უნდა, ეს წერილი სრულიად განსხვავდებოდა იმისგან, ასე გამოწველილვით რომ აგვიწერა პრეფექტმა. ამ წერილზე დ.-ს მონოგრამიანი შავი ბეჭედი ერტყა, იმ ბარათზე პატარა წითელი ბეჭედი, პერცოგ ს.-ს საგვარეულო გერბით დამშვენებული; ეს წერილი მინისტრის სახელზე გამოეგზავნათ და მისამართი ქალის წვრილი ხელით წაეწერათ; იმ წერილზე კი მისამართი მკაფიო, მტკიცე ხელით იყო დაწერილი, ხოლო ადრესატი სამეფო გვარის პიროვნება გახლდათ. მხოლოდ ზომა ჰქონდა ერთნაირი ორივე ბარათს. მაგრამ იმ ამბავმა, რომ ეს ბარათი ესოდენ განსხვავდებოდა პრეფექტის მიერ აღწერილი ქალაღდისგან, რომ ასე დასვრილი და გახეხილი იყო და ასეთ ბარათს მინისტრი არ შეინახავდა, კიდევ იმ გარემოებამ, რომ თითქოს საქვეყნოდ დაღადებდა თავის უმნიშვნელობაზე და ყველა შემოსული პირველად სწორედ იმ ბარათს დაინახავდა, დამარწმუნა, არ შევცდარვარ-მეთქი. ვიმეორებ, ყველაფერი ეს დააეჭვებდა იმას, ვინც აქ იმთავითვე დაეჭვებული შემოვიდოდა.

შეძლებისდაგვარად კარგა ხანს გავაგრძელე ჩემი სტუმრობა, გაცხოველებით ვესაუბრე მინისტრს იმ თემაზე — რაც მშვენივრად ვიცოდი — აღელვებდა ამ კაცს, და ამავე დროს თვალი არ მომიშორებია წერილისთვის. კარგად დავიმახსოვრე მისი ყოველი წვრილმანი და ისიც, თუ როგორ იდო.

დასასრულ კიდეც ერთი გარემოება შევამჩნიე და საეჭვო აღარაფერი დამრჩა. დავინახე, წერილის კიდეები მეტისმეტად დაჭმუჭნული ჩანდა. ასე ხდება ხოლმე, როცა პრეს-ბაპიეთი გადაკეცავენ მაგარ ქალაქს და მერე გადმოკეცავენ, რის შედეგად ის პირვანდელ სახეს მიიღებს. ამან ყველაფერს მიმახვედრა, წერილი ხელთათმანივით უკულმა გადმოებრუნებინათ, ზედ ახალი მისამართი წაეწერათ და სხვა ბეჭდით დაებეჭდათ. დავემშვიდობე მინისტრს და წამოვედი. მაგიდაზე კი ოქროს სათუთუნე დავტოვე.

მეორე დილით ისევ მივაკითხე სათუთუნის წამოსაღებად და ის იყო იმავე თემაზე საუბარმა გაგვიტაცა, რომ უცებ გაისმა ჭახანი, თითქოს სწორედ იმ დარბაზის ფანჯრებიდან გაისროლესო თოფი. შემდეგ ვიღაცამ შემზარავად იკივლა და ბრბოს ღრიანცელიც მოისმა. დ. ფანჯარასთან მიიჭრა, გამოაღო და გადაიხედა, მე კი მუყაოს ჩანთა-საქალაქს მივუახლოვდი, წერილი ავიღე, ჯიბეში შევინახე, ხოლო მის ადგილას მოვათავსე ადრევე შინ დამზადებული მისი facsimile<sup>1</sup> (ანუ გარეგნულად მისი მსგავსი). დ.-ს მონოგრამა პურის გულიდან გაკეთებული ბეჭდით გადმოვიღე ჩინებულად.

ვიღაც შეიარაღებულ კაცს აყალმაყალი აუტეხია ქუჩაში, ქალებსა და ბავშვებში გაუსროლია თოფი. მაგრამ რაკი ნასროლი ფუჭი გამოდგა, შფოთის ამტეხი გაუშვეს, ვინმე გიჟი ან ლოთი იქნებაო, გიჟის სცენა იმ კაცს მე გავათამაშებინე, ის რომ თავის გზას გაუდგა, დ. მოშორდა ფანჯარას, რომელსაც წერილის შეცვლისთანავე მეც მივადექი. ცოტა ხნის შემდეგ ჩემს მასპინძელს გამოვემშვიდობე და წამოვედი.

— მაგრამ რაღად დაგჭირდათ, — შევეკითხე დიუპენს, — იმ ბარათის ადგილას ფაქსიმილეს მოთავსება? პირველივე სტუმრობისას გეტაცათ ხელი წერილისათვის და წამოგეღოთ!

— დ., — მიპასუხა დიუპენმა, — უშიშარი და ძლიერი კაცია. ამასთან შინ უსათუოდ ეყოლებოდა ერთგული ხალხი.

<sup>1</sup> ზუსტი პირი (ლათ.).

აგრე უგნურად მოქცეული ნამდვილად არ გადავრჩებოდი ცოცხალი და კეთილი პარიზელები ვერც გაიგებდნენ ჩემს ასავალ-დასავალს. მაგრამ მე სხვა მიზანი მქონდა. თქვენ იცით ჩემი პოლიტიკური სიმპათიები. ამ შემთხვევაში ქალის მხარეზე გახლდით. თვრამეტი თვეა ხელში ჰყავდა იგი მინისტრს. ახლა კი პირიქითაა. ამ კაცმა ხომ არ იცის წერილის ამბავი, თავისას არ დაიშლის და, ცხადია, მისი პოლიტიკური კარიერაც მყისვე დამთავრდება, თანაც ცუდად. თუმცა ამბობენ, რომ *facilis descensus Avernii*<sup>1</sup>, მაგრამ როგორც სიმღერაზე უთქვამს კატალანის, ამალლება გაცილებით ადვილია, ვიდრე დადაბლება. ამჯერად ვერც ვუთანაგრძნობ და ვერც შევიბრალებ დ.-ს, რადგან ის *monstrum horrendum*<sup>2</sup> გახლავთ, ფრიად ნიჭიერი, მაგრამ უპრინციპო კაცი. ცოდვა გამხელელი სჯობს და ძალიან მინდა ვნახო, რა ხასიათზე დადგება იმ, როგორც პრეფექტი იტყოდა, „ერთი პიროვნების“ წინააღმდეგობის შემდეგ, როცა მუყაოს ჩანთა-საქაღალდეში მისთვის ჩადებულ წერილს წაიკითხავს.

— როგორ? განა შიგ რამე დაუწერეთ?

— დიახ, სუფთა ქაღალდი არ ჩამიდვია — შეურაცსყოფილი დარჩებოდა. ერთხელ ვენაში დ.-მ ნემსზე დასაცემად გამისადა საქმე, მაშინ ვუთხარი, სრულიად უბოროტოდ კი, ამას არ დავივიწყებ მეთქი. მართლაც ცოდვა იყო არ გაეგო, ასე ვინ გააცურა. რაკილა ჩემს ხელწერას იცნობს, ავიღე და იმ ცარიელ გვერდზე დავუწერე:

...Un dessein si funeste,  
S'il n'est digne d'Atrée, est digne de Thyeste<sup>3</sup>.

კრებიონის\* „ატრევსში“ შეგიძლიათ ნახოთ ეს სიტყვები.

<sup>1</sup> იოლია ქვესკნელს ჩასვლა (ლათ.).

<sup>2</sup> შემზარავი ურჩხული (ლათ.).

<sup>3</sup> ...დამღუპველი ესე გეგმა თუ არა ატრევსს, თიესტეს მანინც შეეფიქრება (ფრანგ.).

## მარი როქეს საიდუმლოება<sup>1</sup>

გაგრძელება „გკველლოზისა მორგის ქუჩაზე“

„Es giebt eine Reihe idealischer Begebenheiten, die der Wirklichkeit parallel läuft Selter, fallen sie zusammen. Menschen und Zufälle modifizieren gewöhnlich die Idealische Begebenheit, so dass sie unvollkommen erscheint, und ihre Folgen gleichfalls unvollkommen sind. So bei der Reformation: statt des Protestantismus kam das Lutherthum hervor“.

„მოვლენათა იდეალური თანამიმდევრულობა არა სეზობს და მათი მიმდინარეობა სინამდვილეში მომხდარი ამბების ჰარალელურაა. მათი თანხედომილება იშვიათია. ჩვეულებრივ, ადამიანები და გარემოებანი ამახინჯებენ მოვლენათა იდეალურ თანამიმდევრულობას და იმდენად, რამდენადაც ისინი ამახინჯებენ, მათი შედეგები არ არის ისეთი, როგორც უნდა იყოს. ასე მოუვიდა რეფორმაციასაც; პროტესტანტობის ნაცვლად მივიღეთ ლუთერანობა“. — ნოვალისი. Moralische Ansichten.

მთლად გულმშვიდ მოაზროვნეთაგან სულ რამდენიმე თუ ყოფილა ისეთი, ვისაც შიშით მოცულსა და თავტანდა-

---

1 „მარი როქეს“ გამოქვეყნების ხანს ქვემოთ მოყვანილი სქოლიოები არ ჩანდა აუცილებელი, მაგრამ უკვე რამდენიმე წელიწადი გავიდა იმ ტრაგედიიდან, რომელიც ამ მოთხრობას დაედო საფუძვლად და იმათი მოყვანა მიზანშეწონილი გახდა; აგრეთვე, საჭიროა რამდენიმე სიტყვა ვსაქვათ ჩვენი მთავარი ჩანაფიქრის შესახებ. ნიუ-იორკის ასლოს მოუკლავთ ერთი ქალიშვილი, მარი სესილ როჯერსი; და თუმცა ამ მკვლელობის გამო დიდი და გაუთავებელი მითქმა-მოთქმა ატყდა, მისი საიდუმლოება მანაც ამოუხსნელი დარჩა იმ დროისათვის, როდესაც ეს ამბავი დაიწერა და გამოქვეყნდა (1842 წლის ნოემბერი). თითქოსდა პარიზელი გრაზეტი ქალის საბედისწერო ამბავს რომ მოგვითხრობდა, ავტორი გაღწევილივით გვამცნობდა არსებით ფაქტებს მარი როჯერსის ნამდვილი მკვლელობისას, შეცვლილი იყო მხოლოდ მეთრეხარისხოვანი გარემოებანი. ამრიგად, ყველა მოსაზრება, რომელიც გამოითქვა ამ მოთხრობაში, სინამდვილესაც მიესადაგება; ქვეშაბრტეზის დადგენა გახლდათ ამ თხზულების საგანი.

„მარი როქეს საიდუმლოება“ იქმნებოდა შორს იმ ხელედიდან, სადაც ეს უბედურება დატრიალდა, და მისი საფუძველი გახდა მხოლოდ ის მო-

კარგულს სანახევროდ მაინც დაუჯერებია ზებუნებრივი ძალების არსებობა თითქოსდა გასაოცარი ამბების თანხვედრის მაცქერალს, რადგან ასეთი თანხვედრა მართლაცაა წარმოდგენილი. ხსენებული განწყობილების დაძლევა შეუძლებელი ხდება ჩვეულებრივი განსჯის მეშვეობით, როდესაც არ მოვიშველიებთ მეცნიერებას შემთხვევებზე, ანუ, უფრო ზუსტად, იმის შემწეობით, რასაც ალბათობათა გამოთვლას ეძახიან, ამ გამოთვლის არსი წმინდა მათემატიკურია; და აქ შეგვიძლია დავინახოთ უცნაური თვისება ამ უზუსტესი მეცნიერებისა, რომელიც გამოგვადგება სულის ბუნდ, მერყევ და მოუხელთებელ გამოვლინებათა მისაკვლევად.

ყოველი ის უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომლებიც უნდა გაგაცნოთ, გარკვეულწილად ხორცს შეისხამს, გარკვეულწილად თანამიმდევრულობას შეიძენს და ბოლოს წარმოგვიდგება პირველი რიგის მცირეოდნავლა გასაგებ თანხვედრათა ჯგუფად, ხოლო მეორე რიგისას, ანუ საბოლოო დასკვნებს მკითხველი ჩახვდება ნიუ-იორკში მარტივი სმსილ რეჟიმის მკვლელობის ამბის გაცნობისას.\*

როდესაც მე რამდენიმე წლის წინათ ვწერდი მოთხრობას „მკვლელობას მორგის ქუჩაზე“, ვცდილობდი წარმოეჩინა ჩემი მეგობრის, შვეალიე შ. ოგიუსტ დიუპენის აზროვნების მნიშვნელოვანი თავისებურებანი და რას ვიფიქრებდი, თუ კიდევ მომიხდებოდა ამ საგანთან დაბრუნება. სწორედ ამ აზროვნების თავისებურებათა წარმოჩენა გახლდათ ჩემი სურვილი, და ეს სურვილი სრულიად განხორციელდა კიდევაც, რაკი ძალიან დაგვიჭირდა დიუპენის ჭკუა და გო-

---

ნაცემები, რომლის ამოკითხვაც გაზეთებშია შეიძლებოდა. ამიტომ მწერალმა ვერ შეძლო იმის გათვალისწინება, რასაც ადგილზე და იმ არემიდაპოს დათვალეობების ხანს ნახავდა და ჩახვდებოდა. და მაინც, თავსელობაში ჩუ ჩამომართმევთ, თუ აღვნიშნავ, ორი პირის ჩვენებამ (იმათთაგან ერთი ამ მოთხრობაში მაღამ დელუკის სახელითაა გამოყვანილი), რომელიც სხვადასხვა დროს იქნა მოპოვებული კარგა ბნის მერე ამ ნაწარმოების დაწერის დღიდან, სრულიად დაგვიმტკიცა არა მარტო ჩვენი საერთო დასკვნების სისწორე, არამედ ჯერ კიდევ ამ თხზულებით წარმოჩენილი ყველა სავარაუდო დეტალის შეუმცდარობა.

ნება. მაგალითებს რამდენსაც გინდათ, იმდენს მოგიყვანთ მაგრამ რაღა საჭიროა. თუმცა ამ უკანასკნელი ამბებისა და კვალად ისეთი რაღაც გამომზებურდა, რომ უთუოდ უნდა მოგიტხროთ, და უფრო კარგადაც შეიცნობთ ამ კაცს. რა ..რ მოვისმინე ამ ბოლო ხანს და მართლაცდა კი იქნებოდა უცნაური, დავდუმებულყოფი და აღარაფერი მეთქვა იმაზე, რაც თავად მინახავს და გამიგონია ამ რამდენიმე ხნის წინათ.

მადამ დ' ესპანესა და მისი ქალიშვილის ტრაგიკული სიკვდილის ამბავი რომ გაარკვია, შევალის იმწუთას გადაავიწყდა ეს საქმე და თავის ჩვეულებრივ სევდიან ფიქრებს მიეცა. თავად მეც სულ ასეთი გახლდით და აღარც გამჭირვებია ამ კაცის მიზაძევა; სენ-ჟერმენის გარეუბნის იმ სახლში ჩავიკეტეთ და მთავალი აღარ გვადარდებდა, მშვიდი თვლებით გავგყავდა აწმყო, ზმანებათა ბადით შემოვზღუდეთ ჩვენი სამყარო.

მაგრამ ზოგჯერ იყო და შეგვიმუსრავდნენ ხოლმე ამ ზმანებათა ბადეს. ასეც უნდა ყოფილიყო. ჩემი მეგობრის ღვაწლს იმ დრამის გასრულებაში, მორგის ქუჩაზე რომ მოხდა, პარიზის პოლიციაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. საარაკო შექმნილიყო აქაურ გამომძიებელთათვის დიუპენის სახელი. უბრალოება იმ დასკვნებისა, რომლითაც მან საიდუმლოება ამოხსნა არც არასდროს ყოფილა ნათელი პრეფექტისათვისაც კი და ჩემ გარდა არც არავისთვის, თქმა არ უნდა, რაღა გასაკვირი იყო, რომ მას შეჰყურებდნენ როგორც ჯადოქარს, ხოლო შევალის ანალიტიკური უნარი ინტუიციისათვის მიეწერათ. ყოველ კითხვაზე გულახდილად რომ გაეცა იმ კაცს პასუხი, იმათ ეს შეცდომა აღარ მოუვიდოდათ, მაგრამ ერთი სიზარმაცე სჭირდა და არ უნდოდა დაბრუნებოდა იმ საგანს, რომელიც უკვე კარგა ხანია არ იყო მისი ყურადღების არეში. ასეც მოხდა, მისანი გამხდარიყო იგი პოლიციელთა თვალში და პრეფექტურას ბევრჯერ მიუმართავს მისთვის დასახმარებლად. სწორედ ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი გამოდგა ქალიშვილის, ვინმე მარი როჟეს მკვლელობის საქმე.

მორგის ქუჩაზე დატრიალებული უბედურების შემდეგ

ორი წელიწადი იყო გასული. მარი, რომლის სახელი და გვარი ასე მოგვაგონებს იმ ბედშავ „მეთამბაქოე გოგოს“, გახლდათ ერთადერთი ასული ქვრივ ესტელ როჟესი. სულ ზვილი იყო, როდესაც მამა მოუკვდა და მას მერე დედა და შვილი ბინად იდგნენ პავე სენ ანდრეს ქუჩაზე<sup>1</sup>, მკვლელობამდე თვრამეტი თვით ადრე კი რაღაც სიახლე მომხდარიყო იმათ ცხოვრებაში. მაღამ როჟეს პანსიონი ჰქონდა, მარი კი ეხმარებოდა მას. ცუდად არ ყოფილან, ვიდრე მარი ოცდაერთი წლისა არ გახდა და მისი დიდი სილამაზე და მოხდენილობა შენიშნა ერთმა პარფიუმერმა, ვისაც პალე როიალის ახლოს ჰქონდა დუქანი და რომლის კლიენტები, ძირითადად, გახლდნენ ის ნაძირალა შარახვეტიები, იმ არეპიდამოში რომ დადიოდნენ დღენიადგ. მესიე ლე ბლანმა<sup>2</sup> დაინახა თუ არა ეს გოგო, იმწუთასვე მიხვდა, მოიყვანდა თუ არა თავის საპარფიუმერიოში მშვენიერ მარის, მომსვლელი ხალხის რაოდენობა დიდად გაიზრდებოდა; კარგი გასამრჯელო რომ შესთავაზეს, გოგო სიამოვნებით დაეთანხმა, თუმცა კი დედამისს მაინცდამაინც არ გახარებია ეს ამბავი.

მედუქნე არც შემცდარა, მისი დაწესებულება მალე ცნობილი გახდა იმ მომხიბვლელი და ყოჩაღი გრიზეტი გოგოს მეშვეობით. ერთი წელიწადი დაჰყო მან იქ და მერე უეცრად სადღაც გაქრა, მისი თაყვანისმცემელი ლე ბლანი დიდად გაოცებული დარჩა და ვერც აეხსნა ვერაფერი, ხოლო მაღამ როჟე შიშით აღარ იყო; გაზეთებს არ გამორჩენიათ ეს ამბავი და პოლიციასაც გამოძიებისათვის უნდა მოეკიდა ხელი, რომ ერთ მშვენიერ დილას, ერთი კვირის შემდეგ, მარი საღ-საღამათი დაბრუნდა, თუმცა კი დამწუხრებული ჩანდა; მოვიდა თუ არა, იმწუთასვე საპარიკმახეროს დახლს მიაშურა. ისე, სხვათა შორის, რაღაცები გამოჰკითხეს და, რაღა თქმა უნდა, ყოველგვარი გამოძიება შეწყდა. მესიე ლე ბლანმა იგივე გაიმეორა, არაფერი ვიცით. მარი და დედამისი კი სულ ამას იძახოდნენ, რომ ის ერთი კვირით სოფელში, ნათესავებთან იყო წასული. საქმე უმალ შეწყდა და

<sup>1</sup> ნასაუ-სტრიტზე\*

<sup>2</sup> ანდერსონმა.



მერე აღარც არავის ახსოვდა რამე. სულ მალე ის გოგო ჰარფიუმერს საბოლოოდ დაეთხოვა, ცნობისმოყვარე ხალხი მოსვენებას აღარ მაძლევსო და დედამისთან დაბრუნდა პა-  
ვე სენ ანდრეს ქუჩაზე.

სამი წელი არ იყო გასული ამის შემდეგ, რომ ამ გოგოს მეგობრებმა განგაში ატეხეს, უკვე მეორედ ისევ ისე უეცრად გამქრალიყო. სამი დღე გავიდა და იმისი ასავალ-დასავალი ვერ გაიგეს. მეოთხე დღეს მისი გვამილა იპოვეს სენაში<sup>1</sup>, სწორედ სენ ანდრეს ქუჩის პირდაპირ ერთ მივარდნილ ად-  
გილას, დიუ-რულის<sup>2</sup> კარიბჭის სიახლოვეს.

მხეცურმა მკვლელობამ (ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ ეს მკვლელობა იყო), მსხვერპლის სიყმაწვილემ და მშვენი-  
ერებამ, ყველაზე მეტად კი იმ გარემოებამ, პირზე რომ ეკე-  
რათ მისი სახელი, დიდად იმოქმედა მგრძნობიარე პარი-  
ზელებზე. არც მახსოვს, ასეთი დავიდარაბა და შეხლა-შე-  
მოხლა გამოეწვიოს რამე შემთხვევას. რამდენიმე კვირა არც შეწყვეტილა მითქმა-მოთქმა ამ საგანზე და პოლიტიკაც კი აღარ ახსოვდათ იმხანად. პრეფექტს მოსვენება დაეკარგა და, რაღა თქმა უნდა, პარიზის მთელი პოლიცია ფეხზე დადგა.

გვამი რომ ნახეს, პირველად ვერც კი წარმოუდგენიათ, მკვლელს ვერ მიაკვლევინო, რადგან ძიებას დაუყოვნებლივ შეუდგნენ. მაგრამ ერთი კვირა კავიდა და რომ ველარაფერს გახდნენ, მშველელს ჯილდო დაუდგინეს. ათასი ფრანკილა იყო ეს ჯილდო. ამავე დროს მთელი ძალით მიმდინარეობდა გამომძიება, თუმცა ვერ ვიტყვით, უნაკლოდო. მრავალი პირი დაჰკითხეს, მაგრამ უშედეგოდ; საიდუმლოს გასაღები ვერ მოუძებნეს და ხალხი საყოველთაო აღშფოთებამ მოიცვა. ათი დღის ბოლოს რაღას იზამდნენ, ჯილდო გააორკეცეს, დაბო-  
ლოს, მეორე კვირაც რომ გავიდა და მაინც ვერაფერს მიაკ-  
ვლიეს და რადგან პარიზის პოლიციის მადლიერნი არც არასდროს ყოფილან, რამდენიმე მნიშვნელოვანი *emeutes*<sup>3</sup> მოხდა, მაშინ კი პრეფექტმა განაცხადა, ოცი ათას ფრანკს მიგცემთ იმას, ვინც „მკვლელს დაგვისახელებსო, ანუ, თუ

<sup>1</sup> პომონში.

<sup>2</sup> უიპოუგენის...

<sup>3</sup> აყალმაყალი (ფრანგ.).

რამდენიმე კაცი იქნებოდა დამნაშავე, მაშინ იმას, ვინც „რო-მელიმე მათგანს დაგვისახელებსო“. ეს განცხადება გვამცნობდა ჯილდოს შესახებ და აქვე იყო აღნიშნული, რომ სრულ პატიუმას მიანიჭებდნენ იმას, ვინც თანამზრახველებს გასთქვამდა. განცხადებას დართული ჰქონდა ცალკეულ პირთა მიმართვა, რომ პრეფექტურის მიერ დაწესებულ თანხას დაემატებოდა ათი ათასი ფრანკი. საბოლოოდ მთელი ჯილდო იქნებოდა ოცდაათი ათასი ფრანკი. მართლაცდა ძალზე დიდი იყო ეს გასამრჯელო, თუ გავითვალისწინებთ: იმას, რომ გოგო მდაბით წარმოშობისა გახლდათ და მსგავსი მხეცობა ჩვეულებრივი ამბავია ხალხმრავალ ქალაქებში.

ახლა უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ მალე ნათელი მოეფინებოდა მკვლელობის საიდუმლოს. ორჯერ თუ სამჯერ კი დააპატიმრეს ვიღაცები და იმედი განნდა, გაიგებდნენ ყველაფერს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, სელმოსაჭიდი ვერაფერი ნახეს და დაჭერილნი მაშინვე გაანთავისუფლეს. კი არის უცნაური, მაგრამ სამი კვირაც გავიდა გვაშის აღმოჩენის დღიდან და მცირეოდნავადაც ვერ წაიწიეს წინ, ხალხში ერთი მითქმა-მოთქმა იყო ატეხილი და დიუპენს და ნე არც არაფერი გაგვიგია ამის შესახებ. რაღაცას ვიკვლევდით იმხანად და მთელი ჩვენი გონება იმით იყო დაკავებული, თითქმის ერთი თვე იქნებოდა, რაც სახლიდან ფეხი არ გამოგვიდგამს და არც ვინმე მოსულა ჩვენსას, ყოველდღიურ გაზეთებში კი მხოლოდ მთავარ პოლიტიკურ მოვლენებს გადავხედავდით სოლმე. პირველი ცნობა მკვლელობის შესახებ მოგვიტანა თავად გ.-მ ჯერ კიდევ შუადღით, გვესტუმრა და გვიან ღამემდე დარჩა. ბევრი იწვალა, ვერაფერს გახდა და შეურაცხყოფილი გახლდათ ამ მარცხით, მკვლელობის ასავალ-დასავალს ვერ მიაკვლია. ჩემი კარგი სახელი, პარიზელების ჩვეულებისამებრ, მაღალფარდოვნად წარმოთქვა მან, სასწორზე არისთ შეგდებული. მისი ღირსებაც კი იყო შებღალული. მთელი ხალხი მას შეჰყურებს და ამ საიდუმლოს ამოსახსნელად მზადაა ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოს. დაბოლოს ეს თავისი სასაცილო სიტყვა ასეთი ქათინაურით გაასრულა, სიამოვნებით გეუბნებით, დიუპენის „ტაქტს“ ვენდობიო; და აქვე დაუფარავად კარგი

წინადადება შემოსთავაზა; უფლება არა მაქვს ზუსტად გამოგცეთ მისი ნათქვამი, თუმცა ეს არც უნდა იყოს ჩვენი მოთხოვნის საგანი.

ჩემმა მეგობარმა ეს მისი ქათინაური თავაზიანად უარყო, ხოლო ის წინადადება მაშინვე მიიღო, მაგრამ თუ რა შედეგი ექნებოდა ამას, ახლა ვინ რას გაიგებდა. შეთანხმდნენ თუ არა, პრეფექტმა მაშინვე გაგვაცნო თავისი მოსაზრებები, შიგადაშიგ ფაქტობრივი მონაცემების ვრცელ კომენტარებს ჩაურთავდა ხოლმე; ამ მონაცემების შესასებ ჩვენ არაფერი ვიცოდით. საქმის ცოდნით გვიამბობდა ყველაფერს, რაღა თქმა უნდა, მაგრამ რომ აღარ დაამთავრა, გავბედე და გადავუკარი, გვიან არის-მეთქი; სადაცაა დაქვე გაილეოდა. ჩვეულებისამებრ თავის სავარძელში იჯდა დიუპენი, წელგამართული მთლად ყურადღებას განასახიერებდა. მთელი ეს ხანი სათვალე არ მოუცილებია და ერთხელ იყო და შემთხვევით შევიჭვრიტე იმის მიწების ქვეშ, გატრუნული სძინებია თურმე ეს შვიდი თუ რვა გულშესაზარი საათი პრეფექტის წასვლამდე.

დილით პრეფექტურაში მივედი და რაც მასალა ჰქონდათ, ყველაფერი წამოვიღე, რედაქციებიც დავიარე და იქ ვიშოვნე ყველა გაზეთი, სადაც კი რამე იყო დაბეჭდილი ამ უბედური ამბის შესახებ. თუ ამ ცნობებს გავცხრილავდით, ზღვა ინფორმაციაში მნიშვნელოვანი იყო შემდეგი:

მარი როჟე პავე სენ ანდრეს ქუჩაზე მდებარე დედამისის სახლიდან წასულა კვირა დილით, დაახლოებით ცხრა საათზე, 22 ივნისს, 18... წელს. წასვლის ხანს უთქვამს მესიე ჟაკ სენტ-ესტაშისათვის<sup>1</sup>, მეტი არავისთვის, დეიდასთან მივდივარო მთელი დღით დე დრომის ქუჩაზე. პატარა და ვიწროა დე დრომის ქუჩა, მაგრამ საკმაოდ ხალხმრავალია, ახლოა მდინარის სანაპიროსთან, მოკლეზე თუ ვივლით, ორი მილითაა დაცილებული მადამ როჟეს პანსიონს. სენტ-ესტაში მარის თაყვანისმცემელი გახლდათ, ბინა და საჭმელი აქვე, პანსიონში ჰქონდა, შებინდებისას ამ ყმაწვილკაცს თავისი გულის სწორისთვის უნდა გამოეველო და შინ გამოეცილები-

<sup>1</sup> პეინისთვის.

ნა. მაგრამ ნაშუადღევს თავსხმა წვიმა წამოვიდა და ასე უკარაუდებია, დეიდასთან დარჩებო ლამის გასათევად (სწორედ ასეც შერებოდა ეს გოგო მსგავს შემთხვევაში) და ამიტომ აღარც შეუსრულებია დანაპირები. დაღამდა და მაღამ როქეს (სამოცდაათი წლის მოხუცსა და დაუძღურებულ ქალს) შიში გამოუთქვამს, „ველარც ვერასდროს ვნახავო მარის“, მაგრამ ამისთვის არც მიუქცევიათ ყურადღება.

ორშაბათს გაიგეს, რომ გოგო არც ყოფილა დე დრომის ქუჩაზე, დღე გავიდა და არც საღამოს გამოჩენილა, მაშინ კი დაუწყეს ძებნა ქალაქსა და მის შემოგარენში. მსოლოდ მეოთხე დღეს გაიგეს, თუ რა მოსვლოდა. იმ დღეს (ოთხშაბათს, 25 ივნისს) მესიე ბოვემ<sup>1</sup> მეგობართან ერთად რომ ეძებდა მარის დე რულის კარიბჭესთან, მდინარის სანაპიროზე, პავე სენ ანდრეს ქუჩის პირდაპირ, ვიღაცამ დაიყვირა, მეთევზეებს მდინარეში გვამი უპოვიათ და ნაპირზე გამოაქვთო. დახედა თუ არა იმ გვამს მესიე ბოვემ, იმწუთასვე იცნო საპარფიუმერიოში მომუშავე გოგო. ხოლო მის მეგობარს მცირეოდნავაც არ შეპარვია ეჭვი.

სახეზე შავად შესდებოდა სისხლი, რომელიც პირიდანაც წასკდომოდა. ქაფი არსად ჩანდა, როგორც ეს წყალში დამხრჩვალებს აღმოაჩნდებათ ხოლმე. კანს ფერი არ დაეკარგა. სისხლის ჩაქცევისა და თითების ნაკვალევი დასტყობოდა ყელზე. ხელები მკერდზე ჰქონდა დაწყობილი და გაშეშებოდა. მარჯვენა ხელი მოემუჭა, მარცხენა მცირეოდნავ გაეშალა. მარცხენა მარჯას ორი ნაჭდევი ემჩნეოდა, როგორც ჩანს, თოკისაგან თუ თოკებისაგან, რომელიც ორ ხაზად გარშემოვლებოდა. მარჯვენა მარჯა ზოგიერთ ადგილას და, ასევე, მთელი ზურგი, განსაკუთრებით ბეჭებზე, გადატყავებული ჰქონდა. ნაპირზე რომ გამოჰქონდათ გვამი მეთევზეებს მისთვის თოკი შემოუხვევიათ, მაგრამ ის გადატყავებული ადგილები ამისი ბრალი არ უნდა ყოფილიყო. მაგრად გამობეროდა ყელი. დანის ნაჭერილობევი ან ნაცემი ადგილები გვამზე არ უნახავთ. ღვედის ნაჭერი ისე ძლიერ ჰქონდა შემოჭერილი კისერზე და ისე ღრმადაც ჩასჯდომო-

<sup>1</sup> კრომელინმა.

და, რომ ძლივსლა შეუმჩნევიათ, თითქოსდა სულ ამოეჭამა ამ ღვედს ხორცი და მარცხენა ყურთან მკვიდრად ჩაემარყუ-  
ყებიანთ. მარტო ესეც კმაროდა ადამიანის მოსაკლავად. სა-  
მედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა დაღუპულის უბიწოება და  
აღნიშნა, რომ ის მხეცურად გაუუპატიურებიათ. გვამი რომ  
იპოვნეს, მეგობრებმა სულ ადვილად იცნეს მოკლული.

კაბა შემოგლეჯილ-შემომარცვული ჰქონდა. კიდიდან წე-  
ლამდე ერთი ფუტით აეხიათ ნაწილი, მაგრამ არ მოუგლე-  
ჯიათ, სამჯერ შემოუხვევიათ წელის გარშემო და როგორ-  
ღაც ზურგზე შეუკრავთ. პერანგი მშვენიერი მუსლინისა  
ჰქონდა და აქედან თვრამეტდიუმიანი ნაჭერი სრულიად მო-  
უხევიათ, მოუხევიათ ძალიან სწრაფად და დიდი სიფრ-  
თხილითაც. სწორედ იგი შემოხვეოდა ყელზე თავისუფლად,  
და მაგრამაც გაენასკვათ. მუსლინისა და ღვედის ზემოთ  
შლაპა შეუკრავთ ორი ზონრით. ქალის ხელით არ უნდა ყო-  
ფილიყო შეკრული ამ შლაპის ზონრები, რადგან მკვიდრად  
იყო ჩანასკვული მეზღვაურული მარყუჟით.

გვამი იცნეს თუ არა, მორგში არ წაუღიათ (ზედმეტად  
მიუჩნევიათ ასეთი ფორმალობა) არამედ იქვე ახლოს და-  
უკრძალავთ, მდინარის სანაპიროზე, სადაც გამოუტანიათ.  
ბოვეს იმდენი მოუხერხებია, რომ ეს საქმე მიუფუჩნებიათ,  
მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ხალხის აღშფოთებას უშე-  
დეგოდ არ ჩაუვლია. დაბოლოს ერთმა ყოველკვირეულმა გა-  
ზეთმა<sup>1</sup> მოკიდა ამ საქმეს ხელი, გვამი ამოახარეს და კი-  
დევ ერთხელ გასინჯეს, მაგრამ ადრე მიკვლეულს ახალი  
ველარაფერი დაუმატეს. მხოლოდ ამჯერად მისი ტანსაცმე-  
ლი უჩვენეს დედასა და დაღუპულის მეგობრებს, ყველამ  
ერთხმად თქვა, სწორედ ასე ეცვაო სახლიდან წასვლის ხანს.

ამ დროს ყოველ საათს მატულობდა საყოველთაო აღ-  
შფოთება, ვიღაცები დააპატიმრეს და გამოუშვეს. განსაკუთ-  
რებით სენტ-ეს ტაშით დაეჭვდნენ; პირველად იმან ვერც  
ის თქვა ზუსტად, თუ სად იმყოფებოდა იმ კვირადღეს, რო-  
დესაც მარი სახლიდან წავიდა. მაგრამ მერე კი მესიე გ.-ს  
წარუდგინა ფიცით დამტკიცებული ბარათი, სადაც აღნიშნუ-

<sup>1</sup> „ნუ-იორკ მერკიური“.

ლი იყო მისი ყოველი ნაბიჯი იმ დღეს. დრო გადიოდა და ვერაფერს მიაკვლიეს, ერთმანეთის სრულიად საპირისპირო ათასი ხმა დაირხა და ჟურნალისტებმა ხელი მიჰყვეს ვარაუდების წარმოჩენას. მათ შორის ყველაზე უფრო საყურადღებო იყო ერთი შენიშვნა, რომლის მიხედვითაც მარი დღესაც ცოცხალი გახლდათ, ხოლო სენაში ნაპოვნის გვამი ვიღაც სხვა უბედურის იყო; სჯობს თავად მკითხველმა ნახოს რამდენიმე ამონაწერი იმ წერილიდან, რომელშიაც ასეთი ვარაუდი გამოითქვა. ქვემოთ მოყვანილი პასაჟები სიტყვა-სიტყვითაა თარგმნილი L'Etoile'-დან, საერთოდ კი ოსტატის ხელი ეტყობა ამ გაზეთს:

„მადემუაზელ როჟე გამოვიდა დედის სახლიდან კვირა დილით, 18... წლის ივნისის 22-ში, ვითომცდა დედამისის თუ სხვა ახლობლის სანახავად მიდიოდა დრომის ქუჩაზე. მას მერე არც არავის უნახავს იგი. იმის ასავალ-დასავალი არ იციან, თითქოსდა მიწამ ჩაყლაპაო... არც გამოჩენილა ვინმე, ვინც მოსულიყო და ეთქვა, კი ვნახეთ იმ დღეს, როდესაც დედის სახლიდან წამოვიდა... და თუმცა ჩვენ რამე საბუთი არა გვაქვს, რომ მარი როჟე ცოცხალი დარჩენილა ივნისის თვის 22-ის, კვირადღის, ცხრა საათის შემდეგ, მაგრამ დარწმუნებული ვართ, ამ საათის დადგომამდე ის ცოცხალი გახლდათ, ხუთშაბათს, კი, შუადღით, 12 საათისთვის ქალის გვამი უნახავთ დე რულის ახლორე სანაპიროსთან. თუკი ვივარაუდებთ, რომ მარი როჟე მდინარეში ჩაუგდიათ სამი საათის მერე, რაც დედამისის სახლიდან წამოვიდა, მაშინ სამი დღე და ერთი საათი უნდა ყოფილიყო გასული მას შემდეგ. მაგრამ სისულელეა იმის ვარაუდი, რომ მკვლელობა, თუკი მოკლული იყო ის გოგო, ასე ადრე მომხდარიყო, მაშინ მკვლელები გვამს შუადღის დადგომამდე თუ გადაადგებდნენ მდინარეში. ვინც ასეთ შემზარავ დანაშაულს დააპირებს, სიბნელეს არჩევს და არა სინათლეს... გამომდინარე აქედან, თუკი ის გვამი მარი როჟესი იყო, მაშინ ის წყალში უნდა ყოფილიყო ორნახევარი ან სამი დღე მაინც.

<sup>1</sup> ნიუ-იორკის „ბრადერ ჯონათან“, ესკვირ ჰ. პასტინგსის რედაქციით რომ გამოდის.

ხოლო ცნობილია, რომ წყალწადებულის სხეულს ან იმის სხეულს, ვინც მოუკლავთ და იმავე წამს წყალში გადაუგდიათ, ექვსი-ათი დღე სჭირდება, ვიდრე სრწნა მოეკიდებოდეს და მხოლოდ ამის მერე ამოტივტივდება წყალზე. თუნდაც რომ ზარბაზანი გავისროლოთ იმ ადგილას, სადაც ხუთ-ექვს დღესაა ჩაძირული გვამი, ის ამოტივტივდება და ველარ მივუსწრებთ, ისევე ჩაიძირება. ჰოდა, საკითხავი აი ეს არის, რად არ მოხდა ასე ამ შემთხვევაშიც, ნუთუ ბუნებასაც სჩვევია ასეთი გამონაკლისი?.. თუკი ეს დასახიჩრებული სხეული ნაპირზე დარჩა სამშაბათ ღამით, მაშინ უთუოდ ნახავდნენ მკვლელობის რამე ნაკვალევს სანაპიროზე. საეჭვოა ისიც, რომ ასე მალე ამოტივტივებულიყო მკვლელობიდან ორი დღის შემდეგ გადაგდებული გვამი. და კიდევ, ძნელი წარმოსადგენია, ის არამზადები, რომლებმაც ასეთი მკვლელობა გაბედეს, წყალში ისე მოისროდნენ სხეულს, რომ არ მიაბამდნენ რამე სიმძიმეს მის ჩასაძირავად, ასე წინდახედულად მოქცევა სულ ადვილი იყო მათთვის“.

მერე კი რედაქტორი იმის მტკიცებას მოჰყოლია, რომ სხეულმა წყალში უნდა დაჰყოს „არა რაღაც სამი დღე, აჩამედ, სულ ცოტა ხუთჯერ სამი დღე“, თუკი იმდენად განრწინილი იყო გვამი, რომ ბოსემ ძლივსლა იცნო. მაგრამ ეს უკანასკნელი მოსაზრება სრულიად იქნა უარყოფილი. ვაგრძელებ ამ თარგმანს:

„და მაინც როგორია ის ფაქტები, რამაც საბოლოოდ დაარწმუნა მ. ბოვე, რომ ის მარი როჟე იყო? კაბის სახელოები აუტრიალებია მისთვის და განუცხადებია, ნიშნები ემთხვევა, სრული მსგავსება არისო. ხალხის ვარაუდით ეს ნიშნები უნდა ყოფილიყო რაღაც მნიშვნელოვანი ნაიარევი. მაგრამ თურმე ჩემ კაცმა ხელი გამოიწვდინა და მკლავზე რაღაც თმა უპოვა, ჩვენის აზრით, ამ ნიშნით გვამის გამოცნობა იგივეა, რაც სახელოში ხელის პოვნა. მესიე ბოვემ იმ ოთხშაბათ ღამით არ იყო დაბრუნებული შინ, მაგრამ შვიდი საათისათვის უცნობებია მადამ როჟესთვის, გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს და ზუსტად არ იციან, თქვენი ქალიშ-

გილიათ ის თუ არა. თუკი მაღამ როქეს, მოხუცსა და ავად-  
მყოფ ქალს, არ შეეძლო მისვლა (რაც სულაც არ არის გასაკ-  
ვირი), ხომ უნდა ჰყოლოდა ვინმე, ვინც იფიქრებდა, ვაითუ  
ის მართლაც მარის გვამია, წავალ და გამოძიებას მივესმა-  
რებო. ასეთი არავინ გამოჩენილა. არც არავის უთქვამს და  
გაუგონია, რომ პავე სენ-ანდრეს ქუჩაზე ამ საქმის გამო ვინ-  
მე მისულიყოს. სენტ ესტაშიც კი, მარის შეყვარებული და  
მომავალი ქმარი, რომელიც ამ გოგოს დედის სახლში ცხოვ-  
რობდა, ამტკიცებს, პირველად გვამის პოვნის შესახებ მხო-  
ლოდ მეორე დილას მაცნობესო; როდესაც მესიე ბოვე მი-  
ვიდა მისას და მოუთხრო ეს ამბავი. კი ვართ გაოცებულნი,  
რომ ახალ ამბავს საკმაოდ ცივად შეხედნენ“.

ასე უნდოდა იმ გაზეთს შთაბეჭდილების შექმნა მარის  
ნათესავების უსულგულობის შესახებ, რათა დაემკვიდრები-  
ნათ თავიანთი ვარაუდი, რომ ის გვამი სხვისი იყო. ამ ინ-  
სიუნაციებით ასეთი დასკვნა გამოჰყავდათ: მარი მეგობრების  
დახმარებით ქალაქიდან გარბის, რადგან არ უნდა გახმაურ-  
დეს მისი შებღალული უბიწოების ამბავი, ჰოდა, აი მისი მე-  
გობრები, სენაში გვამს რომ აღმოაჩენდნენ, ვითომცდა იც-  
ნობდნენ იმ გოგოს და ხმას დაყრიან კიდევაც ხალხში მკვლე-  
ლობის შესახებ. მაგრამ ამჯერად L'Etoile-ს მეტისმეტი  
მოსვლია. ნათლად იყო დამტკიცებული, რომ ეს სუყველაფე-  
რი გაზეთს მოუჭორავს. ხოლო სინამდვილეში ის მოხუცი  
ქალი დაუძღურებულა, დარდით აღარ იყო და აღარაფრის  
თავი არ ჰქონია; იმ სენტ ესტაშს ის ცნობა გულგრილად კი  
არ მოუსმენია, არამედ თავზარი დაცემია და თავის ჭკუაზე  
აღარ ყოფილა, მესიე ბოვემ დაუძახა ერთ მის მეგობარს,  
ერთ ნათესავს და უთხრა, თვალი არ მოაცილოთო; იმ გოგოს  
გვამს კი ახლოსაც არ გააკარა ექსგუმაციისა და ხელმეორედ  
შემოწმების ხანს. უფრო მეტიც, თუმცა L'Etoile-ს უნდოდა  
ხმა დაეყარა, რომ გვამი ხელმეორედ დაასაფლავეს მთავრო-  
ბის ხარჯზე და თითქოს წინადადება დაღუპულის სახლიდან  
გამოსვენების თაობაზე ოჯახმა უარყო, დაბოლოს, არც ერთი  
მისი ახლობელი არ მოსულათ დაკრძალვაზე... თუმცა-მეთ-  
ქი L'Etoile ყოველნაირად ცდილობდა ამ ამბის გავრცელე-



ბას, არც არავის დაუჯერებია ეს ამბავი. შემდეგ გაზეთს თავად ბოვეც არ დავიწყებია და წყლის შეყენება მოუნდომებია მისთვის. რედაქტორის აზრით:

„ახლა კი მოხდა რაღაც ცვლილება. ჩვენთვის შეუტყობინებიათ, რომ ვიღაც მადამ ბ. შემთხვევით მოხვედრილა მადამ როჟეს სასლში, სწორედ იმ წუთას მესიე ბოვე გამოდიოდა იქიდან და ასე უთქვამს იმ ქალისთვის, სადაცაა ჟანდარმი უნდა მოვიდესო და გაუფრთხილებია, ჩემს დაბრუნებამდე იმ ჟანდარმთან კრინტი არ დაძრა, ყველაფერს მე მოვაგვარებო... საქმე ისეა, რომ, ჩვენი აზრით, მესიე ბოვეს გარეშე ვერაფერს გავსდებით. მესიე ბოვეს ჩაურევლად ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ, სადაც არ მიდგებით, ყველგან ის კაცი დაგხვდებათ... რად ფიქრობს ასე, უჩემოდ თითქოსაც ვერ გაანძრევსო ვერავინ, იმ ოჯახის ყველა ახლობელი მამაკაცი მისი წყალობით განზე გამდგარა; სწორედ ასეც უთქვამთ იმათ, ძალიან უცნაურად მოქცეულაო ის კაცი. თითქოსდა, რატომღაც, ძლიერ სურდა, იმ გოგოს ნათესავები გვამს ახლოსაც არ გაკარებოდნენ“.

შემდეგ მოყვანილი იყო ისეთი ფაქტი, რომელსაც შეეძლო გარკვეული ეჭვის აღძვრა ბოვეს წინააღმდეგ. ვიღაც მისულა მისას სამსახურში იმ გოგოს დაკარგვამდე რამდენიმე დღით ადრე და იქ არავინ დახვედრია, სწორედ მაშინ დაუნახავს გასაღების ღრიჭოში გაჩრილი ვარდი და იქვე ახლოს დაკიდებული მუყაო წარწერითურთ — „მარი“.

საერთოდ კი გაზეთებში ასეთი აზრი იყო დამკვიდრებული, რომ მარი რომელიღაც თავზებულაღებულთა ჯგუფის მსხვერპლი შექმნილა, მდინარის იქით გადაუყვანიათ, გაუუპატიურებიათ და მოუკლავთ. დიდი გავლენის მქონე გამოცემა, Le Gommercial-ი<sup>1</sup> ძალზე მტრულად მოეკიდა ამ გავრცელებულ აზრს. მომყავს ორიოდე ამონაწერი ამ გაზეთიდან:

<sup>1</sup> „ჯორნელ ოფ კომერს“, — ნიუ-იორკი.

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იმთავითვე არასწორად წარიმართა კვლევა, დე რულის კარიბჭესთან რა უნდოდათ. იმ ყმაწვილ ქალს სომ ბევრი იცნობდა და როგორღა შეეძლო სამი უბანი გაეცლო და არავის არ დაენახა იგი; ვინმეს თვალი რომ მოეკრა მისთვის, არც დაავიწყდებოდა, რადგან ყველა მიაქცევდა ყურადღებას, ვინც კი იცნობდა, მას; სახლიდან რომ გამოვიდა, ქუჩები ხალხით იყო სავსე... დე რულის კარიბჭესთან ან დე დრომის ქუჩასთან როგორ მივიდოდა ისე, რომ ერთ დუჟინს მაინც არ ეცნო; მაგრამ დედამისის სახლიდან გამოსული არც არავის დაუნახავს, სელთ რაიმე დამამტკიცებელი საბუთიც არა გვაქვს გარდა იმისა, რომ იმას განზრახული ჰქონდა სადღაც წასვლა. ტანსაცმელი მისთვის შემოუხვევიათ და მერე გარშემო შემოუხვევიათ, მერე შეუკრავთ, ამის შემდეგ ფუთასავით შეიძლებოდა სხეულის წამოღება. მკვლელობა რულის კარიბჭესთან რომ მომხდარიყო, მაშინ აღარც იქნებოდა საჭირო ასეთი სახელურის გაკეთება. სხეული კარიბჭის ასლოს, მდინარეში რომ უნახავთ, სულაც არ გვიჩვენებს მისი წყალში გადავდების ადგილს... ორი ფუტი სიგრძის და ერთი ფუტი სიგანის ნაჭერი, ნაგლეჯი იმ უბედური გოგოს კაბისა, ნიკაპს ქვემოთ ყელზე დაუხვევიათ და კეფაზე გაუნასკვავთ ყვირილის დასახშობად. ასე იციან იმ ვაჟბატონებმა, რომლებსაც ცხვირსახოცი არც სჭირდებათ“.

ერთი თუ ორი დღით ადრე, სანამ პრეფექტი ჩვენსას მოვიდოდა, პოლიციას მოუპოვებია რამდენიმე მნიშვნელოვანი ცნობა, რომლებსაც უარუყვია კიდეცაც Le Gommercial-ის ძირითადი მოსაზრებანი. ქალბატონ დელუკის ორ ბიჭუნას, რომლებიც დე რულის კარიბჭესთან ახლორე ტევრში დაეხეტებოდნენ და შემთხვევით დაბურულ ბუჩქნარში შესულან, აქ სამი თუ ოთხი ვეებერთელა ქვა დაუნახავთ, საჯდომივით რომ იყო მოწყობილი, საზურგეც ჰქონდა და ფეხის დასადგმელიც, ზედა ქვაზე თეთრი ქვედაკაბა შეეგდოთ, ხოლო იმის ქვემოთ აბრეშუმის შარფი. იქვე ეგდო ქოლგა, ხელთათმანები და პატარა ცხვირსახოცი, რომელზეც სახელი იყო დაქარგული — „მარი როჟე“. მაყვლის ბუჩქებზე კაბის

ნაგლეჯებიც უნახავთ. მიწა გადატკეპნილი იყო, ბუჩქის ტოტები გადამტვრეული და ნათლად ჩანდა, რომ აქ უბრძოლიათ. მოაჯირი ბუჩქნარსა და მდინარეს შორის მოერღვიათ და მიწაზე იმის ნაკვალევი ეტყობოდა, რომ აქ რაღაც მძიმე საგანი გადაუთრევიათ.

ყოველკვირეულმა გაზეთმა, Le Soleil-მა<sup>1</sup> შემდეგი აზრი გამოთქვა, პარიზული პრესის საერთო აზრის გამოძახილი გახლდათ ეს გამონათქვამი:

„ცხადია, რომ ეს საგნები სამი თუ ოთხი კვირა ეყარა იქ; წვიმისაგან დალტობილან და ხავსიც მოკიდებიათ. აღარც კი ჩანდნენ ამოსულ ბალახში, აბრეშუმის ქოლგა შედარებით გამძლე გამოდგა, მგრამ ისიც გარღვეულიყო აქა-იქ. მისი ზედა ნაწილი, სადაც იკეცებოდა და იკვრებოდა, იმდენად დახვავებულიყო და დამპალიყო, რომ გახსნეს თუ არა, მაშინვე გაიხა... ბუჩქებს კაბა გაეკლიჯათ და, ამოხეულიყო, ასე, სამი დუიმის სიგანის და ექვსი დუიმი სიგრძის ნაჭერი. სამოსლის ერთი ნაწილი ნაკემსი ჩანდა, მეორეც იყო, მაგრამ ყოველგვარი ნაკემსის გარეშე, თითქოსდა ღვედებად დაეხიათ და ბუჩქებს ასე წამოსდებოდა მიწიდან დაახლოებით ერთი ფუტის სიმაღლეზე... ვისღა შეეპარება ეჭვი, რომ ადგილი შემზარავი დანაშაულისა ცნობილია“.

კიდევ ახალი ფაქტები დაერთო ამ აღმოჩენას. მადამ დელუკმა ასეთი ჩვენება მისცა, სწორედ დე რულის კარიბჭის პირდაპირ, მდინარის ახლოს, გზისპირას სასტუმროს ვფლობო. მიყრუებულა ეს არემიდამო, თითქმის უკაცური. კვირაობით კი აქ ვის არ ნახავთ ქალაქიდან მოსულს, რაკილა ამ ადგილიდან უნდა გადავიდნენ ნაკვებით მეორე ნაპირზე. დაახლოებით დღის სამი საათი იქნებოდა, როდესაც იმ კვირას გოგო შემოსულა სასტუმროში. შავგვრემანი ყმაწვილი კაცის თანხლებით. რამდენიმე ხანი დარჩნენ ის ორნი. მერე კი იქვე ახლომდებარე ტყისკენ წასულან. მადამ დელუკს

---

<sup>1</sup> „სატერდეი ივნიგ პოსტი“, რედაქტორი კ. ი. პეტერსონი, ფილა-დელფია.

იმიტომ, რომ გოგოს კაბისთვის მიუტყვევია ყურადღება, რადგან სწორედ ასეთს იცვამდა მისი ეპოქის გარდაცვლილი ნათესავი ქალი. ვანსაკუთრებით ის შარფი დაუმახსოვრებია. ის წყვილი წა-ვიდა და შალე ვიღაც არამზადების ბრბო მოვიდა, იღრია-ლეს, სვეს და ჭამეს, ყუფილი არ გადაუხდიათ და იქით გას-წიეს, სადაც ის გოგო და ბიჭი უნდა ყოფილიყვნენ, დაღამე-ბას აღარაფერი უკლდა, როდესაც ისინი მობრუნდნენ და საჩქაროდ მდინარის მეორე მხარეს გადავიდნენ.

უკვე კარგა დაღამებულიყო, რომ მაღამ დელუკმა და იმისმა უფროსმა ვაჟმა ქალის კვილი გაიგონეს სასტუმროს ასლოს. ერთი გულშემზარავი შეკვივება მოესმათ, მაშინ-ვე მიწყდა ეს ხმა. მაღამ დელუკმა არა მარტო ბუჩქებში ნა-პოვნი შარფი იცნო, გვამზე ნანახ კაბაზეც თქვა, ეს იმ გო-გოსი არისო. ვიღაც ვალანსმა<sup>1</sup>, ომნიბუსის მძღოლმა ჩვენე-ბა მისცა, რომ მას დაუნახავს მარი როჟე სწორედ იმ კვი-რადღეს, ბორანით გადადიოდა სენაზე ვიღაც მზემოკიდებულ ყმაწვილკაცთან ერთად. იგი, ვალანსი, იცნობდა მარის და არ შეეშლებოდა ნამდვილად. ბუჩქებში ნანახი საგნები სწო-რედ მარისი უნდა ყოფილიყო, ასე თქვეს მისმა ნათესავებ-მა.

დიუბენის თხოვნით გაზეთებიდან ჩემ მიერ ამოკრებილი ფაქტები და ცნობები კიდევ ერთი გარემოებით სრულდებო-და. დიდმნიშვნელოვანი იყო ეს გარემოება. თურმე მაშინვე, ზემოაღნიშნული საგნები რომ იპოვეს, იმ ადგილას, სადაც, როგორც ვარაუდობდნენ ის უბედურება დატრიალდა, უნა-ხავთ გაციებული ან თითქმის გაციებული სხეული სენტ ეს-ტაშისა, მარის გულის სწორისა. იმის გვერდით ეგდო „ლა-უდანუმის“ ცარიელი, პატარა ბოთლი. საწამლავის სუნი ამოსდიოდა პირიდან. ისე მოკვდა, ველარაფერი თქვა. მისი ბარათიც უპოვიათ, მოკლედ წერდა, მე მარი მიყვარდა და თავს ვიკლავო.

— რაღა უნდა გითხრა,—თქვა დიუბენმა, როდესაც ჩემი შე-ნიშვნების კითხვა გაასრულა, — ეს შემთხვევა უფრო აბურ-დულია ვიდრე ის, მორგის ქუჩაზე რომ მოხდა და იმისგან ძალიანაც განსხვავდება. ეს არის ჩვეულებრივი, თუმცა მხე-

<sup>1</sup> ედამი.

ცური დანაშაული. არაფერ განსაკუთრებულსა და outre-ს ვერ ვხედავ. შენც შეამჩნევდი ალბათ, სწორედ ამიტომ ამ საიდუმლოს ამოხსნა სულ ადვილი რომ ჰგონებიათ, სწორედ ამის გამო გაჭირდა საქმე, ვერაფერს გახდნენ. მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ პირველად ჯილდო არ დაუდგენიათ. გ.-ს მირმიდონელებს ჭკუა ეყოთ, რომ მიმხვდარიყვნენ, თუ როგორ და რატომ უნდა მომხდარიყო ასეთი მხეცობა, მათ შეეძლოთ წარმოედგინათ ხერხი, მრავალი ხერხი, მოტივი, მრავალი მოტივი ამ დანაშაულისა და რაკილა, მათი აზრით, ამ უამრავი ხერხიდან და მოტივებიდან ერთ-ერთი სრულიად შესაძლებელი იყო, ამიტომ იმედი ჰქონდათ, რომ კიდევაც დაშში მოიყვანდნენ საქმეს. მე უკვე გითხარით, სულ ჩვეულებრივ ამბებზე ამალელებას რომ ცდილობ და ჭეშმარიტებას რომ ეძებ, სწორი არ უნდა იყოს ამ შემთხვევაში ასეთი კითხვის დასმა: „და მაინც რა მოხდა?“ არამედ სჯობს: „ისეთი რა უნდა მომხდარიყო, რაც აქამდე არ მომხდარა?“ მა-დამ დ'ესპანეს ბინას რომ ჩხრეკდნენ გ.-ს ხალხს თავგზა აბ-ნევიათ და სულით დაცემულან მომხდარი უბედურების უჩვეულობით, ეს გარემოება კი საკმაოდ მოწესრიგებული ინ-ტელექტისათვის წარმატების საწინდარი გახდებოდა და სწო-რედ ეს ინტელექტი სასოწარკვეთილებას მიეცემოდა, რო-დესაც ნახავდა, მეპარფიუმერე გოგოსთან დაკავშირებულ რა უბრალო შემთხვევას გადაყვრივარო; ამ უბრალოებამ კი პრეფექტურის წარმომადგენლები იმთავითვე საზეიმო ხასი-ათზე დააყენა.

მადამ დ'ესპანეს და მისი ქალიშვილის შემთხვევაში მაშინვე მიხვდნენ, რომ, რალა თქმა უნდა, დედა და შვილი ვიღაცას დაუხოცავს: თვითმკვლელობის ვარაუდი თავიდან-ვე იყო გამორიცხული. ჩვენ აქ შეგვიძლია მტკიცედ ვთქვათ, თვითმკვლელობა არ მომხდარა. დე რულის კარიბჭესთან ნაპოვნ გვამს ისე კარგად ეტყობოდა ძალის ნაკვალევი, რომ ის მნიშვნელოვანი ვარაუდი მაშინვე იქნა უარყოფილი. მაგ-რამ გვამი რომ ნახეს, ეჭვიც გამოითქვა, შეიძლება ის არც იყო-სო მარი როჟესი, რომლის მკვლელის თუ მკვლელთა გამო-სავლინებლად ჯილდო იყო დადგენილი, ჩვენც ხომ სწორედ ამ გოგოს თაობაზე ვიყავით შეთანხმებულნი პრეფექტთან.

ჩვენ კი ორივენი კარგად ვიცნობთ ამ ჯენტლმენს. ამ კაცის შემსვედრი ფონს ვერ გასწავლ. თუკი ჩვენს ძიებას გვაძიას დავიწყებთ და ბოლღას მკვლელს შივაკვლევით და ამასთან ერთად იმასაც აღმოვაჩინოთ, რომ მოკლული მარი კი არა, ვიღაც სხვა ყოფილა ან თუ მარი ცოცხალია და ჩვენ მას ვიპოვიოთ და ვიპოვიოთ მრთელსა და მოუკლავს, ორივე შემთხვევაში დავზარალდებით, რადგან ჩვენ ამ კაცს, გ.-ს გადავყრივართ. ჰოდა, ასე უნდა იყოს საჭირო, სამართლისთვის კი არა, ჩვენთვის, რომ უპირველეს ყოვლისა, დავადგინოთ, ის გვამი სწორედ დაკარგული მარი როქესია.

L'Etoile-ს მოსაზრებებს მკითხველებზე დიდი ზეგავლენა მოუხდენია; თავად ეს გამოცემა ამ თავის მოსაზრებებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ერთი შეხედვით, თუ როგორ იწყებს თავის კიდევ ერთ წერილს ამ საგანზე — „რამდენიმე დღევანდელი დილის გაზეთი, — გვამცნობს იგი, — დაძაჯერებულად თვლის ჩვენს სტატიას ორშაბათის L'Etoile-ში“. მე თუ მკითხავ, მეტისმეტ სიბეჯითეს ამჟღავნებს ამ წერილის შემთხვევითი და მეტს არაფერს. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი გაზეთების მიზანი სენსაციები და მკითხველთა მოპოვებაა და არა ჭეშმარიტების დადგენა. ჭეშმარიტებას აქ მკითხველთა თვალთ შომავენ. ის ორგანო, რომელიც მთარული აზრის (რაც უნდა მართებული იყოს ეს აზრი) გავრცელებას მოისურვებს, ბრბოს გულს ვერ მოიგებს. ხალხის ყურადღება იმას შეუძლია მოიპოვოს, ვინც უხეშად უარყოფს საყოველთაო აზრს. ვითომცდა საღად ვმსჯელობთო და ისევე, როგორც ლიტერატურაში, ამ შემთხვევაში ჩმახვას ძალუბს მაშინვე მოახდინოს დიდი ზეგავლენა ყველაზე. გინდ ისე იყოს და გინდ ასე, რაღა ფასი აქვს ასეთ მსჯელობას.

მე იმისი თქმა მინდა, რომ L'Etoile-ს ჩმახვასა და, თუ გნებავთ, აზრის უბრალოებას, მარი როქე ცოცხალი უნდა იყოსო, დიდად მიუპყრია ხალხის ყურადღება. მოდით და წვრილად ჩავუღრმავდეთ ამ გაზეთის მსჯელობას, ოღონდ ისე, რომ გვახსოვდეს, არ გავებათ წერილის უთავბოლო ხვანჯებში.

უპირველეს ყოვლისა იმის დამწერს სურს გვიჩვენოს, რომ მარის დაკარგვის საათიდან მცირე დრო იყო გასული,

გვამი არ ამოტივტივდებოდა და ველარც იპოვნინდნენ, ესე იგი, მოკლული მარი არ უნდა ყოფილიყო. გამომდინარე აქედან, რაც შეიძლება უნდა შეამცირონ ზემოთ სსენებული დროის ხანგრძლივობა, რადგან სწორედ ეს არის იმ ჩვენნი მოაზროვნის მიზანი. ხოდა, რა არ წამოუროშავს ამ მიზნის მისაღწევად. „სულელია თუ იფიქრებდა, — წერს იგი, — რომ მარი მოუკლავთ და თუკი დაღუპული სწორედ ის გოგო იყო, მაშინ ეს უნდა მომხდარიყო ასე ადრე, რომ მკვლელებს ჯერ კიდევ შუალამემდე მოესწროთ მდინარეში გვამის გადაგდება“. ჩვენ აქ, რასაკვირველია, ასეთი კითხვა უნდა დავსვათ: „რატომ? რატომ უნდა მოგვივიდეს თავში ასეთი სულელური აზრი, რომ მკვლელს დანაშაული ჩაუდენია იმ გოგოს სახლიდან გაპარვისთანავე, ხუთი წუთის შემდეგ? რატომ უნდა მოგვივიდეს თავში ასეთი სულელური აზრი, რომ მკვლელობა მოხდა მაინცდამაინც იმ დღეს? კაცისკვლა შეიძლება ყოველ წუთს მოხდეს. მაგრამ რა დროსაც უნდა მომხდარიყო მკვლელობა კვირადღის დილის ცხრა საათიდან ღამის თორმეტ საათამდე, კი მოახერხებდნენ „გვამის მდინარეში გადაგდებას შუალამემდე“. სსენებული აზრი, სხვათა შორის, იმასაც გვამცნობს, რომ კვირადღეს ის გოგო ჯერ კიდევ არ მოუკლავთ და თუ ჩვენ L'Etoile-ს ასეთ დასკვნას გავაკეთებინებთ, მაშინ მსჯელობას სრულ თავისუფლებასაც მივანიჭებთ. ის საგაზეთო წერილი ასე იწყება: „სისულელეა იმის თქმა, რომ ის მოუკლავთ და ა. შ.“ როგორც ჩანს, L'Etoile-ს მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იმ წერილის შემთხვევის აზრის მიმდინარეობა — სულელია თუ იტყვის, ეს მკვლელობა იყო, თუკი მოკლული მართლაც ის გოგოა, მაშინ მკვლელებს უნდა მოესწროთ მისი გვამის მდინარეში გადაგდება შუალამის დადგომამდე; ჩვენის აზრით, ასეთი ვარაუდის გამოთქმა სისულელეა, სისულელეა ასეთი ვარაუდის გამოთქმა იმ დროს (ჩვენ უკვე კიდევაც დავეთანხმეთ ამ ვარაუდს), როდესაც არსებობს შეხედულება, „გვამს მხოლოდ შუალამის მერე გადააგდებენო“ — თავისთავად ეს აზრი თანამიმდევრულობით არ გამოირჩევა, მაგრამ არც ისეთი აზრმოკლებული ჩანს, როგორც ამ გაზეთში დაიბეჭდა.

— ჩემი მიზანი რომ, — განაგრძო დიუპენმა, — L'Etoile-ს არგუმენტების უარყოფა იყოს, მე არც კი მოვეყვებოდი ამის მტკიცებას. L'Etoile-ს რას ვაქნევთ, ჩვენთვის ჭეშმარიტებაა მთავარი. ამ ვაზეთებიდან მოყვანილი სიტყვების მნიშვნელობა ნათელია, მაგრამ საკითხავი ის არის, თუ რა იმალება ამ სიტყვების მიღმა, როგორ შეიძლება იმათი ახსნა. იმ ჟურნალისტს იმისი თქმა უნდოდა, რომ იმ კვირას, გინდ დღისით და გინდ ღამითაც, რა დროსაც არ უნდა მომხდარიყო მკვლელობა, შეუძლებელი იყო მკვლელებს შუალამემდე გადაეტანათ გვამი მდინარესთან. ნამდვილად არ შემიძლია ამ შეხედულების გაზიარება. მისი აზრით, მკვლელობა მოხდა ისეთ ადგილას და ისეთ გარემოებაში, რომ შეუძლებელი იყო გვამი მდინარესთან არ გადაეთრიათ. მაგრამ ხომ შეიძლება მკვლელობა სწორედ მდინარის პირას ან სულაც მდინარეში მომხდარიყო; გვამის წყალში გადაგდება შეეძლოთ დღითაც და ღამითაც, ამაზე ადვილი რაღა იქნებოდა. მინდა სწორად გაიგოთ ჩემი ნათქვამი, მე არ ვამბობ, რომ მაინცდამაინც მასე მოხდა, ანუ ჩემი აზრი შეუვალაია. ამჯერად არცა მსურს ფაქტების გამოწვლილვით განხილვა. მე მინდა ყურადღება მიაქციოთ L'Etoile-ს მსჯელობის მანერას, იმისი ყოველი სიტყვა *ex parte*<sup>1</sup> ჩანს.

ხოდა, მკვლელობის დრო როგორც სურდათ ისე შეზღუდეს და დასკვნაც ამის შესაბამისად გაუკეთებიათ — თუ მოკლული ნამდვილად მარი იყო, მაშინ გვამი სულ ცოტა ხნით იქნებოდა წყალში მოხვედრილი, ვაზეთი ასე განაგრძობს:

„გამოცდილებით ვიცით, რომ დამსრჩვალნი თუ მკვლელობისთანავე წყალში გადაგდებულნი, გამოჩნდებიან ზედაპირზე მხოლოდ ექვსი-ათი დღე-ღამის შემდეგ, ამ დროისათვის უკვე იმდენად გაიხრწნებიან, რომ შეუძლიათ ზედაპირზე ამოტივტივება. თუ იმ არემიღამოში ზარბაზანს გადაისვრიან ხუთ-ექვს დღე-ღამეზე ცოტათი ადრე, სხეული ამოვა ზედაპირზე და მაშინვე უნდა მიუსწროთ, თორემ ჩაიძირება“.

---

<sup>1</sup> მიკერძოებული (ლათ.).



Le Moniteur-ის<sup>1</sup> გარდა მაშინვე გაუზიარებია ეს აზრი ყველა პარიზულ გაზეთს. სსენებული გამოცემა შეეცადა ეჭვი გამოეთქვა „ჩაპირულ სსეულთა“ თვისებების გამო, სსვა აღარაფერი გაუხდიათ სადავო. ცნობილია სუთი თუ ექვსი შემთხვევა, როდესაც გვამები ამოტივტივებულან იმ ვადაზე უფრო ადრე, L'Etoiles-ს რომ განუსაზღვრავსო. მაგრამ Le Moniteur-ის მსჯელობა რაღაც ფილოსოფიური ნიშნით იყო აღბეჭდილი და L'Etoile-ს წინააღმდეგ გელარაფერს გასდებოდა ამ ორიოდე მაგალითის მოშველიებით. თუნდაც სუთი მაგალითის ნაცვლად ორმოცდაათიც მოეყვანა, როდე-საც სსეული ამოტივტივებულა ორი ან სამი დღის შემდეგ, ეს ორმოცდაათი მაგალითი მაინც გამონაკლისი იქნებოდა, რადგან L'Etoile-ს მიხედვით ასე იყო დადგენილი და მისი შესხედულების უარყოფა თავად კანონზომიერების უარყოფას ნიშნავდა. საერთოდ კი იზიარებდნენ ამ კანონზომიერებას (Le Moniteur-იც არ უარყოფდა ამას, მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი მოჰყავდა მაგალითად) და L'Etoile-ს მტკიცება შეუვალი ჩანდა; ჰოდა, ამ ვარაუდის გამოთქმალა უნდოდათ, ხომ შეიძლება ასე მოხდეს, რომ სსეული სამ დღეზე უფრო ადრე ამოტივტივდეს ზედაპირზე; სსენებული შეიძლება L'Etoile-ს მტკიცებას სულაც ვერ შეარყევდა, ვიდრე ამ ბავშვური თამაშის დროს გამონაკლისების რაოდენობა იმ-დენად გაიზრდებოდა, რომ იმ პირველ კანონზომიერებას უარ-ყოფდა და ახალს დაამკვიდრებდა კიდევ.

თქვენც უკვე ხედავთ, რომ ისე ვერაფერს გავხდებით, თუ იმ პირველი კანონზომიერების წინააღმდეგ არ გავილაშქრებთ. ამიტომ კიდევაც უნდა შევამოწმოთ მისი რაციონალურობის საკითხი. საერთოდ კი ადამიანის სსეული არც ძალიან მძიმე და არც ძალიან მსუბუქია სენის წყალზე; ერთი სიტყვით, ნორმალურ პირობებში წყალში მოხვედრილი ადამიანის სსეულის ხვედრითი წონა დაახლოებით ტოლია მტკნარი წყლის ხვედრითი წონისა. მსუქანი და ტანად მოსული კაცის ძვალწვრილი სსეული და, რაღა თქმა უნდა,

---

<sup>1</sup> „ნიუ-იორკ კომერშელ ედვერტიზერ“, რედაქტორი პოლკოვნიკი სტოუნი.

ქალებისაც, უფრორე მსუბუქია, ვიდრე გამხდარი ძვალმს-  
ხვილი ადამიანებისა; ისიც უნდა გვასსოვდეს, მდინარის  
წყლის ხვედრით წონაზე გარკვეული ზეგავლენა აქვს ზღვის  
წყალს, შესართავიდან რომ შემოიჭრება ხოლმე. მაგრამ  
მოდით და სულაც ნუ გავითვალისწინებთ ამ გარემობას და  
მანც შეიძლება ვთქვათ, მტკნარ წყალშიც ცოტანილა იძი-  
რებიან თავისით. ყოველს, ვინც კი მდინარეში მოხვდება,  
შეუძლია წყლის ზედაპირზე გაჩერება, თუკი მოახერხებს  
თავისი სხეულით გამოდევნილ წყლის ხვედრით წონას სა-  
კუთარი წონა შეუფარდოს; ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ,  
თუკი სათანადო დონემდე დაუშვებს თავის სხეულს წყალ-  
ში. იმისთვის, ვინც ცურვა არ იცის, საუკეთესო პოზიციაა,  
თავი უკან გადაადგოს, მხოლოდ პირი და ცხვირი გამოაჩი-  
ნოს, სხეულით კი გასწორდეს, თითქოს მიწაზე მიდიოდეს.  
კარგადაც დაინახავთ, ასეთ მდგომარეობაში მყოფს შეუძლია  
წყლის ზედაპირზე გაჩერება. თუმცა კი ცხადია, ასეთი წო-  
ნასწორობა სხეულისა და წყლის მასისა ძალზე უმტიციოა და  
ყოველ წუთს შეიძლება დაირღვეს. წამითაც რომ წყლიდან  
ამოსწიოს ხელი და ასე შეირყოს მდგრადობა, მისი წონა  
საკმარისი იქნება, რომ თავი მთლიანად დაეძიროს და ამ  
დროს რომ ხის პატარა ნაჭერი მოხვდეს ხელში, შეუძლია  
თავი წამოსწიოს და ირგვლივ მიმოიხედოს. ის კი, ვინც  
ცურვა არ იცის, მკლავებს წყლიდან ამოიშვერს და უთავბო-  
ლოდ მოჰყვება ქნევას, ცდილობს როგორმე თავი ჩვეულებ-  
რივ, პირდაპირ დაიჭიროს. ამის შედეგად ცხვირ-პირით  
წყალში მოხვდება. და ასე აფართხალეულს წყალი ფილ-  
ტრებში ჩაუვა. მუცელი გაეცლება წყლით და სულ სხვა წო-  
ნის გაუხდება სხეული, რადგან იქ, სადაც ჰაერი იყო, ახლა  
წყალია. ეს განსხვავება კი საკმარისი აღმოჩნდება სხეულის  
ჩასაძირავად, ასეც უნდა მოხდეს; მაგრამ ძვალწვრილ და  
ქონმოკიდებულ ადამიანებზე ამას ვერ ვიტყვით. დასრნობის  
მერეც ისინი წყლის ზედაპირზე ტივტივებენ.

მდინარის ფსკერზე დაშვებული გვამი მანამდე იქნება იქ,  
სანამ ამა თუ იმ მიზეზის გამო მისი ხვედრითი წონა წყლის  
მასის ხვედრით წონაზე ნაკლები არ შეიქნება. შეიძლება უკ-  
ვე გაიხრწნა და იმიტომ, შეიძლება მიზეზი სხვა რამეც იყოს.

შედეგად ამ გახრწნისა წარმოიშობა აირი, გაუჟდება უჯრედებს და მოიცავს ყოველ ღრუს სხეულისას, რომელიც გაფუძლება და შემზარავი სანახავი ხდება. თუკი გვამი ისე გადიდდება, რომ მისი მასა და წონა არ მოიმატეს, მაშინ სხეულის სვედრითი წონა წყლის სვედრით წონაზე უფრო მსუბუქი გახდება და მდინარის ზედაპირზე ამოვა. მაგრამ გახრწნის მიზეზი შეიძლება მრავლის უმრავლესი იყოს — ზოგჯერ ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს, ზოგჯერ კი ჩქარა, მიზეზი ამისა მრავლის უმრავლესია-მეთქი; ასე, მაგალითად, შეიძლება ან ციოდეს, ან ცხელოდეს, შეიძლება წყალი მინერალური წივთიერებებით იყოს გაჯერებული ან შედარებით სუფთა იყოს, შეიძლება წყალი ღრმა ან თავთხელი იყოს, შეიძლება მორევტრიალი იყოს ან არა, სხეულის ტემპერატურასაც აქვს მნიშვნელობა, ისიცაა გასათვალისწინებელი, წყალში დამხრჩვალნი დაავადებული იყო თუ არა სიკვდილის წინ. გამომდინარე აქედან, ცხადია, ძნელია იმისი თქმა, თუ ზუსტად როდის ამოტივტივდება გვამი. გარკვეულ პირობებში შეიძლება ეს ერთი საათის განმავლობაში მოხდეს, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ სულაც აღარ გამოჩნდეს. ცნობილია ქიმიური ნივთიერებები, რომლებსაც შეუძლიათ სულ გაუხრწნავი შეინახონ ცხოველური ქსოვილები, ვთქვათ, ორქლორიანმა ვერცხლისწყალმა. მაგრამ გახრწნის გარეშეც მცენარეული მასის დუღილის შედეგად მუცელში ხდება (ან სხეულის სხვა ღრუებში სხვა მიზეზების გამო) აირის დაგროვება და სხეული იმდენად ფართოვდება, რომ კიდევ ამოდის წყლის ზედაპირზე. ზარბაზნის გასროლას ვიბრირება მოჰყვება ხოლმე. სხეული შეიძლება ლამში იყოს გახვეული ან ლაფში ჩაფლული და ამოტივტივდეს იმიტომ, რომ უკვე შეუძლია ამოტივტივება, ანდა შეიძლება გაგლიჯოს გარკვეული ნაწილი შემპალი ქსოვილისა, რის შედეგადაც აირი შეიჭრება სხეულის ღრუებში და გააფართოვებს მას.

ჩვენ უკვე ჩავხვდით ამ საგნის მთელ ფილოსოფიას, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია შევამოწმოთ L'Etoile-ს მტკიცებათა სისწორე. ამ გაზეთის აზრით, „წარსულის მთელი გამოცდილება გვიჩვენებს, დამხრჩვალთა ან წყალში იმწამსვე გადაგებულ მოკლულთა სხეულები ექვს-ათ დღეში ამოტივ-

ტივდებიან ზედაპირზე, როდესაც საკმაოდ გაიხრწნებიან. ზარბაზნის გასროლით ხუთ-ექვს დღეზე ადრეც რომ ამოტივტივდეს სხეული, მაშინვე ჩაიძირება, თუ ვერ მიუსწრებენ“.

ყურით მოთრეულ შეუსაბამოთა ნარევი ჩანს ახლა მთელი ეს აბზაცი. მთელი ჩვენი გამოცდილება სულაც არ გვიჩვენებს, რომ „გადაგდებულ სხეულებს“ სჭირდებათ ექვსი-ათი დღე გასახრწნელად და ამოსატივტივებლად წყლის ზედაპირზე. მეცნიერებაცა და გამოცდილებაც, ორივე ერთად ამას გვიჩვენებს, ზუსტად ვერ ვიტყვით, თუ როდის შეიძლება ეს მოხდეს. ხოლო თუ სხეული ამოტივტივდება ზარბაზნის გასროლის შემდეგ, ისევ არ „ჩაიძირება, თუ ვერ მიუსწრებენ“, რადგან ის უკვე კარგა მაგრადაა გახრწნილი და გვამში აირის მოცულობა მომატებულია. მაგრამ მე მინდა ერთ რამეს მიაქციოთ ყურადღება, ჩვენ აქ განსხვავებას ვხედავთ „დამსვრჩვალთა სხეულებს“ და „წყალში იმწამსვე გადაგდებულ მოკლულთა სხეულებს“ შორის. და თუმცა წერილის ავტორი აღნიშნავს ამ განსხვავებას, მისთვის მაინც ყველა სხეული ერთნაირია. მე უკვე გითხარით, რომ სწორედ იმ ადამიანის ხვედრითი წონა მატულობს, ვინც არ დაიხრჩობოდა, ფართხალს, წყლიდან ხელების ამოყოფას რომ არ მოჰყოლოდა და ჰაერის მაგივრად წყალი არ ეყლაპა და არ გაბერილიყო. მაგრამ ფართხალს არ მოჰყვებოდა და სულიც არ შეეხუთებოდა „წყალში იმწამსვე გადაგდებულ მოკლულთა სხეულებს“. გამომდინარე აქედან, გვამი, ჩვეულებრივ, არც იძირება ხოლმე — ეს ფაქტი L'Etoile-სთვის უცნობი აღმოჩნდა. და მხოლოდ მაშინ დაინთქმება გვამი, როდესაც საბოლოოდ გაიხრწნება და ჩონჩხილა დარჩება, დაღუპულის ასაკალ-დასავალს ვეღარც გავიგებთ.

რა ვუყოთ იმ მტკიცებას, რომ თითქოსდა ის ნაპოვნი გვამი მარი როჟესი არ იყო, სამი დღე გავიდა იმ გოგოს დაკარგვის დღიდან და აქამდე როგორ არ ჩაიძირებოდაო? დამსვრჩვალთა ქალი იყო და შეიძლებოდა სულაც არ ჩაიძირულიყო; ან თუ ჩაიძირებოდა, ისევ ამოტივტივდებოდა არა უგვიანეს ოცდახუთი საათისა. მაგრამ არავის უთქვამს, ის გოგო დაიხრჩო; ამიტომ, რახან მოკლეს და მერე მდინარე-

ში გადაადგეს, მთელი ეს ხანი არც ჩაძირულა, ისე მიჰქონდა წყალს.

„მაგრამ, — განაგრძობს L'Etoile, — თუკი აგრე დასახინრებული გვამი ოთხშაბათ დილამდე გააჩერეს, მკვლელების რაღაც ნაკვალევი კი დარჩებოდა სანაპიროზე“. უცებ ვერც კი მისვდები, თუ რისი თქმა უნდა იმ წერილის ავტორს. ვაითუ ჩემი მოსაზრება უარყოფნო და თავს იზღვევს; მართლაცდა შეიძლება უთხრან, ნაპირზე დაგდებული გვამი ორ დღეში უფრო მალე გაისრწნებოდა, უფრო მალე, ვიდრე მაშინ, წყალში რომ გადაეგდოთო. ასეთ ვარაუდსაც გამოთქვამს, შეიძლება ასე მომსდარიყო, რომ იმ დღესვე გამოჩენილიყო წყლის ზედაპირზე, ასე ფიქრობს და რახან ასეა, კი უნდა გამოჩენილიყო ნამდვილად. ამიტომ, ჩქარობს, უნდა დაამტკიცოს, ნაპირზე აღარ გაუჩერებიათო, რადგან მაშინ „მკვლელების რაღაც ნაკვალევი კი დარჩებოდა სანაპიროზე“. მგონია თქვენი ღიმილის მიზეზი ასეთი sequiter<sup>1</sup> უნდა იყოს. თქვენ ვერ მიმსვდარხართ, მართალია სანაპიროზე გვამი ამდენს ხანს ეგდო, მაგრამ ამას როგორღა უნდა გაემრავლებინა მკვლელთა ნაკვალევი. მეც ვერ ვხვდები.

„მერედა ის როგორღა დავიჯეროთ, — ასე განაგრძობს ჩვენი ვაზეთი, — იმ მკვლელებმა და ავაზაკებმა, ასეთი, როგორც ვარაუდობენ, დანაშაული რომ ჩაიდინეს, გვამი წყალში გადაადგეს და რამე სიმძიმე არ მიაბეს, სიფრთხილეს რა თავი სტკიოდა“. ერთი ნახეთ, რა სასაცილოდ აბურდული აზრები აქვთ! არც ერთი — L'Etoile-ც კი — არ უარყოფს, რომ ის ნაპოვნი გვამი მოკლულისა იყო. მეტად ცხადლივ ჩანს სასტიკი მკვლელობის ნაკვალევი. ჩვენს ჭკუის კოლოფს ეს-ღა უნდა, გვიჩვენოს, რომ ის გვამი მარის არ იყო. მას უნდა დაგვიმტკიცოს, მარი არ მოუკლავთო და არა ის, რომ ქალის გვამი არ უნახავთ. სწორედ მეორეს კი ესაძირკვლება მისი პირველი მოსაზრება. გვამი სიმძიმე მიუბმელი იყოო, გაიძახიან. სიმძიმე-მიუბმელად მკვლელები არ მოისროდნენო გვამს წყალში. მეტს ველარაფერს ამტკიცებენ, თუკი ამტკიცებენ საერთოდ რამეს. მოკლულის ვინაობას არც შეხებიან და

<sup>1</sup> აქ: დასკვნა (ლათ.).

აქ L'Etoile იმდენს ცდილობს და მსჯელობს, რომ კიდევაც უარყოფს ზემოთ მოყვანილ თავისივე მტკიცებას — „მოკლული ქალი იყო ნამდვილად“.

მსჯელობის ამ ნაწილშიც ჩვენი ჭკუის კოლოფი თავისდა უნებურად მრავალგზის უარყოფს თავისივე მოსაზრებებს. ყოველი ღონით ცდილობს, როგორც უკვე გითხარით, დამატაცოს და დაასაბუთოს, მარის დაკარგვიდან გვამის პოვნის დღემდე სულ ცოტა დრო იყო გასული. იმის დამტკიცებაც უნდა, რომ დედის სახლიდან გამოსული გოგო სულიერს არავის დაუნახავს. „ჩვენ ვერ ვიტყვით, — ასე განაგრძობს, — რომ მარი როყე ცოცხლებში ეწერა კვირა დილის 9 საათის შემდეგ, 22 ივნისს“. საცხადო ex parte<sup>1</sup> ეტყობა ამ მის მოსაზრებას, მისთვის კი სჯობდა, სულაც არ ეხსენებინა ეს გარემოება; რადგან შიშობს, ვაითუ გაიგოს, რომ მარი ვინმეს უნახავს, ვთქვათ, ორშაბათს ან სამშაბათს, მაშინ ის მისი ხსენებული დაკარგვის დრო კიდევ უფრო მცირე გამოჩნდებოდა. გამომდინარე აქედან, მისი საკუთარი მსჯელობის შედეგად, კარგა მაგრა შეუდგებოდა წყალი მისივე ვარაუდს, რომ ის გვამი იმ გრიზუტი ქალისა იყო. ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, მართლაცდა გესიამოვნება, თუ რა ბეჯითად და თავდაჯერებით ლამობს L'Etoile ამ თავისი ძირითადი მოსაზრების განმტკიცებასა და დასაბუთებას.

ახლა კი წერილის ის ადგილი ნახეთ, ბოვემ გვამი რომ იცნო. სულ მთლად დაბნეული ჩანს ის ჩვენი ჭკუის კოლოფი, როდესაც მკლავზე ნანახ ბეწვებს აღნიშნავს. მესიე ბოვე არც ისეთი იდიოტი იყო, რომ მოკლულის ვინაობის დადგენისას ძირითად საბუთად მკლავზე ნანახი ბეწვები მოეყვანა. ჯერ კიდევ არავის უნახავს მკლავი უბეწვებოდ. L'Etoile-ს განყენებული მსჯელობა სულაც უკულმართად წარმოგვიჩენს მოწმის მსჯელობას. იმ კაცს უსათუოდ უნდა აღენიშნა ბეწვის ფერი, სისშირე, სიგრძე ან განლაგება:

„იმ გოგოს, — წერს გაზეთი, — პატარა ფესი ჰქონდა, მეტწილ ქალებს სწორედ ასეთი ფესი აქვთ. იმ გოგოს შესაკრავი, ისევე როგორც ფეხსაცმელი, ვერც ვერაფერს დაგვიმტკი-

<sup>1</sup> მიკროსოფტა (ლაბ.).

ცებს, ასეთი შესაკრავი და ფესსაცმელი ყველგან იყიდება. შეიძლება იგივე ვთქვათ იმ გოგოს ყვავილებზეც, რომლითაც მას ქუდი ჰქონდა მორთული. მეტად კი აქვს დაჩემებული მესიე ბოვეს ის გარემოება, რომ იმ შესაკრავის საკეტი უკან იყო გადაწეული. მერედა რა მნიშვნელობა აქვს ამას; ყოველ ქალს შესაკრავი სასლში მიაქვს და მერე მოირგებს ხოლმე, ასე ურჩევნია, ვიდრე ყიდვისას დაიწყოს მოზომვა“. აქ კი ვერ ვიტყვით, რომ იმ ჭკუის კოლოფს თავად სჯერა თავისი ნათქვამისა. თუკი მესიე ბოვე მარის გვამს ეძებდა, კიდევაც ნახავდა, რომ დაღუპულის სიმალლე და გარეგნობა ჰგავს მარისას, საფუძველი ექნებოდა (ტანისამოსს სულაც არ დააკვირდებოდა, ისე) ეფიქრა, რასაც ვეძებდი, ის ვიპოვეო. უფრო მეტიც, საერთო მსგავსებისა და მოყვანილობის გარდა, მკლავზე იმ ბეწვებს აღმოუჩენდა, მარის სიცოცხლეში რომ ჰქონდა ნანახი, მისი ვარაუდი კიდევ უფრო განმტკიცდებოდა: გამტკიცდებოდა-მეთქი, რადგან იმ ბეწვების თავისებურება გახლდათ განსაკუთრებული, ანუ, თუ გნებავთ, ამ შემთხვევაში არაჩვეულებრივი ნიშანი. თუკი მარის პატარა ფეხი ჰქონდა, და იმ გვამსაც ასევე, მაშინ აღბათობა იმისა, რომ დაღუპული მარი გახლდათ, არითმეტიკული კი არა, გეომეტრიული პროგრესიით გაიზრდებოდა. ყველაფერ ამას თუ ფესსაცმელსაც დავუმატებთ, იმ საბედისწერო დღეს რომ ეცვა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთები „აუარება გაყიდულა“, მაშინ თქვენ იმ აღბათობას თითქმის მთლად შეუვალს გახლდით. ის გარემოებანი, რომელიც საცხადო საბუთად არ გამოდგება, გარკვეული თანხვედრის შედეგად შეჭველად წარმოგვიჩინეს ფაქტებს. ის ყვავილებიც არ უნდა დაგვავიწყდეს, იმ დაკარგულ გოგოს რომ ჰქონდა დაბნეული ქუდზე და მისაკვლევი აღარაფერი დაგვრჩება. ამისათვის ერთი ყვავილიც იქნებოდა საკმარისი, მაგრამ ის ყვავილი თუ ორი, სამი და უფრო მეტიც იყო? იმათაგან ყოველი ხომ ამრავლებს ამ ფაქტის ჭეშმარიტებას, საბუთს უბრალოდ კი არ უმატებს საბუთს, არამედ ასგზის და ათასგზისაც ამრავლებს მის შეჭველობას. მოდიოთ და ახლა ის შესაკრავიც აღვნიშნოთ, დაღუპული გოგო რომ ატარებდა, ამის მერე შემდეგი ძიება სისულელე იქნება და მეტი არაფერი. და კიდევ, იმ შესაკრავის

მისაბნევი თავად მარის გადაუადგილებია რაღაცნაირად ცოტა ხნით ადრე, სანამ სახლიდან გამოვიდოდა. პოდა, ახლა შერეკილი ან ორპირი კაცი თუ გაზოტქვამს ეჭვს. L'Etoile-ს რომ დაუყინია, მისაბმელი თავისითაც ადვილად გადაადგილდებოდაო, ეს უკვე იმას გვიჩვენებს — არა და არ უნდათ თავისი შეცდომის აღიარება. ის შესაკრავი ელასტიკური იყო და სულ ჩვეულებრივად შეიძლებოდა მასზე მისაბმელის გადაადგილება. თუ საგანს თავად შეუძლია დამოკლება, პატრონსაც ძალუძს იმისი დამოკლება ხანდახან საჭიროებისამებრ. მარიც ასე მოქცეულა და კაცმა რომ თქვას, მეტ საბუთს ველარც ვინატრებთ, და იმ გვამზე უნახავთ იმ დაკარგული გოგოს არა მარტო შესაკრავი, ფეხსაცმელი, მისი ქუდი და ყვავილები ამ ქუდზე, ისეთივე ფეხებიც და რაღაც ისეთივე ნიშანი მკლავზე, ისეთივე გარეგნობისა და ანაგობისა ყოფილა, უფრო მეტიც, ყველაფერი ეს ერთად უნახავთ თურმე. თუ იმ L'Etoile-ს რედაქტორს ახლაც ნამდვილად შეეპარებოდა ეჭვი ამდენი საბუთის გაცნობის შემდეგ, მაშინ აღარ დაგვჭირდებოდა ამ შემთხვევაში de lunatico inquirendo<sup>1</sup> კომისიის მოწვევა. ადვოკატისამებრ მოჰყოლია წილადობილას მეტი წილი ადვოკატების თვალსაწიერი კი სასამართლოს კედლებში გაბატონებულ ფეხმოკლე მსჯელობითა შემოისაზღვრება. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, ბევრ საცხადო საბუთს რომ უარყოფს სასამართლო, ინტელექტუალური კაცისათვის ეს საბუთი საუკეთესოა ჭეშმარიტების დასადგენად. რადგან სასამართლოს საერთო პრინციპები აქვს მომარჯვებულ საბუთების ძიებაში, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული პრინციპებით იკვლევს გზას, უარყოფს ყოველი შემთხვევის განსაკუთრებულობას. ასე მტკიცედ რომ იცავენ ამ თავის პრინციპებს და მათთვის რამე გამონაკლისი არ არსებობს, ამგვარი წესით კიდევაც აღწევენ მაქსიმუმს ჭეშმარიტების მიკვლევაში ხანგრძლივი დროის მანძილზე, ცხოვრებაში, ძირითადად, ეს წესი გამართლებუ-

<sup>1</sup> გონებრივ შესაძლებლობათა მისაკვლევი (ლათ.).



ლია, მაგრამ მძიმე შეცდომის საფუძველი კი ხდება ზოგიერთ შემთხვევაში<sup>1</sup>.

ბოვეს სულ ტყუილუბრალოდ დასწამეს ცილი და კიდევაც შეგვიძლია ამ წუთსავე გავაცამტყეროთ. თქვენ უკვე ჩახვლით ამ კარგი ჯენტლმენის ჭეშმარიტ ბუნებას. მოუსვენარი, რომანტიკული ბუნების კაცია და მაინცდამაინც დიდ ჭკუას ვერც მოვხზოვთ. შეიძლება შემთხვევამ მოიტანოს წაისეთ ფაცაფუცს მოჰყვეს, რომ დააეჭვოს კიდევაც ურწმუნო ან მისადმი მტრულად განწყობილი ხალსი. მესიე ბოვეს (როგორც ჩანს თქვენს შენიშვნებში) პირადად უსაუბრია L'Etoile-ს რედაქტორთან და გაუბედავს იმ მოსაზრების გამოთქმა, რომ რედაქტორის თეორიის მიუხედავად, თუკი ფაქტებს საღად შევხედავთ, ის გვამი მარისა არისო. „იმ კაცს დაუჩემებია, — წერს გაზეთი, — მარის გვამი უნახავსო, მაგრამ კი ვერ ამტკიცებს ამ გარემოებას, ვერაფერს გვეუბნება ახალს, ხოლო იმ ძველის შესახებ უკვე ვთქვით და აღარაფერს ვიტყვით, ყველასთვის ისედაც ნათელია ყველაფერი“. არც იმაზე ვიტყვით რამეს, რამდენად შეიძლება იყოს „ყველასთვის ისედაც ნათელი ყველაფერი“, ასე იშვიათად ხდება, ისღა უნდა დავსძინოთ, რომ შეიძლება ადამიანს სრულიად სჯეროდეს რაღაც, მაგრამ დამაჯერებელი საბუთი არა აქვს და აღარც ძალუძს სხვები დაარწმუნოს. ყოველთვის ძნელი იყო წარმოჩენა იმ შთაბეჭდილებისა, რომლის მიხედვითაც თქვენ იცნობთ ადრე ნანახ ამა თუ იმ პიროვნებას. ყოველი ცნობს თავის მეზობელს, მაგრამ ათასში ერთი თუ იტყვის უცებ, ასე და ასე ვიცანო იგი. L'Etoile-ს რედაქტორი მართალი იყო, როდესაც ეჭვით მოკიდებია მესიე ბოვეს თავდაჯერებულ საუბარს.

---

<sup>1</sup> „განყენებულად რომ ცდილობს რაიმე საგნის ახსნას, ყოველი თეორია გამოწველილვით მოიცავს ამ საგანს; და ის, ვინც მიზნებს მოვლენებს უკავშირებს, თავისდა უნებურად უარყოფს შედეგების მისიშვნელობას. ასე, მაგალითად, ყოველი ერის იურისპრუდენცია გვიჩვენებს, რომ, თუ მეცნიერება და სისტემა გახდება სამართალი, მაშინ ის დაპყარვავს სამართლიანობას. სამოქალაქო სამართალს ბრძად მოუმარჯვებია სისტემურობა და კიდევაც მოსდის შეცდომები, ხშირდაც ვხედავთ ჩვენ, როდესაც საკანონმდებლო ხელისუფლება იძულებულია ებრძალოს უკუღმართობას ამ სისტემისას — მრუდე „სამართალს“ — ლენდორი.

მართალი კი იყო, მაგრამ იმის ეჭვს ის ესაძირკვლებოდა, რაღაც უნდა აღარდებდესო მესიე ბოვეს, კი აჯობებდა იმას ჩემი ვარაუდი გაეზიარებია, მოუსვენარი, რომანტიკული კაცია იგი და მეტი არაფერი. ხოდა, კეთილმოსურნის თვალით თუ შევხედავთ იმას, ძნელი აღარ იქნება ავსნათ კასალების სვრელში გაწრილი ვარდი, დაფაზე მიწერილი სახელი „მარი“; ის გარემოება, რომ „იმ ოჯახის ყველა მამაკაცი მისი წყალობით განზე გამდგარა“; და „თითქოსდა რატომღაც ძალიან უნდოდა, იმ გოგოს ნათესავეები გვამს ახლოსაც არ გაკარებოდნენ“. მაღამ ბ.-სადმი მიმართული მისი გამაფრთხილებელი სიტყვები — „ჩემს (ბოვეს) დაბრუნებამდე იმ ჟანდარმთან კრინტი არ დაძრაო“; დაბოლოს, რად იყო დარწმუნებული, რომ „უჩემოდ თითხაც ვერ გაანძრევსო ვერავინ“. ჩემი აზრით, ბოვე მარის თაყვანისმცემელი გახლდათ; ის გოგოც ელაციცებოდა მას, და ასე სჯეროდა კიდევაც, გულითა და სულით მე მენდობაო. აღარაფერს ვიტყვი ამ საგანზე; და რაკილა ცხადია, რომ L'Etoile არ იყო სწორი, როდესაც იმ გოგოს დედისა და ნათესავეების გულგრილობაზე წერდა, სხენებული გულგრილობა კი ეჭვს იწვევდა, ნამდვილად იყო ის გვამი მეპარფიუმერიე გოგოსი თუ არა — ჩვენი მსჯელობის საფუძველი ახლა ის იქნება, რომ მოკლული სწორედ ის გოგო გახლდათ.

— რას იტყვით თქვენ, — ვკითხე მე, — Le Commercial-ის აზრის შესახებ?

— ამ საქმის სულს თუ ვიგულისხმებთ, მათი მოსაზრებები უფრო საყურადღებოა, ვიდრე სხვა გამოცემებისა. იმათ გარკვეულ წანამძღვრებს დაფუძნებული დასკვნები უფრო ფილოსოფიური და გონებამახვილური ჩანს; მაგრამ იმ წანამძღვრებს, სულ ცოტა, ორ შემთხვევაში მაინც არასწორი დაკვირვებები ესაძირკვლება. Le Commercial-ს უნდა ხალხს ჩააგონოს, რომ მარის დედამისის სახლის სიახლოვეს ვიღაც არამზადებმა სტაცეს ხელი. „მუუძლებელია, — ამტკიცებს იგი, — ისე გაეველო ადამიანს სამი უბანი, რომ არავის დაეცნას, იმ ყმაწვილ გოგოს ხომ ყველა კარგად იცნობდა“. ეს აზრი შეეძლო გამოეთქვა პარიზის დიდი ხნის მაცხოვრებელს, საზოგადოებისათვის ცნობილ პიროვნებას, ვისაც ქა-

ლაქის სულ ერთი და იგივე ქუჩებით, სხვადასხვა დაწესებულებებს შორის უხდება მიმოსვლა. მან იცის, რომ იშვიათად თუ გაუვლია თორმეტობე უბანი თავისი დაწესებულებიდან და ვინმე ნაცნობს არ შეხვედრია. და რაკილა იცის, მე ხომ ბევრნი მიცნობენო და მეც ბევრს ვიცნობო, თავისი მდგომარეობა იმ მეპარფუმერიე გოგოსას შეუდარებია, დიდ განსხვავებას ვერ ხედავს და აქედან გამომდინარე ფიქრობს, სახლიდან გამოსული ის გოგო ჩემსავით მრავალ ნაცნობს გადაეყრებოდაო; შეიძლებოდა მართლაც ასე მომხდარიყო, იმ გოგოს რომ იმასავით სულ მუდამ, აუჩქარებლად ერთი და იგივე გზით ევლო. ის კაცი კი მიდის და მოდის ერთსა და იმავე დროს, დადის გარკვეული გზით და ხვდება იმათ, რომელთა საქმიანობა მისას ჰგავს. მარი კი, როგორც ჩანს, მეტწილად სხვადასხვა გზით დადიოდა. იმ დღეს შეიძლება სულაც იქით წასულა, სადაც იშვიათად თუ გაუვლია. ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ Le Commercial-ის რედაქტორს ასეთი პარალელის გავლება მოაფიქრდა, ორმა ადამიანმა ერთმანეთის შესახვედრად მთელი ქალაქი უნდა გამოიაროსო. ვთქვათ და ამ პირებს ერთნაირი რაოდენობის ნაცნობი ჰყავთ, მაშინ დაახლოებით ერთსა და იმავე რაოდენობის ნაცნობს შეხვდებიან გზაზე. მე თუ მკითხავთ, არა მარტო შესაძლებელი იყო, არამედ ისეც უნდა მომხდარიყო, რომ შინიდან წამოსული მარი სულ ყოველთვის სხვადასხვა გზით მიდიოდა დეიდამისტან და ვერც ნახულობდა ვინმე ნაცნობს ან იმას, ვისაც ეცოდინებოდა მისი ვინაობა. ამ საკითხის განხილვისას ყველაფერი ცხადი და ნათელი რომ იყოს, უნდა გვახსოვდეს, პარიზში რაც უნდა ცნობილი პიროვნება ცხოვრობდეს, ამ ქალაქის მოსახლეობა იმდენად დიდია, რომ ის მისი ნაცნობები ზღვაში წვეთი იქნება მაინც.

Le Commercial-ის მოსაზრებას წყალი მაშინაც შეუდგება, თუ გავითვალისწინებთ იმ გოგოს სახლიდან გამოსვლის საათს. „იმ დროს ქუჩა ხალხით ყოფილა სავსე“, — წერს Le Commercial-ი. მაგრამ ეს არ არის სწორი. დილის ცხრა საათი იყო. მართლაც, დილის ცხრა საათზე ქალაქის ქუჩები ყოველთვის ხალხმრავალია, გარდა კვირადღისა. კვირაობით

დილის ცხრა საათზე ხალხი ჯერ კიდევ სახლშია და ეკლესიაში წასასვლელად ემზადება. მცირეოდნავ დაკვირვებულნი კაციც კი შენიშნავს, რომ უჩვეულოდ უკაცრიელია ქალაქი უქმე დღის დილის რვა საათიდან ათ საათამდე. ათიდან თერთმეტამდე ხალხი ქუჩებში გამოეფინება, მაგრამ ისე ადრე არა, როგორც ამ გაზეთში არის ნათქვამი.

კიდევ ერთი საკითხი არის, თითქოსდა აქაც შემცდარა და კარგად არ დაკვირვებია Le Commercial-ი. „იმ უბედური გოგოს კაბის ერთ-ერთი ნახევი, — წერენ ისინი, — ორი ფუტი სიგრძისა და ერთი ფუტი სიგანის, ნიკაპს ქვემოთ და კეფაზე ჰქონდა შემოსვეული, იქნებ იმიტომ, რომ ველარ დაეყვირა. ამის მოქმედი ის ვაჟბატონებია, ვისაც ცხვირსახოცი თან არ დააქვთ“. რამდენად სწორია, ანუ რამდენად საფუძვლიანია ეს აზრი, ჩვენ კიდევ ვიმსჯელებთ ამის შესახებ, მაგრამ, როგორც ჩანს, რედაქტორი იმ ვაჟბატონებში „ვისაც ცხვირსახოცი თან არ დააქვთ“, ნაძირალებს გულისხმობს. ჩვენ კი ვიცით, რომ ამგვარი ჯურის ხალხს შეიძლება პერანგი არ ეცვათ, მაგრამ უცხვირსახოცოდ ვერ ნახავთ. თქვენც, ალბათ, შენიშნავდით, ამ ბოლო დროს მთლად წყალწადებულ კაცსაც სულ მუდამ, თან დააქვს ცხვირსახოცი.

— იმ Le Soleil-ის წერილზე კი რაღა უნდა ვიფიქროთ? — ვკითხვ მე.

— სამწუხაროა, რომ იმისი დამწერი თუთიყუშად არ დაბადებულა — დიდი ვინმე კი იქნებოდა თუთიყუშთა მოღვმისათვის. ნახვენი რამე წერილს და დღენიადაც იმეორებენ იქ მოყვანილ პასაჟებს, არც ერთი გამოცემა არ დაუტოვებიათ უყურადღებოთ. „ცხადზე ცხადია, — წერენ ისინი, — რომ სულ ცოტა სამი თუ ოთხი კვირა იყო ის საგნები იქ უთუოდ და მერე კი უნახავთ, იმ საშინელი მკვლელობის ადგილი უკვე ცნობილია“. Le Soleil-ის მიერ გამეორებული აქტები, რაღა ფქმა უნდა, სარწმუნო არ არის ჩვენთვის; ამ საკითხს მე კიდევ მივუბრუნდები, როდესაც ამ ამბის სხვა გარემოებათა გამო მომიხდება საუბარი.

ახლა კი სხვა რამე უნდა გამოვარკვიოთ. ალბათ გახსოვია, რა უგულისყუროდ და უდიერად მოუსდენიათ გვამის შემოწმება. მართალია მალე დაუდგენიათ მოკლულის ვინაობა, ეს

ძნელი არ იყო; მაგრამ სხვა ველარაფრისთვის ვერ მიუკვლევიათ. გაძარცვული თუ იყო გვამი? სახლიდან გამოსულ იმ გოგოს თუ ჰქონდა რამე ძვირფასეულობა? და თუ ჰქონდა, იმ გვამთან ერთად იპოვნეს? ძიების დროს ეს უმნიშვნელოვანესი გარემოებანი უგულებელყოფილია; კიდევ სხვა, ასეთივე მნიშვნელოვანი საკითხები დაუტოვებიათ უყურადღებოდ. ხსენებულ გარემოებათა მიკვლევას პირადად ჩვენ უნდა მოვკიდოთ ხელი. სულაც არ არის დამთავრებული სენტ ესტაშის ამბავი. იმ კაცზე მე ვერავითარ ეჭვს ვერ მივიტან; მაგრამ მოდით თანამიმდევრულად მივყვეთ ჩვენს მსჯელობას. საკითხავია, რამდენად სწორია მისი წერილობითი ჩვენება, იმ კვირას აქა და აქ ვიყავიო. სულ ადვილად შეიძლება ყალბი გამოდგეს ასეთი სახის ჩვენება. თუკი ასე არ არის, მაშინ სენტ ესტაშის ხსენება აღარც დაგვჭირდება. იმ ყმაწვილკაცის თვითმკვლელობის ამბავი შეიძლება სულაც საეჭვო შექმნილიყო, თუკი მისი ჩვენების სიყალბეში დავრწმუნდებოდით, მაგრამ თუ ის ჩვენება მართალია, მის თვითმკვლელობას სულ ადვილად ავხსნით, და ჩვენც ჩვეულებრივად შეგვიძლია ხელი მივყოთ კვლევა-ძიებას.

— მოდით და ახლა უშუალოდ იმ ტრაგედიას თავი დავანებოთ და მეორეხარისხოვან საკითხებს ჩავუღრმავდეთ. ჩვეულებრივ, ასეთი სახის ძიების დროს ის შეცდომა მოსდით, რომ მხოლოდ დანაშაულის ირგვლივ ტრიალებენ და სრულიად გამორჩებათ საქმის თანამდები წვრილმანები. სასამართლოს ნაკლი ის არის, რომ მისთვის მთავარია იმ მოწმის ჩვენება და დაკითხვა, ვინც უშუალოდ ტრაგედიასთანაა დაკავშირებული. მაგრამ გამოკვდილება და ნამდვილი ფილოსოფია სულ მუდამ გვიჩვენებს, დიდი წილი ჭეშმარიტებისა სწორედ იმ მეორეხარისხოვან გარემოებათა მეშვეობით გამომჩუერდება ხოლმე. აუცილებელი არაა გამოწვლილვით მივსდით ამ დებულებას, მთავარია სული გვახსოვდეს მისი, რომლის მიხედვითაც თანამედროვე მეცნიერება იძულებულია განსჭვრიტოს გაუთვალისწინებელი გარემოებანი. მაგრამ შეიძლება სწორად ვერ გაიგოთ ჩემი ნათქვამი. კაცობრიობის ცოდნის მთელი ისტორია სულ იმას გვიჩვენებდა, რომ ამ მეორეხარისხოვან, ანაზღეულ, გაუთვალისწინებელ

გარემოებებს უნდა ვუზადლოდეთ აუარება და უმნიშვნელო-  
ვანეს აღმოჩენებს, დაბოლოს სამომავლოდ აუცილებელია  
გვასსოვდეს, ადამიანის დიდი, უფრო მეტიც, უდიდესი აღმო-  
ჩენები შემთხვევის ძალით მოხდება იმ სფეროში, სადაც არ  
მოელიან. ფილოსოფიური აზრი ადრინდელივით ვეღარ და-  
ეყრდნობა იმას, რაც მომხდარა. შემოსვეკითობა ხდება ყოვ-  
ლის საფუძველი. სრული სიზუსტითაც ვისწავლეთ მისი გა-  
მთვლა. სასკოლო მათემატიკის ფორმულას დავემორჩილეთ  
გაუთვალისწინებელი და შეუცნობელი.

ვიმეორებ, რომ ცხადზე ცხადია, ჭემმარიტებათა პეტი  
წილი ძეორეხარისხოვანი გარემოებების მეშვეობით იქნა  
მიკვლეული; ხოდა, ხსენებული დებულების სულისა და გუ-  
ლის შესაბამისად, ამჯერად უნდა უარვყოთ ამ დანაშაულის  
აგრე გადატკეპნილი და მწირი არემიდამო და ამ ამბის თა-  
ნამდებ წვრილმანებს უნდა ჩავუდრმავდეთ. თქვენ იმ გოგოს  
გულის სწორის წერილობით ჩვენებას მიუბრუნდით, მე კი  
იმ გაზეთებს გადავხედავ, მაგრამ თქვენსავით არა, ცოტა  
სხვანაირად. ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ დავზვერეთ იდუ-  
მალი ველი და მართლაცდა კი იქნებოდა უცნაური, რომ  
ბეჭდვითი სიტყვის გამოცემების სათანადო მოჩსრეკის შემ-  
დეგ, რასაც მე ვაპირებ, არ ვიხილავთ მეორეხარისხოვან გა-  
რემობათა გორგალს, მეკვლეს ჩვენი ძირითადი მიმართუ-  
ლებისა.

დიუპენის დავალება შევასრულე და გამოწვლილვით შე-  
გამოწმე მარის საქმროს ჩვენება. დავრწმუნდი იმის სისწო-  
რეში და გამომდინარე აქედან სენტ ესტაშის სიმართლაც  
უდავო გახდა. ამ დროს კი ის ჩემი მეგობარი დაორხელებუ-  
ლი ჩაღრმავებოდა, ჩემის აზრით, იმ მრავლისმრავალ აბდა-  
უბდა წერილებს. კვირის ბოლოს კი შემდეგი ამონაწერები  
მაჩვენა:

„სამწლინახევრის წინათ სწორედ ასეთივე დავიდარაბა  
იყო ატენილი, მესიე ლე ბლანის პალე როიალის უბანში  
მდებარე საპარფიუმერიოში მომუშავე მარი როჟე მაშინაც  
ასე დაკარგულიყო. მაგრამ კვირის მიწურულს ისევ თავის  
დახლთან იდგა, ფერმკრთალი კი იყო ცოტათი. მესიე ლე

ბლანს და დედამისს უთქვამთ, სოფელში იყო სტუმრად, ერთ თავის მეგობართან; სულ მალე მიუფუჩეჩებიათ ეს საქმე. ჩვენი აზრით, ამგვარივეა იმ გოგოს ახლანდელი დაკარგვაც და გაივლის ერთი კვირა ან ერთი თვე და ისევ ჩვენ შორის ვიხილავთ მას. — „სალამოს გაზეთი“, ორშაბათი, 23 ივნისი“<sup>1</sup>.

„გუშინდელ სალამოს გაზეთს უხსენებია მადემუაზელ როჟეს საიდუმლოებით მოცული წინანდელი დაკარგვის ამბავი. კარგადაა ცნობილი, რომ იმ კვირას, როდესაც ის არ იყო ლე ბლანის საპარტიუმერიოში, ერთ ყმაწვილ საზღვაო ოფიცერთან იმყოფებოდა, ბევრჯერ უნახავთ ის კაცი გარყვნილების მორევში. როგორც ჩანს, ისინი წაჩხუბებულან და ამიტომაც დაბრუნებულა ის გოგო სახლში. ჩვენ ვიცით პარიზში მცხოვრები იმ ლოტარიოს სახელი; რაღა თქმა უნდა, გარკვეულ გარემოებათა გამო არ გვინდა გავაცნოთ იგი საზოგადოებას. — „ლა მერკური“, 24 ივნისი, სამშაბათი, დილა“<sup>2</sup>.

„მხეცური, ენით უთქმელი დანაშაული მომხდარა გუშინ-წინ, ქალაქის ახლოს. სალამო ხანი იყო, ერთი ჯენტლმენი, რომელსაც ცოლი და ქალიშვილი ხლებია, მდინარის მეორე მხარეს გადაყვანაზე მოლაპარაკებია ექვს ახალგაზრდა კაცს, უსაქმურად რომ დაეხეტებოდნენ ნავით სენაში, წინ და უკან, ნაპირის სიახლოვეს. მეორე მხარეს რომ მიდგომიან, მგზავრები გადასულან, ნავი უკვე აღარც ჩანდა, როდესაც იმ ჯენტლმენის ქალიშვილს ნავში დარჩენილი ქოლგა გახსენებია. იმის წამოსაღებად რომ მიტრიალებულა, იმ არამზადებმა ხელი სტაცეს, მდინარის შუაგულში გაიყვანეს, პირში ჩვარი ჩასჩარეს, პირუტყვულად მოქცევიან, გააუპატიურეს, დაბოლოს ნაპირზე გაიყვანეს, სწორედ იმ ადგილის ახლოს, სადაც პირველად ჩაჯდა იმ ნავში თავის მშობლებთან ერთად. იმ ხანად კი მიიმაღლნენ ის გარეწრები, მაგრამ პოლიციამ

---

<sup>1</sup> „ექსპრესი“, ნიუ-იორკი.

<sup>2</sup> „ჰერალდი“, ნიუ-იორკი.

მათ კვალს მიაგნო და მალე რომელიმე იმათთაგანს დაიჭი-  
რავენ კიდევაც. — „დილის გაზეთი“, 25 ივნისი“<sup>1</sup>.

„ჩვენ გამოგვიგზავნეს რამდენიმე ცნობა. იმ ცნობების  
თანახმად ის მხეცური დანაშაული ჩაუდენია ვილაც მენისს<sup>2</sup>,  
მაგრამ ოფიციალური გამოძიების შემდეგ დაადგინეს იმ ჯენ-  
ტლმენის სრული უდანაშაულობის ამბავი; ის საბუთები,  
რომლითაც ჩვენ მოგვმართეს, უფრო იმათ გულმოდგინებას  
მოწმობს, ვიდრე ჭეშმარიტებას, ამიტომ არცაა სასურველი  
იმ ცნობების გამოქვეყნება. — „დილის გაზეთი“, 28 ივნისი“<sup>3</sup>.

„ჩვენ გამოგვიგზავნეს რამდენიმე ცნობა, როგორც ჩანს,  
სულ სხვადასხვა პირები გვამცნობენ, და დარწმუნებულნი  
არიან კიდევაც ამაში: რომ ის უმსხვერპლებია ერთ-ერთ  
ჯგუფს, აუარება რომ დაძრწის ჩვენს ქალაქში, კვირაობით.  
ჩვენც სრულიად ვეთანხმებით ხსენებულ აზრს და ვეცდებით  
შემდგომ დავასაბუთოთ ამ მოსაზრების სისწორე. — „სალამოს  
გაზეთი“, სამშაბათი, 31 ივნისი“<sup>4</sup>.

„კარჭაპზე მომუშავე საგადასახადო განყოფილების ერთ  
თანამშრომელს, ორშაბათს, დაუნახავს ცარიელი ნავი, სენის  
დინებას რომ მიჰყვებოდა. იალქნები ნავის ფსკერზე დაეკე-  
ცათ. იმ კაცს ნავი თავიანთ ნავმისაბმელთან მიუყენებია.  
მეორე დილით ნავი აღარსად იყო, ვილაცას წაუყვანია და  
განყოფილების ხელმძღვანელობამ არაფერი იცოდა ამის  
შესახებ. — „Le Diligence“, ხუთშაბათი, 26 ივნისი“<sup>5</sup>

წავიკითხე ეს ამონაწერები და გავიფიქრე, ეს რა მოსაყ-  
ვანი იყო და ამ საქმეს რაღას უშველის-მეთქი. დავიცადე,  
იქნებ, დიუპენს აეჩსნა რამე.

<sup>1</sup> „კურირ ენდ ენქუაირერი“, ნიუ-იორკი.

<sup>2</sup> მენისი იყო ერთ-ერთი იმათთაგანი, ვისზეც თავდაპირველად ეჭვი  
აიღეს და დააპატიმრეს, მაგრამ სამსილის სრული უკონლობის გამო ყვე-  
ლა გაანთავისუფლეს.

<sup>3</sup> „კურირ ენდ ენქუაირერი“, ნიუ-იორკი.

<sup>4</sup> „ივინგ პოსტი“ ნიუ-იორკი.

<sup>5</sup> „სტანდარტი“, ნიუ-იორკი.



მე ჯერ არ მინდა, — თქვა მან, — იმ პირველსა და მეორე ამონაწერს ჩავუღრმავდე. უპირველეს ყოვლისა იმიტომ ამოვკრიბე ისინი, რომ მეჩვენებინა თქვენთვის ჩვენი პოლიციის ბედოვლათობის ამბავი; რამდენადაც თავად პრეფექტისაგან ვიცი, იმათ არც გაუგიათ იმ მეზღვაურის ასავალ-დასავალი. მხოლოდ სულელი ვერ შენიშნავდა კავშირს მარის პირველ და მეორე დაკარგვას შორის და ვერც გაითვალისწინებდა ამას. ვთქვათ და მართლაც, მაშინ, პირველად შეყვარბულნი წაჩხუბებულან და ის გოგო შინ იმედგაცრუებული დაბრუნდა. გამომდინარე აქედან ჩვენ უფრო ის უნდა ვივარაუდოთ, რომ მეორე გაქცევა (თუკი ნამდვილად მეორეჯერაც გაქცეულა ის გოგო სასლიდან) შედეგი იყო იგივე მაცდუნებლის რალაცა დაპირებებისა, ვიდრე ვილაც ახლად გცნობილი ყმაწვილკაცის გამონენისა იმ გოგოს ცხოვრებაში — ძველი amour<sup>1</sup>-ის „განახლების“ ამბავი უფრო სარწმუნოა, ვიდრე ახლის დაწყება. ათი ვარაუდი ერთის წინააღმდეგ, ასეთი შეფარდება შეიძლება მოვიყვანოთ იმის დასტურად, რომ ის, ვისაც ადრე შეუთავაზებია მარისთვის, ჩემთან წამოდიო, კიდევ შეეცდებოდა თავისას, საფიქრებელი უფრო ეს არის. და კიდევ ერთ გარემოებას უნდა მიაქციოთ ყურადღება, დრო იმ პირველ გაქცევასა და მეორე, სავარაუდებელ გაქცევას შორის რამდენიმე თვით აღემატება იმ ვადას, რაც შორეულ ნაოსნობაში გამგზავრებულ ჩვენს მეზღვაურებს სჭირდებათ. იქნებ გემზე დაბრუნებამ შეუშალა ხელი ტრფიალების მოყვარულ კაცს და პირველად ვეღარ აისრულა თავისი ბოროტი განზრახვა, ხოდა ადრე რომ მოეცარა ხელი, ახლა, უკვე დაბრუნებულმა გადაწყვიტა უფრო ყოჩაღად მოქცეულიყო — დაემტკიცებინა თავისი ვაჟკაცობა? ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით.

თქვენ შეიძლება თქვათ, მეორედ ის გოგო აღარ გაქცეულა და ყველაფერი ეს მოგონილიაო. გარკვეულად ვეღარაფერს ვიტყვით, მაგრამ ვერც იმას დავამტკიცებთ, გაქცევა არ სურდაო. სენტ ესტაშისა და იქნებ, იმ ბოვეს გარდა თუ ჰყავდა იმ გოგოს საცხადო თაყვანისმცემელი, ჩვენ არ ვი-

<sup>1</sup> სიყვარულის (ფრანგ.).

ცით. არც არავის უაქვამს ანის შესახებ. ვინ იყო ის მისი იდუმალი მეტრფე, იმ გოგოს ნათესავებმა (ყოველ შემთხვევაში იმათაგან უმეტესობამ) არაფერი იციან, მარი კი შესვდება იმას იმ კვირა დილით, და ისე ენდობა კიდევაც, რომ უშიშრად რჩება იმ კაცთან, ვიდრე საღამო ხანის ჩრდილები არ მოეფინება იმ უკაცრიელ ხეივანს დე რულის კარიბჭესთან? ვინ იყო ის მისი იდუმალი მეტრფე, გეკითხებით მე, ვის შესახებაც ნათესავების უმეტესობამ არც არაფერი იცოდა? და რას ნიშნავდა მაღამ როჟეს ის უცნაური წინასწარმეტყველება, მარის წასვლის მერე წამოსცდენია იმ დილით? — „ვაითუ აწი ველარასოდეს ვიხილავ მარის“.

მაგრამ თუ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ მაღამ როჟემ იცოდა იმ თავისი გოგოს განზრახვის შესახებ, რატომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, მართლაც ჰქონდა მარის ასეთი განზრახვა? სახლიდან მიმავალს უთქვამს, დეიდასთან მივდივარო სტუმრად დე დრომის ქუჩაზე და სენტ ესტაშის სთხოვა, საღამოს გამომიარეო. მართლაცდა, ერთი შესხედვით, სრულიად უარყოფს ჩემს ვარაუდს ეს გარემოება; მაგრამ მოდით და ასე ვიმსჯელოთ. ვილაცას რომ შესვდა და იმასთან ერთად მდინარეზე გადასულა, სამ საათზე. უკვე დე რულის კარიბჭესთან იმყოფებოდნენ, ეს ცნობილია. მაგრამ იმ კაცთან ერთად რომ მიდიოდა (სულ ერთია, იცოდა თუ არა დედამისმა ამის შესახებ), ხომ უნდა ეფიქრა სახლიდან გამოსულს, როგორ გაუკვირდება და დაეჭვდებაო ჩემი საქმრო და თავყანისმცემელი, სენტ ესტაში, როდესაც დანიშნულ საათზე დე დრომის ქუჩაზე გამომივლის და გაიგებს, რომ იქ არ ვყოფილვარ და როდესაც პანსიონში მოსული, ვერც იქ მნახავს; კარგადაც დამავიანდება და იმ კაცს თავზარი დაეცემაო. მე გეუბნებით, რომ ყველაფერი ეს უნდა ეფიქრა იმ გოგოს. ისიც ეცოდინებოდა, თუ როგორ ეწყინებოდა სენტ ესტაშს, როგორ დაეჭვებოდნენ ყველანი. იმასაც გაითვალისწინებდა, რომ რაღა უნდა ეთქვა იმ ეჭვის გასაფანტავად; მაგრამ ამ ეჭვის დარდი არც ექნებოდა, თუ შინ დაბრუნებას აღარ აპირებდა.

შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რას იფიქრებდა იგი — „მე ერთ კაცს უნდა შევხვდე, ვისთანაც ერთად გაქცევა მინ-

და ან რაღაც სხვა მიზეზი მაქვს, ეს ნე ვიცი. ხელი ვერავინ უნდა შეგვიშალოს, იმდენი დრო გვინდა, რომ ვერ წამოგვეწიონ, ამიტომ ვიტყვი, სტუმრად მივდივარ დეიდასთან დე დრომის ქუჩაზე და იქ მთელი დღე დავრჩები-მეთქი, სენტ ესტაშს კი ვთხოვ, საღამო ხანს გამომიარე-მეთქი, ასე დროც მეყოფა და არც არავინ დაეჭვდება, არც შეშინდება, სჯობს ასე მოვიქცე, ვიდრე სხვანაირად, ასე უფრო მეტი დრო მექნება. თუკი სენტ ესტაშს ვეტყვი, დაღამებამდე არ გამომიარო-მეთქი, რაღა თქმა უნდა, ის ასეც იზამს. მაგრამ თუკი იმას აღარაფერს ვეტყვი, მაშინ დროც აღარ დამრჩება, რადგან იფიქრებენ, რატომ იგვიანებს და უკან არ ბრუნდებაო, ჰოდა, კიდევაც შეეშინდებათ. თუკი სულაც სახლში დაბრუნებას ვაპირებ, იმ კაცთან დროსტარების შემდეგ, მაშინ რატომ ვეტყვი სენტ ესტაშს, გამომიარე-მეთქი; რადგან ასე რომ ვუთხრა, იგი მისვდება, მატყუებსო; და ველარაფერს გაიგებს, თუკი სახლიდან ჩუმად წავალ და ჯერ კიდევ დაღამებამდე უკან დაბრუნებული განვაცხადებ, დეიდასთან ვიყავი-მეთქი სტუმრად დე დრომის ქუჩაზე. მაგრამ თუ მე მსურს სამუდამოდ ან რამდენიმე კვირით წასვლა, ან მანამდე, სანამ ჩემს ადგილსამყოფელს გაიგებენ, მაშინ მთავარია იმდენი დრო მქონდეს, რამდენიც მჭირდება“.

თქვენ დაინახავდით იმ ამოკრებილ შენიშვნებში, რომ იმთავითვე ასეთი აზრი გავრცელდა, ის გოგო ვიღაც არამზადების მსხვერპლი შეიქნაო. გარკვეული ვითარებისდა კვალად კი არის საჭირო საყოველთაო აზრის გათვალისწინება, მაშინ, როდესაც ეს აზრი თავისთავად, ბუნებრივად წარმოიშობა, ხსენებული გარემოება შეიძლება ნათლის გაელვებას შეეუდაროთ, გენიალობით ცხებულ კაცს რომ ხელეწიფება, ისე. ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში მე სრულიად გავიზიარებ მის შეხედულებას. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, მთავარია რაიმე მიმძლავრების ნაკვალევი არ ეტყობოდეს ამ შეხედულებას ხალხის ხმა უნდა იყოს ჭეშმარიტად ეს აზრი; მაგრამ ამის ზუსტად მიკვლევა და დადგენა ერთობ ძნელია. ამ შეთხვევაში, მგონია, ხალხის აზრი“ ავაზაკების ბრბოს თაობაზე შეიქმნა ერთი უმნიშვნელო გარემოების კვალბაზე, რომლის შესახებაც გამოწვლილვით იმ ჩემს მესამე ამონა-

წერში ვნახავთ. მთელი პარიზი ააღელვა მარის, მშვენიერი, ნორჩი და საკმაოდ ცნობილი გოგოს გვამის პოვნამ. ძალადობის კვალი ეტყობოდა მდინარეში ნაპოვნ გვამს. სწორედ მაშინ, ანუ იმავე ხანს, როდესაც ის გოგო მოკლეს, მსგავსი დანაშაული კიდევ მომხდარა, მსგავსი-მეთქი, რადგან იმ შემთხვევაში არავინ მოუკლავთ; ეს დანაშაული ჩაუდენია ვიღაც გარეწარი ყმაწვილკაცების ბრბოს. სომ გახსოვთ ის გოგო, ქოლგა რომ დარჩა ნავში. რალა გასაკვირია, რომ იმ ცნობილ მხეცობას ზეგავლენა მოუხდენია ხალხის აზრზე და ამისდა კვალად გარკვეული მიკერძოებით აღუქვამთ მეორე, გაცილებით მძიმე დანაშაულის ამბავი? ხალხს რალაც უნდა ენახა გზის მეკვლედ და ნახეს კიდევაც მარი სომ მდინარეში უპოვიათ, სწორედ იმ მდინარეში, სადაც ის ცნობილი მხეცობა ჩაუდენიათ თითქმის გოგოს მშობლების თვალწინ, საცხადო კავშირია სავარაუდებელი ამ ორ შემთხვევას შორის და საკვირველი იქნებოდა ნამდვილად, რომ ხალხს უყურადღებოდ დაეტოვებია. მაგრამ სიმართლე თუ გნებავთ, ერთი მხეცობა რომ ცნობილი ხდება, ნათლად გვიჩვენებს, იმავე ხანს მომხდარი მეორე დანაშაული უფრო სხვაგვარად უნდა ახსნილიყო. მართლაცდა, განა სასწაული არ არის, რომ ავაზაკების ერთი ბრბო განსაზღვრულ ადგილას ჩადიოდეს დანაშაულს სხვა მსგავსი არამზადების დარად მსგავსივე არემიდამოში, იმავე ქალაქში, თითქმის ზუსტად იმავე ხერხითა და თითქმის ზუსტად იმავე ხანსა ჰოდა, მიუმძლავრებელი როგორ დარჩებოდა ხალხის აზრი ასეთი საკვირველი თანხვედრის დროს?

ვიდრე სხვა საკითხებზე გადავიდოდეთ, მკვლელობის სავარაუდებელი ადგილის, დე რულის კარიბჭის ახლორე ბუჩქნარის გამო ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ხსენებული ბუჩქნარი თუმცა ხშირია, მაგრამ გზისპირასაა. სწორედ იქ უნახავთ სამი თუ ოთხი ვეებერთელა ქვა, საჯდომს, საზურგესა და ფეხის დასადგმელს რომ დამსგავსებოდა. ზედა ქვაზე უპოვიათ თეთრი ქვედაკაბა, მეორეზე კი აბრეშუმის ყელსაბურავი. იქვე იყო ქოლგა, ხელთათმანი და ცხვირსახოცი. ცხვირსახოცზე დაექარგათ: „მარი როჟე“. ამის ნაგლეჯები იქვე ბუჩქებს წამოსდებოდა. მიწა გადატყეპნილი იყო, ბუჩქები

გადათელილი, ყველაფერი ეს ცხადლივ გვიჩვენებდა ბრძოლის ნაკვალევს.

ბუჩქნარში ნანასის გამო გაზეთებმა ერთი ამბავი ატესეს, ერთხმად დაუდგენიათ, უკვე ცნობილიაო ის ადგილი, სადაც მსეცური დანაშაული მომხდარა, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ აქ ბევრი რამაა საეჭვო. სწორედ იქ რომ დატრიალდა უბედურება, მე შემიძლია დავიჯერო ან არა, მაგრამ ჩემს ეჭვსაც საცხადო საფუძველი აქვს. Le Commercial-ის თანახმად დანაშაული მართლაც რომ მომხდარიყო პავე სენტ ანდრეს ქუჩის სიახლოვეს, დამნაშავენი, თუკი ისინი პარიზს დარჩებოდნენ, თავზარდაცემულნი იქნებოდნენ, რაღა თქმა უნდა, რაკილა ხალხის ფიქრს სწორი სადინარი მიეცემოდა; გარკვეული ჯურის ადამიანები კიდევაც შეეცდებოდნენ რამე ელონათ, რათა ხალხს სხვაგვარად დაეწყო ფიქრი. გამომდინარე აქედან, რადგან დე რულის კარიბჭესთან მდებარე ბუჩქნარი უკვე საეჭვო ადგილად დაესახელებინათ, ცხადია, უნდა მიმხვდარიყვნენ, კარგი იქნება თუ იმ საგნებს იქ დაყრითო; სადაც მერე უპოვიათ კიდევაც. სულაც არ უნდა იყოს სწორი, თუმცა კი Le Soleil-ი ამტკიცებს იმას, რომ ის საგნები რამდენიმე დღეზე მეტი ყოფილა იმ ბუჩქნარში დაგდებული; თუ მრავალ წვრილმან გარემოებას გავითვალისწინებთ, ფრიად საეჭვოა, ოცი დღე როგორ უნდა ყოფილიყო იმ ადგილას ისე, რომ არავის ეპოვა, სწორედ ამდენი ხანი იყო გასული იმ საბედისწერო კვირადღიდან იმ დღემდე, როდესაც ბიჭებმა იპოვეს ის საგნები. „წვიმისაგან დალტობილან და ხავსიც მოკიდებიათ, — წერს Le Soleil-ი, თავის წინამორბედთა აზრს რომ იმეორებს, — ხავსი მოსდებოდა იქაურობას. ბალახიც იმდენი ამოსულიყო, რომ ირგვლივ აღარაფერი ჩანდა. აბრეშუმის ქოლგა შედარებით გამძლე გამოდგა, მაგრამ ისიც გარღვეულიყო აქა-იქ. მისი ზედა ნაწილი, სადაც იკეცებოდა და იკვრებოდა, იმდენად დახვასებულიყო და დამპალიყო, გასხნეს თუ არა მაშინვე გაიხა“. იმ ბალახის შესახებ, „იმდენი“ რომ „ამოსულიყო, ირგვლივ აღარაფერი ჩანდა“, აღუნიშნავთ ორი პატარა ბიჭის სიტყვის მიხედვით, იმ ბავშვების მეხსიერებას დაყრდნობიან. ბავშვებმა მოკრიფეს ის საგნები და შინ წაიღეს, ამ დროს იქ

იმათ გარდა არც არავინ ყოფილა. მაგრამ ბალახი ხომ, განსაკუთრებით კი თბილ და ნესტიან ამინდში (სწორედ ასეთი დარი იყო მკვლელობის ხანს), სამი-ოთხი დუიმიტ მაინც იზრდება ერთი დღის განმავლობაში. იმ რბილ მიწაზე, დაგდებულ ქოლგას ერთ კვირაში ისე მოედება ბალახი, რომ ვინღა იბოვნის. Le Soleil-ის რედაქტორს იმდენად მოსწონებია სიტყვა ხავსი, რომ ამ პატარა აბზაცში სამჯერ ასსენებს მას, მაგრამ ასე როგორ დავიწყებია ხავსის ბუნება? ნუთუ უნდა ავუხსნათ რომ ის fungus<sup>1</sup> ოჯახს ეკუთვნის და მისი ძირითადი თვისებაა ოცდაოთხ საათში გაიზარდოს და გაქრეს კიდევაც?

როგორც ვხედავთ, სულ ადვილად შეიძლება ასე შარზე-იმით გამოცხადებული აზრის უარყოფა, „სულ ცოტა სამი-ოთხი კვირა მაინც იქნებოდა“ იმ ბუნქნარში, თავად კარემობანი გვმიტკიცებენ ამ აზრის აბსურდულობას. მეორე მხრივ ძნელზე ძნელია დავიჯეროთ, რომ ის საგნები ერთ კვირაზე მეტ ხანს ყოფილიყო იმ ბუნქნარებში, ანუ იმ კვირადღიდან მეორე კვირის ორშაბათამდე თუ სამშაბათამდე, ვინც პარიზის გარეუბნებს იცნობს, კარგად იცის, თუ რა ძნელია ხოლმე აქ მყუდრო კუთხე-კუნჭულის მონახვა, მხოლოდ სადღაც შორს, ქალაქგარეთ თუ მიაკვლევს კაცი ასეთ ადგილს. მართლაც, წარმოუდგენელია პარიზის გარეუბნების ტყეებსა და ხეივნებში ისეთი კუთხე-კუნჭული, სადაც არავინ დადის, ანუ სადაც ხშირად არ დადიან. და ისიც კი, ვისაც სულითა და გულით უყვარს ბუნების წიაღში ყოფნა და დღენიადაც საქმეების გამო ამ ვეებერთელა დედაქალაქის სიციხესა და მტკერში გაჩერება უხდება, ისიც კი, ძალიანაც რომ ეცადოს, თუნდაც სამუშაო დღეებში ვერ დაიმართოხელებს თავს ბუნების მშვენიერებით მოხიბლული. სადაც არ წავა, ყველგან განქარდება მისი ნეტარება, რაკილა ვილაც გარეწარი ან სულაც არამზადების ბრბო შემოიჭრება ღრიანცელით. გაეცლება იქაურობას, თავს მისცემს ხშირ ტყეს, საწადელს ვერა და ვერ მიაღწევს. სწორედ ასეთ ადგილებს ეტანებიაჩნაძირალეები და წაბილწავენ კიდევაც ბუნების ტაძარს. ხოდა

1 სოკოვანთა (ლათ.).

ის ჩვენი მოხეტიალე კაცი გულმოწყლული გაიჭრება, ისევ დაუბრუნდება მყრალ პარიზს და უკვე ვეღარც აღიქვამს იმ სიმყრალეს. სამუშაო დღეებშიც აუარება ხალხი დაძრწის ქალაქის შემოგარენში, უქმე დღეს ხომ გადაჭედილი იქნება იქაურობა და სწორედ მაშინ, შრომის ხუნდებისაგან თავისუფალი ან რაკი ჩვეულებისამებრ დანაშაულს ვეღარ იქმს ამა თუ იმ მიზეზის გამო, ქალაქელი ნაძირალები გასწევენ მის შემოგარენში, სოფლის სიყვარული კი არ უხმობს მათ, გულში აქაურობის სიძულვილიც კი აქვთ ჩახვეული, უფრო ეს მოუსურვებიათ, საზოგადოებრივ არტახებსა და შეზღუდვას დაუსხლტნენ. სუფთა ჰაერი და მწვანეში ჩაფლული არემიდამოს ხილვა კი არ უნდათ, ამ ქვეყნის აღვირაწყვეტილ სიამეთ მიელტვიან. ხოდა, აქ, გზისპირა ფუნდუკში ან ხის გრილოში, ხალხის თვალს მოფარებულნი, თანამეინასეთა გვერდით მიეცემიან შლეგურ დროსტარებას, ბიწიერებისა ბადით დაბმულნი სტკბებიან არყითა და თავისუფლებით. აქ ისღა მინდა დავსძინო, რომ ყოველი, ვინც მიკერძობებული არ იქნება, მისვდება, ვიმეორებ, ის საგნები არ დარჩებოდა შეუმჩნეველი მთელი ერთი კვირა, პარიზის გარეუბანში რაც უნდა ხშირი ბუჩქნარი იყოს, მაინც, ვიღაცას რომ არ ენახა ისინი, სასაწული იქნებოდა სწორედ.

კიდევ ბევრი შეიძლება ითქვას იმის თაობაზე, რომ ის საგნები იმ ბუჩქებში მოუტნიათ და დაუყრიათ, ასე უცდიათ თვალი აეხვიათ ხალხისთვის და დანაშაულის ნამდვილი ადგილი დაემალათ. უპირველეს ყოვლისა, იმ საგნების პოვნის თარიღის გამო უნდა ვითხრათ თრიოდე სიტყვა. მოდით და ეს თარიღი ჩემს მეხუთე ამონაწერში მოყვანილ რიცხვს შევუდაროთ და რას ნახავთ! ის საგნები მაშინვე, სადამოს გაზეთში უტყუარი ცნობების მისვლისთანავე უნახავთ. ხსენებული ცნობები სხვადასხვანაირია, სხვადასხვა ადგილებიდანაა გამოგზავნილი, მაგრამ ერთსა და იმავე აზრს შეიცავენ, ის მხეცური დანაშაული ჩაუდენია გარეწართა რომელიღაც ჯგუფს დე რულის კარიბჭის სიახლოვეს. თქმა არ უნდა, შეჭველია, რომ იმ ბიჭებს ცნობების მოსვლის, ანუ დანაშაულის ადგილის მითითების მერე კი არ უნახავთ ის საგნები; შეჭველია ისიც, უფრო ადრე ვერც ნახავდნენ, რადგან იმ

ბუჩქნარში არც არაფერი ყოფილა; ისინი მხოლოდ მაშინ ან ცოტა ხნის შემდეგ დაუყრიათ იქ, როცა ის ცნობები გაზეითის რედაქციაში გაუგზავნიათ თავად დამნაშავეებს.

ხსენებული ბუჩქნარი ისეთი არემიღამოა, მსგავსს რომ ვერ ნახავთ ვერსად. მთლად გადაბურულია იქაურობა. ბუნებრივად გარშემოწლედული ადგილის შუაგულში ნახავთ იმ სამ ვეებერთელა ქვას, რომელთა განლაგება მოგვაგონებს საჯდომს, საზურგესა და ფეხის დასადგმელს. ეს არაჩვეულებრივი ბუჩქნარი მდებარეობს იქვე, ორმოციოდე ნაბიჯზე მადამ დელუკის სახლიდან, ამ ქალის ბავშვები დღენიადაც დაძრწიან ამ ბუჩქებში სასაფრასის ქერქის საძებნელად. ნიძლავს ჩამოვალ, ვინ მეტყვის, სულელური სანაძლეოაო, ათასი ჩემი იყოს, ერთი სხვისი, რომ თითქმის ყოველდღე ის ბიჭები შეიბრბენენ ჩრდილებით მოცულ სამყოფლოში და მეფურად წამოსკუბდებიან თავად ბუნების მიერ შექმნილ ტასტზე? ვისაც გაუჭირდება ასეთი სანაძლეოს ჩამოსვლა, იმას კარგად არ გაუტარებია თავისი ბიჭობის სანა, ანუ სრულიად დავიწყებული უნდა ჰქონდეს ბავშვის ბუნება. ვიმეორებ, წარმოუდგენელია და ვერც მივძსვდარვარ, როგორ დარჩებოდა ის საგნები ბუჩქნარში უნახავი თუნდაც ერთი ან ორი დღე; როგორც ვხედავთ, ჩვენი ეჭვი საფუძვლიანია, რაც აგრე ბრწყვულად ვერ შეუნიშნავს Le Soleil-ის, ასე რომ ის საგნები დაუყრიათ თუ არა იქ, მაშინვე უპოვიათ კიდევაც.

მაგრამ არის კიდევ სხვა, უფრო მკვიდრი საფუძველი, ჩვენი მოსაზრების სისწორის დამადასტურებელი, ვიდრე ის, ზემოთ რომ მოვიხსენიეთ. და ნება მიბოძეთ გითხრათ, ძალზე ხელოვნურად ჩანს იმ საგნების განლაგება. ზედა ქვაზე იდო თეთრი ქვედაკაბა; მეორეზე აბრეშუმის ყელსაბურავი, იქვე გარშემო ეყარა ქოლგა, ხელთათმანი და ცხვირსახოცი, რომელზეც დაქარგული იყო: „მარი როჟე“. სწორედ ასე ბუნებრივად განლაგებდა მათ ის, ვინც დიდი ჭკვიანი არ უსადა ყოფილიყო და მოისურვებდა ბუნებრივად გამოეჩინა საგნები. მაგრამ ნამდვილად, რალა თქმა უნდა, ბუნებრივ განლაგებას ამას ვერ დავარქმევდით. მე უფრო ასე მაქვს წარმოდგენილი, ყველაფერი მიწაზეა დაყრილი და ფეხებით გა-



დათელილი. იმ სივიწროვეში კაბა და ყელსაბურავი როგორ-  
 და დარჩებოდა იმ ქვებზე, უთუოდ ჩამოცვივდებოდნენ, რო-  
 დესაც რამდენიმენი ერთმანეთს დაეტაკებოდნენ. „ჩანდა,  
 რომ, — ასე გვამცნობენ ჩვენ, — აქ უბრძოლიათ. მიწა გადა-  
 ტკეპნილი იყო, ბუჩქის ტოტები გადამტვრეული“, — მაგრამ  
 ის კაბა და ყელსაბურავი თითქოსდა თაროებზეაო, ისე იყო  
 შემოწყობილი. „ბუჩქებს კაბა გაეგლიჯათ და, ასე, ამოხე-  
 ულიყო სამი დუიმის სიგანის და ექვსი დუიმის სიგრძის ნა-  
 ქერი. სამოსლის ერთი ნაწილი შემოკერილი ჩანდა. თით-  
 ქოსდა ღვედებათ დაესიათ“. აქ არის ერთი ფრიად საეჭვო  
 ფრაზა, რომლისთვისაც Le Soleil-ს ყურადღება არ მიუქ-  
 ცევია. ის ნაჭრები, ასეა აღწერილი, „თითქოსდა ღვედებად  
 დაესიათ“, მაგრამ ასე ნაჭრების ამოხევა შეიძლება განზრახ  
 და ხელებით. მართლაცდა იშვიათად თუ მოხდება, რომ ეკ-  
 ლებს ასე ნაჭრებად „დაესიათ“ ის საკმაოდ მაგარი ქსოვილი.  
 თავად ის ქსოვილი ისეთია, რომ ეკალს ან ლურსმანს მისი  
 გახევა მხოლოდ პირდაპირი კუთხით შეუძლია — ნახევი სწო-  
 რად მიდის და დასაწყისში, სადაც ეკალია მოხვედრილი, ასე-  
 თივე სწორი კუთხეა შექმნილი, ერთი სიტყვით, სრულიად  
 წარმოუდგენელია, რომ ის ღვედებად „დაესიათ“. პირველად  
 მესმის ასეთი რამ, და თქვენც ასევე. თანაბარ ზოლად რომ  
 გახიოთ ასეთი სახის ქსოვილი, საჭიროა ორნი ჩაეჭიდოთ  
 მას და ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით გასწიოთ,  
 სხვანაირად შეუძლებელია. თქვენ შეგიძლიათ რაიმე ნაჭერი,  
 ვთქვათ, ცხვირსახოცი, თანაბარ ნაწილებად გახიოთ, თუ ორ  
 კუთხეში ჩასჭიდებთ ხელს და გასწევთ, ამას ერთი ადამიანიც  
 კარგად. მოახერხებს. მაგრამ, ჩვენ ვიცით, რომ კაბები ერთ-  
 კიდიანია. განა რას შეუძლია ამ კაბის შუაგულიდან თანაბარ  
 ნაწილების ამოხევა, სად ნახავთ ასეთ სასწაულებრივ  
 ეკალს, არც არავითარ ეკალს ძალუძს ამის მოხდენა. მაგრამ  
 თუნდაც კიდე ჰქონოდა იმ კაბას, მაშინ საჭირო იქნებოდა  
 ორი ეკალი ერთი მხრივ და მეორე მხრივ კიდევ ერთი. ოღ-  
 ლონდ ამ შემთხვევაში კაბის კიდე გაკერილი არ უნდა იყოს.  
 ხოლო თუ გაკერილია, ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენ ვხედავთ,  
 ბევრი და დიდი დაბრკოლება იქნებოდა გადასალახავი იმი-  
 სათვის, რომ „ეკალს“ ასე „დაესია“ კაბა, უფრო მეტიც, ჩვენ

გვაიძულებენ დავიჯეროთ, ასეთი ნაჭერი მრავალი ყოფილა. „სამოსელის ერთი ნაწილი“ თურმე „შემოკერილი ჩანდა! მეორე ნაწილიც ყოფილა — „მაგრამ შემოუკერელი“, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, სრულიად იქნა ამოგლეჯილი ეკლების მეშვეობით კაბის შუაგულიდან, სადაც კიდე არ არის! დიახ, მე გეუბნებით, აქ გვესმის ისეთი რაღაცები, რომლის ვერდაჯერება გვეპატიება; და კიდევ, ამ საქმის სხვადასხვა გარემოებამ შეიძლება ნაკლებად დაგვაეჭვოს, ვიდრე იმან, რომ, მართლაცდა რა გასაოცარია, როგორ დატოვეს მკვლელებმა ის საგნები იმ ბუჩქნარში, როდესაც იმდენი სიფრთხილე გამოიჩინეს და გვამი იქაურობას მოაცილეს. თქვენ სწორად ვერ გამიგებთ, თუ გვონიათ, ეს კაცი დანაშაულის ადგილს, იმ ბუჩქნარს უარყოფს. უბედურება შეიძლება აქ დატრიალებულიყო. ან, უფრო სავარაუდებელია, მაღამ დელუკისას. მაგრამ თავად ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. დანაშაულის ადგილის მიკვლევა რად გვინდა, მთავარია მკვლელები ვიპოვოთ. ამდენი მსჯელობა იმიტომ დამჭირდა, იმიტომ იყო საჭირო სხვადასხვა გარემოებათა გამოწვლილვით განსილვა, რომ, ჯერ ერთი, დემემტიციებია Le Soleil-ის სიბრიყვე და კიდევ, რაც უფრორე მნიშვნელოვანია, მიუმძლავრებლად, ბუნებრივად მიმეყვანეთ ამ საკითხთან, ჯგუფური იყო თუ არა მკვლელობა.

ისიც უნდა დავსძინოთ, თუ რა ცუდად ჩაუტარებიათ სამედიცინო გამოკვლევა. საკმარისია ვთქვათ, იმ ექიმის დასკვნა — რამდენიმე გარეწარი უნდა ყოფილიყო — იმდენად დაუჯერებელი და დაუსაბუთებელი ჩანდა, რომ პარიზის ცნობილ ანატომებს გაცინებიათ. თავად ამ დასკვნის საწინააღმდეგო რა უნდა ჰქონოდათ, გარდა იმისა, რომ ეს დასკვნა უსაფუძვლო იყო; გამომდინარე აქედან ჩვენ ხომ შეგვიძლია სხვანაირი ვარაუდი გამოვთქვათ?

„ბრძოლის ნაკვალევის“ გამოც უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა, ნება მიბოძეთ გკითხოთ, რას უნდა მოწმობდეს ეს ნაკვალევი. გარეწართა ჯგუფს. მაგრამ, იქნებ, ხსენებული ნაკვალევი სწორედ იმას მოწმობს, რომ არც ყოფილა გარეწართა ჯგუფი? როგორ უნდა ებრძოლათ — როგორ უნდა ებრძოლათ-მეთქი ისეთი გააფთრებითა და მძვინვარებით, რომ

თითქმის ყველგან დარჩენილიყო „ნაკვალევი“, ერთი მხრივ იქ ხომ ნაზი და უღონო გოგო იყო და მეორე მხრივ გარეწართა მთელი ჯგუფი? წამის უმაღლესად, ჩუმად მოაშთობდა იმას რამდენიმე კუნთმაგარი ხელი და ამით გათავდებოდა ყველაფერი. ხმის ამოღებასაც ვერ მოასწრებდა იმათი მსხვერპლი. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, ზოგიერთის აზრით, დანაშაულის ადგილი ის ბუჩქნარი არ უნდა ყოფილიყო და ამის საბუთად ის მოჰყავდათ, რომ აქ ერთის მეტი ვერ დაეღებოდა. ხოლო თუ ჩვენ ვიტყვი, მოძალადე ერთი იყო, მაშინ, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ისიც ვთქვათ, იმდენად გააფთრებული და გამძვინვარებული უბრძოლიათ, რომ კიდევაც დარჩენილა „ნაკვალევი“.

და კიდევ. მე უკვე გითხარით, იმთავითვე საეჭვო უნდა გამსდარიყო ის გარემოება, რომ ყველა ის საგანი ადგილზე დაუტოვებიათ. სრულიად შეუძლებელი ჩანს, ასეთი საცხადო სამხილი როგორ უნდა დარჩენოდათ, შემთხვევით იქ, სადაც იპოვეს. იმათ ხომ იმდენი გამბედაობა ეყოთ (ასეა სავარაუდებელი), რომ გვამი წაუღიათ; ამ დროს გვამზე უფრო (რამდენიმე ხნის შემდეგ ვინღა იცნობდა გახრწნილ სხეულს) ნათელი სამხილი დარჩენიათ აგრე ეჭვის აღმძვრელ ბრძოლის ველზე, მე ვგულისხმობ, დაღუპულის სახელით დაქარგულ ცხვირსახოცს. თუ ეს შემთხვევით მომხდარა, მაშინ გარეწართა ჯგუფს ველარ ვივარაუდებთ. ამ დროს ერთი ადამიანი უფროა სავარაუდებელი. მოდით განვსაჯოთ. მკვლელი მარტოდ დარჩენილა იმასთან, ვინც ცოცხლებში აღარ წერია. ფერწასული დასცქერის უძრავ სხეულს. მძვინვარების ხუნდებმა აუშვა და თავისი ნამოქმედარის ბუნებრივი შიში იბუდებს მის გულში. სხვათა, თავის მსგავსთა თვალწინ ასე არ დაეცემოდა თავზარი. ის მარტოა თავისი ნამოქმედარის წინარე. კანკალებს, თავის ჭკუაზე აღარ არის. გვამის აქ დატოვება არ შეიძლება. მდინარისკენ მიათრევს, დანაშაულის სხვა სამხილს ადგილზე ტოვებს; რაღა ჩარაა, ყველას ერთად ხომ ვერ მოხვევს ხელს, სჯობს უკან მობრუნდეს და მერე წაიღოს. მაგრამ ეს შემადრწუნებელი სვლა წყლისაკენ მთლად დააფეთებს და გააოგნებს. საიდანღაც სიცოცხლის ჟრიამული მოისმის. მრავალგზის ესმის თუ ეყუ-

რება ვილაცის ფეხის სმა. ქალაქის სინათლეების ციმციმიც კი ჭკუას აკარგვინებს. დაბოლოს, დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ, სვენებ-სვენებით მიაღწევს მდინარის სანაპიროს და მოიცილებს თავის შემზარავ ტვირთს, შეიძლება ნავის მემვობითაც. მაგრამ ახლა, თუნდაც მთელი ქვეყნის ოქრო მიუბოძოთ, თუნდაც დაემუქროთ, ტანჯვა-წამებით ამოგხდინო სულს, რაღა ძალა დააბრუნებს უკან ეულ მკვლელს იმ საშიშარი და მომქანცველი ბილიკით იმ ბუნქნარში, გულის მომკვლელ მოგონებებს რომ წამოუშლის. აღარც დაბრუნდება, მოსახდენი მოხდესო. თუნდაც მოინდომოს, მაინც ვერ დაბრუნდება. ერთი სული აქვს გაიქცეს. არც აღარასდროს მთვა ამ გულშემზარავ ბუნქნარში, მირბის, თითქოსდა სადაცაა სწვდებიან და დაიჭირავენ.

მაგრამ იმ გარეწართა ჯგუფს რა ვუყოთ? ბევრი არიან და თავდაჯერებულად მოქმედებენ კიდევაც; მართლაცდა, ასეთი ჯურის უბაროტესი ავისმქმნელებისაგან იქმნება ჯგუფი. ბევრი არიან და, მე გეუბნებით, არც შეშფოთდებიან და არც თავზარი დაეცემათ. მარტომყოფს კი, კარგად ვიცით, ასე მოუვა ნამდვილად. პირველმა, მეორემ, მესამემ რომ რაღაც ვერ შენიშნოს, მეოთხეს შეუძლია იმათი შეცდომის გამოსწორება. არც არაფერი დარჩებოდათ იმათ, ბევრი არიან და სუყველანი წამოიღებდნენ ყველაფერს. აღარც უკან დაბრუნება დასჭირდებოდათ.

ახლა ისიც უნდა გავიხსენოთ, გვამის ტედაკაბაზე „კი-დიდან წელამდე ერთი ფუტით აეხიათ ნაწილი, მაგრამ მთლად არ მოუგლეჯიათ, სამჯერ შემოუხევიათ წელის გარშემო და როგორღაც ზურგზე შეუკრავთ“. ცხადია, ასე იმიტომ ვაუკეთებიათ, რომ უფრო იოლად, ხელით ვადაეტიანათ გვამი. მაგრამ ბევრი რომ ყოფილიყვნენ, ასეთი რამ რაღატომ მოაფიქრდებოდათ? სამნი ან ოთხნი რომ ყოფილიყვნენ, გვამის კიდურებს ჩასჭიდებდნენ ხელს და სულ ადვილად წაიღებდნენ. მხოლოდ მარტომყოფს უნდა ეფიქრა, რაღაც უნდა ვილონოთ, და უკვე ნათელი ხდება, თუ რატომ „მოერღვიათ“ „მოაჯირი ბუნქნარსა და მდინარეს შორის... მიწაზე იმისი ნაკვლევი ეტყობოდა, რომ აქ რაღაც მძიმე საგანი გადაუთრევიათ“. ბევრს კი რაღად დასჭირდებოდა გვამის ასე გა-

დათრევა, რომ მიწაზე ცხადლივ დარჩენილიყო ნაკვალევი?

ასლა კი Le Commercial-ში დაბეჭდილ შენიშვნას მივუბრუნდეთ; ორიოდ სიტყვა კი გითხარით ზემოთ ამის შესახებ. „ნაგლეჯი იმ უბედური გოგოს კაბისა, — ნათქვამია ამ გამოცემაში, — ნიკაპს ქვემოთ ყელზე დაუხვევიათ და კეფაზე გაუნასკვავთ ყვირილის დასახშობად. ასე იციან იმ ვაჟბატონებმა, რომლებსაც ცხვირსახოცი არც სჭირდებათ“

ჩვენი გარეწრები ისეთი ხალხია, რომ თავის პატივისცემა უყვართ და ვერც ვერასდროს ნახავთ უცხვირსახოცოდ. მაგრამ მე აქ სხვა რამე უნდა აღვნიშნო. იმ მიზნისთვის, Le Commercial-ი რომ მიუთითებს, ცხვირსახოცი არც გამოადგებოდათ, ცხვირსახოცი ბუჩქებში იყო დაგდებული და ეს საგანი არც დასჭირდებოდათ „ყვირილის დასახშობად“, რაღა აჯობებდა, ამ შემთხვევაში, კაბის ნაგლეჯს. დასკვნაში ნათლად იყო ნათქვამი, რომ ის ნაგლეჯი შემოხვეოდა ყელზე თავისუფლად, და მაგრადაც გაუნასკვიათ“. საკმაოდ ბუნადადაა აღწერილი, მაგრამ მაინც განსხვავდება იმისაგან, Le Commercial-ს რომ აქვს ჩოყვანილი. თვრამეტდუმიანი სიგრძის ნაგლეჯი მართალია მუსლინისა იყო, მაგრამ რამდენიმეჯერ რომ გადაგვეკეცა, მკვიდრი ღვედი გვექნებოდა ხელთ. სწორედ ასეთი ღვედი უნახავთ. სწორედ ასე ვფიქრობ, მე. ის მკვლეელი მარტოდ ყოფილა და გარკვეულ მანძილზე (ბუჩქნარიდან თუ საიდანღაც კიდევ) გვამის გადასატანად იმ ღვედს სხეულს შუაში შემოახვევდა და ისე წაიღებდა, ოღონდ კი გაუჭირდებოდა. მერე კი იფიქრებდა, სჯობს გადავათრიოთ, ასეც მომხდარა, ამას გვიჩვენებს ნაკვალევი მიწაზე. მოაფიქრდა თუ არა ეს ხერხი, რაღაც თოკისმაგვარი უნდა მოეძებნა, სხვანაირად ვერაფერს გახდებოდა. ყელზე უნდა შემოეხვია უსათუოდ, რომ არ მოსხლეტილიყო. და ასლა, რაღა თქმა უნდა, მკვლელს წელზე შემოხვეული ნაჭერი წამოაგონდებოდა. კიდევ მოინდომებდა გვამზე შემოხვეული ნაჭრის მოხსნას, მაგრამ უცებ ვერ იზამდა, თანაც ის ნაგლეჯი მთლად არ იყო „მოგლეჯილი“ კაბიდან. სულაც აჯობებდა ახალი ნაჭერი მოეხია. ხოდა, ამოხვეს კიდევაც, ყელზე შემოახვევს და მდინარის სანაპიროსაკენ მიაორივს თავის მსხვერპლს. ამ „ღვედის“ გამოყენება რომ

დასჭირვებია, რასაც უცებ და ადვილად ვერ გააკეთებდა, ამასთან ერთად არც ისეთი მოხერხებული იყო ამ მიზნისათვის და მაინც მოუშველიებია, ნათელია, რაღაცამ აიძულა აჩქარებულიყო და არც ცხვირსასოცი ჰქონია იქვე, ყველაფერი ეს მაშინ მოხდა, ჩვენის აზრით, როდესაც ბუჩქნარიდან (თუკი საერთოდ იყვნენ იმ ბუჩქნარში) წამოსულა, და უკვე გზაზე იმყოფებოდა იმ ბუჩქნარსა და მდინარეს შორის.

მაგრამ ხომ ცნობილი იყო, შეგიძლიათ მითხრათ თქვენ, მაღამ დელუკის (I) ჩვენების თანახმად იმ ბუჩქნარის ახლორე არემიდამოში, დაასლოებით იმ დროს, როდესაც მკვლელობა მოხდა, ვიღაც გარეწრების ჯგუფი დაძრწოდა. შეიძლება მასეც ყოფილიყო. რაღა თქმა უნდა, არაშზადები იმ ტრაგედიის ხანსაც მრავლად იქნებოდნენ დე რულის კარიბჭის სიახლოვეს. მაგრამ არამზადების ის ჯგუფი, რომელთა გამოც მაღამ დელუკის წყალობით ნაგვიანევი ექვი გამოთქვეს, ის ჯგუფი გახლდათ, ამ პატიოსანი და ფაქიზი მოხუცი ქალბატონის გულისწყრომა რომ დაუმსახურებია, რაკიღა მისი ნამცხვარი ჭამეს, მისი არაყი დალიეს და ისე წასულან, ფული არ გადაუხდიათ. *Et hinc illae irae!*<sup>1</sup>

მაგრამ ზუსტად როგორია მაღამ დელუკის ჩვენება? „მაღლე ვიღაც არამზადების ბრბო მოვიდა, იღრიალეს, სვეს და ჭამეს, ფული არ გადაუხდიათ და იქით გასწიეს, სადაც ის გოგო და ბიჭი უნდა ყოფილიყვნენ, დაღამებას აღარაფერი უკლდა, როდესაც ისინი მობრუნდნენ და საჩქაროდ გადავიდნენ მდინარის მეორე მხარეს“.

ხსენებული „საჩქაროდ გადავიდნენ“ საჩქარო ჩანდა მაღამ დელუკის თვალში, რადგან ის ჯერ კიდევ მისტიროდა იმ თავის ნამცხვარსა და ლუდს, იმ თავის ნამცხვარსა და ლუდს-მეთქი, რადგან, იქნებ, მცირეოდნავი იმედი ჰქონდა, კი გადამიხდიანთ იმის საფასურს, მაშინ რაღატომ დაამახსოვრებოდა ის მათი სიჩქარე, იმ დროს, როდესაც დაღამებას აღარაფერი უკლდა? რაღა გასაკვირია, რომ ის არამზადების ჯგუფი იჩქარებდა შინ წასვლას, იმათ ხომ მდინარე პატარა ნავით უნდა გადაეცურათ, თანაც ქარიშხალი და ღამე მოახლოვებულიყო.

<sup>1</sup> აბა, არ განისისხლებოდა? (ლაო.).

მე გეუბნებით, მთავრობებუღიყო-შეთქი, რადგან ღამე ჯერ კიდევ არ დამდგარიყო. მხოლოდ დაღამებას აღარაფერი უკლდა და იმ „არამზადების“ თავხედურმა სიჩქარემ შეურაცხყო გულდინჯი მადამ დელუკი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სწორედ იმ საღამოს მადამ დელუკმა და ასევე მისმა უფროსმა ვაჟიშვილმა „ქალის კვილი გაიგონეს სასტუმროს ახლოს“. და რას უნდა გულისხმობდეს მადამ დელუკის სიტყვები, საღამოს რა ხანი იყო, როდესაც იმათ კვილი გაუგონიათ? „უკვე კარგა დაღამებულიყო“, უთქვამს მას. მაგრამ „უკვე კარგა დაღამებულიყო“ რაც უნდა იყოს, მაინც ღამეა; ხოლო „დაღამებას აღარაფერი უკლდა“ ჯერ კიდევ დღეა. გამომდინარე აქედან ცხადი უნდა იყოს, ის ჯგუფი წასულა უფრო ადრე, ვიდრე მადამ დელუკი კვილს (?) გაიგონებდა. და მრავალ გაზეთს სიტყვასიტყვით მოჰყავს ის პასაჟები, მე რომ თქვენთან საუბრისას ვახსენე, ვერავითარ განსხვავებას ვერ ნახავთ, არც ერთ გამომცემელს, არც იმ ჩვენ მირმიღონელებს პოლიციიდან, შეპარვით ეჭვი ამ სიტყვებში.

კიდევ ერთ საბუთს მოვიყვან და ამით უარყოფილი იქნება დამნაშავეთა ჯგუფის ამბავი; ერთს-მეთქი, მაგრამ, ჩემის აზრით, სრულიად შეუვალს. ჩვენ გვახსოვს ის დიდი ჯილდო და სრული პატიება რომ აღუთქვეს სახელმწიფოს სახელით, ვინც გასთქვამდა დამნაშავეს, ჰოდა, იმ ნაძირალებსა და გარეწრებში ნუთუ არ აღმოჩნდებოდა ვინმე, ვინც მაშინვე არ გასცემდა თავის თანამზრასველებს. ასეთ ჯგუფებში ყოველი იმდენად ჯილდოს მიღებას ან გაქცევას კი არ ესწრაფის, არამედ იმის შიში აქვს, ვაითუ სხვამ დამასწროს და გამცესო. და რაკი ეს საიდუმლო საიდუმლოდვე რჩება, ეს შემზარავი, ბნელით მოცული ამბავი იცის მხოლოდ ერთმა ან ორმა სულიერმა, და კიდევ ღმერთმა.

მოდით და ახლა შევაჯამოთ მცირეოდენი, თუმცა უკვე გარკვეული შედეგები ჩვენი ვრცელი ანალიზისა. ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს საბედისწერო შემთხვევა იყო და ის მოხდა მადამ დელუკის ჭერქვეშ ან ის გოგო დე რულის კარიბჭის სიახლოვეს, იმ ბუნქნარში მოუკლავთ; მკვლელი უნდა ყოფილიყო საყვარელი ან ვიღაც ახლობელი, იდუმალი ნაცნობი დაღუპულისა. ის ნაცნობი კაცი მზისაგან გა-

რუჯული გახლდათ. ხოდა ეს გარეგნობა, ის გარემოება, რომ ქუდის ზონარი „მეზღვაურის მარყუქით“ იყო შეკრული, ვიღაც მეზღვაურს მიგვანიშნებს. ამ კაცის სანდომ-საამური სდება ის გულმხიარული, თუმცა კი უკარება გოგო, რაიც იმას მოწმობს, უბრალო მეზღვაური არ უნდა ყოფილიყო იგი. წერა კარგი სცოდნია, ისიც იცის, თუ როგორ მიუდგეს იმ გაზეთებს, ყველაფერი ეს გვამცნობს იმ ჩვენი ვარაუდის სისწორეს. Le Mercure-ში გამოქვეყნებული წერილი გვატყობინებს იმ პირველი გაქცევის ამბავს და გამომდინარე აქედან შეგვიძლია ვიფიქროთ, სწორედ ის მეზღვაური ყოფილა „საზღვაო ოფიცერი“, რომელმაც ის უბედური გოგო იმთავითვე დაღუპვის გზაზე დააყენა.

და აქ ეს ჩვენი ვარაუდი იმითაც მტკიცდება, რომ ის შავტუხა კაცი აღარსად ჩანს. მინდა ისიც აღვნიშნო, ის შავტუხა იყო და მზისაგან გარუჯულიც, მისი შავგვრემანი სახე კარგადაც დაგამახსოვრდებოდათ, რადგან სხენებული ნიშანი ერთადერთი იყო, რაც დავიწყებიათ ორივეს, ვალანსსაც და მადამ დელუკსაც. მაგრამ რალატომაა ის კაცი დაკარგული? იმ ავაზაკების ჯგუფს ხომ არ მოუკლავს? თუ მასეა, რალატომ უნახავთ მხოლოდ იმ მოკლული გოგოს ნაკვალევი? ბუნებრივია, რომ ამ ორი ადამიანის მკვლელობა ერთსა და იმავე ადგილას უნდა მომხდარიყო. იმ კაცის გვამი კი სადღაა? მკვლელები, რაღა თქმა უნდა, ერთნაირადვე მოიცილებდნენ ორივე სხეულს. შეიძლება ვიფიქროთ, ის კაცი ცოცხალია და ჩუმადაა, შიშობს, ვაითუ მკვლელობა მე დამაბრალესო. ამ ვარაუდის გამოთქმა ახლა შეიძლება, ამ ბოლო ხანს, მოწმეები რომ გამოჩნდნენ, ვისაც ის და მარი ერთად უნახავს; ხოლო მაშინ, პირველ ხანებში, ვინ რას იტყოდა. უდანაშაულო კაცი იმწუთას ასე იფიქრებს, წავალ, სადაც ჯერ არს განვაცხადებ ამ უბედურების ამბავს და არამზადების დაჭერაშიაც მივეშველებიო. სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო. ის იმ გოგოსთან ერთად უნახავთ. ღია ბორნით იმასთან ერთად გადასულა მდინარეზე. მკვლელების გამოაშკარავების აუცილებლობას იდიოტიც კი მიხვდებოდა, მხოლოდ ასე შესძლებდა დაემტკიცებინა თავისი უდანაშაულობის ამბავი. ჩვენ არამცაა არამც არ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ იმ სა-



ბედისწერო კვირადღის ღამეს მას არც არავინ მოუკლავს და არც არაფერი სცოდნია ამ მკვლელობის შესახებ. ხოლო თუ ვიტყვი, სწორედ მასე იყო, მაშინ შეიძლება ავხსნათ მისი, საღსალამათი ადამიანის დუმილის მიზეზი.

ჩვენ კი რაღა გვინდა ჭეშმარიტების მისაკვლევად? კიდევ ვიმსჯელოთ და უფრო მეტი გვეცოდინება და უფრო გამოზრდება ეს საიდუმლო. მოდით, ჯერ იმ პირველი გაქცევის ამბავს ჩავუღრმავდეთ. ჯერ იმ „ოფიცრის“ ასავალ-დასავალი გამოვარკვიოთ, სად არის ახლა და სად იყო მაშინ, მკვლელობის ხანს. მოდით გამოწვლილვით შევუდაროთ ერთიმეორეს ის ცნობები, საღამოს გაზეთში რომ გამოუგზავნიათ და სადაც ბრალს სდებდნენ გარეწართა ჯგუფს. ხოლო ამის შემდეგ მოდით და ერთმანეთს შევუდაროთ სტილიცა და ხელნაწერიც, იმ ცნობების სტილსა და ხელნაწერს, დილის გაზეთში რომ გამოუგზავნიათ უფრო ადრე; მაშინ კი სწორედ იმ მენისს ადანაშაულებდნენ ასე უღმერთოდ. დაბოლოს მოდით ეს მრავალრიცხოვანი ცნობები შევუდაროთ იმ ოფიცრის რომელიმე ბარათის სტილსა და ხელნაწერს. მოდით და იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ უნდა მოვკრიბოთ კიდევ სხვა დამატებითი ცნობები იმ, „შავტუსა კაცის“ გარეგნობისა და მიხრა-მოხრის შესახებ, ამიტომ უნდა მოვიწვიოთ მაღამ დელუკი, მისი ბიჭები, და ის ვალანსიც, ომნიბუსის მძლოლი. გულდასმითა და გონივრული გამოკითხვის შემდეგ უსათუოდ მოვიპოვებთ ცნობებს ამ საკითხზე (და სხვაზეც), ცნობებს-მეთქი, რომლებსაც ისინი მოგვაწვდიან და თავად კი ვერ სვდებიან თუ იციან, რამე ამის თაობაზე. და მოდით ამჟამად ნავის ასავალ-დასავალი გავიგოთ, მებორნემ რომ ნავსაყუდარში მიაბა ორშაბათს, დილით, ოცდასამ ივნისს, და ჩუმად რომ წაიყვანეს, საბაჟოს უფროსისათვის არ შეუტყობინებიათ, საჭეც არ მოუკითხავთ, ისე, ეს ამბავი ჯერ კიდევ გვამის აღმოჩენამდე მომხდარა. ფრთხილი და ბეჯითი თუ ვიქნებით, ჩვენ შეგვიძლია იმ ნავის კვალს მივაგნოთ; მებორნეც კარგად იცნობს იმას და საჭეც ხომ ჩვენს ხელთაა. იალქნიანი ნავის საჭეს კი არც არავინ მიაგდებს ისე იოლად. ჰოდა, აჰ, ნება მიბოძეთ, კიდევ ერთი კითხვა დავსვა. იმ ნავის პოვნის გამო არ გამოუცხადებიათ, ჩუმად მიუყვანიათ

ნავსაყუდარში და ჩუმადვე წაუყვანიათ იქიდან. მაგრამ იმ ნავის მფლობელმა თუ იმან, ვისაც ქირით ჰყავდა წამოყვანილი, უკვე სამშაბათ დილით ადრე როგორ გაიგო, ორშაბათს ნაპოვნი ნავის ადგილსამყოფელი, ამის შესახებ სომ განცხადება არ გამოუქვეყნებიათ; უნდა ვიფიქროთ, რომ იმას რაღაც კავშირი და ურთიერთობა ჰქონდა საზღვაო სამსახურთან და იქნებ, ყველაფერს გებულობდა კიდევაც ამ კავშირისა და ურთიერთობის მეშვეობით, სულ წვრილმან ამბებსაც კი?

მარტოდმყოფ მკვლელზე გვიამბეთ, სანაპიროსკენ რომ მიათრევედა თავის ტვირთს; მაშინ ისიც გითხარით, შეიძლება იმან ნავი მოიშველია-მეთქი. ახლა კი ცხადია, მარი როჟე ნავიდან იყო გადაგდებული. სწორედ ასე უნდა მომხდარიყო. გვამს არ დააგდებდა იქვე, სანაპიროს თავთხელ წყალში. უცნაური ნაჭრილობევი რომ ეტყობოდა მსხვერპლს ზურგსა და მხრებზე, ნავის ძირზე დატანიებული საიალქნო კაუჭებისაგან უნდა ყოფილიყო. გვამს სიმძიმე არ ჰქონდა მიბმული, ნავის არსებობას ესეც მოწმობს. ნაპირიდან რომ გადაეგდოთ მოკლული, სიმძიმის მიბმა არ დაავიწყდებოდათ. ჩვენ შეგვიძლია ასე ავხსნათ ეს გარემოება, ნავზე ასვლისას მკვლელი ჩქარობდა და არც გახსენებია რაიმე სიმძიმის წამოღება. გვამის გადაგდების ხანს კი მიხვდებოდა უთუოდ ამ თავის შეცდომას, მაგრამ რაღა დროს. ყველაფერზე მზად იყო, თღონდ იმ დაწყევლილ სანაპიროზე აღარ დაბრუნებულყო. თავისი შემზარავი ხელბარგი რომ მოიცოდა, მკვლელმა საჩქაროდ ქალაქს მიაშურა, რომელიღაც ჩაბნელებულ ნავსაყუდარს მიაკვლია და ნაპირზე გადახტა. მაგრამ ნავს რაღა უნდა უყოს, მიაბას თუ არა? ნავის დარდი აღარ ჰქონდა, ძალზე ჩქარობდა და იმიტომ. ნაპირზე გადასული იმასაც მიხვდებოდა, ნავი აქ რომ გავაჩერო, სომ დავიღუპო. ბუნებრივია, შეძლებისდაგვარად ყველაფერს მოიცოდა, რაც კი მის დანაშაულთან იყო დაკავშირებული. სასწრაფოდ გაიქცეოდა იმ ნავსაყუდარიდან, რაღა თქმა უნდა, ის ნავიც აღარ დაავიწყდებოდა. დინებას გაატანა. მოდით და კიდევ წარმოვიდგინოთ ამ ამბის გარემოებანი — განთიადზე იმ არამზადას გული გადაუქანდება, გაიგებს, რომ ის ნავი უპოვიათ და სწორედ იმ ადგილას მიუყვანიათ, სადაც მას

ყოველდღე უხდება ყოფნა, იმ ადგილას-მეთქი, სადაც, იქნებ, თავისი სამსახურის გამო უნდა იაროს დღენიადაგ და ამავე ღამეს წაიყვანს იმ ნავს, საჭის თხოვნას როგორღა გაბედავს, ისე. სადღა უნდა იყოს ახლა ის უსაჭო ნავჭურჭელი? მოდიოთ და უპირველეს ყოვლისა იმისი ძებნა დავიწყოთ. სწორედ ამ ძიებისდა კვალად უნდა ვიხილოთ პირველი გაელვება ნათლისა, ჩვენი წარმატების დილა თენდება. კი გაგვაოცებს ნამდვილად, ისე მალე გვაზიარებს ის ნავი საიდუმლოს და გავიგებთ, თუ ვინ იმყოფებოდა მასში იმ საბედისწერო უქმე დღეს. სამხილი სამხილს დაემატება და მკვლელსაც მივაგნებთ“.

(გარკვეულ მიზეზთა გამო, რომლებსაც ჩვენ ვერ ჩავუღრმავდებით და რომლებიც ისედაც ნათელია მეტიწილი მკითხველისათვის, თავს უფლება მივეცით გამოგვეტოვებია ზოგი ადგილი იმ ხელნაწერიდან, ჩვენს ხელთ რომაა და სადაც გამოწვლილვით იყო მოთხრობილი თუ რა მონდა შემდეგ, როდესაც დიუბენი მიჰყვა თავის, როგორც ჩვენ გვეგონა, უმტკიცო გამოკვლევების გორგალს. ჩვენ აქ ისღა უნდა დავსძინოთ, რომ წარმატებით დაგვირგვინდა ეს საქმე; პრეფექტმა სრულად, თუმცა კი გულდაუდებლად, აღასრულა შევალისადმი მიცემული პირობა. ქვემოთ მოგვყავს ბ-ნ პოსწერილის დასასრული. — რედ.<sup>1</sup>).

მინდა სწორად გამიგოთ, თანხვედრათა შესახებ გესაუბრებით მსოლოდ. საკმარისი უნდა იყოს, რაც ზემოთ გითხარით ამ საგანზე. ზებუნებრივის რწმენა მე გულშიაც კი არ გამივლია. მთაზროვნე ადამიანთაგან ვერავინ უარყოფს ორი რამის, ბუნებისა და ღვთაების არსებობას. მეორე ქმნის პირველს და შეუძლია, თუკი ინებებს, მისი მართვა და განახლება, ესეც უდავოა. მე ვამბობ, თუკი ინებებს-მეთქი, მისი ნებაა აქ საკითხავი და არა ძალა, როგორც ამას გვასწავლის სიშლეგესთან წილნაყარი ლოგიკა. საფიქრებელი ის კი არ არის, რომ უზენაესს არ ძალუძს თავისი კანონების განახლება, არამედ თავად ჩვენ შევუარაცხოფთ მას, რაკილა სულ ვავიძახით მისი განახლების აუცილებლობას. ეს კანონები იმ-

<sup>1</sup> რედაქცია იმ ჟურნალისა, რომელმაც პირველად დაბეჭდა ეს წერილი.

თავითვე მოწოდებული იყო მოეცვა ყოველივე ის, რაც ში-  
(იქლებოლა) მომავალში მომხდარიყო — ღმერთისთვის აწმ-  
ჟო სულ მუდამ წარუვალა.

ვიმეორებ, ყველაფერი, რაც გაიმბეთ, თანხვედრათა წარ-  
მოჩენა იყო. და კიდევ: ჩემი ნაამბობისდა კვალად, იმ უბედუ-  
რი მარი სესილია როჯერსის ბედს, რამდენადაც ჩვენთვისაა  
ცნობილი, და მარი როჟეს ბედს შორის, მისი სიცოცხლის  
გარკვეულ მონაკვეთში, შეიძლება მიკვლევა რაღაც პარალე-  
ლისა, რომლის გასაოცარი სიზუსტის განჭვრეტა შეაჭირ-  
ვებს ჩვენს გონებას. ყოველივე ეს ცხადლივ ჩანს, მე გეუბ-  
ნებით. მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა გავივლოთ გულში,  
რომ ზემოთ აწ უკვე დასმული წერტილის შემდეგ მარიზე  
სევდის მომგვრელი მოთხრობის განგრძობა და მისი საიდუმ-  
ლოს denouement-ის<sup>1</sup> გადმომეკრა ამ პარალელის შემდგო-  
მი განვრცობის საჭიროება ან თუნდაც ის, რომ ჩამეგონე-  
ბინა თქვენთვის, პარიზში ჩატარებული ძიება იმ გრიზეტი  
გოგოს მკვლელობის თაობაზე ან ის ძიება, რომლის საფუძ-  
ველიც მსგავსი წანამძღვრები იქნება, რაღაც მსგავს შედეგს  
მოგვცემს.

რადგან ეს ჩვენი უკანასკნელი ვარაუდები თუ გვემან-  
სოვრება, ნათელი იქნება, რომ მცირეოდენი განსხვავება ორ  
ფაქტს შორის გახდება უდიდესი შეუსაბამობის საფუძველი,  
ერთმანეთისაგან დაშორიშორდება იმათი ორი დინება და  
იმიტომ; სწორედ ასეა არითმეტიკაშიც, რაღაც შეცდომა,  
შეიძლება თავისთავად სულაც უმნიშვნელო იყოს, მაგრამ  
ბოლოს, გამრავლების შედეგად დიდზე დიდი შეიქნება. ჩემი  
გაფრთხილებაც უნდა გვანსოვდეს, ზემოთ მოყვანილი აღბა-  
თობათა გამოთვლა უარყოფს პარალელების შემდგომი გან-  
ვრცობის აზრს, უარყოფს მტკიცედ და ცხადლივ იმისდა  
კვალად, რამდენადაც მატულობს ამ პარალელის გავლების  
სივრცეები და რამდენადაც ზუსტი აღმოჩნდება იგი. ეს ერთ-  
ერთი იმ ანალოგიათაგანია, რომელიც თითქოსდა მათემატი-  
კისაგან შორს მდგარმა კაცმა უნდა ახსნას, მაგრამ ასე არ  
არის, სწორედ მათემატიკოსს ძალუძს მისი სრულყოფილად

<sup>1</sup> კვანძის გახსნისას (ფრანგ.).

წარმოჩენა. ასე, მაგალითად, ძნელზე ძნელია ჩვეულებრივ მკითხველს დავეუბნოთ ის გარემოება, რომ კამათლის მთამაშეს თუ ორგზის დაუფდა ექვსიანები, შეიძლება მესამედაც გაუმართლდეს. და ამ აზრის მქონე უდიდეს ფსონს ჩამოვა კიდევაც. საღ გონებას უჭირს ამ ამბის გათავისება. კამათლის ის ორი გაგორება ხომ უკვე წარსულს ჩაბარდა და როგორ შეიძლება იმოქმედოს მესამეზე, მომავალში რომ უნდა მოხდეს. მესამედაც ექვსიანების დაჯდომა მისთვის ზუსტად ისევეა შესაძლებელი, როგორც სხვა დროსაც, ანუ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მოხერხებული არის მოთამაშე. და ეს თავისი მოსაზრება ისე სჯერა, რომ ვერც გაუწევთ წინააღმდეგობას, დამცინავ ღიმილს უფრო მოგაგებებთ, ვიდრე იოტისოდენ ყურადღებას. ეს შეცდომაა, ბოროტებასთან წილნაყარი უდიდესი შეცდომა, რომლის წარმოჩენა ამ მოთხრობაში მე არ შემიძლია. თუმცა ფილოსოფოსებს ეს არც დასჭირდებათ. საკმარისია ვთქვათ, ამ შეცდომათა უსასრულო გორგალი ტრიალებს გონების წინარე, რაკილა წვრილმანებში იხარჯება მისი მგზნებარება ჭეშმარიტების მიკვლევის გზაზე.

## ქასრი ამონტილედო

ათასგზის მაწყენინა ფორტუნატომ და სუღ მოვუთმინე, მაგრამ შეურაცხყოფა რომ გამიბედა, დავიფიცე, აღარ შევარჩენ-მეთქი. თქვენ მე კარგად მიცნობთ და, თქმა არ უნდა, არც კი იფიქრებთ წამოროშავდაო ამას. დაბოლოს, შური უნდა მეძია, ცხადი იყო ეს ჩემთვის, მაგრამ სწორედ ამ გადაწყვეტილების სიმტკიცემ მაფიქრებია, სიფრთხიდე მმართველს-მეთქი. უნდა დამესაჯა ის კაცი, მაგრამ თავად უნდა გადავრჩენიდიყავი სასჯელს. რაღაა ის შურისძიება, თუ შურისმაძიებელს აზღვევინებენ, ის შურისძიებაც რაღაა, თუ შურისმაძიებლის ხელი თავად არ მოიხვეჭავს საზღაურს.

სიტყვითაც და საქმითაც არც არაფერი მიგრძნობინებია,

ისევ ისეთი კეთილი გულის კაცი ვიყავი ფორტუნატოსთვის, სურდ ვუღიმიოდი და ის რაღას ჩახვდებოდა, რომ ახლა მისი დაღუპვის მაუწყებელი იყო ეს ღიმილი.

ერთი სისუსტე სჭირდა იმ ფორტუნატოს, თუმცა სხვა მხივდიდ პატივს სცემდნენ და კიდევაც ეშინოდათ მისი. ღვინოების დიდ მცოდნედ მოქჷნდა თავი და ამაყობდა ამით. იტალიელებს კი უჭირთ ზუსტად დაადგინონ ღვინის სიაკვარგე. გარკვეულ დროსა და გარკვეულ ადგილას ატეხენ ხოლმე ვაი-უშველებელს, რათა ასე უფრო ადვილად გააცურონ ბრიტანელი და ავსტრიელი მილიონერები. სურათებისა და ძვირფასეულობის შეფასებაში ფორტუნატო, თავისი თანამემამულეების დარად, კი იყო თაღლითი, მაგრამ ძველი ღვინოების ფასი იცოდა ნამდვილად. იმის გემოვნებას მეც ვიზიარებდი, თავადაც მიყვარდა იტალიური ღვინოები და როცა კი შევძლებდი, ბლომადაც ვყიდულობდი.

ერთ საღამოს, შებინდებისას, როდესაც კარნავალის შლეგური ორთმტრიალი იდგა, ჩემს მეგობარს შევხვდი. ცუღითა და სუღით მომესალმა, ეტყობოდა კარგა მაგრად დაეღია, მასხარასავით გამოწყობილი გახლდათ, ჭრელაჭრული შემოჭერილი შარკალი ეცვა, თავზე წვერიანი ზანზალაკებით მორთული ჩაჩი დაეხურა. დიდად გამიხარდა მისი დანასვა, სელი ჩამოვართვი და დიდხანს არ გამიშვია.

მე ვუთხარი:

— ჩემო ძვირფასო ფორტუნატო, რა კარგ დროს შეგხვდი. კარგადაც გამოიყურებინ დღეს. სწორედ ასლახან მივიღე ერთა კასრი ღვინო, ამონტილელო უნდა იყოს, მაგრამ არა მგონია.

— რაო? — მომიგო მან, — ამონტილელოო? მთელი კასრიო? რას მეუბნები! ამ შუა კარნავალის დროს!

— არა მგონია-მეთქი, — ასე ვუბასუხე, — ვიცი, რომ გამასუღელეს და ამონტილელოს საფასური გადამანდევინეს, კი სჯობდა ჯერ შენთვის მეკითხა რჩევა. ვერსად გნახე და ვაითუ სუღაც დავკარგო-მეთქი.

— ამონტილელო!

— არა მგონია.

— ამონტილელო!

— კი მინდა ვიცოდე.

— ამონტილედოლი  
— ვიცი არ გცალია და ლუკრეზის ვეტყვი. ის კი მიხვდება, სოდა, მივალ და ვთხოვ...  
— ლუკრეზის გინდ ამონტილედო უზვენე და გინდ ხერესია,  
— სოდა ვილაც რეგვენს კი უთქვამს, შენზე მეტი იცისო იმან.

— აბა, წავიდეთ.  
— სად წავიდეთ?  
— შენსას, სარდაფში.  
— ჩემო მეგობარო, ვერა, შენი კეთილი გულის ამბავი მე ვიცი, ვხედავ, არა გცალია. ლუკრეზი...

— კი მცალია, წავიდეთ-მეთქი.  
— ჩემო მეგობარო, ვერა. შეიძლება კი გცალია, მაგრამ ისე მაგრად ხარ გაციებული და ვაითუ გაგაწვალო. იმ სარდაფში კი ენით უთქმელი სინესტეა. გვარჯილა, გვარჯილა გასჯდომია იქ ყველაფერს.

— წავიდეთ-მეთქი. არა უშავს. რის გაციებული, რა გაციებულიო. ამონტილედოლი მოუტყუებინართ. ის ლუკრეზი რას გაარჩევს ხერესია თუ ამონტილედო.

მითხრა ეს ფორტუნატომ და მკლავზე წამეტანა, შავი აბრეშუმის ნიღაბი გავიკეთე და კიდევ უფრო გავეხვითე royaume-ში, იმის ნებას დავყევი და საჩქაროდ მივედით ჩემს პალაცოში.

მსახურთაგან არავინ დამხვედრია შინ; რას გააჩერებდით ამ საზეიმო ხანს, სამხიარულოდ გაპარულიყო სუყველა. ნათქვამიც მქონდა, რომ აღარ დავბრუნდებოდი და ისიც დავუბარე, სახლიდან ფენი არ მოიცვალოთ-მეთქი. კარგადაც ვაცოდი, ვეტყოდი თუ არა ამას და ჯერ კიდევ მიტრიალებული არ ვიყავი, რომ სუყველანი გაქრებოდნენ მაშინვე.

ორი ჩირაღდანი ავიღე სათავსიდან და ერთი ფორტუნატოს მივეცი, თავი დავუკარი და წინ გავუძეხი, დარბაზები გავიარეთ და მალე თალი დავინახეთ, სარდაფში ჩასვლა აქედან შეიძლებოდა. გრძელ და მიხვეულ-მოხვეულ კიბეზე დავეშვით, მომყვებოდა ის და მე ვემუდარებოდი, ფრთხილად იყავი-მეთქი. დაბოლოს ჩავადწიეთ დაბლა, ორივე ვიდექით ასღა მონტრეზორების მიწისქვეშეთის საძვლის სველ ფილებზე.

ფეხი ერეოდა ჩემს მეგობარს და მისი ჩანის ზანზალაკები წკარუნობდნენ ყოველ ნაბიჯზე.

ის კასრი კი სადღააო, მკიფხა მან.

— ცოტა იქით, — მე ვუთხარი, — აბა ერთი შესედე, რა თეთრ აბლაბუდებს დაუფარავს კედლები ამ გვირგვინსა.

მომიტრიალდა და თვალბეჭეში შემომხედა, სიმთავრელას ცრემლები მორეოდა.

დაბოლოს მკითხა, ეს რა არის, გვარჯილააო?

— გვარჯილაა, — მივუგე მე, — რამდენი ხანია ასე გასკვლებს?

— ქესი ქესი ქესი!.. ქესი ქესი ქესი!.. ქესი ქესი ქესი!.. ქესი ქესი ქესი!.. ქესი ქესი ქესი!..

სიტყვა ვეღარ ამოეთქვა რამდენიმე ხანს ამ ჩემს საბრძოლო მეგობარს.

დაბოლოს მითხრა, არაფერიაო.

— მივტრიალდეთ, — მტკიცედ ვუთხარი მე, — სჯობს უკან დავბრუნდეთ, უპირველეს ყოვლისა შენი ჯანმრთელობაა, მდიდარი კაცი ხარ, პატივცემული, სახელოვანი, კიდევაც უყვარხარო, ბედნიერიც ხარ, მასეთი მეც ვიყავი ერთ დროს. ვაითუ შენ რამე მოგივიდეს. ჯანდაბას ჩემი თავი. უნდა დავბრუნდეთ-მეთქი, ავად გახდები და ჩემი ბრალი იქნება. ხა... და, ლუკრეზია...

— კმარა! — ასე მომიგო, — ხველის მე არ მეშინია, არ მომიკლავს. ხველისაგან მე არ მოვკვდები.

— სწორია... სწორია, — ასე ვუთხარი, — მართლაცდა, შენი ტყუილუბრალოდ შემოფოთება მე არც მინდოდა, მაგრამ კი გემართებს სიფრთხილე. ერთი ეს მედოკი გადავკრათ და სინესტე ვერას დაგვაკლებს.

ხავსმოდებულნი გრძელი თაროდან ერთი ბოთლი გადმოვიღე და თავი მოვამტკრიე.

დავლიოთ-მეთქი და ღვინო მივაწოდე.

ცბიერად გამიღიმა და პირთან მიიტანა ბოთლი, ერთხანს შეიცადა და გულაგდებით თავი დამიკრა, ზანზალაკებმა წკარუნნი გაიღო ამ დროს.

აქაურ განსვენებულთა ხსოვნისა იყოსო, თქვა მან.

— შენი დღეგრძელობისა იყოს.



ხელი მომკიდა მკლავზე და გზა განვაგრძეთ.

— სოდა, ეს საძველე, — ასე მითხრა, — რა დიდია.

— მონტრეზორები, — მივუგე მე, — ძირძველი და მოჩ-  
ქმიული გვარია.

— თქვენი გერბი აღარ მახსოვს.

— ვეებერთელა ფესს კაცისას ლაჟვარდისფერ ვეჯზე მუ-  
უსრავს გველი, რომელიც ქუსლს უგესლავს.

— დევიზი კი რაღაა?

— Nemo me impune lacessit<sup>1</sup>.

კარგიო, მითხრა მან.

თვალები გაბრწყინებოდა ღვინისაგან, მოწკარუნობდნენ  
ზანზალაკები. მედოკისაგან წამონთებული მეც ვიყავი. ჩონ-  
ჩხებით სავსე დერეფნები გავიარეთ, მცირე და დიდი კას-  
რები ელაგა ამ მიწისქვეშეთის უშორეს სამალავებში. კვლავ  
შევჩერდი და ამჯერად გავბედე და ფორტუნატოს მაჯის ზე-  
მით წავავლე ხელი.

— გვარჯილა — ვთქვი მე, — შეხედე, სულ უფრო მატუ-  
ლობს. ხავსი ჩამოფენია ამ სარდაფებს. სწორედ მდინარას  
ქვემოთ ვართ ასლა. წვეთები მოჟონავს და ამ ჩონჩხებს ეცე-  
მა. წავიდეთ, დავბრუნდეთ, სანამ გვიან არ არის. გახველეხს  
და...

— არაფერია-მეთქი, — ასე მომიგო, — ნულარ შევჩერდებიან.  
მაგრამ ერთ ყლუბ მედოკზე არ ვიტყვოდი უარს.

დეგრავის ბოთლი გადმოვიღე და თავი მოვამტკვრიე. სულ-  
მოუთქმელად გამოსცალა. მთლად თვალებბარიალებული იდ-  
გა. გაიცინა და ბოთლი მადლა აისროლა, რაღაც ჟესტი გაა-  
კეთა ამ დროს, რა უნდოდა, ვერ მივხვდი.

გაოცებულმა შევხედე. ისევ გაიმეორა ის აზრმოკლებული  
მსძრარობა.

— არ გესმის? — მკითხა მან.

რა-მეთქი, მე მივუგე.

— მაშინ შენ იმ ძმობაში არ ყოფილხარ.

— რაო?

— ქვისმთლელთა ძმობაში\*.

---

<sup>1</sup> აქ: ყველა ჩემი შეურაცხმყოფელი დაისჯება (ლათ.).\*

ვარ, ვარ, ასე ვუთხარი, ვარ, ვარ-მეთქი.

— შენ? რას მეუბნები, ქვისმთლელთა ძმობაში?

— ჰო, ქვისმთლელთა ძმობაში, — ვეუბნები.

— ნიშანი კი, — ასე თქვა, — ნიშანი კი რაღა?

— აბა შეხედე, — ვუპასუხე მე და ჩემი roguelaire გავის-  
სენი, ნიჩაბი ვუჩვენე\*.

— რას ხუმრობ, — შეჰყვირა და რამდენიმე ნაბიჯით და-  
ხია, — წავიდეთ და ის ამონტილედო ვნახოთ.

— მასე იყოს, — ვუთხარი და ის ნიჩაბი ისევ ლაბადაში  
დავმალე, კვლავ შევაშველე ხელი. მთელი ძალით დამეყრდნო.  
განვაგრძეთ ჩვენი სავალი, რომელსაც ამონტილედომდე უნ-  
და მივეყვანეთ. რამდენიმე დაბალი თალი გავიარეთ, კიბეზე  
დავეშვით, კიდევ გავიარეთ, ისევ დავეშვით, და ბოლოს სულ  
ქვემოთ, ერთ მიწისქვეშა საკანში ჩავედით, ჰაერი აქ იმდე-  
ნად დახუთული იყო, რომ ჩვენი ჩირაღდნები კი არ ანათებ-  
დნენ, უკვე ბუჩუტავდნენ.

ამ საკნის უშორეს კუნჭულში რაღაც გასასვლელი ჩანდა,  
უფრო მომცრო სამყოფი უნდა ყოფილიყო იქ. მთელი კედ-  
ლების გასწვრივ ყველგან ადამიანის ძვლები ეყარა ვებერ-  
თელა პარიზული მიწისქვეშეთის მსგავსად. სამი კედელი ამ  
საკნისა ამდაგვარად იყო გაწყობილი. ხოლო მეოთხესთან  
ძვლები ძირს ჩამოეყარათ და ასე დაეხვევებინათ მიწაზე, ის  
კედელი თავისუფალი იყო ძვლებისაგან და შიგნით სსვა სა-  
კანი თუ ნიშა ჩანდა, თხზი ფუტი სიღრმისა და სამი ფუტი სა-  
განის, სიმადლე შვიდი თუ რვა იქნებოდა. რამე განსაკუთრე-  
ბული მიზნისთვის არ უნდა ყოფილიყო გაკეთებული ეს ნიშა;  
ამ მიწისქვეშეთის თალის გასამაგრებლად ორი უზარმაზარი  
ბოძი იდგა და ამიტომ ჩანდა ის ადგილი ჩაღრმავებულ,  
იქით, ბოლოში ვებერთელა გრანიტის კედელს დაინახავ-  
დით.

თავისი ჩაფშუკული ჩირაღდანი აღემაართა ფორტუნატოს  
და ამაოდ ცდილობდა იმ ნიშის სიღრმეში შესნდვას. რაღა  
უნდა გამოჩენილიყო ამ შუქზე.

— შედი, — ვუთხარი მე, — ამონტილედო იქ არის. ჰოდა,  
იმ ლუკრეზის...

— იმან რა იცის, — შემაწყვეტია ჩემმა მეგობარმა და ში-

ბარბაცდა შიგნით. მაშინვე უკან მივყევი. ნიშის ბოლოს მიატანა და კლდოვანი რომ გადაეღობა, შედგა გამოლენჩებული წამიც და იქვე მივაჯაჭვე ტინის კედელზე. ორი რგოლი იყო მიმაგრებული იქ ერთ სიმაღლეზე, ორი ფუტით დაცილებოდნენ ერთმანეთს. ერთზე მოკლე ჯაჭვი მიებნიათ, მეორეზე საკეტი. წელზე შემოვახვიე ეს ჯაჭვი და იმწუთასვე ჩაკეტი. გაოგნებულს თითიც არ გაუნძრევია. გასაღები გამოვაძრე, უკან მივდექი და ნიშიდან გამოვედი.

— ხელი გაავლე იმ კედელს, — ასე ვუთხარი, — უსათუოდ იგრძნობ იმ გვარჯილას. მართლაცდა, კი არის ნესტიანი აქაურობა. კიდევ ერთხელ გემუდარები, დავბრუნდეთ. არა? მაშინ რაღა უნდა ვქნა, უნდა დაგტოვო. მაგრამ ჯერ ნება მიბოძე კიდევ ერთი პატარა სამსახური გაგიწიო.

— ამონტილედო! — შეჰყვირა ჩემმა მეგობარმა, ჭკუაზე ველარ მოვიდა, ისე იყო განცვიფრებული.

— დიახ, ამონტილედო.

ვუთხარი ეს და იმ ძვლების გროვას მივადექი, ადრე რომ ვახსენე. მივყარ-მოვყარე და მალე გამონჩნდა ბევრი გათლილი ქვა და კირი. ჰოდა, ამ მასალისა და იმ ჩემი ნიჩბის მეშვეობით საჩქაროდ დავიწყე კედლის ამოშენება იმ ნიშნის შესასვლელში.

პირველი რიგი გავაწყვე თუ არა ამ ქვებისა, მივხვდი, კარგად გამონელებოდა უკვე ფორტუნატოს ღვინო. სულ პირველად ეს ამბავი მამცნო ჩუმმა კვნესამ, სამალავის შიგნიდან რომ მოისმა. ეს არ იყო კვნესა მთვრალისა. შემდეგ გამეფდა ხანგრძლივი და ყოვლისმომცველი მდუმარება. მეორე რიგი დავაწყვე, მესამეც, მეოთხეც და ჯაჭვის გააფთრებული ჟღერი-ალიც გავიგონე. რამდენსამე წუთს გაგრძელდა ეს სმაური და უფრო კარგად რომ დავმტკბარიყავი, მუშაობა შევწყვიტე და იმ ძვლებზე ჩამოვჯექი. დაბოლოს მიწყდა ის ჟღარუნი. ისევ ავიღე ნიჩაბი და აღარაფერს შეუშლია ხელი, მესუთე, მეექვსე და მეშვიდე რიგის აგება გავასრულე. სადაცაა უკვე ჩემს მკერდამდე მოვიდოდა ის კედელი. კვლავ შევჩერდი, ჩირაღდანი აღვმართე და მქრქალი ნათელი მოეფინა იმის სსეულს.

გულის გამხეთქი ღრიალი აღმოსდა უცებ იმ მიჯაჭვულ

კაცს, ღრიალებდა და ღრიალებდა, თითქოსდა ამან უკან გამისროლა კიდევაც. წამით ქოჭმანი დავიწყე, ავკანკალდი, დაშნა დავაძრე და ნიშაში შევყავი, ერთი ავიქნიე და დავიქნიე, გონს მოვედი მაშინვე. იმ მიწისქვეშეთის ზღუდეთა სისიქე ხელით გავსინჯე და კმაყოფილი დავრჩი. იმ კელელს მავუახლოვდი ისევ და ღრიალითვე ვუპასუხე მყვირალს. გავყვიროდი, გავბლაოდი, უნდა მეჯობნა, უნდა დამეფარა ჩემი ხმით იმისი ღრიალი. ასეც მოხდა. დადუმდა მყვირალი.

შუალამე მოწეულიყო და მალე უნდა გამესრულებინა საქმე. მერვე, მეცხრე და მეთე რიგიც აღვიმართე. მეთერთმეტეც დამთავრდებოდა სადაცაა, ერთი ქვაღა აკლდა, და იმასაც შევდგამდი და შევლესავდი. ძლივსღა ავწიე ეს ქვა, სანასევროდ შევწიე იმ ადგილას. ნიშიდან უცებ ხითხითი მოისმა და თიები ყალყზე დამიდგა. შესაბრაღისი ხმაც გავიგონე, ვეღარ ვიცანი, ნუთუ იმ კეთილშობილი ფორტუნატოსი იყო. ხმა გავიკონე-მეთქი:

— ხა! ხა! ხა! ხი! ხი! ხი! მშვენიერი ხუმრობაა... მართლაც-და დიდებული ხუმრობაა. ჰოდა, ბევრსაც ვიცინებთ შენს პალაცოში... ხი! ხი! ხი!.. ღვინოს რომ დავლევთ... ხი! ხი! ხი!

— ამონტილედოს! — ვთქვი მე.

— ხი! ხი! ხი!.. ხი! ხი! ხი!.. ჰო, ამონტილედოს. მაგრამ ახლა კი უნდა იყოს გვიანი? შენს პალაცოში ხომ გველოდებიან? ქალბატონი ფორტუნატო და სხვებიც? წავიდეთ!

— ჰო, — ვუთხარი მე, — წავიდეთ.

— ღვთის გულისათვის, მონტრეზორ!

— ჰო, — მივუგე მე, — ღვთის გულისათვის!

მაგრამ ამ ჩემს სიტყვაზე უკვე ამაოდ ველოდი პასუხს. ვეღარ მოვითმინე. გავძახე:

— ფორტუნატო!

არ უპასუხია. ისევ გავძახე:

— ფორტუნატო-მეთქი!

არ უპასუხია. ჩირაღდანი გავყავი იმ დარჩენილ ხვრელში და შიგნით მოვისროლე. ზანზალაკების წკარუნიღა გავგონე. გული ჩამწყდა, იმ მიწისქვეშეთის სინესტის ბრღით თუ იყო. საჩქაროდ გავასრულე ჩემი სამუშაო. ის უკანასკნე-

ლი ქვაც შევდგი თავის ადგილას, შევლესე. იმ ახალი კედლის გასწვრივ აღვადგინე ზღუდე ძველებისა. ნახევარი საუკუნეა უკვე აღარავინ გაკარებია მოკვდავთაგან. in pace requiescat<sup>1</sup>.

## ა ჩ რ დ ი ლ ი

### პარაზოლა

ვიდოდელათუ შორის აჩრდილთა.  
დავითის ფსალმუნი\*

თქვენ, ამის მკითხველნი, ჯერ კიდევ ცოცხლები ხართ, ხოლო მე, დამწერი ამისა, ამ დროისათვის უკვე კარგა ხანს ვიქნები აჩრდილთა შორის. რაკი მართლაცდა გასაოცარი ამბები მოხდება და ცნობილი შეიქნება იდუმალებით მოცული ამბები, და წარიხოცება მრავალი ჟამი, ვიდრე კაცნი იხილავენ ამ ძეგლს. და რა იხილავენ, ზოგნი ვერ დაიჯერებენ, ზოგნი დაეჭვდებიან, და რამდენადმე მაინც მიაკვლევენ საფიქრალ საგანს ამ რკინის სტილოსით ამოჭრილ ნაწერში.

შემზარავი წელიწადი იყო ეს წელიწადი და გრძნობები უფრორე ცხოველი გამხდარიყვნენ, ვიდრე თავად ეს შემზარაობა, რომლის სახელი არ მოიძებნება ამ მიწაზე. რადგან მრავალი სასწაული და ნიშანი გამოჩნდა და ყველგან, ზღვასა და ხმელზე, განრთხმულიყო შავი ფრთები ჟამიანობისა. და იმათთვისაც კი, ვინც ვარსკვლავთმრიცხველობაში გაწაფულიყვნენ, არ იყო ცნობილი, რა ავს გვიქადიდნენ ცანი; და სხვებთან ერთად ჩემთვისაც, ბერძენ თინოსისათვის, ცხადი იყო, სადაცაა უნდა გასრულებულიყო შვიდას ოთხმოცდა-ოთხმეტი წელი, როდესაც ვერძის შემოსვლის ხანს პლანეტა იუპიტერი შეერწყმოდა მეწამული ფერის წრეს საზარელი სატურნისას. ცათა ეს განსაკუთრებული ნათება, თუ დიდად

<sup>1</sup> მშვიდობა იმის თავს (ლათ.).

ბრ: ვცდები, გარშემობურვოდა არა მარტო ნივთიერ სფეროს და გამიწიასა, არამედ მთელი კაცობრიობის სულსა და გულს, წა: მოდგენასა და ფიქრს.

ქოსური წითელი ღვინის სურებთან, დიდებულ სასახლე-ში, შფოთსავსე ქალაქ პტოლომეადაში ვისხედით ჩვენ ღამით, შვიდნი, და ჩვენ სამყოფელში მხოლოდ ერთი შემოსასვლელი იყო, მაღალი ბრინჯაოს კარი; კორინოსის მშვენიერი ნაოსტატარ-ნახელავი იყო ეს კარი, შიგნიდან ჩაკეტილი. შავი ფარდები ამ მოქუფრული დარბაზისა გვიფარავდა მივარის შუქისაგან, მოშავბნელებული ვარსკვლავებისაგან და უკაცრიელი ქუჩებისაგან — მაგრამ რა აღუდგებოდა წინ ბოროტის მესსიერებას, მის ყოვლისმომცველ ძალას. ჩვენ გარშემო რაღაც იყო ისეთი, რომლის ზუსტად აღწერა არ შემიძლია — რაღაც მატერიალური და სულიერი, სიმძიმე ატმოსფეროში... გრძნობა სულთამხუთავისა... შფოთიანობა და ყველაზე უფრო საშინელი განცდა, ნერვიულებს რომ ეუფლებათ, როდესაც მათი გრძნობები ალესილი და ცინცხალია, ხოლო გონების ძალნი ძილს მისცემიან. სიკვდილის არტახები. შემოგვეჭდომოდა თავს, მოეცვა ჩვენი სხეული, სასახლის ყოველი კუთხე-კუნჭული, თასები, რომლითაც ჩვენ ვსვამდით; ყოველივე დახრილიყო და განრთხმულიყო, ყოველივე, გარდა იმ ცეცხლის ენების ლაციცისა, რომელიც შვიდი რკინის სანათურადან ანათებდა ჩვენს ლხინს. ღუოდა ფერმიხდილი და უძრავი ზეაწვდილი ზოლები შუქისა; და სარკისებურ ზედაპირზე ჩვენი შავი ხის მაგიდისა, რომლის გარშემოც ჩვენ ვისხედით, ყოველი ხედავდა თავის ფერმიხდილ სახეს და თანამესუფრის დახრილი თვალის შფოთსავსე ბრიალს. და მაინც ჩვენ გიცინოდით და ვმხიარულობდით როგორც შეგვეძლო, რისთვისაც შეიძლებოდა ისტერიული დაგვერქმია, ვმღეროდით ანაკრეონტის სიმღერებს — რისთვისაც შეიძლებოდა მლეგური დაგვერქმია, და ვსვამდით გაუთავებელივ — თუმცა კი სისხლს მოგვაგონებდა წითელი ღვინო. რადგან ჩვენ სამყოფელში სხვასაც დაედო ბინა, ყმაწვილ ზოილეს. მკვდარი ტსვენა, სუდარაში გახვეული, გენია და დემონი ამ შეკრებილობისა. ვაგლახს ჩვენი მხიარულებისა არა ეცხო მის ასოთაგან რომელიმეს, გარდა მისი სახისა, ჟამმა რომ მოუღრი-

ცა, და კიდევ თვალისა, რომელშიაც სიკვდილს სანახევროდ ჩაექრო ჟამიანობის ცეცხლი და თითქოსდა ჩვენი ღზინისადმი აღძრული ცნობისმოყვარეობა ჩაჩუმქრილიყო მასში; იქნებ, სწორედ ასე ემართებათ მკვლრებს მომაკვდავთა ნადიმის ხანს და თუმცა მე, ოინოსი, ვგრძნობდი მზერას იმისი თვალებისას, ვცდილობდი არ შემეძნინა იმათი მრისხანე ნათება და შავი ხის სარკისებურ ზედაპირს რომ ჯოუტად ჩავცქეროდი, ხმააწეული ვმღეროდი სიმღერებს ტეოსელი ძისას. მაგრამ თანდათან მიწყდა ჩემი მღერა, მისი ექო მიეასლა დარბაზის შავფერ ფარდებს, მიიღია, დაინთქა და ჩაიკარგა საბოლოოდ. და რას ვხედავ! იმ შავფერი ფარდებიდან, სადაც ჩაკვდა ხმა სიმღერისა, წარმოჩინდა ბუნდი, მთლად მიმქრალი ანრდილი — ანრდილი-მეთქი, რომელიც შეიძლება დამავალი მთვარის შუქზე იყო გამოკვეთილი და ჰგავდა ძეხორციელასას, მაგრამ ეს ანრდილი არ იყო არც კაცისა და არც ღვთისა, არც ამის მსგავსთა. დაბოლოს ფარდებს შერთული და მოზიმზიმე მოცილდა და აეკრა ბრინჯაოს კარის პირს. მაგრამ იგი ანრდილი იყო მქრქალი, თითქმის უჩინარი და ხელუხლები; ანრდილი არც კაცისა, არც ღვთისა — არც ბერძენთა ღვთისა, არც ქალდეველთა ღვთისა და არც ეგვიპტელთა ღვთისა. და დარჩა ანრდილი ბრინჯაოს კარზე, იმ კარას დიდებული თაღის ქვემოთ, უმოძრაოდ, სიტყვის უთქმელად იყო გარინდული. და კარი, რომელზეც დავანებულიყო ანრდილი, რამდენადაც ზუსტად მახსოვს, სწორედ იმ სუდარაში გახვეული, ყმაწვილი ზოილეს პირდაპირ მდებარეობდა. მაგრამ ჩვენ, შვიდივემ, ფარდებიდან გამომავალი ანრდილი რომ ვიხილეთ, ვერ გავბედეთ მისთვის თვალის გასწორება, თავაუღებლივ ჩავცქეროდით სიღრმეს შავი ხის სარკისას. დაბოლოს მე, ოინოსმა, წარმოვთქვი ჩუმად რამდენიმე სიტყვა; სამყოფელი ვიკითხე მისი და სახელი და ანრდილმა ასე მიპასუხა: „**ანრდილი** ვარ და პტოლომეადის ახლორე კატაკომბებშია ჩემი სამყოფელი, ქარონის მყრალ სრუტეს რომ ესაზღვრება, ელიზიუმის ბნელი ველების გვერდით“. და მაშინ ჩვენ, შვიდივე, შეპრწუნებული ზე წამოვიჭერით და ასე ვიდექით აკანკალებულნი, ათრთოლებულნი და გულჩაწყვეტილნი, რადგან ანრდილის ხმა არ უნდა ყოფილიყო ერთად

არსების ხმა, თითქოსდა ერთდროულად მრავალი გვესაუბრებოდა და მარცვალ-მარცვალ მონაცვლე ეს ხმიანი ქუშად ჩაგვესმოდა ყურში და მოგვაგონებდა ხმებს ჩვენი მრავალი აი ასი წასული მეგობრისა.

## „შენ ხარ კაცი იგი!“

რეტლბოროს გამოცანა რომ ამოვხსნა, თიდიპოსის როლი უნდა გავითამაშო ახლა. მხოლოდ მე შემიძლია გითხრათ, რა მანქანებით გამოაშკარავდა რეტლბოროული სასწაული — ერთადერთი, ჭეშმარიტი, აღიარებული, უცილობელი, უცდომელი სასწაული, რომელმაც გულისხმაში ჩააგდო ზოგი მიუხვედრელი რეტლბოროელი და დღეს უკვე გადამღრძვალა დედაბერივით ღვთის მოშიში გახადა აქამომდე ყველა გაკადნიერებული ურწმუნო.

ეს მოხდა — უკაცრავად კი ვარ ჩემი მონათხრობის ასეთი შეუფერებელი, მსუბუქი კილოს გამო — 18... წლის ზაფხულს. ბ-ნი ბარნაბას დგიმუაუგოთი\*, ერთი აქაური შეძლებული და პატივცემული კაცი, რამდენიმე დღე აღარ გამოჩენილა და ამ ამბავმა ხალხი საგონებელში ჩააგდო. ბ-ნი დგიმუაუგოთა რეტლბოროდან შაბათს სისხამ დილით გასულა ცხენზე ამხედრებული. ასე უთქვამს, მივემგზავრებით ქალაქ ...ს, თხუთმეტიოდე მილით რომ იყო დაცილებული ჩვენს დაბას. იმ სადამოსვე აპირებდა თურმე მობრუნებას. მისი გამგზავრების ორი საათის შემდეგ ცხენი უმხედროდ დაბრუნდა, ლაფში ამოვლებული, დაჭრილი, ის ჩანთებიც არ ჩანდა, პატრონს თან რომ წაეღო. ამ გარემოებამ, რალა თქმა უნდა, მეტად შეაშფოთა დაკარგული კაცის მეგობრები. ბ-ნი ბარნაბას დგიმუაუგოთი დილითაც რომ აღარ გამოჩნდა, მთელი დაბა en ma-sses<sup>1</sup> დაირაზმა მის საქებნელად.

ქებნის სულისჩამდგმელი გახლდათ ბ-ნ დგიმუაუგოთის

<sup>1</sup> აქ: ერთხმად (ფრანგ.).



გულითადი მეგობარი ბ-ნი ჩარლზ სულიკოუ ან, როგორც ყველა ეძახდა, „ჩარლი სულიკოუ“ თუ „ძია ჩარლი სულიკოუ“. ვერ გეტყვით, გასაკვირველი თანხვედრობაა თუ თავად სახელს აქვს ხასიათზე იდუმალი ზეგავლენა, ეს კია, არასდროს მინასავს ვიწმეს ჩარლი ერქვას და ის კაცურიკაცი არ იყოს, ალალი, პატიოსანი, დიდბუნებოვანი, გულმხიარული, ტკბილ ხმაზე მოუბარი, სულ მუდამ რომ თვალს გისწორებთ და თითქოს გეუბნებათ: „სინდისი წმინდა მაქვს, არც არავასი მეშინია, ყოველ შემთხვევაში ცუდს არასდროს ვიქმ“. აი, რადაა, რომ ყველა გულიან, დარდიმანდ კაცს ჩარლი უნდა ერქვას ნამდვილად.

ექვსი თვე იქნებოდა გასული, რაც „ძია ჩარლი სულიკოუ“ რეტლბოროში გამოჩნდა. და თუმცა აქაურთაგან არვინ იცნობდა, მაგრამ შეუჭირვებლად კი გაიჩინა დაბის დარბაისელ ხალხში ქვეყნის ნაცნობი. ერთი ეთქვა და დაუყოვნებლივ მიიღებდა სესხად თუნდაც ათას დოლარს; ხოლო ქალები მისთვის სულსაც არ დაიშურებდნენ. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩარლი ერქვა, ამ სახელის პატრონი კი უთუოდ უნდა ყოფილიყო შუბლგახსნილი ადამიანი, ვისზეც ასე ამბობენ სოლმე: „ამ კაცის თვალები მისი გულის სარკეაო“.

უკვე მოგახსენეთ, რომ ბ-ნი დგომიუაუგოთი ერთი უპატივცემულესთაგანი და, ჭეშმარიტად უმდიდრესი კაცი იყო რეტლბოროში, მისი გულისთვის „ძია ჩარლი სულიკოუ“, როგორც იტყვიან, წყალში გადავარდებოდა. კარის მეზობლები იყვნენ ეს მოხუცი ჯენტლმენები და თუმცა ბ-ნი დგომიუაუგოთი ათასში ერთხელ თუ შეივლიდა „ძია ჩარლისას“, თუმცა პური იქ ერთხელაც არ გაუტენია, როგორც უკვე ვთქვით, ეს ამბავი მათ მეგობრობას ხელს არ უშლიდა. მართლაც დღე ისე არ გავიდოდა, რომ „ძია ჩარლის“ სამჯერ, ოთხჯერ არ შეერბინა მუზობლის სანახავად, ხშირადაც რჩებოდა სოლმე საუზმეზე თუ ჩაის დასალევად, სადილზე კი ყოველთვის, ხოლო რამდენი ჭიქა ღვინო გადაუკრავთ ამ ორ ძმაკაცს, ამას ვან მოთვლის. „ძია ჩარლის“ მეტად უყვარდა Chateau Margaux<sup>1</sup>

<sup>1</sup> შატო-მარგო.

და, როცა ჭიქას ჭიქაზე ცლიდა, ბ-ნი დგიმუაუგოთი სიამოვნებით შესცქეროდა თავის სტუმარს; ჰოდა, ერთხელაც ღვინით კარგა რომ შეუიჟინდნენ, ბ-ნმა დგიმუაუგოთმა მხარზე ხელი დაჰკრა თანამესუფრეს: „შენ გეუბნები-მეთქი, „ძია ჩარლი“, სული არ წამიწყდეს, ამ ხნის კაცი ვარ და შენისთანა კაი მეგობარი ჯერ არ მყოლია; რაკილა აგრე გყვარებია ყლურჭვა, ეშმაკის კერძი გავსდე, დიდი ყუთი შატო-მარგო თუ არ გაჩუქო — (ბ-ნ დგიმუაუგოთს ჰქონდა ერთი საძრახისი ჩვევა, ხანდახან შეკურთხება უყვარდა ხოლმე. „ეშმაკის კერძი გავსდე“ ან „მიწა გამისკდეს“ თუ „დასწყევლოს ღმერთმა“ — მეტს არ იკადრებდა) — ეშმაკის კერძი გავსდე, განაგრძო მან, თუ ამ ნაშუადღევს ქალაქში არ დაუვკვეთო ვეებერთელა ყუთი შენი მოსაწონი საუკეთესო ღვინო. მორჩა და გათავდა, იცოდე, ამ მოკლე ხანში მოგაყენებ კარზე“. ბ-ნ დგიმუაუგოთის გულუხვობაზე იმიტომაც მოგახსენეთ, იცოდეთ-მეთქი ამ ორი ადამიანის დიდი მეგობრობის ამბავი.

ხოდა, როცა იმ კვირა დილით მიხვდნენ, ბ-ნი დგიმუაუგოთი ხიფათს რასმე გადაჰყრიაო, „ძია ჩარლი სულიკოუსავით“ ასე მესდაცემული ჯერ არავინ მინახავს. პირველად რომ გაიგო, ცხენი უმხედროდ, უჩანთებოდ მობრუნდა, დამბანის ტყვიით დაჭრილი, მკერდი რომ შეენგრია საბრალო ოთხფეხისთვის, მაგრამ არ მოეკლა, — ყველაფერი ეს რომ გაიგო, სულზე უტკბესი ღვიძლი ძმის თუ მამის დამკარგავი კაცივით გადაფითრდა და ციებცხელებიანივით თავით ფეხამდე აკანკალდა.

მეტისმეტად გულდაშანთულმა პირველად ვერც ვერაჟრის გაკეთება შეძლო, ვერც რამის მოსაზრება; ის კი არადა, დიდხანს ეხვეწა ბ-ნ დგიმუაუგოთის მეგობრებს, სჯობს ცოტა ხანს შევიცადოთ, ასე ერთი-ორი კვირა ან ერთი-ორი თვე, ეგებ რამე გაირკვეს ამ დროში, ეგებ თავად ბ-ნი დგიმუაუგოთი საღ-სალამათი მოვიდეს და გვითხრას, ცხენი შინ როგორ გამოექცაო. ალბათ, ხშირად შეგიმჩნევიათ, დამწუხრებული კაცი რომ მუდამ ფეხს ითრევს ან სულაც სახვალლიოდ გადასდებს ხოლმე საქმეს, თითქოს ჭკუაშემლილს განძრევაც კი ზარავს და, როგორც ხანდაზმული ქალები იტყვიან, „კაეშინს სალოლიავენებლად“ მივარდნილს წოლის მეტი აღარაფერა

უნდა, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ნიადაგ უდგას გლოვის კარავი.

მართლაც „ძია ჩარლის“ სიბრძნისა და წინდახედულობის დიდი თაყვანისმცემელი რეტლობროელების უმრავლესობა თანახმა იყო აღარაფერი მოემოქმედა, ვინემ „რაიმე გაირკვეოდა“, როგორც ბრძანებდა ეს პატივცემული მოხუცი ჯენ-ტლმენი; და ვფიქრობ, ბოლოს ამ აზრს დაადგებოდნენ ყველანი, რომ ფრიად საეჭვოდ არ ჩარეულიყო ბ-ნ დგიმუაუგოთის დისწული, ერთი მეტად უწესო, გიჟლარა ყმაწვილი კაცი, მას, გვარად უსავარგოს, გაგონებაც კი არ სურდა — რის ლოდინით, რა ლოდინით, ახლავე უნდა ვეძებოთ „მოკლულის გვამით“. დიახ, სწორედ ასე წამოიძახა. იმწამსვე სამართლიანად ბრძანა ბ-ნმა სული კოუმ, რა უცნაურად თქვათ ამ ბიჭმა. ბრბოსაც ასევე დასცა მეხი „ძია ჩარლის“ ამ სიტყვებმა, ერთმა კიდევ იკითხა ხაზგასმით, კი მაგრამ ამ ყმაწვილმა, ბ-ნმა უსავარგომ საიდან იცის ასე წვრილად თავისი ბიძის ასავალდასავალი, აგრე აშკარად და პირდაპირ რომ აცხადებს — „ბიძანიემი მოკლულიაო“. ცოტა წაკინკლავებაც მოხდა, ზოგიერთებს კიდევაც შემოელანძღათ ერთმანეთი, მეტადრე „ძია ჩარლისა“ და ბ-ნ უსავარგოს. მაგრამ რაკილა ეს სამი თუ ოთხი თვე ისინი ერთმანეთთან ვერ იყვნენ კარგად, მათი წაკიდება, რაღა თქმა უნდა, აღარავის გაკვირვებია. ერთხელ წსუბიც კი მოუვიდათ — იმ დღეს ბ-ნმა უსავარგომ მუშტა სთხლიშა და ძირს დასცა ბიძამისთან სტუმრად მოსული „ძია ჩარლი“. მიზეზი ის იყო, რომ ამან თითქოს რაღაც ისე ვერა თქვა და ისე ვერ მოექცა იმ ოჯახში, სადაც თავად ბ-ნ დგიმუაუგოთის დისწული ცხოვრობდა. როგორც ამბობენ, იმწუთას სამაგალითო იყო „ძია ჩარლის“ თავშეკავება და ქრისტიანული სათანობა, წამოდგა, ტანისამოსი გაისწორა, სამაგიეროს გადახდა არც კი უცდია. მხოლოდ წაიდუდუნა, სულ მალე ვინვენებო სეირს, რაიც ბუნებრივი და სრულიად მისატევებელი გამოხატულება გასლდათ მრისხანებისა და, ცხადია, ამ სიტყვების თქმა და დავიწყება ერთი იყო.

ასეა თუ ისე (ამ ამბავს ქვემოთე მონათსრობთან არაკითარი კავშირი არ აქვს), ის კია ცნობილი, ბ-ნ უსავარგოს დაჟინებით ბოლოს გადაწყვიტეს დაბის შემოგარენში გასვლა და-

კარგული ბ-ნ დგიმუაუგოთის მოსაძებნად. ხოლო როცა ეს გადაწყვიტეს, როცა ყველა მიხვდა, ძებნა აუცილებელიაო, ესეც თქვეს, უთუოდ უნდა დაიყონ მძებნელები, ანუ შემოგარენის უკეთ მოსაჩხრეკად ხალხი ჯგუფ-ჯგუფად უნდა წავიდესო. აღარ მახსოვს, როგორ და რა სიტყვებით, მაგრამ „ძია ჩარლიმ“ ბოლოს ბრძნულად დაასაბუთა ამ გეგმის ყოვლად უფარგისობა და ბ-ნ უსავარგოს გარდა ყველამაც დაუჯერა. დასასრულ დაადგინეს, მოქალაქეებს en masse-დ გულდასმითა და გამოწვლილვით დაეძებნათ ის არემიდამო თავად „ძია ჩარლის“ წინამძღოლობით.

მართლაც ვერც კი ინატრებდნენ „ძია ჩარლიზე“ უკეთეს მეთაურს. ყველამ იცოდა, ფოცხვერივით მახვილი თვალი რომ ჰქონდა ამ კაცს. ხალხი ჯერეთუნახავი ბილიკებით სად არ ატარა და რა გადაკარგული ორმოები და კუნჭულები არ მოაჩხრეკინა. და თუმცა თითქმის მთელი ერთი კვირა დღე დაღამე ეძებდნენ, ბ-ნ დგიმუაუგოთის ნაკვალევს მაინც ვერსად მიაგნეს. ნაკვალევს ვერ მიაგნეს-მეთქი რომ ვამბობ, არა მთლად ზუსტი ნათქვამი, რადგან რაღაც კვალი, ცხადია, იპოვეს. საბრალო ჯენტლმენს მართლაც დაეტოვებინა კვალი, მისი ცხენის ნაფესურმა (საგანგებო ნალებით რომ დაეჭედათ) ხალხი დაბის აღმოსავლეთით მიიყვანა, ასე, სამიოდე მილით დაცილებულ, ქალაქს მიმავალი შარაგზის ერთ ადგილას. მერმე აქ ნაკვალევმა გადაუხვია და ტყის ვიწრო ბილიკით ისევ დიდ გზაზე გამოვიდა, რამაც ჩვეულებრივი სავალი თითქმის ნახევარი მილით მოჭრა. კიდევ ქვემოთ რომ გაუყვნენ ნაფესურებს, ბილიკის ხელმარჯვნივ მაყვლის ბუჩქებში სანახევროდ ჩამალულ ტბორს მიაღწიეს, სადაც კვალი აღარ ჩანდა. მაგრამ კი ეტყობოდა, რომ აქ რაღაც ბრძოლა ყოფილა და კაცის სხეულზე დიდი და მძიმე რამ საგანი ბილიკიდან ტბორისკენ გადაეთრიათ. ტბორის ფსკერი საგულდაგულოდ ორგზის მოჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი ნახეს და ხალხს იმედი გადაეწურა. განგებამ თუ ჩააგონა ბ-ნი სულიკოთ, როცა თქვა, ტბორიდან წყალი სულ ამოვხაპოთო, რასაც სიხარულით დაეთანხმა „ძია ჩარლის“ სიბრძნისა და მიხვედრილობის მამკებარი ხალხი. ბევრს ნიჩბები წამოედო, ეგებ გვამის ამოთხრა დაგვეჭირდესო. ასე რომ, წყლის ამოხაპვა არ გაძნელებიათ;

ჯერ კიდევ სერიანად არც გამოჩენილიყო ფსკერი, რაჟ მლაპში იპოვეს შავი ხავერდის ჟილეტი, რომელიც თითქმის ყველამ ბ-ნ უსავარგოს კუთვნილებად შეიცნო. ჟილეტი სულ დაგლეჯილი და სისხლით მოთხვრილი იყო. რამდენიმე დასტურ გაიხსენა, ბ-ნი დგიმუაუგოთის ქალაქს გამგზავრების დასასწორედ ეს ჟილეტი ეცვათ ბ-ნ უსავარგოს. ზოგმა ესეც კი თქვა: თუ გინდათ დავიფიცებ, იმ ავბედითი განთიადის შემდეგ მთელი დღე არ გვინახავსო ბ-ნ უსავარგოს ტანზე ეს ჩასაცემელი, ხოლო ერთსაც არ უთქვამს, ბ-ნ დგიმუაუგოთის დაკარგვის მერმეც უტარებიათ ეს ჟილეტი ბ-ნ უ-ს.

ბ-ნ უსავარგოს საქმე ვერ იყო კარგად. ამას ისიც მოწმობდა, როცა ჩაეკითხნენ, თავს რითი იმართლებო, მკვდრისფერი დაედო, სმა ველარ ამოიღო. ცხადია, ამ ამბავმა უფრო დააეჭვა ხალხი. მაშინვე ბედის ანაბარად მიატოვა ბ-ნი უსავარგო იმ ორიოდე მეგობარმაც, ქეიფებსა და ღროსტარებაში გვერდიდან რომ არ შორდებოდნენ და კიდევაც აჯობეს ყვარილში ამ ბიჭის დიდი ხნის საცხადო მტრებს — იქაურობა აიკლეს, ახლავე უნდა დავიჭიროთო. ამ ამბის მერე კიდევ უფრო გაიბრწყინა ბ-ნ სულიკოუს სულგრძელობამ, რომელმათ თავი გამოიღო ბ-ნ უსავარგოს დასაცავად. და ფრიაკ გულიანი და მგზნებარე სიტყვა თქვა. არაერთგზის აღნიშნა, დიდი ხანია ნამდვილად დამავიწყდა და ვაპატიეოთ ამ ყრმა ჯენტლმენს, „პატივცემული ბ-ნ დგიმუაუგოთის მემკვიდრეს“, ის შეურაცყოფა, რაც მან (ყრმა ჯენტლმენმა) მომაყენა, რაღა თქმა უნდა, მრისხანებისგან ჭკუაშეშლილმა. სწორედ აგრე განაცხადა, მიმიტევებია მთელი სულითა და გულითა; თავად მას (ბ-ნ სულიკოუს) სრულიადაც არ სურს დამძიმება იმ ბრალდებისა, რაც, სამწუხაროდ, ბ-ნ უსავარგოს წინააღმდეგ აღიძრა და იგი (ბ-ნი სულიკოუ) თავის უბადრეკ მჭევრმეტყველებას არ დაიშურებს, ყველაფერს გააკეთებს რომ... რომ... რომ რამდენადმე მაინც, საკუთარ სინდისზე მიუმძლავრებლად სხვარიგად გააშუქოს ამ ბნელით მოცულ საქმის სამძიმო გარემოებანი.

ბ-ნი სულიკოუ ასე და ამგვარად ლაპარაკობდა მთელი ნახევარი საათი. და თუმცა კი მოიხვეჭა ბრძენი და თაფლიკაცია სახელი, მაგრამ ვაი რომ თავისი კეთილი გულით მისთანა კაი

ხალხი ხშირად გაებმება ხოლმე *contretemps*-ის<sup>1</sup> და *mal a proposisms*-ის<sup>2</sup> ხლართებში და მეგობრის საშველად დიდად მოწადინებულს, მისთვის ყოველგვარი სიკეთის მოსურნეს, ძალაუნებურად დახმარების მაგივრად ზიანი უფრო მოაქვს.

ახლაც ასე მოხდა „ძია ჩარლის“ მჭევრმეტყველების მიუხედავად; რადგან, მართალია, თავგადაკლული კი ცდილობდა ეჭვების გაფანტვას, მაგრამ როგორღაც თუ რაღაც მანქანები ი დამსწრეთა თვალში თავის გამოსაჩენად უნებლიეთ წარმოთქმულმა მისმა ყოველმა სიტყვამ ის თავდაპირველი ეჭვი და რისხვა უფრორე გაამრავლა ამ ყმაწვილისადმი და ჯავრით ააყაყანა ბრბო.

სიტყვით გამოსულის ერთ-ერთი საბედისწერო შეცდომა ის იყო, რომ წამოცდა, ეჭვიმიტანილი „პატივცემული მოხუცი ჯენტლმენის, ბ-ნ დგიმუაუგოთის მემკვიდრე გახლავთო“, მართლაც, აქამომდე ხალხს ეს არც მოჰგონებია. ისღა ახსოვდათ, რომ ერთი თუ ორი წლის წინ ბიძამისი (რომელსაც დისწულის გარდა სხვა ნათესავი არ ჰყავდა) დაემუქრა, სამემკვიდრეოს დაგიკარგავო, ასე რომ უკვე შესრულებული ეგონათ მუქარა — აი, ასეთი გულუბრყვილო ხალხი ცსოვრობდა რეტლობროში; მაგრამ „ძია ჩარლის“ უნებლიე სიტყვებმა ბრბო იმწამსვე ჩააფიქრა, სომ შეიძლება ზოგჯერ მექარა მუქარადვე დარჩესო. მაშინვე წამოიჭრა ბუნებრივი კითხვა: *cui bono?* — კითხვა, ჟილეტზე უფრო რომ ადანაშაულებდა ყმაწვილ კაცს. აქ კი, თქვენი ნებართვით, სწორედ რომ გამოგოთ, ორიოდე სიტყვას ვიტყვი აგრე მრავალგზის შეცდომით ნათარგმნი და გაგებული ზემოთ ხსენებული ამ სულ პატარა და უბრალო ლათინური ფრაზის გამო „*Qui bono?*“ ყველა მწერალს ყველა გახმაურებულ რომანსა თუ სხვა თხზულებაში, აი, თუნდაც ერთ მწერალ ქალს, ციტატები რომ მოჰყავს ქალდეურიდან მოყოლებული ჩიკასოს ტომის ენაზეც, ვისაც აუცილებლად მიაჩნია ბ-ნ ბეკფორდის ციტირება — აი, ამ ქალბატონ გორსაც („სესილის“ ავტორს), აგრეთვე ბულვერსა და დიკენსს, და კიდევ ბევრ სხვას და ბოლოს ქისისლალასა\*

<sup>1</sup> აქ: არასასურველი წვრილმანები (ფრანგ.).

<sup>2</sup> უადგილო განმარტებანი (ფრანგ.).

და აინსუორტს, ერთი სიტყვით ყველა ამ შემოქმედს, ვიმიერებ, თავის განმაურებულ რომანში ეს ორი ლათინური სიტყვა — cui bono — ასე აქვს განმარტებული: „რა მიზნით?“ ანდა (თითქოს ეს იყო quo bono) „რის გულისთვის?“ მაშინ როცა ამ სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობა ასეთია: „ვისდა სასიკეთოდ?“ cui — ვისდა, bono — შესარგოდ. წმინდა იურადიულია ეს სიტყვები, რომლებსაც ბ-ნ უსავარგოს საქმის მსგავს შემთხვევაში გამოიყენებენ, როდესაც ეჭვიმტანილი პირი კენება გამტყუნდება სავარაუდო სარგებლის არსებობის კვლობაზე და მას დამნაშავედ ცნობენ. ამჯერადაც ეს კითხვა — cui bono აშკარად ბრალს სდებდა ბ-ნ უსავარგოს. ბიძამისმა ჯერ სომ თავისი ქონება მას უანდერბა, მერმე დაემუქრა, დავსევო ანდერძის ქალაღდს, მაგრამ მუქარა არ შეუსრულებდა, როგორც ჩანს, ხელიც არ უსლია პირვანდელი საბუთითთვის. ანდერძი რომ შეიცვალა, მკვლელბის ერთადერთი საგულვებელი მიზეზი იქნებოდა ყმაწვილის ჩვეულებრივი შურისგების წყურვილი. მაგრამ ამ მიზეზის უკუგდება შეეძლო ასეთ მოსაზრებას: იქნებ, ბიძიას კვლავ წყალობის თვალთ შეესედა ძმისწულისთვის. სოლო თუ ანდერძი ხელუსლებული იყო და ბრალდებული შიშობდა, ვაითუ ბიძიამ ძველი ანდერძი გააუქმოსო, იმწამსვე გამომზეურდებოდა მხეცური მკვლელობის საფუძველი; სწორედ ასე დაასკვნეს გამქრიახმა და დიდად პატივცემულმა რეტლობოროელებმა.

ასე რომ, ბ-ნი უსავარგო აქვე დააპატიმრეს. იმ არემიდა მოს მცირეოდენი მოწხრეკის შემდგომ ხალხი ტუსადითური შინ წამოვიდა. მაგრამ გზად გადახდათ ერთი ამბავი, რამაც ეჭვი უფრო გაულრმავა ხალხს. თავგამოდებული ბ-ნი სულაკაუ, ცოტათი რომ უსწრებდა დანარჩენთ, უცებ რამდენიმე ნაბიჯით წინ გავარდა და ხალხმა დაინახა, როგორ აიღო ბალახიდან პატარა საგანი. ისიც შეამჩნიეს, ბ-ნმა სულიკოუმ მალაიდ რომ გადაავლო თვალი ნაპოვნს, პალტოს ჯიბეში მოინდლომა ჩაჩურთვა. მაგრამ ველარ მოასწრო, რადგან ხალხმა მოიბრინა. ესპანურ დანას მალავდა თურმე. ათიოდემ იმწუთას თქვა, ეს იარაღი ბ-ნ უსავარგოს ეკუთვნოდაო. ტარზე ამოჭრილი ინიციალებიც ამას ადასტურებდა. სისხლიანი და უბუდო ეგდო მიწაზე. დისწულის დანაშაული უკვე ყველას-

თვის ნათელი ვახდა და რეტლობოროში მისვლისთანავე გამოკ-  
ძიებულს მიჰგვარეს კიდევ.

ყმაწვილს აქ საქმე უფრო ცუდად წაუვიდა. პატიმარი რა-  
დაკითხეს, სად იყავი და რას იქმოდი ბ-ნ დგიმუაუგოთის და-  
კარგვის დილასო, ბ-ნმა უსავარგომ კადნიერად უპასუხა: იმ  
დროს თოფით ირემზე ვნადირობდიო ტბორის სიახლოვე ;  
სწორედ იქ, სადაც ბ-ნი სულიკოუს გონებაგახსნილობის წყა-  
ლობით სისხლით მოთხვრილი ჟილეტი იპოვეს.

ბ-ნი სულიკოუ გამოვიდა და, ცრემლმორეულმა, ჩვენებას  
მისაცემად სიტყვა მოითხოვა. ჩემი შემოქმედისა და ასევე ჩე-  
მი მოყვასის მოვალეობა მაღაპარაკებსო, ასე განაცხადა. ეს  
ყმაწვილი ძალიან უყვარდა (თუმცა იგი ბ-ნ სულიკოუს კარ-  
გად ვერ მოექცა), ამიტომაც რა არ იფიქრა, ოღონდ კი ბ-ნ  
უსავარგოს წინააღმდეგ მეტყველი დამაეჭვებელი გარემოება-  
ნი უკუეგდო. მაგრამ ახლა ყველაფერი მეტისმეტად ნათელია  
და სარწმუნო. რაღაი ბევრი ჭოჭმანი აღარ ეგების, იტყვის,  
რაც იცის, თუმცა მწუხარებისგან მისი (ბ-ნ სულიკოუს) გუ-  
ლი მთლად დაშანთულია. იმ ავბედითი დილის წინა საღამოს,  
ვიდრე ბ-ნი დგიმუაუგოთი ქალაქს გაემგზავრებოდა, ამ პა-  
ტივცემულმა მოხუცმა ჯენტლმენმა თავის დისწულს უთხრა  
მისი (ბ-ნ სულიკოუს) თანდასწრებით, სვალ ვაპირებო „სა-  
ფერმერო და მანქანა-იარელების ბანკში“ კარგა დიდი თანხის  
შეტანას. სწორედ მაშინ ბ-ნმა დგიმუაუგოთმა პირდაპირ  
უთხრა დისწულს, საბოლოოდ მაქვს გადაწყვეტილი, ჩემი ან-  
დერძი გავაუქმო და სულ უკაპიკოდ დაგაგდოო. ბრალდებულს  
მან (მოწმემ) საზეიმოდ მოუწოდა, აბა თქვი, ეს ჩემი (მოწმის)  
ჩვენება ძირითადად მართალია თუ არაათ მართალი, ყველას  
ვასაკვირად ბ-ნმა უსავარგომ პირდაპირ თქვა, — დიას, მარ-  
თალიათ.

მაშინ გამომძიებელმა იფიქრა, მოვალე ვართ და ორ კონ-  
სტებლს უბრძანა იმ ოთახის გაჩხრეკა, დისწულს რომ ეჭიზრა  
ბიძამისის სახლში. გაგზავნილები მალე მობრუნდნენ და ყვე-  
ლასთვის კარგად ნაცნობი, ფოლადის წვრილი სალტით შე-  
მოვლებული შინდისფერი ტყავის ქისა მოიტანეს, მრავალა  
წელიწადი რომ თან დაჰქონდა მოხუც ჯენტლმენს, მაგრამ  
ქისა ცარიელი იყო, ამოდ ჩაეკითხა გამომძიებელი ტუსაღს,



ზბა, მითხარი, სად დახარჯე ან სად გადამალე ეს ფულიო, მაგრამ ყმაწვილმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ფულზე არაფერი ვიცო. კონსტებლებმა ამ უბედურის ლეიბ-საბნის ქვეშ იპოვეს მისივე ინიციალებით დაქარგული პერანგი და ყელსახვევი, ორივე მსხვერპლის სისხლით მოთხვრილი.

ასე იყო ეს ამბავი, როცა მოიტანეს ცნობა, დაღუპული მოხუცი ჯენტლმენის დაჭრილი ცხენი ეს წუთია თავის თავ-ლაში მოკვდაო. ბ-ნმა სულიკოუმ განაცხადა, დაუყოვნებლივ უნდა მოვასდინოთ ცხოველის post-mortem<sup>1</sup> გაკვეთა, ეგებ ტყვია მოინახოსო. ასეც მოიქცნენ. თითქოს საბოლოო ეჭვების უკუსაგდებად ბ-ნმა სულიკოუმ მკერდის ღრუს საგულდაგულო გასინჯვის შემდეგ ნახა და ამოიღო უჩვეულო სიდიდის ტყვიის გულა, რომელიც, როგორც დაადგინეს, ბ-ნ უსავარგოს თოფით იყო ნასროლი. ასეთი თოფი არავის ჰქონდა იმ დაბასა თუ არემიდამოში, უფრო მეტიც, ტყვიას ზედ ეტყობოდა ნაკაწრი თუ ნახოკი, რაც შეჯერებისას ზუსტად დაემთხვა ჩვეულებრივ ნაჭდევს იმ თოფის ლულისას, რომელიც, როგორც განაცხადა ბ-ნმა უსავარგომ, მისი იყო. ტყვიის ნახვისა და შემოწმებისთანავე გამომძიებელმა აღარ მოისურვა ჩვენების ჩამორთმევა და პატიმრის საქმე მაშინვე გადასვა სასამართლოს. თავდებით მის განთავისუფლებაზე კრინტსაც ვინ დასპრავდა, თუმცა ასეთი გულქვაობა სასტიკად დაგმო ბ-ნმა სულიკოუმ და კიდევ გამოთქვა სურვილი ყმაწვილას თავდებით გამოსაყვანად შეეტანა ნებისმიერი თანხა. „ძია ჩარლის“ სულგრძელობა დიახაც შეეფერებოდა მის მადლიან და რაინდულ ხასიათს, რითაც რეტლბოროში ჩამოსვლისთანავე გამოირჩეოდა. ამ ღირსეულ კაცს ყმაწვილის დახსნა ისე უნდოდა, რომ თავისი ახალგაზრდა მეგობრისთვის სათავდებო თანხის შესატანად მომზადებულს, როგორც ჩანს, სრულიად დაავიწყდა, თავად მას (ბ-ნ სულიკოუს) სულს იქია რომ არაფერი ებადა.

შემდგომ რაც მოხდა, ადვილი მისასვედრია. მთელ რეტლბოროელებში გათათხულ-მოყივნებული ბ-ნი უსავარგო წარდგა სასამართლოს წინაშე. არაპირდაპირი სამხილები (ბ-ნ სულიკოუს წმინდა სინდისმა ბევრი დამატებითი გამამ-

<sup>1</sup> სიკვდილის მერმინდელი (ლათ.).

ტყუნებელი ფაქტი წარმოუჩინა ხალხს, ასე რომ ახლა ამ სამხილების უარყოფა აღარ იქნებოდა) ისეთი ნათელი და უთუო გამოდგა, რომ ჟიურიმ იმწუთას, იმწამსვე, მოუთათბირებლად გამოითანა ასეთი ვერდიქტი: „განზრახ მოუკლავს, დამნაშავეა“. მალე ამ უბედურ კაცისმკვლელს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს და გადააგზავნეს საოლქო საპყრობილეში, სადაც უნდა დალოდებოდა კანონის უწყალო შურისგებას.

ამის შემდგომ ღირსეული „ძია ჩარლი სულიკოუ“ პატივცემულ დაბელებს უფრო მეტად შეუყვარდათ, ათწილ უფრო-რე სანდომსაამური გახდა ეს კაცი მათთვის; და რაკილა ყველასთვის სასურველი სტუმარი იყო, ცხადია, თავადაც ნებაუნებურად უარი უნდა ეთქვა თავის წინანდელ სავაგლახა ხელმომჭირნობაზე. ასე რომ, ახლა ხშირად მართავდა შინ პატარა réunion-ს<sup>1</sup>, სადაც მართალია, კი ლაღობდნენ და ილხენდნენ.... მაგრამ ცოტათი მაინც დაღონდებოდნენ ხოლმე, როცა მოაგონდებოდათ ამ გულუსვი მასპინძლის აწ გამართირებული სათაყვანებელი მეგობრის დისწულის უბედურა და დღემოკლე ხვედრი.

ერთ მშვენიერ დღეს ერთობ გააოცა და თან გაახარა ეს დიდებული მოსუცი ჯენტლმენი ასეთმა ბარათმა:

შარლზ სულიკოუს, ესპვირს,

მოწყალო ხელმწიფავ, ჩვენი პატივცემული მუშტრის, ბ-6 ბარნაბას ღვიშაუბოთის ამ ორი თვის წინანდელ თხოვნას ვასრულებთ და დღეს დილით გიგზავნით დიდ ყუთ შატო-მარგოს. „ანტილოპია“ მარკისას, იისფარ გვიდიანს, ყუთის ნო-მერი და ნიშანი იხ. არაუბ.

პატივისცემით

თქვენი მონა მორჩილი ჟოსმენი, გომბეშოუ, ტავარნა და კო მალაჰი..., 18... წლის 21 ივნისი.

P. S. ყუთს მიიღებთ ამ ბარათის მოსვლის მიორე დღეს, ფურგონით. ბ-6 ღვიშაუბოთს ჩვენი კეთილი სურვილია.

ქ., ბ., ტ., კო.

რეაქციონერი

ჩარლზ სულიკოუს. მსგ. ქ., ბ., ტ. და კო. შატო-მარგ. ა - № 1. 6 დუჟ.

ბოთლ. (0,5 გროსი)

<sup>1</sup> აქ: წვეულება (ფრანგ.).

ცხადია, ბ-ნ სულიკოუს დაპირებული შატო-მარგოს სილვის იმედი გადაწუროდა ბ-ნ დემიუაუგოთის სიკვდილის შემდეგ. ჰოდა, განგების ხელი დაინახა ახლა ამ ამბავში. სისხრულით აღფრთოვანებულმა, რაღა თქმა უნდა, მეორე დღისთვის მეგობართავან ბევრი იწვია petit souper<sup>1</sup>-ზე კეთილი მოხუცი ჯენტლმენის საჩუქრის საგემებლად. მაგრამ დაპატიუებულებისთვის არ უთქვამს, „კეთილი მოხუცი ჯენტლმენის საჩუქარი“. დიდი ფიქრის შემდეგ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, რომ ამაზე სიტყვაც არ დაეძრა. მესხიერება თუ არ მღალატობს, ერთხელაც არ უხსენებია, შატო-მარგო ნაჩუქარი. უბრალოდ უთხრა მეგობრებს, მოდით და მშვენიერი, საამური ღვინო დავლით, თრიოდე თვის წინ რომ შევუკვეთე ქალაქში და ხვალ ჩამომივით. ხშირად მიფიქრია, „ძია ჩარლიმ“ რად არა თქვა-მეთქი, ეს ღვინო რომ მის მოხუც მეგობარს გამოეგზავნა, მაგრამ ვერა და ვერ ჩავწვდი ამ დუმილის მიზეზს, თუმცა უთუოდ დიდებული და მეტად ქველი რაღაც მოსაზრება ექნებოდა საფუძვლად.

ეს ხვალეც დადგა. ბ-ნ სულიკოუსთან დიდძალმა ღირსეულმა ხალხმა მოიყარა თავი. თითქმის ნახევარი დაბა მოვიდა. კარგა მოსალამოვებულები, „ძია ჩარლის“ სვავრიელი სუფრისთვის სტუმრებს უკვე პატივი მიეგოთ, მაგრამ შატო-მარგო კი ჯერ არსად ჩანდა და მასპინძელი დიდად სწუხდა. ბოლოს მოიტანეს ვეებერთელა ყუთი; გამსიარულდა ყველა, ისედაც დიდებულ განწყობაზე რომ იყვნენ და nem.com<sup>2</sup>. ასე დაადგინეს, ყუთი მაგიდაზე დავდგათ და ამწამსვე ვადინოთ ბდღვირი.

თქმა და ქმნა ერთი იყო. მეც გამოვიღე ხელი; არც ვაციეთ, არც ვაცხელეთ და ყუთი მაგიდაზე, ბოთლებსა და ჭიქებს შუა ჩავდგით. ბევრი ჭურჭელი დაილენა ამ ჭიდილში. „ძია ჩარლი“ მაგრად შეჭიკჭიკებულები, მთლად წამოჭარხლებული და სასაცილოდ გაფსორილი იდგა სუფრის თავში, დოქისთვის ხელი წამოევლო და გაშმაგებული ბაგაბუგი აეტეხა, გაპყვიროდა, წესრიგი დავიცვათ „ამ საუნჯის გახსნისას“ და ჰა, ბოლოს ყველა გაისუსა, როგორც მსგავს შემთხვე-

<sup>1</sup> მცირე ვასშამი (ფრანგ).

<sup>2</sup> ერთხმად nemine contradicente – (ლათ.).

ვებში ხდება ხოლმე, გამეფდა ღრმა და მრავლისმეტყველი ძღუემარება. სასურავის ასდა მე მთხოვეს და, რალა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით მივეცი დასტური. საკრისი რომ გავურჭე და ჩაქუჩი რამდენჯერმე ოდნავ დავკარ, უეცრივ აიხადა ყუთის სასურავი და იმავე წამს იქიდან, სწორედ მასპინძლის წინარე ამოიმართა ნაგვემი, გასისხლიანებული, თითქმის გახრწნილი გვამი თავად მოკლული ბ-ნ დგომუაუგოთა-სა. რამდენიმე წამს ბ-ნ სულიკოუს შეაჩერდა უსიცოცხლე, შესაბრალისი შექდაშრეტილი, შემპალი თვალებით; მერე ყრუდ, მაგრამ ცხადლივ გაისმა გულისმომწყველელი სიტყვები: „შენ ხარ კაცი იგი!“ შემდეგ კი, თითქოს საბოლოოდ გულმთხილით, ხელებგაშლილი სხეული კიდობნიდან მაგიდას გადმოაწყდა.

თუ რა მოხდა ამის მერე, ამას ვერა ენა ვერ აწერს. კარფანჯრებთან შემადრწუნებელი ჯგლეთა გაიმართა, ბევრ მიწიფულ ვაჟკაცსაც კი სული კოჭებში გაეპარა, მუხლთ მოეკვეთა. მაგრამ როცა პირვანდელი შიშის ზარი ჩაცხრა, ყველა შეაცქერდა ბ-ნ სულიკოუს. ას წლამდეც რომ მივატანო, რა დამავიწყებს ამ ცოტა ხნის უკან ლხენითა და ლხინით გადაჟღაჟებული კაცის სულთმობრძავივით საზაროდ დაღმეჭილ სახეს. რამდენიმე წუთს მარმარილოს ქანდაკებასავით გაქვა-ვებული იჯდა; ყოველგვარი გრძნობისგან დაცლილი თვალები თითქოს ჩაებრუნებინა თავისი ბოროტი სულის სამზერად. ბოლოს, უცებ, თითქოს მობრუნდა სააქაოს, სკამიდან წამოიჭრა, თავ-მკერდით მძიმედ დაემხო მაგიდაზე ბ-ნ დგომუაუგოთის გვამთან და ჭკუაარეულმა საჩქაროდ გვიამბო ის შემზარავი დანაშაული, რის გამოც ბ-ნი უსავარგო გამომწყვდიეს და სიკვდილი მიუსაჯეს.

და აი, რა გავიგეთ: თითქმის გუბემდე მიჰყოლია მსხვერპლს, ცხენისთვის დაუხლია დამბაჩა, ტარის დარტყმით მხედარი გაუთავებია, ცხენი, რომელიც მკვდარი ეგონა, დიდის ვაივაგლახით წყლისპირას, მაყვლის ბუჩქებში გადაუთრეგია, მერე საკუთარ ბედაურზე ბ-ნ დგომუაუგოთის გვამი დაუკრავს, ტყე-ტყე წამოუღია და ერთ მივარდნილ ადგილას ჩაუჩუმქრავს.

‘ ყილეტი, დანა, საფულე და ტყვია კი შურისსაგებად მიუ-

გდო ბ-ნ უსავარგოს; ისიც მოაწყო, რომ სისხლიანი ცხვირ-სახოცი და ყელსახვევი ამ ყმაწვილის სახლში ეპოვათ.

შესაზარელი აღსარების დასასრულს სისხლისგუდა ენას ძლივსლა იბრუნებდა, ხმაც დაკარგოდა, ჩვენება რომ მოათავა, მოსწყდა მაგიდას, გადმოქანდა და იქვე დაეცა უსულოდ.

ამ ფრიად დროული აღსარების ძალისძალად ამოგლეჯის ხერხი, მიუხედავად თავისი ქმედობაუნარიანობისა, მეტად უბრალო გახლდათ. ბ-ნ სულიკოუს ნამეტნავი პირისწყლიანობა არ მეჭაშნიკა და იმთავითვე დავეჭვდი. როცა ბ-ნმა უსავარგომ მუშტი უთავაზა, მე მის გვერდით ვიმყოფებოდი და მისი თვალების ბოროტმა, თუმცა წამიერმა გაკვესებამ დამარწმუნა, თავის მუქარას ეს კაცი უთუოდ აასრულებს-მეთქი. მაშასადამე კეთილი რეტლბოროელებისგან განსხვავებით უკვე შემზადებული ვიყავი სხვარიგად შემეხედა „ძია ჩარლის“ საქციელისთვის. თავიდანვე შევნიშნე, ყველა პირდაპირი თუ არაპირდაპირი სამხილი ამ კაციდან მოდიოდა, ხოლო ბ-ნ სულიკოუს მიერ ცხენის გვამში ნაპოვნმა ტყვიამ საბოლოოდ ამიხილა თვალი. რეტლბოროელების მსგავსად მე არ დამვიწყებია ცხოველის ორი ნაჭრილობევი — სადაც მოხვდა ტყვია და საიდანაც გასხლტა. ხოდა, რაკილა ტყვია ცხენის სიკვდილის შემდეგ იპოვეს, მაშინ სწორედ მისი დამმაღავა იქნებოდა მისი მპოვნელი. ტყვიის შემდეგ სისხლიანმა ცხვირ-სახოცმა და ყელსახვევმა კიდევ უფრო დამარწმუნა ჩემს ვარაუდებში, რადგან შემოწმებისას სისხლი დიდებული წითელი ღვინო აღმოჩნდა და სხვა არაფერი. ამ ამბებმა, აგრეთვე უკანასკნელ ხანებში ბ-ნ სულიკოუს ხელგაშლილობამ და დიდმა ხარჯებმა უფრო მეტად გამიღვივა ეჭვი და თუმცა არავისთვის გამიმხელია, მაინც ოდნავადაც არ შემიმცირდა.

ამავე დროს სრულიად საიდუმლოდ დავიწყე ბ-ნ დგიმუა-უგოთის ნეშტის ძებნა და, რალა თქმა უნდა, ვეძებდი იმ ადგილებიდან შორს, სადაც ბ-ნ სულიკოუს ხალხი დაჰყავდა. რამდენიმე დღის შემდეგ გადავაწყდი კიდევ მაყვლის ბუჩქებში თითქმის სულ ჩამალულ ძველ გამშრალ ჭას, რომლის ფსკერზე ვიპოვე ის, რასაც ვეძებდი.

ისე მოხდა, რომ შემთხვევით შევესწარი ორი ძმაკაცის

საუბარს, როცა ბ-ნმა სულიკოუმ დაპირება დასტყუა მასპინ-  
ძელს და სანუქრად მოელოდა ერთ ყუთ შატო-მარგოს. სწო-  
რედ ეს დაპირება გამოვიყენე. ვიშოვე ვეშაპის უღვაში, ყელ-  
ში ჩავუყარე ბ-ნ დგიმუაუგოთის ნეშტს და აგრე რიგად ჩავ-  
დევი ძველ საღვინე ყუთში. ვეშაპის უღვაშის გამართვისას  
ისიც უნდა გამართულიყო. მერმე ყუთის სახურავი ძლიერ-  
ძლივობით დავხურე და სანამ ლურსმნით დავჭედავდი, ხელი  
არ ამიშვია: ასე რომ, რალა თქმა უნდა, როგორც კი ყუთა  
აიხდებოდა, გვამიც წამოიწევდა.

მერე ყუთი მოვნიშნე, დავნომრე და უკვე იცით, ზედ რა  
მისამართი წავაწერე. შემდეგ ბ-ნი დგიმუაუგოთის ნაცნობი  
ღვინის ვაჭრების სახელით წერილი დავწერე და მსახურიც  
დავარიგე, რომ ჩემს ნიშანზე მოეყენებინა ეს ყუთი ბ-ნ სუ-  
ლიკოუს კარწინ. ხოლო ის სიტყვები რომ წარმოთქვა ნეშტ-  
მა, ეს მე ვიყავი, რაკილა კარგად მომდგამდა მუცელმოგვი\*  
კაცის ნიჭი, სწორედ ამ ხერხის იმედი მქონდა, კაცისმკვლელს  
აღსარებას წამოვაცდენინებ-მეთქი.

მეტი აღარაფერი დამრჩა სათქმელი. ბ-ნი უსავარგო იმ  
ღამითვე გაათავისუფლეს, მემკვიდრეობად მიიღო ბიძამისას  
სარჩო-საბადებელი, ამ მწარე გაკვეთილის შემდეგ ახალ ცხოვ-  
რებას მიჰყო ხელი და მას აქეთ ბედი არასოდეს შემოსწყრო-  
მია.

## უილიამ უილსონი

ამაზე რალა ითქმის? რას მეტყვის სინდისი,  
ჩემს გზაზე მდგომი მრისხანე ანრლილი?

უ. ჩემპერლენი. „ფარონილა“.

თქვენი ნებართვით, უილიამ უილსონს ვუწოდებ ასლა  
თავს. წინარე გაშლილი სუფთა ქალღმერთი ნამდვილი სახელი  
არ მინდა დავსვარო. ჩემს საგვარეულოს ისედაც ყოველ  
წუთს ზარავდა ჩემი სახელი და ნიადაგ სიბუღვილითა და

წყევლა-შეჩვენებით მისხენიებდნენ. დედამიწის უშორეს კუთხეებსაც ხომ არ მოსდეს მძვინვარე ქარებმა ჩემი უმაგალითო სიბილწის ამბავი? ჰოი, მთლად მოკვეთილო, უბილწესო ბილწთა შორის! განა მკვდრადშობილი არ ხარ ამ სოფლისთვის? მის პატივს, მის ყვავილებს, მის სხივთა მთოველ სიამეთ მოკლებული? ღრუბელი განუჭვრეტელი და უკიდვანო სამარადჟამოდ ხომ არ ჩადგა შენს სასოებასა და ზეცას შუა?

რომც შემძლებოდა, აქ და დღეს არ შევუდგებოდი ჩემი ცხოვრების უკანასკნელი წლების ენით უთქმელი უკუღმართობისა და მიუტყევებელი ცოდვების აღწერას. ამ ბოლო დროისე ღრმად და ღრმად ჩავიფალ ბიწიერების ჭაობში, რომ დღეიდან ერთი მიზანი მაქვს — მხოლოდ მის სათავეზე გიამბობთ. კაცი ბიწიერებას ჩვეულებრივ თანდათან ეჩვევა ხოლმე, მე კი ქუდივით უმალ გადამძვრა მადლი. შედარებით პატარა ცოდვებიდან გოლიათური ნაბიჯებით მივალწიე იმას, რომ ჰელიოჰაბალუსის საკადრისი დიდი ცოდვა დამედო. რა შემთხვევამ ან რა ძალამ ჩამადენინა ეს ყველაფერი? გთხოვთ მომისმინოთ. აღსასრული მიასლოვდება და სულს დამეფინა მისი წინამორბედი ჩრდილი. ბნელ ველზე მიმავალს მოყვასის თანაგრძნობა მჭირდება, კინალამ წამომცდა — შებრალებამეთქი. მინდა დავაჯერო ჩემი მოყვასი — კაცის უნებური რამ ძალის მსხვერპლი ვიყავი და მსურს აქ გამოწვლილვით ნაამბობი ჩემი უბედურების მიზეზად ბედისწერა მიიჩნიონ — რაღაც პატარა ოაზისი ცთომილებათა უდაბნოში. დაე აღიარონ, შეუძლებელია არ აღიარონ — თუმცა საცდური შეიძლება ადრეც მრავალი იყო, მაგრამ არასოდეს ასერიგად არ უმოქმედია კაცზე და, რაღა თქმა უნდა, ასერიგად არავინ დაცემულა და სული არ წაუწყმედია. იქნებ, ამიტომ არც არავინ გატანჯულა ესოდენ? განა მე მართლაც სიზმარში არ ვიყავი? განა ახლა არ ვკვდები საშინელებისა და შეუცნობლის მსხვერპლი, მსხვერპლი უსაზარლესი ზმანებისა მთვარისქვეშეთში?

ჩემი ჩამომავლობა იმ გვარისაა, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა სიფიცხითა და მგრძნობიარობით. ყრმობის წლებიდანვე მივხვდი: სრულად გამომყოლოდა მემკვიდრე-

ობითი ნიშნები. გადიოდა ხანი, სსენებული ნაკლი უფრო და უფრო მიმტკიცდებოდა და ეს ამბავი მრავალი მიზეზის გამო მეტად აშფოთებდა ჩემს მეგობრებს, თვად მე კი ძალიან მკნებდა. ერთობ უნიანი, თავისნება, თავგასული, დაუოკებელ ვნებათა მონა შევიქენი. მშობლებიც ჩემნაირივე ნიშნით იყვნენ ცხებული. ამ უნებისყოფთ ადამიანებს ველარ მოეთოკათ ბოროტებისადმი ჩემი ლტოლვა. მათი უძალე და მოუქნელ მცდელობა მათივე სრული მარცხით და, რაღა თქმა უნდა, ჩემი სრული გამარჯვებით დასრულდა. ამის შემდეგ ჩვენს ოჯახში კანონად იქცა ყოველი ჩემი სიტყვა და იმ ასაკიდანვე, როცა ბაღს ჯერ კიდევ ჩვეულებრივ დედის ხსენი არ შემორობია პირზე, მხოლოდ საკუთარი გულის წადილს ვისრულებდი, ჩემს ნებაზე ვიქცეოდი.

ინგლისის ერთ ნისლიან-ბურუსიან სოფელთან, ელისაბედ დედოფლის დროინდელ დიდ და უღაზათო შენობასთანაა დაკავშირებული ჩემი ადრინდელი მოგონებები. ვეება დაკორძილ ხეებს გაედგა აქ ფესვები, სიბველე მორეოდაა. სახლებს. ეს ძველი, ღირსსაცოდნელი დაბა ზღაპრული, მყუდრო და უშფოთველი ადგილი იყო. ვწერ ამ სიტყვებს და ნათლად ვგრძნობ მისი ჩრდილოვანი ბილიკების საამურ გრძილოსა და მისი ყვავილოვანი ბუჩქნარის სურნელს. ცის კარი გადამეხსნება ხოლმე, როცა ხანდახან ბინდსა და მდუმარებაში ჩაფლული გოტიკურჩუქურთმიანი სამრეკლოდან მესმის ვარემოს შემანქვიფებელი ჩუმი გუგუნი.

გულსა და სულს მესალბუნება — რამდენადაც შემრჩენია ამისი უნარი — სკოლის დღეებისა და მასთან შერთული ყოველი წვრილმანის მოგონება. სატანჯველში, ვაგლახმე, უცილობელ სატანჯველში ჩავარდნილს მომეტევება შემთხვევითი და უთავბოლო წვრილმანი ამბების მოხსრეკით თუნდაც წამიერი შვების მოპოვების სურვილი. განა რამეთი გამოიჩნეოდნენ ეს წვრილმანი ამბები, ალბათ სიცილადაც არ ეყოფოდა ვინმეს, თუმცა ჩემს მოგონებაში მათ აქვთ მსწრაფლწრმავეალი, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაკილა უკავშირდება იმ დროსა და იმ ადგილს, საიდანაც აგორდა ბედისწერის ის ბორბალი, რომელმაც შემდეგ მთლად ჩამითრია. აჰა ის, რაც გამახსენდა.



როგორც მოგახსენეთ, შენობა ძველი და უშნოდ ნაგები იყო. დიდი ეზო ყოველი მხრიდან აგურის ფართო, მაღალი კედლით შემოეზღუდათ. კედლის თავანი კირით მოეთეთრებინათ და შუშის ნატეხებით მოეფინათ. ჩვენს სამყოფელს ცისკრავით შემორკალდა გალავანი: კვირაში სამჯერ შეგვეძლო ეზოდან გასვლა — შაბათს, ნაშუადღევს, ორი ზედამხედველის თავდგომობით მცირე ხნით მივდიოდით შემოგარენის მინდვრებში სასეირნოდ, და კვირადღით ორჯერ — მწკრივად დაწყობილნი მივემართებოდით ცისკრისა და მწუხრის წირვაზე სოფლის საყდარში. ამ საყდრის წიხაიღვსადაც ყოველ კვირას აკოლის თავი. რა გოცებულნი და შეცბუნებული შევეყურებდით სოლმე საქორალოდან, როცა იგი ნელი და საზეიმო ნაბიჯით ადიოდა კათედრაზე! სიკეთე და თავმდაბლობა დაფენოდა ამ დროს სახეზე ღირსეულ მოძღვარს, საკვირაო, ფოფინა საზეიმო სამოსელი ერთთავად უბრჭყვიალებდა და ეხურა უხვად პუდრმოფრქვეული პარიკი. ნუთუ ეს ის კაცი გახლდათ, ვინც მერე, სახეჩამომტირალი და გაავებული, სასწავლებლის საზარელი კანონების ძალით იქმნოდა სამართალსა და სასჯელს? ჰოი, განუზომელო პარადოქსო, გასაგებად მეტად შემზარავო!

დიდი კარიბჭე იბღვირებოდა ვეებერთელა ზღუდეთა კუთხიდან, მოჭედილი რკინის კოპებითა და რკინისავე წვეტებით. რა თავმოდრეკილი, რა შეშინებული ვჭკრეტდით მას! კარიბჭე, როგორც მოგახსენეთ, კვირაში მხოლოდ სამჯერ განიხვნებოდა; და ამ დროს ანჯამების ღრჭიალში მრავალსახა იდუმალების მოხილვა შეიძლებოდა, აგრეთვე უამრავი საბაბის მიკვლევა ნაღვლიანი სიტყვისა და ნაღვლიანი ფიქრისთვის.

ეზოს ეს დიდი ზღუდე უსწოროდ იყო ნაგები. სათამაშოდ შიგ სამი თუ ოთხი საკმაოდ მოზრდილი, მოხრეშილი და მოსწორებული მოედანი მოეწყობოდა. კარგად მახსოვს, იქ არც ძელსკამი იდგა, არც ხე და არც არაფერი. რაღა თქმა უნდა, მოედნები შენობის უკან გაემართათ. წინ კი გაეშენებინათ მარადმწვანე ბუხები, მრავალნაირი ბუჩქები და ყვავილნარი. მაგრამ სულ რამდენჯერმე თუ გაგვივლია ამ ნაკრძალში: ერთხელ მაშინ, სკოლაში პირველად რომ შევდგით ფეხი, მეორედ სკოლის დამთავრებისას და კიდევ იმ დროს, მშობლე-

ბი ან მეგობრები რომ გვესტუმრებოდნენ და გახარებულნი საახალწლო ან საბაფხულო არდადეგებზე შინ მივეშურებოდით ხოლმე.

ჰოი, რა ძველი, რა საკვირველი შენობა იყო ეს ჩვენი სკოლა! ჩემთვის მართლაცდა მოჯადოებული სასახლე! ბოლოს ვერ უნახავდა კაცი იმის მიხვეუდ მოხვეუდ ტალანებს, მოულოდნელ პატარ-პატარა დერეფნებს. შენობა ორსართულიანი იყო, მაგრამ კაცს მაინც გაუჭირდებოდა ეთქვა, რომელზე იყოფებოდა იმ წუთას. ერთი ოთახიდან მეორეში შესასვლელად სამი-ოთხი საფეხური უნდა აგველო ან ჩაგველო. იმდენი დერეფანი და მოსახვევი შეგსვდებოდა ყოველ ნაბიჯზე. რომ დიდი მცდელობის მიუხედავად ოთახების ზუსტი განლაგების დადგენა ისევე შეუძლებელი იყო, როგორც უსასრულობის მოხილვა. სკოლაში ყოფნის ხუთი წლის მანძილზე ისიც კი ვერ მოვახერხე, სწორად ამომეცნო: სად, რომელ კუთხეში მიგვიჩინეს საძინებელი ადგილი მე და ჩემს ამხანაგებს — თვრამეტ თუ ოც მოწაფეს.

ჩვენი სამეცადინო დარბაზი ყველაზე დიდი იყო ამ შენობაში და, როგორც იმხანად მეგონა, მთელ ქვეყნიერებაზეც. ამ წაგრძელებულ პალატს ჰქონდა ვიწრო, სულის შემხუთავად დაბალი მუხის ჭერი და გოტიკურ ყაიდაზე წაწვეტებული სარკმლები. მის შორეულ, შემზარავ კუთხეში გამოეყოთ რვა-ათი ფუტის ოდენა სამყოფი, იმ სკოლის უფროსის — ღირსი დოქტორ ბრენსბის *sanctum*<sup>1</sup> ადგილი. კედლებში მთლიანი, მძიმე კარი დაეტანებინათ. ჩვენი *dominie*<sup>2</sup>-ს იქ არყოფნისას მის გაღებას *peine forte et dure*<sup>3</sup>-ით სიკვდილი გვერჩინა. ასევე სხვა კუთხეებსაც ნახავდით აქ, იმ პირველთან შედარებით ნაკლებ მოსარიდებელს, მაგრამ მაინც ზარდამცემ ადგილებს. ერთში „კლასიკურის“ კათედრა იმყოფებოდა, ერთიც „ინგლისურსა და მათემატიკას“ დაეკავებინა. სამეცადინო ოთახის მთელ სიგრძე-სიგანეზე უამრავი ჩაშავებული, დაძველებული, ჭიისგან დაფუტუროებული სკამი და მერხი მიმოფანტულიყო და ზედ წიგნები მიეყარ-მოეყარათ. ათას-

1 წმიდათაწმინდა (ლათ.).

2 ბატონი (ლათ.).

3 ძლიერი და ხანგრძლივი წამებით (ფრანგ.).

ნაირი ინიციალებით, სასელებითა და უცნაური ფიგურებით დაკაწრულ სკამ-მერხებს ადრინდელი პეწი გასცლოდათ. ოთახის ერთ ბოლოში წყლიანი ვედრო იდგა, მეორეში — ვეებერთელა საათი.

ჩემი ცხოვრების მესამე სუთწლეული მოწყენისა და ზიზლის გარეშე გავატარე ღირსსახსოვარო სასწავლებლის ჭერქვეშ. ბავშვის გონება საზრდოდ არ საჭიროებს გარესამყაროს გასაოცარ ამბებსა და გასართობებს; ჩემი სკოლამდელი ყოფის აშკარა ერთფეროვნება უფრო სავსე და გაჯერებულა იყო მძაფრი მღელვარებით, ვიდრე ამას შემდეგ, ყმაწვილკაცობის დროინდელ ფუფუნებაში ვპოულობდი, ხოლო შედარებით გვიან — მძიმე ცოდვებში. და მაინც, ეტყობა, იმთავითვე ბევრი უცნაურობა მომდგამდა, ასე განსაჯეთ — *outré-ც*<sup>1</sup> კი. მოწიფულ ასაკში ყრმობის წლებიდან იშვიათად თუ გამმოჰყვება კაცს გარკვეული შთაბეჭდილებანი, ბუნდოვანი რამ ჩრდილიდა რჩება — მცირე სიამეთა და ენით უთქმელ სატანჯველთა სუსტი, აწეწილ-დაწეწილი მოგონებები. მე არ ვიყავი ასეთი. ალბათ ბავშვობიდანვე ვაჟკაცურ ძალას ვგრძნობდი, რაკილა ჩემი მაშინდელი ცხოვრების ამბები ისე მკაფიოდ, ღრმად და ცოცხლად მაქვს ჩაჭდეული მესხიერებაში, როგორც *exergues*<sup>2</sup> კართაგენულ მედლებს.

მართალიცაა ეს საყოველთაო აზრი, თავისი ყრმობის ხანისა კაცს ცოტადა აქვს მოსაგონარი! დილით გაღვიძება, საღამოს ძილი, გაკვეთილების ზუთხვა, გამოკითხვა, სადღესასწაულო დღეები, ხეტიალი, სათამაშო მოედანი, იქ დაკადაკა, სეირის ყურება, ბუტვა და ზაკვა. ყველაფერ ამას, მრავალი ჯამით დაფარულს, წარმოსახვის ჯადოსნურობის კვალობაზე თან სდევდა ზღვა გრძნობები, საარაკო თავგადასავლები, განცდების მთელი სამყარო და სულის დამმონებელი უსაზომო ვებები. *Oh, le bon temps, que ce siècle de fer!*<sup>3</sup>

მართლაც, გულფიცხოვამ, გრძნობიერებამ და მბრძანებ-

1 არაბუნებრივი (ფრანგ.).

2 წარწერები (ფრანგ.).

3 პოი, რა კარგი ხანაა ეს რკინის საუკუნე! (ფრანგ.).

ლობამ მალე გამომარჩიეს თანაკლასელებში და თანდათან, მიუძალებლად, ამ ზნე-სასიათის გამო ყველა დამმორჩილდა, ჩემზე ცოტა უფროსებიც კი, გარდა ერთისა. ეს იყო ჩემი გვარისა და სახელის მოზიარე ბიჭი — არაფერს ნიშნავდა ეს ამბავი. რაკილა, თუმც მალალ წრეს ვეკუთვნოდით, ეს უბრალო გვარი ოდითგანვე მღაბითთა გვარი იყო. სწორედ ამიტომ დავირქვი ასლა უილიამ უილსონი, ნამდვილისგან მცირეოდნავად განსხვავებული სახელი. მხოლოდ ჩემი სეხნია მიბედავდა მეტოქეობას სწავლაში, თამაშსა და ჩხუბში (მათ შორის, ვინც, როგორც მაშინ ვიტყოდით სოლმე. „ჩვენს მარაქაში“ გადიოდა, მხოლოდ ის ბედავდა ეჭვით მოჰკიდებოდა ჩემს სიტყვას, წინაღობოდა ჩემს სურვილსა და ჩემს ყოველ უდიერ საქმეს. მთელ ქვეყანაზე თუკია დიდზე დიდი და შეუზღუდავი ძალაუფლება, ეს არის ბიჭობის წლებში ერთი ბატონობა მეორეზე. იმაზე, ვინც შედარებით დამყოლია და სუსტი.

უილსონის ამბოსნა უფრო იმიტომ ამიბნია თავგზა, რომ, თუმც ხალხის თვალწინ ვყოყლოჩინობდი ამ ბიჭთან, მაგრამ ჩუმად მაინც მეშინოდა მისი. ასე ვფიქრობდი, რაკილა ასე ადვილად შეუძლია ჩემთან გატოლება, ეს ამბავი მის ეჭვიმიუტანელ უპირატესობას მოასწავებს-მეთქი. მართლაც მხოლოდ და მხოლოდ გაუთავებელი ბრძოლის შედეგად ვერ ეჯობნა ჩემთვის. მაგრამ რაღაც აუხსნელი სიბეცის გამო ვერავინ ამჩნევდა მის ამ უპირატესობას ან თუგინდ გატოლებას. სინამდვილეში მისი ქიშობა და განსაკუთრებით მისი კადნიერი ჟინიანობა, როგორმე ჩემთვის ხელი შეეშალა გულისწიდილის შესრულებაში, ფარული იყო, თუმცალა უცილობელი. ამავე დროს თითქოს სრულიად არ მოსდგამდა ის პატივმოყვარეობა, რაც მე მამომძრავებდა და ის სიფიცხე, რიოაც აგრე ვიყავი გამორჩეული სხვებში. კაცს შეიძლება ეფიქრა, ამ მეტოქეობას ერთი ნიშანი ეცხო: წინააღმდეგობა გაეწია ჩემთვის, დავეჩაგრე ან დავემცირებინე; თუმცა სანდახან გაოცებულნი, გაჯავრებული და შეურაცხყოფილი ვამჩნევდი, კამათისას რომ დამცინოდა თუ გულს მიკლავდა, სულ მუდამ ეტყობოდა ცხადი და ფრიად შეუსაბამო გულითადობა. ჩემი აზრით, წმინდა წყლის თავდაჯერებულობით გამოწვეულ ამ

მის გაუგებარ საქციელს მდაბიური მზრუნველობისა და ქი-  
მაგობის ელფერი დაჰკრავდა.

ამ ამბავმა და კიდევ იმ გარემოებამ, რომ გვარი ერთი  
გვქონდა და განგების ნებით სკოლაში ერთ დღეს მოვედი, აფიქრებინა უფროსკლასელებს, ესენი უთუოდ ძმები არიანო. უკვე ვთქვი ან აღრევე უნდა მეთქვა, უილსონი არაფრით მე-  
ნათესავებოდა. ძმები რომ ვყოფილიყავით, რაღა თქმა უნდა, უსათუოდ ტყუპები ვიქნებოდით, რადგან ბატონ ბრენსბის და-  
წესებულება რომ დავტოვე, მაშინლა გავიგე შემთხვევით, ჩე-  
მი სესნია 1809 წლის ცხრამეტ იანვარს დაბადებულა, რამ-  
დენადმე საყურადღებო თანხვდომილება — თურმე იმავე დღეს  
ამ ქვეყანაზე მეც გავჩენილვარ.

იქნებ, უცნაურიც იყო, რომ უილსონის გაუთავებელი ჩე-  
მი ჭიდილისა და ნიადაგ შემაწუხარი მეტოქეობის მიუხედა-  
ვად, მაინც ვერ შევიძულე ეს ბიჭი საბოლოოდ. თითქმის ყო-  
ველდღე ვჩხუბობდით და როცა საჯაროდ პირველობის ალაშს  
დამითმობდა, კიდევაც მაგრძნობინებდა, წესით იგი მე მე-  
კუთვნისო. და მაინც ჩემი მზვაობარი ბუნება და მისი ალალი  
ღირსება ხელს უწყობდა ჩვენ შორის, როგორც იტყვიან, „სა-  
ერთო ენის“ გმონახვას. ამავე დროს ზნე-ხასიათით ერთმა-  
ნეთს დიდად ვგავდით და ხშირად მიფიქრია, ჩვენი უჩვეულო  
მდგომარეობა რომ არა, ვინ იცის, იქნებ, მეგობრებიც ვყო-  
ფილიყავით-მეთქი. მართლაცდა ძნელია განსაზღვრა ან თუნ-  
დაც აღწერა იმ გრძნობისა, მისადმი რომ განვიცდიდი. ნაირ-  
ფერ გრძნობათა ნაზავი იყო ეს — ერთწილ გარჯლებული  
მტრობა, ჯერ კიდევ სიძულვილში გადაუსვლელი; ერთწილ  
კრძალვა-მოწიწება, უფრო მეტი პატივისცემა, უსაზმო შიში  
და მოზღვავებული ცნობისწადილი. მორალის მქადაგებელმა  
კაცმა სჯობს ისიც გაიგოს, სულ ერთად ვიყავით უილ-  
სონი და მე.

ეჭვი არაა, სწორედ ჩვენი უჩვეულო დამოკიდებულება გა-  
ნაპირობებდა, რომ ამ ბიჭის საწინააღმდეგო ჩემი ყოველი  
გამოხდომა (ვინლა მოთვლის, რამდენი შეფარული თუ აშ-  
კარა) უფრო ქილიკობა და ღლაბუცი ჩანდა (ვითომცდა თა-  
ვის შესაქცევი, მაგრამ სინამდვილეში მეტად ღვარძლიანი),  
ვინემ ნაღვილი და საცხადო შულლი. მაგრამ ამ მხრივ ჩემს

თუნდაც ფრიად მახვილგონივრულად მოფიქრებულ ცდებს ყოველთვის როდი გაუმარჯვია, რადგან ჩემი სეხნია ისეთი თავშეკავებული და თავმდაბალი იყო, რომ აქილევსის ქუსლს ვერ უპოვიდა კაცი და მისი ხუმრობა სულ მუდამ გულში მოგხედებოდათ, ხოლო თავად დაცინვის საგნად არავის გაუხდებოდა. უილსონის ნაკლი ესლა იყო — რაღაც დაავადებით გამოწვეული ზადი ჰქონდა და ამით ჩიხში მომწყვდიელი ჩემნაირი კაცი თუ ისარგებლებდა. ჩემს მეტოქეს წართმეოდა ჩვეულებრივი მეტყველების უნარი, ხმამაღლა ვერაფერს ამბობდა, ძლივს გასაგონად ჩურჩულებდა. და საქმე საქმეზე როცა მიდგებოდა, მისი ამ მცირე ნაკლოვანებით სულ ვსარგებლობდი.

უილსონიც მრავლად მიზღავდა სამაგიეროს; ერთი ისე კარგად მოეფიქრებინა, რომ უზომოდ გულს მიწვრილებდა. ვფიქრობ და ვერ გამომიცვნია, პირველად როდის მიხვდა, ასეთი პატარა რამე რომ მოთმინებას მაკარგვინებდა. მაგრამ მიხვდა კია და ანწუხზეც მაგებდა. ჩემი ჩვეულებრივი, სულ უბრალო გვარი, მდაბიურიო, რომ არა ვთქვათ, ნიადაგ მეთაქილებოდა, მისი გაგონება გულს მიკლავდა; და როცა სკოლაში მისვლისთანავე მეორე უილიამ უილსონიც გამოჩნდა, იმ წუთას წამოვენთე რისხვით: ამ გვარის ვიღაც ყოფილა აქ და მისი გაგონება ორჯერ მეტად მომიხდება-მეთქი, ამიტომ იგი ორჯერ მეტად შემძაგდა; ესეც გავიფიქრე, ამ გვარის ბიჭი თვალთაგან აღარ მომშორდება და ჩვეულებრივ სასკოლო ცხოვრებაში მის სიტყვასა და საქმეს ამ ბედითი თანსვდომილების გამო ჩემს სიტყვასა და საქმეში აურევენ-მეთქი.

ყოველი შემთხვევა ნათლად წარმომიჩინდა სოლმე ჩემსა და იმ ბიჭს შორის სულიერ თუ გარეგნულ მსგავსებას. ამის კვალობაზე მიძლიერდებოდა აგრე გულის მომწყველელად ჩაბუდებული ზემონასხენები გრძნობა. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი ის საგულისხმო ამბავი, რომ ჩემი კბილა იყო; მაგრამ ვხედავდი, სიმაღლე ერთი გვქონდა და იმასაც ვამჩნევდი, ერთმანეთს საოცრად ვგავდით სახის ნაკვთებითა და აღნაგობით. თანაც გულს მიმღვრევდა უფროსკლასელებში დარჩეული ხმაც, თითქოსდა ის ჩემი ნათესავი იყო. ერთი სიტყვით, ისე არაფერი მაშფოთებდა (რასაც საგულდაგულოდ ვმა-

ლავდი), როგორც ვინმეს ნათქვამი: რა ძალიან ჰგვანანო ერთმანეთს. მაგრამ უნდა გითხრათ, არ გამიგია, ეს მსგავსება (ხმები მხოლოდ ჩვენს ნათესაობაზე დადიოდა და ამაში უილსონს მიუძღვოდა წვლილი) თანაკლასელებს შეემჩნიათ და სალაპარაკოდ გაეხადათ. მაგრამ თავად კი ამას მშვენივრად ხედავდა, ცხადია, ჩემსავით. ამასთან ყოველ წვრილმანში ბევრ გასაცინარ-გასაქირდავს აღმოაჩენდა, რაც მოწმობდა, როგორც მოგახსენეთ, მის გასაოცარ გამჭრიახობას.

უილსონს მიზნად დაესახა გამოწვლილვით მოებაა ჩემთვის გამოთქმასა და მიხრა-მოსრაში და კიდევაც მიაღწია სრულ მსგავსებას. ჩემი ჩაცმულობის გადაღებას რა დაუშლიდა: ჩემი სიარული და თავის დაჭერაც სულ ადვილად შეითვისა; ზემოთ ხსენებული იმ ბუნებრივი ზადის მიუხედავად კარგადაც ახერხებდა ჩემი ხმის მიმსგავსებას. რაღა თქმა უნდა, ხმამაღალი საუბარი არ შეეძლო, მაგრამ გამოთქმა აგივე ჰქონდა; და სწორედ რომ ჩემი ხმის ექო გასდა მისი თავისებური ჩურჩული.

თუ რა შემაწუხარი გამხდარიყო ჩემთვის ეს წაბაძვა (რომლის კარიკატურად მიჩნევა შეუძლებელი იყო), ახლა აღარ გეტყვით. გულს ერთი გარემოება მიფონავდა — მხოლოდ მე ვამჩნევდი ამ წაბაძულობას და, როგორც ჩანს, მხოლოდ მე მისდებოდა ჩემი სეხნიის იქედნური ღიმილის მოთმენა. საწადელის მიღწევით ფრიად კმაყოფილს, თითქოს უხაროდა ჩემი გულისტკივილი და სულაც არაფრად მიაჩნდა მქუხარე ტაშისკვრა. რასაც სულ ადვილად მოიხვეჭდა თავისი გონებამასვილობით. მე კი დიდხანს მალეღვებდა და ვერ გამომეცნა ის ამბავი, სკოლაში რატომ ვერვინ მიუხვდა ამ ზრახვას და მაისთან ერთად არავინ დამცინოდა. თანდათან რომ შემსგავსებოდა, შესაძლოა სწორედ ამიტომ ვერ ხვდებოდნენ ვერაფერს, თუმცა ჭკუასთან ახლოს ეს უნდა ყოფილიყო: სხვათა ყბაში რომ არ ჩავვარდნილვარ, ჩემი წამბაძველის დიდი სელოვნების წყალობა იყო, რაკილა გარემსგავსებას არაფრად აგდებდა (მხოლოდ ბრიყვისთვისაა ეს მთავარი) და უნაკლოდ გამოსცემდა ორიგინალის სულს. ამას კი მხოლოდ მე ვამჩნევდი და ჩემთვისღა იყო საწყენი.

ბევრჯერ ვახსენე მისი გულისამრევი, სამოწყალო მფარ-

ველობის ამბავი. რაიც ნიადაგ ჩემს საქმეებში ჩაჩრითა და კადნიერ რჩევა-დარიგებაში გამოიხატებოდა. თანაც ეს დარიგება პირდაპირ და სათლად კი არა, ჩუმად და მიკიბულ-მოკიბულად იყო ნათქვამი. ზიზღმორეული ვისმენდი და წლიდან წლამდე მიძლიერდებოდა ამ ბიჭის სიძულელი. მას შემდეგ დიდი დროა გასული და ახლა მინდა ჩემს მეტოქეს კუთვნილი მივაგო და ვაღიარო: ერთხელაც არ ყოფილა მისი შეგონება მცდარი ან ცეტური, თითქოს რომ უნდა სჩვეოდა მის სიყრმესა და მოჩვენებითს გამოუცდელობას; და მაინც, თავისი ნიჭითა და ცხოვრებისეული სიბრძნით თუ არა, ზნეობრივად ბევრად მჯობდა; ვინ იცის, ასე ხშირად რომ არ უარმეყო ის მრავლისმეტყველი, ჩემგან ასე სასტიკად შექულებული ჩურჩულით წარმოთქმული დარიგება, დღეს უკეთესი ვიქნებოდი და, მაშასადამე, ბედნიერიც.

მაგრამ მისმა გულისგამაწვრილებელმა მეთვალყურეობამ ბოლოს და ბოლოს მეტად შემაშფოთა და მეც დღითი დღე ვეღარ ვმაღავდი წყენას ამ, როგორც მეგონა, უსაშველო ქედმაღლობის გამო. უკვე იცით, სწავლის პირველ წლებში ადვილად შემეძლო დავმეგობრებოდი და თუმცა ჩემი იქ ყოფნის უკანასკნელ თვეებში მისი საქციელი, ეჭვი არაა, აღარ იყო ისეთი მომაბეზრებელი, მე იგი მაინც უფრო შემზიზღდა. მგონი, ერთხელ კიდევაც შენიშნა ეს ამბავი და მას მერე სულ მერიდებოდა ან, ყოველ შემთხვევაში, თავს მაჩვენებდა ასე.

მეხსიერება თუ არ მღალატობს, ერთ დღეს, დაასლოებით იმავე ხანებში, მაგრად წავინახებთ. განრისხებულმა, მისთვის ჩვეულებრივი სიფრთხილე უკუაგდო და ისე ჯიქურ მოიქცა, აქამომდე რომ არასოდეს გვენახა. მაშინ შევნიშნე — ან, იქნებ, კიდევაც მომეჩვენა — მის სიტყვაში, მის საქციელში რაღაც ისეთი, რამაც პირველად შემაშინა, შემდეგ კი მეტად დამაინტერესა. მისმა მოქცევამ ჩემი ყრმობისდროინდელი სურათები ამომიტივტივა მეხსიერებაში, იმ ხანის უწესრიგოდ მოძალებული მჭრქალი მოგონებები, როცა მეხსიერება ჯერ კიდევ არ გამჩენოდა. ამ წამიერ დამთრგუნველ გრძნობას უკეთ გამცნობთ, თუ ვიტყვი, თითქოს უსსოვარი ხანიდან ვიცნობდი ამ ჩემ წინ მდგომ ბიჭს. თუმცა ეს ზმანება იმწუთსავე გამიქრა და ეს ამბავი მხოლოდ იმ დღის აღსანიშნავად



გავიხსენე, როცა უკანასკნელად ვესაუბრე ჩემს საკვირველ სეხნიას.

ამ ვეებერთელ: ძველ შენობაში იყო ერთმანეთში გაშვალნი რამდენიმე დიდი დარბაზი, სადაც მოსწავლეებს ეძინათ. მაგრამ აქ ბევრგან ნახავდით პატარ-პატარა ოთახებსაც (ასე უსწოროდ ნაგებ შენობაში ეს გარდაუვალია). დოქტორ ბრენსბის ბრძნული მომჭირნეობით ეს ადგილები ასევე საძინებლებად ექციათ, თუმცა თავდაპირველად ისინი საკუჭნაოდ უნდოდათ და თითოეულში ერთი მოწაფე თუ დაეტეოდა. სწორედ ასეთი მომცრო სამყოფელი ჰქონდა უილსონსაც.

ერთხელ ღამით, სკოლაში ყოფნის მეხუთე წლის მიწურულს, ზემოთ ხსენებული ჩხუბის შემდეგ, დავიცადე, სანამ ყველა დაიძინებდა, მერე ავდექი და ღამით ხელში ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული გასასვლელებით ჩემი საძინებელი ოთახიდან მეტოქესთან შევიპარე. უკვე კარგა ხანია ვაპირებდი მომეწყო მისთვის ერთი ბოროტი ოინი, რაიც აქამომდე ვერ მომეხერხებინა. და ახლა გულისწადილს რომ ავისრულებდა, დიახაც მიხვდებოდა, რა დიდი ბოღმა და ჯავრი მკლავდა მისი. ამ ბიჭის პატარა ოთახს მივატანე, შექფარიანი ღამაჰა კარს უკან დავდგი, უხმაუროდ გადავაბიჯე ზღურბლზე და ჩემი სეხნიის წყნარ სუნთქვას ყური მივუგდე. სძინავს-მეთქი, რომ დავრწმუნდი, დერეფანში გავბრუნდი, ღამაჰა ავიღე, მოფარდაგებულ საწოლს მივუახლოვდი — მოსახდენი უნდა მომხდარიყო — ფარდა ფრთხილად გადავწიე და როცა სინათლე დაეფინა მძინარის სახეს, კარგად დავაკვირდი და უცებ გავსევდი, სისხლი გამეყინა ძარღვებში, ასე მეგონა, გული საგულედან ამომივარდებოდა, მუსლი მომეკვება, ტან-იოგში დამშალა რაღაცა უსაგნო გრძნობამ, სული ძლივს მოვიბრუნე. ნუთუ ეს... ეს ნაკვთები უილიამ უილსონისაა? რა თქმა უნდა, ვხედავდი, მისი სახე იყო და არ მჯეროდა. მაინც ასე რამ შემაშფოთა? უთავბოლო ფიქრები ამეშალა. დღის ფაცაფუცში, მღვიძარე არ ჩანდა ასეთი. სახელი იგივე, ნაკვთები იგივე, სკოლაში მოსვლის დღეც იგივე! და კიდევ ჩემი სიარულის, ჩემი ხმის, ჩემი ჩვევების, ჩემი მიხრა-მოხრის უაზრო და გამუდმებული წაბაძვა. ნუთუ შესაძლოა, ჩემს დასაცინად

მომართული ჩვეულებრივი ვარჯიშის შედეგი იყო ის, რაც ახლა ვინილზე? ლამაზა ჩავაქრე, შეძრწუნებული, აკანკალებული ოთახიდან უხმოდ გამოვსსლტი და იმ საათშივე დავტოვე ეს ძველი სკოლა, რათა იქ აღარასოდეს მიმედგა ფეხი.

რამდენიმე თვის შინ განცხრომის შემდეგ იტონის უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი. საკმარისი აღმოჩნდა სულ მცირე ხანი, რომ დოქტორ ბრენსბის სასწავლებლის ამბებს ფერი მიხდოდა ან, ყოველ შემთხვევაში, შემცვლოდა ის განწყობა და ახლა იმ დროს სხვა გრძნობით ვიგონებდი. მართლაც, ხანი რომ გამოხდა, წარსული აღარ მეჩვენებოდა ასეთი ტრაგიკული. მეტად მაეჭვებდა მაშინდელი ჩემი გრძნობების სიცხადე, იშვიათადაც ვიწუხებდი თავს მათი მოგონებით და თუ ვიგონებდი, მევე მოცებდა ჩემი გულუბრყვილობა და ღიმს მგვრიდა ის ამბავი, წინაპართაგან მემკვიდრეობით წარმოსახვის რა ძალუმი უნარი დამეყვა-მეთქი. იტონში ცხოვრებამ ხომ სულ შეუწყო ხელი ამ შეხედულების განმტკიცებას. ყოველივე წარსოცა თავაწყვეტილმა და შემაქცევარმა დროსტარებამ, რასაც მყისვე მივეცი თავი, ერთბაშად დაინთქა მძიმე და ღირსახსოვარი შთაბეჭდილება და მესსიერებაში შემომრჩა მხოლოდ იმ პირვანდელი არსებობის აუმღვრეველი სიმსუბუქის შეგრძნება.

მაგრამ არა მსურს აქ გამოწვლილვით მოვყვე კანონთა უარმყოფელი ჩემი გარყვნილი ცხოვრება, რაიც შეუმჩნეველი რჩებოდა იტონის უფროსობას. სამი წლის გადაბმულ ღრეობას ის შედეგილა ჰქონდა, რომ ბოროტება ძვალ-რბილში გამოიჯდა და ამისდა კვალად მეტისმეტადაც ჯანმოჭარბებულა გავხდი. ერთხელ მთელი ერთი კვირის გაუთავებელი ქეიფის შემდეგ ჩემთან ჩუმად მოვიწვიე მცირე ჯგუფი, ისინი, ვისთანაც უფრო დაახლოებული ვიყავი. დილამდე რომ გაეტანა ლხინს, ჩვეულებისამებრ ღამე მოვიყარეთ თავი. ღვინო ულეველი გვქონდა, არც სხვა, უფრო სახიფათო გართობანი დაგვიკლია და აღმოსავლეთი შეფერიანებული იყო, როცა ჯერ კიდევ შუა ქეიფში ვიყავით, ღვინითა და კარტის თამაშით სახეშეშლილი ჯიუტად ვლამობდი ერთი უსაძაგლესი სადღეგრძელოს წარმოთქმას, რომ უცებ მსწრაფლ, თუმც პატარაზე გამოიღო წინაოთახის კარი და მსახურის შემოფოთებულ-

მა ხმამ გამიხმო, ვიღაც კაცი ჩქარობს, სიტყვა აქვსო თქვენთან სათქმელი.

ღვინით გონებაანთებულო ვიყავი და ალბათ, იმიტომ უფრო გამახარა მოულოდნელმა სტუმრობამ, ვიდრე გამაოცა. ფესარეული იმწამსვე გავედი. ამ დაბალჭერიან, პატარა სამყოფში ლამბა არ ენთო, არც სინათლე შემოდისოდა, დიღობინდილა ატანდა მომრგვალებული სარკმლიდან. ზღურბლს გადმოვაბიჯე თუ არა, ყმაწვილი ვინმე შევნიშნე, დაასლოებით ჩემი სიმაღლისა, ახალმოდურად შეკერილი თეთრი ქიშხიანი ისეთსავე სამოსელში იყო გამოწყობილი, როგორც მე მეცვა იმ დამეს. ბინდბუნდში ესლა გავარჩიე, სახის ნაკვთები ბნელში დაძიროდა. ოთახში შემოსული მსწრაფლ შემომეცება, გაგულისებით და მოუთმენლად მტაცა ხელი და ჩაჩურჩულა: „უილიამ უილსონ!“

იმ წამსვე გამოვფხიზლდი.

უცნობის მიხრა-მოხრასა და იმაში, თუ როგორ უთრთოდა ჩემ თვალწინ სარკმლის შუქზე ზე აწვდილი თითი, იყო რაღაც მუტად გასაოცარი. მაგრამ ამას ისე არ აყუდელვებოვარ, როგორც სულით ხორცამდე შემძრა მრავლისმეტყველმა საზეიმო გაფრთხილებამ, განუმეორებელი, ჩუმი, სისინა ხმაო წარმოთქმულმა და განსაკუთრებით უბრალო, ნაცნობმა, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ჩურჩულით ნათქვამმა სიტყვებმა — გასაღებმა, რამაც განასხვნა გარდასული დღეების მიგონებათა კარიბჭე და სულსა და გულში დამიარა გაღვანური ბატარეის დენივით. გონს რომ მოვედი, ამ კაცის კვალიც გამქრალიყო.

თუმცა ჩემს არეულ გონებაზე ამ შემთხვევამ მეტად იმოქმედა, მაგრამ როგორადაც შთამბეჭდავი, ასევე მსწრაფლწარმავალი აღმოჩნდა იგი. პირველ ხანებში გულმოდგინედ ვიძიებდი ამ ამბავს, მწარე ფიქრების მღვრიე მორევში ვიყავი დანთქმული. საკუთარი თავისთვის არ დამიმაღავს ვინაობა იმ პიროვნებისა, ვინც ასეთი თავგამოდებით ერეოდა ჩემს საქმეებში, აღარ მასვენებდა თავისი შემპარავი რჩევა-დარჩევით. მაგრამ ვინ ან რა კაცი იყო ეს უილსონი? საიდან გამოტყვრა? გულში რა ჰქონდა? ვერც ერთ კითხვას ვერ ვუპასუხე. მხოლოდ ის გავიგე, იმ საღამოს, როცა დოქტორ ბრენსბის დაწესებულება დავტოვე, ისიც წასულიყო იქიდან; თურ-

მე შინ რაღაცა უბედურება მოსვლოდა. ამ ამბავზე ფიქრს სულ მალე თავი გავანებე, რადგან ჩემი ყურადღება მთლიანად მიიპყრო ოქსფორდში გამგზავრების სამზადისმა. მართლაც ცოტა ხანში გზას დავადექი, მშობლების უსაშველო პატივმოყვარეობისდა კვალად თავით-ფეხამდე დიდებულად ვიყავი შემოსილი, წლიური სარჩოც იმდენი დამიწესეს, ჩიტის რძეც არ დამაკლდებოდა. ფუფუნებით ცხოვრება დიხსაც უკვე გამოიტკბა. მფლანგველობაში მეტოქეობას გავუწევდი დიდი ბრიტანეთის უმდიდრესი და წარჩინებული ოჯახის დიდგულა შვილებსაც კი.

ამგვარად, რაკილა ბოროტება კარგად მეხერხებოდა და თანაც დაბადებითვე ვნებაულები ბუნებისა ვიყავი, გაორკეცებული მგზნებარებით მივეცი თავი გარყვნილის მღვრიე მორევს და ზიზლით უარყვავი კაცურკაცობის წესები. საკმარისია ითქვას, რომ მხარჯველობაში ჰეროდესაც კი ვაჯობე\*. სხვა, ჯერ არგავონილი ათასი სიგიჟე მოვიგონე და ამით გვარიანად გავადიდე ბიწიერების გრძელი სია, რითაც სახელი ჰქონდა გავარდნილი ევროპის ამ ყველაზე უფრო ზნედაცემულ უნივერსიტეტს.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ საკუთარი თავისთვის აქაც აღარ მიღალატნია და პროფესიონალი მოთამაშეების უმსგავსო ფანდები გადმოვიღე. ამ ბილწ მეცნიერებას ისე კარგად დავეუფლე, რომ გულუბრყვილო ძმაბიჭების ხარჯზე ისედაც აღურიცხველი ქონების პატრონი უფრო და უფრო გავმდიდრდი. და სწორედ ის, რომ დანაშაული ადრე საშინელი იყო, ყოველგვარ ადამიანურობასა და პატიოსნებას მოკლებული, უეჭველია, გახლდათ მთავარი მიზეზი, თუ ერთადერთი არა, ჩემი სრული დაუსჯელობისა. მართლაც თუნდ უგარყვნილესი ჩემი ძმაკაცი უმაღ საკუთარ წმინდა გრძნობაში დაეჭვდებოდა, ვიდრე ცუდს იფიქრებდა მხიარულ, უზაკველ, გულწრფელ უილიამ უილსონზე — მთელ ოქსფორდში მორჩმულ და სახელიან სტუდენტზე, რომლის თავაშვებულობა (ასე იტყოდა მისი ჯამილოკია მხოლოდ ბავშვური ფანტაზიის ნაყოფი იყო, ხოლო ბიწიერება მისი უშავალითო ჟინიანობისა და დაუოკებელი ხასიათის შედეგი.

ასე გულმხიარულად გავატარე მთელი ორი წელი, როცა

უნივერსიტეტში მოვიდა ყმაწვილი, გუშინდელი აზნაური გლენდენინგი, როგორც ამბობდნენ, სიმდიდრის ადვილად მომხვეჭელი ჰეროდე ატიკელივით დიდ ქონებას ფლობდა. ჭკუადახედულობით არ გამოირჩეოდა, ამას სულ მალე მივხვდი და, რაღა თქმა უნდა, ვიფიქრე, ჩემი საქმისთვის გამომადგება-მეთქი. ხშირად ვჯდებოდი მასთან სათამაშოდ და ბადეში კარგად რომ მომყოლოდა, ყველა არამზადა მთამაშის დარად ჯერ დიდი ფული მოვაგებინე. დაბოლოს, როცა შესაფერისი დრო დადგა, ჩვენი მეგობრის (ბ-ნ პრესტონის) ბინაზე შევხვდი (იმ ვარაუდით, რომ ეს შეხვედრა საბოლოო იქნებოდა). ბ-ნი პრესტონი ჩვენ ორივეს ერთნაირი თვალით გვიყურებდა და სამართალი უნდა მივაგო — ჩემს განზრახვაზე არაფერი იცოდა. სათანადო გარემოს შესაქმნელად რვა-ათკაციან ჯგუფს მოუყარე თავი, რა არ ვიღონე და ბოლოს კიდეც მოვახერხე, რომ თითქოს სრულიად შემთხვევით მოგვინდა თამაში, და სწორედ ჩემმა მსხვერპლმა გამოთქვა პირველად სურვილი ამის თაობაზე. სიტყვას აღარ გავაგრძელებ ამ ბინძურ ამბავზე, მხოლოდ დავსძენ, იმ საღამოს ყველა ხრიკი მოვიშველიე, რასაც ამ დროს მიმართავენ ხოლმე. მიკვირს და ვერ მივმხვდარვარ, ასეთი ჭკუაგამოლეული მაინც როგორ არიან ადამიანები და აგრე ირლად როგორ გაებმებიან ხოლმე მახეში.

გვიან ღამემდე ვისხედით. დაბოლოს შევძელი, რომ გლენდენინგის პირისპირ მხოლოდ მე დავრჩენილიყავი. რაღა თქმა უნდა, ჩემს საყვარელ ეკარტეს ვთამაშობდით. სხვებს დაეყარათ თავ-თავიანთი კარტი და, თამაშის შედეგით დაინტერესებულები, ჩვენ გვიყურებდნენ. გუშინდელ აზნაურიშვილს მოსვლისთანავე კარგად ბლომად დავაღევი და ახლა მეტად აღელვებული ჭრიდა და არიგებდა კარტს, რაიც, ჩემი ფიქრით, ნაწილობრივ და არა მთლად, მისი სიმთვრალით აინსნებოდა. ცოტა ხანში დიდი ფული წააგო, თასით პორტვეინი გადაჰკრა და ის გააკეთა, რასაც გულცივად მოველოდი, ანუ წინადადება მომცა ისედაც დიდი ფსონი ერთიორად გაგვეზარდა. ვითომცდა ამ თხოვნით შემფოთებული ჯერ დიდ უარზე დავდექი, ხოლო როცა ცეცხლი გამოშალა კბილებიდან და ჩემი თანხმობა უკვე თავმოყვარეობაშელახული კაცის თან-

ხმოზად გამოწინდებოდა, დასტური მივეცი. მერე რაც მოხდა, რალა თქმა უნდა, იმას მოწმობდა, რომ სრულიად გამოჭერილი ჰყავდა ეს კაცი: რამდენიმე წუთიც და ვალი გაუოთხკეცდა. მალე ღვინით წამოწითლებულ სახეზე ჩემდა გასაოცრად მკვდრისფერი დაედო. ჩემდა გასაოცრად-მეთქი, ვინაიდან იმთავითვე ჩემი დაბეჯითებული გამოკითხვის შედეგად ვიცოდი, გლენდენინგი აღურიცხავი სიმდიდრის პატრონი იყო; ხოდა, მეც გავიფიქრე, მართალია, ბევრი წააგო, მაგრამ ამ თანხის დაკარგვას ასე მაინც არ უნდა ემოქმედა ამ კაცზე, ღვინით რომ დალია, ალბათ, ამან თუ მოათავა-მეთქი; თანამესუფრეთა თვალში რომ ჩირქი არ მომცხებოდა, უფრო ამიტომ მოვითხოვე თამაშის შეწყვეტა. ამ დროს უცებ გვერდით მსხდომნი შეწერიალდნენ, რალაც ჩაილაპარაკეს, ხოლო გლენდენინგს კენესავაება აღმოხდა. და მივხვდი, თურმე მათხოვრად მიქცევიდა ჩემი მსხვერპლი, ისე გამიკოტრებია, რომ მისი ცოდვით ქვაც კი ატირდებოდა, თავად ეშმაც ველარ მიაგებდა მეტ ბოროტებას.

აწ ძნელია იმის თქმა, რას ვიზამდი, როგორ მოვიქცეოდი. ამ ბრიყვის საცოდლობამ ყველა დააბნია და თავზარი დასცა; რამდენიმე ხნით გაუსაძლისი სიჩუმე ჩამოწვა და ვიგრძენი, ზოგიერთი არც ისე გათახსირებული მოქეიფის მრისხანე შემოხედვაზე როგორ წამომმენტო ლაწეები. უნდა ვალიარო, იმ უჩვეულო ამბავმა, რაც შემდეგ მოხდა, მღელვარებით შებოჭილი მკერდი წამით შვებით ამიშვა. ერთბაშად განისხნა ფართო, მძიმე კარი და თითქოს რალაც ჯადოთიო, ოთანში ყველა სანთელი ჩაქრა. მაგრამ ჩამობნელებაამდე თვალი შევასწარი ვილაც ახალშემოსულს, ჩემი სიმალლისა იქნებოდა და მთლიანად გახვეულიყო მოსასხამში. ამ წყვილიადში მხოლოდ ვგრძნობდით, რომ ის აქ, ჩვენ შორის იდგა, ვერ კი ვხედავდით. ასეთი თავხედური მოხდომით თავგზადაკარგულნი ჯერ კიდევ გონზე არ ვიყავით მოსულნი, რომ ხმა გაისმა.

— ბატონებო, — თქვა ამ კაცმა დაბალი, მკაფიო, მარად ღაუვიწყარი ჩურჩულით და მეც ტანზე ეკალი ამესხა, — ბატონებო, მაპატიეთ, მაგრამ მოვალეობამ ჩამადენინა ეს საქეიფლი. თქვენ, რალა თქმა უნდა, არ იცნობთ ბატონ გლენდენინგისიგის ეკარტეში დიდი თანხის მომგები კაცის ჭეშმარიტ

ბუნებას. ამიტომ ყველაფერი ზუსტად რომ გაიგოთ, უნახეთ  
გადმოკეცილი სახელოს სარჩული, გაუჩხრიკეთ ხალათის ფარ-  
თო ჯიბე და იქ სხვა კარტებსაც უპოვით.

სანამ ამას ამბობდა, მდუმარება ჩამოვარდა. დაასრულა  
და როგორც მოვიდა, ისევე უცებ გაქრა. შევძლებ კი იმის აღ-  
წერას, რა დამემართა? ან რა ჯოჯოხეთური ტანჯვა გადამსდა?  
მაგრამ აღარ დამცალდა ფიქრი. მრავალი ხელი უხეშად  
მწვდა, იმწუთას აანთეს სანთელი და გამჩხრიკეს. სახელოში  
ყველა მომგებიანი კარტი მიპოვეს, ხალათის ჯიბეში კი ისე-  
თივე კარტების დასტა, როგორითაც ჩვენ ვთამაშობდით. მხო-  
ლოდ იმ განსხვავებით, რომ, როგორც ამ საქმის მცოდნენი  
ამბობენ, ისინი *arrondées*<sup>1</sup> დაემუშავებინათ; დიდი კარტები  
ბოლოებში იყო ამობურცული, მცირენი — გვერდებზე. ამ შემ-  
თხვევაში მსხვერპლი, წესისამებრ, სიგრძივ რომ მოუჭრის  
დასტას, მომგებიან კარტებს მოწინააღმდეგეს დაუტოვებს და  
თავად ბედის ანაბარალა რჩება.

ასეთი გამოაშკარავების შემდეგ ყურის წამლები ღრიანცე-  
ლი ჩემზე უფრო ნაკლებად იმოქმედებდა, ვიდრე ის შიზლია-  
ნი სიჩუმე თუ თავშეკავებული დაცინვა, რითაც შეხვდნენ ამ  
აზბავს.

— ბატონო უილსონ, — წარმოთქვა მასპინძელმა და ჩემ  
ფერხით დაგდებული უძვირფასესი ბეწვით გაწყობილი მო-  
სასხამი აიღო. — ბატონო უილსონ, ეს თქვენია (ციოდა, წა-  
მოსვლისას ხალათის ზემოდან მოსასხამი მოვიგდე და შემოს-  
ვლისთანავე იქვე, იატაკზე მოვისროლე). კარგად დახელოვ-  
ნებულხართ, მაგრამ ჩვენთვის კი მართლაც კმარა. უნდა და-  
ტოვოთ თქსფორდი, ყოველ შემთხვევაში ეს სასლი მაინც.

დამცირებულს, თავლაფდასხმულს ამ შეურაცხმყოფელი  
სიტყვების გამო შესაძლოა სილა გამეწნა მისთვის, რომ მთე-  
ლი ჩემი გულისყური ერთ შემადრწუნებელ გარემოებას არ მი-  
ეცრო. ისე იშვიათი და ძვირფასი ბეწვით იყო გაწყობილი  
ის ჩემი მოსასხამი, თქმაც ვერ გამიბედავს. უსაზღვროდ მ იყ-  
ვარული ჩაცმა-დახურვისა რას არ ვიგონებდი, ეს მოსასხამიც  
ჩემი ფანტაზიის მიხედვით შევაკერინე. ამიტომ, როცა ბ-ნმა

<sup>1</sup> მრგვალად (ფრანგ.).

პრესტონმა კართან მიგდებული მოსასხამი აიღო და გამომიწოდა, გოცებისგან ზარდაცემულმა შევნიშნე: ის, საკუთარ მკლავზე რომ მქონდა გადაგდებული (რაც, ეჭვი არაა, უნებურად გავაკეთე) და ისიც, რომელიც ახლა მომცეს, ზესტად ერთნაირი იყო. გამახსენდა, ჩემს ასე უღვთოდ გამომაჭენებელ მომხდურსაც ჩემნაირივე მოსასხამი მოეგდო მხრებზე. გონება მთლად მაინც არ დამიკარგავს, პრესტონს მოსასხამი გამოვართვი, შეუმჩნეველად ჩემსას გადავაფარე და, ვინემ წავიდოდი, იქ მყოფთ მკაცრად, ზიზლით მოვაველე თვალი. დილაუთენია კი გატანჯულმა და სირცხვილნაჭამამ სასწრაფოდ დავტოვე ოქსფორდი და კონტინენტზე გადავედი.

მაგრამ ამოდ გადავიხვეწე. ბედისწერა რაღაც ბოროტი სინარულით ყველგან მომწვდა და ცხადი გახდა, რომ ახლავა დაეწყო თავისი იღუმალი ძალის გამოვლინება. შევდგი თუ არა პარიზში ფეხი, მაშინვე გადამხდა ერთი ამბავი, რამაც დამიდასტურა — სწორედ უილსონი ჩარეულიყო კვლავაც საზიზლრად ჩემს საქმეებში. გადიოდა წლები და ვეღარ და ვეღარ მოვითქვი სული. არამზადა! რა უდროოდ, რა ლანდად ჩადგა რომში ჩემსა და ჩემი წადილის საგანს შუა! ასევე ბერლინში, ასევე მოსკოვში! ყველგან წყევლაკრულვით ვიხსენიებდი ამ კაცს! დაბოლოს ვეღარ ავიტანე ენით უთქმელი ჩაგვრა, გამოვექეცი, როგორც შავ ჭირს. სად არ წავედი, მაგრამ მაინც ვერაფერს გავხდი. სულ ამოდ გადავიხვეწე.

ისევ და ისევ, ჩემს თავს იღუმალ რომ ვესაუბრებოდი, ვიკვლევდი: „ვინ არის? საიდანაა? რა უნდა?“ მაგრამ პასუხს ვერ ვპოულობდი და გამოწვლილვით ვიძიებდი მთავარს, რაიც ამ უკადრის ზედამხედველობაში იმალებოდა. ოღონდ ამ მხრის ვაც დასკვნისთვის ხელმოსაჭიდი ცოტალა მქონდა. თუმცა ეს კი ჩანდა: მრავალგზის რომ გადამიდგა, მხოლოდ იმ გულიწადილის შესრულება და მხოლოდ ის საქმეები ჩამიფუშა, რომლებსაც დიდი ბოროტების მოტანა შეეძლო. რა უსუსური გამართლებაა იმისათვის, რომ ასე უსაზღვროდ მჯაბნიდა! რა კადნიერად თელავდა ჩემს თავისუფლებას, არ მანებებდა სურვილისამებრ მოვქცეულიყავ.

კარგა ხანია ამასაც ვამჩნევდი — ჩემს საქმეებში ამდენგზის ჩარევისას ერთხელაც არ დამინახავს ჩემი მწვალებლის სასი



(თუმცა ამავე დროს ცდილობდა ზუსტად ჩემსავით ჩაეცვა). ვინც უნდა ყოფილიყო უილსონი, მაინც გონებადასშული და ბეცი ბრძანდებოდა, ნუთუ ერთი წამითაც შეეძლო გულში გაეკლო, რომ ვედარ ვიცნობდი ჩემს იტონელ ჭკუის დამრავებელს, ოქსფორდში ჩემი სახელის შემარცხვენელს — იმას, ვინც რომში წინაღუდგა ჩემს პატივმოყვარეობას, პარიზში — შურისძიებას, ნეაპოლში — ვნებიან სიყვარულს ან იმას, რომელმაც ეგვიპტეში ჩემს საქმეებს ოქროსმომხვეჭელობა შეარქვა, სკოლის წლებიდანვე ჩემს მტერსა და ბოროტ სულს, უილიამ უილსონს, ჩემს სენნიას, ძმაბიჭს, ზიზღისა და ზარის მომგვრელ მეტოქეს დოქტორ ბრენსბის სასწავლებლიდან? შეუძლებელია. მაგრამ, თქვენი ნებართვით, ამ დრამის ბოლო სურათსაც გვიამბობთ ასლა.

აქამომდე უხმოდ, თავმოდრეკით ვითმენდი მის ძალადობას. შიშსა და მოწიწებას ვგრძნობდი უილსონის სიბრძნით გამორჩეული, ღრმადმხედველი, ყოვლისშემძლე გონების წინაშე. თუ დავუმატებთ იმ მარადიულ შემზარავ გრძნობას, რასაც მგვრიდა მისი ხასიათის სხვა თვისებები და საკუთარი ვარაუდები, რაღა გასაკვირია, რომ ბოლოს ასეთი დასკვნა გამოვიტანე; მთლად უსასური და უილაჯო ვყოფილვარ და რა გზა მაქვს, ისევ მისი მორჩილება მმართველ-მეთქი. იმ უკანასკნელ ხანებში გაუთავებლად ვსვამდი. ღვინომ და თანდაყოლილმა სიფიცსემ უფრო ჭირვეული და მოუთმენელი გამხადა. და მეც დავეჭვდი, აღვფოთოდი, ავზავადი, ურჩობის გუნებაზე დავდექი. ნუთუ მხოლოდ ჩემმა ფანტაზიამ დამარწმუნა, რომ ჩემი სიმტკიცის ზრდის კვალობაზე იმისი შესუსტდამეთქი? ასე იყო თუ ისე, დიდი ფიქრის შემდეგ სასოწარკვეთილებამ მკაცრ გადაწყვეტილებამდე მიმიყვანა. უნდა თავი დავაღწიო-მეთქი ამ გაუთავებელ დამცირებას.

18... წლის რომის კარნავალის დროს ნეაპოლის ჰერცოგის, დი ბროლიოს სასახლეში მასკარადზე წავედი. ღვინო ჩვეულებრივზე მეტი დავლიე, ისე რომ გაუსაძლისი შეიქნა ჩემთვის სულისშემსუთველი ჰაერისა და აუარება ხალხის ატანა, თანაც სისხლი ყელში მებჯინებოდა, რომ ამ ორომტრიალში ვერა და ვერ გავაღწიე. მე კი მოუთმენლად დავეძებდი (რა უღირსი მიზნისთვის, აღარ ვიტყვი) დაჩაჩანაკებული და

პირგანაცრებული დი ბროლიოს მხიარულ, მშვენიერ, ნორს მეუღლეს. სულ ცოტა ხნით ადრე ქალმა ურცხვად შემატყობინა რა სამეჯლისო სამოსელში იქნებოდა გამოწყობილი. თვალი მოვკარი და მაშინვე მივაშურე. იმწუთას ვიღაცამ მხარზე რბილად დამკრა ხელი და ოდინდელი, ჩუმი, დაწყევლილი ნურჩული ჩამესმა.

მრისხანებისგან თვალებდაბნელებული მივევარდი ჩემს სულთამხდელს და გამეხებულმა სახელოზე ხელი ვტაცე. ზუსტად ჩემსავით იყო მორთულ-მოკაზმული, როგორც სჩვეოდა. ლურჯი ხავერდის ესპანური მოსასხამი მოესხა, წელზე მეწამული ფერის სარტყელი შემოერთყა დაშნითურთ. შავი აბრეშუმის ნიღაბი მთლიანად უფარავდა სახეს.

— გათახსირებულო! — შევძახე ბრაზით ხმაჩასრინწულმა, თითქოს ვგრძნობდი, ყოველი წარმოთქმული ბგერა სულ უფრო მიმატებდა მრისხანებას, — გათახსირებულო! თვითმარქვია! წყეულო! აწ ველარ, ველარ მომიწამლავ წუთისოფელს! მომყე ან არადა, აქვე ავიგებ ანდერძს! — და სწრაფად წავათრიე გვერდით ოთახისკენ. ისიც წინააღმდეგობის გაუწევლად გამომყვა.

შესვლისთანავე გაცეცხლებულმა ხელი ვკარი და კედელს მივახეთქე. მერე წყევლა-კრულვით კარი გადავკეტე და ვუბრძანე, თავი დაიცავი-მეთქი. წამით შეყოყმანდა, შემდეგ ამოიხვნეშა, მდუმარედ ამოიღო დაშნა და თავდასაცავად მოემზადა.

ბრძოლა ხანმოკლე გამოდგა. ყველანაირი სახისა და ჯურის ჩემმა მრისხანებამ ათი კაცის ძალა მომგვარა მარჯვენაში. ორიოდე წამი და კუთხეში მივიმწყვდიე გაშმაგებულმა. კარგად ვხედავდი, ჩემს ხელთ იყო და მხეცური კბილთა ღრჭენით დაშნა რამდენიმეჯერ ვატაკე მკერდში.

ამ დროს კარს ვიღაცა წაეპოტინა. შევშფოთდი, ვაითუ ვინმე შემოვიდეს-მეთქი, ურდული გავამაგრე და მყისვე მომაკვდავ მეტოქესთან გამოვბრუნდი. მაგრამ მეყოფა კი ძალა იმ გაოცებისა და შიშის ზარის გადმოსაცემად, რაიც განვიცადე? თვალი რომ მოვაცილე, ეს ერთი წამი საკპარისი აღმოჩნდა ოთახის მეორე ბოლოში მომხდარი საკვირველი ცვლილებებისათვის. დიდი სარკე — ამ მღელვარებაში პირველად ასე მეგონა, მომეჩვენა-მეთქი — იქ დავინახე, სადაც წელან არაფერი

შემინიშნავს და როცა შეძრწუნებულმა ფენი გადავდგი, საკუთარი თავი დავლანდე, ფერმილეული და სისხლით მოთხვრალი, ბარბაცით ჩემკენ დაძრული.

მომეჩვენა-მეთქი, ვამბობ, მაგრამ ასე არ ყოფილა. მეტი-ქე — უილსონი იდგა ჩემ წინ, სულთმობრძავი, სახემორღვეული; ნიღაბი და მოსასხამი იქვე ეგდო იატაკზე. მისი სამოსლის ყოველი ნაკერი, მისი განუმეორებელი სახის ყოველი ნაკვთი სრულიად დამთხვეოდა ჩემსას!

ეს გახლდათ უილსონი; და როცა დაილაპარაკა, თითქოს მე ვამბობდი ამას:

— გათავდა, მორჩა, შენ გაიმარჯვე, მაგრამ აწ მკვდარი ხარ. მკვდარი ამ სოფლისთვის, სასოებისთვის, მალლა ცისთვის! ჩემში იყო შენი არსობა და ჩემშია შენი სიკვდილიც, საკუთარი სახე გამცნობს, ვით მოიკვეთე სამარადისოდ!

### ს კ უ ჰ - ს კ უ ჰ ო

ჩვენი მეფისამებრ ნამეტანი ანგალი ვინმე არასოდეს მინასავს. თითქოს საანგლოდლა მოსულიყო ამქვეყნად. თუკი უამბობდით რაიმე ამბავს და, ამავე დროს, კარგადაც უამბობდით, მეტი აღარც არაფერი გინდოდათ ამ კაცის გულის მოსაგებად. ხუმარა ხალხის სახელი ასე გაითქვა მისმა შვიდმა მინისტრმა. შვიდივე თავის მეფეს ჰგავდა, ისეთივე ტანმსხვილი, გაფიჭვინებული, პოხილი, და ისეთივე სწორუპოვარი ანგლები იყვნენ. შესაძლოა ანგლობა ასუქებდეს კაცს, თუ სწორედ სიმსუქნეა თავიდათავი მოხუმარი კაცის ხასიათისა, ვერ გეტყვით, დღემდე ვერ მივმხვდარვარ; მაგრამ ცხადია კი, *rara avis in terris*<sup>1</sup> გახლავთ ანგალი მჭლე კაცი.

მეფე თავს დიდად არ იწუხებდა ნაკვესების სრულყოფისთვის, ანუ „გასამართავად“, როგორც თავად ბრძანებდა. თავჯანს სცემდა გულიან ოხუნჯობას და ამისთვის დროს არ ზო-

<sup>1</sup> იშვიათი ფრინველი (ლათ.).

გავდა. არაფერს თაკილობდა. ვოლტერის „ზადიგს“<sup>66</sup> ერჩია რაბლეს „გარგანტუა“; და, საერთოდ, უფრო ღლაბუცი მოსწონდა, ვინემ მოსწრებული სიტყვა.

ეს ამბავი რომ მოხდა, სამეფო კარზე პროფესიონალ მასხარებს ჯერ კიდევ ჰქონდათ დიდი გასავალი. ზოგიერთ მორცმულ „ლომს“ ჰყავდა ჭრელჭრულებით, ჩაჩებითა და ზანზალაკებით მორთული „ტუტუცი“, რომელიც ყოველ წამს უნდა ყოფილიყო სამასსროდ გამზადებული და, სამაგიეროდ, სამეფო მაგიდიდან ჩამოცვენილი საჭმლის ნამუსრევი მას დარჩებოდა.

ჩვენს მეფეს, თქმა არ უნდა, ჰყავდა თავისი „ტუტუცი“. დიახ, მეფეს რაღაც სულელური თუგინდ ამიტომაც უნდა მოესმინა, თავად ამ კაცის დიდ ჭკუა-გონებაზე რომ აღარაფერი ვოქვათ, გაწონასწორება ხომ სჭირდებოდა მისი შვიდი მინისტრის დიდ სიბრძნეს.

მეფის „ტუტუცი“. ანუ პროფესიონალი მასხარა, არ გახლდათ მხოლოდ ტუტუცი. ქონდრისკაცი და კუტი იყო ერთდროულად და ამიტომ სამმაგი ფასი დაედო მისთვის მეფეს. იმ ხანებში სამეფო კარზე მასხარების დარად ქონდრისკაცებსაც ხშირად ნახავდით; უამათოდ მრავალ მონარქს ჩაუმწარდებოდა წუთისოფელი (სამეფო პალატებში დღეები ხომ უფრო ძნელი მოსალეგია, ვიდრე სხვაგან), რაკი არ ეყოლებოდათ მასხარა გასართობად და დასაციინად — ქონდრისკაცი. უკვირით, ასიდან ოთხმოცდაცსრამეტი სუმრობის მოყვარული უცილობლად უნდა ყოფილიყო კაცი დონდროსი, ჩაგოდრებული, და ცხადია, ჩვენი მეფე მით უფრო კმაყოფილი გახლდათ, რომ სკუპ-სკუპოს (ასე ეძახოდნენ მასხარას) სახით ჰყავდა სამმაგად დასაფასებელი ერთი პიროვნება.

„სკუპ-სკუპო“ არ იყო, როგორც ჩანს, მისი ნათლობის სახელი, მაგრამ რაკი სხვებივით ვერ დადიოდა, ამიტომ ერთხმად დაუძახა შვიდივე მინისტრმა, სკუპი-სკუპო ბაყაე. ა. ეს კაცი მხოლოდ მიიგრინებოდა, მიშლაპუნობდა. კუტის ასეთი სიარული ფრიად ართობდა და, რაღა თქმა უნდა, გულს აყოლებდა მეფეს. თანაც ხომ (მიუხედავად მისი ჩუმპოსი და მედიდურობისა) საუცხოო მამრად მიაჩნდა მეფე მთელ კარს.

კოჭლაუსა იყო სკუპ-სკუპო, დიდი ვაივაგლახით დადიოდა

ქუჩებსა და სახლებში. მაგრამ თითქოს ამ ზადის სანაცვლოდო, ბუნებას მისთვის მძლავრზე უმძლავრესი ხელები მიემადლებინა. ასე რომ, გასათვარს იქმოდა იქ, სადაც შეხვდებოდა ხეებსა და ბაგირებს ან კიდევ სხვა ამდაგვარ საძრობ რასმე. ასეთი ვარჯიშისას უფრო ციყვს თუ ბაჯაჯღანა მაიმუნს მოაგონებდა კაცს, ვინემ ბაყაყს.

ზუსტად ვერ გეტყვიოთ, საიდან მოეყვანათ სკუპ-სკუპო. ჩვენს სამეფო კარს ფრიად დაცილებული რომელიღაც მანამდე უცნობი ბარბაროსული ქვეყნიდან უნდა ყოფილიყო. სადაღაც იქ უნახავთ სკუპ-სკუპო და ვინმე გოგონა, ტანით ოდნავ მასზე უფრო მოდიდო ქონდრისქალი (თუმცა მშვენიერი ანავობისა იყო და უბადლოდ ცეკვავდა). ორივე მოუშორებით თავიანთი ოჯახებისთვის და მეფის ერთ ნიადაგ გამარჯვებულ სარდალს თავისი პატრონისთვის ჩამოუყვანია საჩუქრად.

რალა გასაკვირია, დიდად დაუახლოვდნენ ერთურთს, უერთმანეთოდ ველარც ძლებდნენ ეს პაწია ტყვეები. თუმცა სკუპ-სკუპოს სამასხაროდ თავი გადაედო, მაგრამ გულზე არავის ეხატებოდა და ვერც რამეს შველოდა ლილოს. მაგრამ რაკი მას სალუქი მისრა-მოხრა ჰქონდა და გარეგნობითაც ულამაზესი იყო (ქონდრისქალის კვალობაზე), ყველა თაყვანს სცემდა და ელოლიავებოდა; ასე რომ, დიდი გავლენა მოეხვეჭა და ყოველ წამს ქომაგობდა სკუპ-სკუპოს.

ერთხელ, აღარ მასსოვს, რომელიღაც დიდ დღესასწაულზე მასკარადის მოწყობა ბრძანა მეფემ. ჩვენი სასახლის კარზე მასკარადის თუ კიდევ სხვა ამდაგვარი ზეიმის დროს, ჩვეულებრივ, სკუპ-სკუპოსა და ლილოს უმარიფათოდ ვერაფერს გაძდებოდნენ. მეჯლისის მოწყობაში სკუპ-სკუპოს ხომ ბადალი არ ჰყავდა, რადგან იმასავით ვერავინ გამოიგონებდა ახალ სახიობას, სამოსელსა და ნიღბებს. ასე რომ, მგონი, აღარაფერი კეთდებოდა უიმისოდ.

Fete-ს<sup>1</sup> საღამოც დადგა. ლილოს მეთვალყურეობით გააწყვეს დიდებული პალატი. მასკარადისთვის éclat-ის<sup>2</sup> მისანიჭებლად რა არ ელონათ. მოუთმენლად ელოდა მთელი კარი

<sup>1</sup> ზეიმი (ფრანგ.).

<sup>2</sup> ბრწყინვალეობა (ფრანგ.).

იმის დაწყებას. შესამოსელსა და ნიღბებს თუ იკითხავთ, რაღა თქმა უნდა, ყველა თავის გემოვნებისამებრ მორთულიყო. ბევრს უკვე მოეფიქრებინა ყველაფერი (იმის მიხედვით თუ რა rôles<sup>3</sup> ითამაშებდა) ერთი კვირით, თვითაც ადრე; მართლაც, მეფისა და მისი შვიდი მინისტრის გარდა ყველას რაღაცა მოეგვარებინა. ვერ გეტყვით, რაღას ელოდებოდნენ ისინი შესაძლოა, ანგლობდნენ კვლავაც. უფრო კი ესაა სავარაუდებელი, ზორბა ანაგობის მქონე ხალხს არჩევანი გაუჭირდათ. დრო იწურებოდა. დაბოლოს საშველად ლილოსა და სკუპ-სკუპოს მოუხმეს.

ბრძანებისამებრ რომ ეახლნენ მეფეს, ორმა მეგობარმა დაინახა: პატრონი დაბრძანებულიყო შვიდ მინისტრთან ერთად, ღვინოს სვამდა და, როგორც ჩანს, ფრიად უქეიფოდ შექმნილიყო. კარგად უწყობდა, სკუპ-სკუპოს ღვინო არ დაეღვივებოდა, რაკი ამ სასმელს სიგიჟემდე მიჰყავდა საბრალო ქონდრისკაცი, ხოლო სიგიჟე უსიამოვნო რამ საგრძნობია. მაგრამ სუმრობა უყვარდა მეფეს, სკუპ-სკუპოსთვის ღვინის დამძალებელს გულს მოეფონებოდა ხოლმე — უნდა გამხიარულდესო (როგორც თავად ბრძანებდა).

— აქ მო, სკუპ-სკუპო, — დაუძახა მეფემ პალატინო ზემოსულ მასხარასა და მის მეგობარს, — აი ამ თასით შენი შორეული ძმებიჭების სადღეგრძელო შესვი (სკუპ-სკუპომ ამოიოხრა), მერმე კი გაგვართე შენი ოინბაზობით. სამასკარადო სამოსელი, სამოსელი გვინდა ჩვენ, რაღაც ახალი და არნახულა. ლამისაა გამათავოს ამ ერთიფეროვნებამ. მო, დალიე! საფიქრალ ღონეს მოგცემს ღვინო.

ჩვეულებისამებრ, გასაჭირისგან სუმრობით შეეცადა თავის დაღწევას სკუპ-სკუპო, მაგრამ ვედარაფერს განდა. თურმე სწორედ იმ დღეს ყოფილიყო საწყალი ქონდრისკაცის დაბადების დღე და ამ ბრძანებამ — „შორეული ძმებიჭების“ სადღეგრძელო თქვიო — თვალზე ცრემლი მოაღწინა. მრავალი მომსხო, მწარე წვეთი ჩაუვარდა თასში, ტირანს რომ გამოართვა.

— ხა! ხა! ხა! ხა! — გადაიხარხარა მეფემ, როდესაც ქონ-

---

<sup>3</sup> როლებს (ფრანგ.).

დრისკაცმა ზიზღით დასცალა თასი, — ხედავ რა შეუძლია კარგ ღვინოს! თვალი აგიწყლიანდა!

საბრალო ქონდრისკაცი; რახან მის აღგზნებად გონზე ღვინოს ძლიერ და იმავე წამს ემოქმედა, დიდრონი თვალები უფრო წამოწოტებოდა, ვიდრე აწყლიანებოდა. ნერვულად დადგა თასი მაგიდაზე, შლეგისამებრ მიმოიხედა ირგვლივ. ყველა გაერთო, როგორც ჩანს, მეფის მოსწრებულ „ხუმრობას“.

— ჰოდა, თან საქმე, — თქვა პრემიერ-მინისტრმა, მთლად გასიებულია კაცმა.

— დიას, — კვერი დაუკრა მეფემ, — აქ მო, სკუპ-სკუპო, უნდა დაგვეხმარო. ჯერაც არნახული სამოსელი გვინდა, ჩემო კარგო, ჯერაც არნახული სამოსელი დაგვჭირდება ყველა ჩვენთაგანს!.. ხა! ხა! ხა! — და რაკი მეფე ფიქრობდა, ვხუმრობო, შვიდეულიც აჰყვა.

სკუპ-სკუპომაც გაიცინა უღონოდ და გულისგარეთ.

— აბა, აბა, — მოუთმენლად უთხრა მეფემ, — რაო, რას გვეტყვი?

— იქნებ, რამე ახალი მოვიფიქრო-მეთქი, — უგულისყუროდ მიუგო ქონდრისკაცმა, რადგან ღვინისგან სულ არეოდა ჭკუა.

— იქნებო, — რისხვით დასჭექა ტირანმა, — რაო, იქნებო? ა, ვხედავ, ჯერ ვერა ხარ ხასიათზე. ისევ მოგწყურებია ღვინო, აჰა, დალიე! მეორედ შეუვსო პირამდე თასი და გაუწოდა კუტს, რომელიც უაზროდ შეჰყურებდა, სული ყელში მობჯენოდა.

— დალიე-მეთქი! — დაულრიალა მტარვალმა, — ან არადა, მე შენ...

დაიბნა ქონდრისკაცი. ბრაზით წამოინთო მეფე. ჩაიხითხითეს დიდებულებმა. მკვდრისფერი დაედო ლილოს, მიუახლოვდა და მუსლებში ჩაუვარდა მონარქს, შეესვეწა, შეიწყალეო ჩემი მეგობარი.

ცოტა ხანი დაჰყურებდა ტირანი, გოგოს გაბედულებით გაოცებული თითქოს კიდევ შეჩქვიფებულიყო, ველარ მოეფიქრებინა. საქმნელ-სათქმელი თავისი ბოლმის უკეთ გამოსასტავად. დაბოლოს, ხმის გაუღებლივ გააფთრებით ხელი ჰკრა და სახეში მიანთხია მთელი თასი ღვინო.

ძლივსლა წამოდგა საწყალი გოგო, გასუსული ისევე თავის ადგილს დაუბრუნდა მაგიდის ბოლოში.

ნახევარი წუთი, ვითომც ანგელოსებს ჩამოველოთ, ბუჩოს გაფრენის ხმას გაიგონებდა კაცი. უცებ, თითქოს პალატის ყოველი კუთხიდან მოისმა ჩუმი, მაგრამ მკვეთრი ღრჭენა.

— რაებს... რაებს... რაებს მიჰქარავ? — მრისხანედ მიუბრუნდა და ჩაეკითხა მეფე ქონდრისკაცს.

მას კი ღვინო, როგორც ჩანს, განქარვებოდა და, პირდაპირ თეატლებში რომ მიაჩერდა ტირანს, წყნარად უთხრა:

— მე... რა შუაში ვარ?

— ალბათ, გარედან მოისმა ეს ხმა, — თქვა დიდებულთაგან ერთმა, — მგონი სარკმელთან, გალიაკის მავთულზე ნისკარტს ილესდა თუთიყუში.

— მართლაც, — თითქოს გულს მოუფონა ამ აზრმა ხელმწიფეს, — მაგრამ ვაჟკაცობას გეფიცებით, სული არ წამიწყდეს და მგონი, ეს მაწანწალა აღრჭიალებდა კბილებს.

ქონდრისკაცმა გაიცინა (ასეთი სუმარა რომ იყო მეფე, აღარაფერს იტყოდა სიცილის საწინააღმდეგოდ) და გამოაჩინა თავისი ჩამწყრივებული, ვეება, ღონიერი, ოღონდაც შესაზიზღრად ჩოღერა კბილები. თავი გამოიღო და ასე მოისურვა — რამდენსაც ინებებთ, კიდევ დავლევო იმდენ ღვინოს. ბოლმა გულზე მოეშვა მონარქს; სკუპ-სკუპომ შეუჭირვებელივ კვლავ გამოცალა თასი და იმწუთას გაიტაცა სამასკარადო გეგმებმა.

— ეს იდეა რამ ჩამაგონა, ვერ გეტყვით, — წარმოთქვა გულმშვიდად, ვითომ წვეთი არ დაეღიოს ცხოვრებაში, — მაგრამ იმწამსვე, თქვენმა უდიდებულესობამ სელი რომ გამოიღო და ღვინო სახეში შეასხა ამ გოგოს, იმწამსვე, თქვენმა უდიდებულესობამ ეს რომ ინება და თანაც თუთიყუშმა უცნაურად გაინმაურა სარკმლის მიღმა, გამახსენდა ბრწყინვალე გასართობი, ჩემს სამშობლოში ასე გაჰყავთ დრო, მასკარადებზე ჩვენში ასე თამაშობენ. აჰ კი ახალი ხილია, ოღონდ, სამწუხაროდ, ამ თამაშს რვა კაცი უნდა და...

— მერედა, ჩვენ აქ არა ვართ! — შეჰყვირა მეფემ, გაიცინა, გაიხარა, ასეთი თანხვდენილობა რომ შეამჩნია. — სწორად



რვანი ვართ მე და ჩემი მინისტრები. მო! აბა, რა გასართობი მოგვონებია?

— თამაშს ჰქვია, — უპასუხა კოჭლაუხამ, — რვა გადაჯაჭვული ორანგუტანგი. თუ კარგად ვითამაშებთ, უკეთესს რას ნახავს კაცი.

— თავად ვითამაშებთ, — დაიძახა მეფემ, წელში გაიმართა თვალების ჭუტკით.

— თამაშის მთელი ეშხა, — თქვა სკუპ-სკუპომ, — ქალების დაშინებაა.

— დიდებულა, — ერახმად შეღრიალა მეფემ და მისმა შვიდმა მინისტრმა.

— ორანგუტანგებად გამოგაწყობთ, — განაგრძობდა ქონდრისკაცი, — ყველაფერს მე გავაკეთებ. სრული მსგავსება იქნება; და რასან მოსეირე ხალხი იფიქრებს, ესენი ნამდვილი ცხოველები არიანო, შიშისა და გოცებისაგან ჭკუას დაკარგავს.

— ყოჩაღ, ბიჭო! — შესძახა მეფემ, — სკუპ-სკუპო, კაცს გაგხდი!

— მოღრჭიალე ჯაჭვი გვექნება ეფექტის უკეთ მისაღწევად. ეგონებათ, en masse<sup>1</sup>-დ გამოქცევიათ თავიანთ დარაჯებს. თქვენი უდიდებულესობა ვერც კი წარმოიდგენს, რა მასკარადი იქნება, როცა რვა გადაჯაჭვული ორანგუტანგი შკმოიჭრება და თითქმის ყველა ასე გაიფიქრებს, ნამდვილი მაიმუნები არიანო, ზართა და ღრიანცელით რომ შემოცვიკედებიან მორთულ-მოკაზმულ მამაკაცებსა და ქალებში, ჰოი, რა კონტრასტი იქნება!

— ნამდვილად, — თქვა მეფემ. სასწრაფოდ წამოიშალნენ (ცოტალა რჩებოდა დრო), რათა სკუპ-სკუპოს გვემისამებრ იმწუთას შედგომოდნენ საქმეს.

ძალზე უბრალო გამოდგა ორანგუტანგებად მორთვა, მაგრამ განზრახულის ასასრულებლად სწორედ რომ საკმარისი. ცივილიზებულ სამყაროში ეს ცხოველი იმხანად იშვიალი სანახავი იყო; ასე რომ, ქონდრისკაცის რჩევისამებრ გამოწყობილი ადამიანი სრულიად დამაჯერებლად და შემზარავად წარმოაჩენს ორანგუტანგს.

<sup>1</sup> აქ: გროვად (ფრანგ.).

მეფემ და მინისტრებმა ჯერ ჩაიცივეს მაგრად შემოქცერილი შარვალ-პერანგები, რომლებსაც მერე ბლასად კუბრი მოასხეს. ერთმა თქვა, ზედ ბდღვერი მოვიყარათო; მაგრამ იმწამსვე ეს აზრი ქონდრისკაცმა უარყო, რვავეს მალე ჩააგონა ბამბა უფრო დაემგვანებოთ ორანგუტანგის ბეწვს. კუბრის სქელ ფენას ხვავრიელად მოაყარეს ბამბის ფთილები. ამის შემდეგ მოატანინეს გრძელი ჯაჭვი. პირველად მეფეს შემოარტყეს წელზე და შეკრეს; შემდეგ მეორე დიდებულს და ისიც შეკრეს; ასე და ამდაგვარად ყველა ერთი-მეორეს გადააბეს. მერე გადაჯაჭვულები ერთმანეთს დაცილდნენ, სანამდისაც შეიძლებოდა, და წრე დაარტყეს, მეტი ბუნებრიობისთვის სკუპ-სკუპომ მონარჩენი ჯაჭვი წრეშივე ჯვარედინად გადაჭიმა. ამგვარად ახლა შიმპანზეებს თუ უფრო დიდ მაიმუნებს აბამენ ბორნეოში.

სამასკარადო პალატი იყო მრგვალი, ვეებერთელა, ძალზე მაღალჭერიანი, ნათდებოდა თალის წვეროზე დატანებული სარკმლიდან ჩამოღწეული მზის სხივებით. ღამ-ღამობით (დარბაზი სწორედ ამ დროისთვის გაემიზნათ) ეს უზარმაზარი ოთახი კაშკაშდებოდა, ძირითადად, იმავე სარკმლიდან ჩამოშვებული დიდი ჭაღით, რომელსაც საჭიროებისდაგვარად ხან ჩამოწევდნენ, ხან აწევდნენ ოწინართი. მაგრამ, ჩვეულებრივ, ამ ჭაღს (რაკი აქაურობას აუშნობდა) სშირად მიმალავდნენ ხოლმე ჭერში, თაღებს ზემოთ.

ლილოს სურვილისამებრ მორთეს პალატი; მაგრამ რალაც-რალაცები, როგორც ჩანს, მისმა მეგობარმა ქონდრისკაცმა გააკეთებინა. საღამოს დადგომამდე ჭაღი ააზიდინა ჭერში მისივე მითითებით. ცვილის ჩამონალვენთს (ცხელი ამინდი იდგა) შეეძლო კარგა მაგრა დაესვარა სტუმრების მდიდრული სამოსელი, რაკი ბევრი ხალხი მოვიდოდა და ყველა სომ ვერ დადგებოდა პალატის ნაპირას, ზოგს სწორედ ჭაღის ქვემოთ მოუსდებოდა ყოფნა. კედლებთან გამწკრივებული კარიატიდების მარჯვენა ხელში ენთო სურნელოვანი ჩირაღდანი, რომოცდაათი თუ სამოცი ასეთი ქანდაკება იდგა აქ.

სკუპ-სკუპოს რჩევისამებრ რვა ორანგუტანგი მოთმინებით ელოდა შუალამეს (როცა აუარება ნიღბოსანი მოიყრიდა თავს პალატში). საათის რეკვა ჯერ კიდევ არ მიჩუმებულიყო, უცებ

უცნაური არსებანი შემოცვივდნენ თუ, უფრო სწორად, შემო-  
ხლართნენ ერთი-მეორის მოყოლებით. რაკილა ჯაჭვით იყ-  
ვნენ გადაბმულები და რვავემ წაიფორსილა, ზოგი დაეცა კი-  
დეც.

თავზარი დაეცა მოსეირე ხალხს, მეფე კი ცას ეწია სინა-  
რულით. ვარაუდისამებრ, მოწვეულთაგან მეტწილმა ეს კაცთ  
არამსგავსი არსებანი ორანგუტანგებად თუ არა, რაღაც მხე-  
ცებად მაინც მიიჩნია. შიშით გული შეუღონდა ბევრ მანდილო-  
სანს და კიდეც კარგი, რომ წინდახედულება გამოეჩინა მეფეს  
და მისი ბრძანებით პალატაში იარაღიანი არავინ შემოუშვეს.  
ასე რომ, შეიძლება ზოგს სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა  
ეს ხუმრობა. ყველა მიაწყდა კარებს, მაგრამ მეფეს შემოს-  
ვლისთანავე ყოველი გასასვლელი ჩაეკეტინებინა და კლი-  
ტეები, რახან ასეთი იყო მასხარას სურვილი, მასვე შე-  
ენასა.

ერთი ამბავი ატყდა. ყველა თავის გადარჩენას ცდილობდა  
(მართლაც, ხომ საშიშარია ასეთ გაწამაწიაში მოხვედრა). უჭა-  
ლოდ, სულ ცოტცოტაობით ჩამოიწია საჭაღე ჯაჭვმა და იმ  
დროს განერდა, როცა მისი კაუჭგამობმული ბოლო იატაკს სა-  
მი ფუტით იყო დაცილებული.

მალე მეფემ და მისმა შვიდმა მეგობარმა ბორძიკ-ბორძი-  
კით მოვლეს პალატის ყველა კუთხე. ბოლოს, შუა ალაგას მო-  
ატანეს და, რაღა თქმა უნდა, მოუახლოვდნენ ჯაჭვს. ფესდა-  
ფეს უჩუმრად მოჰყვებოდა, აგულიანებდა, აქეზებდა მათ ქონ-  
დრისკაცი, მერე მოკიდა ხელი ჯაჭვების გადაკვეთის ადგი-  
ლას ერთ რგოლს, წამის უმაღესად ამოაცვა ჭადის საკიდელ  
კაუჭს და მაშინვე რაღაც უჩინარმა ძალამ საჭაღე ჯაჭვი აათ-  
რია საკმაოდ მაღლა, ასე რომ ჰაერში გამოეკიდნენ ორან-  
გუტანგები.

მოსეირენი ამ დროს რამდენადმე მოვიდნენ გონს; და  
რაკი უკვე ხვდებოდნენ, რომ მთელი ეს ამბავი კარგად მო-  
ფიქრებული ოინი იყო, მაიმუნების ასეთი ყოფის დამნახ-  
ველთ სიცილ-კისკისი წასკდათ.

— ამათ თავად მე მოვუვლი! — დასჭყვილა ახლა სკუბ-სკუ-  
პომ. ხალხის ღრიანცელში გარკვევით გაისმა მისი ხმა. — ამათ  
თავად მე მოვუვლი. მგონი მივხვდი, ვინც არიან ესენი. — აბა,

ერთი კარგად დამანახეთ და ამწამსვე, ვინც ბრძანდებიან – მე გეტყვით.

შემდეგ ბრბოს თავებზე შებობდა და კოწიაწით კედელს მიატანა. ერთ-ერთი კარიატიდის ჩირაღდანი დაიტაცა, გამობრუნდა პალატის შუაში, მაიმუნივით მკვირცხლად შესტა და მეფეს თავზე ფეხი დაადგა, ჯაჭვზე აძვრა მაღლიად ორი ფუტით, ჩირაღდანი რომ ჩამოიწვდინა, მოათვალიერა ორანგუტანგები და გაუთავებლივ ყვიროდა: „ვინც ბრძანდებიან – გეტყვით!“

და ასლა, როცა მთელი ეს სერობა (მაიმუნებიანად) იფსრიწებოდა სიცილით, უცებ წვრილად დაუსტვინა მასხარამ. ასე, ოცდაათი ფუტით მკვეთრად აიწია ჯაჭვმა, თან აიტანა, იატაკს და ზედა სარკმელს შუა გამოჰკიდა უკვე შიშატანილი, მოფართხალე ორანგუტანგები. ჯაჭვს ჩაჭიდებულ სკუპ-სკუპოს ფეხი არ მოუცვლია; იმავე მანძილით დაცილებოდა რვა ნიღბოსანს და კვლავ (ვითომცდა აქ არაფერიაო) ჩირაღდანს ქვემოთ იშვერდა, თითქოსდა იმისთვის, ყველაფერი კარგად დავინახო.

ამ ამბით გაოგნებული ყველა რომ გაისუსა, ისევ გაისმა ჩუმი, მკვეთრი ღრჭიალი – სწორედ ასეთივე ხმაურმა მიიპყრო რამდენიმე ხნის წინ მეფისა და მისი მრჩევლების ყურადღება, როდესაც ლილოს ღვინო შეასხეს. მაგრამ ასლა აღარავის შეპარვია ეჭვი, თუ ვისი იყო ეს ხმა. ქონდრისკაცი დუჟ-მორეული აღრჭიალებდა და აკრიჭინებდა დიდრონ, ღოჯა-ღოჯა კბილებს და მანიაკური მრისხანებით ჩამოსცქეროდა თვალაპყრობილ მეფესა და იმის შვიდ დიდებულს.

– ოჰო! – თქვა ბოლოს გახელებულმა მასხარამ, – ოჰო! ახლა კი ვხედავ და ვხვდები, ვინც ბრძანდებიან! – თითქოს მეფის უფრო კარგად დასანახადო, ჩამოიწია ჩირაღდნიანად, წამის უმაღლესად იბრდღვიალა კუპრგამჯდარმა ბამბის ფთილებმა. ნახევარი წუთიც არ იყო გასული და უკვე გუზგუზებდა ყველა, რვავე ორანგუტანგი. თუმცა აუარება ხალხი ამოჰყურებდა წივილ-კივილით ამ შემზარავ სურათს, საშველად თითის განძრევაც ვერავის მოეხერხებინა.

ცეცხლმა იმძლავრა და როცა მისი ენების ციგლია წვერებისგან თავდასაცავად მასხარა მაღლა იწევდა, მცირე ხნით

ისევ ჩამოვარდა სიჩუმე. ქონდრისკაცმა დრო იხელთა და წარმოთქვა:

— ახლა კი ნათლად ვხედავ, აგრე გამოწყობილი ხალხი ვინც ბრძანდება — დიდი მეფე და მისი უახლოესი მრჩეველები. მეფე, რომელმაც უმწეო გოგოს უთაქა და შვიდივე მრჩეველმა მსარი აუბა ამ უმსგავსობის მქმნელს. ჩემდა თავად მე ვარ ერთი მასხარა, ვინმე სკუპ-სკუპო, და ეს იყო ჩემი უკანასკნელი სუმრობა.

ბამბისა და კუპრის ბრდღვიალში მასხარამ ძლივსლა მოასწრო დასრულება თავისი მოკლე სიტყვისა, რომ შურისგება მოთავდა. ჯაჭვზე ჩამოკონწიალებულიყო რვა გვამი — მყრალი, ამაზრზენი, ჩანახშირებული და ჩამოლუფხული გროვა. ქონდრისკაცმა შიგ ამ გროვაში მოისროლა ჩირაღდანი, აუჩქარებლივ აუყვა ჯაჭვს და სარკმელში გაუჩინარდა.

ფიქრობენ, რომ ლილო უცდიდა პალატის სსვენში და თავის მეგობარს ცეცხლოვანი ნაცვალგების მოწყობაში კიდევაც დახმარებია. რაკილა ამის შემდეგ ესენი აღარავის უნახავს, ამბობენ, ერთად მოუხერხებიათ სამშობლოში გაქცევა.

## პ ა მ ბ ა ნ ი

და იმ ველზე დღეს თუ ხვალ,

დამიცადე! მეც მოვალ.

(მეუღლის საფლავისთვის შეუთხზავს ეს ეპიტაფია პენრი კინგს, ჩინესტერის ეპისკოპოსს)

სვეგამწარებულო და საკვირველო კაცო! საკუთარი წარმოსახვის ბრწყინვალეებით გულაჩქროლებულო და დამწვარო საკუთარი სიყმაწვილის ცეცხლში! კვლავ ცხადლივ ვხედავ შენ სახეს! კიდევ ერთხელ დამიდექი თვალწინ! — არა, ჰოი ისეთი არა-მეთქი, როგორიც ახლა ხარ იმ ცივ და მიუსაფარ ველზე, არამედ ისეთი, როგორიც უნდა იყო — დიდებული ფიქრებით რომ ლევ წუთისოფელს, გუნდი ხილვებით მოცული ხარ ამ ქალაქში, შენს ვენეციაში, ვარსკვლავების სატრფო

ზღვის სამოთხე რომ არის და პალადიონის სასახლეების ვე-  
ებერთელა ფანჯრები საწყალობლად და ყოველსმცოდნე იე-  
რით ჩამოსცქერიან ჩუმ იდუმალებას წყლისას. დიას! ვიმეო-  
რებ, როგორიც უნდა იყო-მეთქი. კი უნდა იყოს, ალბათ, სხვა  
სამყაროები, სხვა ფიქრები გარდა კაცთა მოდემის აუარება  
ფიქრისა, სხვა მსჯელობანი სოფისტთა მსჯელობებს გარდა.  
ჩაშინ პასუხს ვინღა მოგთხოვს? საყვედურს ვინ გეტყვის იმ  
ნათელმხილველი საათების გამო ან უქმად გალეულ ცხოვრე-  
ბას ვინ შეარქმევს შენს საქმეთ, შენი დაუთოკებელი ძალის  
ჩქაფუნადლა რომ მოისმოდა?

ეს მოხდა ვენეციაში, იმის თაღებქვეშ, რასაც იქ Ponte  
di Sospiri<sup>1</sup> ეძახიან, და სადაც სამგზის თუ ოთხგზის შეეხვდი  
იმას, ვისზეც მინდა გიამბოთ. შეჩქვიფებული ვიგონებ იმ შეხ-  
ვედრის ყოველ წვრილმანს და მაინც მახსოვს, ჰოი! რაღა და-  
მავიწყებს? შუალამე იყო, ოხვრათა ხიდი, მშვენიერი ქალა  
და ვიწრო არხს ზემოდან მოლივლივე რომანტიულობის გენია.

უჩვეულოდ ბნელი საღამო იდგა. პიაცას ვეებერთელა საათ-  
მა იტალიური ღამის ოთხი საათი გვამცნო. ჩუმი და უკაცური  
იყო კამპანილას მოედანი და დოჟების ძველი სასახლის სი-  
ნათლეები მალე გაიღია. პიაცეტიდან დიდი არხით შინ  
ვბრუნდებოდი და როდესაც ჩემმა გონდოლამ სან მარკუსის  
არხის შესართავის პირდაპირ გაიარა, ქალის კივილმა უეც-  
რად შეძრა ღამე, ველური, ისტერიული და ხანგრძლივი იყო  
ეს კივილი. ფეხზე წამოვიჭერი, ხოლო გონდოლიერს სელი-  
დან გაუსხლტა ის ერთადერთი ნიჩაბი და სადღაც ჩაიკარგა  
მელნისფერ წყალში, აღარც იყო იმის პოვნის იმედი, ჩვენ კი  
ბედის ანაბარად დავრჩით, დინება ამ ადგილას დიდი არხი-  
დან მცირესკენ მიემართებოდა, ეებერთელა შავფრთიანი კონ-  
დორის მსგავსად ჩვენ სელინელ ქვემოთ, ოხვრათა ხიდისკენ  
მივცურავდით, როდესაც სარკმლებში ათასი ჩირალდანი ჩაივ-  
სო და დოჟათა სასახლის კიბეზე დავანებული ბნელუკუნეთი  
ზებუნებრივმა დღისეულმა ციალმა შეცვალა.

ჩვილი დედის მკლავებს დაუსხლტა და ამ მაღალი შენობის  
ზედა სარკმლიდან ღრმა და ბუნდ არხში ჩაეშვა. ჩუმმა წყალ-

<sup>1</sup> ოხვრათა ხიდს (იტალ.).

მა მშვიდად ჩამალა თავისი მსხვერპლი; და თუმცა ჩვენი გონდოლადა ჩანდა იქ, მრავალი მამაცი მცურავი უკვე ჩამომსტარიყო წყალში და ამაოდ ეძებდნენ იმის ზედაპირზე საუნჯეს, რომელიც, ვაგლახს მხოლოდ უფსკრულოვანში უნდა ყოფილიყო. სასახლის შესასვლელში, დიდრონ, შაფვერ ფილებზე, რამდენიმე საფეხურით მაღლა, ვიდაც იდგა, ტანკენარა, მნახველთაგან იმას ვერც ვერავინ დაივიწყებდა. მარკიზა აფროდიტე იყო, მთელს ვენეციაში სათაყვანებელი ქალი, მხიარულთაგან უმხიარულესი, მშვენიერთა ხელმწიფე, ბებერი და ინტრიგანი მენტონის ნორჩი მეუღლე, დედა იმ ქორფა, პირველი და ერთადერთი ბავშვისა, ვინც ახლა ღრმა და მრუმე წყალში დანთქმულიყო, ვისაც საწყალობლად ახსოვდა დედის ტკბილი ხელები და თავის პაწაწინა სიცოცხლეს იმის სახელის ამოსათქმელად ხარჯავდა.

მარტოდ იდგა. პატარა შიშველი და ვერცხლისფერი ფეხები უბრწყინავდა იმის ქვემოთ მოლივლივე მარმარილოსებრ, შავ სარკისებურ ზედაპირზე. ბალიდან დაბრუნებულს ახლახან სანახევროდ გაეშალა თმები, ბრილიანტებით შეფენილი გარშემო, გარშემობურვოდა იმის კლასიკურ თავს სუმბულისებრი კულულები. თოვლივით ქათქათა და გამჭვირვალე მოსასხამი თითქოსდა ერთადერთი იყო, რაც უფარავდა ნაზ სხეულს; მაგრამ ცხელი, დახუთული და გარინდებული იყო შუა ზაფხულის ჰაერი და ქანდაკებასავით, უძრავად გამოკვეთილიყო მისი ტანი, ერთი ნაკეციც არ შერხეულიყო ამ სამოსლისა, მქრქალი ნისლივით რომ გარშემოკვროდა მას ვითარცა მძიმე მარმარილო ნიობეას. და მაინც, კი არის უცნაური! მისი დიდრონი შუქმომფინარი თვალები დაბლა კი არ იმზირებოდნენ, სადაც სამარე იყო მისი ნათელი სულისდგმისა, არამედ სულ სხვა მხარეს! ძველი რესპუბლიკის ციხე ჩანდა იქ, ჩემის აზრით, საუკეთესო შენობა მთელს ვენეციაში, მაგრამ როგორღა მისჩერებოდა ეს ქალი იმ მხარეს, როდესაც მის ქვემოთ ბაღლი იხრჩობოდა მისი? და ის ბნელითა და სევდით მოცული ნიშაც სწორედ მისი სამყოფლოს სარკმლის პირდაპირ — რა შეიძლებოდა ყოფილიყო იმის ჩრდილში, იმის თალებქვეშ, იმ კაემნიან ხავსმოდებულ ლავგარდნებში, რაც მარკიზა დი მენტონის ათასგზის არ უნახავს ადრე? სისულე-

ლექსი ვის არ ახსოვს, რომ ამ დროს, ასეთ ჟამს, თვალები, მსგავსად შემუსრული სარკისა, თავისი ტანჯვა-ვაების საგანს ამრავლებს და იქნებ, უთვალავ უშორეს კუნჭულებში სედავს კარსმომდგარ უბედურებას?

მრავალი საფეხურით მაღლა, მარკიზას ზემოთ, რაბის თაღებქვეშ თავად მენტონი იდგა, გამოწყობილი, სატირის დარი. დროდადრო ჩამოჰკრავდა სიმებს გიტარისას და თითქოსდა მთლად ennuye<sup>1</sup> ზოგჯერ შეჩერდებოდა და რჩევა-დარიგებას იძლეოდა, თუ სად უნდა ეპოვნათ ბავშვი. თავზარდაცემული და ჭკუაარეული ვიყავი და ახლავა შევნიშნე, პირველად რომ გავიგონე კივილი, მას შემდეგ ასე ტანასვეტილი ვიდექი და ალბათ, აღელვებული ხალხის თვალწინ ბოროტეული ლანდივით გამოვჩნდი, როდესაც სახეგაფითრებული და გაშეშებული ქვემოთ მივცურავდი ამ სამგლოვიარო გონდოლაზე.

ამაოდ დაშვრნენ, მრავალ უგულმოდგინეს მძებნელს დაეყარა ფარ-ხმალი და ენით უთქმელ მწუხარებას მისცემოდა. თითქოსდა იმ ბაღისათვისაც გადაწურულიყო იმედი (დედა-მისისთვის კი უფრო მეტადაც), რომ უცებ, იმ ჩაბნელებულა ნიშის სიღრმიდან, როგორც გითხარით, ძველი რესპუბლიკის ციხის შენობაში რომ იყო დატანიებული, სწორედ მარკიზას სარკმლის პირდაპირ, ვიღაც გამოვიდა, მთლიანად გახვეულიყო ლაბადაში, სინათლეში შემთაბიჯა და წამით რომ შეეყოვნა და იმ თავბრუსდამსვევ სიმაღლეზე, არხში გადმოეშვა თავით და რამდენსამე წამის შემდეგ მარკიზას გვერდით იდგა მარმარილოს ფილებზე, იმის ხელებში ცოცხალი ბავშვი სუნთქავდა, მთლად დასველებოდა ლაბადა, გაიხსნა, ჩამოსძვრა, და იმის ფერხითით დაეცა, ის მშვენიერი, სულ ყმაწვილი კაცი იცნო გაკვირვებულმა ხალხმა, თითქმის მთელ ევროპაში ჰქუხნა მისი სახელი.

სიტყვაც არ უთქვამს მხსნელს. მაგრამ მარკიზა! ახლა კი გულში ჩაიკრავს თავის ბაღს, დააცხრება მის პაწაწინა სხეულს; დაჰკოცნის თავიდან ბოლომდე. ვაგლახ! სხვა ხელებმა წააგვარეს იგი უცნობს, სხვა მკლავებმა მიიკრეს იგი მკერდ-

<sup>1</sup> აქ თავმოებზრებული (ფრანგ.).



ზე, და წაიყვანეს ასე, სასახლეში შეიყვანეს შეუმჩნეველად! მარკიზა კი მისი ბაგე; თრთის მისი მშვენიერი ბაგე ცრემლები ჩასდგომია თვალებში, თვალებში-მეთქი, პლინიუსის აქატს რომ მოგვაგონებს, „ნაზსა და თითქმის სველს“. დიახ! ცრემლები ჩასდგომია თვალებში და ხედავთ! სულით სორცამდე რაღაცამ შესძრა ქალი, ქანდაკება გაცოცხლდა! სიფითრე მარმარილოსებრი სახისა, მარმარილოსებრი მკერდისა, სიწმინდე მარმარილოსებრი ფეხებისა უეცრად დაინთქმება დაუძლეველ სიწითლეში, მთელი მისი ნაზი სსეული თრთის ვითარცა ნეაპოლური ნიავი ფრთხიალებს ბალახში ამოსულ დიდებულ ვერცხლისფერ შროშანებში.

რალატომ წამოინთო ის ქალი უპასუხოდ რჩება ეს კითხვა... იქნებ, ეს იყო, თავზარდაცემულმა დედამ სასწრაფოდ რომ დატოვა თავისი ბუღუარი, თავისი პაწაწინა ფეხების შემოსვა და თავისი ვენეციური მსრების დაფარვა დავიწყებია რამეთი, სხვა რაღა უნდა იყოს ამ სიწითლის მიზეზი? მიზეზი მისი აგრე მავედრებელი თვალებისა? მკერდი ასე რალატომ აუღ-ჩაუდიოდა. ხელის კანკალი რალატომ ვერ დაეოკებინა? იმ ხელისა, რომელიც, მენტონის სასახლეში გაბრუნების სანს, უნებურად შეეხო უცნობის ხელს? მიზეზი რა იყო, როდესაც მან დაბალი სმით, სულ დაბალი სმით მეყსეულად ამოთქვა უაზრო სიტყვები დამშვიდობებისას? „შენ გაიმარჯვე, — ასე წარმოთქვა თუ, იქნებ, წყლის ჩქაფუნმა მომატყუა მე, — გაიმარჯვე-მეთქი, მზე ამოაშუქებს თავის პირველ სხივებს და ერთი საათის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს შევსვდებით, დაე ასე იყოს!“

\* \* \*

ხალხის ჩოჩქოლი შეწყდა, სინათლე ჩაქრა სასახლეში, და მე რომ ვიცანი, ის უცხო, მართოდ დარჩა იმ ფილებზე მდგარი. ცანცანებდა რაღაც გაურკვეველი მღელვარებით მოცული და აქეთ-იქით ისხედებოდა, გონდოლას ეძებდა. განა შემეძლო, რომ ჩემი არ შემეთავაზებინა, მადლობა მითხრა. ნიჩაბი ვიშოვეთ რაბთან, იმის საცხოვრებლისაკენ გავწიეთ, სწრაფად დაიოკა თავი და ჩვენს ადრეულ და შორეულ ნაცნობობაზე გულისთადად სიტყვა ჩამოაგდო.

არის საგნები, რომელზეც გამოწველილვით საუბარი მსია-  
მოვნებს. იმ უცნობის პიროვნება — ნება მიბოძეთ ასე მოვიზ-  
სენიო ის, ვინც მთელი ქვეყნიერებისათვის უცნობი იყო მა-  
შინ — იმ უცნობის პიროვნება-მეთქი სწორედ ასეთი საგანი  
გახლდათ ჩემთვის. საშუალოზე დაბალი უფრო ეთქმოდა; თემ-  
ცა ხანდახან ძლიერ ვნებამორეული ნამდვილად ტანაზიდული  
ჩანდა და უარყოფდა ამ აზრს, თხელი, თითქმისლა ნაზი სხე-  
ული მისი თიაქოსდა უფრორე მზად იყო სულ მუდამ სამოქ-  
მედოდ, როგორც ეს ოხვრათა ხიდზე დავინახეთ, ვიდრე ჰერ-  
კულესის დარ ძალას გამოამუჟავნებდა, თუმცა კი ვიცოდით,  
დიდი საფრთხის დროს სწორედაც გამოამუჟავნებდა ასეთ ძა-  
ლას. ბაგე-პირი და ნიკაპი ღვთაებრივი; თვალები უჩვეულო,  
ველური, დიდრონი და ბრწყინვალე, მთლად თოვლისფერნი  
ჩანდნენ ზოგჯერ, ზოგჯერ კი — შავად შუქმორეულნი; ტყვრი  
დახვეული შავფერი თმებისა, რომელშიაც სპილოს ძკლის-  
ფრად გამოჩნდებოდა ხანდახან გასაოცრად ფართო შუბლი;  
ასეთი ნაკვთებისა გახლდათ, მსგავსი თანაზომიერება არსად  
მინახავს, თუმცა აქ შეიძლება კი გაგვახსენდეს იმპერატორ  
კომოდუსის ქანდაკება. მაგრამ იმხანად ისეთი პირისახისა  
იყო, რომ სხვა დროს ასეთი არა კაცს არ უნახავს. ვერ იტყო-  
დით, რაღაც სულ ერთი, განსაკუთრებული გამომეტყველება  
აქვსო, დამახსოვრება რომ შეგეძლოთ მისი, იმწუთასვე დაგა-  
ვიწყდებოდა ხსენებული გამომეტყველება, მაგრამ დაგავიწყ-  
დებოდა თუ არა, მაშინვე მოგიცავდათ ძალუმი და წარუვალი  
სურვილი კვალად იმისი გახსენებისა. არც არასდროს ყოფი-  
ლა, რომ ყოველ სულს მსწრაფლწარმავალი ვნებისას დაეტო-  
ვებისოს რამე ალი-კვალი მისი სახის სარკეზე — ოღონდ ეს  
სარკე, როგორც ეს სარკეს შეეფერება, არ იტოვებდა ვნების  
ნაკვალევს, იმწუთასვე წარიხოცებოდა, გაივლიდა ეს ვნება  
თუ არა.

ჩვენი იმდამინდელი თავგადასავლის მერე რომ დამემშვი-  
დობა, მთხოვა, ჩემის აზრით გულითა და სულით, ვწვეოდი  
მას მეორე დღეს, ძალიან ადრე, დილით. მზე ამოიწვერა თუ  
არა, იმის პალაცოში მივედი, დიდი არხის ნაპირას, რიალტოს  
არემიდამოში რომ აღმართულან, იმ შენობათაგან ეს ერთ-ერ-  
თი იყო, სევდის მომგვრელი, უზარმაზარი და ფანტასტიკურად

მოპირკეთებული. ფართო, დახვეული და მოზაიკური კიბით მალლა ამიყვანეს, იმის სამყოფლოს ღია კარიდან ერთ უთქმელი ბრწყინვალეობა გამოიჭრა და თვალი მომჭრა ფერისა სიუხვემ, თავბრუ დამახვია.

ჩემი ნაცნობის სიმდიდრის ამბავი მე ვიცოდი. მის აყლადიდებაზე ხალხი იმდენს ლაპარაკობდა, რომ ასე ვფიქრობდი, რამდენს აჭარბებენ-მეთქი. მაგრამ ირგვლივ რომ ვიყურებოდი, თავი ველარ დამეჯერებინა, სხვა ვინმე თუ არის ევროპაში, ვისაც ისეთი მეფური საგანძური მოუხვეჭავს, რომ ირგვლივ ყველაფერს ბღღვრიალი გააქვს და ნათელი გადასდის.

თუმცა, როგორც გითხარით, მზე ამოსული იყო, მაგრამ ეს დარბაზი სანათებს გაეჩახჩახებინათ. ამ გარემოებამ და, ასევე, ჩემი ნაცნობის დაღლილმა სახემ მამცნო, რომ მას მთელი, ღამე თვალი არ მოუხუჭავს. მნახველი უთუოდ უნდა განეცვიფრებინა და თავისი ბრწყინვალეობით დაებმავებინა, ისეთი იყო ამ ოთახის არქიტექტურა და მორთულობა. მცირეოდნავ უგულისყუროდ განელაგებინათ ეს *decora*<sup>1</sup>, მცოდნენი ამას ნაწილთა ურთიერთშეხამებას ანუ ეროვნულ სტილს უწოდებენ. თვალი ერთი საგნიდან მეორეზე გადადიოდა და არც ერთზე არ ჩერდებოდა — არც ბერძენი მსატკრების გროტესკულ ტილოებზე, არც იტალიის საუკეთესო დროინდელ ქანდაკებებზე და არც ეგვიპტელ ხელოსანთა უხეშად გამოყვანილ ჩუქურთმებზე. დარბაზის ყოველ კუთხე-კუნჭულში ჩამოშვებული გობელენები აეთრთოლებინა დაბალი სმის ნაღვლიან მუსაკას, სად უკრავდნენ, ვერ მივხვდი. გრძნობები დამჩლუნგებოდა სურნელებათა ნარვეისაგან, გასაოცარი, უცნაურად ხვეული საკმევლებისაგან რომ მოიფრქვეოდა გაუთავებლივ მოციმციმე-მობღღვრიალუ ზურმუხტოვანი და იისფეროვანი ცეცხლის ენების წიაღით. მეწამულისფრად შეფერილი, ამობურცული მინებით გაწყობილი სარკმლებიდან ახლახან შემოეჭვრიტა მზეს და ყოველივე გადაენათებინა. ვერცხლისწყლის ნაკადულების დარად ლავგარდნებიდან ჩამოშლილ ფარდაგებში არეკლილიყო ბრწყინვალეობა ბუნების მეუფისა და

<sup>1</sup> მორთულობა (ლათ.).

აქა-იქ ლიცლიცით შერთოდა ხელოვნურ ნათელს და ეს შექსავსე მორევი თითქოსდა ხვავრიელად მოყდინებოდა მდიდრულ, ოქროქსოვილ ჩილიერ ნოხზე.

— ხა! ხა! ხა!.. ხა! ხა! ხა! — გამხიარულდა ჩემი მასპინძელი და შემიპატიჟა, დაბრძანდითო, თავად კი დივანზე წამოწვა. — კი ვხედავ, — მითხრა მან, როდესაც შეამჩნია, რომ მე უხერხულა მისი ასეთი უცნაური დახვედრა, — კი ვხედავ, განცვიფრებული ხართ ჩემი დარბაზებით, ჩემი ქანდაკებებით, ჩემი სურათებით, ჩემი შეხედულებით არქიტექტურასა და ავეჯეულობაზე! ჩემმა ბრწყინვალეობამ მთლად დაგათროთ მგონია? მაგრამ გთხოვთ მომიტევოთ, ჩემო ბატონო (საუბრის ტონი შეიცვალა აქ და სულ გულითადად მელაპარაკებოდა ამის შემდეგ) გთხოვთ მომიტევოთ ეს ჩემი უგვანი ხარხარი. თქვენ ისე გაოცებული ჩანდით. და კიდევ, კაცს რა არ გადახლება თავს და რას იზამს, ან უნდა გაიცინოს, ან მოკვდეს! მცინარე რომ შესვდები სიკვდილს, ყველაზე უფრო დიდებული ეს უნდა იყოს! ბ-ნმა ტომას მორმა, დიდებული კაცი გახლდათ ბ-ნი ტომას მორი, მცინარე მოკვდა ბ-ნი ტომას მორი, თქვენც გემახსოვრებათ. ასევე, რავიზიუს ტექსტორის „აბსურდულობათა ნუსხაში“ მრავალია ჩამოთვლილი, ვისაც ასე მშვენივრად მოღებია ბოლო. მაგრამ თქვენ თუ იცით, — განაგრძო მან ჩაფიქრებულმა, — რომ სპარტაში (რომელსაც პალეოქორს ეძახიან ახლა), სპარტაში-მეთქი, მე გეუბნებით, ციტადელის დასავლეთით ძლივს შესამჩნევ ნანგრევთა ქაოსში რაღაც ცოკოლის მსგავსი ჩანს და ზედ დღესაც ამოიკითხავთ: ΛΑΞΜ. თქმა არ უნდა, ეს ნაწილია სიტყვისა ΓΕΛΑΞΜ<sup>1</sup>. ჰოდა, იმ სპარტაში ათასი ტაძარი და საკურთხეველი იდგა ათასი ღვთაებისადმი მიძღვნილი და კი არის მეტად უცნაური, რომ სიცილის საკურთხეველს ყველაზე უფრო დიდი დღე ჰქონდა! მაგრამ ახლა კი, — შეჩერდა, ხმა და საუბარი გასაოცრად შეიცვალა, — მე რა უფლება მაქვს თქვენს ხარჯზე ვიმხიარულო. განცვიფრებული ბრძანდებით და კიდევაც გაქვთ ამისთვის საფუძველი. ჩემი სხვა დარბაზები სულაც არა. ჰგავს ამას — ჩვეულებრივი მოდური უგემოვნობის ultras<sup>2</sup> არიან მიტანებულნი.

<sup>1</sup> სიცილი (ბერძნ.).

<sup>2</sup> აქ: მწვერვალს (ლათ.).

ამან კი უნდა აჯობოს მოდას, ხომ ასეა? და ვინმეს ამ დარბაზის ნახვა მეტად ძვირად დაუჯდება, ჭკუას დაკარგავს და მთელ თავის საგვარეულო ავლადიდებას მსგავსის შექმნას მონდომებს. მაგრამ ასეთ პროფანაციას ჯერ არ მოვსწრებივარ. თუმცა კი ეს ერთი გამონაკლისი ილაა, თქვენ ერთადერთი ადამიანი შვილი ხართ, გარდა ჩემი მსახურისა, ვინც ეზიარა ამ სამეფო სამყოფლის საიდუმლოებას მას შემდეგ, რაც ასე გააწყვეთ!

თავი დავუკარი ნიშნად მადლიერებისა, რადგან აქაურობის ყოვლისმომცველ ბრწყინვალეობას, სურნელებასა და მუსიკას, შერთულს იმის მოულოდნელ ექსცენტრულ საუბართან და მიხრა-მოსრასთან ვერ გამოვსატავდი, სიტყვით ვერ შევაფასებდი იმას, რაიც შეიძლებოდა კომპლიმენტი ყოფილიყო.

— აქ, — განაგრძო მან, როდესაც წამოდგა, და ამ დარბაზის დათვალიერების ხანს ხელზე დამეყრდნობოდა ხოლმე, — აქ ნახავთ მხატვრობას ბერძნებიდან მოყოლებული ჩიმაბუემდე, ჩიმაბუედან ჩვენს დღემდე. როგორც თქვენ ხედავთ, მრავალი ისეა შერჩეული, რომ სათნობას არ დაგიდევთ. მაგრამ ყოველი სრულიად შესაფერისია მსგავსი გობელენებიანი დარბაზის შესამკობად. აქ არის, აგრეთვე, ზოგიერთი *chef-d'oeuvre*<sup>1</sup> უცნობი დიდი მხატვრებისა; აქვეა იმათი დაუმთავრებელი ესკიზები, ვინც სახელგანთქმულნი იყვნენ თავის დროზე და რომელთა სახელები აკადემიკოსების შორსმჭვრეტელობის წყალობით დარჩა მდუმარებას, დამრჩა მე. რას იტყვით თქვენ, — უეცრად მომიტრიალდა და მითხრა მან, — რას იტყვით-მეთქი ამ მადონაზე *della Pietà*?<sup>2</sup>

— თავად გვიდოს ნამუშევარი! — მივუგე მხნედ, როგორც ეს ჩემთვის იყო დამახასიათებელი, როდესაც გამოწველილვით ვათვალიერებდი იმის წარუვალ მშვენიერებას, — თავად გვიდოს ნამუშევარი-მეთქი! როგორღა მოახერხეთ მისი შექმნა? თქმა არ უნდა, ფერწერისთვის ის იგივეა, რაც ვენერა ქანდაკებისათვის.

---

<sup>1</sup> შედევრები (ფრანგ.).

<sup>2</sup> მგლოვიარე (იტალ.).

— ჰოი! — წარმოთქვა ჩაფიქრებულმა, — ვენერა? მშვენიერი ვენერა? ვენერა მედიციელი? პაწაწინა თავითა და მოთქრული თმით? რომლის მარცხენა ხელის ნაწილი (ხმადაბლა ლაპარაკობდა ახლა, ძლივსღა მესმოდა) და მთელი მარჯვენა ხელი რესტავრირებულია, ჰოდა, ამ მარჯვენა ხელში სიკეკლუცეა ჩაქსოვილი, რაც, ჩემი აზრით, აფექტაციის გამოსატყულებად სრულიად. კანოვას ვენერა მირჩვენია ყველაფერს! აპოლონიც ასლია—საორჭოფო აქ რა უნდა იყოს — და რა ბრმა და სუელელი ყოფილვარ, აპოლონის სანაქებო ზემთაგონებულობა რომ ვერ შევნიშნე! არ შემიძლია, შემიბრალებთ. ამას მე ანტიროეს ვერ ვამჯობინებ. განა სოკრატეს არ უთქვამს, მოქანდაკე თავის ქანდაკებას მარმარილოს ლოდში პოულობსო? მაშინ ამ სიტყვების მთქმელი მიქელანჯელო ორიგინალური არ ყოფილა:

„No ha l'ottimo artista alcun concetto  
Che un marmo solo in se non circunscriva“<sup>1</sup>,

იყო, ანუ კი უნდა ყოფილიყო აღნიშნული, რომ მიხრა-მოხრის მეშვეობით ბრიყვისაგან ყოველთვის გამოვარჩევთ ქეშმარიტ ჯენტლმენს, თუმცა კი უცებ ძნელია ზუსტად დავადგინოთ, თუ სახელდობრ რა განსხვავებაა მათ შორის. კარგად მახსოვდა ეს გარემოება და ჩემი ნაცნობის გარეგნული ქცევის მაცქერალი ვგრძნობდი, იმ ფათერაკებიან დილას სხენებული გარემოება დიასაც შესაფერისი იყო მისი გუნება-განწყობილებისა და ხასიათის. შედარებით სწორად რომ ავიწეროთ მისი სული და გული, რითიც ასე ცხადლივ გამოირჩეოდა სხვებისაგან, უნდა აღვნიშნო, გაუთავებელი და დაძაბული ფიქრი იცოდა და ყოველივესაც ესაძირკვლებოდა ეს მისი თვისება — სულ ჩვეულებრივი საქმიანობის დროს და გართობა-მხიარულების ჟამსაც აჰყვებოდა ფიქრებს, მსგავსად იმ გველებისა, რომლებიც მოცინარე ნიღბების თვალთაგან გამოიკლაკნებოდნენ და გაჰყვებოდნენ პერსეპოლისის ტაძრის ლავგარდნებს.

და მაინც ახლა ვხედავდი, რომ იმის უდარდელსა და ზარზეიმურ სიტყვებში, სულ უმნიშვნელო საგნებზე საუბრის ხანს

<sup>1</sup> „დიდებული ხელოვანის ყოველი ჩანაფიქრი თავად მარმარილოშია ჩაქდებული“ (იტალ.).

რალაც მღელვარება ეტყობოდა, ნერვულ თრთოლას აეტანა და კიდევაც ჩანდა ეს მის ქცევასა და მეტყველებაში, რალაც დაუოკებელი შფოთიანობა დაუფლებოდა, რაც ვერ ამეხსნა და ზოგჯერ შიშსაც კი მგვრიდა. ხშირად გაწყვეტდა სიტყვას, როგორც ჩანს, დავიწყებოდა მისი დასაწყისი და გაფაციცებით ყურს მიუგდებდა, თითქოსდა ვიღაცის მოსვლას ელოდებოდა თუ რალაც ხმებს აყურადებდა მის წარმოდგენაში არსებულს მხოლოდ.

და ერთხელ, როდესაც ისევ ჩაფიქრებულიყო, ანუ აღარაფერი ახსოვდა ამქვეყნად, ჩემ გვერდით რომ იდო, ტახტზე, პოეტისა და მეცნიერის, პოლიციანოს მშვენიერი ტრაგედიის, „ორფეოსის“ (პირველი ეროვნული იტალიური ტრაგედიის) ფურცელი გადავატრიალე და ერთი პასაჟი ამოვიკითხე ფანქრით ხაზგასმული. მესამე აქტის დასასრულთანაა ეს სულისა და გულის შემძვრელი პასაჟი, ეს პასაჟი-მეთქი, რომელსაც ვერც ვერავინ, ბიწიერი კაციც ვერ წაიკითხავს ისე, რომ არ შეჩქვიფდეს მანამდე განუცდელი გრძნობით, სოლო დიაცი უთუოდ ამოიოხრებს მისი წაკითხვის ხანს. სწორედ ასლახან დაელტო ცრემლებს მთელი ფურცელი, სოლო იქვე სუფთა გვერდზე ფურცლისა შემდეგი სტრიქონები იყო დაწერილი ინგლისურად, ჩემი ნაცნობის ხელი ვერ ვიცანი ჯერ, მერე კი ძლივს მივხვდი, კი უნდა ყოფილიყო მისი დაწერილი:

სულისდგმავ და მზეო, სიყვარულო ჩემო,  
შენზე ფიქრით ავაგე მწვანე კუნძული  
ნეტარების ზღვაში; სიყვარულო ჩემო,  
იქ წყარო სჩქეფდა და ზეიმობდა სული,  
დაებურა ყვავილებს მთელი მიდამო,  
ყველა ჩემი იყო ნაზი თაიგული.

პაი, წარისოცა ეს ჩემი სიზმარიც;  
პაი, შავად შეიფერა იმედის ზეცა.  
ზარით ჰყვირის ბუკ-საყვირიც!  
და ხმა მომავლისა ელვად გაიკეცა –  
„წინ, წინო!“ მაგრამ წარსულს გული მისტირის  
(იმ ტიბილ-მღვრიე მორევს), დარდი ათასკეცა  
გლეჯდა სიხარულის ბადეს ვით დანისპირი!

და ვაი! ვაი რომ ოცნების ნათელი  
ჩაივსო, გაილია აწ და მარადის,

„აღარასოდეს — აღარ — აღარასოდეს“

(ჩურჩულით კენესის ტალღა სადაც დის,  
ქვიშის ზვინები იშლება ოდეს)

და მენაკრავი მუნა აღარც კი იძვრას,  
არწივიც ფრთას ვერ გაშლის ველარასოდეს.

ხელი მიჯნური, აი ჩემი სიცოცხლე,

და ღამის სიზმრებია მშველის და მყარავს —

შავ-შავი თვალების კდება ბრწყინვალე

და ცეკვა-თამაში ზმანებებს ლარავს,

სიმღერაც ლალი, ტკბილი და გამჟვირვალე;

იტალიური ზღვაც ნაპირებს ლარავს.

ჰოი წყეულიც იყოს ის დრო და ხანა,

ბედის ტრიალმა რომ წამგლიჯა თვალი,

წარმტაცა სიყვარული და ხმა მყივანა

გვადვრეუნიებდა ცრემლებს ვითარცა ქვალი.

დაეშორდით ერთმანეთს; დაავდო ქვეყანა,

სადაც ტირიფების ტევრია მტირალი.

ინგლისურად რომ იყო დაწერილი ეს სტრიქონები, ჩემის აზრით, ავტორისთვის უცნობ ენაზე, მცირეოდენავლა თუ იყო საკვირველი. მისი დიდი განსწავლულობის ამბავი კარგად ვიცოდი, კიდევაც სიამოვნებდა, ამ ამბავს რომ მაღავდა, რათა მერე რაღაც ამდაგვარ აღმოჩენას განცვიფრებით შესვედროდა; მაგრამ ადგილი და დაწერის თარიღი კი იყო აღნიშნული და უნდა ვაღიარო, დიდად გამაოცა ამ გარემოებამ. „ლონდონი“ მიეწერათ იმთავითვე, შემდეგ კი საგულდაგულოდ გადაეხაზათ, ოლონდ თუკი კარგად დააკვირდებოდით, შეგებლათ ამ სიტყვის ამოკითხვა. დიდად გამაოცა-მეთქი ამ ამბავმა, რადგან კარგად მახსოვს, ჩემს ნაცნობთან პირველივე საუბრის ხანს დაჟინებით ვეკიყხებოდი როდისმე თუ შეგხვედრია-მეთქი ლონდონში მარკიზა და მენტონი (ვინც გათხოვებამდე რამდენიმე წლით ამ ქალაქში ცხოვრობდა), მისი პასუხის შემდეგ თუ არა ვცდები, არ მეგონა თუ ის როდესმე იყო ნამყოფი დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში. მინდა აქ ისიც შეგახსენოთ, რომ მრავალგზის გამიგონია (თუმცა კი, რაღა თქმა უნდა, როგორღა ვირწმუნებდი ამ დაუჯერებელ ამბავს), რომ ის კაცი, ვისზეც მე გესაუბრებით, არა მარტო დაბადებით განათლებითაც გახლდათ ინგლისელი.



— კიდეც ერთი სურათია აქ, — თქვა მან, იმ სტრიქონებს რომ ვკითხულობდი, არც კი შეუმჩნევია, — კიდეც ერთი სურათი აქ, თქვენ ის არ გინახავთ. — გადასწია რაღაც ფარდა და მარკიზა აფროდიტეს მთლიანი პორტრეტი დავინახე.

ღვთაებრივი მშვენიერების მეტი სრულყოფილებით წარმოჩენა ადამიანის ხელოვნებას არ შეუძლია. წინაღობით დოჟათა სასახლის კიბეზე მდგარი ჰაეროვანი ტანალვა ქალი კვლავ ვიხილე. მაგრამ ღიმილით გაცისკროვნებულ მის სახეზე აღბეჭდილიყო (რა ენით უთქმელი ანომალიაა) მთრთოლარე არილი სევდისა, სულ მუდამ რომაა წილნაყარი დიდებულ სილამაზესთან. მკერდზე მიედო მარჯვენა ხელი. მარცხენა კი დაბლა მიეშვირა საოცრად მოზარნიშებული ლარნაკისათვის. პაწაწინა, ფერიას შესაფერისი ფეხები ძლივს შესამჩნევად ეხებოდნენ მიწას; წყვილი უნაზესი ფრთა შამართულიყო და თითქოსდა გარშემოკვროდა, ნათელი მოეღო და ციმციმით მოეცვა მისი მშვენიერება. სურათს რომ მოვაცილე მზერა, იმ ჩემს ნაცნობს შევხედე და ჩემდა უნებურად ამოვთქვი სიტყვები „ბიუსი დ'ამბუადან“:

„ღვას

ვითარცა ქანდაკება რომაული ვიდრე  
სიკვდილი მარმარილოდ არ გარდასახავს მას!”

— მოდი, — ასე მითხრა ბოლოს და დიდრონ, მდიდრულად მომინანქრებულ ვერცხლის მაგიდას მიუბრუნდა, ფანტასტიკურად მოხატული რამდენიმე თასი იდგა ზედ საოცრად მოზარნიშებული ორი ვეებერთელა ლარნაკითურთ, სწორედ ასეთი იყო დახატული იმ პორტრეტის წინა პლანზე; ასე გავიფიქრე, იოჰანისბერგერი ჩაუსსამთ-მეთქი, არც შემცდარვარ. — მოდი, — მოკლედ მომიჭრა მან, — ერთი დავლიოთ! კი არის ადრე, მაგრამ მაინც დავლიოთ! მართლაც ადრეა, — განაგრძო ფიქრში წასულმა, ამ დროს ქერუბიმმა მძიმე ოქროს ჩაქუჩი ჩამოჰკრა და ზარის ხმამ მოიცვა მსაული დარბაზი, ერთი საათი გასულიყო მზის ამოსვლის შემდეგ, — მარ-

თლაც ადრეა, მაგრამ სულ ერთი არ არის? მოდი დაველით-  
მეთქი! თავიანი ვცეთ დიდებულ მზეს, რომლის დანრდილვა-  
საც ამოდ ლამობენ ეს ჭრელაჭრულა ლამპები, საცეცხლურე-  
ბი და საკმევლები! — მერე პითხრა, ჩემი სადღევრძელო შეს-  
ვიო და თავადაც ზედიზედ გამოსცალა რამდენიმე თასი.

— ოცნება, — განაგრძო მან, ისევ ისე წყვეტდა სიტყვას,  
ერთ-ერთი იმ დიდებულ თასთაგან საცეცხლურის მობდღვრი-  
ალე ნათელთან მიიტანა, — ოცნება იყო ჩემი ცხოვრების სა-  
განი და სწორედ ამიტომ შევიქმენი, როგორც თქვენ ხედავთ,  
ეს ჩემი ოცნების სასახლე. ვენეციის შუაგულში უკეთესის  
აგება თუ შეიძლებოდა? მართალია და თქვენც ხედავთ ამას,  
ერთმანეთში აღრეული არქიტექტურული სტილები. იონიური  
სიწმინდე ადამისჟამინდელი ზარნიშებითაა შერყვნილი, სო-  
ლო ეგვიპტური სფინქსები ოქროქსოვილ ნოხებზე დაყურსე-  
ლან. და მაინც საბოლოო ეფექტის მიუღწევლობას ბრიყვიდა  
თუ იტყვის. მართებულობა ადგილისა და განსაკუთრებით  
დროისა გულის შემძვრელ საფრთხობელად ქცეულა კაცობ-  
რიობისათვის და ამიტომაც ველარ სჭვრეტენ ამაღლებულს.  
ერთ დროს მეც ვიყავი ზნეკეთილობის მომხრე, მაგრამ ბო-  
ლოს ამ სისულელეებმა გული გამიწყალეს. ყველაფერი ახლა  
აქ ჩემი შესაფერისია. ვითარცა ეს არაბესკებიანი საცეცხლურ-  
ები, სული ჩემი იმის ალზე ფრთხილებს და ეს სიზმარეული  
სურათები მალე მაზიარებს ახდენილ ოცნებათა ქვეყნის  
მგზნებარე ხილვებს, სადაც მე ახლა მივისწრაფვი. — სიტყვა  
გაწყვიტა აქ უცებ, თავი ჩაჰქინდრა და თითქოს ყური მიუგდო  
იმ ხმებს, რომლებიც მე არ მესმოდა. დაბოლოს გაიმართა, ზე  
აღაპრო თვალი და ამოთქვა ჩიჩესტერის ეპისკოპოსის სიტყ-  
ვები:

„და იმ ველზე დღეს თუ ხვალ,  
დამიცადე! მეც მოვალ“.

და იმავე წამს ღვინომ თავი წაართვა და იქვე გაიშოტა, ტახ-  
ტზე.

კიბეზე ვილაც სწრაფად ამომავალის ფეხის ხმა გავიგონე,  
მაგრად დააკაკუნეს კარზე. მივირბინე, ვაითუ ბრასაბრუსი კი-  
დევ ატეხონ-მეთქი. მენტონების მსახური შემოიჭრა დარბაზ-

ში, და ლულუდით, აღელვებულს ხმა უკანკალებდა, უთავბოლოდ წარმოთქვა: „ჩემი ქალბატონი — ჩემი ქალბატონი — მოიწამლა! — მოიწამლა! ჰოი, მშვენიერი — ჰოი, მშვენიერი აფროდიტე!“ თავტანდაკარგული ტახტთან მივიჭერი, გრძობაზე მოვიყვან-მეთქი მძინარეს, რათა ეს შემზარავი ამბავი მეცნობებინა მისთვის. კიდურები გაშეშებოდა, ზაფრანისფერი გახდომოდა ტუჩები, ამ ცოტა ხნის წინანდელ იმის მოელვარე თვალებში ნაჭდეულიყო სიკვდილი. მაგიდას მივაწყდი, დახეთქილ, ჩაშავებულ თასზე ხელი მომიხვდა და უეცრად მიეღი ეს შემადრწუნებელი სიმართლე განათდა ჩემს სულში,

## ე ლ ე ო ნ ო რ ა

Sub conservatione formae specificae  
salva anima.

RAYMOND LULLY<sup>1</sup>.

ჩამომავლობით მე იმათაგანი ვარ, ვინც დაჯილდოებულია ძალუმი ფანტაზიითა და მგზნებარე ვნებით. გიჟს მეძახოდა ხალხი; საკითხავი კი ის არის, იქნებ, უმაღლესი ჭკუაგონებაა სიგიჟე, იქნებ, ბევრ რამეს, რაც დიდებულია, იქნებ, ყოველივე იმას, რაც ღრმაა, ფიქრის ავადობა აქვს საფუძვლად — ისეთი მდგომარეობა გონისა, რომლის კიდევ მეტია ამაღლება გონიერების წარხოცის საფასურია. ცხადში სიზმრის მხილველებიდა შენიშნავენ იმას, ღამეული სიზმრის მნახველებს რომ გამოჩნებათ. ბუნდ ზმანებაში მარადიულობის გაელვებას მოკრავენ ისინი თვალს და თრთოლვა აიტანთ გამოღვიძების ჟამს, რაკი მიხვდებიან, უდიდესი საიდუმლოს სამანზე ყოფილან თურმე. მეყსეულად სიბრძნისას რაღაცას ეზიარებიან, იმას, რაც სიკეთეა, და იმასაც, რაც ჩვეულებრივ ცოდნაზე მეტია — ბოროტებას. და მაინც საჭის უქონლად და

<sup>1</sup> გარკვეული ფორმის შენარჩუნებისას ხელუხლებელი რჩება სული. რაიმონდ ლული. (ლათ.).

გზის უცოდნელად შეაღწევინ „შეუცნობელი ნათელის“ უკიდევანო ოკეანეში და კვლავ, თითქოსდა ნუბიელი გეოგრაფის თავგადასავლების მოყვარულნი იყვნენ. „agressi sunt mare tenebrarum quid in eo esset exploraturi“<sup>1</sup>.

ვთქვათ და მართლაც გიჟი ვარ. კიდევაც უნდა გამოგიტყდეთ, ორგვარია ჩემი სულიერი მდგომარეობა: მდგომარეობა ნათელმოსილი გონიერებისა, რაც უდავოა, ვით მოგონებები ჩემი სიცოცხლის პირველი წლებისა, და ჩემს ახლანდელ ყოფასთან დაკავშირებული ბინდისნაირი და უმტკიცო მდგომარეობა, ჩემი არსებობის მეორე, უდიდესი ხანის სსოვნა. სწორედ ამიტომ უნდა დაიჯეროთ მონასხრობი ჩემი აღრეული ყოფიერების შესახებ, ხოლო უფრორე გვიანდელ ამბავს ისეთი ნდობით მოეკიდეთ, როგორსაც იგი იმსახურებს; ანდა სულაც ჭოჭმანით შეხედეთ მას ან, თუ ჭოჭმანი არ შეგიძლიათ, თიდაბოსის მსგავსად ამოხსენით ეს გამოცანა.

სიყმაწვილეში რომ მიყვარდა, ვისზეც ახლა გულდამშვიდებითა და ცხადლივ ვწერ ამ მოგონებებს, მხოლოდშობილი ასული იყო დიდი ხნის წინ გარდაცვლილი დედაჩემის ერთადერთი დისა. ელეონორა ერქვა ჩემს დეიდაშვილს. ტროპიკული მზისქვეშ, ნაირფერი ბალახით შეფენილ ველზე სულ ერთად ვიყავით. არავის არც არასდროს შემოუდგამს უცაბედად აქ ფეხი, რაკილა შორს იყო ეს მხარე, გარშემოკრული ცადაზიდული მთაგრეხილით, კლდეები გადმოშვერილიყო ამ არემიდამოზე და მზის სსივიც კი აღარ აღწევდა იმის უმშვენიერეს კუთხე-კუნჭულებში. ბილიკსაც კი ვერ იხილავდით და ჩვენს ბედნიერ საცხოვრისში შემოსალწევად უნდა წვალებით გამოგვევლოთ უღრანი ტყეები, მირიადი ყნოსვის დამატკბობელი ყვავილი უნდა გადმოგეთელათ. მიზეზი მარტობისა ეს იყო, ჩვენ იქით მდებარე გარესამყაროსი არაფერი ვიცოდით მე, ჩემმა დეიდაშვილმა და მისმა დედამ.

მთების მხრიდან, მჭმუნვარე შორეთიდან, ჩვენს გარშემოზღუდულ სამფლობელოში მოედინებოდა ვიწრო და ღრმა მდინარე, ელეონორას თვალების გარდა ყველაფერს რომ ჩრდილავდა თავისი ბრწყინვით; მოიხვეოდა უჩუმრად, დაბოლოს დაინთქმებოდა ჩრდილოვან ხეობაში, ქედებს შუა რომ

<sup>1</sup> შეიჭრებან ბნელეთის ზღვაში იქაურობის მისაკვლევად (ლათ.).

იყო, უფრორე მჭმუნვარე ჩანდნენ ეს ქედები, ვიდრე ისინი, საიდანაც აქეთ მოიკვლევდა გზას. „მდუმარების მდინარეს“ ვეძახდით მას, რადგან ირგვლივ სიჩუმეს ამეფებდა თითქოს. ჩქამიც კი არ ისმოდა მისი, მდორედ მოლივლივებდა და მის სიღრმეში ენთო წარუვალი ელვარებით მარგალიტის კენჭები, თითოეული იმთავითვე უძრავად დალექილიყო ფსკერზე და ჩვენ თვალმოუშორებლივ ვტკბებოდით მათი მშვენიერებით.

ნაპირნი ამ მდინარისა, მისკენ მოჩუსჩუსე მრავალი სხივ-მომფინარე ნაკადული, მთელი ეს სივრცე, სანაპირო არემი-დამოდან ქვევით, ვიდრემდე ფსკერზე მობრჭყვიალე მარგალიტის კენჭებამდე, მთელი ეს ზურმუხტოვანი არემიდამო მთებამდე დაეფარა რბილ, მობიბინე, სშირსა და ერთი სიმალლის, ვანილის სურნელების მფრქვეველ ყვითელ ბაიებს, თეთრ ზიზილოებს, ლილისფერ იებს, მეწამული ფერის ასფოდელოებს, მთელი ეს ზღაპრული მშვენიერება მოუთხრობდა ჩვენს გულებს სიყვარულსა და დიდებას ღვთისას.

აქა და იქ, სიზმარეულ ზმანებისამებრ, ველზე ზეაღმართულიყვნენ საკვირველი ხეები, მაღალნი, მაგრამ არა სწორნი, საოცარი სინატიფით დაკლაკნილებს აეზიდათ წვეროები ამ ველის შუაგულში შუადღით ჩამოშვებული სინათლისაკენ. იმათ ქერქს ერთიმეორის მონაცვლე მოშავო-მოვერცხლისფრო შარავანდი გადასდიოდა, ნაზი იყო, მაგრამ უფრორე უნაზესი ჰქონდა ელეონორას ლოყები; საამო ნიავისაგან თრთოლა-მოკიდებული, ზემოდან ჩამოფენილი ხასხასა მწვანე დიდრონი ფოთლები რომ არა, გიგანტური სირიული გველები\* ეგონებოდა კაცს ისინი, თაყვანს რომ სცემენ თავიანთ მეუფეს, მზეს.

თხუთმეტი წელიწადი ხელიხელჩაკიდებული დავენებტებო-დი ამ ველზე ელეონორასთან ერთად, ვიდრე სიყვარულმა არ ჩაიბუდა ჩვენს გულში. საღამო ჟამს მოხდა ეს ამბავი, მისი ცხოვრების მესამე სუთწლეული ილეოდა, მეოთხე მე უნდა გამესრულებინა მალე. ყელგადაჭდობილნი ვისხედით გველებივით დახვეულ ხეებქვეშ და მდუმარების მდინარეში ჩვენს ანარეკლს დავცქეროდით. გათავდა ეს საამური დღე და კრინტიც არ დაგვიძრავს, გათენდა დილა და სულ ორიოდე სიტყვით მორცხვად გამოველაპარაკეთ ერთმანეთს. ღვთაება ერო-

სი გამოვიხმეთ ჭავლების წიაღიდან და წინაპართა ცეცხლით წამოიგზნო ჩვენი სულები. საუკუნეობით გამოირჩეოდა ჩვენი მოდგმა ვნებით, ასევე წარმოსახვის უნარით, და ახლა ერთ სუნთქვად შეიკრა ყოველივე, ზეგარდმო ნეტარებით მოეველინა ნაირფერი ბალახით შეფენილ ველს. სახე იცვალა აქ ყველაფერმა. გაუგონარი ამბავი მოხდა: იქ, სადაც ყვავილს ვერ ნახავდით, გასაოცარი, შუქსავსე ვარსკვლავისნაირი ყვავილები გამოისხეს ხეებმა. ზურმუხტოვანი ნოხების სიმწვანე უფრო ჩამუქდა და, როცა ერთიმეორის მოყოლებით ჩამოჰკნენ თეთრი ზიზილოები, მათ მაგივრად ათეულობით მეწამულისფერმა ასფოდელოებმა მოიღეს ბღღვრიალი. სიცოცხლემ იფეთქა ყველგან, სადაც კი ფეხი დავადგით; ტანწერწეტა ფლამინგოები გამოჩნდნენ პირველად სხვა მხიარულ ფერადოვან ჩიტებთან ერთად და ალისფერ ნაკრტენაფრიალებულნი დადგნენ ჩვენ წინ. მდინარეში განხდნენ ოქროსა და ვერცხლის თევზები, მისი სიღრმიდან ღიღინი ამოისმა ჯერ და მერე იმატა, იმატა, დაბოლოს იავნანად მიიქცა. სიმღერა ეს უფრო ღვთაებრივი იყო, ვიდრე ეოლოსის ქნარი, მაგრამ ელეონორას ხმის მუსიკას ვერ შეედრებოდა ვერაფერი. ღრუბელი წამოიმართა, უზარმაზარი, ჰესპეროსის სიახლოვეს ვხედავდით დიდხანს მას, ოქროსფერი ცეცხლი გადასდიოდა, გამოცურდა, მშვიდობიანად ჩვენ ზემოთ გაირინდა, დღითი დღე დაბლა, სულ დაბლა ეშვებოდა, ვიდრე მათათა წვეროს არ დაებჯინა კიდით, შარავანდედში შთაინთქა მისი მჭმუნვარება და თითქოსდა სამარადისოდ გამოვიკეტეთ დიდებისა და ბრწყინვალეების ჯადოსნურ ციხე-კოშკში.

სერაფიმივით მზეთუნახავი იყო ელეონორა, ყვავილებს შორის გაატარა თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ამ სათნო და უმანკო გოგონამ. თვალთმაქცურად არ დაუმაღლავს სიყვარულის ალი, რომლითაც მისი გული იყო მოცული, და ჩემთან ერთად მოიხილა მისი უღრმესი კუნჭულები მაშინ, როცა ნაირფერ ბალახით შეფენილ ველზე დავეხეტებოდით და ვსაუბრობდით უკანასკნელ ხანს აქ მომხდარ დიდ ცვლილებებზე.

დაბოლოს ცრემლმორეულმა ერთ დღეს სევდა-მწუხარების მომგვრელი უკანასკნელი ცვლილება მამცნო, ყველა ადამია-

ნის ხვედრი რომაა გარდუვალი. მას მერე ერთი გულის მომ-  
კვლელი აზრი აეკვიატა და სულ უტრიალებდა თავში მსგავსად  
იმისა, როგორც შირაზელი მგოსნის\* სიმღერების ყოველ  
შთამბეჭდავ ვარიაციაში კვლავ და კვლავ წარმოგვიდგება  
ერთი და იგივე სახეები.

მიხვდა, სიკვდილის ლანდი წამოდგომოდა თავს, ფარ-  
ვანას მსგავსად განწირული იყო დასაღუპავად მისი ენით უთ-  
ქმელი მშვენიერება; მაგრამ ჩემთვის საძვლე შემზარავი მხო-  
ლოდ ერთი რამითაა, — თქვა მან მდუმარების მდინარის ნა-  
პირას, საღამო ხანს, შებინდებისას. ფიქრი სტანჯავდა, ნაირ-  
ფერი ბალახით შეფენილ ველზე დამკრძალავ და სამუდამოდ  
მიატოვებ მერე ამ ბედნიერ მხარეს, სხვას შეიყვარებ ასეთი-  
ვე ვნებით, ქალწულთაგან ვინმეს ნახავო ყოველდღიური საზ-  
რუნავით მოცემულ მიღმამყოფ სამყაროში. და მაშინ, იქვე,  
იმავე წამს მუხლებში ჩავუვარდი ელეონორას და შევფიცე  
მას და ზეცასაც, რომ მიწის შვილს არასდროს მოვიყვანდი  
ცოლად, არც არასდროს ვუღალატებდი მის ძვირფას ხსოვნას.  
ანუ ხსოვნას იმ სიყვარულისას, რომელიც მომიძღვნა. დიდი  
მეუფე ზესთასოფლისა მოწმედ მოვიხმე, რომ ფიცი ეს წმინ-  
დაა და საზეიმო, და თუ ამ ფიცს დავივიწყებდი, დაე დავესა-  
ჯე მას და ელეონორას, ვინც სასუფეველს ელიზიუმში დაიმ-  
კვიდრებდა, ისეთი საზარელი სასჯელით, რომ თქმაც ვერ გა-  
მიბედავს აქ. ჩემს ამ სიტყვებზე ნათელმოსილი თვალები უფ-  
რო ნათელი გაუხდა ელეონორას, სული მოითქვა, თითქოსდა  
მომაკვდინებელი ხვანჯები დაესხნა მის მკერდს, თრთოლა  
მოეკიდა და მწარედ აქვითინდა; მაგრამ ჩემი ფიცის სიმტკი-  
ცეში ეჭვი არ შეპარვია (ის ხომ ჯერ კიდევ ბალლი იყო) და  
ნეტარება მიანიჭა სიკვდილის სარეცელზე გაკრულს. რამდე-  
ნიმე დღის შემდეგ გულდამშვიდებულმა მომაკვდავმა ასე  
მითხრა: რაღაი ნუგეშცემულია იგი. ჩემგან, მეოხად მომე-  
ვლინება მისი სული და, თუკი მისი ნება იქნება, ღამღამობით  
ცხადლივ ვიხილავ მას, ხოლო სამოთხის სულებს თუ ეს არ  
ძალუბთ, მაშინ ხშირად მამცნობს თავის ყოფნას — მწუხრის  
ნიავე ლოყაზე მომელამუნება მისი ფშვინვით ან ზეციური  
კანდელის სურნელებით გამსჭვალავს იმ ჰაერს, რომლითაც  
მე ვსუნთქავ. და ამ სიტყვებით დაუტევა მან თავისი უცოდვე-

ლი სიცოცხლე და ამით სამანი დაუდო ჩემი არსებობის პირველ ხანას.

აქამდე რაც მოგახსენეთ, სრული ჭეშმარიტებაა მაგრამ გადავაბიჯე თუ არა ჟამთა მსვლელობის, ანუ ჩემი სატრფოს სიკვდილით გავლებულ ზღუდეს და ფეხი შევდგი ჩემი არსებობის მეორე ხანაში, ასე ვიგრძენი, — რაღაც ჩრდილმა მოიცვა ჩემი გონება და აღარ ვენდობი, არ ვიცი, რამდენადაა მართალი ჩემი ჩანაწერები. მაგრამ ნება მომეცით გავაგრძელო ჩემი სააქმელი — მიძიმედ მიდიოდა წლები, ნაირფერი ბალახით შეფენილ ველზე ვცხოვრობდი ჯერ კიდევ; მეორედ იცვალა სახე აქ ყველაფერმა. ვარსკვლავებისნაირი ყვავილები შეაჭკნენ ხის ტოტებს და აღარც აყვავებულან მერე. ზურმუხტოვანი ხალიჩა გახუნდა, ერთიმეორის მიყალბებით გაქრნენ მეწამული ფერის ასფოდელოები და იმათ ადგილას ათეულობით ამოვიდნენ აცახცახებული და ნიადაგ ცვრიანი შავ-შავი იები. სიცოცხლის მჩქეფარება აღარ ისმოდა ჩვენს სავალ ბილიკებზე, რაკილა ტანწერწეტა ფლამინგოებმა თავიანთი ალისფერი ფრთები შეიკეცეს, სევდამორეულები სხვა, აქ გადმოფრენილ მხიარულ ჩიტებთან ერთად გაფრინდნენ ველიდან და სადღაც მთებში გადაიკარგნენ. ოქროსა და ვერცხლის თევზები ჩაჰყვნენ დინებას, ჩვენი მხარის სულ განაპირა მიყრუებულ ხეობაში ჩაიჩუმქრნენ და აწ აღარასოდეს დაუმშვენებიათ ეს ლამაზი არემიდამო. ეოლოსის ქნარზე უფრო ტკბილი ღვთაებრივი იავნანა, ელეონორას ხმის მუსიკის გარდა ყველა სიმღერას რომ ჯობდა, დღითი დღე სულ უფრო და უფრო ჩუმი ხდებოდა და სულაც ჩაჩუმდა ბოლოს, ნელ-ნელა ჩაკვდა მდინარეების ჩქაფუნი და პირველყოფილმა საზეიმო მდუმარებამ იმძლავრა აქ. მოიმალლა უზარმაზარმა ღრუბელმა, ჰესპეროსის მხარეს გადაიხვეწა, ნაირფერი ბალახით შეფენილი ველიდან თან წარიტაცა ჯადოსნური დიდებულება და ბრწყინვალეობა, ოდინდელი სევდა-კაემანი მოახვია მათათა მწვერვალებს.

მაგრამ ელეონორასადმი მიცემული ფიცი არ დამვიწყებია: ანგელოზების მიერ დარხეული საცეცხლურების წკარუნი მესმოდა, ველის წიად კვლავ და კვლავ მოედინებოდა წმინდა სურნელება, მარტოსულობის ჟამს, ჩემთან, კულჩაღამებულ



კაცთან ნაზი სუნთქვა მოჰქონდა ნიავექარს. და ერთხელ, თითქოსდა ბანგნასვამს ღრმა ძილისაგან გამოძვრიებოდეს, ვიგრძენი, ზმანებისეული ბაგე შეესო ჩემსას.

მაგრამ აღუვსებელი რჩებოდა სიცარიელე ჩემი გულისა. სიყვარული მომწყურდა. დღემდის ხომ მეტად ვიყავი მე ამ გრძნობასთან წილნაყარი. დაბოლოს მტკივნეულად მაგონებდა ეს ველი ელეონორას და ლტოლვამ საწუთროს ამათებისადმი, შფოთსავსე ზარზეიმის სურვილმა დამატოვებინა ეს მსარე.

ჩამოვედი უცხო ქალაქში, სადაც თითქოსდა ყოველივეს შეეძლო მოგონებებიდან წარეხოცა ტკბილი სიზმრები, რომელშიც კარგა ხანია ვიყავი დანთქმული ნაირფერი ბალახით შეფენილ ველზე. დიდებული სასახლის თვალმომჭრელმა ბრწყინვალეობამ, იარაღის გულისწამლებმა ჟღარუნმა, ბანოვანთა თვალების ელვარებამ თავგზა ამიბნიეს და ჭკუა დამაკარგვინეს, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ჩემი ფიცის ერთგული ვრჩებოდი და დამისეული საათების სიჩუმეში ელეონორას არსებობა საცნაური სდებოდა ჩემთვის. სუყველაფერი გათავდა უეცრად, თვალთ დამიბნელდა; გული გადამიქანდა, ფიქრები ამეშალა შესაზარი ფიქრებით გარშემოჯარულს; შორეული, უცნობი ქვეყნიდან ჩვენი მეფის მხიარული სასახლის კარზე მოვიდა ერთი ასული, რომლის მშვენიერებამ იმავე წამს დაატყვევა ჩემი მუსთალი გული, თავმოდრეკილი უყოყმანოდ ვეთაყვანე ამ ჩემი უბედური სიყვარულის საგანს. მართლაცდა ვნება ჩემი იმ ველის ნორჩი შვილისადმი როგორ შეედრებოდა გონის ამბნევი, სულის ამამალღებელი მგზნებარებით იმის გაღმერთებას, ვისაც მე, ცრემლდანთხეული, მუხლებში ჩავუვარდი — ცათა სწორ ერმენგარდეს? ჰოი, სერაფიმივით ნათელი გადასდიოდა ერმენგარდეს. ამის შემცნობელს სხვა რაღა უნდოდა ჩემს გულს: ჰოი, რა ღვთაება, რა ანგელოზი იყო ერმენგარდე. და ერმენგარდეს მრავლისმეტყველ თვალეში მაცქერალი, მხოლოდ მათზე ვფიქრობდი, — და კიდევ ი მ ა ზ ე.

დავკორწინდი; აღარ მეშინოდა იმ წყევლისა, რაც თვით ვიხმე თავზე. გადავურჩი კიდევაც ამ სატანჯავს. და ერთხელ,

მხოლოდ ერთხელ, ღამისეულ სიჩუმეში სარკმლის ჭკვილით-  
ბიდან კარგა ხნის მერე ისევ მომეახლა ჩემი სულთქმა და ასე  
წარმოთქვა ნაზმა და საამურმა ხმამ.

— ძილი ნებისა! რადგან სიყვარულის სულია ყოვლის მე-  
უფე და აწ შენი ფიცხელი გულისთქმა ეკუთვნის ერმენგარ-  
დეს, თავისუფალი ხარ — ფიცით აღარ ხარ შეკრული ელეო-  
ნორასთან — რატომ, ზეცას გაიგებ ამას.

## ლობია

და აქა ძალი ნებისა — ძალი წარუვალი, ვინ  
ჩახვდება მისი ნების საიდუმლოს? ღმერთი  
ძალა უდიადესი, წარმომჩენი საგანთა არსისა.  
კაცი არც ანგელოსს, არც სიკვდილს დამორ-  
ჩილდება სრულიად, თავისივე ნების უღონო-  
ბა შეიწირავს მხოლოდ.

### ჯოზეფ გლენვილი

სულის საცხონებლადაც რომ მინდოდეს, არ შემეძლია  
ნათლად გავიხსენო — როდის ან თუნდაც სად გავიცანი პირ-  
ველად ლედი ლიგეა. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ და ამ-  
დენმა ჭირ-ვარამმა შემისუსტა მეხსიერება, ანუ, შესაძლოა,  
ახლა აღარ ძალმიძს სრულად მოვიხილო ჩემი გონების ყო-  
ველი კუნჭული. მართლაც, ხასიათი ჩემი სატრფოსი, იშვიათი  
განათლება, გასაოცარი და უდრტვინველი მშვენიერება,  
თრთოლვის მომგვრელი, ამო საუბარი ისე თანდათანობით და  
იდუმალ მიტყვევებდა გულს, რომ შეუნიშნავი და გაურკვევე-  
ლი დამრჩა ეს ამბავი. მგონი, პირველად შევხვდი და ხშირად  
ვნახულობდი ერთ დიდ, დრო-ჟამით გამოძველებულ რაინის-  
პირა ქალაქში. ნამდვილად ექნებოდა რაიმე ნათქვამი თავის  
ოჯახზე და, ცხადია, ძირძველი უნდა ყოფილიყო მისი გვარა.  
ლიგეა! ლიგეა! წიგნებისთვის თავგადადებული კაცი ვიყავი  
და სრულიად მიძინებულიყო ჩემთვის გარესამყაროს შთაბეჭ-  
დილებები, მარტოოდენ — ლიგეა! — ამ სანეტარო სახელითღა

ვაცოცხლებ იმის ხატს, ვინც აღარ არის. ამ სიტყვების დამწერს ახლა უეცრად გამიელვა: არც არასოდეს ვიცოდი ჩემი მეგობრისა და მშველელის, მერე ჩემი თანამდგომის, დაბოლოს სულზე უტკბესი ჩემი მეუღლის გვარი. იქნებ ეს ლიგეას უინიანობა იყო? ანდა ერთგვარი გამოცდა ჩემი ვნებისა, როცა გადავწყვიტე ამის გამო არაფერი მეკითხა? ანუ, შესაძლოა, ჩემივე რაღაც ახირება, თვითგვემა რომანტიკული მოწამეობით ატაცებული კაცისა? თავად ეს ფაქტი ძლივსღა მაგონდება — რაღა გასაკვირია, თუ სრულიად დამავიწყდა წვრილმანები, ამ ამბავს რომ ესაძირკვლებოდა, ანუ თან სდევდა, და ჭეშმარიტად, თუკი სული იგი — მიჯნურობის სულად სახელდებული, ძველეგვიპტელი წარმართების მრუმე ფერის ფრთებით შემკული ღვთაება აშტოფეტი — მართლაც თავს დასტრიალებს უბედურ ქორწილებს, მაშინ უთუოდ აქაც იყო, თამადად იჯდა\* ჩემი საქორწინო სუფრის თავში.

ერთი სათაყვანები რამ, ამდენი ურვის შემდგომ, მაინც დამრჩა მესხიერებაში — ლიგეას სახება; ტანაშოლტილი, წელწვრილი, სიცოცხლის ბოლო დღეებში ოდნავ გამხდარიც ეთქმოდა. ამოდ დავშვრები, მშვიდი შარავანდით მოსილი მისი დიდებული სინატიფის, ანდა სადა მიხრა-მოხრისა და ჰაეროვანი ნაბიჯების აღწერას თუ შევეცდები. ლანდივით უჩუმრად შემოვიდოდა ხოლმე ჩემს მყუდრო ოთახში და ასევე უჩუმრად გაქრებოდა. ვერასდროს ვიგებდი მის შემოსვლას, ვიდრე საამური დაბალი ხმის ჟღერა არ ჩამესმოდა, ვიდრე მსრებზე არ შევიგრძნობდი მარმარილოსებრ სალუქ მკლავებს. ვერც ქალწული ვინმე შეედრებოდა სახის სილამაზით; მზისადარი სახე ჰქონდა, თრიაქნასვამი კაცი თუ ნახავს ასეთს თავის ზმანებაში, უფრო სასწაულებრივი და ღვთაებრივი გახლდათ, ვინემ დელოსელ ქალწულთა თავზე მორიალე ფანტაზიები. თანაც ამ სახეს არ ჰქონდა ის სწორი წყობა, რის თავვანისცემასაც აგრე ბრმად მიგვაჩვიეს წარმართი მოქანდაკეების კლასიკურმა ნამუშევრებმა. „გამორჩეულად მშვენიერი, — თქვა ბეკონმა, ლორდმა ვერულებმა, როცა მოგვითხრობდა მშვენიერების ფორმებსა და genera<sup>1</sup>-ზე, — სულ მუ-

<sup>1</sup> სახეებზე (ლათ.).

დამ რაღაც უცნაური ანაგობისაა“. თუმცა ვიცოდი, ლიგეას სახე კლასიკური წყობისა არ იყო, მაინც კარგად ვხვდებოდი მისი მშვენიერების „გამორჩეულობას“, ვგრძნობდი მის „უცნაურობას“, მაგრამ ამაოდ ვცდილობდი მისი საფუძვლის — უსწორო ნაკვთების მიკვლევას, იმის მიხვედრას, რა არის ამ უცნაური გრძნობის სათავე-მეთქი. ვუმზერდი მაღალ და ფერმკრთალ შუბლს — უზადო იყო. ამ ღვთაებრივი მშვენების გადმოსაცემად სიტყვა რა უღონოა! ვჭკვრეტდი მის პირისკანს, სპილოს უძვირფასეს ძვალს რომ გაეფიბრებოდა, მწყაზრად და ზვიადად განფენილს, ნაზად ამობურცულ ყვრიმალეებს, ყორნისფრად მოლივლივე, კულულებიან თმის ტევრს, სრულად რომ მიესადაგებოდა ჰომეროსის ეპითეტი — „სუმბული-სებრი!“ შევცქეროდი დიდებულ, უმწიკვლო კარს, თდნავ კეხიან, ამაოდ ჩამოქნილ ცხვირს — მხოლოდ ერთხელ, ძველებრაულ მედალიონზე მინახავს მსგავსი სრულყოფილება, ვსედავდი უბიწოდ გამოყვანილ ნესტოებს, თავისუფალ სულზე რომ მეტყველებდნენ, შევეყურებდი მის საამურ ბაგეთ, ვარდის წალკოტს რომ მოაგონებდნენ კაცს. მართლაც ციური ასოები იყო — ნაზი პაწაწინა ზედა ტუჩი და ქვედა, ბნედის მომგვრელი, სანდომ-საამური; თვალს ვერ ვაცილებდი უსათუთეს ღაწვებზე მოთამაშე ღრმულებს; ნათლისმომღებ ბროლის კბილებს, სხივთა მთოველი, სპეტაკი და სათნოიანი დიმისთვის რომ გაიპობოდნენ შევცქეროდი დახვეწილ ნიკაპს, სუფთად და დიდებულად მომრგვალებულს, ისეთს, ლანდად რომ წარმოუჩინა სიზმარში აპოლონ ღმერთმა კლეომენეს, ათენელის ძეს; და კიდევ თვალები, ლიგეას დიდრონ თვალები!

შორეული ანტიკური ხანიდან თვალების ნიმუში არ შემოგვრჩენია. შესაძლოა, ჩემი სატრფოს თვალებში იმალებოდა ის საიდუმლო, ლორდი ვერულები რომ იხსენებდა. მკონია უფრორე დიდრონი ჰქონდა ეს თვალები, ვიდრე ჩვეულებრივ ახასიათებთ ჩვენი მოდგმის ქალებს, ნურჯაპადის ველად მცხოვრები ტომის დიაცთა ქურციკისებრ თვალებზეც უფრო დიდრონი ჩანდნენ ისინი. მხოლოდ ზოგჯერ, დიდი მღელვარების წამს მცირეოდნავდა ხდებოდა შესამჩნევი ეს გარემოება. მზეს შემურდებოდა მისი მოხდენილობა ამ წუთას, ცით მოვ-

ლენილი, არამიწიერი სილამაზის არსებას ჰგავდა, თურქული ზღაპრების ჰურთას. თუ, შესაძლოა, აგრე ჩამაგონა ჩემმა წამონთებულმა ფანტაზიამ. შავფერი, ცოტათი უსწოროდ მორკალული წარბები ჰქონდა, გრძელ-გრძელ, გიშრის წამწამებში მელნისფერი თვალები უბრწყინავდა. ამ თვალებში მიკვლეული „უცნაური“ კი იყო ცხადი თავისი ფორმით, ფერით თუ ნათებით, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ამას სწორედ თვალების გამომეტყველება გვამცნობდა... ჰოი, რამდენი ტყუილა საბრუნავის მქონეა სიტყვა! და ასე გვიჯდება ძვალ-რბილში ადამიანის სულის აუარება ამბის არცოდნა. ლიგეას თვალთა გამომეტყველება! რამდენი საათი გაძილევია ამ საგონებლით! შუა ზაფხულის ღამით როგორ ვეჭიდებოდე მის ჩასაწვდომად მოძალებულ ფიქრებს! ჩემი სატრფოს დემოკრიტეს ჭაზე უდრმეს თვალებში ნეტავ რა დაძირულიყო? ერთ-თავად გამახელა ამის მოკვლევის ჟინმა. ლიგეას თვალების დიდრონი, ნათელი, ღვთაებრივი თვალები! ლედას მარჩბივ ვარსკვლავად შეიქმნენ ისინი ჩემთვის და მეც გავხდი მათთვის თავგადადებული ვარსკვლავთმრიცხველი.

ადამიანის გონის შემსწავლელი მეცნიერება ხომ ამდენ გაუსხნელ ხლართებს გადაეყრება, მაგრამ ყველაზე უფრო ის არის ამაღელვებელი, მგონი შეუმჩნეველი რომ დარწა მრავალ სკოლას, — როცა ძალიან გვინდა დიდი ხნის წინ გარდასდომილის გახსენება, მხოლოდ მოსაგონარი ამბის სულ გარეთა სამანებს მივალწევთ და მაინც ვერ მოვიგონებთ საბოლოოდ. სწორედ ასევე, ლიგეას თვალებს წამდაუწუმ და დაჟინებით რომ ვაკვირდებოდე, მაშინდა ვგრძნობდი — აჰა, სრულიად მივსვდები-მეთქი მათ გამომეტყველებას, ახლა კი მივსვდები, აი ახლა-მეთქი, რომ უკვალოდ გაქრებოდა მათი შესაცნობი აზრის ნატამალიც! და (უცნაური კია, საიდუმლოთაგან ფრიად უცნაური!) ქვეყნიერების მთლად ჩვეულებრივ საგნებში ვპოულობდი იმ გამომეტყველების ანალოგიას. ამით ის მინდა ვთქვა, შემდგომ, როცა ლიგეას მშვენიერება ჩამეჭდა სულში და როგორც სამლოცველოში, აქ ისე გამიბატონდა, მატერიალური სამყაროს მრავალი საგანი იგივეს მაგრძნობინებდა, რასაც ყოველთვის ვგრძნობდი ჩემში და ჩემ გარშემო მისი დიდრონი და სხივოსანი თვალების მზერისას. მეტა

არც ამ გრძნობის განსაზღვრა, არც გააზრება და აღარც მისთვის თვალყურის მიდევნება შეუძლებელია. მაშინდა ხდებოდა ჩემთვის საცნაური, ვიმეორებ, როცა ვუჭკვრეტდი ვაზის ყვავილობას, ფარვანის ფარფატს, ზღვის ლივლივს, ცაზე მეტეორის ვარდნას, მსცოვანი კაცის თვალებს, ნაკადულის რბოლას. ორი თუ სამი ვარსკვლავის (განსაკუთრებით ერთის, სიდიდით მეექვსის, მარჩბივისა და ცვალებადის — ლირას დიდი თანავარსკვლავედის ახლოს რომ მღებარებებს) ცარგვალზე ტელესკოპით ხილვისას ვცნობდი ამ გრძნობას, და რაღაც ამდაგვარი დამეუფლებოდა ხოლმე მაშინ, როცა სიმებიანი საკრავების ჰანგებს გავიგონებდი ან წიგნის ზოგიერთ ადგილს წავიკითხავდი. ნათლად მახსენდება ჯოზეფ გლენვილის ტრაქტატში ამოკითხული სიტყვები (საკვირველნი რომ იყვნენ, შესაძლოა ამიტომ, ვინ იცის?), რომლებიც ნიადაგ იგივეს მაგრძნობინებდა: „და აქაა ძალი ნებისა — ძალი წარუვალი. ვინ ჩახვდება მისი ნების საიდუმლოს? ღმერთი ძალა უდიადესი, წარმომჩენი საგანთა არსისა. კაცი არც ანგელოსს, არც სიკვდილს დამორჩილდება სრულიად, თავისივე ნებას უღონობა შეიწირავს მხოლოდ“.

წლებმა და შემდგომი დროის ფიქრებმა შემაძლებინეს მართლაც შემენიშნა რაღაც შორეული კავშირი ინგლისელი მორალისტის სიტყვებსა და ლიგეას ხასიათის ზოგიერთ თვისებას შორის. ამ ქალის ფიქრის, საქმისა თუ იტყვის ძალაპოსილება იყო, შესაძლოა, შედეგი, ანუ ნიშანი მაინც, დაუღვეელი ვნებისა, რაც ჩვენს ხანგრძლივ ურთიერთობაში უფრო საცხადო რამით კი არა, მხოლოდ ამით, ამ ძალმოსილებით გამოიხატებოდა. ყველა ქალთაგან, ვინც ოდესმე მენასა, გარეგნულად სულ სახემშვიდი ლიგეა უფრორე მოუდრეკდა ხოლმე თავს დაუოკებელი ვნების მძვინვარე სვავებს. ველარაფერს გავიგებდი ამ ვნების ძალის შესასებ, ადრე თვალსსავოსანი რომ არ შობილიყო ეს ქალი, ასევე, რომ არ სცოდნოდა მკაფით და, იმავე დროს, ჩუმი და უშფოთველი, თითქმის ჯადოსნით საუბარი; ასევე, მარადღე რომ არ ყოფილიყო მთქმელი ცეცსლოვანი სიტყვებისა (რომლების წარმოთქმა ორმაგ ძალას მოიღებდა, რაკილა ამ სიტყვებში. ჩაწნულიყო მგზნებარება და სიმშვიდე).

ლიგეას განათლების ამბავი უკვე იცით, მსგავსი ცოდნის ქალი არასდროს მინახავს. საუცხოოდ შეესწავლა კლასიკური ენები და, რამდენადაც თავად გარკვეული ვიყავი, თანამედროვე ევროპული ენების ცოდნაშიც ვერავინ გაუტოლდებოდა. ზოგიერთი საგანიც, უფრო თავისი ბუნდოვანებით რომაა ცნობილი და რომლითაც თავი მოაქვთ აკადემიის მწიგნობრებს, სრულიად გაესაკუთრებინა ლიგეას. რა გოცებულმა, რა აფორიაქებულმა გავიგე ჩემი მეუღლის ეს ღირსება სულ უკანასკნელ სანებში! მსგავსი ქალი არასდროს მინახავს-მეთქი, მაგრამ მამრი, სად მოიძებნებოდა მამრი, ასე სრულიად რომ ჰქონოდა მოვლილი მორალის, ფიზიკის, მათემატიკის მეცნიერებათა ვრცელზე-ვრცელი სარბიელი? მაშინ ვერ ვხედავდი იმას, რაც ასლა ნათელია ჩემთვის: განსაცვიფრებელი, ყოვლისმომცველი იყო ლიგეას ნიჭი. და მაინც, იმთავითვე კარვად ვგრძნობდი მის უდიდეს უპირატესობას და ბაღღურად მორჩილი, მისი თანამდგომობით მივიკვლევდი გზას მეტაფიზიკური გამოკვლევების ქაოსურ სამყაროში, რითაც გატაცებული ვიყავი ჩვენი ქორწინების პირველ წლებში. რა ზეიმით, რა სიხარულით ცათა ფრენაშემდგარი, რა იმედებით მოვიხიზლდებოდი, როცა ის ჩემ გვერდით იყო და სულ თრიოდ წუთში. სულ შეუჭირვებელივ, თანდათანობით გადამეშლებოდა ნათელი თვალსაწიერი და წინმიმავალი, შორი, მზიანი, მთლად გაუკვალავი ბილიკი, სიბრძნის კარიბჭესთან, ესოდენ ფასდაუდებ, ღვთაებრივ ნაკრძალთან რომ მიმიყვანდა!

მართლაც, რა შხამსამსალა უნდა შემესვა მაშინ, როცა, რამდენიმე წლის შემდეგ, ჩემი ნათელი იმედები გაცუდდა ბაღღი გავსდი უიმიოდ, წკვარამ ღამეში ხელის ფათურით მოხეტიალე. მასთან ყოფნა, მისი ხმა წარმომიჩენდა ტრანსცენდენტულ საიდუმლოს, რომლის მისაკვლევად ვათენ-ვალამებდი. სატურნის ტყვიაზე უფრო ჩამუქდა ასლა მის მანათობელ თვალებს მოკლებული პრიალა, ოქროცურვილი ასობი. ჩემი საკითხავი წიგნების გვერდებს უფრო და უფრო აკლდებოდა ლიგეას თვალის სინათლე — ლიგეა ავად გახდა. მეტისმეტი ავადმყოფური ბრწყინვა დაეტყო უკვე მის თვალებს; სამარისეული ფერი გადაჰკრავდა, სანთლისფერი გაუხსდა თლილი თითები; მაღალ შუბლზე მცირეოდენი მღელვა...

რების დროსაც კი მაღიად უფეთქავდა ცისფერი ძარღვები. ვსედავდი, უნდა მომკვდარიყო და სასოწარკვეთილი ვებრძოდი პირქუშ ჯაბრაილს, მაგრამ ჩემი ვნებაუღევი ცოლი, ჩემდა გასაოცრად, უფრო ძალუმად შებრძოლებოდა. ბევრი რამ იყო ისეთი მის მტკიცე ხასიათში, რამაც ჩამაგონა, მშვიდად და უშფოთველად შესვდება-მეთქი სიკვდილს, მაგრამ არა. სიტყვა უღონა. მცირეოდენავაც ვერ გვამცნობს, თუ რა გამძვინვარებული შესჭიდებოდა თავს წამომდგარ აჩრდილს. თავტანდა-კარგული ვვმინავდი ამ სურათის მაცქერალი. ვცადე დამემშვიდებინა, მეთქვა, აბა, გამაგრდი-მეთქი. მაგრამ სიცოცხლის გაუნელებელ წყურვილს რომ ვატყობდი — სიცოცხლის — მხოლოდ სიცოცხლის, ჩემი ყოველი სანუგეშო სიტყვა ამაო ღაღადი იქნებოდა. ტანჯვა-ვაებით ანწუხზე აგებული სულის ამოხდენამდე მისი გარეგნული უღრტვინველობა შეგზარავდათ. ხმა უფრო ნაზი გაუხდა, უფრო ჩუმი... ახლა არ მინდა წყნარად წარმოთქმული მისი სიტყვების ბორცნული შინა-არსის მოყოლა. კინალამ ჭკუა დაკარგე, როცა უბრალო მოკვდავისგან ჯერხანად უთქმელ თავის ნაფიქრალსა და სურვილებს მეუბნებოდა და მის გულშიჩამწვდენ ჯადოსმის მელოდიას ვისმენდი.

ლიგეას უეჭველად ვუყვარდი. ისიც კარგად ვიცოდი, ჩვეულებრივი არ უნდა ყოფილიყო ასეთი ქალის სიყვარული. მაგრამ ამ სიყვარულის ძალას სრულად მისი სიკვდილის ჟამს მივსვდი. ჩემი ხელი ხელში რომ ეკავა, იმ გაუთავებელ საათებში ნათლად წარმომიჩინა კერპთაყვანისმცემლობის მსგავსი სულით ხორცამდე ჩემი ერთგულება. ამგვარი აღსარების სიტბო რით დავიმსახურე? ასეთი სიტყვების მოსმენის შემდეგ რით დავიმსახურე სატრფოსთან დაშორების ვაება? მაგრამ ამის შესახებ მეტს აღარ გეტყვით. ამასლა დავსძენ, თქვენი ნებართვით: ქალურ სიყვარულს რომ ასე მეტობდა, ლიგეას სიყვარულმა, რაიც — ვაგლას! — ვერაფრით დამემსახურებინა, დამანახვა გაუძლისი წყურვილი სიცოცხლისა, ასე მსწრაფლ, თვალ და ხელ შუა რომ უქრებოდა. სწორედ სიცოცხლის წყურვილის — სიცოცხლის, მხოლოდ სიცოცხლის ამ გაუნელებელი სურვილის გადმოცემის ძალა არ შემწევს — ამ ამბავს ენა ადვილად ვერ იტყვის.



სიკვდილის ბჭეს რომ მიატანა, იმ შუალამით მბრძანებ-  
ლურად დამიქნია ხელი, მიმიხმო და მთხოვა წამეკითხა ლექ-  
სი — რამდენიმე დღის წინ თავად შეეთხზა. აი ისიც:

ჰა, წარმოდგენა ისევ ღამისა,  
წყვეული წლები კი ისევ რბიანი  
ანგელოსთ ბურავთ შავლეგა ნისლი,  
ბნელში მიყუყულთ ცრემლები სდიან.  
სხედან დარბაზში თეატრონისა  
ხილვად თამაშის — იმედის, შიშის.  
კენესის გიტარა სიმდაწყვეტილი  
და თვლემს მუსიკა სფეროთა ჩრდილში.

მიმოსნი საღვთო ფერისცვალებით —  
მარიონეტნი ზეციურ მხარის  
ხელების ქნევით, ფართო თვალებით  
მიმოიძვრიან ფრთების ქარებით;  
თურმე ამ ღამით ესენი ისევ  
სცვლიან სცენარებს, და გააფთრებით  
ფურცლებსა ხევენ, მერე მალაიად  
გადახვეტავენ კონდორის ფრთებით.

პოი, მრავალფეროვანი დრამა!  
დაუვიწყარი დარჩება მარად,  
ვერ დაიჭერენ აჩრდილთა დასებს  
ველად მძვინვარე ქარების დარად,  
და მროკავი ბრბო წრეგადასული  
კვლავ უბრუნდება ჯადოქმნილ წერტილს.  
შეცოდებათა სიშლეგე სრული —  
იმ სიუჟეტის სულია კრული!

მაგრამ ეს რაა... მიმოსთა წრეში  
მოიგრაგნება, რალაც ხშიანი...  
ფერად წითელი, ვეება ეშვით  
სცენაზე მოდის მუხლუხიანი...  
მოიჭრა იგი აქ გაშმაკებით —  
მიმოსთა დღეა სიკვდილიანის  
ჰა, სისხლიანი ჯოჯოს ეშვები...  
ჰაი, ქვითინი სერაფიმების!

ჩადგა შავფერი ქარი წყვეული,  
დაეცა არეს წყვდიადის დამბლა.  
შავი შრიალით ფარდა ხვეული  
მაშინვე, უცებ დაეშვა დაბლა.

და ანგელოსნი მწუსარე ზარით  
განაცხადებენ ასე, სმამალლა:  
ტრაგედიაში „ადამიანი“  
გამარჯვებული გმირია მატლი.

— ჰოი, ღმერთო! — შეჰყვირა ლიგეამ, ჩავათავე თუ არა ეს ლექსი, წამოდგა და მსწრაფლ აიწვდინა ხელები, — ჰოი, ღმერთო ჰოი, მამავ ყოვლის მპყრობელო ნუთუ ვერვინ მოუღებს ბოლოს იმის მძლავრობას? სულ მუდამ გამარჯვებული ნუთუ ერთხელაც არ დამარცხდება? თუ ჩვენ არა ვართ შენი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი? ვინ, ვინ ჩახვდება მისი ნების ძლიერების საიდუმლოს? კაცი არც ანგელოსს, არც სიკვდილს დამორჩილდება სრულიად, თავისივე ნების უღონობა შეიწირავს მსოლოდ.

ამ მღელვარებით სულ მოუძღურებულს თეთრნი მკლავნი ჩამოუცვივდა, ნელინელ დაუბრუნდა სიკვდილის სარეცელს. ძლივს გასაგონი ჩურჩული ამოჰყვა ბაგეთაგან უკანასკნელ სუნთქვას. მისკენ თავდახრილმა გავარჩიე გლენვილის ის ბოლო სიტყვები: „კაცი არც ანგელოსს, არც სიკვდილს დამორჩილდება სრულიად, თავისივე ნების უღონობა შეიწირავს მსოლოდ“.

მოკვდა. ამდენი ტანჯვით წუთისოფელჩაშხამებულმა ველარ გავუძელი მართობას ჩემს ბინაზე, მზებნელ, დრო-ჟამისგან გამოძველებულ რაინისპირა ქალაქში. სიმდიდრეს რასაც ეძახის ხალხი, არ მაკლდა. ლიგეამაც უფრო შემმატა, ნამდვილად უფრო მეტი და ვეჭვობ, ჩემსავით მდიდარი თუ გამხდარა ვინმე მოკვდავი. რამდენიმე თვის გზამძიმე და უაზრო ხეტიალის შემდეგ ვიყიდე და ცოტათი შევაკეთებინე ერთი სააბატო, რომელიც პირქუში ინგლისის ერთ ყველაზე უკაცურ და მივარდნილ კუთხეში იყო და რომლის სახელს ახლა ვერც გეტყვით. შენობის სევდისმომგვრელი და მჭმუნვარე დიდებულება, თითქმის მთლად გატიალებული მამული და მასზე შექმნილი, საუკუნეთა წიად ცოცხალი, ნაღვლიანი და შესაზარელი ლეგენდები, ერთიცა და მეორეც ერთობ ესმიანებოდა იმ ჩემს სიმძიმელს, რამაც ქვეყნის ამ ძველ, გამოყრუებულ მხარეს გადმომავდო. თუმცა სქლად ხავსმოდებულ სააბატოს გარეკედლებისთვის ხელი არ მიხლია, მაგრამ დარბაზები და

ოთახები დიდმეფურად მოვართვევინე ბავშვივით ასირებულ-  
მა და უღონო იმედის გულში მატარებელმა, იქნებ, ამით სევ-  
და განვიქარვო-მეთქი. ფუჭი წვრილმანების თაყვანისცემა  
ჯერ კიდევ ბიჭობაში დამჩემდა და ამან კვლავ გამიხსენა ამ-  
დენი ვაებით ბებრულად ჭკუადასუსტებულ კაცს. ვერძნობდი,  
ჩემი სიგიჟის პირველი ნიშნები ჩანდა ამ სქელ, უსვფერებთან  
და ფანტასტიკურ ფარდებში, ქუშ ძველევგვიპტურ ქანდაკებებ-  
ში, ლავვარდნებში, ავეჯის ჩუქურთმებსა და შლეგური ნახა-  
ტებით დაქარგულ ოქრომკობილ ნოსებში. თრიაქმა დამიმონა,  
ყველა ჩემს ნაშრომსა და ნათქვამს დაეტყო ზმანებათა არილი.  
მაგრამ აღარ მოვყვები ჩემი იმდროინდელი უგუნური ცხოვ-  
რების ამბავს. მხოლოდ გიამბობთ ერთ დაწყევლილ ოთახზე,  
სადაც მარადმოსაგონარი ლიგეას ნაცვლად ჭკუაარეულმა სა-  
კურთხევლიდან მოვიყვანე თმანათელი და ცისფერთვალა  
ტრემეინელი ლედი როვენა ტრევინიონი.

ნათლად მიდგას თვალწინ იმ საქორწინო პალატის მორ-  
თულობისა და წყობის ყოველი წვრილმანი. ჩემი ცოლის  
მზვაობარ სახლეულს გული აგრე როგორ გაქვავებოდა, რომ  
ოქროს ბრწყინვით დაბრმავებულებმა თავიანთ საყვარელ ას-  
ულს ნება მისცეს გადმოებიჯებინა ასე მორთული ოთახის  
ზღურბლზე. უკვე გითხარით, გამოწვლილვით მახსოვს-მეთქი  
პალატის ყოველი წვრილმანი, მაგრამ, სამწუხაროდ, დამვი-  
წყებია ბევრი რამე, უფრო მნიშვნელოვანი. მეხსიერებაში რომ  
აღიბეჭდება, სწორედ რაღაც ისეთი წყობა და თანაზომადობა  
აკლდა ფანტასტიკურ პალატს. ციხესიმაგრის მსგავსად ნაგებ  
სააბატოს მაღალ კოშკში იყო ოთახი, ხუთკუთხა და საკმაოდ  
სიდიდისა. სამხრეთის კედლად ჰქონდა ერთი დიდი, ტყვიის-  
ფეროვანი მთლიანი ვენეციური შუშის სარკმელი, რომელ-  
შიც გამოღწეულ მზისა თუ მთვარის შუქს შემზარავად წარმოე-  
ჩინა ირგვლივ ყველაფერი. მრავალწლოვანი ვაზით შეფენილი  
რკინის გისოსიანი ზღუდე დაემაგრებინათ ამ ვეებერთელა  
სარკმლის ზემოთ, ჭერი მოშავო მუხისა, უჩვეულოდ მაღალი,  
კამაროვანი იყო, ნახევრად გოთიკური და ნახევრად დრუი-  
დულ\* ყაიდაზე მოჩუქურთმებული. მოქურუხებული თაღების  
შუაგულიდან ჩამოშვებულ ფართერგოლებიან ოქროს ჯაჭვზე  
დაეკიდათ სარკინოზელ ნაყმებიანი ოქროსავე სანათური. იგი

ისე მრავლად იყო დასვრეტილი და ნასვრეტებიც ისე ოსტატურად განელაგებინათ, რომ შიგაც და გარეთაც გველივით დაიკლაკნებოდა სინათლის ნაირფეროვანი ჭავლები.

რამდენიმე აღმოსავლური ტახტი და ოქროს შანდალი უწესრიგოდ იდგა პალატში, აქვე — ინდური სარეცელი, დაბალი საქორწინო სარეცელი, მკვრივი შავი ხისგან ნაკეთები, კუბოსამებრ მოჩარდახული. პალატის ყოველ კუთხეში დაედგათ ლუქსორის სამეფო აკლდამისეული შავი გრანიტის უზარმაზარი სარკოფაგები, აურაცხელი, ადამის ჟამინდელი ნახატებით მორთული სახურავებითურთ. მაგრამ სწორედ დარბაზისგობელენები იყო — ვაგლახი — მთლად ფანტასმაგორიული, მაღალი, მეტად მაღალი, ამავე დროს არაპროპორციულად ნაგები კედლებიდან ძირისძირამდე კეც-კეცად ეშვებოდნენ გობელენები. მათი მსგავსი მასალითვე მოექსოვათ იატაკის ხალიჩა, ტახტებისა და შავი ხის სარეცლის ბალდახინები. სარკმლის წაწილი დაეფარა საკვირვლად დაქარგულ ფარდას, რომლის მასალა ოქრონემსული ფარჩა იყო, არეულ-დარეულად სულ გადაფენილი ერთი ფუტი დიამეტრის, ნახშირივით შავი არაბესკებით. მაგრამ ესენი არაბესკებად მხოლოდ მაშინ გამოჩნდებოდნენ, თუ ერთი რომელიმე წერტილიდან შეხედავდით. ძველთაძველი და აწ გავრცელებული მოწყობილობის მეშვეობით სახეს იცვლიდა არაბესკები. ახალშემოსულისთვის ჯერ უსახური ჩანდა, მაგრამ რაც უფრო მიუახლოვდებოდა, მით უფრო შემზარავად წარმოსახებოდა და ბოლოს შემაძრწუნებელი ფიგურების ალყაში აღმოჩნდებოდა კაცი, ნორმანთა ცრურწმენების კვალობაზე შექმნილ სახეთა ან მონაზვნის ცოდვილიანი სიზმრების ცხადლივ დამნახველი. ფარდებიდან მომქროლავი ჰაერის ნაკადი ფანტასმაგორიულ ეფექტს აძლიერებდა და დაუცხრომელ, შემზარავ, ჯერეთ უნახველ სიცხოველეს ანიჭებდა ყოველივეს.

ამგვარ დარბაზში, ამგვარ საქორწინო პალატში ვატარებდი უკურთხებელ საათებს ტრემეინელ ლედისთან ჩვენი ქორწინების პირველ თვეს და აგრერიგად არც ვდარდობდი. გატყობდი, ჩემს ცოლს გულის მომკვლელი ჩემი ზნე-ქცევა აშინებდა, მიფრთხობდა, არც დიდად ვუყვარდი. და ეს ამბავი არამცთუ მწყინდა, პირიქით, კიდევაც მსიამოვნებდა. მძულდა

ეს დიაცი და ეს სიძულვილი დემონს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე კაცს. კვლავ ვფიქრობდი (ჰოი, რა სინანულით!) საყვარელ, ღვთაებრივ, დასამარებულ ლიგეაზე. ღამე გამითენდებოდა, როცა მაგონდებოდა მისი სიწმინდე, სიბრძნე, ზექალობა და ამალლებული, ვნებაულევი, თავდაუზოგავი სიყვარული, გული მეწვოდა, ცეცხლი შემომგზნებოდა და უფრო ძალუმად კიაფობდა, ვიდრე ლიგეას სულისეული ლამპარი. თრიაქნასვამი, ზმანებებით შეპყრობილი (რაკილა უკვე სულ დამიმონა ამ შხამმა) ღამის მღუმარებაში, დღისითაც, გადაკარგულ ხევსუევებში მოხეტიალე გავყვიროდი მის სახელს, თითქოს გულის მხურვალეობას, მოგუზგუზე ვნებას, ლიგეას ნახვის გულისგამომჭმელ სურვილს შეეძლო დაებრუნებინა იგი აქ, მიწისზედა — ჰოი, ნუთუ სამარადისოდ? — დატოვებულ ბილიკზე.

ჩვენი ქორწინების, ასე, მეორე თვის დამდეგს როვენა უცებ ავად გახდა და კარგა ხანს ვერ მომჯობინდა. შავი დღე აყარა ციებამ, ცუდი ღამეები დაუდგა. ძილი და მოსვენება რომ აღარ ჰქონდა, სულ ჩიოდა, რაღაც ხმები მომდისო კოშკის შიგნიდან და გარედანაც. ეს ამბავი, ასე ვფიქრობდი, მისი ავადმყოფობის ან, იქნებ, ოთახის ფანტასმაგორიული მორთულობის ნაძალი თუა-მეთქი. ჯერ იყო, გამოკეთება და-ეტყო, ფეხზეც დადგა. მაგრამ მალე შეუბრუნა და ამჯერად უფრო სასტიკმა, მწარე შეტევამ ჩააგდო ლოგინად. ისედაც სუსტი ქალი ველარ შეებრძოლა და ველარც თავი დააღწია უჟმურს. ამოდ დაშვრნენ განსწავლული და თავის საქმეზე თავგამოდებული ექიმები. სრულიად დააგდო ამ, როგორც ჩანს, მორჩენელმა ავადობამ და უკვე აშკარად ვატყობდი ნერვულ ჭირვეულობას, შიშიანობაც დასჩემდა. კვლავ, უფრო ხშირად და ჯიუტად ჩიოდა, რაღაც ხმები, სულ ჩუმი ხმები მესმისო და ადრინდულად იძახდა, საკვირვლად დაშრიალეებსო ეს ფარდები.

ერთხელ ღამით, სექტემბრის მიწურულს, უფრო დაჟინებით დამიწყო ამ გულისმომწყვლელ საგანზე საუბარი, ჩვეულებრივზე უფრო მოითხოვდა ჩემს ყურადღებას. მშფოთვარე ძილ-ღვიძილისგან ახლალა გამორკვეულიყო და მეც, შავი ხის სარეცლის ახლოს, ინდურ ტახტზე მჯდომარე გაოგნებული და თავზარდაცემული შევეყურებდი მის ფერმილეულ სა-

ხეს. პალიშზე თავწამოწყული, შიშატანილი მეჩურჩულებოდა, ნამდვილად მესმისო ის ხმები, ნამდვილად ვამჩნევო ფარდების მოძრაობას. მე კი ვერაფერს ვხედავდი, ვერაფერს ვგებულობდი. ქარი დაშტიალობდა გობელენებში და მინდოდა ჩამეგონებინა ქალისთვის (რაც, უნდა ვაღიარო, თავადაც ცოტა მჯეროდა), ჩუმი ხვნეშისა და კედლებზე მიფენილი მრავალი გამოსახულების ძლივს შესამჩნევი ცვალებადობის მიზეზი სწორედ ესაა, ქარია-მეთქი. მაგრამ მისი შემზარავად გადაფითრებული სახე მარწმუნებდა, ველარაფერს შევასმენდა. სადაცაა გრძნობას დაჰკარგავს-მეთქი, ასე მეგონა. მსახურთაგან ახლოს კი არავინ იყო, რომ მომეხმო. გამახსენდა, თუ სად იდგა ტკბილღვინიანი სურა, ექიმთა რჩევით მსოლოდ ამ ღვინოს ვასმევდი ავადმყოფს. სწრაფად წავედი მის მოსატანად. მაგრამ როგორც ზემოდან ჩამონათებული შუქის წრეში ფეხი შევდგი, ჩემი ყურადღება მიიპყრო ორმა უცნაურმა ამბავმა. ჯერ ასე შევნიშნე, სულ ახლოს ჩამიარა რაღაც საგრძნობმა, თუმცაღა უხილავმა; მერე ისეც დავინახე: სანათურას სინათლით შემოხაზული წრის შუაგულში გაკრთა ანგელოსისებრი რაღაც ჩრდილი. გამჭვირვალე და მოუხელთებელი რომ იყო, კაცი ასე იფიქრებდა, ჩრდილის ჩრდილიათ. კარგა მაგრად თრიაქნასვამი, აფორიაქებული ვიყავი და ეს ამბავი არაფრად ჩავაგდე, არც როვენასთვის მითქვამს რამე ამის შესახებ. სურა ავიღე, უკანვე გამოვბრუნდი, თასი გავავსე, მოუძღურებულ ქალს ტუჩთან მივუტანე. თვალი გაახილა და ჯერ კიდევ ბურანში მყოფმა თასი თავად გამომართვა. მასთან ახლოს, ტახტზე ჩამოვჯექი და შევეყურებდი. სწორედ მაშინ, იქვე, ნოხიდან მკაფიოდ მომესმა ფეხის ჩუმი ხმა და იმწუთას დავინახე, ანუ, შესაძლოა, მეზმანა — როვენას პირთან რომ მიჰქონდა თასი, შიგ ჩავარდა რაღაც უჩინარი ჭურჭლიდან მეწამული ფერის სამი თუ ოთხი მოდიდო, მოელვარე წვეთი. შესაძლოა მე ეს ნამდვილად დავინახე, მაგრამ როვენას არაფერი შეუნიშნავს. ღვინო უყოყმანოდ დალია. მეც აღარაფერი მითქვამს მისთვის ამის გამო, რადგან ასე ვფიქრობდი, ყველაფერი ეს ჩემი ცოლის სასტიკი შიშიანობის, თრიაქითა და უძინარობით აგრე ცხოვლად გრძნობა-გონება-ამულილი კაცის ფანტაზიის ბრალი თუა-მეთქი.

საკუთარ თავს გამოვუტყდი, იმ მეწამული ფერის წვეთების შემდეგ სულ მალე ჩემს ცოლს სააქაო პირი აღარ უჩანდა. მართლაც, მესამე ღამეს მისი ცხედარი გააპატიოსნეს და სამარისთვის მორთეს, ხოლო უკვე მეოთხე ღამეს მარტო ვუჯექი სუდარაში გახვეულს, ამ ჩემს უცნაურ პალატში, სადაც პატარძლად შემოვიდა ეს ქალი. მორიალე, შემადრწუნებელ, ჩრდილების მაგვარ რასმე, თრიაქით აშლილ ზმანებებს ვხედავდი. ძრწოლაატანილი შეეყურებდი დარბაზის კუთხეებში დაყურსულ სარკოფაგებს, ფარდებსა და გობელენებზე გამოსახულებათა ფარფარსა და ჭერიდან ნაირფეროვან სხივთა თოვას. რამდენიმე ღამის წინანდელი ამბავი რომ წამომავონდა, დავხედე იმ ადგილს, სადაც მაშინ სანთურით გამოკვეთილ წრეში რაღაც აჩრდილის მკრთალი ნაკვალევი შევნიშნე ახლა იქ აღარაფერი იყო. გულზე მომეშვა და კვლავ მოვხედე ფერწასულ, გათოშილ სხეულს. სწორედ იმ წუთას ათასი რამე მომავონდა ლიგეაზე და გულიც მომიკვდა: ცრემლები მანჩობდა, დარდით აღარ ვიყავი, როცა დავცქეროდი ამ, სუდარაში გახვეულ ქალს. ღამე გაიღია და ჩემს ერთაერთ, ჭემმარიტ სიყვარულზე მწარე ფიქრებაშლილ კაცს თვალი არ მომიცილებია როვენას ცხედრისთვის.

შუალამით, შესაძლოა ცოტა უფრო ადრე ან უფრო გვიან, არ ვიცი, რაკილა დროის სათვალავი ამერია, ჩამესმა ჩუმი, საწყალობელი, მაგრამ მკაფიო ქვითინი და გონზე მოვედი. ვიგრძენი, შავი ხის სიკვდილის სარეცლიდან მოისმოდა. ყური მივუგდე ცრუმორწმუნეობრივი შიშით თავტანდაკარგულმა, მაგრამ ეს ხმა აღარ გამეორებულა. თვალი ვეღარ მოვაცილე მიცვალებულს, მცირეოდნავაც არ შეტოკებულა. მაგრამ არ მოვტყუებულვარ, ნამდვილად გავიგონე ჩუმი ქვითინი და ჩემმა სულმა გაიდვიდა ჩემს არსებაში. მივციებოდი სხეულს, მხოლოდ მრავალი წუთის შემდეგ მოხდა ის, რამაც ნათელი მოჰფინა ამ საიდუმლოს. ბოლოს ცხადი გახდა, ცოტა შეუფერიანდა ღაწვები და სახისკანი ჩანაცრებულ ქუთუთოებთან, წვრილი, მქრქალი ძარღვების გასწვრივ. თავზარი დამეცა, შიშით გული გადამიქანდა და ცუდად გავხდი. მაგრამ მოვალეობის გრძნობამ ბოლოს გონს მომავო. ეჭვი არ იყო, თურმე ავჩქარებულვართ — როვენას სული ედგა. რაღაც უნდა მელო-

ნა დაუყოვნებლივ. კოშკი კარგა შორს იყო მსახურთა სამყოფისგან და ვერც ვერავინ ვნახე აქ, რომ გამეგზავნა, ველარავის მოვუხმობდი საშველად. ვინმეს დასაძახებლად რომ წავსულიყავი, რამდენიმე ხნით უნდა დამეტოვებინა პალატი, ამას კი ვერ ვბედავდი. აზიციკ სულ მარტოკამ ვცადე მივშველებოდი როვენას, მომებრუნებინა აქავე მფრინავი სული. მაგრამ მალე მივსვდი, ამოდ დავშვევრ. ფერი მიელა და თეთრ მარმარილოზე უთეთრესი გაუხდა ქუთუთოები და ლაწვები; სიკვდილის სასტიკი ხელით გადახატული ტუჩები ორკეც ჩაეღრცა; ამაზრზენი და სლიპინა სუსხი ჩაუდგა მთელ სხეულში, იმწუთას გაიჭიმა და გაქვავდა. ძრწოლით: მივწექი ტახტზე, საიდანაც წელან ასე ცქვიტად წამოვდექი და კიდევ მომეძალა მგზნებარე ზმანებები ლიგეაზე.

საათი გავიდა, რომ (ნუთუ ეს შესაძლო იყო) სარეცლის მხრიდან კვლავ რაღაც ბუნდი ხმა მომესმა. ყური მივუკვდე ზარგანსდილმა. ისევ მომესმა ამოხსვრა. გვამთან მივირბინე და დავინახე, ნათლად დავინახე, როგორ ათრთოლდნენ ბაგეები. წუთის შემდეგ მოეშვნენ და ბროლის კბილები გამოაჩინეს. აქამომდე თუ მარტო შიშით ვიყავი გულგადაქანებული, ახლა ამას გაოცებაც დაერთო. თვალთ დამიბნელდა, გული მიღონდებოდა და მხოლოდ ენით უთქმელი ნებისყოფის წყალობით აღარ დამიკარგავს გონება, ჩემი ვალი ხომ უნდა მომესადა. ფერი ახლა შუბლზე, ლაწვებსა და ყელზე მოუვიდა, სხეული შეუთბა, გულის ფეთქვაც შეინიშნებოდა. ქალი ცოცხლობდა; გაორკეცებული ძალით შევუდექი საქმეს — საუეთქლები, ხელები დავუზილე, აღარაფერი დამიკლია. აღარაფერი დამვიწყებია, რასაც გამოცდილება და სამედიცინო წიგნების არცთუ ისე მცირე ცოდნა მკარნახობდა, ვერაფერს გავხდი. ფერი წაუვიდა, მაჯისცემა გაუჩერდა, ბაგე-პირი მოეღრცა სიკვდილმონწიულევით და მაშინვე ყინულივით გაცივდა, ჩაღურჯდა, გაშეშდა, ნაკვთები გადაელა, საძვლეში დიდხანს ნადები გვამის ამაზრზენი იერი მიიღო მთელმა სხეულმა.

თავი კვლავ მივეცი ზმანებებს ლიგეაზე — და კვლავ (რადა ვასაკვირია, ტანზე ეკალი რომ ამესხა ამის დამწერს?) — კვლავ ჩუმი ქვითინი მომესმა შავი ხის სარეცლის მხრიდან. მაგრამ რაღა საჭიროა იმ ლამის ენით აუწერელ საშინელება-



თა გამოშვლილვით გადმოცემა? რაღატომ უნდა ვთქვა, ჟამ-  
ჯამად, დილა-ბინდის დადგომამდე როგორ გრძელდებოდა  
სიკვდილ-სიცოცხლის შემზარავი დრამა, სულ უფრო ასლოვ-  
დებოდა გარდუვალი დასასრული? ყოველი ასეთი აგონია რი-  
გორ ჰგავდა უჩინარ მომხდურთან ჭიდილს და როგორ იცვლე-  
ბოდა გვაძი ყოველი ასეთი შებრძოლების შემდეგ! მაგრამ  
მოკლედლა ვიტყვი სათქმელს.

გულშემზარავი ღამე თენდებოდა, როცა ის, ვინც მკვდარა  
იდო, კვლავ შეინძრა, ამჯერად უფრო მკვეთრად და ეს მოხ-  
და ასეთი საცხადო აღსასრულის შემდეგ. კარგა ხანია დავამ-  
თავრე ყოველგვარი ბრძოლა და გარინდული ვიჯექი ტახტზე,  
შლეგურ გრძნობათა მორევით მიტაცებული მსხვერპლი. ამ  
გრძნობებში გაუძლისი შიში, შესაძლოა, ნაკლებად შემზარა-  
ვი და ნაკლებად გამტანჯავი იყო. ნეშტი, ვიმეორებ, შეტოყ-  
და, ამჯერად უფრო ძალუმაღ. სიცოცხლის ნიშნები სულ უფ-  
რო ცხადლივ გამოაჩნდა პირისახეზე, სხეულის ყოველი ასო  
მოეშვა და მისი მთლად შეწებებული ქუთუთოები რომ არა,  
შიეძლებოდა მეფიქრა, როვენამ მართლაც დააღწია-მეთქი თა-  
ვი სიკვდილს. მაგრამ ამ აზრის გავლება გულში ჩემთვის, იმ-  
ხანადაც კი, ძნელი იყო, თუმცა ასლა რალა ეჭვი უნდა შემ-  
პარვოდა, როცა ნათლად ვიხილე სარეცლიდან წამომდგარი,  
მონანავე, ფეხარეული, თვალდახუჭული, სიზმარეულივით გა-  
ოგნებული, ხორციელი, ნამდვილად გამოშავალი პალატის  
შუაგულში.

ძრწოლას აღარ ავუტანივარ, მისი ანაგობის, გარეგნობის,  
მიხრამიხრის დანახვისთანავე გამოუთქმელმა ფანტაზიებმა  
გამიელვა და გამაქვავა. გაშეშებული ვიყავი, მაგრამ კი ვხე-  
დავდი ამ გამოცხადებას. გიჟურად ფიქრებაშლილს გული ამო-  
ვარდნაზე მქონდა, თვალის მატყუებს-მეთქი. ნუთუ მართლაც  
ჩემ წინ ცოცხალი როვენა იდგა? მართლაც შიეძლება ეს ქალი  
როვენა ყოფილიყო — თმანათელი, ცისფერთვალა ტრემეინე-  
ლი ლედი? რაღატომ, რაღატომ მეპარებოდა ეჭვი? ბაგე-პირი  
მაგრად ჰქონდა ახვეული — მაგრამ განა შესაძლოა ეს ყოფი-  
ლიყო ტრემეინელი ლედის ბაგე-პირი? ყმაწვილი ქალის მა-  
ისის ვარდივით გაფურჩქნილი ლოყები... დიახ, მართლაცდა  
შიეძლება ყოფილიყო ტრემეინელი ლედისა. მთლად საღსა-

ლამათი ქალის ეს ფოსოებიანი ნიკაპი... მაგრამ შესაძლოა, ავადობის დროს სიმაღლე მომატებოდა? ამას რომ ვფიქრობ, ხომ არ შეეშლილვარ? ერთი ნახტომით წამოვიჭერი და ფეხებში ჩავუვარდი! შევეხე თუ არა, მსწრაფლ უკუმიდგა, შესაზარელი სუდარა თავიდან ჩამოიგდო, პალატში დატრიალებულმა ჰაერის ნაკადმა კოჭებამდე კეც-კეცად ჩამოუსალა უკუნის ღამის ფრთებზე უფრო შავფერი თმის ტევრი აჰა, ჩემ წინარე მდგომმა ნელინელ გაახილა თვალი. — ახლა კი, — შევყვირე, — აღარასოდეს, აღარასოდეს შევეცდები — ეს ხომ შავშავად შუქმომფინარე თვალებია დაკარგული ჩემი სატრფოს — ლედი ლიგეასი!

## მორელია

Αὐτὸ καὶ ἄτ' ἄτ' μὲθ' ἀντὶν, μοιχοειδέξ ἄελ θυ  
თავისთავთან მიწყვი ერთსახლვანი, თავისთავში  
არსებული და თავისთავადი\*.

პლატონი. „ნადიმი“.

დიდი და რაღაც გასაოცარი გრძნობით შევთვისებოდი ჩემს მეგობარ მორელას. მრავალი წლის წინ შემთხვევით შევეხვდი და ამ შეხვედრამ იმთავითვე ჯერ განუცდელი ცეცხლით ამინთო გული. მაგრამ ეს არ იყო ეროსის ცეცხლი, და უფრო და უფრო გამწარებული და გაწამებული ვგრძნობდი, ვერასგზით შევიცნობდი ამ ცეცხლის უჩვეულო ბუნებას, ანუ ვერ შევძლებდი იმისი ბუნდი გზნების მოთოკვას. და მაინც ჩვენ შევხვდით ერთმანეთს; საკურთხველთან შეგვეერთა ბედმა, თუმცა სიტყვაც არ მითქვამს ვნებაზე, არც მიფიქრია სიყვარულზე. საზოგადოებას ზურგი აქცია და თავი მხოლოდ მე შემომწირა მორელამ, ბედნიერი გამხადა. ბედნიერებაა სასწაულის ხილვა, ბედნიერებაა ოცნება.

ფრიად განსწავლული ქალი იყო მორელია. ჩემს მზეს ვფიცავ, ნიჟიც საკვირველი ჰქონდა მომადლებული, გონების ძა-

ლამოსილობა — დაუღვეველი. ვერძნობდი ამას და ბევრ რამეში დავემოწაფე. პრესბურგში მიღებული განათლების ბრალი თუ იყო, რომ მალე ამ ქალმა გამაცნო აუარება მისტიკური ნაწარმოები, რომლებსაც ჩვეულებრივ ადრინდელი გერმანული ლიტერატურის ნაწურად მიიჩნევენ. ვერ გეტყვით, აგრეთავე ამოდებული დღენი ადაგ რად სწავლობდა და თავყანას სცემდა ამ წიგნებს. ხანი რომ გამოხდა, მეც ასე ვმეცადინეობდი. მიზეზი ამისა მისი ჩვეულებისა და მაგალითის უბრალო, მაგრამ ქმედობუნარიანი ზეგავლენა იყო.

ყოველივე ამას, მგონი, ჭკუამიუტანებლად ვაკეთებდი. ჩემს შესხედულებებზე, რამდენადაც მახსოვს, არასდროს უმოქმედია იდეალურს, ვერც მისტიციზმით შეზავებული წიგნების ზეგავლენის კვალს ვპოულობდი, თუ არა ვცდები, ჩემს საქმეებსა და ჩემს ფიქრებში. ბრმად მივენდე ჩემი ცოლის წინამძღოლობას და იმის ძიებათა ხვანჯერებში უშიშოდ ჩავები. და მაშინ, მაშინ, როცა ნაკრძალი სტრიქონების მკითხველი ვიგრძნობდი ნაკრძალი სულის კიაფს, მორელას გრილი ხელი ჩემსას სალბუნად დაედებოდა და მკვდარ ფილოსოფიას ფერფლს გადააცლიდა ყრუდ წარმოთქმული რამდენიმე გასაოცარი სიტყვით, რომელთა იდუმალი მნიშვნელობა კიდევ დიდხანს მენტო მეხსიერებაში. და მაშინ, მაშინ, მისი ხმის მუსიკით მოჯადოებული, საათობით ვუჯექი, ვინემ შიში არ მომერეოდა, თრთოლა არ ამიტანდა ამ არამიწიერი ბგერების მსმენელ ფერდაკარგულ კაცს, შავად არ შემეღებებოდა სიხარული და მშვენიერი შესაზარელად არ წარმომიდგებოდა გეენად გადაქცეული ენომის მსგავსად.

ხსენებულ თხზულებებზე პაექრობის შესახებ გამოწვლილვით მოყოლას აქ აზრი არა აქვს. თუმცა კარგა ხანს ეს იყო ჩემი და მორელას საუბრის საგანი. მცოდნენი იმისა, რასაც თეოლოგიური მორალი შეიძლება ვუწოდოთ, უმალ მიხვდებიან ჩვენი ცილობის არსს, მაგრამ უმეცარნი ყველა შემთხვევაში ამ ამბისას ვერაფერს გაიგებენ საბოლოოდ. ფინტეს დაუოკებელი პანთეიზმი, სახემეცვლილი axhiyyeventis<sup>1</sup> პითაგორელებისა\*, და უფრო მეტად შელინგის მიერ აგრე

<sup>1</sup> აქ: სულების გადასასლება (ძვ. ბერძნ.).

საგულდაგულოდ შესწავლილი იგივეობის თეორია — აი, ჩვეულებრივ რა საკითხებით იყო გატაცებული მგრძნობიარე მორელა. პირაქნული რომ უწოდებიათ, ის თავისთავადობა, ვფიქრობ, სწორედ განუსაზღვრავს ლოკს, როგორც თავისთავადობა გონიერის არსებისა. რადგანაც პირაქნების სახით წარმოგვიდგება გონებით დაჯილდოებული ადამიანიშვილი და ცნობიერებაც აზროვნების გარეშე შეუძლებელია, ამიტომ ყველას გვაქვს ის ნიშანი, რისთვისაც მეობა შეგვირქმევიან, რითაც განვსხვავდებით სხვა გონიერ არსებათაგან და რასაც ჩვენთვის პიროვნული თავისთავადობა მოუნიჭებია. ამ ამბის — ანუ principium individuationis<sup>1</sup>-ს თავისთავადობა სიკვდილისთანავე იკარგება თუ სამარადისოდ რჩება — შესწავლა სულ მუდამ მიტაცებდა და ეს ცნობისწადილი არა იმდენად ამაღელვებელსა და ბუნდოვან დასკვნებს გამოეწვია, რამდენადაც ამ წუთას მორელას სიტყვის მგზნებარებასა და განათებულ სახეს.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს, თითქოს მომნუსხესო, ცოლის იდუმალეზა გულზე ლურსმნად დამერჭო. უკვე მზარავდა მისი ცვილისფერი თითების შესება, ყრუ ხმა, სევდიანი თვალები. ეს ყველაფერი იცოდა მორელამ, მაგრამ ერთხელაც არ უთქვამს საყვედური; მგონი, მიხვდა ჩემს ულონობასა თუ გონების დაბნელებას და განგების ნება შეარქვა ღიმმორეულმა, მიმიხვდა ჩემთვისაც გაუგებარ თანდათანობითი გულის აყრის მიზეზს, თუმცა ამაზე სიტყვაც არ გადმოუკრავს. მაგრამ ქალი იყო და დღითი დღე ილეოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ სახეზე მეწამული ფერის ლაქები დაანდა და ფერმილეულ შუბლზე დაეტყო ცისფერი ძარღვები. ამ ქალის სიბრალულმა წამით გული მომიკლა. მაგრამ მის მრავლისმეტყველ გამოხედვას რომ წავაწყდი, მაშინვე მუხლი მომეჭრა და თავბრუ დამესხა. ასე დაესხმის რეტი უსაზმო, შავბნელ უფსკრულში მაცქერალ კაცს.

განა უნდა დავმალო, რომ დიდხანს მოუთმენლად ველოდი მორელას სიკვდილს? დიახ, ასე იყო; მაგრამ კიდევ მრავალ დღეს, მრავალ კვირას და მრავალ გულის გადამლევ თვეს მი-

<sup>1</sup> ინდივიდუალურის საწყისი (ლათ.).

სი ნაზი სული ეპოტინებოდა მტკრის ამ საუფლოს, ვიდრე არ მძლია გაწამებულმა ნერვებმა და მთლად არ გამაცოფა ასეთმა დაგვიანებამ. ეშმასებრ გაბოროტებული უკვე ვწყევლიდი იმ გაუთავებელ დღეებს, საათებსა და მწარე წამებს, როდესაც იღეოდა ამ ქალის სათუთი სიცოცხლე მომაკვდავი დღის ჩრდილის მსგავსად. მაგრამ ერთხელ, შემოდგომის დღის მწუხრზე, ზესკნელს რომ გარინდულიყო ქარი, თავის სარეცელთან მიმხმო მორელამ. რძისფერი ნისლი მოჰფენოდა მთელ მიწას. თბილი ნათელი დადგომოდა წყალს, ხოლო ოქტომბრის სვავრიელფოთლოვან ტყეს ცის კიდურიდან მოწყვეტილი ცისარტყელა დასცემოდა.

— დღეს დღეა დღეთაგანი, — თქვა, როგორც კი მივუახლოვდი, — დღეა ყველა დღეთაგან — დღე სიცოცხლის ან სიკვდილისა. დიდებული დღეა მიწისა და სიცოცხლის ძეთათვის... ჰაი, უფრორე დიდებულია ზეცისა და სიკვდილის ასულთათვის!

შუბლზე ვაკოცე, მან კი განაგრძო:

— ვკვდები და მაინც ვიცოცხლებ.

— მორელა!

— დღე არ იყო, რომ გყვარებოდი... და სიცოცხლეში შესაზარელს ცამდე აიყვან სიკვდილის შემდეგ.

— მორელა!

— ვკვდები-მეთქი, ხომ გეუბნები. მაგრამ ჩემშია ნაყოფი იმ ალერსის — ჰოი, რა მცირედის! — მე, მორელას რომ მომაგებდი. და ახლა, სული რომ გამეყრება, ბავშვი იცოცხლებს, შენი და ჩემი, მორელას ბავშვი. და დღენი შენი იქნება სევდის დღენი, იმ სევდისა, ყველაზე დიდხანს რომ ძლებს კვიპაროსის დარად. გაიღია საათები შენი ბედნიერებისა; სიცოცხლეში ორგზის არ იყვავილებს სიხარული პესტუმის ვარდივით. დროს არ გაეთამაშები აწ ტეოსელის მსგავსად და, ვით მუსულმანი მექაში, სუდარამოსსმული ივლი ამ მიწაზე, დამვიწყებელი მურტისა და ღვინის.

— მორელა! — შევევირე, — მორელა! ეს საიდანღა იცი? — მაგრამ სახე მიაბრუნა თავით ფეხამდე თრთოლამოკიდებულმა, სული დაღია და მისი ხმა უკვე აღარასოდეს გამიგონია.

და ამხდა მისი სიტყვები — დედის სიკვდილამდე დაიბადა ბავშვი. ჩვილი სუნთქავდა, დედას კი სული ამოსდომოდა, მისი შვილილა ცოცხლობდა, მისი გოგონა. და როცა საოცრად მოიჩიბა სულიერად და ანაგობითაც, სრულიად დაემგვანა წასულს იქვეყნად, მაშინ შევიყვარე იგი მხურვალე სიყვარულით. ვერასგზით ვიფიქრებდი აქამომდე, აგრე ძლიერად აუგავდმერთებდი ვინმე სულდგმულს.

ვაგლახ, ამ წმინდა გრძნობის ცარგვალს მალე მოედო შავბნელი, შემზარავი, სევდამომგვრელი, მტანჯავი ღრუბელი. აკი ვთქვი, ანაგობითაც და სულიერადაც იზრდებოდა-მეთქი ბავშვი. მართლაც, რა უცებ მოიმატა სიმალღეში, მაგრამ როცა მის საზრიანობას ვაკვირდებოდი, ჰოი, რა შემზარავი ფიქრები მომეძალებოდა! ან გასაკვირი აქ რა იყო, თუკი დღითი დღე ვამჩნევდი ბაღლის მსჯელობაში მოწიფული ქალის ძალასა და ნიჭს, თუკი ნორჩის ბაგენი ცხოვრებისეულ სიბრძნეს მტყველებდნენ, თუკი ნიადაგ ვჭვრეტდი მის დიდრონ, ჭკვან თვალეში ასაკსრულის გამოცდილებასა და სიმტკიცეს; როცა ყველაფერი ეს, ვიმეორებ, თავგზადაკარგულმა თრთოლვით აღვიქვი და გავისაკუთრე, რაღა გასაკვირია, თუ ზარდამციმი ეჭვი შემეპარა გულში? ხალხის თვალს გადავუმალე არსება, ვისი თაყვანისცემაც ბედმა მარგუნა და განმარტოებული, შიშატანილი თვალს არ ვაშორებდი ჩემს სალოცავს.

ხანი გადიოდა და დღენიადაგ ვუმზერდი მის ნათელ, მშვიდ და მრავლისმეტყველ სახეს. ვფიქრობდი, რა მალე წამოიჩიბამეთქი. დღენიადაგ სულ უფრო და უფრო მეტ მსგავსებას ვპოულობდი შვილსა და დედას შორის, ვხედავდი ნაღველისა და სიკვდილის დაღს. ყოველ საათს მეტად და მეტად მუქდებოდა ჩრდილი ამ მსგავსებისა, ხდებოდა უფრო სრული, უფრო ცხადი, უფრო შემაძრწუნებელი. კიდევ შემეძლო მისი ღიმილის დათმენა, ასერიგად რომ მიუგავდა დედის ღიმილს, მაგრამ კანკალი ამიტანდა ხოლმე დედა-შვილის სრული იგივეობის დამნახველს... კიდევ გავუძლებდი მათი თვალეების მსგავსებას, მაგრამ ვაი რომ ეს თვალეები თავად მორელასნაირი ძალოვანებით ხშირად მწვდებოდნენ სულში და გონებას მირევენენ. გოგონას მაღალი შუბლი, მისი ცვილისფერი თითებით


შერსეული აბრეშუმისნაირი დალალ-კავები, სევდისმომგვრელი ხმა და მეტადრე კი, ჰოი, მეტადრე კი განსვენებულის იერი და სიტყვები, ჩემი საყვარელი შვილის ნათქვამი, თავზარსა მცემდა, გულს დარდით მიჭამდა მარად დაუძინებელი მატლივით.

ასე გასდა ათი წლის გოგონა. მაგრამ მისთვის სასელი ჯერაც არ დამერქმია. „ჩემი შვილი“, „ჩემი გოგონა“ — ამ სიტყვებს ჩვეულებრივი მამობრივი გრძნობა მათქმევივინებდა. სოლო სრულიად მარტომყოფი ველარავის ხედავდა ჩემ გარდა. მორელას სიკვდილთან ერთად მოკვდა მისი სასელიც. შვილთან დედაზე ერთხელაც არ დამიძრავს სიტყვა, ვერც ვუსსენებდი. თავისი ხანმოკლე არსებობის ჟამს გარესამყაროდან არავითარი შთაბეჭდილება არ მიუღია, გარდა იმისა, რის საშუალებასაც აძლევდა მისი კარჩაკეტილი ცხოვრება. დაბოლოს, საზარელი ბედისწერის ასაცილებლად ჩემს მთლად აფორიაქებულსა და დაღლილ გონებას უცებ ნათლობა მოაფიქრდა. სახელის შესარჩევად ემბაზთანაც კი ვმერყეობდი. ენის წვერზე მადგა ძველი თუ ახალი, მშობლიური თუ სხვა მხარეების მშვენიერ და ბრძენ ქალთა ნაზი, ბედნიერი და ლამაზი სახელები. განსვენებულის ხსოვნის შეშფოთება ნეტავ რამ ჩამავონა? რა ეშმაკის ძალამ ამომათქმევინა ის ბგერები, რომელთა მოგონებაზე სისხლი ალისფერ ნაკადად დაეშვებოდა საფეთქლებიდან გულისაკენ? სულის წიაღიდან რა ეშმამ ამომძახა, როცა მიბუნდვილ ეკვდერში სულიერ მამას ჩაენურჩულე ეს სიტყვა — მორელა! თუ ეშმამ არა, მაშინ ვინ შეუჭმუნხნა შუბლი ჩემს გოგონას და მკვდარვით გააფითრა? როგორც კი გაიგონა ეს ჩუმი ნათქვამი, მონისლული თვალი ზეცას მიაპყრო და, საგვარეულო სამარხის შავ ფილებზე გადაეარდნილმა, მარქვა: „აქ ვარ!“

მკაფიოდ, ცივად, ნათლად ჩამესმა ეს რამდენიმე ბგერა და გამდნარ ტყვიასავით ჩამელვარა ტვინში შიშინით. წლები, წლები გაივლის, მაგრამ ამ წამს რა დამავიწყებს! კვლავაც მიყვარდა ყვავილი და ღვინო და მაინც დღისით და ღამით ჩრდილად მადგა ციკუტა და კვიპაროსი. სივრცე და დრო არ გამიზომია, ცაზე ჩამქრობოდა ბედის ვარსკვლავი და წყვდიადმა რომ მოიცვა მიწა, მისი მრავალსახება ლანდებად ფრთხი-

ალებდა ჩემ წინ. მაგრამ მე კი ერთსღა ვხედავდი მათ შორის — მორელას, მხოლოდ ერთ სახელს შრიალებდა ცისქვეშეთის ქარი, მარადჟამს ერთ სახელს ჩურჩულებდნენ ზღვის ტავლები — მორელა. მაგრამ ის მოკვდა, საგოდებელზე ჩემივე ხელით წავიდე; და დიდხანს ვიცინოდი საწყალობლად: იმ პირველის ნაკვალევსაც ვერ მივაგენი, როცა საძვლებში ჩავასვენე მეორე მორელა.





### III

## ბრბოს კაცი

Ce grand malheur, de ne pouvoir être seul.  
La Bruyère<sup>1</sup>

ერთი ვერმანული წიგნის გამო კარგად უთქვამთ, „er lasst sich nicht lesen“ — თავს არავის წააკითხვინებსო. ასეთია ზოგი საიდუმლოც — თავს არავის გაამხელინებს. თავიანთ სარეცლებში ყოველ დამე ისოცება ხალხი. სულიერ მოძღვარს ხელჩაჭიდებულები და მის თვალებში საწყალობლად მაცქერაღნი, სასოწარკვეთილნი, ხროტინით ეყრებიან სიცოცხლეს, შავეთში მიდიან და მიაქვთ შემზარავი ხვაშიადი, რომელიც ტანჯვითღა თუ გამჟღავნდება. ჟამ-ჟამად, ვაგლახ, კაცის სინდისი წამოიკიდებს ისეთ შემადრწუნებელ ტვირთს, რომლის მოხსნა მხოლოდ სამარეში შეიძლება. და ასე რჩება გაუხსნელი არსი ყველა დანაშაულისა.

ამ ცოტა ხნის წინ, შემოდგომის ერთ დღეს, მწუხრის ხანს ლონდონის ყავახანა დ.-ში ვიჯექი დიდ მშვილდა სარკმელთან,

---

<sup>1</sup> დიდი უბედურებაა, თუ სიმარტოვე არ შეგიძლია. — ლაბრიუერი (ფრანგ.).

რამდენიმე თვე ვიავადმყოფე და ახლა, ღონეზე მოსვლისდა კვალად ის საამური განწყობა დამეუფლა, სრული საპირისპირო რომაა ennui-ს<sup>2</sup>. მძაფრად აღვიქვამდი ყველაფერს, ასე მაშინ ხდება, როცა გონითი ხედვა საბურველს — *à l'usage* *de* *rien* *à* *rien* — მოიხსნის და დაელექტროებული ინტელექტი გონების თვალით თავის ყოველდღიურ ცხოვრებას გადმოსყვავს, ისე ამალღდება, როგორც მალლა დვას ლაიბნიცის ძალუმი და წრფელი სიტყვა გორგიას ხელურ და ბუნდ რიტორიკაზე. სუნთქვაც კი სიამოვნებს ამ დროს კაცს; მთლად დამიამდა ტკივილები, გარშემო საგნებს აღვიქვამდი გულმშვიდად, მაგრამ ცხოველი ინტერესით. სიგარას ვეწეოდი, მუხლებზე გაზეთი მედო და საღამო აგრე გამყავდა: ხან განცხადებებს გადავხედავდი, ხან დარბაზში მყოფ ჭრელ საზოგადოებას მოვათვალიერებდი და ხანაც გაჭვარტლულ მინაში ვიჭვრიტებოდი.

ეს იყო ქალაქის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა და მთელი დღე აქ უამრავი ხალხი ირეოდა. ბინდმა რომ იძალა, კიდეც უფრო მოიმატა ბრბომ და, როცა აქაურობა ფარნებმა გადაანათა, ყავახანის კარწინ უკვე ზღვა ხალხს ვხედავდი. აქამომდე არ შევხვედრივარ საღამო ხანის ამ განსაკუთრებულ წამს ამგვარი სულიერი განწყობით და ამიტომ ადამიანთა სახეების ცქერა. ჯერაც განუცდელ სიამოვნებას მანიჭებდა. ბოლოს, აღარც კი მესმოდა დარბაზის ღრიანცელი და გარეთლა ვიჭვრიტებოდი.

ჩემი დაკვირვებები ჯერ საერთო ხასიათის იყო. აუარება გამვლელს ვხედავდი და ზოგადად გამვლელზე ვფიქრობდი. მაგრამ მალე წამოყელყელავდნენ დეტალებიც და უკვე გამოწვლილვით ვათვალიერებდი ფიგურებს, ჩაცმულობას, მიხრამოხრას, სიარულსა და სახეთა გამომეტყველების მრავალფეროვნებას.

საქმიანი და კმაყოფილი გამოსედა ჰქონდა უმეტესობას; თითქოს ესლა ადარდებდათ, როგორმე გავიგნოთო გზა ამ დუნდგოში. შეჭმუნნილ შუბლქვეშ თვალები მაღიმალ მიმსა-

<sup>2</sup> აქ: სევდა-კაეშანი (ფრანგ.).

<sup>3</sup> აღრინდელ ლიბრს (ბერძნ.).

ურბოდათ, შემსვდური ვინმე მხარს თუ გაჰკრავდა, სამოსელს გაისწორებდნენ და წინსვლას განაგრძობდნენ მოუთმენლობის გაუმუღავნებლად. ბევრს მოუსვენარი მიხრა-მოხრა ეტყობოდა, თავის თავს ელაპარაკებოდა სახეაწითლებული, ხელების ქნევით, თითქოსდა სწორედ ამდენ ხალხში მარტოობას გრძნობდა. თუ შეაბრკოლებდნენ, ჩურჩულს შეწყვეტდა, ხელების ქნევას კი მოუმატებდა, დაბნეული და ბეჩავად მოღამირი უცდიდა გზის განთავისუფლებას. თუ წაუბიძგებდა ვინმე, მთლად გონდაბნეული მოწიწებით თავს დაუკრავდა წამბიძგებელს. ამ ორი ჯგუფის ხალხს რამე განსაკუთრებულს ვერ უნახავდა კაცი იმის მეტს, რაც უკვე გითხარით. რიგიანად ეცვათ და, ეჭვი არაა, აზნაურიშვილები გახლდნენ ან ვაჭრები, ვექილები, მედუქნიები, საბირჟო მაკლერები — ევპატრიდები და საზოგადოების შუაფენებიდან გამოსული, გართობის მოყვარული თუ მოვალეობით შეჭირვებული საქმის ხალხი. დიდხანს არ გაჰყოლია ამათ ჩემი გულისყური.

კლერკების მოდგმა შევნიშნე იმწამსვე და აქ გამოვარჩიე ორი ღირსშესანიშნავი ჯგუფი. პირველს ეკუთვნოდნენ უდღეურ ფირმათა უმცროსი კლერკები, ცხვირიბზეკია ახალგაზრდა ჯენტლმენები, რომლებსაც ვიწრო სერთუკები და გაპრიალებული წაღები ეცვათ, თმაზე სქლად პომადა წაესვათ. როგორღაც გამორჩეულად იქცეოდა ეს ხალხი, ამ ქცევას, ზუსტი სიტყვის უქონლობის გამო, შეიძლება მეკალმეობაში დაოსტატებულთა სიამაყე დავარქვათ. თუ ამ დეტალს მსხედველობაში არ მივიღებთ და გამოვრიცხავთ, მაშინ შეიძლება ითქვას, მათი მიხრა-მოხრა იყო, ასე, თორმეტი-ცამეტი თვის წინანდელი მაღალი საზოგადოების bon-ton<sup>1</sup>-ის სრული ხატი. ნიადავ პატრონის გამონაცვლებს ატარებენ და ეს გარემოება, ვფიქრობ, სრულიად ახასიათებს ამ კლასს.

კარგად შეკერილი ყავისფერი და შავი პალტოებითა და შარვლებით, თეთრი ჰალსტუხით დამშვენებული თეთრივე ჟილეტებით, მაგარი ფეხსაცმელებითა და სქელი წინდებით შეუცდომლად შეიცნობდით სოლიდური ფირმების უფროსი კლერკების, ანუ „ხალხში გამოსული“ მოსამსახურეების მა-

<sup>1</sup> კარგი ტონი (ფრანგ.).

რაქას. ყველა მათგანი მცირედნად გამელოტებული იყო და რაკილა ჩვევად ჰქონდათ მარჯვენა ყურს უკან კალმისტრის გარჭობა, ყური განზე სასაცილოდ გადმოწეოდათ. შევნიშნე, რომ ყოველთვის ორივე ხელით იხდიდნენ და იხურავდნენ ქუდეებს, საათი ძველებურ, მკვიდრად ნაკეთებ ოქროს ძეწკვზე გამოებათ, თავი მოჰქონდათ რესპექტაბელურობით, თუკი შეიძლება კვებნა ამ ღირსებით.

მრავალ ყალთაბანდსაც მოვკარი თვალი, ადვილად შევიცანი გამოპეწენიკებული ჯიბის ქურდების ჯილაგი, ყველა დიდ ქალაქში აუარებას რომ შესვდება კაცი. მაძიებლის თვალთ შეეყურებდი ამ ვაჟბატონებს და მიკვირდა, ჯენტლმენებს ჯენტლმენები როგორ ჰგონია ეს ხალხი-მეთქი. ფართო ყოშიანი სახელოები, მოურიდებელი ქცევა მათ მაშინვე ააშკარავებდა.

ყომარბაზები უფრო იოლად გამოვარჩიე. ნაირფერი ჩაცმულობის, რანაირი გინდა, მთლად ზიზილ-პიპილებში გამოწყობილი ხალხი; ზოგს ჩაეცვა ხავერდის ჟილეტი, ეკეთა ჭყეტელა ყელსახვევი, ებნია მოოქრული ძეწკვი, ჭედური ფოლაქები; ზოგიც სამღვდელთ პირივით სულ სადად შემოსილიყო, ასე რომ, ვერაფრით დააეჭვებდა კაცს. მაგრამ ყველას მოღლილ-ჩაშავებული პირისახე ჰქონდა, უფერული ტუჩები მაგრად მოეკუმათ, თვალები გამოლამებოდათ. მაშინვე ვცნობდი მათ ორი ნიშნით: ჯერ ერთი, შეშპარავი, ყრუ ხმით მოსაუბრობდნენ, მეორეც, გასაოცრად შეეძლოთ ხოლმე გამოწვართვა შუათითისა. ყალთაბანდების ამ ბრბოში ხშირად რაღაც სხვა, მაგრამ მაინც მათ მონათესავე ხალხს ვხედავდი — ავანტიურისტ ჯენტლმენებს. თითქოს ორ — დენდებისა და სამხედროების — რაზმად დადარაჯებოდნენ მსხვერპლს. პირველთ სახე გაბადრული ჰქონდათ, გრძელი დალალეები ამშვენებდათ, მეორენი შუბლშეჭმუნნილები იყვნენ, ეცვათ ხვავრიელად მოსირმული ტანისამოსი.

წესიერ საზოგადოებას რომ უწოდებენ, იმაზე უფრო დაბლა მდგომი ხალხიც შევნიშნე და თვალთუჩინარ, ბნელით მოცულ საგნებზე ამეშალა ფიქრები. დავინახე მეწვრილმანე ებრაელი, მეტად ბეჩავი გამომეტყველების სახეზე ქორივით უელავდა თვალი; იქვე პროფესიონალი ტანბრკე მათხოვარი

ემუქრებოდა უფრო ღირსეულ გლახას, ვინც მხოლოდ უსასო-  
ობას გამოეგდო დამე გარეთ მოწყალების სათხოვნელად; ერთ-  
მა მკელობელმა გაიარა ბრბოში, მოუძღვრებული, შემზარავი  
სანახავი იყო, ეტყობოდა, ორი პარასკევილა დარჩენოდა და  
ყოველ შემსვედრს საწყალობლად შესცქეროდა თვალებში,  
თითქოს უნებური თანალმობა უნდოდა ამოეკითხა, ეპოვა და-  
კარგული იმედი; თავმოდრეკილმა გოგონებმა ჩამოიარეს, უსა-  
შველოდ გაგრძელებული სამუშაო დღე გაელიათ, შინ მიიჩქა-  
როდნენ, ამოდ ცდილობდნენ ვიღაც მუტრუკის ჯიქურად,  
ურცხვად მოჩერებულ თვალს დამალოდნენ და მრისხანების  
კი არა — სიბეჩავის ცრემლი წასკდომოდათ; ყველა ასაკის რა-  
ნაირ მეძავს არ შეხვდებოდი აქ, საარაკო სილამაზის ქალსაც  
ნახავდი, ლუკიანეს ნაწერებში ნახსენებ ქანდაკებას რომ მო-  
გვაგონებდა — პაროსული მარმარილოსი. ყოფილა თურმე ეს  
ქანდაკება, რომლის ღრუ სიბინძურით იყო სავსე; შესაზიზღა-  
რი, შემოძონძილი, მთლად წყალწაღებული კეთროვანიც დავ-  
ლანდე; სახედანაოჭებულ დიაცსაც მოვკარი თვალი — სქლად  
წაესვა ფერუმარილი და ძვირფასეულობით ახუნძლულიყო,  
უკანასკნელი ღონისთვის მიემართა, რათა ყმაწვილ ქალად  
წარმოეჩინა თავი; ჯერ კიდევ ზრდადაუსრულებელი გოგონა  
გამოჩნდა, სულ ბავშვი, მაგრამ თავის ამაზრზენ ხელობაში  
უკვე კარგა ხნის დაოსტატებული; ამ სურვილით წამონთებუ-  
ლიყო, ტოლი არ დავუდოთ ჩემს გარე-გარე მავალ უფროს  
დებს; მრავალი მემთვრალე ირეოდა აქ, ზოგს სულ ძონძები  
ეცვა, ფეხარეული მოდიოდა, იყო სახედაჩენილი, თვალებამ-  
ღვრეული, ზოგს კი ეცვა მთელი, მაგრამ მწვირიანი ტანისა-  
მოსი, ჰქონდა სქელი, გრძნობიერი ბაგე-პირი, უბრალო, ლო-  
ყებლაჟდაჟა სახე; ზოგიერთის სამოსი ძვირფასი იყო და სუფ-  
თაც კი ჩანდა. ზოგი მიდი-მოდოდა არაბუნებრივი, მეტად  
მტკიცე, ზამბარისებური ნაბიჯით, შემზარავად სახეგადაფით-  
რებული, თვალამღვრეული და ქუთუთოებდაწითლებული გზად  
ყველაფერს ეპოტინებოდა ხელებით; ვხედავდი ხაბაზებს, კა-  
რისკაცებს, მენახშირეებს, ლუმელის მწმენდავებს, მეარღნე-  
ებს, მაიმუნის გამწვრთნელებს, ქუჩის მომღერლებს, ქანც-  
მიწყვეტილსა და ღონემილეულ მუშებს; სიცოცხლის ყურის-  
წამლები ხმაური იდგა, ფერთა სიუხვე თვალს მიდღლიდა.

სალამომ მოატანა, ბრბომ სახე იცვალა (ღირსეული ხალხი წინ მიდიოდა და თანდათან მოიღია საამო ფერები ქუჩისა. გვიანმა ჟამმა ბუნაგიდან გარეთ გამოაგდო აუარება შემადრწუნებელი ადამიანიშვილი, იპატა უხამსმა ფერებმა). მთელა გულისყურით შევცქეროდი ამ სანახაობას. მომაკვდავ დღეს შეჭიდებული გაზის სანათურის ჯერ უღონო სხივები ბოლოს მომძლავრდა და მთრთოლარე სინათლით გაანათა იქაურობა. ყველაფერი მოპრიალდა და დაეტყო დიდებული ფერი — მსგავსი შავი ხისა, რომლისთვისაც ტერტულიანეს სტილი შეუდარებიათ.

შუქის შლეგურმა ციმციმმა ცალკეული სახეებისადმი მიმაპყრობინა მთელი გულისყური. სარკმლის წინ სიცოცხლის ამ მალ მდინარებაში მხოლოდ თითოჯერ მოვკრავდი თვალს თითოეულ გამვლელს, მაგრამ ჩემი მაშინდელი გრძნობა იმწუთას მამცნობდა ამვლელ-ჩამვლელთა გარდასული წლების ამბავს.

შუბლით მინას მიბჯენილი გამოწვლილვით ვათვალიერებდი ბრბოს. უცებ გამოჩნდა ერთი სახე (ასე, სამოცდახუთი თუ სამოცდაათი წლის ბერიკაცისა), სრულიად განუმეორებელი სახე, რომლის მაგვარი, ანდა, თუნდაც შორეული მსგავსების მქონე, ცხოვრებაში არ მინახავს. კარგად მახსოვს, პირველად გულში ასე გავივლე: რეტცს რომ ენახა ეს კაცი, მის პირისახეს დაგვისატავდა თავის აგრერიგად ცნობილი ეშმასსახიანი ნახატების მაგივრად-მეთქი. ერთი თვალის მოკვრით ნანახი ამ კაცის ბუნების შეცნობისას რაღაც უთავბოლო და პარადოქსული აზრები მომივიდა მისი გასაოცარი გონის, სიფრთხილის, სიგლახაკის, სიძუნწის, გულქვაობის, ავსულობის, სისხლისმსმელობის, ბრწყინვალეობის, მხიარულობის, მეტისმეტი შემზარაობის, გაუსაძლისი უსასობის გამო. შევფორიქდი, შევშინდი — ამ კაცის გულში რა შესაზარელი ამბავი იქნება ჩაჭდული-მეთქი. მონუსხულივით ვინატრე, ნეტავი მის შესახებ მეტი გამაგებინა-მეთქი. დავტაცე ხელი ჩემს ქუდსა და ხელჯოხს, გარეთ გამოვედი; ვჩქარობდი, ბრბოში იმ მსარეს მივიკვლევდი გზას, სადაც მოხუცს თვალი მოვკარი. ცოტა კი გაჭირდა, მაგრამ ბოლოს წამოვეწიე და გავყევი. ვფრთხილობდი, ამ კაცმა რამე არ შემამჩნიოს-მეთქი.

ასლა კარგად ვხედავდი მოხუცს. ტანდაბალი იყო, სულ მომდნარი და, როგორც ჩანს, საკმაოდ მოუძღვრებული. ტანისამოსი ეცვა უსუფთაო, დახეულ-დაგლეჯილი. მაგრამ ხანდახან, ფარნების შუქზე მიმავალს გამოუჩნდებოდა მწვირია-ნი, თუმცა უმშვენიერესი ქსოვილის პერანგი; და მგონი, იმის ნაცვამ-გამოხუნებულ, ტანზე შემოჭერილ, ყველა ფოლაქშეკ-რულ roquelaire<sup>1</sup>-ში თვალი შევასწარი ბრილიანტსა და ხანჯალს. მაშინ უფრო წამძლია სულმა, ასე გადავწყვიტე, სადაც უნდა წავიდეს, მაინც გავყვები ამ უცნობს-მეთქი.

ღამე ჩამოწვა. განუჭვრეტელი, ცვარად მწვეთავი ნისლი მოედო ქალაქს, ცოტაც და წამოვიდა თქეში. გაავდრების ხანს გასაოცარი ცვლილება დაეტყო ბრბოს, ყველა შეწრიალდა და წამომართა მრავალი ქოლგა. ათჯერ უფრო მთიმატა მიხლამოხლამ, ჭყლეტამ, ღრიანცელმა. დელგმა-ღვარისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, ციებცხელება გადატანილი კაცისთვის, მართალია, საშიში, მაგრამ საამურიც იყო ეს ნესტი. ცხვირსახოციტ ავიხვიე პირი და გზა განვაგრძე. უკვე ნახევარი საათი მილასლასებდა ამ გაუთავებელ გამზირზე მოხუცი. ვაითუ თვალს მიეფაროს-მეთქი და ფეხდაფეხ გავყვივი. მთელი ეს ხანი ერთხელაც არ მოუსხდავს და არც შევეუმჩნევივარ. შემდეგ კი პატარა ქუჩაზე გადაუხვია — აქაც ხალხმრავლობა იყო, ოღონდაც შედარებით ნაკლები. სხვა მიხრა-მოხრა დაეტყო მოხუცს. ნაბიჯშენელებული ასლა თითქოს უმიზნოდ მიდიოდა, უფრორე მერყევი ჩანდა. ქუჩა რამდენიმეჯერ გადაჭრა და გადმოჭრა მოხეტიალემ, და რაკილა ჯარ ხალხში მიიკვლევდა გზას, უფრო დაუვახლოვდი. ეს ქუჩა ვიწრო იყო და უსაშველოდ გრძელი; ასე, ერთი საათი მიფრატუნებდა. თანდათან შეთხელდა ხალხი. იმდენილა დარჩა, რამდენსაც ბროდვეიზე, პარკის სიახლოვეს ნახავთ ხოლმე შუადღით — მოსახლეობის მხრივ ყველაზე მრავალრიცხოვანი ამერიკული ქალაქისგან დიდად განსხვავდება ლონდონი. კიდევ ერთხელ გავუხვიეთ და განათებულ, სიცოცხლით მჩქეფარე მოედანზე გავედით. ადრინდელი მიხრა-მოხრა დაეტყო მოხუცს. თავდახრილი მიდიოდა და შეჭმუხნილი წარბებიდან შმაგად შეს-

<sup>1</sup> მოგრასო სერთუკი (ფრანგ.).

ცქეროდა წამბიძგებელს. მოედანს შემოუარა, მერე მობრუნდა და უკანვე წამოვიდა. ეს რომ შევამჩნიე, გამიკვირდა. მით უფრო სახტად დავრჩი, ასე რომ რამდენჯერმე გაიმეორა და ერთხელ, უეცრად მოტრიალებული, კინაღამ შემომეჩხესა კი-დეც.

ასე გავიდა ერთი საათი, საგრძნობლად მოიკლო ბრბომ და სიარული ისე აღარ ჭირდა. წვიმამ მოუმატა, აცივდა, ხალხი შინ მიდიოდა. მოხუცმა მოუთმენლად ჩაიქნია ხელი და იქით გაუხვია, სადაც ბრბო შედარებით ნაკლები იყო. დაუყვა, ასე, მეოთხედი მილის სიგრძის ქუჩას. მისი ხნის კაცისთვის შეუფერებლად ჩქარი ნაბიჯებით წავიდა. ძლივს წამოვეწიე. ორიოდე წუთში თავი ამოვყავით დიდ, ხალხმრავალ ბაზარში, რომლის ადგილმდებარეობა, ეტყობოდა, კარგად იცოდა უცნობმა. მყიდველ-გამყიდველთა ბრბოშიც ისევ თავისი ჩვეული მიხრა-მოხრით ტრიალებდა.

აქ, დაახლოებით, საათი თუ საათნახევარი დავყავით. ყოველი ღონით ვცდილობდი, არ დავცილებოდი მოხუცს, მაგრამ მინდოდა არც დავენახე. საბედნიეროდ, კაუჩუკის ძირიანი ფესსაცმელი მეცვა და სრულიად უსმაუროდ მივაბიჯებდი. მოხუცს ერთხელაც არ შემოუხედავს, ეჭვიც არ აუღია — ეს კაცი რას დამდევსო. დუქნიდან დუქანში გადადიოდა, აღარაფერი უყიდია, ხმამაოულებლივ, ჭკუაარეული კაცის უაზრო თვალებით იცქირებოდა გარშემო. ახლა უფრო გამაოცა მოხუცის საქციელმა, მტკიცედ გადავწყვიტე, სანამ ცოტათი მაინც არ გავიგებ მის ამბავს, არ მოვეშვები-მეთქი.

თერთმეტჯერ ძალუმაღ დაჰკრა საათმა, ცარიელდებოდა ბაზარი. დარაბა მიხურა ვიღაც მედუქნემ და უცებ მისი კიდე მოხვდა მოხუცს. თავით ფეხამდე შეთრთოლდა. ქუჩაში გამოვარდა, მოუთმენლად მიმოიხედა ირგვლივ და მერე მისვეულ-მოხვეული და უკაცური გზებით ირბინა, ვიდრე უეცრად ისევ ამ დიდ გამზირზე არ გამოვედით, სადაც სასტუმრო დ. მდებარეობდა. ახლა სხვა სურათი იყო აქ — აქაურობა გაზის შუქს გადაენათებინა. თქორი მოდიოდა და სულ რამდენიმე კაცი ჩანდა. ფერი ეცვალა მოხუცს. დაღრეჯილმა გაიარა ორიოდე ნაბიჯი ადრე ხალხმრავალ ქუჩაზე, შემდეგ ღრმა ამოთხვრით მდინარისკენ დაუყვა და დაკლაკნილი ქუჩებით ბო-



ლოს ქალაქის ერთ-ერთ მთავარ თეატრს წაადწია. წარმოდგენა ახლახან დამთავრებულიყო და ყველა კარიდან ბრბოდ გამოდიოდა მაყურებელი. ხალხში მოხვედრილმა მოხუცმა თითქოსდა შვებით ამოისუნთქა; ახლა არც ისე შესაბრაღისად გამოიყურება-მეთქი, ასე გავიფიქრე. თავი კვლავ დახარა და ისეთივე ჩანდა, პირველად რომ დავინახე. ესეც შევნიშნე, მიდიოდა იქით, საითაც მიეშურებოდა მეტი წილი მაყურებელი. ვერ იქნა და ვერ მივხვდი ამ კაცის ამბავს.

ბრბო შეთხელდა. მოხუცი ადრინდელივით შეიბოჭა, გაუბედაობა დაეტყო. ერთხანს ღლაბუცით მიმავალ ათ თუ თორმეტკაციან ჯგუფს აეკიდა. მაგრამ თანდათანობით, ბოლოს, ამ ისედაც უკაცურ, სევდის მომგვრელ სავალზე სამნიღა დარჩნენ. შეყოვნდა მოხუცი და წუთით თითქოს საგონებელს მიეცა. მერე, თავტანდაკარგული, მაღიად გაუყვა ქუჩას, რომლითაც ქალაქის განაპირა მხარეს, სულ სხვა უბანში გამოვედით. დიდი გაჭირვებისა და დიდი სასოწარკვეთილებით განპირობებული დანაშაულის ნიშანი დასტყობოდა ლონდონის ამ უშემზარავეს კუთხეს. დაფუტურობული ფიცრის შენობები აყუდებულიყვნენ აქა-იქ შემხვედრი ფარნის შუქზე, კაცი იფიქრებდა, სადაცაა იხუვლებენ და ერთთავად ჩაიქცევიანო მთლად დაძველებული სახლები, ასე რომ, ძლივსღა ჩანდა გზის მინამსგავსი რაღაც გასასვლელი. მორეულ ბალახს ამოეყარა ქვაფენილი, ხნარცვებში ღპებოდა ამაზრზენი სიბინძურე. ყველაფერი ჩაოხრებულიყო. ცოტაც გავიარეთ და თანდათანობით უფრო ხმამაღლა მომესმა ღრიანცელი. დაბოლოს გამოჩნდა — ნურა თვალმა ნუ ნახოს — სოდომ-გომორი ზღვა ნაძირალა ხალხისა. გამოცოცხლდა მოხუცი — ასე აბრიალდება ღამპარი ჩაქრობამდე მცირე ხნით ადრე. ახლა მხნედ მიაბიჯებდა. უეცრად კვლავ გავუხვიეთ, კაშკაშა სინათლემ თვალთ დამიბნელა, ჩვენ წინ აღიმართა ქალაქის განაპირას მდებარე, მემთვრალეთა ტაძართაგან ერთი — სრასახლი ეშმა ჯინისა.

დილაბინდი დამდგარიყო და მაინც, ამ სახლის აჭრელე-ბული კარით შედი-გამოდიოდა ბევრი ბედგაცუდებული ლოთი. სიხარულით შეჰყვირა და შესასვლელში გზა გაიკვლია წინანდელივით გულმოცემულმა მოხუცმა, ისევ მოჰყვა ხე-

ტიალს წინ და უკან ამ ბრბოში. მაგრამ სასლი უკვე იკეტე<sup>1</sup> ბოდა. პატრონის დაძახებისთანავე ყველა კარს მოაწყდა, სვალმოუცილებლივ შევეურებდი და დავინახე, უსასობაზე მწარე რამ დაეტყო ამ გასაოცარი კაცის სახეს. მაგრამ აღარ დაუყოვნებია, ბუმბერაზი ლონდონის გულისაკენ გაიჭრა შმაგივით. კარგა ხანს და სწრაფად მიდიოდა; დიდად გაოგნებული მივსდევდი, ასე ვფიქრობდი, ვიდრე არ ჩავწვდები მის საიდუმლოს, ამ კაცს თავს არ დავანებებ-მეთქი. მზემ გამიანათა. იმ ხალხმრავალ ქუჩას მივალწიეთ, სადაც სასტუმრო დ. მდებარეობდა. წუხანდელივით დიდი ბრბო იყო აქ, მაგრამ ერთი ღრიანცელი იდგა ამ დილას და სულ უფრო და უფრო მატულობდა ხალხი, ერთი ნაბიჯითაც არ მოვცილებივარ უცნობს, ჩვეულებრივ დაიწყო სიარული. მთელი დღე აღარ დაუტოვებია ეს ხმაურიანი ქუჩა. მწუხრმა რომ მოატანა, დაღლილობისგან ძვალი და რბილი ძირს ჩამომდიოდა. პირდაპირ დავუდექი მსხემს, სახეში შევაცქერდი. აწ დაწყნარებულმა გზა განაგრძო ისე, რომ არც შევუმჩნევივარ. დევნა შევწყვიტე, შევჩერდი ფიქრებაშლილი; დიდი ბოროტების განსახიერებაა ეს მოხუცი, ეშინია საკუთარ თავთან მარტო დარჩენამეთქი. ბრბოს კაცია. ამაოა მისი დევნა; ველარაფერს გავიგებ ველარც ამ კაცის და ველარც მისი საქმეების შესახებ. ამქვეყნად შავფერი გული უფრო ბნელი წიგნია, ვიდრე „Hortulus Animae“<sup>1</sup> და რომ ეს წიგნი „er lasst sich nicht lesen“<sup>2</sup> შესაძლოა, ეს იყოს დიდი მადლი ღვთისა.

---

<sup>1</sup> გრიუნინგერი, „Hortulus Animae cum Oratlunculis Aliquibus Superadditis“ (ავტორის შენიშვნა).

<sup>2</sup> თავს არავის წაკითხვინებს (გერმან.).

Son coeur est un luth suspendu;  
Sitôt qu'on le touche il résonne.

De Beranger<sup>1</sup>

შემოდგომის დღე იყო, ჩამობნელებული, მოქურუხებული, ჩუმი, სულშემხუთველად ჩამოშლოდა ღრუბელი ცარგვალს. ცხენზე ამხედრებული უკვე კარგა ხანია მივდიოდი საოცრად მოწყენილ არემიდამოში. სალამომ რომ მოატანა, გამოჩნდა სევდის მომგვრელი სახლი აშერებისა. რად, არ ვიცი, მაგრამ ამ შენობის შეხედვისთანავე შემიპყრო გაუსაძლისმა კაეშანმა. გაუსაძლისმა-მეთქი, რაკი თავისი პოეტურობით მცირე სიამოვნებას ხომ მაინც მოგვაგებს თუნდაც მთლად შემზარავი თუ უკაცური ბუნება, ახლა კი იოტისოდენადაც არ მეშვებოდა ეს მძიმე გრძნობა. შევცქეროდი თავად სახლსა და მწირ, გახრიოკებულ მამულს, ჩაშავებულ კედლებს, უთვალო უბეებივით გამოცარიელებულ სარკმლებს, თხელ ისლოვანს, შემპალ ხეთა ორიოდე შტოს; შევცქეროდი და მთლად ჩამომიღამდა გული. მიწიერს ვერ შევარქმევ ამ განცდას, სიზმარეულ რაღაც ხვანჯებს თავდაღწეული, თრიაქნასვამი კაცის გრძნობას უფრო ჰგავდა, რომლის წინ ეს-ესაა ფარდა აუსდია ყოველდღიური ცხოვრების შხამნადველს. გულმა რეჩხი მიყო, დამიღონდა, ჩამწყდა. ამაო იქნებოდა გონის ძალისხმევა რამე ამალღებულის მოსახილავად. ისეთი რა იყო, ვფიქრობ, რამაც ასე შემძრა აშერების სახლის მხილველი? შეუცნობელი საიდუმლოა. ფიქრებაშლილმა ველარც ჩემს თავს მოჯარული მიუხვედრელი ფანტაზიები მოვიშორე და იძულებული გავხდი ამ უმტკიცო აზრს დავჯერებოდი: შეიძლება იყოს სულ ჩვეულებრივი, ბუნებრივი საგნების ისეთი განლაგება, ჩვენს სულსა და გულზე რომ იმოქმედებს, მაგრამ ამ შემოქმედების ძალის გარკვევა ჩვენთვის შეუძლებელი იქნება. ასე გავიფიქრე, ამ სანახაობის თუ სურათის დე-

<sup>1</sup> ეს გული — ჩანგი ჩამობმული,  
შეეხები და ხმას მოგაგებებს.  
დე ბერანჟე (ფრანგ.).

ტალები სხვარიგად რომ იყოს განლაგებული, შესაძლოა ამ გარემოებას შეეცვალა ან სულაც გაექრო სახლითა და მისი შემოგარენით აღძრული ჩემი აგრე გულისმომწყვლელი შთაბეჭდილება-მეთქი; ამ აზრის შესამოწმებლად სადავე მოემართე, ჩაშავებულ-ჩაჟალტამებულ, წყნარად მოლივლივე წყლის პიტალო ნაპირს მივადექი და, რომ გადავიხედე, უფრო ამემღვრა გული — წყლის ლიცლიცმა უმსგავსოდ წარმოაჩინა ისლის, შემზარავი ხეებისა და უთვალო უბეებივით გამოცარიელებულ სარკმელთა თავკვეჩაბრუნებული გამოსახულება.

ამ ქუშ სამყოფელში უნდა დავრჩენილიყავი რამდენიმე კვირა. როდერიკ აშერი, ამ სრასახლის პატრონი გასლდათ ჩემი ყრმობის უახლოესი მეგობარი, მაგრამ ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ დიდი დრო იყო გასული. ცოტა ხნის წინათ ქვეყნის შორეული კუთხიდან წერილი მომივიდა — ჩამოდით, მთხოვდა და ასეთ აჯა-ვედრებას ვერ ვუპასუხებდი წერილითვე, პირადად უნდა მენახა. ბორჯნეული კაცის ხელი დასტყობოდა ნაწერს. მძიმე ფიზიკურ ავადობას და სულის დამთრგუნველ აშლილობას უჩიოდა და არაფერი ერჩია საუკეთესო და ერთადერთი მეგობრის ნახვას, იქნებ, რამდენადმე შემიმსუბუქოს გასაჭირი შენმა მსიარულებამო. თხოვნა ისე იყო დაწერილი და, უფრო მეტიც, ნაწერში ამ კაცის ისეთი გულწრფელობა შეინიშნებოდა, რომ ბევრი ჭოჭმანი აღარ დამიწყია და დაუყოვნებლივ გამოვეპასუხე ამ — ჯერ კიდევ ასე ვფიქრობდი — საკმაოდ უჩვეულო მიწვევას.

ბიჭობაში თუმცა მეტად დაახლოებულნი ვიყავით, კარგად მაინც არ ვიცნობდი ჩემს მეგობარს. ყრმობიდანვე ერთობ თავმოზღუდული იყო. ეს კი ვიცოდი, ეშერების უძველესი ჩამომავლობის ხალხი უხსოვარი დროიდანვე გამოირჩეოდა საოცრად მგრძნობიარე გულით, რაც საუკუნეების მანძილზე ხელოვნების მრავალი შედეგის შექმნით, ხოლო უკანასკნელ ხანებში ნიადაგ საბოძვარხშირი, მაგრამ არაშემაწუხარი ქველმოქმედებით გამოიხატებოდა. მუსიკის საყოველთაოდ ცნობილ, ყველასთვის ხელმისაწვდომ ნაწარმოებთა მშვენიერებით კი არა, უფრო რთული ვარიაციებით იყვნენ გატაცებულნი. ერთი დირსშესანიშნავი ამბავი ვიცოდი: იმთავითვე აშერების საკვარეულოს ძირითად შტოს არასოდეს ჰქონია განტოტებ;

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცოტაოდენი და იშვიათი შემთხვევის გამოკლებით, სწორსაზოვნად მოემართებოდა ეს ჩამომავლობა სულ მუდამ. გაოცებული ვფიქრობდი, იქნებ, სწორედ ამ განტოტებათა უქონლობის გამო დაემსგავსა-მეაქი მამულის საარაკო ნიშანდობლიობა ამ ხალხის ხასიათს. მრავალი და მრავალი საუკუნის განმავლობაში ერთს გავლენა მოუხდენია მეორეზე; მართლაც, მათი წარმომავლობის ასეთი განვითარება და ის ამბავი, რომ საბატანო ყოველთვის უშუალოდ მამიდან ვაჟზე გადადიოდა, ისე დაკავშირებოდა ერთმანეთს, რომ მამულის თავდაპირველი სახელწოდება გადაიქცა ორაზროვან და საკვირველ სახელწოდებად: „აშერების სახლი“, რომელშიც აქაური გლეხკაცისთვის ორივე ერთად შენივთებულიყო — გვარიცა და საგვარეულო სასახლეც.

თქვენ უკვე იცით, ჩემი ბავშვური ცდის შედეგად, როცა ქვემოთ, ტბაში ვიციქირებოდი, უფრო გამიმძაფრდა პირვანდელი შთაბეჭდილება. მართლაც, იმის შეგნებამ, რა მსწრაფლ მომრევია ცრუმორწმუნეობრივი ზაფრა — რატომაც არ შეიძლება ამას ასე დავარქვათ? — ხელი შეუწყო ჩემი გულის აგრე ჩალამებას. კარგა ხანია ვიცოდი: ასეთია შიშს დაფუძნებული ყოველგვარი გრძნობის პარადოქსული კანონი; და, იქნებ, მხოლოდ ეს იყო იმისი მიზეზი, რომ, როცა ტბაში არეკლილი სახლის გამოსახულებას მოვაცილე თვალი, უცნაური ფანტაზიით, მართლაცდა მეტად უცნაური ფანტაზიით წამოვინთე. ამიტომღა მოგახსენებთ ამას — ჩემი ესოდენ დიდი სიმძიმეილი მინდა გაიგოთ. ნამდვილად, ჩემმა მაშინდელმა გუნება-განწყობილებამ ასე მაფიქრებინა: მთელ სახლს გარშემობურვილი ატმოსფერო მხოლოდ აქაურობისთვის და მისი შემოგარენისთვისაა შესაფერისი-მეთქი, გამჭვირვალე ჰაერისგან სრულიად განსხვავებული ატმოსფერო — დამპალი ხეებით, ნაცრისფერი კედლებითა და ჩუმი ტბის წიაღიდან წამობურული მავნე, შეუცნობელი, ბუნდი, წებოვანი, თითქმის თვალთუჩინარი ტყვიისფერი ოხშივარით.

სიზმარ-ცხადში ვიყავი და ასლა მოვიშორე ამისდა კვლად აღძრული ფიქრები, უფრო წვრილად დავათვალიერე შენობა. ოდინდელი სიძველე ჰქონდა უმთავრეს ნიშნად და მისი კედლები მთლად გაუფერულებულიყო ჟამთა სვლაში.

სახლის პირი სულ ჩამოებურა წვრილ-წვრილ ხავსს. ნკრეიის რამე ნიშანი არ დასტყობოდა ნაგებობას. თუმცა აქ კინკიც არ იყო ჩამოვარდნილი, მაგრამ ნათლად შეინიშნებოდა უდიდესი შეუსაბამობა სახლის უზადო არქიტექტურასა და მის გამოფიტულ ცალკეულ ქვებს შორის. სწორედ ამგვარი უნდა ყოფილიყო ხის უსინჯო მთლიანობა, უპაერობით რომ ლაქება მივიწყებულ სარდაფში. მართალია, სახლი სრულიად გაპარტახებული ჩანდა, მაგრამ მკვიდრად იდგა ჯერხანად. მსოლოდ კირკიტა ვინმე თუ შეამჩნევდა ძლივს დასანახ ბზარს, სახურავიდან რომ წინა კედელზე კლაკნილად ეშვებოდა და იკარგებოდა ტბის ჩუმ წყალში.

შევიწინე ეს ყველაფერი და სახლს მივაშურე მოკლე, მოკირწყლული ბილიკით. მსახური დამხვდა, ცხენი ჩამომართვა, გოტიკურთაღოვანი გასასვლელებით წინკარში შევედი, აქედან კი ლაქია უსიტყვოდ წამიძღვა თავისი ბატონის სამუშაო ოთახისკენ, მრავალი, ბნელი, და მისვეულ-მოსვეული დერეფანი გამატარა. ჩემს სავალზე დავინახე ეს ყოველივე და რად, არ ვიცი, მაგრამ კი გამიცხოველდა ის გულისძომწვევლელი სევდა, რომლის თაობაზეც უკვე მოგახსენეთ. სახლის მოწყობილობას, ჭერის ჩუქურთმებს, კედლებიდან ჩამოშვებულ კაემნის მომგვრელ ფარდაგებს; შავი ხის იატაკის სიშავეს ვხედავდი და ყოველი ფეხის გადადგმაზე ფანტასმაგორიული ნაალაფევი საჭურვლის წკარუნი რომ მესმოდა, საცნაური ხდებოდა: ყველაფერში რაღაც იყო ისეთი, რასაც ბავშვობაშივე ვიყავი შეჩვეული; მაგრამ ამან კი არ გამათოცა, ესლა მიკვირდა, ჩვეული საგნების ხილვისას რანაირად მომეახლა ესოდენ უცხო შთაბეჭდილებები-მეთქი. ოჯახის ექიმს შევეჩხე ერთერთ კიბეზე. ცბიერებისა და დაბნეულობის ნაზავი დასტყობია იმის სახეს-მეთქი, ასე გავიფიქრე. შიშნეულად მომესალმა და წავიდა. კარი გააღო ლაქიამ და თავის ბატონთან შემიძღვა.

ვეებერთელა და ჭერმაღალი იყო ოთახი. მოგრძო, ზემოთკენ წაწვრილებული და წაწვეტებული სარკმლები იმდენად დასცილებოდნენ შავი მუხის იატაკს, რომ ვერავინ შესწვდებოდა. გისოსებიან მიწებში მეწამული ფერის სუსტი ნათელი გამოსჭვიოდა და შედარებით მომსხო საგნები საკმაოდ გამო-

ენინა, მაგრამ ღრმათალოვან, მოხუჭურთმებულ ჭერზე ან შორეულ კუთხეებში ველარაფერს დაინახავდა კაცი. მრუმე ფარდაგები აკვროდნენ კედლებს. მოუხერსებელი, ძველი და გადაძენილი ავეჯი იყო აქ. მრავალი წიგნი და მუსიკალური საკრავიც ეყარა, მაგრამ არც ამათ შეეძლოთ სიცსოველე მინიჭებინათ დარბაზისთვის. სევდის ჰაერით ვსუნთქავდი, ვიცრბენი. მკაცრ, ღრმა და გაუძლის ვარამს გაემსჭვალა ირგვლივ ყველაფერი.

ოთახში შევედი. ტახტზე გაშოტილიყო აშერი; დამინახა თუ არა, წამოდგა და მხურვალედ მომესალმა. მაღალი წრის *eiunuyé*<sup>1</sup> კაცის ზედმეტად გულითადი, ნაძალადევი მომეჩვენა ჯერ ეს სალაში. მაგრამ მისი სრული გულწრფელობა მალევე ცხადი გახდა. დავსხედით და რამდენსამე წუთს, სანამ ხმას ამოიღებდა, შევყურებდი ერთწილ სიბრაღულით, ერთწილ შიშით. მგონია, არასოდეს მინახავს როდერიკ აშერის მსგავსად ასე უცებ მობერებული კაცი ძნელი იყო ამ ზაფრანისფერი სახის მქონე ადამიანში ჩემი ბავშვობის ამხანაგის ცნობა. თავისი პირისახით ყოველთვის გამოირჩეოდა: მიცვალებულივით სახეგაფითრებული, თვალები შეუდარებელი, ბრიალა, სოველი და დიდრონი, საოცრად მშვენიერი, სულ უსისხლო და წვრილი ტუჩები: კეხიანი, ლამაზი ცხვირი, მაგრამ ასეთ ფართო ნესტოებიანს იშვიათად ნახავდით; სულიერ უღონობაზე მეტყველებდა მისი ნატიფი, პატარა ნიკაპი, თმა კქონდა თხელი და რბილი, შუბლი დიდი და მაღალი. მართლაც შეუძლებელი იყო დავიწყება ამ სახისა, რომლის ნაკვთები ახლა უფრო გამოკვეთილიყო და გამომეტყველება ისე შეცვლოდა, რომ დავეჭვდი, ვის ვესაუბრები-მეთქი. მეტადრე მისმა შემზარავად ჩატექტილმა კანისფერმა და თვალის ზე-ბუნებრივმა ბრწყინვამ გამოცა და გული გადამიქანა. მთლად აჩეჩილი აბრეშუმისებური თმა სასხეს კი არ შემორკალოდა — თითქოს დაქროდა მის გარშემო, ასე რომ, გვარიანი ძალისხმევითაც ვერ შევძელი ამ ფანტასტიკური პირისახის კაცში ჩვეულებრივი მოკვდავის გამოცნობა.

ჩემი მეგობრის ქცევამ იმთავითვე გამაკვირვა არათანა-

---

<sup>1</sup> აქ: გულგამოფიტული (ფრანგ.).

მიმდევრულობით, რაღაც ალოგიკურობით; მალე მიესვდი, მისი გამუდმებული კანკალი მეტისმეტი ნერვული აგზნების დაოკების უღონო და მრავალი ცდის შედეგი იყო თურმე. თუმცაღა, მის ამდაგვარ ყოფას მოველოდი, რაკიღა წინდ.-წინვე ვიყავი შემზადებული როგორც წერილით, ასევე მისი ყრმობისდროინდელი სასიათითა და იმ დასკვნებით, რომლებიც გამოვიტანე ამ კაცის ფიზიკური აღნაგობისა და სულიერი თვისებების მცოდნემ. ჩუმიად იყო, სან გამოცოცხლებული. ხმა მალიმალ შეეცვლებოდა ხოლმე, გაუბედაობით ათროთლებული (როცა მის მგზნებარე გულს მთლად დაეუფლებოდა სისუსტე) როგორღაც მკვეთრად ისმოდა — სიტყვას მოჭრიდა, მძიმედ, მარცვალ-მარცვალ, ყრულ, ზოგჯერ ხორხისმიერ ბგერებს მკაფიოდ გამოთქვამდა ჟამითი-ჟამად წამონთებული ვინმე უსაშველო მემთვრალის ან თრიაქის მსმელის დარად.

ჩემი სტუმრობის გამო ასე მეუბნებოდა: როგორ მიხარია, იქნებ, დამამშვიდოსო შენთან ყოფნამ. ზოგჯერ თავისი ავადობის ბუნებას მიხსნიდა. თანდაყოლილი, ოჯახური სევდასწეულება მჭირსო, ასე ამბობდა, და წამლის პოვნის იმედი გადასწუროდა, — უბრალო ნერვული აგზნება არისო ეს; იმწუთას დასძენდა, მალე გაივლისო უეჭველად. ბევრ არაბუნებრივ შეგრძნებაში გამოიხატებოდა მისი გასაჭირი. წვრილად მიაბობდა მათ შესახებ. ზოგიერთმა გარემოებამ გამაკვირვა და დამაბნია ან, შესაძლოა, თავად თსრობა, ასევე მასში ჩართული სავნებისა და სნეულებათა უჩვეულო სახელები განვიცადე. ძლიერ გაეტანჯა ავადმყოფურ გრძნობიერებას; მხოლოდ სულ შეუკაზმავი შეჭამადით საზრდობდა; მხოლოდ ერთგვარი მასალის სამოსელს იცვამდა; სუნთქვას უკრავდა ყოველგვარი ყვავილის სუნი; მთლად უძალო სინათლეს თვალს უტკიებდა; მხოლოდ სიმებიანი საკრავების თავისებური მღერა არ ზარავდა.

ხელებშებოჭილ მონასებრ მოაქცია დაუძლეველმა შიშმა. „გამათავებს, — ასე იტყოდა, — სიცოცხლეს მომისწრაფებს ეს საწყალობელი სიშლეგე, სწორედ ასე, ასე დავიღუპები და არა სხვაგვარად; მომავალში რაც უნდა მოხდეს, გავუძლებ, მაგრამ თავად მოსახდენის მოლოდინი მზარავს. გულგახეთქი-



ლი ვფიქრობ, რაღაც, თუნდაც მთლად ჩვეულებრივი შემთხვევა გაუსაძლისად გატანჯავს ჩემს ავზნებულ გონს. დიას, თავად საშიშროება კი არა, არამედ მხოლოდ მისი სრული გამოხატულება — შიშის ზარი გამაწვალებს. ასეთ ყოფასა და ვაივაგლახში, ვგრძნობ, დღეს-ხვალ ერთად გამოვეთსოვება წუთისოფელსა და სულიერ ჯანმრთელობას, ამ ქუშ აჩრდილ-თან შეჭიდებული — შიშთან“.

ნაწყვეტ-ნაწყვეტად, არეულად მელაპარაკებოდა და ცოტა ხნის მერე გავიგე მისი სულიერი განწყობის კიდევ ერთი ნიშან-თვისება. ცრურწმენებს შეებოჭა ეს კაცი, თითქოს რაღაც ზებუნებრივი გავლენა ჰქონდა მასზე სახლს, სადაც წლობით ცხოვრობდა და საიდანაც ერთხელაც არ გამოუდგამს ფეხი. ამ სახლის სავარაუდო ზეგავლენის შესახებ ისე უთაგბოლოდ მ.ო.ხრა, რომ მიძნელდება მისი ნაამბობის აქ გამოწვლილვისადმი. ასე მეუბნებოდა, საგვარეულო საცხოვრებლის არქიტექტურულ თავისებურებასა და მრუმე ფერადოვნებას იმთავითვე უმოქმედია მის სულზე — ასეთი იყო ზეგავლენა ნაცრისფეროვანი კედლების, კოშკების ხუროთმოძღვრებისა, ასეთივე ზეგავლენა ჰქონდა ტბას, რომელშიც ყველა აშერი იყურებოდა, და ყველაფერი ეს მის სულიერ ცხოვრებაზეც მიმძლავრებულა თურმე.

მაგრამ ესეც აღიარა, თუმცა კი მერყეობდა ამ დროს — აგრერიგად გამტანჯავი ეს უწვეულო სევდა-მწუხარება, შესაძლოა, უფრო ბუნებრივი და უფრო ნათელი წარმოშობასააო. მიზეზად ამას ამბობდა, მძიმე და ხანგრძლივ ავადმყოფობას სიკვდილის პირას მიუყვანია მისი ნუგეშმცემელი ერთადერთი დაი, ამ სოფლად მისი უკანასკნელი და ერთადერთი იმედი. „მოკვდება, — მითხრა საწყალობლად, ამას რა დამავიწყებს, — დამტოვებს (ასე უსასოოსა და ულონოს) აშერების ძირძველი საგვარეულოდან უკანასკნელს“. ეს თქვა და ლედი მედელეინმა (დას ასე ერქვა) ნელა გადაჭრა პალატის უშორესი ნაწილი და ისე გავიდა, არც შევუმჩნევივარ. მეტად გაოცებული და შეშინებ ულიც შევყურებდი და ვერ მივმხვდარიყავი ამ გრძნობის მიზეზს. გული მომიკვდა, როცა თვალი გავაყოლე მიმავალს. დაბოლოს, ქალის უკან კარი რომ მიიხურა, ჩემდა უნებურად კითხვის თვალთ შევხედე ძმას, მაგ-

რამ მას სახე ხელებში ჩაემალა და ესლა შევნიშნე, მთლად ცვილისფერი გახდომოდა გასხინკული, ცხელცრემლნასხურები თითები.

ლედი მედელეინის ავადობას კარგა ხანია გაეცუდებინა მკურნალთა ხელოვნება. ასე ამბობდნენ, პიროვნების თანდათანობით შემშუსკრელი უჩვეულო აპათია და ნაწილობრივ კატალექსური ხასიათის ხშირი, ოღონდ მსწრაფლწარმავალი მოვლენები დასჩემებიაო. აქამომდე ქალი მტკიცედ უმკლავდებოდა გასაჭირს და ბოლომდე უარობდა ლოგინში დაწოლას, მაგრამ ჩემი ჩამოსვლის დღეს, საღამოს პირზე (სოგორც ძმამ მითხრა ღამით, მეტად აღელვებულმა) მთლად უღონოქმნილი დამორჩილდა გამანადგურებელ ძალას; და ახლა თვალი რომ მოვკარი ქალს, ასე მენიშნა, უკანასკნელად ვხედავ, ყოველ შემთხვევაში, ცოცხალს-მეთქი.

ამის შემდეგ რამდენიმე დღე აღარც აშერს უსხენებია მისი სახელი და აღარც მე. მთელი ეს ხანი ყოველნაირად ცვდილობდი ჩემი მეგობრის მელანქოლიის შემსუბუქებას. ერთად ვხატავდით და ვკითხულობდით, ხანაც სიზმარეულივით ვისმენდი გიტარაზე ამეტყველებულ მის მგზნებარე იმპროვიზაციებს. და ამგვარად, სულ უფრო და უფრო, მასთან დაახლოებისდა კვალად, უკეთ ვგებულობდი ამ კაცის სულის იდუმალ კუნჭულებს. დასასრულ გულისტკივილით მივხვდი, ვერაფერს გავხდებოდი, კაემანს ვერ დავაგდებინებდი და ვერც კარგ გუნებაზე მოვიყვანდი ჩემს მეგობარს; მისი აგრე გასაკუთრებული ურვა მარადჟამ საწყალობელ ნათებად ეფინებოდა ირგვლივ ყველაფერს, უსულოსა და სულიერს.

სამარის კარამდე დაუვიწყარი იქნება ჩემთვის აშერების სახლის პატრონთან აგრერიგად გატარებული ნაღვლიანი საათები. და მაინც, ცოტას თუ შევძლებ მისი გამოკვლევების ან შემოქმედების შინაარსის გადმოცემას; ამ ამბავში მეც ჩამითრია თუ, უფრო სწორად, გზას მიკვლევდა თავისი სელოვნების გასაგებად. ამ კაცის მღელვარება და ქუში აღმური გულისა თავისებურ სინათლეს ჰფენდა ყველაფერს. მიწყივ მიჟღერს ყურში მისი გაუთავებელი სამგლოვიარო სიმღერა-იმპროვიზაციები. სხვათა შორის მტკივნეულად მაქვს გამჯდარი მესსიერებაში ფონ ვებერის გონისამღვრევი უკანას-

კნელი ვალსის მნიშვნელოვანწილად შეცვლილი ჰანგებიც. მრავალი სურათი, რომლის შექმნაზეც მუშაობდა მისი ფანტაზია, ყალმის ყოველ მოსმაზე სულ უფრო მეტად ბუნდოვანი ხდებოდა და რად — არ ვიცი. ამ სურათთაგან (ცოცხლად რომ მიდგას თკალწინ ამათი სატება) მხოლოდ მცირე ნაწილი გადმოეცემინება სიტყვას. სრული უბრალოებითა და მკაფიო ნახატით ამ სურათებმა მთლად დამატყვევეს და მომაჯადოვეს. თუკი ვინმე მოკვდავს შეეძლო იდეა წარმოესახა, როდერიკ აშერი გახლდათ ეს მოკვდავი. ყოველ შემთხვევაში, მაშინდელი პირობების, გარემოების კვალობაზე ჩემი იპოქონდრიკი ამხანაგის აბსტრაქტულ ტილოებში ენით უთქმელი შემზარათობა შესახებოდა. ამდაგვარი გრძნობის ნატამალიც არ განმიცდია ფუზელის უდავოდ ბრწყინვალე და, ასევე, მეტად მკაფიო ზმანებების ხილვისას.

ჩემი მეგობრის ერთი ფანტასმაგორიული ნაწარმოები, აგრე მკაცრ აბსტრაქტირებას რომ არ საჭიროებდა, შეიძლება მიახლოებით, მაგრამ მაინც გადმოიციეს სიტყვით. პატარა სურათი გამოხატავდა უსაშველოდ გრძელ, თეთრ, დაბალ და სადა კედლებიან სწორკუთხა მღვიმეს თუ მიწისქვეშა გასასვლელს; კედლებზე ერთი ბეწო რამესაც ვერ შეამჩნევდა კაცი. მიწისქვეშა გვირაბის დიდ სიღრმეს შთაგვაგონებდა ნახატის ზოგი დეტალი. მთელ ამ სივრცეზე არაფერი იყო ჰაერის მოსასვლელი, არც კვარი ჩანდა, არც სხვა რამე ამდაგვარი, შემზარავად და შეუსაბამოდ კი ბრკილებდა რაღაც მოელვარე სხივები.

სწორედ ახლა გეუბნებოდით, აშერს სასმენი ნერვი სტკიოდა-მეთქი. გაუსაძლისად სტანჯავდა ყოველგვარი მუსიკა, მხოლოდ სიმებიანი საკრავების ერთგვარი ჰანგების მოსმენა შეეძლო. ასე რომ, იყო შეზღუდული და გიტარის მეტს არაფერს სცნობდა, უსაზღვრო სიცხოველე ენიჭებოდა იმის ფანტასტიკურ შესრულებას. მაგრამ ამით ვერ აიხსნებოდა მისი მუსიკალური იმპროვიზაციების მგზნებარე სიმსუბუქე. შესრულება რომ იყო ასეთი, მისი შლეგური მუსიკის ნოტებსა და სიტყვებში ჩანს (რადგან არცთუ ისე იშვიათად სახელდახელოდ შეთხზული ლექსითაც შეამკობდა ხოლმე მუსიკას). მისი გონითი ძალისხმევის შედეგი უნდა ყოფილიყო მისი შემოქმედება, და ეს გარემოება, როგორც მოგახსენეთ, ხე-

ლოვნურად გამოწვეული აღმაფრენის განსაკუთრებულ წუ-  
თებშიდა შეინიშნებოდა. კარგად დამამახსოვრდა ერთი რაფ-  
სოდის სიტყვები. სიმღერა მეტად განვიცადე და აი რატომ —  
როცა აშერი უკრავდა და მღეროდა, მისმა იდუმალმა და მის-  
ტიკურმა სიტყვებმა, მგონი, პირველად ჩამავონა, აშერი უკ-  
ვე მიმხვდარიყო თავისი მაღალი გონის ტასტის რყევას. „ჯა-  
დოქმნილი სასასლე“ — ასეთი სახელწოდების ლექსი სრულად  
თუ არა, ძალზე დაახლოებით მაინც ასე ითქმებოდა:

## I

დიდი და მწვანე ველების წიაღ  
ანგელოსების არის სამყოფი;  
ცამდე აზიდულ სასასლეს ჰქვია  
გონის საუფლო, ბჭე დიდებული.  
და სერაფიმებს აქ აღეპარიათ  
სვეტი ნათელი, შვენება სრული  
სული ტკებოდა, როცა პალატებს  
ნასავდა მგზავრი გაცეებული.

## II

აქ, ამ სასასლის ბჭეს და გალავანს  
წელი ათასი დაჰფრიალებდათ  
ოქრონემსული ფართო აღმები;  
(კიდევ ამბობენ, რომ ეს ამბავი  
თურმე მომხდარა უსსოვარ დროში).  
ნიადაგ იყო ლბილი ნიავის  
ამო ფრთხილი, სხივთა ციალი,  
ტკბილი ცხოვრება, ჩუმი სუფევა.

## III

ამ ადგილს ვინმე გზად მიმავალი,  
მთლად მონუსხული სარკმლის ნათებით  
მოაშურებდა სუნთქვაშეკრული.  
დარბაზშივეა ტასტი ნათელი,  
ტასტზე — მეუფე სახემცინარი  
(ძე მეუფისა!).  
დღე იყო მიწყვ დაუსაბამო,  
ლსინი, სიმღერა, სვაგი სუფრისა.

## IV

გაგაოცებდათ ლალ-მარგალიტით  
 თვალისმომკრელი ბრწყინვა კარიბუქის,  
 ზე აწვდილ თასით, თასით და თასით  
 ვადი-ვამოდის გუნდი ქოროთა,  
 და ექომ შეძრა გარემო-ველი:  
 დიდება შენდა, მეუფევე ჩვენო,  
 მეუფევე დიდო, ქველო და ბრძენო,  
 ჩვენი სამეფოს მზეო ნათელთ!

## V

მაგრამ მერე კი ავმა სულებმა  
 მეუფე იგი ბედით დაცარეს;  
 (გლოვა მოიღეს თან მომხდურებმა,  
 ძალა, დიდება ჩამოაცალეს!).  
 სასახლე მისი მყისვე დაიპყრეს —  
 ტკბილი სიმღერა აქციეს კვნესად.  
 ვაებად დაშთენ მოგონებანი,  
 მსოლოდ კედლები გადარჩნენ ძეგლად.

## VI

აწ მოგზაური, მოსული ველად,  
 სარკმლით ნახავდა იმათ ფეთებას —  
 ჩრდილების რიალს წითელ ფერებად,  
 რალაც სიმების უცხო მღერებას.  
 მოიქრნენ ბილწნი ჟანგიან კარით —  
 ვითარცა მალი, მრუმე მდინარე;  
 სიცილი უღიმო, საწყალობელი,  
 ისმის შემუსრულ ბჟეთა წინარე.

კარგად მახსოვს, ფიქრებმა ამ ბალადის გამო აშერის  
 ერთი აზრი მამცნო. მისი სიახლის გულისთვის კი არ მოგახ-  
 სენებთ ამ აზრს (ეს ჯერ კიდევ სხვებს<sup>1</sup> გამოუთქვამთ), იმი-  
 ტომ გეუბნებით — თავად ბეჯითად იცავდა ამ შეხედულებას.  
 ერთი სიტყვით, ყოველგვარი მცენარის მგრძნობიარობას ამ-

<sup>1</sup> უოტსონი, დოქტორი პერსივალი, სპალანცანი და, განსაკუთრებით, ლაფდაფის ეპისკოპოსი — იხ. იქიმიის ნარკვევები", ტ. V (ავტორის შე-  
 ნიშვნა).

ტკიცებდა. მაგრამ ზოგჯერ ამ იდეით გატაცებული ეს გონა-  
შლილი კაცი შეჭრასაც კი ლამობდა არაორგანული მატერი-  
ის საუფლოში, თუ რა დიდი იყო მისი რწმენა, ანუ, თუ რო-  
გორ სჯეროდა ეს ამბავი — მიძნელებდა ამისი თქმა. მისი აზ-  
რით, ეს რწმენა დაკავშირებოდა (აღრვევც ხომ აღვნიშნე  
გაკვრით) აშერების საგვარეულო სახლის ნაცრისფერ ქვებს.  
სასახლის მგრძნობიარობა წარმოიქმნება მისი ქვების წყო-  
ბით, მათი განლაგების წესით; ასევე, გამომჟალი ხეებით; მე-  
ტადრე კი ამ მგრძნობელობის სათავე ტბის უხმაურო წყალზე  
არეკლილ მთლად ხავსმოდებული ხეებისა და კედლების გა-  
მოსახულებაში, მათ მარადიულ შეუშფოთველ უძრავობასა და  
გაორებაში იყო საძიებელი. ამას მოწმობს, ამ მგრძნობელო-  
ბის არსებობას მოწმობს (გამაოცა კი ამ სიტყვებმა) სახლის  
კედლებისა და ტბის გარშემო ატმოსფეროს თანდათანობითა  
და კარგა შესამჩნევი შემკვრივება. შედეგიც არისო, ასე დას-  
ძინა, საუკუნეების განმავლობაში შემზარავ და შეუტყობელ  
ამ ზეგავლენას მისი გვარისთვის დაღი დაუსვამს და საბოლო-  
ოდ ისე მოუქცევია ეს კაცი, როგორც ახლა ვხედავდი. ბრძენ-  
თა სმობას არ საჭიროებს ეს აზრი და მეც აღარაფერს ვიტყვი.

დიდი ხანია სულიერ საზრდოდ ჰქონდა ამ ბინარ კაცს  
ჩვენი წიგნები — წიგნები, რომლებიც, როგორც მოსალოდნე-  
ლი იყო, მისი ფანტაზიის ბუნებას შეესატყვისებოდა. ორივე  
გაგვიტაცა ისეთმა ნაწარმოებებმა, როგორიცაა: გრესეს „ვერ-  
ვერი“ და „მონასტერი“; მაკიაველის — „ბელფეგორი“; სვედენ-  
ბორგის „ზესკნელი და ქვესკნელი“; ჰოლბერგის „ნიკოლას  
კლიმის მოგზაურობა მიწისქვეშეთში“; რობერტ ფლადის, ჟან  
დ'ენჟინესა და დე ლა შამბრის „ქირომანტია“; ტიკის „მოგ-  
ზაურობა შორეულ ლაჟვარდოვანში“ და კამპანელას „მზის  
ქალაქი“. განსაკუთრებით უყვარდა ფურცლის ერთი მერვედი  
ზომის — *Directorium Inquisitorium*; თხზულება დომი-  
ნიკელი ეიმერიკ დე ჟირონისა და ზოგიერთი ადგილი პომპი-  
ნიუს მელას ნაწერებიდან ძველი აფრიკული სატირებისა და  
ეგიპანას შესახებ. ოცნებამორეული აშერი საათობით ვერ  
სცილდებოდა ამ წიგნს. მაგრამ მეტადრე თავყანს სცემდა და  
გამოწვლილვით კითხულობდა ფურცლის ერთი მეოთხედის  
ზომის იშვიათ და საინტერესო თხზულებას, რომელიდაც მი-

ვიწყებული ეკლესიის გოთურშრიფტიან გარიგებას — *Vigiliae Mortuorum Secundum Chorum Ecclesiae Maguntinae*<sup>1</sup>.

სულ თვალწინ მდგა ამ წიგნში მოთხრობილი ერთი საოცარი რიტუალის სურათი და ვფიქრობდი, რა უცილობელი ზეგავლენა უნდა ჰქონოდა ამას იპოქონდრიკზე-მეთქი. სწორედ ამ ხანებში, ერთ საღამოს აშერმა უთავბოლოდ მიტხრა, აღარ არისო ლედი მედელეინი და ასე გადაეწყვიტა, ორი კვირით შევინახავ ნეშტს (საბოლოო დაკრძალვამდე) იმ მრავალ სარდაფთავან ერთში, შენობის მთავარ ლიბოში რომ დაუტანებიათო. ველარაფერი ვუთხარი, რაკილა თავისი ესოდენ უჩვეულო განზრახვა კარგად დაესაბუთებინა. მართლაც, ასეთი ფიქრის შედეგად გაებდა ასე მოქცევა (როგორც თავად მიტხრა): ჯერ ერთი, უცნაური იყო ქალის ავადმყოფობა; მეორე, ჩაცვებით და გაუთავებლივ ეკითხებოდნენ ქალის მკურნალნი ამ ავადმყოფობის ნიშნებს; და კიდევ, მოშორებით, ღია ცისქვეშ მდებარეობდა აშერების საგვარეულო საძვალე. ცოდვა გამხელილი სჯობს, ჩემი ჩამოსვლის დღესვე კიბეზე შეხვედრილი გველაძუა სახის კაცი რომ წამომამოხდა, წინააღმდეგობა არ გამიწევია მისი სურვილისთვის, რაც, ჩემი აზრით, დროულად მოფიქრებული, ასევე უწყინარი, ყოველ შემთხვევაში, ბუნებრივი წინდახედულება იყო.

აშერის თხოვნით, დროებითი დაკრძალვის უშუალო მონაწილე ვიყავი. ქალი ადრევე მოვრთეთ სასუფევლისთვის და წავიღეთ. სარდაფი, სადაც კუბო დავდგით (დიდხანს რომ არ გაუღიათ, აქაურ სულმემხუთავ ჰაერში ნახევრად დაივსო ჩირაღდნები და თითქმის ველარაფერს ვხედავდით), მცირე, ნესტიანი და სულ უსინათლო იყო, დიდ სიღრმეზე დაეტანებინათ შენობის სწორედ იმ ალაგას, რომლის ზემოთ ოთახში მე ვიძინებდი. ადრეფეოდალურ ხანაში, როგორც ჩანს, იმთავითვე კარგი საქმისთვის არ უნდოდათ ეს სარდაფი, სოლო უფრო გვიან დენთის ან სხვა ამდაგვარი მასალის საცავად გადაუქცევიათ. ამიტომ, იატაკის ნაწილი და მთელი კედელი დერეფნისა, რითიც ჩვენ შემოვედით, ბრინჯაოთი მოეჭედათ

---

<sup>1</sup> ღამისთევა მიცვალებულთა საცხონებლად მაგუნტინეს საეკლესიო ქოროს მიხედვით (ლათ.).

საგულდაგულოდ. სწორედ ასევე დაემუშავებინათ რკინის მძიმე კარი. დიდი წონის მქონე ეს ბჭე გაღება-დახურვისას თავისი ანჯამებით გასაოცარ, მჭახე ხმას გამოსცემდა.

ამ საზარელ სამყოფელში ჩვენი საწყალობელი ტკირთი სადგამზე შემოვდგით, ცოტაზე მოვალეთ ჯერ კიდევ დაუკმაგრებელი სახურავი კუბოსი და მიცვალებულის სახეს დავხედეთ. და-ძმის უებრო მსგავსება ახლალა შევნიშნე და აშერმა, შესაძლოა, ჩემს ფიქრს რომ მიხვდა, ჩაიბურტყუნა რამდენიმე სიტყვა, საიდანაც გავიგე: ესენი ტყუბები ყოფილან თურმე და ნაზად უყვარდათ ერთმანეთი. გულის აუმღვრევლად შეუძლებელი იყო დიდხანს გვეცქირა გვამისთვის. ყოველკვარი კატაღეფსური ბუნების ავადობის დარად, შეღერებული ქალის დამღუბველ დაავადებასაც ოდნავ შეეწითლებინა კანი მკერდსა და სახეზე და მის ბაგეს ის საექვო ღიმი მიხციებოდა, რითაც ასე გვზარავს სიკვდილი. ადგილზევე დავამაგრეთ სახურავი, რკინის კარი გამოვიკეტეთ, ძლივსლა ამოვადწიეთ სახლის ცოტა უფრო მეტად განათებულ ზედა ნაწილში.

გლოვის რამდენიმე დღე რომ გავიდა, შესამჩნევი ცვლილება დაეტყო ჩემი მეგობრის სულიერ აშლილობას. თავისი ჩვეულებრივი მიხრა-მოხრა შეეცვალა, თავისი ჩვეულებრივი საქმენი დავიწყებოდა და მიეტოვებინა. მალი, არეული ნაბიჯებით დაბორიალლობდა პალატიდან პალატიში. თურმე შესაძლებელი ყოფილა კაცის კიდევ უფრო მეტი გაფითრება — მიღლად შემზარავი ფერი დასდებოდა სახეზე, თვალევი სულ უფრო მიბუნდვოდა. ხანდახან თუ გაისმოდა მისი ჩაყრუებული ხმა და თითქოს მეტისმეტი შიშითო, შესაზარელად უკანკალებდა ახლა ყოველი სიტყვის წარმოთქმისას. ზოგჯერ გავიფიქრებდი, ეს მგრძნობიარე კაცი თავის შემჭირვებელ რალაც იღუმალებას ებრძვის და ამ იღუმალების გასაგებად ვაჟკაცობას იკრებს-მეთქი. ზოგჯერაც ასე გავივლებდი გულში, ეს ყველაფერი ხელქმნილის აუხსნელი, უბრალო ახირებაა-მეთქი. მართლაც, აკილა ვხედავდი საათობით სიცარიელეში მაცქერალს, თითქოს დაჟინებით აყურადებდა სიზმარეულ ხმებს. რალა გასაკვირია, მისი ასეთი ყოფა მეც მზარავდა. ნელ-ნელა, მაგრამ ცხადლივ ჩამითრია მისმა მგზნებარე ფანტაზიებმა, შთამაგონებელმა ცრურწმენებმა.



განსაკუთრებით ეს ვიგრძენი ერთ გვიან საღამოს, დასა-  
ძინებლად რომ დავწეკი, მეშვიდე თუ მერვე დღეს მას შემდეგ,  
რაც ლედი მედელეინი სარდაფში დავასვენეთ და რაც ასე  
განვიცადე. ახლოსაც არ გამკარებია ძილი, საათი საათს მის-  
დევდა. გონითი ძალისხმევით ვცდილობდი ჩემი მომცველი  
ნერვული აგზნების მოთოკვას. თავის ჩაგონებას ვლამობდი,  
მეტწილ თუ არა, ძირითადად მაინც ჩემი ასეთი განწყობილე-  
ბა დარბაზის ზარდამცემი, მოშავბნელებული ავეჯით, მრუმე  
და მოძონძილი ფარდაგების ბრალია-მეთქი. შემაძრწუნებელი  
გამსდარიყო ეს ფარდაგები უფრო და უფრო გამძვინვარებული  
ქარიშხლის გამოისობით, მკვეთრად დაქანაობდნენ კედლებ-  
ზე, სარეცლის კიდეების გარშემო დატლაშუნობდნენ მძიმედ.  
მაგრამ ვერაფერს გავხდი. დაუძლეველმა ძრწოლამ თანდათა-  
ნობით დამიარა თავით ფესამდე, დაბოლოს ბოროტმა სულმა  
სუნთქვა შემიკრა უსაგნო შიშით. გულგახეთქილმა დავძლიე  
თავი, წამოვიწიე და თვალი აღარ მომიცილებია დარბაზის  
უკუნეთისთვის. ყური მიუვუგდე, რად — არ ვიცი, რაღაცამ ქვე-  
შეცნეულად თუ მამცნო ბუნდი, გაურკვეველი ხმები, კარგა  
ხანგამოშვებით რომ მოისმოდა ქარიშხლის სულის მოთქმი-  
სას, მაგრამ საიდან, ვეღარ მივხვდი. იმწუთას ჭკუადახშულს,  
დიდად შეძრწუნებულს გული ჩამწყდა და სწრაფად ტანთ ჩა-  
ვიცვი (ამდამ ძილი აღარ მეწერა), თთახში ბოლთის ცემით,  
იქნებ, ჩემს თავს მოწეული ეს სატანჯავი მოვიშორო-მეთქი.

სულ რამდენაერმე გავიარე ამგვარად; უცებ, გვერდით კი-  
ბეზე მცირე ხმაურმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. აშერის ფე-  
ხის ხმა ვიცანი, წამის შემდეგ ფრთხილად დააკაკუნა და შე-  
მოვიდა სანათით ხელში. სახე, ჩვეულებრივ, მომაკვდავივით  
ჰქონდა გადაფითრებული, მაგრამ თვალები ახლა გიჟივით  
უბრწყინავდა, დაუთკებელი ისტერიის ნიშანი ნათლად დას-  
ტყობოდა მთელ მის საქციელს. შემზარა ამ კაცის შესახედა-  
ობამ, მაგრამ ასერიგად დამთრგუნველ ჩემს მარტოობას ახ-  
ლა ყველაფერი მერჩია და შვებით შევხვდი მის შემოსვ-  
ლას.

— ვეღარაფერს ხედავ? — რამდენიმე წამით წინ უხმოდ  
მაცქერალმა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვა ცოტა ხნის შემ-  
დეგ, — ნუთუ ვეღარაფერს ხედავ? მაგრამ, სუი აი ნახავ, —

თქვა ეს და ფრთხილად დაუწია სანათს, ერთ-ერთ სარკმელთან მიიღრბინა და ფართოდ გამოაღო.

კინალამ წაგვაქცია ანაზღად შემოჭრილი ქარის კვეთებამ. მართლაც, ქარიშხლიანი, მკაცრი მშვენიერებით მომაჯადოებელი ღამე დამდგარიყო, განუმეორებელი თავისი ზარითა და სილამაზით. ჩვენს მეზობლად იყო, როგორც ჩანს, გრიგალის სათავე, რაკილა ყოველ წამს იცვლიდა მიმართულებას ქარაშოტი. განუჭკვრეტელი ღრუბლები (სასახლის კოშკურებსაც კი რომ ჩამოსწვდომოდნენ) მოქროდნენ ყოველი მხრიდან და სწორედ ამ არემიდამოში ირეთდნენ ერთმანეთში ცოცხალი სულებივით, აქ დაესრულებინათ თავიანთი გზა.

ღრუბლების მეტისმეტი სიშავე არ გვიშლიდა-მეთქი ამ სურათის ხილვას, თუმცა აღარც მთვარისა და აღარც ვარსკვლავების შუქის ნატამალი, აღარც ელვის გაელვება შეინიშნებოდა. მაგრამ ცარგვალს შერთულ-შენივთებულ, გულისმომწყვლელ ოხშივარქვეშ, ისევე როგორც მიწიერ საგნებზე ჩვენ გარშემო, არაბუნებრივი მქრქალი ნათელი იდგა და კარგად ჩანდა სასახლეს ზემოვლებული და გარშემობურვილი აირი.

— ნუ, ამას ნუ უყურებ, — ძრწოლამორეულმა ვუთხარი აშერს, ნაზად ხელი მოვხვიე, სარკმელს მოვაშორე და სავარძლისკენ წამოვიყვანე, — ასე რად შფოთავ, ჩვეულებრივი ელექტრული მოვლენაა ეს სურათი ან, შესაძლოა, კიდევ რაღაც, შემბალი, მიაზმიანი ტბის მყრალი წიაღიდან წარმომდგარი. მოდი ერთი, სარკმელი დავეკეტოთ, ჰაერი სუსხიანია და შეიძლება გაცივდე. აი, ეს შენი საყვარელი სარაინდო რომანი, მე წაგიკითხავ, შენ კი მომისმინე; და ეს საღამო ასე გავატაროთ, ერთად.

სერ ლანსელოტ კენინგის თხზულება გამოდგა ეს ძველი წიგნი — „შლეგური ზეხვედრა“. მართალი არ ვიყავი, რაღა თქმა უნდა, და აშერის საყვარელ წიგნად უფრო ნაღვლიანი ხუმრობით მოვნათლე. ნამდვილად ვერაფერი საკითხავი იყო ეს ნაწარმოები, ვერაფერს ნახავდა კაცი მოუქნელ, უღონო მრავალსიტყვაობაში ისეთს, რითაც საზრდოობდა ჩემი მეგობრის დიდებული სული. მაგრამ ახლა მხოლოდ ეს ერთი წიგნი მომხვედროდა ხელში და ცოტა იმედილა მქონდა, იქ-

ნებ, მოეშვას სულ უფრო მზარდი მღელვარება-მეთქი (სული-  
ერი აშლილობის ისტორიები ხომ სავსეა საოცარი ანომალი-  
ებით). შეიძლება ეს მოხდინა თუნდაც ისეთ ჭკუამიუტანებ-  
ლად დაწერილ წიგნს, რომლის წაკითხვასაც მე ვაპირებდი,  
მართლაც, ცოცხლად, დიდი გულისყურით რომ მისმენდა,  
თუ არ ვცდები, ასე გავიფიქრე, გადავრჩით-მეთქი.

ცნობილ ამბამდე მოვატანე — „შეხვედრის“ გმირი ეთელ-  
რედი მეუდაბნოვის სამყოფელში ჯერ ამაოდ ცდილობს მშვი-  
დობიანად შესვლას, მერე ასე გადაწყვეტს, ძალით შევალო.  
თუ გახსოვთ, აი, ეს ადგილი:

„და ეთელრედს, უშიშოს, ვითარცა უხორცოს, ახლა მეტ-  
ადრე მომატებოდა ძალი შესმული ღვინით, აღარაფერი უთ-  
ქვამს გაბოროტებული და გაკერპებული მეუდაბნოვისთვის,  
მაგრამ საკუთარ მხრებზე წვიმის თქემის შემგრძნობელმა  
იფიქრა, ვაითუ უფრო იმძლავროსო ქარიშხალმა, აღმართა  
არგანი, დასცხო ძელებს კარისას, შეამტვრია და რკინის-  
თათმანშეჭურვილი ხელი შეჰყო. მერე მიჰყვა და მიჰყვა,  
გლეჯითა და მსხვრევით მიღეწ-მოღეწა აქაურობა, და დადგა  
ხმაური და აღივსო ტყე ზათქითა და გრუხუნით“.

ამ სიტყვებზე შევკრთი, წამით შევჩერდი, რადგან ასე მე-  
გონა (თუმცა მაშინვე გავიფიქრე, იქნებ, ჩემმა წამონთე-  
ბულმა გონებამ თუ შემაცდინა-მეთქი), თითქოს ციხე-დარ-  
ბაზის შორეული კუნჭულიდან ჩემს ყურამდე მოაღწია იმან,  
რაიც თავისი ზუსტი მსგავსების გამო შეიძლებოდა ყოფი-  
ლიყო ექო (მთლად მიყრუებული და ჩუმი, რაღა თქმა უნდა)  
სწორედ იმ მსხვრევისა და მტკრევის ხმისა, სერ ლანსელოტი  
რომ გადმოგვცემდა ასე წვრილად. ეჭვი არ იყო, ამ თანხვ-  
დენილობის გამო შევნიშნე ეს ყველაფერი; სარკმლის ჭრა-  
ჭუნს შერთული მომძლავრებული ქარიშხლის ზუზუნში თა-  
ვისთავად ამ ხმაურს აგრერიგად არ უნდა შევეშფოთებინე.  
კითხვა განვაგრძე:

„მაგრამ რაინდი ქველი, ეთელრედ, მთლად წამოინთო  
რისხვით და კიდევაც გაოცდა, რაკილა იქ შესულს კვალიც  
აღარსად დახვედრია მეუდაბნოვისი, რომლის ნაცვლად  
ვერცხლისფეროვანი ფილებით გაწყობილ იატაკზე ჯერეთ-  
უნახავი ქიცვოვანი გველეშაპი დაყურსული დარაჯობდა ოქ-

როს სასახლეს, და იმის ზემოთ, კედელზე ბრჭყვიალებდა ბრინჯაოს ფარი ასეთი წანაწერით:

ჟინც შემოვა აქ, უშიშოა, ვეფხის დარი;  
ვინც მთაღორებს გველეშაპს, დარჩება ფარი“.

და დაჰკრა ეთელრედმა, დაუგორდა გველეშაპის თავი ფერხით, ამაზრზენი ღმუილით აღმობდა ჟამიანი სული გველეშაპს, ყურებში თითი დაიცო ეთელრედმა, აღარ მომეახლოსო ეს შემადრწუნებელი ხმა; აქამომდე მისი მსგავსი არასოდეს გაუგონია“.

უცებვე შევწყვიტე კითხვა და სიტყვა პირში გამიშრა, აღარ ვეჭვობდი, ახლა ნამდვილად მესამოდა (თუმცა საიდან — არ ვიცი) ჩუმი, მართლაც შორიდან ამომავალი, მკვეთარი, ხანგრძლივი და გასაოცარი ყვირილი თუ ღრგაალი — ჩემს წარმოდგენაში გველეშაპის ღმუილის ზუსტი გამოსახილი, როგორც ამას მოგვითხრობდა „მეხვედრის“ შემთხვეული.

კიდევ ერთი ასეთი უჩვეულ თანხვდომილები გამოაუარება ურთიერთსაპირისპირო გრძნობა რომ მომეძალა და ამ გრძნობებში უფრო ერთიმეორის მონაცვლე ვაოცება და შემზარაობა გამოიკვეთა, გული საგულეს აღარ მქონდა, მაგრამ მხნეობა მოვიკრიბე და არაფერი დავიტყვე, ვაიოუ ჩემს ნერვულ ამხანაგს რამე მოუვიდეს-მეაჟი. ჯერ კიდევ აზრზე არ ვიყავი, არ ვიცოდი, ნამდვილად გაიგონა თუ არა ეს ხმები; რამდენიმე წუთში უცნაურად კი გამოიცვალა. იმსავითვე ხომ ჩემ პირდაპირ იჯდა, ახლა თანდათან აბრუნებდა სავარძელს, ასე რომ, ბოლოს პალატის კარს დააცქერდა; და ამგვარად, ნაწილობრივ ვხედავდი მის სახეს, თუმცა ეს შევნიშნე — ტუჩები უთრთოდა და თითქოს ჩურჩულებდა ხმაგაულებლივ, თავი მკერდზე ჩამოვარდნოდა, ძილით კი არ ეძინა, ეს ვიცოდი — ფართოდ გახელოდა და გაშეშებოდა თვალები, როგორც ეს გვერდიდან დავინახე. მის ღვიძილს ესეც მოწმობდა, ძლივს შესამჩნევად და თანაზომიერად ქანაობდა შეუჩერებლივ. ყველაფერ ამას რომ შევასწარი თვალი, სერლანსელოტის თხზულების კითხვა განვაგრძე:

„და ახლა ჩვენს რაინდს, ცეცხლისმფრქვეველ გველეშაპს რომ გაუსწორდა, მოაგონდა აწ ჯადოაზსნილი ბრინჯაოს ფა-

ტი, ლეში გვერდზე მიაგდო ფეხისკვრით და იატაკზე დაგებულ ვერცხლოვანი ფილებით მსნედ მიაშურა ფარს. ჯერ კიდევ არ მიახლოვებოდა და ფარმა ვერცხლოვან იატაკზე, მის ფერხთით მოიღო უდიდესი და შემზარავი ჟღრიალი“.

სიტყვა არ გამესრულებინა, ამ წამს თითქოს მიძიმედ დავარდნილიყოს ვერცხლით მოკეთებულ იატაკზე ბრინჯაოს ფარი, მართლაც შევიცანი შორეული, მიბუნდვილი ექო ლითონის ჟღრიალისა, თავზარდაცემული ფეხზე წამოვდექი, მაგრამ შეუშფოთებლივ, გამოზომილად ირწეოდა აშერი. მის სავარძელთან მივიჭერი, რალაცას მისციებოდა, სახე გაქვავებოდა, მაგრამ მსარზე ხელი მოვკიდე თუ არა, თავით ფეხამდე ძრწოლამ დაუარა, უღონო, მთრთოლარე ღიმი მოუვიდა ბაგეზე, აჩურჩულდა მალიად, ძლივს გასაგონად, თითქოს აღარც ახსოვდა ჩემი აქ ყოფნა. დავაყურადე, დაბოლოს ჩავწვდი მისი სიტყვების შემადრწუნებელ მნიშვნელობას:

— ველარაფერს ვგებულობდი? არა, მესმის და აღრეც მესმოდა. დიდი, დიდი ხანია — მრავალი წუთი, მრავალი საათი, მრავალი დღე მესმცს, და მაინც ვერ ვბედავდი — ჰოი, მაპატიე მე უბედურს! — ვერ ვბედავდი, სიტყვის თქმასაც ვერ ვბედავდი სამარეში ცოცხალი ჩაგვიდვია! მეტად მგრძნობიარე სულისა და გულის კაცი რომ ვარ, არ მითქვამს შენთვის? ახლა გეტყვი, კუბოდანვე ამომესმა მისი პირველი შეტოკება. მრავალი, მრავალი დღის წინაც მესმოდა, მაგრამ ვერ ვბედავდი, ვერაფრის თქმას ვერ ვბედავდი! და ახლა, ამ ღამით, ეთელრედ... ჰა! ჰა! მეუდაბნოვის კარის მმტვრეველი, ღრიალი სასიკვდილოდ დაჭრილი გველესაპისა და ფარის ჟღარუნის — უნდა მიმხვდარიყავი, მისი კუბოს მტვრევა და მისი საპყრობილის რკინის კარის ჭრიალი ბრძოლა იყო თურმე ბრინჯაოთი მოჭედილი გვირაბის თაღებქვეშ. ჰოი, სადლა წავიდე? მალე აქ ამოვაი განა მისი გამალებული ფეხისხმა არ მესმის? განა კიბეზე არ მოიჩქარის ჩემი სულსწრაფობის დასაყვედრებლად? ხომ მესმის, რა მიძიმედ, რა შემზარავად უცემს გული — აქ ზეზე წამოიჭრა და თითქოს სული ამოაყოლაო, მთელი ხმით დაიყვირა, — უგუსურო! გეუბსები, ის აქ, კარს უკანაა!

თითქოს ამ სიტყვების ზეკაცურ ძალას რალაც ჯადოც გა-

მოაჩნდაო და იქ, სადაც ხელი გაიშვირა, ნელა იხსნებოდა ვეებერთელა ძველებური დარაბები, მეყსეულად მძიმედ დაილო შავი ხახა. ქარიშხლის კვეთებას მოეხდინა ეს თურმე, ხოლო კარს უკან იდგა მაღალ-მაღალი, სუდარაში გასვეული ლედი მედელეინ აშერი. სისხლის შხეფებით მოსვროდა ქათქათა სამოსელი და აშკარად ეტყობოდა, ნაბრძოლი იყო მისი ქანცმისდილი სხეული. რამდენსამე წამს ზღურბლზე მდგარი თრთოდა და ირწეოდა, შემდეგ კენესით ხელებში ჩაუვარდა ძმას, ახლა კი სასიკვდილო ვაებით კრუნჩხვამოვლილმა ძირს დაიყოლია მისი აწ უკვე გვამი, მსხვერპლი აღრევე განჭვრეტილი შემზარაობისა.

გულგახეთქილმა სირბილით დავტოვე ეს პალატი და ეს სასახლე. ძლივსლა გამოვიკვლიე გზა ქარაშოტში. გონს რომ მოვეგე, თურმე ერთ ძველ ხეივანში გავრბოდი. რაღაც შემადრწუნებელმა ნათელმა სავალი უცებ გადამინათა, იქით გავიხედე, საიდანაც მოდიოდა ეს უჩვეულო ბრკიალი; რაკი ვეებერთელა, ჩრდილოვანი სახლიდა მეგულებოდა უკან. სისხლისფრად შეფერილი სავსე და დამავალი მთვარე ბდღვრიანლებდა იმ ძლივს შესამჩნევ ბზარში, შენობის სახურავიდან საძირკვლამდე რომ ეშვებოდა კლაკნილად. მალიად ფართოვდებოდა. ეს ბზარი; მძვინვარედ დაუბერა ქარმა, მოულოდნელად ჩემ თვალწინ გაიპო მნათობი; ცადაღმართული კედლები რომ გადმოიმზღვრა, სულის წიაღ მომეახლა მოელვარე წრეები, თითქოს ათასმა ჩანჩქერმა იხუვლაო, რაღაცამ ხანგრძლივ გაიღო ზრიალი და ჩემ ფერხთით მოშავბნელებულმა, უძირო ტბის წყალმა ავად და უხმაუროდ ჩანთქა ნამუსრევი აშერების სახლისა.

## მისრებლი და ქანქარა

Impia tortorum longos hic turba furores  
Sanguinis innocui, non satiata, aluit.  
Sospite nunc patria, fracto nunc funeris antro,  
Mors ubi dira fuit vita salusque patent!

(პარიზში, იაკობინელთა კლუბის ადგილას გასამართავი ბაზრის კა-  
რიბჭებზე წასაწერად შეუთხზავთ ეს ოთხსტრიქონიანი ლექსი.).

სულთმობრძავივით სულ, სულ დამაოსა ამ გაუთავებელ-  
მა წამებამ. ბოლოს, როცა ხელ-ფეხი გამიხსნეს და დამრთეს  
წამოჯდომის ნება, ვიგრძენი — გული მელეოდა. განაჩენი,  
სასიკვდილო განაჩენი იყო უკანასკნელი სიტყვა, ჩემს ყუ-  
რამდე რომ მოაღწია. ამის შემდეგ შორითლა მოისმოდა ერთ  
ყრუ გუგუნად შერთული ინკვიზიტორთა ხმები, რამაც ბრუნ-  
ვის ხატებად გამიელვა, შესაძლოა, საწისქვილე ბორბლის  
ხმთან-ბზრიალის ასოციაციისდა კვალად. მეტი აღარაფერი  
გამიგონია. ამ დროს — რა შემზარავად ცხადლივ! — დავინახე  
შავოსანი მოსამართლეების საოცრად გაწვრილებული, ამ  
სიტყვების წარმომჩენ ქაღალდზე უფრო თეთრი ტუჩები.  
გულქვაობა, დაუნდობლობა, კაცის ტანჯვა-წამებისადმი უსაზ-  
მო ზიზღი გამოესახათ ამ გალეულ ტუჩებს. ვხედავდი, თუ  
როგორ გადმოსდიოდათ მათ ჩემი საბედო განჩინება. ვხე-  
დავდი, ატუჩვით გამოთქვამდნენ, დაისაჯოსო სიკვდილით.  
ჩემს სახელს იძახდნენ, ვხედავდი, და რაკილა ამაოდ ვცდი-  
ლობდი მის გაგონებას, ტანზე ეკალი ამესხა. თავზარდაცე-  
მულმა ახლდა შევნიშნე მდოვრე, ძლივს დასანახი ძვრა  
კედლებზე გაკრული შავი ფარდაგებისა; მერე კი მაგიდაზე  
შვიდ მაღალ სანთელს მოვკარი თვალი, მოწყალების ფეროვ-  
ნება მოიღეს ჯერ ამ სანთლებმა, ვითომც ჩემს გადასარჩე-  
ნად მოვლენილი საროტანი ანგელოსები იყვნენ; მაგრამ  
საშინლად ამერია გული. გალვანური ბატარეის მავთულს

<sup>1</sup> დიდხანს მივინვარებდა ბრბო უღვთო მაწამებლის,  
დაუსჯელად, უენებლად დაძრწოდა სისხლით მოთხვრილი.  
სამშობლო გადარჩა, დაიქცა მკვლელობის ბუდე,  
სიკვდილის სამფლობელოში მოვიდა სიცოცხლე (ლათ.).

ხელმოკიდებული კაცის მსგავსად, თავით ფენამდე ყოველი ნერვის შეტოკება ვიგრძენი. აღმოვზნებულ უსასურ ჩრდილებად გადაიქცნენ ეს ანგელოსები, მივხვდი: აღარც მათ შეეძლოთ ჩემი გამოხსნა. სულის სიღრმეში მუსიკის ხმასავსე ჰანგებად მომეასლა ფიქრი, რა კარგი იქნებოდა-მეთქი ასლა ცივ სამარეში — ნელინელ და უნუმრად მომივიდა ეს აზრად, თითქოს დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე სრულიად ჩავსვდებოდი მის მნიშვნელობას. მაგრამ საბოლოოდ ეს ფიქრი მკაფიოდ რომ გავისაკუთრე, მოჯადოებულებით გამოუფერულდნენ თვალში მოსამართლეთა ლანდები; განუჭვრეტელ წყვილიადში დაიძრნენ მაღალი შანდლები, ციცქლი გაქრობოდათ სანთლებს; ბნელ-უკუნეთი ჩამოწვა; თითქოს ჩემი ყოველი საგრძნობელი ჰადესში გადასული სულისამებრ გადაჰყოლოდა გაშმაგებულ მორევს. დაისადგურა მარადიულმა მდუმარებამ, მყუდროებამ და ლუსკუმმა ლამემ.

გული შემღონებოდა; მაგრამ მაინც ვერ ვიტყვი, სულ მთლად დავკარგე-მეთქი გრძნობა. მისი ნარჩენის განსაზღვრას ან აღწერას არ შევეცდები, ერთი რამ ცხადია — ყველაფერი არ ქრება; ძილქუშში — არა ბოდვაში — არა გულის შეღონებაში — არა! მიცვალებაში — არა! სამარეშიც არ დაინთქმება ყოველივე უკვალოდ — ადამიანიშვილის უკვდავებას მაშინ ვინღა იტყოდა. ძილნასვამი კაცი ხომ გაგლეჯს ხოლმე სიზმარეთის სვანჯებს და იმავე წამს (იმდენად უღონო შეიძლება იყოს ძაფი სვანჯისა) ამ ნაბურანევის აღარაფერი გვასსოვს. გონს რომ მოდის გულშეღონებული, თრ საფეხურს გამოივლის: ჯერ სულისეულ, ანუ გონით შეგრძნებას, ფიზიკური არსებობისას კი მერე, და თუ ამ არსებობას მოვალწევთ, შეიძლება მივაკვლიოთ იმ პირველშობილის შთაბეჭდილებას. ამ შთაბეჭდილებამ კი, თავის მხრივ, იქნებ, იმქვეყნიური უფსკრული წამოგვაგონოს. ეს უფსკრული კი რაღაა? დაბოლოს, შევძლებთ კი მისი ფერი სამარის ფერს გამოვარჩიოთ? მაგრამ შეუძლებელი თუა ძალისხმევით იმ პირველშობილ შთაბეჭდილებათა გასხენება, დიდი დროის გასვლის შემდგომ ეგებ მოუპატიჟებლად მოგვეახლონ ისინი, და საიდან? არ გვეცოდინება ჩვენდა გასაოცრად, ვისაც თავის დღეში არ შეღონებია გული, ის არ იქნება ის კაცი,



ვინც მღვივარე ნაკვერჩხლებში იხილავს უცხო სასახლეებსა და მეტად ნაცნობ სახეებს, ვინც მრავლისთვის შეუმჩნეველ ჰაერში მოლივლივე გულის ამღვრევე ხილვებს თვალს მოკრავს, ვინც გაყუჩდება უცხო ყვავილის სურნელებით ფიქრებაშლილი, ვინც შეჩქვიფდება უცნობი მუსიკის ჰანგების მოსმენისას.

ფიქრში წასული მრავალგზის ვძალობდი ჩემი სულ-გულის მომცველი, მოჩვენებითი არყოფნის ნიშნების მოგონებას და ზოგჯერ ასე მეგონა — აჰა, წადილი ავისრულე-მეთქი; ცოტა ხნით, სულ ცოტა ხნით ნათელს მოიღებდნენ ეს მოგონებები და შემდეგ უკვე გონს მოსული ვსვდებოდი: ცნობამიხდილი კაცის ამბავს ვიხსენებდი, თურმე. ჩრდილები ამ მეხსიერებისა ბუნდად მამცნობენ აყალყებულ ლანდებზე, რომლებმაც სრულ სიჩუმეში ამიტაცეს და წამიღეს ქვევით, ქვევით, სულ ქვევით, ვიდრე არ დამარეტიანა ამის გაფიქრებამ, აღარ გათავდა-მეთქი ეს წიაღსვლა. გულის გაუსაძლის ჩალამებასაც მამცნობდნენ ისინი — ისეთ არაბუნებრივ სიმშვიდეს მოეცვა გული. მერე უეცრად ჩემი ყოველი ასოს შემბოჭველი უძრაობა შევიგრძენი. თითქოს იმათ, ვისაც მივყავდი (პოი, ეს შემზარავი სავალი) რაღაც უსასრულობის საზღვარი გადაელახათ და გზად ამ ერთფეროვანი ჯაფით გამოლლილებს წამითლა შეესვენათ. კაეშანმა და აპათიამ შემიპყრო ჯერ, მერე კი მთლად ჩამითრია სიგიჟემ — იმ სიგიჟემ, რაღაც აკრძალული ამბის მოგონებისას რომ მოიცავს გონს.

მეყსეულად კვლავ აღვიქვი მოძრაობა და ხმაურობა — გულისბაგაბუგი ჩამესმა ყურში. შემდეგ გამოცარიელდა ყველაფერი. მერე ისევ რაღაც ხმაური, მოძრაობა; შეხებასაც ვგრძნობ, კანკალი მომეკიდა თავით ფეხამდე, მერე არსებობის უაზრო შეგრძნებადა დამრჩა და ასე კარგა ხანს გასტანა. მერე უეცრად ფიქრმა ამიტანა, სული კოჭებში გამეპარა და გააფთრებით ვცდილობდი ჩემი მაშინდელი ყოფის გარკვევას. მერე დიდი სურვილი დამებადა, ნეტავ ისევ უგრძნობელი ვეგდო-მეთქი, მერე უცებ გონს მოვედი და შევძელი ხელფეხის განძრევა. ნათლად წარმომიდგა პროცესი — მოსამართლეები, შავი ფარდები, განაჩენი, მოუძღურება, გულის შეღონება... მერმინდელი ამბისა აღარაფერი მახსოვს. ყვე-

ლაფერი ეს მოგვიანებით და ისიც ბუნდად, დიდი გაჭირვებით, ძლივსლა გავიხსენე.

დიდხანს ვიყავი ასე თვალდახუჭული. მერე ვიგრძენი, ზურგზე ვეგდე ხელ-ფეხ შეხსნილი მკლავი გავშალე, მძიმედ დაეცა მაჯა რალაც სველსა და მკვიდრს. კარგა ხანია ვერ ვწევ ხელს, ვფიქრობ, სად ვარ და რა მჭირს-მეთქი. დრო გადის და ვერ ვბედავ თვალის გახელას. გარშემო საგნების ჰირველი დანახვისა მეშინია. ის კი არ მაწუხებს, რალაც შემზარავს რომ ვიხილავ; ამ ფიქრმა გამაწვალა — ვაითუ აღარაფერი გამოჩნდეს ირგვლივ. დაბოლოს, უზომოდ სასოწარკვეთილმა დავაჭყიტე თვალი. ცუდს რომ მეუბნებოდა გული, არ მოვტყუებულვარ მარადიულ ღამეს დაესადგურებინა, სუნთქვა შემკვროდა და სული ვერ მომებრუნებინა ამ უკუნეთში. გაუსაძლისად ჩახუთულიყო ჰაერი. კვლავ გაუნძრევლად ვწევარ და ვცდილობ გონის მოკრებას. ინკვიზიტორთა ჩვეულებებს ვიგონებ, ამისდა კვალად ვლამობ ჩემი აპბის გაგებას. განაჩენი უკვე გამოეტანათ და დიდი დრო უნდა ყოფილიყო გასული მას შემდეგ. გულშიაც არ გამივლია, ნამდვილად მკვდარი ვარ-მეთქი. წიგნები კი გვამცნობენ ამდაგვარ შემთხვევებს, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ასეთი ამბავი შეუძლებელია; და მაინც სად ვიყავი და რა ყოფაში? სიკვდილმისჯილებს, ჩვეულებრივ, აუტოდაფეზე სოცავენ, და სწორედ ჩემი გასამართლების დღის საღამოს აღესრულებინათ განაჩენი. ნუთუ ისევ დილეგში იმიტომ ჩამომავდეს, რამდენიმე დღე რომ დავლოდებოდი მორიგ მსხვერპლშეწირვას? მაგრამ — არა. დაუყოვნებლივ უნდა მოიკლას მსხვერპლი! ასე იყო თუ ისე, ტოლედოს ციხეების სიკვდილმისჯილთა საკნების დარად, ამასაც ჰქონდა ქვის იატაკი და სინათლის ნატამალი მაინც აღწევდა აქ.

შემზარავმა ფიქრმა გული გადამიქანა, ცუდად გავხდი და კვლავ დავკარგე გრძნობა მცირე ხნით. გონს რომ მოვედი, ზეზე წამოვხტი, ხელები გავიწვდინე, ვერაფერს მივწვდი, ფეხის გადადგმისა კი მაინც მეშინოდა, ვაითუ სამარის კედლებს გადავაწყდე-მეთქი, ხვითქი გადამასკდა და ასე ვიდექი ოფლის მსხვილი წვეთებით შუბლდაცვარული. დაბოლოს, ანწუხსზე რომ ამაგო შეუცნობლობამ, ხელებგაშვერილმა

ფრთხილად წავიწიე წინ. თვალები კინალამ საბუდედან გად-  
მომცვივდა, რაკილა ვძალობდი იმ უღოსო ნათლის დანახ-  
ვას. კარგა ძალი გავიარე, მაგრამ ყველგან სუფევდა მდუ-  
მარება და მოზიმზიმე სიცარიელე. ცოტა გულს მომეშვა,  
აღარც ისეთი შემზარავი ჩანდა ჩემი ბედი.

ფრთხილად წინმავალს ახლა ცხადლივ და ცოცხლად გა-  
მასხენდა, ხალხი რას არ იძახდა ტოლედოს ცისეთა გულშემ-  
ზარავ ამბებზე. ამ დილეგთა გამო რა არ უთქვამთ და სულ  
ასე ვფიქრობდი, ზღაპრებია-მეთქი. მაგრამ ჩურჩულითღა  
ჰყვებოდნენ, იმდენად გულს უხეთქავდათ ამ ხმების გამეო-  
რება. ამ განუჭვრეტელ მიწისქვეშეთში შიმშილი მოპილებს  
ბოლოს თუ სხვა, უფრო საშინელი ტანჯვა-წაპება გამათა-  
ვებს? ერთი კი იყო ცხადი; უნდა მოვმკვდარიყავი და ჩემი  
მოსამართლეების კვალობაზე გამორჩეული, შემზარავი სიკ-  
ვდილით უნდა აღვსრულებულიყავი; დიახ, ამაში ეჭვი არ შემ-  
პარვია. რა ჟამს და როგორ — აი, რა მაფიქრებდა და მაშ-  
ფოთებდა.

დაბოლოს, გაწვდილმა ხელმა რაღაც მკვრივი შეიგრ-  
ძნო — კედელი, როგორც ჩანს, ქვით ნაგები, მეტად გლუვი,  
სლიპინა და ცივი. გავუყევი მიუნდობლად, რაკილა გაგონი-  
ლი მქონდა ის ძველი ამბები. მაგრამ აგრე ვერ მივსვდე-  
ბოდი ჩემი დილეგის მოცულობას; შეიძლება წრიულად მევ-  
ლო და ისევ იქ მივსულიყავი, საიდანაც წამოვედი, ასე რომ,  
კედლის ერთფეროვნების კვალობაზე ველარაფერს შევიტყ-  
ყობდი. დანაც ამიტომ მოვიჩხრიკე, ვიდრე საინკვიზაციო  
დარბაზში მიმიყვანდნენ, მახსოვს, თან მქონდა, ახლა კი  
გამქრალიყო; სამოსელიც ჩემთვის სულ სხვა ჩაეცვათ — უხე-  
ში ჯვალო, ტომარასებრ შეკერილი. დანის პირს დილეგის  
კედლის ქვებს შორის ჩავასობ და თავდაპირველ წერტილს  
ასე მოვინიშნავ-მეთქი. გონება ისე მქონდა ამღვრეული, რომ  
ეს პატარა დაბრკოლება პირველად დაუძლეველი მომეჩვენა.  
შესამოსლის კალთის ნაწილი მოვიგლიჯე მერე და კედელ-  
თან რომ მივიტანე, მისი ერთი ბოლო სწორი კუთხით სიგ-  
რძეზე დავაფინე. თუ დილეგს ხელის ფათურით შემოვუვლი,  
ამ ნაჭერს უთუოდ გადავაწყდები-მეთქი. ასე კი ვფიქრობდი,  
მაგრამ აღარც დილეგის მოცულობა გამითვალისწინებია,

აღარც ჩემი უილაჯობა. იატაკი სველი იყო და მოლიპული, ბორძიკ-ბორძიკით გავიარე ცოტა, მერე ფეხი რაღაცას წამოვკარი და გავიშლართე. ამდენმა უბედურებამ ახლა მიწია — დაცემისთანავე ჩამეძინა.

გამოვიღვიძე. მკლავი რომ გავშალე, პურის ნაჭერი და წყლიანი ღოჭი ვნახე ახლოს. ქანცი გამომლეოდა და იმისი ფიქრის თავი არ მქონდა, ესენი აქ საიდან გაჩნდა-მეთქი. ჩქარა შევჭამე პური და წყალიც ხარბად დავაყოლე. ცოტა ხნის შემდეგ განვაგრძე ჩემი საპყრობილის მოკვლევა. დაბოლოს, როგორც იქნა, მოვალწიე ჯვალოს ნაჭერს. ვიდრე დავეცემოდი, ორმოცდათორმეტი ნაბიჯი გადავითვალე, შემდეგ, ნაჭერს რომ მოვატანე — ორმოცდარვა. ამგვარად, სულ ასი; თუ იარდად ჩავთვლით ორ ნაბიჯს, მაშინ ჩემი დილეგის სიმრგვლე ორმოცდაათ იარდს უდრიდა. მაგრამ გზად რომ შევეჩხებე კედლის მრავალ კუთხეს, შეუძლებელი იყო დილეგის ნამდვილი წყობის დადგენა; და მაინც ვფიქრობდი, ეს ოთახი დილეგი იყო და სხვა არაფერი.

აზრი აღარ ჰქონდა, აღარც იმედი ესაძირკვლებოდა ჩემს ძიებას. კვლევას ვაგრძელებდი რაღაც შეუცნობელი ცნობისწადილით. კედელს მოვცილდი, ბნელეთის პირდაპირ გადაჭრა გადავწყვიტე. დიდი სიფრთხილით მივაბიჯებდი პირველად. თუმცა იატაკი მკვიდრი მასალისა დაეგოთ, ვერაგულად კი მოლიპულიყო. დაბოლოს, ვაჟაკობა მოვიკრიბე, მტკიცედ გადავდგი ფეხი; ვცდილობდი, რაც შეიძლება სწორეზე მევლო. ათი თუ ოცი ნაბიჯი გავიარე, ამგვარად, მერე სამოსლის ნამუსრევში გავიბლანდე და წინ მოწყვეტით, თავქვე გადავვარდი.

შეცბუნებულს არ შემიმჩნევია ერთი შემამოფოთებელი გარემოება, რამაც მერე, სულ მცირე ხნის შემდეგ მიიპყრო ჩემი ყურადღება, როცა ჯერ კიდევ წაქცეული ვიყავი. აი რა: ნიკაპი დილეგის იატაკისათვის დამებჯინა, ხოლო ტუჩებითა და სახის ზედა ნაწილით ვედარაფერს ვგრძნობდი, ერთი სიტყვით, ნიკაპზე უფრო დაბლა დაშვებულიყო შუბლი, თითქოს რაღაც წებოვანი ბურით დამცვაროდა იგი. ხოლო ცხვირში გამომპალი ხავსის მძაფრი სუნი მცემდა. მკლავი გავმართე და მივხვდი, მრგვალი მთხრებლის ზედ კიდებზე დავ-

ცემულვარ-მეთქი, თავზარი დამეცა. იმწუთას, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო მთხრებლის სიღრმის განსაზღვრა, ხელით მოვსინჯე აგურით გაწყობილი კიდე და აგურისავე პატარა ნატეხი უფსკრულში ჩავუშვი. მრავალი წამი მესმოდა ღრმულის გვერდებს ჩასსლექტილის ხმაურობა. დაბოლოს გავიგონე წყლის ბოღმიანი ჩქაფუნი და მისი ხმამაღალი ექო. მაშინვე ჯახუნის ხმა ჩამომესმა, მაღიად გაღებული და დაკეტილი კარი რომ გამოსცემს, ისეთი; სუსტმა ნათელმა გაიციალა ამ წყვდიადში და კვლავ ჩამობნელდა.

ახლა კი კარგად მივხვდი, თუ რა მომელოდა, და მადლი შევწირე ამ ანაზღაურულ შემთხვევას. კიდეც ერთი ნაბიჯი და გამოვესალმებოდი წუთისოფელს, და ეს იქნებოდა სწორედ ის სიკვდილი, რასაც, ასე მეგონა, მხოლოდ ინკვიზიციის გამო შეთხზულ ზღაპრებში მოგვეთხრობდნენ. ტირანისის მსხვერპლს განა ჰქონდა რამე სხვა არჩევანი, გარდა ორისა: საშინელი ფიზიკური გვემით სულის ამოხდომა ან უმძიმესი ზნეობრივი წვალებით მოკვდინება? სწორედ ამისთვის მე ვიყავი შემონახული. ამდენი ვაების შემდეგ ნერვები მქონდა დაწყვეტილი, საკუთარი ხმისაც კი მეშინოდა. ჩემზე უფრო შესაფერისს ვისღა ნახავდნენ საწამებლად.

თავით ფეხამდე აკანკალებული, ხელის ცეცებით მივიკვლევდი კედლისკენ უკანდასახვე გზას — იქ დაღუპვა სჯობს-მეთქი, ვიდრე დარჩენა ამ შემზარავ ორმოებთან, რომლებიც, ახლა ასე წარმომედგინა, აუარება იყო და დილეგის ყოველ მხარეს დაეტანებინათ. სხვაგვარი სულიერი განწყობის ჟამს მეყოფოდა ვაჟკაცობა და უცებვე მოვუღებდი ბოლოს ჩემს ტანჯვა-წამებას — უფსკრულთაგან ერთ-ერთში გადავიჭრებოდი. მაგრამ ახლა ჩემნაირ მხდალს ძნელად თუ ნახავდა კაცი. კიდეც ისიც მახსოვდა, რაც ამ ჭებზე წამეკითხა და იქ მესესული სიკვდილის იმედი არ მქონდა.

მღელვარებამ თვალები ამომიღამა. მერე, როგორც იქნა, კვლავ ჩავთვლიმე, გამოღვიძებულმა ისევ ვნახე პური და წყლიანი დოქი. მწყუროდა და ხახა გამშრობოდა, ჭურჭელი ერთი ყლუბით გამოვცალე, წყალი რაღაც წამალშერეული იყო, რადგან დავლიე თუ არა, ძილად მიმაგდო. მკვდარვით

დამძინებოდა თურმე. რამდენ ხანს ვიყავი ასე, რაღა თქმა უნდა, არ ვიცი. მაგრამ თვალი რომ გავახილე, ბრჭყვიალა ნათელი მოიღვრებოდა, საიდან — ჯერ ვერ გავარჩიე, და გამომზეურდა დილეგის ზომა და წყობა.

თურმე სულ მცდარად წარმომიდგენია მისი მოცულობა. ოცდახუთ იარღსაც არ აღემატებოდა მთელი კედლის სიმრგვალე. რამდენსამე წუთს ამის გამო სულ ამაოდ ვშფოთავდი; მართლაც, ამ შემზარავ ადგილს ჩაგდებული კაცი ხომ ყველაზე ნაკლებ უნდა აველეღვებინე დილეგის ზომას? მაგრამ ძალიან მინდოდა გამეგო, გამოთვლებში რა შეცდომა მომივიდა. დაბოლოს მივხვდი სინამდვილეს. პირველი ცდილას, ვიდრე დავეცემოდი, ორმოცდათორმეტი ნაბიჯი დაგითვალე და თითქმის დამიმთავრებია დილეგის წრიულად შემოვლა, ასე რომ, ჯვალს ნაჭერს ერთი თუ ორი ნაბიჯით უნდა ვყოფილიყავი დაცილებული, მერე კი დამძინებია და რომ გამოვიღვიძე, თურმე უკანვე გამოვბრუნებულვარ. ამგვარად, ორჯერ უფრო მეტი მეგონა დილეგის ზომა. გონდაბნეულს ვერ შემიმჩნევია: პირველი ნაბიჯები რომ გადავდგი, კედელი ხელმარცხნივ იყო, ხოლო შემდეგ — მარჯვნივ.

საპყრობილის წყობაშიც მოვტყუებულვარ ასევე. გზად მრავალ კუთხეს გადავაწყდი და დილეგის უდიდესი უსწორობა ამიტომ დავასკენი. ასე მოქმედებს თურმე ძალისა და ლეთარგიისაგან გამორკვეულ კაცზე ღამეული წკვარამი კუთხეები იყო ერთმანეთთან სხვადასხვა მანძილით დაცილებული, მცირეოდნავ შეწეული ალაგები. ციხის საერთო წყობა ოთხკუთხა აღმოჩნდა. ადრე რომ ქვის კედლად მივიჩინე, სინამდვილეში იყო რკინის თუ რაღაც სხვა ლითონის დიდრონფილოვანი ზღუდე და ის შეწეული ალაგებიც ამათ ნაკერს თუ ნაჭედს წარმოადგენდა. ცრურწმენებით გათანგულ ბერებს სანამდე ფანტაზია ეყოთ, მთელი დილეგის ლითონის პირი უხეშად მოეთხიპნათ უსაზარლესი და შემპირწუნებელი ნახატებით. ჩონჩხისტანა თუ უფრო რეალური სხვა სახის ვშმაკეულთა გამოსახულებანი გადაფენილიყო და დაემახინჯებინათ კედელი. საკმაოდ მკვეთრად აჩნდა ამ ურჩხულთა გარეხაზები, ოღონდაც საღებავი, აღ-

ბათ, დილეგის ჰაერის გამოისობით, გაუფერულებული და გადღაბნილი ჩანდა. ახლალა შევნიშნე — ქვით მოკირწყლული დილეგის შუაში ხახა დაელო მრგვალიკიდიან მთხრებლს, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინ გადავურჩი, მაგრამ ის იყო აქ ერთადერთი.

ყველაფერ ამას ვხედავდი ბუნდად და ძლივს, რაკილა ახლა, გამოღვიძების შემდეგ სხვანაირ ყოფაში ვიყავი. მთელი სიგრძით გაჭიმული, ზურგზე ვიწექი სის დაბალ, ჩარჩოსმაგვარ რალაც სადგამს მაგრად დაკრული, სხეულსა და ხელფეხზე მრავალგზის შემოეხვიათ მოსართავის მსგავსი გრძელი ღვედი და თავისა და მარცხენა მკლავის შეტოკებალა შემეძლო, ასე რომ, წვალებით თუ მოვასერხებდი ჩემ ახლოს იატაკზე დადგმული თიხის ჯამის მიწვდენას; დოქი კი წაეღოთ ჩემდა საზაროდ. ჩემდა საზაროდ-მეთქი; როგორც ჩანს, ჩემს მაწვალებლებს სურდათ წყურვილით დავმსვრჩვალისყავი — ჯამზე დაეწყოთ წიწაკეულობით შეკმაზული ხორცი.

ზემთ ავიხედე; ოცდაათი თუ ორმოცი ფუტის სიმაღლეზე საპყრობილის ჭერს მივაპყარი მზერა. კედლების მსგავსი გაეკეთებინათ. ისიც. მთელი ჩემი გულისყური მიიპყრო ერთ ფილაზე მიქელ-გაბრიელის უჩვეულო გამოსახულებამ. ისე კი დაეხატათ, როგორც საერთოდ ხატავენ ხოლმე, ოღონდაც ცელის მაგივრად — ერთი შეხედვით ასე მივამსგავსე — ხელთ ეპყრა დიდი ქანქარა, ისეთი, ძველებურ საათებში რომ გვინახავს. მაგრამ რალაცამ მაიძულა უფრო გამოწვლილვით დამეთვალეიერებინა ეს მანქანა. ზემთ რომ ავიხედე (სწორედ მე მისწორდებოდა), ასე დავლანდე, თითქოს ნელიად ამოძრავდა ქანქარა. სულ ცოტა ხნის მერე ცხადი შეიქნა — მოკლე-მოკლედ იძროდა და, რალა თქმა უნდა, დუნედ. რამდენსამე წუთს ძრწოლამორეული, უფრორე გაოცებული ვაკვირდებოდი. დაბოლოს, ამ უღონო მოძრაობის ცქერით მოღლილმა ჭერის სხვა ადგილებიც მოვათვალეირე.

იატაკზე გაიხმაურა რალაცამ. თურმე რამდენიმე ვეება ვირთხა დაწრიალებდა. ჩემგან ახლა ხელმარცხნივ მოქცეული სწორედ იმ მთხრებლიდან ამომძვრალიყვენენ. ჩემ თკალწინ გროვა-გროვად, მალ-მალე ამოდრიოდნენ, მსუნაგად წამოგ-

ზნებოდან თვალები, ხორცის სუნზე მოიჩქაროდნენ. ძლივს-  
ლა შევძელი მათი მოგერიება.

ნახევარი, შეიძლება ერთი საათიც იყო გასული (დაახ-  
ლოებითდა ვახერხებდი დროის აღქმას), როცა კვლავ ავიხე-  
დე მალა. ჩამაფიქრა და გამაოცა ერთმა გარემოებამ — თით-  
ქმის იარაღი მომატებოდა ქანქარის ქანს და, რაღა თქმა უნ-  
და, უკვე სწრაფად მოძრაობდა. მაგრამ მეტადრე იმან შე-  
მაშფოთა, თვალსაჩინოდ ჩამოშვებულიყო. ეს ამბავი ასლალა  
შევნიშნე. გამოწვლილვით აღარ მოვყვები, თუ რა თავზარი  
დამეცა. ქანქარის ქვედა ნაწილი იყო ბრჭყვიალა ფოლადის  
ნამგალა მთვარე, რომლის ზემოთკენ წამახული წვეროები  
ერთიმეორეს, ასე, ერთი ფუტით დასცილებოდა. ფოლადის  
ქვედა კიდე კი სამართებელივით აელესათ, ასე რომ, რაკიღა  
ზემოთკენ მსხვილდებოდა და მკვრივდებოდა, ვეებერსელა  
და მძიმე ჩანდა ეს მოწყობილობა. თითბრის სქელ ღეროზე  
იყო დამაგრებული და ასე შხუილით კვეთდა ჰაერს.

ეჭვი აღარ მეპარებოდა: აი, თურმე რა მოემზადებინა ჩემ-  
თვის კაცის წვალეზათა გამოგონებაში გაწვრთნილ ბერის გო-  
ნებას. ინკვიზიციის მსახურნი მიხვდნენ, უკვე ვიცოდი  
მთხრებლის საიდუმლო — მთხრებლისა, რომლის ხახა იმათ  
ელოდათ, ვინც ჩემსავით ურჩობას გაბედავდა, მთხრებლისა,  
ჯოჯოხეთის იმ ქვესკნელთაგანის, რომელიც, ასე ამბობდნენ,  
იყო სატანჯავთა Ultima Thule<sup>1</sup>. სრულიად შემთხვევით არ  
ჩავიჩხეე შიგ. კარგად ვიცოდი, აქ რას გაიხარებდნენ, როცა  
კაცი უცებ და სულ მოულოდნელად გადაეყრებოდა საწამებელ  
ხვანჯერს. მთხრებლში გადამზღვრევის ეშმასეული გეგმა რომ  
ჩაიშალა, სამაგიეროდ (რაღა ჩარა იყო) მელოდებოდა სხვა,  
უფრო მოწყალე სიკვდილი, მოწყალე ამ გასაჭირში ამ სიტ-  
ყვის მომგონებელს სახეზე ღიმის ნატამალმა გადამკრა.

რაღა უნდა გითხრათ, რამდენი საათი, რამდენი გაუთა-  
ვებელი საათი რა ზარდაცემული და გულგახეთქილი ვთვლი-  
დი ფოლადის მალ ქნევასი მისხალ-მისხალ, მცირეოდნავ  
ქვემოთ, სულ ქვემოთ ეშვებოდა შეუმჩნეველი, თითქმის  
სრულიად აღუქმელი მოძრაობით, საუკუნეები გასტანა ასე-

<sup>1</sup> უკიდურესი თულა (ლათ.).



მეთქი დღეები გავიდა, შეიძლება მრავალი დღე გავიდა; და აი ჩამოვიდა, უკვე დაჰქრის ჩემ ზემოთ, უკვე მომეახლა მწველი სუნთქვა, უკვე ნესტოებში მიღიტინებს პირწამასული ფოლადის სუნი. ვლოცულობ, ვევედრები ზეცას, უფრო ჩქარა, ნეტავ ჩქარა-მეთქი. მთლად გავხელდი, ზევით აჭრას ვლამობ ამ მოქნეული, შესაზარელი იატაგანის შესახვედრად. და მერე შეცრად დავმშვიდდი, გავსწორდი, ღიმმოგვრილმა შევუცადე ციგლიგით მრახლოვებულ სიკვდილს — ჯერ უნახავი სათამაშოს მომლოდინე ბალღივით.

შემდეგ აღარაფერი მახსოვს, ისევ დავკარგე გრძნობა; ოღონდ მცირე ხნით — გონსმოსულმა შევნიშნე, მახვილი იოტისოდენითაც არ ჩამოშვებულყო. მაგრამ შეიძლება უგონოდ კარგა ხანია ვიყავი და იქნებ, რაკილა აქაურმა დემონებმა გულშეღონებული მნახეს, კიდევაც განგებ შეაჩერეს ქანქარის ვარდნა. ცნობას მოვედი და ხანგრძლივი მარხვაგამოვლილი კაცივით ვიგრძენი საშინელი, — ჰოი, ენით უთქმელი დაღლა და უღონობა. ასეთ ტანჯვა-წამებაშიც კი საკვებს მოითხოვს კაცი. ღვედებით დაკრულმა რამდენადაც შემეძლო — ამ დროს მკლავი მეტკინა კიდევ — შორს გავიწვდინე მარცხენა ხელი. მოვხიკე ვირთხების მონარჩენი შეჭამადის ნამუსრევი. ვიგემე თუ არა, რაღაც სიხარულის მაგვარი, რაღაც იმედი დამეუფლა. იმედს რა უნდოდა ჩემთან? როგორც ადრევე მითქვამს ამის გამო, ეს იყო რაღაც, მარადჟამ განუხორციელებელი, მრავალგზობას გაელვებული აზრის ნატამალი. ვგრძნობდი, ეს იყო სიხარული — იმედი, რომელიც, კარგადაც მივხვდი, დაიშრიტა ანთებისთანავე. მისი გაღვივების, შემოქცევის მცდელი ამოდ დავშვერ. ნებისყოფის მთლად უქონელი გამხადა უსაზმო წამებამ, ჭკუანაკლული შევიქენი, გონებასუსტი.

ქანქარის ქნევის სიბრტყესთან სწორი კუთხით დავეწვინე ჩემს მაწამებლებს; პირდაპირ გულის მხარე ამოეღო მიზანში ნამგალა მთვარისებრ მახვილს. ძალუმაღ მსტვინავი, ამ რკინის კედლების დამანგრეველი ძალის მქონე, ოცდაათი თუ ორმოცი ფუტის სიგრძეზე გაქანებული შემზარავი ქანქარა. ვიდრე გამათავებდეს, სამოსლის ჩამოსხევას მოუნდება რამდენიმე წუთს, ჯერ ეს გავიფიქრე, მეტისთვის ვაგვა-

ცობა არ მეყო. ჯიუტად ჩავჭიდებოდი ამ ფიქრს, ვითომც მას ჩაჭიდებული შევძლებდი მახვილის შესერებას. მაინც გადავდე თავი საფიქრებლად, რა ხმაურით ჩამიჭრის ნამგალა მთვარისებრი მახვილი სამოსს, რა ზარით აუწყებს ჩემს ნერვებს ეს ხახუნი ამ ამბავს-მეთქი. გამოწვლილვით ვფიქრობდი ამაზე, ვიდრე ზიზღმა გულისრევა არ მომგვარა.

ქვემოთ, სულ ქვემოთ მოშხუის, შმაგის სიამოვნებით ვაკვირდები, ვუდარებ ერთიმეორეს ქანქარის ქნევასა და დაშვების სიჩქარეებს. მარჯვნივ — მარცხნივ — შორიშორი — ფართო-ფართოდ, თან ჭყივის ეშმაკეულივით! ვეფხვივით ეპარება გულს! რალა დამრჩენია — ხან ვხარხარებ, ხან ვყმუი იმისდა კვალად, თუ რა გრძნობა მეუფლება.

ქვემოთ, ცხადლივ და დაუნდობლად ქვემოთ! მკერდს სამი დუიმიითლაა დაცილებული მარცხენა მკლავის გათავისუფლებას გააფთრებით ვცდილობ, მხოლოდ იდაყვიდან ხელის მტევნამდე მაქვს შეხსნილი, ასე რომ, ძლივსღა ვწვდებოდი ჯამს ჩემ ახლოს და მერე პირს, ეს იყო და ეს. იდაყვის ზემოთაც თუ ავიშვებ, იქნებ, ხელი წავავლო და შევაჩერო ქანქარა. ვაგლას, ასევე შევაკავებდი მთით მოვარდნილ ზვავს!

ქვემოთ — სულ შეუჩერებლივ ქვემოთ — სულ ჯიუტად ქვემოთ. ყოველ მოქნევაზე ვიგრიხები, სადგამს ვეკრობი. სასომიხდილი მივციებივარ მის აღმა-დაღმა ქროლვას; მის ყოველ დაღირებაზე დაუოკებლივ მეჭუტება თვალი, თუმცა ვიცი, სიკვდილშია შვება, ჰოი, ენით უთქმელის მაგრამ თავით ფეხამდე ვკანკალებ, როცა გავიფიქრებ; ძლივს შესამჩნევი რომელი მოძრაობით დამკრავს მკერდზე ამ მანქანების მოზიმიზიმე პირბასრი ნაჯახი. ეს იყო იმედი, სულით ხორცამდე თრთოლვის მომგვრელი — სადგამმა დაიწია დაბლა?.. ეს იყო იმედი, იმედი, ძელზე გასმულსაც რომ მიანიჭებს, ინკვიზიციის ხაროშიც სასოებას რომ მოაგებს სიკვდილმისჯილს.

ვხედავ, კიდევ ათი თუ თორმეტი მოქნევა და სამოსელზე შემეხება ფოლადი. ვხედავ და გულში ჩამიდგა უსასოობაგამჯდარი გამჭვირვალი სიმშვიდე. მრავალი საათის, იქნებ, დღეების შემდეგაც მე დავიწყე ფიქრი. ახლალა მომივიდა აზრად, თამასა თუ მოსართავი, რითაც შეკრული ვიყავი, ერთი

მთლიანი ღვედი იყო. მხოლოდ ერთი ღვედით შევებოჭეთ და შეიძლება მახვილის პირველივე დარტყმა განვიად მომხვდეს, გადაჭრას იგი და მაშინ მარცხენა ხელით განთავისუფლებას მოვასხერსებ-მეთქი. მაგრამ ამ დროს რა შემზარავად მოიწევს ფოლადი მცირეოდენი უზუსტობა, დამკრავს და იმავე წამს გამათავებს! განა არ განჭვრეტდნენ ამ ფიქრს ჩემი მაწამებლის თანაშემწეები და წინასწარვე არ დაიჭერდნენ თაღარიგს? რაღა მაინცდამაინც მკერდს შემოჭერილი ღვედი დახვდება ქანქარის პირს? გული მეღეოდა, ვაითუ გაცუდდეს ეს უღონო და, როგორც ჩანს, უკანასკნელი იმედი-მეთქი, იმდენზე წამოვწიე თავი, რომ კარგად შევძელი მკერდის დანახვა, ყოველ მსრივ გადამდიოდა ხელ-ფეხსა და სხეულზე მოსართავი, გარდა იმ ადგილისა, სადაც იყო დამანგრეველი ნამგალა მთვარის მოსაქნევი სივრცე.

თავი უკან რომ გადამივარდა, გამიელვა თუ, შეიძლება ასეც ითქვას — მიქქალი ნათელი მოიღო განთავისუფლების გზის ერთმა მონაკვეთმა, გაკვრით რომ აღვნიშნე ზემოთ ერთიც ადრევე დავლანდე შორიშორ, როცა დასიცხულ ბაგესთან ლუკმა მიმქონდა. თუმცა ეს გზა მთლიანად ახლა დავინახე, მაგრამ საძნელო, საეჭვო, ბუნდი ჩანდა. სასოებამიხდილი კაცის ნერვული გზნებით იმწუთას დავადექი ამ სავალს. მრავალი საათი, რაღაც ჩარჩოს მაგარ სადგამს დაკრული რომ ვიყავი, ჩემ გარშემო წრე დაერთყა ვირთხის ჯარს, მალად დამშეულები, თავხედურად, ხარბად წამოგზნებული თვალებით მომჩერებოდნენ. აჰა, შევწყვეტიდი თუ არა მოძრაობას, მათი საკბილო გავხდებოდი უსათუოდ. ნეტავ ამ ხაროში რას ჭამენ-მეთქი, ასე გავიფიქრე.

ველარ მოვიცილე ისინი, ვერაფერს გავხდი, ჯამზე რაც იყო, სულ მოხონხეს, ცოტაოდენიღა გადარჩათ. შეუჩერებლივ იმათ ზემოთ ვიქნევდი ხელს; ბოლოს ველარ ვიგერიებდი, რაკი აღარ აშინებდათ ეს ერთფეროვანი მოძრაობა ჩემი ხელისა. მსუნაგად აწრიალებულნი ხანდახან თითებზეც გამომკრავდნენ წამახულ კბილს. ქონიანი და ცხარედ შეკაზმული შეჭამადის ნარჩენებს სადაც კი მივწვდი, ავიღე და საგულდაგულოდ წავუსვი ღვედს; შემდეგ იატაკს მოვაცილე მკლავი და გავისუსე.

მოსპრაობა რომ შევწყვიტე, გაოცდნენ და ზაფრა დასცათ პირველად ამ ცვლელებამ დილეგის მსუნავ ბინადართ. ზარდაცემულნი უკანვე მიაწყდნენ; ბევრიც მთხრებლში ჩაიმალა. მაგრამ სულ მალე გაუარათ შინმა. ამ პატარა ცხოველთა მსუნავობის იმედი არ გამცრუებია. ძერა ველარ შემატყვეს და ერთი თუ ორი, ყველაზე უშიშო ამოახტა სადგამს და მსასართავი მოყნოსა. თითქოს ეს დიდი შემოსევის ნიშანი იყო, მოჯარდნენ მთხრებლით ახალ-ახალი გროვები, სადგამის ხეს მოებლაუჭნენ, მოზღვავენ, ასობით შემომახტნენ სხეულზე. ქანქარის გამოზობილი ქნევა არაფრად ჩაეგდოს. მახვილს რომ აიცილებდნენ, იმწუთას მოაშურებდნენ ქონწასმულ ღვედს. ძიპკილაობით, ჯგვლემით ყირას გადადიოდნენ, ყელზე დამეხვივნენ, ბაგე-პირზე მესებოდა იმასი ტუჩები; კინალამ გავიგუდე ვირთხის ჯარის დაწოლით; ენით უთქმელმა ზიზღმა მთლად შემობოჭა მკერდი, გულმა რეჩხა მიყო. წუთიც და, ყველაფერი გათავდა. ნათლად ვიგრძენი, როგორ ამიშვა ღვედმა, ვიცოდი, უკვე მრავალ ადგილას იყო გაწყვეტილი, ზეკაცური ძალისხმევით გაუნსეველად ვიწეკი.

არც შემცდარვარ, არც ამაოდ დამითმენია. თავისუფალი ვიყავი. მოსართავი ახლა სხეულზე ნაკუწ-ნაკუწ დამკიდებოდა. მაგრამ უკვე მკერდზე მესებოდა ქანქარის მასვილი, ჯვალოს სამოსელი ჩაშიჭრა. პერანგსაც, ჩამოაღწია, დაჰკრა ისევ, და მწველმა ტკივილმა დამიარა თავით ფეხამდე. მაგრამ ნავსი გატყდა. სელი ავიქნიე და დამფრთხალი ჩემი მხსნელები დავიფრინე. თანაბარზომიერი, ფრთხილი მოძრაობით ვკერდულად და უკან გამოვუსხლტი ღვედის ნაგლეჯებს, ასე ავიცილე მახვილი. დაბოლოს, თავისუფალი ვიყავი!

თავისუფალი — და ინკვიზიციის ხელში! ჩამოვდგი თუ არა ფეხი დილეგის იატაკზე ჩემი შემზარავი ხის სარეცელიდან, მაშინვე მინელდა ხმაური ამ ჯოჯოხეთური მანქანისა და თვალი მოვკარი, თუ როგორ აათრია ჭერში რაღაც უჩინარმა ძალამ. მთლად დამაკარგვინა სასოება ამ ამბავმა. დაკვირვებული თვალი მომჩერებოდა, თქმა არ უნდა, თავისუფალი ერთ სიკვდილს გადავურჩი, სიკვდილზე უარეს რასმე რომ გადავყროდი მერე. ამ ფიქრით აფორიაქებულმა მოვათვალიერე გარს მოჯარული რკინა. ჯერ ნათლად ვერ ვარჩევდი,

რაღაც, რაღაც ცვლილება დასტყობოდა დილეგს. მრავალი წუთი ძრწოლაატანილი სიზმარეული კაცივით მომიცვა უსაგნო, შეუსაბამო ფიქრებმა. მივხვდი, თუ საიდან მოდიოდა ეს მოელვარე ნათება, თურმე პოიღვრებოდა ნახევარღუიშიანი სვრელიდან, რომელიც მთელ სიმგრგვლეზე გასდევდა დილეგს. ამგვარად, რკინის ეს ზღუდე იატაკს სრულიად აცილებოდა. შევიჭვრიტე ამ იარაღში, მაგრამ ვერაფერი დავინახე.

საიდუმლოს ამოხსნას რომ ვლამობდი, გავსწორდი და უცებ მივხვდი აქ მომხდარ ცვლილებას. უკვე გითხარიყ, თუმცა კედლების ნახატთა გარეხაზები საკმაოდ კარგად ჩანდა, მაგრამ იმათ საღებავს მრუმე მოსძალებოდა და გადაღამებუღიყო-მეთქი. ახლა კი ეს ფერები ყოველ წამს უფრო და უფრო შემადრწუნებლად და თვალმომჭრელად ბრკიანლებდა. სიზმარეული და ეშმასეული გამოსახულებანი ახლა ჩემზე უფრო მაგარ კაცსაც დასცემდა ზაფრას. ყოველი, ყოველი მხრით, იქიდანაც, საიდანაც აქამომდე არაფერი ჩანდა, ახლა მოელავდა შესაზარელი და დიდი სიცხავლიყ ანთებული დემონისეული მრავალი თვალი, მთიგზნებოდნენ ქუში ცეცხლის ენები, რასაც ვერასგზით შევარქმევდი არარეალურს!

არარეალურს! აკიღა მთლად მომეახღა გავარვარებული რკინის სუნთქვა სუღის შემხუთვეღი ორთქღით გაიღსო დილეღი სულ უფრო მეტად დაიგზნო ჩემი ტანჯვის მაცქერალი თვალეღი! სვავრიელმეწამუღისფრად აიღსო იმ შემზარავი, სისსლოვანი სურათეღის ყოვეღი სახე. სუნთქვა მეკვროღა გიგუღებოღი უჰაერობითი ნათელი გასღა ჩემი მაწამებღეღის განზრახვა, ჰაი, რა დაუნდობღეღი იყვნენ, ჰაი, ავისმქნელთაგან უგულშავესნი დილეღის შუაგუღისკენ გავუსხლტი მხურვალე ლითონს. ცეცხღი რომ შემსანსღავღა. ამ ფიქრის წიად საღბუნად მომეახღა აზრი — მთხრებღის სიგრიღის მაცნე. მივიჭვერი მის მომაკვდინებელ კიდესთან. მის სიღრმეს მისწვღა განწირული მზერა. გავარვარებული ჭერის ნათეღას გამოეჩინა ყოვეღი იღუმალეღა ჯურღმუღისა, ამ შემზარავ წამს სულმა და გულმა ვერ აღიქვა იმისი მნიშვნელობა, რაც ვიხიღე. დაბოღოს იმან იძალა... ჩამოიმზღვრა სულ-

ში... წამომინთო გონება. ჰოი, ხმას ვეღარ ვიღებ! ჰოი, შემზარობა! ჰოი, შემზარობა ჯერარნახული! ყვირილით უკანვე მოვაწყდი და მწარედ ავკვითინდი სახეზე ხელეფარებული.

მალე უფრო ჩამოცხა. ციებცხელებიანივით აკანკალებულმა ისევ ავიხედე მაღლა. კიდეც ერთი ცვლილება დასტყობოდა დილეგს — ნამდვილად შეცვლილიყო მისი წყობა. მაგრამ წელანდელივით ვერაფერს ვხვდებოდი ჯერ. სულ მალე გავიგე ყველაფერი. ინკვიზიტორები ჩქარობდნენ შურისგებას. რაკილა ორგზის დავაღწიე თავი სასიკვდილო სლართებს, უკვე სახუმაროდ აღარ ეცალა საზაროებათა მეუფეს. საპყრობილე იყო ოთხკუთხა. ახლა კი რკინის ორი კუთხე ალესილიყო, ორიც, შესაბამისად, გაშლილიყო. ეს შემზარავი სხვაობა მაღიად მატულობდა ყრუ გრუხუნით თუ სენეშით. დილეგმა იმწუთას მიიღო რომბისებური სახე. აღარც იმედი მქონდა იმისი შეჩერებისა, აღარც სურვილი. ჩავეხვევინებოდი ამ წითელ ფილებს, როგორც მარადიული მყუდროების საუფლოს. „დაე მოვკვდე, — ასე ვსურჩულებდი, — ოღონდ მთხრებლში არა“. სულელი! სწორედ იქ გადამჩნებავდა გავარვარებული რკინა; ნუთუ ამას ვეღარ ვხვდებოდი? გადავერჩებოდი კი ამ სიცხეს? ასეც რომ არ ყოფილიყო, გავუძლებდი კედელთა მარწუხებს? და ახლა სულ, სულ უფრო ვიწროვდებოდა ეს რომბი, ისე სწრაფად, რომ ფიქრის დრო აღარ იყო. კედლები შუაგულისკენ მოიმართებოდნენ, სწორედ აქეთ, სადაც ხანა დაეღო უფსკრულს. უკანვე მოვაწყდი... დაუნდობლად ისევ წინ გამიგდეს. დაბოლოს დათუთქულს, გაწამებულს მყარი იატაკის მტკაველიც აღარ დამრჩენოდა ფეხის მოსაკიდებლად. აღარ ვიბრძოდი, მაგრამ გვემა სულისა შენივთდა აღსასრულის მაუწყებელ ხმამაღალ, ხანგრძლივ, უკანასკნელ ყვირილად, ვგრძნობდი, სწორედ კიდეზე ვტორტმანებდი... ამოვატრიალე თვალები...

ხალხის შეუწყობელი ხმა გაისმა: ზათქი და ზარი შეიქნა ბუკთა ცემისა! თითქოს ათასი მეხვივით მკვეთრად დაჰკრეს ზღუდეს! უკუმიიქცა ცეცხლოვანი კედელი! უფსკრულში რომ უნდა გადავშვებულყავი ცნობამიხდილი, მკლავზე ხელი მტაცეს. გენერალ ლასალის\* მარჯვენამ დამიხსნა. ფრანგის ჯარს აეღო ტოლედო. მტერს დაეტყვევებინა ინკვიზიცია.

ადამიანის სულის *prima mobilia*<sup>1</sup> — ნიჭიერებასა და იმპულსებს რომ განიხილავენ, ფრენოლოგებს ლტოლვათა კვლევა დავიწყებით, თუმცა კი ეს თვისება უთუოდ არსებობს როგორც საძირკველი, პირველსაწყისი წარუვალი გრძნობისა, და მაინც ეს გარეშობა ვერ შეუნიშნავთ იმათ წინამორბედ მორალისტებს. გონების წმინდა მედიდურობისა გამო\* ვერც ერთმა ვერ შევნიშნეთ ეს გარეშობა. რაკილა ჩვენს გრძნობებს ვერ გაუსაკუთრებიათ მისი არსებობა, გავტანჯულვართ კიდევაც, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ გვინდა გვეუროდეს, გვკონდეს რწმენა გამოცხადებისა, რწმენა კაბალისა<sup>2</sup>. არც არასდროს მოგვსვლია ეს აზრი თავში, რადგან არც დაგვჭირვებია. კი ვხედავთ, რომ არც გვჭირდება ასეთი ლტოლვანი, ასეთი მიდრეკილებები. ჩვენ არც შეგვიძლია გავიგოთ, უფრო სწორად, ვერ გავიგებდით, რომ წარმოჩენილიყო ეს *primum mobile*, ვერ გავიგებდით იმას, თუ როგორ შეუძლია მას კაცობრიობა თავის, დროებითსა თუ მარადიულ მიზნებს მიუახლოვოს. იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ ფრენოლოგია და, მნიშვნელოვანწილად, მთელი მეტაფიზიკა *a priori* შეუთითხნიათ. მიხვედრილი და დაკვირვებული კაცი კი არა, უფრორე ინტელექტისა და ლოგიკის კაცი მოისურვებდა ღვთისათვის მიზნების კარნახს. თავისდა სასიხარულოდ იელოვას ჩანაფიქრს რომ მიაკვლევდა, ამ ჩანაფიქრის მეშვეობით შექმნიდა კიდევაც აზროვნების აუარება სისტემას. ფრენოლოგიაში, ასე, მაგალითად, ჩვენ ჯერ დავადგინეთ: რაღა თქმა უნდა, უფალს სურს, რომ ადამიანი იკვებებოდეს. მერმე ჩვენ აღვჭურვეთ ადამიანები საჭმლის მომნელებელი ორგანოებით და კიდევაც მოველინენ ღვთის რისხვად, რაკი იძულებულნი არიან, უნდათ თუ არა, საჭმელს შეექცნენ. მეორეც; რომ დავინახეთ, ღვთის ნება ყოფილა, კაცმა თავისი მოდგმა გააგრძელოსო, იმწუთას მისი ვნებაუღევობა აღმოვაჩინეთ, სწორედ ასევე მივაკვლიეთ

<sup>1</sup> ძირითად მამოძრავებელ ძალებს (ლათ.).

<sup>2</sup> შუასაუკუნეების რელიგიურ-მისტიკური მოძღვრება.

იმის მეომრულ უინს, თაყვანისცემის, დასკვნების გაკეთების, შემოქმედების უნარს, ერთი სიტყვით, ყოველ ორგანოს, გინდ მიდრეკილების, გინდ ზნეობრივი გრძნობებისა და წმინდა გონების თვისების გამომხატველს. და კაცის ქმედობის ამ principia წესისამებრ შპურცჰაიმის მიმდევრები, სწორი იყო ეს თუ არა, მთლიანად თუ ნაწილობრივ, მაინც მიდიოდნენ, ძირითადად, კვალდაკვალ თავიანთი წინამორბედებისა, და ყოველივე დაუდგენიან და გაუთვალისწინებიათ წინასწარ-დასახული ბედისამებრ და დამბადებლის მიზნებისამებრ.

თუმცა კი უფრორე ბრძნული, უფრორე საიმედო გამოდგებოდა, თუ კლასიფიცირებას (თუკი მოვახდენდით ასეთ კლასიფიცირებას) საძირკვლად ექნებოდა ის ამბავი, რასაც კაცი მოიხმომებდებ ჩვეულებრივ ან შემთხვევით, და არა ის, რასაც საძირკვლად აქვს განზრახულობანი უფლისა ადამიანიშვილის გამო. თუკი ჩვენ არ შეგვიძლია ჩავხვდეთ ღვთის ხილულ საქმეებს, როგორღა გავისაკუთრებთ იმის უჩინარ ფიქრებს, ამ საქმეთა საფუძველი რომ არის? თუ ჩვენ არ შეგვიძლია გავიგოთ მისი საცხადო ქმნილებანი, როგორღა გავიგებთ იმის თავისთავად გუნება-განწყობილებასა და შემოქმედების საფეხურებს?

ინდუქცია, a posteriori<sup>1</sup>, ფრენოლოგიაზე რომ მიმძლავრებულყო, კიდევაც აღიარებინებდა ადამიანის საქმეთა თანდაყოლილ და პირველყოფილ ძალად რაღაც პარადოქსულს, რასაც ჩვენ შეგვიძლია წინააღმდეგობრიობა დავარქვათ, თუმცა კი აჯობებდა უფრო სწორი სახელწოდება გამოგვეძენა. მე რომ ვგულისხმობ, ეს გარემოება უნდა იყოს mobile<sup>2</sup> მოტივის გარეშე, არა motiviert<sup>3</sup> მოტივი. სწორედ ამის კარნახით მოვიმოქმედებთ რამეს, მიზეზს კი ვერ მივაკვლევთ; ანუ, თუ ამას ტერმინთა წინააღმდეგობრიობას მივაწერთ, ჩვენ შეგვიძლია ამ მსჯელობის მოდიფიცირება და უნდა ვთქვათ, იმიტომ ვშვრებით ასე იმის კარნახით, რომ სხვანაირად ჩვენ ვერ ვიზამთ. თეორიულად არც შეიძლება იყოს ამაზე უფრო

<sup>1</sup> ცდის შერმინდელი (ლათ.).

<sup>2</sup> მიზეზი.

<sup>3</sup> მოტივირებული (დამახინჯ. გერმ.).



უსაფუძვლო საფუძველი; მაგრამ, მართლაცდა, უფრო მკვიდრ საფუძველს ვერც ვნახავთ. გარკვეულ გონებათა მიმართ და გარკვეულ პირობებში სრულიად დაუძლეველი ხდება ეს გარემოება. ჩემთვის იმდენადაა ცხადი, რომ მე ვსუნთქავ, რამდენადაც ვიცი და მჯერა, ამა თუ იმ მოქმედების ბოროტება თუ ცდომილება ხშირად განდება ხოლმე ერთადერთი დაუმარცხებელი ძალა, რომელიც გვაიძულებს ჩვენ, ისღა გვაიძულებს ჩვენ ამათ ჩადენას. ხოდა, ეს ყოვლისმომცველი მიდრეკილება ბოროტებისადმი ბოროტების გულისთვის ანალიზს არ ემორჩილება, ანუ არ შეიძლება იმისი ფარული ნაწილების მიკვლევა. ეს არის ოდინდელი, ჩვეულებრივი, მარტივი იმპულსები. ვიცი, შეიძლება თქვან, ჩვენ იმიტომ ვჟინიანობთ რაღაცის საქმნელად, რომ ვგრძნობთ, არ უნდა ვჟინიანობდეთ ამ საქმნელისა გამო, ხსენებული გრძნობა იმთვისების ერთადერთი მხარეა, რომლის სათავე, ფრენოლოგიის მიხედვით, მეომრულ ჟინიანობაშია საძიებელი. მაგრამ ერთი შეხედვით მიხვდებით ამ აზრის უმართებულობას. თავდაცვის აუცილებლობა ესაძირკვლება ფრენოლოგიისეულ მეომრულ ჟინიანობას. სხეულის დაზიანებისაგან სწორედ ესთვისება გვიცავს. ჩვენი კეთილდღეობაა მისი საფუძველი; მისი განვითარების ერთდროულად ჩნდება მისადმი ლტოლვა. გამომდინარე აქედან, კეთილდღეობისადმი ხსენებული ლტოლვა არსებობს როგორც ერთადერთი გამოვლინება იმპეონრული ჟინისა, მაგრამ იმ შემთხვევაში, რასაც მე წინააღმდეგობრიობას ვუწოდებ, კეთილდღეობისადმი ხსენებული ლტოლვა არამცთუ დაგვეუფლება ჩვენ, პირიქით, რაღაც სრულიად საპირისპირო, ძალუმი გრძნობა მოგვიცავს.

თუ ჩვენს გულში ჩავიხედავთ, ბოლოს და ბოლოს საუკეთესო პასუხს ამოვიკითხავთ ზემოაღნიშნულ საკითხზე. ვინც კი სიმართლით და გამოწველილვით ეკითხება თავის გულს, ის ვერც უარყოფს ამ შეკითხვის და მისი საგნის, მიდრეკილებათა საფუძვლიანობას. ის ნათელია და ამავე დროს გაუგებარიც — ვერც ნახავთ ისეთ კაცს, ვინც ხანდახან არ გატანჯულა, მაგალითად, ასეთი გაუსაძლისი სურვილით, ქადაგად დავეცემი და კიდევაც ასე ამოვხდით სულს ჩემს მსმენელს. მოლაპარაკემ იცის ამ თავისი უსიამოვნო საქციელის

შესახებ, თავად კი უნდა ყველანაირად სასიამოვნო იყოს; ჩვეულებრივ მოკლედ, ზუსტად და ნათლად ამბობს სასქმელს; ენის წვერზე ადგება ლაკონიური და გასაგები ფრაზები და რომ არ ამოთქვას, თავს ებრძვის, უნდა როგორმე დასძლიოს ეს სურვილი, ეშინია, ვაითუ გავაბრაზოო ჩემი მოსაუბრე; და მაინც, თავზარი დაეცემა, ამ წილადობილამ და შესავლებმა შეიძლება მართლაცდა გააბრაზოსო იგი. სოდა, ეს აზრიც საკმარისი იქნება. იმპულსი სურვილად გარდაისახება, სურვილი ლტოლვად, ლტოლვა — წარუვალ ვნებად, და ეს ვნება (მოლაპარაკეს ეს ამბავი დიდად სწყინს და სწუნს, ყველაფერი იცის, რაც მოჰყვება ამას) უნდა დაკმაყოფილდეს.

ჩვენ გვაქვს ამოცანა, რომელიც ჩქარა უნდა შევასრულოთ ისიც ვიცით, დამლუპველი იქნება ამისი გადადება. ჩვენი ცხოვრების ეს უმნიშვნელოვანესი ამბავი გვიხმობს, საყვირისამებრ გვიწვევს, რათა ძალ-ღონის დაუშურებლად საქმეს შევუდგეთ. დღე და ღამეს ვასწორებთ, ამ საქმის გასრულებას ვესწრაფით ბრწყინვალე შედეგის მომლოდინენი და გულში ნათელი ჩავგდგომია, ყველაფერი დღეისთვის უნდა მოგვარდეს, მაგრამ სახვალიოდ გადავდებთ; და რატომ? პასუხი არ არის გარდა იმისა, რომ რაღაც გრძნობა დაგვეუფლება, წინააღმდეგობრივიაო კი ვამბობთ, მაგრამ მისი არსი არ გვესმის. ეს ხვალეც დადგება და შეუფოთებულები მოუთმენლად ვლამობთ ჩვენი მოვალეობის მოხდას, მაგრამ რაც უფრო მოუთმენელი ვხდებით, მით უფრო ცხადლივ მოგვიცავს რაღაც გრძნობა, შემზარავი და ამიტომაც შეუცნობელი — დაუოკებელი სურვილი დაყოვნებისა. ყოველ წამს, უფრო და უფრო მძლავრდება ეს სურვილი. ერთი საათილა გვრჩება. კანკალი მოგვეკიდება, გააფთრებული ბრძოლა იმართება. ჩვენს გულში, ერთმანეთს შეხშია გარკვეული გაურკვეველს, მატერია — ჩრდილს. მაგრამ თუ ეს ჭიდილი კარგა ხანს გასტანს, მაშინ ჩრდილი იმარჯვებს და ამათა ჩვენი ბრძოლა. საათი დაჰკრავს, თავს მოევლება ჩვენს კეთილდღეობას სამგლოვიარო ზარის ხმა, და ამავე დროს ეს არის მამლის ყვილი იმ ჩრდილისთვის, ძრწოლის მომგვრელი რომ გამხდარა ჩვენთვის. გაქრება იგი, გადაიკარგება და ჩვენ თავისუფალნი

ვართ. გვიბრუნდება ის ოდინდელი ძალა. ჩვენ ახლა შეგვიძლია ვიშრომოთ. ვაგლახ, მეტად გვიანლა!

უფსკრულის პირას მივსულვართ. იმის ხახაში ვიმზღვრევით, გული გვიღონდება და თავბრუ გვეხვევა. ჩვენი პირველი იმპულსია, მოვცილდეთ ამ საშიშ ადგილს. იქვე ვრჩებით და რატომ, არ ვიცით. თანდათანობით ჩვენი გულშეღონება, თავბრუდახვევა და შემზარაობა რაღაც ერთი უსახელო გრძნობის ღრუბლად შეიკვრება. ნელინელ, ძლივს შესამჩნევად ეს ღრუბელი რაღაც ფორმას ღებულობს მსგავსად იმ კვამლისა, ბოთლიდან რომ ამოიჭრება და ჯინად გარდაისახება, როგორც ეს „ათასი და ერთი ღამის“ ზღაპრებშია მოთხრობილი. მაგრამ უფსკრულის პირას იმ ჩვენი ღრუბლიდან საცხადო რამ შეიქმნება, რაღაც ისეთი, რაც გაცილებით უფრო შემზარავი ჩანს, ვიდრე იმ ზღაპრების ის ჯინი თუ დევია, და მაინც ეს აზრია და მეტი არაფერი, თუმცა თავზარდამცემი კი არის, ცუდად ვხვდებით, ტანზე ეკალი გვესმება, ბანგნასვამივით მოგვიცავს ეს გულის გამგმირავი გრძნობა. ვფიქრობ, თუ რას განვიცდიდით-მეთქი ამ სიმალლიდან უფსკრულოვანში დანთქმის ხანს. და ხსენებული დანთქმა — წამის უმაღლესად რომ ჩავქანდებით — იქნება მიზეზი ყველაზე უფრო შემადრწუნებელი და შესაზიზლარი გრძნობისა ამ შემადრწუნებელი და შესაზიზლარი სიკვდილის ხანს, ამაზე უარესი რაღა უნდა წარმოვიდგინოთ, და სწორედ ამიტომ ახლა ცხადლივ მოგვესურება ეს. და რაკი ჩვენი გონება გააფთრებით გვაიძულებს უკუმივდგეთ ამ ნაპირიდან, სწორედ ამიტომ მეყსეულად ვუახლოვდებით მას. არც არავის მოიცავს ასეთი დემონური მოუთმენლობის ვნება, მხოლოდ იმას შეიპყრობს, ვინც აკანკალებული დგას უფსკრულის პირას და ფიქრობს გადავარდნაზე. თუნდაც წამით რომ ცვადოთ ამ ფიქრის დამორჩილება, უცილობლად დავიდუპებით, რადგან აზროვნება გვამცნობს, თავი უნდა მოთოკო, და სწორედ ამიტომ, მე გეუბნებით, მე გეუბნებით, ველარ მოვთოკავთ თავს. თუ იქ მეგობრის ხელი არ შეგვაკავებს ან თუ უეცრად უკან არ დავიხევთ და არ გავიშოტებით უფსკრულის პირას, ნამდვილად გადავიჩხებთ.

შეგვიძლია როგორც გვინდა ისე განვიხილოთ მსგავსი

გარემოებანი და მაინც ვნახავთ, რომ ყოველივე ამას ესაძირკვლება სული წინააღმდეგობრიობისა. ჩვენ უბრალოდ იმიტომ გვინდა ამათი ჩადენა, რომ ვერძნობთ, ამას არ უნდა ვშვრებოდეთ. გასაგები რამე არცა ჩანს ამ საკითხის გამო; და, მართლაცდა, კი შეგვიძლია ხსენებული წინააღმდეგობრიობა ეშმაკეულის გამოვლინებას მივაწეროთ, მაგრამ ხომ ვიცით, ზოგჯერ ეს ამბავი სასიკეთოა.

მე ეს იმიტომ გიამბებთ, რათა გარკვეულწილად მაინც მეზასუხა თქვენს კითხვაზე — და კიდევაც ამეხსნა თქვენთვის, თუ აქ რად ვარ — რადგან მინდა რაღაცას ჩასვდეთ, მცირეოდნავ მაინც გაიგოთ მიზეზი ჩემი სისუსტისა, რამაც შემბორკა და სიკვდილმისჯილთა საკანში ჩამომადგო. ასე ვრცლად რომ არ მომეთხრო თქვენთვის, იქნებ, სულაც მცდარად გაგეგოთ ან მდაბიოთა მსჯავსად, თქვენც გიჟი დამარქვათ. ასე კი სულ ადვილად მიხვდებით, რომ მრავალთაგან მეც ერთ-ერთი მსხვერპლი ვარ წინააღმდეგობრივი ჭინკისა.

მთელი ეს საქმე კარგად მქონდა მოფიქრებული, მეტი სიზუსტე შეუძლებელი იყო სწორედ. კვირები, თვეები დამჭირდა მკვლელობის ხერხის მოსაფიქრებლად. ათასი გეგმა უარყვავი, რადგან ამის აღსრულებას შეიძლება შემთხვევით ჩავარდნა მოჰყოლოდა. დაბოლოს, რომელიღაც ფრანგულ მემუარებში ამოვიკითხე, თუ როგორ საბედისწეროდ დაავადდა მადამ პილო მოწამლული სანთლის მეშვეობით. იმწუთასვე მომეწონა ეს იდეა. ვიცოდი, რომ ჩემს მსხვერპლს ლოგინში კითხვა უყვარდა. ისიც ვიცოდი, რომ მისი ოთახი პატარა იყო და კარგად არ ნიავედებოდა. არ არის საჭირო აქ იმისი აღწერა, თუ რა უბრალოდ მოვახერხე იმის საძილე ოთახში შევსულიყავი და სანთელი გამოშეცვალა, წინასწარვე მქონდა დამზადებული იმისი მსგავსი. მეორე დილას მკვდარი უნახავთ ლოგინში და გამომძიებელს ასეთი დასკვნა გაუკეთებია — „უფალმა მიიღო მისი სული“.

მთელი მისი სარჩო-საბადებელი მე დამრჩა და განცხრომით დავყავი წლები. ერთხელაც არ მომსვლია აზრად, ვაითუ დამიჭირონ-მეთქი. იმ საბედისწერო სანთლის ნამუსრევი თავადვე ფრთხილად მოვაცილე იჭაურობას. სამხილის ნატამალიც არ დამიტოვებია და ვერც მომისჯიდნენ, ვერც

ეჭვს აიღებდნენ ჩემს დანაშაულში. ვერც კი წარმოიდგენთ, რა კმაყოფილი ვიყავი, როდესაც ვფიქრობდი, რაღას გახდებოდა მეთქი. კარგა ხანს ნათელი ჩამდგომოდა გულში და ისე ვიყავი სიხარულით აღფრთოვანებული, რომ რაღა მოსატანია ჩემი ცოდვის მიშვეობით მოპოვებული სახელი დოვლათიანი კაცისა. მაგრამ გამოხდა ხანი, დაბოლოს გული ჩამიღამდა, ნელინელ და შეუმჩნევლად მღელვარე ფიქრები დამეუფლა. მღელვარე-მეთქი, რადგან აღარ მცილდებოდა თავიდან. წამითაც ველარ დავაღწიე თავი იმის ხვანჯებს. ხანდახან ჩვენს ყურებში, ანუ, უფრო სწორად, ჩვენს მესხიერებაში, ჟღერს რომელიღაც უღიმღამო სიმღერის ჰანგები ან ნაწყვეტები სრულიად უცნობი ოპერიდან. არც მაშინ გათავდებოდა ჩვენი წამება, თუნდაც კარგი ყოფილიყო ეს სიმღერა ან მუსიკა იმ ოპერიდან — საქებარი. სწორედ ამდაგვარად, ბოლოს, ფიქრი ამეკვიატა, ვაითუ რაღაც მოხდეს-მეთქი და ჩემს გულში სულ ამას ვიმეორებდი: „საშიში რა უნდა იყოს“.

ერთ დღეს, ქუჩებში რომ ვხეტიალობდი, შევამჩნიე, რომ ახლა გულში კი არა, საკმაოდ ხმამაღლა ვჩურჩულებდი ამ შემოჩვეულ სიტყვებს, ოღონდ ახლა ასე გადავაკეთე შემოფოთებულმა: „საშიში რა უნდა იყოს... საშიში რა უნდა იყოს... დიახ... თუ თავად არ გავსულელდები და არ ვაღიარებ!“.

წარმოვთქვი თუ არა ეს, ცივმა ოფლმა დამაყარა მთელ სხეულზე. ამდაგვარი ადრეც მქონდა განცდილი, ვიცნობდი წინააღმდეგობრიობის ასეთ მომძლავრებას (წედან არ გინსნიდით აღელვებულ იმის ბუნებას), და კარგადაც მახსოვს, წამითაც ვერ მოვიგერიე იმისი შემოტევა. და ახლა სახელდახელოდ რომ ჩამეგონებინა თავისთვის, თითქოსდა გავსულელდებოდი, ვაღიარებდი მკვლელობის ამბავს და მაზღვევინებდნენ კიდევაც, ჩემი მსხვერპლის აჩრდილი თავს წამომდგომოდა და სიკვდილისაკენ მიხმობდა.

პირველად კი მინდოდა ამ ბოდვის მოცილება. ნაბიჯს ავუჩქარე, სულ უფრო, სულ უფრო და ბოლოს გავიქეცი. შლეგისამებრ ყვირილი მსურდა. ფიქრის ყოველი შემდგომი ტალღა ახალი შემზარავი გრძნობის საფუძველი ხდებოდა, მაგრამ ვაგლახსი კარგად, ძალიან კარგად გავიგე, ჩემს ყოფა-

ში ფიქრი და დაღუპვა ერთი იქნებოდა. უფრო და უფრო ავუჩქარე ნაბიჯს. გიჟივით დავრბოდი ხალხით სავსე ქუჩებში. დაბოლოს, გამვლელები ისე შეშფოთდნენ, რომ გამომიღგნენ. მაშინ კი მივხვდი, განწირული ვიყავი უკვე. თავადვე ამოვიგლეჯდი ენას, რომ შემძლებოდა, უხეშად დამიღრიალეს, უხეშად წამავლეს ხელები მხარში. მივტრიალდი, სუნთქვა შემიკრა, ერთი წამით ასე მეგონა, სადაცაა დავიხრჩობი-მეთქი; დავბრმავდი; დავყრუვდი, თავბრუ დამეხვა, და მაშინ უჩინარმა ეშმამ, ასე მეგონა, ფართო ხელის გული დამკრა ზურგში. ამოვთქვი კიდევაც ამდენი ხნის ნამალავი საიდუმლო.

ამბობენ, რომ ნათლად ვლაპარაკობდი, თუმცა კი ხაზს ვუსვამდი ყოველ სიტყვას და გააფთრებით ვჩქარობდი, თითქოსდა მეშინოდა, ვაითუ შემაწყვეტინონ და აღარ დამასრულებინონ-მეთქი სათქმელი, რომელმაც მიმცა ჯალათსა და ჯოჯოხეთს.

ყველაფერი ვაღიარე, რაც კი იყო საჭირო, კანონისათვის აღარ დარჩა რამე გასარკვევი, იქვე დავეცი უგრძობელი.

მაგრამ რაღა უნდა ვთქვა? დღეს აქა ვარ და ბორკილებით, ხვალ კი ვიქნები უხუნდებოდი მაგრამ სად?

## შავი კატა

არცა გთხოვთ, ნდობით მოეკიდეთ-მეთქი ამ შემზარავ, თუმცა კი ცხოვრებისეულ ამბავს, რომლის აღწერასაც ვიწყებ. მართლაცდა, გიჟი ვიქნებოდი ამის მთხოვნელი, რაკილა ჩემს აღიარებას უარყოფს თავად ჩემივე გონება. გიჟი არა ვარ და არც ვბოღავ ნამდვილად. მაგრამ ხვალ მე მოვკვდები და დღეს მინდა შევება მოვიპოვო. სანამ თხრობას დავიწყებდე, ხალხს უნდა უბრალოდ, უკომენტარებოდ ვუამბო ის წვრილმანი ამბები, შინ რომ გადამხდა. სწორედ ამ ამბებმა დამცა თავზარი, გამტანჯა და კიდევაც დამლუპა. მაგრამ მე მაინც არ შევეცდები იმათ ახსნა-განმარტებას, ვიცი, ეს

გულს ამიმღვრევს, ბევრს კი უფრო baroques<sup>1</sup> ეგონება, ვიდრე თავზარდამცემი. გაივლის დრო და შეიძლება გამოჩნდეს ვინმე ჭკვიანი კაცი და მოახერხოს სულ უბრალოდ ახსნას ეს სიზმარ-ცხადში მომხდარი თავგადასავალი — უფრო ინტელექტუალური იქნება ის, უფრო მშვიდი, უფრო ლოგიკური და ჩემსავით არ წამოენთება ხოლმე ყველაფერზე, ხოდა, ის ჩახვდება იმ წვრილმანებს, შიშით რომ ვიხსენებ, დაბოლოს ვნახავთ, არც არაფერია გარდა ბუნებრივი მიზეზებისა და შედეგების ჩვეულებრივი თანამიმდევრულობისა.

ბავშვობიდანვე გამგონე და კეთილი ვიყავი. ცხადლივ ჩანდა ჩემი გულჩვილობა და ამიტომ ამხანაგები სულ დამცინოდნენ. განსაკუთრებით ცხოველები მიყვარდა, მშობლებსაც მოსწონდათ ეს და ჩემსას რა ცხოველს არ ნახავდით. მეტწილად იმათთან ვიყავი და ისე აღარაფერი მიხაროდა როგორც იმათი ჭმევა და მოვლა. ვიზრდებოდი და სულ უფრო მეტად ღრმავდებოდა ეს ჩემი სიყვარული. დაკაცებულები უკვე ვეღარაფრით ვერთობოდი ასე, მხოლოდ იმათთან ყოფნა მსიამოვნებდა. და იმასლა, ვისაც უნახავს ძაღლის ერთგულება და მიხვედრილობა, არცა ღირს ავუხსნა, თუ როგორ მოგვეწონს ცხოველთა უანგარო და თავდადებული სიყვარული. შინაური ცხოველი უთუოდ მოინადირებს იმის გულს, ვისაც ხშირად განუცდია მეგობრისაგან წყენა და იცის, თუ რა მსწრაფლწარმავალია ერთგულება კაცისა.

ცოლი ადრე მოვიყვანე და რა ბედნიერი ვიყავი, როდესაც დავინახე, ჩემი მეუღლის ხასიათი სრულიად შეეფერებოდა ჩემსას. შინაური ცხოველებისადმი ესოდენ დიდი სიყვარული რომ გაიგო, ყოველ წუთს მზად იყო ესიამოვნებინა ჩემთვის; და ჩვენი სახლი გაიქცა ჩიტებით, ოქროს თევზებით, მშვენიერი ძაღლებით, კურდღლებით, პაწაწინა მაიმუნებით, გვყავდა ერთი კატაც.

წარმოუდგენლად დიდი და ლამაზი ცხოველი იყო, სრულიად შავი, ჭკვიანი განსაცვიფრებლად. იმის მიხვედრილობას რომ ახსენებდა, ჩემი ცოლი, ვინც დიდად მორწმუნე არც არასდროს ყოფილა, ხშირად იგონებდა ხოლმე ცნობილ ხალ-

<sup>1</sup> აქ: აზროკლებული (ფრანგ.).

ხურ თქმულებას, რომლის მიხედვითაც, სახეშეცვლილი კუ-  
დიანი იყო ყველა შავი კატა. თუმცა ამას ისე, სხვათა შორის  
ამბობდა, და სიტყვამ მოიტანა და ამიტომღა შეგახსენებთ.

პლუტონს — კატას ასე ერქვა — სულ ვანებივრები და  
ვეთამაშებოდი. მხოლოდ მე ვაჭმევდი მას და სადაც არ უნდა  
ვეოფილიყავი სახლში, ჩემს ფეხებთან ტრიალებდა. ძლივს-  
ღა მოვიცილებდი თავიდან, რომ ქუჩაშიაც არ გამომყოლო-  
და.

ასეთი მეგობრები ვიყავით რამდენიმე წელიწადი, გაუ-  
თავებლივ ვსვამდი ამ დროს და სრულიად გამოვიცვალე  
(სირცხვილით წამოვინთე, ეს რომ ვაღიარე), ველარ მიცნობ-  
დით, ისეთი უგვანი ზნე და ხასიათი დამჩემდა. დღითი დღე  
სულ უფრო და უფრო პირქუში, ჭინჭყელი ვხდებოდი. დავი-  
ნახავდი თუ არა ვინმეს და გული ყელში მომებჯინებოდა.  
ჩემს ცოლს ისე გამოვვლანძლავდი სოლმე, რომ თავადაც ვი-  
ტანჯებოდი მერე. დაბოლოს, ხელიც კი შემიმართავს ხში-  
რად ამ ქალზე. გუნება-განწყობილების ასეთ გამოცვლას,  
რასაკვირველია, უკვალოდ აღარც ჩემი ცხოველებისათვის  
ჩაუვლია. მოვლას ვინდა ამბობს, ვაწვალებდი კიდევაც. თუმ-  
ცა პლუტონს კი ვერიდებოდი და არ ვურტყამდი, სამაგიეროდ  
ერთი კი გადაყვროდი სახლში იმ კურდღლებს, მაიმუნებსა  
და ძაღლებს, დავიჭერდი და შავ დღესაც დავაყენებდი. სულ  
უფრო მეტად მძლავრობდა ჩემი ავადმყოფობა — ალკოჰოლ-  
ზე უარესი ავადმყოფობა რაღა უნდა იყოს! — პლუტონსაც არ  
ვინდობდი მერე, თანაც უკვე ისე დაბერებულიყო, ხშირადაც  
ბრაზმორეულს ვხედავდი... პლუტონსაც მაგრად ხვდებოდა  
ჩემგან.

ერთხელ, ქალაქიდან, ჩემი ერთ-ერთი საყვარელი გასართო-  
ბი ადგილიდან შინ რომ ვბრუნდებოდი, ასე მომეჩვენა, რა-  
ღაც გამირბის-მეთქი ეს ჩემი კატა. ვეცი და როცა გააფთრე-  
ბულ კაცს მცირეოდნავ კბილი გამკრა, მძვინვარების ალქაჯმა  
ჭკუიდან გადამიყვანა. თავს ველარ ვცნობდი. დედის საშო-  
დან გამოყოფილმა სულმა უცებ დატოვა ჩემი სხეული და  
არყით ეშმაზე უფრო გაბორბტებულმა მთელი ტანით კანკალი  
დავიწყე. ჯიბის დანა ამოვიღე, გავხსენი, იმ საბრალო ცხო-  
ველს ყელში წაუჭირე და აუჩქარებლად საბუდიდან თვა-



ლი წამოვთხარეი ვიწვი, ვიტანჯები, ვკვნესი და ვცახცახებ  
ახლა, როდესაც აღვიწერთ ამ ერთ უთქმელ მსეცობას.

დილით გონს რომ მოვედი, ძილს წარეხოცა იმდამინდელი  
ლოთობა და სანახევროდ დამეცა თავზარი, სანახევროდ ვიგ-  
რძენი სინდისის ქენჯნა იმ დანაშაულისა გამო და ისიც  
რალაც უღონო და საეჭვო გამოდგა, სულსა და გულს არც  
გაჰკარებია. კვლავ ავიწყვიტე, ღვინოში ჩავასრჩვე ჩემი მეს-  
სიერება და სულაც გადამავიწყდა ყველაფერი.

გამოხდა ხანი და კატა ნელინელ მომჯობინდა. მართალია  
ის გამოცარიელებული საბუდე გულს მოუკლავდა კაცს, მაგ-  
რამ თითქოსდა ტკივილისაგან უკვე აღარ იტანჯებოდა. ჩვე-  
ულებისამებრ დადიოდა სახლში, ოღონდ, როგორც მოსა-  
ლოდნელი იყო, მივუახლოვდებოდი თუ არა, ელდანაცემი  
გაიქცეოდა. ჯერ კიდევ შემრჩენოდა ის ჩემი ძველი გული და  
პირველად მწყინდა მისი ასეთი საცხადო სიძულვილი, რაკი  
ცოტა ხნის წინათ ასე ვუყვარდი. მაგრამ დიდხანს არ ვიყავი  
ამ ჭკუაზე, ახლა უკვე ვბრაზობდი. მერე კი საბოლოოდ და  
ჭემარიტადაც ხელიდან წავედი, **წინააღმდეგობრიობის**  
სული\* დამეუფლა. ხსენებული სულის ამბავი სრულიად გა-  
მორჩენიან ფილოსოფოსებს. შეიძლება ეჭვი შემეპაროს,  
ცოცხალი თუ ვარ-მეთქი, მაგრამ ის კი მჯერა, იმთავითვე  
წინააღმდეგობრიობა დასჩემებია ადამიანიშვილის გულს —  
წარუვალა ეს მისი ოდინდელი თვისებები და გრძნობები  
და კიდევაც წარმართავენ სვე-ბედს კაცისას. ვის არ შეუმჩ-  
ნევია ასგზის თავისი მზაკვრობა თუ სისულელე და მხოლოდ  
იმის ცოდნამ ჩაადენინა ისინი, რომ ასე არ შეიძლება? განა  
ნიადაგ არ მიელტვის გული უკანონობას, რაკილა ვიცით,  
კანონი შეუვალა? სწორედ ამ წინააღმდეგობრიობის სულმა  
დამიმონა მე, როგორც გითხარით და ბოლოც მომიღო. შე-  
უცნობელმა, რალაც სულისეულმა ძალამ ველარ მომათოკი-  
ნა ჩემი მძვინვარება, ხოდა, ჩემივე ბუნებაზე მიმძლავრებულს  
სიავე უნდა მექნა მხოლოდ სიავის გულისათვის, იძულებული  
ვიყავი, გამეგრძელებინა ეს საქმე, ერთხელ ხომ დავასახიჩ-  
რე ის უდანაშაულო ცხოველი, ახლა კი უნდა მომეკლა სუ-  
ლაც. ერთ დილას, სისხლგაყინულმა მარყუქში გავაყრევი  
თავი და ხეზე ჩამოვკიდე; ჩამოვკიდე-მეთქი და ცრემლები

წამსკდა მაშინვე, სინანულმა დამრია ხელი, ჩამოვკიდე იმიტომ, რომ ვიცოდი, თუ როგორ ვუყვარდი; იმიტომ, რომ იმას არაფერი დაუშავებია ჩემთვის; ჩამოვკიდე იმიტომ, რომ ვიცოდი, ცოდვა იყო ეს — სასიკვდილო ცოდვა და ისე გავწირე უკვდავება სულისა, რომ განცხადებულად გამოჩნდა, ვერ მომიტევენს მე ამ ცოდვას ღმერთი ყოვლისა მომიტევებელი და ყოვლისა შემძლე და მპყრობელი.

მოვრჩი ამ საშინელ საქმეს და დაღამდა თუ არა, ხანძარიო, დაიძახეს, და ნამძინარევი ფეხზე წამოვიჭერი. ცეცხლს მოეცვა ჩემი ლოგინის ფარდები, მთელი სახლი გიზგიზებდა. კინალამ ცეცხლში არ ჩავცვივდით ჩემი ცოლი, მსასური და მე, ძლივსღა გადავრჩით. მთელი სახლი განადგურდა, ყველაფერი დაიწვა, რაც კი მეზადა, სასოება დაეკარგე.

მიზეზს ნახავენ და შედეგსაც გამოძებნიან ხოლმე; მე ასეთი არა ვარ და არც მიფიქრია ჩემს უბედურებასა და მხეცობას შორის რაღაც კავშირი უნდა იყოს-მეთქი. ფაქტების ჯაჭვის შეკვრისას არ მინდა რომელიმე რგოლი გამომრჩეს. მეორე დღეს ნასანძრალზე მოვედი, ნანგრევებს დავხედავ-მეთქი. ყველა კედელი შიგნით ჩაქცეულიყო ერთის გარდა. ოთახის კედელი იყო ეს, თხელი, სახლის შუაში იდგა და ჩემი ლოგინის თავი სწორედ იმას იყო მიბჯენილი. ბევრგან გადარჩენოდა ცეცხლს ბათქაში, ასე გავიფიქრე, ახლახან შეუღლესიათ და ამიტომ-მეთქი. ამ კედელთან უამრავი ხალხი მოგროვილიყო და მრავალი თითქოსდა აღელვებული თვალს აღარ აცილებდა კედლის ერთ ნაწილს. ცნობისმოყვარეობა აღმიძრა ამ და სხვა და ამდაგვარმა წამოძახილებმა: „გასათყარია!“ „წარმოუდგენელია!“ მივედი და რას ვხედავ, კედლის თეთრ ზედაპირზე ბარელიეფივით გამოკვეთილიყო სხეული ვეებერთელა კატისა. მართლაცდა განსაცვიფრებელი იყო მსგავსება. ცხოველს კისერზე ბაწარი ჰქონდა შემოხვეული.

პირველად რომ ვიხილე ეს მოჩვენება — სხვა რაღა შეიძლება დავარქვა ამას — უსაზღვრო იყო ჩემი გაოცება და შიშის ზარი. მაგრამ ბოლოს კი მივხვდი ყველაფერს. კატა, ასე მახსოვდა, სახლის ახლორე, ბაღში ჩამოვკიდე. ხანძარი რომ გაჩნდა, ეს ბაღი იმწუთასვე ხალხივ გაივსო... ვილაცამ

თოკი გადაჭრა და კატა ღია სარკმელში ჩემსას შემოაგდო. ჩემი გაღვიძება უნდოდა ალბათ. კედლები ჩამოიქცა და მსხვერპლი ჩემი სისასტიკისა იმ ახლად შელესილ კედელს გააკრა; კირმა, ცეცხლმა და კატის გვამიდან გამოყოლილმა ammonia<sup>1</sup> სრულყოფილად წარმოაჩინა ის პორტრეტი, მე რომ ვიხილე.

სინდისზე ვერ ვიტყვი ამას და ჩემმა გონებამ კარგადაც ირწმუნა ზემოხსენებული მოსაზრება, და წვრილად აგიწერეთ კიდევაც, მაგრამ ამ ამბის შემდეგ დიდხანს ვერ მოვედი ჭკუაზე. თვეები გადიოდა და კატა აღარ მცვილდებოდა თვალ-დან; და ამ ხნის მანძილზე ისევ ვიგრძენი, თუმცა ბუნდად და არა ცხადლივ, სინდისის ქენჯნა. მერე და მერე მივტიროდი კიდევაც იმ ცხოველის დაკარგვას და ჭუჭყიან დუქნებში, სადაც ახლა დღე და ღამე დავესტებოდი, ვეძებდი სხვა კატას, იმის მსგავსი რომ ყოფილიყო და კიდევაც გამიწევდა იმის მაგივრობას.

ერთხელ ღამით, ერთ ასეთ უსაძაგლეს ფუნდუკში რომ ვიჯექი გამოლენჩებული, უცებ რაღაც შავი დავინახე, ამ დარბაზში აუარება არყისა და რომის კასრი ელაგა და ერთ-ერთის თავზე განრთხმულიყო. თვალს აღარ ვაცილებდი რამდენსამე წუთს და გოცებული ვიყავი, ამდენ ხანს როგორ ვერ შევნიშნე-მეთქი. მივედი და ხელი მოვკიდე. შავი კატა იყო, პლუტონსავით დიდზე დიდი და კიდევაც ძალიან ჰგავდა იმას. ოღონდ პლუტონის თეთრი ბეწვი ერთიც არ გამოჩნდებოდა, ამას კი ვეებერთელა, ჭუჭყიანი თეთრ-მონაცისფრო ლაქა დამჩნეოდა თითქმის მთელ მკერდზე.

შევეხე თუ არა, იმწუთასვე წამოდგა, ხმამაღლა დაიკნავლა, ხელზე მომეხასუნა, ნასიამოვნები ჩანდა ჩემი ყურადღებით. სწორედ ისეთი იყო, როგორსაც მე ვეძებდი. მომყიდე-მეთქი, ვუთხარი მეფუნდუკეს, მაგრამ იმან მომიგო, ისე წაიყვანე, არ ვიცი ვისია და არც მინახავსო აქამდე.

სულ ვეფერებოდი და სახლში წამოსვლა რომ დავაპირე, შევატყვე, ამეკიდებოდა, უსათუოდ. მართლაც, წამოვედი თუ არა, გამომყვა, არც გავწყრომივარ, ხანდახან დავიხრებოდი

<sup>1</sup> ამაკმა (ლათ).

კიდევაც და ხელს გადაუსვამდი. სახლში მოვედით და მაშინვე გაშინაურდა, თავს ევლებოდა ჩემი ცოლი, ისე მოეწონა.

ხოლო მე მალე ვიგრძენი, აღარ მსიამოვნებდა მისი დანახვა. პირიქით მოხდებოდა მეგონა. და არ ვიცი რად და როგორ იყო, რომ თუმცა ვხედავდი ამ ცხოველის ჩემდამი სიყვარულს, მაგრამ გულს მიმღვრევდა და მიწყალებდა. და ნელინელ, თანდათანობით ისიც ვიგრძენი, რომ ეს ჩემი გულის ამღვრევა და გაწყალება გულისავე გამომჭმელ ზიზლად გადაიქცა. გავურბოდი იმას, ის ჩემი დანაშაული არ დამეიწყებოდა, მახსოვდა ჩემი ადრინდელი სისასტიკე და ესლა მაკავებდა. რამდენიმე კვირა ისე გავიდა, ერთხელაც არ დამიკრავს, ბუზიც არ ამიფრენია მისთვის, მაგრამ თანდათანობით, თანდათანობით-მეთქი ისე გავხდი, რომ დავინახავდი თუ არა, სიძულვილით გონდაკარგული უხმოდ გავეცლებოდი ვითარცა ჭირიანს.

კიდევ უფრო გამიძლიერდა ეს სიძულვილი, რადგან სახლში რომ მოვიყვანე, მეორე დილით დავინახე, პლუტონსავით იმასაც ცალი თვალი ჰქონდა წამოგდებული. მაგრამ ამის გამო კიდევ უფრო შეყვარებოდა ეს ცხოველი ჩემს ცოლს, ვინც როგორც უკვე გითხარით, ისეთი გულთბილი, კეთილი და მრავალმოწყალე გახლდათ, როგორც მე ვიყავი ადრე და ამიტომაც მიხაროდა მაშინ სიცოცხლე.

რამდენადაც შემეჯავრებოდა მე ის კატა, იმდენად უფრო და უფრო ვხედავდი ჩემდამი იმის სიყვარულს. დღენიადაც კუდში დამდევდა ისეთი საარაკო გულმოდგინებით, რომ სრულად ვერ აგიწერთ ამ ამბავს. დავჯდებოდით თუ არა, იმწუთასვე ჩემი სავარძლის ქვეშ შემოძვრებოდა ანდა მუსლებზე შემომასტებოდა და დამიწყებდა ლაციცს, სწორედაც გულს მირევდა. ავდგებოდი და ფეხებში მედებოდა, ბევრჯერ კინაღამ წამაქცია კიდევაც ან ტანსაცმელზე ჩამომეკონწიალებოდა თავისი ბასრი კლანჭებით და ჩემს მკერდამდეც კი ამოძვრებოდა. და ამ დროს კი გამიელვებდა თავში, სულს გავაცხებინებ-მეთქი, მაგრამ არ ვშვრებოდი ამას, რადგან ერთწილ ის ჩემი დანაშაული მახსოვდა და, რაც მთავარია, ნება მიბოძეთ ახლავე ვაღიარო ეს, შიშის ზარი ამიტანდა ხოლმე.

ხსენებული შიშის ზარი არ იყო რაღაც უბედურების მოლოდინით გამოწვეული შიშის ზარი, ზუსტად მიჭირს ამ გრძნობის განსაზღვრა. და ახლა მრცხვენია კიდევაც აქ, ამ საკანში გამომწყვდეულს, იმ ცხოველის წინაშე ელდანაცემი და დაფეთიანებული ვრძწოდი და მიზეზი ისეთი სულ უბრალო ქიმერა გახლდათ, ვერც კი წარმოიდგენთ. ჩემს ცოლს არაერთგზის უთქვამს იმ თეთრი ლაქის შესახებ; თქვენ უკვე იცით, რომ მხოლოდ ეს იყო საცხადო განმასხვავებელი ნიშანი ამ უცნაურ ცხოველსა და პლუტონს შორის. მკითხველი გაიხსენებს, რომ ეს ლაქა ვეება იყო და თავდაპირველად ისეთს ვერაფერს შენიშნავდით ზედ; მაგრამ მერე და მერე, ნელ-ნელა გამოიკვეთა ის, რაიც ჩემს გონებას დიდხანს ვერ გაეთავისებია, გამოიკვეთა და სასტიკადაც ნათელი გახდა ჩემთვის; და მომაგონებდა იმ მოწყობილობას, რომლის სახელის ამოთქმა მზარავს, და სწორედ ეს იყო, რამაც ანწუსზე მაცვა, შიშის ზარი დამცა, ნ ე ტ ა ვ ი გ ა მ ე ბ ე დ ა, რატომ მაშინვე არ გავაქრე ის ურჩხული... ხოდა, ახლა საზიზღარ და შემზარავ საგანს მომაგონებდა-მეთქი — სახრჩობელსა.. ჰოი, ეს გულის მომკვლელი მანქანება უბედურებისა და შურისგების, წამებით სულის ამომხდელისა, სიკვდილისა

და ახლა, მართლაცდა, საცოდავთაგან უსაცოდავესი კაცი მე ვიყავი. რა გახდა ეს ოთხფეხი, პირუტყვი, რომლის მსგავსიც ზიზღით მოვსპე... ეს ოთხფეხი, პირუტყვი-მეთქი, რომელმაც აღარ გამასარა მე, ადამიანი, შექმნილი ღმერთის დარად და გამტანჯა ასე უმოწყალოდ! ვაი და ვაი! დღითაც და ღამითაც მოსვენება აღარ მქონდა! დღე იყო და ეს კატა ერთი წუთითაც არ მცილდებოდა; ღამე იყო და თავზარდაცემული ყოველ საათს მეღვიძებოდა, წამოვვარდებოდი ლოგინიდან და იმწუთას მომეახლებოდა ამ ჩემ მკვლელისა და მომწინებლის ცხელი სუნთქვა, ცხადლივ ვიგრძნობდი შეხებას ხორცმესხმული მოჩვენებისას, რომელსაც ვერა ძალა ვერ მოიცილებდა და რომელსაც სამუდამოდ დაემანთა ჩემი გული!

რა გაუძლებდა ამ ჯოჯოხეთს, სიკეთის ნიშანწყალიც კი აღიგავა საბოლოოდ ჩემი სულიდან და ბოროტი ფიქრების სათარეშოდლა გადავიქეცი, შავზე უშავესი და ავზე უავესი

შეიქნა ეს ფიქრები. ჩვეულებრივი ურვა-კაემანი გამიცხოველდა და ბოლოს სიძულვილად გარდაისახა, ყოველივე, მთელი კაცობრიობა შემძულვებოდა, და ახლა ხშირად, უეცრად და განურჩევლად წამოშივლიდა ხოლმე მძვინვარება და ვაი ბრმად ვეცემოდი ჩემს ცოლს, ამ კეთილ, სიტყვისუთქმელ, მრავალტანჯულსა და მოთმინე ქალს.

ერთ დღეს რაღაც დაგვჭირდა და იმ სახლის სარდაფში უნდა ჩავსულიყავით, სადაც ჩვენი სიღარიბისდა კვალად გვიხდებოდა ცხოვრება. ხოდა, იმ დაქანებულ კიბეზე რომ ჩავდიოდი, ის კატაც გამოშენთო, კინალამ კისერი არ მომატეხია, ცოფები მომერია. მრისხანებისაგან ჭკუადაკარგულმა ხელი ვტაცე ნაჯახს და ის ბაღურის შიშიც გამიქრა, სულ რომ მაკავებდა. აქამდე; ეს დარტყმა, რაღა თქმა უნდა, კიდევაც მოუღებდა ბოლოს ამ ცხოველს, ჩემი სურვილიც ხომ ეგ იყო. მაგრამ ცოლი ხელში მეცა და შემაჩერა. მთლად გააღმასებული, ეშმაკ კი ვერ განრისხდებოდა ასე, დავუსხლტი იმას იმწამსვე და თავში დავუშვი ნაჯახი. ველარც კი დაიკვნესა, იქვე დაეცა და გათავდა.

მაშინვე თავი დავიოკე ამ მურღალი მკვლელობის შემდეგ და ფიქრი დავიწყე, გვამი როგორ და სად დავმალო-მეთქი. ვიცოდი, რომ სახლიდან ვერ გავიტანდი ვერც დღითა და ვერც ღამით, მეზობლებისა მეშინოდა. ბევრი გეგმა მომივიდა თავში. ჯერ ვიფიქრე, ასო-ასო ავქნი მთელ სხეულს და ასე ნაწილ-ნაწილ დავწვავ-მეთქი. მერე ვთქვი, სამარეს სარდაფში გავუთხრი-მეთქი, ერთი ჭაც გაძახსენდა ეზოში, იქნებ, აჯობებდა იქ ჩამეგდო ან სულაც ყუთში ჩამედო და დამებეჭდა, ვითომ გასაყიდად ვაგზავნიდი რამეს და ისე გავატანიებდი სახლიდან. დაბოლოს ეს ავარჩიე, სარდაფის კედელში უნდა ჩაბეტანებინა გვამი, შუა საუკუნეების მონაზვნები ასე მალავდნენ თავიანთ მსხვერპლს.

კარგადაც გამოდგებოდა ეს სარდაფი ამ მიზნისათვის. მისი კედლები უმტიციოდ იყო ნაგები და სწორედ ახლა'ან უხეშად შეელესათ, ხოლო სარდაფის სინესტის გამო სულაც არ იყო გამომშრალი. უფრო მეტიც, ერთი კედელი ცოტათი ჩაღრმავებული იყო, თითქოსდა რაღაც უსაკვამურო ბუხრის მსგავსი თუ ცეცხლის დასანთები ადგილი გაეკეთებინათ,

შემდეგ აგურებით ამოეშენებინათ და დანარჩენებისაგან ველარ გამოარჩევდით. ამ აგურებს სულ ადვილად გადმოვაწყობდით, გვამს მოვათავსებდით შიგნით და იმ კედელს ძველებურადვე ავაგებდით, ვერც ველარავინ შეამჩნევდა რამე საეჭვოს.

ყველაფერი გამოვთვალე და არც შევმცდარვარ. ძალაყინით აგურების ამოგდება არ გამჭირვებია, ფრთხილად მივაყრდნე ქალის სხეული იმ კედლის შიდა მხარეს, გავამაგრე კიდევაც ასე მდგარი და სულ მალე ის კედელი ავაშენე ადრინდულად. კირი, ქვიშა და ბუწუნები ერთმანეთში ავურიე, ზუსტად ისეთივე ხსნარი მოვამზადე და ისე შევლესე ის ხელახლა აგებული კედლები, რომ ძველისგან ვერც კი გაარჩევდით. დავამთავრე თუ არა ეს სამუშაო, ფრიად კმაყოფილი დავრჩი, აღარაფრის შიში არ უნდა მქონოდა, თითქოსდა იმ კედლისთვის ხელიც არავის დაეკარებოდა. იატაკიც ფრთხილად და გულმოდგინედ გამოვხვეტე. საზეიმოდ მიმოვიხედე ირგვლივ და ასე ვთქვი გულში, ჩემს შრომას აქ ტყუილად არ ჩაუვლია-მეთქი.

მოვრჩი ამ საქმეს და ახლა კი ის ცხოველი უნდა მომეძებნა, რა ჯოჯოხეთი არ გამოვიარე მისი გულისთვის; ასე ვფიქრობდით, დავიჭერ და სულსაც გავაცხებინებ-მეთქი. იმ წუთსაც რომ დამენახა, რაღა თქმა უნდა, ცოცხალი ვერ გადამირჩებოდა. მაგრამ ის ეშმაკის ფეხი უკვე მერიდებოდა ასეთი საშინელი გუნება-განწყობილების მქონე კაცს. ვერ აგიწერთ, ანუ სრულად ვერც წარმოიდგენთ, რა ნეტარებას ვგრძნობდით, როდესაც ის საბაგელი კატა აღარსად ჩანდა, სული მოვითქვი. ღამითაც აღარ გამოჩენილა, დაბოლოს, ისე დამიღამდა იმის ჩემს სახლში მოყვანის შემდეგ, რომ გულის ძილით დამეძინა, მაინც დამეძინა-მეთქი მე, მკვლელს.

მეორე და მესამე დღე ასე გავიდა და ის ჩემი სულის ამომხდელი არ გამოჩენილა. დაბოლოს, ისევ გადამეყარა გულიდან დარდი. იმ ურჩხულს თავზარი დაეცა და გამეცალა, გადაიკარგა მუტი რაღა მინდოდა! ზეცის კარი გამეხსნა! ცოტათიღა მიმღვრევდა გულს ის ჩემი საზარელი დანაშაული. რამდენიმე კითხვა მომცეს და მეც პასუხი მზად

მქონდა. ჩხრეკაც მოაწყვეს და, რაღა თქმა უნდა, ველარაფერი ნახეს. აღარაფერი ემუქრებოდა ჩემს ბედნიერ მომავალს.

მეოთხე დღეს ამ მკვლელობიდან სულ მოულოდნელად რამდენიმე პოლიციელი მოვიდა, შემოვიდნენ და ისევ მოჰყვნენ ჩხრეკას. ვიცოდი, რომ იმ საიდუმლო ადგილს ვერ მიაგნებდნენ, გული საგულეს მქონდა. ჩვენ კიდევ დავძებნით და შენც ჩვენთან უნდა იყო, მითხრეს იმათ. კუთხე-კუნჭული არ დაუტოვებიათ უნახავი. დაბოლოს, მესამედ და მეოთხედაც იმ სარდაფში ჩავიდნენ. წარბიც კი არ შემიხრია, გული მშვიდად მიცემდა, ვითარცა ნეტარი ძილით მძინარეს. სარდაფში გავიარ-გამოვიარე. მკერდზე ხელებგადაჯვარედინებული დინჯად დავაბიჯებდი, პოლიციელებს რაღა უნდა ექნათ, წასვლას აპირებდნენ. ისე ვიყავი სიხარულით აღფრთოვანებული, რომ ველარ შევიკავე თავი. ზეობის მწვერვალს მიტანებულს ერთი სიტყვა როგორ არ უნდა მეთქვა, კიდევ უფრო დარწმუნდებოდნენ, უდანაშაულოა ეს კაცი.

— ბატონებო, — ასე ვთქვი ბოლოს, როდესაც ისინი უკვე კიბეზე ავიდნენ, — მიხარია, რომ საეჭვო აღარაფერი დაგრჩათ. ჯანმრთელობას გისურვებთ და ცოტა კიდევ — თავაზიანობასაც. სხვათა შორის, ბატონებო, ეს... ეს სახლი კარვადაა აშენებული (რაღაც მინდოდა წარმომეთქვა ლაღად და თავისუფლად, და ველარ მოვთოკე თავი, არც კი მესმოდა, თუ რას მივედ-მოვედებოდი), მე გეუბნებით, რომ ეს სახლი მშვენიერადაა აშენებული. ხოდა, ეს კედლებიც... თქვენ უკვე მიდიხართ, ბატონებო?... ეს კედლები-მეთქი მკვიდრადაა აგებული. — და აქ თამამად და რიხიანად რამდენიმეჯერ მაგრად დავკარი ხელჯოხნი კედლის სწორედ იმ ნაწილს, სადაც გვამი იდგა ჩემი სანდომ-საყვარელი ცოლისა.

მიშველის ღმერთი და ეშმაკების ხელმწიფის კლანჭებისაგან გამომიხსნის! მინელდა თუ არა იმ ჩემი ჯოხნის ხმა, რომ პასუხიც მოისმა სამარიდან — ჭყვივილი იყო, პირველად ჩუმი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი, მსგავსი ბავშვის ტირილისა და სულ მალე მიიქცა ხანგრძლივ, ხმამაღალ და გაუთავებელ ყმუილად, გამოღვინებული, არაადამიანური იყო ეს ხმა; პირ-მონხეული კივილი, ღრიალი, ზრინვა, რომელშიაც ერთად შერ-



თულიყო ზარცა და ზეიმიც, ჯოჯოხეთიდან თუ ამოვიდოდა ასეთი ხმა, როდესაც ცოდვილთ აღმობდებოდათ უსაზარლესი გმინვა და ეშმაკნი ბანს მისცემენ სიცილ-ხორხოცით.

თუ რა დამემართა, რაღა სათქმელია, თითქოსდა გონდა-კარგული, ბარბაცით, უკან, კედელს მივაწყდი. შიშითა და ზარით ტანზე ეკალი აესხათ კიბეზე მდგარ ხალსს. მერე კი მიცვივდნენ იმ კედელს და ჯაჯგური დაუწყეს. ჩამოიქცა. კარგა მაგრად იყო უკვე შეპაალი ის სისხლშედედებული გვამი, გამართული იდგა იმათ თვალწინ, იმის თავზე კი, პირ-სისხლიანი და ცალთვალაბრიალებული, ის წყეული მხეცი წამოსკუპულიყო, სწორედ იმის მზაკრობამ გამხადა მკვლე-ლი და იმის ყოვლისმაუწყებელმა ხმამ ჯალათს მიმცა. ამ ურჩხულზეც მიმეშენებინა თურმე კედელი იმ სამარისა!

## ბულ(-გამს)ქმელი

დიხაცა ვიყავი და ვარ კიდევ ნამეტნავად, ნამეტნავად ნერვული, მაგრამ ახლა არა თქვათ, გიჟიან ეს კაცი. ავადობამ კი არ დამიჩლუნგა და შემბიშუსრა, პირიქით, მთლად ამილესა გრძნობები. ყურთასმენა გამიხდა უფრორე მახვილი. ყველაფერი მესმის ცისა და ბარის, ბევრი — ჯოჯოხეთისაც. რის გიჟი, რა გიჟი? აბა, ყური მიგდეთ, რა სალად, რა დალა-გებით გიამბობთ მთელ ამბავს!

ზუსტად ვერ გეტყვით, როდის მომივიდა თავში ეს აზრი, მაგრამ რომ გამიჯდა, აღარც დღისით მომშვებია, აღარც ღამით. თავად ის რა შუაში იყო, გასაყოფი მასთან რა მქონ-და, რამე უსიამოვნებაც არ მომსვლია, თავისებურად მიყვარდა კიდევ ის მოხუცი კაცი. ჩემთვის არასოდეს უწყენინებია, არც შეურაცხყოფა მოუყენებია არასოდეს, არც იმის თქრო მომსურვებია. ყველაფერი მისი თვალის გამო მოხდა მგონია... ჰო, ასეა სწორედი სვავისას მიუგავდა ერთი, ბუნდი, ცინ-ფერი, ბისტმოდებული. მომაჩერდებოდა და გავხვედებოდი შექრწუნებული. თანდათან, ცოტცოტაობით მოვედი აზრზე,

სიცოცხლეს მოვუსწრაფებ მოხუცს და ასე სამარადისოდ ამ თვალს თავს დავაღწევ-მეთქი.

ხოდა, აი რა — ფიქრობთ, რომ კიყი ვარ. გიჟს კი რა მოეკითხება. მაგრამ აბა ერთი ჩემთვის შეგეხებათ, რა ბრძნულად, რა ფრთხილად, რა შორსმჭვრეტელობით, რა თავის მოკატუნებით შევუდექი ამ საქმეს! მთელი კვირა მკვლევლობამდე ისეთი მოკრძალებული და თავაზიანი ვიყავი მოხუცთან, როგორც არასდროს ვყოფილვარ. ყოველ ღამე, ასე, შუაღამის მოწევნამდე, გადავატრიალებდი კლიტეს და შევადებდი კარს — ჰოი, რა ნაზად! თავი რომ შეეტეოდა, იმდენზე გაიღებოდა და ჩაბნელებულ, ყოველი, ყოველი მხრით ჩამოხურულ, მთლად სხივგამოუღწეველ ფარანს შევყოფდი ჯერ და მერე თავს. ჰოი, რა მოხერხებულად ვაკეთებდი ამას, ერთი გენახათ და გაგეცინებოდათ! ნელა, სულ, სულ, სულ ნელა, მოხუცს ძილი არ დავუფრთხო-მეთქი. საათს მოვუნდებოდი, ვიდრე თავს სრულად შევყოფდი კარის ღიობში და დავაცქერდებოდი ლოგინში მწოლს. რაო! გინახავთ სადმე ასეთი გონებაბრძენი გიჟი? მერე მოვადებდი ფრთხილად, ფრთხილად... ჰოი, რა ფრთხილად (რადგან ხმიანობდა ანჯამა). იმდენად მოვადებდი ფარანს, რომ წვრილი სხივიღა მოხვედროდა სვავისებრ თვალს. შეიდი ღამე ზედიზედ სწორედ შუაღამით შევადებდი კარს, მაგრამ სულ დახუჭული ჰქონდა თვალი და ეს საქმე აღარ მოგვარდა, რადგან თავად მოხუცი კი არა, მისი ავი თვალი მაცოფებდა. ყოველ დილაბინდზე მოხუცთან შევდიოდი თავდაჯერებული, მხნედ გაუბამდი საუბარს, სახელს დავუძახებდი, გულიანად გამოვკითხავდი, ღამე როგორ მოისვენეთ-მეთქი. ძალიან გამჭრიახი გონების პატრონი უნდა ყოფილიყო ის კაცი, ეჭვი რომ აეღო — ყოველ ღამე, ზუსტად თორმეტ საათზე მითვალთვალეზსო მძინარეს.

მერვე ღამეს ჩვეულებრივზე უფრო ფრთხილად შევადე კარი. წუთის საზომი ისარი იქნებოდა უმაღესი, ვიდრე ჩემი ხელი. აქამომდე არასოდეს მიგრძენია ასეთი ძალამოსილობა, ასეთი გამჭრიახობა, გონისა. სიხარულით ცათაფრენა-ფემდგარი ძლივსღა ვიოკებდი თავს. კარს ნელ-ნელა ვადებდი, ეს კაცი რას მიხვდება, სიზმარშიც ვერ მოუვა აზრად ჩემი იღუმალის ზრახვა და ჩანაფიქრი-მეთქი, გავიფიქრე ეს

და ჩავიხიხით. ლოგინში შეწრიალდა ელდანაკრავივით, კიდევაც გაიგონა, მგონია, და იმიტომ, იმწუთას უკან გამოვარდებოდაო ეს კაცი — ამას გაივლებთ გულში. არა, ბატონო, მთლად განუჭვრეტელი ბნელ-უკუნეთი ჩამოწოლილიყო მის ოთახში (დარაბები მაგრად მიეხურათ ქურდების შიშით), ველარაფერს შენიშნავს-მეთქი და ნელ-ნელა ვალებდი კარს.

თავი შევყავი და ის იყო უნდა გამეხსნა ფარანი, რომ შუათითი მომისხლტა სამაგრს და საწოლზე წამოიჭრა მოხუცი ყვირილით: „ვინ არის?“

გავყუნდი, ხმა არ ამომიღია. მთელი საათი არც კი შევტოკებულვარ, მთელი ეს ხანი არ გამიგონია მისი დაწოლის ხმა. ლოგინზე იჯდა სმენად ქცეული, ზუსტად ასევე მე დამლამობით ყურს ვუვადებდი კედელში რკილის ხმაინობას.

ჩუმი კენესა ჩამქსმა უცებ. საშინლად დაშინებული კაცი-სა შევიცანი. ტკივილით გახელებულის ან შეჭირვებულის კი არა, ჰოი, უფრორე ჰგავდა შიშნაჟამის ბუნდ, სულის სიღრმიდან ამოღწეულ კენესა-გმინვას! კარგად ვიცნობ ამ ხმას. სშირად, სწორედ შუალამით, ქვეყანას რომ სძინავს, მკერდის წიაღით მრავალგზის ამომხდომია შემზარავ ექოდ სასოწარკვეთილი შიშის ზარი. კარგად ვიცი-მეთქი, ვამბობ, ვხვდები მოხუცის განცდებს, მებრალება, თუმცა გულში კი ვხითხითობ. ისიც ვიცი ჩუმი ხმაური რომ ჩაესმა პირველად და ლოგინში შეწრიალდა, მას მერე სულ მღვიძარეა ეს კაცი. სულ მეტად და უფრო იზაფრებოდა. ცდილობდა, როგორმე დაეჯერებინა თავი, უსავნოაო ეს შიში, მაგრამ ამაოდ. გულში ასე გაივლებდა: „რა უნდა იყოს, სადღაც თავგმა გაიფანუნა თუ ქარმა გაიშრიალა ბუხარში“: ანდა, „ჭრინჭინობელამ ხმა გაიღო და მეტი არაფერი“. დიახ, ასე ლამობდა თავის დამშვიდებას. სულ ამაოდ. სულ ამაოდ. რადგან მსხვერპლს უკვე წამოპარვოდა, თავს დადგომოდა სიკვდილის შავი აჩრდილი. თვალთუხილავად, უჩუმრად შეიგრძნობდა სევდის ნათებას ჩემი უჩინარი ჩრდილისა და მგრძნობდა ოთახში.

მთლად სმენად ქცეულს, უსაშველო ლოდინის ჟამს მისი დაწოლის ხმა არ გამიგონია და გადავწყვიტე, მომელო მცირედ... სულ, სულ მცირედ ფარნის სანათებელი. მოვადე... ვერც კი წარმოიდგენთ, რა ნელინელ, რა ნელინელ, ვიდრე

ბოლოს ერთი მქრქალი, აბლაბუდას ძაფის სისხო სხივი არ გაუსწორდა მის სვავისებრ თვალს.

დაეჭყიტა, დიდზე და ფართოდ დაეჭყიტა, და ბრაზი წამეკიდა ამის დამნახველს. ცხადად, ნათლად ვხედავდი შესაზიზღარ, ლიბრგადაკრულ მრუმე ცისფერს, შიშის ზარმა დამიარა მთელ ტანში, თვალილა ჩანდა. მეტი არაფერი, აღარც სახე და აღარც სხეული მოხუცისა, რაკილა თითქოსდა გუმანით სწორედ ამ დაწყევლილ წერტილს გავესწორე ფარნის სხივი.

აღარ გეტყვით, ხომ იცით უკვე, როგორ ცდებით, გიჟი რომ გგონივართ ასეთი ცხოველი გრძნობების კაცი. ხოდა, მისმინეთ, ჩუმი ხმიანობა გავიგონე, ასეთს ბამბაში შეხვეული საათი თუ გამოსცემს, კარგად ვიცი, რაც არის, გული უფეთქავს მოხუცს. მთლად გამაცოფა ამან, ასე მოჰყავს მეომარი ბრძოლის ჟინზე დოლის ცემას.

მაგრამ ახლაც შევიკავე თავი, გავისუსე, ფარანი არ შემიტოკებია, სულ იმის ცდაში ვიყავი, თვალისთვის არ მომეცილებინა სხივი. მატულობდა ამ დროს ჯოჯოხეთური დოლის ცემა — ხმაური გულისცემისა. ყოველ წამს უფრო მალი, სულ უფრო მალი და ძალუმი ხდებოდა. ასევე უნდა აზვირთებულყო მოხუცის შიში! ძალუმიად და უფრო ძალუმიადმეთქი ყოველ წუთს! ყურს ხომ კარგად მიგდებთ. უკვე გითხარით, ნერვული ვარ-მეთქი — დიახაც! ამჟამად, ღამის უკუნეთში, ძველი სახლის შემზარავ მდუმარებაში სული ძლივსლა მეჭირა კბილით. კიდევ დიდხანს შევიკავე თავი, წყნარად ვიყავი. მაგრამ ძალუმიად სცემდა, სულ ძალუმიად! აჰა და გული გაუსკდება-მეთქი. ახლა იმან გამახელა, ვაითუ მეზობლებმა ეს ხმაური გაიგონ-მეთქი. ხაფი ღრიალით სრულიად გადავხსენი სანათებელი და ოთახში შევიჭერი. მოვიდა მოხუცის აღსასრული. ერთხელ, ერთილა შეჰყვირა მხოლოდ. გადმოვითრიე იმწუთას და ვეებერთელა ლოგინი ზედ გადმოვამხე. მოსახდენი რაკილა ხდებოდა, სიხარულის ღიმი მომივიდა. მაგრამ კიდევ დიდხანს უცემდა გული. მერე და რა, ეს მე აღარ მალელვებდა. კედლებში არ გაატანდა ამ კაცის გმინვა. დაბოლოს მიჩუმდა. გათავებულყო მოხუცი. ლოგინი გადმოვატრიალე, და გვამი გავსინჯე. დიას, ქვა-

სავით, ქვასავით იღო მკვდარი. კარგა ხანს მედო ხელი იმის მკერდზე, გული აღარ უცემდა. ქვასავით იღო მკვდარი, ქვასავით, ველარაფერს დამაკლებდა აწი მისი თვალი.

თქვენ კიდევ გიჟი გგონივართ? ცოტა ხანილა იქნებით ამ აზრზე, ვიდრე გიამბობთ, თუ რა ბრძნული სიფრთხილით გადავმალე გვამი. ღამე ილეოდა, სწრაფად, ოღონდ ჩუმად კი ვმუშაობდი.

სამი ფიცარი ავაძრე ოთახის იატაკს, გვამი ჩავდე კოჭსა და კოჭს შუა, მერე ისე მოსერხებულად მოვარგე ფიცრები, ვერც რას შენიშნავდა კაცის თვალი, თვით იმისი თვალიც. მორეცხვაც არ უნდოდა, აღარაფერი, სისხლის წვეთიც არ დარჩენილიყო სადმე. ჩემი სიფრთხილის პატრონს აბა რა შემეშლებოდა.

ოთხი იქნებოდა, როცა მოვრჩი ამ საქმეს, მაგრამ შუალამის უკუნეთი იდგა, ირგვლივ. საათმა როგორც კი დაჰკრა, სადარბაზო კარზე დააკაკუნეს. ჩავედი და მშვიდად გავაღე, ახლა რისი უნდა შემშინებოდა? სამი მოკრძალებული მამაკაცი შემოვიდა, პოლიციიდან ვართო, თურმე ამ ღამით მეზობელს გაეგონა, რაღაც ყვირილი. ვაითუ რამე უბედურება მოხდაო და სადაც ჯერ არს, იქ შეუტყობინებია, ესენი კი (სამი პოლიციელი) მოსაკვლევად გამოეგზავნათ.

გავუღიმე, შესაშინებელი რაღა უნდა მქონოდა? სალამიმეთქი, ბატონებო. სიზმარეულმა ეს მე დავიყვირე. მოხუცი, ისე, სხვათა შორის ვახსენე, სოფელში წავიდა-მეთქი. მთელი სახლი შემოვატარე. ყველაფერი კარგად, კარგად ნახეთ-მეთქი. დაბოლას იმის ოთახში შეეუძებნი. იმისი ქონება ვაჩვენე, უკლებლივ, მთელი და ხელუხლებელი. ჩემი გამბედაობით აღფრთოვანებულმა სავარძელი შემოვიტანე, აქ მოისვენეთ, დალლილ-დაქანცული იქნებით-მეთქი. ზარზეიმური გრძნობით მოცულმა ჩემი სკამი დავდგი სწორედ იმ ადგილას, სადაც ჩავდე მსხვერპლის გვამი.

დაკმაყოფილდნენ, დააჯერა ისინი ჩემმა დახვედრამ. მშვენივრად ვთამაშობდი. დასხდნენ და სულ მოცინარ-მოლიმარი რომ ვპასუხობდი, თავადაც გამართეს მუსაიფი. მაგრამ მკვდრისფერი დამედო რამდენიმე ხნის შემდეგ, ვაიმე, ჩქარა წაშავდნენ-მეთქი. თავბრუ დამესხა, ყურში რაღაცა

ზარივით ჩამესმა; მაგრამ კვლავ ისხდნენ საუბრით გართულნი. მეტად და უფრო ნათლად გავიგონე რეკვა... აღარ შენელებულა და უფრო გამოკვეთილად გაისმა. მთლად ენად გავიკრიფე, იქნებ, ამეხსნას ეს ჯადო-მეთქი. აღარ შენელებულა და უფრო მკაფიოვდებოდა... და მივხვდი, არ მომჩვენებოდა ეს ხმა.

ცხადია, გადავფითრდი... მაგრამ მაინც ვქაქანებდი გაუთავებლივ, უფრო და უფრო ავუწიე ხმას. ის ხმაც მატულობდა... რა წყალში გადავვარდნილიყავი? ძლივს გასაგონი, ბუნდი, მალი ხმაურობა... ბამბაში შესხვეული საათი რომ გამოსცემს, ისეთი. სუნთქვა შემეკრა... იმათ კი არაფერი ესმოდათ. ვებედობდი თავგადაკლული... მთლად გაშმაგებული. მაინც განუწყვეტლივ მატულობდა ეს ხმა. წამოვხტი და რაღაცეებს მივედ-მოვედებოდი ხელების მქნეველი, თითქმისდა აღრიალებული... მაინც მატულობდა ხმაური. რად არ მიეთრეოდნენ? დავძრწოდი აქეთ-იქით, მძიმედ და დიდზე ვადგამდი ფეხს, თითქოსდა ცეცხლი წამკიდა ამ ხალხის ცქერამ... მაინც მატულობდა ეს ხმიანობა. რა წყალში უნდა გადავვარდნილიყავი, ღმერთო! სვითქი გადამასკდა... ვბოლავდი... ვიგინებოდი, სკამიანად ვწრიალებდი, ფსაკაფხუკი გამქონდა იმ ფიცრებზე. მაგრამ ყოველივე ჩაეხშო ამ ხმას და მატულობდა კვლავაც. მოუმატა... მოუმატა... მოუმატა! მაგრამ ეს ხალხი, ვითომცდა აქ არაფერი, მასლაათობდა, იცინოდა, ნუთუ არაფერი ესმოდათ? ღმერთო დიდებულო!.. არა, არა! გაეგოთ!... ეჭვი აედოთ!.. დამცინოდნენ! სასაცილოდ გაეხადათ ჩემი ტანჯვა!.. ასე გავიფიქრე მაშინ და ახლაც ასე ვფიქრობ, ყველაფერი მერჩია ამ წამებას! კაცი რას არ აიტანს, მაგრამ ასეთ აბუჩად აგდებას — არა! იმათ იქედნურ ღიმილს როგორ გავუძლებდი! გავთავდებოდი და ის იქნებოდა, რომ არ მეღრიალა!.. და მაშინ!.. სუ!.. მოუმატა! მოუმატა! მოუმატა! მოუმატა!..

— მხეცებო — დავიყვირე, — თავს ნუ იკატუნებთ, ვალიარებ — მე მოვკალ!.. აყარეთ ფიცრები!.. აქ.. აი, აქა სცემს მისი წყეული გული

„— ყური მიგდე, — თქვა დემონმა და თავზე ხელი დამადო, — ლიბიის სევდიან მხარეს, მდინარე ზაირის სანაპიროზეა ეს მხარე, რომლის შესახებაც უნდა გიამბო, და არც სიწყნარეა აქ და არც სიჩუმე.

წყალი ამ მდინარისა რალაც ავადმყოფური ზაფრანისფერია და ზღვისკენ არც მიედინება, სულ მუდამ ფეთქავს და სულ მუდამ მიელტვის აღისფერ თვალს მზისას აზვეებული და ათრთოლებული. მდინარის შლამიანი კალაპოტის ორივე მხარეს მრავალ მილზე მიჰყვება ფერმკრთალი ტევრი ვეება წყლის შროშანებისა. ამ უდაბურ ადგილას დავანებულნი ხვნიშით უწვდიან ცარგვალს მაღალ, უფერულ ყელებს და დღენიდაგ ერთმანეთს უკრავენ თავს. ბუნდი ჩურჩული მონისმის მათი ვითარცა ფშვინვა წყლისა მიწისქვეშეთში. ხვნიშით შესცქერიან ერთიმეორეს.

მაგრამ ამ სამეფოსაც აქვს თავისი ზღუდე — უღრანი ტყე, ბნელით მოცული, შესაზარელი, როგორც ზღვის ჭავლები ჰებრიდის კუნძულებთან, ისე გაუთავებლივ ფრთხილუნებს აქ ბუჩქნარი, თუმცა კი ნიავიც არ იძვრის ამ ცისქვეშეთში. ზათქითა და გრუსუნით ბორგავენ სულ მუდამ ათასწლოვანი ბუმბერაზი ხეები. იმათი წვეროებიდან ერთიმეორის მიყოლებით მარადჟამს იფრქვევა ცვრის წვეთები. იმათ ძირებთან დაუსრულებლივ თვლებენ საკვირვლად დახვეული შხამიანი ყვავილები. ლეგა ღრუბლები სულ ერთთავად მიიგრანებიან დასავლეთისაკენ, ვიდრე ზრიალით ჩანჩქერივით არ გადავლენ ჰორიზონტის ცეცხლოვან კედელს. თუმცა კი ნიავიც კი არ იძვრის ამ ცისქვეშეთში. და ნაპირნი მდინარე ზაირისა არ არიან მოცულნი სიწყნარითა და სიჩუმით.

ღამე იყო და წვიმდა; წვიმა წვიმდა, მაგრამ სისხლად იღვრებოდა მიწაზე. და მე ვიდექი იმ ჭანჭრობში მაღალ შროშანებს შუა და თავზე მაწვიმდა — ხვნიშოდნენ შროშანები ერთიმეორისკენ გადახრილები, დანთქმულნი ამ ზარზეიმურ მარტოობაში.

და უცებ იმ მკვდრისფერ და გამჭვირვალე ნისლში მთვარე გამოჩნდა მეწამულისფერი. მდინარის სანაპიროსთან

რუხი ფერის სალ კლდეს ვკიდე თვალი, მთვარის შუქით განათებულს. რუხი მკვდრისფერი იყო ის სალი კლდე, რუხი ფერის კლდე რაღაც წარწერითურთ და შროშანებით შეფენილი ჭანჭრობი გამოვიარე, მოვუახლოვდი ნაპირს, რათა ამომეკითხა ის წარწერა, მაგრამ ვერც ვერაფერს გავხდი, უკანვე დავბრუნდი იმ ჭანჭრობში და ახლა უკვე წითლად ბღღვრიალებდა მთვარე. მივტრიალდი და კვლავ შევხედე იმ კლდესა და იმ წარწერას და ასე ამოვიკითხე — ბაშდაბურება.

ავიხედე და კაცი დავინახე კლდის წვეროზე მდგარი და იმ შროშანებში შევიმაღე, დავუდარაჯდები-მეთქი იმ კაცს. ტანასვეტილი, დიდებული ანაგობისა იყო, თავით ფეხამდე ძველ რომაულ ტოგაში გახვეული. ბუნდადღა ჩანდა მოყვანილობა იმისი სხეულისა, მაგრამ ნაკვთები სახისა ღვთაებრივი ჰქონდა, და ღამის სიშავემ, ნისლმა, მთვარემ და ცვარმა აღარ დამალა ნაკვთები მისი სახისა. ფიქრები მოხდენოდა, აემალლებინა მისი იერსახე, წარუვალი ურვა ჩაბუდებულიყო მის თვალებში და ამის მცირეოდენ ნაოჭებში ამოვიკითხე ამბავი კაეშანისა, დაღლილობისა, სიძულვილი ადამიანის მოდგმისა, წყურვილი მარტოობისა.

კლდეზე ჩამოჯდა ის კაცი, თავი ხელზე დააყრდნო და უმზერდა გაუდაბურებას, უმზერდა ქვემოთე მოჩურჩულე ბუჩქნარს, ათასწლოვან ბუმბერაზ ხეებს; ზემოთე მოგორუსუნე ცარგვალს და იმ მეწამულისფერ მთვარეს. და მე კი იმ შროშანებში ჩამალჯლი და დადარაჯებული შევცქეროდი იმ კაცს. და ათრთოლებულიყო ის მარტოსული კაცი, ღამე ილეოდა და ის ისევ იჯდა იქ, იმ კლდეზე.

ცარგვალს მოაცილა მზერა იმ კაცმა, დახედა სევდით მოცულ მდინარე ზაირს, იმის მკედრისფერ, ბაიასფერ ტალღებსა და ფერმკრთალ ტევრს წყლის შროშანებისას, და ყური მიუგდო კაცმა ხვნეშას წყლის შროშანებისას, იმათ შორის ატეხილ ჩურჩულს. მე კი ჩაჩუმქრული ვიყავი სამალავში და დადარაჯებული შევცქეროდი იმ კაცს. და ათრთოლებულიყო ის მარტოსული კაცი — ღამე ილეოდა და ის ისევ იჯდა იქ, იმ კლდეზე.

მერე მე დავუყვი ქვემოთ იმ ჭანჭრობს, ჩავყევი შორს



შრომანების ტევრს და ჰიპოპოტამებს მოვუხმე, მცხოვრებთ იმ ლაფში, ჭანჭრობის ბინადათ. და ჰიპოპოტამებმა გაიგონეს ჩემი ძახილი, წამოვიდნენ, მოვიდნენ ბეჭემოტიურთ იმ კლდის ძირას და შექმნეს შემზარავი, გულის გამხეთქი ღრიალი ამ მთავრისქვეშეთში, მე კი ჩაჩუმქრული ვიყავი იმ სამალავში და დადარაჯებული შევცქეროდი იმ კაცს. და ათრთოლებულიყო ის მარტოსული კაცი — ღამე ილეოდა და ის კი ისევ იჯდა იქ, იმ კლდეზე.

მაშინ კი დავწყევლე დიდითა წყევლით მშფოთავნი ძალნი; და შესაზარი ქარიშხალი მოევლინა ზეცას, სადაც აქამომდე ქარიც არ ყოფილა. ქარიშხალმა გააფთრებით მოხაზა ზეცა და წვიმამ დასცხო იმ კაცს თავზე, მდინარე აზვირთდა, აბობოქრდა, აყეფდა დუქმორეული — კივილი აღმოხდა წყლის შრომანებს — და ტყე ზანზარებდა ქარის კვეთებისაგან — ჭექა-ქუხილი ატყდა — ელვამ დასერა არემიდამო — ფუბე შეარყია მაღალი კლდისა. მე კი ჩაჩუმქრული ვიყავი სამალავში და დადარაჯებული შევცქეროდი კაცს. და ათრთოლებულიყო ის მარტოსული კაცი — ღამე ილეოდა და ის ისევ იჯდა, იქ, იმ კლდეზე.

მაშინ კი მთლად გამძვინვარებულმა დავწყევლე დიდი წყევლითა, სიჩუმე მოევლინოს-მეთქი იმ მდინარეს, იმ შრომანებს, იმ ქარს, იმ ტყეს, იმ ზეცას, იმ ჭექა-ქუხილს, ხვნიშას იმ წყლის შრომანებისას. და დაწყევლილნი შეიქმნენ ისინი და მდუმარენი. მთვარე აღარ მიცოცავდა ცარგვალზე — ჩაკვდა ჭექა-ქუხილი — ელვა ჩაივსო — ღრუბლები უძრავად გაირინდნენ — წყალი უკანვე გაქანდა და განერთხა — როკვა შეწყვიტეს ხეებმა, წყლის შრომანები აღარ ხვნიშოდნენ და ჩურჩული აღარ ისმოდა იმათ შორის, ჩქამსაც ველარ გაიგონებდით იმ დიდ და უსაზღვრო უდაბურ მხარეში. გავხედე იმ კლდის წარწერას, შეცვლილიყო თურმე, წარწერა ახლა გვამცნობდა — სიჩუმე.

და მზერა მივაპყარი სახეს იმ კაცისას, შიშის ზარით გაფითრებულიყო მისი სახე, მაღლიად თავი აიღო, წამოდგა ზეზე, კლდეზე გაიმართა და ყური მიუგდო. მაგრამ ჩამიჩუმი აღარ ისმოდა იმ დიდ და უსაზღვრო უდაბურ მხარეში, და ამას გვამცნობდა წარწერა იმ კლდისა — სიჩუმე. ცახცახმა

აიტანა ის კაცი, სახე მიატრიალა, მოსწყდა, გაიქცა და მერე აღარ მინახავს“.

\* \* \*

მშვენიერი ამბებია მოთხრობილი იმ გრძნეულთა წიგნებში, რკინით მოჭედილ, სევდის მომგვრელ გრძნეულთა წიგნებში. სწორედ იქ არის, მე გეუბნებით, დიდებული თავგადასავალი ზეცისა და მიწის, ძალამოსილი ზღვისა, და იმ სულების, რომლებმაც ხელთ იგდეს ის ზღვა და მიწა, ცანი მაღალნი. ბევრი სიბრძნე იმალებოდა სიბილას გამონათქვამებში; და წმინდა, წმინდა სიტყვა გაისმა ძველად ბუნდი ფოთლების ქვეშ, დოდონას გარშემო რომ თრთოდა, მაგრამ ალაჰსა ვფიცავ, ჩემ გვერდით, საძვლის ჩრდილში მჯდომარე დემონმა რომ მიამბო, ის იგავი უსაკვირველესია, ჩემის აზრით! დაასრულა დემონმა ის თავისი ამბავი და ისევ ჩაეშვა პირაშკმულ სამარეში სიცილით. დემონთან ერთად მე არ გამიცინია, ვერ შევძელი, და იმან დამწყევლა მე, რად არ გამიცინეო. სამაროვანის მარადიული ბინადარი ფოცხვერი გამოსტყვრა იქიდან და დემონის ფერხთით გაიშხვართა, და დღენიადაგ მისჩერებოდა იმის სახეს.

## სიტყვის ძალა

ოინოსი. მაპატიე, აგათოს, უღონობა სულისა, რომელიც ახლახან ეზიარა უკვდავებას.

აბათოსი. ისეთი რა თქვი, ჩემო ოინოს, რომ გაპატიო. გუმანით ცოდნის მიკვლევა აქაც კი შეუძლებელია. ხოლო სიბრძნე შეგიძლია თავისუფლად გამოჰკითხო ანგელოსებს. ეძიებდე და ჰპოვებდე!

ოინოსი. ჩემი ოცნება იყო, რომ ასეთ ყოფაში იმწუთახ შევქმნილიყავი ბედნიერი.

აბათოსი. ჰოი, ცოდნის შეძენა ბედნიერება და არა

თავად ცოდნა სულ მუდამ სწავლით სულ მუდამ ვართ ნეტარნი; ოღონდ ყოვლისცოდნა ეშმაკის კვალზე შედგობაა.

ՄԻՆՈՍԻ. მამაზეციერი განა თავად არაა ყოვლისმცოდნე? აბათოსი. ეს ერთადერთია (რაკილა უნეტარესიცაა), რაც შეიძლება იგიც არ იყოს.

ՄԻՆՈՍԻ. მაგრამ რაკილა ჩვენი ცოდნა ყოველ წუთს ღრმავდება, ნუთუ ბოლო ჟამსაც არ გვეცოდინება ყველაფერი?

აბათოსი. სივრცეთა უფსკრულოვანს გახედე ქვემოთ! ჭელინელ რომ მივფრინავთ იმათ შორის, სცადე და თვალი გააყოლე აუარება ვარსკვლავთა გუნდს — აი ასე, ასე-მეთქი სულიერი ხედვაც ხომ ყოველმხრივ აწყდება სამყაროს უსასრულო კედლების ოქროს ზღვარს? მირიადი ბრწყინვალე სხეული მიფენია ამ კედელს და, რაკილა აურაცხელია მათი რაოდენობა, ერთად შენივთებულა!

ՄԻՆՈՍԻ. კარგად ვხედავ, რომ ზმანება არ არის ეს სასრულისუქონელი მატერია.

აბათოსი. ედემშიაც არ არის ზმანება, მაგრამ აქაც ჩურჩულით ამბობენ, სასრულისუქონელი მატერიის ერთადერთი მიზანი სასრულისუქონელ წყართა შექმნააო, სადაც ჩვენს სულს შეუბღია მოიკლას ცოდნის წყურვილი, სულ მუდამ დაუშრეტელი რომ არის მატერიის წიაღ, რადგან მისი დაშრეტა თავად სულის შემუსვრაცაა. ნურაფრის შიში ნუ გაქვს, ჩემო ოინოს, მკითხე, რაც გინდა. მოდი, მარცხნივ ჩამოვიტოვოთ პლეადების ეს მოზიმზიმე ჰარმონია და ამ ტახტიდან ავიჭრათ ორიონის ვარსკვლავოვან ველებში, სადაც იებისა და ნარცისების ნაცვლად შეფენილან სამმაგი და სამფეროვანი მზეები.

ՄԻՆՈՍԻ. ახლა კი, აგათოს, სანამ მივალთ, დამმოძღვრე! ჩვეულებრივი მიწიერი ენით მითხარი. ვერც კი მივხვდი, თუ რა გადმომიკარი წელან, რას გულისხმობდი, ის სახე თუ არსი. რა არის, უბრალოდ შემოქმედს ვუწოდებდით, ამას, მოკვდავნი რომ ვიყავით. იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ ღმერთი არ არის შემოქმედი?

აბათოსი. მე იმის თქმა მინდა, რომ ღვთაება არა ჰქმნის.

ՄԻՆՈՍԻ. ამისხენი.

აბათოსი. იმთავითვე კი ჰქმნიდა. ახლა რომ არიან, ის მოჩვენებითი არსებანი ნიადაგ ჩნდებიან მთელ სამყაროში, სიცოცხლეს მიელტვიან ოღონდ ისინი უშუალოდ და პირდაპირ კი არ არიან გამოვლენილნი ღვთაებრივი ძალის მეშვეობით, არამედ არაპირდაპირ თუ დანამატის სახით.

ოინოსი. ადამიანთა აზრით, ჩემო აგათოს, ეს იდეა მეტად ერეტიკული იქნებოდა.

აბათოსი. ანგელოსთა აზრით, ჩემო ოინოს, ეს სულ ჩვეულებრივი ჭეშმარიტებაა.

ოინოსი. რამდენადაც მე მესმის შენი — შედეგად გარკვეული ქმედობისა, რასაც ჩვენ ბუნებრივ თუ საბუნებისმეტყველო კანონებს ვეძახით, გარკვეულ პირობებში შეიქმნება რაღაც, ქმნილების სრული მოჩვენებითობით რომ იქნება შემკული. დედამიწის საბოლოო განადგურებამდე ცოტა ხნით ადრე, კარგად მახსოვს, წარმატებით ჩაუტარებიათ მრავალი ცდა იმათზე, რომელთათვისაც ჩვენს ფილოსოფოსებს, რაკი ჭკუა აღარ ეყოთ animalculae<sup>1</sup> ქმნილებანი შეურქმევიათ.

აბათოსი. ის შემთხვევები, შენ რომ ამბობ, სინამდვილეში მეორეული ქმნილების მაგალითებია — ერთადერთი სახე ქმნილებისა მას შემდეგ, რაც პირველმა სიტყვამ პირველ კანონს მისცა დასაბამი.

ოინოსი. ნუთუ მირიადი ვარსკვლავოვანი სამყარო, ყოველ საათს ცათა წიაღ რომ შემოიჭრება არყოფნის უფსკრულოვანიდან — ნუთუ ეს ვარსკვლავნი, აგათოს, არ არიან შექმნილნი თავად მეუფის მიერ?

აბათოსი. ნება მიბოძე, ჩემო ოინოს, თანდათანობით მიგახვედრო ყოველივეს. შენც კარგად უწყვი, რომ უკვალოდ არ წარინოცება ფიქრი, ასევე, არ შეიძლება მრავლის უმრავლესი შედეგი არ მოჰყვეს რამე მოქმედებას. ასე, მაგალითად, დედამიწის ბინადარნი რომ ვიყავით, ჩვენი ხელების მოძრაობა იწვევდა გარშემობურვილი ატმოსფეროს რხევას. ხსენებული რხევა უსასრულო განფენილობაში ხდებოდა, ვიდრე არ მოიცავდა ყოველ ნაწილაკს დედამიწის ჰაერისას, რა-

<sup>1</sup> მიკროსკოპიულ არსებათა, (ლათ.).

მელშიაც სამარადისოდ იყო განსაზღვრული რაღაც, წარმოშობილი ხელის ერთი მოძრაობით, ჩვენი პლანეტის მათემატიკოსებმა კარგად იცოდნენ ეს გარემოება. სითხისადმი განსაკუთრებული იმპულსების მინიჭებით ისინი აღწევდნენ განსაკუთრებულ ეფექტებს, რისი აღრიცხვაც ზუსტად შეიძლებოდა, ასე, რომ, სულ ადვილად გაირკვეოდა, მოცემული სიდიდის იმპულსს რამდენი დრო დასჭირდებოდა დედამიწის სფეროს გარშემოვლისათვის და იმოქმედებდა კიდევაც (სამუდამოდ) გარშემოკრული ატმოსფეროს ყოველ ატომზე. უკუსვლის შედეგად არც იქნებოდა ძნელი მოცემული ეფექტის მეშვეობით დაედგინათ პირველსაწყისი იმპულსის სიძლიერე. ხოდა, იმ მათემატიკოსებმა ნახეს, რომ ყოველი მოცემული იმპულსის შედეგი აბსოლუტურად უსასრულოა და ნაწილი ამ შედეგებისა ზუსტად აღინუსხება ალგებრული ანალიზის საშუალებით. უკუსვლისას ამ ხალხს იმავე ხანებში არც ის გამოორჩენიათ, რომ თავად ამ ანალიზის მეთოდში იმალება განუსაზღვრელი პროგრესის შესაძლებლობა, და ენით უთქმელია მისი სრულყოფისა და გამოყენების ფარგლების უსაზღვროება და სიფართოვე, გამონაკლისი ამ დროს იმათი ინტელექტია, ვინც იმას სრულყოფს და გამოიყენებს, მაგრამ სწორედ ამ ადგილზე შეჩერებულან ჩვენი მათემატიკოსები.

ოინოსი. და, აგათოს, რაღატომ უნდა გაეგრძელებინათ გზა?

აბათოსი. რადგან იმათ ფრიად საყურადღებო და ღრმა აზრები მოსვლიათ თავში. იმათი ცოდნიდან ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა, განუსაზღვრელი გონებრივი ძალით დაჯილდოებულისთვის და ალგებრულ ანალიზს სრულიად დაუფლებულისთვის არ იქნება ძნელი თვალყური ადევნოს იმ ყოველ იმპულსს, რომლებიც ენიჭება ჰაერსა და ჰაერთა შორის მდებარე ეთერს, და კიდევაც გაითვალისწინოს უშორესი შედეგები, უსასრულოდ შორეულ ეპოქებში რომ გამომზეურდნენ ისინი თუნდაც. მართლაც შეიძლება დავამტკიცოთ, რომ ჰაერზე ზემოქმედების ყოველი ასეთი იმპულსი საბოლოოდ და სათითაოდ მოიცავს სამყაროს წიაღში დანთქმულ ცალკეულ საგანს, ხოდა, იმ განუსაზღვრელი გონებრივი ძალით დაჯილდოებულს — კი შეგვიძლია ასეთი რამ წარმო-

ვიდგინოთ — ძალუძს თვალყური ადევნოს შორეთში მოლივად  
ლივე იმპულსს. თვალყური ადევნოს იმის სულ აღმავალ და  
აღმავალ ზეგავლენას ყოველნაირი მატერიის ყოველ ნაწილ-  
ზე, იმის ოდინდელ ფორმებზე, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ,  
იმის ახალ ქმნილებებს, ვიდრე ბოლოს არ ნახავს იმას უსი-  
ცოცხლოს, არეკლილს ღვთაებრივი ტახტიდან. და არა მარ-  
ტო. ამას, ყოველ ეპოქაში რაიმე მოვლენას ავასსნეინებ-  
დით — კომეტათაგან თუნდაც ერთ-ერთს, მაგალითად — და  
იმას არც გაუჭირდებოდა ანალიტიკური გზით მიკვლევა, თუ  
რომელმა პირველსაწყისმა იმპულსმა მისცა დასაბამი მის  
არსებობას. სრულიად და ზედმიწევნით ძალა ამ ანალიზისა —  
ყოველ ეპოქაში ყოველი შედეგის ყოველ მიზეზთან დაკავში-  
რების უნარი, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ღვთაების პრერო-  
გატივთა, მაგრამ რაც უნდა იყოს, ყოველთვის, თუ მხედვე-  
ლობაში აღარ მივიღებთ აბსოლუტურ სრულყოფილებას,  
ხსენებული ძალა აქვს ციური ანგელოსების მთელ კრებულს.

ოინოსი. მაგრამ შენ ხომ ჰაერზე მიმძლავრებულ იმ-  
პულსებზე ლაპარაკობ მხოლოდ.

აბათოსი. ვლაპარაკობდი ჰაერზე, მაგრამ დედამიწას კი  
ვგულისხმობდი: საერთო დებულების მიხედვით, მთავარია  
ის იმპულსები, ეთერზე რომ მიმძლავრებულან, ხოდა, ამას  
გაუმსჭვალავს, ამ ეაერს გაუმსჭვალავს-მეთქი მთელი სამ-  
ყარო და ამიტომაცაა იგი დიდი გარემო ქმნილებისა.

ოინოსი. მაშინ თავიდათავი მოძრაობა ყოფილა და არა  
ბუნება, შემოქმედება?

აბათოსი. მასე უნდა იყოს. მაგრამ ჭეშმარიტი ფილო-  
სოფია იმთავითვე გვასწავლის, მოძრაობის ყოველი სათავე  
აზრია, ხოლო სათავე ყოველი აზრისა...

ოინოსი. ღმერთია.

აბათოსი. ამ ცოტა ხნის წინათ დაღუპული მშვენიერი  
დედამიწის შვილს მე ხომ გითხარი, ოინოს, დედამიწის ატ-  
მოსფეროს იმპულსების შესახებ.

ოინოსი. დიახ.

აბათოსი. და რომ მოგიტხრობდი, იქნებ, თავში გაგი-  
ელვა აზრმა სიტყვების მატერიალურ ძალაზე? ყოველი  
სიტყვა ხომ იმპულსია ჰაერზე მიმძლავრებული?

მონოსი. მაგრამ, აგათოს, რალატომ ქვითინებ? და რალატომ, ჰოი, რალატომ-მეთქი, გეკეცება ფრთები სწორედ აქ, როდესაც ჩვენ მივფრინავთ ამ მშვენიერი ვარსკვლავის ზემოთ, უმწვანესი და უსაზარლესი რომ არის იმათ შორის, რომლებიც ჩვენ შეგვხვედრია ფრენის ხანს? მშვენიერი სიზმრის მსგავსია იმისი შუქმომფინარე ყვავილები, ხოლო იმისი გააფთარებული ვულკანები აბობოქრებული გულის ფეთქვას დამსგავსებია.

აბასიოსი. სწორედ მასეა! სწორედ მასეა-მეთქი! სამი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემი სატრფოს ფერხთით ხელების მტკრევითა და ცრემლების ფრქვევით შევქმენი ეს შფოთსავსე ვარსკვლავი. ამოვთქვი სულ რამდენიმე მგზნებარე სიტყვით და იმ ჩემს აუსდენელ ოცნებებში უძვირფასესი არის ის შუქმომფინარე ყვავილები, ხოლო ის მძვინვარე ვულკანები გული არის ჩემი. ყველაზე უფრო ბორგნეული და ცოდვილიანი.

## მონოსა და უნას გაბაასება

უნა. „ხელმეორედ დაბადებო?“

მონოსი. დიახ, უმშვენიერესო და უსაყვარლესო უნა, „ხელმეორედ დაბადება-მეთქი“. კარგა ხანს ვფიქრობდი ამ სიტყვების მისტიკურ მნიშვნელობაზე, სასულიერო პირების ახსნას უარეყოფდი, ვიდრე თავად სიკვდილმა არ მაპცნო საიდუმლო.

უნა. სიკვდილმაო!

მონოსი. რა უცნაურად გაიმეორებ ხოლმე, საყვარელო უნა, ჩემს ნათქვამსა გულს ვერაფერს უღებ, მღელვარების სიხარული დაგტყობია თვალმოციმიციმეს, თუმცა მარადიული სიცოცხლის მომჯადოებმა სიახლემ კი არ შეგაჭირვა და თავგზა დაგაკარგვია. დიახ, სიკვდილზე გეუბნებოდი, და რა სხვანაირად ჟღერს აქ სიტყვა, ადრეულ ხანაში გულს რომ უწყლულებდა ყველას და ნისლში ახვევდა სოფლის სიამეთ.

უნა. ჰოი, სიკვდილი, ყველა ლხინს რომ სულ მუდამ დასტრიალებს მისი აჩრდილი! რა ხშირად საგონებელში ჩავვარ-

დნილვართ, მონოს, მისი ბუნების მიკვლევისას! რა იდუმალებით მოცული შემოსაზღვრავდა ხოლმე კაცის ნეტარებას ამისი მოქმელი: „აქამომდე და მეტი აღარა!“ რა გულისწამლები ურთიერთსიყვარულის სანთელი გვინათებდა გზას, ჩემო მონოს, რა იმედი მოგვეცა იმის პირველსავე გაელკების ხანს და რა ამოდ გვეჯეროდა, რომ სულ უფრო და უფრო იმპლავრებდა მისი ნათელი ვაგლახ! მატულობდა და მატულობდა ეს გრძნობა და ჩვენს გულებშიაც იბუდებდა შიში, რომ დადგებოდა დაწყევლილი ჟამი და დავცილდებოდით ერთმანეთს სამარადისოდ! ხოდა, გამოხდა ხანი და გაგვაწამა ამ სიყვარულმა. სიძულვილიც კი შეგების მომგვრელი შეიქნებოდა მაშინ.

მონოსი. ნულარაფერს იტყვი აქ იმ სიმწუხარეზე, ძვირფასო უნა, ახლა კი ჩემი, ჩემი ხარ სამუდამოდ!

უნა. მაგრამ განა ახლანდელი სიხარული არ არის გარდასული ხანის სატანჯავის მოგონება? მე კიდევ ბევრს მოგიტხრობ იმაზე, რაც იყო. უპირველეს ყოვლისა ერთი სული მაქვს გავიგო, თუ რა გადაგხდა თავს ბნელ ველსა და ჩრდილში გამოვლილს.

მონოსი. და როდის გიკითხავს რამე ამოდ, მშვენიერო, უნავ, შენი მონოსთვის? გამოწვლილვით გიამბობ ყოველივეს, მაგრამ რით დავიწყო ჩემი განსაცვიფრებელი მოთხრობა?

უნა. რით დავიწყო?

მონოსი. უნდა მითხრა.

უნა. მონოს, გავიგე რასაც ფიქრობ. ადამიანიშვილი განუსაზღვრელის განსაზღვრას ესწრაფის და კიდევაც მივაკვლიეთ თრივემ ამას სიკვდილის მეშვეობით. ამიტომ არც გეტყვი, წუთისოფლის გალევის წამი გაიხსენე და იქიდან დაიწყე-მეთქი, სჯობს იქიდან მიამბო, როცა იმ გულის მომკვლელ ხანს სიმხურვალემ ავიშვა ხუნდები, სუნთქვა შეგიჩერდა, გაგიშეშდა ყოველი ასო და მე თვალი დავიხუჭე სიყვარულის მგზნებარე თითებით.

მონოსი. ჯერ ორიოდე სიტყვას გეტყვი, ჩემო უნა, კაცობრიობის იმდროინდელი საერთო მდგომარეობის შესახებ. ალბათ, გახსოვს, რომ ჩვენს მამა-პაპათაგან ერთმა თუ ორმა



ბრძენმა — ნამდვილად ბრძენმა-მეთქი და არა იმან, ვისაც ქვეყანაში ასეთი სახელი ჰქონდა გავარდნილი — გაბედა და ეჭვით მოეკიდა ქვემოთ მოყვანილი ტერმინის მართებულობას, „გაუმჯობესება“ ჩვენი ცივილიზაციის პროგრესს არ უნდა ნიშნავდესო. ჩვენი დაკნინების ხანა ხუთ თუ ექვს საუკუნეს გასტანდა სოლმე, დაბოლოს იმით გასრულდებოდა, რომ გამოჩნდებოდა ვიღაც დიდი მოაზროვნე და უშიშრად დაამკვიდრებდა იმ პრინციპებს, რომლის ჭეშმარიტება დღეს ასე ცხადლივ ჩანს აწ უკვე ახსნილი გონებისათვის, იმ პრინციპებს-მეთქი, რომლებიც, ჩვენი მოდგმა კი უნდა ეზიარებინა ბუნების კანონებს, მაგრამ ამ კანონების სამართავად არ გამოგვადგებოდა. ხანგრძლივი დროის მანძილზე ერთხელ უნდა გაჩენილიყო ბრძენთა ბრძენი, ვინც მეცნიერების ყოველ წინსვლას სასარგებლოს არ დაარქმევდა. ჟამ-ჟამად პოეტური ნიჭით ცხებული ინტელექტი — ინტელექტი-მეთქი, ჩვენთვის ყველაზე უფრო ამალღებული რომ არის ახლა, რაკილა წარუვალა ჭეშმარიტებანი მხოლოდ ანალოგიის მეშვეობით მოგვეახლება, თავიდათავი ამ შემთხვევაში წარმოსახვა, უილაჯო გონება ვერაფერს გახდება — ჟამ-ჟამად ხსენებული პოეტური ინტელექტი გვეხმარებოდა ბუნდი ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში და იმ მისტიკური პარაბოლის საშუალებით, ცნობადის ხესა და აკრძალული ხილის შესახებ რომ გვიამბობს, ზუსტად მიგვანიშნებდა: შემეცნება არ ხელეწიფება კაცს სულიერი ყრმობის ხანს. და ეს ხალხი, პოეტები, რომლებიც ცხოვრობდნენ და იხოცებოდნენ „უტილიტარისტების“, ანუ რეგვენი პედანტების ზიზღით გარემოცულნი; ამ უკანასკნელთ ისეთი ტიტულები მიენიჭებინათ საკუთარი თავისთვის, რომ სწორედ ზიზღის ღირსნი იყვნენ; და ეს ხალხი, პოეტები, სევდით ფიქრობდნენ, თუმცა კი ბრძნულად, იმ გარდასულ დღეებზე, როდესაც ჩვენი სურვილის საგანი ისეთივე უბრალო იყო, როგორსაც გასართობს ვეტანებოდით; იმ დღეებზე-მეთქი, როდესაც ჩვენთვის უცნობი გახლდათ სიტყვა სიმხიარულე, ისეთი საზეიმო და ყოვლისმომცველი იყო ბედნიერება, წმინდა, მეფური, ნეტარი ჩანდა ის დღეები, როდესაც ცისფერი კამკამა მდინარეები კაშხალების გარეშე მიჩხრიალებდნენ შეუშუს-

რავ გორაკებს შორის შორეული, სურნელოვანი, გამოუკვლე-  
ველი და უღრანი ტყეებისაკენ.

და მაინც იმ საყოველთაო თვითნებობის ხანაში ეს კე-  
თილშობილური გამონაკლისები კეთილშობილური ძალით  
მოსავდა, წინააღმდეგობის უნარს ანიჭებდა მას. ვაგლახ! იმ  
შავ დღეთაგან უშავესი დღე გაგვითენდა. დიადი „თაოსნო-  
ბა“ — ასეთი იყო მისი გაცვეთილი სახელწოდება — გრძელ-  
დებოდა: მთარული, შფოთიანობა სულიერი და ფიზიკური.  
განგებულობა — განგებულობანი აღზევდნენ და ტახტს რომ  
დაეუფლნენ, ბორკილები დაადეს ისტელექტს, რომელმაც  
მათ ძალაუფლება მიანიჭა. ადამიანმა უკვე შეიცნო ბუნების  
ძალამოსილება და ბავშვურმა სისხარულმა მოიცვა, რაკი სა-  
კუთარი მიღწევები გაისაკუთრა და სულ უფრო და უფრო  
იმორჩილებდა იმის ძალებს. ღმერთი ვყოფილვარო, წარმო-  
უდგენია მედიდურად და ყრმასავით ტვინნალრძობი გამსდა-  
რა. როგორც მოსალოდნელი იყო, მისი გონებაარეულობის  
საფუძველი თუ არ დავივიწყებდით, სისტემებისა და აბსტრაქ-  
ციების ხვანჯებში გაბშულა. გასყენებულმა მსჯელობებმა  
ხომ სულ ბოლო მოუღო. სხვადასხვა იდეათა შორის ფეხი  
მოუკიდია აზრს საყოველთაო თანასწორობის შესახებ; და  
ანალოგიისა და ღვთის წინაშე მდგომთ, მიუსედავად ხმამა-  
ღალი გაფრთხილებისა, გრადაციის კანონების განხილვას  
რომ მოჰყოლია და რასაც ასე ცხადლივ მოუცავს ყოველივე  
ცასა და დედამიწაზე — შლეგურად უცდიათ საყოველთაო დე-  
მოკრატიის დამკვიდრება. მაგრამ ხსენებული ბოროტება  
უსათუოდ უნდა წარმომდგარიყო მთავარი ბოროტების — შე-  
მეცნების წიად, კაცი არ შეიძლება ყოფილიყო ორივე ერ-  
თად, მცოდნეცა და მორჩილიც. სწორედ ამ დროს განსდა  
აურაცხელი ვეებერთელა და კვამლიანი ქალაქები. ცეცხლო-  
ვანი ღუმელების სუნთქვამ დააჭკნო მწვანე ფოთლები. თით-  
ქოსდა შესაზიზღარი ავადმყოფობის შემდეგ, წარისოცა ბუ-  
ნების მშვენიერება. და ასე მგონია, საყვარელო უნა, ძალა-  
დობასა და ხელყოფას რომ გვამცნობდა, ჩვენს მთვლემარე  
გრძნობასაც კი შეეძლო ჩვენი შეჩერება. მაგრამ ახლა ხომ  
ცხადი ხდება, რომ საკუთარი ხელით ვაგვითხრია სამარე,  
ჩვენივე გაუკულმართებული გეპოვნების მეშვეობით, ანუ,

უფრო სწორად, სკოლებში მისი განვითარების ბრმა უგულებელყოფით. მართლაცადა, ამ კრიზისის დროს გემოვნებასდა — იმ უნარს, რომელიც სუფთა ინტელექტისა და მარადიული გრძნობის შემაერთებელი ხიდია და ვერც ვერასდროს უარყოფთ — გემოვნებასდა შეეძლო უმტკივნეულოდ ჩვენი მიბრუნება მშვენიერებისაკენ, ბუნებისა და სიცოცხლისაკენ. მაგრამ ვაი პლატონის წმინდა გონების სულსა და დიდებულ ინტუიციას! ვაი იმ მუსიკას<sup>1</sup>, რომელიც მისთვის სრულიად საკმარისი იყო, და სამართლიანადაც, განათლებული სულის ჩამოსაყალიბებლად! ვაი იმას და იმის მუსიკასაც, რაკილა გაუსაძლისად ცხადი შეიქნა იმისი აუცილებლობა სრული დავიწყებისა და შეზიზღების მერე...

ჩვენთვის, ორთავეთათვის საყვარელ ფილოსოფოსს, პასკალს უთქვამს, და სწორიც იყო! — „que tout notre raisonnement se réduit a ceder au sentiment“<sup>2</sup>, და არც უნდა ყოფილიყო შეუძლებელი, რომ ბუნებრივის გრძნობა, თუკი დასცალდებოდა, ოდინდელ ძალამოსილებას მოიპოვებდა უხეში მათემატიკური გონების სკოლებზე. მაგრამ ასე არ მომხდარა. ნაადრევად და აგრე უსაშველოდ გაზრდილმა ცოდნამ დააბერა ეს ქვეყანა. კაცობრიობის უმეტესობა ვერ ხედავდა ამას, ანუ ვნებით, თუმცა უბედურად მცხოვრებნი, თითქოსდა ვერც ხედავდნენ ვერაფერს. მაგრამ მე კი დედამიწის მატთანთა მეშვეობით მივხვდი, რომ უმაღლესი ცივილიზაციის საფასური უდიდესი ნგრევაა. ხუროთმოძღვარ ბაბილონს, ვარსკვლავთმრიცხველ ეგვიპტეს, ამათზე უფრო მოხერხებულ, ყველა განგებულობის ბობოქარ დედას, ნუბიას შევუდარე უბრალო და მტკიცე ჩინეთი და აგრე მივაკვლიე ჩვენი ბედისწერის წინასწარმეტყველებას. მოძავლის სხივს

---

<sup>1</sup> მუსიკა ათენელთათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ჩვენთვის, რადგან ითვალისწინებდა როგორც პარმონიას, რიტმსა და მოტივს, ასევე, პოეტურ ფორმას, გრძნობასა და შემოქმედებას — უფართოესი გაგებით მოგვყავს ეს ცნებები. მუსიკის შესწავლა მათთვის საერთო გემოვნების ჩამოყალიბებას, მშვენიერების დაუფლებას ნიშნავდა და ამით განსხვავდებოდა მსოლოდ ჭეშმარიტების შემსწავლელი გონებისაკენ.

<sup>2</sup> „ჩვენი გონების ყოველგვარი ქმედითობა, ბოლოს და ბოლოს, გრძნობის წინაშე ქედმოძრეკით მთავრდება“ (თარგმნა ბ. ბრეგვაძემ).

გადავაწყდი ამ ქვეყნების ისტორიაში<sup>1</sup>. ჩინეთის გარდა ზემოხსენებულ სახელმწიფოთაათვის დამახასიათებელი არაბუნებრიობა დედამიწის ბუნებრივი ავადმყოფობანი გახლდა და ყოველი მათგანის შემესვრა ლოკალურ მკურნალობას ნიშნავდა; მაგრამ მასლიანად დაავადებული ქვეყნიერებისათვის გამოსავალს მე მხოლოდ სიკვდილში ვხედავდი. ადამიანის მოდგმა რომ არ გადაშენებულიყო, ჩემის აზრით, უნდა „ხელმეორედ დაბადებულიყო“.

და მაშინ, უმშვენიერესო და უძვირფასესო, სულში ჩავიბრუნეთ ჩვენივე მიზერა და ყოველდღე ვოცნებობდით. მაშინ-მეთქი, ბინდბუნდის ჟამს მომავლის იმ დღეებზე ვმსჯელობდით, როდესაც განგებულობის ძალით იავარქმნილი დედამიწა მხოლოდ პურიკაციის<sup>2</sup> შემდგომ მოიცილებდა უმსგავსო ოთხკუთხედებს, კვლავ შეიმოსებოდა სიმწვანით და ამ სამოთხის მთის ფერდობები და მომღიმარე წყლები თანდათანობით საამური შეიქმნებოდა კაცთათვის, სიკვდილის მეშვეობით განწმენდილ კაცთათვის, კაცთათვის-მეთქი, რომელთა ზემხედი ინტელექტისათვის შემეცნება არ იქნებოდა შსამი, მონანიებულთათვის, განახლებულთათვის, ნეტართათვისა და აწ უკვე უკვდავთათვისაც, თუმცა კი მაინც მატერიალურ კაცთათვის.

უნა. კარგადაც მახსოვს ის საუბრები, ძვირფასო მონოს, მაგრამ იმხანად, ჩვენ რომ გვეგონა და როგორც ამას გვამცნობდა შენგან მოხსენიებული ზნედაცემულობა კაცისა, ის ცეცხლოვანი საყოველთაო ნგრევა არ იყო ისე მოახლოებული. ადამიანები ცოცხლობდნენ და თავისთვის კვდებოდა ყოველი. შენც ავად შეიქენი და საფლავში ჩახვედი; შენი ერთგული უნაც მალევე გამოგყვა იქ. მთელი საუკუნე გავიდა მას შემდეგ და ბოლოს შეგვაერთა ერთმანეთთან დრო-ჟამმა, და თუმცა ამ ხნის მანძილზეც ჩვენი ზმანებით მოცული გრძნობები არ გატანჯულა დაშორებით, მაინც, ჩემო მონოს, საუკუნე ძნელი გასალევაია.

<sup>1</sup> ძველბერძნულიდან მომდინარეობს ეს სიტყვა და ჰერეტას ნიშნავს.

<sup>2</sup> ძველბერძნული წარმოშობის უნდა იყოს ეს სიტყვა; „პურ“ – ცეცხლი; „პურიკაცია“ – განწმენდა.

მონოსი. სჯობს თქვა, განუსაზღვრელი უსაზღვროების ერთი წერტილიაო. რასაკვირველია, დედამიწის მიხრწნილების ხანს მოემკვდარვარ. საყოველთაო დავიდარაბისა და გარყვნილებით გულმოკლულ კაცს სასტიკმა ციებ-ცხელებამ მომიღო ბოლო. რამდენიმე დღე ვიტანჯებოდი, უფრო მეტხანს კი მთლად წამონთებული მოცული ვიყავი სიზმარეული ბოდვით, რომლის გამოვლინებასაც შენ შეცდომით ტანჯვას ეძახდი, მე კი სულ გიმეორებდი, მასე არ არის-მეთქი, მაგრამ ამოდ. ხოდა, რამდენიმე დღის შემდეგ, როგორც შენ თქვი, სუნთქვა შემეკრა და ყოველი ასო გამიშეშდა, რისთვისაც შენ და იმათაც, ჩემ გარშემო რომ იდგნენ, სიკვდილი შეურქმევიათ.

სიტყვა უღონოა. ჩემს მდგომარეობას გრძნობელობა არ წაურთმევია ჩემთვის. დაახლოებით ამდაგვარი მოუვა იმას, ვისაც კარგად, ხანგრძლივი და ღრმა ძილით დაუსვენებია და წევს სრულიად გათიშული ზაფხულში, შუადღით, და თანდათანობით, ნელინელ იწყებს გონზე მოსვლას, გრძნობს, რომ გამოძინებულაა და რამე ხმაურს არ გამოუღვიძებია იგი.

აღარ ვსუნთქავდი. მაჯისცემა შემიჩერდა. ფეთქვა შეწყვიტა გულმა. ნებისყოფის ნატამალი კი მქონდა, ოღონდ ისიც უილაჯო შექმნილიყო. გრძნობები უჩვეულოდ გამმახვილებოდა, აღრეულიყვნენ ერთბანეთში, მაღიმალ მონაცვლებობდნენ უწესრიგოდ, გემოს შეგრძნება და ყნოსვა ერთად შერთულიყო და ერთი, ძალუში და ზებუნებრივი გრძნობა გამხდარიყო. უკანასკნელ წუთებამდე ტუჩებზე ნაზად მასხურებდი ვარდის წყალს და ჩშვენიერი ყვავილებით გადაფენილი ველი მეზმანა, ფანტასტიკური იყო ეს ყვავილები, დაბერებული დედამიწის ყვავილები რა შეედრებოდა იმათ სილამაზეს, მსგავსი მცენარეები სწორედ აქ, ჩვენ გარშემო ხარობენ. გამჭვირვალე და უსისწლო ქუთუთოები სრულიად არ მიშლიდნენ ხედვას. რაკილა ნებისყოფის ის ნატამალიც დათრგუნვილი მქონდა, თვალის გუგებს ვერც გამოძრავებდი საბუდეში, მაგრამ სადამდეც კი მიმწვდებოდა მზერა, ამა თუ იმ სიცხადით ვხედავდი ყველაფერს; სსივები ეცემოდა თვალის ბადურას გარეთა შრეს, ანუ თვალის კუთხეს და უფრო

მძაფრად აღიქმებოდა, ვიდრე ისინი, რომლებიც სულ წინა  
 ზედაპირს ეფინებოდნენ, და მაინც, პირველ შემთხვევაში  
 ეფექტი იმდენად ანომალური გახლდათ, რომ მე იმას ბგე-  
 რის სახით აღვიქვამდი, ხან სასიამოვნო იყო ეს ბგერა, ხან —  
 არა, იმის მიხედვით, თუ რამდენად ნათელია ან ბნელი, რამ-  
 დენად მრგვალი, ან სწორკუთხა იყო ჩემ გვერდით მდებარე  
 საგნები. ჩემს გრძნობიერებას არც ჩამოუვარდებოდა სმენა.  
 ამ დროს იგი, მართალია, მეტად აგზნებული კი ვიყავი, არ  
 შეცვლილა და ზედმიწევნით ზუსტად აღიქვამდა რეალურ  
 ხმებს. როგორღაც უცნაურად, შემცვლოდა შეხების გრძნობა,  
 დაგვიანებით მომეახლებოდნენ ხოლმე მისი შთაბეჭდილება-  
 ნი, მაგრამ კარგა ხანს არ მცილდებოდნენ და საბოლოოდ  
 ყოველთვის მანიჭებდნენ დიდ ფიზიკურ სიამოვნებას. ხოდა,  
 შენი ტკბილი თითების დაწოლა პირველად მხოლოდ მხედ-  
 ველობით ვიგრძენი და რომ მომაცილე, დიდი ხნის შემდეგ  
 მთელი ჩემი არსება სიხარულის განუსაზღვრელმა გრძნობამ  
 მოიცვა, გრძნობამ-მეთქი, გეუბნები. დიდი გრძნობიერებით  
 მქონდა მომართული ყველანაირი აღქმის უნარი. გრძნობე-  
 ბის მეშვეობით ტვინამდე ამოღწეული გარესაგნების ხატი  
 არამც და არამც არ აღიქმებოდა მიცვალებული გონებით.  
 მცირეოდენ ტკივილს ვგრძნობდი, სიამოვნებას კი დიდს,  
 მაგრამ ზნეობრივი ტკივილი თუ სიამოვნება სრულიად წაგ-  
 ვრილი მქონდა. შენი მწარე ქვითინი მეღვრებოდა ყურებში  
 ყოველი თავისი მჭმუნვარე კადენსებითურთ და იყო კიდევაც  
 აღქმული სევდიანი ტონის მთელი ვარიაციებით; მაგრამ  
 ჩემთვის ეს ნაზი, მუსიკალური ხმა იყო და მეტი არაფერი;  
 მომაკვდავ გონებას უკვე ვეღარ გაეთავისებინა, რომ სი-  
 მწუხარე იყო მისი საფუძველი; გაუთავებლად მეცემოდა დიდ-  
 რონი ცრემლები სახეზე და ირგვლივ მდგომთ დათუთქული  
 გულის ამბავს ამცნობდა, ჩემს ყოველ ასოს კი ექსტაზში ას-  
 ვევედა მხოლოდ. მართლაცდა ეს უკვე სიკვდილი იყო, ირგ-  
 ვლივ მყოფნი მოწიწებით, ჩურჩულით ასხენებდნენ მას, შენი  
 მოთქმა-ზარი კი, საყვარელო უნა, ცასა სწვდებოდა.

საკუბოედ მომრთეს. წინ და უკან ფუსფუსებდა ოთხი თუ  
 ხუთი ფიგურა, ჩემი მხედველობის პირდაპირ საზზე მოხვედ-  
 რილები რაღაც ფორმებად აღიქმებოდნენ, მაგრამ გვერდით

მოქცეულები შთაბეჭდილება-იდეას მამცნობდნენ წივილ-კივილის, გმინვისა და სხვა შემზარავი, თავზარდამცემი ტანჯვა-ვაების გამომხატველი გულსაკლავი ხმების შესახებ. მხოლოდ შენ ერთი, თეთრებში მორთული, ყოველი მიმართულებით მუსიკალურად მოძრაობდი ჩემ გარშემო.

სალამოვდებოდა; ნათელი რომ ილეოდა, ბუნდი უხერხულობა დამეუფლა — რაღაც მღელვარება-მეთქი, სწორედ ასეთს განიცდის მძინარე, ვისაც გაუთავებლად ჩაესმის რეალობის უმხიარულო ხმები — შორეული და ყრუ ზარის ხმა, საზეიმო, დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში რომ ჟღერს მელანქოლიურ სიზმრებს შერთული. დაღამდა და იმის ჩრდილებთან ერთად გაუსაძლისმა შფოთიანობამ მომიცვა, ცხადლივ დამითრგუნა ყოველი ასო რაღაც გლუვმა სიმძიმემ. მკვნესარე ხმაც მოისმოდა, მცირეოდნავ დამსგავსებული სადღაც შორეთში მოგრუნუნე ზვირთცემას, მაგრამ უფრო ხანგრძლივი კი იყო და შებინდების ხანს დაწყებული სულ უფრო მძლავრი ხდებოდა სიბნელის ჩამოწოლისდაკვალად. უეცრად ოთახში სინათლე შემოიტანეს და ზვირთცემის გრუნუნი ხშირი და უთანაბრო, მაგრამ ნაკლებად სევდიან და ნაკლებად გარკვეულ აფეთქების ხმებად გადაიქცა. მნიშვნელოვანწილად შემიმსუბუქდა ის ჩემი გაუსაძლისი მდგომარეობა; ყურებში მესმოდა გაუთავებელი, ერთფეროვანი მელოდია თითოეული ლამპის (ბევრი შემოეტანათ აქ) შუქით წარმოქმნილი. და როდესაც შენ, ძვირფასო უნა, მოდი იმ სარეცელთან, რაზედაც მე ვიყავი დასვენებული, და წყნარად ჩამოჯექი ჩემ გვერდით, შუბლზე შემეხე ტკბილი ტუჩებით და იმისი სურნელოვანი ფშვინვა მომეახლა კიდევაც, სუფთა ფიზიკურ აღქმასთან შერთული, ჩემს მკერდში აღიძრა რაღაც, გარემოებებით გამოწვეული, გრძნობიერების დარი — შეგრძნება თუ სანახევრო განცდა, აღიარება, სანახევრო გამოძახილი შენს მგზნებარე სიყვარულსა და კაემანზე; მაგრამ ამ გრძნობას არ მოუცავს უძრავი გული და თითქოს უფრორე ჩრდილი იყო, ვიდრე რეალობა და მალევე გაფერმკრთალდა, ჯერ სრულიად უმოქმედო შეიქნა, მერე კი წინანდელივით სუფთა ფიზიკურ სიამოვნებად გარდაისახა.

და ახლა, ჩვეულებრივი გრძნობების ნამუსრევისა და

ქაოსის წიაღ მეექვსე გრძნობა წარმოიშვა ჩემში, მთლად სრულყოფილ, დაუცხრომელ ნეტარებას მაზიარა, მაგრამ ჯერ კიდევ ფიზიკური იყო ეს ნეტარება, რაკილა ველარაფერს ვგებულობდი. ყოველი ასო სხეულისა სრულიად გამიშეშდა. კუნთიც აღარ შემტოკებია, ძარღვიც აღარ შემთრთოლებია, არც არტერია შემრხევია. მაგრამ თითქოსდა თავის ტვინში ამოტივტივდა ისე, რის შესახებაც სიტყვას არ შეუძლია ბუნდი წარმოდგენაც კი მისცეს ადამიანის გონებას. ნება მიბოძე, რხევითი გონებრივი პულსირება დავარქვა ამას. ადამიანიშვილისთვის ხელმისაწვდომი დროის აბსტრაქტული იდეის სულიერი განსახიერება გასლდათ ეს. ამ მოძრაობის სრული სწორხაზოვნებით ან რაღაც სხვა ამდაგვარი გზით შეიძუშავეს ციურ თრბიტათა ციკლები. იმის მეშვეობით განვსაზღვრე ბუნარზე შემოდგმული საათის არასწორი მუშაობა, იქ მყოფთა საათების უზუსტობასაც მივხვდი. იმათი ტაკატუკი ხმამაღლა მესმოდა ყურებში. ჭეშმარიტი განზომილებიდან მცირეოდენი გადახრაც კი — აუარება იყო ასეთი გადასრა — ჩემზე ისე ზემოქმედებდა, როგორც აბსტრაქტული ჭეშმარიტებების სელყოფის სურვილი იმძლავრებდა ხოლმე ჩვენს ზნეობრივ გრძნობაზე დედამიწაზე ყოფნის ხანს. თუმცა კი ამ ოთახში ორი საათის მექანიზმის წამების ისრებიც კი არ მოძრაობდა ერთნაირად, მეგრამ მე მაინც არ მიჭირდა ყოველი მათგანის მუშაობის აღქმა და იმწუთასვე ვგებულობდი ყოველი მათგანის უზუსტობას. და ეს, ეს-მეთქი, მჟაფრი, სრულყოფილი, ყოვლისმომცველი გრძნობა განფენილობისა, ეს გრძნობა-მეთქი, რომელიც არსებობს (თუმცა არა კაცს არ შეუძლია მისი არსებობის წარმოდგენა) მოვლენათა ამა თუ იმ თანამიმდევრულობის მიუხედავად — ეს იდეა, ეს მეექვსე გრძნობა, დანარჩენ გრძნობათა ნეშტის წიაღ რომ წარმოიქმნება, გასლდათ პირველი საცხადო და გარკვეული ნაბიჯი ზედროული სულისა დროებითი მარადიულობის ზღურბლზე.

შუალამე იყო; შენ ისევ ჩემ გვერდით იჯექი. სხვას ყველას დაეტოვებია სიკვდილის ეს დარბაზი. კუბოში წაქასვენეს. ციმციმებდა შუქი ლამპებისა, მონოტონური მთრთოლეარე ხმების მეშვეობით აღვიქვი მე ეს. მაგრამ უცებ ამ ხმების



სიცხადემ შემცირება და გაღვევა იწყო. დაბოლოს მიჩუმდა კიდევ. ველარც სურნელებას ვგრძნობდი ნესტოებში. ველარც ფორმებს აღიქვამდა ჩემი მხედველობა. სიბნელემ მკერდიდან ამიშვა თავისი სუნდები. მთელ სხეულში ელექტროდენივით დამიარა ბლაგვმა დარტყმამ და სრულიად წარიხოცა უნარი შეხებისა. ყოველივე ის, რისთვისაც ადამიანს, გრძნობა შეურქმევია. შერთულიყო იმ ერთადერთთან, რაც შემრჩენოდა, არსებობის აზრთან, დროში განფენილ წარუვალობის გრძნობასთან. დაბოლოს ხრწნილების მსახვრალმა ხელმა დამკრა გვამს.

მაგრამ ყოველი შეგრძნება არ წარმხოცია; რაკილა აზრისა და გრძნობის ნამუსრევი ფეთქავდა რაღაც ლეთარგიული არილის მეშვეობით. შემზარავი ცვლილება დაეტყო ასლა ჩემს ხორცს და როგორც ხანდახან მძინარე გებულობს ვილაცის ყოფნას, მისკენ დახრილი რომ უმზერს, ისე, საყვარელო უნა, გგრძნობდი შენ ჩემ გკერდით. და ასევე, მეორე დღეს, შუადღით, გონების ნატამალით აღვიქვამდი მოძრაობას, რომლითაც შენთან დამაცილეს, რომლითაც კუბოში გამომამწყვიდიეს, რომლითაც კატაფალკზე დამდეს, რომლითაც სამვლესთან მიმასვენეს და დამასამარეს, რომლითაც მძიმედ მომამყარეს მიწა და დამტოვეს აქ სიბნელეში დასალბობად, მატლებთან ერთად უნდა დამძინებოდა სევდიან-კაემნიანი ძილით.

და აქ, ამ საკანში, მცირეოდენი საიდუმლოდა რომ შეუნახავს, გადიოდა დღეები, კვირეები და თვეები; და სული ჩემი გამოწვლილვითა და მიუმძლავრებლად უთვალთვალეზდა ყოველი წამის ქროლვას, მიუმძლავრებლად-მეთქი და უმიზნოდაც.

გავიდა წელიწადი. ყოველ საათს სულ უფრო მქრქალდებოდა აზრი ჩემი არსებობისა; მდებარეობის შეგრძნებადა განაპირობებდა ასლა ამას მნიშვნელოვანწილად. ყოფიერების იდეა ადგილის იდეაში შერწყმულიყო. ვიწრო სივრცე გარშემოკვროდა იმას, რაც სხეული იყო და აწ თავად გამხდარიყო სხეული. დაბოლოს, როგორც ეს მძინარეს ემართება (მხოლოდ ძილისა და ძილისეული სამყაროს მეშვეობით შეიძლება სიკვდილის წარმოდგენა) — დაბოლოს, რო-

გორც ეს დედამიწაზე მყოფს, ღრმად ჩაძინებულ კაცს მოუვა, სინათლის ლაციცი რომ შეაღვიძებს და ძილ-ღვიძილში შიში აიტანს, სწორედ მეც ასევე, ჩრდილით მთლად ვარშემობურვილს მომეახლა იგივე სინათლე, რომელსაც შეუძლია შიშით აიტანოს კაცი — სინათლე წარუვალი სიყვარულისა. ბნელით მოცული რომ ვიწყეი, იმ საძვლის თავზე ვილაცეები ჯახირობდნენ. სველი მიწა აქქონდათ მაღლა. ჩემს შემპალ ძვლებზე ჩამოუშვეს უნას კუბო.

და კვლავ გამოცარიელდა სუყველაფერი. ის ბუნდი ნათელიც გაილია. თრთოლვაც მიწელდა. გავიდა მრავალი ხანი. მიწა დაუბრუნდა მიწას. შესაჭმელი აღარაფერი დარჩა მატლს. წარჩხოცა ბოლოს და ბოლოს გრძნობა არსებობისა და იმის მაგივრად გამეფდა — ყველაფრის მაგივრად-მეთქი — მოვიდა მეუფება მარადიული — ადგილისა და დროის. და იმისთვის, რაც არ იყო, იმისთვის, რასაც ფორმა არ ჰქონდა, იმისთვის, რასაც არ ჰქონდა ფიქრი, იმისთვის, რასაც არ ჰქონდა გრძნობიერება, იმისთვის, რასაც არ ჰქონდა სული და არც საგანი რამე, არც არაფრისთვის, თუმცა კი უკვდავთათვის, ეს სამარე გახდა ბინა, ხოლო ყოვლის მომწენლებელი საათები — ძმაკაცნი.

## ოკალური სურათი

მე, ასე შეჭირვებული კაცი ღამეს ცისქვეშ ხომ არ გავათენებდი, და ჩემმა მსახურმა სრა-სასახლის კარის შემტკრევა გაბედა; სევდა და დიდებულება ერთად დასტყობოდა აქაურობას. ისევე, როგორც ქალბატონ რადკლიფის წარმოსახვაში, აპენინებშიც ხშირად შესვდებოდი კაემნისმომგვრელ ასეთ ნაგებობებს. კარგად ჩანდა, რომ ამ ცოტა ხნის წინ თრიოდე დღით დაეტოვებინათ იგი. ყველაზე უფრო პატარა და ნაკლებად გაწყობილ ერთ ოთახში დავბინავდით. ამ შენობის შორეულ კოშკში მდებარეობდა ეს დარბაზი. მთლად დაძველებულიყო მისი წინადროინდელი მოწყობი-

ლობა. კედლებიდან ჩამოშლილ გობელენებზე ეკიდა აურაცხელი და ნაირ-ნაირი ნაალაფევი იარაღი, მოოქრულ არაბესკებით დაფარულ ჩარჩოებში ჩაესვათ შთაგონებით შექმნილი ბევრი თანამედროვე ფერწერული ტილო. საკვირველი არქიტექტურისა იყო ეს შენობა და ამიტომაც მრავალ კუთხე-კუნჭულს ნახავდით, სურათები აქაც დაეკიდათ. ციებ-ცხელებამ შემომიტია და შესაძლოა მიზეზი ეს იყო, რომ მთელი ჩემი გულისყური მიიპყრო ამ სურათებმა. მოსაღამოებული იყო; პედროს უბრძანე, მიხურე ეგ მძიმე დარაბები, ჩემს თავთან მდგომი მაღალი კანდლოს ყველა სანთელი აანთე და ამ საწოლის ფოჩებიანი შავი ფარდა რაც შეიძლება ფართოდ გადასსენი-მეთქი. იმიტომ მოვინდომე ასე, რომ თუ ძილი არ წამართმევდა თავს, კარგად დავინახავდი ამ სურათებს და ამ პატარა წიგნსაც ყურადღებით წავიკითხავდი, რომელიც ბალიშზე ვიპოვე და სურათების გარჩევასა და მათ აღწერილობას გვამცნობდა.

დიდხანს, დიდხანს ვკითხულობდი, სურათებს კი გამოწვლილვით ვათვალიერებდი. მალე გაიღია ეს დიდებული საათები, შუაღამე გადასულიყო უკვე. მოუხერხებლად იდგა კანდელი და არ მომწონდა, მაგრამ რაკი მსახურის შეწუხება არ მინდოდა, ძლივძლივობით მივწვდი და ისე დავდგი, მის შუქს კარგად გამოეჩინა წიგნის ფურცლები.

მაგრამ ყოვლად მოულოდნელი ამბავი კი მოხდა. სანთლების შუქმა (აუარება რომ იყო აქ) ოთახის ერთი ნიში გამოაჩინა, მანამდე იგი სარეცლის ერთ ტოტთაგანს დაეფარა სრულიად. მოციმციმე ნათელზე შევნიშნე მხოლოდ ეს სურათი: ქალობისათვის ახალმომწიფებული ნორჩი გოგონას სურათი იყო. შევხედე თუ არა ამ ნახატს, იმავე წამს თვალი დავხუჭე, რად გავაკეთე ასე, ამას მაშინ ვერ მივხვდი. ჩემდა უნებურად მომივიდა ეს, როგორც ჩანს, დრო ხომ უნდა მქონოდა ფიქრისთვის, რომ დავრწმუნებულიყავი, თვალმა არ მომატყუა-მეთქი, დამშვიდებული, ფანტაზიადოკებული უფრო საღი გონებითა და უფრო თავაზიანად დავკვირვებოდი. კიდევ ორიოდე წამიც და კვლავ მივაპყარი მზერა სურათს.

საღი მხედველობა მქონდა აბლა და ამაში ეჭვიც აღარ მეპარებოდა, კანდლის პირველი სხივი მოხვდა თუ არა ტი-

ლოს, თითქოსდა დამეხსნა გრძნობისწამლები ძილქუშის სენაჯები და იმწუთას დამიბრუნდა სიფხიზლე.

ქალიშვილის სურათი იყო, როგორც უკვე გითხარით. თავი და მხრებილა მოჩანდა მისი, დაეხატათ ვინიეტური მანერით, ასე უწოდებენ ამას; სალისა უყვარდა ასე თავების გამოსასვა. მკლავები, მკერდი და თქროსფერი თმაც კი შერთვოდა ფონს — სიღრმეში დანთქმულ ბუნდ ჩრდილს, ჩარჩო ოვალური, მავრიტანული ჩუქურთმებითურთ, მდიდრულად მოთქრულიყო. ხელოვნების ნაწარმოებთაგან ყველაზე უფრო აღმაფრთოვანებელი ეს სურათი გახლდათ. მაგრამ არც შესრულებამ, არც მარადიულ მშვენიერებასთან წილნაყარმა სახემ შემძრა უეცრად სულით ხორცამდე. ძილ-ღვიძილში მყოფს არც ცოცხალი არსების თავი მგონებია, სულაც არა. მივხვდი იმწუთას, რაკი ვნახე ნახატის თავისებურება, მისი ვინიეტური მანერა, ჩარჩო, მაშინვე უნდა უარმეყო ეს იდეა, გულშიაც კი ვერ გავივლებდი ამას. საათი იქნებოდა, რაც სანასევროდ წამომჯღარი ფიქრში ვიყავი წასული, თვალი ვერ მომეცილებინა სურათისთვის. დაბოლოს ჩავხვდი მისი ეფექტის საიდუმლოებას, ისევ გავსწორდი ლოგინზე. მთლად ცოცხალივით ჩანდა სურათზე ის არსება, ჯერ მომაჯადოვა, მერე შეეჩქვიფდი კიდევაც, საბოლოოდ კი თავზარი დამეცა, გული გადამიტირიალდა. დიდი მოწიწებითა და სასოებით ისევ თავის ადგილას დავდგი კანდელი. ჩემი მღელვარების საგანს რაკი ველარ ვხედავდი, მოუთმენლად მივწვდი იმ წიგნს, სადაც სურათების აღწერილობა და მათი შექმნის ისტორია იყო მოყვანილი. მოვძებნე ის ნომერი, რომლითაც ოვალური სურათი აღენიშნათ, და შემდეგი პუნდი და გასაოცარი სიტყვები ამოვიკითხე:

„შეუდარებელი სილამაზის ასული იყო იგი, მშვენიერება მისი მის სიმხიარულეს შეედრებოდა. საბედისწერო ჟამმა დაპკრა, როდესაც მან მსატვარი ნახა, შეუყვარდა და მისთხოვდა. ეს ზემთაგონებული, გულმიოდგინე, პირქუში კაცი უკვე ხელოვნების ტრფიალი გახლდათ; შეუდარებელი სილამაზის ასული იყო იგი, მშვენიერება მისი მის სიმხიარულეს შეედრებოდა — ნათელი გადასდიოდა სულ მუდამ მომღიმარეს, შველივით ცელქს, მოსიყვარულეს, მზრუნველს, და მსოლოდ თავისი

მეტოქე — ხელოვნება შესაგებოდა, შიშატანილი უმზერდა პალიტრას, ფუნჯებსა და სხვა ბედით იარაღებს, რის გამოც მიჯნურის სახეს ვეღარ ხედავდა. და როცა მხატვარმა თავისი ახალგაზრდა ცოლის სურათის შექმნა მოისურვა, თავზარი დაეცა. მაგრამ სათნო, დამყოლი, მოკრძალებული ქალი იყო და მრავალი კვირა იჯდა ბნელსა და მაღალ კოშკში, მქრქალი ნათელი ეფინებოდა ზემოდან უფერო ტილოს. მაგრამ შემოქმედების ცეცხლი მოსდებოდა მხატვარს და ასე მისდევდა საათი საათს, დღე დღეს. ზეშთაგონებული, მგზნებარე, გაუცინარი კაცი ოცნებას მისცემოდა და ვერ ხედავდა, მიყრუებული კოშკის შემზარავს შუქზე როგორ ილეოდა მისი მუუღლის სული და ხორცი, ეს ამბავი მის გარდა ყველას შეენიშნა უკვე. ღიმილი არ მოშორებია ქალის სახეს, ერთიც არ დაუწივლია, იგი ხედავდა, რომ მხატვარს (დიდად სახელგანთქმულს) დღე და ღამე ჰქონდა გასწორებული, რათა ხორცი შეესხა იმისათვის, ვისაც უყვარდა იგი და ვინც დღითი დღე, სულ უფრო და უფრო უღლური და ნაღვლიანი ხდებოდა. და მართლაც სურათის მნახველი ყველა ჩურჩულით აღნიშნავდა მსგავსებას — უდიდესი საოცრებაა. ეს მოწმობს მხატვრის ნიჭსა და უსაზმო სიყვარულს მისადმი, ვინც ასე სრულყოფილად წარმოაჩინაო. დაბოლოს, სურათის დამთავრების ხანს, აღარავის უშვებდნენ კოშკში, რაკილა შემოქმედების ცეცხლმა მოიცვა მხატვარი, თვალი მხოლოდ წამით მოაცილა ტილოს, რათა თავისი ცოლისთვის შეესედა; და არ ისურვა დაენახა, რომ ტილოზე დაფენილი ფერები მის გვერდით მჯდომის ლოყებიდან წარეტაცნა მას. ასე გავიდა მრავალი კვირა, ცოტა დარჩა გასაკეთებელი, ფუნჯის ერთი მოსმაღა სჭირდებოდა ბაგე-პირსა და თვალს, და ვითარცა ლამპარმა, ისე მოიღო ბდღვრიალი ქალის სულმა. დასრულდა, მზად იყო სურათი, და მცირე ხნით გაიჩინდა თავისი ქმნილების წინარე მდგომი მხატვარი, კიდევ ერთი წამიც და მიწისფერი დაედო, თავით ფეხამდე კანკალი მოეკიდა და შესძახა ზარგანხდილმა: „მართლაცდა სიცოცხლეა ეს თავად!“ მერმე უეცრად თავის სატრფოს მიუბრუნდა — ის კი მკვდარი იყო“.



#### IV

### MELLONTA TAUTA<sup>1</sup>

საკაპერო ბურთი "ტოროლა"

1848 წლის 1 აპრილი

აბა, ახლა, ჩემო კარგო, ახლა კი უნდა მოემზადო ცოდვების მოსანანიებლად. ღდინს გაგაგდებინებს ეს გაუთავებელი, ახე-ბახე წერილი. დიახ, დაუფარავად გიცხადებ, ყველა შენი მატრებაზობისთვის დავსჯი ისეთი ქანცის გამწყვეტი, ისეთი აბურდული, ისეთი უთაური მონაწერით, კაცს რომ ჯერ თვალით არ უნახავს, თანაც გასართობად გამგზავრებული (ზოგს რა საოცრად წარმოუდგენია გართობა!) ას თუ ორას canaille<sup>2</sup>-სთან ერთად, ამ ბინძურ საკაპერო ბურთზე გამომწყვდეული ვერ ვარ კარგად და ერთი თვე მაინც ვერ ვიხილავ terra firma-ს<sup>3</sup>. ხმის გამცემი არავინ მყავს, გასაკეთებელი არაფერი მაქვს. მოცლილმა ადამიანმა კი მეგობრებთან მიმოწერით უნდა გაიყვანოს დრო. ამ წერილის მიზებს ხომ ხედავ — შენი ცოდვები და ჩემი ennui.

<sup>1</sup> იმ მომავალს (ბერძნ.).

<sup>2</sup> ნაყარნუყარი ხალხი (ფრანგ.).

<sup>3</sup> მყარ მიწას (ლათ.).

მიდი, სათვალე მოიმარჯვე და თადარიგი დაიჭირე და-სალრეჯად. ყოველდღე მოგწერ ამ საზიზლარი მგზავრობის ამბავს.

ოჰ! კაცი როდისღა გამოიგონებს ახალს? ეს ჯოჯოსეთი ამ საჰაერო ბურთზე სანამდე გასტანს? ნუთუ სამგზავროდ უფრო სწრაფმავალ რასმე ვერავინ შექმნის? ღმერთმანი, სწორედ გულ-მუცლის ხანჯვლაა ეს ხანხალი. გეფიცები, შინიდან რაც წამოვედით, საათში ასი მილის! მეტს ვერ გავდივართი ყველა თუ არა, ზოგი ჩიტი მაინც გვისწრებს. მერწმუნე, სრულებითაც არ ვაჭარბებ. თითქოს ნელა მივფრინავთ, რაკილა გარშემო არაფერი ჩანს და ქარს მივყვებით. მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. სხვა საჰაერო ბურთი რომ შემოგვხვდება, მაშინ ვგებულობთ ჩვენს ნამდვილ სიჩქარეს და გამოგიტყდები, არაა ისეთი ურიგო. თუმცა შეჩვეული ვარ ასე მგზავრობას, ჩვენ ზემოთ რომელიმე საჰაერო ბურთის გადაფრენისას მაინც მომეძალება გულისრევა. ვეებერთელა მტაცებელ ფრინველად მეჩვენება ყოველთვის და ასე მგონია, აი, ახლა დაგვაცხრება და კლანჭებით მიგვიტაცებს-მეთქი. ამ დილაადრიან ერთმა სულ ახლოს გადაგვიქროლა და ჩვენს საკალათე ბადეს თავისი სამუხრუჭე ბაგირი გამოჰკრა, ასე რომ, კარგა მაგრა გვაჭამა შიში. ჩვენმა კაპიტანმა თქვა, ხუთასი ან ათასი წლის წინანდელივით ახლაც ასევე ზიზილ-პიპილებიანი პრიალა „აბრეშუმისგან“ რომ გაეკეთებინათ ჩვენი საბურთე გარსი, ნამდვილად ვერ გადავრჩებოდითო. „აბრეშუმი“ თურმე რაღაც განსაკუთრებული ჭიის შიგნეულით მზადდებოდა. ჭიას რომელიღაც თუთის ხის საზამთროს მსგავსი ნაყოფით საგულდაგულოდ გაასუქებდნენ და მერე დაფქვავდნენ. პ ა პ ი რ უ ს ი ერქვა პირველადს პასტას და სხვადასხვა პროცესის შედეგად საბოლოოდ ღებულობდნენ „აბრეშუმს“. უცნაური კია, მაგრამ ეს მასალა, ქალის საკაბედ ძალიან მოსწონდათ! საჰაერო ბურთისთვის ასეთი „აბრეშუმი“ იხმარებოდა. შემდეგ, როგორც ჩანს, უფრო კარგი ნივთიერება უპოვიათ სათესლე აპკებში იმ მცენარეებისა, რასაც ხალხი ეძახის euphorbium-ს, ხოლო იმხანად ბოტა-

1 1 მილი = 1,524 კმ.

ნიკოსებს მისთვის რძიანა დაურქმევიათ. ნამეტანი გამძლეობის გამო ამ მასალას უწოდებდნენ აბრეშუპის ბაკინგემს, რომლის გასაჯერებელი ხსნარი, ჩვეულებრივ, კაუჩუკის იყო — რაღაცა მსგავსი ჩვენს დროს აგრე ცნობილი გუტაფისისა. ამ კაუჩუკზე ხან ამბობდნენ, ინდიური რეზინიაო, ხან გრეხილი რეზინიაო. მრავლისმრავალ სოკოთაგან ეს უთუოდ ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო. ახლა ხომ ვეღარ უარყოფ, რომ სულთ არქეოლოგი ვარ.

სამუხრუჭე ბაგირი-მეთქი; ჩვენი საპაერო ბურთის ბაგირმა სწორედ ახლახან გამოჰკრა და პატარა, მაგნიტურხრახანიანი კატარლიდან ოკეანეში გადაეგდო კაცი. დაასლოებით ექვსი ათასი ტონა წყალწყვის ასეთი კატარლა აურაცხელი დაცურავს ჩვენ ქვემოთ და ზედ დიდძალი ხალხია. ასეთი პატარა ნავჭურჭლებით ბევრი მგზავრის გადაყვანა როგორ იქნება. იმ კაცის ამოსაყვანად, რაღა თქმა უნდა, თავი არ შეუწუხებიათ, ასე რომ, თავისივე მაშველი რგოლითურთ მალე თვალს მიეფარა. ჩემო კარგო, გულს მისარებს ცხოვრება ასე განათლებულ საუკუნეში, როცა პიროვნება გრომ-კაპიკად ფასობს. მარტოოდენ მასებზე ზრუნავს ჭეშმარიტი კაცთმოყვარეობა. კაცთმოყვარეობა-მეთქი; შენ იცი თუ არა, ჩვენი უკვდავი უიგინსის შეხედულებები სოციალური გარემოს შესახებ და ა. შ. თურმე არ ყოფილა ორიგინალური. პანდიტი მარწმუნებს, ლამის საუკუნით ადრე, ეს ამბავი ზუსტად ასევე უთქვამს ერთ ირლანდიელ ფილოსოფოსს, რომელსაც, რაკილა თავისი ფერმის სიასლოვეს დუქანი მოეწყო და ვაჭრობდა მხოლოდ ფურებითა და მათი ტყავეულობით, სახელად ერქვა ფურიე. პანდიტმა იცის, ხომ იცი, ამას წყალი არ გაუჯა. რა საოცარია, არა, ყოველდღიურად რომ დასტურდება საფუძვლიანი დაკვირვებები ტომით ინდოელი არი ტოტლისა\* (მომყავს პანდიტის სიტყვები): „ასე რომ, არა ერთგზის და არა ორგზის, არცა რამდენიმეჯერ, არამედ თითქმის მარადჟამს ტრიალებს ხალხში ერთი და იგივე შეხედულებები“.

2 აპრილი. დღეს ჩავძახეთ მცურავი სატელეგრაფო მავთულების შუა რაიონის მეთვალყურე მაგნიტურ კატარლას. ვიცი, ამ სახის ტელეგრაფის შემქმნელ ჰორზეს\* ზღვაში მავთულების გაყვან: ზღაპარი ეგონა, დღეს კი ვერ მივმხვდარ-



ვართ, რა არის აქ ძნელი? ქვეყანა ასეა მოწყობილი. *Tempora mutantur*<sup>1</sup> – ეტრუსკის ცატირება მიხდება და მაპატიე. ატლანტიკის ტელეგრაფი რომ არ გვეკონდეს, რალა გვეშველებოდა? (პანდიტი მეუბნება, ძველი ზედსართავი სასელიაო ატლანტიკური). დავამუხრუჭეთ რამდენიმე წუთით და კატარლას ჩავეკითხეთ. სხვადასხვა ცინცხალ ამბებთან ერთად ესეც გვითხრეს, თურმე აფრიკაში სამოქალაქო ომი მძვინვარებს; და ამ დროს ორივე მხარეს, იუროპასა და აიშეაში სასიკეთო საქმეს შედგომია ჟამიანობა. მართლაცდა, უნდა ითქვას, ვიდრე არ გააცისკროვნა ფილოსოფია ჰუმანიზმმა, ქვეყნიერებას შავსვიანობად მიაჩნდა ომი და ჟამი. გაგონილი გექნება, თურმე ძველ ტაძრებში ხალხი იხვეწებოდა. მეტი აღარ იწვნიოს კაცობრიობამ, მალე მოედოსო ბოლო ამ ბოროტებას (!) დიას. გაოცებული ვარ, ამა საქმეებით რა მადლი უნდა მოესხათ ჩვენს მამებს? ასე გონებადახშულები როგორ იყვნენ და ველარ ხვდებოდნენ, თუ რარიგ წაადგებოდა რალაცა მილიარდი პიროვნების განადგურება მასას!

**3 აპრილი.** მართლაც, მშვენიერი გასართობი და თავშესაქცევისა თოკის კიბით საჰაერო ბურთის წვეროზე მოქცევა და აგრე გარემო ქვეყნიერების ჩილვა. ქვემოთ კი, ხომ იცი, მოზღუდული რომ ხარ კალათის გვერდებით, ვერ არის კარგი გადასახედი. მაგრამ აქ, დიდებულები მუთაქებით გაწყობილი ადგილიდან (სადაც ვწერ ამ წერილს) შეგიძლია ყოველ მხარეს ჭვრეტა. სწორედ აქედან მოჩანს ზღვა საჰაერო ბურთების – სიცოცხლის მჩქეფარე გარესკენელი, და მრავალი მილიონი კაცის ხმა მესმის. გადმოცემით ვიცი, პირველ აერონავტად ცნობილ ყვითლოუს, ანუ (პანდიტის აზრით) ლილოუს\* როცა უთქვამს, საჰაერო ბურთით ჰაერში უბრალო ასკლა-ჩამოსვლით სასურველ ქარში მოხვედრისას შესაძლებელია ყოველი მიმართულებით გადაადგილებაო. ამ კაცის თანამედროვეებს ამის გაგონებაც არ სურდათ, თურმე როგორც ნიჭით ცხებულ შექანებულს, ასე უყურებდნენ, რაკილა იმხანად ყველა ფილოსოფოსი (!) ამტკიცებდა ასე გა-

<sup>1</sup> აქ: დრონი მეფობენ (ლათ.).

დაადგილების შეუძლებლობას. მართლაც აზრზე არა ვარ, ასეთი საცხადო ამბავი როგორ გამორჩათ ძველ გონებებრძენ *savants*<sup>1</sup>, თუმცა მიწყვი, დაბადებიდანვე ხელოვნების წინსვლას დიდად ბორკავდა ეგრეთ წოდებული მეცნიერი ხალხი. ჩვენი მეცნიერები, რაღა თქმა უნდა, არ არიან ძველებსავით ბრმადმორწმუნენი, ჰო, მართლა, რაღაც საკვირველს გეტყვი. იცი თუ არა, ათიოდე საუკუნე იქნება, რაც ფილოსოფოსებმა ხალხს შეაცვლევინეს ასეთი საოცარი შესხედულება — მხოლოდ ორი გზით მიიღწევად ჭეშმარიტება! მიიდი და ნუ დაიჯერებ! თურმე დიდი, დიდი ხნის წინ, ბნელ დროუჲმს ცხოვრობდა ერთი თურქი (შესაძლოა ინდოელი) ფილოსოფოსი, სახელად არი ტოტლი. ამ კაცმა ხერხი შეიმუშავა, ანუ შეიძლება ასეც ვთქვათ, ასწავლიდა კვლევის დედექციურ თუ *a priori*<sup>2</sup>-ულ მეთოდს. თავისი მტკიცება აქსიომებით დაიწყო, ანუ „თავისთავად უცილობელი ჭეშმარიტებებითა“ და შედეგებიც აქედან გამოჰყავდა „ლოგიკურად“. მისი უდიდესი მიმდევრები გახლდნენ ვინმე ნეკკლიდუ\* და ვინმე კენტი\*. ხოდა, ეს არი ტოტლი ცამდი იყო აყვანილი, ვიდრე არ გამოჩენილა ვინმე ჰოგი, „ეტრიკელ მწყემსად“ წოდებული. ეს კაცი ქადაგებდა სრულიად სხვაგვარ სისტემას, რომლისთვის დაურქმევიათ *a posteriori*<sup>3</sup> ანუ ინდექციური, რასაც მხოლოდ შეგვრძნებები ესაძირკვლებოდა. ჰოგი ცდილობდა საყოველთაო ფაქტების წვდომას, ფაქტების — აგრე მაღალფარდოვნად რომ განმარტავდნენ: *instantiae naturae*<sup>4</sup> — ანალიზით, კლასიფიცირებით, მათზე დაკვირვებით. ერთი სიტყვით, არი ტოტლის მეთოდი დაფუძნებოდა *noumena*<sup>5</sup>-ს; ხოლო ჰოგისა *phenomena*<sup>6</sup>-ს; ჰოდა, ამ სისტემით ისე აღფრთოვანებულან, რომ პირველ ხანებში არი ტოტლი მოიძულეს, მაგრამ ბოლოს ამ კაცს კვლავ გასთენებია დღე და შემდეგდროინდელ თავის მეტოქესთან გაუყვია ჭეშმარი-

1 მეცნიერებს (ფრანგ.).

2 თავისთავად. ცდისაგან დამოუკიდებლად (ლათ.).

3 ცდის საფუძველზე (ლათ.).

4 ბუნებით მოცემულები (ლათ.).

5 შესამეცნებელი, ნიეთი თავისთავად (ლათ.).

6 მოვლენა (ლათ.).

ტების საუფლო. Savant-ების მტკიცებით, გზა შექმენებისკენ მხოლოდ ორია — არიტოტლისეული და ბეკონისეული. „ბეკონისეული“, ალბათ, გეცოდინება, მერმეა შემოყვანილი ჰოვისეულის მნიშვნელობით, როგორც უფრო კეთილხმოვანი და შესაფერი.

ახლა, ჩემო კარგო, ქვემოთ ნაოქვამს წყალი არ გაუვა, სწორედ ბეჭედდაკრულია; თავადაც კარგად მიხვდები, ხსენებული უაზრო შეხედულება ყოველმხრივ აბრკოლებს ინტუიტიური ბიძგებით მარად წინმავალ ყველანაირ ჭეშმარიტ შემეცნებას. დიას, ოდინდელი შეხედულებით, საკვლევი გზები გასასვლელია ხოსვით; და საუკუნეების მანძილზე ისეთი დიდი იყო ამ ხალხის ზეგავლენა, განსაკუთრებით კი ჰოვისა, რომ, მართალი თუ გინდა, ნამდვილად ყოველგვარ აზროვნებას ბოლო მოელ. კაცი არ იყო, ვინც გაბედავდა მართო საკუთარი გონებით მიმხვდარი რამე ჭეშმარიტების გამოთქმას იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც შესაძლებელი ყოფილიყო ამ ჭეშმარიტების დასაბუთება. იმდროინდელ გაჯიუტებულ Savant-ებს ყურადღების ღირსად მიაჩნდათ მხოლოდ ჭეშმარიტებასთან მისასვლელი გზა. შედეგის ხილვა არაფრად ჩაეგდოთ.: „ხერხი გვიჩვენეთ“, ასე გაჰყვიროდნენ, „ხერხი!“ — და თუ ხერხი არ გამოადგებოდა ტოტლის (იგივე, ვერძოს), არცა ჰოვის კატეგორიებს, მაშინ ნაბიჯის წინ გადაუდგმელედ, „თეორეტიკოსს“ ბოთედ გამოაცხადებდნენ და ფეხებზე დაიკიდებდნენ მასაც და მის ჭეშმარიტებასაც.

მაგრამ, ცხადია, ადამის უამიდანვე ხოსვითი სისტემის გამო ჭეშმარიტებათა მეტი წილი მიუღწეველი რჩებოდა, რაკილა, წარმოსახვაზე მიმპლავრება იყო ისეთი ბიროტება, კვლევის ძველი მეთოდების ნამეტანი ძიძაობით რომ ვერ შეიცვლებოდა. ეს აერმანელები, ფრანჩები, ინგლიჩელები, და ამრიქელები (ესენი კი, სხვათა შორის, უშუალო წინაპრებად მოგვდიოდნენ) ცდებოდნენ მსგავსად იმ ჭკუისკოლოფისა, რომელიც გაიძახის: უკეთ რომ დაინახო, ახლოდან უნდა შეხედოო საგანს. წვრილმანიებით იბრმავებდნენ თვალს ჩვენი მამა-პაპანი. ჰოვისნაირად რომ მსჯელობდნენ, მათი „ფაქტები“ ხშირად არ იყო მხოლოდ ფაქტები. ეს კიდევ არაფერია, მაგრამ ასე ამტკიცებდნენ, რაკილა ჩანს, ფაქტი ფაქ-

ტია და კიდევაც უნდა იყოს ფაქტი. ვერძოს გზით მთარულ-თათვის მათი სავალი ჩანდა ვერძის რქებზე უფრო ბრუნდე, რახან ხელთ არასდროს ჰქონდათ რამე ნამდვილი აქსიომა. თვით იმ დროს იყვნენ მთლად თვალდავსებულები, რადგან ვერ დაინახეს, რომ სწორედ მაშინ უარყვეს მრავალი ოდითგანვე „დადასტურებული“ აქსიომა, ასე, მაგალითად, „Ex nihilo nihil fit“<sup>1</sup>; სადაც არ არის თავად, იქ სხეული ვერაფერს მოიმოქმედებს“; „ანტიპოდები არ არსებობენ“; „ნათლით ვერ წარმოიქმნება წყვილი“ — ყველა ეს კიდევ და თორმეტიოდე სხვა მსგავსი მტკიცება, ეჭვიმუტანელ აქსიომად იმთავითვე აღიარებული, სწორედ იმ ხანებშივე მიუჩნევიათ უსაფუძვლოდ. მათი მხრივ სრული უაზრობა იყო შეუვალი ჭეშმარიტების საძირკვლად „აქსიომების“ მიჩნევა. თავად სასელმორჭმული მოაზროვნეების ნაშრომებიდან ამოკრებილი ციტატების მიხედვით ნათლად ჩანს საერთოდ აქსიომათა უღონობა და უილაჯობა. წინადროინდელ ლოგიკოსთაგან სახელგანთქმულა ვინ იყო? ერთის წუთით მივალ და ვკითხავ პანდიტს, ახლავე მოვბრუნდები... ჰო, აი დაახლოებით ათასი წლის წინანდელი ნაწერი, ახლახან უთარგმნიათ იგლიჩელთა ენიდან, რომელსაც, სხვათა შორის, მგონი ამრიქულის თავწყაროდ თვლიან. პანდიტის მტკიცებით, ძველთაძველი და საუკეთესო „ლოგიკის“ ავტორი (თავის დროს მეტად სახელიანი) იყო ვინმე მილერი, ანუ, მილი; მის შესახებ ვნახეთ ჩანაწერი, სადაც არის ერთი საგულისხმო გამონათქვამი: ამ კაცს თურმე ჰყავდა დროგის ცხენი, სახელად ბენტამი\*. მოდი, ერთი ვნახოთ რა წერია ამ ტრაქტატში!

ჰო! „კაცს შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს შეცნობის უნარი“, ფრიად საზრიანად უთქვამს ბ-ნ მილს, „მაგრამ ეს ამბავი არასგზით არ უნდა მივიღოთ შეუვალი ჭეშმარიტების კრიტერიუმად“. დღეს ვინ ჭკუათამყოფელს დააეჭვებს ასეთი ტრუიზმი? ღმერთმა უწყის, ბ-ნ მილს რად მოაფიქრდა ასეთი საცხადლო რამის მინიშნებაც კი. ჯერხნობით არა უშავს რა, მაგრამ ერთი ვნახოთ, მეორე გვერდზე რა წერია? „თუ

1 არარაიდან წარმოდგება არარა (ლათ.).

ერთი რაღაცა მეორე რაღაცას ეწინააღმდეგება, მაშინ ორივეს თანაარსებობა შეუძლებელია“. აქ, ბ-ნ მილის მიხედვით, მაგალითად, ხე შეიძლება იყოს ან არ იყოს ხე. კი, ბატონო, მაგრამ მე ვეკითხები, რად-მეთქი. პასუხი ასეთია, და ამას რაღა მტკიცება უნდა: „იმიტომ, რომ ვერ მიხვდები, ურთიერთსაწინააღმდეგო ორი რაღაც როგორ იქნება ორივე ჭეშმარიტი“. მაგრამ ბ-ნი მილი თავად უარყოფს თავისივე ნათქვამს — აკი სწორედ ახლახან მიიჩნია ტრუიზმად, რომ „კაცს შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს შეცნობის უნარი, მაგრამ ეს ამბავი არასგზით არ შეიძლება მივიღოთ შეუვალი ჭეშმარიტების კრიტერიუმად“.

ამ ძველი ხალხის იმდენად ის კი არ მწყინს, რომ მათი ლოგიკა, მათივე აღიარებით, ერთ-თავად სიმართლეს ძალიან შორავს, უსაფუძვლო და ჩირის ფასია, არამედ ეს: ცუდმედინად და სულელურად მოიძულებს ყველა სხვა გზა ჭეშმარიტებისკენ და მის გასაგებად ყველა სხვა ხერხი, ამ უთაური ფოფხვისა და ღოდვის გარდა — აი, რა უკადრებიათ სანავარდოდ მოწოდებული სულისთვის.

სიტყვამ მოიტანა, ჩემო კარგო, და თურმე ეს ძველი დოგმატიკოსები თავს იმტვრევდნენ, ამ ორი გზიდან უფრო სრულად რომლით მოიძებნებათ უდიადესი და უმნიშვნელოვანესი ჭეშმარიტება, რას იტყვი? ვგულისხმობთ მსოფლიო მიზიდულობის კანონს. ნიუტონი ამ კანონის აღმოჩენას კეპლერს უნდა უმაღლოდეს. კეპლერის თქმით, თავად მან აღმოაჩინა სამი კანონი — სამი უძირითადესი კანონი. სწორედ მათი მეოხებით ნასა დიდმა ინგლიჩელმა მათემატიკოსმა თავისი პრინციპი, ყველა ფიზიკურ პრინციპს რომ ესაძირკვებოდა. ამის შემდეგ მეტაფიზიკის საუფლოა. კეპლერმა აღმოაჩინა, სხვანაირად რომ ვთქვათ — წარმოიდგინა, ეს კაცი გახლდათ ნამდვილი „თეორეტიკოსი“. ხსენებული საპატივცემლო სიტყვა ზიზღის ეპითეტი იყო თავდაპირველად. მართლაც, აბა; თუ მიხვდები: ეს ბერაბერი მუდოები როგორღა განგვიმარტავენ — ურთულესი კრიპტოგრამის ამოსახსნელად სპეციალისტი ორი გზიდან რომელს აირჩევს, ანუ იეროგლიფების ამოკითხვის შედეგად შამპოლიონმა ორი გზიდან კაცობრიობა რომლით აზიარა მარადიულ და თითქმის ქვიშაზე უმრავლეს ჭეშმარიტებას.

ცოტას კიდევ გეტყვი ამ საგანზე და თავს აღარ შეგაწყენ, ჭეშმარიტების მისაკვლევი გზების გამო ქადაგად დაცემულ-მა ამ ჭკუაბნეულმა ხალხმა ვერ დაინახა ასე დიდი შარავზა, რასაც თანამიმდევრულობა ჰქვია. სულ მიკვირს და ვერ მივმხვდარვარ. მართლაც, უფლის ქმნილებათა ამ მაძიებ-ლებმა როგორ ვერ შენიშნეს ასეთი არსებითი რამ: სრული თანამიმდევრულობაა აბსოლუტური ჭეშმარიტება! ამის გათ-ვალისწინების შემდეგ უცილობელი იყო წინსვლა! კვლევის საქმე დაავადებინეს ამ ქვემსრომ მუდოებს და დაავალეს ნამ-დვილ და ჭეშმარიტად ერადერთ მოაზროვნეებს — მგზნებარე გონების აღამიანებს, თეორიული მსჯელობით მიიკვლევდნენ ესენი გზას. ვაი, რა ჯავრით აყვირდებოდნენ ჩვენი მამა-პაპანი, ჩემი ნაწერი რომ ენახათ და ამოეკითხათ ასეთი სიტყვები? ეს ხალხი, ვიმეორებ, თეორიული მსჯე-ლობით მიიკვლევდა გზას-მეთქი; ამის შემდეგ ამ თეორი-ებს ესლა დასჭირდება: გაშანდაკება, დახვეწა, სისტემაში მოყვანა, ცოტცოტაობით გამოსუფთავება არათანამიმდევრუ-ლობის მინარევებისაგან მანამ, სანამ საბოლოოდ გამოჩნდე-ბა სრული თანამიმდევრულობა. ამას კი, რაკილა ესაა თანამიმ-დევრულობა, აბსოლუტურ და უცდომელ ჭეშმარიტებად მი-იჩნევს თუნდაც სულ გონებადასშული კაცი.

4 აპრილი. ჩვენს დროში შექმნილი გუტაფისისა და ასა-ლი გაზის ნაერთი სასწაულებს იქმს. დღევანდელი საჰაერო ბურთი რა საიმედო, რა ხალვათი, რა მარტივი სამართავი და კეთილნახელავია ყოველმხრივ! აი, ჩვენს ზემოთ, დაახ-ლოებით ერთი მილის სიმაღლეზე, სულ ცოტა, საათში ას ორმოცდაათი მილს სიჩქარით გვიახლოვდება უზარმაზარი საჰაერო ბურთი; ზედ ბევრი ხალხი იქნება, ასე, სამასი ან ოთხასი მგზავრი, რომლებიც დიდმეფური ამპარტავნებით ჩამოგვყურებენ ჩვენ, საწყლებს. მაინც, რაც უნდა იყოს, სა-ათში ასი თუ ორასი მილი არაა მაგარი სიჩქარე. გახსოვს, მატარებლით რომ მივქროდით კანადივის კონტინენტზე? სა-ათში სამასი მილის სიჩქარით მივემგზავრებოდით. გარშემო არაფერი ჩანს, ესლა დაგვრჩენოდა — ფლარტობანა, გართო-ბა, ცეკვა-თამაში. ესეც გემახსოვრება, რა გაცოცხლებული ხარ, როცა აგრე მიმქროლავი ვაგონიდან თვალს მოჰკრავ გარე-

საგნებს. ყოველივე აქ ერთად შენივთებულა. თავად კი მიჩვენია უფრო ნელი მატარებელი. მატარებლის შემინულ, თუნდაც გაღებულ სარკმლებში გახედვა შეგვიძლია და ასე თუ ისე არემიდამოს მოთვალეირება... პანდიტის სიტყვით, ჯერ კიდევ ასე, ცხრა საუკუნის წინათ რაღაც იცოდნენ კანადივის დიდი რკინიგზის შესახებ! ისიც კი მითხრა, მაშინდელი გზის ნაკვალევი ახლაც შეიმჩნევაო — ზემოთ მოხსენებული ძველთაძველი ხანის კვალი. სარკინიგზო ხაზი, როგორც ჩანს, უნდა ყოფილიყო ორლიანდაგიანი, ჩვენი კი თორმეტიანია, შენც იცი, და დასამატებლად სამი თუ ოთხი ახალი კიდევ კეთდება. უფრო ადრინდელი დროის ლიანდაგები მეტად მსუბუქნი და ერთმანეთისგან ისე ცოტათი იყო დაცილებული, რომ, დღევანდელი შეხედულებით, მათი გამოყენება შეიძლება არ მიიჩნიონ ფრიად სასიფათოდ, მაგრამ ჭკუამხიარულების საქმეს კი ნამდვილად დაარქმევენ, ახლა მანძილი ლიანდაგებს შუა ორმოცდაათი ფუტია და მგზავრებისთვის კვლავ ძლივსღაა საიშედო. ჩემდა თავად ეჭვი არ მეპარება, რაღაც რკინიგზა კი უნდა ყოფილიყო უძველეს დროსაც. პანდიტიც ამას ფიქრობს; ცხადზე ცხადია; ამავე სანებში — შვიდი საუკუნის წინათ, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კონტინენტები არ იყოფდნენ; კანადიველებს მაშინ, საჭიროებისამებრ, ექნებოდათ მთელ კონტინენტზე გამავალი დიდი რკინიგზა.

5 აპრილი. კინალამ ფესები გამაფშეკინა ამ enui-მ. პანდიტის მეტი არავინაა ჩემი გამომლაპარაკებელი; და ამას კი, ამ საცოდავსი თავი აქვს გამოტენილი გარდასული ჟამის ამბებით. მთელი დღე ამას მეჩიჩინება, ძველ ამრიქელებს ჰქონდათ თვითმმართველობა! რას მეუბნება? — ვითომც ეს ხალხი თავისუფალ მოქალაქეთა რაღაც კონფედერაციად ცხოვრობდა, მსგავსად იმ „მინდვრის ძაღლებისა“, რომლის გამოც წაგვიკითხავს ერთ იგავ-არაკში. პანდიტს დაუჩემებია, კონფედერაციას ესაძირკვლებოდათ უსაკვირველესი იდეა, სახელდობრ: ყველა ადამიანი თავისუფალია და თანასწორი, მაგრამ ეს ხომ ეწინააღმდეგება გრადაციის იმ კანონებს, აგრე ცხადლივ რომ ვლინდება როგორც სულიერ, ისე მატერიალურ სამყაროში. ყოველ ქალსა და კაცს ჰქონდა „სმის უფა

ლება“, როგორც ამბობდნენ, ანუ შეეძლოთ საზოგადოების საქმეში ჩარევა მანამ, სანამ ბოლოს აღმოჩნდებოდა, რომ არვის საქმე ყოფილა ყოვლის საქმე და რომ „რესპუბლიკა“ (ასე ერქვა ამ დომხალს) უმთავრობო იყო სულაც. გავიგე, პირველი, რასაც მეტად შეუშფოთებია ამ „რესპუბლიკის“ შემქმნელნი თავდაჯერებული „ფილოსოფოსები“, იყო ასეთი ამბავი: საყოველთაო ხმის უფლება გზას უხსნიდა ყოველგვარ მზაკვრობას. ასე რომ, სინდისზე ხელაღებული პარტია ყოველთვის ახერხებდა მთლად დაუსჯელად, თავის სურვილისამებრ ხმის უმრავლესობის მოპოვებას. რა ბევრი ლარი და ხაზი ესაჭიროება ამ უცილობელი დასკვნის გამოტანას, სწორედ თაღლითებს უნდა გაემარჯვათ და, ერთი სიტყვით, სწორედ თაღლითური უნდა ყოფილიყო რესპუბლიკური მთავრობა, მაგრამ სანამ ამ გარდუვალი ბოროტების არმცოდნე ფილოსოფოსები იწვოდნენ სირცხვილით და თავგადაკლული მუშაკობდნენ ასალი თეორიების შესაქმნელად, გამოჩნდა ვინმე ვაჟბატონი, სახელად ბრბო. ამ კაცმა ყველა მოდრიკა, დაიორხელა და ჩამოაყალიბა ისეთი დესპოტიზმი, რომელთან შედარებით სანდომ-საამური ჩანდა საარაკო ზეროსი და ჰელოფაგაბალუსი\* ეს ბრბო (სიტყვამ მოიტანა და უცხოელი გახლდათ), ასე ამბობენ, იყო ცისქვეშეთში კაცთაგან ყველაზე უფრო მურტალი; მდევეური აღნაგობის, მუდრეგი, მმარცვავ-მტაცებელი, წუნკალი, ხარისებრ უწყალო, აფთრის დარად გულშეუტკივარი და ბატისტვინა. დასასრულ, თავისივე ნამეტნავი ჯალმოსილებით დაოსდა ჯა კიდევაც მოეღო ბოლო. მიუხედავად ამისა, უსარგებლოდ არ ჩაუვლია ამ ამბავს — ყოველი, თუნდაც მთლად უგვანო რამე ხომ გაკვეთილია კაცობრიობისთვის, დღემდე დაუვიწყარი. ასე რომ, აღარაფერი კეთდებოდა ბუნებრივი ანალოგიების საწინააღმდეგო. რესპუბლიკურს თუ იკითხავთ, დედამიწის ზურგზე, „მინდვრის ძაღლების“ გამოკლებით, ჯერ კიდევ არ ყოფილა რამე მისი ანალოგიური, და თუკი რასმეს გვიჩვენებს ეს გამონაკლისი, ესაა ის, რომ დემოკრატია მმართველობის ფრიად მოსაწონი ფორმაა ძაღლებისათვის.

6 აპრილი. ამ დამით მშვენიერად ჩანდა ლირას ალფა, რომლის დისკო ჩვენი კაპიტნის ჭოგრიტში გვაძლევდა ნა-



ხევარგრადუსიან გადასრას და კარგა მაგრად ჰგავდა ნისლოვან დღეს შეუიარაღებელი თვალთ დანახულ ჩვენს მზეს. ამასთან შედარებით ღირას ალფა გაცილებით დიდია, მაგრამ სხვათა შორის, თავისი ლაქებით, თავისი ატმოსფეროთი და კიდევ ბევრი რამით ჩვენს პლანეტას ძალიან ჰგავს. პანდიტის სიტყვით, მხოლოდ უკანასკნელ საუკუნეში ხვდებიან ამ ორი მნათობის ბინარულ ურთიერთდამოკიდებულებას, ზესკნელში ჩვენი სისტემის საცხადო მოძრაობა (უცნაური კია!) ეგონათ გალაკტიკის შუა მდებარე ერთი უზარმაზარი ვარსკვლავის ორბიტა. ამ ვარსკვლავის, ანუ რაღაც მიზიდულობის ცენტრის გარშემო, ირმის ნახტომის პლანეტებისთვის რომაა საერთო და, ასე ვარაუდობენ, არისო ხომლის თანავარსკვლავედში — ალკინოეს სიახლოვეს, სადაც მიზიდულობის ძალითაა შებოჭილი ყველა ეს პლანეტა, აი, ამის ირგვლივ შემოვლას დედამიწა მოუნდება 117 000 000 წელიწადს ჩვენ, რახან ბევრი ვიცით, გვაქვს ვეებერთელა, სრულყოფილი ტელესკოპები და ა. შ., რაღა თქმა უნდა, გვიძნელდება ამ იდეის თავწყაროს მიკვლევა. ამ იდეის პირველი მაცნე გახლდათ ვინმე მადლერი. საფიქრებელია, რომ ჯერ უბრალო ანალოგიას მიუყვანია ამ უცნაურ ჰიპოთეზასთან ეს კაცი; მაგრამ, თუ ეს ასეა, თავის გამოკვლევებში მერეც უნდა გაჰყოლოდა ანალოგიებს. მართლაც, დიდი მთავარი მნათობი არისო. ასე უვარაუდებია და აქამდის ყოფილა მადლერი თანამიმდევრული. მაგრამ ეს მთავარი მნათობი დინამიკურად უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ყველა ერთად მის გარშემო მდებარე მრავალი მნათობი. მაშინ კი შეიძლება ასეთი კითხვა დაისვას: „რად არ ჩანს?“ — განსაკუთრებით ჩვენთვის, ამ ჯგროს შიგ შუაგულში რომ მოვქცეულვართ, სწორედ მის უშუალო სიახლოვეს, სადაც უნდა ყოფილიყო ეს წარმოუდგენელი ცენტრალური მზე. ასტრონომი აქ, შესაძლოა, აგრე დააღწევდა თავს გასაჭირს — უსხივო უნდა იყოსო ეს მნათობი; და უცებ მიივიწყებდა ანალოგიებს. ვთქვათ და, მართლაც ეს ცენტრალური პლანეტა სხივებმიქრალია, მაგრამ სხივთა მთოველი ამდენი მცხუნვარე მზის შორის რომაა მოქცეული, მისი უხილავობის ამბავს როგორღა აგვიხსნიდა? დასასრულ, რაღა თქმა

უნდა, ასტრონომი, იტყოდა ყველა მბრუნავი მნათობისთვის საერთო მიზიდულობის, რაღაც ჩვეულებრივი ცენტრის არსებობას. მაგრამ ამის შემდეგ უარყოფდა ანალოგიებს. მართალია, ჩვენი სისტემა ბრუნავს მიზიდულობის საერთო ცენტრის გარშემო, ოღონდ ეს ხდება მეოხებით მატერიალური მზისა, რომლის მასა დანარჩენი სისტემის არა მხოლოდ უბრალო მაწონასწორებელია. მათემატიკური წრეწირი მრუდეა და უთვალავ წრფეს მოიცავს. მაგრამ ცნება ამ მათემატიკური წრეწირისა ის ცნებაა, რაც მიწიერი გეომეტრიის მიხედვით ივარაუდება როგორც მარტივი მათემატიკური და პრაქტიკულისგან განსწვავებით ეს ცნება არის ჭეშმარიტად პრაქტიკული მნიშვნელობის — ესეა ყურადსაღები ამ ტიტანური წრის მკვლევართათვის, ყოველ შემთხვევაში, მაშინ, როცა ვფიქრობთ, ჩვენი და მეზობელი სისტემების ბრუნვას გალაკტიკის ცენტრში რაღაც წერტილის ირგვლივ. თუგინდ ერთხელ სცადოს ვინმემ, თუგინდ ბრძენთა ბრძენმა კაცმა, და წარმოიდგინოს ზემონახსენები ენით უთქმელი წრეწირი! სრულიად არ იქნება პარადოქსული, თუ ვიტყვით — თვით სხივი ელვისა, მარადჟამ რომ მიჰქრის ამ წრეწირზე, მარადჟამ იქროლებს პირდაპირი ხაზით. ამ წრის გარშემო ჩვენი მზის სავალი, ასევე ამ ორბიტაზე ჩვენი სისტემის მიმართულება სწორი ხაზიდან გრადუსის იოტისოდენათაც არ გადაიხრება, თუნდაც კაცის წარმოდგენაში, მილიონჯ წლის მანძილზეც. ძველი ასტრონომები კი, როგორც ჩანს, ასე მოლოდინენ, რომ მიიჩნიეს უცილობელი სიმრუდის არსებობა თავიანთ უხანო ასტრონომიულ ისტორიაში, სულ რაღაც ორ თუ სამ ათასწლეულს რომ ითვლის! უცნაური კია, როგორღა მოხდა, რომ ისინი ვერ მიახვედრა საქმის ჭეშმარიტ ვითარებას ჩვენი მზისა და ლირას ალფას ორმაგმა ბრუნვამ მიზიდულობის საერთო ცენტრის გარშემო?

7 აპრილი. ასტრონომიული გართობა ამ ღამითაც არ დაგვიკლია. მშვენივრად ჩანდა ნეპტუნის ხუთი ასტეროიდი და დიდად გაგვიტაცა დაფნისის ახალი ტაძრის წყვილი ვებერთელა საბალავრე ქვის ჩადგმამ მთვარეზე. გასაოცარია, რომ მთვარელები, ასეთი ციდა-მტკაველა და კაცის არშესაგვანი არსებანი რა მაგრა გვჯობნიან ტექნიკური ნიჭით. მი-

დი და დაიჯერე, აგრეთვე, ხალხს რა იოლად გადააქვთ უზარმაზარი საგნები; თუმცა ესენი მსუბუქნი კი უნდა იყვნენ.

მ აპრილი. ევრიკა! მეშვიდე ცას სწევია პანდიტი. კანადიველთა საპაერო ბურთიდან ჩამოგვძასეს და ჩამოგვიგდეს რამდენიმე ახალი გაზეთი; მეტად საკვირველი ცნობები გავიგეთ კანადიველების თუ, უფრო სწორად, ამერიქელების სიძველეთა შესახებ. მგონია, შენც იცი, უკვე რამდენიმე თვეა პარადიზში მუშები შედგომიან დიდ საიმპერატორო ბაღში ახალი შადრევნის მოწყობას. კაცმა რომ თქვას, პარადიზი ოღითგანვე ყოველთვის იყო (როგორც გვამცნობენ ჩვენამდის) მოღწეული ჩანაწერები) ნაკადულით, ანუ, მართალი თუ გინდა, ზღვის ვიწრო ზოლით მოსაზღვრული კუნძული. ცოტცოტაობით ეს ვიწრო ზოლი გაუდიდებიათ და ახლა მისი სიგანე ერთი მილი იქნება. თავად კუნძულის სიგრძე უკვე ცხრა მილია, ხოლო სიგანე სხვადასხვა ადგილას განსხვავებულია. მთელ ამ არემიდამოში (პანდიტის სიტყვით), ასე, რვა საუკუნის წინათ ნახავდით შენობას, ზოგიერთი მათგანი თორმეტსართულიანიც იყო; მიწა (მიზეზი მთლად გაურკვეველია) მაინცდამაინც აქ მეტად ძვირი ღირდა. მაგრამ 2050 წლის შემზარავმა, მიწისძვრამ დედამიწის ზურგიდან აღგავა აქაურობა და ქალაქი შემუსრა (ასე დიდ დასახლებას სოფელს ვერასგზით ვერ შეარქმევ). ასე რომ, ჩვენმა უგულმოდგინესმა არქეოლოგებმა ნაქალაქარში ისეთი ვერაფერი მოიპიეს (მონეტები, მედლები, წარწერები) და შეუძლებელი გახდა, ოდნავ მაინც წარმოგვედგინა იმდროინდელ მკვიდრთა ზნე-ჩვეულებები, ადათ-წესები და ა. შ. და ა. შ. აი, დღეს ესლა ვიცით: ოქროს საწმისის რაინდმა, რექორდერ რაიკერმა რომ აღმოაჩინა ეს კონტინენტი, აქ სახლობდა ნიკერბოკერელთა\* ველური ტომის ნაწილი. თუმცა მათ ჰქონდათ ცივილიზაციის რაღაც ნატამალი — თავისებურად განვითარებული ხელოვნების სხვადასხვა დარგი და მეცნიერებაც კი. ჭკვიან ხალხად თვლიდნენ, მაგრამ გასაოცარი მანია დასჩემებოდათ, რაკილა აშენებდნენ „ეკლესიებს“, როგორც უწოდებდნენ ძველი ამერიქელები პაგოდის მაგვარ შენობებს ორი ბომონის — ქონებისა და მოდის სათაყვანოდ აგებულს.

დასასრულ, თითქმის მთელი კუნძული, ასე ამბობენ, მთი-ფინა ეკლესიებით. ცოტათი წელს ქვემოთ ქალებს ბუნებრი-ვად გამობუშტული რაღაც ჰქონდათ და, როგორც ჩანს, სა-ოცრად ფეთხუმნი იყვნენ. ვფიქრობ და ვერ მივსხვდარვარ, ამ სიმახინჯეს მშვენიერებას როგორ ეძახოდნენ. ამ საკვირ-ველი ქალების ერთი თუ ორი სურათი კი შემიონასა რაღაც სასწაულით. მართლაც, ერთდროულად ინდაურისა და ღრთ-მადერის მსგავსნი მეტად, განსაცვიფრებლად გამოიურე-ბიან.

დიახ, თითო-ოროლა წვრილმანილა, რაც ძველ ნიკერ-ბოკერელებზე იციან. მაგრამ ახლა, საიმპერატორო ბაღში შადრევნისთვის მიწას რომ თხრიან (ამ ბაღს, შენც იცი, მთელი კუნძული უკავია), მუშებმა ნახეს და ამოიღეს კუბი-სებური მოყვანილობისა და რამდენიმე ასეული გირვანქა წონის კარგად დამუშავებული გრანიტის ლოდი. მშვენივ-რად შემონახულიყო და, როგორც ჩანს, სულ მცირედ და-ეზიანებინა მიწისძვრას, როცა სარჩული დედამიწისა გაირ-ღვა და ყველაფერი თან ჩაიტანა. ლოდის ერთ მხარეს და-ეტანებინათ მარმარილოს ფილა (ვინ იფიქრებდა) წარწე-რით — რაღაც ცხადი წარწერით. სიხარულით ცათა ფრენა შეუდგა პანდიტს. ფილა რომ მოხსნეს, გამოჩნდა ღრმული და იქ შედგმულ ტყვიის ყუთში იპოვეს ვილაცეების სახელებით შევსებული გრძელი გრაგნილი, გაზეთის მსგავსი, რამდე-ნიმე ქალაღდი და არქეოლოგებისთვის ფასდაუდებელი სხვა საგნები ცხადზე ცხადია, ეს ყველაფერი ნამდვილად ამრიქუ-ლი ნაშთებია იმ ტომისა, რომელსაც უწოდებდნენ ნიკერბო-კერელებს. ჩვენს საპაერო ბურთზე ჩამოგდებული გაზეთები სურათებითაა აჭრელებული. სურათებზე გამოსახულია მონეტები, ხელნაწერები, ნაბეჭდი ქალაღლები და ა. შ. და ა. შ. ვიცი, გაგართობს და ამიტომ მომყავს მარმარილოს ფილის ნიკერბოკერული წანაწერი:

## ჯორჯ ვაშინგტონის

პეპლისაა

ეს ძვაკუთხედი

საზღიბოდ ჩაეჭარა საძირკველი  
ვაშინგტონის პეპლისდების ნიუ-  
იორკული ასოციაციის შეიქმნობად

1847 წლის 19 ოქტომბერს

იმ დღის აღსანიშნავად, როცა

ახ. წ. ა. 1781 წელს

იორკტაუნში

ლორდი ქორჟოლესი\* ჩაბარდა

გინერალ ვაშინგტონს

პანდიტს უთარგმნია სიტყვასიტყვით, ასე რომ, სრულიად უშეცდომოდ უნდა იყოს ტექსტის შინაარსი. ამხნობამდე მთლ-წეული ამ ორიოდ სიტყვით ცოტა ნათელი მოეფინება მნიშ-ვნელოვან ამბებს, კერძოდ, ერთ საყურადღებო გარემოებას; თურმე, ასე, ათასი წლის წინათ ძეგლებს აღარ ჰქონდათ გა-სავალი — სწორედ ასეც უნდა; მაშინდელი ხალხი ჩვენსავით მხოლოდ ასეთ სურვილს გამოთქვამდა, როდისმე დაიდგასო ძეგლი. ხოლო ნიშნად ამ დიდსულოვანი განზრახვისა, დი-დის ამბით ქვაკუთხედს დასდებდნენ საძირკველად, რომელიც იქნებოდა „მხოლოდ ერთი, ერთადერთი“ (ციტატი მომყავს დიდ ამრიქელ პოეტ ბენტონის ლექსიდან და მაპატიე). ამ მშვენიერი წანაწერიდან ჩვენ, აგრეთვე, კარგად გავიგეო, თუ როგორ და სად, ასევე რაგვარი იყო ზემოთ მოხსენიებუ-ლი ღირსშესანიშნავი ჩაბარება. თუ სად მოხდა ეს ამბავი, ცნობილია — იორკტაუნს (სადაც უნდა ყოფილიყო, სულ ერ-თია), თუ რა გვარი იყო ეს კაცი, ვიცით — გენერალი ქორჟოლესი\* (უსათუოდ ვინმე მსხვილი ქორვაჭარი.) წარწერას აღუნიშნავს ჩაბარება — ვისი? ვისი და „ლორდ ქორჟოლესი-სა“. ახლა საკითხავია — რად უნდა ჩაებარებინათ ამ ველუ-რებს ეს კაცი? თუკი გავისხენებთ ამ ველურების კაციჭამი-აობის ამბავს, ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: სამეხ-ვედ. ჩაბარება კი როგორ უნდა მომხდარიყო? ცხადზე ცხა-დია — ლორდი ქორჟოლესი ჩაბარდა (სამეხვედ) „ვაშინგტო-ნის ძეგლისდების ნიუ-იორკული ასოციაციის შემწეობით“. ეს ასოციაცია ქვაკუთხედების ჩასაყრელი საქველმოქმედო

დაწესებულება იყო, რაღა თქმა უნდა, მაგრამ, ღმერთო დიდებული რა ხდება? ჰოი, ჩვენი საჰაერო ბურთი დაიჩუტა და მალე ზღვაში ამოვყოფთ თავს! ამის დამატებასლა მოვასწრებ, საჩქაროდ რომ გადავათვალაიერე იმ ხანის გაზეთების ასლები და ა. შ. და ა. შ. ვნახე, მაშინ თურმე ამრიქელებს შორის დიდი ადამიანები იყვნენ ვინმე მჭედელი ჯონი და ვინმე ზაქარია, მკერავი\*.

აბა დროებით, ნახვამდის, მიიღებ თუ არ მიიღებ ამ წერილს, ამით არაფერი დაშავდება, მე ხომ ეს ჩემს თავშესაქცევად დავწერე. მაგრამ ხელნაწერს მაინც ბოთლში დავბეჭდავ და ზღვას მივცემ.

მარად შენი, პანდიტა.

## საუბარი მუმიასთან

წუხანდელმა შეხვედრამ და სჯა-ბაასმა ძალიან კი დამალა. თავის ტკივილმა გამაწვალა, ძილი მომერია. ამ საღამოსაც უნდა წავსულიყავი იქ, მაგრამ სახლში დარჩენა ვარჩიე, ცოტას ვივანშიებდი და მაშინვე დავიძინებდი.

ვახშმად ბევრს არ ვჭამდი, რაღა თქმა უნდა. ჩემი უსაყვარლესი კერძია ყველიანი გრენკები. მაგრამ, იქნებ, ყოველთვის ველარ შეჭამო უცებ ერთ ფუნტზე მეტი. თუმცა ორიც რა სათქმელია. და რახან ასეა, გინდ ორი იყოს და გინდ სამი. ერთხელ კი გავბედე და მეოთხეც გადმოვიღე. ჩემი ცოლი კი მეუბნებოდა, მეხუთე იყო; მაგრამ, როგორც ჩანს, ერთიმეორეში არევია რაღაც-რაღაცები. თავადაც არ უარყოფ ხუთიანს, ოღონდ კი უნდა დავაზუსტო, ეს იყო რაოდენობა იმ ბოთლებისა, რომლებშიც წითელი ღვინო ესხა და ურომლისოდაც ყველიანი გრენკები ყელში არც გადავა.

მცირეოდენი საჭმლის მერე დავიხურე ჩემი საღამური ჩანი, შუალდემდე თვალს მოვატყუებ-მეთქი; ბალიში გავისწორე და სრულიად საღსალამათი სინდისით ტკბილ ზმანებებს მივეცი თავი.

მაგრამ იმედი ვის გამართლებია? ჯერ კიდევ მესამედაც ვერ წავიხვრინე, რომ სადარბაზოს კარზე ბრახაბრუსი ატესეს. იმწუთსავე გამომეღვიძა. ერთი წუთი გავიდა და კარგად არ მქონდა თვალი გახელილი, ჩემი ცოლი შემოვიდა და ბართი შემომაჩენა ხელში, ჩემს ძველ მეგობარს დოქტორ პონონიერს რომ გამოეგზავნა. აი რას მწერდა:

„მიიღებ თუ არა ამ ბარათს, ჩემსას უნდა მოხვიდე უთუოდ, ჩემო კარგო მეგობარო. მოდი და გაიხარე ჩვენთან ერთად. სანგრძლივი დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგად საქალაქო მუზეუმის დირექციამ ნება დამართო, უკვე შემიძლია იმ მუზეუმის გამოკვლევა, შენ იცი, რომელიცაა. სასვეეს მოვაცილებ და თუ საჭირო იქნება, გავჭრი კიდევაც. მხოლოდ რამდენიმე მეგობრის თანდასწრებით მოხდება ეს ამბავი, შენც იქნები იმათ შორის, თქმა არ უნდა, მუშია ახლა აქ, ჩემს სახლშია და ამაღამ, თერთმეტ საათზე მის შემოხსნას დავიწყებთ.

სამარადისოდ, შენი პონონიერი“.

ამოვიკითხე თუ არა ეს „პონონიერი“, საბოლოოდ გამომეღვიძა, მე მიხმობდნენ, მე ვჭირდებოდი იმათ. სიხარულით გადმოვხტი ლოგინიდან, გზად ყველაფერი ამოვატრიალე, გასაოცარი სისწრაფით ჩავიცვი და რაც ძალი და ღონე მქონდა დოქტორისას გავიქეცი.

ყველანი მოსულიყვნენ და მე მელოდებოდნენ მოუთმენლად; მუშია სასადილო მაგიდაზე დაეწვინათ. შვედი თუ არა, იმწუთას დავიწყეთ გამოკვლევა.

ეს იყო ერთი იმ ორიდან, რამდენიმე წლის წინათ რომ ჩამოიტანა. პონონიერის დეიდაშვილმა კაპიტანმა არტურ სებრეტაშმა ელეთიასის ახლორე ნანახი სამაროვანიდან, ლიბანის მთებში რომ არის და მდებარეობს საკმაოდ შორს თებედან, ნილოსის სათავისაკენ. ხსენებულ არემიდამოში მღვიმეები ისეთი დიდებული არ არის, როგორც თებეს აკლდამებია, მაგრამ კი არიან დიდად საყურადღებონი, რაკილა იქ მრავალი სურათისათვის მიუკვლევიათ, ძველეგვიპტელთა ყოფაცხოვრებას რომ გადმოგვცემენ. საკანი, საიდანაც ჩვენ

წინ მდებარე გვამი ამოეღოთ, სვავრიელად იყო მოხატული, მისი კედლები მოყვნილიყო ფრესკებითა და ბარელიეფებით, ქათქათა თეთრი ქანდაკებებით, ლარნაკებით, მშვენიერი მოზაიკები გვიჩვენებდა გარდაცვლილის დიდ სიძლიერეს.

სწორედ ისე გადასცეს ეს განძი ჩვენს მუზეუმს, როგორც უპოვია კაპიტან სებრეტაშს, სარკოფაგი ხელუხლებელი იყო. რვა წელიწადი ხალხს მხოლოდ მისი გარეთა მხარის მოთვალიერება შეეძლო. ამჟამად კი ჩვენ ხელთ გვქონდა შეუხებელი მუშია, და ვინც იცის, თუ რა იშვიათად მოუღწევია ჩვენს სანაპიროზე დაუზიანებელ სიძველეებს, იმისთვის მაშინვე ცხადი იქნება, დიასაც უნდა ვყოფილიყავი ბედის მადლიერი.

მაგიდას რომ მივუახლოვდი, დავინახე დიდი ყუთი თუ სკივრი, დაახლოებით შვიდი ფუტის სიგრძის, საში ფუტი სიგანის და ორნახევარი ფუტი სიმაღლისა. მოგრძო იყო, თუმცა არა კუბოს ფორმისა. ჭადრის (platanus) გეგონა პირველად მისი მასალა, მაგრამ რომ ჩავჭყერით მუყაო, ანუ, უფრო სწორად, პაპირუსისაგან დამზადებული papier-maché ვიხილეთ. მთლად მოეხატათ დაკრძალვის სცენებითა და სხვა ამდაგვარი სევდის მომგვრელი სურათებით — რომლებზეც, სადაც კი შეიძლებოდა, ყველგან ნახავდით გარკვეული სახის იეროგლიფებს, რომელიც, თქმა არ უნდა, მიცვალებულის სახელს გვამცნობდა. საბედნიერად, ბ-ნი გლილსონი იმყოფებოდა ჩვენ შორის და ამოკითხვა აღარც გაგვძნელებია, უბრალო ფონეტიკური ნაწერი გვაუწყებდა ამ სიტყვას: „ჰეიპო“.

დაუზიანებლად უნდა გაგვეხსნა ეს ყუთი და ჯერ გაგვიჭირდა, მაგრამ ბოლოს კარგადაც მოვასერხეთ და გამოვაჩინეთ მეორე, ახლა კი კუბოს მსგავსი და იმ პირველთან შედარებით სულ პატარა, მაგრამ სხვა მსრივ თითქოსდა მისი ზუსტი ასლი იყო, იმათი შუა სივრცე გამოევსოთ ფისით, რასაც გარკვეულწილად შიდა ყუთი გაეფუტებინა.

გავხსენით იგი (სულ ადვილად), მესამე დავინახეთ ასევე კუბოს დარი და მეორესაგან მხოლოდ მასალით განსხვავდებოდა, ამჯერად კედარი ესმართ და ამ ხეს თავისებური სურ-



ნელება დაეყენებინა. მეორე და მესამე ზარდახშებს შუა უკვე აღარ იყო სივრცე და ერთიმეორეს მჭიდროდ მიკვროდა.

ის მესამე ყუთი ამოვიღეთ და სწორედ იქ იყო მიცვალებული, გვეგონა, ჩვეულებისამებრ, მაგრად იქნებოდა გახვეული, ანუ ქსოვილით შეფუთული; მაგრამ ამის მაგივრად თურმე რაღაც ბუდის მსგავსი გაუკეთებიათ პაპირუსისაგან, სქლად ლაქი წაესვაო, მთლად მოეოქროებინათ და მოეხატათ. სურათებში გვამცნობდნენ მრავალნაირ გვემას სულისას და შეხვედრას სხვადასხვა ღმერთთან, მრავალჯერ მეორედებოდა ერთი და იგივე ადამიანის გამოსახულებანი, შესაძლებელია ეს იყო ბალზამირებულთა პორტრეტები. ამ ლუსკუმას თავიდან ბოლომდე გასდევდა სვეტები ანუ პერპენდიკულარული მწკრივები ფონეტიკური იეროგლიფებისა, კვლავ რომ გვაუწყებდა გარდაცვლილის სახელსა და ტიტულებს, აგრეთვე, მისი ნათესავების სახელებსა და ტიტულებს.

ყელზე ფარული ჰქონდა შემოხვეული ნაირფეროვანი მძივებით, თითოეული ცილინდრისებური ფორმისა იყო, სხვადასხვა ღმერთების, სკარაბეებისა და ფრთოსანი ბუშტების გამოსახულებებითაც. სხვა ამისი მსგავსი ქამარი მისი წვრილი წელსათვის შემოერთყათ.

შემოვახიეთ პაპირუსი, სხეული სრულიად დაცული ვნახეთ, არც არავითარი სუნი ასდიოდა, მოწითალო ფერის კანი ჰქონდა, პრიალა, მკვრივი და ნათელი. კარგად შენარჩუნებოდა კბილები და თმა. თვალები (როგორც ჩანს) მისთვის ამოელთ და იმის მაგივრად შუშისა ჩაესვათ მშვენიერი ნახელავი და ბუნებრივსა საოცრად დამსგავსებული, ოღონდ მეტისმეტად მკაცრი გამოხედვა ჰქონდა ამ ნაოსტატარს, თითები და ფრჩხილები სრულიად მოოქრულები.

ბ-ნ გლიდონის აზრით, ეპიდერმისის სიწიალე მოწმობდა, რომ ბალზამირება მოუხდენიათ მხოლოდ ასფალტის ფისებით; მაგრამ რაღაც ცოტაოდენი რომ მოაცილეს სხეულს ფოლადის საფხეკით და ცეცხლში ჩაყარეს, დაადგინეს, ეს ნივთიერება ქაფურს და სხვა სურნელოვან მასალას შეიცავდა.

გულდასმით მოვათვალიერეთ გვამი, ხომ უნდა გვენახა ქრილობა, საიდანაც შიგნეულობა უნდა გამოედლოთ; ჩვენდა

გასაოცრად ვერც ვერაფერი ვნახეთ. ყველა ჩვენსაგანმა, ვინც იქ ვიყავით, იმხანად არ ვიცადით, რომ შთელი ანუ გაუხსნელი მუმიები არცაუ ისე იშვიათი მოვლენა ყოფილა. ჩვეულებრივ, ტკინს ნესტოების მეშვეობით გამოქმენდნენ, ხოლო შიგნეულის ამოსართმევად გვერდს გაუჭრიდნენ, მერე გვამს გაპარსავდნენ, დაბანდნენ და დაამარილებდნენ, რამდენიმე კვირა ასე გააჩერებდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა ბალზამირება.

ჭრილობის ნაკვალევს რომ ვერსად მივაგენით, დოქტორმა პონონიერმა გასაკვეთად ხელსაწყოები მოამზადა, მაგრამ მე მაშინ საათს დავხედე და წამოვიძახე, რაღა დროსაა, უკვე სამი დაიწყო-მეთქი. შინაგანი გამოკვლევა სვალინდელი საღამოსათვის გადავდეთ, დავადგინეთ ასე, და ვიღაცამ თქვა, ვოლტის ბატარეით რამდენიმე ცდა ჩავატართო.

სამი თუ ოთხი ათასი წლის მუმიზე ელექტროდენით ზემოქმედება არ იყო ბრძნული აზრი, მაგრამ საკმაო ორიგინალობით კი გამოირჩეოდა. იმწუთსავე ყველამ დასტური მივეცით. ერთი მეთაედი წილი იმედითა და ცხრა მეთაედი წილი ხუმრობით შევიტანეთ ბატარეა დოქტორის კაბინეტში და იქვე გადავიტანეთ ის ეგვიპტელი.

ძლივსღა შევძელით მცირეოდენი ნაწილი საფეთქლის კუნთის გაშიშვლება, ნაკლებად გაქვავებულყო ეს ადგილი სხვასთან შედარებით, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ჩვენ არც არაფერს მოველოდით, გაღვანური გრძნობელობის რაიმე ნიშანწყალი არც დასტყობია იმას მავთულის შესხებისას. მართლაცდა საკმარისი უნდა ყოფილიყო ეს ჩვენი პირველი ცდა; ჩვენივე სისულელეზე გულიანად გაგვეცინა, ძილინებისაო, ვთქვით, და უცებ, რომ გავხედე მუმიას, გავშემდი გოცებისაგან. მზერა მივაპყარი თუ არა, იმწუთსავე შევნიშნე, იმისი თვალის კაკლები, ჩვენ რომ შუშისა გვეგონა სუყველას, თავდაპირველად მკაცრი გამოსხედვის მქონე, ახლა ქუთუთობედაფარული აღმოჩნდა და გამოჩენილიყო მცირეოდენი ნაწილი tunica albuginea<sup>1</sup>,

დავიყვირე, იმათ მოვუხმე, ერთი შესხედეთ-მეთქი, მაშინვე მოიბრინეს, დამიდასტურეს ეს ამბავი.

<sup>1</sup> თვალის თეთრონისა (ლათ.).

ვერ ვიტყვი, შევშოთადი-მეთქი, რადგან ეს სიტყვა „შეშოთება“ ზუსტად ვერ გამოხატავს ჩემს მდგომარეობას. ის წითელი ღვინო რომ მქონდა დალეული, ცოტათი ფერი მეცვალა. სოლო დანარჩენებს შიშმა დარია ხელი და არც ცდილან ამის დამალვას. სწორედ რომ შეგეცოდებოდათ დოქტორი პონონიერი. სადღაც გაუჩინარდა ბ-ნი გლიდონი. ბ-ნი სილკ ბაკინგემი, მე მგონია, ვერც გაბედავს ამის უარყოფას, ოთხზე დამდგარი მაგიდის ქვეშ შეძვრა.

მაგრამ ამ პირველმა ელდამ რომ გაგვიარა, უკან აღარ დაგვიხევია, თქმა არ უნდა, ექსპერიმენტი უნდა გაგვეგრძელებინა. ჩვენ ასლა მარჯვენა ფეხის შუათითს მივმართეთ საოპერაციოდ. ჩაგჭერთ გარეთა მხარე os sesamoideum pollicis pedis<sup>1</sup> და ასე გამოვაჩინეთ ფეხვი abductor<sup>2</sup> კუნთისა. კვლავ დავაყენეთ ბატარეა და დენი მივუშვიტ გაშიშვლებულ ნერვს და ვითარცა ცოცხალმა, მუშიამ ისე მოღუნა მარჯვენა მუხლი, რომ თითქმის მუცელთან მიიტანა იმისი თავი; მერე კი გამართა, მთელი ძალით გამოიქნია ფეხი და დოქტორ პონონიერს მოახვედრა, თითქოს კატაპულტით გამოსროლილი ისარი ეკრათ, ისე გავარდა ეს ჩვენი ჯენტლმენი ფანჯრიდან ქუჩაში.

მაშინვე en masse გავცვივდით გარეთ, რათა ამოგვეტანა ნეშტი ამ დასახიჩრებული კაცისა, მაგრამ საბედნიეროდ თავად იმას შეგზვდით კიბეზე, თავქუდმოგლეჯილი ამორბოდა ფილოსოფიური მღელვარებით წამონთებული, აწ უკვე ვერავითარი ძალა ვერ შეაცვლევიანებდა იმ აზრს, რომ ცდები უნდა გაგრძელებულიყო ახლა უფრო დიდი მონდომებითა და გულმოდგინებით.

ამ კაცის რჩევითა და მითითებით, ღრმად ჩაგჭერთ ცხვირი მუშიისა და თავად დოქტორმა სტაცა იმას ხელი და მავთულისკენ გამოსწია.

მორალურად და ფიზიკურადაც — გინდ პირდაპირი მნიშვნელობით ითქვას და გინდ არა — ელექტროეფექტები ვისილეთ. ჯერ ერთი, გვამმა თვალი გაახილა და ისე მაღლიმალ

1 ფეხის შუანა თითის სესამოვიდური ძვალი (ლათ.).

2 სარინი კუნთი (ლათ.).

მოჰყვა წამწამების ხამხამს რამდენსამე წუთს ვითარცა ბ-ნი ბარნესი პანტომიმაში; მეორე ის იყო, რომ დააცემინა; მესამე — ყუთის კიდებზე ჩამოჯდა; მეოთხე — დოქტორ პონონიერს ცხვირთან მუშტი დაუტრიალა; მეხუთე — წმინდა ეგვიპტურით ასე მიმართა ბატონებს გლიდონსა და ბაკინგემს;

— კი უნდა გითხრათ, ჯენტლმენებო, დიდად გაოცებული და შეურაცხყოფილი ვარ ამ აქვენი საქციელით. დოქტორ პონონიერისაგან რამე სასიკეთოს არც მოველოდი, სასიკეთო რა უნდა იცოდეს ამ საწყალმა, ჩასუქებულმა და სულელმა კაცმა. მებრალეობა და კიდევაც მიპატრობია მისთვის. მაგრამ თქვენ, ბ-ნო გლიდონ და თქვენც, სილკ, ვისაც ამდენი გიმოგზაურიათ და გიცხოვრიათ ეგვიპტეში, თითქმის იქ დაბადებულხართ და გაზრდილხართ და ის არის, მე გეუბნებით თქვენ, ვინც ამდენი ხანი დაჰყავით ჩვენ შორის და ასე კარგად დაგისწავლიათ ეგვიპტური ენა, მგონია, მშობლიურის მსგავსად უნდა წერდეთ ამ ენაზე, თქვენ-მეთქი, ვინც, ჩემი აზრით, სულ მუდამ იყავით დიდი მეგობრები მუმიებისა; ნამდვილად, მეტი ჯენტლმენობა გმართებდათ თქვენ. რას ვიფიქრებდი, წყნარად დამდგარხართ და უმზერთ ჩემს ასე აბუჩად აგდებას? გულშიაც კი ვერ გავივლებდი, რომ თქვენ ნებას მისცემდით ვიღაც ვიგინდარებს, ჰა, ტომ, დიკ, ჰარი, მოდით, გადაამტვრიეთ თავზე კუბოები, გახადეთ ტანზე, მერე და ასე არ ყინავდეს მაინც? ისიც ხომ ნათელია (რაკილა სიტყვამ მოიტანა), კარგს თქვენზე როგორ ვიტყვი, თქვენ ესმარებით და აგულიანებთ ამ საცოდავ გაიძვერას, დოქტორ პონონიერს, ჰოდა, ისიც ადგა და ამ ჩემს ცხვირს არ დაეტაკა?

რალა თქმა უნდა, სავარაუდებელი იყო, რომ ასეთი ვითარებისას სიტყვის მოსმენა და გარეთ გავარდნა ერთი უნდა ყოფილიყო ან სუყველას საშინელი ისტერიკა უნდა მოგვსვლოდა, ან გრძნობა უნდა დაგვეკარგა. სწორედ ასე უნდა, მომხდარიყო, ამ საშიდან ერთი რომელიმე უთუოდ უნდა დაგვემართნოდა. მართლაცდა, ძალზე დიდი იყო ასე მოქცევის ალბათობა. და გეფიცებით, ვერ მივმსვდარვარ, არ ვიცი, რად მოხდა ასე და არა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო. შეიძლება ჭკმარბიტი მიზეზი ჩვენი დროების სულშია საძი-

ებელი, როდესაც სუყველაფერი პირიქით უნდა მოხდეს და კიდევაც ამ გარემოებით ხსნიან ხოლმე პარადოქსულ და შეუძლებელ ამბებს. ან, იქნებ, სულაც საქმე ის იყო, რომ მუმიამ სრულიად ბუნებრივად და ჩვეულებრივად წარმოთქვა ის თავისი სიტყვა, და ამიტომ აღარც აღგვიქვამს შიშის ზარით. ასე იყო თუ ისე, ცხადია, ჩვენთაგან არც ერთი არ აკანკალებულა, ანუ თითქოსდა ასეც უნდა მომხდარიყო, ისე შევხვდით ამ ამბავს.

ჩემდა თავად მე წარბიც არ შემხრია და წენარად განზე მივდექი, მოვცილდი ამ ეგვიპტელის მუშტს. დოქტორმა პონონიერმა ხელები შარვლის ჯიბეში ჩაიწყო, მთლად წამოწითლდა და თვალი აღარ მოუცილებია მუმისათვის. ბ-ნმა გლიდონმა ბაკინბარდებზე ხელი, ჩამოისვა და საყელო გაისწორა. ბ-ნმა ბაკინგემმა თავი ჩაქინდრა და მარჯვენა ხელის შუათითი პირის მარცხენა კუთხეში ჩაიდო.

ეგვიპტელმა მკაცრად გამოსედა მას, დაბოლოს რამდენიმე წუთი დუმილის შემდეგ ასე უთხრა დამცინავი ღიმილით: — რატომ არ მეუბნებით რამეს, ბ-ნო ბაკინგემ? გესმით თუ არა, რასაც გეკითხებიან? პირიდან ხელი გამოიღეთ!

ბ-ნი ბაკინგემი შეკრთა, პირის მარცხენა კუთხიდან გამოიღო მარჯვენა ხელის შუათითი, მაგრამ სამაგიეროდ რაღაც ხომ უნდა ექნა და მარცხენა ხელის შუათითი ზემოთ ხსენებული სვრელის მარჯვენა კუთხეში ჩაიდო.

ბ-ნი ბ. რაღას უპასუხებდა, ხოდა, იმან ასლა ბ-ნ გლიდონს მიმართა გულზვიადად, ახსნა-განპარტიება მოითხოვა.

დიდხანს უხსნიდა ბ-ნი გლიდონი რაღაცას იმის ენაზე; აიერიკულ სამბეჭდაოებში იერთოგლიფების შრიფტი არ იშოვნება, თორემ კარგი იქნებოდა ამ უშესანიშნავესი სიტყვის ორიგინალზე მოყვანა.

ისიც უნდა ვთქვა, შემდგომი ლაპარაკი მუმისათან მიმდინარეობდა ჩვეულებრივ ეგვიპტურ ენაზე მეშვეობით (იქ ხომ ჩვენც ვიყავით, მე და კიდევ რამდენიმე სხვა, ვისაც არც უმოგზაურია არსად)... მეშვეობით-მეთქი ბ-ნ გლიდონისა და ბ-ნ ბაკინგემისა, ესენი თარჯიმნობდნენ. ეს ჯენტლმენები დიდებულად საუბრობდნენ მუმის მშობლიურ ენაზე, მაგრამ ეს იყო (თანამედროვე ცნებების მოშველიებისას, რაც,

რალა თქმა უნდა, გაუგებარი იქნებოდა ამ უცხოელისათვის), ეს ორი მოგზაური იძულებული გახდა რაიმე მნიშვნელობის გადმოცემის სანს საგნობრივ ახსნაზე გადასულიყო. ბ-ნ გლიდონს, ასე, მაგალითად, დიდად გაუჭირდა და ვერ გააგებინა ეგვიპტელს ტერმინი „პოლიტიკოსი“ მანამ, სანამ ნახპირის ნატეხი არ აიღო და კედელზე არ დახატა პატარა, ცხვირწამოწითლებული, იდაყვებზე სახელოებგამოხეული, კუნძზე მდგარი ჯენტლმენი, მარცხენა ფეხი უკან, მუშტად შეკრული მარჯვენა ხელი წინ აშვერილი და ზეცისკენ თვალებატრი-ალებული და ორმოცდაათი გრადუსით პირდაღებული. სწორედ ასევე ბ-ნ ბაკინგემს გაუჭირდა გადმოცემა სრულად ახალი ცნებისა „ვიგები“, ვიდრე (დოქტორ პონონიერის რჩევისამებრ). სახეგადაფითრებულმა საიდანლაც ჭუჭყიანი ჩვარი არ გამოაძვრინა.

ცხადია, რომ ბ-ნ გლიდონის საუბრის ძირითადი თემა იყო გახსნილ-გამოშიგნულ მუმიათა სარგებლობაზე მეცნიერებისათვის; ისიც თქვა, სამწუხაროა, რომ ასეთი მიმძღავრება გარკვეულწილად შეაშფოთებდაო მას, კერძოდ, ამ მუმიას, რომლის სახელია ჰეიპოი; დაბოლოს ასე გადმოგვიკრა (მეტი არც არაფერი უთქვამს) რაკილა ასე თუ ისე ნათელია ეს ამბავი, კარგი იქნებოდა გამოკვლევის გაგრძელება. დოქტორი პონონიერი მაშინვე შეუდგა ხელსაწყობის მომზადებას.

სიტყვით გამოსულის ამ უკანასკნელ შენიშვნაზე ჰეიპოიმ გარკვეული ეჭვი გამოთქვა, ზუსტად ვერ ჩავხვდი იმის მნიშვნელობას; მაგრამ ამ ბოდის მოხდამ კი დააშოშმინა, გადმოვიდა მაგიდიდან და სუყველას ხელი ჩამოგვართვა.

ამ ცერემონიის გასრულების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა მოგვევლო იმისათვის, რაც ჩვენმა სკალპელმა დაუზიანა. ჭრილობა შევუხვით საფეთქელზე, ფეხზე ბანდი შემოვუჭირეთ, სქლად წავცხეთ ცხვირზე შავი ფერის მაღამო.

მერე კი შევნიშნეთ, რომ გრაფი (ასეთი წოდებისა გახლდათ თურმე ჰეიპოი) თრთოდა, უთუოდ სციოდა. დოქტორი იმწუთასვე გავიდა და მალე დაბრუნდა, თავისი გარდერობიდან წამოეღო შავი ფერის ფრაკი, სულ ახლახან შე-

ეკერა ჩვენს ცნობილ ჯენინგთან, ერთი წყვილი უჯრედებიანი ცისფერი შარვალი, ვარდისფერი ზოლებიანი chemise<sup>1</sup>, ფაშფაშა ფარჩის ჟილეტი, ტომრისებრ შეკერილი თეთრი პალტო, კაუჭიანი ხელჯოხი, ქვაბუნა ქუდი, საუკეთესო ტყავის ჩექმები, მშვენიერი ჩალისფერი ხელთათმანები, მონოკლი, მისაბმევი ბაკენბარდები, დიდებული ჰალსტუხი. მაგრამ სხვადასხვა ზომის ტანისანი იყვნენ გრაფი და დოქტორი (შეფარდება, ასე, ორი ერთზე უნდა ყოფილიყო) და ამიტომ ცოტა კი იყო ძნელი ამ ტანისამოსის მორგება ეგვიპტელისათვის; მაგრამ ბოლოს ასე თუ ისე ჩავაცვით და უკვე ვეღარ იტყოდით, შიშველიაო. ბ-ნმა გლიდონმა მკლავზე ხელი მოკიდა; ბუხართან მიიყვანა, კეთილნახელავ სავარძელში ჩასვა, დოქტორმა ზარი დარეკა და კიდევ მოატანინა სივარები და ღვინო.

სულ მალე გამოცოცხლდა საუბარი. მართლაცდა კი იყო დიდად გასაოცარი ამბავი, თქმა არ უნდა, ყველანი განცვიფრებული ვიყავით იმ მნიშვნელოვანი ფაქტით, სული რომ ედგა ჰეიპოსი.

— მე მგონია, — თქვა ბ-ნმა ბაინგჰემმა, — თქვენ ახლა კარგა ხნის მკვდარი უნდა იყოთ.

— რას ბრძანებთ, — მიუგო მეტად გაოცებულმა გრაფმა, — მე უკვე შვიდ საუკუნეს გადავაბიჯე! მამაჩემი კი ათასის ყოფილა, და სულაც არ გახლდათ მიხრწნილი, რომ გარდაიცვალა.

მერე კი სული აღარ მოვათქმევინეთ, ბევრი რამ ვკითხეთ და რომ გამოვითვალეთ, ცხადი გახდა, შედარებით მცირე ასაკისა გვეგონა მუშია. ხუთი ათასი და ორმოცდაათი წლის, კიდევ რამდენიმე თვისა იქნებოდა იგი, ამდენი ხანი იყო გასული მისი ელეთიასის კატაკომბებში მოთავსების შემდეგ.

— მე იმის თქმა კი არ მინდოდა, — აუხსნა ბ-ნმა ბაინგემმა, — რომ თქვენ სწორედ ამდენი ხნისა იყავით დაკრძალვის ჟამს (თქვენ ჯერ კიდევ ყმაწვილი კაცი ხართ, უნდა ვადიარო), მე იმას ვგულისხმობ, რომ უდიდესი დრო გავიდა

<sup>1</sup> მამაკაცის პერანგი (ფრანგ.).

მას შემდეგ, თქვენი თქმისა არ იყოს, რაც ამ ასფალტში დაკ-  
ყავით.

— რაო, რაშიო? — იკითხა გრაფმა.

— ასფალტში-მეთქი, — გაუმეორა ბ-ნმა ბაკინგემმა.

— ჰო, დიახ, მგონია კი ვიცი, რასაც ამბობთ, კი შეიძ-  
ლება ამ ნივთიერების მოხმარება, მაგრამ ჩემს დროს ამი-  
სათვის ჰქონდათ ვერცხლისწყლის ბიქლორიდი.

— და მაინც ჩვენთვის კი არის გაუგებარი, — თქვა დოქ-  
ტორმა პონონიერმა, — როგორ მოხდა, თქვენ მიიღველეთ და  
დაკრძალული იყავით ეგვიპტეში ხუთი ათასი წლის წი-  
ნათ, დღეს კი დიდებულად გამოიყურებით საღსაღამაათა  
კაცი.

— მე რომ მართლა, როგორც თქვენ ბრძანეთ, მიცვალე-  
ბული ვყოფილიყავი, — მიუგო გრაფმა, — რაღა თქმა უნდა  
კიდევაც ვიქნებოდით მიცვალებული; მაგრამ ვხედავ, რამ  
ბავშვის შეხედულება გქონიათ გალვანიზმზე და არც ის  
გცოდნიათ, რაც ჩვეულებრივი ამბავი იყო იმ ჩვენს ძველ  
ხანაში, კატალეფსური ძილით გონწართმეული კაცი ნებს  
უახლოეს მეგობრებს მკვდარი ვეგონე ან ასე უფიქრიათ, სა-  
დაცაა მოკვდებო; ხოდა, აღარ დაუხანებიათ, ბალზამირება  
გამიკეთეს.... მე მგონია თქვენ კი უნდა იცოდეთ ბალზამი-  
რების მთავარი პრინციპები.

— ცოტა, ისე, მთლად არა.

— ჰო, მეჰმის, რა სავალალო უვიცობაა! ახლა არ შემოი-  
ღია გამოწვლილვით ჩავუღრმავდე ამ საკითხს, მაგრამ ის კი  
უნდა გითხრათ, რომ ბალზამირება (ძირითადად) ეგვიპტეში  
იყო რაღაცა ვადით მთელი სასიცოცხლო პროცესების შეწყ-  
რება, „სასიცოცხლო-მეთქი“, გეუბნებით მე და ამ სიტყვაში  
ბევრ რამეს ვგულისხმობ, მათ შორის ფიზიკურზე უფრო სუ-  
ლიერს და ვიტალურ ყოფას. გიმეორებთ, რომ ჩვენში ბალ-  
ზამირების მთავარი პრინციპი იყო დაუყოვნებლივ შეჩერე-  
ბა ყველა სასიცოცხლო ფუნქციისა დიდი დროის მანძილზე;  
მოკლედ რომ ვთქვათ, როგორცაა კაცი ბალზამირების ხანს,  
ასეთივე რჩება მას მერეც. ჩემდა პედად მე სკარაბეების  
სისხლისა ვარ და ცოცხალსავე გამიკეთეს ბალზამირება.  
თქვენც ხედავთ ამას.



— სკარაბეების სისხლისაო! — გაუკვირდა დოქტორ პონონიერს.

— დიას. სკარაბეი ნიშანი თუ გერბი იყო ჩვენი სასელოვანი იშვიათი დიდებული მოდემისა. „სკარაბეების სისხლისაო“ რომ ვამბობ, გარკვეულ გვარს ვგულისხმობ, მისი ნიშანია სკარაბეი. ხატოვნად გეუბნებით ამას.

— და, იქნებ, ამიტომაც ხართ ცოცხალი?

— დიას. ეგვიპტეში, ჩვეულებსამებრ, ბალზამირების წინ გვამს შიგნეულობასა და ტვინს გამოაცლიდნენ. მაგრამ სკარაბეებმა ასე არ იცოდნენ, მასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ მე უშიგნეულოდ და უტვინოდ დავრჩებოდი; უამათოდ კი გაუძნელდება სიცოცხლე კაცს.

— ასლა კი მივხვდი, — თქვა ბ-ნმა ბაკინგემმა, — ჩვენ ხელთ მოხვედრილი მრთელი მუმიები, როგორც ჩანს, სკარაბეების გვარისა გახლდნენ.

— თქმა არ უნდა.

— მე მგონია, — მოწიწებით დასძინა ბ-ნმა გლიდონმა, — ეგვიპტურ ღმერთთაგან ერთ-ერთი სკარაბეი გახლდათ.

— ეგვიპტური, რაო? — შეჰყვირა მუმიამ, ზე წამოიჭრა.

— ღმერთთაგან ერთ-ერთი, — გაუმეორა მოგზაურმა.

— ბ-ნო გლიდონ, გასაოცარ რასმეს მეუბნებით, — თქვა გრაფმა, ისევ რომ დაჯდა სავარძელში, — მთელი დედამიწის ზურგზე არც ერთ ერს არა ჰყოლია ღვთაება გარდა ერთისა. სკარაბეი, იბისი და ა. შ. ჩვენთვის იყვნენ (ვითარცა მსგავსი არსებანი სხვათათვის) სიმბოლოები ან media<sup>1</sup>, რომლებსაც ჩვენ მივმართავთ ხოლმე შემოქმედის თაყვანისცემის სანს, მისი თვალუწვდომელი სიდიადე სომ გვიკრძალავს მასთან უშუალოდ მიახლოებას.

ყველანი გაეჩუმდით. დაბოლოს დოქტორმა პონონიერმა განაგრძო საუბარი.

— თქვენი სიტყვები თუ გვემასსოვრება, შეუძლებელი არ უნდა იყოს, მგონია, — თქვა მან, — ნილოსის ახლოს, კატაკომბებში სხვა მუმიებიც უნდა იყვნენ სკარაბეების მოდემისა ვიტალურ მდგომარეობაში?

— რაღა თქმა უნდა, — უპასუხა გრაფმა, — შემთხვევით

<sup>1</sup> შუამავლები (ლათ.).

ცოცხლად დაბალზამირებული ყველა სკარაბეი ახლაც ცოცხალია. შეიძლება სამაროვანში მოიძებნოს ისინი, ანდერძის აღმასრულებელთა დაუღვერობით დარჩენილნი იქ, იმათ შორის, ვისაც განგებ გაუკეთეს ბალზამირება.

— ხომ ვერ აგვიხსნით, — ვუთხარი მე, — რას უნდა სიშნავდეს ეს „განგებ გაუკეთეს ბალზამირება“?

— დიდი სიამოვნებით, — მიპასუხა მუმიამ, დინჯად რომ მომათვალეირა მონოკლიდან, რადგან აქამდე სემად ვიყავი და პირველად მივმართე შეკითხვით.

— დიდი სიამოვნებით, — თქვა მან, — ჩემს დროს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა რვაასი წელიწადი იყო დაახლოებით. მართალია, ზოგჯერ იყო და ექვსასამდეც ვერ მიატანდნენ, ზოგი კი ათასსაც კი გადააბიჯებდა, პაგრამ მეტწილად რვა საუკუნეს ცხოვრობდნენ. ბალზამირების პრინციპის აღმოჩენის შემდეგ, მე რომ უკვე აღვიწერეთ, ჩვენს ფილოსოფოსებს ერთი ასეთი აზრი მოსვლიათ თავში, უნდა დავაკმაყოფილოთ ხალხის აგრე რიგად საქებური ცნობისმოყვარეობა და ამავე დროს მეცნიერების წიაღსვლას უნდა შევუწყოთ ხელი, ხოდა, ასე დაადგინეს, ნაწილ-ნაწილ უნდა გაეღია ადამიანს თავისი სიცოცხლე. მართლაცდა, ისტორიისათვის ხსენებული ცდები, როგორც დავინახეთ, სრულიად აუცილებელი აღმოჩნდა. ასე, მაგალითად, მიატანს ისტორიკოსი ხუთას წელიწადს, დიდი რუდუნებით დაწერს წიგნს, მერე გულდასმით დააბალზამირებინებს თავს და დაუტოვებს თავის proteim,<sup>1</sup> ანდერძის აღმასრულებლებს მითითებას გაცოცხლების თაობაზე, გარკვეული ხნის შემდგომ, ვთქვათ, ხუთი-ექვსი საუკუნის შემდეგ. გაივლის ეს დრო და გაცოცხლდება და უსათუოდ ნახავს, ის მისი დიდი შრომა რაღაც შემთხვევით ამოკრებილ კრებულად ქცეულა, ანუ, შეიძლება ვთქვათ, გამსდარა ლიტერატურული სარბიელი, სადაც ბრძოლა გაუმართავთ ურთიერთსაპირისპირო ბუნდოვან აზრებს და მისი მეშვეობით ერთმანეთს აწიოკებენ მთელი ხროვა გაანჩხლებული კომენტატორებისა. მთელი ეს ვარაუდები და ა. შ., რომლებისთვისაც შეურქმევიათ შენიშვნები ან გასწორებანი — იმდენად შერყვნის ტექსტს, რომ

<sup>1</sup> თავის დროზე; აქ: მომავალ... (ლათ.).

ავტორმა ფარანი უნდა დაიკავოს :ხელში და ისე ეძებოს თავისი წიგნი. იპოვის და მისვდება, რომ ტყუილუბრალოდ შეუწესებია თავი. თავიდან უნდა დაწეროს თავისი წიგნი და ამავე დროს მისი, ისტორიკოსი კაცის ვალია დაუყოვნებლივ გაასწოროს მის შემდგომ გაუკუღმართებულად წარმოჩენილი ამბები იმ ეპოქისა, რომელშიაც თავად უცხოვრია და მშვენივრად იცის მაშინდელი განათლების დონე, გამოცდილება და გადმოცემები. ასე, მრავალი, დროდადრო ხელახლა რომ წერს თავის შრომას და პირადად ასწორებს შეცდომებს, ჩვენი ისტორია აღარ გადაგვარებულა და არც დამსგავსებია არაკების კრებულს.

— მაპატიეთ და, — უთხრა დოქტორმა პონინიერმა და ეგვიპტელს ფრთხილად მოკიდა მკლავზე ხელი, — მაპატიეთ, ჩემო ბატონო, ერთი წამით უნდა შეგაწყვეტინოთ თქვენი სიტყვა.

— ბრძანეთ, ჩემო ბატონო, — მიუგო გრაფმა და ხელი იქით გასწია.

— მზლოდ ის მინდა გკითხოთ, — თქვა დოქტორმა, — თქვენ ასლა ახსენეთ ის ამბავი, რომ ისტორიკოსი პირადად ასწორებს მისი ეპოქის გადმოცემებს. თუ შეიძლება, ჩემო ბატონო, იქნებ, აგვისხნათ, რა სიმართლე შეიძლება მოვიძიოთ ამ აბდაუბდაში?

— ამ აბდაუბდაში, როგორც თქვენ სწორად ბრძანეთ, ჩვეულებრივ შევიძლიათ ნახოთ იმდენივე ჭეშმარიტება, რამდენიც იმ ისტორიულ თხზულებაში, თავიდან დაწერას რომ მოიხსოვს; ანუ, შეიძლება ვთქვათ, არც ერთსა და არც მეორეში არ მოიპოვება იოტისოდენი ცნობა, სრულიად და საფუძველშივე მცდარი რომ არ იყოს.

— მაგრამ ის ხომაა ნათელი, — თქვა დოქტორმა, — თქვენი დაკრძალვის დღიდან ხუთი ათასი წელიწადია გასული და გამომდინარე აქედან თქვენი ხანის ისტორიაში, თქვენ დროინდელ გადმოცემებში საკმაო სიზუსტით იქნებოდა მოყვანილი ამბავი სამყაროს შექმნის შესახებ, რასაც დღესაც საყოველთაო ინტერესით ეკიდებიან, და ეს ამბავი უნდა მომხდარიყო, მგონია, როგორც თქვენ იცით, თქვენამდე ათი საუკუნით ადრე.

— რას მეუბნებით, ჩემო ბატონო? — ჰკითხა გრაფმა ჰეიპოიმ.

დოქტორმა გაიმეორა თავისი ნათქვამი, მაგრამ კი დასჭირდა ახლა ბევრი დამატებითა ცნობების მოყვანა, ვიდრე უცხოელი არ გაიგებდა რაღაც-რაღაცებს. დაბოლოს იმან გამითქვა თავისი აზრი, კი მერყეობდა ამ დროს.

— ის იდეები, თქვენ რომ აგვიწერეთ, უნდა ვაღიარო, სრულიად ახალია ჩემთვის. ჩემს დროს მე არც მინახავს ვინმე, ვისაც ასეთი გასაოცარი აზრი მოსვლია თავში ქვეყნიერების (ანუ სამყაროს, როგორც თქვენ გნებავდეთ) დასაწყისის თაობაზე. ერთხელ კი მახსოვს, ოღონდ ეს მხოლოდ ერთხელ იყო, მოვისმინე უპველესი გაღმოცემა, რაღაც უთქვამს ჩემთვის ბრძენთა უბრძენეს კაცს ადამიანის წარმოშობაზე. ხოდა, სწორედ ეს სიტყვა ახსენა — ადამი (ანუ წითელი მიწა), როგორც თქვენ ამბობთ. თუმცა ეს სიტყვა განზოგადებული მნიშვნელობით მოუშველიებია იმის გამო, რომ თავისთავად აღმოცენებულა ნიადაგში (როგორც სხვა ათასი დაბალი სახეობა აღმოცენებულა ადრევე), — თავისთავად აღმოცენებულა-მეთქი ხუთი უდიდესი ურდო კაცთა მადგმისა ერთდროულად დედამიწია ხუთი სხვადასხვა და დაახლოებით ერთნაირი ფართობის ნაწილზე.

თქვა ეს და სუყველამ მხრები ავიჩინეთ, ჩვენთაგან ერთმა თუ ორმა მალულად შებღბუ დაიკრა ხელი. ბ-ნი სილკ ბაკინგემი უცებ დააცქერდა ანაგობას ჰეიპოის თავისას და ასლა ამან განაგრძო საუბარი:

— თქვენს დროს ადამიანის სიცოცხლის დიდი ხანგრძლივობა და, ამასთან ერთად, ნაწილ-ნაწილად ცხოვრების პრაქტიკა, როგორც თქვენ აგვიჩსენით, მართლაცდა მეტად შეუწყობდა ხელს ცოდნის ამადლებას და მის საფუძვლიან აღნუსხვას. გამომდინარე აქედან, ძველევგიპტელთა ვარკვეულწილად დაბალი დონე თანამედროვე ადამიანის, სახელგობრ იანკების განვითარების დონესთან შედარებით, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას მეცნიერებათა მიღწევების გათვალისწინებით, უნდა მოწმობდეს იმას, რომ ევგიპტელის თავის ქალა მეტისმეტად სქელუ უნდა ყოფილიყო.

— კვლავ უნდა ვაღიარო, — დიდი თავაზიანობით მიუგო

გრაფმა, — რას ამბობთ არ მესმის, იქნებ, მითხრათ, განსაკუთრებით რომელ მეცნიერებას გულისხმობთ?

ჩვენ აქ ერთხმად მოვეყვით დიდხანს და დაწვრილებით ფრენოლოგიის საკითხებისა და ცხოველური მაგნეტიზმის სასწაულების გადმოცემას.

ბოლომდე რომ მოგვისმინა გრაფმა, რამდენიმე ანეკდოტი გვიამბო, თურმე გალისა და შპურცჰაიმის პროტოტიპები ეგვიპტეშიაც არსებობდნენ, დიდად სახელგანთქმულნიც ყოფილან და კარგა ხნის წინათაც წავიწყებიათ, ხოლო ამ ჩვენი მესპერის მანიპულაციები უსუსური ტრიუკებია თებელ savants<sup>1</sup> ნამდვილ სასწაულებთან შედარებით, იმათ შეედლოთ ტილების და სხვა ამდაგვარ არსებათა გამოყვანა.

მაშინ მე ვკითხე გრაფს, თქვენ დროს დაბნელებათა გამომანგარიშება თუ შეედლოთ-მეაქი. შემომხედა იმან დამცინავი ღიმილით და თქვა, შეეძლოსო.

ცოტათი კი დამაბნია ამან და კვლავ ვკითხე რაღაც-რაღაცები ასტრონომიაზე, მაშინ კი ჩვენთაგან ერთმა, ვისაც ამ საღამოს კრინტიც არ დაუძრავს, ჩამჩურჩულა ყურში, ამ ინფორმაციისათვის სჯობს პტოლომეს (ვინ არის ეს პტოლომე) მიმართეო, და კიდევ ვიღაც პლუტარქეს de facie lunae<sup>2</sup>.

მერე მე ვკითხე მუმიას ცეცხლის ამნებ შუშებისა და ლინზების და, საერთოდ, მინის წარმოების შესახებ; მაგრამ ჯერ კიდევ სიტყვაც არ მქონდა გასრულებული, რომ ჩვენი ჯგუფის იმ მდუმარე წევრმა ჩუმიად მომკიდა ხელი იდაყვზე და მიასხრა, ღვთის გულისათვის, იქნებ, დიოდორე სიცილიელის ნაწერებს გადაავლოთ თვალი. ხოლო გრაფმა ასე მიპასუხა, თქვენს თანამედროვეებს თუ აქვთ ისეთი მიკროსკოპები, რომლის მეშვეობითაც შეგიძლიათ გამოჭრათ ეგვიპტურის დარი კამეები. სანამ ვფიქრობდი თუ რა მეთქვა, საუბარში ჩაგვერია ჩიატანის ლოქტორი პონონიერი, თავი ველარ მოეთოკა ამ კაცს.

— აბა ერთი ჩვენი არქიტექტურა ნახეთ! — შეჰყვირა მან, დიდად კი შეაწუხა ამ გამოსდომამ ჩვენი ორივე მგზავრი,

1 ბრიენთა (ფრანგ.).

2 მისეარის პირის შესახებ (ლათ.).

ანიშნებდნენ, ხელიც წაჰკრეს, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ.

— ნახეთ-მეთქი — ისევ შესძახა აღფრთოვანებით, — აი ეს ჩვენი შადრევანი ნიუ-იორკში, ბოულინგ-გრინზე! ანდა თუ იგი შეუდარებელია, მაშინ კაპიტოლის შენობა გავისხენოთ, ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში — აქ ჩვენმა პატარა მკურნალმა დაწვრილებით, დეტალურად აგვიწერა ამ ნაგებობის ანაგობა და პროპორციები. მხოლოდ იმის კარიბჭეს ამშვენებსო ოცდაოთხი სვეტი, თითოეული ხუთი ფუტი დიამეტრისა და ერთიმეორეს ათი ფუტითაა დაცილებული.

გრაფმა უპასუხა, რომ სამწუხაროდ ახლა ზუსტად ვერ გვეტყოდა, სიდიდეს იმ მთავარი შენობებისას, ქალაქ აზნაკში რომ იყო, უხსოვარ ხანაში ჩაუყრიათ მათი საძირკველი, ღამისნაირ წკვარამშია დანთქმული ის დრო, მაგრამ მათი ნანგრევები იმ ეპოქაში, როდესაც ის დაუკრძალავთ, ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ქვიშოვან უდაბნოში, თებეს დასავლეთით. მაგრამ იმის გახსენება კი შეუძლია (კარიბჭეს გულისხმობდა), მცირე სასახლე ყოფილა ერთი ქალაქის გარეუბანში, რომელსაც კარნაკს ეძახდნენ; ას ორმოცდაოთხი სვეტით იყო გაწყობილი ის კარიბჭე, თითოეული ოცდაჩვიდმეტი ფუტის სიმრგვლისა, ერთმანეთს ოცდახუთი ფუტით დაცილებულნი. ნილოსის მხრიდან ამ კარიბჭესთან მოსასვლელი ორი მილის სიგრძისა იყო, გაწყობილი სფინქსებით, ქანდაკებებით, ოცი, სამოცი და ასი ფუტის სიმაღლის ობელისკებით. თავად სასახლე (რამდენადაც ახსოვს) ორი მილის სიგრძისა იყო ერთი მიმართულებით და დაახლოებით შვიდი მილის გავლა მოგიხდებოდათ, მის გარშემო რომ შემოგევლოთ. მისი კედლები, შიგნითაც და გარეთაც სვავრიელად იყო მოხატული იეროგლიფებით. ამას ვერ დაიჟინებდა რომ ზუსტად ასე იქნებოდა და იმის კედლებში დაეტეოდა ორმოცდაათი თუ სამოცი ისეთი შენობა, დოქტორის კაპიტოლი რომ არის, მაგრამ კი შეიძლება ითქვას, თუკი უწესრიგოდ ყველგან დადგამდით, მაშინ, იქნებ, ორასსა და სამასამდე ასულიყო ეს რიცხვი. კარნაკის ეს სასახლე უმნიშვნელო, მცირე უნდა ყოფილიყო სწვებთან შედარებით. ამავე დროს, იგი (გრაფი) აღტაცებულია იმ დიდებული, ბრწყინვალე და საარაკო ბროულინგ-გრინის შადრევნით, ისე

კარგად რომ აღუწერია დოქტორს. მსგავსი ამისა, კი უნდა აღიაროს, არც ეგვიპტეში აუგიათ და არც კიდეც სხვაგან სადმე.

მაშინ მე ვკითხე გრაფს, რკინიგზაზე რას იტყვით-მეთქი.

— ისეთს ვერაფერს, — მიპასუხა მან, — საკმაოდ გამძლე, საკმაოდ კარგი გამოგონებაა ვერ არის და ვერც სწორადააო დაწყობილი, ასე დასძინა. რაღა თქმა უნდა, როგორ შეედრებოდა ამას ფართო, ლარივით პირდაპირ გადაჭიმული რკინის ჯებირებიანი გზა, რომელზეც ეგვიპტელებს გადაჰქონდათ მთელი ტაძრები, ვეებერთელა ობელისკები ას ორმოცდაათი ფუტი სიმაღლისა.

ჩვენი გიგანტური მექანიკური ძრავები ვუხსენე.

კი დამეთანხმა, ამის შესახებ არაფერი ვიცო, მაგრამ მკითხა, თუ როგორ შეიძლებოდა თაღების ძირის დადგმა თუნდაც იმ მცირე სასახლის მშენებლობის ხანს, კარნაკში.

ვითომცდა არ გამიგონია ეს შეკითხვა; ვუთხარი, არტეზიული ჭები თუ იცით-მეთქი; ზე აწყობა წარბები, ბ-ნმა გლიდონმა რამდენიმეჯერ მკაცრად თვალი მიყო და ჩამწურჩულა, სწორედ ამ ბოლო ხანს აღმოვაჩინეთო ისინი, როდესაც წყალს ვეძებდითო დიდი ოაზისისათვის.

მაშინ მე ფოლადი ვუხსენე, ამ უცხოელმა ცხვირი აიბზუა და მკითხა, თუ შეიძლება მაგ თქვენი ფოლადით ქვის ჭრა ისე, ობელისკებს რომ ამუშავებდნენო ჩვენში ბრინჯაოს საჭრეთლებით.

სულ დაგვაკარგვია ამან თავგზა და ახლა იერიში მეტაფიზიკურ საკითხებზე გადავიტანეთ. წიგნი მოვიტანეთ, „დაიელი“ იყო მისი სახელწოდება და იქიდან ერთი თუ ორი თავი წაუვკითხეთ, ნათელი იყოო, ამას ვერ იტყოდით, მაგრამ ბოსტონელებს ამისათვის „დიადი თაოსნობა“, ანუ „პროგრესი“ შეურქმევიათ.

გრაფმა უბრალოდ გვიპასუხა, თითქმის ყოველდღიურად ხდებოდა მის დროს დიადი თაოსნობა, ხოლო პროგრესს თუ გავისხენებთ, ერთ ხანს გული გვქონდა გაწყალებული იმით, მაგრამ პროგრესული ვერც ვერაფერი ვიხილეთო საბოლოოდ.

მერე ჩვენ სიტყვა ჩამოვუგდეთ დემოკრატიის დიდებულებასა და მნიშვნელობაზე და გვინდოდა გრაფისთვის ჩაგ-

ვეგონებისა, თუ რაოდენ დიდი უპირატესობა გვექონდა ჩვენ, რადგან შეგვეძლო არჩევნების მოწყობა ad libitum<sup>1</sup>, და მეფე არა გვყავდა.

ყურადღებით მოგვისმინა და კარგადაც გაერთო. მერე გვითხრა, დიდი ხნის წინათ ჩვენთანაც იყო რაღაც სრულად ამისი მსგავსი. ცამეტ ეგვიპტურ პროვინციას უეცრად დაუდგენიათ თავისუფლების მოპოვება, რაც ბრწყინვალე მაგალითი უნდა ყოფილიყო დანარჩენი კაცობრიობისათვის. ბრძენკაცთა ყრილობა მოუწვევიათ და დაუწერიათ საუკეთესო კონსტიტუცია, უკეთესს ვერ მოიგონებდა კაცი. ყველაფერი კარგად მოგვარებულა გარკვეული ხნით, მაგრამ გაუთავებელი ბაქი-ბუქი ჩვეულებად გადაქცევიათ. დაბოლოს იმით გასრულდა ეს ამბავი, რომ ის ცამეტი მხარე სხვა დანარჩენ თხუთმეტთან თუ ოცთან შეერთებულა და ისეთი ბილწი და საძულველი დესპოტია დაუმყარებიათ, რომ ჯერ არავის სმენია დელამიწის ზურგზე.

მე ვკითხე, იმ ტირან-უზურპატორს რა ერქვა-მეთქი.

რამდენადაც მახსოვსო, ბრბო.

რალა უნდა მეიქვა, ჯერ სიტყვა ვერ დავმარი, მერე მივაძახე, ძალიან ვწუხვარ, რომ ეგვიპტელებმა ორთქლის გამოყენება არ იცოდნენ.

დიდად გაოცებულმა გრაფმა შემომხედა და აღარაფერი უთქვამს. იმ მდუმარე ჯენტლმენმა კარგა მაგრად ჩამკრა იდაყვი ნეკნებში და მითხრა, უკვე კარგად ისახელე თავი, ნუთუ იმდენად გამოსულელებულხარ და არ იცი, თანამედროვე ორთქლის მანქანები ჰერონის გამოგონების საფუძველზე შეიქმნა და სოლომონ დე კოს უნდა ვუმაღლოდეთ ამ ცნობის მოშველიებასო.

სრული დამარცხების პირას ვიყავით მისული, მაგრამ საბედნიეროდ ისევ დოქტორმა მოიკრიბა ძალ-ღონე და გადაგვარჩინა, ასე ჰკითხა, თუ შეძლებდნენო ეგვიპტელები რამდენადმე მაინც გაშკლავებას ჩვენს თანამედროვეობთან ისეთ დიდმნიშვნელოვან დარგში, როგორიცააო ტანსაცმლის კერვა.

---

<sup>1</sup> აქ: რამდენიც გვინდოდა (ლათ.).



გრაფმა თავისი შარვლის კიდეებს დახედა და მერე ფრანკის ერთ ბოლოს დაავლო ხელი, თვალთან მიიტანა და ასე ასვალღერებდა რამდენსამე წუთს. მერე დაუშვა და სელ-ნელა გამოაჩინა პირის ნახევი ერთი ყურიდან მეორემდე. მაგრამ, მგონია, არაფერი უპასუხნია.

აქ კი გული მოგვეცა და მზვლობარი სახით რომ მიუახლოვდა მუმიას, დოქტორმა მოაიხრთოვა, ჯენტლმენი ხართ და ერთი ეს მითხარით გულწრფელად და ღირსეულად, თუ იცოდნენ იმხანად ეგვიპტელებმა პონონიერის წამლისა და ბრანდრეტის აბების დამზადებაო.

დიდად შეშფოთებულნი ვუმზერდით, რას გვეტყვისო, მაგრამ ამაოდ ველოდით პასუხს. აღარაფერი უთქვამს. ეგვიპტელი წამოჭარხლდა და თავი დახარა. ასეთი ტრიუმფი ჯერ არ გვინახავს. მთლად დაბეჩავებული გამოიყურებოდა დამარცხებული. მართლაცდა, გული მეტკინა ასე გასაცოდავებული შუმიის დანახვისას. ქუდი მოვუხადე, თავი დავეუკარი და წამოვედი.

ხუთი საათი იყო, სახლში რომ მოვედი და მაშინვე დავწექი. ახლა დილის ათი საათია. შვიდ საათს მერე ფეხზე ვდგავარ და ვწერ ამ ამბავს ჩემი ოჯახისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ. პირველს აწი ვედარასდროს ვნახავ. ყიამყრალი ცოლი მყავს, მართალი თუ გნებავთ, მომბულებია ასეთი ცხოვრება და საერთოდ მეცხრამეტე საუკუნეც. კარგს არაფერს მოველი. ამავე დროს, ერთი სული მაქვს გავიგო; თუ ვინ იქნება პრეზიდენტად 2045 წელს. ხოდა, წვერს გავიპარსავ, დავლევ ერთ ჭიქა ყავას, პონონიერისას გავიქცევი და ვთხოვ, ბალზამირება გამიკეთოს ორასი წლით.

## სათკაღე

კარგა ხნის წინათ სასაცილო იყო ეს აზრი, „ერთი ნახვით მიუყვარდაო“; მაგრამ იმას, ვისაც ფიქრის უნარი არ დაუკარგავს, ასევე იმასაც, ვინც მეტად მგრძნობიარეა, სულ მუდამ სჯეროდა ეს ამბავი. მართლაცდა, თანამედროვე აღმო-

ჩენების მიხედვით, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ ერთი-კური მაგნეტიზმი ან მაგნეტოესთეტიკა, ყველაზე უფრო ბუნებრივი და, ამისდა კვალად, გულწრფელი და ყველაზე უფრო ძალუმი გრძნობა ის არის, ელექტროდენივით რომ დაუვლის გულში ადამიანს — ერთი სიტყვით, უმტკიცესი და უმშვენიერესი სულიერი ხუნდები ერთი ნახვით იჭედება ხოლმე. ის ამბავი, რომელიც მე მინდა გაიმბოთ, კიდევ ერთხელ გვამცნობს ამ აზრის ჭეშმარიტებას.

ჩემი თავგადასავლის მოყოლის ხანს რაღაც წვრილმანება არ უნდა გამომჩნეს. ჯერ კიდევ ყმაწვილკაცი ვარ, ოცდამეათე წელიწადიც არ შემსრულებია. ჩემი ახლანდელი, მეტად გავრცელებული და საკმაოდ მდაბიური გვარი გახლავთ სიმპსონი. მე ვამბობ „ახლანდელი-მეთქი“, რადგან მსოფლიო გასული წლის შემდეგ მიხმობენ ასე, ჩემს შორეულ ნათესავს, ადოლფუს სიმპსონს, ესკვირს, ვეშვილე, რათა მე დამრჩენოდა მისი დიდი ქონება. ანდერძში აღნიშნული იყო, რომ მე ამ კაცის გვარი უნდა მიმეღო, სახელი კი ჩემივე დამრჩებოდა, ჩემი სახელი იყო ნაპოლეონ ბონაპარტე, ანუ ამ სახელით მიცნობდნენ მე.

მაინცადამაინც არ მესატებოდა გულზე ეს გვარი, სიმპსონი, რაკილა მე ჩემი, მამაპაპური მინდოდა, ფრუასარი, კიდევაც ვამაყობდი ამით და მჯეროდა, რომ ჩემი ჩამომავლობა „ქრონიკების“ უკვდავი ავტორიდან მოდიოდა. სხვათა შორის, თუ ამ გვარის შესახებ ვაზსჯელებთ, უნდა აღვნიშნოთ მისი გარკვეული ბგერითი მსგავსება ჩემი ზოგიერთი უახლოესი წინაპრის გვართან. მამაჩემი, მესიე ფრუასარი პარიზიდან იყო. მეუღლე მისი, დედაჩემი, თხუთმეტი წლისა გაჰყვა ცოლად, გახლდათ მადემუაზელ კრუასარი, ბანკირ კრუასარის უფროსი ასული; იმ ბანკირს თექვსმეტი წლის ასაკში მისთხოვებია ვიღაც ვიქტორ ვუასარის უფროსი ქალიშვილი. თავის მხრივ, მესიე ვუასარი, მართლაცდა უცნაურია, მსგავსივე გვარის ქალზე, მადემუაზელ მუასარზე დაქორწინებულა. თითქმის ბავშვი ყოფილა ისიც გაოსოვების ხანს, ხოლო ამ გოგოს დედა თოთხმეტი წლისა მისულა საკურთხეველთან ჯვრის დასაწერად. თუმცა მაშინ ადრეული ქორწილები ჩვეულებრივი მოვლენა იყო საფრანგეთში. ასე

იყო თუ ისე, მუასარები, ვუასარები, კრუასარები და ფრუ-ასარები ჩემი უშუალო წინაპრები იყვნენ. ჩემი ახლანდელი კანონიერი გვარი, როგორც ვითხარით, სიმპსონი გახდა, და იმდენად შემზიზღებოდა, რომ ერთხანს ვმერყეობდი კიდევაც, ასეთი უჩვეულო და უსიამოვნო proviso<sup>1</sup> არც ის მემკვიდრეობა მინდა-მეთქი.

სულაც არა ვარ პირად ღირსებებს მოკლებული. პირიქით, ჩემი აზრით, კარგი აღნაგობისა და გარეგნობისა გახლავართ, ათიდან ცხრა ასეთს მშვენიერს შეარქმევს. ჩემი სიმაღლე ხუთი ფუტი და თერთმეტი დუიშია. მუქი ფერისა და სუჭუჭა თმა მაქვს. საკმაოდ ლამაზი ცხვირი. თვალები დიდი და ნაცრისფერი, თუმცა კი მეტად მაწუსებს ასლომხედველობა, მაგრამ ეს ნაკლი სხვებისთვის შეუმნნეველი რჩებოდა. სულ მუდამ თავმოებზრებული ვიყავი ამ ჩემი ასლომხედველობით და მის სამკურნალოდ ყოველ ღონეს ვხმარობდი ერთის გარდა, სათვალეს არ ვატარებდი. ყმაწვილკაცი და კარგი გარეგნობისა რომ ვიყავი, ცხადია, შემძულეობდა იგი და მტკიცედ ვამბობდი უარს, სათვალეს როგორ დავიბნევ-მეთქი. მართლაც, ძალიანაც ამასინჯებდა ახალგაზრდულ სახეს, მიუკარებლობის ნიშნით აღბეჭდავდა, მისთვის შეუფერებელ წმინდანის იერს ანიჭებდა და აბერებდა კიდევაც. ხოლო მონოკლის მოშველიება კაცისთვის არასაკადრისი პრანჭვისა და ყოყლოჩინობის გამომსატყველი იქნებოდა. არც ერთით მისარგებელია და არც მეორით. აქამომდე. თუმცა აღარცაა საჭირო ამ წვრილმანების ჩამოთვლა, რაღა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამას. ერთი კი უნდა დავსძინო, სანგვინიკური ტემპერამენტის გახლავარ, კაცი ჩქარი, ფიცხი, აღფრთოვანებული და მთელი ჩემი ცხოვრება, სულ მუდამ თაყვანსა ვცემდი ქალებს.

გასული ზამთრას ერთ საღამოს თეატრ ბ-ს ლოჟაში შევედი ჩემს მეგობარ ბ-ნ ტოლბოტთან ერთად. ოპერა გადიოდა იმ საღამოს და აფიშა ბევრ რამეს გვპირდებოდა, ასე რომ დარბაზი სულ გაჭედდილყო. მაგრამ დროზე მოვედით,

---

<sup>1</sup> პირობებით (ლათ).

გზის გამოგნება არ გაგვიჭირებია და ჩვენს ადგილებზე დავსხედით პირველ რიგში.

მთელი ორი საათი ჩემს ამხანაგს, მუსიკის fanatico<sup>1</sup> თვალი არ მოუცილებია სცენისთვის, მე კი ამ დროს მაყურებლებს ვათვალისწინებდი, ჩვენი ქალაქის élite<sup>2</sup> რომ იყვნენ მნიშვნელოვანწილად. ამ საქმეს რომ მოვრჩი, prima donna<sup>3</sup> უნდა მიმეპყრო მზერა, უცებ ახლალა დავინახე ერთ-ერთ ლოჟაში მჯდომარე ქალი.

აიასი წელიც რომ ვიცოცხლო, მაინც არ დამავიწყდება მისი ნახვისას განცდილი დიდა მღელვარება. ჯერ არ შეძებვდნოდა ასეთი მშვენიერი ქალი. სახე სცენისაკენ მიექრიალებინა და რამდენსამე ხაშს ვერც დავინახავდი, მაგრამ ღვთაებრივი აგებულებისა ჩანდა; სიტყვა უღონოა და სრულად ვერ გვამცნობს მის გასათვარ მოხდენილობას და ხსენებული „ღვთაებრივიც“ მეტად უსუსური ჩანს მისი სილამაზის გადმოსაცემად.

თვალწარმტაცი მშვენიერება ქალისა, მღელვრული სიტურფე ყოველთვის მაჯადოებდა და თავგზას მაკარგვინებდა; მაგრამ ამ მანდილოსნის სინატიფე ჩემი მგზნებარე და აღფრთოვანებული ოცნებების beau idéal<sup>4</sup> გახლდათ. ის ლოჟა ისე იყო მოწყობილი, რომ შემეძლო თითქმის მთლიანად დამენახა იმ ქალის ტანი; საშუალოზე უფრო მაღალი ჩანდა და რა დიდებული სანახავიაო, ასე იტყოდით. თავის უკანა ნაწილს ვხედავდი მხოლოდ, ძველბერძნულ ფსიქეას გაუწევდა მეტოქეობას იმისი სრულყოფილება. Gaze aérienne<sup>5</sup> თავსაბურთი კი არ უმაღავდა, უფროზე ხაზს უსვამდა მოყვანილობას თავისას და აპულეუსის ventum textilem<sup>6</sup> მომაგონებდა. მარჯვენა ხელი ლოჟის მოაჯირზე ჩამოედო და ტანით ფეხამდე ავეთრთოლებინე იმის სილამაზეს. მისი ზედა ნაწილი ფართო მოდური სახელოთი იყო დაფარული და მცირეოდნავლა ეშვებოდა იდაყვის ქვემოთ. იმის ქვეშ სხვა სა-

1 ფანატიკოსს (იტალ.).

2 რჩეულები (ფრანგ.).

3 მთავარი როლის შემსრულებელი მომღერალი ქალისთვის (იტალ.).

4 იდეალი (ფრანგ.).

5 აქ: პეროვანი ბადის (ფრანგ.).

6 პეროვან ქსოვილს (ლათ.).

ხელი ჰქონდა შემოჭერილი, რაღაც თხელი ქსოვილისაგან შეეკერათ და მისი ბოლო მდიდრულად და უსკად დაექარგათ, ნარნარად რომ შემოვლებოდა იმის ხელის მტკევანს. ძლიერი თითებიდა მოუხანდა, ერთზე კი ბრილიანტის ბეჭედი დაეხვია, იმწუთასვე მიხვდებოდი, რომ მეტად ძვირფასი უნდა ყოფილიყო იგი. მაჯის კოჩტა სიმრგვალე კიდევ უფრო დაემშვენებინა სამაჯურს, რომელიც ძვირფასი ქვების aigrette<sup>1</sup> გაეწყობ, ხსენებული გარემოება ცხადლივ მოწმობდა სიმდიდრესა და მისი მფლობელის დიდ გემოვნებას.

ნახევარი საათი მაინც იქნებოდა, რაც თვალი ვერ მოვაცილე დედოფლისეულ მშვენიერებას, თითქოსდა გაქვავებული ვიყავი და ამ დროს მთელი ძალით ვგრძნობდი ჭეშმარიტებას იმ სიტყვებისას, რომელიც ასე ითქმება და იმღერება — „ერთი ნახვით შეეყვარებო“. არც არასდროს განმიცდია ასე, სულ სხვანაირი იყო ეს გრძნობა, აქამდე ბევრი დიდებული დიაცი მინახავს, მაგრამ ასეთი ამბავი პირველად შემეხებოდა. ვერ გეტყვით, შეიძლება ამას რაღაც მაგნეტიზმი დავარქვათ, როდესაც სული სულს მიელტვის და არა მარტო მხედველობა მიიპყრო ჩემი, მთელი ძალამოსილება ყიქრისა და გრძნობის მიმართულიყო ჩემ წინარე მყოფისადმი. მე დავინახე, მე ვიგრძენი, მე ვიცოდი, რომ ღრმად, მლეკურად, ერთ უთქმელად შემეყვარდა, და ეს ჯერ კიდევ მანამ მოხდა, სანამ სატრფოს სახეს დავინახავდი. მარაღაც, იმდენად დამწვა ვნებამ, რომ გინდაც არ ჰქონოდა ასეთი მიმზიდველი ან სულ ჩვეულებრივი ჰქონოდა სახე, მე მაინც ჩემი დამეშრებოდა, ასეთი გასაოცარია ბუნება ერთადერთი, ჭეშმარიტი სიყვარულისა, სიყვარულისა ერთი ნახვით და სულ მცირეოდნავაა დამოკიდებული გარემო პირობებზე, თითქოსდა რომ ქმნიან და წარმართავენ მას.

ვიდრე ამ გასაოცარი ხილვით მოჯადოებული ვიყავი, უეცრად რაღაც ხმაურმა მიიპყრა ქალის ყურადღება და სანახევროდ ჩემკენ შემოტრიალდა, ასე რომ მისი პროფილის დანახვა შემეძლო. კიდევაც გადაატარბა მისმა მშვენიერებამ

---

<sup>1</sup> პაღჩით (ფრანგ.).

ჩემს მოლოდინს, მაგრამ რაღაცამ კი გამიცრუა იმედი, ზუსტად რა იყო, ვერ გეტყვით. „იმედი გამიცრუა-მეთქი“, გეუბნებით, ოღონდ ეს სიტყვა სრულად ვერ გვაძნობს ამ ამბავს. წყნარ და ამადლეულ გუნებაზე დავდექი. ჩუმი აღფრთოვანებით ვიყავი მოცული. ამ გრძნობის სათავე შეიძლება მისი მადონას ან მატრონასმაგვარი სახე იყო, მაგრამ იმწუთასვე მივხვდი, რომ კიდევ რაღაც სხვა რამე უნდა ყოფილიყო მიზეზი. კიდევ რაღაც, რაღაც საიდუმლოება იმალება აქ, სრულად ვერ ავიწერთ, თუ რა იყო, რაღაც ისეთი გამომეტყველება აქონდა, რამაც შემძრა და კიდევაც სრულიად მიიპყრო ჩემი ყურადღება. მართალი თუ გნებავთ, ისეთ განწყობილებაზე ვიყავი, რომ მგრძნობიარე და ყმაწვილმა კაცმა შეიძლება ყველაფერი ჩაიდინოს. ის ქალი რომ მარტო ყოფილიყო, მე უთუოდ გავბედავდი ლოქაში შესვლასა და გამოლაპარაკებას. მაგრამ საბედნიეროდ ორნი იყვნენ იმასთან ერთად, ერთი კაცი და ერთიც მშვენიერი მანდილოსანი, რომელიც რამდენიმე წლით იმაზე ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო.

ბევრი ვიმტვრიე თავი, თუ როგორ შეიძლებოდა იმ, უფროსი ქალბატონის გაცნობა ან როგორმე ასლოდან, უფროს კარგად მენახა მისი მშვენიერება. მინდოდა იმასთან ასლოს გადავმჯდარიყავი, მაგრამ თეატრი გაჭედილი იყო და რაღაც ვიზამდი, ხოლო წესიერი კაცი ამ შემთხვევაში ბინოკლს ვერც მოიმარჯვებდა, რომც ბედი გამლიმებოდა და ხელთ მქონოდა; რაც არ იყო — არ იყო და გული ჩამომიღამდა.

დაბოლოს გავიფიქრე, ჩემს თანამგზავრს ვთხოვ-მეთქი.

— ტოლბოტ, — ვუთხარი მე, — ბინოკლი გექნება და მომეცი.

ბინოკლი? არა! როგორ გგონია, მე აქ ბინოკლით მოვიდოდით? ასე მომივო და მოუთმენლად სცენისაკენ მიტრიალდა.

ტოლბოტ-მეთქი და მხარზე სელი მოვკიდე, — ყური მივდე, აი იმ ლოქას თუ ხედავ? აი იმას? იმას კი არა, იმის გვერდით. როდისმე თუ გინახავს ის მშვენიერი ქალი?

— მართლაცდა მზეთუნახავია, — ასე მითხრა.

— ნეტავ ვინ არის?

— ნუთუ ამ ანგელოზის შესახებ არაფერი გაგიგონია და არ იცნობ მას? „რალა უნდა იცოდეს არმცოდნემ იმის“. ის არის სახელგანთქმული ქალბატონი ლალანდი — იმის სილამაზეზე მთელი ქალაქი ლაპარაკობს. უმდიდრესიცაა, ქვრივიც, ფრიად სასურველი გახლავს, ახლახან ჩამოსულა პარიზიდან.

თუ იცნობ-მეთქი იმას.

პატივი მაქვს ვიცნობდეთ.

თუ გამაცნობ-მეთქი.

რალა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით, მაგრამ როდისო? ხვალ, პირველისთვის სასტუმრო ბ-ში შემოგივლი-მეთქი.

კარგი. მეტი აღარაფერი მითხრა, თუ შეგიძლიათ.

იძულებული ვიყავი ტოლბოტის ეს უკანასკნელი რჩევა დამეჯერებინა, რალა უნდა მექნა, აღარც მოუსმენია ჩემთვის და მთელი ის საღამო სცენას მისჩერებოდა.

მე კი ამ დროს ქალბატონ ლალანდისთვის თვალი არ მომიცილებია და ბოლოს ბედმა გამიღიმა, მთლიანად დავინახე იმისი სახე. მართლაცდა იშვიათი სილამაზისა იყო, სწორედ ამას მეუბნებოდა გული ჯერ კიდევ მანამ, სანამ ტოლბოტი სრულიად ამიწერდა მას, და მაინც რალაც გაურკვეველი შფოთიანობა დამეუფლა. დასასრულ ასე გავიფიქრე, ეს იმისი ბრალი უნდა იყოს-მეთქი, რომ რალაც სევდა, მწუსარება ან, უფრო სწორად, დაღლილობა ეტყობოდა და გარკვეულწილად ასე წარხოცოდა სიყმაწვილის საამური ელფერი, სამაგიეროდ კი სერაფიმისებრი სინაზე და დიდებულება მინიჭებოდა, რასაც, რასაკვირველია, ათგზის უფრო მეტად უნდა ემოქმედა ჩემს აღფრთოვანებულ და რომანტიკულ გონზე.

თავგზაბნეული რომ ვუმზერდი, ბოლოს მთლად აკანკალებულმა ამ ქალის მცირეოდნავი მოძრაობის მეშვეობით მივხვდი, რომ ჩემი ესოდენ თვალდამტერებით ცქერა უცრად გაიგო. მაგრამ სრულიად მოჯადოებული რომ ვიყავი, წამითაც აღარ მომიცილებია მისთვის თვალი. ისევ მიატორიალა სახე და მე კვლავ დავინახე მისი ნატიფი კეფა. რამდენიმე წუთის შემდეგ, თითქოსდა უნდოდა გაეგო, კიდევ

ვუყურებდი თუ არა, გრაციოზულად ისევ შემოატრიალა სახე და კვლავ ჩემს ანთებულ თვალებს წააწყდა. იმწამსვე დახარა თავისი დიდრონი, შავ-შავი თვალები და აღმური მოედო ლოყებზე. მაგრამ დიდად გოცებული დავრჩი, იმის მაგივრად, რომ ხელმეორედ მიტრიალებულიყო, წელზე დაკიდებული ორმაგი ლორნეტი აიღო, მოიმარჯვა, მომიშვირა და ყურადღებით, დინჯად მაკვირდებოდა რამდენსამე წუთს.

მიწა რომ გამსკდომოდა ფეხქვეშ, ასე განცვიფრებული არ ვიქნებოდი, განცვიფრებული-მეთქი, და არა აღშოთებული და განრისხებული, თუმცა სხვა ქალის ასეთი საქციელი დიასაც აღაშოთებდა და განარისხებდა კაცს. მაგრამ ეს ისე წყნარად, ისე nonchalance<sup>1</sup> და ისე აუმღვრევლად გააკეთა, და ისე ცხადლივ ეტყობოდა კარგი აღზრდა, რომ უსირცხვილობის ნატამალსაც ვერ შენიშნავდით და აღფრთოვანება და გოცება იყო ჩემი ერთადერთი გრძნობა.

ესეც შევამჩნიე, პირველად რომ დამაკვირდა ლორნეტით, თითქოსდა წამილა ეყო ამისთვის და ის იყო უნდა მოეცილებინა თვალიდან ხსენებული ხელსაწყო, რომ უეცრად, თითქოს რაღაც აზრმა გაუელვაო, ისევ მოიმარჯვა და დიდი გულისყურით მომაჩერდა რამდენიმე ხანს — სუთ წუთს, ნაკლები არ იქნებოდა.

ამერიკულ თეატრებში ასეაი საქციელი ფრიად უჩვეულოა და კიდევაც მიიპყრო საყოველთაო ყურადღება, ხალხი ამოძრავდა, ანუ აჩურჩულდა, რამაც წამით შემაჩქვიფა, მაგრამ ქალბატონ ლალანდს რაზე შესამჩნევი ცვლილება არ დასტყობია.

ცნობისმოყვარეობა რომ დააკმაყოფილა, თუკი ეს ცნობისმოყვარეობა იყო, ლორნეტი დაუშვა და ისევ სცენას მიმართა მზერა გულმშვიდად, ახლა ისევ პროფილით ვხედავდი მას. ისევ ვუცქეროდი-მეთქი, თუმცა კი ვგრძნობდი ამ ჩემი საქციელის უხერხულობას. მალე სულ მცირეოდნავ შემოატრიალა თავი და მივხვდი, თითქოსდა სცენის მაცქერალი სინამდვილეში ისევ მე მაკვირდებოდა ყურადღებით.

<sup>1</sup> აქ: უდარდელად (ფრანგ.).



რალა თქმა უნდა, მეტად იმოქმედებდა ჩემზე ასეთი ქცევა ესოდენ მომხიბვლელი ქალისა.

მგონი მთელი თხუთმეტი წუთი ასე გამოწვლილვით მაკვირდებოდა, მერე ჩემი ვნების საგანი თავის თანმხლებ ჯენტლმენს მიუბრუნდა და ლაპარაკი დაუწყო, რაკი მე შემომხედავდნენ სოლმე ორნივე, ცხადლივ მივხვდი, ჩემზე საუბრობდნენ.

მერე კი ქალბატონი ლალანდი ისევ სცენისაკენ მიტრიალდა და რამდენიმე ხანს, როგორც ჩანს, წარმოდგენის მსვლელობისათვის მიეპყრო მთელი გულისყური. მაგრამ ეს ხანიც რომ გამოსდა, უდიდესი მღელვარებით უკვე მეორედ შევნიშნე, წელზე დაკიდებული ის თავისი ლორწეტი მოიმარჯვა, ხალხის ჩურჩულისათვის ისევ არ მიუქცევია ყურადღება, თავით ფეხამდე დამათვალიერა იმავე გასაოცარი სიმშვიდით, რომელმაც პირველადვე სულის წამლები ნეტარების მორევში გამახვია.

ამ ქალის ასეთმა უჩვეულო საქციელმა ამაფორიაქა, გული ამოვარდნაზე მქონდა, ნამდვილი გიჟი გამხადა სიყვარულმა და უილაჯობას კი არა, ძალამოსილებას ვგრძნობდი. შლეგივით გატაცებულს ყველაფერი დამვიწყებოდა ამქვეყნად. გარდა ამ ქალისა, ვინც თავისი დიდებული მშვენიერებით ნათელმოსილი არ მცილდებოდა თვალიდან. დრო ვიხელთე და როდესაც ხალხი, ჩემი აზრით, თქერას ადევნებდა თვალყურს, ქალბატონმა ლალანდმა გადმომხედა თუ არა, იმწუთასვე თავი დავუკარი.

ალმური მოედო მთელ სახეზე, მიატრიალა, ნელა და ფრთხილად გვერდზე მიმოიხედა, როგორც ჩანს, უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ჩემი ასეთი გამოხდომა შეუმჩნეველი დარჩენოდა ხალხს, მერე კი თავის გვერდით მჯდომი ჯენტლმენისაკენ გადაიხარა.

თავზარი დამცა იმწუთას ჩემმა სიბრიყვემ, მეტი რალა უნდა მომხდარიყო, ერთი დავიდარაბა ატყდებოდა, კიდევაც გამიელვა მწარე აზრმა თავში, ხვალ დილით პისტოლეტებით ბრძოლა მომიხდება-მეთქი. მაგრამ მაშინვე სული მოვითქვი, როდესაც დავინახე, იმ ქალბატონმა სიტყვის უთქმელად პროგრამა გადააწოდა თავის თანამგზავრ კაცს.

მაგრამ ამ ამბის მკითხველი მცირედნავ თუ გაიგებს ჩემს განცვიფრებას, ჩემს უდიდეს განცვიფრებას-მეთქი, ჩემი გულის გაძალებულ ძკერას, ნეტარებას სულისას, როცა ცოტა ანას მერე იმ ქალმა ისევ მალულად მიმოიხედა ირგვლივ და მომაყრო სხივმომფინარე თვალები, და მერე ნაზი ღიწილით გამოაჩინა პარგალიტებივით სხივდაფენილი, ჩამწკრივებული კბილები და ორგზის ცხადლივ, ნამდვილად თანსმობით დამიკრა თავი.

ჩემს სიხარულს, ჩემს აღტაცებას, ჩემს სილაღეს გულისას, რაღა თქმა უნდა, ვერ აგოწერთ. თუკი ოდესმე ვინმე შეშლილა ბედნიერების მოზღვავებისაგან, იმწუთას მე გახლდით ასეთი კაცო. გავმიჯნურდა. ეს იყო ჩემი პირველი სიყვარული — ასე ვგრძნობდი ამას. ეს იყო ენით უთქმელი, ღვთაებრივი სიყვარული. ეს იყო „ერთი ნახვით შეყვარება“, და ერთი ნახვითვე დამაფასეს მე და სიყვარულითვე მიპასუხეს.

დიახ, სიყვარულითვე-მეთქი. თუნდაც ერთი წუთით რალატომ და როგორღა უნდა შემპარვოდა ეჭვი. განა კი შეიძლებოდა სხვაგვარად მეფიქრა ამ მშვენიერ, მდიდარ, უთუოდ განათლებულ და კარგად აღზრდილ, საზოგადოებაში დიდი წონის მქონე, ყოვლად ღირსეულ ქალზე, ქალბატონ ლალანდზე? დიახ, მე იმას ვუყვარდი, მგზნებარედ უპასუხა ჩემს სიყვარულს, თავდავიწყებითა და ბრმად მომენდო, საბოლოოდ, უანგაროდ; უსაზღვრო იყო მისი გრძნობა, სწორედ ასეთივე ენით უთქმელი უსაზღვრო გრძნობით მოცული ვიყავი მეც! მაგრამ ეს ნეტარი ზმანება და ფიქრი ფარდის დამვებამ გაასრულა. ხალხი წამოიშალა, ჩვეულებრივი შეხლა-შემოხლა ატყდა იმწამსვე. მაშინვე მივატოვე ტოლბოტი და ვცდილობდი ქალბატონ ლალანდის ახლოს მივსულიყავი. მაგრამ ამ წიწვა-გლეჯვაში ველარაფერს გავსდი, რაღა უნდა მექნა, სახლში წამოვედი, ველარ დავიმსვიდე გული იმით, რომ იმის სამოსლის კიდეს შევხებოდი, სამაგიეროდ გავიფიქრე, ხვალვე ტოლბოტი გამაცნობს-მეთქი იმ ქალს და შვება ვიგრძენი.

ეს ხვალეც როგორც იქნა დადგა, ანუ, გათენდა-მეთქი ეს გაუთავებელი, მტანჯავი მოუთმენლობით აღსავსე ღამე;

მაგრამ სანამ საათის ისრები „პირველს“ მიუახლოვდებოდნენ, ლოკოკინასავით მიიზღაზნებოდნენ გულის გამომკმე-ლი, უთვალავი წუთები. მაგრამ როგორც ამბობენ, ერთხელაც იქნება და სტამბულსაც მოედება ბოლო, ხოდა, ჩემს მოლოდინსაც მოელო ბოლო. საათმა დაჰკრა, მინელდა თუ არა მისი ექო, შევედი სასტუმრო ბ-ში და ტოლბოტი ვიკითხე:

არ არისო, მომიგო მსახურმა, ტოლბოტის ლაქიამ.

— არ კრის? — ჩავეკითხე მე და თორმეტი ნაბიჯით დავიხიე უკან, — მთლად შეუძლებელსა და წარმოუდგენელს მეუბნები, ჩემო კარგო, ბ-ნი ტოლბოტი არ არისო, რას მეუბნები?

— არაფერს, ბატონო, იმასლა გეუბნებით, რომ ბ-ნი ტოლბოტი შინ არ არის და მორჩა. ს-ში გაემგზავრა, ადგა თუ არა ისაუზმა და თქვა, ერთი კვირით მივდივარო ქალაქიდან.

წყრომისა და სიმძიმისაგან გავშრი, კი მინდოდა რაღაც მეპასუხა, მაგრამ ენა აღარ მერჩოდა, დაბოლოს ჯავრისაგან სახეგაფითრებული მივტრიალდი და ტოლბოტების მთელ მოდგმას კარგა მაგრად შევუკურთხე გულში. ცხადი იყო, რომ ჩემს აგრე ყურადღებიან *il fanatico* მეგობარს. სრულიად დავიწყებოდა თავისი დაპირება — მაშინვე დავიწყებოდა, მითხრა თუ არა. არც არასდროს ყოფილა სიტყვის კაცი. რაღას ვიზამდი, გულში ჩავიკალი წყენა და დაღვრემილი ქუჩაში გამოვედი, მივეხეტებოდი და ყველა ნაცნობ მამაკაცს ამაოდ ვეკითხებოდი ქალბ-ონ ლალანდის შესახებ. შორიდან კი იცნობდნენ, ბევრს ენახა კიდევაც, მაგრამ სულ რამდენიმე კვირა იყო ამ ქალაქში ჩამოსული და სულ რამდენიმე თუ იცნობდა მას პირადად. ხოდა, ის რამდენიმე არც ისე დაახლოებული იყო, რომ შეძლებოდათ, ანუ თავისუფლად შეძლებოდათ იმასთან დილით შინ მისვლა და ეთქვათ, თქვენი გაცნობა უნდათო. სასოწარკვეთილი ვიდექი ჩემს სამ მეგობართან და ჩემს გულისა და სულის წამლებელ საგანზე ვესაუბრებოდი; სწორედ ეს საგანი იხილა ანაზღად სამივემ.

— თავი ნუ მომიკვდება, აგერ არ მოდის! — შეჰყვირა ერთმა.

— მართლაცდა მშვენიერია! — წამოიძახა მეორემ.

— ცით მოვლენილი ანგელოზია! — დაიძახა მესამემ. გავიხედე, ღია ეტლში მჯდომარე ნელინელ გვიახლოვდება, ოპერაში ჩემს მომაჯადოებელ სახეს ვხედავ, გვერდით ის ყმაწვილი ქალი უზის, წუხელ რომ მასთან იყო ლოქაში.

— მისი თანამგზავრი ქალიც არ ჩანს ცუდი, — თქვა იმან, პირველად რომ დაილაპარაკა.

— მართლაც, — თქვა მეორემ, — ახლაც დიდებული სანახავია; თუმცა კი სასწაულებს იქმს ხელოვნება. გეფიცებით, ის ახლა უფრო უკეთ გამოიყურება, ვიდრე პარიზში იყო ამ ხუთი წლის წინათ. ახლაც მშვენიერი ქალია-მეთქი; რას იტყვი, ფრუასარ? უფრო სწორად, სიმპსონ-მეთქი.

— ახლაცო?! — მივუგე მე, — რატომაც არ უნდა იყოს? სანთელი და საღამოს ვარსკვლავი... ციციანთელა და ანტარესი — ასე არიან ის და მისი მეგობარი.

— ხა! ხა! ხა!... საოცარი და ორიგინალური აღმოჩენების ნიჭი გაქვს, სიმპსონ.

ზოდა, ასე დავცილდით ერთმანეთს, იმათოვან ერთიმარადაც მხიარულად წაიმღერა, რამდენიმე სიტყვაც კი გავარჩიე:

Ninon, Ninon, Ninon à bas —

A bas Ninon De L'Enclos!

მაგრამ ამ საუბრის ხანს რაღაც მოხდა, რამაც შევება მომანიჭა, თუმცა კი უფრო მეტადაც წამკიდა ვნების ალი. ქალბატონ ლალანდის ეტლმა რომ ჩაგვიარა, დავინახე, რომ მან მიცნო, და უფრო მეტიც, ბედნიერი გამხადა, რაკიდა ანგელოზისებრი ღიმილი მომიძღვნა, კი მიცნო-მეთქი ნამდვილად.

გაცნობით კი ვეღარ გავიცნობდი, ვიდრე ტოლბოტი უკან დაბრუნებას არ მოისურვებდა. მე კი დროს არ ვკარგავდი და ხშირად დავდიოდი წესიერ გასართობ ადგილებში და

---

1 ნინონ, ნინონ, აღარ მსურს ნინონ, აღარ მსურს-მეთქი ოე ლანკლო ნინონს (ფრანგ.).

ბოლოს იმ თეატრშიც მივედი, სადაც პირველად ვნახე ის ქალი, ნეტარების მორევში ვცურავდი, კიდევ ერთხელ რომ მოვახერხეთ ერთმანეთის ნახვა. თუმცა კი ეს ამბავი ორი კვირის შემდეგლა მოხდა. მანამ კი ყოველდღე შივდიოდი ტოლბოტისას და იმისი მსასურისაგან რომ გავიგონებდი, ჯერ კიდევ არ დაბრუნებულაო, გული ყელში მეჭინებოდა.

ჰოდა, მე რომ აგიწერ, იმ საღამოს ცოტალა მაკლდა გაციებას. ქალბატონი ლალანდი, როგორც გითხარით, პარზიული ქალი გახლდათ, სულ რამდენიმე ხნის წინათ იყო ჩამოსული პარიზიდან და ხოჭ წეიძლებოდა უცებვე უკან დაბრუნებულიყო? ტოლბოტის ჩამოსვლამდე მოხდებოდა ეს ამბავი და მაშინ, იქნებ, სამუდამოდაც დავკარგავდი ამ ქალს. გამაწამა ამ ფიქრმა. მთელი ჩემი ბედნიერება სასწორზე იყო შეგდებული და კაცურკაცივით უნდა მოვქცეულიყავი. ერთი სიტყვით წარმოდგენის დამთავრების შემდეგ კვალდაკვალ გავყევი იმ ქალს, გავიგე მისი მისამართი და მეორე დილით ვრცელი და წრფელი წერილით ჩემი გული გადავუშალე.

ხელნაწერი გაბედული, თავისუფალი იყო, ერთი სიტყვით, ვნებით მივწერე. აღარაფერი დამიმაღავს, აღარაფერი-მეთქი, ჩემი სუსტი მხარეებიც არ დამვიწყებია. ჩვენი პირველი შეხვედრის რომანტიკული წვრილმანებიც არ გამომრჩენია, ისიც აღვნიშნე, თუ როგორ შევხედეთ ერთმანეთს. უფრო მეტიც, მივწერე, მჯერა, რომ თქვენც გიყვარვართ-მეთქი; ამიტომ და იმიტომაც, რომ შემიძლია თავიცა და სულიც თქვენ მოგიძღვნათ, ამ თრმა გარემოებამ შეიძლება მაპატიოს ჩემი ესოდენ უსირცხვილო საქციელი. მესამე კი ის არის, რომ ვაითუ სულაც წახვიდეთ ამ ქალაქიდან, ვიდრე მე და თქვენ ერთმანეთს გაგვაცნობენ-მეთქი. დაბოლოს, ჩემი მგზნებარე ეპისტოლეს მეშვეობით გამოწვლილვით ვაცნობე ჩემი ავლადიდების, სიმდიდრის ამბავი და დავსძინე, ჩემი გული და ხელი თქვენ გეკუთვნით-მეთქი.

მთლად გაწამებული მოველოდი პასუხს. ასე მეგონა, მთელი საუკუნე გავიდა-მეთქი, როდესაც პასუხი მოვიდა.

დიას. ნამდვილად მოვიდა. ყველაფერი ეს რომანტიკულად ჩანს, მაგრამ ქალბატონ ლალანდისაგან მე მართლაც

მივიღე წერილი — მშვენიერი, მდიდარი, ღვთაებრივი ქალისაგან, ქალბატონ ლალანდისაგან. თვალები მისი, მომავადობელი თვალები სარკე იყო მისი კეთილშობილი გულისა. ფრანგის ქალი გახლდათ ქემშარიტად და ყური უგდო ნათელი გონების კარნახს, ბუნების ძახილს, ზიზღისა გახია რიოში საურთიერთობო სწანჯები საზოგადოებისა; ჩემი წინადადება მან არ უარყო. დუმილით არ უპასუხსნია ჩემთვის. გაუხსნელი არ დაუბრუნებია ჩემი წერილი. პასუხიც კი გამომიგზავნა თავისი მშვენიერი ხელით ნაწერი. აი ისიც:

„მესიე სიმპსონ! გაპატიებს, მე არ შემძლია კარგად წერა მისი სამშობლოს ენად. ცოტა ხანს ჩამოვსულვარ და არ იყო შემთხვევა მის *étudier*!.

ბოდიშს ვისდით ამ სიტყვების გამო, მე უნდა თქვა, *hélas!*<sup>2</sup> მესიე სიმპსონი მართლა მისხდა. მეტს როგორღა ვიტყვის? *Hélas!* ისედაც ბევრი არა ვთქვის?

ე უ ე ნ ი ლ ა ლ ა ნ დ ი“

მილიონჯერ ვაკოცე ამ ღირსშესანიშნავ წერილს და, თქმა არ უნდა, სხვა ათასი სიგიჟეც მოვიმოქმედე, ყველაფერს რაღას გავიხსენებ. ტოლბოტი ჯერ კიდევ არ იყო დაბრუნებული. ვაგლახ! ბუნდადაც რომ სცოდნოდა, თავისი არყოფნით თუ როგორ გასტანჯა მეგობარი კაცი, ნუთუ დაუყოვნებლივ არ გამოემუერებოდა მოსაშველებლად? მაგრამ არ ბრუნდებოდა-მეთქი. მივწერე. მიპასუხა. ჯერ კიდევ ვერ მოეთავებინა აუცილებელი საქმეები და ვერ მობრუნდებოდა მაღე. ასე მთხოვდა, მომინე იყავი, ვნება დაიოკე, დამამშვიდებელი წიგნები იკითხე, რეინვეინზე მაგარ სასმელს ნუ დაღევე, იქნებ, ფილოსოფიითაც გაირთოთ თავი. სულელი! თავად თუ არ ჩამოვიდოდა, ქკუა რაღატომ არ ეყო და სარეკომენდაციო ბარათი არ გამომიგზავნა? კვლავ მივწერე, ასეთი ბარათის გამოგზავნას ვეაჯებოდი. სწორედ იმ მსახურმა დამიბრუნა წერილი შემდეგი წანაწერიითურთ. თავისი ბატონისას წასულიყო ის არამზადა სადღაც:

1 შესასწავლად (ფრანგ.).

2 ვაგლახ! (ფრანგ.).

„გუშინ წავიდა ს-დან, არ ვიცი რამდენი ხნით, სად, რო-  
ლის დაბრუნდება, ხოდა, ასე ვიფიქრე, კი სჯობს ეს წერილი  
დამწერს დაუბრუნო-მეთქი, აქვენი ხელი ვიცანი, თქვენი  
ყოველთვის გეჩქარებათ.

თ ქ ვ ე ნ ი მ ო ნ ა - მ ო რ ნ ი ლ ო  
ს ტ ა ბ ს ი “

ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, ჯანდაბაში გავისტუმ-  
რებდი ბატონსაც და მსახურსაც; მაგრამ მძვინვარება ვე-  
ლარაფერს მიშველიდა, ვერც ველარაფერს გავსდებოდი წუ-  
წუნით.

მაგრამ მე არავის დავაჩაგვრინებდი თავს, გულადი ვი-  
ყავი. ერთხელ ხომ მიშველა ამან, ხოდა, ვიფიქრე, ბოლომდე  
ასეთი უნდა ვიყო-მეთქი. და კიდევ, ჩვენი წერილების გავ-  
ზავნ-გამოგზავნის შემდგომ ისეთი რაღა უნდა მექნა, რასაც  
ქალბატონი თავხედობაში ჩამოქართმევდა? მას შემდეგ, რაც  
მისი ბართი მივიღე, სულ მუდამ იმის სახლს ვუთვალთ-  
ვალებდი და ვნახე, რომ შუალამემდე წესად ჰქონდა თავისი  
ფანჯრების ქვემოთ ბაღში სეარნობა ლივრეიანი ზანგის  
თანსლებით. ჰოდა, ამ ტოტებგაწვდილი ხეების ჩრდილქვეშ  
შუა ზაფხულის ერთი საამური სადამოს ბინდბუნდში დავე-  
ლოდე, გამოველაპარაკე.

თითქოს მისი ერთი ძველი და ასლო ნაცნობი ვყოფილი-  
ყავი, ისე მივედი იმასთან, მსახური ველარაფერს მიხვდებო-  
და. ნამდვილი პარიზელი ქალის გუმანით იმწამსვე ყველა-  
ფერი გაიგო, მომესალმა, თავისი პაწაწინა, მშვენიერი ხელი  
გამომიწოდა. ის ზანგი მაშინვე ჩამოგვრჩა და ჩვენ ერთმა-  
ნეთს გულის სიტყვა ვუთხარით, აღარაფერი დავვიძალავს,  
დიდხანს ვსაუბრობდით ჩვენს სიყვარულზე.

რადგან ქალბატონი ლალანდი ინგლისურად უფრო ცუ-  
დად ლაპარაკობდა, ვიდრე წერდა, ჩვენ მხოლოდ ფრანგუ-  
ლად უნდა გვესაუბრა. და ამ ტკბილ ენაზე, მშვენიერად რომ  
შეუძლია ვნების გადმოცემა, გადაუშალე ჩემი მგზნებარე  
გული და მთელი ჩემი ენამჭვერობა მოვიშველიე, თანხმო-  
ბას ვთხოვდი, დაუყოვნებლივ ჯვარი დავიწეროთ-მეთქი.

ღიმილი მოერია ასეთი მოუთმენლობის მნახველს. მი-

თხრა, ძველთაგანვე ასე არის, თავის ღაჭერა გმართებს, რას იტყვის სალხი, ბევრი დაუფრთხრა და გაუზბედურებია იმას სიტყვას, საბოლოოდაც გაუზბედურებიაო. სრულიად დაივიწყე სიფრთხილე და უკვე მენმა მეგობრებმა იციან, შენ რომ ჩემი გაცნობა გსურდაო, მითხრა მან, ანუ, იციან, რომ ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ და ასლა ვეღარც დავმალავთ იმას, თუ როდის და როგორ გავიცნაითო ერთმანეთი. და აქ დარცხვენილმა აღნიშნა ის თარიღი, სულ ცოტა ხანი გასულიყო მას შემდეგ. უხერხული იქნება ასლავე დაქორწინება, ხალხი რას იტყვის, *outré!* იქნებაო. მომხიბვლელი *naivete*<sup>2</sup> ამბობდა ამას, კი აღმფრთოვანა ამან, მაგრამ გულიც მატკინა, მართალი იყო და რაღას ვიზამდი. უფრო მეტიც, სიცილით მითხრა, ასეთი აჩქარება და უგუნურება რა საკადრისიაო; ისიც შემახსენა, არ იცი ვინა ვარ, რა ქონების პატრონი ვარ, ნათესავები ვინა მყავს, რომელ საზოგადოებას ვეკუთვნიო. ამოიოხრა და ასე მთხოვა, კარგად დაფიქრდი, შენი სიყვარული ბრმა უნდა იყოს, რაღაც ფანტაზიის, წამონთებული გონის ერთი გაელვებაა და მისი თავიდათაყო უფრო რაღაც წარმოსახვა და არა გულიაო. ამას რომ მეუბნებოდა, ის საამური ბინდბუნდი სულ უფრო და უფრო შავად შეიფერა და მერე თავისი მოჩაადოები ხელი ნაზად მომიჭირა, და სულაც გააცამტვერა თავისი ნაუბარი ერთ საამურსავე წამს.

მე ისე ვპასუხობდი, როგორც შემეძლო, მსოლოდ ჭეშმარიტ შეყვარებულებს შეუძლიათ ასე. სანგრძლივ და მტკიცედ ველაპარაკებოდი ჩემს მიჯნურობაზე, ჩემს ვნებაზე, იმის გულის წამლებ მშვენიერებაზე, ჩემს ერთ უთქმელ აღფრთოვანებაზე. დაბოლოს, ხაზგასმით დავსძინე, რამდენ უბედურებასა და სიმრუდეს გადაეყრება ჭეშმარიტი სიყვარული, ჭეშმარიტი სიყვარული უწამებლად ვერ გაიკაფავს გზას და ამისდა კვალად ასეთი დასკვნა გამოვიტანე, ეს გზარაც შეიძლება უნდა შემოკლდეს.

ამ უკანასკნელმა სიტყვამ, მგონია, კი შეურყია სიმტკი-

<sup>1</sup> აქ: თავჩედობა (ფრანგ.).

<sup>2</sup> გულუბრყვლობით (ფრანგ.).



ცე. მოტყდა, მაგრამ ასე მითხრა, კიდევ ერთი დაბრკოლება არის და შენ კი ვერ შეგინიშნავსო. კი არის უხერხული ამის თქმა, განსაკუთრებით ქალისთვის, მაგრამ როგორმე უნდა სძლიო თავს, კი ვიზამო შენი გულისთვის ამას. ასაკს გულისხმობდა. თუ იცი შენ, კარგად თუ იცი, რამდენი უნდა იყოსო ჩვენ შორის განსხვავება? ქმარი რომ რამდენიმე წლით, თუნდაც თხუთმეტი ან ოცი წლითაც უფროსია ცოლზე, ხალხის თვალში ეს შესაძლებელია და მოსწონთო კიდევაც; მაგრამ თავად მას სულ ყოველთვის სჯეროდა, რომ ცოლი არ უნდა იყოს ქმარზე უფროსი. ხსენებული არაბუნებრივი განსხვავება, ვაგლახ! სწირად ხდება უბედურების საფუძველი, ვიცი, შენი ასაკი ოცდაორს არ აღემატებო, ხოლო შენ კი, პირიქით, იქნებ, არც კი იცი, რომ შენი ეჟენის წლოვანება მნიშვნელოვანწილად სჭარბობსო ამ რიცხვს. ცხადლივ ვხედავდო, იმის კეთილშობილებას, ღირსებასა და პირდაპირობას, სულ უფრო მიმაჯადოვა, ამან, სულ უფრო დაატყვევა ჩემი გული. ჩემს აღტაცებას ველარც ვმაღავდი.

— ჩემო საყვარელო ეჟენ! — შეეყვირე მე, — აბა, ეგ რა სალაპარაკოა? რამდენიმე წლით კი ხართ ჩემზე უფროსი, მერედა რა მოხდა? რა სულელური ხვანჯებითაა მოცული ხალხის წეს-ჩვეულებანი. ჩვენ ხომ ისე გვიყვარს ერთმანეთი, რაღა მნიშვნელობა აქვს წელიწადს თუ საათს! თქვენ ბრძანებთ, ოცდაორისა ხართო, უფრო სწორი იქნებოდა, რომ გეთქვათ, ოცდასამისო. თქვენ, ჩემო ძვირფასო ეჟენ, არ უნდა იყოთ... არ უნდა იყოთ-მეთქი... იმაზე... იმაზე... იმაზე... იმაზე უფრო...

აქ წამით შევჩერდი, ქალბატონი ლაღანდი გაასრულებს ჩემს ნათქვამს და თავის ასაკს შეტყვის-მეთქი. მაგრამ ფრანგის ქალები იშვიათად იტყვიან რამეს პირდაპირ, საჩოთირო კითხვას მოხერხებულად აარიდებენ ხოლმე თავს. უეცრად ეჟენის, რამდენსამე წამს რომ ეძებდა მკერდში რაღაცას, მედალიონი დაუვარდა ბალახში, დაუყოვნებლივ ავიღე და მივაწოდე.

— თქვენი იყოს! — მითხრა მან მომხიბვლელი ღიმილით, — თქვენი იყოს-მეთქი იმის სახსოვრად, ვინც ასე კარგადაა მანდ გამოსახული. ამასთან ერთად, მედალიონის მე-

ორე მხარეს თქვენ, იქნებ, ნახოთ და გაიგოთ ის, რისი გაგებაც გასურთ. ახლა რაღას იზამთ, უკვე ჩამობნელდა, ხვალ დილით კი ნახავთ დროს ამისთვის. ამაღამ კი შეგიძლიათ შინ მიმაცილოთ. ჩემი მეგობრები პატარა საშინაო მუსიკალური levée<sup>1</sup> გამართვას აპირებენ; იმედი მაქვს, კარგ სიმღერებსაც მოისმენთ. ჩვენ, ფრანგები, ამერიკელებთან შედარებით თავისუფალი ხალხი ვართ და კიდევაც წაგიყვანს ჩემსას, ჩემი ძველა ნაცნობია-მეთქი.

ხელზე ხელი მომკიდა და მე შინ მივაცილე. მშვენიერი სახლი ჰქონდა და, ჩემი აზრით, დიდებულადაც გაეწყოს. თუმცა მაშინ იმდენად ჩამობნელებულიყო, ამის შესახებ ზუსტად ვერც გეტყვოდი; ზაფხულის ცხელ ღამეს ამერიკულ სახლებში იშვიათად ანთებენ ღამპას, ასე ხვდებიან დღის ამ საუცხოო დროს. მაგრამ ჩემი მისვლის ერთი საათის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, ერთი საჩრდილობლიანი ღამა აანთეს დარბაზში. დიდი გემოვნებითა და დიდებულადაც იყო გაწყობილი ეს ოთახი; მაგრამ მისი სამყოფელი, სადაც სტუმრებს მოეყარათ თავი, მთელი საღამო სასიამოვნო ბინდით იყო მოცული. ცუდი არ იქნება, რომ ჩვენი ოკეანის გამოღმა მეგობრებმა დაუყოვნებლივ გადაიღონ ეს მშვენიერი ჩვეულება, რომლის მეშვეობითაც სტუმრებს შეუძლიათ სინათლე აირჩიონ ან ბინდი, როგორც მოესურვებათ, ისე.

რაღა თქმა უნდა, უსაამურესი იყო ის საღამო ჩემს ცხოვრებაში. ქალბატონი ლაღანდი ტყუილად როდი აქებდა თავისი მეგობრების მუსიკალურ ნიჭს, მხოლოდ ერთხელ მოვისმინე ვენაში, სხვაგან ასე კარგად შესრულებული სიმღერები არც მომისმენია საშინაო კონცერტებზე. მუსიკალურ ინსტრუმენტებსაც უკრავდა ბევრი, ქალები მღეროდნენ მეტწილად და კარგადაც. დაბოლოს, როდესაც ერთხმად დაიძახეს, ქალბატონი ლაღანდიო, არც გასძალიანებია, არც უარზე დამდგარა, მაშინვე წამოდგა შეზლონგიდან, სადაც ჩემ გვერდით იჯდა და ერთი თუ ორი მამაკაცისა და იმასთან ერთად ოპერაში ნამყოფი მეგობარი ქალის თანხლებით დიდ დარბაზში მდგარ პიანინოსთან გავიდა. მეც გავყვი-

<sup>1</sup> აქ: წარმოდგენის (ფრანგ.).

ბოდი, მაგრამ ასე გავიფიქრე, მე აქ ისე ვარ მოსული, რომ სჯობს ხალხის თვალწინ არ ვიტრიალო და აქ დავრჩე-მეთქი. ჰოდა, ვეღარ ვისიამოვნებდი მისი ხილვით, თუმცა კი გავიგონებდი მის სიმღერას.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, ჩემზე კი მით უმეტეს. ზუსტად ვერ აგიწერთ ამას. სიყვარულით ვიყავი დამწვარი და, რაღა თქმა უნდა, მიზეზი ეს იყო, მაგრამ მთავარი ის გახლდათ, რომ დიდი გრძნობით მღეროდა. ვერც ვერავითარი ოსტატობა მიანიჭებდა იმ არიას თუ რეჩიტატივს უფრო მეტ შთამბავთნებლბას. დღესაც კარგად მახსოვს „ოტელოდან“ ერთი რომანსის მისეული შესრულება, ის ტონი, რომლითაც მან იმღერა „Sul mio casso“<sup>1</sup> „კაპულეტიდან“. საოცრად მღეროდა დაბალ ხმაზე. სამ ოქტავას მოიცავდა სრულიად. მისი ხმა D კონტრალტოდან მაღალ D სოპრანომდე მოიცავდა სამ სრულ ოქტავას, და თუმცა კარგად შეეძლო სან კარლოს შევსება, იმდენად სრულად ჰფლობდა თავის ხელოვნებას, რომ არ გასჭირვებია ყოველგვარი ვოკალური სირთულის დაძლევა — სულ ერთი იყო მისთვის მაღალი და დაბალი გამები, კადენსები თუ ფიორიტურები. განსაკუთრებით მშვენივრად შეასრულა „სომნამბულას“ ფინალი:

Ah! non giunge uman pensiero

Al contento ond'io son piena<sup>2</sup>.

და აქ მაღიბრანის მიბაძვით ბელინის მიერ შეთხზული ფრაზა შეცვალა, ტენორისეული G აიღო და იმწუთასვე ბგერა G ორი ოქტავით აამაღლა.

ამ გასაოცარი ვოკალური ნიჭის გამომჟღავნების შემდეგ ადგა პიანინოდან და ჩემ გვერდით თავის ადგილს დაუბრუნდა, აღფრთოვანებული ვიყავი და მგზნებარედაც მოვეუწონე შესრულება. ჩემს გაოცებაზე აღარაფერი მითქვამს, თუმცა კი მეტად გაოცებული ვიყავი, რადგან რაღაცნაირი სუსტი ხმა ჰქონდა, ანუ, უფრო სწორად, რაღაცნაირად უკან-

<sup>1</sup> აი იმ ჩემი კლდის ზემოთ. (იტალ.).

<sup>2</sup> ჰოი გონებას კაცისას არ ძალუძს ის სიხარული გაიგოს ჩემი (იტალ.).

კალებდა ხმა ჩვეულებრივი საუბრის დროს და თუ ასე კარგად იმღერებდა, არ მეგონა.

ხანგრძლივი, მგზნებარე და გულწრფელი საუბარი გვექონდა, არც არავის შეუშლია ხელი. მითხრა, შენს ბავშვობაზე მიაბნეო და გულდასმით მომიამინა, ჩემი არც ერთი სიტყვა არ გამოპარვია. არაფერი დამიმაღლავს, ვგრძნობდი, რომ ვერც ვერაფერს დავუმაღლავდი ამ გულისხმიერსა და ნაზ ქალს. ის ხომ გულწრფელი იყო, როდესაც იმ საჩოთიროს საგანს, თავის ასაკს შეეხო; ამ მაგალითით აღფრთოვანებული მა მეც ყველაფერი გამოწვლილვით ვუამბე არა მარტო ჩემს პატარ-პატარა ნაკლოვანებებზე, ჩემი ზნეობრივი და, უფრო მეტიც, ფიზიკური მანკაც არ დამვიწყებია, სწორედ დიდ ვაჟკაცობას მოითხოვს ასეთი აღსარება, თავის მხრივ ეს გარემოება სიყვარულს მოწმობს შეუმცდარად. კოლეჯში ასეთი და ასეთი ვიყავი, რა არ გადამხდენია-მეთქი, ბევრი ფული გამიფლანგავს, სულ ვღრეობდი, ბევრი ვალიც ამიღია, სასიყვარულო თავგადასავლებიც არ მომიკლია-მეთქი. ამასაც აღარ დავუჯერადი, ისიც ვუთხარი, რომ ერთხანს ჭლექის ნიშნებზე მჯდომი ვიყავი და ცოტას ვახველებდი კიდევაც, ქრონიკული რევმატიზმი მაწუხებს, მემკვიდრეობით გადმოყოლილი ნიკრისი ქარის შეტევებსაც ვუჩივი-მეთქი ხანდახან, დაბოლოს ავუხსენი, არასასიამოვნო და შემაწუხარი თვალების სისუსტე მჭირს და აქამდე დიდის ამბით ვმაღავ-მეთქი.

— აი ეს კი, — სიცილით მითხრა ქალბატონმა ლალანდმა — სულ ტყუილუბრალოდ აღიარეთ, რადგან ამ აღიარებით გარეშე, მგონია, ვერც ვერავინ გაიგებდა ამ თქვენს დანაშაულს. ჰო, მართლა, — განაგრძო მან, — თუ გახსოვთ, — და აქ, თუმცა თათხში ბინდბუნდი იდგა, როგორღაც ვიგრძენი, რომ წამოინთო, გაწითლდა, — თუ გახსოვთ-მეთქი, mon cher ami, ის თვალის შემწე და მშველელი, ყელზე რომ მიკიდია ახლაც?

ამისი მთქმელი ხელში ატრიალებდა იმ ორმაგ ლორნეტს, რომლის გამოც ასე შევჭკვიფდი ოპერაში.

— კარგად, კარგადაც მახსოვს! — შევყვირე მე და მაგრად მოვეუჭირე იმ ხელს, რომელმაც ლორნეტი გამომიწოდა. დი-

დებული სათამაშო იყო, მდიდრულად გაწყობილი, მოოჭვილი, ძვირფასი ქვებით შემკული და ამ სანახევროდ ჩაბნელებულ ოთახშიაც მე კარგად შევნიშნე, მეტად ძვირფასი უნდა ყოფილიყო.

— Eh bien mon ami<sup>1</sup>, — დასძინა მან empressement<sup>2</sup> და კი გამოოცა ამით, — Eh bien mon ami, თქვენ ხომ გულით გინდათ გაიგონოთ ჩემგან ეს სიტყვები, რომლებსაც თქვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თქვენ ხელი მთხოვეთ და პასუხს სახვალიოდაც მოეღიბეთ. თქვენს სვეწნა-ვედრებას რომ ყური დავუგდო და, აქვე უნდა დავსძინო, ჩემს გულის-თქმასაც, ხომ მაქვს უფლება გთხოვოთ პატარა, სულ პატარა მოწყალება სამაგიეროდ?

— მიბრძანეთ! — ისე შევძახე, რომ კინაღამ იქ მყოფთა ყურადღება მივიპყარი. მართოდ რომ ვყოფილიყავით, უთუოდ მუხლებში ჩავუვარდებოდი — მიბრძანეთ, ჩემო საყვარელო, ჩემო ეჟენ, ჩემო ყველავ! მიბრძანეთ-მეთქი, — ვაგლახმე, სანამ იტყოდა, თავად აღასრულა კიდევაც საქმნელი.

— კი უნდა სძლიოთ, mon ami, — მითხრა მან, — თქვენი საყვარელი ეჟენის გულისთვის ეგ პატარა სისუსტე, ახლა რომ აღიარეთ; თანაც ეგ სისუსტე უფრო ზნეობრივია, ვიდრე ფიზიკური და სულაც არ შეეფერება თქვენს კეთილშობილ გულს, თქვენს პირდაპირობას, და რომელიც ადრე თუ გვიან, თუკი ასე უყურადღებოდ დატოვებთ, ნამდვილად ცუდ ამბავს შეგამთხვევით მომავალში. თქვენ უნდა სძლიოთ-მეთქი ჩემი გულისთვის ეგ უღონობა სულისა, რომელიც, როგორც თქვენ იცით, დღენიადაც და უჩუმრად გაიძულეხთ თქვენი ახლომხედველობა დამალვით. რადგან თქვენ მართლაც მაღავთ ამას, როდესაც უარს ამბობთ იმ საშუალებაზე, ჩვეულებრივი რომ არის ამ შემთხვევაში და გიშველით კიდევაც. ხომ გაიგეთ, რასაც გეუბნებით, მე მინდა, რომ თქვენ სათვალე ატაროთ... ჰაი, ჩუ! თქვენ ხომ დამპირდით უკვე, ჩემი გულისთვის-მეთქი. ხოდა, აიღეთ ეს პატარა

1 ხოდა ასე, ჩემო მეგობარო (ფრანგ.).

2 საჩქაროდ (ფრანგ.).

სათამაშო, მე რომ ხელთა მაქვს ახლა. თუმცა მშვენივრად დაგანახვებთ ყველაფერს, მაგრამ მისი ჩარჩო ძვირფასი არ არის. თქვენ უკვე ნახეთ, რომ მისი ტარება ისეც შეგიძლიათ და ასეც, ანუ როგორც სათვალე ან როგორც ლორნეტი, ჯიბეში შეგიძლიათ ჩაიღოთ. მაგრამ გირჩევთ ისე ატაროთ, როგორც სათვალე, ჩემი გულისთვის გთხოვთ ამას. ამ თხოვნამ, უნდა ვალიარო, მაგრამადაც დაძაღონა. მაგრამ პირობა ისეთი იყო, რომ, რაღა თქმა უნდა, უარს როგორ ვეტყვოდი.

ასეც ვიზამ-მეთქი! იმწუთას როგორც კი შემეძლო, მგზნებარედ მივაძახე მე. — ასეც ვიზამ — დიდი სიამოვნებითაც. თქვენი გულისთვის მზადა ვარ ყოველგვარი მსხვერპლი გავიღო. ამალამ ეს ლორნეტი მექნება როგორც ლორნეტი, გულთან ახლოს, ჯიბეში; მაგრამ იმ განთიადის ხანს, როდესაც მე, ბედნიერი კაცი გეტყვით თქვენ, ჩემო მეუღლე-მეთქი, მაშინვე დავიბნევ, ცხვირზე დავიბნევ-მეთქი და სულ მუდამ ვატარებ, თუმცა კი ნაკლებად რომანტიკული, ნაკლებად მოდური იქნება, მაგრამ სამაგიეროდ უფრო სასარგებლო, როგორც თქვენ გნებავთ, ისე.

შემდეგ ჩვენ ხვალინდელი დღის გეგმაზე დავიწყეთ საუბარი, როგორც ჩემი დანიშნულისაგან გავიგე, ტოლბოტი სწორედ ახლახან ჩამოსულიყო ქალაქში. ამწუთასვე უნდა მენახა და ეტლიც უნდა დამეჭირავენინა. Soiree<sup>1</sup> ორ საათზე უფრო ადრე არ გათავდებოდა, ამ დროისთვის ცხენები კართან უნდა ყოფილაყვინენ, ხალჩი აიშლებოდა და ქალბატონ ლალანდს შეეძლო შეუმჩნევლად წამოსულიყო ჩემთან. მღვდელი უკვე გაფრთხილებული იქნებოდა და იმისას მივიდოდით; დაგვწერდა ჯვარს, ტოლბოტი თავის გზაზე წავიდოდა და ჩვენ აღმოსავლეთისაკენ გავემუშრებოდით სამოგზაუროდ ცოტა ხნით, აქაურ ნაღებ საზოგადოებას რაც უნდოდა, ის ელაპარაკა ჩვენზე.

ყველაფერი ავწონ-დავწონე და დაუყოვნებლივ წამოვედი ტოლბოტის სანახავად, მაგრამ ვზად თავი ვეღარ შევიკავე და ერთ სასტუმროში შევიარე, მედალიონის იმ პატარა სუ-

<sup>1</sup> საღამოს წვეულება (ფრანგ.).

რათს ვნახავ-მეთქი; სათვალე მოვიშველიე და ასეც ვქენი, მართლაცდა მშვენიერი იყო! დიდრონი, შუქმომფინარე თვალეები! ლამაზი ბერძნული ცხვირი! დიდებული ყორნისფერი კულულები! ჰოი! — ვთქვი სისარულით აღფრთოვანებულმა, — რა დიდად ჰგავს ჩემს გულის სწორს! — მედალიონი გადავატრიალე და მეორე მხარეს ამოვიკითხე, — „ეჟენი ლალანდი, ოცდაშვიდი წლისა და შვიდი თვის“.

ტოლბოტი შინ დამხვდა და მაშინვე მივახარე ჩემი ბედნიერების ამბავი. კი გაუკვირდა ძალიან, რაღა თქმა უნდა, მაგრამ გულითა და სულით მომილოცა და მითხრა, რასაც კი შევძლებ, დაგეხმარებით. ერთი სიტყვით, როგორც გვინდოდა, ყველაფერი ისე მოხდა, უკვე დამის ორ საათზე, ათი წუთი იყო გასული, რაც ჯვარი დავიწერეთ, მე უკვე ქალბატონ ლალანდთან... ქალბ-ონ სიმპსონთან-მეთქი, ვიჯექი დახურულ ეტლში და დიდი სიჩქარით ქალაქიდან გამოვედით, ჩრდილო-აღმოსავლეთით მივეშურებოდით.

ტოლბოტმა გვირჩია, რადგან მთელი ღამე გზაში უნდა იყოთ, პირველად შეგიძლიათ კ-ში შეჩერდეთ, ეს სოფელი ქალაქიდან თორმეტი მილითაა დაცილებული და ვიდრე გზას გააგრძელებდეთ, დანაყრდებით და ცოტას დაისვენებთო. ზუსტად ოთხი საათი იყო, როდესაც ჩვენი ეტლი ამ სოფლის საუკეთესო სასტუმროს კარწინ გაჩერდა. ჩემს სათაყვანებელ მეუღლეს ხელი შევაშველე, ჩამოვიყვანე და მაშინვე საუბმე შევუკვეთე. სანამ მოგვიტანდნენ, პატარა სასტუმრო ოთახში გავედით და იქ დავსხედით.

მთლად თუ არა, თითქმის გათენებულიყო და მე აღტაცებული შევცქეროდი ჩემს გვერდით მჯდომარე ანგელზს, უცნაურმა აზრმა გამიელვა თავში, რაც ქალბატონ ლალანდის ენით უთქმელი მშვენიერება ვიხილე, ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ამ მშვენიერებას ასე ახლოდან ვცქერედი დღის სინათლეზე.

— ახლა კი, *mon ami*, — მითხრა მან, — ხელი მომიკიდა და ფიქრი ასე შემაწყვეტინა, — ახლა, კი *mon cher ami*, რაკიღა გულითა და სულით მთხოვეთ და თქვენი აჯა-ვედრება მე შევისმინე, ჯერი ახლა თქვენზეა, კი უნდა გახსოვდეთ, მგონია, ის პატარა საჩუქარი, ის პატარა დაპირება, ვიცი

ეს თქვენც კი გსურთ. ჰო! როგორ იყო? აბა, შემახსენეთ! დი-  
ახ, აი ზუსტადაც გამახსენდა ის სიტყვები, თქვენ ხომ და-  
პირდით თქვენს ძვირფას ექენის წუხელ. ყური მიგდეთ. ასე  
არ იყო: „ასეც ვიზამ — დიდი სიამოვნებითაც. თქვენი გუ-  
ლისთვის მზადა ვარ ყოველგვარი მსხვერპლი ვაცილო. ამა-  
ლამ ეს ლორენტი მექნება როგორც ლორნეტი, გულთან ახ-  
ლოს, ჯიბეში; მაგრამ იმ განთიადის ხანს, როდესაც მე, ბედ-  
ნიერი კაცი, გეტყვით თქვენ, ჩემო მეუღლე-მეთქი, მაშინ-  
ვე დავიბნევე, ცხვირზე დავიბნევე-მეთქი და სულ მუდამ ვა-  
ტარებ, თუმცა კი ნაკლებად რომანტიკული, ნაკლებად მი-  
დური იქნება, მაგრამ სამაგიეროდ უფრო სასარგებლო, რო-  
გორც თქვენ გნებავთ, ისე“. სწორედ ასე არა თქვით, ჩემო  
საყვარელო ქმარო. ხომ მართალია?

— დიახ, — მივუბე მე, — თქვენ კარგი მეხსიერება გაქვთ  
და გჯეროდეთ, ჩემო მშვენიერი ექენ, ასეთ უბრალო დაპი-  
რებას როგორ არ შეგისრულებთ. აბა შემომხედეთ! ხომ მხე-  
დავთ! კიდევაც მომიხდა მგონია, ხომ ასეა? — ხოდა, იმ ლო-  
რნეტს სათვალის ფორმა მივეცი და ძალიან ფრთხილად მო-  
ვირგე სადაც ჯერ არს; ხოლო ქალბატონმა სიმპსონმა შლა-  
პა შეისწორა, ხელები მკერდზე დაიწყო, როგორღაც სწო-  
რად, წელგამართული დაჯდა სავარძელზე, უშნოდ გაშე-  
შებულიყო, გაჯგბიშულიყო.

— ღმერთო ჩემო! — შევყვირე მე, როგორც კი სათვალე  
ცხვირზე მოვირგე, ჰოი! ღმერთო ჩემო! ეს რაღაა, რა სჭირს  
ამ სათვალეს? — მაშინვე მოვიძრე და ფრთხილად გავწმინ-  
დე აბრეშუმის ცხვირსახოცი და ისე დავიბნიე.

პირველად კი ვიყავი გაოცებული, მაგრამ მერე თავზარი  
დამეცა, თავზარი-მეთქი, იმდენად ძლიერი იყო ეს გრძნა-  
ბა, რომ შემიძლია გითხრათ, გული ამოვარდნაზე მქონდა.  
ამქვეყნად ყოველივე შემზარავის სახელით, ამას რას ვხე-  
დავ? თვალებს როგორღა დაუუჯერო? როგორღა-მეთქი? ეს  
რა გამოცანაა. რა არის... რა არის-მეთქი, ეს ფერუშარილი  
რა არის? აი ეს კი, ეს-მეთქი, ეს ნაოჭები რაღაა? ნუთუ ექე-  
ნი ლალანდისაა ეს სახე? ჰოი! ზევსო, ღმერთებო და ქალ-  
ღმერთებო, დიდნო და მცირენო!.. რა... რა... რა... რა მოუვი-  
და-მეთქი იმის კბილებს? გააფთრებულმა სათვალე მოვიგ-



ლიჯე და იატაკზე დავანარცხე, ფეხზე წამოვიჭერი და შუა  
ოთახში დოინჯშემოყრილი დავდექი ქალბ-ონ სიმპსონის  
პირდაპირ, კბილთა ღრჭენით, დუქმორეული, ზაფრადაცე-  
მული და გამძვინვარებული ენას ველარ ვიღებდი.

როგორც მე გითხარით, ქალბატონი ლალანდი, უფრო  
სწორად, ქალბ-ონი სიმპსონი ინგლისურად ცოტათი უფრო  
კარგად ლაპარაკობდა, ვიდრე წერდა და ჩვეულებრივ არც  
ცდილობდა ამ ენის მოშველიებას. მაგრამ მრისხანება ქალს  
რას არ გააკეთებინებს, ჰოდა, ამან ამჯერად ქალბ-ონ სიმპ-  
სონს ფრიად უჩვეულო ამბავი ჩაადენინა, იმ ენაზე მოინ-  
დო! საუბარი. თითქმის რომ არც ესმოდა.

— რაო, მესიე, — თქვა მან, დიდად გაოცებული რომ  
მიმზერდა, რამდენსამე ხანს, — რაო-თქი, მესიე? რა ხდე-  
ბის? რაში საქმობს? წმიდა ვიტუსის ცეკვავედეთ თუ რაო? ვი-  
ნა გკოცნიდოს, ლოყას რომ იშვირებოდით?

— შე არამზადავ! — ამოვთქვი მე სულშესუთულმა, — შე...  
შე... შე ბებერო, ქოფაკო-მეთქი!

— ბებრო? ქოფკო?... არც ისე შაან ბებრო არ! ოშმოშდა  
ორ არ იქნების დღეს.

— ოთხმოცდა ორიო! — მივაძახე და კედელს მივაწყდი, —  
ოთხმოცდა ორი ათასი მაიმუნი თუ დამიხსნის მე! იმ მე-  
დალიონის მიხედვით ხომ ოცდაშვიდი წლისა და შვიდი თვის  
იყავით თქვენ?

— დია.. ესე არ!.. სიმართლს ამბობ! მაგრამ შურათი  
ორმოშდათხუთმეტი წლის წინანია. რეთრე ქორწინის ჟამს,  
მესიე ლალანდის ჟამს, შურათი ის ჩემს გოგოსთვის პირ-  
ველს ქმარისა მიუღია, მესიე მუასარისაგან!

— მუასარიო, — ვთქვი მე.

— დიახ, მუასარი, — დამცინავად გაიმეორა მან ჩემი ნათ-  
ქვამი, მართლაც, კარგი გამოთქმა არ მქონდა, — შემდეგ რაო?  
შენ რაო იცი მუასარზე?

— არაფერი, შე ბებრუცუნავ! არც არაფერი ვიცი იმის  
შესახებ, მხოლოდ ერთ ღროს თურმე წინაპარი მყოლია ამ  
გვარისა.

— ამა გვარისი ცუდს არა იტყვის, ამა გვარს? შალიან  
კარგმა გვარია; ვუასარიც კარგმაა. შემი აშული, მადემაუ-

ზელ მუასარი, ქორწილდა მესიე მუასარ; დიდებული გვარ-  
მაა ორივე.

— მუასარიო? — შეკვირე შე, — და ვუასარიც! რას მეუბ-  
ნებით?

— რასა? იმას, მუასარი და ვუასარი, საქმე იშაა-თქი, ისევე, კრუასარიცა და ფრუასარიც; ჩემი აშულის აშული მადემუაზელ ვუასარი ქორწილდა მესიე კრუასარზე და ჩემი აშულის შვილიშვილი მადემუაზელ კრუასარი ქორწილდა მესიე მუასარზე და მგონი შენ იტყვის, ესეც დიდებული გვარ-  
რმაა.

— ფრუასარიო! — გავიმეორე მე და ვიგრძენი, სადაცაა გრძნობას დავკარგავდი, — როგორც თქვენ ამბობთ, მუასარი, ვუასარი, კრუასარი და ფრუასარი?

— დია, — ასე მიპასუხა, სავარძლის ზურგს მიეყრდნო და თავისი პატარა ფეხები გამართა, — დია, მუასარი, ვუასარი, კრუასარი და ფრუასარი. მაგრამ მესიე ფრუასარი ჰქვია ერთი დიდი შულელი, ერთი დიდი შესსავით სახედარი, რაკი და-ტოვოს *la belle France*<sup>1</sup> და ჩამოდი ამ შულელურ *Amerique*<sup>2</sup> იმას ყავ ძლიერ შულელი, ძლიერ, ძლიერ-მეთქი შულელი ვაჟი, ასე მეშმის, არა მაქვს უბედურება მის ნახვის, არც ჩემ მეგობარს, ქალბატონ სტეფენი ლალანდს არ ნახოს იგი. სახელად ნაპოლენ ბონოპარტე ფრუასარი და თქვენ თქით, ის არა დიდებული გვარმაა.

დიდხანს რომ საუბრობდა ასე ან ასეთ სიტყვებს რომ მესროდა, ამიტომ იყო თუ იმიტომ ქალბ-ონი სიმპსონი მთლად გამძვინვარებულიყო მართლაც; დიდი წვალებით და-ასრულა თუ არა თავისი სიტყვა, შლეგივით წამოიჭრა სავარძლიდან და უცებ ვეებერთელა ტურნიური დაუვარდა იატაკზე, ხოდა, ასე ფეხზემდგომს ღრძილები გამოეჩინა, სახელოები წაეკოტავებინა ხელების მქნეველს, სასეში მჩრი-და მუშტებს, დაბოლოს შლაპა მოიგლიჯა თავიდან და ვე-ებერთელა ძვირფასი და შავთმიანი პარიკიც მოაყოლა, და-იჭყვივლა, იატაკზე მოისროლა, ფეხებით შედგა და მრისხა-

<sup>1</sup> მშვენიერი საფრანგეთი (ფრანგ.).

<sup>2</sup> ამერიკაში (ფრანგ.).

ნებისაგან მთლად ქკუადაკარგულმა ფანდანგოს მაგვარი და-  
უარა.

თავზარდაცემული იმის სავარძელში დავეშვი. — მუასა-  
რი და ვუასარი! — ჩაფიქრებული ვიმეორებდი, ის კი ამ  
დროს ტლინკებს ისროდა, — კრუასარი და ფრუასარი! — ის  
კი ისევ ტლინკაობდა, — მუასარი, ვუასარი, კრუასარი და  
ნაპოლეონ ბონაპარტი კრუასარიც! და იცი თუ არა შენ, გა-  
დამღრძვალო გველო, რომ ეს მე, მე ვარ-მეთქი, თუ გეს-  
მის? მე ვარ მეთქი! — შევღრიალე, — მე ვარ-მეთქი! მე ვარ  
ნაპოლეონ ბონაპარტი ფრუასარი! და მე თურმე ბებიაჩემის  
ბებიაზე დამიწერია ჯვარი, წაწყმედილი ვარ კიდევაც სუ-  
ლით-სორცამდე!

ქალბატონი ეჟენი ლალანდი, quasi<sup>1</sup> სიმპსონი, პირ-  
ველი ქმრის მისედვით მუასარი, მართლაცდა იყო ბებია  
ბებიაჩემისა. სიყმაწვილეში მშვენიერი ყოფილა და ახ-  
ლაც, ოთხმოცდაორი წლისას შეუნარჩუნებია ახალგაზრ-  
დობის დროინდელი დიდებული ანაგობა, ქანდაკისებური  
მოყვანილობა თავისა, ლამაზი თვალები და ბერძნული ცხვი-  
რი. თუ ამას დავუმატებთ ქათქათა პუდრას, ფერუმარილს,  
გაკეთებულ თმას, გაკეთებულ კბილებსა და ტურნიურით გა-  
კეთებულსავე წელს, ასევე, პარიზის საუკეთესო მკერავების  
ხელოვნებას, ამ ღედაკაცს საუკეთესო ადგილი უნდა სჭე-  
როდა საფრანგეთის დედაქალაქის un peu passées<sup>2</sup> მშვენი-  
ერთა შორის. ამ მხრივ სწორედაც გაუწევდა მეტოქეობას იმ  
სახელგანთქმულ ნინონ დე ლანკლოს.

უმდიდრესი ქალი ყოფილა და მეორედ დაქვრივების  
შემდეგ უშვილოდ რომ დარჩა, ამერიკაში ჩემი არსებობა  
მოაგონდა და იფიქრა, იმას გაკვდიო ჩემს მემკვიდრედ, შე-  
ერთებულ შტატებში გამოემგზავრა თავისი მეორე ქმრის  
შორეული ნათესავის, უმშვენიერესი ქალბატონ სტეფენი ლა-  
ლანდის თანხლებით.

ხოდა, იმ ოპერაში ბებიაჩემის ბებიაშენი შენიშნა, თვალს  
რომ არ ვაცილებდი; ლორნეტის მეშვეობით შემათვალისწინა

<sup>1</sup> თითქმის (ფრანგ.).

<sup>2</sup> აქ: შემკვანარ (ფრანგ.).

და გარკვეული საგვარეულო მსგავსება დაინახა. გამოიკითხა და გაიგო, თავის მემკვიდრეს რომ ეძებდა, ის თურმე აქვე, ამ ქალაქში ყოფილა, მის გვერდით მყოფმა უოსრა ჩემ შესახებ. ის ჯენტლმენი პირადად მიცნობდა მე. ამის მერე ის უფრო საგულდაგულოდ მათვალისწინებდა, რამაც ასე მომალღორა და უჩვეულოდაც მოვიქეცი, თქვენ უკვე გამოწვლილვის იცით ამის შესახებ. მანაც თავი დამიკრა, რადგან იფიქრა, იმას შექმნევიტ ჩემი ამბავი გაუგიაო. და როდესაც ჩემმა ახლომხედველობამ, იმისი მორთულობის ხელოვნებამ მომატყუა და ვერ მივხვდი ამ უცნობი ქალის ასაკს, ვერც მისი გარეგნობა გვარჩიე სწორად და დაუინებით ვეკითხებოდი ტოლბოტს, ვინ არის-მეთქი; ამ კაცმა გაიფიქრა, რაღა თქმა უნდა, იმის თანმხლებ ქალზე მეკითხებო და ასე მიპასუხა, სრულიად მართალი იყო კიდევაც, იმას „ვინ არ იცნობს, ქვრივია, ქალბატონი ლალანდი“.

მეორე დღით ბებიაჩემის ბებია ქუჩაში ტოლბოტს, თავის ძველ პარიზელ ნაცნობს შესვედრია და, რაღა თქმა უნდა, ჩემზე გააბამდნენ საუბარს. ჩემი ახლომხედველობის, ამ ჩემი ცნობილი ნაკლის ამბავი გაუგია, თუმცა თავად მე სრულიად არ ვიცოდი, ასე სახელგანთქმული თუ ვიყავი; იმ ჩემმა კარგმა მოხუცმა ნათესავმა ნახა, თავისდა სამწუხაროდ, რომ სულაც არ ვიცნობდი მას და ოპერაში ხალხის თვალწინ, გატუტუცებულმა უცნობ მოხუც ქალს სიყვარულის ახსნა დავუწყე. ასე იფიქრა, უნდა დავსაჯოთ ეს ასუნტრუცებული ყმაწვილკაცი და ტოლბოტთან ერთად შეთქმულება მომიწყო. ტოლბოტი შეგნებულად მემალეობდა, რადგან ჩემთვის ის ქალი არ უნდა გაეცნოთ. ქუჩაში ნაცნობებს რომ ვეკითხებოდი „მშვენიერ ქვრივზე, ქალბატონ ლალანდზე“, ისინი, რაღა თქმა უნდა, იმ ყმაწვილქალს გულისხმობდნენ; ტოლბოტისას სასტუმროში რომ მივედი და გარეთ გამოსვლის ხანს იმ სამ ჯენტლმენს შევხვდი, მაშინდელი საუბარი ახლა უკვე ნათელი იყო ჩემთვის, ასევე ისიც, ნინონ დე ლანკლო რომ მისხენეს. დღის სინათლეზე ქალბატონი ლალანდი მე ახლოდან არ მინახავს, ხოლო იმ მუსიკალურ soiree<sup>1</sup> სულელურად უარი ვთქვი სათვალეზე და იმ დედაბ-

<sup>1</sup> საღამოზე (ფრანგ.).

რის ასაკს რაღას მივხვდებოდით. და როდესაც „ქალბატონი ლალანდი“ სასიმღეროდ მიიწვიეს, ეს ის ყმაწვილი ქალი იყო, სწორედ იმას უნდა შეესრულებინა ეს თხოვნა; ბებიაჩემის ბებია მაშინვე იმასთან ერთად წამოდგა და ორივენი იმ დარბაზში გავიდნენ, სადაც პიანინო იდგა, ეს იმიტომ გააკეთა, რომ ვერაფერს მივმხვდარიყავი. ხოლო თუ მე იმათ გაყოლას მოვისურვებდი, მაშინ ის მეტყვოდა, ნუ წამოხვალ, დარჩიო, მაგრამ სიფრთხილის გაქო ადგილიდან ფეხი არ მომიცვლია და აღარაფრის თქმა აღარ დასჭირვებია. მე რომ აღტაცებული ვიყავი, ის სიმღერები ქალბატონ სტეფანი ლალანდს შეუსრულებია, მაშინ კი ამ გარემოებამ დამარწმუნა, რა ახალგაზრდა ყოფილა-მეთქი ჩემი სატრფო. ის ლორნეტი იმიტომ მაჩუქა, რომ უფრო სასაცილო გავეხადე და ასე დაეგვირგვინებია ჩემი მოლორება. ამ საჩუქარს შეემლო კარგადაც ესწავლებინა ჩემთვის ჭკუა და მერე ველარც გავბედავდი თავის ასე მოკატუნებას. აღარაა საჭირო იმისი თქმა, რომ შესაფერისი მინები იმ მოხუცმა ქალბატონმა ჩაადგმევინა და ახლა ეს სათვალე ჩემი ასაკის კაცს გამოადგებოდა. სწორედ ასეც მოხდა.

ვითომცდა საბედისწერო უღელი რომ დაგვადგა, ის სულიერი მამა ტოლბოტის ძმაცაი იყო და არა მღვდელი. ჩინებული „მეეტლე“ გამომდგარა ის თურმე, როდესაც ანაფორა გაიძრო და ქურთუკი ჩაიცვა და ასე წაიყვანა ის „ბედნიერი წყვილი“ ქალაქიდან. ტოლბოტი იმის გვერდით იჯდა. ის არამზადები, „მკვდრებივით გასუსულები“, იმ სასტუმრო ოთახის ნახევრად ღია საარკმელში იჭვრიტებოდნენ და სტკებოდნენ კიდევაც ამ დრამის *dénouement*<sup>1</sup> მაცქერალნი. ორივეს დუელში გამოწვევა მომიხდება მგონია.

ასე რომ, ბებიაჩემის ბებუის ქმარი მე არ შევქმნილვარ, სინარულით აღარ ვარ კაცი, მაგრამ მე მაინც გავხდი ქმარი ქალბატონ ლალანდისა — ქალბატონ სტეფანი ლალანდისა, რაც იმ ჩემი ნათესავის, კეთილი მოხუცი ქალის მაშვლობით მოხდა, თავის ერთადერთ მემკვიდრეთაც გამხადა, ამ

<sup>1</sup> კვანძის გახსნა (ფრანგ.).

ქალის სიკვდილის შემდეგ მისი ქონება მე დამრჩებოდა, თუკი მოკვდებოდა ოდესმე და აღარ მეყოლებოდა თვალწინ ჩემი თავგადასავლის მოწმე. დაბოლოს: სამუდამოდ დავანებე თავი billets doux<sup>1</sup> წერასა და სახლიდან აღარ გამოვსულვარ უსათმავალბოდ.

## დოქტორ კუპროსა და პროჟისორ ბლჰერის სისტემა

18... წლის შემოდგომით, საფრანგეთის უკიდურესი სამხრეთის პროვინციებში მგზავრობისას, უნდა ჩამეგლო გზიდან რამდენიმე მილით დაცილებულ Maison de Santé-ს, ანუ სულით ავადმყოფთა კერძო თავშესაფრის ახლოს. ამ ადგილის შესახებ პარიზში ჩემთვის ბევრი რამ უამბნიათ მეგობარ ექიმებს. ამდაგვარი დაწესებულება არასდროს მენახა და რაკილა ასეთი მარჯვე შემთხვევა მომეცა, მოდი და ბარემ უნახავ-მეთქი. ასეც ვუთხარი ჩემს თანამგზავრს (რამდენიმე დღის წინ შემთხვევით გაცნობილ კაცს), ერთი თუ ორი საათით შარავზიდან გადავუხვიოთ და დავათვალიეროთ ეს სახლი-მეთქი. იუარა, რაღაც საქმეზე მეჩქარებო, ჯერ ერთი, მერე კი, ჩვეულებრივ, გიუების შეხედვა გულს მიმღვრევსო. მაგრამ მაშინვე დასძინა, შენი ცნობისწადილის დაკმაყოფილებას მე რად უნდა შეგუშალო ხელი, ცხენს ნელა წავიყვან, ასე რომ, იმ დღესვე თუ არა, მეორე დილით მაინც უსათუოდ წამომეწევით. დაბოლოს, კარგად იყავით, მითხრა. ახლლა მომივიდა აზრად, ვაითუ გაჭირდეს იმ სახლში შესვლა-მეთქი, და სანამ წავიდოდა, კიდევაც ვუთხარი ეს ამბავი. მართლაც, ასე მიპასუხა, რახან პირადად არ იცნობ მესიე მაიარს, თავშესაფრის მთავარ ექიმს, სარეკომენდაციო წერილიც არა გაქვს და რადგან ასეთ კერძო საავადმყოფოებში ნაკლებად უშვებენ ხალხს, ვიდრე სახაზინოში; იქნებ, ვერც შეხვიდეთ იქ. მაიარს. რამდენიმე წელია ვიცნობ, მითხრა მან, კარამდე მიგაცილებ და გაგაცნობ

<sup>1</sup> სასიყვარულო ბარათების (ფრანგ.).

იმ კაცს, თავად გიჟების შეხედვა მზარავს და იქ ვერ შემოგყვებით.

მადლობა მოვასსენე. შარას რომ გადავუხვიეთ, ერთ ბალახმორეულ ბილიკს დავადექით და ოციოდე წუთის შემდეგ ხშირ ტყეში მთის ძირას ძლივსლა მივიკვლევდით გზას. სულ რაღაც ორიოდე მილი გავიარეთ ნესტიან, ბინდგადაკრულ კორომში, რომ გამოჩნდა Maison de Sante. ფანტასტიკური იყო château<sup>1</sup>, თითქმის ნახევრად დანგრეული ღრო-ჟამისა და მოუვლელობისგან. ვინლა იცხოვრებსო იქ, ასე გაიფიქრებდა კაცი. მეტად შევძრწუნდი ასეთი შენობის მნახველი, ცხენი შევაჩერე და ისე წავსდი, რომ კინალამ უკან გავბრუნდი. მაგრამ შემრცხვა ამ წამიერი უღონობისა და გზიდან აღარ გადამიხვევია.

ცხენდაცხენ გალავანს მივადექით და დავინახე, კარიბჭე ოდნავ გამოელთ და ეზოდან ვიღაცა იყურებოდა. მალევე გამოგვეგება ის კაცი, სახელი დაუძახა ჩემს თანამგზავრს, ხელი გულიანად ჩამოართვა, ჩამობრძანდით, სთხოვა. თავად მესიე მაიარი გახლდათ. წარმოსადეგი, მშვენიერი შესახედავი ძველი დარბაისელი, სალუქი მისრა-მოხრის კაცი; მის სახეს ის აუმღვრევლობა, ღირსება, თავდაჯერებულობა დასტყობოდა, ასერიგად რომ ხიბლავს ხალხს.

თანამგზავრმა გამაცნო დამხვდური და უთხრა, თქვენი დაწესებულების დათვალიერება მოსურვებიათ. მესიე მაიარმა სიტყვა მისცა, რაც შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებო. ჩემი ნაცნობი თავის გზას გაუდგა და მერე აღარც არასდროს მინახავს.

მთავარი ექიმი პატარა, გაკრიალებულ წინათასში შემიძღვა, სუყველაფერი და მათ შორის მრავალი წიგნი, ნახატი, ყვავილებიანი ქოთანნი და მუსიკალური ინსტრუმენტი მოწმობდა ნატიფ გემოვნებას. ბუხარში მხიარულად გიზგიზებდა ცეცხლი. პიანინოს უჯდა უმშვენიერესი ყმაწვილი ქალი, ბელინის რომელიღაც არიას მღეროდა და სიმღერა ჩემი შესვლისთანავე შეწყვიტა, მომესალმა გრაციოზული თავაზიანობით. დაბალი ხმა ჰქონდა, მთელი სხეულით რო-

<sup>1</sup> ციხე-დარბაზი (ფრანგ.).

გორდაც მოშვებულიყო. ესეც გავიფიქრე, რაღაც სევდა დასტყობია სახეზე-მეოჰქი. თუშეცა ჩემთვის რომ გეკითხათ, არც-თუ უსიამოვნოდ ფერმიღებული იყო. სულ ძაძები ემოსა, გულში ერთ გრძნობად ვადამექცა მისდამი მოკრძალებსა, ინტერესი და აღფრთოვანება.

პარიზში სმა დადიოდა, მესიე მაიარის დაწესებულების ექიმები იმ წესით სელმძღვანელობენ, რომლისთვისაც ს-ლ-ს თურმე „შეგულიანების სისტემა“ დაურქმევია. ამ სისტემის თანახმად, აკრძალულია ყოველგვარი დასჯა, იშვიათად-დაც ამწყვდევენ. ფარულ მეთვალყურებაში მყოფი პაციენტები მთლად თავისუფლად არიან და უმეტესობას შეუძლია სვე-ულებრივი ტანსაცმლით ყოალი სახლსა და ეზოში.

ვიცოდი ეს და ახალგაზრდა მანდილოსანთან საუბრისას ვფრთხილობდი, ვაითუ სრულ ჭკუაზე არაა ეს ქალი-მეოჰქი, მართლაც, თვალები უბრწყინავდა და თითქმის დავრწმუნდი ამ ვარაუდში, ამიტომაც საუბრისთვის შევარჩიე მხოლოდ ისეთი თემები, რომლებსაც, ჩემი აზრით, არ შეეძლო აღ-დეღევებინა და გაებრაზებინა თუნდაც გიჟი. სულ გონივრულად მპასუხობდა. ამ ქალის მსჯელობა მოწმობდა სულიერ ჯანმრთელობას: მაგრამ რაკილა დიდი ხანია ვიცნობდი mania-ს<sup>1</sup> თეორიას, ეჭვით ვეკიდებოდი ასეთ საცხადო სიმრთელეს და როგორც დავიწყე, ახლაც იმდაგვარად ვფრთხილობდი.

უეცრად ლივრეიენმა მსახურმა სინით შემოიტანა ღვინო, ხილი და სასმელ-საჭმელი. გეახელით. ცოტა ხნის შემდეგ ქალი გავიდა და მაშინვე კითხვის თვალით შევხედე მასპინძელს.

— არა, — ასე თქვა, — ოჰ, არა. ნათესავია. ფრიად განათლებული ქალია ჩემი ძმისშვილი.

— ჰოი, უკაცრავად, — მივუგე მესიე მაიარს, — მაგრამ აქ შემოსულს კი მიეტყვება შეცდომა. თქვენ რომ ბრწყინვალედ უძღვებით საქმეს, პარიზში კარგადაა ცნობილი და ვიფიქრე, იქნებ-მეთქი...

— რას ბრძანებთ, ნუ წუხდებით. მადლობა კი მე უნდა

<sup>1</sup> სულიერი აშლილობა (ბერძნ.).



გიოხრათ. თქვენისთანა წინდახედულ ახალგაზრდას კაცი იშვიათად ნახავს. ერთხელ იყო თუ ორჯერ *contre-temps*<sup>1</sup> მოხდა ჩვენი სტუმრების წინდაუხედაობით იმ დროს, როცა პირვანდელი სისტემა მოქმედებდა და თავისუფლად დადიოდნენ პაციენტები, მაგრამ მნახველთა გაუფრთხილებლობით ხშირად საშიშოდ გაშმაგდებოდნენ სოლმე. ჩემი ბრძანებით ბევრი რამე შეიზღუდა ამის შემდეგ და ვინმეს კეთილგონიერება თუ მეექვსეობა, აქ ვერც შემოვა.

— პირვანდელი სისტემა რომ მოქმედებდაო! — გავიმეორე მისი ნათქვამი, — მაშ, უკვე შეცვალეთ ასე განთქმული „შეგულიანების სისტემა?“

— დიას, — მიპასუსა მასპინძელმა, — უკვე რამდენიმე კვირა იქნება.

— რას ბრძანებთ!

— ბოლოს მივხვდით, ჩემო ბატონო, — ამოიოხრა მესიე მაიარმა, — ძველის აღდგენის აუცილებლობას. შეგულიანების სისტემის საშიშროება ყოველთვის აშკარა იყო. მისი უპირატესობაც საკმაოდ გაეზვიადებინათ. თუკი სადმე კარგად გამოიცადა ზემოაღნიშნული მეთოდი, ჩემო ბატონო, ეს აქ მოხდა. გონიერი ჰუმანიზმის კვალობაზე ყველაფერი ვიღონეთ. ჩვენთან უფრო ადრე რომ შემოგვევლოთ, საკუთარი თვალთ დაინახავდით ამას. მგონი, თქვენ კარგად იცნობთ შეგულიანების პრაქტიკას.

— არც ისე. ყველაფერი მესამე თუ მეოთხე პირის ნათქვამით ვიცი.

— სისტემის არსი, ძირითადად, პაციენტების *mènagés*<sup>2</sup> და შეწევნა — გიჟის ხუშტურს არავითარი წინააღმდეგობა ჩვენც ასე ვიქცეოდით, კი არ ვუძალიანდებოდით, პირიქით, კიდევაც წავაქებებდით სოლმე. მკურნალობის ასეთი წესით ბევრი სრულიად განიკურნა. ვერაფრით ისე ვერ დაუმტკიცებ რამეს გიჟის შესუსტებულ გონებას, როგორც *reductio ad absurdum*-ით<sup>3</sup>. მაგალითად, ხალხი გეყავდა, წიწილები ვართო, იძახდნენ. მათი მკურნალობაც ასეთი იყო, ვეუბნებო-

<sup>1</sup> გაუგებრობა (ფრანგ.).

<sup>2</sup> ხელის მომართვა; მხარის მიცემა (ფრანგ.).

<sup>3</sup> საკითხის აბსურდამდე დაყვანით; აბსურდის მტკიცებით (ლათ.).

დით, მართალი ბრძანდებითო და მხოლოდ მაშინ გაკვიცხავ-  
დით, თუ კარგად ვერ გაითამაშებდნენ ამ სისულელეს. მთე-  
ლი კვირა არაფერი ეძლეოდათ საკენკის მეტი. ასე და ამ-  
ვარად, სასწაულს იქმოდა წიწილას სამყოფი მცირე ბალახ-  
ბულახი და კენჭები.

მაგრამ ყველა ხომ ვერ გაუძლებდა ასეთ მკურნალობას?  
— რაღა თქმა უნდა. ჩვეულებრივი გასართობიც გვშეე-  
ლოდა მნიშვნელოვანწილად: მუსიკა, ცეკვა, ყოველგვარი  
ტანვარჯიში, კარტი, ზოგი წიგნი და ასე შემდეგ. თითო-  
ეულის მკურნალობაც ასეთი იყო — თითქოს ჩვეულებრივ  
ფიზიკურ ავადობას ვებრძოდით, სიტყვა „შექანებული“ არა-  
ვის წამოსცდებოდა. ამ დროს დიდმნიშვნელოვანია, ყოველი  
ავადმყოფი ხედავდეს სხვის საქციელს. მოდიოთ, მიენდეთ,  
გაუგეთ, ნუ შებოჭავთ გიჟს და თქვენი იქნება სულით სორ-  
ცამდე. ამგვარად შევბელით ძვირადღირებულ მომვლელ-  
მზრუნველთა ჯგუფის დათხოვნა.

— აღარც რამე სასჯელი დაგიწესებიათ?

— არა.

— და არც არასდროს დაგიმწყვდევიათ პაციენტი?

— ათასში ერთხელ. ხანდახან, ვინმეს თუ შეაბრუნებდა,  
ანუ უცებ ცოფი მოერეოდა, საიდუმლო საკანში გამოჰკა-  
ტინებდი, ვაითუ, სხვებმაც ატეხონ აყალმაყალი-მეიქი. ვიღ-  
რე მეგობრები წაიყვანდნენ, სულ დამწყვდეული გვყავდა.  
შმაგებს არ ვაჩერებთ. ჩვეულებისამებრ ისინი სასაზირო  
თავშესაფარში გადაჰყავთ ხოლმე.

— ახლა კი ყველაფერი შეიცვალა. რას იტყვით, მართ-  
ლაც ასე სჯობს?

— ნამდვილად. შეგულიანების სისტემა, ძირითადად, უშე-  
დეგთა და საშიშიც, და აწ, საბუნდოვანოდ, აღიკვეთა საფ-  
რანგეთის ყველა Maison de Santé-ში.

— რას ბრძანებო, — მივუგე მესიე მაიარს, — დარწმუნე-  
ბული ვიყავი, სულიერი ავადობის მკურნალობის სხვა მე-  
თოდი ამჟამად ქვეყანაში არცაა გავრცელებული-მეთქი.

— ყმაწვილი ხარ ჯერ კიდევ, ჩემო კარგო, — მიპასუხა  
მასპინძელმა, — დრო მოვა და მიეჩვევი ამ ქვეყნის ამბების  
თავად განსჯას, სხვათა ნაბოდვარის დაუჯერებლად; გაგო-

ნილს საერთოდ ნუ მიენდობი და იმისი მხოლოდ ნახევარი ირწმუნე, რასაც დაინახავ; ჩვენი Maison de Santé-ს გამოცვიდაც უვიცმა რომ შეეცადინათ, კია ცხადი. ნამგზავრი ბრძანდებით, ნასადილევს რომ მოისვენებთ, სიამოვნებით გაჩვენებთ სახლს, გავაცნობ იმ სისტემას, რომელსაც, ჩემი და ყველას აზრით, ბადალი არ მოეპოვება.

— თქვენია, — შევეკითხე, — თქვენ შეიმუშავეთ ეს სისტემა?

— ამით ვამაყობ კიდევ, — მითხრა ამ კაცმა, — ჩემი შექმნილი რომაა, ყოველ შემთხვევაში, რამდენადმე მაინც.

ერთი თუ ორი საათი ამგვარად ვესაუბრებოდი მესიე მარსს. ამასობაში ბალი და ორანჟერეა დამათვალიერებინა.

— ჩემს პაციენტებს ჯერ ვერ განასვენებთ, — ასე თქვა, — ცოტა შევიცადოთ. მგრძნობიარე კაცი, ასე თუ ისე, განიცდის ამ სანახაობას, სადილის წინ მადას ხომ ვერ წაგისდენტ. სადილი კი მალე იქნება. ხბოს ხორცი à la sainte Ménéhold<sup>1</sup>, velouté<sup>2</sup> ყვავილოვანი კომბოსტოს საწებელითურთ, ჭიქა Clos Vougeot-ს რომ დააყოლებთ, ნერვები საკმაოდ მოვიმაგრდებათ.

სადილად ექვსზე დაგვიძახეს. მასპინძელი შემიძღვა ვენებრთელა salle à manger-ში<sup>3</sup>, სადაც თავი მოეყარა მრავალრიცხოვან საზოგადოებას, ოცდახუთნი იქნებოდნენ კაციან-ქალიანად. მაღალი წარმომავლობის ხალხი ჩანდა და, რაღა თქმა უნდა, დიდად განათლებული, თუმცა, ჩემი აზრით, მორთულიყვენენ მდიდრულად და საკმაოდ გამომწვევადაც. ასე რომ, კაცი იფიქრებდა, vieille cour-ზე<sup>4</sup> მოვსვდიო. სტუმართაგან თითქმის ორი მესამედი ქალი იყო. მარსლაცდა, ისე გამოწყობილიყო ზოგიერთი, რომ კარგ გემოვნებად ვერ ჩაუთვლიდა დღევანდელი პარიზელი. ბევრი მანდილოსანი, არანაკლებ სამოცდაათი წლისა რომ გახლდათ, მთლად ასუნძლულიყო ძვირფასეულობით — ბეჭდებით, საჩაჯურებით, საყურეებით ურცხვად მოეშიშვლებინათ მკლავები და მკერდი.

1 წმ. მენუსებურად (ფრანგ.).

2 ხავერდოვანი (ფრანგ.).

3 სასადილო დარბაზი (ფრანგ.).

4 ძველი სამეფო კარი (ფრანგ.).

ესეც შევნიშნე, ერთს თუ ორს ექნებოდა კაბა კარგად მორგებული ან, ყოველ შემთხვევაში, ვარგოდა ჩასაცემლად. თვალი მ'ივავლე იქ მყოფთ და ის კარგი გოგონა დავინახე, სასტუმრო ოთახში რომ გამაცნო მესიე მაიარმა; სახტად დავრჩი. ახლა კრინოლინი ეცვა, მაღალ ქუსლებზე შემდგარიყო, თავზე ეხურა მწვირიანი, ბრიუსელური მაქმანით გაწყობილი იმოდენა ჩაჩი, რომ სასაცილოდ, მუჭისოდენად მოუჩანდა სახე. მაშინ, წინაოთახში, მთლად სამგლოვიარო სამოსი შევინა-და. რაღა გავაგრძელო და გამაოცა კი მათმა წაცმულოზამ, საერთოდ ამ ხალხმა. „შეგულიანების სისტემა“ მომაგონდა და გავიფიქრე, ვიქებს შორის საქეიფოდ მოხვედრილ კაცს უხერხულად რომ არ მეგრძნო თავი, ჯერხანად მატყუებს-მეთქი მესიე მაიარი. თუმცა პარიზში გაგონილი ამბავი გამახსენდა: მეტად ექსცენტრული ხალხი ცხოვრობსო სამხრეთის პროვინციებში და ბევრ ადათს მისდევნენო აქაურები: შემდეგ კი, ჩემ გვერდით რამდენიმეს რომ გავესაუბრე, ცუდი წინაგრძნობა სწრაფად და სრულიად შემეცვალა.

თავად სასადილო ოთახი გაეწყობთ საკმაოდ ჰოსტელურული, დიდ-დიდი ავეჯ-სამკაულებით. თუმცა აქ არაფერი იყო ნატიფი ნახელავი, ხალიჩითაც არ მოეფინათ იატაკი; ეს კია, საფრანგეთში იშვიათად შეხვდებით ნოხებით მორთულ სახლს. სარკმლებს ფარდები არ ჰქონდა, გარდიგარდმო დასაყენებელი რკინის საკეტებით მაგრად იყო მიკეტილი, დარბები. ამგვარად, ჩვეულებრივ, დუქნებს კეტავენ ჩვენში. პარალელოგრამის ფორმის სასადილო დარბაზი château-ს ერთ-ერთ განტოტებაში მდებარეობდა, ფანჯრები სამხსრივ დაეტანებინათ, ხოლო მეოთხეში — კარი. ფანჯარა სულ ათი იყო.

სუფრამ თვალი მომჭრა. სინებს ვერ დათვლიდი, ტევა არ იყო. დელიკატესებისა საჭმელ-სასმელი ბარბაროსული უშურველობით დაეყარათ. ანაკის ძეთა\* ნადიმს ეყოფოდა ამდენი ხორცი. აქამომდე არასოდეს ვყოფილვარ ასეთი ხელგაშლილობის მნახველი. ოღონდ ეს იყო, მეტად დაბალი გემოვნება ეტყობოდა აქაურობას. მკრთალ შუქს შეჩვეული თვალი მატკინა ვერცხლის შანდლებში ჩადგმული უამრავი ცვილის სანთლის ბღღვრიალმა. სანთლები მაგიდაზე და

ყველგან დაედგათ, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ. ცოცხლად გვემსახურებოდა რამდენიმე მსახური; ღარბაზის შორეულ კუთხეში დიდ მაგიდას უსხდა ვიოლინოების, ფლეიტების, ტრომბონებისა და დოლის დამკვრელი შვიდი თურვა კაცი. სადილობისას მრავალფერი, ნაირნაირი ხმებით ყური წაიღო ამ ხალხმა, მუსიკას ეძახოდნენ ამ ხმაურს და ჩემ გარდა აქ მშვენივრად ერთობოდა ყველა.

ასე ვფიქრობდი, რასაც ვხედავ, ყოველივე ამაში ბევრია dizarre-მეთქი<sup>1</sup>. მაგრამ ქვეყნიერებაზე რანაირ, რაკინდარა შეხედულებისა და ჩვევის ხალხს არ შეხვდები. ბევრი მიმგზავრია და სრულიად ვიყავი ნაზიარები ამ წესს: nil admirari.<sup>2</sup> გულდამშვიდებით დაუფიქრი მასპინძელს ხელმარჯვნივ. კარგი მადის პატრონს თავპატიუი არ გამიძვია.

ცოტა ხანიც და გაივრცო და გამოცოცხლდა საუბარი. წესისამებრ აქ ქალები პირველადნენ. დამსწრეთაგან თითქმის ყველა დიდად განათლებული ჩანდა; ჩემი მასპინძელი კი ენად გაკრეფილიყო, სალაღობო ანეკდოტებს გვიამბობდა და, როგორც ჩანს, ძლიერ უხაროდა მოეთხრო თავისი Maison de Santé-ს მთავარი ექიმის ამბავი. მართლაც, ჩემდა გასაოცრად, სულიერი ავადობის თემა სასურველი გამოდგა ყველა აქ მყოფისთვის. ბევრი თავშესაქცევი რამ გავიგე პაციენტების სუშტურის შესახებ.

— აქ ერთმა, — თქვა ერთმა მარჯვნივ მჯდარმა ქონმოკიდებულმა ჩია ტანის ჯენტლმენმა, — ჩაიდანნი ვარო, ასე წარმოიდგინა: სხვათა შორის საოცარია და სწორედ ეს აეკვიატებათ ხოლმე ვიუებს, არა? საფრანგეთში ერთ საავადმყოფოსაც ვერ ნახავ, თავისი კაცი-ჩაიდანნი რომ არ ჰყავდეს. ბრიტანული ჩაიდანნი გახლდათ ჩვენი ჯენტლმენი, საგულდაგულოდ იპრიალებდა თავს დილ-დილაობით ირმის ტყავითა და ცარციით.

— და კიდევ, — განაცხადა ჩემ პირდაპირ მაგიდაზე წამოყუდებულმა მაღალმა კაცმა. — არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ერთმა აიკვიატა, ვირი ვარო, რაც, იგავურად თუ ვიტყვით,

<sup>1</sup> უცნაური (ფრანგ.).

<sup>2</sup> ნურაფერს გაოცებ (ლათ.).

სრული ჭეშმარიტება იყო. ძალიან გვიჭირდა ამ მოუსვენარი პაციენტის მოთოკვა. ნარშავის ღერების გარდა დიდხანს არაფერს ჭამდა; მაგრამ ეს იდეა მალე ამოიგდო თავიდან, რაკილა ვაძალებდით, მეტი აღარაფერი ჭამოთ. სულ ტლინკებს ჰყრიდა, აი ასე... ასე...

— ბ-ნო დე კოკ! თუ შეიძლება თავი შეიკავეთ! — გააწყვეტინა მის გვერდით მჯდარმა მსცოვანმა მანდილოსანმა, — ფესები დააყენეთ! ფარჩა სულ დამისვარეთ! და მაინც რა აუცილებელია, ჩემო ბატონო, ამის ასე ცხადლივ ჩვენება? ჩვენი მეგობარი ისედაც კარგად გაიგებს ყველაფერს, ღმერთმანი, ისეთივე დიდი ვირი ბრძანდებით, როგორც იმ საცოდავს წარმოედგინა თავი. თქვენ სომ ასე ბუნებრივად გვიჩვენეთ, მე არ მოვკვდე!

— Mille pardons! Ma'mselle! — უპასუხა მესიე დე კოკმა ამ შემოტევას, — მაპატიეთ, მაპატიეთ! თქვენი შეწუხება მე არ მინდოდა. მადმუაზელ ლაპლას, თქვენს სადღეგრძელოს სვამს მესიე დე კოკი!

მესიე დე კოკმა თავაზიანად დაუკრა თავი, დიდის ამბით ხელის თითების წვერები დაიკოცნა და მადმუაზელ ლაპლასთან ერთად ღვინო დალია.

— თქვენი ნებართვით, mon ami<sup>2</sup>, — მომიბრუნდა ახლა მესიე მაიარი, — გასინჯეთ ხბოს ხორცი á la St. Méné hold — კარგი რამაა.

თქვა ეს და იმწუთას სამი ტანბრვე მსახური შემოვიდა და ფრთხილად, ვაივავლახით ძლივს შემოდგეს მაგიდაზე ვეება სინი, ანუ ტაბლა. ზედ, ჯერ აგრე გავიფიქრე, იყო monstrum, horrendum, informe, ingens, cui lumen ademptum<sup>3</sup>. ხოლო უფრო ახლოდან გამოჩნდა მრგვლად შემწვარი მცირე ზომის ხბო, ჩანჩქილი, პირში ვაშლგანრილი. ინკლისელები ასე რთავენ კურდღელს.

— არა, ბატონო, გმადლობთ, — მივუბე მესიე მაიარს, —

---

1 ათასი ბოლიში, მადმუაზელ (ფრანგ.).

2 ჩემო მეგობარო (ფრანგ.).

3 „საშინელი, ვეებერთელა რაღაც, შემზარავი, ნაშობი წყვილადისა“ (ლათ.).

კაცმა რომ თქვას, არც ისე მიყვარს ხბო á la St... რა ჰქვია? ხანდახან შემწვარზე გული არ მიმდის. თეფშს გამოვიცვლი, და ცოტაოდენ კურდღელს გავსინჯავ.

სუფრაზე იყო რამდენიმე მომცრო სინი, რომლითაც შემოეტანათ, ასე ვფიქრობდი, ფრანგულად შემზადებული კურდღელი — მადის მომგვრელი morceau<sup>1</sup> იქნება-მეთქი ნამდვილად.

— პიერ, — დაიძახა მასპინძელმა, — თეფში გამოუცვალე ჯენტლმენს და მოართვი კურდღელი au chat<sup>2</sup>.

— რა ბრძანეთ?!

— კურდღელი au chat-მეთქი.

— ო, გმადლობთ!, აი, ჯობს... ჰო, ამ შაშხს გადავიღებ.

ვინ იცის, რას ჭამენ ეს პროვინციელები, გავიფიქრე, არ მინდა ამათი კურდღელი au chat, ყოველ შემთხვევაში, არც ამათი კატა კურდღლისებურად-მეთქი.

— კიდეც, — თქვა ერთმა მაგიდის ბოლოში, ზაფრანისფერი რომ დასდებოდა და საუბარი აღარ შეწყვეტილა, — კიდეც, სხვათა შორის, ამ რამდენიმე ხნის წინ გვყავდა პაციენტი; სულ ამას გაიძახოდა, კორდოვული ყველი ვარო, დანით ხელში ეხვეწებოდა მეგობრებს, ყველას სთხოვდა, მადლი მოესხათ და მცირეოდენი ნაჭერი გაესინჯათ მისი ფეხის რბილისა.

— დიდი სულელი გახლდათ, უეჭველად — ჩაურთო მეორემ, — მაგრამ ერთი იყო, რომელსაც ამ უცხო ჯენტლმენის გარდა ყველანი ვიცნობდით. შამპანურის ბოთლად წარმოედგინა თავი ამ კაცს. და აი, საცობს რომ ამოტყორცნიდა, ასე შიშინებდა. აი ასე...

თქვა ეს და აქ, ჩემი აზრით, ძალზე ბრიყვეულად პირში ჩაიდო მარჯვენა სალოკი თითი, მერმე ამოავდო ხმაურით და კარგად მიამსგავსა ამოტყორცნილი საცობის ხმას. შემდეგ კბილებზე ენის მარჯვე მოსმით სტვენდა და შიშინებდა, და რამდენიმე წუთს აღარ მოათავა შამპანურის ჩქაფუნის მსგავსი ხმაურობა. ძალიან არ მოეწონა ეს მესიე მაიარს, ნათლად ვხედავდი. მაგრამ აღარაფერი თქვა. მერე

1 ნაჭერი (ფრანგ.).

2 კატისებურად (ფრანგ.).

საუბარი განაგრძო დიდპარიკიანმა, პატარა ტანის გაძვალ-ტყავებულმა კაცმა.

— კიდევ იყო ერთი გამოთაყვანებული, — ასე თქვა, — რომელმაც ბაყაყობა დაიჩემა; სხვათა შორის ბაყაყს სულაც არ ჰგავდა. ნეტავ გენასათ, ჩემო ბატონო, — და აქ მე მომიბრუნდა, — დატკბებოდით მისა ბუნებრივი თამაშით. ნამდვილად, ჩემო ბატონო, სამწუხაროა, ბაყაყი რომ არ იყო ის კაცი. ასე ყოყინებდა: ყუუო, ყუუო! ამქვეყნად უმშვენიერესი ნოტი — სი ბე მოლი; და როცა მაგიდაზე იღაყვებს ჩამოდებდა — ასე... ერთ ან ორ ჭიქა ღვინოს გადაკრავდა და ასე დააღებდა პირს... და ასე ამოატრიალებდა თავს, მალიად, მალიად დააფასურებდა... წყალი არ გაუვა, ჩემო ბატონო, ამ კაცის გენიოსობით აღფრთოვანებული ვონს დაკარგავდით.

— მართლს უნდა ბრძანებდეთ, ბატონო, — მივუვე მას.

— და კიდევ, — თქვა ერთმა ჩვენმა თანამესუფრემ, — იყო კაცი, ასე იძახოდა, ბურნუთის მწიკვი ვარო, და რაკი თავისი თავის ორი თითით აყვანა არ შეეძლო, ცუდად ხდებოდა.

— და კიდევ ერთი, ვინმე ჟიულ დეზულიერი, მთლად გასაოცარი გენიოსი გახლდათ, ნესვობა დაეჩემებინა და ამ იდეას სულ გაეგიჟებინა. მზარეული აიკლო, გინდა თუ არა ნამცხვრად შემაცხვეო, ყელში ამოუყვანა საწყალ კაცს. ჩემი აზრით, არა მგონია კარგი გემო ჰქონდეს ასე შეკაზმულ ნესვს à la Desoulières<sup>1</sup> მართლაც!

— რას ბრძანებთ! — ვთქვი და ეჭვის თვალით შევხედე მესიე მაიარს.

— ხაი ხაი ხაი! — სიცილი აუვარდა ამ ჯენტლმენს, — ხაი ხაი ხაი!.. ხო! ხო! ხო!.. ეს არის რაც არის! ნუ გიკვირთ, mon ami; ჩვენი მეგობარი რა ხუმარა კაცია — à drôle<sup>2</sup>, მთლად პირდაპირ ნუ გაიგეთ მის ნათქვამს.

— და კიდევ, — გაისმა მაგიდის მეორე ბოლოში, — კიდევ გვყავდა Bouffon le Grand<sup>3</sup>, თავის მხრივ მართლაცდა

<sup>1</sup> დეზულიერისებურად (ფრანგ.).

<sup>2</sup> თავუმემაქცევარი (ფრანგ.).

<sup>3</sup> დიდი მოხუმარი (ფრანგ.).





რო ახალგაზრდა ქალმა განაგრძო. პატარა წინათახში დამხედური მშვენიერი გოგონა ვიცანი.

— ჰოი, ქალბატონი ჟუაეზი კ, იყო სულელი! — გამოგვიცხადა ყველას, — ნამდვილად ნათელი გონება ექენი სალსაფეტის, უმშვენიერესისა და თითქმის ავადმყოფურად მოკრძალებული ყმაწვილი ლედის მსჯელობაში ჩანდა. ასე ამბობდა, ჩაცმა-დახურვა უმსგავსობააო და მეტი არაფერი. დაბოლოს გადაწყვიტა, ყოფილიყო სამოსლის გარეთ და არა იმის შიგნით. ბოლოს და ბოლოს, ამაზე ადვილი რა არის. ამას რა უნდა, აი მხოლოდ ეს უნდა... ასე... და ასე... ასე... და კიდევ ასე... ასე.. და კიდევ ასე...

— Mon Dieu<sup>1</sup> მადმუაზელ სალსაფეტ! — ერთხმად შეკვირა რამდენიმემ, — რას შვრებით?.. შეჩერდით!.. კმარა!.. ვხედავთ და ვიცით, როგორც უნდა! შეაჩერეთ! შეაჩერეთ! — და სამი თუ ოთხი მათგანი უკვე ფეხზე იდგა, მადმუაზელ სალსაფეტს ვენერა მედიკიელობა არ დავანებოთ. ეს ამბავი ეფექტურად და უცებ გაასრულა château-ს დარბაზებიდან გამოღწეულმა ყვირილმა თუ ღრიალმა.

მთლად შევჩქვიფდი ამ ხმის გამგონე, ხოლო ესენი კი ნამდვილად შემებრალა. ცხოვრებაში არ მინახავს ასე ზაფერა სცემოდეს სრულ ჭკუაზე მყოფ ხალხს. მკვდრისფერი დაედოთ, თავიანთ ადგილებზე მიიკუნტნენ, შიშით კანკალი ავარდნოდან და გაურკვეველად ბუტბუტებდნენ, ცუდად გამხდარიყვნენ, ვაითუ ეს ხმა კიდევ გამეორდესო. კვლავ გაისმა უფრო ხმამაღალი ყვირილი და, როგორც ჩანს, უფრო ახლოდან მოდიოდა; მესამედ გაისმა, კიდევ უფრო ხმამაღლა და მეოთხეჯერაც, ოღოსდაც ამჟამად მნიშვნელოვანწილად შესუსტებულიყო ხმაურა. მიხვდნენ ამას და შვებით მოითქვეს სული, გამოცოცხლდნენ; ისევ დაიწყეს ანეკდოტების მოყოლა, მეც ახლალა გავბედე მეკითხა მიზეზი ამ შემოფოთებისა.

— ნამდვილი bagatelle<sup>2</sup>, — თქვა მესიე მაიარმა, — შეჩვეული ვართ ამგვარ რაღაცეებს და თითქმის აღარ ვაქცევთ

<sup>1</sup> ღმერთო ჩემო (ფრანგ.).

<sup>2</sup> წვრილმანი რამ (ფრანგ.).

ყურადღებას. ხანდახან გიჟები ყმუილის კონცერტს გამართავენ; ღამეული ძაღლების ხროვის მსგავსად ერთი დაიწყებს, მეორე აიტაცებს. მაგრამ ეს კია, ყმუილის concerto<sup>1</sup> მოჰყვება სოლმე განთავისუფლების მცდელობას და, რაღა თქმა უნდა, ამ დროს ცოტა საშიშია.

— ახლა რამდენი ავადმყოფი გყავთ?

— ამჟამად ათზე მეტი არ იქნება.

— ქალები არიან ძირითადად, არა?

— ო, არა — ყველა მამაკაცია, თანაც ყველა ჩასკვნილი, სომ გესმით.

— რას ბრძანებთ! მე კი ვფიქრობდი, გიჟების უმეტესობა მშვენიერი სქესისაა-მეთქი.

— კი, საერთოდ ასეა, მაგრამ არა ყოველთვის. ამ რამდენიმე ხნის წინ აქ იყო დაასლოებით ოცდაშვიდი პაციენტი, აქედან, ასე, თვრამეტი — ქალი. შემდეგ კი, როგორც თქვენ ხედავთ, მდგომარეობა მთლად შეიცვალა.

— დიას, როგორც თქვენ ხედავთ, მდგომარეობა მთლად შეიცვალა, — შეაწყვეტინა ჯენტლმენმა, რომელმაც წელან კინალამ წვივი ჩაუმტვრია მადმუაზელ ლაპლასს.

— დიას, როგორც თქვენ ხედავთ, მდგომარეობა მთლად შეიცვალა! — დასჭექა უცებ მთელმა სუფრამ.

— ყველამ ენას კბილი დააჭირეთ! — თქვა დიდად განრისხებულმა ჩემმა მასპინძელმა. წუთით ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი. პირდაპირ გაიგო მესიე მაიარის ნათქვამი ერთმა მანდილოსანმა. გამოჰყო ენა, რომელიც ძალზე გრძელი გამოდგა, და მართლაც დააჭირა კბილი. საუბრის დამთავრებამდე ასე იყო გაჩერებული ეს ქალი.

— და ეს ქალბატონი, — ყურში ჩავჭურჩულე მესიე მაიარს, — ეს მანდილოსანი, სწორედ ახლახან რომ გვიამბო რაღაც-რაღაცეები და ყიყლიყო... სომ უვნებია, სრულიად უვნებია, არა?

— უვნებიაო! — წამოიძახა გულწრფელად გაოცებულმა მასპინძელმა, — რას... რას ბრძანებთ, როგორ უნდა გავიგო თქვენი ნათქვამი?

— ცოტას, სულ ცოტას სომ არ... ცოტას-მეთქი? — ვთქვი

<sup>1</sup> კონცერტი (იტალ.).

მე. და ოდნავ გადავაქნიე თავი, — ხომ არ ვცდები, არც ისე... არც ისე საშიშია, არა?

— Mon-Dieu რას ბრძანებთ? ჩემო კარგო, ძველი მეგობარია ეს ქალი — ქალბატონი ჟუაეზი. ჩემსავით მთლ. დ. ჯანსაღი. ექსცენტრული ცოტათი კია, თქვენც იცით... ყველა დედაბერი... ყველა ღრმად მოხუცებული დედაკაცი ასე თუ ისე ექსცენტრულია!

— რაღა თქმა უნდა, — მივუგე მესიე მაიარს, — რაღა თქმა უნდა... სხვები, ეს ქალბატონები და ბატონები?..

— ყველა ჩემი მეგობარი და თანამემწეა, — შემაწყვეტიანა მესიე მაიარმა, hauteur! წელში გამართულმა, — ყველა ჩემი ძალიან კარგი მეგობარი და თანამშრომელი გახლავთ.

— რას ბრძანებთ! ყველა? — ასე ვკითხე, — ქალებიც?

— დიას, — მითხრა მასპინძელმა, — უქალოდ კერაჟერს გავხდებით; ვერსად ნახავ მათზე უკეთეს გიჟების მომვლელს, საკუთარი ხერხები იციან, ხომ გესმით. გასაოცრად რომ უბრწყინავთ თვალი, ხომ გესმით, კი არიან რაღაც მაიმუნო-ხველნი, გველისნაირად.

— რაღა თქმა უნდა, — მივუგე ამ კაცს, — რაღა თქმა უნდა! ცოტა უცნაურები კი არიან, არა?.. ცოტა რაღაც არა? თქვენ რას იტყვიან?

— უცნაურიო!.. რაღაცო!.. თქვენს ამას გულით ამბობთ? ჩვენ აქ, სამხრეთში, არ გვიყვარს მანჭვა-გრეხა... და იმ.ს ვაკეთებთ, რაც გვსიამოვნებს — დროსტარება და სხვა ამდაგვარი, ხომ იცით...

— რაღა თქმა უნდა, — ვუთხარი, — რაღა თქმა უნდა.

— და კიდევ, შესაძლოა, Clos de Vougeot ცოტა შეაზარხოშებს ხოლმე, ხომ იცით... ცოტა მაგრად შეაზარხოშებს ხოლმე და რას იზამ, არა?

— რაღა თქმა უნდა, — მივუგე მესიე მაიარს, — რაღა თქმა უნდა. მართლა, მესიე, თქვენ რაღაც მითხარით ამის შესახებ — შეგულიანების სახელგანთქმული სისტემის ნაცვლად ახალი შეუდარებლად მკაცრია, არა?

— არასგზით. საჭიროებისამებრ არის ჩვენი ახალი სის-

1 მედიდურად (ფრანგ.).

ტემა სასტიკი; მაგრამ მოვლა-პატრონობა... მხედველობაში მაქვს მკურნალობა, სხვებთან შედარებით ჩვენი უფრო შედეგიანია.

— და თქვენია ეს ახალი სისტემა?

— მთლად არა. სისტემის შექმნაში გარკვეული წვლილი აქვს პროფესორ კუპროს, რომლის სახელი უთუოდ გექნებათ გაგონილი; და კიდევ, სიამოვნებით უნდა გაცნობოთ, ჩვენი სისტემის სრულყოფაში ღვაწლი მიუძღვის ბრწყინვალე ბდღვერს, ვინაც, თუ არ ვცდები, პატივი გქონდათ პირადად გენახათ.

— თავი მომეჭრა და ესაა, უნდა ვაღიარო, — ვუპასუხე, — აქამდე არასოდეს გამიგონია ამ ხალხის სახელი.

— ღმერთო ჩემო! — შეჰყვირა ჩემმა მასპინძელმა, უცებ მისწია სავარძელი, ალაპყრო ხელი, — მომეყურა ალბათი რას ბრძანებთ? თქვენ ასე მეუბნებით, არასოდეს გამიგია და შემისწავლიათ სასიქადულო დოქტორ კუპროსა და ბრწყინვალე პროფესორ ბდღვერის გამოკვლევები?

— ვაღიარებ ჩემს უვიცობას, — მიუვუგე მასპინძელს, — მაგრამ სიმართლე უპირველეს ყოვლისა. ასეა თუ ისე, მთლად არარაობა ვყოფილვარ, რაკი არ ვიცნობ ამ მართლაც არაჩვეულებრივი ადამიანების ნაშუშევრებს. დაუყოვნებლივ მოვძებნი მათ შრომებს და გულდასმით წავიკითხავ. მესიე მაიარ, ნამდვილად — ვაღიარებ — თქვენ მე ნამდვილად შემარცხვინეთ!

სწორედ ასე იყო.

— არაფერია, ჩემო კარგო! — დამიყვავა მან და ხელი ხელზე მომიჭირა, — მოდით და ჭიქა სოტერნი გადავკრათ.

დავლიეთ. ყველამ მოგვბაძა, არავის გამოუტოვებია და აღარც დაუკლია მერე. მუსაიფობდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ, რა არ იგაჟმაჟეს. წრაპინებდნენ ვიოლინოები, ბუხუნებდა დოლი, ფალარისის ბრინჯაოს ხარისამებრ ბლაოდნენ\* ტრომბონები და თანდათანობით, უფრო და უფრო, ღვინომ თავისი ქნა. მ'ლე აქაურობა დაემსგავსა სოდომ-გომორს in petto<sup>1</sup>. ამ დროს რამდენიმე ბოთლ სოტერნსა და-

<sup>1</sup> აქ: მინიატურაში (იტალ.).

კლოს დე ვუჟოს ესვამდით მესიე მაიარი და მე, მთელი ხმით ვსაუბრობდით, რადგან ჩვეულებრივი ხმით წარმოთქმულ სიტყვას ისევე გაიგონებდა კაცი, როგორც ნიაგარის ჩანჩქერის ფსკერზე თევზის წრიბინს.

— ჩემო ბატონო, — ჩავძახე ყურში, — სადილობამდე რაღაც საშიშროება ახსენეთ, ძველ, შეგულიანების სისტემას თან რომ ახლავს, რაა აქ საშიში?

— დიახ, — მიპასუხა მესიე მაიარმა, — მართლაცდა კი იყო მეტად საშიში ხანდახან. გიჟის ყოველ ახირებას რას განჭვრეტ; ჩემი და ასევე დოქტორ კუპროსა და პროფესორ ბდღვერის აზრით, სრული თავისუფლება არასოდეს უნდა მივცეთ გიჟს. რაღაც დროით კი შეიძლება მისი ეგრეთ წოდებული „შეგულიანება“, მაგრამ მაინც აყალმაყალის ასატეხად უჭირავს თვალი. მისი ეშმაკობა, აგრეთვე, დიღია და საარაკოდ ქცეული. თუ გულში რამე ჩაიდო, გასაოცარი გონიერებით მაღავს თავის სურვალს; ჯანმრთელი კაცის წასაბაძად გამოჩენილი მისი საზრიანობა ადამიანის გონების შემსწავლელ ფილოსოფოსთათვის ერთი უსაკვირველესი პრობლემათაგანია.; მთლად სალი თუ ჩანს შერეკილი, სწორედ მაშინ უნდა გადააცვა გიჟის პერანგი.

— მაგრამ საშიშროება ჩემო ბატონო, რომლის გამოც უკვე გვიამბეთ... ამ სახლს რაკილა კარგა ხანია ხელმძღვანელობთ, ხომ არ შეგემთხვათ ისეთი, რამაც გაფიქრებინათ, სახიფათაო გიჟების თავისუფლად სიარული?

— აქ? ჩვენთან?.. იყო, დიახ. მაგალითად, სწორედ ამ სახლში მოხდა უჩვეულო ამბავი არცთუ ისე დიდი ხნის წინ. მაშინ, თქვენც იცით, მოქმედებდა „შეგულიანების სისტემა“ და ხალვათად იყვნენ პაციენტები. გასაოცრად კარგად იქცეოდნენ, განსაკუთრებით კარგად. ყველა თავის ჭკუაზე მყოფი კაცი მიხვდებოდა რაღაც ეშმაკეული გეგმის მზადებას სწორედ იმიტომ, რომ ეს ხალხი იქცეოდა საოცრად კარგად. ერთ მშვენიერ დილას მომვლელები შეკრეს და საკანში ჩაყარეს — თითქოს ესენი იყვნენ გიჟები, ხოლო გიჟებმა ითავეს მათი მეურვეობა.

— რას ბრძანებთ! ჯერ არასოდეს გამიგია ასეთი დომხალი

— ფაქტია. ყველაფერი ეს მოხდა ერთი გამოთავყანებულ გიჟის გამო, მან დაიჩემა, მართვის საუკეთესო სისტემა შემიქმნიაო, მხედველობაში მაქვს გიჟების მართვა. საუკეთესო იმათ შორის, რაც კი ყოფილა აქამდე. და ვფიქრობ, საქმითაც სურდა თავასი აღმოჩენის გამოცდა. დანარჩენი პაციენტები რომ შეაგულიანა, შეითქვენ და კანონიერი ხელისუფლების დამსობა დაადგინეს.

— და ეს კიდევაც მოახერხეს?

— დიას, ჩემო ბატონო, მალე ადგილების გადანაცვლება მოხდა მომვლელებსა და ამათ საზრუნავ ხალხს შორის. და უფრო მეტიც, გიჟები ახლა თავისუფლად დადიოდნენ, სოლო მათი მეურვეები საკანში იყვნენ გამოკეტილი და სამწუნსაროდ, ძალზე უცერემონიოდაც ექცეოდნენ.

— მაგრამ ვფიქრობ, კონტრგადატრიალებამ აღარ დაავიანა, არა? ხომ არ შეიძლება ასე დიდხანს გაგრძელებულიყო — ხალხი ნახავდა მეზობელი სოფლიდან. სახლის დამთვალიერებლებიც ხომ მოვიდოდნენ და გაიგებდნენ ყველაფერს. ერთი ამბავი ატყდებოდა.

— აი, აქ სცდებით, ფრიად ეშმაკი იყო ბუნტისთავი, ფესი აღუკვეთა მომსვლელებს. მხოლოდ ერთი შემოუშვა, თითქმის ბავშვი, ვინმე ტვინფრატუნა ყმაწვილი ჯენტლმენი, რომლის შიში არ უნდა ჰქონოდა კაცს, უნდოდათ გაეპამპულებინათ, დრო გაეტარებინათ. და გული რომ მოიჯერეს ამ გასართობით, თავის გზას გაუყენეს.

— და ასე რამდენ ხანს გაგრძელდა?

— ო, ძალიან დიდხანს, დაახლოებით თვე, ზუსტად ვერ გეტყვით. ამ დროს სამოთხის კარი გაეღოთ გიჟებს, ლაღად ცხოვრობდნენ. სო, ასე იყო, თავიანთი კონკები გაიძრეს და აქაურ ტანსაცმელსა და ძვირფასეულობას დაეპატრონნენ. Château-ს სარდაფებში ღვინო ულეველი ჰქონდათ. თანაც პირწავარდნილი ქაჯები არიან, კარგად სვამენ. ერთი სიტყვით, ბედნიერი დღე გაუთენდათ.

— მკურნალობა კი... როგორ მკურნალობდა შფოთისთავი?

— აუცილებელი არაა სულელი იყოს გიჟი, როგორც ერთხელ უკვე გითხარით; ჩემი ღრმ: რწმენით ეს მკურნალობა

იყო ერთ-ერთი საუკეთესო მკურნალობა, ყველას მჯობი. მართლაცდა ჩინებული სისტემა — უბრალო, ნათელი და მთლად უდავიდარაბო. დიას, მეტად... წარმატებული.

აქ ჩემს მასპინძელს სიტყვა გაუშრა პირში, იმდაგვარივე ღრიალი მოისმა, ამ ცოტა ხნის წინ თავზარი რომ დასცა ხალსს და ახლა ჩანდა, სწრაფად გვიახლოვდებოდა სმაურა-ბა.

— ღმერთო ჩემო! — შევყვირე გულგახეთქილმა, — ეპვი არაა, კედელი გამოანგრიეს გიჟუნა.

— ვაიბე, მგონი მართლაც ასეა, — თქვა ფერწასულმა მაიარმა და იმავე წამს სარკმლიდან მოგვესმა ყვირილი და წყველა-კრულვა; ვიღაცები მოაწყდნენ, დარბაზში შემოჭრა უნდოდათ, როგორც ჩანს, უროს ურტყამდნენ კარს, დიდად გააფთრებულები გლეჯდნენ და ამსხვრევდნენ დარაბებს.

ერთი ამბავი ატყდა. მესიე მაიარი, თვალი მატყუებს-მეთქი, ბუფეტის უკან შეიძურწა. ამ კაცისგან უფრო მეტ გაბედულებას მოველოდი. მუსიკოსები, ეს ბოლო წუთი მთლად გამომთვრალნი რომ ჩანდნენ, ახლა ერთად წამოცვივდნენ თავიანთი სავარძლებიდან, თავიანთ მაგიდაზე ამობობდნენ და ერთხმად დაუკრეს „იანკიდულდ“. კარგი დაწყობილი ვერ იყო მუსიკა, ოღონდაც შთამაგონებლად გაისმა ამ ხმაურში.

ამ დროს სასადილო მაგიდაზე, შიგ ბოთლებსა და ჭიქებში ჩახტა ჯენტლმენი, ვისაც ცოტა ხნის წინ ძლივს გადააფიქრებინეს ეს ნახტომი. და როგორც კი მოეწყო მოხერხებულად, დაიწყო სიტყვა, რაც მართლაც ბრწყინვალე იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, შეუძლებელი იყო ამ ორომტრიალში მისი მოსმენა, იმწამსვე ჩიკორობის დამჩმეებელი კაცი ლარივით სწორად ხელებგაწვდილი მთელი ძალით დაბზრიალდა დარბაზში, ნამდვილ ჩიკორს დამსგავსებულმა რასაც გადააწყდა — ყველაფერი გადმოამზღვრია. იმწუთას გავიგონე ძლიერი ტყაცანი და შიშინი — ბოთლის გახსნის ხმა. დაბოლოს დავინახე კიდევაც ის, ვინც სადილობის ჟამს ბოსალობანას თამაშობდა; კაცი-ბაყაყი აყიყინდა, ისე, თითქოს მისი სულის ცხოვნება ყოველ წარმოთქმულ ბგერაზე იყო დამოკიდებული. ვირის გაბმულმა ყროყინმა გააყრუა აქა-



ურობა. ჩემი ძველი ნაცნობი — ქალბატონი ქუაეზი, მართლაც შემეცოდა ეს საბრალო მანდილოსანი, მთლად გულგახეთქილი ჩანდა. მეტი რაღა შეეძლო — მთელი ხმით გაუთავებლივ ჰყიოდა ბუნრის კუთხეში მიმდგარი „ყიყლი-ყოოოოო“.

თავის მწვერვალს მოატანა ამბავმა — გასრულებაზე იყო დრამა. ყვირილის, ღმუილის და ყივილის მეტი არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ მომხდურებისთვის. ერთბაშად, თითქმის ერთდროულად ათივე სარკმელი შემოიმიტვრა და ვილაცეები შემოცვივდნენ ჩვენს შორის *pèle mèle*<sup>1</sup>. ღმუოდა, იბრძოდა, ფეხებს აბრახუნებდა და იფხოჭნებოდა — ასე ვფიქრობდი — შიმპანზეების თუ ორანგუტანგების ან კეთილი იმედის კონცხის დიდი შავი ბაბუნიების მთელი ჯარი.

საშინელმა დარტყმამ ტახტის ქვეშ შემადგო და აქ გავიტრუნე. თხუთმეტიოდე წუთი ვიწექი და ყველაფერი მესმოდა, ყველაფერს ვხედავდი. კმაყოფილი შევხვდი ამ ტრაგედიის *dénouement*<sup>2</sup>-ს. მესიე მაიარი აჯანყების მოთავე გიჟის ამბავს რომ მიაბობდა, თავისი საკუთარი გმირობა მომიყვა თურმე. მართლაც ყოფილა ეს ჯენტლმენი ორი თუ სამი წლის წინ ამ დაწესებულების მთავარი ექიმი, მაგრამ შექანდა და თავად გასდა პაციენტი. ჩემმა თანამგზავრმა, რომელმაც ეს კაცი გამაცნო, ამ ამბისა არაფერი იცოდა. მომვლელები, სულ ათი მამაკაცი, უეცრად დაიჭირეს, ჯერ კუპრით კარგად მოსვარეს, მერე ბღღვერი მოაყარეს და შემდეგ მიწისქვეშა საკანში ჩაყარეს. თვეზე მეტი ასე იყვნენ გამომწყვდეულნი და ამ ხნის განმავლობაში მესიე მაიარი უხვად უგზავნიდა მათ არა მარტო კუპრსა და ბღღვერს (თავისი „სისტემის“ მიხედვით), კიდევ ცოტაოდენ პურს და ბლომად წყალს — უტუმბავდნენ ყოველდღე. დაბოლოს ერთი გაიქცა, წყალსადენის მილს გამოჰყვა და დანარჩენებიც გაათავისუფლა.

„შეგულიანების სისტემას“ ისევ იყენებდნენ *château*-ში. ოლონდ მნიშვნელოვანი სახეცვალილებით; და მაინც, მეც ვეთანხმები მესიე მაიარს, მისი საკუთარი მკურნალობის მე-

<sup>1</sup> ზედახორად (ფრანგ.).

<sup>2</sup> კვანძის გახსნა (ფრანგ.).

თოდი მართლაც დიდებული იყო და, როგორც ჩვეულებრივ ამბობდა ხოლმე, „უბრალო, ნათელი და მთლად უდავიდა-რაბო“.

დასასრულ, თუცა ევროპის ყველა ბიბლიოთეკა მოვჩხრიკე, მაგრამ ამაოდ დავშვერ — დღემდე ვერ მიპოვია დოქტორ კუპროსა და პროფესორ ბდღვეერის შრომების ერთი წიგნიც.

## ამბავი სახელოვანი კაცისა

...სალხს რომ ეცა,

პირკატა გვეცა.

ეპისკოპოს პოლის სატირები

მე ვარ, უფრო სწორად, ვიყავი კაცი სახელოვანი, მაგრამ არც „იუნიუსის წერილები“ დამიწერია და არც რკინის ნიღბოსანი ვყოფილვარ, ჩემი სახელია, რამდენადაც ვიცი, რობერტ ჯონსი, სადღაც ქალაქ შარა-ფენში დავბადებულვარ.

პირველი რაც გავაკეთე, ის იყო, რომ თურმე ორივე ხელით საკუთარ ცხვირს დავეტაკე. დედაჩემმა დაინახა თუ არა ეს, დაიძახა, გენიალურიათ, მამაჩემს კი სიხარულის ცრემლები მოერია და ცხვიროლოგიის ტრაქტატი მანუქა. კარგადაც დავისწავლე იგი ჯერ კიდევ მანამ, სანამ მოკლე შარვალს ჩავიცვამდი.

სწორედ იმხანად უკვე ვიკვლევდი ჩემს გზას მეცნიერებაში და მალევე მივხვდი, საკმაოდ გამოჩენილი ცხვირის მეშვეობით კი მიატანს კაცი დიდების მწვერვალს. მაგრამ ჩემი მეცადინეობა არც შემოფარგლულა რაიმე თეორიით. ყოველ დილას ერთ-ორჯერ მოვქანავდი ჩემს ხორთუმს და ცოტაოდენ არაყსაც ვადავკრავდი.

სრულწლოვანებას რომ მივადწიე, მამამ ერთ დღეს თავის სამუშაო ოთახში შემიყვანა.

— ჩემო შვილო, — მითხრა მან, როცა დავსხედით, — თუ იცი რა არის ძირითადი მიზანი შენი არსებობისა?

— მამაჩემო, — მე მივუგე, — ცხვიროლოგის შესწავლაა.

— ხოდა, ჩემო რობერტ, — ასე მკითხა, — ცხვიროლოგია კი რაღა არის?

— მამავ ბატონო, — ვუთხარი მე, — მეცნიერებაა ცხვირების შესასებ.

— აბა, მითხარი, — მომმართა მან, — რას ნიშნავს ცხვირი?

— ცხვირი, მამაჩემო, — ვუპასუხე დიდად ნასიამოვნებმა, — მრავალნაირად აუხსნია ათასიოდე სხვადასხვა ავტორს (ჯიბიდან საათი ამოვიღე), ახლა შუადღეა, მეტი არ უნდა იყოს, დრო ბევრი გვაქვს, შუალამედე კი მოვასწრებთ. აბა, დავიწყოთ: ცხვირი, ბართოლინუსის მიხედვით, არის რაღაც გამოსვერილი, რაღაც კოპი რაღაც გამონაზარდი, რაღაც...

— კარგი, რობერტ, — შემაწყვეტია ამ კარგმა მოხუცმა ჯენტლმენმა, — კი ვარ განცვიფრებული შენი ესოდენი დიდი ცოდნით... ნამდვილად... გეფიცები. — (თვალი დახუჭა და გულზე ხელი მიიდო). — მოდი ჩემთან! (ხელი მომკიდა მხარზე) შენი განათლება ამიერიდან, მგონია, კი უნდა იყოს დასრულებული, შენი თავი აწი შენვე გეკუთვნის და სადაც ცხვირი გაგიწევს, შეგიძლია იქ მიბრძანდე... მიდი — მიდი — მიდი (კინწისკვრით კიბეზე ჩამომიყვანა და გარეთ გამაგლო) — გასწი აქედან და ღმერთი იყოს შენი მფარველი!

ღვთაებრივი *afflitus*<sup>1</sup>-ით მოცული ამ შემთხვევაში უფრო ბედნიერად ვგრძნობდი თავს, ვიდრე სხვაგვარად. მშობლის რჩევას უნდა მივყვე-მეთქი, ასე გავიფიქრე ხოდა, იქით გავწიე, სადაც ცხვირმა მიჩვენა გზა. ერთ-ორჯერ ჩამოვუსვი იმას ხელი და წიგნი დავწერე ცხვიროლოგიაზე.

ყოველ შარა-ფენელს აღდგომა დღე გაუთენდა.

— გასაოცარი გენიოსია! — თქვა „კვარტალურმა“.

— სწორუპოვარი ფიზიოლოგია! — თქვა „ვესტმინსტერმა“.

— რა ჭკვიანი ადამიანია! — თქვა „უცხოურმა ამბებმა“.

— მშვენიერი მწერალია! — თქვა „ედინბურგმა“.

— დიდი მოაზროვნეა! — თქვა „დუბლინმა“.

<sup>1</sup> აქ: ცეცხლით (ლათ.).

— მაღლაშხედი კაცია! — თქვა „ბენტლიმ“.

— ღვთაებრივი სულია! — თქვა „ფრეიზერმა“.

— ჩვენთაგანია! — თქვა „ბლეკვუდმა“.

— ვინ არის? — იკითხა ქალბატონმა Bas-Bleu<sup>1</sup>-მ.

— ვინ არის? — იკითხა იმისმა უფროსმა ასულმა.

— ვინ არის? — იკითხა იმისმა უმცროსმა ასულმა, — მაგრამ მე იმათ ნათქვამს რას ვაქნევდი, ავდექი და ერთ მსატვარს მივადექი.

ჰერცოგის მეუღლის სულ-აყეფებულის პორტრეტს ხატავდა; მარკიზ ასე-და-ისეს ჰერცოგის მეუღლის გოშია დაეკავებინა; გრაფი იმის-და-იმისი ამ ქალის საყნოსავი მარილის პატარა ბოთლს ატრიალებდა ხელში; ხოლო მეფური უდიდებულესობა იქით-გადი იმის სავარძლის ზურგს მიყრდნობოდა.

მივედი მსატვართან და ცხვირი ავწიე.

— ჰოი, რა დიდებულია! — ამოიოხრა მისმა ბრწყინვალეობამ.

— ჰოი, ღმერთო ჩემო! — ამოიჩიფჩიფა მარკიზმა.

— ჰოი, თავზარდამცემია! — ამოიკვნესა გრაფმა.

— ჰოი, რა სისაძაგლეა! — ჩაიბურტყუნა მისმა მეფურმა უდიდებულესობამ.

— რამდენს მისცემდით იმაში? — იკითხა მსატვარმა.

— იმის ცხვირში?! — შეჰყვირა მისმა ბრწყინვალეობამ.

— ათასი ფუნტი უნდა, — ვთქვი და დავჯექი.

— ათასი ფუნტიო? — ჩაილაპარაკა ჩაფიქრებულმა მსატვარმა.

— ათასი ფუნტი-მეთქი! — გავიმეორე.

— დიდებულია! — თქვა მან და წამოდგა.

— გვაძლევთ გარანტიას? — ასე მკითხა და სინათლისაკენ მთატრიალა ჩემი ცხვირი.

— დიას, — მივუგე და კარგადაც მოვისოცე ცხვირი.

— თუ არის სრულიად ორიგინალური? — იკითხა მან და დიდის მთწიწებით შეეხო.

— ტფუი-მეთქი და გვერდზე მივატრიალე ცხვირი.

<sup>1</sup> ლურჯი წინდა (ფრანგ.).

— და იგი არასდროს დაუხატავთ? — მკითხა მხატვარმა და თან მიკროსკოპში ათვალიერებდა იმას.

— არანდროს, — ცხვირის აწევით ვუპასუხე მე.

— ჩინებულა! — მომადახა იმან, ჩემი ცხვირის ამ მოძრაობით მოხიბლულს სიფრთხილედ დავიწყებოდა.

— ათასი ფუნტი, — ასე ვთქვი.

ათასი ფუნტიო? მომიგო იმან.

— დიას, — ვუთხარი.

ათასი ფუნტიო, გაიმეორა.

— მასეა სწორედ, — მივუგე მე.

— და, მიიღებთ კიდევაც, — ასე მითხრა, — რა *virtu!* ნახელავია! — იქვე და იმწუთას გამომიწერა ჩეკი და ჩემი ცხვირიც ჩაიხატა. ჯერმანის ქუჩაზე ოთახი დავიჭირავე და მის უდიდებულესობას „ცხვიროლოგიის“ ოთხმოცდა მეცხრამეტე გამოცემა გავუგზავნე ხორთუმის ნახატიურთ. ხოდა, იმ უბედურმა პატარა მაწანწალამ, უელსის უფლისწულმა სადილზე დამპატიჟა.

ყველანი იქ ვიყავით, ხალხი სახელიანი და *recherches*<sup>2</sup>.

პლატონის სულ უახლესი დროის მკვლევარიც აქ იყო. მას მოჰყავდა ციტატები პორფირის, იამვლიქეს, პლოტინის, პროკლეს, ჰიერაკლეს, მაქსიმე ტირელისა და სირიანუსის ნაწერებიდან.

აქ გახლდათ ერთი თვითგანვითარების შემძლე კაციც. მოჰყავდა ციტატები ტიურგოს, პრაისის, პრისტლის, კონდორსეს, დე სტალისა და „ლოგინად ჩავარდნილი პატივმყვარე მეცნიერის“ თხზულებებიდან.

აქ გახლდათ ბატონი პოზიტივ პარადოუქსი. მისი დაკვირვებით, ყველა სულელი ფილოსოფოსია და ყველა ფილოსოფოსი სულელი.

აქ გახლდათ ესთეტიკოს ეთიკოსი. ის ლაპარაკობდა ცეცხლზე, ერთობასა და ატომებზე; სულის გაორებასა და უწინ ყოფნაზე; მსგავსებასა და განსხვავებაზე, პრიმიტიულ გონებასა და ჰომეომერიაზე.

1 აქ: ოსტატური (იტალ.).

2 ლახვიწილი გემოვნების ადამიანები (ფრანგ.).

აქ გახლდათ თეოლოგ თეოლოგოსი. მისი საუბრის თემა იყო ეუსებიოსი და არიანუსი; მწვალებლობა და ნიკეას კრება, პიუზეიზმი და გადმოარსება; ჰომიუზია და ჰომუზიოზი.

აქ გახლდათ ფრიკასე როშე დე კანკალედან. მან ახსენა წითელენიანი მურიტონი; ყვავილოვანი კომბოსტო *vepoute* საწებლითურთ; ხბოს ხორცი *a la St. Menehoult*; მჟავე *a la St. Florentin* და ფორთოხლის ჟელე *en mosaiques*.

აქ გახლდათ ბიბულუსი ო'ლოთიფოთი. მიმოიხილა ლატური და მარკბრუნენი; მუსო და შამბერტენი; რიჩბარი და წმ. გიორგი; ჰობრიონი და ლეონვილი, მედოკიც, ბარაკი და პრენიაკი; გრევე, სოტერნი, ლაფიტი და წმ. პერე. კლოს-ვუჟოს გახსენებაზე თავს იქნევდა და თვალდახუჭულს შეეძლო გაერჩია შერი და ამონტილედო.

აქ გახლდათ სინიორ ტინტონტინტინო ფლორენციიდან. მიმოიხილა ჩიმაბუიე, არპინო, კარპაჩო და აგოსტინო, კარავაჯოს სევდის მომგვრელი სურათები აგვიწერა, ალბანოც არ დავიწყებია, ტიცციანის კოლორიტიც, აღნიშნა რუბენსის დიაცებიც, იან სტეენის ხუმრობანი.

აქ გახლდათ შარა-ფენის უნივერსიტეტის რექტორიც. მისი აზრით, თრაკიაში მთვარეს ზენდიდას უწოდებდნენ, ეგვიპტეში — ბუბატისს, რომში — დიანას, საბერძნეთში — არტემიდეს.

აქ გახლდათ ერთი თურქი დიდებული სტამბულიდან. იმას არ შეეძლო, რომ არ ეფიქრა, ცხენის, მამლისა და ხარის სახეებიანი არიანო ანგელოსები; ვიდაც არისო მეექვსე ცაზე სამოცდაათასთავიანი; ცისფერ, აუარება მწვანე რქიან ძროხაზე სუფევსო დედამიწა.

აქ გახლდათ დელფინუს პოლიგლოტი. მან გვამცნო, თუ სად იყო ესქილეს ჩვენამდე არმოღწეული ოთხმოცდასამი ტრაგედია; ისეუსის ორმოცდა ოთხმეტი ორატორია; ლიას სამას ოთხმოცდა თერთმეტი სიტყვა; თეოფრასტეს ას ოთხმოცი ტრაქტატი; აპოლონიოსის მერვე წიგნი კონუსის კვეთის შესახებ; პინდარეს ჰიმნები და დითირამბები; უმცროსი ჰომეროსის ოცდათხუთმეტი ტრაგედია.

აქ გახლდათ ფერდინანდ ფერუმარილუსი. მან ბევრი გვიამბო მიწისქვეშა ცეცხლსა და მესამეული წარმონაქმნების

შესახებ; აირისმაგვარი, სითხოვანი და მკვრივი ნივთიერების შესახებ; კვარცებისა და ტკილების შესახებ; ფიქალსა და ტურმალინის შესახებ; თაბაშირისა და ტრაპის შესახებ; თუთის კრიალასა და რქაქვის კრიალას შესახებ; ცინიტისა და ლეპიდოლიტის შესახებ; გემატიტისა და ტრემოლიტის შესახებ; ანტინომიასა და ქალცედონის შესახებ; მანგანუმისა და ყოველივე იმაზე, რაზეც თქვენ ისურვებდით საუბარს.

მეც იქ გახლდით. საკუთარ თავზე ვლაპარაკობდი, საკუთარ, საკუთარ, საკუთარ თავზე-მეთქი, ცხვიროლოგიაზე, ჩემს წიგნზე, ერთის სიტყვით, საკუთარ თავზე. ცხვირაწეული სულ საკუთარ თავზე ვლაპარაკობდი.

— საოცრად ჭკვიანი კაცია — თქვა უფლისწულმა.

— დიდებულაია — თქვეს იმისმა სტუმრებმა, და მეორე დილას მისი ბრწყინვალეობა ჰერცოგის მეუღლე სულ-აყეფებული თავად მეწვია შინ.

— ელმაკისას თუ წახვალ, ლამაზო, — მითხრა მან და ნიკაპქვეშ მომითათუნა ხელი.

— თუკი მიბრძანებთ, — მივუგე მე.

— ცხვირითურთ? — ასე მკითხა.

რალა თქმა უნდა-მეთქი, ვუპასუხე.

— აი ჩემი სავიზიტო ბარათი, ჩემო სიცოცხლე. უნდა გკითხვოდ, მართლაც გინდათ იქ წასვლა?

— გულითა და სულით, ქალბატონო.

— ჰოი, არა! მთელი თქვენი ცხვირითურთ?

სულ მთლად, საყვარელო-მეთქი, მე ვუთხარი. ერთი-ორჯერ ხელი მოვისვი და ელმაკისას გავწიე.

ტევა აღარ იყო იმის ოთახში, სული შემეხუთა.

— მოდის! — თქვა ვიღაცამ კიბეზე.

— მოდის! — თქვა ვიღაცამ მომადლოდ.

— მოდის! — თქვა ვიღაცამ უფრო მომადლოდ.

— მოვიდა! — დაიძახა ჰერცოგის მეუღლემ, — მოხვედი, ჩემო სიყვარულო! — ორივე ხელი მაგრად მომკიდა და სამ-გზის მაკოცა ცხვირზე.

სენსაციით შეხვდნენ ამას იმ წუთას.

— Diavolo!<sup>1</sup> — შეჰყვირა გრაფმა თხარქენიამ.

<sup>1</sup> სატანა (იტალ.).

— Dios guarda!<sup>1</sup> — ჩაიჩურჩულა დონ სტილემ.

— Mille tonnerres!<sup>2</sup> — დაიდრიალა უფლისწულმა ბაყეყე-  
ირაკმა.

— Tousand teufel!<sup>3</sup> — წაიდუდუნა კურფიურსტმა სისხ-  
ლისმსმელგლაისმა.

ამას კი ვერ მოვითმენდი. გავბრაზდი. მიეუტრიალდი  
სისხლისმსმელგლაისს.

— ბატონო, — ცოტა ხნის შემდეგ მიპასუხა მან, — Donner  
und Blitzen!<sup>4</sup>

ჩვენც მეტი რაღა გვინდოდა. გავცვალეთ სავიზიტო ბა-  
რათები. მეორე დღეს, ჩოკ-ფერმის სიანლოვეს ტყვიით ცხვი-  
რი მოვაცილე, და ჩემი მეგობრებისას წავედი.

— Bete<sup>5</sup> თქვა ერთმა.

— სულელი — თქვა მეორემ.

— რეგენისი — თქვა მესამემ.

— ვირი! — თქვა მეოთხემ.

— დებილი — თქვა მეხუთემ.

— შერეკილი! — თქვა მეექვსემ.

— გაეთრიე! — თქვა მეშვიდემ.

მკვდარი ვიყავი ამის შემდეგ და ისევ მამას მივადექი.

— მამავ ბატონო, — ვკითხე მე, — რა უნდა იყოს მიზანი  
ჩემი არსებობისა?

— ჩემო შვილო, — მიპასუხა მან, — ისევ ცხვიროლოდების  
შესწავლაა, მაგრამ იმ კურფიურსტს ცხვირი რომ მოაცილე,  
ვერ მოგიხვედრებია კარგად მიზანში. კი ხარ მშვენიერი  
ცხვირის პატრონი, თღონდ იმ სისხლისმსმელგლაისს სუ-  
ლაც აღარ აქვს იგი. დაწყევლილი გახდი შენ, ის კი დღეს

---

1 ღმერთმა დაიფაროს (ესპ.).

2 აქ: მესი კი დავაყარე (ფრანგ.).

3 აქ: ჯოჯოხეთამდე გზა ჰქონია (გერმ.).

4 აქ: მესი კი დავაყარე (გერმ.).

5 სულელი (ფრანგ.).



გმირია. მეც ვფიქრობ, რომ ჩვენს შარა-ფენში სახელსა და დიდებაზე სორთუმის ზომის მიხედვით მსჯელობენ, მაგრამ, ღმერთო ჩემო, ვინ შეედრება იმ სახელოვან კაცს, ვინც უხორთუმოდაა სულაც.

## ასო-ასო აქნილი კაცის აებაჰო

Pleurez, pleurez, mes yeux, et fondez vous en eau!  
La moitié de ma vie a mis l'autze au tombeau.

Corneille<sup>1</sup>.

არ მახსოვს, თუ როდის და სად გავიცანი პირველად ეს წარმოსადეგი ვაჟკაცი, ბრევეტ ბრიგადის-გენერალი ჯონ ა. ბ. გ. სმითი. ვილაცამ გამაცნო ეს ჯენტლმენი — ამაში კი ვარ დარწმუნებული — რომელიღაც კრებაზე; ზუსტად ვიცი ეს ამბავი, ეს კრება უთუოდ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, სადღაც კი იყო... სწორედ მასეა, მაგრამ იმ ადგილის სახელი, არ ვიცი რა მემართება, დამავიწყდა. მართალი თუ გნებავთ, იმხანად, იმ კაცს რომ შევხვდი, შევჩქეიფდი და ამიტომ დროისა და ადგილის შთაბეჭდილება წარიხოცა ჩემს მესსიერებაში. მე ნერვული კაცი ვარ, გარკვეულწილად ეს ამბავი მემკვიდრეობით გამომყვა და ვერც მიშველია თავისთვის.

კი იყო რაღაც საყურადღებო... საყურადღებო-მეთქი იმ კაცის მთელ გარეგნობაში, თუმცა რა, ვერ გეტყვით... სიტყვები ვერ მომიძებნია, მგონია, ზუთი ფუტი სიმალლისა გახლდათ, მბრძანებლობის მოყვარული კაცის იერი დასთამაშებდა სულ მუდამ სახეზე. მიხრა-მოხრა ისეთი ჰქონდა, რომ ასე იტყოდით, *air distingue*<sup>2</sup> სჭარბობს ამ კაცში, ყველაფერი იმის დიდ განათლებასა და მაღალ წარმოშობას მოწ-

<sup>1</sup> „ჩემი თვალები მწუხარების ცრემლით ტირიან, ჩემს სულში არსებობის ერთმა ნაწილმა დაასამარა მეორე“.

<sup>2</sup> დიდი გემოვნება (ფრანგ.).

მოზდა. ხოლო ამ საგანზე, სმითის გარეგნობაზე მინდა უფრო დაწვრილებით გაიმბოთ, როგორღაც სევდამორეული გეუბნებით ამას. ბრუტუსსაც კი მოუხდებოდა მისი თმა, მდიდარი და გრუზა, მბრწყინავ-მბზინავი, არა მგონია, ვინმეს ჰქონოდა იმისი მსგავსი, ნახშირით შავი იყო, ანუ, უფრო სწორად, როგორღაც უფერული ჩანდა მისი დიდებული უღვაშები. უთუოდ შენიშნავდით, აღფრთოვანებული კაცი გეუბნებით ამას; გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, ამ მზისქვეშეთში ასეთი ულამაზესი უღვაშები მე ჯერ არ მინახავს; გარშემობურვოდა თუ ნაწილობრივ მოეჩრდილა მისი ასეთივე შეუდარებელი ბაგე-პირი. ქათქათა, თეთრი კბილები ანათებდა ზოგჯერ იმის მელნისფერ სიშავეში. ხანდახან, თუკი დასჭირდებოდა, იმის ტუჩებს მოსწყდებოდა სუფთა, საამური, ძალუმი ხმა. თვალები კი, ნულარ იკითხავთ, ეს ჩემი ნაცნობი ამ მხრევაც გამორჩეული გახლდათ; თითქოსდა ბდღვრიალი გაჰქონდა წყვილ, კონსტად ამობურცულ მინას; მუქი თაფლისფერი, დიდრონ-დიდრონი და შუქმომფინარე ხანდახან მცირეოდნავ ცერად რომ გადმოგხედავდათ ეს კაცი, სწორედ მოგზიბლავდათ მისი მრავლისმეტყველი იდუმალება.

გენერლის მკერდი მართლაცდა უდიდებულესი იყო იმ მკერდთაგან, მე რომ მინახავს, მთელი სიცოცხლე რომ გეძებნათ, მაინც ვერ იპოვნით რაიმე ნაკლს მის მშვენიერ ანაგობაში. სწორედაც დიდად უხდებოდა ეს მკერდი იმის მხრებს, რომელსაც შეეძლო უკმარისობის სირცხვილით წამოენთო მარმარილოს გაქვავებული სახე აპოლონისა. ლამაზი მხრების ტრფიალი გახლავარ და შემოძლია გითხრათ, რომ მსგავსი სრულყოფილება მე ჯერ არ მინახავს. მკლავები მშვენიერი ჰქონდა, არც ქვედა კიდურები ჩამოუვარდებოდა იმის ხელებს, მართლაცდა, ეს იყო *ne plus ultra*<sup>1</sup> ლამაზი ფეხებისა, ვერც ვერავინ უარყოფდა ამას. მეტად დიდი იყო, ვერ იტყოდით, მაგრამ ძლიერ პატარასაც ვერ დაარქმევდით, არც სქელი იყო, არც თხელი. ისეთი ნატიფად ნახაზი ჰქონდა *os femoris*<sup>2</sup>, რომ ამისი წარმოდგენა ძნელია,

<sup>1</sup> აქ: იდეალი (ლათ.).

<sup>2</sup> ბარსაყის ძვალი (ლათ.).

სოლო მისი *a fibula*<sup>1</sup> იმდენად ლამაზად ამოხრილიყო, რომ სრულიად ჰორიზონტალურად მოსდიოდა მისივე კანკს. ღმერთმა ჰქნას და იმ ყმაწვილმა, ნიჭიერმა მოქანდაკემ ჩიპონჩიპინომ ნახოს ფეხები ბრევეტ ბრიგადის-გენერლის, ჯონ ა. ბ. გ. სმითისა.

თუმცა კი ასეთი მშვენიერნი მამრნი არ არიან ისე ბევრნი, ვითარცა ზღვაში ქვიშა და ტყეში ნაძვი, და მაინც მიძნელდებოდა იმისი დაჯერება, რომ, წელანაც მოგახსენეთ გაკვრით ამის თაობაზე, რაღაც მნიშვნელოვანი იერფერი *ji ne sais quoi*-სა<sup>2</sup>, რომლის ათინათი გადასდიოდა ამ ჩემს ნაცნობს, მისი სხეულის სრულყოფილებაში იყო დავანებული. შესაძლოა, თავიდათავი ამ ამბისა მისივე მიხრამოხრა იყო, არ ვიცი, ზუსტად ვერ გეტყვით. ყოველი მისი მოძრაობა, გარკვეულწილად, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, პირდაპირი კუთხის იყო მომართული, მისი ასეთი გამოზომილი სიზუსტის ქცევა შესაძლოა ტვინდამთხვეული, მზვობარი და გულდიდი კაცისა ყოფილიყო, მაგრამ მაშინ იგი დაბალი წოდებისაც იქნებოდა უსათუოდ, ხოლო ეს ჩვენი გენერალი ცნობილი და სახელგანთქმული ჯენტლმენი გახლდათ და მისი ასეთი თავმოზღუდულობა და *hauteur*-ც<sup>3</sup> სულ ადვილად აიხსნებოდა და შეიძლებოდა სულაც ქებით მოეხსენებინათ ეს თვისება ამ წარმოსადეგი და აგრე ახოვანი მამაკაცისა.

იმ ჩემმა კარგმა მეგობარმა, რომელმაც გენერალი სმითი გამაცნო, რამდენიმე სიტყვა ჩამწურჩულა ამ კაცის შესახებ, შესანიშნავი, ძალიან შესანიშნავი, ჩვენი დროის უშესანიშნავესი კაციაო. ქალების დიდი სიყვარული დაუმსასურებია, დიდი ვაჟკაციაო და ამიტომ.

— ტოლი არცა ჰყავს ამ კაცს, საარაკოდ უშიშარსა და შეუპოვარს, ეს ყველამ იცის, — სულ უფრო ჩუმად მეუბნებოდა ეს ჩემი მეგობარი და მისი სიტყვების იდუმალეობამ სულით სორცამდე შემძრა, — საარაკოდ უშიშარი და შეუპო-

<sup>1</sup> წვივის ძვალი (ლათ.).

<sup>2</sup> აქ: მიუკვლეველისა (ფრანგ.).

<sup>3</sup> სიამაყე (ფრანგ.).

ვარია, ყველამ იცის-მეთქი. და კიდევაც დაგვიმტკიცა ეს ამბავი, საშინელი ომი ჰქონია ამ ბოლო ხანს შორეულ სამხრეთში, იქაურ ჭაობიან ადგილას შებშია ბუგაბუ-კიკაპუს ტომის ინდიელებს (თვალეზგაფართოებული მეუბნებოდა ამას ჩემი მეგობარი), ღმერთო დიდებულო, მეხივით დასცემია იმათ თავზე, სისხლის წვიმები დაუყენებია. უმამაცესი კაცია! კი გექნებათ გაგონილი მისი ამბავი? სწორედ ისაა, ვინც....

— ვინც უნდა მენახა, როგორ გიკითხოთ? რასა იქო? როგორ ბრძანდებით? ძალიან მიხარია, რომ შეგხვდით, დიას! — სიტყვა შეაწყვეტინა ჩემს მეგობარს თავად გენერალმა, ხელი ჩამოართვა იმას, მე კი თავი დამიკრა, მოუსეშავად, მაგრამ მდაბლად, როდესაც გამაცნეს. მაშინ ასე გავიფიქრე (და ასლაც ვფიქრობ), ასეთი წმინდა და ძლიერი ხმა მე ჯერ არ მსმენია; არც ასეთი მშვენიერი კბილები მინახავს-მეთქი; მაგრამ კი უნდა ვითხრათ, ძალიან მეწყინა, სწორედ ამწუთას შეგვაწყვეტიეს საუბარი — ამ ჩემმა მეგობარმა ჩურჩულითა და იღუმალის ხმით დამიწყო ლაპარაკი და მე კი დიდი ყურადღებით ვაკვირდებოდი ბუგაბუ-კიკაპუს ომის გმირს.

თუმცა ბრევეტ ბრიგადის-გენერალმა ჯონ ა. ბ. გ. სმითმა სულ მალე განაგრძო თავისი სიტყვა და კიდევაც გაცამტვერდა ეს ჩემი სასოწარკვეთილება. ჩემი მეგობარი იმწუთასვე წავიდა და დიდხანს მომიხდა tête-à-tête<sup>1</sup> გენერალთან, სასიამოვნო იყო ეს ჩემთვის და, ამავე დროს, ნამდვილად, გონების გამსხნელიც. ასეთი კარგი მოსაუბრე და ასეთი მრავლისმცოდნე კაცი მე ჯერ არ მინახავს. თავმდაბლობით მოსდიოდა უთუოდ, რომ არაფერს მეუბნებოდა ბუგაბუს ომის იღუმალეებით მოცულ ამბებზე, მე კი ყველაზე უფრო იმ ბრძოლების თაობაზე მინდოდა მომესმინა ამ კაცისაგან; თავად მე მერიდებოდა იმისი და არც ჩამომიგდია ამ თემაზე საუბარი, თუმცა, მართალი თუ გნებავთ, სულითა და გულით მსურდა. ისიც შევნიშნე, ეს თავაზიანი ჯარისკაცი ფილოსოფიით იყო გატაცებული და უფრო მეტად მექანიკის საკითხებზე უყვარდა საუბარი. მართლაცდა, რამდენჯერაც არ

<sup>1</sup> აქ: პირისპირ დარჩენა (ყრანვ.).

აუგდე ბანზე სიტყვა, იმდენჯერ ისევ იმ თავის საყვარელ საგანს დაუბრუნდა.

— წარმოგიდგენიათ, — მეუბნებოდა იგი, — საკვირველი ხალხი ვართ და საკვირველ სანაში ვცხოვრობთ. პარაშუტები და რკინიგზები, კაცის ხაფანგები და სწრაფმსროლელი თოფები! ყველა ზღვაში ნახავთ ჩვენს ორთქლის გემებს, ნასაუს საჰაერო ბურთებით დაიწყებენ რეგულარულად მიმოსვლას ლონდონსა და ტიმბუქტუს შორის (მხოლოდ ოცი ფუნტი სტერლინგი დაგიჯდებათ ერთი ქალაქიდან მეორეში ჩასვლა). და ვის შეუძლია ჩახვდეს ამ ამბების უდიდეს ზეგავლენას ადამიანს სოციალურ ცხოვრებაზე, ხელოვნებაზე, ვაჭრობაზე, ლიტერატურაზე, მნიშვნელობა მიენიჭება, აგრეთვე, ელექტრომაგნეტიზმის უდიდეს მიღწევებსაც! უფრო მეტიც, დასასრული არ ექნება გამომგონებლობას. მთლად გასათვარი, დიდი ოსტატობით აკეთებენ, კი უნდა გითხრათ, ბნო... ბ-ნო ტომპსონ, თუ არა ვცდები, კი უნდა გითხრათ-მეთქი, რომ ფრიად სასარგებლოა... მართლაცდა, ფრიად სასარგებლოა მექანიკური მოწყობილობანი, სოკოებივით მრავლდებიან ყოველდღიურად, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, უფრო სწორად-მეთქი, კურდღლებივით... დიას, კურდღლებივით-მეთქი, ბ-ნო ტომპსონ... ჩვენ ირგვლივ და... დიას, დიას-მეთქი, ჩვენ გვერდითაც!

ჩემი გვარი, რალა თქმა უნდა, ტომპსონი არ არის; მაგრამ ამას რა ლარი და ხაზი უნდა, რომ დიდი ცნობისმოყვარეობა აღმიძრა ამ კაცმა, გენერალმა სმითმა, მისმა მჭევრმეტყველებამ მომსიზლა და სხნარულით აღფრთოვანებული ვიყავი, რომ ამ საკვირველ აღმოჩენათა საუკუნეში გვისდება ცხოვრება, დიდი ცნობისმოყვარეობა აღმიძრა-მეთქი, ხომ გითხარიო, და ასე გავიფიქრე, მოდო ასლავე ჩემს ნაცნობებს დავივლი, რალაც-რალაცებს გავიკითხავ-მეთქი ბრევეტ ბრიგადის-გენერლის შესახებ; განსაკუთრებით მინდოდა გამეგოს გულის წამლები ამბები, რომელშიაც *quorum pars magna fuit*<sup>1</sup> ბუგაბუ-კიკაპუს ბრძოლების დროს.

დიდხანს არ დამჭირვებია ლოდინი და (*horresco refe-*

<sup>1</sup> დიდი წვლილი მიუძღვოდა (ლათ.).

rens)<sup>1</sup> ვერც ველარაფერი შემაკავებდა. ეს მოხდა ღირსი დოქტორ არახუნდას ეკლესიაში; კვირადღე იყო, ქადაგება უკვე დაწყებულიყო, ვზივარ, ვუსმენ და უცებ მივიხედე და რას ვხედავ, აქვე, გვერდით არ არის ჩემი პატარა მეგობარი, კარგი და სანდომ-საამური მისს ტაბითა ტ. მოგილოცავ, შენ, ჩემო თავო, გავიფიქრე მე, ყველაფერი ისე მოგვარდება, როგორც შენ გინდა-მეთქი; მართალიც ვიყავი. თუკი ვინმემ იცოდა რამე ბრევეტ ბრიგადის-გენერლის, ჯონ ა. ბ. გ. სმი-თის შესახებ, ცხადია, ის გახლდათ მისს ტაბითა ტ., ერთმანეთს ვანიშნეთ და მერე sotto voce<sup>2</sup> სწრაფად მოვყევით tête-a tête<sup>3</sup>.

— სმითიო! — ასე მიპასუხა მე, მეტად აღელვებულ კაცს, — სმითიო! რაო, გენერალ ჯონ ა. ბ. გ.-ზე მეუბნებით? ღმერთო ჩემო, მე კი მეგონა თქვენ ყველაფერი იცოდით იმის შესახებ! ამ გასაოცარი აღმოჩენების საუკუნეში ვცხოვრობთ! გულშემზარავი ამბავი უნდა გითხრათ! სისხლისმსმელმა არამზადებმა, იმ კიკაპუელებმა.. ის კი დევგმირივით იბრძოდა... პირიდან ცეცხლს ყრიდა... უკვდავებასაც ეზიარა. სმითიო! ბრევეტ ბრიგადის-გენერალი ჯონ ა. ბ. გ.! ნუთუ თქვენ არ იცით, რომ ის კაცი... .

— კაცი, — დაიღრიალა ამ დროს დოქტორ არახუნდამ, ხმას აუწია და მუშტი დაჰკრა კათედრას, თითქოს მეხვიით გავარდა ჩვენს ყურთან, — „კაცი შობილი დედა-კაცისაგან“, მცირე წლოვან და სავსე რისხვითა. ანუ ვითარცა ყვავილი აღყვავებული დაცვავენეს!“ — შევხტი და შევეტრიალდი ამ ჩემს სკამზე და ღვთისმეტყველის ეს მძვინვარება, კინაღამ რომ საბედისწერო შეიქნა კათედრისათვის, ჩემი და იმ ყმაწვილი ლედის ჩურჩულით იყო გამოწვეული. რაღას ვიზამდი, თვალები დავხარე მოწიწების ნიშნად და წმინდა მღუმარებით გარშემობურვილი ყური დავუგდე ამ დიდებული ქადაგების გასრულებას.

· მეორე დღეს, საღამო იყო, ცოტათი დაგვიანებით „ყბე-

1 აქ: თავზარდაცემული გეუბნებით ამას (ლათ.).

2 დაბალი ხმით (იტალ.).

3 აქ: საუბარს (ფრანგ.).

დიპოლის“ თეატრში\* მივედი. დარწმუნებული გასლდით, სწორედ აქ შემეძლო იმწუთასვე ჩემი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება, ოღონდ კი ფესი შემედგა მშვენიერი, სულ მუდამ სახემღიმარი და ყოვლისმცოდნე არაბელა და მირანდა კონიოუშენტების ლოჟაში. იაგოს თამაშობდა ამ დიდებულ ტრაგედიაში ზეობია. მთელი დარბაზი გაჭედილი იყო და გამიძნელდებოდა, ვეღარ გავაგებინებდი იმ ქალიშვილებს რაც მსურდა, თანაც ეს ლოჟა თეატრის სულ კიდეში მდებარეობდა და სწორედ სცენის თავზე იყო დაკიდებული.

— სმითიო! — თქვა მისს არაბელამ. ბოლოს და ბოლოს მისვდა, რასაც ვეკითხებოდი, — სმითიო? თქვენ მეუბნებით, გენერალი ჯონ ა. ბ. გ. სმითიო?

— სმითიო? — ჩამეკითხა ჩაფაქრებული მირანდა, — ღმერთო ჩემო, თუ გინახავთ სადმე ასეთი წარმოსადეგი მამაკაცი?

— არ მინახავს, მაგრამ, ერთი ეს მითხარით...

— იმის დიდებულ მისრა-მოსრას თუ დაკვირვებინართ?

— არასოდეს, მართალს გეუბნებით!.. ძალიან გთხოვთ. მითხარით...

— სცენის დიდი მცოდნეა, თუ იცით თქვენ?

— მადაში!

— რა ღრმად გრძნობს შექსპირის ჭეშმარიტ სიდიადეს! ნუთუ ვერ ხედავთ! ერთი იმას შეხედეთ!

— ჯანდაბას! — შევყვირე მე და ისევ იმის დას მივუბრუნდი.

— სმითიო? — მითხრა იმან, — თქვენ მეუბნებით, გენერალი ჯონ ა. ბ. გ. სმიითიო? საშინელი ამბავი მოსვლია, თუ იცით? დიდი არამზადები კი არიან ის ბუგაბუელები... ველურები, კაციჭამიებია-მეთქი... მაგრამ ჩვენ ისეთი დიდებული გამოგონებების ხანაში ვცხოვრობთ! სმითიო! ჰოი, დიას! დიდი კაცია!.. სწორეპოვარი ვაჟკაცია... უკვდავებასაც ეზიარა... პირიდან ცეცხლს ყრიდა! ნუთუ არაფერი გაგიგონიათ იმის შესახებ! (სცენაზე დასჭყვივლეს), ღმერთო ჩემო!.. სოდა, მან...

„...მანდრაგორა, ვერც საშხაში და ვერც სსვა წვნი,  
თუნდაც მთელის ქვეყნით თავ-მოყრილი ძილ-მოსაგვრელად,

ასე იღრიალა იმ ზეობიამ სწორედ ჩემს ყურთან, ხოდა, სანამ დაამთავრებდა ამ სიტყვებს, სულ მუშტი მიქნია; როგორ უნდა მომეთმინა, როგორ-მეთქი. იმწუთასვე მივატოვე ეს მანდილოსნები, კონიოუსენტები, ჩავედი დაბლა და ის მათხოვარი არამზადა კარგა მაგრად მივტყეპე, სიკვდილამდე არ დაავიწყდება მგონია.

ქალბ-ონ ქეთლან ო'ტრამპის, ტურფა ქვრივი ქალის soiree<sup>1</sup>-ზე, დარწმუნებული ვიყავი, ასე არ უნდა მომცარვოდა ხელი. მივუჯექი თუ არა კარტის სათამაშოდ მაგიდას ჩემი მშვენიერი დიასახლისის vis-a-vis<sup>2</sup>, იმწუთას ჩავეკითხე და კიდევაც მოველოდი პასუხს, ურომლისოდაც მე უკვე სულიერ სიმშვიდეს ველარ მოვიპოვებდი.

— სმითიო? — თქვა ჩემმა მასპინძელმა, — თქვენ მეუბნებით გენერალი ჯონ ა. ბ. გ. სმითიო? საშინელი ამბავი მოსვლია, თუ იცით?.. აგურიანო, თქვენ ბრძანეთ?.. დიდი არამზადებია ის კიკაპუელები... უკვე ვისტია, ბ-ნო ტეტლ, თუ შეიძლება... მაგრამ ამ ჩვენს საუკუნეში რანაირ გამოგონებას არ ნახავთ, მართლაცდა, დიდებული საუკუნეა! შემიძლია ვთქვა, საუკუნეა-მეთქი par excellent<sup>3</sup>... ფრანგული ხომ გესმით?.. გმირთა-გმირია, ჰერიდან ცეცხლს ყრიდა... აღარ ჩამოხვალთ, ბ-ნო ტეტლ? მე კი არა მჯერა... უკვდავებასაც ეზიარაო და ა. შ. დევგმირივით იბრძოდა! ნუთუ არასოდეს არ გაგიგონიათ! ღმერთო ჩემო, მან...

— მანიო? კ ა პ ი ტ ა ნ ი მანიო — შეჰკივლა უცებ პატარა ტანის ქალბატონმა, ოთახის შორეულ კუთხეში რომ იჯდა. — თქვენ კაპიტან მანისა და მისი ღუელის შესახებ საუბრობთ?.. ჰოი, მინდა გავიგო... მომიყევით... განაგრძეთ, ქალბ-ნო ო'ტრამპ, ნუ შეჩერდებით, ძალიან გთხოვთ! — ხოდა, ქალბატონმა ო'ტრამპმა ვიღაც კაპიტან მანის ამბავი გვიამბო, ეს კაცი დახვრიტეს თუ ჩამოახრჩვეს; თუმცა კი სჯობდა, რომ

<sup>1</sup> სალამო (ფრანგ.).

<sup>2</sup> პირისპირ (ფრანგ.).

<sup>3</sup> ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით (ფრანგ.).



ის კაცი კიდევაც ჩამოეხრჩოთ და კიდევაც დაესვრიტათ. დი-  
ახ! ქალბ-ონ თ'ტრამპს რაღა გააჩერებდა და მეც რაღა გა-  
მაჩერებდა იქ. იმ საღამოს უკვე ვერაფერს ველარ გავიგებ-  
დი. ბრევეტ ბრიგადის — გენერლის ჯონ ა. ბ. გ. სმითის შესა-  
ხებ.

გული დავიმშვიდე, ასე გავიფიქრე, ეს ჩემი ბოროტი ბე-  
დისწერა სულ ყოველთვის ხომ ვერ მომადლორებს-მეთქი, ხო-  
და, ასე გადავწყვიტე, უფრო გაბედულად უნდა ვიმოქმედო,  
სწორედ ამ დღეს ღზინზე მივდიოდი მომაჯადოებულ პატა-  
რა ანგელოზთან, უსრულქმნილეს ქალბ-ონ პირუეტთან.

— სმითიო? — თქვა ქალბ-ონმა პ.-მ, ჩემთან პას-დე-ზე-  
ფირის ცეკვის ხანს, — სმითიო? თქვენ მეუბნებით გენერალ  
ჯონ ა. ბ. გ. სმითიო! ცუდი ამბავი მოსვლია იმ ბუგაბუელებ-  
თან, ხომ იცით? გულშემზარავი ხალხია ეს ინდიელები..  
ფეხის წვერებზე უნდა იტრიალოთ! კი შემარცხვინეთ სწო-  
რედ... დიდი ვაჟკაცია ის კაცი, საწყალი!.. მაგრამ ჩვენ საკ-  
ვირველი გამოგონებების ხანაში ვცხოვრობთ... ჰო, ჩემო  
კარგო, სული მეხუთება... საარაკო სიმამაცის კაცია. დევგ-  
მირივით იბრძოდა... ნუთუ არასდროს გაგიგონიათ? ამას ვერ  
დავიჯერებ... მოდი დავსხდეთ და ყველაფერს გიამბობ... სმი-  
თიო! ხოდა, ის კაცი..

— ვინ კაცი, ფრედი? ხომ ასეა? — გამოგვძახა ლურჯწინ-  
დილამ სწორედ მაშინ, როდესაც ქალბ-ონი პირუეტი სავარ-  
ძელთან მივიყვანე, — მსგავსი რამ თუ გაგიგონიათ როდის-  
მე! მე გეუბნებით, იმ კაცის სახელი ფრედია-მეთქი და არამც-  
და არამც ის კაცი პარასკევა არ არის,\* — მისს ლურჯიწინ-  
დილამ თავისთან მიმიხმო, მკაცრად ხელი დამიქნია, უარი  
ვერ ვუთხარი, რაღა უნდა მექნა, მივატოვე ქალბ-ონი პ., რა-  
თა ჩემი მეშვეობით გადაჭრილიყო დავა ლორდ ბაირონის  
ერთ-ერთი პოემის სათაურის გამო; მივედი თუ არა იმწუ-  
თასვე მტკიცედ განვაცხადე, იმ პოემის გმირ კაცს ფრედი  
კი არა პარასკევა ჰქვია-მეთქი; ვთქვი ეს და მაშინვე ქალბ-  
ონ პ.-სთან გამოვტრიალდი, მაგრამ ეს ქალი აღარსად ჩანდა  
და გულდათუთქული იმ სახლიდან წამოვედი, მას შემდეგ  
მტრად გადავეკიდე ლურჯწინდილების მთელ მოდგმას.

მართლაცდა, ძალიან გამიჭიანურდა ეს საქმე და აღარ

დამიყოვნებია, ჩემს კარგ მეგობარს, ბ-ნ სინივატს მივადექი, რადგან ვიცოდი, ბოლოს და ბოლოს, ამ კაცისაგან მაინც გავიგებდი რაღაცას.

— სმიითიო? — მითხრა ამ კაცმა, ჩვეულებისამებრ, სიტყვას აგრძელებდა, ასე იცოდა ლაპარაკი, — სმიითიო? ნამდვილი ველურებია ის კაკაპუელები, ხომ იცით? ნუთუ აარაფერი არ გაგიგონიათ იმის შესახებ? მართლაცდა, ცეცხლს ყრიდა პირიდან... დიდად მწყინს, ჩემო კაარგო! საოოცარი გამოგონებების საუკუნეა... დეევგმირივით იბრძოდა მაგრამ თქვენ თუ იიცით, იმ მანს რა მოსვლია?

— კაპიტანი მანიო, ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია! — მივაძახე მე, — გთხოვ, იმ გენერალზე მიაშუ რამე.

— ჰო... კაარგი!.. მართლაცდა, la même chooise<sup>1</sup>, საფრანგეთში რომ ამბობენ, სმიითიო, ხომ? ბრიგადის გენერალი ჯონ აა... ბ... გ... სმიითიო? (აქ ბ-ნი ს. ჩაფიქრდა და ცხვირზე თითი მიიდო), ხოდა, თქვენ წელან მგონია თქვით, ნამდვილად არაფერი არ გამიგონიაო ამ კაცის შესახებ, მასეა ხოლომ? სმიითიო? ჯონ. აა... ბ... გ... და რატომ, ღმერთო ჩემო, ის კაცი...

— ბ-ნო სინივატ, — შევეხვეწე მე, — ნუთუ ის კაცი ნილბოსანია?

— არა! — ასე მითხრა და ცბიერად შემომხედა, — მთვარედანაც არ ჩამოსულა ის კაცი.

შეურაცყოფილი დავრჩი მისი ამ პასუხით, დიდად ნაწყენი წამოვედი იმ სახლიდან და მტკიცედ გადავწყვიტე, ამ ჩემს მეგობარს, ბ-ნ სინივატს უსათუოდ ვეტყვი, ჯენტლმენს ეს არ ეკადრება, კარგად ვერ გაუზრდისხართ-მეთქი.

მაგრამ გულშიაც არ გამივლია, ამ საქმეს თავი უნდა დავანებო-მეთქი; სხვა რა გზა მქონდა, თავად უნდა მეხილა ამ საიდუმლოების სათავე. მივიდოდი იმ გენერალთან და პირდაპირ და ნათლად მოვთხოვდი ამ საიდუმლოს ახსნას. თავის დაძვრენას, მგონია, ვერ შესძლებდა. ჩემს სათქმელს ვეტყოდი უბრალოდ, გასაგებად, მკაცრად და მოკლედაც, როგორც ეს საღვთო წერილშია, სულ ორიოდე სიტყვით, ტაციტუმისა და მონტესკიეს დარად.

<sup>1</sup> სწორედ ისაა (ფრანგ.).

დილაადრიანად მივადექი; გენერალი იცვამდა, ასე ვუთხარი იმის მოხუც ზანგ მსახურს, საჩქარო საქმე მაქვს-მეთქი. მაშინვე შემიყვანა იმ კაცის საძინებელ ოთახში, სადაც დავრჩი კიდევაც ბოლომდე. შევედი თუ არა გენერლისას, იქაურობა მოვათვალიერე. რაღა თქმა უნდა, ჩემს მასპინძელს ვეძებდი, მაგრამ ასე უცებ ვერავინ ვერ დავინახე. ჩემს ფერხთით ერთი რაღაც ვეებერთელა და უცნაური შეკვრა იდო იატაკზე და რაკილა ხასიათზე ვერ ვიყავი, ფეხი გავეკარი, აქ რას დაუგდიათ-მეთქი.

— აჰ! აჰ! ცოტა წესიერად-მეთქი, გეუბნებით! — წარმოთქვა იმ შეკვრამ სულ დაბალი და უწვრილესი ხმით, შეიძლება ბოდა ამისთვის ერთდროულად წრიპინიცა და სტვენაც დაგვერქმია, ჩემს დღეში არ გამიგონია ამისი მსგავსი.

— ოჰ! ცოტა წესიერად-მეთქი, ხომ გითხარით! კინალამ შევყვირე თავზარდაცემულმა, შევხტი, შევეტრი-აღდი და ოთახის შორეულ კუთხეში მივიკუნჭე.

— რა ღმერთი გიწყრებათ, ჩემო კარგო! — კვლავ დაისტვინა ამ შეკვრამ, რა... რა... რა... რა ხდება-მეთქი?

რა შემძებლ მეთქვა, რა შემძებლო-მეთქი? ბარბაც-ბარბაცით სავარძელში ჩავჯექი და თვალეზღაფეტილი, პირდაღებული ველოდებოდი, თუ როდის მოეფინებოდა ნათელი ამ საოცრებას.

— საკვირველია, სწორედ, რომ ვერ მიცანით, ხომ ასეა? — ისევ დაიწრიპინა ამ ენით უთქმელმა რაღაცამ თუ ვიღაცამ და ახლა შევნიშნე, იმას, იატაკზე დაგდებულს, გასაოცარი ცვლილება დაეტყო; მგონია, წინდას იცვამდა ცალ ფეხზე, მეორე აღარსად ჩანდა.

— საკვირველია სწორედ, რომ ვერ მიცანით, ხომ ასეა? პომპეი, მოდი ის ფეხი მომიტანე! — ხოდა პომპეიმ იმ შეკვრას მშვენიერი, უკვე შემოსილი კორპის ფეხი გაუწოდა; შემდეგ ის კაციც აღიმართა ჩემ თვალწინ.

— ბევრი სისხლი დაიღვარა მაშინ, — განაგრძო მან ეს თავისი მონოლოგი, — მაგრამ ბუგაბუელებსა და კიკაპუელებს შებმულ კაცს ნუ ჰგონია, იოლად გადავრჩებიო. პომპეი, შენი ჭირიმე, ახლა ხელები მომაწოდე. იმ თომასმა (მომიტრიალდა ახლა მე) კარგად მოითბო ხელი იმ კორპის

ფეხებით; მაგრამ თუ თქვენ როდისმე ხელი დაგჭირდებათ, ჩემო კარგო, გირჩევთ ბიშოპს მიმართოთ. — პომპეიმ ხელი მიუხრახნა.

— ფიცხელი ბრძოლა გვექონდა, ისეთი, ვერც კი წარმოიდგენთ. ახლა კი, ძაღლო, მხრები და მკერდი დამადგინ პეტიტთან შესანიშნავ მხრებს აკეთებენ, მაგრამ მკერდისთვის სჯობს დიუკროუსთან მიხვიდეთ.

— მკერდისთვისო! — ვთქვი მე.

— პომპეი, სულ ასე როგორ გეკარგება ის პარიკი? რაც უნდა იყოს, სკალპის გადაძრობა სასიამოვნო ამბავი არ არის, მაგრამ დე ლ'ორმესთან ყველაფერს კარგად მოიგვარებთ.

— მოიგვარებთო!

— ახლა კი, შენ გეუბნები ზანგო, ჩემი კბილები მოიტანე! თუ პარმლისთან მიხვალთ, დიდებულად გაგიკეთებენ ყველაფერს; ძვირს კი აფასებს, მაგრამ მშვენიერი ნახელავია. თუმცა იმ კბილების კარგა დიდი ნაწილი ჩავყლაპე, როდესაც ბუმბერაზმა ბუგაბუმ კონდახით თავი გამიჩესა.

— კონდახითო! გამიჩესაო! თვალი სად ჰქონდათ თქვენს ჯარისკაცებს!

— ჰო, მართლაც, ჩემი თვალი სად არის, პომპეი, შე ყალთაბანდო, მოდი ჩამისრასნე! ის კიკაპუელები ერთი დაკვრით წამოგიგდებენ თვალს; იმ კაცისთვის, დოქტორ უილიამსისთვის ცილი დაუწამებიათ; ვერც კი დაიჯერებთ, ისე კარგად ვხედავ იმისი გაკეთებული თვალებით.

უკვე მივხვდი, რომ ჩემ წინ მყოფი ის ვიღაც თავად ჩემი ახალი ნაცნობი ბრევეტ ბრიგადის-გენერალი ჯონ ა. ბ. გ. სმით გახლდათ. პომპეის მეცადინეობით, უნდა გამოგიტყდეთ, იმ კაცის გარეგნობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ყველაზე უფრო მისმა სმამ გამოაცა, მაგრამ ეს საიდუმლოებაც მალე ნათელი შეიქნა ჩემთვის.

— პომპეი, შე ჯოჯოხეთის მუგუზალო! — დაიწრიპინა გენერალმა, — შენ, მგონია, სასის გარეშე ვინდა გამიშვა სასლიდან.

მაპატიეთო, ჩაიბურტყუნა იმ ზანგმა, მოუახლოვდა თავის ბატონს, პირი გაუღო და კარგა გამოცდილი ჟოკეივით

რაღაც უცნაური საგანი ჩაუდო პირში, ძალიან მოხერხებულად კი გააკეთა ეს, თუმცა მე ვერაფერს მივხვდი. ოღონდ ამის შემდეგ იმწუთას საგრძნობლად შეიცვალა გენერლის გამომეტყველება. კვლავ დაილაპარაკა და მისი ხმა ასლა დიდებულად და ძლიერად აჟღერდა, სწორედ ასეთი ჰქონდა მას შინ, პირველად რომ გავიცანი ის კაცი.

— ჯანდაბამდისაც გზა ჰქონიათ იმ არამზადებს! — თქვა მან ისეთი სუფთა ხმით, რომ შევხტი, — ჯანდაბამდისაც გზა ჰქონიათ იმ არამზადებს-მეთქი, პირი და კბილები ხომ მთლად შემიმუსრეს, მაგრამ თავი ცოტა კიდევ შეიწუსეს და ენის ერთი მერვედი მომკვეთეს. კიდევ კარგი, ბონფანტის ბადალს ვერავის ნახავთ ამერიკაში, კარგადაც აკეთებს ზემორე ჩამოთვლილ ნაწილებს კაცისას. შემიძლია ბარათი მიგიწეროთ იმასთან (აქ გენერალმა თავი დამიკრა) დიდი სიამოვნებით გავაკეთებ ამას, დამიჯერეთ.

დიდი მოწიწებით მადლობა მოვახსენე ამ თავაზიან კაცს და იმწუთას მარტოდ დავტოვე, უკვე მშვენივრად ვიცოდი ყველაფერი. სრულიად ჩავხვდი ამ საიდუმლოს, რომლის არცოდნა ასე დიდხანს მაშუოთებდა. ცხადი იყო ჩემთვის ეს უბრალო ამბავი. ბრევეტ ბრიგადის-გენერალი ჯონ ა. ბ. გ. სმითი ის კაცია, ის კაცია-მეთქი, ვინც ასო-ასო აუქნიათ თურქი.

## ალეგორიის შემცველი მოთხრობა

რისი უფლებაც მოუხვეჭავთ მეფეთ ღმერთთაა წინაშე, იმის უფლებას ძღაბით არავინ მისცემს.

ბაქპერსტი. „უერექსისა და პორექსის ტრედიო“.

ედუარდთაგან მესამის ბრწყინვალე მეფობის ხანს, ოქტომბრის ერთ ღამეს, ასე, თორმეტ საათზე ტემზაზე ღუზაჩაგდებულ, სლუისა და ტემზასვე შორის მცურავ სავაჭრო ხომალდ „გულმხიარულის“ ორი მეზღვაური ძალზე სასტად დარჩა, როცა ნახეს, ლონდონის წმ. ანდრიას სამრევლო მიწაზე მდებარე ლუდხანის დარბაზში ვსხედვართო. აბრად „დარდიმანდი მეზღვაურის“ სურათი ეკიდა ამ ლუდხანას.

დარბაზი მოუწყობელი, ბოლისაგან ჩაშავებული, დაბალჭერიანი, სწორედ ისეთი იყო, ყველგან რომ ნახავდით იმხანად, და მაინც იგი, უცნაურ ჯგუფებად მოკალათებული ხალხის აზრით, კარგი საქეიფო ადგილი იყო.

ჩვენი ორი მეზღვაური იმათ შორის თუ დიდად არ გამოირჩეოდა, მეტად საყურადღებონი მაინც კი ჩანან-მეთქი, ასე გავიფიქრე.

სიმაღლით ორჯერ რომ სჭარბობდა და უფრო ხნიერიც რომ უნდა ყოფილიყო, „წოპეს“ ეძახდა მისი ამხანაგი, და სწორიც იყო. ასე, ექვსნახევარი ფუტი სიმაღლისა გახლდათ და, იქნებ, ამიტომაც ძალიან იყო მხრებში მოსრილი. მაგრამ მეტისმეტი სიმაღლე მისი სხვა მხრივაც იპყრობდა ყურადღებას. მთლად ძვალი და ტყავი იყო და როგორც მისი მეგობრები ამბობდნენ — მთვრალი ვიმპელად გამოდგება დედანძაზე, ფხიზელს კი ბუშპრიტობა მოუხდებო. მაგრამ ამას და სხვა ამდაგვარ ხუმრობას ერთხელაც არ შეუტოკებია ღიმილის ძარღვი ამ ზღვისკაცის სახეზე. მაღალი ყვრიმალები, არწივისებური ცხვირი ჰქონდა, ქვედა ტუჩი ჩავარდნოდა, ლიბრი გადაკროდა მის დიდრონ თვალებს. სრულიად აუღვრეველი ჩლუნგი გამომეტყველება სახისა ამ ქვეყნის ამ-

ბების მიმართ თუმცა მის გულგრილობას მოწმობდა, მაგრამ ამასთან ერთად გამოხატავდა ისეთ საზეიმო-მედიდურ განწყობილებას, რომ შეუძლებელია ამისი თქმა ან აღწერა.

სრულიად სხვანაირი გარეგნობისა ჩანდა მეორე, უფრო ყმაწვილი მეზღვაური, ოთხი ფუტის სიმაღლისა არც იქნებოდა. დაბალ მოღრეცილ ფეხებზე ედგა მოკლე და ტლანქი მორგვივით ტანი, საოცრად პატარა და სქელი მკლავები ჰქონდა დიდზე დიდი მუშტებითურთ და ისე ეკიდა, ვითარცა ზღვის კუს ფარფლები, სადღაც სიღრმეში ჩაკარგვოდა პაწაწინა თვალები გამოუცნობი ფერისა, ვეებერთელა, ხორცსავსე და მრგვლად გამობერილ ღაჟღაჟა ლოყებში დანთქმოდა ცხვირი; მომსხო ზედა ტუჩი გადმოსვენებოდა კიდევ უფრო მომსხო ქვედა ტუჩს და თვითკმაყოფილების იერს ანიჭებდა მის სახეს, ხოლო დროდადრო ჩვეულებისამებრ რომ ლოკავდა ამ ტუჩებს, ხსენებულ იერს უფრო სრულად წარმოაჩენდა. ცხადელივ ჩანდა, ტანაზიდული მეგობარი მისთვის რაღაც გაოცებისა და დაცინვის საგანი გამსდარიყო და ზოგჯერ ისე აჰყურებდა, როგორც ჩამავალი წითლად აბღღვიალებული მზე ბენ-ნევსის კლდეებს.

რა არ გადახდა თავს ამ ღირსშესანიშნავ წყვილს, როდესაც საღამო ხანს იმ უბნის სამიკიტნოებში დახეტიალობდნენ. ზღვა კოვზით დაილიათ. და მართლაც ბოლოს სულ უკაპიკოდ დარჩნენ, ჯიბეცარიელი მთადგნენ ჩვენი მეგობრები ამ ფუნდუკს.

სწორედ ახლა იწყება ჩვენი მოთხრობა — წოპე და მისი ძმაკაცი ჰიუ ბრეზენტი დარბაზის შუაგულში უზარმაზარ მუხის მაგიდას მისხდომოდნენ და, იდაყვდაბჯენილებს, ნიკაპქვეშ ამოდოთ ხელები. ჯერაც გადაუხდელ დიდ ბოცა „ჩასაცეცხლებელს“ ამოფარებულნი გასცქეროდნენ მრავლისმეტყველ სიტყვებს — „ცარცი არა გვაქვს“<sup>1</sup>, და როგორ განრისხდნენ და განცვიფრდნენ, როცა ნახეს, შემოსასვლელი კარის ზემოთ წაეწერათ სწორედ ამ მინერალით, რომლის უქონლობასაც ამცნობდნენ. წარწერის ამოკითხვა მათ არ შეეძლოთ, რადგან ეს უნარი იმხანად მდაბიო ხალხისთვის ისეთივე თი-

<sup>1</sup> ანუ ნისიად ნუ მოგვთხოვთ.

ლისმით იყო შეკრული, როგორც ხელოვნების ნაწარმოების ქმნა. თქმა არ უნდა, ვერც ჩვენი ზღვაოსნები ჩახვდებოდნენ რამეს; მაგრამ რაღაი საქარე მხრისაკენ გადახრილიყვნენ ეს ასო- სიტყვები, ორივე მეზღვაურის აზრით, გაუთავებელ ავ- დარს მოასწავებდა ეს ამბავი ან როგორც ნართაულად თქვა წოქემ — „ახლა კი უნდა გავშალოთ იალქნები და მივინებდეთ ქარს“.

სულ რომ გამოსცალეს ის სასმელი და მოკლე ქურთუკე- ბი შეიკრეს, გარეთ გამოცვივდნენ. თუმცა სანამ კარს მიაგ- ნებდნენ, ბრეზენტმა ორჯერ შიგ ბუხარში შეჰყო თავი. და- ბოლოს კარგად დასრულდა ყველაფერი — პირველის ნახევარ- ზე უკვე სამშვიდობოს იყვნენ ჩვენი თავზეხელაღებული გმი- რები, პატარა ქუჩით კისრისტეხით გარბოდნენ ქვემოთ, წმ. ანდრიას კიბის მიმართულებით, რაკილა უკან გამონთებოდას „დარდიმანდი მეზღვაურის“ დიასახლისი.

თავგადასავლებით სავსე ამ მოთხრობის დროინდელ ხა- ნაში მრავალი წელიწადი, ადრე და შემდგომაც, მთელ ინგ- ლისსა და განსაკუთრებით მის დედაქალაქში გაისმოდა გულ- შემზარავი ყვირილი: „ჟამი მოდის!“ მაშინ თითქმის სრულიად ცარიელდებოდა ეს ქალაქი, რადგან ტემზის სიახლოვეს, ამ საშინელ კუთხეში, სადაც წყვდიადით მოცულ ვიწრო და ჭუჭ- ყიან ქუჩებსა და მოსახვევებში, როგორც გადმოგვცემენ, იშვა ჟამიანობის დემონი, ზარზეიმით და ლაღად დადიოდნენ ში- ში, შემზარაობა და ცრუმორწმუნეობა.

მეფეს აეკრძალა ამ უბნებში შესვლა. სიკვდილით დაისჯე- ბოდა ყოველი, ვინც გაბედავდა და დაარღვევდა ამ გულშესა- ზარ მყუდროებას. მაგრამ არც მონარქის ბრძანება, არც მა- ლალი ზღუდენი ქუჩათა დასაწყისში, არც იქ ჩასაფრებული, თითქმის გარდუვალი საზიზღარი სიკვდილი დააფრთხობდა იმას, ვისაც თავგადასავლები მოწყურებოდა. გამოცარიელე- ბული აუარება საცხოვრისიდან ღამის ქურდებს გაჰქონდათ ყველაფერი, რასაც მცირეოდენი ღირებულება მაინც ჰქონ- და — უბრალო რკინა, თითბერი ან ტყვია.

გარდა ამისა, ყოველ წელს, ზამთრობით, ზღუდეთა გახ- სნის შემდგომ ხშირად ნახულობდნენ, რომ ბოქლომებს, სა- კეტებსა და საიდუმლო სარდაფებს ვერ დაეცვათ ღვინითა და



სსვა არყიანი სასმელებით სავსე დუქნები, ვაითუ გადატანი-  
სას ვერ მოვუაროთ და ვიზარალოთო, ფიქრობდნენ აქაური  
მედუქნეები და ბევრი ასე, შინ დაბრუნებამდე ტოვებდა იქ  
თავის დოვლათს.

თავზარდაცემული ხალხიდან მხოლოდ ორიოდე თუ მი-  
აწერდა ამ საქმეთ კაცის ხელს. ჟამის ავი სულეები, ძვლის  
მტყესელი ჭინკები, ციებცხელების დემონები ეკერა სუყველას  
პირზე. ყოველ საათს ჰყვებოდნენ გულისგამგმირავ ამბებს.  
მთელი ეს ყადაღადადებული შენობები სუდარისამებრ მოეც-  
ვა შიშის ზარს და ავზაკები ხშირად გამოიქცეოდნენ ხოლმე  
საკუთარი ენით უთქმელი ნაოხარის მხილველნი. მთელ ამ  
გეებერთელა ნაკრძალ უბანში ისადგურებდა სევდა-კაეშანი,  
სიჩუმე, ჟამიანობა და სიკვდილი.

ქვემოთ რომ მიიკვლევდნენ გზას ამ ქუჩით წოპე და ღირ-  
სეული პიუ ბრეზენტი, უეცრად სწორედ ასეთ ზემონახსენებ  
შემზარავ ზღუდეთაგანს გადააწყდნენ — ჟამის საბრძანებელი  
იწყებოდა უკვე. დაბრუნებაზე ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდა,  
წუთიც და დაეწეოდათ მდევარი. ათასი თოკიდან გამომძვრალი  
მეზღვაურებისათვის ასე სახელდახელოდ ამენებულ მესერზე  
გადავლება სულ ადვილი საქმე იყო. სირბილითა და არაყით  
გახელებულებს აღარ დაუყოვნებიათ, ზედ გადაახტნენ და ახ-  
ლა ამ ორი მთვრალის ღრიანცელს გადაეყრუებინა აყროლე-  
ბული და მიხვეულ-მოხვეული ქუჩაბანდები.

თქმა არ უნდა, გაღეშილებს ჭკუა აღარ ეკითხებოდათ,  
თორემ ბარბაცით მიმავალნი იქვე გაშეშდებოდნენ იმ საში-  
ნელი სურათის მნახველები. ჰაერი ცივი და ნესტიანი იყო,  
ამოყრილი ქვაფენილი უთავბოლოდ ეყარა გადაბარდნილ ბა-  
ლახში, კოჭებსა და მუხლებზე რომ ედებოდა გამვლელს.  
სასვლების ნანგრევებს აევსო ქუჩები. ყოველივე გაემსჭვალა  
მყრალ და მომწამლავ მძაფრ სუნს. ნისლიანი და გახრწნილი  
ჰაერით წარმოქმნილი შესაზარი მქრქალი ნათელი შუაღამი-  
თაც კი ეფინებოდა გზებს, გასასვლელებსა თუ უსარკმლებო  
საცხოვრებლებში ღამეულ მძარცვავეთა გამოშპალ ნეშტო  
სწორედ თარეშის დროს მოეშთო ისინი ჟამის მსახვრალ  
ხელს.

მაგრამ რაღა უნდა წარმოედგინათ, რაღა უნდა ეგრძნოთ,

რას უნდა შეეჩერებინა ეს ორი ისედაც თავშეხელაღებული კაცი მაშინ, როცა „ჩასაცეცხლებლით“ ჩაბუჭებულიებს დიდი გული გასდომოდათ და შეძლებისდაგვარად პირდაპირ უშიშრად მიბანცალებდნენ სწორედ პირაშკმული სიკვდილის ხახაში. პირქუში წოპე წინ, სულ წინ მიბობდა, მისი ღრიალის კაემნიან-საზვიემო ექოს ისე მოეცვა იქაურობა, ვითარცა ველი საომრად გასული ინდიელების კიჟინას; წინ, სულ წინ მიგორავდა დაგვალული პიუ ბრეზენტი, ჩამოკიდებული თავისი ასწრაფებული ამხანაგის ქურთუკს და სტენტორული<sup>1</sup> ფილტვების სიღრმიდან ამოსდიოდა ისეთი ძალუმი in basso<sup>1</sup>, ხარისებრი ბლავილი, რომ გუგუნი მისი კიდევაც სჯობდა წოპეს ვოკალურ ხელოვნებას.

სწორედ ახლა მიატანეს, როგორც ჩანს, ჟამის საუფლის შუაგულს. ყოველ ნაბიჯზე სულ უფრო მყრალი და სულ უფრო ამაზრზენი ხდებოდა არემიდამო, სავალი კი — სულ უფრო ვიწრო და სულ უფრო მიხვეულ-მოხვეული. ვეებერთელა ქვები და ძელები ყოველ წუთს სწყდებოდა გამომპალ სახურავებს და ისეთი გულისგამხეთქი შხუილით ეშვებოდა დაბლა, ნათელი იყო, რა უზარმაზარი სახლები იდგა გარშემო; ძლივ-ძლივობით რომ მიიკვლევდნენ გზას აუარება ნანგრევ-ნამუსრევში, მათი ხელი ხშირად წაეპოტინებოდა ხოლმე ჩონჩხს ან უკვე საკმაოდ შემპალ გვამს.

უცებ ერთი მაღალი შემზარავი სახლის შესასვლელს მიადგნენ მეზღვაურები. კიდევ უფრო შეღრიალა მთლად წამონთებულმა წოპემ და პასუხად შიგნიდან მაღიმალ მიყოლებით მოისმა სიცილის მსგავსი ზარდამცემი ეშმასეული ხორხოცი და ხითხითი. წარბიც არ შეუხრიათ, თუმცა სხვებს, ნაკლებად წამოგზნებულებს, შიშით გულს გაუხეთქავდათ ასეთი ხმა ასეთ ყოფასა და ასეთ დროს. გამობრუჟული წყვილი მიაწყდა კარს, შეგლიჯეს და შეცვივდნენ ტორტმანითა და გინება-გინებით.

მეკუბოვისას შემოჭრილიყვნენ თურმე: მაგრამ ოთახის კუთხეში, შემოსასვლელის ახლოს, იატაკის ღიად დარჩენილი ჩასასვლელიდან მოჩანდა მრავალი ღვინის სარდაფი, რო-

<sup>1</sup> ბასი.

მელთა სიღრმიდან ხანდახან მოისმოდა ბოთლიდან ამოვარ-  
დნილი საცობის ხმა, რაც მოწმობდა, სავსე უნდა ყოფილიყო  
იქაურობა სასმელ-დასალევით. მაგიდა იდგა ოთასის შუა-  
გულში, მაგიდის შუაში კი — ვეებერთელა ბადია, პუნში ჩა-  
ესხათ იმაში, როგორც ჩანს. ბოთლები ელაგა ნაირ-ნაირი  
ღვინითა და სასმელით, უხვად დაეწყით რაგინდარა ზომისა  
და ფორმის ხელადები, დოქები და სურები, გარშემო, საკუბო-  
ვე სამუფებზე, ექვსნი ჩამომსხდარიყვნენ, რომელთაგან თი-  
თოეულის აღწერას შევეცდები.

კარის პირდაპირ, სუფრისმტეებზე მცირეოდნავ უფრო მო-  
მალლოდ, წამომჯდარიყო კაცი, როგორც ჩანს, სუფრის თამა-  
და. ისეთი გამსდარი და მალალი იყო, სახტადაც დარჩა მისი  
მნახველი წოპე, მასზე უფრო გამვალტყავებული რომ იხილა  
ვიღაც. ზაფრანისფრად ჩაყვითლებოდა სახე, მაგრამ მხოლოდ  
ამით არ გამოირჩეოდა, სხვა ნიშანი ჰქონდა გამოწველილვით  
აღწერის ღირსი — არაჩვეულებრივი მალალი და მახინჯი შუბ-  
ლი, თითქოსდა თავზე ეკოსა ჩაჩი თუ გვირგვინი ხორცისა,  
შემადრწუნებელი თავაზიანობის ღიმილი მორეოდა მის მოღ-  
რეცილ ტუჩ-პირს, თავისივე თანამესუფრეთა მსგავსად თავში  
ღვინო-არაყ ავარდნილს თვალები დაბინდოდა. თავით ფე-  
ხამდე ეს ჯენტლმენი ესპანური მოსასხამის დარ მდიდრუ-  
ლად მოქარგულ საკუბოვე ხავერდის შესამოსელში გახვეუ-  
ლიყო, მისი კალთები უწესრიგოდ, კეც-კეცად ჩამოშლილიყო  
დაბლა. საკატაფალკე შავფერ ფრთებს დაემშვენებინა მისი  
თავი, რომელსაც ღრმადმხედი და უდარდელი კაცის იერით  
ატრიალებდა, მარჯვენა ხელში ადამიანის ბარძაყის ვეება  
ძვალი მოემარჯვებინა და მაგიდაზე აბრახუნებდა, როგორც  
ჩანს, იქ მყოფთაგანს ვიღაცას ხეთქა ეს წუთია, იმღერეთ.

ზურგით კარისკენ, იმ კაცის მოპირდაპირე მხარეს, ერთი  
ქალბატონი იჯდა, ისიც ასევე უჩვეულო გარეგნობისა. თუმცა  
სიმაღლე ზემოთ აღწერილი პიროვნებისა ჰქონდა, მაგრამ  
სიგამსდრეს არ უჩიოდა ნამდვილად. წყალმანკი საბოლოოდ  
მორეოდა ამ ქალს: ტანთ ოქტომბრის ლუდის იმ დიდ კასრს  
დამსგავსებოდა, იქვე, მის სიახლოვეს თავანდილი რომ იდგა  
კუთხეში. მთლად დამრგვალებოდა წითელი და ლოყებდასიე-  
ბული სახე; იმ კაცის მსგავსად უცნაური ეთქმოდა მის სახე-

საც, უფრო სწორად, ერთი რამით იყო უცნაური — ხსენებული გარემოება თამადის აღწერის დროსაც გითხარით — მისი სახის ერთი ნაკვთი იმდენად იყო თვალსაჩინო, არ შეიძლება არ ავიწეროთ; მახვილი თვალის მქონე ბრეზენტმა იმავე წამს შენიშნა, რაღაცით გამოირჩეოდა ყოველი მათგანი, თითქოსდა თითოეულის ერთპიროვნული საკუთრება გამსდარიყო ერთი გარკვეული ნაკვთი სახისა. ღირსშესანიშნავი ტუჩ-პირი ჰქონდა ამ ქალბატონს, მარჯვენა ყურიდან თავზარდამცემი უფსკრულივით გადაჭიმულიყო მარცხენა ყურამდე და რხევისას სულ მუდამ შიგ ეკარგებოდა ხოლმე პატარა საყურეები. ძალიან კი ცდილობდა სულ პირდამუწული ყოფილიყო და ღირსეულად დაეჭირა თავი, რადგან თითქმის ნიკაპამდე სწვდებოდა ფურჩალებით გაწყობილი ახალგახამებული და გაუთოებული კაბა.

ციდამიტკაველა ახალგაზრდა ქალბატონი იჯდა მის გვერდით, ხელმარჯვნივ და, როგორც ჩანს, ეს ქალი მეურვეობდა მას. გაჩხინკული თითები უკანკალებდა ამ პატარა, ნაზ არსებას, მკვდრისფერი დასდებოდა იმის ტუჩებს, ფერმკრთალი სახე ავადმყოფურად დაფორეჯებოდა, უთუოდ ჩქარი ჭლეკი სჭირდა, მთელი მისი მიხრა-მოსრა ჭეშმარიტ haut ton-ს<sup>1</sup> მოწმობდა, მოხდენილად და degagee<sup>2</sup> გახვეულიყო მშვენიერი ინდური ბატისტის ვეებერთელა სუდარაში, ყელამდე სცემდა კულულები; ნარნარი ღიმილი დასთამაშებდა ბაგეპირზე, ცხვირი კი ჰქონდა მეტისმეტად გრძელი, წვრილი, მოძრავი, მუწუკებიანი და ქვედა ტუჩზე უფრო დაბლა ჩამოშვებული; მიუხედავად იმისა, რომ ამ ცხვირს ხან იქით გადაიგდებდა კოსტად ენით და ხან აქეთ, მაინც ორაზროვან იერს ანიჭებდა იგი მის სახეს.

მარცხნივ, მის პირდაპირ, იმ წყალმანკიანი ქალბატონას გვერდით ჩია ტანის ჩასუქებულ, ნიკრისის ქარებით გატანჯულ მოხუც კაცს ქოშინი ავარდნოდა, დიდზე დიდი ლოყები გადაედო მხრებზე, ვითარცა წითელი ღვინით სავსე ტიკუბა. მკერდზე ჯვარედინად დაეწყო ხელები, მაგიდაზე ჩამოედო

---

1 მაღალი საზოგადოების ტონი (ფრანგ.).

2 თავისუფლად (ფრანგ.).

ცალი შეხვეული ფესი. თავის თავზე რაღაც დიდი წარმოდგენისა უნდა ყოფილიყო, როგორც ჩანს, ძალიან ამაყობდა კიდევაც თავისი ტან-ფეხით, მაგრამ განსაკუთრებით ჭრელაჭრული ხიფთნით მოჰქონდა თავი. მართლაც ცოტა ფული არ დაჯდომოდა ეს ჩასაცმელი, კარგადაც მორგებოდა ტანზე, საკვირველად გაეწყობოდა აბრეშუმით, რომელზეც გერბიანი ფარები დაექარგათ, ინგლისში და სხვაგანაც ჩვეულებრივ დიდგვაროვანთა სასახლეზე თვალსაჩინო ადგილას გადმოჰკიდებენ ხოლმე გლოვის ნიშნად ასეთ ქამსას.

ამ კაცთან, თამადის მარჯვნივ, იჯდა ჯენტლმენი გრძელ, თეთრი ფერის წინდებსა და ბამბის ქვედა საცვალში. თავით ფეხამდე სასაცილო თახთახი მორეოდა და ბრეზენტმა ასე თქვა, „შიშის ციება აქვს“. ახალგაპარსულ პირსა და ნიკაპზე მაგრად შემოეჭირათ მისთვის მარამშის სახვევი; მაჯებიც ასევე გაეკოჭათ და მკლავებიც ისე გაეკავებინათ, სასმელს ველარ მიწვდებოდა სუფრაზე; წოპეს აზრით, წინდახედულადაც მოქცეულიყვნენ, მოურჯულებელი ლოთი რომ იყო, კიდევაც ეტყობოდა სახეზე. გრძელი ყურები კი რითი უნდა დაეჭირათ და ჰქონდა ასე, დარბაზის ჭერისკენ აცქვეტილი ბოთლიდან ამოვარდნილი საცობის ყოველ ხმაურზე.

მის პირდაპირ იყო მეექვსე და უკანასკნელი, ერთი უცნაური, სარგადაყლაპულივით გაშეშებული დამბლადაცემული კაცი და, მართალი თუ გნებავთ, ძალზე ცუდად უნდა ეგრძნო თავი, ისე უჩვეულოდ შემოსილიყო ახალთახალი და კარგი ნახელავი წითელი სის კუბოთი. კუბოს გარდიგარდმო კედელი თავის მხარისა ქუდივით ჰქონდა ჩამოხურული და ენით აუწერელი იერი მიეცა მისი სახისთვის; გვერდებზე ხვრელები ამოეჭრათ ხელების გასაყრელად, ოღონდ სილამაზისათვის კი არა, უფრო მოსახერხებელი რომ ყოფილიყო; მაგრამ ასეთი სამოსლით მორთული, სხვა თანამესუფრეთა მსგავსად სწორად ველარ დაჯდებოდა; ორმოცდახუთი გრადუსით გაწოლილიყო საკუბოვე სამფეხზე, დიდრონი, გადმოკარკლული თვალების შემზარავი თეთრონი ჭერისთვის მიეპყრო და თავადაც შეჩქვიფებულიყო ამ თეთრონის სიდიდით.

თავის ქალა ედგა ყოველ მათგანს სასმისად. რგოლში გაყრილ და ჭერში ამაველ თოკზე, მათ ზემოთ, ადამიანის ჩონჩხი

ჩამოკონწიალებულიყო ცალი ფეხით, მეორე კი სწორი კუთხით გასდევდა ჩონჩხის ტანს, ამ დარბაზში ორპირი ქარის ყოველ დაბერვაზე ჩხარანხური რომ გაჰქონდა და ყველა მიმართულებით დაქანაობდა. საოცრად გუზგუზებდა მის თავის ქალაში ნაკვერჩხლები და მთელ ამ სცენას აცივლივებდა ბრკიალა ნათელით; კუბოები და მეკუბოვის სხვა საქონელი აწოწოლავეებული ეყარა ყველგან, სარკმლებთანაც, და სანათლის ერთი სხივიც კი არ გადიოდა გარეთ.

ამ უცხო სანახავი თავყრილობის, უფრო კი ამ უცხო სანახავი მორთულ-მოკაზმულობის წინარე ჩვენი ორი მეზღვაური ვერ მოიქცა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო აქ შემოსულთაგან. წოპე იქვე, იმ კედელს მიყრდნობოდა, სადაც გაჩერებულიყო, ქვედა ტუჩი მთლად ჩამოეცდო, თვალები გადმოეკარკლა; ჰიუ ბრეზენტი წახრილიყო და ცხვირით მაგიდას პირს გასწორებოდა, მუსლებზე ხელებს იტყაპუნებდა და ასეა უადგილო ადგილას აეტეხა გაუთავებელი და გამაყრუებელი ხორხოც-ხარხარი.

მცირეოდნავაც არ წყენი ასეთი აშკარა სიბრიყვე ტანაწოწილ თამადას, ნატიფი თავაზიანობით გაუღიმა მომხდურებს, მედიდურად დაუქნია შავი ფრთებით შელამაზებულს თავი, წამოდგა, თითოეულს ხელი მოხვია და მიიყვანა დასაჯდომთან, მოწიწებით რომ მოართვა ერთ-ერთმა დამხვდომმა. წინააღმდეგობის გაუწევლად დაჯდა წოპე იქ, სადაც მიუთითეს; ღირსეულმა ჰიუმ თავისი საკუბოვე სამფეხა სუფრის თავიდან წამოიღო და მეტად გამხიარულებული მიუჩონდა სუდარამოსხმულ პატარა ქალბატონს, წითელი ღვინით შეივსო თავის ქალა, თქვა, ჩვენი სულ ახლო გაცნობისა იყოსო, და გადაკრა. რისხვით წამოანთო მისმა ასეთმა სითამამემ სარგადაყლაპულივით კუბოში გაშეშებული კაცი. ცუდი ამბავი მოჰყვებოდა უთუოდ ამას, მაგრამ თამადამ მიიპყრო თანამესუფრეთა ყურადღება.

— ჩვენი ვალაია ამ ბედნიერი შემთხვევისა გამო...

— ჰეი, მანდ! — გააწყვეტინა წოპემ, მეტად შეფიქრიანებული რომ ჩანდა, — ჰეი, მანდ-მეთქი! მე თქვენ გეუბნებისო, სატანას კერძებო, ვინ ხართ და აქ რას აკეთებთ, ეშმაკებით გამოწყობილხართ და მიირთმევთ ამ კარგ საჭმელ-

სასმელს, ზამთრისთვის რომ გადაუნახავს უილ უიბლს, ჩემს პატივცემულ ზღვის მეგობარს, აწ მეკუბოვეს!

მაგიდიდან წამოცვენა უნდოდათ ასეთი აშკარა სიბრიყვის მხილველთ, და მოისმა ისევ ისეთივე მალიმალ მიყოლებული ზარდამცემი ეშმასეული ჭყვილი, ჩვენი ორი მეზღვაურის ყურადღება რომ მიიპყრო ამ ცოტა ხნის წინ. მაგრამ პირველად თამადა მოვიდა გონს, თავდაოკებითა და დიდი ღირსებით ასე მიმართა წოპეს:

— დიდი სიამოვნებით დავაკმაყოფილებთ ესოდენ გამოჩენილი, თუმცა კი დაუპატიჟებელი სტუმრების მისატყვებელ ცნობისმოყვარეობას. უნდა იცოდეთ, ხელმწიფე გახლავარ ამ ქვეყნის და ერთობიროვნულად ვმართავ სახელითა „მეფე ჟამი პირველი“. დარბაზი ეს, უთუოდ უეცობისა გამო, უილ უიბლის, მეკუბავის დუქანი რომ გგონიათ, თუმცა კი არ ვიცნობთ მას და ამ ღამემდის მის მდაბიურ სახელს არ შეუბღალავს ჩვენი მეფური ყურთასმენა, ჩვენი სასახლის სეფე-დარბაზი გახლავთ და აქ ვბჭობთ სახელმწიფო საქმეებსა თუ სხვა წმინდა ამადლებულ მიზნებზე. მირონცხებული დედოფალი ჟამია ჩემ პირდაპირ მჯდომარე ბანოვანი. სხვები კი, თქვენ რომ ხედავთ, მეტად საჩინონი, ჩვენი გვარისაა სუყველანი, ქვემოთ მოყვანილი წოდებანი ადასტურებს მათ მეფურ სისხლს — მისი ბრწყინვალეობა ერცჰერცოგი ჟამოსანი; მისი ბრწყინვალეობა ჰერცოგი ჟამიანი; მისი ბრწყინვალეობა ჰერცოგი ჟამთაგანი; მისი უმაღლესობა ერცჰერცოგის მეუღლე ქალბატონი ჟამისიმედი.

— ხოლო, — ასე განაგრძო, — კითხვაზე, თუ რადა ვსხედვართ და რასა ვბჭობთ, გვაპატიეთ, და უნდა გითხრათ, რომ მსოლოდ და მსოლოდ ჩვენი საკუთარი სამეფო საქმეებია და ჩვენ გარდა ამას არავისთვის არა აქვს რაიმე მნიშვნელობა. მაგრამ თქვენ, ჩვენს უცხო სტუმრებს უფლება გაქვთ და ჩვენ შემდგომ ამისა აგისხნით, თუ რად შევიყარენით აქ, ამალამ: ღრმად, გამოწვლილვით უნდა შევისწავლოთ და სრულიად განვსაზღვროთ აგრე ძნელად დასადგენი უცნაური თვისება და გემო. ჩვენი სასახლის ფასდაუდებელი საუნჯის, ჩვენი დიდებული სატახტო ქალაქის ღვინოების, არყებისა და სხვა ამდაგვარი სასმელებისა, ოღონდ ამის მქმნელთ ჩვენ სურ-

ვილი არ გვაშოქრავებს, უფრორე კეთილდღეობა გვინდა იმ არამიწიერი მეუფისა, რომლის ხელთა ვართ ჩვენ და რომლის საბრძანებელი უსაზღვრაა, მისი სახელია — „სიკვდილი“.

— მისი სახელია დევი ჯონსი! — შესძახა ბრეზენტმა, თან გვერდით მჯდომარე ქალბატონს თავის ქალაში საუსხა ღვიწო და თავისთვისაც დაისხა.

— ღვთისმგებელს მონავ! — ასე მიმართა თამადამ ღირსეულ ჰიუსს, — არამზადავ, წყეულს, აკი გითხარით, თუმცა გარეწარი ბრძანდები, მაინც კი გაქვს უფლება, რომლის ხელყოფა არა გვსურს და კიდევაც გეცით პატივი და გიპასუხებ შენს ბრიყვულ და ჭკუამიუტანებელ შეკითხვებზე. და მიუხედავად ამისა, ჩვენს საბჭოში ასეთი მკრეხელური შემოჭრისათვის მოვალენი ვართ დაგსაჯოთ შენ და შენი ამხანაგი, თითოეულმა უნდა დალიოთ ერთი გალონი „შავი სახრე“, ჩვენი სამეფოს სადღეგრძელო უნდა შესვათ, დანოქილებმა უნდა გადაკრათ და მერე გნებავთ წაბრძანდით, ნახეთ თქვენი გზა, გნებავთ აქ დარჩით ჩვენს სუფრაზე, როგორც გნებავდეთ, ისე მოილხინეთ.

— არაფრის დიდებით, — უპასუხა წოპემ. მეფე უამი პირველის თავდაჯერებულობისა და ღირსების მხილველი, როგორც ჩანს, მოწიწების რაღაც გრძნობამ მოიცივა, წამოდგა და, რაკილა მაგრად ვერ იდგა ფეხზე, მაგიდას ჩაეჭიდა, — თქვენი უდიდებულესობის ნებართვით მინდა მოგახსენოთ, არაფრის დიდებით არ შემეძლია, თქვენმა უდიდებულესობამ რომ მოიხსენია, იმ სასმელის მეოთხედიც ჩავუშვა ტრიუმში. იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, რაც ბალასტის სახით მივიღეთ ამ დილით, ისიც თუ არ დაგვაფიწყდება, რაც ამ საღამოს სხვადასხვა გემთსაყუდარში მყოფნი არაყითა და არაყიანი სასმელებით დავიტვირთეთ, ისედაც სავსენი ვართ „ჩასაცეცხლებლით“, იქ, „დარდიმანდი მეზღვაურისას“ რომ გეახელით და კიდევაც სრულიად გადავიხადეთ მისი საზღაური. თუ შეიძლება, თქვენმა უდიდებულესობამ ნათქვამი ქმნილად ჩათვალოს, რადგან ერთ წვეთსაც ველარ დავლევ, მით უმეტეს ამ

---

<sup>1</sup> ასე ეძახიან ინგლისელი მეზღვაურები ზღვის ეშმას.





სიტყვა გააწყვეტინეს, სული აღარ მოათქმევინეს, გიჟუა ტიმის სახელი გაიგონეს თუ არა, მთელი ეს შეკრებილობა ფეხზე დადგა.

— ღალატია! — დაიღრიალა მისმა უდიდებულესობამ მეფე ჟამმა პირველმა,

— ღალატია! — თქვა ნიკრისისქარებიანმა კაცმა.

— ღალატია! — დაიჭყვივლა ერცპერცოგის მეუღლე ჟამისი-მედმა.

— ღალატია! — ჩაიდუდუნა ყბააკრულმა ვაჟბატონმა.

— ღალატია! — ამოიძახა კაცმა კუბოდან.

— ღალატია! ღალატია! — ამოთქვა მისმა უდიდებულესობა პირდიდმა დედოფალმა, სტაცა ხელი უკან შარვალში უბედურ ბრეზენტს, თავისთვის რომ არაყს ისხამდა, ზევით ასწია და ასე, არც აცივა, არც აცხელა, პირდაპირ საყვარელი დასაღევით სავსე ვეებერთელა თავლია კასრში გადაუძახა. ვითარცა ვაშლმა პუნშიან თასში, რამდენსამე ხანს იყურყუმელავა იქ და ბოლოს ჩანთქა ქაფმორეულმა მორევმა, ისედაც დულდა ეს სასმელი და ბრეზენტის ჭყუმპალაობისაგან კიდევ უფრო მეტად აქაფქაფდა.

მაგრამ ტანაწოწილი მეზღვაური არ შეგუებია თავისი ამხანაგის მარცხს. თავლია სარდაფში ჩააგდო ლომგულმა წოქემ მეფე ჟამი, ერთი შეუკურთხა, სარდაფის კარი ჩარაზა და ოთასის შუაგულში გადმოალაჯა. ჩამოგლიჯა მაგიდაზე ჩამოკონწიალებული ჩონჩხი და ისეთი ძალითა და მონდომებით დაუწყო ქნევა. ვიდრე დარბაზში უკანასკნელი სანთელი დაინთქმებოდა, ტვინი დაანთხევია ჩია ტანის ნიკრისისქარებიან მოხუც კაცს, მერე ოქტომბრის ლუდითა და ჰიუ ბრეზენტით ავსებულ კასრს დაეტაკა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, და იმავე წამს გადმოამზღვრია, გადმოაგორა. სასმელის ნიაღვარმა იხუვლა, გადმოინთქა შმაგად, ლაწლაწით, კედლიდან კედლამდე დაძირა მთელი დარბაზი, გადმოატრიალა გაძეძვილი მაგიდა, წამოაქცია სამფეხები, პუნშიანი თასი ბუხარში შეისროლა, ისტერიკა დამართა ქალებს. ტივტივი დაიწყო მთელმა სამგლოვიართ მოწყობილობამ. დოქები, სურები და ჯამები აიღუფხა ერთმანეთში, აწოწოლავდა, დიდი მოწნული ბოცები ბოთლებთან ერთად ჩაიმსხვრა. ცაცხანატანილი კაცი იქვე

დაიხრჩო; პატარა წელგაშეშებული ჯენტლმენი თავისი კუბოთითურთ სადღაც გაცურდა; გამარჯვებულმა წოპემ წელზე მოხვია ხელი სუდარაში. გახვეულ ფაშფაშა ქალბატონს და ქუნაში გამოიტაცა, გამოიქცა „გულმხიარულისაკენ“. შეუპოვარი ჰიუ ბრეზენტი სამჯერ თუ ოთხჯერ დაცემინების შემდეგ იალქნებაშვებული უკან მოსდევდა, მოიხვნეშოდა, მოქოშინობდა, თან მოჰყავდა ერთჰერცოგის მეუღლე ჟამისიმედი.

## სუნთქვაშეშებული კაცის ამბავი

(ეს მოთხრობა „გლავუდისათვის“ არ არის, მაგრამ არც იპიდანაა მოყვანილი)

პოი, ნუ სუნთქავ და ა. შ.  
მურის „მელოდიები,

თუნდაც უმწარესი იყოს ბედშაობა, მაინც სსლევს მას ფილოსოფიის წარუვალი სიმსნევე — სწორედ ისე, როგორც გატყდება მტრის გაუთავებელი შემოტევებისაგან მიუვალი ციხესიმაგრე. სალმანასარს, ასეა ნათქვამი წმინდა ალექსმაში, სამი წელიწადი ჰქონდა ალყა შემორტყმული სამარიასთვის, დაბოლოს შეიჭრნენ კიდევაც ამ ქალაქში. სარდანაფალი — დიოდორეს ცნობით — მთელ შვიდ წელიწადს შეფარებულიყო ნინევიას, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა. ტროა კი ათი წლის მერე შეიმუსრა; ხოლო ქალაქმა აზოთმა, ასე აქვს აღწერილი არისტოსს, ამ ჯენტლმენს კი უნდა დაუჯეროთ, პსამეტიჰს განუხვნა თავისი კარიბჭე, შეუღეწავი რომ იყო საუკუნის მეოთხედზე მეტი.

\* \* \*

— ჰაი, შე ყიამყრალო! შე ალქაჯო! შე კუდიანო! — ვუთხარი მე ჩემს ცოლს ქორწინების მეორე დილას, — შე ჯოჯოხეთის მუგუზალო, გველის თვალო, საძულველო, ეშმას მიმღ-

გომო, ღმერთის მტერო, შე შმაგო, რეგვენო, შე... შე... — სო-  
და, აქ ფესის წვერებზე წაპოვიწიე, ყელში ვეტაკე, პირი ყურ-  
თან მივუტანე და უნდა შემემკო კიდევ ერთი აქამდე არგავო-  
ნილი მაგარი ეპითეტით, ხმამაღლა წარმოთქმული ეს სიტყვა  
გვამცნობდა მის სრულ არარობას, და უცებ, როგორ გავოც-  
დი და თავზარი დამეცა, როდესაც მივხვდი, სუნთქვა შემგუ-  
ბებოდა თურმე.

ეს გამოთქმა, „სუნთქვა შემეკრა“, „სუნთქვა შემეგუბა“ და  
ა. შ. სშირად გვესმის ხოლმე ჩვეულებრივი საუბრის დროს;  
მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ ეს საშინელი შემთხვევა, *bona  
tide*<sup>1</sup> გეუბნებით ამას, მართლაც მოხდებოდა. შეგიძლიათ  
წარმოიდგინოთ — თუკი საკმარისი ფანტაზიის უნარით სართ  
დაჯილდოებული — შეგიძლიათ წარმოიდგინოთ-მეთქი, მე გე-  
უბნებით, ჩემი გაკვირება, ჩემი შიშის ზარი და სასოწარკვე-  
თილება.

მაგრამ ჩემს კეთილ სულს არასოდეს მივუტოვებდვარ გა-  
საჭირში. მაშინაც კი, როდესაც გააღმასებული ვიყავი, საკუ-  
თარი ღირსების გრძნობა არ დამიკარგავს და *et le chemin  
des passions me conduit a la philosophie veritable*<sup>2</sup> — ვი-  
თარცა ამბობს ლორდი ედუარდი, „იულიას“ გმირი.

თუმცა იმწუთას ზუსტად ვერ მივხვდი, თუ რა დიდი გასა-  
ჭირი დამატყდა თავს, და მაინც, რაც არ უნდა მოხდეს, ვთქვო  
ჩემს გულში, ცოლს მანამ დავუმაღავ-მეთქი ამ ამბავს, სანამ  
ასე თუ ისე არ მივაკვლევ, რამდენად სამძიმოა შედეგი ამ  
ენითუთქმელი მარცხისა, და გააფთრებული და სახეშეშლილი  
კაცი იმწამსვე პირმღიმარი და თავაზიანი გავხდი, იმ ჩემს  
ქალბატონს ერთი ხელი ლოყაზე მივუთათუნე, მეორეზე ვა-  
კოცე, სიტყვაც არ დამიძრავს ამ დროს (ჰოი, როკაპო! არ შე-  
მეძლვ და იმიტომ), კი გაეოცებინა ეს ქალი ამ ჩემს ხუმრო-  
ბას, პა-დე-ზეფირი მივუცეკვე და ოთახიდან გამოვედი.

ჩემს საკუთარ ბუდუარში ჩაკეტული თავზარდაცემული  
ფიქრობდი იმაზე, თუ რა სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყ-  
ვეს გულფიცხობას — ცოცხალი კაცი მკვდარს ვიყავი დამს-

1 აქ: სრულიად გულწრფელად (ლათ.).

2 ვნების გზებს ქეშმარტ ფილოსოფიასთან მივუყვანივარ (ფრანგ.).

გავსებული, ანუ, მკვდარს ცოცხალისამებრ უნდა მეცხოვრა; წარმოუდგენელი რამ ხდებოდა ამ ჩვენს მიწაზე, სრულიად მშვიდი გახლდით, მაგრამ სუნთქვაშეგუბებული.

დიას! სუნთქვაშეგუბებული-მეთქი. მართალს გეუბნებიო, სუნთქვის უნარი სულ მთლად წართმეული მქონდა. თუნდაც ბეწვზე კიდებულიყო ჩემი სიცოცხლე, ბუმბულსაც ვერ ავაფრენდი, სარკესაც ვერ დავათრქლავდი მცირეოდნავ. ჩემს ბედს რა ვუთხრა! — ანწუხზე მაცვა ამ ფიქრმა, მაგრამ მერე კი ვიგრძენი გარკვეული შვება. შემოწმების შემდეგ მივხვდი, ლაპარაკის უნარი სრულიად არ დამიკარგავს თურმე; სწორედ ასე კი მეგონა მაშინ, როდესაც ჩემს ცოლთან საუბრის გაგრძელება ვეღარ შევძელი. ხოდა, თუ საჭირო იქნებოდა, რამე განსაცდელის ჟამს ხმას დავუწევდი და ჩვეულებრივი ხორხისმიერი ბგერებით ამოვთქვამდი სათქმელს; თუ დამჭირდებოდა, იმ ქალისთვისაც შევძლებდი ჩემი გრძნობების გადმოშლას, მართალია, ჰაერის ნაკადი დახშული მქონდა, მაგრამ ყელის კუნთების დაძაბვით ასე თუ ისე გავიდოდი ფონს.

სავარძელში ჩავჯექი და რამდენიმე ხანს ფიქრებს მივეცი თავი, რაღა თქმა უნდა, გასახარებელი რა ჰქონდა, რა შავად შეფერილი ფანტაზიები არ მომივიდა თავში ცრემლჩამომდინარ კაცს; ერთხელ ისიც კი გამიელვა, თავი უნდა მოვიკლა-მეთქი. მაგრამ ადამიანის სული ბიწიერების ნიშნითაა ცხებული და სულ მუდამ უარყოფს ნათელსა და ამწუთას მოსახდენს და ამჯობინებს შორეულსა და საეჭვოს. თვითმკვლელობის გაფიქრებაზე თავზარი დამეცა, ამაზე მეტი მხეცობა რა უნდა იყოს-მეთქი. ამ დროს კი აგერ ჩემ გვერდით, საგებელზე ჭრელი კატა კრუტუნებდა გაუთავებლივ, ხოლო მაგიდის ქვეშ ძაღლს გაება ქმუტუნნი და იმათაგან ყოველი მიჩვენებდა თავისი ფილტვების ძაღლს, და თითქოს დასცინოდა ჩემსას, ასე უღონოსა და გამოუსადეგარს.

ხან რაღაც იმედის და ხან შიშის ზარის მარწუხებში მოქცეულმა ბოლოს ცოლის ფეხის ხმა გავიგონე, კიბეზე ჩადიოდა იგი. როცა კი დავრწმუნდი, წავიდა-მეთქი, გულისფანტქალით დავბრუნდი იმ ადგილას, სადაც ეს მარცხი მომივიდა.

შიგნიდან ჩავიკეტე მაგრად კარი და კუთხე-კუნჭული არ

დამიტოვებია მოუჩხრეკავი. ხომ შეიძლება, ვფიქრობდი მე, რომელიღაც გადაკარგულ ადგილას სარდაფში ან ყუთში იყოს გადამალული ის, რასაც მე ვეძებ-მეთქი. იქნებ, ის ნაორ-თქლის დარი ან რაღაც რეალური რამ იყოს-მეთქი. მეტი წილი ფილოსოფოსებისა ჯერ კიდევ მეტად არაფილოსოფიურად განიხილავენ ფილოსოფიის მრავალ საკითხებს. მაგრამ უილიამ გოდვინი ასე ამბობს თავის „მანდევილში“ — „მრავალი უჩინარი საგანი არის რეალური“, და ყოველი მიხვდება, რომ სწორედ ასეთი ამბავი გადამხდა თავს. კი მინდა, განათლებულმა მკითხველმა კარგად აწონ-დაწონოს, სანამ იტყოდეს, ასეთი შემთხვევის შესაძლებლობა სრული აბსურდიაო. თუ გახსოვთ ანაქსაგორა ამტკიცებდა, თოვლი შავიაო, მეც ხშირად დავრწმუნებულვარ იმისი სიტყვების სიმართლეში.

დიდხანს და გულმოდგინედ განვაგრძობდი ჩემს კვლევა-ძიებას, მაგრამ ამ ჩემი გარჯისა და მეცადინეობის ჯილდოს ნუღარ იკითხავთ, კბილის პროთეზი, ერთი წყვილი ტურნიური, ჩასადგმელი თვალი და ჩემი ცოლისადმი გამოგზავნილი *billets-doux*<sup>1</sup> ბ-ნ მიდიჰეისა. კაცმა რომ თქვას, ჩემი ქალბატონის და ბ-ნ მ.-ს ურთიერთდამოკიდებულების ამ საბუთს დიდად არ შევუწუხებდევარ. ის გარემოება, რომ ქალბ-ონ სუნთქვაუქონოუს აღაფრთოვანებდა ჩემგან აგრე განსხვავებული პიროვნება, სრულიად ბუნებრივი და გარდუვალი ბოროტებაა. მე ვარ კაცი ჯანღონით სავსე და გაფიქვინებული, ეს ყველამ იცის, მაგრამ სიმალლე კი მაკლია. რაღა გასაკვირია, რომ ის ჩემი განჩინკული ნაცნობი, რომლის აწოწილი ტანი ყველას პირზე ეკერა, უფრო მოუვიდა თვალში ქალბ-ონ სუნთქვაუქონოუს. მაგრამ მოდით ზემოთქმულს დავუბრუნდეო.

ამაოდ დავშვერ-მეთქი, როგორც გითხარით. ყოველი კარადა, ყოველი სარდაფი, ყოველი კუთხე კუნჭული მოვჩხრიკე გულდასმით, მაგრამ ვერაფერს გავხდი. თუმცა ერთხელ იყო და კინაღამ არ გავიხარე, რომელიღაც საკაბე ყუთი რომ გავხსენი, შემთხვევით დამემტვრა გრანჟანისეული ბოთლი „მირონი მთავარანგელოზისა“; მშვენიერი სუნამოა, მინდა თქვენც შემოგთავაზოთ.

---

<sup>1</sup> სასიყვარულო ბარათი (ფრანგ.).

გულდამწვარი დავბრუნდი ჩემს ბუღუარში, უნდა მომეფიქრებინა ჩემი ცოლის ფხიზელი თვალისაგან თავის დაღწევის საშუალებანი და ყველაფერი მომემზადებინა საზღვარგარეთ გასამგზავრებლად, რაც უკვე გადაწყვეტილი მქონდა, იქ, უცხოეთში, სადაც არავინ მიცნობდა, კი შევძლებდი, მგონია, დამალვას ამ ჩემი ბედითი მარცხისა — მარცხისა-მეთქი, რომელსაც ბრბო უფრორე ეკიდება ზიზლით, ვიდრე მათხოვრობას; წესიერი, პატიოსანი და ბედნიერი ხალხი შეამჩნევს ამ ნაკლს და ჯავრით აყაყანდებინან. ბევრი ორჭოფობა არ დამიწვია. ჭკუა მე არ მაკლდა, მთლიანად ვისწავლე ზეპირად ტრაგედია „მეტამორა“, რაღაც ბედად გამახსენდა, რომ ამ დრამის თამაშის, ანუ, უფრო სწორად, იმისი მთავარი გმირის სიტყვის წარმოთქმის ხანს აღარ იყო საჭირო შეცვლა ხმის ტონებისა, რასაც, უკვე ვიცოდი, ველარც შევძლებდი, მთელი მონოლოგები, ძირითადად, უნდა წარმოთქმულიყო ყრუ, ერთფეროვანი ხორხისმიერი ხმით.

ერთხანს რომელიღაც ჭაობის პირას დავდიოდი სავარჯიშოდ, უკაცრიელი არ იყო ეს არემიდამო, არც დემოსტენესას ჰგავდა ჩემი ვარჯიში, საკუთარი გეგმის მიხედვით ვსწავლობდი მეტყველებას. და ასე ყოველმხრივ მომზადებულმა კაცმა ვიფიქრე, ჩემს ცოლს ჩავაგონებ, რომ უეცრად სასცენო ხელოვნების ტრფიალი შევიქენი. მშვენივრადაც მოვასერხე ეს ამბავი და იმის ყოველ შეკითხვაზე თუ რჩევაზე შემეძლო მეპასუხა თითქოსდა სამარიდან ამოძახილით, ბაყაყის ყიყინის მსგავსი ხმით, ჰოდა, ჩემი პასუხი იმ ტრაგედიის სიტყვები იყო; ყოველი ნაწყვეტი ამ პიესიდან, როგორც მე შევამჩნიე, ჩემდა სასიხარულოდ, ყოველნაირი საუბრის თემისათვის გამოდგებოდა. მაგრამ იმას კი ვერ ვიტყვით, რომ ჩემი ასეთი მეტყველება ჩვეულებრივი იყო, რადგან ამ დროს თვალების ტრიალი, კბილების კრაჭუნი, მუხლების კანკალი და ქუსლების ბაკუნი მიხდებოდა და სხვა ამდაგვარი ენით უთქმელი მიხრა-მოხრა სხეულისა, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილმა მსახიობებმა იციან, დაბოლოს კი ასეც თქვეს, გიყის პერანგი ხომ არ ჩავაცვათო, მაგრამ, მადლობა ღმერთს! ვერ მიხვდნენ, რაც მჭირდა, სუნთქვა რომ მქონდა შეკრული.

მერე ყველაფერი რომ მოვაგვარე, ავიკარი ჩემი გულა-ნა-

ბადი და დილაადრიანად ჩავექეი საფოსტო ფურგონში, რომელიც ქ. ...ს მიემართებოდა, წინა დღით კი ყველა ჩემს ნაცნობს ვუთხარი, საჩქარო საქმე მაქვს და ამ ქალაქში პირადად უნდა ჩავიდე-მეთქი.

ფურგონში ტევა არ იყო, მაგრამ სწორედ ახლასან ირიკრაჟა და ჩემ ირგვლივ მყოფთა სახეები ვერ გავარჩიე. ვილაც ორმა ბუმბერაზმა ჯენტლმენმა შუაში მომაქცია და ვედარც დავაღწიე იმათ თავი, მესაძემ კი, ვინც იმათზე უფრო მოსული იყო, შეწუხებისათვის პოდში მომიხადა, მთელ სიგრძეზე შემოდან დამაწვა, იმწუთასვე დაიძინა და კიდევაც ჩაახშო ჩემი ხორხისმიერი ხმიანი, ისეთი სვრინვა-ხრიალი ამოუშვა, რომ ფალარისის აღმუვლებულ ხარსაც კი სირცხვილით გააწითლებდა. საბედნიეროდ სუნთქვა მე არ შემეძლო და რალა დამახრჩობდა.

ქალაქის გარეუბანს რომ მივუახლოვდით, საკმაოდ ინათლა, ჩემი მწვალებელი წამოდგა და საყელო გაისწორა, მაღლობა მიტხრა, რა თავაზიანი კაცი ყოფილხარო. მაგრამ ჩემი უმოძრაობა რომ შენიშნა (ყველა სახსარი ამოვარდნილი მქონდა, თავი კი გვერდზე მოქცეული), შეშფოთდა; სხვა მგზავრებიც წამოყარა და მტკიცედ განაცხადა, ჩემი აზრით, ვილაცამ ამ ღამით საღსალამათი და ჭკუათამყოფელი კაცის სახით მკვდარი მგზავრი შემოგვანეჩაო; შემდეგ ადგა და თითი მარჯვენა თვალში ჩამკრა, რათა აღარავის შეპარვოდა ეჭვი იმის სიტყვების სიმართლეში.

მერე იმათაგან ყოველმა (ცხრანი იყვნენ) იფიქრა, ასეა საჭირო და ყურზე მომწიეს. ხოდა, ერთმა ახალგაზრდა ექიმმა პირთან თავისი ჯიბის დანა მომიტანა და დარწმუნდა, რომ აღარ ვსუნთქავდი, და უეჭველი გახდა ის, რაც თქვა იმ ჩემმა მდევარმა; ყველამ ერთხმად დაიძახა, ჩვენი მოლორება უნდათ და არამცთუ ახლა, მერეც არ ვიმგზავრებთო ამ მძორთან ერთად.

თქვეს და ქმნეს კიდევაც, „ყორანთან“ მომისროლეს (ასე ერქვა იმ ფუნდუკს, რომლის სიახლოვეს ჩავიარეთ), მეტი არც არაფერი გადამხდენია თავს, გარდა იმისა, რომ ფურგონის უკანა, მარცხენა ბორბალში ორივე სელი მომყვა და გადამემტკრა. კი უნდა მოვიხსენიო აქ ჩვენი მეფურგონე, რომ-



მელსაც არ დავიწყებია ის ჩემი ვეებერთელა ყუთი? ისე მარჯვედ გადმოისროლა, რომ, სამწუხაროდ, თავის ქალა ჩამიმსხვრია, ფრიად უჩვეულო და უცხო სანახავი გავხდი.

„ყორნის“ პატრონმა, სტუმართმოყვარე კაცმა კარგად მოჩსრიკა ის ყუთი და მისვდა, იქ იმდენი იყო, რომ საზღაური არ დაეკარგებოდა, კი ღირდა ჩემი გულისთვის ცოტათი თავის შეწუხება, თავის ნაცნობ ქირურგს მოუსმო და იმას გადამაბარა საზრუნავად ათი დოლარის ანგარიშთან ერთად.

ჩემმა მყიდველმა თავის ბინაზე გადამიყვანა და აღარ დაუხანებია, ოპერაციები გამიკეთა. მაგრამ ყურები რომ მომკვეთა, სიცოცხლის ნიშანწყალი შემინიშნა და მსახურს მეზობელი აფთიაქარი მოაყვანინა, ამას რას ვხედავ და რა ვქნათო. ნამდვილად ცოცხალი თუ ვიყავი და ეს მისი ეჭვი გამართლდებოდა, ამ შემთხვევისათვის მას დრო არ დაუკარგავს და მუცელი გამიჭრა, შიგნეულობის ნაწილი ამომიღო საკუთარი ანატომიური დაკვირვებისათვის.

აფთიაქარის აზრით, მე მართლაც მკვდარი ვიყავი. კი შევეცადე ამ აზრის უარყოფას, ვტლინკაობდი, ვიგრიხებოდი რაც ძალა და ღონე მქონდა, ვიკლაკნებოდი გააფთრებული, რადგან იმ ქირურგის დანამ გამომაცოცხლა გარკვეულწილად. მაგრამ ყველაფერი ეს ახალი გალვანური ბატარეის მოქმედებას მიაწერეს; იმ აფთიაქარმა, მართლაცდა მცოდნე კაცმა, რამდენიმე საყურადღებო ცდა ჩამიტარა და რაკილა მისი უშუალო მონაწილე მე გახლდით, რაღა იქმა უნდა, კარგადაც უნდა დავკვირვებოდი. მაგრამ საწყენს რა გამოუღევეს კაცს, თუმცა რამდენიმეჯერ ვცადე დალაპარაკება, მაგრამ იმდენად მოკლებული ვიყავი ამ უნარს, რომ სიტყვა ვერ დავძარი; მესმოდა, თუ როგორ გამოთქვებს რამდენიმე საკვირველი და წარმოდგენელი თეორია და ვერ შევძელი პასუხის გაცემა, სხვა დროს კი იმწუთასვე სულ ადვილად მოვახერხებდი ამ თეორიების უარყოფას ჰიპოკრატეს პათოლოგიის კარგად მცოდნე კაცი.

საბოლოო დასკვნის გამოტანა ვერ შეძლეს და ამიტომ ამ გულმოდგინე მკურნალებმა შემდგომი ცდებისათვის დამიტოვეს. სხვენში ამიტანეს, ქირურგის მეუღლემ შარვალი და წინდები მათხოვა, იმ დასტაქარმა კი ხელები შემიკრა, ცხვირსა-

ხოცით ყბა ამისვია, კარი გადამიკეტა და სადილზე წავიდა სასწრაფოდ. მე კი დავრჩი მარტოკა ამ მღუმარებაში და ფიქრებს მივეცი თავი.

ახლა კი, ძალიან გამიხარდა, როდესაც ვნახე, რომ ლაპარაკს შევძლებდი, ოღონდ ცხვირსა: ხოცით პირი მქონდა ახვეული და ეს მიშლიდა ხელს. ამ ფიქრით თავს ვიმშვიდებდი და ვიმეორებდი გულში სიტყვებს „უფლისა მეუფებიდან“ — სწორედ ასე ვიყავი მიჩვეული ძილის წინ — როდესაც ორი მსუნავი და ცოფმორეული კატა გამოსტყვრა რომელიღაც სვრელიდან, ახტდნენ და დახტნენ, დასცხეს 'a la Catalaní', სახეზე დამასხდნენ ერთმანეთის პირდაპირ და ასტყხეს დავიდარაბა სულ არაფრის, ჩემი ცხვირის გულისთვის.

ცნობილია, რომ ყურები გახდა საფუძველი მიგეგუშის, სპარსელი მოგვის, კიროსის ტახტზე აღზევებისა, ხოლო ძოფირის წარკვეთილი ცხვირი — ბაბილონის დაპყრობისა; სწორედ ასევე ჩემი სახიდან მცირეოდენი ნაწილის მოცილებამ სხეული გადამირჩინა. ტკივილმა გამაცეცხლა, გამამწარა, გავიწიე და იმავე წამს ჩემი შემბოჭავი თოკი გავწყვიტე. ერთი კი შევხედე ზიზლით იმ კატების წეწვა-გლეჯას, საარკმლის ჩარჩო მივლენე და ნეტავი გენახათ რა თავზარი დაეცათ და გული დასწყდათ, როდესაც მარჯვედ ვისკუპე.

სწორედ ამ დროს, ფოსტების მძარცველი ვ., ვისაც მე ძალიან ვგავდი, ქალაქის ციხიდან მოჰყავდათ, იქვე, გარეუბანში უნდა ჩამოეხრჩოთ. დიდხანს ავადმყოფობდა და მთლად ღონემისდილი გახლდათ, ამიტომ შეღავათი გაუწიეს და ბორკილი არ დაუდვიათ; სიკვდილმისჯილის სამოსლით იყო, მეც სულ იმისი მსგავსი მეცვა, ჯალათის დროვის ძირზე იწვა გაშვართული (იმ ქირურგის სახლის სარკმლების ქვემოთ ჩაატარეს და მეც მაშინ გადმოვხტი), მცველებად ჰყავდა მედროგე, რომელსაც ეძინა და ორი გამომთვრალი რეკრუტი, მეექვსე ფეხოსანი პოლკიდან.

ჩემს ბოროტ ბედისწერას სურდა ასე და მეც იმ დროგში ჩაგხტი. ვ.-მ კი, უჭკუო კაცი არ იყო, იმწუთას უშველა თავს, წამოხტა და დროგიდან იშვირა ფეხი, გაიქცა და მიიმალა.

---

1 კატალანისებურად (ფრანგ.).

ამ სმაურზე რეკრუტები წამოცვივდნენ, რა ხდებოდა. მაგრამ აქვე დაინახეს კაცი, ვინც სრულიად ჰგავდა მსჯავრდადებულს, დგას დროეში იმათ თვალწინ წელგამართული, ასე იფიქრეს, ამ არამზადას (ვ.-ს გულისხმობდნენ) გაქცევა უნდაო (სწორედ ასე თქვეს), ერთმანეთს გადაულაპარაკეს, მერე კიდევ ერთხელ გადაკრეს, ჩამცხეს მუშკეტის კონდახები და წამაქციეს.

ცოტა ხნის მერე მივედით დანიშნულებისამებრ, რასაკვირველია, თავს ველარ დავიცავდი, რაღა უნდა მეთქვა. თურმე ჩამოხრჩობა ყოფილა ჩემი ბედი. დავმორჩილდი კიდევაც, ამ დროს გონდასმულიც ვიყავი და გამწარებულიც; კინიკოსებისა მე არა მჯერა, მაგრამ ძაღლურ ხასიათზე კი განსლდით. ჯალათს არ დაუსანებია, მარყუჟში თავი გამაყოფია. ფესქვეშ გასსლტა რაღაც.

თავს ვიკავებ, არ მინდა აღწერა იმ გრძნობებისა, სახრჩობელაზე რომ განვიცადე. თუმცა კი, ნამდვილად, მე შემეძლია საუბარი იმ საგანზე, რომელიც აქამდე არც არავის აღუწერია სრულიად. მართლაცადა, ამ თემაზე ვინ რას იტყვის, ჩამოხრჩობილის გარდა. ყოველი ავტორი მხოლოდ თავისი ცდის ფარგლებში უნდა დარჩეს. მარკუს ანტონიუსს სწორედ ასე დაუწერია თხზულება სიმთვრალეზე.

მხოლოდ ეს უნდა გითხრათ, მე არ მოვმკვდარვარ. კი ჩამომკიდეს, მაგრამ სუნთქვა მე არ შემეძლო და რაღა უნდა მომსვლოდა. ოღონდ კვანძი (იმათი თოკისა) ჩემს მარცხენა ყურთან მომდიოდა და გავბედავ და ვიტყვი, სწორედ იმისაგან ვგრძნობდი სულ მცირეოდენ უსიამოვნებას. კისერი გვერდზე მქონდა მოქცეული, იმ მსუქანმა ჯენტლმენმა მიყო ასე ფურგონში, ხოდა, ახლა, ქვემოთ რომ მოვსხლტი, რაღაც ბიძგი ვიგრძენი და კისერი გამისწორდა.

რაღა თქმა უნდა, კი სჯობდა ჩემთვის, რომ აქ თავმოყრილი ბრბო ნასიამოვნები დარჩენილიყო ამ სანასაობით. იყვირეს კიდევაც, რა მშვენივრად იგრძნობოდა. დიდებულადაც ვიკრუნჩხებოდი, უკეთესს რას ნახავდა კაცი. ხალხი გაიძასოდა, „ბისო“, რამდენიმე ჯენტლმენმა გრძნობა დაკარგა, ბევრ ქალბატონს ისტერიკა მოუვიდა და სახლში წაიყვანეს. ვიღაც მიხატვარი ყოფილა აქ და იფიქრა, ასეთ კარგ სანასაობას კიდევ როდის ვნახავო და ჩანახატი გაუკეთებია თავისი ღირს-

შესანიშნავი სურათისთვის „მარსიას ცოცხლად ტყავს აძრობენ“.

კარგად რომ გული იჯერეს ამ გასართობით, ასე იფიქრეს, დროა ჩამოვსნათო სასრჩობელიდან, აუცილებელიც იყო, რადგან ამ დროს ნამდვილი დამნაშავე დაიჭირეს და კიდევ ც დაამტკიცეს მისი ვინაობა; სწორედ ასე მომხდარა, მაგრამ საუბედუროდ მე არაფერი ვიცოდი ამის შესახებ.

კარგადაც მომიხსენიეს, რასაკვირველია, რაღას იზამდნენ, და რაკი ჩემი გვარი არავინ მოიკითხა, დაადგინეს, საზოგადოებრივ საძველესში დავასაფლავოთო.

დაიცადეს, როგორც წესი და რიგია და დამკრძალებს. წავიდა მესაფლავე და მარტოდ დავრჩი. მერსტონის „კულნაკლულიდან“ ერთი სტრიქონი წამომავონდა:

„შენ გენაცვალე, სიკვდილო, არავის დაუჭერ ბინასო...“

და იმწუთას გამიელვა თავში, აშკარა სიცრუეა-მეთქი.

ხოდა, ავამტკრიე კუბოს სახურავი და მალლა ავედი. საშინლად სევდიანი და ნესტიანი იყო ეს არემიდამო და თავადაც ennu<sup>1</sup> მომერია. ვიფიქრე გულს გადავაყოლებ-მეთქი და ხეტიალი დავიწყე სწორად ჩამწკრივებულ კუბოებს შორის. ერთიმეორის მიყოლებით გადმოვიღე თითოეული, სახურავი წამოვწიე და ფიქრი დავიწყე მიცვალებულებზე.

— ეს კი, — წარმოვთქვი მე, ფეხი რომ წავკარი ვეებერთელა, ჩასორსლებულ-გაფიქვინებულ გვამს, — ეს კი, უეჭველია, იყო კაცი უბედური და სვეგამწარებული. შემზარავი რამ დამართნია, ჩვეულებრივი სიარული აღარ შეეძლო და დაბაჯბაჯებდა — ადამიანიშვილივით კი არ გაუვლია ეს ცხოვრება, სპილოსამებრ, კაცივით კი არა, მარტორქასამებრ.

სწორად გზაზე გავლას ამაოდ შეეცდებოდა, ერთ ადგილზე ტრიალი კი მარცხით მთავრდებოდა საბოლოოდ, პირდაპირ გადადგამდა ერთ ნაბიჯს და მისდა საჭებედუროდ ორჯერ მარჯვნივ გადააბიჯებდა, ხოლო სამჯერ — მარცხნივ. დაბოლოს ამ თავის მეცადინეობას კრახის პოეზიის შესწავლით გაასრულებდა. პირუეტის მშვენიერება არ იცოდა. აბსტრაქტული ცნება იყო მისთვის პა-დე-პაპილი-ნი. არც არასდროს ასულა

---

<sup>1</sup> მოწყენილობა (ფრაზ.).

გორაკის წვერზე. აღარც რომელიმე კოშკზე დამდგარა და არც უხილავს იქიდან დიდებული ხედი დედაქალაქისა. სიცხე იყო მისი სასტიკი მტერი. ქვეყანა რომ იწვოდა და ძაღლი<sup>6</sup> ენას გადმოაგდებდა, ძაღლური დღეები დაუდგებოდა იმასაც. სიზმრად ცეცხლის ალში ტრიალებდა, იგუდებოდა, მთაზე დანარცხებული მთა ეზმანებოდა, ქოშინი ატყდომოდა, მოკლედ რომ ვთქვათ, ქოშინი ატყდომოდა-მეთქი. სიშლეგე იყო მისი აზრით სასულე საკრავზე დაკვრა. მრავალნაირი თვით-მოძრავი მარაოს, საჩრდილობლის, ვენტტილატორის გამომგონებელი გახდა. დიდად სწყალობდა დიუპონს, სამჭედლო საბერველების მეწარმეს; დაბოლოს, ასე მომკვდარა საცოდავი, სიგარის მოწევა მოუნდომებია და გადაყოლია ამ ამბავს. ფრიად საყურადღებოა ჩემთვის ამ კაცის ბედი და, გულწრფელად მინდა გითხრაოთ, მომწონს კიდევაც.

— აი ეს კი, — ვთქვი მე, — აი ეს-მეთქი, — ბოროტად ჩავაცინე და მისი სამყოფოდან ამოვათრიე ვიღაც გაჩხინკული, მაღალ-მაღალი; რაღაც მენიშნა, თავში დამკრა იმის დამნახავს, ჩემი ნაცნობი უნდა ყოფილიყო თითქოს, არ მესიამოკნა, — აი ეს კი გარეწარი უნდა იყოს, საწყაალს რა მოსვლიაო, ამას ვერ ვიტყვი, — ვთქვი ასე და უფრო კარგად რომ დამენახა იგი, ცერა და საჩვენებელი თითები ცხვირზე წავავლე, წამოვაჯინე მიწაზე, ვათვალიერებდი გაშლილი ხელის სიშორიდან, მერე კი განვაგრძე ჩემი მონოლოგი.

— ვერ ვიტყვი, — გავიმეორე მე, — საწყაალს რა მოსვლია-მეთქი. მართლაცდა, ვის ეტკინება გული, ჩრდილზე როგორ უნდა შეწუხდეს კაცი! განა ამას მოკვდავთა ყოველგვარი სიკეთე არ მოუხვეჭავს? ცამდე აზიდული ძეგლები, საფანტის ჩამოსასხმელი კოშკები, მეხამრიდები, პირამიდული ალვის ხეები შეუქმნია მას. დაუწერია ტრაქტატი „ჩრდილები და შექჩრდილები“ და კიდევაც გამხდარა უკვდავების ბინადარი. ფრიად ნიჭიერად გადაუმუშავებია საუთის უკანასკნელი გამოცემა „ძეგლების შესახებ“. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როდესაც კოლეჯში შევიდა პნევმატიკის შესასწავლად. მერე შინ დაბრუნდა, არახუნდა მოშლილი წისქვილივით და თანაც ვალტორნაზე უკრავდა. სწყალობდა მესტირეებს. კაპიტანი ბერკლი, რომელიც დროებასაც კი გასჯიბრებოდა, მასთან

შეჯიბრებაზე უარს ამბობდა. მისი საყვარელი მწერლები იყვნენ ქარიშხვეტი და ქოშინოუ, ხოლო მისი საყვარელი მხატვარი — ფიზი. დიდებულად დაღუპულა, გაზი შეუსუსთქავს და ასე *levique flatu corrumpitur*<sup>1</sup>, ვითარცა *fama pudicitiae*<sup>2</sup>, როგორც უთქვამს იერონიმეს<sup>3</sup>. ხოდა ის უთუოდ იყო...

— რაებს ბედავთ? რა... რა... რაებს ბედავთ? — შემაწყვეტინა სიტყვა ამ ჩემი დატუქსვის საგანმა, ბოლმა ახრჩობდა, სასოწარკვეთილების მძვინვარებით მოიგლიჯა ყბიდან სახვევი, — რაებს ბედავთ-მეთქი, თქვენ, ბ-ნო სუნთქვაუქონოუ, რა ჯოჯოხეთის ცეცხლი დამინთეთ და აგრე უგვანოდ როგორ შეეხეთქე ჩემს ცხვირს? ნუთუ ვერ ხედავთ, რომ პირი ამიკრეს... თქვენ კი უნდა იცოდეთ — თუკი საერთოდ იცით რამე — რა ჭარბად სუნთქვა შემიძლია მე! და თუკი არ იცით, მაშინ დაჯექით და კარგად შემომხედეთ. ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის დიდი შვებაა პირის გახსნა, ლაპარაკის ჩამოგდება, საუბრის გამართვა თქვენნაირ პიროვნებასთან, ვისაც აზრად არ მოუვა თავში ერთხელაც გააწყვეტიოს ჯენტლმენს ძაფი მსჯელობისა. ამაზე უარესი რა შეიძლება მოხდეს და კიდევაც უნდა აიკრძალოს ეს ამბავი, თქვენ რას იტყვით?.. გთხოვთ ნურაფერს მიპასუხებთ... სრულიად საკმარისია სულ ერთმა ილაპარაკოს.. მოვა დრო და მე მოვრჩები, მერე კი შეგიძლიათ თქვენ დაიწყოთ... რა ეშმაკმა მოგიყვანათ, ჩემო ბატონო, აქ, ამ ადგილას?... სიტყვა არ დაძრათ, გვედრებით... თავად მე აქ რამდენიმე ხანი დავყავი... საშინელი ამბავი დამემართა.. მგონია თქვენც გაიგებდით... გულშემზარავი მარცხი მომივიდა.. მივდიოდი ჩემთვის თქვენი ფანჯრების ქვემოთ... დიდი ხანი არ არის გასული მას შემდეგ... სწორედ მაშინ გადაგრიათ სცენის სიყვარულმა... თავზარი დამეცა! — კი გავიგონიათ, „სუნთქვა წაერთვა ვილაცასო“... ხმა არ ამოი-

<sup>1</sup> სულ მალე გაცამტვერდება (ლათ.).

<sup>4</sup> ამბავი ქალის უბიწობისა... (ლათ.).

<sup>3</sup> *Tenera res in feminis fama pudicitiae est, et quasi flos pulcherrimus, cito ad levem marcessit auram, levique flatu corrumpitur maxime, etc.* — Hieronymus ad Salvinam (სათუთი რამაა უბიწობის კარგი სახელი და ვითარცა ყვავილი უმშვენიერესი ჭკნება ნიავისაგან, ჩქროლვისაგანაც კი ილუპება... იერონიმე სალვიამეს).

ლოთ, მე გეუბნებით!.. წამრთმევი მე ვარ!.. მე კი საკუთარიც ბევრი მქონდა ყოველთვის... იმ ქუჩის კუთხეში ლაილას შევხვდი... ხმა არ ამომალბებია... ბაგის გახსნაც არ დამანება... ხოდა, ეპილეფსიური შეტევა მომცა... ლაილაი გაიქცა... ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია იმ სულელს!.. ეგონათ, რომ მოვკვდი და აქ გამომამწყვდიეს... მშვენივრად მომექცნენ ყველანი!.. ყველაფერს გაიგებდით, რაც ჩემზე უთქვამთ.. არც ერთი სიტყვა არ არის მართალი... საშინელებაა!.. საოცრებაა!.. სისასტიკეა!.. საზიზღრობაა!.. წარმოუდგენელი ამბავია!.. et cetera... et cetera... et cetera... et cetera...<sup>1</sup>

სასტად დავრჩი ამ ანაზღეული მონოლოგის მოსმენისას; მერე და მერე გამისარდა კიდევაც, როდესაც მივხვდი, რა მარჯვედ, თუმცა კი მისდა უნებურად, წაურთმევია ჩემთვის სუნთქვა ამ ჯენტლმენს (მალე ვიციანი ვინც იყო, ჩემი მეზობელი მიდიჰეი გახლდათ) სწორედ მაშინ, ჩემს ცოლთან ბასით რომ ვიყავი გართული. დრო, ადგილი და სხვა გარემოებანიც ამაზე მეტყველებდნენ. მაგრამ მე მაინც არ გამიშვია ხელი ბ-ნ მ.-ს ხორთუმისათვის იმ ხანგრძლივი დროის მანძილზე, სანამ ეს ჩვენი პირამიდული ალვის ხეების გამომგონებელი ამ შესანიშნავ ასსნა-განმარტებას არ გაასრულებდა.

ყოველთვის ფრთხილი ვიყავი, იმთავითვე არ მაკლდა წინდახედულება. სწორედ ახლა ვფიქრობდი იმაზე, რომ თავის დასახსნელად მიმავალს ბევრი დაბრკოლების დაძლევა მომიხდებოდა. ჩემს გულში ვამბობდი, ხალსი იმის მიხედვით აფასებს თავის ქონებას — თუნდაც გროშ-კაპიკი ღირდეს იგი პატრონის თვალში და უსიამოვნების ან სულაც უბედურების სათავე იყოს მისთვის — თუ რა სარგებელს მოუტანს ეს საკუთრება სხვას მისი შეძენისას, ანუ, თავად მას, თავის ქონებას რომ შეელება. ხომ შეიძლება სწორედ ასე იფიქროს ბ-ნმა მიდიჰეიმ? დაინახავს, რომ მე გულითა და სულით მინდა იმის დაბრუნება, რასაც იგი დიდი სიამოვნებით მოიშორებდა თავიდან. და ვინ იცის, იქნებ, მაშინ ისე გადაუბრუნდეს ტვინი, რომ სიძუნწე გამოიჩინოს კიდევაც? ამქვეყნად რამდენი გარეწარია, ვფიქრობდი მე ხვნებით, ვინც იმწუთასავე გასწი-

<sup>1</sup> და ა. შ. და ა. შ.... (ლაო.).

რავს კაცს, თუნდაც თავის კარის მეზობელს (ეპიქტეტესი არ იყო) სწორედ მაშინ, როდესაც ხალხი გასაჭირისაგან თავის დახსნას ესწრაფის და ლამობს, იმას სულაც არა აქვს სურვილი ვინმეს შვება მიანიჭოს.

ასე და ამგვარად რომ ვფიქრობდი, მე ისევე მეჭონა ხელში ბ-ნ მ.-ის ცხვირი, სწორედ ზემორე მთევეანილი აზრებო ესაძირკვლებოდა ჩემს პასუხსაც.

— ურჩხულო! — მთლად განრისხებული კაცისა ჩანდა ჩემი სიტყვები, — ურჩხულო-მეთქი; და ორკეცად მქმინავო იდიოტო! შენ გეუბნები, აკი მოგეზლო კიდევაც შენი ცოდვებისათვის და ზეცამ დაგსაჯა ორმაგი სუნთქვით... შენ გეუბნებამეთქი, როგორ მიბედავ და ძველი ნაცნობივით შელაპარაკებო, თითქოსდა შენი ტოლი ვიყო? სცრუობო, ენას კბილი დააჭირეო! კიდევ რა ვინდა? მართლაცდა, რა კარვად ესაუბრებო ჩვეულებრივი სუნთქვის შემძლე ჯენტლმენსა ვისაც ძალუ სს გასაჭირისგან დაგისხნას და შვება მოგანიჭოს, შეგიმცირას აგრე ძლიერ მოჭარბებული, შენა გამაუბედურებული სუნთქვა.

ვოქვი ეს და ბრუტუსის დარად პასუხს დაველოდე, ჩანჩქერივით იხუვლა ბ-ნმა მიდიჰეიმ და იშწამსვე ჩავყვინთე იმის გაუთავებელი თავის მართლებისა და ბოდიშობის ნიაღვარში. ძნელია იმისი გადმოცემა, თუ რაებს მეუბნებოდა თავისი სრული თანხმობის ნიშნად და მეც აღარ დამიხსანებია, კარვადაც ვისარგებლე ამით.

წინასწარი მოლაპარაკება რომ გავასრულეთ, ამ ჩემმა ნაცნობმა სუნთქვა გადმომცა, რომლის შემდგომაც (გულდასმით რომ შევამოწმე) სელწერილით დავუდასტურე ეს ამბავი.

ვიცი, რომ ბევრი გამკიცხავს, ასე მოკლედ და ზერელედ როგორ გადმოუციაო ესოდენ უჩინარი საგანი. ვფიქრობ, იმასაც მისაყვედურებენ, გამოწვლილვით უნდა აღეწერაო რაც მოუვიდა და ასე — სრული სიმართლეცაა — ნათელი მოეფინებოდა ფრიად საყურადღებო განშტობას ნატურფილოსოფიისას.

ყოველივე ამას, კი ვწუხვარ, მაგრამ ვერ ვუპასუხებ. შემიძლია მხოლოდ რაღაც გადმოგიკრათ ამის თაობაზე. არის რაღაც გარემოებანი... და მგონია კი სჯობს რაც შეიძლება



ცოტა ვილაპარაკო ამ ამბავზე, რამე უხერხულობა რომ არ მოხდეს, უხერხულობა-მეთქი, რადგან ვაითუ ამ დროს ვილაც მესამემ შეურაცხყოფილად იგრძნოს თავი, მე კი იმისი გაცეცხლება, ამჟამად, ნამდვილად არ მინდა.

ამ ჩვენი ამბის მოგვარების შემდეგ საძვლეში რაღა გავაჩერებდა. ჩვენი აგრე ხელახლა მოპოვებული ხმები ერთად დავაქუხეთ და მალე აღმოგვაჩინეს. მაკრატელამ, ვიგების რედაქტორმა, გამოაქვეყნა ტრაქტატი „ბუნება და მიწისქვეშეთიდან ამომავალი ხმების შესახებ“. პასუხი ასეთი იყო — დაგმეს, უარყვეს და საბოლოოდ დაადასტურეს, ყველაფერი ეს დემოკრატების გაზეთის მეშვეობით მომხდარა. მაგრამ იქამდე გაგრძელებულა ეს დავა, სანამ ის საძვლე არ გახსნეს, სოდა, ბ-ნი მიდიჰეი და მე რომ გამოვჩნდით, ცხადი გახდა, სუყველანი ცდებოდნენ თურმე.

ყველაფერი წვრილად აღვწერე და მე არ შემიძლია ისე გავასრულო ჩემი, თავგადასავლებით ასე მდიდარი, ცხოვრების ღირსშესანიშნავი ამბავი, რომ მკითხველს არ ავუხსნა მადლი ყოვლისმომცველი ფილოსოფიისა, ამ მაგარი და შეუმუსრავი ფარისა, ჭირ-ვარამსა და უბედურებას რომ უძლებს; ბოროტებას კი რა გამოლევს ამქვეყნად, და ჩვენ არ შეგვიძლია დავინახოთ, ვიგრძნოთ, და ბოლომდე შევიცნოთ იგი. სულ მუდამ ხდებოდა გამოვლინება ამ ფილოსოფიის ბრძნული სულისა. ძველ იუდეველებსაც სომ სჯეროდათ, რომ ზეცის კარი უთუოდ განიხვნებოდა იმ ცოდვილთა თუ წმინდანთა წინაშე, ვისაც აქვთ საღი ფილტვები და მტკიცე რწმენა და აღმოთქვამენ ამ სიტყვას — „ამინ!“ მაშინაც მომხდარა გამოვლინება ამ ფილოსოფიის ბრძნული სულისა, როდესაც ათენში ჟამიანობა მძვინვარებდა და ამოდ დაშვრნენ, ვერასგზით ვერ მოიცილეს იგი, და ეპიმენიდემ, როგორც გვამცნობს ამ ფილოსოფოსის შესახებ ლაერტელი თავისი თხზულებების მეორე წიგნში, ასე ურჩია მოქალაქეებს, საკურთხეველი და ტაძარი აუგეთო „იმ ღვთაებას, ვისაც ჯერ არს“.

ლითლტონ ბერრი

## შეუცნობლის ანგელოზი

ეჟსტრაპანანსა

ნომბრის ცივი სადამო იყო. სწორედ ახლა დავამთავრე დიდად ნოყიერი სადილი, სუფრის დამამშვენებელ კერძებს შორის გეახელით აგრე მძიმე მოსანელებელი truffle<sup>1</sup> და მარტოდმარტო ვიჯექი სასადილო ოთახში, ფეხები ბუხრის რაკულებზე მქონდა შემოწყობილი, ხოლო იდაყვები იმ პატარა მაგიდაზე დამეწყო, ცეცხლთან რომ მოვიწონე; ის, რასაც შეიძლება დასაყოლებელი ვუწოდოთ, სწორედ ამ მაგიდაზე იყო რამდენიმე ღვინის, არყისა და ლიქიორის ბოთლს შორის. იმ დილიდანვე ვკითხულობდი გლოვერის „ლეონიდეს“, უიკლის „ეპიგონიადას“, ლამარტინის „მომლოცველობას“, ბარლოუს „კოლუმბიადას“, ტაკერმანის „სიცილიას“ და გრიზუოულდის „საოცრებანს“, და უნდა ვაღიარო, ცოტათი გამოვტყინდი კიდევაც. ლაფიტი გადავკარი ზედიზედ, იქნებ, მოვცოცხლდე-მეთქი, მაგრამ ამაოდ დავშვრი. ბოლოს სასოწარკვეთილმა ავიღე და გაზეთი გადავშალე. ყურადღებით ჩავიკითხე სვეტები „ქირავდება სახლი“ და „დაიკარგა ძაღლი“, მერე, ასევე, აღარ გამომიტოვებია ორი სვეტი გაქცეული ცოლებისა და შეგირდების შესახებ; მერე დიდი მონდომებით დავეტაკე მოწინავეს და თავიდან ბოლომდე გადავიკითხე ისე, რომ ერთ სიტყვასაც ვერ მივხვდი და გავიფიქრე, ჩინურად ხომ არ დაუწერიათ-მეთქი, კიდევ ერთხელ გადავიკითხე, არც დასაწყისი გამომიტოვებია და არც დასასრული, მაინც ვერაფერს გავხვდი. ის იყო განრისხებული უნდა მომესროლა.

ეს ოთხფურცლიანი ფოლიანტი, შრომა დიდებული,  
კრიტიკოსებისათვის ასე ვაგლახად დაკარგული,

რომ ჩემი ყურადღება ერთმა წერილმა მიიპყრო:

„მრავალი და გასაოცარია სიკვდილისკენ მიმავალი გზა. უცნაურად დაღუპულა ვიღაც კაცი, ამას გვატყობინებს ლონდონის ერთ-ერთი გაზეთი. „ჩაჰბერე ისარს“, ასე უწოდებენ იმ თამაშს, მოთამაშეები მოიმარჯვებენ თუნუქის მილს, რო-

<sup>1</sup> თირკმელა სოკო. (ფრანგ.).

მელშიაც ჯერ ჩადებენ მოგრძო ნემსს და მიზანში ისვრიან ჩაბერვით. იმ კაცს თურმე ნემსი უკუღმა ჩაუდვია მილში და სანამ გაისროდა, მაგრად შეუსუნთქავს ჰაერი, ნემსი მოსს-ლეტილა, და შიგ ყელში გარჭობია, ფილტვამდეც დასულა და ის უბედური მომკვდარა რამდენიმე დღეში“.

ვნახე ეს წერილი და ისე გავბრაზდი, თვალთ და მიბნელდა, ზუსტად არ ვიცი, რად მომივიდა ასე. „რაებს რომავენ, — შეეყვირე მე, — ასეთი სიყალბე ვის გაუგონია, საწყლები, ეს ნაკმაზი თავიანთ ქათმებს დაუყარონ, იქ, ალბათ, ვიღაცა ჰყავთ, ვისაც რაღაც უყლაპავს და გაბრუებულია. ამ ხალხმა კარგად იცის, რომ გულუბრყვილობაა ამ ჩვენი საუკუნის ნიშანი, სხედან თავისთვის და ჭკუას სისულელეებზე ხარჯავენ, უნდათ რაღაც მოიგონონ, წარმოუდგენელი, შეუცნობელი, როგორც ისინი უწოდებენ ამას; მაგრამ კაცი მოაზროვნე (ჩემსავით-მეთქი, დავსძინე მე ფრჩხილებში და ჩემდა უნებურად ცხვირზე ხელი მოვისვი), ღრმად მხედი და მრავალნაცადი, მე რომ გახლავართ, ისეთი, კარგად მისვდება, რომ არა-ჩვეულებრივი ის არის, გასაოცრად. სწრაფად მატულობს ეს „შეუცნობელი შემთხვევები“. მე თუ მკითხავთ, ამიერიდან არა მჯერა რა ამ „წარმოუდგენელი ამბებისა“.

— მაინ გოტტ, ჰოდა, მაშ დიიდი შუღელი ჰარი — მიპასუხა ამაზე ხმამ, იმდენად უცნაურმა, რომ დღემდე მისი მსგავსი არა მსმენია, ჯერ ვიფიქრე, ყურებში შუილი მაქვს, ალბათ, და ეს იმისი ბრალი უნდა იყოს-მეთქი, სწორედ ასე ემართება გამომთვრალ კაცს; მაგრამ მერე ასე გავიფიქრე, ცარიელ კასრს კეტს რომ დასცხებენ, ეს ხმა უფრო იმას უნდა ჰგავდეს-მეთქი; ამ აზრს დავჯერდებოდი საბოლოოდ, მაგრამ იმ ბგერებში სიტყვები გავარჩიე და რაღა უნდა მექნა. საერთოდ ნერვიული კაცი არა ვარ, და იმ რამდენიმე ჭიქა ლაფიტმა, ამ ცოტა ხნის წინათ რომ დავლიე, გული მომცა და ამიტომ აღარც შევშფოთებულვარ, ნელ-ნელა მოვათვალიერე ოთახი, მომხდურს ვეძებდი, მაგრამ ვერავინ დავინახე.

ქნეო, მომესმა მე ისევ, როდესაც აქაურობას ვაკვირდებოდი, — მთრალჰარ ღორივით, მგონი, რაჰან ვერ მჰედავ შენ გვერდზე მზდომარეს.

მართლაცდა, აქეთ-იქით ცქერას თავი დავანებე და რას

ვხედავ, სწორედ ჩემ ცხვირწინ, ჩემ პირდაპირ, მაგიდასთან ზის ვიღაც უცხო სანახავი, კალმით აუწერელი. ტანი ღვინის კასრისა თუ ტიკტორის დარი ჰქონდა, თუ რაღაც ამდაგვარი, სწორედ ფალსტაფის შესასედაობისა გასლდათ. თრი სურა ამ-შვენებდა, როგორც ჩანს, მისი ფეხები ეს უნდა ყოფილიყო. ხელები კი — ორი მოგრძო გადმოპირქვევებული, მონანავე ბოთლი, აშვერილი სხეულის ზემოთ. თავი ამ ურჩხულისა, მგონია, ჰესენური მათარა იყო, დიდზე დიდ სათუთუნეს მოგ-ვაგონებდა, შუაში ხვრელდატანიებულს. მათარა (ზემოთკენ ძაბრივით ჩაღრმავებული და კავალერისტის ქუდივით ცვერდ-ზე მოქცეული) კასრის სულ კიდეზე იდგა და ის ხვრელი ჩემ-კენ მოეპყრო; და ამ ღრმულიდან, შინაბერას პირს რომ მი-უგავდა, ეს არსება გამოსცემდა ბუსუნსა და გრუსუნს, ამით იმას, როგორც ჩანს, უნდოდა ადამიანიშვილის მეტყველების-თვის დაემსგავსებინა თავისი ბაყბაყი.

— შენ ჰეუბნები, — მითხრა მან, — ღორივით მთრალპარ, პირდაპირ უყურებ და ვერა მჰედავ; შენ ჰეუბნები, ბრიჰვი ჰარ ვითარცა ჯორი, ბეშდური სიტყვისა რომ არ გჯერა, ყველა-ფერი შწორია რასაცა ბეშდავენ.

— კი მაგრამ, ვინა ბრძანდებით? — ვკითხე მე ღირსეულად, თუმცა გაკვირვებული კი გახლდით, რაღა თქმა უნდა, — აქ როგორ მოხვდით? და რაებს მეუბნებით?

— თუ როჰორ მოჰდი, — თქვა ფიგურამ, — რა შენი გაშა-გებია, და თუ ვინა ვარ, იმიტომ მოვშულვარ, რომ ნაჰო ვინ-ცა ვარ.

— ვინა ხარ და ვიღაც ლოთიფოთი, შარახვეტია, აი ახლა ზარს დავრეკავ და ჩემს მსახურს ვუბრძანებ, კინწისკვრით გა-გაგდებს აქედან.

— ხაი ხაი ხაი — გაისმა პასუხად, — ხიი ხიი ხიი შეჰძლებ კი ამამ.

— რაოი — მე მივუგე, — რას ბრძანებთ? როგორ თუ ვერ შევძლებ?

— დარეკვას ვერ შეჰძლებ, — ასე ამოთქვა იმ კაცუნამ ქირ-ქილით და ბილწად პირმლიმარემ.

იმწუთას წამოდგომა დავაპირე, რათა შემესრულებინა ეს ჩემი მუქარა, მაგრამ იმ არამზადამ მაგიდის ზემოდან გამი-

იწვდინა თავისი მოგრძო ბოთლის ყელი და გულმწიკიდად შიგ  
შუბლში მითავაზა, უკვე სანახევროდ წამომდგარი ისევ იმ ჩემს  
სავარძელში დამსვა. განცვიფრებისაგან ჭკუა დავკარგე, აღარ  
ვიცოდი რა უნდა მექნა. იმან კი განაგრძო თავისი საუბარი.

— ჰომ ჰედავ, — ასე თქვა, — ნჯობს წყნარად იშდე, შენ-  
თვის. აჰლა მიჰდები, ვინცა ვარ, აბა შემომჰქდე! შეუცნობ-  
ლის ანგელოზი გაჰლავარ.

— მართლაცდა შეუცნობელი ამბავია, — გავბედე მე პა-  
სუხის გაცემა, — მაგრამ მე ყოველთვის ასე მეგონა, ანგელო-  
ზი ფრთოსანი უნდა იყოს-მეთქი.

— ფრთოსანიო! — შეჰყვირა იმან, წამოინთო, — ფრთებს  
რას ვაჰნევ? მაინ გოტტი! ციცილა ხომ არ ჰგონივარ?

— არა, ჰოი, არა-მეთქი, — მივუგე მე შემოფოთებულმა, —  
როგორ გეკადრებათ, რის წიწილა, რა წიწილა.

— და იჯექი შუმად და შენთვის, თორემ იშევ მოჰდება  
შებლში. ციცილას აქვს ფრთები, ჭოტის აქვს ფრთები, ჭინკას  
აქვს ფრთები, და იმ ჭინკების მამამთავარმ აქვს ფრთები.  
ანგელოზს ფრთები არ ჰუნდა, შეუცნობლის ანგელოზი  
ვარ მე.

— ჩემგან რა გნებავთ, რა საქმე გაქვთ, რა... რა...

— რა საქმე! — გამომძახა იმ სარეკელამ, — ვინ გშდიდა,  
შად გშდიდა, ვინ გაშწავლიდა, შენტლმენს როჰორ ჰეუბნები,  
რა საქმე გაქვსო!

ამ სიტყვების მოთმენა კი აღარ შემეძლო, თუნდაც ან-  
გელოზისაგან; ვაჟკაცობა მოვიკრიბე, დავავლე ხელი სამარი-  
ლეს და თავში გაუუქნიე მომხდურს. დანრა მოასწრო თუ კარ-  
გად ვერ დავუმიზნე, არ ვიცი; ბუხარზე შემოდგმული საათის  
მინა ჩავამსხვრიე, მეტი არაფერი. იმ ანგელოზმა გამოიღო ხე-  
ლი და წელანდელივით ორჯერ თუ სამჯერ დამკრა შუბლზე.  
რალა უნდა მექნა, ბედს დავმორჩილდი, სირცხვილის ბრალი  
იყო ან, იქნებ, ტკივილისა, ან, იქნებ, მეწყინა, ზუსტად ვერ  
გეტყვიოთ, ცრემლები მომერია.

— მაინ გოტტი! — თქვა შეუცნობლის ანგელოზმა, როგორც  
ჩანს, ჩემმა გასაჭირმა გული მოუღობო. — მაინ გოტტი, ეს კაცი  
ან გალეშილა, ან შამკურნალოა. მაგარ შაშმელს ნუ მიეზა-

ლები, ღვინოში ცპალი უნდა გაურიო. მოდი ეშ დალაჟ შჯობს, ნულარ შტირი, ნულარ შტირი-მეთქი.

აქ შეუცნობლის ანგელოზმა პირამდე შემივსო თასი (რამელშიაც, ასე, ღვინო ესხა მესამედზე) თავისი ერთ-ერთი ხელი-ბოთლიდან უფერო სითხით. შევამჩნიე, რომ იმ ბოთლს ყელზე ასეთი იარღიცი ჰქონდა მიწებებული: Kirschehwasser<sup>1</sup>.

ანგელოზის ამ თავაზიანობამ და მზრუნველობამ მცირე-ოდენი შვება მაგრძნობინა; რამდენიმეჯერ ჩამიმატა წყალი ღვინოში, დაბოლოს მოვსულიერდი, შევძელი იმისი დიდად საკვირველი საუბრის მოსმენა. არა მგონია შევძლო ყველაფრის გადმოცემა, რაც იმან მითხრა, მაგრამ მისი ნაუბარის ძირითადი აზრი ეს უნდა ყოფილიყო, თურმე ის გახლდათ კაცის მოდგმის გენია, ვინც ხელმძღვანელობს ყოველივე იმას, თუ სადმე რაღაც *contretemps*<sup>2</sup> მოსდება, რაც სულ მუდამ იწვევდა სკეპტიკოსთა გულისწყრომას. ერთხელ იყო თუ ორჯერ, მე გავბედე და ვუთხარი, ვერ დავიჯერებ, ამდენი თქვენ როგორ შეგიძლიათ-მეთქი; სულ აინთო და დაინთო ამაზე, დაბოლოს გაჩუმება ვამჯობინე, აღარ შევდავებივარ. ის კი მელაპარაკებოდა, აღარ გაათავა, მე ამ დროს სავარძელში მოვკალათდი, თვალეები დავხუჭე და ქიშმიშით ვერთობოდი, ვლექავდი. კურკებს კი ოთახში ვისროდი, მაგრამ გავიდა ცოტა ხანი და უეცრად ანგელოზს არ მოეწონა ჩემი ასეთი საქციელი. ცოფმორეული წამოვარდა, ის თავისი ძაბრა ქუდი თვალეებზე ჩამოიფხატა, დამტუქსა, რაღაც წარმოთქვა, ზუსტად ვერ გავიგე რა, დაბოლოს მდაბლად თავი დამიკრა და წავიდა, „ჟილ ბლახის“ ერთ-ერთი გმირის, არქიეპისკოპოსის სიტყვებით მისურვა „*beaucoup de bonheur et un peu plus de bon sens*“<sup>3</sup>.

მომცილდა და მეც სული მოვითქვი. კიდევ გადავკარი ერთი თუ ორი ჭიქა ლაფიტი; ძილი მომერია, ასე გავიფიქრე, ცოტას წავთლემ-მეთქი, სწორედ ასე ვმვრებოდი სოლმე ნასადილევის. ექვს საათზე აუცილებელი საქმე მქონდა, წაუსვ-

1 ალუბლის ნაყენი (გერმან.).

2 გაუთვალისწინებელი, უბედური შემთხვევები (ფრანგ.).

3 დიდი ბედნიერება და ცოტა უფრო მეტი სადი გოჯება (ფრანგ.)

ლელობა არ შეიძლებოდა. სწორედ წინააღმდეგ ჩემს სახლს სადაზღვევო ვადა გაუვიდა და რაკი დასაზუსტებელი იყო რაღაც-რაღაცები, ექვს საათზე კომპანიის მმართველობის სსდო-მაზე დამიბარეს სადაზღვევო ხელშეკრულების გასანახლებლად. ბუხრის საათს ავხედე (ისე მეძინებოდა, ჩემი საათის ამოღება ვერც კი შევძელი) დიდად მესიამოვნა, მთელი ოცდახუთი წუთი დრო კიდევ მქონდა. ექვსის ნახევარი იყო, იმ სადაზღვევო სამმართველომდე, სულ ნელა ც რომ მევლო, ხუთ წუთზე მეტი მაინც არ დამჭირდებოდა. ჩემი სიესტა კი, ჩვეულებრივ, ოცდახუთი წუთი გრძელდებოდა ხოლმე. ჰოდა, გულდამშვიდებულმა სიზმრებს თავი მივეცი.

განცხრომით ვიყავი ასე რამდენიმე ხანს და მერე ისევ ავხედე იმ საათს; კი უნდა ხდებოდეს-მეთქი რაღაც შეუცნობელი შემთხვევები, ასე გავიფიქრე, რადგან იმ თხუთმეტი თუ ოცი წუთის ნაცვლად თურმე სულ სამი წუთი მძინებია და კიდევ ოცდაშვიდი წუთი იყო დარჩენილი დანიშნულ დრომდე. ისევ წავთვლიმე და უკვე მეორედ გამოფხიზლებული სახტად დავრჩი. იმ საათზე ისევ ოცდაშვიდი წუთი უკლდა ექვს. წამოვხტი და ბუხართან მივედი. საათი გაჩერებულიყო. ჯიბიდან ჩემი საათი ამოვიღე, თურმე რვის ნახევარი ყოფილა; მთელი ორი საათი მძინებია და, რაღა თქმა უნდა, დამაგვიანდა, ვეღარსადაც ვეღარ წავიდოდი. „მერედა რა მოხდა, — ვთქვი მე, — ხვალ დილას წავალ და ყველაფერსაც მოვაგვარებ; მაგრამ ეს საათი რაღამ გააჩერა?“ კარგად მოვათვალიერე და თურმე შეუცნობლის ანგელოზის საუბრის ხანს მთელ ოთახში კურკებს რომ ვისროდი, იმათგან ერთი საათის გატეხილ მინაში შევარდნილა, გაჩრილა მოსამართავ სვრელში და ხელს უშლიდა დიდი ისრის მოძრაობას.

— აჰა! — წამოვიძახე მე, — ვხედავ რაც არის. ამას რა ლარი და ხაზი უნდა. სულ ჩვეულებრივი, ბუნებრივი შემთხვევაა, ხანდახან რომ შეიძლება მოხდეს!

ბევრი ფიქრი აღარ დამიწყია და თავის დროზე დავწეკი დასაძინებლად. სანთელი დავიდგი სასთუმალთან და მინდოდა გადამეკითხა რამდენიმე გვერდი წიგნისა „უფლის მეუფება“, მაგრამ, სამწუხაროდ, ორი წამიც არ იყო გასული, რომ ჩამეძინა, სანთელი კი ანთებული დამრჩა.

სიზმრებმა გამაწამა, სულ შეუცნობლის ანგელოზს ვხედავდი. მესიზმრა, თითქოს ის ჩემს ფერხთით იდგა საწოლთან, ფარდებს ხსნიდა და თავისი საძაგელი ხმით, საარყე კასრის ბუყბუყით მემუქრებოდა, შენი ასაგდები ვინ არის, შავ დღეს დაგაყრიო. დაბოლოს, ის თავისი გაუთავებელი აყალმაყალი იმით გაასრულა, რომ მოიშვლიპა ძიბრა ქუდი, ჩამჩარა ყელში და მთელი ზღვა მიუშვა იმ Kirshenwasser-ისა; აღარ გაიღია ამ სასმლის ნაკადი, მოედინებოდა და მოედინებოდა იმ მოგრძო ბოთლიდან, ხელის მაგივრად რომ ჰქონდა ელარ ვაჟუბელი ამდენ ტანჯვა-წამებას და გამომეღვიპა, იმჯუთას თვალი შევასწარი ვირთხას, რომელსაც იმ სანთლისთვის პირი დაეველო და სანამ რამეს ვიღონებდი, შეძკრა ხვრელში და გადაიკარგა. სულ მალე სული შემეხუთა, ცხადი იყო, სახლი იწვოდა. რამდენიმე ხნის მერე ცეცხლის ენები ამოიჭრა, მოედო მთელ შენობას. სარკმლიდან უნდა გადასულიყავი, სხვა გზა აღარ მქონდა. ჩემს სახლთან მოგროვილ ბრბოს გრძელი კიბე მოეტანა და უკვე მოედგათ კიდევაც. გადავრჩი-მეთქი, გავიფიქრე და სწრაფად დავეშვი კიბეზე, ამ დროს ერთი ვეებერთელა, მუცელდასივებული ღრუტუნა, შეუცნობლის ანგელოზს რომ მოჰგავდა თავისი იერიითა და აღნაგობით.. ხოდა, ეს ღრუტუნა-მეთქი, თავისთვის რომ დაგორებულიყო აქვე ტალახში, და ტკბილად თვლემდა, უეცრად ადგა და კიბესთან მივიდა, თურმე თავისა და მარცხენა მხარის მოფხანა მოსურვებოდა, ამ კიბეზე უფრო შესაფერისს რას ნახავდა. იმჯუთასვე მიწაზე ზღართანი გავადინე და იმ ჩემს უბედურებას ისიც დაემატა, რომ ხელი მოვიტყე.

ამ შემთხვევამ და იმანაც, რომ ახლა სადაზღვევო ხელშეკრულებას ვინლა დამიდებდა, აგრეთვე, რაც ყველაზე უფრო მეტად მადარდებდა, ჩემი თმა ძირისძირამდე ცეცხლს შეეხანსლა; ყველაფერმა ამან საგონებელში ჩამაგდო, დაბოლოს ცოლის შერთვა გადავწყვიტე. ერთ მდიდარ ქვრივს ვიკნობდი, ვინც ახლა მეშვიდე ქმარს გლოვობდა, სწორე იმის დაჭრილ გულს მოვუფონე ჩემი ფიცის ბალასინი. არც ჰო მითხრა, არც არა, მივხვდი თანახმა იყო. მუხლებში ჩავუვარდი აღფრთოვანებული და მადლობა მოვახსენე. სახე აელეწა და თავი დახარა, მისი დიდებული კულულები ჩემსას



შეხვო, რამდენიმე ხნით გრანჟანისაგან რომ მქონდა წამო-  
ღებული. თუ როგორ ჩაიხვია ერთმანეთში ჩვენი თმები, არ  
ვიცი, მაგრამ ფეხზე რომ წამოვდექი, უპარიკოდ ვიყავი და  
პრიალი გაჰქონდა ჩემს თავს, ის ქალი კი იდგა გულდათუთ-  
ქული, მთლად გახვეული ვიღაცის თმაში. ამ სრულიად გა-  
უთვალისწინებელმა შემთხვევამ დამაკარგვია ის ქვრივი,  
თუმცა ბუნებრივი გარემოებანი ესაძირკვლებოდა ყოველივე  
იმას, რაც მოხდა.

სასოწარკვეთილებას არ მივცემივარ, ნაკლებად დაუნდო-  
ბელი გული გავაბი ახლა სიყვარულის ბაღში. ბედმა კვლავ  
გადმომხედა მცირე ხნით, მაგრამ კვლავ ჩამიშალა ყველაფე-  
რი სულ უბრალო შემთხვევამ. ჩემს გულის სწორს შევხვდი  
ერთხელ ქუჩაში სადაც ქალაქის elite-ს<sup>1</sup> მოეყარა თავი. იმ-  
წუთას მივაშურე, სალამს ვეტყვი, ჩემებურად, მომხიბვლე-  
ლად თავს დაუკრავ-მეთქი, რაღაც ჩამივარდა ამ დროს თვალ-  
ში და წამით დავბრმავდი, ველარაფერს ვხედავდი. სანამ მხედ-  
ველობა დამიბრუნდებოდა, ის ჩემი მიჯნური გამქრალიყო —  
შეურაცხყოფილი დარჩა, როგორ თუ მე გვერდით ჩავუარე  
და იმისკენ არც კი გავიხედე. გაოგნებული ვიდექი, რას ვი-  
ფიქრებდი, თუ ასე მოხდებოდა (ამქვეყნად ვის რა არ გადახ-  
დება თავს), ჯერ კიდევ ისევ მქონდა წართმეული თვალის  
ჩინი, რომ შეუცნობლის ანგელოზმა დახმარება შემომთავაზა,  
სწორედ არ მოველოდი მისგან ასეთ გულისხმიერებას. საათუ-  
თად და მარჯვედ გამისინჯა დაზიანებული თვალი და მი-  
თხრა, თუ რაც ჩამვარდნოდა შიგნით და კიდევაც ამომიღო  
(რაც „ჩამვარდნოდა“), სული მოვითქვი.

გონს მოვედი და ასე ვიფიქრე, რაღაა ჩემი სიცოცხლე (სა-  
დაც არ მივდექი, ყველგან მომეცარა ხელი), თავი უნდა მო-  
ვიკლა-მეთქი, და უახლოესი მდინარისაკენ გავსწიე. მივედი  
იქ და ტანზე გავიხადე (სწორედ ისე უნდა მოვკვდეთ, რო-  
გორც ვშობილვართ, რატომაც არა), თავით გადავეშვი წყალ-  
ში; ჩემი უბედურების ერთადერთი მოწმე არყის გამოსახ-  
დელი მარცვლების მოყვარული, თავისიანებისაგან გადახ-  
ვეწილი ყვავი ყოფილა თურმე. ჩავხტი თუ არა მდინარეში,

<sup>1</sup> რჩეულ საზოგადოებას (ფრანგ.).

ამ ფრინველმა მაშინვე სტაცა ნისკარტი ჩემი ტანსაცმლის უმთავრეს ნაწილს და მოიტაცა. თავის მოკვლა სხვა დროისათვის გადავდევი. სწრაფად ვტუცე ჩემი ქვედა კიდურები პიჯაკის სახელოებში და იმ ქურდბაცაცას გამოვენთე, მაგრამ ასე გამოწყობილი კაცი რას გავხდებოდი. ფეხდაფეხ მომყვებოდა ის ჩემი ავი ბედისწერა, ხოდა, მივრბოდი ასე რაც ძალი და ღონე მქონდა, ზეცას ავყურებდი, ის ჩემი გამძარცველი არ დამემალოს-მეთქი; უეცრად ფეხქვეშ ვეღარ ვიგრძენი terra firma<sup>1</sup>, უფსკრულში გადავმზღვრეულვარ თურმე და, რაღა თქმა უნდა, სულიც აღარ დამყვებოდა იმის ძირამდე, მაგრამ რაღაც ბედად ხელი ჩაეჭიდე აქვე ჰაერში აჭრილ საპაერო ბურთიდან ჩამოშვებული გრძელი სამუხრუჭე ბაგირის ბოლოს.

გონს მოვედი თუ არა, იმწუთას მივხვდი, დიდი საშიშროების წინაშე ვიდექი, უფრო სწორად, ვეკიდე, აღარ დამიხანებია, ღრიალი მოვრთე, იქნებ, ჩემ ზემოთ მყოფ აერონავტს ხმა მივაწვდინო-მექთი. მაგრამ კარგა ხანს ამოდ დავშვრი. ვიღაც სულელი ან გარეწარი უნდა ყოფილიყო იქ და რაღაც გავხდებოდი. სულ უფრო და უფრო მალლა მიიწეკდა ამ დროს ეს მანქანა, მე კი სულ უფრო და უფრო ვკარგავდი ღონეს; რაღა უნდა მექნა, ბედს უნდა შევრიგებოდი, ჩამყლაპავდა ზღვა და გათავდებოდა ამით ყველაფერი, მაგრამ უეცრად გული მომეცა, ხმა ჩამომესმა ზემოდან, ვიღაცა ღიღინებდა თავისთვის რომელიღაც ოპერის არიას. ავიხედე და რას ვხედავ, შეუცნობლის ანგელოზს მკერდზე ხელები დაუწყვია და კალათიდან დაბლა იმზირებდა; პირში ჩიბუსი აქვს გარჭობილი და დინჯად აბოლებს, თავისი და ამ ქვეყნიერების დიდად კმაყოფილი ჩანს. ლაპარაკის თავი აღარ მქონდა, მუდართლად ავცქეროდი მას.

რამდენიმე წუთი პირდაპირ სახეში მომჩერებოდა, ხმას აღარ იღებდა. დაბოლოს, აუჩქარებლად ის თავისი ჩიბუსი პირის მარჯვენა კუთხიდან მარცხენაში გადაანაცვლა, პატივი დამდო და ასე მკითხა:

— ვინ ჰარ შენ? და რა შანდაბა ჰინდა აქ?

1 მყარი მიწა (ლათ.).

იმის ამ უნამუსობაზე, გულქვაობასა და ცბიერებაზე მე შემეძლო მეპასუსა მხოლოდ ასეთი წამოძახილით. „მიშველეთ!“

— ჰიშველოთ! — ჩამომძახა ამ ბრიყვმა, — არა-მეთქი, აი ეს პოთლი, ის ჰიშველით, აბა ცოცკლად!

თქვა ეს და დაუშვა Kirshenwasser-ის მძიმე ბოთლი, შიგ თავში მომასვედრა, ასე მეგონა, მთელი ტვინი სულ პირწმინდად დამანთხევია-მეთქი. სწორედ ასეთი შთაბეჭდილება მქონდა და მინდოდა ხელები გამეშვა და დამეგდო ეს წუთისოფელი, მაგრამ ანგელოზმა ჩამომძახა, შეჩერდიო.

— ჰელი არ გაუშვა! — გავიგონე მე მისი სმა, — ნუ ჩპარობთ, ნუ-მეთქი! კიდევ ჰინდა მეორე ბოთლი, ანუ, მგონი, მოფიზიზლებულხარ და ჰონს მოსულჰარ?

იმწუთას ორგზის გავაქნიე თავი, ერთხელ უარყოფის ნიშნად, მეორე ბოთლი აღარ მინდა-მეთქი, მეორეჯერ კი ვანიშნე, უკვე გამოფიზიზლებული და სრულ ჭკუაზე ვარ-მეთქი, ამ დროს ანგელოზსაც ცოტათი გული მოუღბა.

— მაშ აჰლა გშერა ჰომ, — თქვა მან, — ბოლოშ და ბოლიშ? გშერა-მეთქი შეუცნობლის ანგელოზისა?

ჰო-მეთქი, კვლავ დავუქნიე თავი.

— და შენ გშერა ჩემი, შეუცნობლის ანგელოზისა?

კვლავ დავუქნიე თავი.

— ჰოდა, აჰლა ჰომ არ იტყვი, მთრალ არ ვარო, ვირი არ გარო?

კიდევ ერთხელ დავუქნიე თავი.

— რაჰან მასეა ჩაიდე შენი მარჯვენა ჰელი მაჰ შენი შარვლის მარცხენა ჯიბეში და დამორჩილდი შეუცნობლის ანგელოზს შაბოლოოდ.

ამას კი ვერ ვიზამდი, შეუძლებელი რამ ბრძანა. ჯერ ერთი, მარცხენა ხელი მაშინ მოვიტყხე, კიბიდან რომ გადმოვვარდი, მარჯვენა ხელით კი ამ ბაგირს ვიყავი ჩაჭიდებული, გავუშვებდი ხელს და სამუდამოდაც გავუშვებდი. ხოლო სანამ იმ ყვავს არ დავიჭერდი, შარვალს როგორღა დავიბრუნებდი. გამომდინარე აქედან, ჩემდა სამწუხაროდ, მე იძულებული ვიყავი თავი გამექნია უარყოფის ნიშნად, შეუცნობლის

ანგელოზი უნდა მიმხვდარიყო, რომ ამწუთას ასეთ მდგომარეობაში მყოფი კაცი ვერ ავასრულებდა იმის ბრძნულ რწევა-დარიგებას! მაგრამ მაშინვე, შევაჩერე თუ არა თავის მოძრაობა...

— შანდაბამდისაც გზა ჰქონია! — დამიდრიალა შეუცნობლის ანგელოზმა.

წარმოთქვა თუ არა ასე, გადაუსვა ბასრი დანა იმ საკალათე ბაგირს, რომელზედაც დაკიდებული გახლდით; მოხდა ისე, რომ სწორედ იმწუთას ჩემი სახლის ზემოთ ვიმყოფებოდით (ამ მოგზაურობის ხანს ხელახლა აუშენებიათ ჩემი სამყოფელი) და იმის საკვამურში თავით ჩავეშვი და კიდევაც მოვადინე ზღართან ჩემი სასადილო ოთახის ბუხარში.

გონზე რომ მოვედი (ასეთ ყირამალას კარგა მაგრად დავერეტიანებინე), დილის ოთხი საათი იყო. სწორედ იქ ვიყავი გამხვართული, სადაც დავეცი იმ საჰაერო ბურთს მოწყვეტა-ლი. ნაცარში მქონდა ჩარგული ცხვირი, ფეხები იმ პატარა მაგიდის ნამსვრევებში გამჩხეროდა, ზოდა, ასე ვიწექი იმ ნაირნაირი დასაყოლებლის, გაზეთის, ქიქებისა და ბოთლების ნამუსრევში, აქვე იყო ის ცარიელი სურა ჰოლანდიური Kirschenwasser-ისა. ასე იმია შური შეუცნობლის ანგელოზმა.

## ეუმა სამრეკლოზე

რა დრო იქნება?

ცნობილი იქნა

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქვეყნად უმშვენიერესი კუთხეა — ანუ ვაგლახ — ასეთი იყო ჰოლანდიური დაბა დადლოიქნებისი. მაგრამ რაკილა დაშორებულია შარაგზას, მივარდნილ ადგილასაა, ამიტომ, შესაძლოა, ჩემი მკითხველთაგანი აქ ცოტა ვინმე თუ მოხვედრილა. ვინც აქ არ ყოფილა, ჯერ არს რამდენიმე სიტყვით მოვუთხრო ეს ამბავი. მართლაცდა, ფრიად საშური საქმეა; უკანასკნელ ხანებში აქ დატრიალე-

ბულ უბედურებას რომ გაიგებენ, იმედია, თანაგრძნობით შეხედავენ ამ დაბის მცხოვრებთა გასაჭირს. ჩემს ნაცნობებს არავის შეეპარება ეჭვი, თავად შეძლებისდაგვარად ღონეს არ დავიშურებ ნაკისრი მოვალეობის მოსახდელად, გაიმბობთ სრული მიუკერძოებლობით, ფაქტების საგულდაგულო შემოწმებითა და წყაროების გამოწვლილვითი შეჯერებით. ამათი უგულებელმყოფელი ხომ ვერ იქნება მემატიანის სახელისთვის თავგადადებული კაცი.

მონეტების, მანუსკრიპტებისა და წარწერების ერთობლივი მოკვლევა-მოხსრეკით შემიძლია უცდომლად გაუწყოთ, იმთავითვე ისეთი იყო დაბა ლადლოქნებისი, რა სახითაც ცოტა ხნის წინ იხილავდით. დაარსების თარიღის გამო, სამწუსაროდ, ამასლა ვიტყვი — ამ საკითხს ახასიათებს ის ბუნდოვანი სიზუსტე, როგორითაც ხანდასან ზოგიერთ ალგებრულ ფორმულას განსაზღვრავენ მათემატიკოსები. სიტყვას აღარ გავაკრძელებ, თარიღი უხსოვარ დროშია საძიებელი — ეს დაბა ქვეყნის დასაბამიდან არსებობდა დედამიწაზე, როგორც სხვა ყველაფერი.

ლადლოქნებისის სახელწოდების წარმოშობის შესახებ, სამწუსაროდ, უნდა ვაღიარო, არაფერი ვიცი. ამ სადავო ამბის გამო აუარება ვარაუდში ზოგი მახვილგონივრული, ზოგი მეცნიერული, ზოგიც სრულიად ამათი საპირისპიროა. თავადაც ვერაფერს გამოვარჩევ ისეთს, რაიც დაგვაკმაყოფილებდა. ბოთესას თითქმის რამ უახლოვდება. ხუხეს მოსაზრება უფრორე მისაღებია. ამის მისედვით, „ლადლ“ არის ლადლადი. „დლო“ — დლეიდან თუ დლემდე ან, შესაძლოა, აქ იყოს რამე კავშირი „დლვებასთან“, მაგრამ რისი დღვება იგულისხმება? ამის გაგება ჭირს. მართალი თუ გინდათ, დასახელების წარმოშობა გამოძახილია ძირძველი გადმოცემისა. თურმე დაბის ახლოს ლადალუდა ადგილას რაღაც მომსდარა, ვილაცეები ერთმანეთს დატაკებიან — იქნება თუ არ იქნებაო, და ეს „იქნებისი“ სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს. ბოლოს ამ გაწამაწიაში დაბის სამრეკლოსთვის რაღაც მოუსვედრებიათ და მცირე რამ ნაკვალევი მის წვეროზე დღესაც ჩანს. ასეთი მნიშვნელოვანი თემის გადმოცემისას სიფროხილე ღირათებს და ამიტომ მკითხველს ვურჩევ ინფორმაციისთვის ნახოს დუნდუკის „Oratiu-

nculae de Rebus Praeter-Veteris"<sup>1</sup>, ასევე ხევრიან „De Derivationibus“<sup>2</sup> გვ. 27 – 5010, ინ-ფოლიო, გოთიკური შრიფტი, აწყობილი შავ-წითლით, კოლონტიტულით, არაბული ნუმერაციის უქონელი; თუკი ხელი მიუწვდება, აგრეთვე, ვაეცნოს აბდა უბდაელის მანუსკრიპტებზე მიწერილ შენიშვნებს და ღრუტუნუსის ქვეკომენტარებს.

მიუხედავად იმ ბურუსისა, რომლითაც მოცულია ლადლო-იქნებისის დაარსების თარიღი და დასახელების წარმოშობა, ეჭვი არაა, როგორც უკვე იცით, დღემდე უცვლელი დარჩენილიყო ეს დაბა. სულ უმნიშვნელო სხვაობასაც ვერ გეტყვოდათ მისი უხუცესი მოქალაქე და, მართლაც, შეურაცხყოფადაც ჩაითვლებოდა ასეთი ვარაუდის გამოთქმა. დაბა უზადო სიმრგვალის ველზე მდებარეობს, რომლის წრეხაზი მეოთხედი მილი თუ იქნება და ყოველი მხრიდან გორაკები მოსდგომია; ვერავის გაებედა იმხნობამდე მათი გადმოჭრა და ეს გარემოება აქაურ მკვიდრთა რწმენას დასდებია საფუძვლად – დაბის იქით აღარავინ ცხოვრობსო.

ამ ველის (მთლად მოსწორებულის, ბრტყელი ფილებით სრულიად რომ მოეკირწყლათ) ნაპირას ჩამწკრივებულიყო სამოცი პატარა სახლი. უკანა მხრით გორაკებისკენ მიქცეული, ფასადით – მოედნის შუაგულისკენ, რომელსაც სამოცი იარდით დასცილებოდა ყოველი სახლის სადარბაზო კარი. თითოეულის წინ იყო პატარა ბაღი, ბილიკით გარშემოვლებული, მზის საათითა და ოცდახუთი თავი კომბოსტოთი. შენობები ძირისძირამდე ერთიმეორეს ჰგავდა, მცირეოდენ სხვაობასაც ვერ უნახავდა კაცი. ნამეტანი სიძველისდა კვალად სახლების არქიტექტურა როგორღაც უცნაური ჩანდა, მაგრამ კი იყო საამური სანახავი. მაგრად გამომწვარი წითელი შავკიდიანი მომცრო აგურით აეგოთ ესენი და კედლებიც ვეებერთელა საჭადრაკო დაფას დამსგავსებოდა. ფრონტონი, ასევე ლავგარდანი გადმოშვერილიყო და სადარბაზო კარი მოეჩრდილა, რაკილა მთელ სახლთან შედარებით მისი ეს ნაწილი კარგა მოდილო გაეკეთებინათ. სარკმლები ჰქონდა ვიწრო, კედლებში

1 „პატარა სიტყვები შორეულ წარსულზე“ (ლათ.).

2 „წარმოშობათა შესახებ“ (ლათ.).

ღრმად დატანებული, დიდრონჩარჩობიანი და მეტად წვრილ-წვრილი მინებით გაწყობილი. სახლები ძირითადად კიდუაპრესილი მოგრძო კრამიტით დაესურათ. ამ ნაგებობათა ხეივო მოშავო, სვავრიელად მოჩუქურთმებული, მავრამ ჩუქურთმებად საათისა და კომბოსტოს გამოსახულებებილა ჰქონდა; ოდითგანვე მეტი არაფერი შეეძლოთ დადლოქნებისეულ ოსტატებს. თუმცა შესრულება კი უნაკლო იყო და გასაოცარი საზრიანობით ყველგან ამოეჭრათ, სადაც საჭრეთელი მიუწვდებოდათ.

სახლები მთლიანად — შიგნიდანაც და გარედანაც — ერთნაირად გაეწყოთ. ოთახებშიც სულ ერთი ყაიდის ავეჯი იდგა. იატაკი ოთხკუთხა ფილებით დაეგოთ. სავარძელი და მაგიდა, მორკალულ-მოლამაზებული ფეხებითურთ, რაღაც შავი ხის მასალისგან დაემზადებინათ. ბუხრის ფართო თარო მომადლოდ აეტანათ, მოევარაყებინათ კომბოსტოსა და საათის გამოსახულებით. თაროს შუა იდგა ძალუმად მოხმაურე ნამდვილი საათი, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ გაემწკრივებინათ კომბოსტოიანი ქოთნები, ქოთანსა და საათს შორის დაედგათ ფაიფურის კაცუნა — ჩინელი, რომლის ამოღრუტნულ ღიპშიც საათი დაეტანებინათ.

ბუხარი იყო ღრმა და დიდი, რკინის ფეხებმოღრეცილი, შემზარავი ზედადგარით. აქ ცეცხლი სულ ენთო, ზედ შემოდგათ კომბოსტოს მწნილითა და ღორის ხორცით აქსებული უზარმაზარი ქვაბი, რომელსაც ნიადაგ თავს დასტრიალუბდა კარგი დიასახლისი. ხანმოთეული პატარა ტანის ქალბატონი, ბუნჩულა, ცისფერთვალა და ლოყებლაჟლაჟა, წითელ-ყვითელი ბაფთებითა და გაქათქათებული, შაქრის თავის მინაგვარი დიდი ჩაჩით მორთული. ნარინჯისფერი, შალნარევი, უკან გაფუებული კაბა ეცვა, წელში წვრილად გამოყვანილი; საკმაოდ მოკლედ შეაერილი, რაკი მუხლის თავებსაც არ უფარავდა. თეძოსრულსა და ფეხებმომსხოს მშვენიერი მწვანე წინდები ემოსა. ფესსაცმელი ჩაეცვა ვარდისფერი ტყავის, კომბოსტოს ფურცლისებურად შეჭმუჭნილი ყვითელი მაქმანით მოკობტავებული. მარცხენა ხელში ეკავა პატარა ჰოლანდიური საათი, მეორეთი მოემარჯვებინა ჩამჩა მწნილისა და ღორის ხორცის მოსარევად. დიაცის ფერხთით კრუტუნებდა ზოლება,

გაიქვირებული ფისუნია; „ბიჭუნებს“ მისთვის თავშესაქცევად კუდზე შეებათ მოოჭვილი სათამაშო-სარაკუნა.

სამნი იყვნენ ღორის სამწყემსად გამოსული ბიჭები, თითოეული ორი ფუტი სიმაღლისა; თავზე ეხურათ სამკუთხა ქუდები, თეძობამდე სწვდებოდათ მეწამული ფერის ჟილეტები, მოკლე შარვლები ეცვათ ირმის ტყავისა, ფეხებზე — შავი წინდები, ვერცხლის ბალთებიანი მძიმე ფეხსაცმელები და გრძელი სერთუკები სადაფის დიდრონი ფოლაქებითურთ. თითოეულს ჩიბუხი გაერჭო პირში და ხელში კი პატარა, ბუთხუზა საათი მოემარჯვებინა. გააბოლებდნენ და დახედავდნენ საათს, დახედავდნენ და გააბოლებდნენ ისევ. ჩოლფოთი და ჩასორსლებული ღორი შეახრამუნებდა მიწაზე დავარდნილ კომბოსტოს ფურცლის ჩამონახევს, მერე მოინდომებდა მოოჭვილი სარაკუნასთვის წიხლის გაკვრას. ფისოს მსგავსადვე იყოსო ჩვენი ღორი ლამაზი, ამიტომ მიებათ კუდზე მისთვის სარაკუნა.

სადარბაზო კარის მარჯვნივ იდგა მაღალზურგიანი, ტყავგადაკრული სავარძელი, მაგიდასავით ესეც ფეხებმორკალული. თავად სახლის პატრონი დაბრძანებულიყო ზედ — მოსუცი, გაფიჟვინებული, პატარა ტანის ჯენტლმენი, დიდი, მრგვალთვალებიანი და ვეება ორკეცა ლაბაბით დამშვენებული. ბიჭებსავით ეცვა მასაც და ამის შესახებ მეტს არაფერს გეტყვით. მთელი სხვაობა ეს იყო, მოდილო ჩიბუხი გაერჭო პირში და ბევრსაც ეწეოდა. საათიც ჰქონდა, თღონდაც ჯიბისა. მართალი თუ გინდათ, საათის ცქერა რა მოსატანია, უფრო დიდ საქმეს შესჭიდებოდა იგი, სახელდობრ რას, ამას მალე გაიგებთ. ფეხზე ფენი გადაედო სახემშვიდს, ორივე თვალი თუ არა, ცალი მაინც ვერ მოეცილებინა მოედნის შუაგულის ერთი ღირსშესანიშნავი ადგილისთვის.

სადგილმთავროს სახლის გოდოლზე იყო ეს ადგილი. საადგილმთავროს მრჩევლები იყვნენ ერთი ბეწო კაცუნები, ჩამრგვალებულნი, პოხილნი, ჭკუადახედულნი, ჰქონდათ თეფშის ტოლა თვალები. თითოეულს ედო ფაფუკი ორკეცა ლაბაბი, ეცვა მოგრძო სერთუკი და ჩვეულებრივ დადლოქინებისელის ფეხსაცმლის ბალთასთან შედარებით უფრო დიდბალთიანი ფეხსაცმელი. ჩემი აქ ყოფნის დროს რამდენიმეჯერ



მოიწვიეს საგანგებო კრება და გამოითანეს სამი მნიშვნელოვანი დადგენილება:

„რომ დაუშვებელია ოდინდელი წესების შეცვლა“;

„რომ საგულისხმო არაფერია ლადლოიქნებისის საზღვრებს გარეთ“ და.

„რომ მარადჟამ ვიქნებით ჩვენი საათისა და ჩვენი კომბოსტოს ერთგულნი“.

საადგილმთავროს სხდომათა დარბაზის ზემოთ იყო გოდოლი, გოდოლზე სამრეკლო, სადაც იმთავითვე არსებობდა ამ კუთხის სიამაყე და საოცრება — დაბა ლადლოიქნებისის დიდი საათი. და სწორედ ამას შესცქეროდა ტყავით გადაკრულ სავარძელში მჯდარი მოხუცი.

შვიდციფერბლატიანი იყო დიდი საათი — შვიდგვერდა სამრეკლოს შვიდივე მხარეს დატანებული, ასე რომ, ყოველი ადგილიდან შეიძლებოდა მისი დანახვა. დიდი, თეთრი ფერის ციფერბლატები ჰქონდა და მძიმე, შავი ფერის ისრები. სამრეკლოს ჰყავდა გამრიგე, რომელსაც მხოლოდ საათის მეთვალყურეობა ევალებოდა. მაგრამ მისი სამსახური სრული სინეკურა იყო — არავის ახსოვს, თუნდაც ერთხელ გაფუჭებულიყო ლადლოიქნებისის საათი. მკრეხელობად შეირაცხებოდა ამგვარი აზრის გულში გავლებაც კი. უხსოვარი დროიდან მოყოლებული, არქივები ასე გვამცნობენ, ეს საათი პატიოსნად რეკდა დიდ ზარს. და მართლაც, ასევე ზუსტად მუშაობდა ამ დაბაში ყველა საათი. ზუსტ დროს არსად ეკიდებოდნენ ისეთი ყურადღებით, როგორც აქ. დიდი ზარი რომ დაჰკრავდა, თორმეტი საათიანო, ყოველი ლადლოიქნებისელი მორჩილად დააღებდა პირს და შეეხმიანებოდა ხოლმე. ერთი სიტყვით, ამ კეთილ ბიურგერებს უყვარდათ კომბოსტოს მწნილი, მაგრამ თავიანთი საათებით კი ამაყობდნენ სწორედ.

ამა თუ იმ ზომით პატივცემულია ყველა, რომელთა მოვალეობაა სინეკურა და რაკილა ლადლოიქნებისის სამრეკლოს გამრიგეს საქმე უფრორე იყო სინეკურა, ქვეყნიერებაზე უპატივცემულეს კაცად, აქაურ პირველ დიდებულად გამოეცხადებინათ და ყოველი ღრუტუნა დაბის ამ სათაყვანოს მოკრძალებით შესცქეროდა. კოჭებამდე სწვდებოდა სერთუკი, ასევე ჩიბუხიც, საფეხსაცმლე ბალთებიც, თვალებიც და ღიპიც

უფრო დიდი ჰქონდა, ვიდრე ამ კუთხის სსვა მოსუც ჯენტ-  
ქმენებს და ორკეცა კი არა, სამკეცა ლაბაბი ედო.

აწ თქვენ იცით, რა ბედნიერად ცხოვრობდნენ ლადლოქ-  
ნებისში. მაგრამ, ვაგლას, მთლად უნდა შეცვლილიყო ეს სა-  
ამური სურათი!

დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, მოქალაქეთაგან  
უბრძენესმა რომ ბრძანა: ამ გორაკებს იქიდან კარგს ნუ  
მოვლითო: და მართლაც, მისნური გამოდგა ეს სიტყვები.  
ორი დღის წინ, ხუთი წუთი დარჩენილიყო შუადღემდე, რა-  
ცა უცხო სანასავს მოჰკრეს თვალი აღმოსავლეთის ბორცვს  
წვეროზე. ამ მოვლენამ, რაღა თქმა უნდა, მიიპყრო მცხოვ-  
რებთა მთელი გულისყური და ტყავით გადაკრულ სავარძელ-  
ში მჯდარმა თითოეულმა შიშატანილმა მოხუცმა ჯენტლმენმა  
იქით გაიხედა ცალი თვალთ, მეორეთი კი სამრეკლოს შეაც-  
ქერდა.

სამი წუთი აკლდა შუადღეს. ეს სასეირო არსება გადამ-  
თიელი კაცუნა გამოდგა. მართლაც, ვინმე უცხოელი უნდა ყო-  
ფილიყო ეს ციდა-მტკაველა პიროვნება. ლადლოქნებისში  
ასეთი არასდროს უნახავთ. მუქი ფერის ბურნუთს მიუგავდა  
კანი, ჰქონდა გრძელი კაუჭა ცხვირი, თვალები ერთი ბეწო,  
პირი ფართო, უზადოდ ჩაკიწკიწებული კბილები, ყურებამდე  
იღიმებოდა; ასე იფიქრებდით, კბილების გამოჩენა მოუნდო-  
მებიაო. მეტს ვერც რას დაინასავდით მის ქიღვაშებსა და ულ-  
ვაშებში. უქუდო იყო, თმა ფაქიზად ჰქონდა დავარცხნილი,  
შავი ფერის გატკიცინებული ფრაკი (თითქმის სრულიად გად-  
მოკიდებოდა ცალი ჯიბიდან ქათქათა ცხვირსახოცი), შავი  
ქიშმირის ვიწრო შარვალი, შავი წინდები და ბრტყელცხვირი-  
ანი ფეხსაცმელები ეცვა; ბაფთებად ჰქონდა შავი სატიინის  
სვავრიელი კონა. ცალ იღლიაში უზარმაზარი ქუდი ამოედო,  
მეორეში კი იმსიდიდე ვიოლინო, რომ ბარემ ხუთჯერ აჭარ-  
ბებდა თავის პატრონს. მარცხენა ხელში ეკავა ოქროს სათუ-  
თუნე და გასაოცრად, სტუნვით რომ გადმოემვა ვორაკიდან,  
დიდი სიამოვნებით გაუთავებლივ იღებდა ბურნუთს და იყ-  
ნოსავდა. ღმერთო დიდებულო! მართლაც, კარგი სანახავი კი  
იყო ლადლოქნებისელი უპატავცემულესი ბიურგერისთვის!

მიუხედავად ღიმისა, ეს კაცი თავხედი და ცბიერი ჩანდა;

და როცა პირდაპირ დაბაში ჩამოეხეტა, მის ძველებურ ფეს-საცმელს დიდი ეჭვით დაუწყეს თვალიერება. ბევრი დამხვდუ-რი ბიურგერი მზად იყო ცალი თვალით შეეჭვებოდა იმ ბა-ტისტის ცხვირსახოცის ქვეშ, ფრაკის ჯიბიდან ასე ცნობის-აღმძვრელად რომ გადმოკიდებოდა. მაგრამ მეტადრე იმან წამოანთო მნახველები მართალი რისხვით, რომ ამ ყალთა-ბანდმა ჯერ ჩაბუქნა, მერმე კი ფანდანგო დაუარა და ყველა-ფერი ისე გააკეთა, რიტმის ნატამალსაც ვერ უნახავდა კაცი.

თუმცა ამ კარგმა ხალხმა თვალის დახამსამებაც ვერ მო-ასწრო, ნახევარი წუთიღა იყო დარჩენილი შუადღის მოწვე-ნამდე, რომ ასტა-დახტა ეს არამზადა და პირდაპირ, შიგ ხალ-ხში ჩამოსტა; აქეთ „მასე“, იქით „ბალანსე“; მერმე კი ცალი ფეხის წვერით გააკეთა „პა-დე ზეფირი“; ისევ ასტა და ზედ საადგილმთავროს სამრეკლოზე დახტა, სადაც მენსაკრავივით იჯდა სამრეკლოს გამრიგე. თუმცა კი შეჩქვიფებულყო, მაგ-რამ ღირსეულად ეჭირა თავი ჩიბუხის მწვეველს. მაშინვე ცხვირზე დაეტაკა ეს ერთი მუჭა კაცუნა, მოჟღელიმა და მო-ქანა, ჩამოაცვა თავისი უზარმაზარი ქუდი, ზედ თვალეხსა და პირზე ჩამოაფხატა; მერმე აღმართა თავისი ვეებერთელა ვი-ოლინო, დასცხო და აღარ გაათავა, სულ ბაყაბუყი ააყენა; რა-კიღა სამრეკლოს გამრიგე მეტად ტანბრგე იყო და ვიოლინო ფულურო, დიდი ხმაური დადგა, ასე იტყოდით, დადლოქნები-სის სამრეკლოზე ეშმაკისეული დოლისცემა გაუმართავს მე-დოლეთა მთელ პოლკსო.

ვინ იცის, რას წაჰკიდებდნენ სასოწარკვეთილი მოქალა-ქეები ამ თავსედ მომხდურს, შუადღემდე წამიღა რომ არ ყო-ფილიყო დარჩენილი, საათი სადაცაა დაჰკრავდა და მთელი გულისყური იქით უნდა მიემართათ. მაგრამ სამრეკლოზე მყო-ფი ის კაცუნა საქმეს შესდგომოდა და რაღაც მოუვიდა საათს. დაიწყო რეკვა, დაუპატიჟებელი სტუმრისთვის ვისღა ეცალა, ყველას უნდა დაეთვალა.

— ერთი! — თქვა საათმა.

— ელთი! — გაისმა ექოდ ტყავგადაკრულ სავარძელში მსხდომარე ბუნჩულა მოხუცი ჯენტლმენების ხმა. — ელთი! — თქვეს ასევე მათმა საათებმა; — ელთი! — თქვეს მათი ფროუს<sup>1</sup>

<sup>1</sup> ქალბატონი.

საათებმაც, და „ელთი!“ თქვეს ბიჭების საათებმა და კატისა და ღორის კულებზე დაკიდებულმა პატარა მოოჭვილმა სარაკუნებმა.

— ორი! — განაგრძო დიდმა ზარმა; და —

— ოლი — სხვებმაც იმწუთას გაიმეორეს.

— სამი ოთხი ხუთი ექვსი შვიდი რვა ცხრა ათი — თქვა ზარმა.

— შამი ოთხი ჰუთი! ეკვში შვითი ლვა ცხლა ატი — გაისმა პასუხად.

— თერთმეტი — თქვა დიდმა.

— თელთმეტი — თქვეს პატარებმა.

— თორმეტი! — თქვა ზარმა.

— თოლმეტი! — წყნარად უპასუხა ფრიად კმაყოფილმა სალხმა.

— თოლმეტი შაათია, და — თქვა ყველა პატარა ჯენტლმენმა. აღმართეს თავიანთი საათები. მაგრამ დიდ ზარს ჯერ კადევ არ მოეთავებინა საქმე.

— ცამეტი — თქვა მან.

— დელ თოიფელ! — აღმოსდათ პატარა მოხუც ჯენტლმენებს, გადაფითრდნენ, პირიდან ჩიბუხები გადმოუცვივდათ, მარცხენა მუხლიდან გადმოიღეს მარჯვენა ფეხი.

— დელ თოიფელ! — შეჰყვირეს კენესა-ვაებით, — შამეთი! შამეთი მაინ გოთ, შამეთი შაათია!

თუ რა საშინელი სურათი მოჰყვა ამ ამბავს, ამას რა ენა იტყვის? გულმა დოლაბივით დაუწყო ბრუნვა ყველა დადლოიქნებისელს.

— ეშ ლა ჰდება?! — მორთეს ღრიალი ბიჭემა, — შაათი იქნება, პული არ გვიშამია!

— ლა დაემალთა ჩემს კომბოშტოს? — აწივლდა ყველა ფროუ, — ამ შაათში შულ ჩაიშალა!

— ლა დაემალთა ჩემ ჩიბუხში? დონელ და ბლიცენ! — შეიკურთხეს პატარა მოხუცმა ჯენტლმენებმა, — შაათი იქნება ლაც ჩაქლა! — და ისევ დატენეს თავიანთი ჩიბუხები რისხვით წამონთებულეებმა, სავარძლებში გადაწოლილებმა გააბოლეს ისე გამალებით და ისე გაგულისებით, რომ მყისვე გაივსო მთელი ველი განუჭვრეტელი კვამლით.

მთლად წითლად შეიფერა ამ დროს კომბოსტოები და რაც კი იყო საათისსახა, ყოველივეს თითქოს მავნე დაჰპატრონებოდა. მონუსხულივით აცეკვდნენ ავეჯზე ამოჭრილები, ბუსრის თაროებზე დადგმულებს ძლივს დაეურვებინათ მრისსანება და არ იქნა, ცამეტის დაკვრა ვერ მიეტოვებინათ; კაცს თავზარს დასცემდა, ისე ხტოდნენ და იგრიხებოდნენ მათი ქანქარები. მაგრამ ყველაზე უარესი ის იყო, რომ ვერც კატებსა და ველარც ღორებს აეტანათ კუდზე გამობმული პატარა სარაკუნები. ფრიად განაწყენებულიყვნენ, მთელ ეზოში დარბოდნენ, ჯლიქვით. ქყვირილით, ფრუტუნით, ღნავილით ფეხებში ეცემოდნენ ხალსს, კაბებქვეშ იბლანდებოდნენ, ამაზრზენი ხმაური დადგა, ყვირილმა და ღრიანცელმა წაიღო ყურთასმენა... სრულ ჭკუაზე მყოფს ნამდვილად გაუჭირდებოდა ამ ამბის წარმოდგენა. მეტადრე გულისმომწყვლეელი ის გამსდარიყო, რომ კაცის არშესაგვანი მატრაბაზი სამრეკლოზე, როგორც ჩანდა, ათასად იჭრებოდა. ხანდახან თუ გამოჩნდებოდა ბოლში. ზურგზე წამოჯდომოდა გაშხვართულ სამრეკლოს გამრიგეს. ზარის თოკი ამ თაღლითს კბილებით დაეჭირა და თავის ქნევით ისე არისხებდა, დღესაც არ ჩამწყნარებია ყურში ზრიალი; მუსლზე ჩამოედო დიდი ვიოლინო და სიმებს ორივე ხელით პოტნიდა. შარახვეტიას არემიდამო გაეყრუებინა ამ სიმღერის უსაშველოდ ნაწვალეები ჰანგებით — „ჯუდი ო'ფლენიგანი და პედი ო'რაფერტი“.

ქვაც კი ატირდებოდა დადლოიქნებისელთა ცოდვით, შემდაგდა აქაურობა, წამოვედი, და ახლა საშველად ვუხმობ ყველას, ზუსტი დროისა და მშვენიერი მწნილის მოყვარულთა: მოდით დავირაზმით, წავიდეთ და ამ დაბაში აღვადგინოთ ძველი წესრიგი, სამრეკლოდან გავაძევოთ ის კაცუნა!

საქმოსანი ვარ, მოხერხებული კაცი. ხერხი სჯობია ღონესა და ყველაფერსაც. ყველაზე უფრო ის ბრიყვნი მძულს, ყბედობას რომ დაიწყებენ ხერხის შესახებ და არც არაფერი იციან; იმას ხედავენ, რაც თვალწინ უდევთ, ხოლო სული საგნისა ცხრაკლიტულში რჩება დაგმანული. ამ ვაჟბატონებს ყოველთვის უცნაური რამ სჭირთ, რასაც ისინი გარკვეულ წესსა და რიგს ეძახიან. მგონია, აქ პარადოქსია და მეტი არაფერი. ხერხი იქ გასჭრის, სადაც ჩვეულებრივი და ნათელი შემთხვევაა, უჩვეულოსთან კი ვერაფერს გავხდებ. მართლაც, რა აზრი შეიძლება ვნახოთ ასეთ გამოთქმებში „შარასვეტიათა ხერხი“ ან „ახირებულთა წესი და რიგი“.

ჩემი აზრი ამ საგანზე არც არასდროს იქნებოდა ასეთი ნათელი, ერთი ბედნიერი შემთხვევა რომ არ მომსვლოდა სულ ადრეულ ასაკში. მოხუცი, კეთილი ძიძა მყავდა, ირლანდიელი იყო ის დედაკაცი (ვისაც უთუოდ მოვიხსენიებ ჩემს ანდერძში), ხოდა, ერთხელ ცალ ქუსლზე ხელი წამავლო, რაკილა უფრო მეტს ვხმაურობდი, ვიდრე საჭირო იყო; ორჯერ თუ სამჯერ დამატრიალა, დამიღრიალა, „შენი ხმა არ გავიგონო“, და თავი ლოგინის რიკულზე დამარტყმევია და თითქოს ქუდი ყოფილიყო, ისე ამოიღუნა რაღაც. ამის მერე ჩემი ბედი, მე გეუბნებით, უკვე გადაწყვეტილი იყო და კიდევაც გავხდდი ქუდბედიანი; თხემზე იმწუთას დამაჯდა კოპი და წესრიგის საბუდარი შეიქნა, ზაფხულის ერთ დღეს მივხვდი ამ ამბავს. სწორედ ამის შემდეგ გავხდდი სისტემის მოყვარული და მოხერხებული კაცი და, საბოლოოდ, ცნობილი საქმოსანი.

ყველაზე უფრო ამქვეყნად გენიოსები მეზიზღება. ყველა გენიოსი ნამდვილი ვირია, რაც უფრო დიდია გენიოსი, მით უფრო დიდი ვირიცაა, იმდენად კანონზომიერია ეს მოვლენა, რომ გამონაკლისს ვერ ნახავთ. ცხადია, გენიოსისაგან ვერ დადგება საქმოსანი კაცი, სწორედ ასე ყვეერს კაპიკს ვერ გა-

ავღებიებ და ნაძვის გირჩისაგან ნიგოზს ვერ გამოიყვან. ეს ვაჟბატონები სულ მუდამ ოცნებებით არიან ვართულნი, სულელურ ფიქრებს მისცემიან, ნამდვილ საქმეს ვერა და ვერ მოკიდებენ ხელს, საქმოსნისა არა სცხიათ რა, წესიერ ხალხს იმით ვერ დაარქმევ. ნახავთ თუ არა რასაც ისინი აკეთებენ, იმწუთასვე მიხვდებით იმათ ხასიათს. თუ თქვენ შეგვხვდებით კაცი, ვისაც სურს ვაჭარი ან მეწაღე გახდეს, ან ბამბისა და თამბაქოს ყიდვა-გაყიდვას მიჰყოს ხელი; ან სხვა ამდაგვარ რამეს, ან მეგალანტიერობა, საპნის ხარშვა და ა. შ. მოისურვოს, ან ადვოკატობა, მჭედლობა, ექიმობა, ერთი სიტყვით, რაღაც უჩვეულო რამ მოინდომოს, მაშინ თქვენ შეგიძლიათ თქვათ, გენიოსიაო და, ამისდა კვალად, სამგზის დაამტიცოთ კიდევაც მისი ვირობა.

მე და გენიოსობა შორიშორ ვართ, მე ვარ ჩვეულებრივი საქმოსანი კაცი. ჩემი საანგარიშო რვეული და შემოსავალ-გასავლის წიგნი ამას ამწუთასვე დაგიმტკიცებთ. საკუთარ თავზე ლაპარაკი არ არის კარგი, მაგრამ მაინც ვიტყვი, ყველაფერი სრულ წესრიგში მაქვს, სისხლსა და ხორცში ისე გამჯდომია აკურატულობა და პუნქტუალობა, რომ საათი ჩემთან რას მოვა. უფრო მეტიც, ყველაფერი, რასაც მე ვაკეთებ, სულაც არა ჩანს უცხო ჩემი ახლობლების თვალში. მშობლების დამსახურება არ არის ჩემი ამბავი, იმათ ამისთვის ჭკუა არ ეყოფოდათ, რაღა თქმა უნდა, ისინი გენიოსს გამომიყვანდნენ საბოლოოდ, მაგრამ დროზე მომისწრო ჩემმა მწყალობელმა ანგელოზმა და გადამარჩინა. ბიოგრაფიაში თავიდათავი ჭეშმარიტებაა, განსაკუთრებით ეს ითქმის ავტობიოგრაფიაზე, მაგრამ იმედი არა მაქვს, ვინ დამიჯერებს, რომ საწყალმა მამაჩემმა — მართალს გეუბნებით, სახუმაროდ მე არა მცალაია — გავხდი თხუთმეტი წლის თუ არა, მიმიყვანა ერთ დაწესებულებაში, რომელიც ცნობილი იყო როგორც „რკინა-კავეულობის კარგი სავაჭრო, ფრიად საჭირო და მომგებიანი საქმე“, რის მომგებიანი, რა მომგებიანი! ასე იყო თუ ისე, ამ სისულელეს ის მოჰყვა, რომ ორი თუ სამი დღის შემდეგ უკანვე დამაბრუნეს ჩემს ხისთავიან მშობლებთან, ცუდად გავხდი, მაღალი სიცხე მომცა, საშინლად მტკიოდა კოპი მთლიანად, ეს ჩემი საბუდარი წესრიგისა. კინაღამ ფეხები

გავფიქვე, ექვსი კვირა სასიკვდილოდ ვიყავი გადადებული, ექიმებს ჩემი გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდათ. თუმცა კი გავიტანჯე, მაგრამ მაინც მაძლიოებელი ვარ, რომ არ მოვხვდი იქ, სადაც იყო „რკინა-გავეულობის კარგი სავაჭრო, ფრიად საჭირო და მომგებიანი საქმე“, და ამიტომაც მარტივ შევწირე იმ ჩემს მხსნელ კოპს და იმ ჩემს კეთილისმყოფელ ქალს, იმთავითვე იმის შექმნელსა და მესაძირკვლეს.

მეტი წილი ბიჭებისა სასლიდან ათი, თორმეტი წლისანი გარბიან, მე კი თექვსმეტ წლამდე დავიცადე. არ ვიცი, იქნებ, მაშინაც არ გავქცეულიყავი, მაგრამ შემთხვევით ჩემი მოხუცი დედის საუბარი მოვისმინე, ბაყალთან მოვაწყობოთ სამუშაოდ. ბაყალთანო! ამას რას ვიფიქრებდი! ხოდა, ასე ვთქვი ჩემს გულში, დროზე უნდა წავიდე აქედან და თავს ვუშველო, ამ ჭირვეულ და უცნაურ ხალხთან მეტი განერება აღარ შეიძლება, თორემ ისინი მე თავს არ დამანებებენ და ბოლოს გენიოსობა არ ამცდება-მეთქი. კარგადაც მოვაგვარე ეს საქმე და უკვე თვრამეტი წლისამ დიდი და მომგებიანი საქმე გავიჩინე, მკერავის მოძრავი რეკლამა გავსდი.

ამ სადავიდარაბო ხელობაზე მე ვინ დამაყენებდა, მაგრამ იცოდნენ, რა მკაცრი სისტემის მიმდევარი ვიყავი და ეს თვისება ძვალსა და რბილში მქონდა გამჯდარი. დახვეწილი მეთოდურობა აჩნდა ჩემს ყოველ საქმეს და, ამავე დროს, ანგარიშიანიც გახლდით. ჩემნაირი ყმაწვილი ფულს კი არა, მეთოდს უნდა გაეხადა კაცი, სუყველაფერი ამაზე იყო დამოკიდებული, ოღონდ გარკვეული წვლილი იმ მკერავებსაც ჰქონდათ, მე რომ ვემსახურებოდი. ყოველ დილას, ცხრა საათზე მივდიოდი იმათთან, ყოველდღე უნდა გამომეცვალა ტანისამოსი. ათი საათი იქნებოდა, როდესაც ხალხმრავალ და გასართობ ადგილებში გამოვჩნდებოდი. ზუსტად და გამოზომილად ვტრიალებდი და ასე ყოველი მხრიდან ხედავდნენ ჩემს წარმოსადგე ტან-ფეხს და იმ ჩვენს სამკერვალოში შეკერილ სამოსელსაც, ცხადია, კიდევაც რჩებოდა აღფრთოვანებული ამ საქმის კარგად მცოდნე ხალხი. ჯერ კიდევ შუადღის დადგომამდე ყოველთვის მომყავდა მუშტარი, ჩემი დამკირავებლების, ბ-ნების დაჭერ და შეკერეთის სახლში. სიამაყით, თუმცა კი თვალცრემლიანი ვამბობ ამას, რადგან მე



არა ვარ ამ ფირმის მადლიერი. პატარა ანგარიში წარვუდგინე, არ ესიამოვნათ და საბოლოოდ დავცილდით კიდეც; ვერც ერთი საქმეში ჩახედული ჯენტლმენი ვერ იტყვის ჩემზე, ზედმეტი უანგარიშებიაო რაღაც-რაღაცები. თუმცა თავად მკითხველმა განსაჯოს ეს ამბავი, მე მართალი ვარ, თავაწეული და კმაყოფილი გეუბნებით ამას. აი ჩემი ანგარიში:

ბატონებს დაჭერ და შეკერეთს, ვაჭარ მკერავებს პიტერ პროფიტს, მოძრავ რეკლამას, თქვენგან ეკუთვნის შემდეგი დღრ

ივლისის 10.	სეირნობა, ჩვეულებისამებრ; მუშტრის მოყვანა	00,25
ივლისის 11.	იგივე	25
ივლისის 12.	ერთი სიცრუე, მეორე ხარისხის: შავი ფერის ტანისამოსი მუქ-მწვანედ გავასაღე	25
ივლისის 13.	ერთი სიცრუე, უმაღლესი ხარისხისა და ფრიად მნიშვნელოვანი: ბამბის ხავერდი დრაფად გავყიდე	75
ივლისის 20.	შევიძინე სულ ახალი ბამბის საყელო ფონის შესაქმნელად პალტოსთვის	2
აგვისტოს 15.	მოკლე ფრაკი მეცვა, ორმაგ სარჩულიანი (ტემპერატურა ჩრდილში — 76°)	25
აგვისტოს 16.	სამი საათი ცალ ფესზე ვიდექი, რათა კარგად მეჩვენებინა ახალი მოდის ნაკეცი, თუ 12,5 ცენტს ვიანგარიშებთ, მაშინ ერთი საათი დგომა თითო ფესზე უდრის	37,5
აგვისტოს 17.	სეირნობა, ჩვეულებისამებრ; მდიდარი მუშტრის მოყვანა (მსუქანი კაცი)	50
აგვისტოს 18.	იგივე (საშუალო ტანის კაცი)	25
აგვისტოს 19.	იგივე (სმელ-ხმელი კაცი, ღარიბ-ღატაკი)	6

2 დოლარი და 95,5 ცენტი

განსაკუთრებით სადავო შექმნილა უმნიშვნელო თანხა, სულ ორად ორი ცენტი, ბამბის საყელოსათვის რომ გადავიხადე. სინდისს გეფიცებით, ის საყელო სულაც არ იყო ძვი-

რი. არც არასდროს მინახავს ასეთი სუფთა და მშვენიერი საყელო, დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ იმან გამაყიდა სამი პალტო. ჩვენი ფირმის ერთმა უფროსთაგანმა მითხრა, ერთ ცენტზე მეტს არ მივცემდიო იმაში, და მაჩვენა კიდევაც, თუ როგორ შეიძლებოდა ერთი ფართო ქალაქისაგან ოთხი ასეთი საყელოს გაკეთება. რაღა საჭიროა იმის თქმა, რომ მე ჩემი პრინციპი მაქვს საზომად, საქმე საქმეა და ისე უნდა გაკეთდეს, როგორც საქმეს მოუხდება. რა წესი და რიგია წამგლიჯო მთელი ერთი ცენტი — ორმოცდაათიან პროცენტიათი ყალთაბანდობაა სწორედ ეს ამბავი, და მეთოდის უპატივცემულობა. იმწუთასვე დავტოვე ბ-ნების დაჭერ და შეკერეთის დაწესებულება და საკუთარი საქმე გავიჩინე, ლიბრის გადაკვრის ხაზით დავიწყე მუშაობა, ეს იყო ერთ-ერთი მეტად მომგებიანი, ღირსეული და, ამავე დროს, არაჩვეულებრივი საქმე.

ჩემი დიდი პატიოსნება, მომჭირნეობა და საქმის ერთგულება კარგადაც გამომადგა. სულ მალე დამში მოვიყვანე ეს საქმე და ყველა ამას იძახოდა, ერთი ნახეთ, ეს კაცი რას შერებაო. მართლაცდა, მეწვრილმანე მე არ შევქმნილვარ და ყოველთვის გახლდით მიმდევარი ძველი წესის და რიგისა, სწორედ ეს იყო კიდევაც ჩემი მოწოდება; მოწოდება-მეთქი, რომელსაც არც არასდროს ვუღალატებდი. მაგრამ ერთი პატარა შემთხვევა მომიხდა, ზოგჯერ რომ მოსდის ხოლმე საქმოსან კაცს სულ ჩვეულებრივი ოპერაციებისას. ზოგჯერ გამოვა ვიღაც ბეხრეკი ფულიანი ან მფლანგავი მემკვიდრე, ან გაკოტრების გზაზე შემდგარი ამხანაგობა; ხოდა, სრასახლის აშენებას მოინდომებენ თავისთვის და არც აღარაფერი გააჩერებთ იმათ ამქვეყნად, ყველა ჭკუათამყოფელმა კარგად იცის ეს ამბავი. სწორედ ხსენებული გარემოება ესაძირკვლებოდა ლიბრის გადაკვრით ვაჭრობას. დაინახავთ თუ არა, რომ ეს ვიღაცები სადაცაა დაიწყებენ თავისი გეგმის შესრულებას, იმწუთას ჩუმად იმათი არემიდამოს ლამაზ კუთხეში პატარა ნაკვეთს იყიდით, შეიძლება ნაკვეთი იმათ გვერდით ან პირდაპირ შეიძინოთ. იზამთ ამას და დაელოდებით სანამ შენობის ნახევარს არ ააშენებენ, მერე ერთ კარგ არქიტექტორს ნახავთ და ისიც სოფლის ქონხმასს ან პაგოდას, აღმოსავლურ-ბოლანდიურ სტილში, ან საღორეს, ან რაღაც უცნაურ საღ-

გომს ააგებს, ესკიმოსებმა, კოკაპუს ტომის ხალხმა ან ჰოტენ-ტოტებმა რომ იციან, ისეთს. რაღა თქმა უნდა, ამ ნაგებობების დანგრევა ჩვენ არ შეგვიძლია, თუნდაც ამაში მისი ხარჯების — ღირებულება, შენობის შელესვა — ხუთასპროცენტისანი ანაზღაურება მოგვცენ არ შეგვიძლია-მეთქი, სომ სწორი ვარ, გეკითხებით? საქმოსან ხალხს გეკითხებით-მეთქი. კი შეიძლებაო, ვერ იტყვიოთ ამას, ზღაპარი იქნება ეგ. და სწორედ ასეთი თანხა შემომთავაზა გარეწართა ბრბომ, იმ ამხანაგობამ, სწორედ ასეთი-მეთქი რა ჩემი პასუხის ღირსნი იყვნენ ამ უაზრო წინადადებების მთქმელნი; და იმ ღამითვე ავდექი და მთელი იმათი სასახლე შავად გაგმურე. იმ ჭკუა-გამოლულმა არამზადებმა ციხეში ჩამსვეს. გამოვედი თუ არა იქიდან, ლიბრის გადამკრავმა ჯენტლმენებმა ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს ჩემთან.

ცხოვრება ხომ მიწოდდა და იძულებული ვიყავი ცემა-ტყეპის საქმისათვის მომეკიდა ხელი, თუმცა რა შესაფერისი იყო იგი ჩემნაირი ნაზი აგებულების კაცისათვის; ძალა ახლაც არ დამიშურებია და მივხვდი, თუმცა ეს წინათაც ვიცოდი, ყოველთვის მშველოდა ეს ჩემი მტკიცე ჩვეულება, მეთოდურობა და წესრიგის სიყვარული, რომლის გულისთვის ხელი გამოიღო იმ ჩემმა შესანიშნავმა მოხუცმა ძიძამ; მართლაცდა, კაცთაგან მთლად გარეწარი უნდა ყყოფილიყავი, რომ ჩემს ანდერძში არ მომეხსენებინა იგი. საქმოსნობის ამ უმკაცრესი სისტემის წყალობით და ყველაფერი ზუსტად რომ შემქონდა დავთრებში, ბევრი დავიდარაბის შემდეგ ბოლოს სრულიად დავეუფლე ამ ჩემს ხელობას. მართალი თუ ვნებავთ, თითო-ოროლადა თუ მოიპოვებდა ამ საქმეში ჩემნაირ წარმატებას. რომლის დასტურად სჯობს ერთი ან ორი გვერდი მოვიყვანო ჩემი დღიურიდან და, ასე, აღარც დამჭირდება იმის ძახილი, ესა და ისა ვარ-მეთქი, უხერხულიცაა ამაღლებული სულის კაცისთვის თავის ქება. დღიური კი ყოველთვის მართალს გვამცნობს, არ ცრუობს.

„იანვ. 1. — ახალი წელია. შევხვდი გაჰკარს, შექეფიანე-ბული იყო. დავიხსომოთ, გამოგვადგება. ცოტა ხნის მერე შევხვდი ტოტყოს, გატიალებულ მთვრალს. დავიხსომოთ, ისიც გამოგვადგება. ჩემს დავთარში შევიტანე ეს ორივე ჯენტლმენი და თითოეულზე ანგარიში გავხსენი.

იანვ. 2. — დავინახე გაჰკარი, ბირჟაზე მოსულიყო, მივედა, ფესზე დავაბიჯე. შემომკრა და დამაგდო. კარგია! — წამოკდექი. ვერ დავიყოლიე ეს ჩემი ვეკილი, ფულოუ, ამ მეშტიკრივისთვის ათასს ავართმევ-მეთქი, ასე ვფიქრობდი, მაგრამ იმან მითხრა, ერთი შემოგკრა და აშენება ხომ არ გინდა, ხუთასს დასჯერდიო. დავიხსომოთ, ფულოუ უნდა მოვიცილყო, მთლად უსისტემო კაცია.

იანვ. 3. — თეატრში წავედი, ტოტყო უნდა მენახა, გვერდას ლოჟაშია, ერთი მხრიდან გაძვალტყავებული ქალბატონი უზის, მეორედან — ჩასუქებული. სათეატრო ჭოგრიტი მივაშვირე იმათ, იქამდე არ მომიცილებია სანამ ის ჩასუქებული ქალბატონი სახეზე არ წამოინთო და რაღაც არ ჩასჩურჩულა ტ.-ს. მოვტრიალდი, იმათთან შევედი ლოჟაში და ცხვირი პირდაპირ იმ კაცს მივუღირე. ვითომცდა აქ არაფერიო, ნირი ვერ შევაცვლევიე. ცხვირი მოვიწმინდე, ერთხელ, მეორედ, მანც არაფერი შეეტყო, იმათთან დავჯექი და იმ გაძვალტყავებულ ქალბატონს თვალი ჩაუკარი. რა გამიხარდა, როდესაც იმ კაცმა ჭიტლაყი ამომკრა და პარტერში გადამაგდო. კისერი ამომიტრიალდა და პირწმინდად მომტყდა მარჯვენა ფესი. ზარზევით დავბრუნდი შინ, ერთი ბოთლი შამპანური დავლიე და იმ ყმაწვილ კაცს ხუთი ათასი შევაწერე, ფულოუმ თქვა, გამოვაო.

თებ. 15. — ბ-ნ გაჰკარს მოვურიგდი ორმოცდაათ ცენტად, იხილე დავთარი.

თებ. 16. — იმ არამზადამ, ტოტყომ, დამკრა და გამაგორა, საზღაურად ხუთი დოლარი მომცა. სასამართლო ხარჯები ოთხი დოლარი და ოცდახუთი ცენტი გადავიხადე. სუფთა მოგება — იხილე დავთარი — „სამოცდათხუთმეტი ცენტი“.

სულ მოკლე ხანში შემოსავალი იყო ერთი დოლარი და ოცდახუთი ცენტი — მხოლოდ გაჰკარისა და ტოტყოს შემოსევები მაქვს მოყვანილი; მკითხველს ერთი წუთითაც ნუ შეეპარება ეჭვი, ჩემი დღიური ალაღბედზე გადავშალე და ეს რამდენიმე ამონაწერი ისე მომაქვს.

მაგრამ ერთი ძველი და მართალი ანდაზისა არ იყოს, ჯან მრთელობა ერთია და ფული უამრავი\*. ჩემი ესოდენ ნაზი სხეულისათვის ეს ხელობა მეტისმეტი გამოდგა. დაბოლოს

რას ვხედავ, თავადაც არ ვიცოდი, ისე მაგრად დავმასინჯებულვარ, მეგობართაგან ერთმაც კი ვერ მიცნო ქუჩაში და ვერც თქვა, პიტერ პროფიტიაო ეს კაცი. რაღა უნდა მექნა, კი სჯობს სხვა საქმე ვიმოვნო-მეთქი, გავიფიქრე მე. ავდექი და გასვრა-გაჭუჭყიანების საქმეს მივყავი ხელი რამდენსავე წელიწადს.

მაგრამ ამ საქმის ნაკლი ის არის, რომ ძალიან ბევრს მოსწონს და ამიტომაც კონკურენციაც დიდია. ყოველ რეკვენს მოუნდება გასვრა-გაჭუჭყიანების საქმე, იმას ჭკუა არ ჰყოფნის და უჭირს მოძრავი რეკლამა გახდეს ან ლიბრის გადაკვრას, ან ცემა-ტყეპას მიჰყოს ხელი. მაგრამ ძალიან სცდება, თუ ჰგონია, გასვრა-გაჭუჭყიანებაზე ადვილი რა უნდა იყოსო. განსაკუთრებით ის უნდა გვახსოვდეს, მეთოდის გარეშე ფონს ვერ გავალთ. ჩემი საქმე მხოლოდ საცალო ვაჭრობა იყო, მაგრამ ამ ჩემი ოდინდელი ჩვეულების, სისტემურობის წყალობით არც არასდროს მომცარვია ხელი. უპირველეს ყოვლისა, დიდის გულმოდგინებით ერთი გზაჯვარედინი ავირჩიე და ამ ადგილის გარდა აღარსად მომიქნევია ცოცხი. ისიც არ დამვიწყებია, აგრეთვე, რომ მშვენიერი პატარა გუბე ყოფილიყო აქვე ჩემ გვერდით. ასე და ამგვარად სანდო კაცის სახელი გამივარდა და ეს კი საქმოსნისათვის უკვე წარმატების ნახევარია. წამომიგდებდა ვინმე კაპიკიანს და დაისჯებოდა კიდევაც, იმ ჩემს გადმოსავლელს ვერ გადმოივლიდა დაუსვრელი შარვლით. და რაკილა ჩემი კარგი საქმოსნობის ამბავი ყველასთვის ცნობილი იყო, არც არავის უცდია ჩემი მოლორება. სხვას იმას როგორ დავანებებ, რასაც თავად მე ვშვრები, ვინ რას გამიბედავს. მაგრამ ბანკების თაღლითობასთან მე რას გავხდები. კინდამ გამაჩანაგა იმათმა ძალმომრეობამ. შენ რა იცი, იქ ვინ რას შვრება, კორპორაციების ბოგინს ხედავ მხოლოდ, კორპორაციები კი; საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, უხორცონი არიან და ხელს ვერ შემოჰკრავ, შენი წყევლა-კრულვაც ვერაფერს დააკლებს, რაკილა უსულონიც არიან.

ერთხანს ასე ვაკეთებდი ფულს, მერე კი, დასწყევლოს ღმერთმა, იძულებული გახდნი ძალღი გამეყვანა წილში, ანუ ჩემი საქმე ძალღით გასვრა-გაჭუჭყიანება იყო ახლა; მართალია, გარკვეული მსგავსება კი ჰქონდა იმ ჩემს წინანდელ

საქმესთან, მაგრამ ღირსეული ჩანდათ ამას ვერ იტყოდით. ადვილი კი საუკეთესო შევარჩიე, ქალაქის შუაგულში, საცხი და ჯაგრისიცი დიდებული ვიშოვნი. ჩემი მურია პატარა და ჩამრგვალებული იყო და მრავალნაირად შეეძლო დაყნოსვა. კარგა ხანს ეწეოდა ამ საქმიანობას და მშვენიერადაც დაეუფლა. საერთოდ ჩვენ ასე ვმუშაობდით: მურია ჯერ მთლად ამონისვრებოდა ტალახში, მერე დასკუბდებოდა თავისთვის აქვე, დუქნის კართან მანამ, სანამ არ დაინახავდა ვიღაც პრიალა ჩექმებიან დენდის. ხოდა, სწრაფად მიაშურებდა მას, ერთხელ თუ ორჯერ შეახოცავდა თავის ტანს იმისი ჩექმების ყელს. ლანძღვა-გინება აღმოხდებოდა ამ გამწარებულ დენდის და აქეთ-იქით დაიწყებდა მზერას, ვინ მიშველისო. მე კი იქა ვარ ჩემი ჯაგრისებითა და მოწყობილობით. წუთის სამუშაო და ექვსი პენსი მრჩება. თავმოზღუდულ კაცს ეს შემოსავალი მყოფნიდა ერთხანს, ღორმუცელა მე არა ვარ, მაგრამ ამ ჩემს მურიაზე ამას ვერ იტყოდით. მოგების მესამედი იმას მიჰქონდა, მაგრამ ბოლოს ნახევარი მომთხოვა. ამაზე კი ველარ მოვრიგდით, წავიჩხუბეთ და კიდევაც დავცილდით ერთმანეთს.

შემდეგ არღანს ვამღერებდი და კარგადაც ვიყავი. ეს სამუშაო მარტივი და ადვილია, დიდი ჭკუა ამას არ სჭირდება. თქვენ იშოვნით მუსიკალურ სატრიალას, იმაზე დაკვრას კი რა უნდა, გააწყობთ, ამისათვის სახურავს ახსნით და სამჯერ თუ ოთხჯერ ჩაქუჩს ჩააკაკუნებთ, ამის შემდეგ მშვენიერი ხმა გაუსდება, საქმისთვის ეს აუცილებელია. იზამთ ამას და მერე სეირნობას უნდა მოჰყვეთ, იმ ყუთს ზურგზე მოიკიდებთ და მანამ ივლით, სანამ არ დაინახავთ სრასახლს, მოჩუქურთმებული კარით. დადგებით იქ და დასცხებთ; ვიღაცა დაგინახავთ და ასე ეგონება, ეს აქედან წამსვლელი არ იქნება, მეორედ მოსვლამდე გააგრძელებსო არღნის დაკვრას. მერე უცებ ფანჯარა გაიღება და ექვსპენსიანს გადმოგიგდებენ, გადმოვძახებენ, განუმდი, გაეთრიეო აქედან და ა. შ. ვიცი, რომ ზოგი მეარღნე „წაეთრეოდა“ ამ თანხის გულისათვის, მაგრამ მე მგონია, იმდენი ხარჯი მაქვს გაწეული, რომ ერთ მილინგზე ნაკლებად არსადაც „არ წავეთრევი“.

კარგი შემოსავალი მქონდა, ცუდი არ იყო ეს საქმე, მაგრამ ბოლოს როგორღაც აღარ მაკმაყოფილებდა და თავი გავანე-

ბე. მართალი თუ გნებავთ, სამუშაო პირობებიც არ მქონდა კარგი, მაიმუნი მე არა მყავდა, სოლო ამერიკის ქუჩები ჭუჭყითაა სავსე, აქაური დემოკრატიული ბრბო თავსედია და სიბრიყვის განსახიერებაა. პატარა ბიჭბუჭებს კი შეუძლიათ ანწუსზე ააგონ კაცი.

რამდენიმე თვე უმუშევარი ვიყავი, მაგრამ ბოლოს მოვახერხე და ის სამუშაო ვიშოვნე, სულითა და გულით რომ მომწონდა, ყალბ-ფოსტაში დავიწყე საქმიანობა. ჩემი მოვალეობა უბრალო იყო, მაგრამ შემოსავალი ცუდი არა მქონია. ასე, მაგალითად, დილაადრიანად ყალბი წერილების მთელ დასტას ვწერდი. იმათაგან თითოეულში რამდენიმე იდუმალებით მოცულ სიტყვას ჩაევლახნიდი, იმას, რაც იმწუთას გამიეღვებდა თავში, ხელსაც მოვაწერდი, ტომ დობინსი ან ბობ ტომპკინსი და ა. შ. დაკვეცავდი და დავებჭდავდი, ყალბ მარკებსაც დავაწებებდი, ვითომცდა ნიუ-ორლეანიდან, ბენგალიიდან, ბოტანი ბეიდან ან სხვა ამდაგვარი შორეული ადგილებიდან იყო გამოგზავნილი. ვიზამდი ამას და სწრაფად მივაშურებდი დიდებულ სრასახლებს, გასამრჯელოსაც ვღებულობდი. ფულს ისე მაძლევდნენ, რომ ერთი წუთითაც არ დაეჭვდებოდნენ, წერილის მოსვლა ყველას უხარია, ასეთი სულელია ხალხი, მე კი მალე გადავუხვევდი ქუჩის კუთხეში და სანამ წერილს გახსნიდნენ, მივიმალებოდი კიდევაც. ამ ხელობის ნაკლი ის იყო, რომ ბევრი და ჩქარი სიარული მიხდებოდა და სხვადასხვა გზით უნდა მევლო ხშირად. სინდისმაც ძლიერ შემაწუსა. ყოველთვის გულჩათუთქული ვისმენდი უდანაშაულოთა ლანძღვას. მთელი ქალაქი უგზავნიდა წყევლა-კრულვას ამ ტომ დობინსსა და ბობ ტომპკინსს. შემზიზღდა ეს საქმე და თავი გავანებე.

ჩემს მერვე და საბოლოო საქმიანობაზე დავიწყე ფიქრი, მეკატეობა ავირჩიე. დიდად სასიამოვნო და მომგებიანი გამოდგა ეს საქმე, არც ბევრი დავიდარაბა სჭირდებოდა. კარგადაა ცნობილი, რომ ამ ჩვენს ქვეყანაში აუარება კატა დამლიგინობს. იმდენად მომრავლებულან ამჟამად, რომ პეტიცია გაუგზავნიათ მრავალი ღირსეული ადამიანის ხელმოწერით საკანონმდებლო საბჭოს უკანასკნელ სესიაზე. ჩვენს დროს კი ასეთი სხდომის მონაწილენი დიდებულად არიან

ინფორმირებულნი და კიდევაც ლებულობენ ბევრ ბრძანულ და ფრიად საჭირო კანონებს; ახლა კი მთელი თავისი მუშაობა დააგვირგვინეს აქტით „კატების შესახებ“. თავდაპირველად ეს აქტი ითვალისწინებდა ერთი კატის თ ა ვ შ ი ჯილდოს (ოთხი პენსის ოდენობით), მაგრამ სენატს უყოჩაღია და ძირითად დებულებაში სიტყვა „თავი“ „კუდი“ შეუცვლიათ. სსენებული შესწორება ისე აუცილებელი ჩანდა, რომ nem. con.<sup>1</sup> მიუღიათ.

მოაწერა თუ არა ხელი გუბერნატორმა ამ კანონს, იმწუთას მთელი ჩემი ქონება სატაურებისა და ფისოების შესყიდვის მოვანდომე. პირველად იმათ თავგების მეტს არაფერს ვაჭმევდი (მეტი საშუალება მე არა მქონდა), მაგრამ მერე ისე კარგად აღასრულეს ბიბლიური წინასწარმეტყველება, რომ ბოლოს შემრცხვა ჩემი ასეთი ხელმომჭირნეობისა და უკვე იმათ სამანწკებითა და კუს სორცით ვკვებავდი. კატის ერთ კუდში კანონით კარგი გასამრჯელო მერგება; ჩემმა კვლევა-ძიებამაც დიდებული შედეგი გამოიღო, მაქასარის ზეთის მეშვეობით წელიწადში სამჯერ ვლებულობდი მოსავალს. ჩემდა სასინარულოდ ისიც დავადგინე, რომ ეს ცხოველები მალე შეეჩვივნენ ამ ამბავს და ისევ კუდის დაკარგვა ურჩევნიათ სხვა რამის მოკვეთას. დაბოლოს ესლა უნდა დავსძინო, კაცი გავხდი მას შემდეგ და ახლა ჰუძონის სანაპიროზე მამული მინდა ვიყიდო.

## ეშპაკს თავზე ნუ დანააქლები

მორალური მოთხრობა

„Con tal que las costumbres de un autor“ — უთქვამს დონ ტომას დე ლა ტორესს თავისი „სასიყვარულო ლექსების“ შესავალში, — „sean puras y castas, importa muy poco que no sean igualmente severas sus obras“ — ჩვეულებრივი

<sup>1</sup> Nemine contradicente — არავინ წინააღმდეგი აქ: ერთხმად (ლათ.).



ენით რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს: თუ თავად ავტორი სუფთაა მორალურად, აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმის წიგნებში წარმოჩენილ მორალს. გავბედავო და ვიტყვი, ამ თავისი მტკიცებისა გამო დონ ტომასი ახლა სალხინებელშია. პოეტური სამართლიანობის გულისათვის კი იქნებოდა კარგი, რომ მანამ გავვეჩერებინა იქ, სანამ მისი სასიყვარულო ლექსები სტამბიდან არ გამოვიდოდა ან, რაკი მკითხველი არ ეყოლებოდა, თაროზე დარჩებოდა ხელუსლებელი. ყოველი მხატვრული ნაწარმოები მორალური უნდა იყოს, და, რაც მთავარია, კრიტიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ სწორედ ასეთია მხატვრული ნაწარმოები. ფილიპე მელანსტომმა ამ ცოტა ხნის წინათ კომენტარები დაურთო „ბატრახომიომასიას“ და დაგვიმტკიცა, პოეტს ამბოხებისადმი ზიზღის აღძვრა უნდოდაო. პიერ ლა სენი უფრო შორს წასულა და უთქვამს, რომ თურმე ამ ნაწარმოებით ავტორი ყმაწვილკაცებს ურჩევდა, ზომიერება უნდა დაიცვათო ჭამა-სმაში. სწორედ ასევე იაკობუს ჰიუგო იმით ირთობდა თავს, ევენოსის სახით ჰომეროსს ჟან კალვინი ჰყავდაო წარმოდგენილი; ანტინოეს სახით — მარტინ ლუთერი, ლოტოფაგების სახით პროტესტანტები საერთოდ, ხოლო ჰარპიების სახით პოლანდიელებიო. ჩვენი უახლესი სქოლასტიკოსები ასეთივე გონებათმხილობით გამოირჩეოდნენ. ეს ვაჰბატონები პოულობენ ფარულ აზრს „წარღვნამდელებში“; ზნეობრივ მოძღვრებას — „პოუპატანში“, ასალ აზრებს — „კოკ რობინსსა“ და ტრანსცედენტალიზმს — „ცეროდენაში“. ერთი სიტყვით, კარგად გვიჩვენეს, არც არავინ დაჯდება რაიმეს საწერად უღრმესი აზრების მოუშველებლად. ასე რომ ავტორებს აღარც დარჩათ რამე სადარდებელი. რომანისტს, ასე, მაგალითად, არც უნდა აწუხებდეს მორალი. კი უნდა ჰქონდეს მოყვანილი იგი წიგნში, ვერ ვიტყვი, ზუსტად სად, მაგრამ უნდა ჰქონდეს-მეთქი, და კრიტიკამ და მორალმა თავად უნდა იზრუნოს თავის თავზე. დადგება დრო და ყველაფერი, რაც უნდა ეთქვა ამ ჯენტლმენს და რაც არ უნდოდა, ყოველივე გამომზეურდება „დაიელის“ ან „დაუნ-ისტერის“ მეშვეობით, ასე რომ კარგადაც გასრულდება ბოლოს ყველაფერი.

მართალია, ზოგ-ზოგი უვიცი სრულიად უსაფუძვლოდ მა-

დანაშაულებს მე, ერთი მორალური მოთხრობაც კი, ანუ, უფრო სწორად, ერთიც არ დაუწერიათ მოთხრობა მორალით. ვერაფერს განდებთან ჩემთან ეს კრიტიკოსები, ჩემს მორალს ისინი ვერც დაინახვენ... — თუმცა აღარაფერს ვიტყვი. „სამხრეთ ამერიკის კვარტალური მიმოხილვა“ წარმოუჩინს იმას თავიანთ სისულელეს და შეარცხვენს კიდევაც. მანამ კი მე, სასჯელს რომ გადავურჩე და რამდენადმე მაინც შევამსუბუქო ჩემს წინაშე წამოყენებული ბრალდებანი, ეს სევდიანი ამბავი უნდა შემოგთავაზოთ, ამბავი-მეთქი, რომლის მორალი საცხადო და უცილობელია და ვისაც სურს, შეუძლია კიდევაც ამოიკითხოს იგი ამ მოთხრობის დიდი ასოებით დაბეჭდილ სათაურში. კი უნდა იყვნეთ ჩემი მადლიერი ამ სერხისათვის, კარგადაც მიჯობნია ლაფონტენისთვის და სხვებისთვისაც, თავიანთ შეხედულებას სულ ბოლო წუთამდე შეინახავენ და მერე შემოგაჩეჩებენ ხოლმე უხეირო ზღაპრის დაბოლოებასავით.

*Defuncti injuria ne afficiantur*<sup>1</sup> — ასეთი იყო კანონი თორმეტი ტაბულისა და *De mortuis nil nisi bonum*<sup>2</sup>, ესეც მშვენიერი თქმაა, თუმცა კი ხსენებული მიცვალებული შეიძლება პატარა მიცვალებული ბოთლი იყოს და მეტი არც არაფერი. სწორედ ამიტომ არ მინდა აქ ჩემი დაღუპული მეგობრის, ტობი ჯანაბოუს გაკიცხვა. ძალღი იყო და ნამდვილად ჩაძალდა კიდევაც, თუმცა კი მისი სიავე არ უნდა ყოფილიყო მისი ბრალი. პირადად დედამისისაგან გადმოყოლოდა ეს ნაკლოვანება. ყრმობიდანვე ცემა-ტყეპა არ მოუკლია მისთვის, გონებადამჯდარ ქალს დიდადაც სიამოვნებდა ამ თავისი მოვალეობის მოხდა, თითქოსდა მისი ბავშვები იყვნენ დასანაყი ნივრები ან ბერძნული ზეთისხილის ნორჩი ხეები — რაც უფრო მეტს ცემ, მით უფრო კარგი ხდებიან ისინი, მაგრამ საბრალო ქალი მთელი მისი უბედურება ის იყო, რომ ცაცია გახლდათ და მარცხენა ხელით ბავშვის ცემას სჯობს არ სცემო სულაც. მარჯვნიდან მარცხნივ ტრიალებს, მთელი სამყარო, ხოდა, არც შეიძლება ბავშვის გაწკეპვლა

<sup>1</sup> მიცვალებულის სამართალდარღვევა არაგანსჯადია (ლათ.).

<sup>2</sup> კარგის გარდა მკვდარზე ნულარაფერს იტყვიან (ლათ.).

მარცხნიდან მარჯვნივ. საჭირო მიმართულებით ყოველი დარტყმა დააგდებინებს იმას ბოროტებისადმი ლტოლვას, გამომდინარე აქედან ყოველი შემოკვრა საპირისპირო მიმართულებით ბიწიერებას აზიარებს გარკვეულწილად. მე ხშირად მინახავს ტობის დასჯა და იმისდა კვალად, თუ როგორ ტლინკაობდა, ვგებულობდი, რომ ის სულ უარესი და უარესი ხდებოდა ყოველდღიურად. დაბოლოს თვალცრემლიანმა დავინახე, გარეწარი შექმნილიყო და აღარც არაფერი ეშველებოდა. ერთ დღეს იმდენჯერ შემოკრეს ხელი, ვიდრე სახე მთლად არ გაუშავდა და პატარა აფრიკელს არ დაემსგავსა. სულ ტყუილად იწირიხებოდა და მეც ვეღარ გავძელი, მუხლებზე დავეშვი იმის წინ და ხმამაღლა ვუწინასწარმეტყველე, დაიღუპები-მეთქი.

მართლაცდა, იმთავითვე გახდა არაწმინდა და გულბილწი. სუთი თვისა ისე აენტებოდა და დაენტებოდა, რომ სიტყვასაც ვერ დაძრავდა. ექვსი თვისას წავასწარი, მთელ დასტა კარტს ღეჭავდა. შვიდი თვისას ჩვეულებად ექცა მდედრობითი სქესის ჩვილების კოცნა და უღვლემა. რვა თვისამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ხელი არ მოუწერია ზომიერების პირობაზე. ხოდა, ასე ვითარდებოდა დღითი-დღე, თვიდან თვემდე, ვიდრე ერთი წლისა არ შეიქნა და არა მარტო ულვაშები გაუშვა, ლანძღვა-გინებასაც მიეჩვია, დანაძლევება კი მეტად შეუყვარდა.

სწორედ ამ უაღრესად არაჯენტლმენურმა საქციელმა მოუღო ბოლო, ტობი ჯანაბოუს აუსრულდა ის, რაც მე ვიწინასწარმეტყველე. ხსენებული ჩვეულება „იმასთან ერთად იზრდებოდა და ძლიერდებოდა იმასთან ერთად“. ასე რომ, დაკაცების მერე ერთ სიტყვასაც არ დაძრავდა ამის უთქმელად, მოდი დავნაძლევდეთო, მაგრამ წასაგებად, ნურას უკაცრავად, ვერაფერს გაიმეტებდა. სამართალი უნდა მივაგო ჩემს მეგობარს, ის უფრო კვერცხის დადებას შეძლებდა, ვიდრე ამას. სიტყვის მასალა უნდა ყოფილიყო ეს გამოთქმა და მეტი არაფერი. თავადაც არ მიენიჭებინა ამისთვის რამე მნიშვნელობა, ეს იყო ჩვეულებრივი, თუმცა არც ისე უვნებელი ზღაპრისთავი, გონებამახვილური ფრაზა წინადადების დასაგვირგვინებლად გათვალისწინებული. და როდესაც ის იტყოდა, „თუ

გინდა ამაზე და ამაზე დაგენაძლევებიო“, ვინ რას დაუჯერებ-  
და, მაგრამ მე მაინც ვიფიქრე, მოვალე ვარ-მეთქი, და კიდევაც  
ჩავერიე. ხსენებული ჩვეულება ამორალური იყო და ასეც  
ვუთხარი მას. ჯერ ერთი ვულგარულია, შეგიძლია დამიჯე-  
რო-მეთქი. საზოგადოება ამას გაკიცსავს-მეთქი, მართალსაც  
ვეუბნებოდი. კონგრესის ბრძანება კრძალავს ამას, სულაც არ  
გატყუებ-მეთქი. ჭკუას ვარიგებდი — სულ უშედეგოდ. ვუმტიკი-  
ცებდი — ამაოდ დავშვრი. ვესვეწებოდი — ელიმებოდა. ვევედ-  
რებოდი — ეცინებოდა. ვმოძღვრავდი — აქეთ მელლაბუცებოდა.  
პანლური ამოვარტყი — პოლიციას დაუძახა. ცხვირზე დავეტა-  
კე — მომასოცა ხელზე და მომადახა, სანაძლეოს ჩამოვალ, ეშ-  
მაკმა წაიღოს ჩემი თავი, თუ შენ კიდევ ერთხელ გამიბედავო  
რამეს.

სილატაკე გახლდათ მეორე მისი ნაკლოვანება, დაბადები-  
დანვე სჭირდა ჯანაბოუს დედას ეს ამბავი და მისი ვაჟიშვი-  
ლიც სრულიად დამსგავსებოდა თავის მშობელს. ჯიბეში თავ-  
ვები უთამაშებდნენ და, რაღა თქმა უნდა, მიზეზი ეს იყო,  
რომ დანაძლევების ხანს წარმოთქმულ ზღაპრისთავებში იშ-  
ვიათად თუ ასხენებდა ფულს. ვერც ვიტყვი, კი გამიგონია-  
მეთქი იმისგან ასეთი გამოთქმა: „თუ გინდა დოლარზე დაგე-  
ნაძლევებიო“. ჩვეულებრივ ასე იტყოდა, „რაზეც გინდა, იმა-  
ზე დაგენაძლევებიო“ ან „აბა ერთი, მოდი და დაგენაძლე-  
ვებიო“, ან „სულ ერთია, რაზეც დამენაძლევებიო“, ან კიდევ,  
რაც უფრო მნიშვნელოვანიც ჩანდა: „წავაგებ და ეშმაკმა წაი-  
ღოს ჩემი თავიო“.

ხსენებული გამოთქმა, როგორც ჩანს, ყველაზე უფრო სი-  
ამოვნებდა, ნაკლებ სადავიდარაბო ჩანდა, იქნებ, და იმიტომ;  
მთლად ქვაწვია გამხდარიყო ჯანაბოუ. თუნდაც ხელი მოცარ-  
ვოდა ვინმესთან, პატარა თავის მქონე პატარა რამეს თუ და-  
კარგავდა. მაგრამ შეიძლება მე ვფიქრობ ასე, არც კი მჯერა,  
რომ მართალი ვარ მის წინაშე. რაც უნდა იყოს, დღითი დღე  
სულ უფრო საყვარელი ხდებოდა მისთვის ეს გამოთქმა მიუ-  
ხედავად იმისა, რომ რა საკადრისია კაცისთვის დანაძლევება  
საკუთარ თავზე, ვითარცა ბანკნოტებზე, თუმცა ეს ჩემი მეგო-  
ბარი იმდენად გარყვნილიყო, რომ ვერც კი ხვდებოდა ამას.  
დაბოლოს, სულაც უარყო სხვაგვარი ნაძლევი და ამასღა იძა-  
ნა.

და, „წავაგებ და ეშმაკმა წაიღოსო ჩემი თავი“, ჯიუტად და საზგასმით, დღენიადაგ იმეორებდა ამ სიტყვებს და განმარის-სა და გამაოცა კიდევაც. კი განმარისხებს ხოლმე ის წვრილ-მანები, რომელთა გაგება მე არ შემიძლია. საფიქრალს აძლევს კაცს საიდუმლო და კიდევაც მოქმედებს იმის ჯანზე. მარ-თლაცდა, რალაცნაირად გამოთქვამდა ბ-ნი ჯანაბოუ ამ სა-ზიზღარ სიტყვებს, რალაცნაირი მანერით ამოთქვამდა, პირვე-ლად ცნობისმოყვარეობით ვაკვირდებოდი, მერე კი ძალიან შევეშფოთდი, რალაცნაირად-მეთქი, რაც ამჟამად ზუსტ განსა-ზღვრას მოითხოვს და ნება მიბოძეთ, გასაოცარი ვუწოდო ამას; თუმცა ბ-ნი კოლრიჯი მისტიკურს შეარქმევდა, ბ-ნი კარლეილი — კაზუსურს, ხოლო ბ-ნიე მერსონი ზეკითხვითს. ძალიანაც არ მომწონდა ეს ამბავი. საშიშროება ელოდა ბ-ნ ჯანაბოუს სულს. მთელი ჩემი ენაბჭევრობა უნდა მოვიშვე-ლიო-მეთქი იმის საშველად, ასე გავიფიქრე. დავიფიცე, ისე-ვე ამოვუდგები იმას მხარში, როგორც ირლანდიური ქრო-ნიკის გმირი წმ. პატრიკი\* გომბიოს ამოუდგა მხარში, ანუ, ასე ვთქვათ, „თავისი მდგომარეობის შეცნობა შეაძლებინა“. აღარ დამიყოვნებია, კიდევ ერთხელ დავარჩიებ-მეთქი იმას ჭკუას. კვლავ მოვიკრიბე ძალა, უკანასკნელად ვცადე და ხვეწ-ნა-მუდარა დავუწყე.

საბოლოოდ დავმოძღვრე თუ არა, რალაც ძალიან საეჭვოდ მოიქცა ბ-ნი ჯანაბოუ, ჩუმად იყო ერთხანს და გაკვირვებული შემომცქეროდა. მერე გვერდულად დახარა თავი და სულ მალ-ლა ასწია წარბები. შემდეგ ხელები გაშალა და მხრები აიჩჩა. შემდეგ მარჯვენა თვალი ჩამიკრა. შემდეგ — მარცხენა. შემ-დეგ მაგრად დახუჭა ორივე. შემდეგ ისე ჭართოდ გააღო ორი-ვე, რომ კარგა გვარიანად შევშინდი, ვაითუ რამე მოუვიდეს-მეთქი. შემდეგ ცერი ცხვირზე მიიდო და ისე აამოძრავა და-ნარჩენი თითები, რომ ვერც კი აგიწერ. დაბოლოს დონიჯი შემოიყარა და პასუხის გაცემა მოისურვა.

მხოლოდ ძირითადი აზრი მაგონდება მისი საუბრისა. თუ ენას კბილს დააჭერ, ძალიან დამავალეზო. შენთვის შეინახე ეგ შენი რჩევა. მეზიზღებო ყველა შენი ინსინუაციები, ზრდადასრულებული კაცი მე თავად მოვუვლიო ჩემს თავს. იქნებ, გგონია, ჯანაბოუების ბავშვი ისევე ისეთი ღლაპიაო?

შენ ჩემთან რა ხელი გაქვს? თუ მაინცადამაინც ვინდა შეურაცსყოფა მომაყენო? შენ სულელი ხომ არა ხარო? ერთი ის მითხარი, დედაშენმა თუ იცის, სასლიდან რომ წამოსულხარო? სწორად მიპასუხე მართალ კაცს ამ უკანასკნელ კითხვაზე, კი დაგიჯერებო ნამდვილად. კიდევ ერთხელ გეუბნები, სწორად მითხარი, დედაშენმა თუ იცის, გამოქცეული რომ ხარო? ასე დასძინა, სახე შეგეცვალა და ზედვე გეტყობა, მოდი დაგენაძლევები, ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი, თუ იმ ქალმა რამე იცოდესო.

ბ-ნმა ჯანაბოუმ არც კი დამაცადა მეთქვა, სწორი არა ხარ-მეთქი. შეტრიალდა ქუსლებზე და აგრე ურცხვად მიმატოვა. კიდევ კარგი. მე ხომ შეურაცსყოფილი ვიყავი. გავბრაზდი კიდევაც. კი გავიფიქრე, კაცის მტერს ბ-ნ ჯანაბოუს პატარა თავს მოვაგებინებ-მეთქი, მართლაცდა, დედაჩემმა კარგად იცოდა, სულ ცოტა ხნის წინათ რომ ვიყავი გამოსული სასლიდან.

მაგრამ Khoda shefa midêhed – მუსულმანებისა არ იყოს, შვებას მოგანიჭებს უფალი, ფეხს რომ დაადგამთ იმათ ფეხზე და ატკენთ. მოვალეობის მოხდის ხანს მომაყენა შეურაცსყოფა და მე ეს შეურაცსყოფა ავიტანე როგორც მამაკაცმა. მაგრამ მე მაინც ასე მეგონა, რაც შეიძლებოდა კი გავუკეთემეთქი ყველაფერი ამ უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილს, ასე გავიფიქრე, თავს დავანებებ და აღარაფერს ვურჩევ, იმის სინდისზე იყოს-მეთქი ყველაფერი. თუმცა კი გადავწყვიტე, თავს აღარ მოვაბუზრებ-მეთქი, მაგრამ მე იმას ბედის ანაბარად ვერ დავაგდებდი. უფრო მეტიც, კიდევაც ვაგულიანებდი იმის ზოგიერთ შედარებით ნაკლებ გასაკიცხავ მიდრეკილებას, ზოგჯერ იყო და თვალცრემლიანს შემიქია მისი ბილწი ხუმრობა, ვითარცა ეპიკურელებს – მდოგვი, ისე, სულ მთლად შეძრული ვიყავი იმისი ავი ენისგან.

ერთ მშვენიერ დღეს სელისელჩაკიდებულები ვსეირნობდით, მდინარისკენ მივდიოდით. სიდი დავინახეთ ერთი და ვთქვით, მოდი იქითა მხარეზე გადავიდეთო. სიდი ავდრისაგან თავდასაცავად გადაეხურათ, რამდენიმე სარკმელი დაეტიანებიანათ თაღებში, უსიამოვნოდ ჩამობნელებულიყო. ბღღერი-ალა ნათელი გამოვიარეთ და სევდის მომგვრელ სიბნელეში

რომ შევდგით ფეხი, გული ჩამომიღამდა. მაგრამ იმ უბედურ ჯანაბოუს არა დასტყობია რა, მითხრა, მოდი დაგენაძლეკები, ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი, თუ შენ სადაცაა არ ატირდებით. ძალიან კარგ ხასიათზე უნდა ყოფილიყო თავად. სიხარულით აღფრთოვანებული ენად გაკრეფილიყო და გულმა რეისი მი-ყო. იქნებ, ტრანსცედენტალიზმის შემოტევამ დარია-მეთქი ხელი. თუმცა იმდენი გამოცდილება არ მქონდა, რომ ზუს-ტად გამომეცნო მისი ავადმყოფობა; ჩვენთან ახლოს კი, სა-უბედუროდ, არც არავინ ყოფილა ვინმე მეგობართაგანი „და-იელიდან“. იმიტომღა მომივიდა ეს აზრი თავში, რომ ჩემს საბრალლო მეგობარს, მგონი, მასხარას ნიშნები დაეტყო, ხო-და, მიჰყო კიდევაც ხელი მაიმუნობას. იმით ერთობოდა, რომ რასაც კი გადავეყრებოდით გზაზე, იმის ქვეშ გაძვრებოდა მანჭვა-გრეხით ან თავს გადაეკლებოდა, ხან ჩურჩულით შვრებოდა ამას, ხან ყვირილით, უცნაურ მოკლე და გრძელ სიტყვებს ამოთქვამდა, სახემშვიდი ჩანდა ამ დროს, ასეთი არც მინახავს არასდროს. მართლაცდა არ ვიცოდი რა მექნა, გამეპანღურებინა თუ შემეცოდებოდა იგი. დაბოლოს თითქმის მთელი ხიდი რომ გავიარეთ, ერთ დიდ და მოძრავ ჭიშკარს მივადექით. ხელით მივაწეკი, შევატრიალე და გავიარე ჩვეუ-ლებრივად. მაგრამ ბ-ნი ჯანაბოუ ამას როგორ იზამდა. და-იყინა, გინდა თუ არა, უნდა გადავასტე, თან კამარასაც შევკ-რავო ჰაერში. სიმართლე რომ გითხრათ, ასე გავიფიქრე, ამას როგორ იზამს-მეთქი. ყველაზე უკეთ კამარის შეკვრა ჩემს მეგობარ კარლეილს შეეძლო, მაგრამ ვიცოდი, ისიც ვერ მოა-ხერხებდა ამას და ტობი ჯანაბოუ რაღას გახდებოდა. და კი-დევაც ვუთხარი, შენ ასეთო და ისეთო, ტრაბახა ხარ და მე-ტი არაფერი-მეთქი. მერე კი ვინანე ძალიან, პირდაპირ გან-მიცხადა, „ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი, თუ ვერ შევძლებო“.

მართალია ნათქვამი მქონდა, აღარაფერს ვეტყვი-მეთქი, მაგრამ ახლა კი მინდოდა შემიხურებინა ამ მკრეხელობის გა-მო, უცებ ჩემ გვერდით ჩახველება გავიგონე, თითქოსდა „ქე-ხო“, ამოთქვა ვილაცამ: შევკრთი და გარშემო მიმოვიხედე გა-ოცებულმა. დაბოლოს ხიდის მყუდრო კუთხეში პატარა, კოჭ-ლი მოხუცი ჯენტლმენი დავინახე, დარბაისელი გარეგნობი-სა გახლდათ, ღირსეული კაცი ჩანდა, შავად შემოსილიყო,

ქათქათა პერანგი მოუხანდა, ფაქიზად ჰქონდა ჩამალული საყელოს წვეროები, თეთრი ჰალსტუხითაც დაემშვენებინა თავი, გოგოსავით შუაზე გადაევარცხნა თმა. მუცელზე ხელებს დაეწყო ჩაფიქრებულს, მაღლა აეღვრილებინა თვალები.

უფრო კარგად რომ დავაკვირდი, შავი აბრეშუმის ფეშტა-მალი დავუნახე პატარა შარვლის ზემოდან, მართლაცდა უცნაური სანასავი გახლდათ; ამ გასაოცარი კაცის მნახველს, ვიდრე სიტყვას დავპრავდი, მეორედ მომესმა ის „ქესო“.

რალას გაცემდი ამაზე უცებ პასუხს, მართლაცდა, როგორღა უნდა უპასუხო ასეთ ლაკონიურ შენიშვნას. ვიცოდი, რომ ერთხელ მთელ კვარტალურ მიმოხილვას თავგზა აუბნია ამ სიტყვამ — „არასარწმუნოაო“. ხოდა, აღარც დავმაღავ და გეტყვით, რომ ბ-ნ ჯანაბოუს მოვუხმე დასახმარებლად.

— ჯანაბოუ, — ვუთხარი მე, — რა გჭირს? ნუთუ არ გაგიგონია, რომ ამ ჯენტლმენმა თქვა — „ქესო“-და მკაცრად შევსხედე ჩემს მეგობარს, რადგან, მართალი თუ გნებავთ, მთლად დაბნეული გახლდით, და როცა კაცი მთლად დაბნეულია, წარბებმოღუშული და სახეკუშტი იმზირება, რათა არა თქვან, სულელიაო.

ჯანაბოუ-მეთქი, წარმოვთქვი მე, გინებასავით გაისმა ეს ჩემი ნათქვამი, თუმცა კი ასეთი რამ აზრადაც არ მომსვლია, ჯანაბოუ-მეთქი, გაუუმეორე, ამ ჯენტლმენმა თქვა, „ქესო!“

სიღრმით გამოირჩეოდა-მეთქი ჩემი სიტყვები, ამას როგორ გეტყვით, ამას როგორღა ვიფიქრებდი, მაგრამ კი ვიცოდი, რომ ზოგჯერ ჩვენი ნათქვამი და მისი მნიშვნელობა თანაბარი არ არის ჩვენს თვალში. ბ-ნ ჯანაბოუსთვის პექსანის ყუმბარა ან „ამერიკის პოეტებისა და პოეზიის“ ტომი რომ მესროლა თავში ისე არ შეჩქვიფდებოდა, როგორც ამ ჩვეულებრივი სიტყვების გაგონებისას მოუვიდა. „ჯანაბოუ, არ გესმის? რად ვერ გაიგე? ამ ჯენტლმენმა თქვა, „ქესო!“

— რას მეუბნებით? — ამოიხვნეშა მან ბოლოს იმ მეკობრესავით, რომელსაც სადაცაა სამხედრო გემი წამოეწევა, — სწორედ მასე უთქვამს? კი ვარ ახლა გამოჭერილი და ისღა მინდა, არა თქვან, შეეშინდაო. ხოდა, რალას ვიზამ ამ „ქესის“ გარდა.

ნასიამოვნები დარჩა ამ სიტყვების შემდეგ ის პატარა



მოსუცი ჯენტლმენი — და რად, ღმერთმა იცის. წამოვიდა სი-  
დის იმ მყუდრო ადგილიდან, კოჭლაკოჭლაობით თავაზიანად  
მოუახლოვდა ჯანაბოუს და გულითადად ხელი ჩამთართვა,  
პირდაპირ სახეში შესცქეროდა გულწრფელი პატივისცემით,  
მეტს ვერც კი ინატრებდით.

— მჯერა, რომ თქვენ გაიპარჯვებით, ჯანაბოუ, — თქვა მან  
გულდია ღიმილით, — მაგრამ ჯერ უნდა ვცადოთ, თქვენც ხომ  
იცით, ისე, სხვათა შორის.

— ქეხო! — მიუგო ჩემმა მეგობარმა, ამოიხვნეშა და სერ-  
თუკი გაიხადა, ცხვირსახოცი შემოიხვია მკერდზე და მთლად  
უჩვეულო გამომეტყველება მიიღო, რაკი თვალები მალლა  
აატრიალა და დაბლა ჩამოუშვა ტუჩის კუთხეები, „ქესო!“ და  
ცოტა ხნის შემდეგ კიდევ — „ქესო!“ სხვა აღარაფერი გამიგო-  
ნია, აღარ ვიცო, თუ უთქვამს მეტი რამე. — ოჰო! — გავიფიქრე  
გულში, — ძალზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს ტობი ჯანაბოუს  
ხსეთი დუმილი, აი რა მოჰყვა იმას, ადრე რომ სულ ენად იყო  
გაკრეფილი. ერთი უკიდურესობის თავიდათავი მეორეა. თუ  
ახსოვს ნეტავ, ის გაუთავებელი შეკითხვები რომ მომაყარა  
იმ ოდეს, როცა უკანასკნელად დავარიგე ჭკუა? რაც უნდა  
იყოს, კი უნდა განკურნებულყო იმ ტრანსცედენტალიზმისა-  
გან.

„ქესო!“ — ასეთი იყო ტობის პასუხი, თითქოს ჩემს ფიქ-  
რებს მისვედრილიყო აწ უკვე ცხვარივით გადაქცეული კაცი.

იმ მოხუცმა ჯენტლმენმა ხელი მოკიდა და ჭიშკრიდან სი-  
დის სიღრმეში გაიყვანა. — ჩემო კარგო მეგობარო, — ასე უთხ-  
რა, — ჯერ ნუ გამოქანდებით. აქ დაიცადეთ, ვიდრე ადგილს  
არ შევარჩევ ჭიშკართან, საიდანაც შემიძლია დავინახო  
თქვენი მშვენიერი, ტრანსცედენტური ნახტომი, კამარის  
შეკვრა არ დაგავიწყდეთ, ისე, სხვათა შორის, თქვენც ხომ  
იცით. ხოდა, გეტყვით, ერთი, ორი, სამი და მიდი-მეთქი, და-  
იმახსოვრეთ, მაშინ უნდა გაქანდეთ, როდესაც გაიგონებთ,  
„მიდი!“ — ჭიშკარს მიაშურა, ცოტა დაიცადა, თითქოსდა ღრმად  
ჩაფიქრებულმა, მერე მალლა აიხედა, მგონი, ჩაიცინა კიდევ  
ვაც, შემდეგ უფრო მჭიდროდ შემოიხვია ფეშტამალი, კარგა  
ხანს დააცქერდა ჯანაბოუს, დაბოლოს როგორც დათქვა...

ერთი, ორი, სამი, მიდი!

დაიძახა თუ არა მიდიო, ჩემი საბრალო მეგობარი მოსწყდა ადგილს და გაქანდა. ჭიშკარი არც ისე მაღალი იყო, ვითარცა ბ-ნ ლორდის სტილი, მაგრამ არც ისე დაბალი ვითარცა სტილი ბ-ნ ლორდის რეცენზენტებისა, მჯეროდა, კი გადასტება-მეთქი. მაგრამ რომ ვერ გადასტეს? საკითხავი სწორედ ეს არის; ვაითუ ვერ გადასტეს? — რა უფლება აქვს, — ვთქვი მე, — რად უნდა ახტუნებდეს ეს მოსუცი ჯენტლმენი სხვა ჯენტლმენს? ეს დალეული ბებრუხანა-მეთქი! ვინ არის? აბა, ერთი მე მითხრას, გადასტეო. კიდევ რა უნდა, ეშმაკის ჭკუაზე მე არ გავივლი. — ჰოდა, როგორც გითხარით, გადახურული იყო და ისე უცნაურადაც, რომ ყოველი სიტყვა უსიამოვნო ექოდ გაისმოდა ყოველთვის — ამ ექოსთვის არც მიმიტყევია ყურადღება, ვიდრე ეს უკანასკნელი ხუთი სიტყვა არ წარმოვთქვი.

მაგრამ იმას, რაც ვთქვი, რაც გავიფიქრე, რაც გავიგონე, წამილა დასჭირდა. მაშინვე გადასტა ჩემი საბრალო ტობი. დავინახე, თუ როგორ გამოქანდა, მშვენივრად მოსწყდა ხიღს და ფეხებით მიხაზ-მოსაზა ჰაერი. ისიც დავინახე, რომ კამარა შეკრა ჭიშკრის თავზე, და იმწუთასვე შევნიშნე ერთი მეტად უჩვეულო ამბავი, ნახტომი არ დასრულებულა. თუმცა ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა, ფიქრის დრო აღარ მქონდა, ბ-ნი ჯანაბოუ ჭიშკრის ამავე მხარეს დაებერტყა. და დავინახე, ის მოხუცი ჯენტლმენი რაც ძალი და ღონე ჰქონდა მიკელანობდა, ფეშტამალში შეეხვია რაღაც, რაც მძიმედ ჩამოვარდნილიყო ჭიშკრის ჩამობნელებული თალიდან. პირკატა მეცა, მაგრამ რა დროს ეგ იყო, როცა ჯანაბოუ როგორღაც გასუსული იწვა და ვიფიქრე, ხელი მოეცარა და ჩემი დახმარება სჭირდება-მეთქი. მივირბინე იმასთან და რას ხედავს ჩემი თვალები, ის მოსვლია, რასაც დიდ დანაკლისს ეძახიან. უფრო სწორად თავი დაუკარგავს, ბევრი კი ვეძებე, მაგრამ ვერსად ვერ ვიპოვე; მერე ვიფიქრე, შინ წავიყვან და ჰომეოპატებს ვაჩვენებ-მეთქი. ამ დროს ერთმა აზრმა გამიიღვრა თავში, იქვე ხიღის ერთი სარკმელი გავადე და გავიგე ის სამწუხარო ამბავი. ჭიშკრის ზევით, დაახლოებით ხუთი ფუტის სიმაღლეზე თალის ამ ნაწილის დასამაგრებლად მოელ სიგანეზე ბრტყელი რკინის კეტი იყო გადებული. და ამ მო-

წყობილობის ბასრი მხარე ჩემი მეგობრის კისერს უშუალოდ შესებია.

დიდხანს ველარ გაძლო ამ საშინელი დანაკარგის შემდეგ. სათანადო დოზით არ აძლევდნენ ჰომეოპატები წამლებს, და რასაც აძლევდნენ, იმასაც არ ღებულობდა. დაბოლოს ისე შეიქნა, რომ მოკვდა კიდევაც; გაკვეთილი იყოს ეს ამბავი სადავიდარაბო გართობის მოყვარულთათვის. ცრემლები ვღვარე იმის საფლავზე, კეტით დავამშვენე იმისი საგვარეულო ღერძი, და მისი დაკრძალვის იმ მცირეთოღენი ხარჯების ანგარიში ტრანსცედენტალისტებს გავუგზავნე. იმ გარეწრებს ანგარიში არ გაუსწორებიათ, მაშინ ბ-ნი ჯანაბოუ ამოვოსარე და გავყიდე ძაღლების შესაჭმელად.

## თაღლითობაც ზუსტი მეცნიერებაა

მუთაქა და ბალიში,  
გავბერე და გაგიშვი.

ქვეყნის გაჩენიდან ორი იერემიაა ცნობილი. ერთს იერემია ბენტამს ეძახოდნენ და მევახშეობაზე იერემიადა ჰქვანდა დაწერილი. გარკვეულწილად დიდი პიროვნება გახლდათ, ბ-ნი ჯონ ნილი აღფრთოვანებული იყო ამ კაცით. მეორემ კი სახელი შეარქვა ზუსტი მეცნიერებათაგან უმნიშვნელოვანესს, და დიდი პიროვნება იყო ჭეშმარიტად, უფრო მეტიც, შემოძლია ვთქვა, დიდზე დიდი-მეთქი.

თაღლითობა, ანუ ის, რაც ამ ცნებაშია ნაგულისხმები, უკავშირდება ზმნას „თაღლითობს“, და ეს ამბავი ყველამ იცის. მაგრამ ისიცაა ცნობილი, ძნელია განსაზღვრა ამოქმედებული თაღლითობისა. თუმცა კი, მგონია, შეგვიძლია გარკვეული ნათელი მოვფინოთ ამ საკითხს, თაღლითობას კი ნულარ ჩაუვლრმავდებით, სჯობს გამოვიკვლიოთ თავად ადამიანი, როგორც თაღლითი ცხოველი. პლატონი რომ მიმხვდარიყო ამას, მაშინ აღარ მოუხდებოდა შეურაცხყოფის მოსმენა გაბღღვნილი წიწილას გამო.

სრულიად სწორადაც ჰკითხეს მაშინ პლატონს, თუკი გაბდღვნილი წიწილა მართლაცდა არის არსება „ნაკრტენ გაცლილი, ორფხა“<sup>1</sup>, მაშინ, მისი განსაზღვრების კვალობაზე, იგი ადამიანი უნდა იყოს, ხომ ასეა? მაგრამ ასეთი შეკითხვებით მე ფერს ვერავინ ვერ მაცვლევეებს. ადამიანი არის ცხოველი, რომელიც თაღლითობს და გარდა ადამიანისა ვერც ერთი ცხოველი ვერ ითაღლითებს. ასეა და ასე იქნება, თუნდაც გაბდღვნილი წიწილების მთელი საქათმე მოიშველიონ.

თაღლითობის მთელი არსი, ძირისძირის სათავე წარმოგვიდგება იმ არსებათა სახით, რომლებსაც კოსტიუმები აცვიათ. ყვავი ქურდობს; მელია ეშმაკობს, სინდიოფალა მზაკვრობს, ადამიანი კი თაღლითობს. თაღლითობა და ადამიანი ერთია. „ადამიანი ცრემლებისთვის გაჩენილათ“, უთქვამს ერთ პოეტს. მაგრამ ეს არ არის მართალი, ადამიანი თაღლითობისთვისაა გაჩენილი. სწორედ ესაა მისი მიზანი, მისი ცხოვრების საგანი, მისი ბოლო. ამიტომ ამბობენ თაღლით კაცზე, აღარაფერი ეშველება, წყალწაღებულიათ.

თუკი სწორად განვსაზღვრავთ, ჩავუღრმავდებით და გამოწვლილვით განვიხილავთ, თაღლითობა შეიძლება იყოს უნიათობა, ანგარება, გაბედულება, მოხერხებულობა, სიბეჯითე, სიმშვიდე, მეობა, თავხედობა და ჩაცინება.

უნიათობა: ეს ჩვენი თაღლითი დაწვრილმანებულია. პატარა საქმეებს მისდევს. ცალობით, ნაღდ ფულზე ვაჭრობს ან წარმომდგენის ჩეკებზე. მსხვილ სპეკულაციებში გაებმება და იმწუთას დაკარგავს თავის დამახასიათებელ ნიშნებს; მაშინ იმას შეიძლება „ფინანსისტი“ დავარქვათ. შეიძლება ეს სიტყვა თაღლითობის ბადალი იყოს, მაგრამ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, თაღლითობას უფრო წვრილფეხობა მისდევს. თაღლითი შეიძლება განვსჭვრიტოთ როგორც ბანკირი in petto<sup>1</sup>, ხოლო „საფინანსო ოპერაციები“ როგორც თაღლითობა ბრობდინგნავს. ისინი ისე ჰგვანან ერთმანეთს ვითარცა პომეროსი „ფლაკუსს“, მასტოდონტი — თავგს, კუდი კომეტი-სა — გოჭისას.

ანგარება: ეს ჩვენი თაღლითი ანგარებას მისცემია. ნამღ-

1 აქ: მინიატურაში (იტალ.).

ვილად არ იკადრებს თაღლითობას მხოლოდ თაღლითობის გულისათვის. მისი მოღვაწეობის საგანი თავისი და თქვენი ჯიბეა. სულ მუდამ დადარაჯებულია, რამე მსხვილმანი არ გამომრჩესო. პირველ ნომერს უთვალთვალებს. თქვენ მეორე ნომერი ხართ და თავად უნდა უპატრონოთ თქვენს თავს.

გაბედულება: თაღლითი გაბედულია, შემართულიცაა დღენიადაც. მთელი ქვეყნიერების ბანკები რომ დაიქცეს, თვალსაც არ დაახამხამებს. დაჟინებით ცდილობს თავისი მიზნის მიღწევასა და *Ut canis a corio nunquam absterrebitur uncto,*<sup>1</sup> კიდევაც დამში მოჰყავს თავისი საქმე.

მოსხერხებულობა: ეს ჩვენი თაღლითი მოსხერხებული კაცია. რას არ შეძლებს, რას არ მოიმოქმედებს, რას არ მოიგონებს და ვის არ მოალორებს. ალექსანდრე რომ არ იყოს, დიოგენედ ყოფნას ინატრებდა. თაღლითი რომ არ ყოფილიყო, მაშინ პატენტირებული ვირთხის საფანგის დამზადებას მოჰკიდებდა ხელს ან კალმახზე ითევზავებდა.

კადნიერება: ეს ჩვენი თაღლითი კადნიერი კაცია. ყოჩაღაცაა. საომრად შეუძლია აფრიკასაც მიაშუროს. ყოველთვის იმარჯვებს. არც არავის შეუშინდება. ცოტათი უფრო მეტი წინდახედულობა რომ გამოეჩინა დიკ ტერპინს, მისგან დიდებული თაღლითი დადგებოდა; სწორედ ასეთი გახდებოდა დანიელ ო'კონელიც, ლაქლაქი რომ არ ჰყვარებოდა, არც კარლოს მეთორმეტე ჩამორჩებოდა ამათ, უფრო მეტი ტვინი რომ ჰქონებოდა თავში.

აუმღვრეველობა: აუმღვრეველი კაცია ეს ჩვენი თაღლითი. უშიშოა ვითარცა უხორცო, წარბსაც არ შეიხრის, გულთან არაფერი მიაქვს. კი მოუნდომებიათ მისი გულზე გახეთქვა, მაგრამ არც არასდროს გახეთქია გული. ცივია ყინულივით, თავდაოკებულია ვითარცა „სახემლიმარი თავდაოკებული ქალბატონი ბერი“. ნახმარი სელთათმანივით ყველაფერს კარგად მოერგება, სულ მუდამ უდარდელია ძველი ბაიელი დიაცივითა.

მეობა: თავისი მეობა აქვს ამ ჩვენს თაღლითს, სხვას ვერ დაემსგავსებოდა სწორედ. მისი აზრები საკუთარი, მისია,

---

<sup>1</sup> არც არაფერს შეელება ვითარცა ძაღლი გაქონილ ტყავს (ლათ.).

სხვისას რას აქნევს, ეზიზღება კიდევაც. მისმა ხერხმა ყოველთვის უნდა გასჭრას; ვიცი, უთუოდ დაგიბრუნებთ საფულეს, თუ ნახავს, ვიღაცის თაღლითობის გამეორება მომიხდაო მის მოსაპოვებლად.

თავხედობა, ეს ჩვენი თაღლითი თავხედიანია. დარდიმანდული, დონიჯუმოყრილი სიარული იცის. სულ ჯიბეში აქვს ხელები ჩაწყობილი. შიგ სახეში შემოგცქერით და ისე ხარხარებს. ზედ კოჭიჭებზე უნდა დაგადგათ ფეხი. თქვენს სადილს სჭამს, თქვენს ღვინოს სვამს, ფულსაც თქვენგან სესხულობს, კუდიანი ტყუილებითაც აგავსებთ, თქვენი ფინიასათვის პანღური მზადა აქვს, ჰკოცნის თქვენს ცოლს.

ჩაცინება, ამ ჩვენმა თაღლითმა კაცმა ყველაფერი ჩაცინებით უნდა გაასრულოს. მაგრამ იმის გარდა ამას ვერავინ ხედავს. ყოველდღიურად ჩაცინებს ხოლმე, საქმეს რომ მორჩება და თავის მონაგარს მოაქუჩებს, ღამით, თავის ბუნაგში ჩაკეტილი, იცინის და იცინის თავისდა სასიამოვნოდ. მერე შინ მიდის, კარს დაკეტავს. ტანზე გაიხდის. სანთელს ჩააქრობს. ჩაწვება ლოგინში. ბალიშზე თავს დასდებს. იზამს ყველაფერს ამას ეს ჩვენი თაღლითი და კიდეე ჩაცინებს. ჰიპოთეზა ნუ გგონიათ ეს ამბავი, სულ ჩვეულებრივი რამაა. ეს დასკვნა *a priori*<sup>1</sup> გამომყავს, რადგან თაღლითობა ჩაცინებას გარეშე აღარ იქნება თაღლითობა.

თაღლითობის სათავეები კაცობრიობის ბავშვობის სანიდან მოდის. შეიძლება თავად ადამი იყო პირველი თაღლითი. ასე იყო თუ ისე, ამ მეცნიერების ნაკვალევი უსსოვარი დროიდანვე ჩანს. მაგრამ ამჟამად ამ დარგში ისეთ სრულყოფილებას მიაღწიეს, რომ ჩვენს ხისთავიან მამა-პაპას სიზმრადაც არ დაესიზმრებოდა. „ძველ გადმოცემათა“ გამო აღარაფერს ვიტყვით, მხოლოდ ორიოდ სიტყვით მინდა აგიწეროთ „მაგალითები თანამედროვე ცხოვრებიდან“.

მშვენიერი თაღლითობის მოწყობა შეიძლება აი ასე — ერთ დიასახლისს ტახტის ყიდვა მოსურვებია საჩქაროდ და დაივლის კიდევაც ავეჯის სახლებს. დაბოლოს მივა იქ, სადაც საუკეთესო საქონელს შესთავაზებენ. შესვლისთანავე შემოეგე-

<sup>1</sup> აქ: საერთო წანამძღვრების მიხედვით (ლათ.).

ბება ვილაც კაცი, თავაზიანი და ენა და პირ დაშაქრული. მართლაცდა, ძალიან მოეწონება ამ ქალს ის ტახტი, რა ღირსო, იკითხავს და რა გაცელებული და გახარებული დარჩება, როდესაც ოცი პროცენტით იმაზე ნაკლებ თანხას მოსთხოვენ, რასაც მოელოდა. ჩქარობს, მალე უნდა იყიდოს, ქვითარი გამომიწერეთო, ეუბნება იმას, ფულს იხდის, მისამართს უტოვებს, რაც შეიძლება სწრაფად გამომიგზავნეთო საქონელი სახლში; რამდენიმეჯერ თავს მდაბლად დაუკრავს ნოქარი და კართან მოაცილებს. ღამდება და ტახტი ჯერ არსად ჩანს. მეორე დღეც გადის და მაინც არაფერი მოაქვთ. მსახურს აგზავნიან, დაგვიანების მიზეზი შეიტყვეო. ის უკან მოდის და ამბობს, რის ტახტი, რა ტახტი, იქ არც არაფერი გაუყიდიათ და არც არაფერი ფული აუღიათ, ის თანხა ვილაც თაღლითს ჩაუჯობავს, სწორედ იმ დროს რომ გამომტყვრალა და უთქვამს, ნოქარი მე ვარო.

ჩვენი ავეჯის სახლებში ვერც ვერავის ნახავთ და სწორედ ამიტომ სულ ადვილად ხდება ამდაგვარი თაღლითობა. ხოდა, შემოდინა აქ, ათვალეიერებენ ავეჯს და მერე მიდიან, ვერც გებულობენ იმათ მოსვლასა და წასვლას. თუკი რაღაცის ყიდვას ან ფასის შეტყობას მოისურვებენ, დარეკავენ ზარს და ამით გათავდება ყველაფერი.

ღირსშესანიშნავია ასეთი თაღლითობაც. მაღაზიაში შემოდის კარგად ჩაცმული კაცი და ერთი დოლარისას იყიდის რაღაც-რაღაცებს, და უცებ წამოიძახებს აღშფოთებული, საფულე მეორე კოსტიუმის ჯიბეში დამრჩაო; მერე ასე ეტყვის გამყიდველს:

— ჩემო კარგო, დარდი რაღას გვიშველისი ძალიან გთხოვთ, ხომ შეგიძლიათ ეს ყველაფერი სახლში გამომიგზავნოთ? მაგრამ მოიცა კარგად მახსოვს, არც იქა მაქვს ხუთ დოლარიანზე ნაკლები. თქვენ შეგიძლიათ ოთხი დოლარი ხურდა გამომიგზავნოთ ამ ჩემს ნაყიდთან ერთად.

— რაღა თქმა უნდა, ჩემო ბატონო, — პასუხობს გამყიდველი, რადგან შემოვიდა თუ არა ეს კაცი, იმწუთას მოეწონა მისი ამალღებული საუბარი. „ისიც ბევრი მინახავს, — ფიქრობს თავისთვის, — ვინც იღლიაში ამოიღებს ამ ჩვენს ნივთებს და მერე წავა და იტყვის, შუადღით გამოგივლი და მოგიტანო ამ ერთ დოლარს“.

მერე ადგება და ბიჭს გაგზავნის, იმ ნაყიდ ნივთებს გაატანს. გზად მიმავალს ეს ჩვენი მყიდველი შემოხვდება უცებ და მოაძახებს:

— ჰოი აი ჩემი შეკვრა, მე კი მეგონა უკვე კარგა ხნის მისული იყავი ჩემსას. კარგი, გაიქეცი ჩემი მეუღლე, ქ-ნი ტროტერი ხუთ დოლარს მოგცემს, მე უკვე ვუთხარი იმას. ეგ ხურდა კი სჯობს მე დამიტოვო, ფოსტაში მივლივარ და ვერცხლი იქ დამჭირდება. კარგია! ერთი, ორი... აი ეს ყალბი ხომ არ არის? სამი, ოთხი, სწორია! მისხვალ და ქ-ნ ტროტერს ეტყვი, რომ მე შეგხვდი. აბა, ჩქარა გასწი, აღარ დააგვიანო.

ბიჭიც აღარ იგვიანებს, მაგრამ დიდხანს კი მოუნდება თავისი დავალების შესრულებას — ის ველარსად ნახავს იმ მანდილოსანს, რომლის სახელია ქ-ნი ტროტერი. გულს იმიო იჯერებს, ეს ნივთები უფულოდ ხომ არავისთვის დამიტოვებია, ასეთ სისულელეს როგორ ვიზამდიო და ასე, კმაყოფილი თავის მაღაზიაში ბრუნდება; მაგრამ პატრონი რომ ეტყვის, ხურდა რა უყავიო, კი ეწყინება და აღშფოთდება.

უბრალო თაღლითობა კი ასეთია. სადაცაა ხომალდი ნავსადგურიდან უნდა გავიდეს, ამ დროს კაპიტანთან მიდის კაცი, გემზე იგი ხელისუფალთა წარმომადგენელი ჰგონიათ და ისიც საბაჟო ანგარიშს აძლევს კაპიტანს. ამ ანგარიშში ისეთი მცირე თანხაა აღნიშნული, რომ იმწუთას მისცემენ, რასაც ითხოვს და კიდევაც სიხარულით გამოისტუმრებენ — კაპიტანს ამდენი საქმე აქვს და ფიქრობს, რა მალე და კარგად მოვაგვარეთ ეს ამბავი. თხუთმეტი წუთის შემდეგ იმათთან უკვე სხვა, ნამდვილი ანგარიში მიაქვთ, იმაში კი ასეთი პატარა თანხა როდია ჩაწერილი. და სულ მალე მიხვდებიან, რომ პირველი მებაჟე თაღლითი იყო და ის, რაც მან გააკეთა — თაღლითობა.

და კიდევ, მსგავსი ამისა. გემი ღუზას იღებს, მალე გავივიდაც მგზავრი გამოჩნდა, რაც ძალი და ღონე აქვს ხელში ჩემოდნით მორბის გემის კიბისაკენ. უცებ ადგილზევე გახევდება, დაიხრება და მიწიდან რაღაცას აიღებს, სახეზე აშკარად ეტყობა დიდი მღელვარება. საფულე უპოვნია თურმე. „რომელმა ჯენტლმენმა დაკარგა საფულე?“ — გაჰყვირის იგი. ზუსტად ვერავინ ვერაფერს ამბობს; მაგრამ ყველანი მშფოთ-



ვარედ აყაყანდებიან, როდესაც გაიგებენ, ბევრი ფული არის იმ ხელჩანთაში. გემს კი დაცდა არ შეუძლია.

— ზღვის მოქცევა დაიწყო, უკვე დრო არის, უნდა გავიდე, — ამბობს კაპიტანი.

— ღვთის გულისათვის, სულ რამდენიმე წუთი დაიცადეთ, — იხვეწება იმ საფულეს მპოვნელი, — სადაცაა ამის პატრონი გამოჩნდება.

— არც ერთი წუთი! — მტკიცედ პასუხობს კაპიტანი, — აბა, ბოლოები მიუშვით, ხომ გესმით!

— რაღა ვქნა? — პასუხობს მპოვნელი, დარდით აღარ არის, — რამდენიმე წლით საზღვარგარეთ მივდივარ და ამხელა თანხა როგორ უნდა გავიყოლიო. თქვენ მინდა გთხოვოთ, ჩემო ბატონო (მიუტრიალდება ნაპირზე მდგომ ერთ ჯენტლმენს), პატიოსანი კაცი ჩანხართ და იმიტომ. დიდი მადლობელი ვიქნები თქვენი, თუკი თქვენ უპატრონებთ ამ საფულეს — მე ვიცი, თქვენ სანდო კაცი ხართ — განცხადებას ხომ გამოაქვეყნებთ? კარგა ძალი თანხაა აქ. რაღა თქმა უნდა, ამის პატრონი თქვენი შეწუხებისათვის ჯილდოს გაიღებს...

— მე!.. მე კი არა თქვენი!.. ეგ საფულე ხომ თქვენ იპოვეთ.

— კარგი, რახან თქვენ ასე ამბობთ... კი ავიღებ მცირედენ გასამრჯელოს... თქვენი წყენინება მე არ მინდა. აბა, ერთი ვნახოთ... სულ ასიანები არ ყოფილა აქ!.. დასწყევლოს ღმერთმა, ასიანს ხომ არ ავიღებ... ორმოცდაათი სრულიად საკმარისი იქნება, ნამდვილად...

— ბოლოები მიუშვით! — იძახის კაპიტანი.

— არა უშავს! — ჰყვირის ნაპირზე მყოფი ჯენტლმენი, საკუთარ საფულეს ამოიღებს სულ უკანასკნელ წუთს, არა უშავს-მეთქი! მე მოვაგვარებ ყველაფერს; ამ ორმოცდაათიანს მოგცემთ, ჩრდილოეთ ამერიკის ბანკის მიერაა გაცემული... ეგ კი მე გადმომიგდეთ.

ეს ჩვენი ნამეტნავად ნამუსიანი მპოვნელი ძალისძალად იღებს ორმოცდაათიანს და იმ ჯენტლმენს საფულეს გადაუგდება, იმან ხომ ასე მოისურვა, ამ დროს გემი სცილდება ნაპირს ორთქლის ფრქვევითა და ქშენა-ქშენით. ამის მერე გაივლის ნახევარი საათი და ნახავენ, რომ ის „დიდძალი თანხა“ თურმე სიყალბე ანუ დიდებული თაღლითობა ყოფილა.

გაბედული თაღლითობა კი აი ეს არის. სადღაც მიტინგი ან ამდაგვარი შესვედრაა დანიშნული, იქ მისასვლელად ხიდის გადავლაა საჭირო. დადგება ეს ჩვენი თაღლითი ხიდის თავში და თავაზიანად ამცნობს ყოველ მომსვლელს, ჩვენს მხარეში ახალი კანონი მიიღეს, ფესით მოსიარულემ ერთი ცენტრი უნდა გადაიხადოს, ორი იმან, ვისაც ცხენი ან ვირა მოჰყავსო და ა. შ. და ა. შ. ვილაც აბუზღუნდება, მაგრამ უარს არავინ ეუბნება; დაბოლოს თაღლითი სახლში გამდიდრებული ბრუნდება, ორმოცდაათი ან სამოცდაათი დოლარი თან მოაქვს. თუმცა მეტად დაღლილი კი არის, ამდენი ხალხისაგან ისე ფულს რას მოაგროვებ.

კარგად მოწყობილი თაღლითობა კი ასეთია. თაღლითს მეგობრისაგან ფული აქვს ნასესხები და იმათ კიდევაც შეუდგენიათ სათანადო თამასუქი ამის თაობაზე, ეს არის წითელი მელნით დაწერილი ჩვეულებრივი ქაღალდი. თაღლითი ყიდულობს ერთ ან ორ დუჟინს ასეთ ქაღალდს და ყოველდღე თითოს ამოავლებს სუპში, მერე თავის ძაღლს მიუშვერს და ასე ასტუნავებს, ბოლოს კი როგორც ამბობენ, *bonne bouche*<sup>1</sup>, ვალის გასტუმრების ვადა დადგება და ეს ჩვენი თაღლითი ძაღლითურთ თავის მეგობრისას მიდის, რაღა თქმა უნდა, ვალის გადახდაზე ჩამოვარდება საუბარი. მეგობარი გახსნის თავის *escritoire*-ს<sup>2</sup> და ის საბუთი უნდა მისცეს თაღლითს, ამ დროს მივარდება მას თაღლითის ძაღლი და მამინვე გადასანსლავს იმ ქაღალდს. ე' ჩვენი თაღლითი არა მართო გოცმებულია, აღშფოთებული და გამწყრალიცაა, რა ჰქნაო ეს ამ ძაღლმა, და თავის მეგობარს განუცხადებს, როგორც კი თამასუქს დამიბრუნებ, ვალს იმწუთას მოგცემო.

წვრილმანი თაღლითობა კი ასეთია. თაღლითის თანამზრახველი ვილაც ქალს შეურაცხყოფს ქუჩაში. თაღლითი იმწამსვე მიეშველება იმ ქალს და კარგადაც მიტყუპავს თავის მეგობარს, მერე მანდილოსანს შინ მიაცილებს. თავს მდაბლად დაუკრავს, გულზე ხელს მიიდებს, თავაზიანად დაემშვიდობება. ქალი შინ ეპატიჟება, ჩემი მხსნელი ხართ, სახლში შემობრძანდით, ჩემს უფროს ძმასა და მამას გაგაცნობთო.

1 აქ: პირს ჩაატკბარუნებინებს (ფრანგ.).

2 სამაგიდო საწერი მოწყობილობის ყუთი (ფრანგ.).

თაღლითი ხვნეშით უარს ეუბნება. „ნუთუ, ჩემო ბატონო, — ჩურჩულებს ქალი, — ვერასგზით ვერ გადაგიხდით მაღლობას?“

— რატომაც არა, მაღამ. თქვენი კეთილი გულის იმედი მაქვს, იქნებ, რამდენიმე შილინგი მიბოძოთ.

მღელვარების ამ პირველ შემოტევას ეს ქალი ველარ უძლებს და გონების დაკარგვას დააპირებს. მაგრამ მერე თავს შეიკავებს და გახსნის თავის ხელჩანთას, იმდენ ფულს გაიღებს, რამდენსაც სთხოვენ. და ეს, წელანაც სომ გითხარიო, წვრილმანი თაღლითობა-მეთქი, რადგან მოგების ნახევარი იმ ჯენტლმენს უნდა მისცეს, ვინც თავი შეიწუსა, ქალს შეუარცხყოფა მიაყენა და მიიტყუება კიდევაც ამის შემდეგ.

მცირეოდენი, თუმცა კი სრულიად მეცნიერული თაღლითობა კი აი ეს არის. თაღლითი ფუნდუკში შევა და დახლთან მისული ორიოდე შეკვრა თამბაქოს მოითხოვს. სოდა, როცა მისცემენ, რასაც ითხოვს, ხელს შეავლებს და ასე ეუბნება მეფუნდუკეს:

— რაღაც არ მომწონს მე ეს თამბაქო, აღარ მინდა, ერთი ჭიქა წყლჩანი არაყი მომიტანე.

მიუტანენ წყლიან არაყს და ისიც გადაჰკრავს, მერე ეს ჩვენი თაღლითი კარს მიაშურებს. მაგრამ მეფუნდუკე გამოსძახებს და შეაჩერებს:

— ჩემო ბატონო, მგონია თქვენ დაგავიწყდათ და წყლიანი არაყის ფული არ გადაგიხდიათ.

— წყლიანი არაყის ფულიო! მაგრამ მე სომ იმ არაყში თამბაქო დაგიბრუნეთ? მეტი რაღა გინდათ?

— მაგრამ, ჩემო ბატონო, უკაცრავად კი ვარ და მე არ მახსოვს, რომ თამბაქოს ფულიც გადაგეხადოთ.

— რაებს მიბედავ, შე არამზადავ? მე სომ თამბაქო უკან დაგიბრუნეთ? ავე მანდ არ გიდევეს ეგ შენი თამბაქო? იმაში ფულს როგორ მოგცემ, რაც არ მიყიღია?

— მაგრამ, ჩემო ბატონო, — ენას ველარ ძრავს საწყალი მეფუნდუკე, — მაგრამ, ჩემო ბატონო...

— მაგრამ შენა გქონდეს ეგ შენი „მაგრამ“, ჩემო ბატონო, — ხმას ჩააწყვეტინებს დიდად განრისხებული თაღლითი და კარს მაგრად მიუჯახუნებს, — შენთვის შეინახე ეგ შენი მაგრამ და სჯობს მგზავრებს თავი დაანებო.

აი კიდევ ერთი მეტად ჭკვიანური თაღლითობა, რომლის უბრალოება კარგადაც გვამცნობს ამ კაცის გაქანებას. ვილაცას საფულე ან ხელჩანთა ნამდვილად დაუკარგავს და დიდი ქალაქის ერთ-ერთ ყოველდღიურ გაზეთში იმის სრულ აღწერილობას გამოაქვეყნებს.

ეს ჩვენი თაღლითი ამ განცხადებიდან გადმოიღებს რამდენიმე ფაქტს, შეცვლის სათაურს, ზოგიერთ სიტყვას და მისამართსაც. ასე, მაგალითად, ორიგინალი ვრცელი და მრავალსიტყვიანია, სათაური კი ასეთი აქვს: „დაიკარგა საფულე!“. და მერე თხოვნაა, ვინც ამ განძს იპოვნის, უნდა მოვიდეს ტომის ქუჩაზე, № 1. ხსენებული განცხადების ასლი კი მცირეა, ასეა დასათაურებული: „დაიკარგა“, მისამართი დიკის ქუჩა № 2 ან ჰარის ქუჩა, № 3, საფულეს მპოვნელი სულ ადვილად მიაგნებს ამ სახლებს. უფრო მეტიც, ეს განცხადება გამოქვეყნდება სუთ ან ექვს ყოველდღიურ გაზეთში იმავე დღეს, ორიგინალის დასტამბვიდან სულ რამდენიმე საათის შემდეგ. ეს განცხადება იმ თავისი განძის დამკარგავს რომ წაეკითხა, უთუოდ იტყოდა, მე ვინ რაღას მომიტანსო. მართლაც, როგორც ვსედავთ, სუთი ან ექვსი ერთის წინააღმდეგ — ასეთი შეფარდების კვალობაზე უფრო მოსალოდნელია, რომ საფულეს მპოვნელი თაღლითის სამყოფელს მიაკითხავს, ნამდვილი მფლობელი კი ხასამშრალი დარჩება. თაღლითი საფულეს მომტანს ჯილდოს მისცემს, განძს ჩაიჯიბავს და მიიმალება.

ზემოთ მოყვანილ ამბავს სრულიად ჰგავს ასეთი თაღლითობა. მაღალი წრის ქალბატონს სადღაც ქუჩაში დაუვარდება მეტად ძვირუფასთვლიანი ბეჭედი. ეს ქალი გამოაცხადებს, რომ იმას, ვინც ამ ბეჭედს იპოვნის და ამა და ამ ქუჩაზე ამა და ამ სახლში მიიტანს, იმწუთასვე მისცემენო ჯილდოს, ორმოც-ორმოცდაათ დოლარს და არც არაფერს გამოკითხავენო. განცხადებას დართული აქვს დაკარგული ბეჭდის სრული აღწერილობა. ერთი თუ ორი დღის შემდეგ, როდესაც ეს ქალბატონი შინ არ ბრძანდება, ამა და ამ ქუჩის, ამა და ამ სახლში ზარს დარეკავენ და ამ ქალს იკითხავენ, სოდა, რომ ეტყვიან, შინ არ არისო, ეს ჩვენი სტუმარი გაცეცხული დარ-

ჩება, დიდადაც ეწყინება ეს ამბავი, აუცილებელი საქმე მქონდაო პირადად იმ ქალბატონთან, თურმე რაღაც ბედად სწორედ მას უპოვნია ის ძვირფასთვლიანი ბეჭედი. მაგრამ არა უშავს, მერე შეუძლია შემოვლა; „არაფრის დიდებით!“ — მიაძახებს მსასური. „არაფრის დიდებით!“ — მიაძახებენ მას იმ ქალბატონის დაი და რძალი, რომლებიც მაშინვე აქ გაჩნდებიან. შეატრიალებენ ბეჭედს, შეჰყვირიბენ, სწორედ ის არისო, ჯილდოს მისცემენ იმის მომტანს, და ლამის კინწისკვრით გამოაგდებენ გარეთ. დაბრუნდება ის ჩვენი ქალბატონი და კიდევაც დატუქსავს თავის დასა და რძალს, ორმოცი ან ორმოცდაათი დოლარი რად გადააგდეთო ჩემი ძვირფასთვლიანი ბეჭდის fac-simile<sup>1</sup>-ში ეს fac-simile სიყალბეა, რაღაც ნაწებ-ნაჯახირვეია და მეტი არაფერი.

მართლაცდა თაღლითობას რა გამოლევს და აღარც ამ თსრობას ექნებოდა დასასრული ამ მეცნიერების ნაირფეროვან და სხვადასხვა გამოვლინებათა თუნდაც ნახევარი რომ მყამბნა. ამიტომაც იძულებული ვარ გავასრულო ეს ამბავი და ამ მოთხრობის შემაჯამებელ ნაწილში სჯობს მოვიყვანო ერთი მეტად ღირსეული და, ამავე დროს, კარგადაც მოფიქრებული თაღლითობის მაგალითი, რომლის წარმოდგენა მოხდა ჩვენს ქალაქში ამ ცოტა ხნის წინათ და წარმატებითაც გაიმეორეს შტატების სხვა, კარგად ცნობილ ადგილებშიც. ქალაქშია საიდანღაც ჩამოდის ერთი ჭარმაგი ჯენტლმენი. კარგი კაცი ჩანს, წესრიგის მოყვარული, ზომიერი, კეთილგონიერი, გულდამჯდარი. მშვენივრად აცვია, თუმცა უბრალოდ და სადად. პალსტუხნი ქათქათა თეთრი აქვს, ფართო ყილეტი და კარგადაც მორგებული; სქელძირიანი კეთილნახელავი ფესსაცმელები, უნაკეცებო შარვალი. მთელი მისი იერფერი იმას მეტყველებს, რომ ის არის შეძლებული, მრავალნაცადი და რესპექტაბელური „საქმის კაცი“ par excellence<sup>2</sup>, ერთი იმათთაგანია, ვინც გარეგნულად მკაცრი და შეუვალი ჩანს, სინამდვილეში კი გულჩვილიცაა; ერთი სიტყვით, ჩვენი მელოდრამების გმირსა ჰგავს, ვის სიტყვებშიაც მრავალი აზრია ჩაჭდებული; ზოგჯერ მოწყალე ხელით გი-

<sup>1</sup> ზუსტი პირი (ლათ.).

<sup>2</sup> აქ: უპირველეს ყოვლისა (ფრანგ.).

ნებს ჰფანტავს, ზოგჯერ მეორე მსახვრალი ხელით სულს ამოხდის კაცს და უკანასკნელ გროშ-კაპიკს გააგდებიებს.

დიდი გულმოდგინებით შეუღებდა ბინის ძებნას. ბავშვები არ უყვარს. სიწყნარესა და მყუდროებას არის მიჩვეული. თავ-მოზღუდულია, ბინად ურჩევნია დადგეს კერპო და წესიერ პატარა, ღვთისმოსავ ოჯახში. ბინის ქირა რაც უნდა იყოს, სულ ერთია. ყოველთვის გადაიხდის თვის პირველ რიცხვში (დღეს ორია), და როცა ბოლოს და ბოლოს თავის მოსაწონ სახლს ნახავს, ასე შეევედრება დიასახლისს, არაფრის დიდებით არ დაგავიწყდეთ ეს ამბავი, ანვარიში და ქვითარი ზუსტად დილის ათ საათზე შემომიგზავნეთ, ყოველი თვის პირველ რიცხვში და არამც და არამც მეორე დღესო.

ბინის ამბავს რომ მოაგვარებს ეს ჩვენი საქმის კაცი, თავისი დაწესებულებისათვის ნახულობს ოთახს, უფრო ღირსეულ და სიმდიდრით განთქმულთა უბანში. ისე არაფერი არა სძულს, როგორც ცუდმედიდობა. „ბრწყინვალეების მიღმა, — ამბობს იგი, — იშვიათად ნახავო ნამდვილ საქმეს“; გულზე მოხვდება ეს გამოთქმა იმის დიასახლისს და იმწუთასვე ჩაინიშნავს თავის დიდ საგვარეულო ბიბლიაში, იმ გვერდის მინდორზე, სადაც სოლომონისკული იგავებია მოთხრობილი.

შემდეგ იგი ქვემოთ მოყვანილის მსგავს განცხადებას გამოაქვეყნებს ქალაქის ყველაზე უფრო ცნობილ გაზეთში, ექვს პენსს გადაიხდის, სხვას, შედარებით მეორეხარისხოვან ორგანოს არ მიმართავს, თუნდაც იმიტომ, რომ იქ წინასწარ მოსთხოვდნენ განცხადებისათვის ფულს. ამ ჩვენს საქმის კაცს სულ მუდამ ასე სჯერა, ჯერ სამუშაოს უნდა მორჩნენ და ფული მერე უნდა გადაიხადო.

გვჭირდება. — ვაპირებთ ფართო კომერციული საქმიანობის წამოწყებას ამ ქალაქში. განმცხადებლებთან უნდა მოვიდნენ სამნი თუ ოთხნი განათლებული და გამოცდილი პირები, ანაზღაურება კარგი ექნებათ, რეკომენდაციები საუკეთესო უნდა ჰქონდეთ, იმათ ნიჭიერებაზე მეტად მათი კეთილსინდისიერებაა ჩვენთვის მთავარი. მართლაც, ჩვენ დიდ პატიოსნებას მოვითხოვთ, რადგან იმათ ხელში დიდძალი

თანსა გაივლის: გამომდინარე აქედან, ჩვენ იძულებულნი ვართ გამოვართვათ ორმოცდაათი დოლარი გირაო. ჩვენ არ მოვუხმენტ იმ პირებს, ვისაც არა აქვთ ზემოაღნიშნული თანხა და არ შეუძლიათ წარმოადგინონ მათი სიწმინდის დამადასტურებელი სათანადო საბუთები. უპირატესობა მიენიჭებათ ღვთისმოსავ ყმაწვილკაცებს. მსურველებმა უნდა მოგვმართონ 10-11 საათიდან 4-5 საათამდე, მოაკითხეთ ბატონებს —

ტავარნას, ქოსმენს, მორის გომბეშოუს და კ<sup>ო</sup>  
ძაღლის ქ., № 110

და, ამ თვის ოცდათერთმეტი რიცხვისათვის ბატონების ტავარნას, ქოსმენის, მორის, გომბეშოუსა და კ<sup>ო</sup> განცხადების კვალობაზე იმათ დაწესებულებაში მოვიდა თხუთმეტი-ოცი-ოდე ღვთისმოსავი ყმაწვილი ჯენტლმენი. მაგრამ ეს ჩვენი საქმოსანი კაცი არ აჩქარდა, იმწუთასვე არ დაუდვია იმათ-თაგან რომელიმესთან ხელშეკრულება — როდის იყო, რომ საქმოსანს მოუთმენლობა დასტყობია — ჯერ გულდასმით შეუსწავლია ყოველი ყმაწვილი ჯენტლმენის ღვთისმოსაობის დონე და მერე მიიღო სამუშაოზე, თითოეულს გამოართვა ორმოცდაათი დოლარი და, როგორც წესი და რიგია, ქვითარიც მისცა ამ მორჭმული ფირმის, ტავარნას, ქოსმენის, მორის, გომბეშოუს და კ<sup>ო</sup>-ის წარმომადგენელმა. შემდეგი თვის პირველი დღის დილას ამ სახლის დიასახლისს აღარ წარუდგენია ანგარიში ამ კაცისათვის, კი იყო შეპირებული, ასე ვიზამო, ამის გულისათვის უსათუოდ საყვედურს ეტყოდა მას მდგმური ამ დაწესებულების თავკაცის სახელით, რომელიც ს-ითი ბოლოვდებოდა და, რაღა თქმა უნდა, ეს საყვედური მკაცრად იქნებოდა გამოთქმული — ხომ შეიძლებოდა ამის გამო ხსენებული ფირმის წარმომადგენელი კიდევ ერთი თუ ორი დღე დაყოვნებულიყო ქალაქში.

ამ დროს კი ვერ იყო კარგად კონსტებლთა საქმე, აქეთ-იქით დარბოდნენ მთელ ქალაქში და ისღა შეძლეს, რომ ასე მრავლისმეტყველად გამოაცხადეს, „თითქოს მიწამ ჩაყლაპაო“. გარკვეული განათლების მქონე ხალხი ამ გამოთქმის მაგივრად შემდეგ ასობებს მოიშველიებს, n. e. i; სწორედ ამ

ასობით იწყება ერთი კლასიკური ფრაზის სიტყვები: non est inventus<sup>1</sup>. შემდგომ ამისა ის ყმაწვილი ჯენსლმენები ნაკლებად ღვთისმოსავნი შექმნილან, ხოლო ამ სასლის დი-ასახლისი შილინგად ყოფილობს საუკეთესო ხარისხის რეზინას და გულდაგულ შლის ვიღაც სულელის მიერ ფანქრით მინაწერ შენიშვნებს იმათი დიდი საგვარეულო ბიბლიის იმ გვერდის მინდორზე, სადაც სოლომონისეული იგავებია მოთხრობილი.

### ამბავი ერთი ჰ-მბიანი საბაზემო წმინდისა\*

„ბრძენი ხალხი“ აღმოსავლეთიდან მოვიდა, ეს ამბავი კარგადაა ცნობილი და რაკი ბ-ნი ხეძგერია გულმაგარაც აღმოსავლეთიდან გახლდათ, მაშინ, ცხადია, ბრძენი კაცი ყოფილა ბ-ნი ხეძგერია; კიდევ რამე თუ გნებავთ ამის საბუთად, ესეც ხელთა გვაქვს — ბ-ნი გ. გაზეთს რედაქტორობდა. გულფიცხოზა იყო მისი ერთადერთი ნაკლი; ხოლო ქვეყნის საძაგებელ მის სიკერპეს უღონობის გარდა ყველაფერს შეარქმევდა კაცი. თავადაც ხომ ამ თვისებას სამართლიანად ეძახდა ძალას. ეს იყო მისი სიქველე, მისი ღირსება და თუგინდ ბრაუნსონის მთელი ლოგიკა მოგეშველებინათ, მაინც ვერ დააჯერებდით, რომ ეს, შესაძლოა, ყოფილიყო კიდევ „რადაც სხვა რამე“.

ბ-ნი ხეძგერიას სიბრძნის ამბავი უკვე გითხარით. მხოლოდ ერთხელ მოუვიდა შეცდომა და აღმოსავლეთში დატოვა ბრძენკაცთა მშობლიური კუთხე. გადმოსასლდა ქალაქ ალექსანდრე-დიდ-ო-ნოპოლისს, თუ დასავლეთის რომელიღაც ამგვარი დასახელების ქალაქში.

ისე, კი არ იყო გასამტყუნნი, საბოლოოდ რომ მოიფიქრა ამ ქალაქში დამკვიდრება — ვიღაცას ეთქვა მისთვის, ქვეყნის ამ მივარდნილ კუთხეში ვერ ნახავო გაზეთებს და, რაღა

<sup>1</sup> მიკვლეული არ არის (ლათ.).



თქმა უნდა, რედაქტორებსაც. ასე რომ, „ჩაიდნის“ დასაარსებლად შემართულს ამ საქმეში არავინ ეგულებოდა მეტოქე. ალექსანდრე-დიდ-ო-ნოპოლისში დასახლებაზე სიზმრადაც კი იტყოდა უარს, რომ სცოდნოდა; ალექსანდრე-დიდ-ო-ნოპოლისში ცხოვრობსო ერთი ჯენტლმენი, სახელად ჯონ სმითი (თუ არა ვცდები), ეს კაცი მრავალი წელი დოვლათით ივსებოდა — რედაქტორობდა და სცემდა „ალექსანდრე-დიდ-ო-ნოპოლისის გაზეთს“. შემცდარი იყო ბ-ნი ხეძგერია და სწორედ ამიტომ ამოჰყო თავი ალექსა... მოდიოთ, ამიერიდან ამ ქალაქს უბრალოდ ნოპოლისი დავუძახოთ; ჩამოვიდა და რაღა უნდა ექნა — კერპ... მტკიცე კაცი აბრუს ხომ არ გაიტყნდა, აქ დარჩენა გადაწყვიტა. დარჩა კიდევაც: უფრო მეტიც, დახსნა საბეჭდი დაზგა, შრიფტის ფუთები და ა. შ. და ა. შ. დაიჭირა შენობა სწორედ „გაზეთის“ რედაქციის პირდაპირ და თავისი ჩამოსვლის მესამე დილას გამოუშვა პირველი ნომერი „ალექსა...“ ანუ „ნოპოლისის ჩაიდანი“; რამდენადაც მახსოვს, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ახალი გაზეთის სახელწოდება.

მოწინავე, გამოგიტყდებით, თუ არ ვიტყვი — კაცის მომდნობელიო, ბრწყინვალე გამოუვიდა. საერთოდ მოსდგომოდა ყველას და ყველაფერს, ხოლო კერძოდ „გაზეთის“ რედაქტორი მგლისა და ყორნის ლუკმა გაეხადა. ხეძგერიას ზოგი შენიშვნა ისეთი შხამნარევი იყო, რომ მას შემდეგ, როგორც კი დავინახავ დღემდე მორჭმით მცხოვრებ ამ კაცს, ჯონ სმითს, ყოველთვის სალამანდრის მსგავსი არსება წარმომიდგება თვალწინ. მთელი წერილის სიტყვასიტყვით გადმოცემა არ შემიძლია. მაგრამ აი, ერთი აბზაცთავანი:

„ო, დიახს — ო, ჩვენ გვესმისი ო, უთუოდ! გენიოსია, ჩვენი მეზობელი რედაქტორი, — ო, თვალი ხომ არ მატყუებსი ო, დმერთო! ო, სადღა მივდივართ? ო, ტემპორა, ო, მოსე!“.

ნოპოლისის მშვიდობისმოყვარე მოქალაქეებს ასეთმა ღვარძლიანმა და ასეთმა კლასიკურმა ფილიპიკამ ცა დაუქუხა და დედამიწა შეუძრა, ჯგუფ-ჯგუფად თავი მოიყარა ქუჩების კუთხეებში გულამღვრეულმა ხალხმა, ყველა ალალი მოუთმენლობით აფორიაქებული ელოდებოდა პატივცემული სმითის ნაცვალგებას. მეორე დილით ასეთი იყო პასუხი:

„მოგვყავს ადგილი „ჩაიდნის“ გუშინდელი წერილიდან: „ო, დიახს ო, ჩვენ გვესმის! ო, უთუოდ! ო, თვალი სომ არ მატყუებს! ო, ღმერთო! ო; ტემპორა! ო, მოსე!“ აგრე რას გადაკიდებია ამ ო-ს! ამ კაცს გონება ერთ ადვილას უტრიალებს და, ცხადია, ამასაც და ამის ნათქვამსაც თავი ბოლოს რად არ ებმის და ბოლო თავსა. რა თქმა უნდა, ეს მატრაბაზი ო-ს მოუშველებლად ერთ სიტყვასაც ვერ დაწერს. კია გასაოცარი, მაინც სად წაეჩვია ასეთ ო-ებას? ჰოი, რა ჩქარა დაუტოვებია ბნელი აღმოსავლეთი. ნეტავ იქაც აგრე დაეჩემებინა ეს ო? ო, შე საწყალო!“

ენა ადვილად ვერ იტყვის, თუ რა ბრაზი წაჰკიდა ამ უგვანმა ცილისწამებამ ბ-ნ ხეძგერიას. მაგრამ ამბობენ, შეჩვეული ჭირი ადვილი დასათმენიაო\*. ზოგს რომ ეგონა, თავისი ღირსების შელახვას ისე არ გაუანხლებია ეს კაცი — სტილი რომ აუგდეს აბუჩად, ამან ანთო და დაანთო. რაო! ო-ს მოუშველებლად ერთ სიტყვასაც ვერ დაწერ მე — ხეძგერია! თავის შეცდომას მალე დაინახავს ეს ტეტია. დიახ! მე, ხეძგერია ბაყაყუმპეუმიდან, გავაგებინებ ბ-ნ ჯონ სმიტს, რომ მე, ხეძგერიას, შემიძლია შეთხზვა, თუკი მოვისურვებ, წინადადებისა და აბზაცის, მთელი წერილისა ისე, რომ ერთხელაც, ერთხელაც არ მოვიშველებ ამ საზიზღარ ხმოვანს. აი ნახავთ, მაგრამ არა. ჯონ სმიტის ქეიფზე არ გავივლი. მე, ხეძგერია, ვინც არ უნდა იყო'ს ეს ჯონ სმიტი მთელ საქრისტიანოში, მისი სუშტურის გულისთვის ჩემს სტილს ერთი ბეწოთი არ შევცვლი. ეს როგორ მომივიდა აზრად! გაუმარჯოს ო-ს! რამდენსაც მინდა, იმდენს ვი-ო-მებ“.

დიდი ხეძგერია ვაჟკაცურად შეუდგა ამ სადავიდარაბო საქმეს და „ჩაიდნის“ შემდეგ ნომერში გამოაქვეყნა მოკლე და უბრალო, მაგრამ მაგარი წერილი.

„ჩაიდნის“ რედაქტორს პატივი აქვს შეატყობინოს „გაზეთის“ რედაქტორს, რომ ის („ჩაიდანი“) ისარგებლებს შემთხვევით და სვალინდელი ნომრით დაარწმუნებს მას („გაზეთს“); რომ ის („ჩაიდანი“) არის და იქნება თავის პატრონი და დამცველი თავისი სტილისა; მას („ჩაიდანს“) გადაუწყვეტია; რომ გამოუცხადოს მას („გაზეთს“) ნამეტნავი და მართლაცდა ენით უთქმელი სიბუღვილი მის („ჩაიდნის“) საწი-

ნაღმდებო მის („გაზეთის“) ონებს და გამოაქვეყნებს მისი („გაზეთის“) საამურ (?) იმავე მოცულობის მოწინავეს, სადაც ნამდვილად იქნება ეს მშვენიერი, მარადიულობის სიმბოლო სმოვანი, რომელმაც ასე შეურაცხყო მისი („გაზეთის“) ღირსება. მისი („გაზეთის“) მორჩილი, მონა-მოსამსახურე „ჩაიდანია“. სოდა, აგრე მოვევლით ბაჰინგემს“.

მიკიბულ-მოკიბულად და უთავბოლოდ გამოთქმული ამ შესაზარელი მუქარის შესრულებას რომ შეუდგა, დიდმა ხეცბერამ ყური აღარ ათხოვა „მასალის“ მომლოდინე თანამშრომლებს და პირდაპირ „ჯანდაბას“ გაისტუმრა თავისი უფროსი ოსტატი, როცა ის (უფროსი ოსტატი) იხვეწებოდა, სწორედ დროა იმის („ჩაიდნის“) მანქანაზე გასატანად; ყური აღარ ათხოვა-მეთქი, და დიდი ხეცბერია დილა-ბინდის დადგომამდე იჯდა მართლაცდა ჯერ არნახული ქვემოთ მოყვანილი წერილის შესათხზავად.

„აბა, ოთლო-თოთლოვ ჩემო ჯონსი კონკორდიდან რომ მორბოდი, რას მორბოდი, სად მორბოდი? თკრო-ბოკრო მოსასვლელეებით რომ წამოუხველ შენს დედიკოს, ხომ ყვიროდა ცრემლმოდენილი — ოიმეო, ჩემო ჯონსი ობროდო კაცო, ჯონ! ჭოტო, ღორო, ჯოროთო ოლოლო შენ! ოთხში ამოღება მოგიწევს, ორი შოლტი ტყავის გადაძრობა, შე ონავართო ოოოხ მოვალ, შენს ოხტში! მოუსვი, მოუსვი შე საოროფეხოვ შენს კონკორდში! იქ შენ სადარდოს ღვინო შეაყოლე, მოიოსე, მოიოსე გული, ოგეჩო! ოგეჩო-მეთქი!“

ღამე ასე თეთრად გაათენა და მთლად მისავათებულმა ხეცბერამ, მტკიცედ და ყოვლისშემძლე კაცის სახით ხელნაწერი გაუწოდა მის ლოდინში თავლებამომდამებულ ბიჭს, მერე გულარხეინად შინ წავიდა და თავისი თავის მეტად კმაყოფილი დასაძინებლად დაწვა.

ხელნაწერი ჩაიბარა ბიჭმა და თვალის დახამხამებაში რომ აირბინა თავის „უჯრასთან“, აღარ დაუხანებია, იმწამსვე თავი მიაგდო საქმეზე.

პირველადვე, რაკი წერილი იწყებოდა სიტყვით „აბა“ საერთოდ კი — „ა“-თი, რაღა თქმა უნდა, ბიჭმა უჯრიდან „ა“ ამოიღო დიდის ამბით. სიხარულით აფრთოვანებული მერე წამის უმაღლესად მოუტრიალდა „ო“ ასოებიან განყოფილებას

და, როცა იქ თითებმა ვერა უპოვეს რა, მომიბრუნდება კი ენა ამის სათქმელად, თუ რა დაემართა — როგორ გაოცდა და გაწიწმატდა, სულ ტყუილუბრალოდ ვპოტნიდით ფრჩხილებით ცარიელი უჯრის ძირს. ერთი რა არის და ერთი „ო“ ასოც ვერსად ნახა. გულგადაქანებული გაიქცა უფროს ოსტატთან ამ ამბის შესატყობინებლად.

— ბატონო, — მიაძახა სულმოუთქმელად, — ერთი „ო“-ც აღარსად არის და წებილი როგორ ავაწყო?

— რაო, რას ამბობ? — შეუბღვირა უფროსმა ოსტატმა, ჯავრით აღარ იყო, ასე დიდხანს რომ მოუხდა აქ გაჩერება.

— რა და, ბევრი ვეძებე და ერთი „ო“-ც ვერ ვნახე წებო-ლისთვის!

— აბა, სად ჯანდაბაში უნდა იყოს?

— არ ვიცი, ჩემო ბატონო, — მიუგო ბიჭმა, — ერთი „გა-ზეთელი“ ბიჭი კი დაეთრეოდა აქ მთელი ღამე. და იქნებ, მან სუყველა აგვიწაპნა.

— ეგ შავი მიწის შესატყმელი, ეგა! მეტი ვინ იქნებოდა, — უთხრა მთლად გაცეცხლებულია უფროსმა ოსტატმა, — მაგრამ იცი რა, ბობ, შენ სომ მაგარი ბიჭი ხარ, მიდი და იმ ოჯახდაქცეულებს აუწაპნე ყველა „ი“.

— კი, ბატონო, — უპასუხა ბიჭმა და თვალი ჩაუპატუნა; — მე მაგათ ვუჩვენებ სეირს, ერთი მივიდე; მაგრამ ამ წებილს კი რაღა ეშველება? პატრონი მოვა და ლანძღვით ამიკლებს...

— და კარგა მაგრა მოგვდგება, — შეაწყვეტინა უფროსმა ოსტატმა, სიტყვა „მაგრას“ ოხვრაც ამოაყოლა, — ეგ წერი-ლი დიდია, ბობ?

— არც ისეთი დიდი წებილია, -- თქვა ბობმა.

— ჰო, კარგი აბა, ჩქარა, მანქანისაკენ, — უთხრა უფროსმა ოსტატმა, გასაკეთებელი ბევრი ჰქონდა და ათასად იჭრებოდა ეს კაცი; — მიდი და „ო“-ს მაგივრად სხვა ასოები ჩაყარე. მაინც არავინ იქნება მაგ აბდაუბდის წამკითხველი.

— კი ბატონო, — თქვა ბიჭმა და საამწყობო მაგიდისაკენ მალაიდ მიმავალმა ჩაიჩურჩულა, — ამხელა კაცმა რა მითხრა? აგრეც ვიზამი ჰო, ჰო, რა წებილი გამოვა!

თუმცა სულ თორმეტი წლის იყო ბობი, და სიმაღლეც მხოლოდ ოთხი ფუტი ჰქონდა, ტოლს არავის დაუდებდა.

სტამბებში არცთუ ისე იშვიათი იყო აქ მოთხრობილის მსგავსი ამბები; ვერ გეტყვით რისთვის, მაგრამ ნამდვილად ასე სდებოდა ხოლმე; დაკარგული საჭირო ასოს ნაცვლად თითქმის ყოველთვის „ჰ“-ს მოიწველიებდნენ. შესაძლოა იმიტომ, რომ „ჰ“ ასო ბევრი იყო სათანადო უჯრაში ან, იქნებ, ასეთი ჩვეულება ჰქონდათ ასოთამწყობებს. ბობიც ამ წესს მისდევდა, როგორც ჩანს, და „ჰ“-ს ნაცვლად სხვა ასოს ნამდვილად ვერ ჩაყრიდა.

— სულ ჰ-ებით გავავსებ ამ წებილს, — თქვა თავისთვის, საგაზეთო მასალას გაოცებული რომ კითხულობდა, — მაგრამ ამდენი თ-ებიანი წებილი ჯერ არ მინახავს.

ხოდა, „ო“ —ჰ“-თი გაბედულად შეცვალა და კიდევაც დაიბეჭდა ასეთი ჰ-ებიანი გაზეთი.

მეორე დილით ყველა ნოპოლისელმა დაიტაცა „ჩაიდნის“ ეს ნომერი, რომელშიც ასეთი განსაცვიფრებელი მოწინავე იყო:

„აბა, ჰთლჰ-თჰთლჰვ ჩემჰ ჯჰნი კჰნკჰრდიდან რჰმ მჰრბჰდი, რას მჰრბჰდი, სად მჰრბჰდი? ჰკრჰ-ბჰკრჰ მჰსასვლელებით რჰმ წამჰუხველ შენ დედიკჰს, ხჰმ ყვირჰდა ცრემლმჰდენილი — ჰიმეჰ, ჩემჰ ჯჰნი ჰბრჰდჰი კაცჰ, ჯჰნი ჰჰტჰ, ლჰრჰ, ჯჰრჰი ჰლჰლჰ შენი ჰთხში ამჰლება მჰგიწევს, ჰრი შჰლტი ტყავის გადაძრჰბა, შე ჰნავარჰი ჰჰჰხ მჰვალ, მჰვალ შენს ჰხტში, მჰუსვი, მჰუსვი შე საჰჩჰფეხევე შენს კჰნკჰრდში იქ შენ სად-არდჰს ღვინჰ შეაყჰლე, მჰიჰხე, მჰიჰხე გული, ჰგეჩჰი ჰგეჩჰ-მეთქი“.

ასეთი შეუცნობელი და გრძნებით შეკრული წერილის გამო ერთი ამბავი ატყდა. ხალხი ჯერ ფიქრობდა, ამ იეროგლიფებში რაღაც ეშმაკეული მზაკერობა უნდა იმალებოდესო; ყველა ხეძგერიას ბინას მიაწყდა, ქვეყანაზე იგავად უნდა დავაგდოთო. მაგრამ ველარსად იბოვეს ეს ჯენტლმენი. თითქოს მიწამ პირი უყოთ, აღარც შენდევ გაუგიათ მისი ასავალ-დასავალი.

შფოთისთავს რომ ველარსად მიაგნეს, ხალხის რისხვა ბოლოს ჩაცხრა, ხოლო დიდი მითქმა-მოთქმა კი დარჩა ამ სადავიდარაბო საქმის ლექად.

ერთმა ჯენტლმენმა თქვა, ამ კაცს რა ხუმარა თავი ჰბმიაო.

მეორემ თქვა, ჰაი-ჰაი, რა გონებაგახსნილი ყოფილათ ხეძგერია.

მესამემ ასე განაცხადა, ჰა დათვი და ჰა კვალიო.

მეოთხემ ესლა თქვა, ამ იანკის აქაური ხალხი ბრიყვი სომ არ ჰგონიაო.

სამაგალითოდ უნდა ჰქონდესო ეს წერილი შთამომავლობას, წარმოთქვა მენხუთემ.

ცხადი იყო, ხეძგერიას დიდი გასაჭირი დასდგომიდა; და რაკი ეს რედაქტორი ვერ იპოვეს, ასე თქვეს, ლინჩი ვუყვართო მეორეს.

ყველა ფიქრობდა, ამ საქმის გამორკვევა არ მოხერხდებაო ასე ჰაიჰარად. ქალაქის მწიგნობარსაც ასე უთქვამს, ჰეიჰეიო! ამ ბნელი ამბის ვერა გამიგია რაო. მართალია, ჰ-ს კი იცნობს სუყველა, მაგრამ ამ შემთხვევაში (ჭეშმარიტად რომ შეუნიშნავს) დაუდგენელია „ჰ“-ს მნიშვნელობა.

ასოთამწყობ ბობის („საგაზეთო წებილის“ ჰ-ებით გავსების გამო კრინტიც არ დაუძრავს) აზრისთვის არ მიუქცევიათ ჯეროვანი ყურადღება. თუმიცა მას უთქვამს პირდაპირ და უშიშოდ, ჩემთვის ყველაფერი ნათელიაო, რაკილა ვიცო, ბ-ნი ხეძგერია ჩვეულებრივ არ იკლებს დასალევს, მაგრამ იმ ღამით ნამეტნავად დიდხანს გაუგრძელებია ყლურჭვა, მთლად მოიცვა ამ ჰჰჰ-ებმა და ნახე რა წებილი დაუწერიაო.

## მისტიფიკაცია

მიდიო, თუ ასეთია ეს თქვენი „პასაღობი“ და „მონტანტები“, არც ვრათი მინდა და არც მეორე.

ნ ე დ ნ ო უ ლ ზ ი

წარჩინებული უნგრული გვარისა იყო ბარონ რიტცნერ ფონ იუნგის ჩამომავლობა, ამ გვარიდან ყოველი (რამდენადაც ეს ვიცით გარკვეულ მატრიანეთა მისხედვით) ამა თუ იმ ნიჭით იყო ცხებული; ერთნი დიდად იყვნენ ცნობილნი, მე-

ორენი ნაკლებად, იმათაგან ჰეტი წილი რაღაც grotesque-  
erie<sup>1</sup>-თი გამოირჩეოდა; კარგი მაგალითები, თუმცა ძალიან  
კარგით, ამას ვერ ვიტყვით, მოყვანილი აქვს ტიკს, ამ გვა-  
რის ერთ-ერთ შთამომავალს. რიტცნერი პირველად გავიცა-  
ნი იუნგების დიდებულ სასახლეში, სასეირო თავგადასავ-  
ლებმა მიმიყვანა იმისას და ამ ამბების სააშკარაოზე გამო-  
ტანა არ შეიძლება; ეს მოხდა 18... წლის ზაფხულში. სწორედ  
იქ დავიმსახურე მე ამ კაცის ყურადღება და ნაწილობრივ,  
თუმცა კი ძნელად, შევიცანი იდუმალება მისი გონებისა,  
მერე და მერე, ამ კაცთან დაახლოებისდა კვალად, ეს იდუ-  
მალება სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა, და როდე-  
საც სამი წლის განშორების შემდეგ ჩვენ კვლავ შევხვდით  
ერთმანეთს გ-ში, მე უკვე კარგად ვიცნობდი ბარონ რიტ-  
ცნერ ფონ იუნგს.

მახსოვს რა ცნობისმოყვარეობის მითქმა-მოთქმა ატყდა  
ამ კაცის უნივერსიტეტში გამოჩენისთანავე საღამო ხანს,  
25 ივნისს. და უფრო ნათლად მახსოვს, ნახეს თუ არა იგი,  
ყველამ ერთხმად განაცხადა, „უგამორჩენილესი კაციაო ამ  
ქვეყანაზე“, თუმცა არც ერთს არ უცდია ამ აზრის დასაბუ-  
თება. გამორჩეულობა ამ კაცისა იმდენად უდავო იყო, რომ  
თავხედობად წარმოგვიდგებოდა მიკვლევა იმისა, თუ რა  
ესაძირკვლებოდა ამ გამორჩეულობას. მაგრამ ნება მიბოძეთ  
ასლა არ ჩავუღრმავდე ამ საკითხს, მხოლოდ ის კი უნდა  
აღვნიშნოთ, რომ შემოდგა თუ არა ფეხი უნივერსიტეტში,  
იმწუთასვე მოუხდენია ზეგავლენა სხვათა ჩვეულებაზე, მა-  
ნერებზე, ხასიათებზე, საფულებსა და მიდრეკილებებზე,  
ყველამ განიცადა მის ირგვლივ ამ კაცის დიდი და დესპო-  
ტური გავლენა და, ამავე დროს, ვერც ვერავინ ჩახვედრია  
ამ დიდად შეუცნობელ და აუხსნელ მოვლენას. სულ მცირე  
ხანი დაჰყო მან უნივერსიტეტში და მაინც სწორედ ამ დროს  
შეიქმნა მთელი ერა ამ დაწესებულების მათიანეში და ყო-  
ველს, ვინც კი ასე თუ ისე დაკავშირებული იყო უნივერსი-  
ტეტის მუშაობასთან, ასე უთქვამს „ეს იყო უშესანიშნავესი  
ეპოქა ბარონ ფონ იუნგის მეუფებისა“.

<sup>1</sup> უცნაურობით (ფრანგ.).

გ-ში ჩამოსვლისთანავე ჩემსას მოვიდა. გაურკვეველი ასაკისა ჩანდა იმხანად, ანუ, მე იმისი თქმა მინდა, რომ შეუძლებელი იყო მისი ასაკის დადგენა. შეიძლება გეთქვათ, თხუთმეტი ან ორმოცდაათი წლისააო; მართალი თუ გნებავთ, ის იყო ოცდაერთი წლის და შეიდი თვისა. ლამაზი კაციაო, ამას ვერ იტყოდით, პირიქით, მკვეთრი და უხეში ნაკვეთბისა ჰქონდა პირისახე; ცხვირი ზეაწეული; წმინდა და მაღალი შუბლი; თვალები დიდრონი, მზერა დაბინდული, შუშისდარი და უაზროდ მაცქერალი. ტუჩ-პირი კი უფრო გამცნობდათ ამ კაცის ხასიათს. მცირეოდნავ გამოწეული ჰქონდა ტუჩები და ზედა ისეთნაირად დასწოლოდა ქვედას, რომ ვერც კი წარმოიდგენდით; სხვა ადამიანის თუნდაც სულ ურთულესი თანაფარდობა ნაკვეთებისა ვერ აღგვიძრავდა ენით უთქმელი თავდაოკების, ზარზეიმურობის და გულშეუძვრელობის ესოდენ ყოვლისმომცველ, განუმეორებელ შთაბეჭდილებას.

ზემოთქმულს შეიძლება, რაღა თქმა უნდა, ასე დავსძინოთ, ბარონი გასლდათ ის არაჩვეულებრივი ადამიანი, ვისაც მისტიფიკაციის მეცნიერების შესასწავლად გადაუდვია თავი და კიდევაც გაუხდია თავისი ცხოვრების საგნად. განგებას მისთვის ისეთი ჭკუა-გონება მიუბოძებია, რომ თავისდა უნებურად გატაცებულა ამ მეცნიერებით და ისეთი გარეგნობისაც ყოფილა, რომ სულ ადვილად ახერხებდა დასახული მიზნების განხორციელებას. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ იმ ღირსშესანიშნავ ხანაში, რისთვისაც ასე უცნაურად ბარონ რიტცნერ ფონ იუნგის მეუფება შეურქმევიათ, ვერც ერთ სტუდენტს ვერ გაუთავისებია ის იღუმალება, რომლითაც მოცული იყო ეს კაცი. სრული ჭეშმარიტებაა, რომ ჩემ გარდა იმ უნივერსიტეტში ვერავინ გაივლებდა გულში, რომ ამ კაცს შეეძლო რამე ესუძრა ან სიტყვით ან საქმით; ამას უფრო დაიჯერებდნენ: ბალის კარიბჭესთან დაბმულ ბებერ ბულდოგს, ჰერაკლიტეს აჩრდილს ან თეოლოგიის გადამდგარი პროფესორის პარიკს უოსუნჯიათ რაღაც. სწორედ ასე იყო მაშინაც კი, როდესაც ცხადლივ ამჩნევდნენ, თუკი მოხდებოდა რაიმე უსაზიზღრესი და წრეგადასული თინბაზობა, მართალია პირდაპირ ამ კაცს ვერ დაასახელებ-



დნენ ამ ამბის მოთავედ, მაგრამ ასე თუ ისე ნათელი იყო, მისი მეშვეობით თუ მონაწილეობით ხდებოდა სუყველაფერი. მისი მისტიფიკაციური სელოვნების, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მშვენიერებას ესაძირკვლებოდა ერთი უსრულყოფილესი უნარი (რომლის შედეგი ის იყო, რომ თითქმის ქვეშევსრულად შეეძლო გაესაკუთრებინა ადამიანის ბუნება და, ამავე დროს, ფრიად გასაოცარი თავშეკავება შეენარჩუნებინა) — სულ მუდამ ასე ჩანდა, მართალია კი ცდილობდა აღეკვეთა ეს ოხუნჯობანი, მაგრამ ნაწილობრივ ამის გამო, ნაწილობრივ იმის გამოც, რომ დიდი სურვილი ჰქონდა დაეცვა ღირსება კარგი სახელი Alma Mater-ისა<sup>1</sup>, ეს მისი საქებური მონღომება უშედეგო რჩებოდა საბოლოოდ. ყოველი ასეთი მარცხი სულს უმღვრევდა, სტანჯავდა, დიდად სწყინდა და კიდევაც ნათლად გამოეხატებოდა ხოლმე სახეზე და აღარავის, თუნდაც იმის მთლად ურწმუნო ამხანაგსაც მცირეოდნავაც აღარ შეეპარებოდა ეჭვი ამ კაცის გულწრფელობაში. ისიც კარგად მახსოვს, რომ არანაკლებ მოხერხებულები გახლდათ, ოსტატურად შეეძლო შემოქმედი შეენიღბა და მხოლოდ შემოქმედება წარმოეჩინა, ანუ მისი თინბაზობანი საცნაურდებოდა მხოლოდ, ხოლო თავად მისი პიროვნება ცხრაკლიტულში იყო მიმაღული. ადრე, სანამ ამ კაცს გავიცნობდი, მე არ მინახავს, რომ თუნდაც დახელოვნებული მისტიფიკატორი არ გაბმულიყოს თავისივე ნამოქმედარის ხვანჯებში და სასაცილო არ შექმნილიყო ხალხის თვალში. დღენიადაგ თავისი ხუშტურებით გარემოცული ეს ჩემი მეგობარი გარეგნულად მკაცრად ემორჩილებოდა საზოგადოების წესებს; მედიდური და გულზვიადი, მხოლოდ ასეთი ახსოვდათ ბარონ რიტცნერ ფონ იუნგი იმის ახლობლებს.

ამ კაცის გ-ში ყოფნის ხანს მხოლოდ ასე ჩანდა, რომ *dolce far niente*<sup>2</sup>-ეს ეშმა დაქროდა უნივერსიტეტის თავზე ვითარცა ინკუბუსი. ერთი სიტყვით, სუფრა აუღებელი ჰქონდათ. სტუდენტებს თავიანთი ბინები სამიკიტნობად გადაეჭციათ და იმათ შორის ბარონისა იყო ყველაზე უფრო სახელ-

<sup>1</sup> დედა მზრუნველი (ლათ); იგულისხმება უნივერსიტეტი

<sup>2</sup> ნეტარი უსაქმურობის (იტალ.).

განთქმული და მრავალსტუმრიანი სამიკიტნო. სწორედ მ.ს-თან იმართებოდა გაუთავებელი, ხმაურიანი დროსტარება და კიდევაც სულ მუდამ რაღაც ხდებოდა ხოლმე იქ.

ერთხელ დილამდე გასტანა ამ კაცთან ლხინმა და ბევრი ღვინოც დაილია. შვიდნი თუ რვანი იყვნენ და, რაღა თქმა უნდა, ჩვენც, ბარონი და მე იმათთან ერთად. მეტწილად ყმა-წვილკაცები გახლდნენ, მდიდარნი, დიდებული ნაცნობ-ნათესავები ჰყავდათ, დაბადებიდანვე დაპყობილად გულზვაობა და, ცხადია საკუთარი ღირსების გრძნობაც უსაშველოდ ჰქონდათ განვითარებული. ულტრაგერმანული შეხედულებისა იყვნენ duello-ზე. პარიზში სულ ახლახან გამოსული ერთი წიგნი წაუკითხავთ და გ-ში სამი თუ ოთხი დაუნდობელი და საბედისწერო ორთაბრძოლა მომხდარიყო, ხოდა, ამან გამოაცოცხლა და კიდევ უფრო დაამკვიდრა დონკიხოტური შეხედულებები; იმ საღამოს ცხარე კამათი სწორედ ამ საკითხის ირგვლივ გამართულიყო მეტწილად. ბარონი ჯერ მთელი ეს ხანი უჩვეულოდ გაჩუმებულიყო და არც კი უსმენდა იმათ ნაუბარს; დაბოლოს, თითქოსდა აპათიისაგან გამორკვეული საუბარში ჩაება და ყველას აჯობა კიდევაც თავისი მჭევრმეტყველებით, განსაკუთრებით აქებდა და აღი-დებდა სადუელო წესების მშვენიერებას და იმდენად აღფრთოვანებული, გულანთებული და მგზნებარედ ამტკიცებდა ამას, რომ დიდად მოხიბლა კიდევაც თავისი მსმენელები, მეც კი შემძრა იმისმა სიტყვებმა, თუმცა კარგად ვიცოდი, სულის სიღრმეში ყოველთვის ზიზღით ეკიდებოდა იმას, რასაც ახლა ხოტბით მოიხსენიებდა, ყველაზე უფრო მეტად გულს ურევდა ორთაბრძოლის მონაწილეთა კუდაბზიკობა, და მართალიც იყო.

გარშემო მიმოვიხედე, როდესაც ბარონმა წამით გაწყვიტა თავისი სიტყვა (რომელზეც ჩემმა მკითხველმა შეიძლება ბუნდი წარმოდგენა მაინც შეიქმნას, თუ ვიტყვი, რომ მისი საუბარი მოგვაგონებდა კოლრიჯის ცეცხლოვან, ერთ ხმაზე გაწყობილ სიმღერას თუ საამურ გალობას), სტუმართაგან ერთი ოდენ ჩვეულებრივი ყურადღებით არ უსმენდა მას. ყოველმხრივ ორიგინალური პიროვნება გახლდათ ეს ჯენტლმენი, მოდიოდა და მე იმას ჰერმანს დავუძახებ, თუმცა,

მგონია, ერთი გარკვეული თვისებით კი იყო შემეკული, დიდი სულელი ვინმე გახლდათ. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის ერთ ჯგუფში ღრმა და განსწავლული მოაზროვნე მეტაფიზიკოსის სახელი ჰქონდა და, რამდენადაც ვიცი ლოგიკური მსჯელობის უნარს მიაწერდნენ ამ კაცს. ვითარცა დუელანტი დიდად ცნობილი იყო გ-შიაც კი. ზუსტად არ მახსოვს რამდენი კაცი დაიღუპა მისი ხელით, მაგრამ ვიცი, ბევრნი იყვნენ. თქმა არ უნდა, კარგი ვაჟკაცი იყო. განსაკუთრებით კარგად იცოდა duello-ს წესები და დიდად ჰქონდა განვითარებული ღირსების გრძნობა, რითაც მეტად ამაყობდა კიდევაც. ყველაფერი ეს მას ცხოვრების საგნად გაეხადა. რიტცნერი ხომ სულ მუდამ უჩვეულოს ძიებაში იყო და ამ კაცის პიროვნება უკვე დიდი ხანია განაწყობდა მისტიფიცირებისათვის. თუმცა მე მაშინ ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, მაგრამ კი ვხედავდი, ეს კაცი გამზადებული იყო სამსხვერპლად და უთუოდ უნდა გაბმულიყო ჩემი მეგობრის, ბარონის დაგებულ ბაღეში.

ხოდა, ამ თავის სიტყვას თუ მონოლოგს რომ განაგრძობდა, შევნიშნე, ჰერმანი, ახლა უფრო მეტად აღელვებული უმზერდა მას. დაბოლოს სიტყვა შეაწყვეტია, თავისი ეჭვი გამოთქვა იმ საგანზე, რიტცნერი თავგადადებული რომ ამტკიცებდა, მერე კიდევაც საგულდაგულად მოჰყვა ამ თავისი მოსაზრების დასაბუთებას. ბარონმა უპასუხა, კარგა ხანს ლაპარაკობდა (მეტისმეტად გრძნობამორეული იყო ამ დროს), დაბოლოს, მე ვფიქრობ, კარგად არ დაუსრულებია ეს თავისი სიტყვა, დაცინვით ჩაუხითხითებია. ჰერმანს თავისი აზრი ამის შემდეგაც არ შეუცვლია, ვატყობდი, მეცნიერული სიზუსტით სცადა ბარონის ნათქვამის უარყოფა, ნათლად მახსოვს მისი უკანასკნელი სიტყვები: „ნება მიბოძე, უნდა გითხრათ, ბარონ ფონ იუნგ, თქვენი მოსაზრებები ძირითადად კი არის სწორი, მაგრამ მრავალი, გარკვეულწილად მნიშვნელოვანი საკითხი ისე წარმოგვიჩინეთ, რომ სახელი გაგიტყდებათ თქვენც და იმ უნივერსიტეტსაც, სადაც განათლების მისაღებად მობრძანებულხართ. უფრო მეტსაც ვიტყვოდი, ჩემო ბატონო, მაგრამ ვშიშობ, ვაითუ შეურაცხყოფილი დარჩეთ (ნაზი ღიმილით წარმოთქვა ეს სიტყვე-

ბი), კი ვიტყვოდი-მეთქი, ჩემო ბატონო, რომ თქვენი მოსაზრებები არ უნდა იყოს ჯენტლმენის მიერ გამოთქმული მოსაზრებები“.

დაასრულა თუ არა ჰერმანმა ეს თავისი ორაზროვანი სიტყვა, სუყველამ ბარონს შევხედეთ. ფერი ეცვალა, გაფითრდა, მერე მთლად წაშიინთო, ცხვირსასოცი დაუვარდა, იმის ასაღებად დაიხარა და ამ დროს თვალი მოვკარი ამ კაცის სახეს, ჩემ გარდა იმ მაგიდასთან მჯდომარეს არავის დაუნახავს. იქედნურმა ღიმილმა გადაუნათა სახე, სწორედ ამწუთას გამჟღავნებულიყო ამ კაცის ნამდვილი ბუნება; ხალხში ყოფნისას ეს არც არასდროს შემინიშნავს, მხოლოდ ჩემთან მართოდ დარჩენილი მოიხსნიდა ხოლმე ნიღაბს და კიდევაც მიჩვენებდა თავის გულს. წამიც არ იყო გასული და უკვე წელგამართული იდგა ჰერმანის პირისპირ. აქამდე არ მინახავს, თუ შეეძლო ვინმეს ასე უცებ და სრულიად სახის გამომეტყველების შეცვლა. მაშინვე თავში ისიც კი გამიელვა, რომ ვცდები, ეს კაცი ნამდვილად გაცეცხლებულია-მეთქი, თითქოსდა გული მობჯენოდა ყელში, მკვდრისფერი დასდებოდა. ცოტა ხანს ჩუმად იყო, გეგონებოდათ ძალას იკრებდა, რათა თავი შეეკავებინა როგორმე. დაბოლოს, თითქოსდა რომ შეძლო თავის დამორჩილება, იქვე დადგმულ სურას ხელი დასტაცა, მაგრად მოუჭირა და ასე წარმოთქვა: „ის სიტყვები, რომლითაც თქვენ მე მომმართეთ, მინჰერ ჰერმან, უსიამოვნოა მრავალმხრივ და მე კი დრო არა მაქვს, ვერ მოვყვები ამის დაზუსტებას. მაგრამ ის თქვენი ნათქვამი, რომ ჩემი მოსაზრება არ უნდა იყოს ჯენტლმენის გამოთქმული მოსაზრება, დიდად შეურაცხმყოფელია და მე მხოლოდ ერთ გამოსავალს ვხედავ. რაღა თქმა უნდა, აქ ისეთი საზოგადოებაა მოსული, რომ გარკვეული თავაზიანობა მმართველს; ამასთან ერთად, ამჟამად თქვენ ჩემი სტუმარიც ხართ. ამიტომ უნდა მომიტევოთ, თუკი მცირეოდნავ შეგცვლი ჯენტლმენთათვის საყოველთაოდ ცნობილ წესს; კარგად მოგესხენებათ, თუ როგორ უნდა მოიქცეს პირადად შეურაცხყოფილი კაცი. გთხოვთ მაპატიოთ, მინდა, რომ ცოტა თქვენს ფანტაზიას მოუხმოთ და ერთი წამით წარმოიდგინოთ, თქვენი გამოსასულება კი არა ჩანს იმ სარკეში, არა-

მედ ეს თავად თქვენ ბრძანდებით, მინჰერ ჰერმან. ძნელი არ უნდა იყოს ეს თქვენთვის მგონია. ხოდა, ამ ღვინიან სურას თქვენს გამოსახულებას მივახლი სარკეში და ასე, გამოწვლილვით არა, მაგრამ სულს მაინც გამოვხატავ იმ გარემობისას, თუ რამდენად შეურაცხყოფილი ვარ თქვენი გამოსხდომით. ამასთან ერთად, საჭირო აღარ იქნება ფიზიკურად შევეხო თქვენს პიროვნებას“.

თქვა ეს და ღვინით სავსე სურა ესროლა სწორედ ჰერმანის პირდაპირ დაკიდებულ სარკეს; კიდევაც მოახვედრა ზუსტად ამ კაცის გამოსახულებას და, რაღა თქმა უნდა, მინა დაამსხვრია. ამწუთასვე წამოდგნენ ყველანი და წავიდნენ, მე და რიტცნერი დავრჩით. გავიდა თუ არა ჰერმანი, ბარონმა ჩამჩურჩულა, წადი, იმ კაცს გაჰყევი და შენი დახმარება შესთავაზეო. კი დავეთანხმე, მაგრამ არ ვიცოდი, თუ რა უნდა მოჰყოლოდა ამ სულელურ შემთხვევას.

დუელანტიმა ჩვეულებისამებრ მზვაობარი და უდარბაისლურესი მიხრა-მოხრით მადლობა მომანსენა დახმარებისათვის. მერე ხელი მომკიდა და თავის ოთახში შემიყვანა. კინაღამ ამ კაცის თვალწინ გამეცინა, როდესაც ღრმად ჩაფიქრებულმა, დინჯად დამიწყო საუბარი, „განსაკუთრებით დახვეწილი ხასიათის“ შეურაცხყოფა მომაცენესო. დიდხანს მელაპარაკებოდა თავისებურად, ისე, როგორც მან იცოდა, დავიღალე; დაბოლოს თაროდან რამდენიმე თბმოკიდებული წიგნი გადმოიღო duello-ს შესახებ და კარგა ხანს არ მომაკლო გასართობი. ხმამაღლა მიკითხავდა და კომენტარებსაც უკეთებდა წაკითხულს. ზოგიერთი შრომის სათაური დამამახსოვრდა. „ფილიპე ლამაზის ორდონანსები ორთაბრძოლის თაობაზე“; ფავინის „ღირსების თეატრი“; ოდიგიეს „ორთაბრძოლის უფლებებზე“, აგრეთვე დიდი ზარზემით წარმომიდგინა ბრანტომის „სადუელო მემუარები“. ეს წიგნი კელნში გამოიცა, 1666 წელს, ელზევირით იყო დაბეჭდილი ძვირფას ქალაღლზე, ვრცელ მინდვრიანი, გარეკანი თავად დერომის ნახელავი გახლდათ. შემდეგ დაჟინებით მთხოვა, იდუმალი ხმით მამცნო, აბა, ერთი ეს წიგნი ნახეთო; ვიღაც ფრანგის, ჰედელინის ბარბაროსული ლათინურით დაწერილი სქელტანიანი თხზულება იყო, გასაოცარი სათაური დაერთო

მისთვის ავტორს: *Duelli Zex Scripta et non; aliterque*<sup>1</sup>. სწორედ აქედან წამიკითხა ამქვეყნად ყველაზე უფრო თავ-შესაქცევი პასაჟები იმ თავიდან, რომელიც ასე იყო დასა-თაურებული: „*Injuriae per applicationem, per constructi- onem, et per se*“<sup>2</sup>. ამ თავის ნახევარი, მარწმუნებდა იგი, ზუსტად მიესადაგებათ იმ ჩემს „განსაკუთრებით დახვეწილი ხასიათის“ შეურაცხყოფას, მაგრამ თუნდაც მოგეკალით, ამ წიგნიდან მოყვანილი ერთი სიტყვაც ვერ გავიგე. დაასრულა თუ არა ეს თავი, წიგნი დახურა და მკითხა, რას ფიქრობთ, როგორ უნდა მოვიქცეთო. მე ვუპასუხე, თქვენს მაღალ გონებას სრულიად ვენდობი და რასაც მეტყვით, იმას ვიზამ- მეთქი. ეს ჩემი პასუხი ესია მოვინა; შემდეგ დაჯდა და ბარონს ბარათი მისწერა. აი ისიც:

„ჩემო ბატონო, ჩემი მეგობარი ბ-ნი პ. მოგაწვდით ამ ბარათს. პირველივე შესაძლებლობისთანავე ჯერ არს მოგ- თხოვოთ ახსნა-განმარტება თქვენს ბინაზე ამ საღამოს მომ- ხდარი ამბის გამო. უკეთუ თქვენ უარყოფთ ჩემს წინადადე- ბას, ბ-ნი პ-სთვის სასიამოვნო იქნება თქვენს რომელიმე მე- გობართან ერთად მოლაპარაკება და ჩვენი შეხვედრის თაღა- რიგის დაჭერა.

დიდი პატივისცემით თქვენი მონა-მორჩილი.  
იოჰან ჰერმანი“.

„ბარონ რიტცნერ ფონ იუნგს

18.. წლის 18 აგვისტო“

სხვა რაღა უნდა მექნა, რიტცნერს მივუტანე ეს უსტარი. თავი დამიკრა და პირქუშად მანიშნა, დაჯექიო. წაიკითხა ეს სელნაწერი და კიდევაც დაწერა პასუხი, რომელიც მაშინვე წავუღე ჰერმანს.

„ჩემო ბატონო, ჩვენი საერთო მეგობრის, ბ-ნი პ.-ს მეშვე-ობით ამ საღამოს მივიღე თქვენი ბარათი. სათანადო ფიქრის

<sup>1</sup> „ღუელის დაწერილი და დაუწერელი კანონები და სხვა“ (ლათ.).

<sup>2</sup> „შეურაცხყოფა შეხებით, სიტყვითა და თავისთავად“ (ლათ.).

შემდგომ მინდა გულწრფელად გაუწყოთ, მართალი ბრძან-  
დებით, ახსნა-განმარტებას რომ მოითხოვთ. ისიც უნდა ვა-  
ღიარო, რომ დიდად მიძნელებდა (რაკილა განსაკუთრებით  
დახვეწილი ბუნების უთანხმოება მოგვიხდა და ასეთივე იყო  
ის ჩემი შეურაცხყოფაც) სიტყვით გამოვხატო ის, რისი გა-  
მთქმაც მსურს ამ ჩემი ბოდიშის საშუალებით და რაც აგ-  
რე აუცილებელი ჩანს ამ მრავალმხრივ საყურადღებო შემ-  
თხვევის გამო. მაგრამ ვიცი საარაკოა თქვენი ცოდნა სათანა-  
დო ეთიკეტის წესებისა და არცა გყავთ ბადალი, თქვენისთა-  
ნა განსწავლული კაცი სანთლითაა საქმენი და ამიტომაც  
დიდად ვიმედოვნებ, დარწმუნებული ვარ, რომ გამიგებენ.  
გამომდინარე აქედან მინდა თხოვნით მოგმართოთ, ჩემი  
გრძნობების აღწერა-გადმოცემას, იქნებ, სჯობდეს სერ ჰე-  
დელინის აზრი გაიცნოთ და ნახოთ მისი *Duelli Zex Scrip-  
ta, et non; aliterque*“, მეცხრე პარაგრაფი თავისა „*Injuriae  
per applicationem, per constructionem, et per se*“, თქვენ  
ისეთი გასაოცარი სიზუსტით იცნობთ ამ საკითხებს, რომ-  
ლებიც ამ ნაშრომშია მოყვანილი და მჯერა, რომ ჩემი  
თხოვნა, ამოიკითხოთ ხსენებული ტრაქტატის დიდებული პა-  
საჟები, დააკმაყოფილებს თქვენი, ესოდენ ღირსეული კაცის  
მოთხოვნას და ახსნა განმარტების მაგივრობას გაგიწევთ.

დიდი პატივისცემით მარად თქვენი მონა-მორჩილი  
ფონ იუნგი“

„ჰერ იოჰან ჰერმანს

18 წლის 18 აგვისტო“

ჰერმანს სახე მოელუშა და ყურადღებით ჩაიკითხა ეს წე-  
რილი, მერე კი ფრიად სასაცილო თვითკმაყოფილების ღიმი-  
ლი მოერია, როდესაც ამ აზღაუბდას მიატანა „*Injuriae per  
applicationem, per constructionem, et per se*“-ს შესახებ.  
დაამთავრა თუ არა კითხვა, მთლად უნაზესი ღიმილით  
მთხოვა, დაბრძანდით, ცოტა ხანს შეიცადეთ, ვიდრე იმ ტრაქ-  
ტატს არ ვნახავთ. გადაშალა თხზულების ის ადგილი და დი-  
დი გულისყურით, ჩუმად წაიკითხა: მერე წიგნი დახურა და  
მოისურვა, რომ მე, როგორც იმათმა ნაცნობმა და სანდო

პირმა, ბარონ ფონ იუნგისთვის მეცნობებინა მისი აღტაცება, დიდად მოხიბლული იყო ამ კაცის რაინდული საქციელით; და რაკილა სეკუნდანტიც ვიყავი, ისიც მეთქვა მისთვის, რომ სრულიად საკმარისი, სრულიად ღირსეული და სრულიად უცილობელი იყო ეს ახსნა-განმარტება.

სახტად დავრჩი, ბარონთან მივბრუნდი. ჩვეულებრივ მაილო ჰერმანის მეგობრული წერილი, თითქოსდა ასეც უნდა მომხდარიყო. რამდენიმე სიტყვა მითხრა, ისე, სხვათა შორის, და რომელიღაც თავის თთასში შევიდა და გამოიტანა აწ უკვე ცნობილი ტრაქტატი „Duelli Zex Scripta, et non aliterque“. გამომიწოდა ეს თხზულება და მითხრა, გადაათვალიერეო. ასეც ვქმენ; მაგრამ ამაოდ დავშვერ, იქ რა ეწერა, ვერაფერი გავიგე. მაშინ მან თავად აიღო ის წიგნი და ერთი თავი წამიკითხა, რა გაოცებული გავხდი, თურმე იქ ერთი გულშემზარავი, სულელური ამბავი, ორი ბაბუინის დუელი იყო მოთხრობილი. კიდევაც ამისხსნა საიდუმლო, მიჩვენა, რომ prima facie<sup>1</sup>-ის წიგნი დიუ ბარტასის უაზრო ლექსების სახით იყო დაწერილი; ანუ, სიტყვები ისე იყო გაწყობილი, რომ გარეგნული ნიშნების მიხედვით, თითქოსდა გასაგები ჩანდა, რაღაც სიღრმესაც კი დალანდავდით, მაგრამ სინამდვილეში აბლაუბდას ამოიკითხავდით იქ და მეტს არაფერს. ამ გამოცანის ახსნა ასე შეიძლებოდა, ჯერ ყოველი მეორე სიტყვა უნდა გამოგეტოვებიათ, მერე-მესამე და მაშინ წაიკითხავდით ფრიად გამკილავ პასაჟებს ჩვენი ორთაბრძოლების თაობაზე.

ბარონმა მერე მიაჩნო სუყველაფერი; ვიდრე ეს ამბავი მოხდებოდა, ამ ორი თუ სამი კვირის წინ მას შეგნებულად მიუჩენებია ჰერმანისთვის ის ტრაქტატი. ამ კაცის საუბრები რომ ჰქონდა მოსმენილი, მიხვდა, გულდასმით წაიკითხავდა და კიდევაც დაასკვნოდა ამ ნაშრომის არაჩვეულებრივ ღირსებას. სწორედ ეს გარემოება ესაძირკვლებოდა ამ ამბავს. ჰერმანი ათასგზის სიკვდილს ამჯობინებდა იმის აღიარებას, რომ შეიძლება ამქვეყნად მოძებნილიყო ისეთი შრომა duello-ს შესახებ, რომლის გაგება მას არ ძალუბდა.

1 ერთი შესედვით (ლათ.).



გვ. 55. პირონიზმით გაჭერებული — იგულისხმება სკეპტიციზმი, რომლის მიმდევრები ეკვობდნენ ობიექტური სინამდვილის შემეცნების შესაძლებლობაში. სკეპტიციზმი ჩამოყალიბდა IV ს. ძვ. წ. ა. ძვ. საბერძნეთში. ამ ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო პირონი (დაახლ. 365—273 ძვ. წ. ა.).

გვ. 60. მთვლემარე გველეშაპის მყუდროებას — ორიგინალში kraken, ზღვის დრაკონი, რომელიც თითქოსდა ნორვეგიის სანაპიროსთან ბინადრობდა.

გვ. 94. „ერნანი“ — ვ. პიუგოს დრამა.

გვ. 119. მარი სესილ როჯერსის მკვლელობის ამბის გაცნობისას — ჯ. სნოდგრასისადმი გაგზავნილ წერილში (1842 წ.) ე. პო გვამცნობს: „...ამ ამბის საფუძველი მარი სესილ როჯერსის ნამდვილი მკვლელობაა, რომელმაც ამ რამდენიმე თვის წინ დიდად აღაშფოთა ნიუ-იორკი... ჩემი მიზანი იყო მეჩვენებინა, თუ როგორ ჩაულრმავდებოდა დიუპენი... მარის მკვლელობის საიდუმლოს... მე გამოწველივით გავეცანი ნიუ-იორკში მომხდარ რეალურ ტრაგედიას. ყოველივე გავითვალისწინე, თანამიმდევრულად შევამოწმე ჩვენი პრესის მოსაზრებები ამ საგნის ირგვლივ და კიდევაც წარმოვაჩინე (მგონია დამაკმაყოფილებლად), რომ არც კი მიახლოებოდა ამ საგნის ახსნას. მთელი პრესა სრულიად შემცდარიყო. მართლაც, მე მჭერა, რომ არა მარტო უარეყავი აზრი ამ გოგოს ჩვეულებრივ მკვლელობის შესახებ, არამედ მკვლელიც მივანიშნე. მაგრამ ჩემი ძირითადი მიზანი იყო... ასეთი სახის შემთხვევათა პრინციპების ჩამოყალიბება. დიუპენის გონიერებამ სრულიად გვაზიარა ამ საიდუმლოს“.

გვ. 121. ნასაუ-სტრიტზე — აქ და შემდგომ ე. პოს მოჰყავს ამ მოთხრობის ზემოთ მოშველიებულ შენიშვნაში აღწერილი ნამდვილ მკვლელობასთან დაკავშირებული ადგილები, პერიოდულ გამოცემათა სახელწოდებები და მოწმეთა გვარები.

გვ. 178. ყველა ჩემი შეურაცხმყოფელი დაისჯება — შუა საუკუნეებში დაარსებული ერთ-ერთი სარაინდო ორდენის დევიზი.

გვ. 178. ქელსთელელთა ძმობა, მასონები; იტალიაში ეს საიდუმლო საზოგადოება დაარსდა 1763 წ.

გვ. 179. ნიჩაბი — ზემოაღნიშნული ძმობის ერთ-ერთი სიმბოლო.

გვ. 182. დავითის ფსალმუნის (22, 4) — ეს პასაჟი მოგვყავს სრულად: „ვიდოდილათუ შორის იჩრდილთა სიკუდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ ჩემ თანა ხარ, კუერთხმან შენმან და არგანმან შენმან — ამათ ნუგეშინის — მცეს მე“.

გვ. 185. ბ-ნი ბარნაბას დგიმუაუგოთი — დედანში: Mr. Barnabas

Shuttleworthy; ე. პო გეარსა თუ სახელში ზოგჯერ გარკვეულ შინაარსს ჩაქსოვს ხოლმე. ასე რომ, შეძლებისდაგვარად, მთარგმნელი იძულებულია თარგმნოს გვარიცა და სახელიც. ამ მხრივ საყურადღებოა მთავარი გმირი — Mr. ...Goodfellow — კაცურიკაცი.

გვ. 191. ქისისლალა — დედანში: Turnapenny.

გვ. 197. „შენ ხარ კაცი იგი“ — ბიბლია. მეფეთა, წიგნი II.

გვ. 199. მუცელმოგვობა ამ შემთხვევაში ტუჩის უძრავად რაიმეს თქმას ნიშნავს.

გვ. 213. ჰეროდეს ვაჭობე — დედანში: „I out-Heroded Herod“, ე. ი. სიტყვისიტყვით, თავად ჰეროდეს გადავაჰეროდეთ. უ. შექსპირის თქმა, „პამლეტი“, III მოქ. 2 სურ. ი. მაჩაბლის თარგმანის მიხედვით — „...აჭარბებს... იროდესაც“.

გვ. 246. გიგანტური სირიული გველები — აქ შეგვიძლია ქართული ხალხური ზღაპრების გველშაბი გავიხსენოთ. ე. პო კი გულისხმობდა სირიულ მითოლოგიურ გველებს, რომლებიც წყალს დარაჯობენ.

გვ. 248. შირაზელი მგოსანი — საადი, სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის მგოსანი (XIII ს.).

გვ. 252. თამადად იჯდა — დედანში: presided; ე. ი. თავმჯდომარეობდაო (სუფრას).

გვ. 267. თავისთავთან მიწევი ერთსახოვანი — პლატონი, „ნაღიმი“, თბ., 1964, გვ. 63, თარგმანი ბ. ბრეგვაძისა.

გვ. 268. პითაგორელების (ძვ. წ. ა. V ს.) — ძვ. ბერძენი ფილოსოფოსის მიმდევრები უკვე ნანახის ფენომენში მეხსიერების მოტყუებას კი არ ხედავდნენ, სულების გადასახლების დასტურად მიაჩნდათ ეს ამბავი. გარდახდენილი ამბები მოიცავს სულს, რომელიც სხვა გარსში იყო და ახლა, იცნობს ამ ამბებს.

გვ. 320. გონების წმინდა მედიდურობის გამო — ედგარ პო ირონიულად იხსენებს გონების, აზროვნების სრულყოფილების, ყოელისმომცველობის შეხედულების მიმდევრებს და ამით კიდევაც უტოლდება თანამედროვე მეცნიერების დონეს. ასე, მაგ., იხ.: С. Л. Рубинштейн, „Проблемы общей психологии“, М., 1973, с. 258.

გვ. 330. წინააღმდეგობრიობის სული — ე. პოს პოეტიკის ეს ფენომენი შეიძლება თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის (და თუ გნებავთ, ფსიქოლოგიის) უმნიშვნელოვანეს საკითხად დავსახოთ. ხსენებული თემის წარმოჩენასა და გამომწვეურებაში ჯერ კიდევ ფ. დოსტოევსკის მიუძღვის უდიდესი წვლილი, საკმარისია მისი „დანაშაული და სასჯელი“ გავიხსენოთ. თანამედროვე ფსიქოლოგიაში ამ საკითხის მნიშვნელობა ფიქსირებული იქვს ა. ე. შეროზიას. იხ. მისი „К проблеме сознания и бес-сознательного психического“, т. II, Тб., 1973 с. 482.

გვ. 369. არი ტოტლი — დედანში: Aries Tottle, მთბრობელი ქალი დამახინჯებით წერს ძვ. ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელის სახელს.

გვ. 369. ჰორაზე — დამახინჯებულადაა მოხსენიებული ამერიკელი გამომგონებელი სამუელ მორაზე (1791—1872).

გვ. 370. ყვითლოუს ანუ... ლილოუს — დედანში: Yellow or... Violet, ე. ი. ყვითელი და ლილისფერი. მთხრობელი შეცდომით გადმოგვცემს ჩარლზ გრინის (1785—1870) გვარს. (green, გრინ — მწვანე).

გვ. 371. ნევკლოდე — ევკლოდე (V—IV ძვ. წ. ა.) ძვ. ბერძენი მათემატიკოსი.

გვ. 371. კენტი — ე. კანტი (1724—1804), გერმანელი ფილოსოფოსი.

გვ. 372. ბეკონისეულიო, ალბათ, გეცოდინება, მერმეა შემოყვანილი ჰოგისეულის მნიშვნელობით — („Baconian“, you must know, was an adjective invented as equivalent to Hog-ian); მთხრობელი ქალის მიხედვით, რაკილა ჰოგის (hog ღორი) გვარის ხსენება სათაკილო უნდა ყოფილიყო, შემდეგ ასე გადაუქეთებიათ — ბეკონისეულადო („Baconian“, bacon — ღორი); როგორც ეხედავთ, მთხრობელი გმირი თავისდა უნებურად ასე უგვანოდ აიგივებს ჯ. ჰოგს (1770—1835) — შოტლანდიელ მწერალს და ფ. ბეკონს (1561—1626) ინგლისელ ფილოსოფოსს.

გვ. 373. ვინმე მილერი, ანუ მილი... ამ კაცს თურმე ჰყავდა დროვის ცხენი, სახელად ბენტამი — ჯ. მილი ინგლისელი ფილოსოფოსია; აქაც ზემოთ აღნიშნულის მსგავსი ვითარებაა: „Was one Miller, or Mill... that he had a mill-horse called Bentham“; miller და mill — მეწისქვილე და წისქვილი; mill-horse — ცხენი, გამოყენებული გარკვეული სახის წისქვილის ასამუშავებლად; ე. ბენტამი (1748—1832) — ინგლისელი ფილოსოფოსი.

გვ. 377. ზეროსი და ჰელოფაგაბალუსი — მთხრობელი დამახინჯებულად გადმოგვცემს ცნობილი რომაელი ტირანი იმპერატორების ნერონისა და ჰელიოპაბალუსის სახელებს.

გვ. 380. ნიკერბოკერელთა ველური ტომის — ამერიკელი მწერლის, უ. ირვინგის (1783—1859) იუმორისტული წიგნის („ნიუ-იორკის ისტორია... შემდგენელი დიდრიჰ ნიკერბოკერი“) მიხედვით, კოლანდიური წარმოშობის ძვ. ნიუ-იორკელი მოსახლეობა.

გვ. 382. გენერალი ქორუოლესი — ჩარლზ ქორუოლესი, უფრო სწორად, კოონუოლესი, ინგლისელი მხედართმთავარი (1738—1805).

გვ. 383. ვინმე მკედელი ჯონი და ვინმე ზაქარია, მკერავი — დედანში: „Were one John, a smith, and Zacchari, a tailor“. მთხრობელ ქალს ანოუკითხავს სახელები და გვარები; ოღონდ გვარები პირდაპირი მნიშვნელობით გაუგია: smith — მკედელი და tailor — მკერავი; ზაქარია ტეილორი (1784—1850) — აშშ-ის პრეზიდენტი.

გვ. 385. ჯ. გლიდონი (1809—1875) — ცნობილი ინგლისელი ეგვიპტოლოგი. რეალურ და ცნობილ პიროვნებათა მოყვანით ე. პო ცდილობს თავის მოთხრობებს მეტი დამაჯერებლობა მისცეს.

გვ. 437. ანაკის ძეთა — ბიბლიური გოლიათები. ბიბლია. რიცხვთა, წიგნი IV.

გვ. 446. ფალარისის ბრინჯაოს ზარისამებრ ბლაოდნენ — ფალარისი (ძვ. საბერძნეთი) — აკრაგანტელი ტირანი. თავის მოწინააღმდეგეებს ბრინ-

ჯოსაგან ჩამოსხმულ ხარში გამოამწყვდევიანებლა და მერე მის ქვეუცესლს შეუნთებდნენ.

გვ. 458. ჩემი თვალები მწუნარების ცრემლით ტირიან — სიტყვები პ. კორნელის (1606—1684) ტრაგედიიდან „სიდი“, თარგმნა გივი გეგეჭკორმა.

გვ. 463. კაცი შობილი დედაკაცისაგან — ბიბლია. წიგნი იობისა, XIV.  
: გვ. 463. ყბელიპოლის თეატრში — დედანში: Rantipole theatre; rant ინგლისურად — დეკლამაცია, სიტყვის გაბრტყელება, ამაღლებული საუბარი.

გვ. 465. მანდრაგორა, ვერც ხაშხაში და ვერც სხვა წვენი — იაგოს სიტყვები უ. შექსპირის ტრაგედიიდან „ოტელო“, თარგმანი ივ. მაჩაბლისა.

გვ. 466. ვინ კაცი, ფრედი?.. იმ კაცის სახელია ფრედი-მეთქი და არამც-დარამც ის პარასკევა არ არის — დედანში: „Man-Fred, I tell you! it is Man-Fred, and not at all by any means. Man-Friday!“ ხაზგასმული სიტყვები ასე ითარგმნება — კაცი-ფრედი და კაცი-პარასკევა. საუბარია ბაირონის პოემის „მანფრედის“ სახელწოდებაზე, რომელიც არასწორადაა ინტერპრეტირებული მოთხრობის გმირების მიერ.

გვ. 475. სტენტორი — ომახიანი ხმის ქადაგი პომეროსის პოემიდან „ილიადა“.

გვ. 494. ქვეყანა რომ იწვოდა და ძალღი... — დედანში: „In the dog-days his days have been the days of dog“, ეს წინადადება სიტყვის თამაშზეა აგებული, dog-days — ზაფხულის ყველაზე უფრო ცხელ დღეებს ნიშნავს.

გვ. 525. მაგრამ ერთი ძველი და მართალი ანდაზისა... — დედანში: „It's an old saying, and a true one, however, that money is nothing in comparison with health“, ანუ, უფრო სწორად, „...ფული არაფერია ჯანმრთელობასთან შედარებით“.

გვ. 530. „ბატრაომიომახია“ — თავგებისა და ბაყაყების ომი, ძველბერძნული ჰეროიკულ-კომედიური პოემა.

გვ. 541. ნაკრტენ გაცლილი, ორფეზა — ედგარ პოს ეს სიტყვები მოკყავს პლატონის თხზულებიდან „სახელმწიფო“ (266).

გვ. 553. აშბავი ერთი მ-ებიანი საგაზეთო წებილისა — დედანში: „X-ing a paragrab“; დამახინჯებულადაა გადმოცემული სიტყვა paragrab — აბზაცი, საგაზეთო შენიშვნა. მოთხრობის გმირი — ბობი — ამ სიტყვას ასე გამოთქვამს: paragrab. პირველი რუსული თარგმანის მიხედვით ეს სათაური ასე ჰქონდათ მოყვანილი — „Искажение параграфа“.

გვ. 554. ო, ტემპორა! ო, მოსე! — დამახინჯებულადაა ნათქვამი ციცირონის სიტყვები „O, tempora! O, mores!“ „ვაჰ, დრონი ვაჰ ზნე და წესები“.

გვ. 555. შეჩვეული ჭირი ადვილი დასათმენიაო — დედანში: On the eelskinning principle“, რაც შეიძლება ასე ითარგმნოს — გველთევზას გატყაყებას რომ შეაჩვევდა, ასეთ ამბებში გამოვლილს აღარაფერი უჭირდა.

## ს ა რ ჩ ი ვ ი

ედგარ პოს ცხოვრების ფურცლები . . . . . 5

### I

მალსტრემში დანთქმა . . . . .	37
ბოთლში ნაპოვნი ხელნაწერი . . . . .	54
ფერიათა კუნძული . . . . .	68
სფინქსი . . . . .	75
კლდოვანი მთების ამბავი . . . . .	79
წითელი სიკვდილის ნიღაბი . . . . .	91

### II

ნაპარავი წერილი . . . . .	98
მარი როკეს საიდუმლოება . . . . .	118
კასრი ამონტილედო . . . . .	174
აჩრდილი . . . . .	182
„შენ ხარ კაცი იგი“ . . . . .	185
უილიამ უილსონი . . . . .	199
სკუპ-სკუპო . . . . .	220
პეემანი . . . . .	230
ელეონორა . . . . .	244
ლიგეა . . . . .	251
მორელა . . . . .	267

### III

ბრბოს კაცი . . . . .	274
აშერთა ოჯახის დაქცევა . . . . .	284
მთხრებლი და ქანქარა . . . . .	304
წინააღმდეგობრიობის კინკა . . . . .	320
შავი კატა . . . . .	327
გული-გამთქმელი . . . . .	338
სიჩუმე . . . . .	344
სიტყვის ძალა . . . . .	347

მონოსა და უნას გაბაასება	. . .	352
ოვალური სურათი	. . .	363

#### IV

<b>MELLONTA TAUTA</b>	. . . . .	367
საუბარი მუმბიასთან	. . . . .	383
სათვალე	. . . . .	402
დოქტორ კუპროსა და პროფესორ ბლვერის სისტემა	. . . . .	431
ამბავი სახელოვანი კაცისა	. . . . .	451
ასო-ასო აქნილი კაცის ამბავი	. . . . .	458
მეფე ჟამი	. . . . .	471
სუნთქვაშეგუბებული კაცის ამბავი	. . . . .	484
შეუცნობლის ანგელოზი	. . . . .	499
ეშმა სამრეკლოზე	. . . . .	509
საქმოსანი	. . . . .	517
ეშმაკს თავზე ნუ დაენაძლეევი	. . . . .	529
თაღლითობაც ზუსტი მეცნიერებაა	. . . . .	540
ამბავი ერთი ჰ-ებიანი საგაზეთო წებილისა	. . . . .	553
მისტიფიკაცია	. . . . .	559
შენიშვნები	. . . . .	570

# ЭДГАР ПО

## Рассказы

(на грузинском языке)

Издательство «Мерани»

пр. Руставели, 42  
Тбилиси, 1988 г.

რედაქტორი ნ. ფხაკაძე  
მხატვარი სპ. ცინცაძე  
მხატვრული რედაქტორი ნ. ნარიშანიძე  
ტექნიკური რედაქტორი ო. კაპანაძე  
კორექტორები: ნ. ლომაძე, თ. ფირცხალავა, ჯ. გოციროძე  
გამომშვები ნ. ხავთასი

ს.ბ. 3625

ჩაბარდა წარმოებას 1.02.88. ხელმოწერილია საბეჭდად 31.10.88. ფორმატი 84×108<sup>1</sup>/<sub>32</sub>. ქაღალდი საწიგნე საეურნალო. გარნიტურა ივერია. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 30,24. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 27,11. პირობითი საღებავგატარება 30,43.  
ტირაჟი 30 000. შეკვ. № 963.  
ფასი 8 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის პრ. 42, თბილისი 1988

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ო. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7,

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7,

